მერაბ ტუშრაველა

(პროფესორი, პროექტის დირექტორი)

ევროპული სისხლის სამართალი

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი 2010

UDC (უაკ) 343(4)
ტ – 92

პროექტის დირექტორი და შემსრულებელი პროფესორი მერაბ ტურავა

პროექტის შემსრულებლები: პროფესორი ნინო გვენეტაძე
ასისტენტ-პროფესორი ლავრენტი მაღლაკელიძე და
ასისტენტ-პროფესორი ანრი ოხანაშვილი



ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი
რუსთაველის ფონდი

Rustaveli Foundation
for Georgian Studies, Humanities and Social Sciences

აღნიშნული პროექტი განხორციელდა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის მეშვეობით (გრანტის №008-08). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია, არ ასახავდეს ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) შეხედულებებს.

This project has been made possible by financial support from the Foundation for Georgian Studies, Humanities and Social Sciences (Rustaveli Foundation) (Grant N 008-08). All ideas expressed herewith are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010
© მ. ტურავა

ISBN 978-9941-10-252-3

სარჩევი

შინაარსი VII

შესავალი 1

§1 ევროპული ინტეგრაციის პროცესი: მოკლე ისტორიული ექსკურსი 6

§2 ევროპული სისხლის სამართალი საერთო ევროპული ინტეგრაციის პროცესში 11

§3 ევროპული სისხლის სამართლის ადგილი საერთაშორისო სისხლის სამართლის სისტემაში 19

§4 ევროპული სისხლის სამართლის ცნება, საგანი და წყაროები 24

§5 ევროპული პრიმერული სისხლის სამართალი ევროპული გაერთიანების/ევროპის კავშირის შარგლებში ნიცას ხელშეკრულების მიხედვით 33

§6 ევროპული პრიმერული სისხლის სამართალი ევროპის კავშირის შარგლებში ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით 104

§7 ევროპული იუსტიციის ორგანიზაცია 195

§8 სამართლებრივი ურთიერთდახმარება ევროპაში 250

§9 გადაწყვეტილებათა ორმხრივი ურთიერთაღიარება სისხლის სამართალში 295

§10 ერთიანი ევროპული დაკატიმრების ბრძანება 341

§11 კონკრეტული ევროპული დანაშაულის შემადგენლობები და მსხვერპლის დაცვა 364

§12 ევროკავშირის შინანსური ინტერესების დამცავი სისხლისსამართლებრივი ნორმები – *Corpus Juris 2000* 487

§13 ევროპული სისხლის სამართლის ნაკლი და პერსპექტივები 510

შინაარსი

შესავალი 1

§1 ევროპული ინტეგრაციის პროცესი: მოკლე ისტორიული ექსკურსი 6

§2 ევროპული სისხლის სამართალი საერთო ევროპული ინტეგრაციის პროცესში 11

§3 ევროპული სისხლის სამართლის ადგილი საერთაშორისო სისხლის სამართლის სისტემაში 19

§4 ევროპული სისხლის სამართლის ცნება, საგანი და წყაროები 24

I ევროპული სისხლის სამართლის ცნება და საგანი 24

II ევროპული სისხლის სამართლის წყაროები 28

§5 ევროპული პრიმერული სისხლის სამართალი ევროპული გაერთიანების/ევროპის კავშირის ფარგლებში ნიცას ხელშეკრულების მიხედვით 33

I ევროგაერთიანების სუპრანაციონალური სისხლის სამართალი ევროკავშირის „პირველი სვეტის ფარგლებში. სისხლის სამართლის ევროპეიზაცია 33

II ევროპეიზაციის სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტორები 35

1. ასიმილირების პრინციპი 37

2. უკუასიმილირების პრინციპი 41

3. ჰარმონიზაცია დირექტივების მეშვეობით 44

4. გაერთიანების ერთგულების (ლოიალურობის) პრინციპი 47

5. გაერთიანების სამართლის უპირატესი გამოყენების (პრიორიტეტულობის) პრინციპი 49

6. ნაციონალური სამართლის გაერთიანების სამართლის შესაბამისად ინტერპრეტაციის პრინციპი 51

III მატერიალური სისხლის სამართლის ჰარმონიზაცია ევროპის კავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილებების მიხედვით 52

1. თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცე 52

2. მატერიალური სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის მნიშვნელოვანი სფეროები 54

2.1 ორგანიზებული დამნაშავეობა 54

(1) სანქციები უკანონო შემოსავლის, ტრანზიტისა და ყოფნისათვის 55

(2) ტრეფიკინგთან ბრძოლა 57

(3) ფულის გათეთრებასთან ბრძოლა 59

2.2 ტერორიზმი 62

(4) ტერორიზმთან ბრძოლა 63

2.3 ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა 66

(5) ნარკოტიკებით არალეგალურ ვაჭრობასთან ბრძოლა 67

2.4 ჰარმონიზაციის სხვა სფეროები 70

(6) თავლითობისა და გადახდის არაფულადი საშუალებების გაყალბებასთან ბრძოლა 70

(7) ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლა 72

(8) კერძო სექტორში კორუფციასთან ბრძოლა 74

2.5 შეჯამება 77

IV ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ (ნიცა) 78

V ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულება (ნიცა) 88

VI სუპრანაციონალური სისხლისსამართლებრივი კომპეტენცია ევროგაერთიანების ხელშეკრულების 280-ე მუხლის მე-4 აბზაცის მიხედვით და მისი რეფორმირების მცდელობები 91

VII ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 280-ე და 280-ე (a) მუხლების ახალი რედაქციის პროექტი 95

VIII ხელშეკრულებების ოქმები და დეკლარაციები 97

§6 ევროპული პრიმერული სისხლის სამართალი ევროპის კავშირის ფარგლებში ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით 104

I ლისაბონის ხელშეკრულება და ევროპული სისხლის სამართალი 104

1. შესავალი 104

2. ევროპული სისხლის სამართლის სტრუქტურული ელემენტები 105

2.1 თანამშრომლობა და კოორდინაცია სისხლის სამართლის საქმეებზე 107

2.2 ასიმილირების პრინციპი 107

2.3 ჰარმონიზაცია 109

2.4 სისხლის სამართალწარმოების დარგობრივი ცენტრალიზაცია 112

II ლისაბონის ხელშეკრულება 113

1. ევროპის კავშირის ხელშეკრულება 114

2. ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულება 117

III ძირითადი უფლებები და სამართლის ფუნდამენტური პრინციპები 128

1. შესავალი 128

2. ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია 131

3. ერთი და იგივე ქმედებისათვის ორჯერ დასჯის აკრძალვა ევროპაში 137

4. შენგენის შეთანხმება 138

IV მარტინ ჰეგერი: ევროპული სისხლის სამართლის პერსპექტივები ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით 140

I. შესავალი 140

II. ევროკავშირის პრიმერული სამართლის სტრუქტურა ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით 140

III. ევროკავშირის «ახალი» ხელშეკრულება 141

IV. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულება 146
V. სისხლის სამართლის ქვნის კომპეტენცია? 159
VI. რეფორმატორული მოძრაობა 162
V ბაჩანა ჯიშკარიანი: სისხლისსამართლებრივი ინტეგრაცია ევროგაერთიანების/ევროკავშირის ფარგლებში (ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მე-3 აბზაცზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით) 164
1. ევროპული ინტეგრაცია 165
2. ევროგაერთიანების/ევროკავშირის კომპეტენცია სისხლის სამართლის სფეროში ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე 167
3. ევროგაერთიანების მიერ სისხლისსამართლებრივი მითითებების გაკეთების კომპეტენცია 177
4. ევროპული კონსტიტუცია ინტეგრაციის შედეგი? 180
5. ლისაბონის ხელშეკრულება ინტეგრაციის პროცესი გრძელდება 181
6. კომპეტენცია სისხლის სამართლის სფეროში 182
7. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია 185
8. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ევროპული სისხლის სამართალი 186
9. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის III აბზაცი ე .წ. ..საავარიო მუხრუჭი 188
10. შეჯამება 194
§7 ევროპული იუსტიციის ორგანიზაცია 195
I OLAF-ი. ევროპოლი. ევროიუსტი. ევროპული პროკურატურა 195
1. OLAF-ი 196
2. ევროპოლი 197
3. ევროიუსტი 201
4. ევროპული პროკურატურა 203
II ევროიუსტიციის ორგანიზაციული მოწყობა 204
1. გადაწყვეტილება ევროიუსტის შექმნის შესახებ 205
2. ევროიუსტის რეგლამენტი 229
3. ერთობლივი ღონისძიება ევროპული იუსტიციური ქსელის მოწყობის შესახებ 241
4. ერთობლივი ღონისძიება მოსამართლეების/პროკურორების გაცვლის შესახებ 246
5. გადაწყვეტილება საკონტაქტო ორგანოების ევროპული ქსელის მოწყობისათვის საერთაშორისო დანაშაულების მიმართ 248
§8 სამართლებრივი ურთიერთდახმარება ევროპაში 250
I შენგენის შეთანხმება 250
1. შენგენი I და შენგენი II ზოგადად 250

2. პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობა შენგენის შეთანხმების მიხედვით 252
3. სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარება შენგენის შეთანხმების მიხედვით 257
II ევროკავშირის შეთანხმება და ოქმი სამართლებრივი დახმარების შესახებ 261
1. სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროკავშირის შეთანხმება 263
2. სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროკავშირის შეთანხმების ოქმი 283
3. ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფები 290
§9 გადაწყვეტილებათა ორმხრივი ურთიერთაღიარება სისხლის სამართალში 295
I შესავალი 295
II უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებების ურთიერთაღიარება 297
III ქონების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებების ორმხრივი ურთიერთაღიარება 307
IV დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისა და დანაშაულის იარაღის ჩამორთმევა 322
V თავისუფლების აღკვეთისა და თავისუფლების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილებების აღსრულებაში დახმარება 327
VI ფულადი სასჯელებისა და ფულადი სახდელების შესახებ გადაწყვეტილებების ორმხრივი ურთიერთაღიარება 330
§10 ერთიანი ევროპული დაპატიმრების ბრძანება 341
I შესავალი 341
II დაპატიმრება და გადაცემა ევროპის კავშირის ფარგლებში 345
§11 კონკრეტული ევროპული დანაშაულის შემადგენლობები და მსხვერპლის დაცვა 364
I კონკრეტული ევროპული დელიქტები 364
1. დანაშაულები ევროპული გაერთიანების ბიუჯეტის საზიანოდ 365
1.1 თაღლითობა ევროპული გაერთიანების ფინანსური ინტერესებისთვის ზიანის მიყენებით 366
1.2 მექრთამეობა ევროპული გაერთიანების ფინანსური ინტერესებისთვის ზიანის მიყენებით 371
1.3 ევროპული გაერთიანებების სასამართლოს ინტერპრეტაციის უფლებამოსილება 376
1.4 ფულის გათეთრება ევროგაერთიანების ბიუჯეტის საზიანოდ 378
2. დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობა და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლა 384
2.1 დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობა 385
2.2 ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლა 387
3. ფულის გაყალბება 392

4. შენაღდო გადასდის საშუალებების თანღლითობა და გაყალბება 397
5. კორუფცია 402
5.1 კორუფცია საჯარო სექტორში 402
5.2 კორუფცია კერძო სექტორში 409
5.3 ბერნდ ჰაინრიხი: ევროპული ზეგავლენები გერმანულ კორუფციულ სისხლის სამართლის განვითარებაზე 414
I. ტერმინის გაგებისათვის: კორუფცია 416
II. გერმანული კორუფციული სისხლის სამართლის დამახასიათებელი ძირითადი თვისებები 416
1. სახელმწიფო სფეროში ჩადენილი კორუფცია 416
2. კორუფცია კერძო სფეროში 421
III. საერთაშორისო და ევროპული ზეგავლენები გერმანულ კორუფციულ სისხლის სამართალზე 422
1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორუფციის საწინააღმდეგო კონვენცია 423
2. ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კონვენცია უცხოელ თანამდებობის პირთა მოსყიდვის წინააღმდეგ 423
3. ევროპის საბჭოს სისხლისსამართლებრივი კონვენცია კორუფციის შესახებ 425
4. ევროკავშირი 426
IV. მომავალში განსახორციელებელი ცვლილებების მიმოხილვა 429
1. ზოგადი ცვლილებები 429
2. დეპუტატების მოქრთამვა 430
3. «ზეგავლენის ბოროტად გამოყენება» 431
V. შეჯამება 432
6. ფულის გათეთრება 433
7. ტერორიზმი 436
7.1 ტერორიზმის დანაშაულის შემადგენლობების ჰარმონიზაცია 436
7.2 ტერორიზმის დანაშაულის შემადგენლობების ჰარმონიზაციის სრულყოფა 443
7.3 ტერორიზმთან დაკავშირებით ინფორმაციების გაცვლა 445
8. ადამიანით ვაჭრობა და სექსუალური ექსპლუატაცია 449
8.1 ადამიანით ვაჭრობა 449
8.2 ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია 453
9. დანაშაული, დაკავშირებული არალეგალურ მიგრაციასთან 460
9.1 არალეგალური იმიგრაციის დანაშაულის შემადგენლობა 460
9.2 არალეგალური იმიგრაციის მინიმალური სანქციები 462
10. ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა 466
11. კომპიუტერული დანაშაული 472

12. რასიზმი და ქსენოფობია 476
II დანაშაულის მსხვერპლის დაცვა 479
§12 ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დამცავი სისხლისსამართლებრივი ნორმები – *Corpus Juris 2000* 487
I შესავალი 487
II *Corpus Juris 2000* (ფლორენციის რედაქცია) 490
I. სისხლის სამართალი კერძო ნაწილი 490
II. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი 493
III. სამართალწარმოება 497
IV. ნაციონალური სამართლის დამატებითობის ფუნქცია 509
§13 ევროპული სისხლის სამართლის ნაკლი და პერსპექტივები 510
I ჰელმუტ ზატცგერი: ევროპული სამართლის ზეგავლენა რუმინულ და გერმანულ სისხლის სამართალზე 510
I. შესავალი 510
II. ევროპული სამართალი და ნაციონალური საქართველებრივი წესრიგი 510
III. ევროპეიზაცია და მისი ფორმები 511
IV. პერსპექტივები 517
II ჰელმუტ ზატცგერი: ევროპული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ნაკლი 517
I. დიაგნოზი 517
1. სისხლის სამართალი ევროპული სამართლის ზეგავლენის ქვეშ 517
2. სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა. როგორც ევროკავშირის სამოქმედო სფერო 519
II. თერაპია 520
1. სამუშაო ჯგუფი „European Criminal Policy Initiative" 520
2. დასახული მიზანი 520
3. ევროკავშირის დონეზე თვითმკურნალობის დასაწყისი? 521
4. მანიფესტი. როგორც გონივრული ევროპული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განვითარების რეცეპტი? 522
III. შეჯამება 522
III ..ევროპული კრიმინალური პოლიტიკის მანიფესტი 523
I. ძირითადი კრიმინალპოლიტიკური პრინციპები 524
II. ძირითადი კრიმინალპოლიტიკური პრინციპების განმარტებანი 528

შესავალი

ეს ნაშრომი წარმოადგენს ევროპული სისხლის სამართლის სფეროში ქართულ ენაზე გამოცემულ პირველ წიგნს, კერძოდ, ევროპის კავშირის ფარგლებში მოქმედი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი ნორმების კრებულს და მათ შესახებ თეორიულ მასალას. წიგნში ქართულ ენაზე პირველად, ასევე ქვეყნდება ევროპული სისხლის სამართლის სამომავლო განვითარების ისეთ მოდელი, როგორიცაა *Corpus Juris 2000.*

ევროპული სისხლის სამართალი – ეს არის სრულიად ახალი საუნივერსიტეტო სასწავლო დისციპლინა თვით მოწინავე ევროპულ უნივერსიტეტებშიც კი. იგი მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბდა და საერთაშორისო სისხლის სამართლისგან დამოუკიდებლად დაიწყო არსებობა.

წიგნის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში ,,ევროპული სისხლის სამართლის", როგორც სამართლის ერთ-ერთი თანამედროვე მიმართულების, განვითარებას. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისევე, როგორც სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, დიდი ხანია ისწავლება საერთაშორისო სამართალი, ევროპული სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი, ასევე საერთაშორისო სისხლის სამართალი, მაგრამ ,,ევროპული სისხლის სამართალი" აქამდე არ წარმოადგენდა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ დამოუკიდებელ დისციპლინას და, შესაბამისად, ამ საგანში არ ტარდებოდა ლექციები სათანადო სამეცნიერო ბაზის არარსებობის გამო. უფრო მეტიც, ამ სფეროში დღემდე არ არის გამოსული არცერთი წიგნი ქართულ ენაზე, რომელიც დაინტერესებულ მკითხველს შესაძლებლობას მისცემდა, შეესწავლა ევროპის კავშირის სისხლის სამართლის მდგომარეობა და მისი განვითარების ძირითადი ტენდენციები და გაეკეთებინა დასკვნები საქართველოს სისხლის სამართლის ევროპულ სისხლის სამართალთან შეთავსებადობის თაობაზე. წიგნის მიზანია, ხელი შეუწყოს სწორედ ამ ხარვეზის აღმოფხვრას.

რუსთაველის ფონდის სამეცნიერო პროექტის: ,,ევროპული სისხლის სამართლის განვითარებისათვის საქართველოში" ფარგლებში შესრულებული მუშაობის შედეგად, 2009 წლის შემოდგომაზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მაგისტრანტებისათვის პირველად იქნა შემოღებული ლექციების კურსი ახალ სასწავლო დისციპლინაში სახელწოდებით: ,,ევროპული სისხლის სამართალი". ეს საგანი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ, ასევე ისწავლება საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში. საგნის მიზანია ევროპის კავშირის ფარგლებში მოქმედი სისხლისსამართლებრივი ნორმების, კომპეტენციებისა და სისხლის სამართლის სფეროში ევროპეიზაციის ფაქტორების შესწავლა, რაც მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ საქართველო ევროკავშირთან იმყოფება ,,სამეზობლო პოლიტიკიდან" გამომდინარე ურთიერთობებში. ჩატარებული მუშაობის შედეგად, საფუძველი ჩაეყარა ევროპულ სისხლის სამართალში ქართველი იურისტების შემდგომ ნაყოფიერ სამეცნიერო კვლევას. პროექტის ფარგლებში შესრულებული მუშაობის შედეგია, ასევე ის, რომ ქართველი დოქტორანტები და მაგისტრანტები უკვე ატარებენ კვლევებს ევროპულ სისხლის სამართალში.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ევროპული სისხლის სამართლის უცხოენოვანი სპეციალური ლიტერატურისა და წყაროების მოძიება და დამუშავება. შესწავლილ იქნა ევროპული სისხლის სამართლის სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ლიტერატურა და ნორმატიული დოკუმენტები, რომლებიც შეეხება ევროპული სისხლის სამართლის საკითხებს. ამ დარგში არ არსებობს ქართულენოვანი ლიტერატურა და წყაროები, ამიტომ ძირითადი აქცენტი გადატანილ იქნა უცხოენოვან სამართლებრივ წყაროებსა და ლიტერატურაზე. ძირითადი

ყურადღება მიექცა გერმანელი ავტორების შესწავლასა და გამოყენებას.[1] ეს დარგი, ასევე ახალია და განვითარების პროცესშია თვით ევროპის კავშირის სახელმწიფოებში, რადგან გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლომდე სისხლის სამართალი ევროპული გაერთიანების სამართალში, ევროკავშირის პოლიტიკის სხვა სფეროებთან შედარებით, შედარებით უმნიშვნელო, მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა[2].

ევროპული სამართლის წყაროები ძირითადად მოძიებულ იქნა მონაცემთა ბაზაში: CELEX, შემდეგ მისამართზე: http://europa.eu.int. სამართლებრივი აქტების შერჩევის დროს, ასევე გამოყენებულ იქნა გერმანელი ავტორების მიერ შედგენილი კრებულები.[3] სხვა წყაროებთან ერთად, დამუშავებულ იქნა ევროპის კავშირის საბჭოს მიერ მიღებული ჩარჩო გადაწყვეტილებები სისხლისსამართლებრივი ნორმებით, რომლებიც უკანასკნელ წლებში წარმოადგენდნენ ევროპული სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის სფეროში და, ასევე მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც ე.წ. „სამეზობლო პოლიტიკის" პირობებში. იგი ეხება არალეგალურ მიგრაციას, ტრეფიკინგს და სხვა დანაშაულებს, რომლებიც წარმოადგენენ ჰარმონიზაციის სფეროებს. ასეთია ჩარჩო გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება სანქციებს უკანონო შემოსვლის, ტრანზიტისა და ყოფნისათვის; ტერორიზმთან ბრძოლას; ტრეფიკინგთან ბრძოლას; კერძო სექტორში კორუფციასთან ბრძოლას; ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლას; ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლას; მსხვერპლის სტატუსს სისხლის სამართლის წარმოებაში; თაღლითობასა და გადახდის არაფულადი საშუალებების გაყალბებასთან ბრძოლას; ფულის გათეთრებასთან ბრძოლას და ა.შ.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა სამეცნიერო სემინარები და კონფერენციები, მათ შორის, უცხოელი პროფესორების მონაწილეობით, რომელთა მოხსენებები (*მარტინ ჰეგერი* და *ბერნდ ჰაინრიხი* – ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი) ქვეყნდება ამ წიგნში.

წიგნში ევროპული ნორმატიული მასალა წარმოდგენილია შემდეგი სისტემით: იგი იწყება ხერშეკრულებების ძირითადი დებულებებით, ე.წ. „პრიმერული" ანუ „პირველადი" სამართლის ნორმებით, კერძოდ, ლისაბონის ხელშეკრულებით ევროპის კავშირის შესახებ (EUV: Vertrag über die Europäische Union[4]) და ხელშეკრულებით ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ (AEUV: Vertrag über die Arbeitsweise der Europäischen Union). წიგნში, ასევე წარმოდგენილია ნიცას ევროპის კავშირის ხელშეკრულებისა (EUV: Vertrag über die Europäische Union) და ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების (EGV: Vertrag zur Gründung der Europäischen Union) ის მუხლები, რომელთაც მნიშველობა აქვთ სისხლის სამართლისათვის. ამ მუხლებს, მოქმედების ძალის დაკარგვის მიუხედავად, არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა, რადგან სწორედ მათ საფუძველზე იქნა გამოცემული

---

[1] ევროპულ სისხლის სამართალში გერმანულ ენაზე უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა არაერთი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სტატია, რომლებიც გამოყენებულია ამ წიგნში. მათ შორისაა: *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001; *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrechts, მე-3 გამოცემა, 2009; *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007; *Ambos:* Internationales Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 341-536.

[2] შეად. *Hecker:* Der Vertrag von Lissabon und das Europäische Strafrecht, Iurratio, 2/2009, გვ. 81.

[3] *Wasmeier/Möhlig* (Hrsg.): Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008; *Schwartmann* (Hrsg.), Der Vertrag von Lissabon, მე-2 გამოცემა, 2009; *Esser* (Hrsg.): Europäisches und Internationales Strafrecht, 2009.

[4] აქ და შემდგომში მითითებულია არაერთი ტერმინი გერმანულ ენაზე, ვინაიდან მუშაობის დროს წყაროები ძირითადად სწორედ ამ ენაზე იქნა გამოყენებული.

ჩარჩო-გადაწყვეტილებები, ასევე მნიშვნელოვანია ლისაბონის ხელშეკრულებასთან შედარების თვალსაზრისითაც. წარმოდგენილი მასალა მოიცავს, ასევე ძირითად უფლებებსა და სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს, რაც გათვალისწინებულია ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიაში (Charta der Grundrechte der Europäischen Union), მათ შორის, იუსტიციურ უფლებებს, ორჯერ დასჯის აკრძალვის პრინციპის ჩათვლით. წიგნში მოცემულია, ასევე უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი აქტები ევროპული იუსტიციის ორგანიზაციის სფეროში. ამ ნორმებში განსაზღვრულია ევროკავშირის იუსტიციური ორგანოების მოწყობის წესები. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად მაასტრიხტის ევროპის კავშირის ხელშეკრულებაში არ იყო განსაზღვრული პოლიციური და იუსტიციური, ასევე კორუფციასთან ბრძოლის (OLAF)[1] ორგანოების მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკითხები. აღნიშნული ინსტიტუტების მოგვიანებით, გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, შემოღება მიზნად ისახავდა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის სამართლებრივი ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესებას, „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცის“ ჩამოყალიბებას, ინფორმაციების ურთიერთგაცვლას, დანაშაულებრივი ქონების ჩამორთმევის უზრუნველყოფას, ერთიანი ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულებას.

ევროპული სისხლის სამართლის განვითარების ხელშემწყობი ფართო და ყოვლისმომცველი კომპეტენცია არ გამომდინარეობდა ნიცას ხელშეკრულებიდან და არც ლისაბონის ხელშეკრულება ითვალისწინებს ასეთს. 2009 წლის 1 დეკემბრამდე არსებული სამართლებრივი მდგომარეობის მიხედვით, ევროპის კავშირში სისხლის სამართლის სფეროში ცალკეული კომპეტენციები ევროკავშირის პირველ სვეტსა – ევროპული გაერთიანება – და მესამე სვეტს – პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმეებზე (ევროპის კავშირის ნიცას ხელშეკრულების მე-6 თავი) – შორის იყო გადანაწილებული.

ევროპის კავშირის ნიცას ხელშეკრულების 29-ე მუხლიდან გამომდინარე, ევროკავშირი მიზნად ისახავდა მისი წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მოქალაქეებისათვის „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცეში“ უსაფრთხოების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას (იხ. ასევე ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-4 ქვეპუნქტი), რამდენადაც იგი ხელს უწყობდა პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობის სფეროში წევრი სახელმწიფოების ერთიანი მიდგომების განვითარებას, ასევე რასიზმისა და ქსენოფობიის გამოვლენის წინააღმდეგ ბრძოლას. აღნიშნული მიღწეული უნდა ყოფილიყო ორგანიზებული და არაორგანიზებული დამნაშავეობის სფეროებში. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ტეროტიზმს, ტრეფიკინგს, ბავშვების მიმართ ჩადენილ დანაშაულებს, ნარკოტიკითა და იარაღით არალეგალურ ვაჭრობას, კორუფციას და თაღლითობას, რა დროსაც ადგილი ჰქონდა კომპეტენტური სამსახურების მჭიდრო თანამშრომლობას, ასევე – წევრი სახელმწიფოების განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი ნორმების დაახლოებას. ევროკავშირის ხელშეკრულების 31-ე მუხლის აბზ. 1 (e) იძლეოდა წევრი სახელმწიფოების მატერიალური სისხლის სამართლის დაახლოების შესაძლებლობას, რაც ხორციელდებოდა ქმედების შემადგენლობებისა და სამართლებრივი შედეგების შესახებ საერთო მინიმალური მოთხოვნების დადგენით დამნაშავეობის ზოგიერთ სფეროში, განსაკუთრებით ეს შეეხება ტრანსნაციონალურ დამნაშავეობას. მოქმედების უმნიშვნელოვანეს ფორმას ნაციონალური სისხლის სამართლის დებულებების ჰარმონიზაციისათვის წარმოადგენს ჩარჩო გადაწყვეტილებები. მართალია, ლისაბონის ხელშეკრულება აღარ ითვალისწინებს ასეთი სამართლებრივი აქტის გამოცემის შესაძლებლობას, მაგრამ 2009 წლის 1 დეკემბრამდე გამოცემული ჩარჩო გადაწყვეტილებები

[1] Office de la lutte AntiFraude (ფრანგულად), Europäisches Amt für Betrugsbekämpfung (გერმანულად), რომლის ქართული სახელწოდება იქნება: თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური.

მათში მოცემულ მიზანთან დაკავშირებით წევრი სახელმწიფოებისათვის დღემდე სავალდებულოა, სანამ ისინი არ შეიცვლებიან იმავე საკითხებზე გამოცემული ახალი სამართლებრივი აქტებით – დირექტივებით (Richtlinien). ამასთან, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ თვითონ აირჩიონ მათი იმპლემენტაციის ფორმა და საშუალება. ამ ღონისძიებათა მიზანი არის ის, რომ შემცირდეს განსხვავება ნაციონალურ სისხლისსამართლებრივ ნორმებს შორის.

ამასთან, ევროპული გაერთიანების ნიცას ხელშეკრულებიდანაც არ გამომდინარეობდა სისხლის სამართლის სფეროში ფართო კომპეტენციები. მართალია, ამ ხელშეკრულების 280-ე მუხლის მე-4 აბზაცი საბჭოს ანიჭებდა უფლებამოსილებას, წევრ სახელმწიფოებში ეფექტური სამართლებრივი დაცვის უზრუნველსაყოფად, მაგრამ სუპრანაციონალური სისხლისსამართლებრივი ნორმების გამოცემის კომპეტენცია იყო საკამათო. ასეთ სუპრანაციონალურ კომპეტენციებს ეძღვნება ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 325-ე და 79-ე მუხლები, ხოლო ლისაბონის ამავე ხელშეკრულების 82-ე-89-ე მუხლებში მოცემულია სისხლის სამართლის სფეროში იუსტიციური და პოლიციური თანამშრომლობის შესახებ.

ევროპული სისხლის სამართალი ევროპის ინტეგრაციის შედეგია და დღეისათვის განვითარების პროცესში იმყოფება. ევროპის კავშირის ფარგლებში არსებობს ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც არ წარმოადგენენ ევროკავშირის სამართალს და მხოლოდ ცალკეულ წევრ სახელმწიფოებში მოქმედებენ.[1]

გარდა პირველადი („პრიმერული“) სამართლის ნორმებისა, წიგნში წარმოდგენილია, ასევე ისეთი მეორადი („სეკუნდარული“) აქტები, რომელთა სახელწოდებაა „ერთობლივი ღონისძიება“. საქმე ეხება იმ სამართლებრივ ბერკეტს, რომელიც მაასტრიხტის ხელშეკრულებით (1992) იქნა შემოღებული, ხოლო ამსტერდამის ხელშეკრულებიდან (1999) მომდინარე, არსებობს ისეთი სამართლებრივი აქტი, როგორიცაა ჩარჩო-გადაწყვეტილება. ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ, როგორც ითქვა, ისინი ძალაში რჩებიან მანამ, სანამ ევროკავშირის მიერ იმავე საკითხებზე გამოცემული ახალი სამართლებრივი აქტებით არ მოხდება მათი ჩანაცვლება.

წიგნის მოცემულია ისეთი სამართლებრივი აქტები, რომლებიც ევროიუსტის ორგანიზაციას, სამართლებრივ ურთიერთდახმარებას, გადაწყვეტილებათა სამართლებრივ ურთიერთაღიარებას, მატერიალური სისხლის სამართლის კონკრეტული დელიქტების შემადგენლობების ჰარმონიზაციას შეეხება. ევროკავშირის საბჭომ არაერთი სამართლებრივი აქტი გამოსცა, რომელიც შეეხება ნაციონალურ კანონმდებლობაში მოცემული სისხლისსამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაციას. საქმე ეხება უმეტესად ისეთ დანაშაულის შემდგენლობებს, რომლებიც ევროპის კავშირის ლისაბონის ხელშეკრულების 83-ე მუხლშია ჩამოთვლილი. წიგნში მოცემული სამართლებრივი აქტები შეეხება, ასევე ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად, იურიდიული პირის დასჯადობა, ბრალდებულის ექსტრადიცია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წიგნში გამოქვეყნებული არცერთი ევროპული სამართლებრივი აქტი დღემდე არ ყოფილა ქართულად ნათარგნი, რის გამოც, მოსალოდნელია გარკვეული ტერმინოლოგიური უზუსტობანი.

---

[1] ასეთია, მაგალითად, ე.წ. „პრიუმის ხელშეკრულება“ (Prümer Vertrag über die Vertiefung der grenzüberschreitenden Zusammenarbeit, insbesondere zur Bekämpfung des Terrorismus, der grenzüberschreitenden Kriminalität und der illegalen Migration), რომელსაც დღემდე შეუერთდა ევროპის კავშირის ათი წევრი სახელმწიფო და ნორვეგია. იგი ითვალისწინებს სახელმწიფოთა შორის ტრანსნაციონალურ ურთიერთთანამშრომლობას, განსაკუთრებით, დანაშაულთა აღკვეთისა და დევნის მიზნით ინფორმაციის გაცვლის სფეროში. მოსალოდნელია, მას სამომავლოდ ე.წ. „შენგენის მფლობელობის“ ბედი ეწიოს და გახდეს ევროპის კავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი აქტი.

წიგნში, სხვა მნიშვნელოვან მასალასთან ერთად, მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის პროფესორ *ჰელმუტ ზატცგერის* წერილთან ერთად, ქვეყნდება „ევროპული კრიმინალური პოლიტიკის მანიფესტი" (Manifest zur Europäischen Kriminalpolitik. European Criminal Policy Initiative[1]), რომელსაც ხელს აწერს ევროპული სისხლის სამართლის რამდენიმე ექსპერტი. ასევე, წიგნში ქვეყნდება *ჰელმუტ ზატცგერის* მოხსენება, რომელიც თუნდაც იმით არის საინტერესო, რომ ეხება ევროპის კავშირის ყველაზე ახალგაზრდა წევრს სახელმწიფოს.

მუშაობის პროცესში ჩვენს გარშემო შეიკრიბა ევროპული სისხლის სამართლის საკითხებით დაინტერესებული ახალგაზრდა მკვლევარების ჯგუფი, რომლებმაც ჩვენთან ერთად იმუშავეს ამ წიგნის მომზადებაზე: ასისტენტ-პროფესორების ***ლავრენტი მაღლაკელიძისა*** და ***ანრი ოხანაშვილის*** გარდა, რომლებიც ამჟამად სამეცნიერო მივლინებით იმყოფებიან იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტში პროფესორ *ჰაინერ ალვარტთან*, ამ მუშაობაში ჩართული იყვნენ ***ბაჩანა ჯიშკარიანი***, ამჟამად მიუნხენის უნივერსიტეტში პროფესორ *ჰელმუტ ზატცგერის* დოქტორანტი, ასევე ***გიორგი ლურსმანაშვილი*** და ***დავით ჩიხლაძე***, რომლებმაც მოიპოვეს სტიპენდიები გერმანულ უნივერსიტეტებში სწავლის გასაგრძელებლად. თითოეულ მათგანს გულწრფელ მადლობას ვუხდით თანამშრომლობისთვის და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს. მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს ევროპული სისხლის სამართალის ამ ქართული გამოცემის მომზადებაში და, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან ერთად დადეს აგური ამ ახალი სასწავლო დისციპლინის განვითარებისათვის.

[1] იხ. http://www.crimpol.eu.

§1. ევროპული ინტეგრაციის პროცესი: მოკლე ისტორიული ექსკურსი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აღმოსავლეთ-დასავლეთ შორის იდეოლოგიური კონფლიქტის გამწვავების შედეგად, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა წინაშე დადგა მათ შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობის საკითხი. მხოლოდ წარმატებულ ინტეგრაციის პროცესზე იყო დამოკიდებული დასავლეთ ევროპის მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელი თვითმყოფადი როლის ჩამოყალიბება და ამ რეგიონში ეკონომიკური და სოციალური სიტუაციის გაუმჯობესება[1]. ამ თვალსაზრისით, *უინსტონ ჩერჩილი* ჯერ კიდევ 1946 წელს თავის ცნობილ „ციურიხის გამოსვლაში" აყალიბებს ლოზუნგს „ევროპის შეერთებული შტატები" შესახებ[2].

1949 წლის 5 მაისს ჩამოყალიბდა ევროსაბჭო, რომელიც დღეისათვის 47 სახელმწიფოს აერთიანებს. მის უმნიშვნელოვანეს ხელშეკრულებას წარმოადგენს 1950 წლის „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენცია". მას არ შეეძლო, გამხდარიყო „ინტეგრაციის მოტორი"[3]. სწორედ ამიტომ, დღის წესრიგში დადგა უფრო ეფექტური ინტეგრაციის მექანიზმის შექმნის აუცილებლობა. 1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა *რობერტ შუმანმა* წამოაყენა იდეა, გაერთიანებულიყო გერმანული და ფრანგული ქვანახშირისა და ფოლადის ინდუსტრია. ე.წ. *შუმანის გეგმა* წარმოადგენდა პირველ ნაბიჯს და მიზნად ისახავდა, საფუძველი ჩაეყარა ევროპის მომავალი ფედერალური მოწყობისათვის. ეკონომიკური ინტეგრაციის გზით, იგი მომავალი ევროპის უშიშროების პოლიტიკის განმტკიცებასაც ემსახურებოდა. მაშინ, როდესაც ამ ფრანგულმა გეგმამ მხარდაჭერა მოიპოვა გერმანიაში, იტალიასა და ბენელუქსის (ბელგია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები) ქვეყნებში, გაერთიანებული სამეფო თავდაპირველად თავშეკავებას იჩენდა მის მიმართ. სწორედ ამ „ექვსთა კავშირმა" 1951 წლის 18 აპრილს ჩამოაყალიბა „ევროპული ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება"[4]. მეტის გაკეთება იმ ეტაპზე არ იყო შესაძლებელი. მათ შორის, არ შედგა გერმანულ-ფრანგული გაერთიანება თავდაცვის სფეროში, რადგან ეს ჩაითვალა „ფრანგული სუვერენიტეტისათვის" საფრთხის შემცველად: უკვე ხელმოწერილი ხელშეკრულება 1954 წელს ჩავარდა ეროვნული კრების მიერ რატიფიკაციის დროს[5].

მაშინ, როდესაც უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში ინტეგრაციის გეგმების ხორცშესხმა ჩაიშალა, ბენელუქსის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ინიციატივით გამართულ 1955 წლის მესინას კონფერენციაზე განხილულ იქნა ევროპის შემდგომი ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობები. ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრის *პაულ-ჰენრი შპააკის* ინიციატივა (ე.წ. *შპააკის* 1956 წლის მოხსენება) ითვალისწინებდა მთლიან ეკონომიკურ ინტეგრაციას, მათ შორის, მაშინ მომავლის ტექნოლოგიად მიჩნეული ატომური ენერგიის სფეროს განსაკუთრებული რეგულირების ჩათვლით. ეს ინიციატივა 1957 წლის 25 მარტს ე.წ. „რომის ხელშეკრულებებით" იქნა რეალიზებული, რომლითაც ზემოდასახელებული

---

[1] ევროპული ინტეგრაციის განვითარებისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ იხ. *Streinz*, Europarecht, მე-8 გამოცემა, 2008, გვ. 5-33.

[2] შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, 1-ლი გამოცემა, 2006, გვ. 305.

[3] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, 1-ლი გამოცემა, გვ. 305.

[4] ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 50 წლით, რომელიც დამთავრდა 2002 წლის 23 ივლისს (იხ. ხელშეკრულების 97-ე მუხლი). შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, 1-ლი გამოცემა, გვ. 305.

[5] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, 1-ლი გამოცემა, 2006, გვ. 307.

„ექვსთა კავშირი“ შეთანხმდა „ევროპული ეკონომიკური გაერთიანებისა“ და „ევროპული ატომური კავშირის (ევრატომის)“ შექმნაზე.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, განსაკუთრებით *შარლ დე გოლის* დროს, საფრანგეთის მხრიდან, შეფერხდა ევროპის შემდგომი პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესი, რადგან ამ დროს ჩამოყალიბდა ევროპის სახელმწიფოთა თანაარსებობის შესახებ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი, რომლის მიხედვით, სუვერენულ სახელმწიფოთა თანამშრომლობა არ უნდა გადაზრდილიყო კონფედერაციულ პოლიტიკურ კავშირში. მხოლოდ *დე გოლის* მმართველობის დასრულების შემდეგ გახდა შესაძლებელი, რომ 1970 წელს „ევროპული ეკონომიკური გაერთიანების“ წევრ სახელმწიფოთა მთავრობის მეთაურების ჰააგის კონფერენციაზე დასახულიყო ევროპის კავშირის შექმნის მიზანი 80-იანი წლებისათვის. სამი წლით გვიან ე.წ. „ჩრდილოეთ გაფართოებით“ მოხდა დიდი ბრიტანეთის, დანიისა და ირლანდიის შეერთება, რითაც „ექვსწევრიანი ევროპა“ იქცა „ცხრაწევრიან ევროპად“. 80-იან წლებში კი, მოხდა ე.წ. „სამხრეთ გაფართოება“ 1981 წელს საბერძნეთის, ხოლო 1986 წელს ესპანეთისა და პორტუგალიის შეერთებით. სამი წლის შემდეგ, ევროპული გაერთიანების წევრი გახდა კიდევ სამი სახელმწიფო – ავსტრია, შვედეთი და ფინეთი, რითაც წევრთა მთლიანი რაოდენობა 15 გახდა. ნორვეგიაში კი, სახალხო რეფერენდუმით გადაწყდა გაერთიანების წევრობაზე უარი. 2004 წლის 1 მაისისათვის მოხდა ევროპის კავშირის დიდი გაფართოება, რამეთუ ერთბაშად ათი წევრი სახელმწიფო შეემატა ამ ერთიან ევროპულ გაერთიანებას, რითაც წევრთა საერთო რაოდენობა გახდა 25 (აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიიდან: ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთის რესპუბლიკა, სლოვენია, ხოლო ხმელთაშუა ზღვის სივრციდან: მალტა და კვიპროსი[1]). 2007 წლის 1 იანვრიდან ევროკავშირში გაერთიანდნენ ბულგარეთი და რუმინეთი და იგი დღეისათვის უკვე 27 სახელმწიფოს აერთიანებს[2].

1986 წელს წევრი სახელმწიფოები „ერთიან ევროპულ აქტში“ შეთანხმდნენ ევროპულ გაერთიანებათა რეფორმაზე, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ეხებოდა ევროპის კავშირის საბჭოს მიერ კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების პროცედურას (ევროგაერთიანების ხელშეკრულების 251-ე მუხლი) და ევროპარლამენტის პოზიციის გაძლიერებას ევროგაერთიანების ორგანოთა თანამშრომლობის პროცესში (ევროგაერთიანების ხელშეკრულების 252-ე მუხლი). თავდაპირველად დიდი ყურადღება ექცეოდა „შიდა ბაზრის“ განვითარების კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, „შიდა ბაზარი“ მოიცავს სივრცეს შიდა საზღვრების გარეშე, რომელშიც, ევროგაერთიანების ხელშეკრულების დებულებების შესაბამისად, უზრუნველყოფილია საქონლის, ადამიანების, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება (იმავე ხელშეკრულების მუხ. მე-14 აბზ. მე-2).

1992 წლის 7 თებერვლის მაასტრიხის ხელშეკრულებით, „ევროპული ეკონომიკური გაერთიანება“ გარდაიქმნა „ევროპულ გაერთიანებად“ (ევროგაერთიანების ხელშეკრულების 1-ლი მუხლი) და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შეიქმნა „ევროპის კავშირი“

---

[1] მას შემდეგ, რაც 2004 წლის 24 აპრილს სახალხო რეფერენდუმი კვიპროსის ორივე ნაწილის ისევ გაერთიანების შესახებ წარუმატებელი აღმოჩნდა, ევროპის კავშირის წევრობა ვრცელდება მხოლოდ კუნძულის ბერძნულ სამხრეთ ნაწილზე. საერთაშორისო დონეზე არ აღიარებული „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა“ ჯერჯერობით რჩება ევროკავშირის გარეთ. იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, 1-ლი გამოცემა, გვ. 307.

[2] შდრ. http://europa.eu.int. ამჟამად წევრობის კანდიდატი სახელმწიფოები არიან: ხორვატია, მაკედონია და თურქეთი, რომელთანაც გაწევრიანებაზე მოლაპარაკების დაწყების თაობაზე 2004 წლის დეკემბერში იქნა მიღებული გადაწყვეტილება. იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, 1-ლი გამოცემა, 2006, გვ. 308; მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 342.

(„ევროკავშირი“). იგი 2009 წლის 1 დეკემბრამდე არ წარმოადგენდა საერთაშორისო ორგანიზაციას საკუთარი სამართალსუბიექტურობით, არამედ – სახელმწიფოთა ერთობას. ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედებამდე, ევროკავშირი წარმოადგენდა მხოლოდ „სახურავს“, რომელიც ე.წ. „სამი სვეტის მოდელის“ მიხედვით, მთავარ, „პირველ სვეტად“ ევროპულ გაერთიანებებს („ევროპული გაერთიანება“, „ევროპული ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება“, „ევრატომი“), „მეორე სვეტად“ საგარეო და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობას, ხოლო „მესამე სვეტად“ სისხლის სამართლის საქმეებზე პოლიციურ და იუსტიციურ სფეროში თანამშრომლობას წარმოადგენდა.[1]

„სვეტებს“ შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობდა იმაში, რომ მხოლოდ ევროპული გაერთიანებები, პირველი სვეტის ფარგლებში, წარმოადგენდა ნამდვილ სუპრანაციონალურ ორგანიზაციებს და მათი საქმიანობის ფარგლებში მიღებული ნორმები და განხორციელებული აქტიურობები იყო ნამდვილი სუპრანაციონალური ხასიათის მატარებელი. მათ წევრი სახელმწიფოებისაგან, საკუთარი ნაციონალური სუვერენიტეტის შეზღუდვის ხარჯზე, მინიჭებული ჰქონდათ უფლებამოსილებები, წევრი სახელმწიფოებისა და მისი მოქალაქეების მიმართ განეხორციელებინათ გარკვეული კომპეტენციები. მეორე და მესამე სვეტების ფარგლებში კი, ხორციელდებოდა მთავრობათაშორისი თანამშრომლობა და ამ სფეროებში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება მთლიანად წევრ სახელმწიფოებზე იყო დამოკიდებული.

გაერთიანების პირველად („პრიმერულ“) სამართალს, რომელიც მოცემული იყო ევროგაერთიანების ხელშეკრულებაში, როგორც წესი, უპირატესობა ჰქონდა კავშირის სამართალთან მიმართებაში, რომელიც მოცემული იყო ევროკავშირის ხელშეკრულებაში (ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 47-ე მუხლი)[2].

ამსტერდამის 1997 წლის 2 ოქტომბრის ხელშეკრულებით მოხდა მაასტრიხტის ხელშეკრულების რევიზია, რომლითაც კიდევ უფრო გაღრმავდა ევროპის ინტეგრაციის პროცესი. ამ აქტით მოხდა ევროპარლამენტის როლის გაძლიერება ევროპული ორგანოების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში მისი თანამონაწილეობის გაზრდის გზით, ასევე მოხდა იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სფეროში ადრე (სამთავრობოთაშორისი) თანამშრომლობის სფეროს მიკუთვნებული (სისხლი სამართლის საქმეებზე) არა პოლიციურ-იუსტიციური თანამშრომლობის ელემენტების მესამიდან პირველ სვეტში და ამით ევროგაერთიანების კომპეტენციაში გადატანა. ე.წ. შენგენის შეთანხმება და მის საფუძველზე გამოცემული რეგულაციები ამსტერდამის ხელშეკრულების სპეციალური ოქმით გადავიდა ევროპული გაერთიანების კომპეტენციაში. სისხლის სამართლის საქმეებზე პოლიციურ-იუსტიციურმა თანამშრომლობამ კი, მაგალითად, ევროპოლის ფარგლებში, თავისი ხასიათი, როგორც ინტერსამთავრობო კოოპერაციამ, შეინარჩუნა. ლუქსემბურგის ევროპული სასამართლოს უფლებამოსილება გაფართოვდა და მეორე და მესამე სვეტის ფარგლებზეც გავრცელდა (ევროკავშირის მაშინ მოქმედი ხელშეკრულების 46-ე მუხლი).

ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპასა და ხმელთაშუა ზღვის სივრცეში გაფართოების მოლოდინში, 2001 წლის თებერვალში, მოხდა ნიცის ხელშეკრულების დადება. გაფართოებული კავშირის ქმედუნარიანობის უზრუნველსაყოფად, განხორციელდა საბჭოში (2004 წლის 1 ნოემბრიდან) ხმათა რაოდენობის ახლებური რეგულირება და კვალიფიციური უმრა-

---

[1] ევროკავშირის „ტაძრის არქიტექტურასთან“ („*Tempelarchitektur*“) შედარების შესახებ, სხვადასხვა ავტორებს შორის, იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 166, რომელიც უთითებს, ასევე წიგნზე: *Kühne:* Strafprozessrecht, მე-7 გამოცემა, 2006, Rn. 48.1.

[2] ამის შესახებ იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, 1-ლი გამოცემა, 2006, გვ. 309, ასევე: *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 166, გვ. 201.

ვლესობით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობების მნიშვნელოვნად გაზრდა, ამასთან, ოთხი დიდი წევრი სახელმწიფოს (გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და იტალია) ხმათა პარიტეტის შენარჩუნებით. ამასთან, ნაციონალური პროკურატურების ევროპული საკოორდინაციო ცენტრის („ევროიუსტი") შესაქმნელად, ადგილმდებარეობით ბრიუსელში, ევროკავშირის ხელშეკრულებაში (31-ე მუხლის მე-2 აბზაცი) ჩამოყალიბდა სამართლებრივი საფუძველი.

2003 წლის 18 ივლისს ევროპულმა კონვენტმა, საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის *ვალერი ჟისკარდ დ'ესტენის* თავმჯდომარეობით, წარმოადგინა ევროპის კონსტიტუციის შესახებ ხელშეკრულების პროექტი. ევროპული ინტეგრაციის პროცესის ამ გზით წარმართვა ევროპაში წარუმატებელი აღმოჩნდა. 2005 წლის ზაფხულში, საფრანგეთსა და ნიდერლანდებში სახალხო რეფერენდუმის ნეგატიური შედეგების გამო, ამავე წლის 16-17 ივნისს ბრიუსელში გამართულ სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრაზე მოხდა რატიფიკაციის პროცესის გადაწევა. 2007 წლის 21-22 ივნისს ბრიუსელში გამართულ შეკრებაზე ევროპის კავშირის წევრები შეთანხმდნენ იმაზე, რომ განეხორციელებინათ ჩვეულებრივი სახელშეკრულებო რეფორმა და „ყოველგვარ კონსტიტუციურ სიმბოლიკაზე და რიტორიკაზე" უარი ეთქვათ.[1] სარეფორმო ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 2007 წლის 13 დეკემბერს, ლისაბონში („ლისაბონის ხელშეკრულება"). იგი საჭიროებდა წევრი სახელმწიფოების მიერ თავიანთი კონსტიტუციებით გათვალისწინებული წესით რატიფიკაციას. ხელშეკრულება ძალაში შევიდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ყველა 27 სახელმწიფომ მოახდინა მისი რატიფიკაცია. გათვალისწინებული იყო რატიფიკაციათა პროცესის დასრულება 2008 წლის ბოლომდე, რათა იგი ძალაში შესულიყო 2009 წლის 1 იანვრიდან. მას შემდეგ, რაც 2008 წლის 12 ივნისს ირლანდიაში ჩატარებული პირველი რეფერენდუმი წარუმატებელი აღმოჩნდა[2], ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დრომ გარკვეული ვადით გადაიწია. 26 სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოებმა მოახდინეს ხელშეკრულების რატიფიკაცია, მაგრამ პროცედურა გერმანიაში, პოლონეთსა და ჩეხეთში გაჭიანურდა[3]. 2009 წლის ოქტომბერში ირლანდიაში ჩატარებული წარმატებული განმეორებითი რეფერენდუმის შემდეგ, ლისაბონის ხელშეკრულება ძალაში შევიდა ბოლო სარატიფიკაციო სიგელის წარდგენის მომდევნო თვის პირველ რიცხვში, 2009 წლის 1 დეკემბერს (ხელშეკრულების 54-ე მუხლის მე-2 აბზაცი).

ამით, დიდი პათოსით მიმდინარე ევროპის კონსტიტუციის მოლოდინი ისტორიას ჩაბარდა, ევროპა სიმბოლოებიდან კვლავ რეალურ ვითარებას დაუბრუნდა და ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლით დაგვირგვინდა, რომელშიც გადავიდა ევროპის კონსტიტუციის პროექტის ტექსტში მოცემული ძირითადი იდეები. ევროკონსტიტუციის მოწინააღმდეგების მხრიდან არაერთხელ გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ევროპას არ უნდა ჰქონდეს კონსტიტუცია, რადგან რეალური პოლიტიკა ჯერ კიდევ არ არის ამისათვის მომწიფებული და ევროკავშირი სახელმწიფო არ არის.[4]

---

[1] შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 343.

[2] ირლანდია იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ამ საკითხზე ჩაატარა სახალხო რეფერენდუმი. ევროპის კავშირის სხვა 26 ქვეყანაში ჩატარდა რატიფიკაციის საპარლამენტო პროცედურები. პირველ რეფერენდუმზე ირლანდიაში ამომრჩეველთა 53,4%-მა უარი თქვა რატიფიკაციაზე, მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა ამომრჩეველთა 53,1%-ს. მეორე რეფერენდუმი კი, 2009 წლის შემოდგომაზე, ლისაბონის ხელშეკრულებისათვის წარმატებული აღმოჩნდა.

[3] ასე, მაგალითად, გერმანიაში ლისაბონის ხელშეკრულების კონსტიტუციურობა გახდა ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯის საგანი, რომელმაც ამ საკითხზე 2009 წლის 30 ივნისს მიიღო გადაწყვეტილება და დაადასტურა მისი გერმანიის ძირითად კანონთან შესაბამისობა.

[4] შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 343.

კონსტიტუციის ხელშეკრულების პროექტი ითვალისწინებდა ევროკავშირის მანამდე არსებული „სამი სვეტის“ სტრუქტურის შეცვლას. მესამე ნაწილის მე-4 თავი შეეხებოდა ე.წ. „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცეს“ (მუხ. III-257-ე აბზ. 1-ლი).[1] ამისათვის მას უნდა გამოეყენებინა სამი სხვადასხვა ინსტრუმენტი (მუხ. I-42-ე აბზ. 1-ლი): ცალკეულ სახელმწიფოთა სამართლებრივი ნორმების დაახლოება ჰარმონიზაციის გზით; ურთიერთნდობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა სასამართლო და არასასამართლო გადაწყვეტილებების ურთიერთაღიარების საფუძველზე; უსაფრთხოების სამსახურების ოპერაციული თანამშრომლობა.[2]

III-270-ე და შემდგომი მუხლები ეხებოდა სისხლის სამართლის საქმეებზე იუსტიციურ თანამშრომლობას. გათვალისწინებული იყო ე.წ. „ევროპული ჩარჩო კანონების“ მიღება, რომლებშიც მოცემული იქნებოდა „მინიმალური დებულებები“ სისხლის სამართლის პროცესში ძირითად უფლებათა დაცვის შესახებ, ასევე განსაკუთრებით მძიმე და ტრანსნაციონალური დანაშაულებისა და სასჯელების თაობაზე.

ლისაბონის ხელშეკრულება ბევრი თვალსაზრისით ევროპის კონსტიტუციის ხელშეკრულების პროექტის ტექსტს ეყრდნობა, თუმცა მან მიიღო ხელშეკრულების რეფორმის ფორმა. სისხლის სამართლის სფეროში პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობა რეგლამენტირებულია შემდეგ სამართლებრივ აქტში: „ხელშეკრულება ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ (AEUV)[3], რომელშიც მოცემულია ევროკავშირის კომპეტენციათა სფეროები და მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების ცალკეული საკითხები.

ეს ხელშეკრულება და ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ (EUV[4]) ერთობლიობაში წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომელთაც დაეფუძნა ევროკავშირი. ორივე ეს ხელშეკრულება სამართლებრივად თანაბარმნიშვნელოვანია.

---

[1] ევროპის კონსტიტუციის სისხლისსამართლებრივ ნაწილზე, სხვა ავტორებს შორის, იხ. *Weigend*, ZStW 116 (2004), გვ. 275.

[2] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 343.

[3] Vertrag über die Arbeitsweise der Europäischen Union.

[4] Vertrag über die Europäische Union

§2. ევროპული სისხლის სამართალი საერთო ევროპული ინტეგრაციის პროცესში

ევროპული სისხლის სამართლის ჩამოყალიბება და განვითარება დაკავშირებულია ევროპის ინტეგრაციის პროცესთან და, უპირველეს ყოვლისა, ე.წ. „მესამე სვეტის" არსებობასთან, რომელიც შეიქმნა ევროკავშირის ერთიან სტრუქტურაში და აღიჭურვა იმ მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტრუმენტებით, რომლებსაც ჯერ კიდევ 1999 წლის მაისში ძალაში შესული ამსტერდამის ხელშეკრულება ითვალისწინებდა. მანამდე არსებული სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, ევროპის კავშირი ამ სფეროში არ ფლობდა საკმარისად ეფექტურ სამართლებრივ ინსტრუმენტებს. მაასტრიხტის ხელშეკრულებით დაფუძნებული ევროპის კავშირის სამართლებრივი ბუნების გარკვევა გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე მას ჰქონდა ე.წ. „სამბოძიანი" ანუ „სამსვეტიანი" კონსტრუქცია.

2009 წლის 1 დეკემბერს ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედებამდე არსებული „სვეტების სტრუქტურა" მოიცავდა ევროკავშირის სამ სამართლებრივად განსხვავებულ სფეროს: „პირველი სვეტი" გულისხმობდა ევროპულ სუპრანაციონალურ სამართალს, რომელიც წარმოადგენდა ევროპული გაერთიანების სამართალს; „მეორე სვეტი" – მთავრობათაშორის თანამშრომლობას ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო სამართლის წესებით; „მესამე სვეტი" კი, – საპოლიციო და იუსტიციურ თანამშრომლობას სისხლის სამართლის სფეროში, ასევე, მატერიალური სისხლის სამართლის სფეროში ჰარმონიზაციას.

მაშასადამე, წარმოდგენილი კონსტრუქციის მიხედვით, ევროპის კავშირი არ წარმოადგენდა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც ექნებოდა სამართალსუბიექტობა. იგი წარმოადგენდა სახელმწიფოთა კავშირს, რომელიც თავის თავში აერთიანებდა შემდეგ სამ სვეტს – ბოძს, რომელსაც ევროკავშირი, როგორც „სახურავი" ეყრდნობოდა:

- ევროპული გაერთიანებები;
- ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა;
- თანამშრომლობა პოლიციურ და იუსტიციურ სფეროებში სისხლის სამართლის საქმეებზე.

ლიტერატურაში ხშირად ტერმინებს „ევროპული გაერთიანებები" ან „ევროპული გაერთიანება", ასევე, ტერმინს „ევროპის კავშირი". ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედებით, გამოიყენება ერთი ერთიანი ტერმინი „ევროპის კავშირი" (EU), რომელიც აღიჭურვა სამართალსუბიექტურობით. „სამი სვეტის" თუ „სამი ბოძის" სისტემა კი, ისტორიას ჩაბარდა. ამის მიზეზი კი, ის გახლავთ, რომ ევროკავშირის პირველი სვეტის ფარგლებში არსებული ევროპული ორგანოები (ევროკომისია; ევროკავშირის საბჭო; ევროპარლამენტი) ევროკავშირის განუყოფელი ნაწილებია, მაგრამ არა მისი „წევრები" ფორმალური გაგებით. ევროკავშირი ხასიათდება, როგორც „სუპრანაციონალური და მთავრობათაშორისი ელემენტებით აღჭურვილ სახელმწიფოთა კავშირი".

მესამე სფეროს ფარგლებში არსებობული ევროპოლი და ევროიუსტი სვეტების სისტემის შეცვლის შემდეგაც აგრძელებს ფუნქციონირებას. ევროპოლი არ არის აღჭურვილი ოპერატიული ფუნქციებით, არამედ ეს არის ორგანო, რომელიც ფლობს საინფორმაციო ბაზას და ახდენს მათ გადაცემას, გაცვლას და თანამშრომლობს ევროპის კავშირის სახელმწიფოების ნაციონალურ პოლიციის ორგანოებთან. მსგავსი უფლებამოსილება გააჩნია ევროიუსტს

იუსტიციის სფეროში. ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 86-ე მუხლი კი, უფრო შორს მიდის და ევროიუსტის ბაზაზე ითვალისწინებს ევროპული პროკურატურის შექმნას.

ევროპული პრიმერული სამართლის არაერთ დებულებას, რომელიც მოცემული იყო ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულებებში და ამჟამად გათვალისწინებულია ევროპის კავშირის სახელშეკრულებო ნორმებში, აქვს მოქმედების ძალა ყველა სვეტთან მიმართებაში (მაგალითად, ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მე-5 მუხლი, ისევე, როგორც ევროპის კავშირის ლისაბონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი, შეზღუდული ცალკეული უფლებამოსილებების, სუბსიდიარულობისა და თანაზომიერების პრინციპების შესახებ). პროცესის წარმოების სამართლებრივი რეგულირება, სამართლებრივი ინსტრუმენტები და ლუქსემბურგის ევროპული სასამართლოს კონტროლი კი, ამ სვეტებთან მიმართებაში იყო და არის განსხვავებული. სისხლის სამართლისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე „მესამე სვეტის" თავისებურებანი აისახა ევროპის კავშირის ნიცას ხელშეკრულების მე-6 სათაურში (29-ე-42-ე მუხლები). მართალია, ევროპის კავშირისა და ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის მოქმედი პრიმერული სახელშეკრულებო ნორმები არ ეფუძნება ე.წ. „სამი სვეტის" თეორიას, რადგან მესამე სვეტი შეუერთდა პირველს, მაგრამ ამით შინაარსობრივად ბევრი რამ არ შეცვლილა, ხოლო სპეციალური ნორმები იუსტიციური და პოლიციური თანამშრომლობის შესახებ აისახა ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების მე-5 და მე-6 თავებში (იხ. 82-ე-89-ე მუხლები).

ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე, რომელიც 1999 წლის მაისში განხორციელდა, ამ სფეროში არსებული არასაკმარისი სამართლებრივი რეგულირებების გამო, ევროკავშირის ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა გარკვეული ცვლილებები. იგი გამოწვეული იყო იმ პროცესებით, რომლებიც, ზოგადად, განხორციელდა ევროპის კავშირის ფარგლებში. კერძოდ, შეიცვალა შიდა ბაზარი, შეიქმნა სავალუტო კავშირი, მოისპო შიდა სასაზღვრო კონტროლი. იუსტიციური და პოლიციური თანამშრომლობა თავდაპირველად ხორციელდებოდა ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის დადებული საერთაშორისო შეთანხმებებით. ბევრი ასეთი ხელშეკრულება იქნა ხელმოწერილი ევროკავშირის ქვეყნების მიერ, მაგრამ მათი სავალდებულო რატიფიკაცია საკმაოდ დიდხანს იჭიმებოდა დროში, რის გამოც, მათი ძალაში შესვლა გვიანდებოდა. ასე, მაგალითად, ევროკავშირის 1995 წლის შეთანხმება ევროგაერთიანების ბიუჯეტის თაღლითობისგან დაცვის შესახებ[1], ძალაში შევიდა მხოლოდ 2002 წლის ოქტომბერში. აღსანიშნავია, რომ მაასტრიხტის ხელშეკრულებიდან (1992) დაწყებული, არსებობდა ისეთი სამართლებრივი აქტის მიღების შესაძლებლობა, როგორიცაა „ერთობლივი ღონისძიება" (Gemeinsame Maßnahme), რომლის სამართლებრივად სავალდებულო ძალა შემდგომში საკამათო გახდა.[2] იგი ამსტერდამის ხელშეკრულებით „ჩარჩოგადაწყვეტილებით" (Rahmenbeschluss) შეიცვალა, მაგრამ იურიდიულ ძალას ინარჩუნებს მანამ, სანამ მისი შეცვლა არ მოხდება ახალი აქტებით.

პირველი მჭიდრო ეფექტური სისხლისსამართლებრივი თანამშრომლობა ევროპის კავშირის სივრცეში განხორციელდა „შენგენის შეთანხმების" ფარგლებში, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ სახელმწიფოების მცირე ჯგუფს მოიცავდა, ხოლო შემდგომში მოხდა მისი გაფართოება სხვა სახელმწიფოების შემოერთებით. მოგვიანებით ამსტერდამის ხელშეკრულების ოქმზე ხელმოწერით მოხდა ე.წ. „შენგენის მფლობელობის" (Schengen-Besitzstand) ჩამოყალიბება, რომელიც ინტეგრირებულ იქნა ევროპის კავშირის სამართლებრივ სისტემაში.

---

[1] EU-Übereinkommen zum Schutz des EG-Haushalts vor Betrug.

[2] შეად. *Wasmeier/Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 11.

ამსტერდამის ხელშეკრულებამდე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი ურთიერთობები შეზღუდული იყო და შემოიფარგლებოდა მხოლოდ საერთაშორისო სამართლებრივი დახმარებითა და ექსტრადიციით, რაც ხორციელდებოდა ბილატერალური და მულტილატერალური ხელშეკრულებების საფუძველზე. ასეთი უმნიშვნელოვანესი მრავალმხრივი ხელშეკრულებები ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 50-იან წლებში. ევროპის საბჭოს ექსტრადიციის შესახებ კონვენცია[1] თარიღდება 1957 წლის 13 დეკემბრით, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებში სამართლებრივი დახმარების კონვენცია[2] – 1959 წლის 20 აპრილით. წიგნში არ არის განხილული სისხლის სამართლის საკითხები ევროპის საბჭოს ფარგლებში, არამედ იგი მთლიანად ეძღვნება ევროპის კავშირის სამართლებრივ სივრცეს. ტექსტში არაერთგზის გამოყენებული ტერმინი: „საბჭო" არ გულისხმობს ევროპის საბჭოს, რომლის 47-დან ერთ-ერთი წევრი 1999 წლის 27 აპრილიდან საქართველოც არის, არამედ ევროპულ საბჭოს, რომელიც 27 წევრი სახელმწიფოსაგან შემდგარი ევროპის კავშირის ერთ-ერთი სუპრანაციონალური ორგანოა, რომელმაც ბოლო წლებში ბევრი რამ გააკეთა სისხლის სამართლის ევროპეიზაციის თვალსაზრისით, კერძოდ, მიიღო არაერთი სისხლისსამართლებრივი ხასიათის ჩარჩო-გადაწყვეტილება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სწორედ უკანასკნელი წლების მანძილზე, ამ საუკუნეში, მოხდა ევროპული სისხლის სამართლის განვითარება, რომელიც მანამდე წმინდა ნაციონალურ სფეროდ ითვლებოდა, რითაც პრაქტიკულად მის წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალ ფორმას ჩაეყარა საფუძველი. ამ პროცესში ევროკავშირის სახელმწიფოებს შორის დაიწყო ერთიანი სისხლისსამართლებრივი რეგულირების გამოყენების ახალი ეტაპი. მიუხედავად ამისა, სუვერენიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, სისხლის სამართალი დღემდე უმეტესწილად მაინც ითვლება ნაციონალურ სფეროდ, რის გამოც, კავშირის წევრ სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა, ევროკავშირის სისხლის სამართლის პოლიტიკის თავიანთ სამართალში იმპლემენტაციის დროს იმოქმედონ თავიანთი ნაციონალური ინტერესების გათვალისწინებით და, ამით, ერთიან ევროპულ ოჯახში სისხლის სამართლის გარკვეული სფეროების ჰარმონიზაციის მიუხედავად, გაითვალისწინონ თავიანთი სამართლებრივი თავისებურებები. სწორედ ამიტომ, ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 82-ე მუხლის მე-2 აბზაცი ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის გასატარებლად მინიმალური დებულებების დადგენის დროს ყურადღებას ამახვილებს წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემებისა და ტრადიციების თავისებურებების გათვალისწინებაზე, ისევე, როგორც 83-ე მუხლის მე-3 აბზაცი მიუთითებს ჰარმონიზაციის პროცესში წევრი სახელმწიფოების ნაციონალური სისხლისსამართლებრივი სისტემების ფუძემდებლური ასპექტების პატივისცემაზე.

სისხლისსამართლებრივი ინტეგრაციის პროცესის გაუმჯობესებისა და ევროპის კავშირის თეითმყოფადი სისხლის სამართლის ჩამოყალიბების მიზნით, 1999 წლის მაისს ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დროიდან კავშირს გააჩნია მნიშვნელოვანი საკუთარი სამართლებრივი ინსტრუმენტები, რომლის სამართლებრივი მოქმედება და წარმოშობის წესი მნიშვნელოვნად განსხვავდება საერთაშორისო სამართლის ტრადიციული ინსტრუმენტებისგან. მაშინ, როდესაც საერთაშორისო სამართლის ხელშეკრულებები მხოლოდ მათი რატიფიკაციის ან მათთან შეერთების შედეგად ხდება სამართლებრივად სავალდებულო, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოებში ნაციონალური სამართლით გათვალისწინებული განსხვავებული პროცე-

---

[1] Europäisches Auslieferungsübereinkommen. იხ. *Schomburg/Lagodny/Gleß/Hackner:* Internationale Rechtshilfe in Strafsachen, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 433.

[2] Europäisches Übereinkommen über die Rechtshilfe in Strafsachen. იხ. იქვე, გვ. 521.

დურებით მიმდინარეობს, ამსტერდამის ხელშეკრულების ამოქმედების დროიდან არსებული კავშირის ისეთი ახალი ინსტრუმენტი, როგორიცაა, მაგალითად, ევროპის კავშირის საბჭოს ჩარჩო-გადაწყვეტილება, არ საჭიროებს სახელმწიფოების მხრიდან რატიფიკაციის რაიმე დამატებით პროცედურებს. ეს კი, იმას ნიშნავს, რომ ჩარჩო-გადაწყვეტილება საბჭოს მიერ განსაზღვრულ დროს ან გამოცემისთანავე შედის ძალაში. სწორედ ამ სიახლის დამსახურებად მიიჩნევა უკანასკნელი წლების განმავლობაში მიღწეული მნიშვნელოვანი წინსვლა ევროპის კავშირის ერთიანი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბების სფეროში.[1]

არსებობს ევროპის კავშირის „მესამე სვეტის" ფარგლებში მიღებული არაერთი ჩარჩო-გადაწყვეტილება, რომელიც წარმოადგენს წევრ სახელმწიფოთა იუსტიციური და პოლიციური თანამშრომლობის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენს (ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 34-ე მუხლის მე-2 b აბზაცი). მას გარკვეულწინად დირექტივის (Richtlinie) ანალოგიურ სამართლებრივ აქტად მიიჩნევდნენ (ევროპული გაერთიანების შესახებ ნიცას ხელშეკრულების 249-ე მუხლის მე-3 აბზაცი).[2] კერძოდ, როგორც დირექტივა, ისე ჩარჩო-გადაწყვეტილება, მიმართულია ნაციონალური სამართლებრივი დებულებების დაახლოვებისაკენ. მათი მოქმედების სამართლებრივი შედეგებიც მსგავსია, როგორც ეს ლუქსემბურგის ევროპულმა სასამართლომ (Europäischer Gerichtshof) თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა. ამ მხრივ, აღსანიშნავია 2005 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება *პუპინოს* საქმეზე.[3] თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის, გარდა მსგავსებისა, არსებობს, ასევე განსხვავდება. ჩარჩო-გადაწყვეტილებას არა აქვს უშუალო გამოყენება კავშირის მოქალაქეების მიმართ. ეს იმას ნიშნავს, რომ ცალკეულ ადამიანებს არ შეუძლიათ, წევრი სახელმწიფოების უწყებებისა და სასამართლოების წინაშე დააყენონ საკითხი ჩარჩო-გადაწყვეტილებაზე პირდაპირი მითითებით, არამედ მხოლოდ ამ ევროპული აქტის ნაციონალური იმპლემენტაციის შესახებ კანონზე დაყრდნობით. ჩარჩო-გადაწყვეტილებით მოწესრიგებული საკითხის კავშირის მასშტაბით ერთიანი დარეგულირება მხოლოდ მას შემდეგ შედის სრული მოცულობით ძალაში, როცა ყველა წევრი სახელმწიფო უზრუნველყოფს მის ნაციონალურ სამართალში იმპლემენტაციას. რაც შეეხება ევროპული აქტების უშუალოდ მოქმედებას, ასეთად აქამდე მხოლოდ ევროპული გაერთიანების „სუპრანაციონალურ" სამართლებრივ ნორმებს მიიჩნევდნენ. ასეთს წარმოადგენდა, განსაკუთრებით, რეგულაციები (Verordnungen), რომლებიც ყოველგვარი დამატებითი იმპლემენტაციის პროცედურების გარეშე წევრ სახელმწიფოებში პირდაპირ გამოიყენებოდა (ევროპული გაერთიანების შესახებ ნიცას ხელშეკრულების 249-ე მუხლის მე-2 აბზაცი). ევროპული დირექტივების (Richtlinien) უშუალო გამოყენება კი, ლუქსემბურგის ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, გარკვეული პირობების დაცვით, მხოლოდ ნაციონალურ სამართალში მისი იმპლემენტაციის ვადების გასვლის შემდეგ იყო შესაძლებელი. თუმცა, ევროპული დირექტივების უშუალო გამოყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ პიროვნების სასარგებლოდ და არ იყო შესაძლებელი მისთვის სასჯელის დამძიმება ან მის საზიანოდ პასუხისმგებლობის უკუძალით დასაბუთება.[4] გარდა ამისა, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჩარჩო-გადაწყვეტილების მიზნები, ასევე, ზეგავლენას ახდენენ ნაციონალური სამართლის ინტერპრეტაციაზე. ნაციონალურ სამართალში განვითარებული *ევროპის სამართლის შესაბამისად განმარტების* მეთოდი, ასევე, გამოიყენება ჩარჩო-გადაწყვეტილებების მიმართაც.[5] ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების

---

1 იხ. *Wasmeier/Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 13.

2 იხ. *Wasmeier/ Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 13.

3 საქმე C-105/03 *(Pupino).*

4 საქმე C-387/02, C-391/02, C-401/02 *(Berlusconi).*

5 იხ. *Wasmeier, Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 13-14.

34-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, ჩარჩო-გადაწყვეტილებები და გადაწყვეტილებები მოითხოვდნენ საბჭოს მიერ გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას, მაშინ, როდესაც გაერთიანების სამართალში მთელი რიგი სამართლებრივი აქტების მიღებისათვის საკმარისია საბჭოში ხმების კვალიფიციური უმრავლესობა. „მესამე სვეტთან" შემხებლობაში მყოფი აქტების მიღების დროს ხდებოდა ევროპული პარლამენტის მოსმენა, ხოლო საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, კომისიასთან ერთად, ჰქონდა ცალკეულ წევრ სახელმწიფოებსაც. ამისგან განსხვავებით, გაერთიანების სამართალში, პოლიტიკის უმეტეს სფეროებში, ევროპულ პარლამენტსა და კომისიას ჰქონდა სამართლის ქმნის შედეგზე გადამწყვეტი ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა (იხ. ევროპული გაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 250-ე-252 მუხლები). ამის პარალელურად, გაერთიანების სამართალში, პირველი სვეტის ფარგლებში, ევროკომისიას გააჩნდა „ინიციატივის მონოპოლია". პირველი სვეტის ფარგლებში მხოლოდ ზოგიერთ სფეროში (მაგალითად, ევროპული გაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 61-ე და მომდევნო მუხლებიდან გამომდინარე, თავშესაფრის უფლება და მიგრაციის საკითხები) შეეძლოთ წევრ სახელმწიფოებს ინიციატივის გამოჩენა.

„მესამე სვეტის" ფარგლებში ევროკავშირს ჰქონდა შესაძლებლობა, ამ ახალი ინსტრუმენტის გვერდით (საუბარია გადაწყვეტილებებსა და ჩარჩო-გადაწყვეტილებებზე), ასევე მიეცა რეკომენდაციები (Empfehlungen) წევრი სახელმწიფოებისთვის, რომ მოეხდინათ საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიკაცი (ან მათთან შეერთება). ამსტერდამის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ, აღნიშნული შეიძლება დაჩქარებული პროცედურითაც განხორციელდეს, რადგან დადგინდა წესი, რომლის თანახმად, შეთანხმების ასამოქმედებლად აუცილებელი არაა საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციის განხორციელება ყველა წევრი სახელმწიფოს მხრიდან, არამედ საკმარისი გახდა თუნდაც წევრთა ნახევარი, რომ იგი ამ სახელმწიფოებისთვის ძალაში შევიდეს. ამან კი, ყოველთვის შეიძლება, თუნდაც დროებით, გამოიწვიოს კავშირის ფარგლებში არაერთგვაროვანი სამართლებრივი მდგომარეობა. სწორედ ამიტომ და რატიფიკაციის პროცესის შესაძლო გაჭიანურების გამო, მრავალმხრივი შეთანხმების სამართლებრივი ინსტრუმენტი ევროკავშირის ფარგლებში მხოლოდ იშვიათად გამოიყენება.[1] ევროკავშირს აქვს, ასევე, მის არაწევრ სახელმწიფოებთან შეთანხმებების (Übereinkünfte) გაფორმებების შესაძლებლობა, რასაც ითვალისწინებდა, ასევე, ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულება (38-ე და 24-ე მუხლები).

ევროკავშირის ფარგლებში განსხვავებული სამართლებრივი მდგომარეობა შეიძლება წარმოიშვას ე.წ. „შენგენის მფლობელობიდან" (*Schengen*-Besitzstand) გამომდინარე. იგი წარმოადგენს სამართლებრივი აქტების ერთობლიობას, როგორიცაა, 1985 წლის 14 ივნისის შენგენის შეთანხმება, 1990 წლის 19 ივნისის შენგენის შეთანხმების განხორციელების შეთანხმება და ამ საფუძველზე მიღებული სამართლებრივი აქტები. მართალია, ეს სამართლებრივი აქტები ამსტერდამის ხელშეკრულების ოქმით ევროკავშირის სამართლებრივ სივრცეში იქნა ჩართული, მაგრამ დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიისათვის ისინი სრული მოცულობით არ მოქმედებენ. სისხლის სამართლის სფეროში ეს განსხვავება ნაკლებად მნიშვნელოვანია, რამეთუ დიდმა ბრიტანეთმა და ირლანდიამ მოახდინა შენგენის ყველა მნიშვნელოვან სისხლისსამართლებრივ ღონისძიებასთან შეერთება.

ევროპის კავშირის ნიცას ხელშეკრულების 35-ე მუხლის მე-2 აბზაცი ითვალისწინებდა ნორმას ლუქსენბურგის ევროპული სასამართლოს მიერ ე.წ. წინასწარი გადაწყვეტილების მიღების პროცედურის (Vorabentscheidungsverfahren) თაობაზე. „პირველი სვეტის" ფარგლებში მოქმედ ევროპული გაერთიანების სამართლისგან განსხვავებით, „მესამე სვეტთან"

---

[1] იხ. *Wasmeier/Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 14.

მიმართებაში ევროპული სასამართლოს კონტროლი ერთგვარად შეზღუდული იყო[1]. მაშინ, როდესაც ქვედა ინსტანციის ნაციონალურ სასამართლოს შეეძლო, ხოლო ბოლო დონის სასამართლო ვალდებულიც კი იყო, შეკითხვით მიემართა ევროპული სასამართლოსთვის გაერთიანების სამართლის სამართლებრივი ნორმების იურიდიული ძალის და/ან მისი ინტერპრეტაციის თაობაზე, ევროპული სასამართლოს კომპეტენცია ამ წინასწარი გადაწყვეტილების მიღების პროცედურის თაობაზე ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ არ ყოფილა აღიარებული. ეს გამოწვეული იყო იმითაც, რომ ამისთვის აუცილებელი იყო წევრი სახელმწიფოს მიერ ნათლად გამოხატული ნების დეკლარირება. მიუხედავად ამისა, ევროპული სასამართლოს პრაქტიკა „მესამე სვეტის" ფარგლებში მიღებული სამართლებრივი აქტების ბუნების განსაზღვრისა და მათი ინტერპრეტაციისთვის გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენს.

„პირველი სვეტის" ფარგლებში მოქმედი გაერთიანების სამართლისგან მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ „მესამე სვეტს" არავითარი ეფექტური პროცესის წარმოება არ შეეძლო იმასთან დაკავშირებით, რომ შეემოწმებინა ჩარჩო-გადაწყვეტილებებისა და გადაწყვეტილებების ეფექტური იმპლემენტაციის ხარისხი და მათი ერთგვაროვანი გამოყენება. ეს იმ შემთხვევაში, როცა ამის საწინააღმდეგოდ ევროპული გაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 226-ე და მომდევნო მუხლები ითვალისწინებდნენ გაერთიანების სამართლებრივი ხელშეკრულების დარღვევისათვის პროცედურას. ამ ნორმის მიხედვით, ევროკომისიას შეეძლო, იმ წევრ-სახელმწიფოსთვის, რომელიც თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს, მათ შორის, ევროგაერთიანების დირექტივების (EG-Richtlinien) განხორციელებასთან დაკავშირებით, არ შეასრულებდა, ეჩივლა ევროპულ სასამართლოში. თუ ლუქსემბურგის სასამართლო დაადგენდა ხელშეკრულების დარღვევას და ის წევრი სახელმწიფო, რომელსაც ეს ეხებოდა, ამის შემდეგაც გამოიჩენდა უმოქმედობას, ამ ფაქტს შეეძლო, გამოეწვია ფინანსური სანქციების გამოყენება (ევროპული გაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 228-ე მუხლი).

წევრ სახელმწიფოში ჩარჩო-გადაწყვეტილებებისა და გადაწყვეტილებების მხოლოდ არასწორი ინტერპრეტაცია ან იმპლემენტაციის პროცესში უმოქმედობა შეიძლებოდა გამხდარიყო სხვა წევრი სახელმწიფოს მხრიდან ევროპული სასამართლოსთვის საჩივრით მიმართვის საფუძველი (ევროპის კავშირის ნიცას ხელშეკრულების 35-ე მუხლის მე-7 აბზაცი). „პირველი სვეტის" ევროპული გაერთიანების სამართლისგან განსხვავებით, სადაც ხელშეკრულების დარღვევის პროცესი, ჩვეულებრივად, ევროკომისიის ინიციატივით წარმართებოდა, არ არსებობდა კავშირის დონეზე რომელიმე ორგანოს მიერ „მესამე სვეტთან" მიმართებაში საჩივრის შეტანის უფლება.

მაშინ, როდესაც ევროპული სისხლის სამართლის არსებობა „მესამე სვეტის" ფარგლებში დავას არ იწვევდა, ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედებამდე სადავო იყო ორიგინალური სუპრანაციონალური სისხლის სამართლის ნორმების მიღების უფლებამოსილება „პირველი სვეტის" ფარგლებში, ე.ი. ევროპული გაერთიანების სუპრანაციონალური სისხლის სამართლის არსებობა. გაბატონებული შეხედულებით, სისხლის სამართალი, როგორც ასეთი, არ წარმოადგენდა ევროპული გაერთიანების კომპეტენციას.[2] როგორც „მესამე სვეტის" შემადგენელი ნაწილი (იხ. ევროპის კავშირის ნიცას ხელშეკრულების მე-6 სათაური), იგი წარმოადგენდა ევროპის კავშირის პოლიტიკის განსაკუთრებულ სფეროს ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებს გარეთ. ვინაიდან პირველ და მესამე სვეტებს გააჩნდათ განსხვავებული ინსტიტუციონალური მოწყობა, მნიშვნელოვანი იყო იმის გარკვევა, თუ რამდენად და რა მოცულობით შეიძლებოდა ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების ცალკეული

---

[1] იხ. *Wasmeier/Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 15.

[2] იხ. *Wasmeier/Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 15.

დებულებების გამოყენება სხვადასხვა დარგობრივ-სპეციფიკური სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გასატარებლად. ეს საკითხი ევროპულმა სასამართლომ გარკვეულწილად ახსნა თავის გადაწყვეტილებებში: მართალია, სისხლის სამართალი, როგორც წესი, არ შედის ევროპული გაერთიანების კომპეტენციაში, გაერთიანების კანონმდებელს შეუძლია, რომ წევრ სახელმწიფოებს დააკისროს სისხლისსამართლებრივი სანქციების შემოღების ვალდებულება, თუ მათი გამოყენება აუცილებელია, რათა უზრუნველოფილ იქნეს გაერთიანების სამართლის სრული ეფექტურობა. გამოსაყენებელი სისხლისსამართლებრივი სანქციების სახისა და ზომის განსაზღვრა კი, არ წარმოადგენს გაერთიანების კომპეტენციას.[1] სწორედ ამიტომ, სისხლის სამართლის სფეროში გამოცემული თითქმის ყველა აქტი ეფუძნება „მესამე სვეტს", კერძოდ, ევროპის კავშირის ნიცას ხელშეკრულების მე-6 სათაურს, თუმცა არსებობს სისხლის სამართლის სფეროში ევროგაერთიანების დირექტივაც[2]. ამასთან, ევროკომისიამ, ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, შეიმუშავა დირექტივების, განსაკუთრებით, ეკოლოგიურ სამართალში, მიღების შესახებ წინადადებები, რომლებიც უნდა შეიცავდნენ სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვან დებულებებს.[3]

მას შემდეგ, რაც ირლანდიაში ჩატარებული რეფერენდუმის შემდეგ, 2009 წლის 1 დეკემბერს, ძალაში შევიდა ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ 2007 წლის 13 დეკემბერს ხელმოწერილი ლისაბონის ხელშეკრულება, ევროპის კავშირის სისხლის სამართლის ინსტიტუციონალური საფუძვლები ფაქტობრივად გაუთანაბრდა მანამდე არსებულ გაერთიანების სამართალს, რითაც პრაქტიკულად „მესამე სვეტი" გაერთიანდა ევროპის კავშირის ერთიან სამართალში. ამის შედეგად შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ პირველი და მესამე სვეტები არ არის ერთმანეთისგან გამიჯნული, თუმცა ლისაბონის ხელშეკრულებამდე ამ ორი სვეტის კომპეტენციებს შორის არსებული განსხვავება მაინც შენარჩუნებულია. მაგალითად, სისხლის სამართალზე არ ვრცელდება ევროკომისიის ინიციატივის მონოპოლია და, ზოგიერთ შემთხვევაში, შენარჩუნებულ იქნა გადაწყვეტილების ერთხმად მიღების აუცილებლობა[4]. მიუხედავად იმისა, რომ ჩარჩო-გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა მესამე სვეტის ფარგლებში და ეს სვეტი უკვე აღარ არსებობს, ისინი მაინც ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას მანამ, სანამ ლისაბონის ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული ახალი აქტებით არ შეიცვლებიან.

ამასთან, აღსანიშნავია ის, რომ ევროპული სისხლის სამართლის განვითარებით შესაძლებელია, არა მარტო გარეგნულად, არამედ შინაარსობრივადაც მოხდეს სხვადასხვა ნაციონალური სისხლისსამართლებრივი დოგმატიკის ერთმანეთთან დაახლოება და, უპირველეს ყოვლისა, სისხლისსამართლებრივი სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარება, მათი აღსრულებაში მოყვანა, გარდა ამისა, იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის ევროკავშირის მასშტაბით გაღრმავება. ამის პირველი პრეცენდენტი კი, 1999 წლის ოქტომბრის ტამპერეს (ფინეთი) შეხვედრა გახლდათ, სადაც საფუძველი ჩაეყარა ე.წ. „ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის" აღიარებით ევროპულ ინტეგრაციას სისხლის სამართალში. აღნიშნული პრინციპი ნაწილობრივ მანამდე წარმატებით იქნა განხორციელებული, ასევე სამოქალაქო სამართალშიც. ყოველივე ეს კი, იძლევა იმის შესაძლებობას, უფრო მეტი მოცულობით მოხდეს სისხლის სამართლის ევროპეიზაცია.

---

[1] იხ. ევროპული სასამართლოს 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება. საქმე C-176/03. შეად. *Wasmeier/Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 15.

[2] Richtlinie 2002/90/EG.

[3] იხ. *Wasmeier/Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 16.

[4] იხ. *Wasmeier/Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 16.

ერთგვარ ისტორიულ ფაქტს წარმოადგენდა 2001 წლის ბოლოს „ერთიანი ევროპული დაპატიმრების“ სანქციის შემოღება, რომელიც ევროკავშირის ყველა წევრი-სახელმწიფოს ტერიტორიაზე თანაბრად იქნა გავრცელებული. მოგვიანებით კი, 2003 წლის 11 თებერვალს, ევროპულმა სასამართლომ ცალსახად დაადგინა, რომ „შენგენის შეთანხმებიდან“ გამომდინარე, დაუშვებელია ორმაგი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება (ე. წ. *ne bis in idem*, რომელიც გათვალისწინებულია შენგენის 1990 წლის შეთანხმების 54-ე მუხლით), რაც, პრაქტიკულად, ევროპის სისხლის სამართლის კონსტიტუციური პრინციპი გახდა[1].

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ სამართლო გადაწყვეტილებების ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება ევროპის ერთიან პოლიტიკას, სამართლიან და ეფექტურ ურთიერთთანამშრომლობას, ნაციონალურ სამართლებრივ სისტემებში ყოველგვარი არსებითი ხასიათის ცვლილებების განხორციელების გარეშე. ამასთან, სხვადასხვა სისხლისსამართლებრივი სისტემების ერთმანეთთან დაახლოება და, გარკვეულწილად, ერთმანეთისადმი დამსგავსება არავითარ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს ნაციონალური სისხლის სამართლის სისტემებისადმი, მიუხედავად მათი სხვადასხვაგვარი განვითარებებისა და სხვადასხვაგვარი სისხლისამართლებრივი ინსტიტუტების არსებობისა. პირიქით, ამან შესაძლებელია, დადებითი შედეგები გამოიწვიოს მათი ერთმანეთის შევსების თვალსაზრისით. ამასთან, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა იხელმძღვანელონ ერთობლივი მინიმალური სტანდარტებით, რასაც ადამიანის უფლებათა დაცვის 1950 წლის ევროპული კონვენცია ადგენს, რათა მოხდეს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების უფლებადაცვითი ინსტიტუტების ერთმანეთთან დაახლოება.

მაშინ, როდესაც ევროპის კავშირის ნიცას ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-2 აბზაცი მიუთითებდა, რომ ევროკავშირი პატივს სცემს ძირითად უფლებებს, როგორც ეს გარანტირებულია რომში 1950 წლის 4 ნოემბრს ხელმოწერილ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში, ევროპის კავშირის ლისაბონის ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-2 აბზაცი კი, უფრო შორს მიდის და ადგენს, რომ ევროკავშირი უერთდება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 ოქმის მე-17 მუხლით, შესწორდა კონვენციის 59-ე მუხლი და მას დაემატა შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი: „ევროპის კავშირს შეუძლია შეუერთდეს ამ კონვენციას“. ამით იცვლება სამართლებრივი მდგომარეობა იმ მხრივ, რომ თუ მანამდე სტრასბურგის სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდებოდა ევროკავშირის ცალკეული წევრი სახელმწიფოების მიმართ, ამ ცვლილებით გავრცელდება, ასევე მთლიანად ევროკავშირის, მისი ორგანოებისა და მოხელეების მიმართაც. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციას, ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიასა და ნაციონალურ კონსტიტუციებს შორის ურთიერთობაში გამოიყენება ე.წ. „სამი ხელსაყრელობის პრინციპი“ (Drei Günstigkeitsprinzip[2]).

---

[1] იხ. ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ჩამოყალიბდა 2003 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილების შემდეგ (საქმეები C-187/01 და C-385/01 *Gözütok/Brügge)*.

[2] იხ. *Grabenwarter:* Europäische Menschenrechtskonvention, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 32-33.

§3. ევროპული სისხლის სამართლის ადგილი საერთაშორისო სისხლის სამართლის სისტემაში

სისხლის სამართალი, ტრადიციულად, წარმოადგენს სამართლის წმინდა ნაციონალურ დარგს. სახელმწიფოს სუვერენიტეტის პრინციპიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის იურისდიქციას ახორციელებენ ეროვნული სასამართლოები. არ არსებობს საერთაშორისო ან რეგიონალური სუპრანაციონალური სისხლის სამართლის კოდექსები და გასამართლებისა და გასაჩივრების ინსტანციები კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებებისათვის. სისხლის სამართლის განვითარების თანამედროვე ტენდენცია მდგომარეობს იმაში, რომ იგი საერთაშორისო დონეზე დაექვემდებარა გლობალიზაციას და გახდა ინტერნაციონალური, ხოლო ევროპის რეგიონში – ევროპეიზაციას, რის შედეგადაც ყალიბდება ერთიანი ევროპული მიდგომები.

სისხლის სამართლის სფეროში ზესახელმწიფოებრივი მართლმსაჯულების განხორციელების პირველი შემთხვევა იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1945/46 წლებში, ომის მთავარი დამნაშავეების მიმართ გამართული ნიურნბერგის პროცესი, რომელსაც მალევე მოჰყვა, ასევე მეორე მსოფლიო ომის დროს შორეულ აღმოსავლეთში ჩადენილი საერთაშორისო დანაშაულებისათვის, იაპონელი მილიტარისტების მიმართ ტოკიოს პროცესის ჩატარება. ამის შემდეგ, ოთხ ათეულზე მეტი წლის განმავლობაში საერთაშორისო სისხლის სამართალი უმეტესწილად წარმოადგენდა მხოლოდ ისტორიას, ვიდრე 90-იანი წლების დასაწყისში, 1993/94 წლებში, არ შეიქმნა ექს-იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალები, რომელთა პრეცედენტებმაც ახალი „სიცოცხლე მიანიჭეს“ და ხელი შეუწყვეს საერთაშორისო სისხლის სამართლის დოგმატიკის განვითარებას. სისხლის სამართლის განვითარების ეს პროცესი კი, იმით დაგვირგვინდა, რომ 1998 წლის 17 ივლისის რომის სტატუტის საფუძველზე, 2002 წლის 1 ივლისს, ჰაagaში ამოქმედდა სისხლის სამართლის პირველი მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლო, რომელიც წინასწარი წარმოებისა და სასამართლო განხილვის ორინსტანციურ სისტემაში განაწილებული, მსოფლიოს სხვადასხვა გეოგრაფიული სივრცის წარმომადგენელი, 18 მოსამართლის შემადგენლობით, დღეისათვის ახორციელებს ზესახელმწიფოებრივ მართლმსაჯულებას.[1]

საერთაშორისო სისხლის სამართლის ცნება შეიძლება სხვადასხვანაირად იქნეს ჩამოყალიბებული. იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქნება განსაზღვრული მისი მოცულობა. იურიდიულ ლიტერატურაში იგი გამოიყენება ფართო და ვიწრო გაგებით.

გერმანულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული კლასიფიკაციით, საერთაშორისო სისხლის სამართალი ფართო გაგებით წარმოადგენს ე.წ. ინტერნაციონალურ სისხლის სამართალს და შედგება ოთხი ნაწილისაგან. ეს ნაწილებია:[2]

(1) საერთაშორისო სისხლის სამართალი (ვიწრო გაგებით);

(2) სუპრანაციონალური (მაგალითად, ევროპის სამართლებრივ სივრცეში, ევროპული) სისხლის სამართალი;

(3) სამართლებრივი დახმარების სამართალი და

---

[1] საერთაშორისო სისხლის სამართლის ისტორიას ეძღვნება წიგნი: *Ahlbrecht:* Geschichte der völkerrechtlichen Strafgerichtsbarkeit im 20. Jahrhundert – unter besonderer Berücksichtigung der völkerrechtlichen Straftatbestände und der Bemühungen um einen ständigen Internationalen Strafgerichtshof, 1999.

[2] ასეთი კლასიფიკაცია იხ., მაგალითად, წიგნში: *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 34.

(4) ნაციონალური სისხლის გამოყენების სამართალი, რომელსაც ასევე ეწოდება საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპები[1].

ფართო გაგებით საერთაშორისო სისხლის სამართლის (ანუ ინტერნაციონალური სისხლის სამართლის) ეს ნაწილები შეიძლება მოკლედ შემდეგნაირად დახასიათდეს:

(1) საერთაშორისო სისხლის სამართალი ვიწრო გაგებით (Völkerstrafrecht) მოიცავს ყველა იმ ნორმას, რომლითაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების მიერ უშუალოდ ხორციელდება სისხლის სამართლის საერთაშორისო ზესახელმწიფოებრივი მართლმსაჯულება.[2] იგი წარმოადგენს ორიგინალურ საერთაშორისო სისხლის სამართალს. სწორედ ამავე გაგებით გამოიყენება ტერმინი: „International Criminal Law" („საერთაშორისო სისხლის სამართალი") ანგლო-ამერიკულ სამართალში. იგი შედგება საერთაშორისო მატერიალური და საპროცესო სისხლის სამართლის ნაწილებისაგან. მატერიალური სისხლის სამართალი, თავის მხრივ, იყოფა ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან. ზოგად ნაწილში მოცემულია სისხლისსამართლებრივი დასჯადობის ზოგადი საფუძვლები (დანაშაულის დამაფუძნებელი ობიექტური და სუბიექტური ნიშნები, პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები, სასჯელები და ა.შ.), ხოლო კერძო ნაწილი შეიცავს დანაშაულის იმ კონკრეტულ შემადგენლობებს (გენოციდი; ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები; ომის დანაშაულები), რომლებზედაც ხორციელდება სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულება.

უკანასკნელ პერიოდში ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ტერმინმა: „ეროვნული საერთაშორისო სისხლის სამართალი"[3]. იგი წარმოადგენს ნაციონალური სისხლის სამართლის იმ ნორმების ერთობლიობას, რომლებიც ემსახურებიან საერთაშორისო სისხლის სამართლის იმპლემენტაციას შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ სისტემაში. ვინაიდან სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ იურისდიქციის განხორციელება ხდება ე.წ. კომპლემენტარულობის პრინციპის საფუძველზე (რომის სტატუტის მე-17 მუხლი), სასამართლოს წესდების რატიფიკაციის დროს, საქართველომ აიღო ვალდებულება, თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა შესაბამისობაში იქნებოდა ამ წესდების ნორმებთან. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნა მთელი რიგი სპეციალური მუხლები.

საქართველოსგან განსხვავებით, მაგალითად, გერმანიაში მოქმედებს 2002 წლის 30 ივნისის სპეციალური კანონი სახელწოდებით: „საერთაშორისო სისხლის სამართლის კოდექსი" (Völkerstrafgesetzbuch), რომელიც, მატერიალური სისხლის სამართლის სხვა ნორმებთან ერთად, შეიცავს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი საერთაშორისო დანაშაულების კონკრეტულ შემადგენლობებს.

(2) ევროპული სისხლის სამართალი (Europäisches Strafrecht) ფართო გაგებით წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი ხასიათის იმ სამართლებრივი დებულებების ერთობლიობას, რომელთაც აქვთ ევროპული წარმომავლობა[4]. ვიწრო გაგებით, ეს ნორმები შეიძლება წარ-

---

[1] საქართველოს ეროვნული სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლები საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპების გამოყენებით მოცემულია წიგნში: *ტურავა:* სისხლის სამართალი.ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-8 გამოცემა, 2010, გვ. 43-54.

[2] სწორედ ამ შინაარსით არის საერთაშორისო სისხლის სამართალი მოცემული ქართველი სტუდენტებისათვის კარგად ცნობილ წიგნში: *Werle:* Völkerstrafrecht, მე-2 გამოცემა, 2008. იგივე წიგნი გამოცემულია ინგლისურ ენაზეც: *Werle:* Principles of International Criminal Law, მე-2 გამოცემა, 2009. ასე, რომ დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია იგი, ენის ცოდნის მიხედვით, ინგლისურად ან გერმანულად წაიკითხოს.

[3] იხ. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 34.

[4] შეად. *Helmut Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 35.

მოშობილი იყოს ევროგაერთიანებების ან ევროკავშირის ფარგლებში და მიზნად ისახავს წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის ჰარმონიზაციას. ამ სფეროს, ფართო გაგებით, ასევე მიეკუთვნება ევროპის საბჭოს ფარგლებში მიღებული საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ნაციონალური სისხლის სამართლის, განსაკუთრებით, საპროცესო სისტემების, განვითარებაზე.

მაშასადამე, ევროპული სისხლის სამართალი არსებობს ფართო და ვიწრო გაგებით: ფართო გაგებით იგი მოიცავს ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ფარგლებს, მაშინ, როდესაც მასში ვიწრო გაგებით მხოლოდ ევროპის კავშირის სისხლის სამართალი მოიაზრება.

სუპრანაციონალური სისხლის სამართალი თავისი ნამდვილი მნიშვნელობით არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა თვით სუპრანაციონალური სამართლებრივი სისტემა შეიცავს საკუთარ დანაშაულის შემადგენლობებს, რომელთა გამოყენება სახელმწიფოებში უშუალოდ არის შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ევროპული სისხლის სამართალი თავისი ნამდვილი გაგებით ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედებამდე არ არსებობდა, იგი ჩამოყალიბების პროცესშია, რადგან ევროპული გაერთიანება (ჯერ კიდევ) არ ფლობდა სისხლისსამართლებრივი ხასიათის სავალდებულო ნორმების გამოცემის „ორიგინალურ კომპეტენციას" (შეად. ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 280-ე მუხლის მე-4 აბზაცის მე-2 წინადადება). მიუხედავად ამისა, ევროპული სამართალი ზეგავლენას ახდენდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის განვითარებაზე. ევროპული სამართლებრივი აქტებით წევრი სახელწიფოების საკანონმდებლო ორგანოებს წარმოეშობათ ვალდებულება, შექმნან ევროპული ნორმების შესაბამისი ნაციონალური სისხლისსამართლებრივი ნორმები, ასევე ნაციონალური სამართლებრივი ნორმის გამოყენების დროს არსებობს მისი „გაერთიანების ნორმების შესაბამისად" ინტერპრეტაციის ვალდებულება და ა.შ.[1] ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 79-ე მუხლის მე-2d აბზაცი („ერთობლივი საიმიგრაციო პოლიტიკა") ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის, განსაკუთრებით, ბავშვებითა და ქალებით ვაჭრობის შემთხვევაში, ისევე, როგორც 325-ე მუხლი („თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა"), ითვალისწინებს ევროპის კავშირის სუპრანაციონალურ კომპეტენციას სისხლის სამართლის სფეროში.

როგორც ვიწრო გაგებით საერთაშორისო სისხლის სამართალში, ასევე აქაც არსებობს ტერმინი: „ევროპული ნაციონალური სისხლის სამართალი" („Europäisches nationales Strafrecht")[2], რომელსაც მიეკუთვნება ნაციონალური სამართლის ყველა ის სისხლის სამართლის ნორმა, რომელთაც შინაარსობრივად შემხებლობა აქვთ ევროგაერთიანებების ან ევროკავშირის სამართალთან.

(3) სამართლებრივი ურთიერთდახმარების სამართალი (Rechtshilferecht) წარმოადგენს ყველა იმ რეგულირების გვარეობით ცნებას, რომელიც ემსახურება სამართლის ტრანსნაციონალურ რეალიზაციას, განსაკუთრებით, დამნაშავეთა გადაცემის, ისევე, როგორც აღსრულებაში დახმარებისა და მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში ურთიერთმხარდაჭერის სახით. სამართლებრივი ურთიერთდახმარების სამართლის არსებობის აუცილებლობა გამომდინარეობს თვით ნაციონალური სისხლის სამართლის იურისდიქციის ფარგლებიდან. მაშინ, როდესაც ანგლო-ამერიკულ სამართალში პრიორიტეტი ე.წ. ტერიტორიალურობის პრინციპს ენიჭება[3], კონტინენტალური ევროპის სამართლებრივ სივრცეში გამოიყენება საერ-

---

[1] შეად. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 34; იხ. ასევე: *Heinrich:* Strafrecht – Allgemeiner Teil I, მე-2 გამოცემა, 2010, გვ. 34-35.

[2] შეად. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 35.

[3] შეად. *Marco Mansdörfer* (Hrsg.), Die allgemeine Straftatlehre des common law, 2005, გვ. 220-227.

თაშორისო სისხლის სამართლის არაერთი პრინციპი, რომლებიც სახელმწიფოებს აძლევს უფლებამოსილებას, სისხლისსამართლებრივი დევნა და მართლმსაჯულება განახორციელონ იმ ქმედებაზე, რომელიც არ არის ჩადენილი მის ტერიტორიაზე[1]. შესაბამისად, პროცესის მიზნების განხორციელება მოითხოვს სახელმწიფოთა სამართლებრივ ურთიერთდახმარებას. გარდა ამისა, შესაძლებელია, რომ დამნაშავე იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფებოდეს, რომელსაც მის მიერ ჩადენილი ქმედების დასჯადობა, მისი სისხლის სამართლის გამოყენების სამართლის სისტემიდან გამომდინარე, არ შეუძლია, რის გამოც, შესაძლებელია, საჭირო იყოს მისი ექსტრადიცია (გადაცემა).

საქართველოსგან განსხვავებით, ზოგიერთ სახელმწიფოში, მაგალითად, გერმანიაში, მოქმედებს სპეციალური კანონი „სისხლის სამართლის საქმეებზე საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების შესახებ" (IRG[2]), რომელშიც, ისევე როგორც არაერთ ბილატერალურ (ორმხრივ) და მულტილატერალურ (მრავალმხრივ) ხელშეკრულებებში, დეტალურად არის მოცემული ექსტრადიციის (გადაცემის), ისევე, როგორც სხვაგვარი სამართლებრივი დახმარების, წინაპირობები.

ფართო გაგებით საერთაშორისო სისხლის სამართლის ამ ნაწილს აქვს გარკვეული გადაკვეთა ევროპულ სისხლის სამართალთან, რამეთუ, მაგალითად, იურიდიული თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში ე.წ. ევროპის კავშირის „მესამე სვეტის" ფარგლებში, ხოლო ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ, „პირველი სვეტის" ფარგლებში, გარკვეულწილად, გულისხმობს სამართლებრივ ურთიერთდახმარებას.[3]

მაშასადამე, სამართლებრივი ურთიერთდახმარების ეს ნაწილი წარმოადგენს ევროპულ სისხლის სამართალს, მაგრამ ასეთი ურთიერთდახმარება არ შემოიფარგლება მხოლოდ ევროპის ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობით, რის გამოც მისი მოცულობის ფარგლები გაცილებით დიდია.

(4) ნაციონალური სისხლის გამოყენების სამართალი (Strafanwendungsrecht), პირველ რიგში, მოიაზრებოდა „საერთაშორისო სისხლის სამართლის" ცნების ქვეშ, განსაკუთრებით კონტინენტალურ-ევროპული სამართლებრივი გაგებით, ვიდრე გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საფუძველი ჩაეყრებოდა სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების ახალ ეტაპს.[4] იგი წარმოადგენს იმ ნორმების ერთობლიობას, რომლებიც ადგენენ შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის გამოყენების ფარგლებს. დანაშაული, რომელზეც ვრცელდება სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი იურისდიქცია, შეიძლება ჩადენილ იქნეს, ჩვეულებრივი ან საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანაშაულის სახით, სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მის ფარგლებს გარეთ, მისი მოქალაქის ან უცხოელის მიერ, უცხოეთში მისი მოქალაქის წინააღმდეგ და ა.შ.

გარდა ნაციონალური სამართლის ნორმებისა, ყველა შემთხვევაში, სისხლის სამართლის გამოყენების სამართალს მიეკუთვნებიან ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებების ის დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ ნაციონალური სისხლის სამართლის გამოყენების „ჩარჩო პირობებს" (მაგალითად, ერთი და იმავე დანაშაულისათვის „ორჯერ დასჯის დაუშვებლობა",

---

[1] შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 23-70; იხ. ასევე: *ტურავა*, სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-8 გამოცემა, 2010, გვ. 43-54.

[2] Gesetz über die Internationale Rechtshilfe in Strafsachen (IRG), 23. 12. 1982.

[3] სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების სამართალში მნიშვნელოვანი წყაროები მოცემულია წიგნში: *Schomburg/Lagodny/Gleß/Hackner:* Internationale Rechtshilfe in Strafsachen, მე-4 გამოცემა, 2006.

[4] ამ შინაარსის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომს წარმოადგენს: *Oehler:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 1983.

ზოგიერთი დანაშაულის მიმართ „ხანდაზმულობის ვადების გამოუყენებლობა“ და ა.შ.)[1].

საერთაშორისო სისხლის სამართლისაგან განსხვავდება ე.წ. „ინტერლოკალური სისხლის სამართალი“ (Interlokales Strafrecht). იგი არსებობს იმ სახელმწიფოებში, რომლებშიც შიდასახელმწიფოებრივ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სხვადასხვა პარტიკულარული სისხლის სამართლის დებულებები მოქმედებენ. იგი გულისხმობს, რომ შიდასახელმწიფოებრივ კომპეტენციათა განაწილების საფუძველზე, სისხლის სამართლის ნორმების გამოცემაზე უფლებამოსილია არა მარტო ცენტრალური ხელისუფლების, არამედ ასევე – ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ორგანოები. კომპეტენციათა ასეთი განაწილება სისხლის სამართლის სფეროში არსებობს მხოლოდ ზოგიერთ ფედერალურ სახელმწიფოში, სადაც, ფედერალურ სისხლის სამართალთან ერთად, ასევე არსებობს ფედერაციის ერთეულების რამდენიმე სისხლის სამართალი.

ასე, მაგალითად, ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებობდა ინტერლოკალური სისხლის სამართალი, საკავშირო სამართლებრივი აქტის -„საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებისა“ და ცალ-ცალკე მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის თხუთმეტი კოდექსის სახით. თანამედროვე სახელმწიფოებში ინტერლოკალური სისხლის სამართალი, ასევე არსებობს, მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გაერთიანებულ სამეფოში, მექსიკაში, ავსტრალიაში. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ეს პრინციპი მოქმედებდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ და ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების შემდეგაც, 1994/95 წლებამდე, ყოფილ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიასთან მიმართებაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სისხლის სამართლის ზოგიერთმა ნორმამ გაერთიანების შემდეგ ფედერაციის ახალ ლანდებში (მიწებში) გარკვეულ პერიოდში შეინარჩუნა მოქმედება.[2]

---

[1] იხ. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 35.

[2] შეად. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 35.

§4. ევროპული სისხლის სამართლის ცნება. საგანი და წყაროები

I ევროპული სისხლის სამართლის ცნება და საგანი

სისხლის სამართლის იურისდიქცია არის სახელმწიფო სუვერენიტეტის გამოხატულება. ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის ნორმები ძალზე განსხვავებულად არის ჩამოყალიბებული. ევროკავშირის დონეზე არ ხდება ნაციონალური სისხლის სამართლის სისტემების სრული ჰარმონიზაცია, ასევე არ არსებობს სუპრანაციონალური სისხლის სამართლის იურისდიქცია ორიგინალური სისხლის სამართლის განხორციელების კომპეტენციით. მიუხედავად ამისა, შეიქმნა ცნება: „ევროპული სისხლის სამართალი". ამ ცნების ქვეშ მოიაზრება როგორც მატერიალური სისხლის სამართლის, ასევე ტრანსნაციონალური სისხლის სამართლის დევნის შესახებ დებულებები. ევროკომისიის მიერ შემუშავებულმა დირექტივამ (Richtlinienvorschlag), რომელიც შეეხება გარემოს სისხლისსამართლებრივ დაცვას, ხელახლა გააღვივა დისკუსია ევროპული სისხლის სამართლის სფეროში.[1] ამ ევროპული აქტით უნდა დარეგულირდეს წევრ სახელმწიფოებში გარემოსათვის ზიანის მიმყენებელი თუ რომელი ქმედება უნდა გამოცხადდეს დანაშაულად.

„ევროპული სისხლის სამართლის" ცნება ქართულ სისხლის სამართლის მეცნიერებაში ჯერ კიდევ არ არის განვითარებული. იგი თვით დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც კი, ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესშია. გასული საუკუნის 90-წლებში ასეთი სახელწოდების საგანი იურიდიული ფაკულტეტების სასწავლო პროგრამებით ჯერ კიდევ არ იყო გათვალისწინებული. „ევროპული სისხლის სამართალი", როგორც საუნივერსიტეტო სასწავლო დისციპლინა, შეიძლება ითქვას, 21-ე საუკუნის პირმშოა.

რა მოიაზრება ამ საგნის სახელწოდების ქვეშ? შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ იგი თითქოს ახდენს ევროპის ქვეყნების ნაციონალური სისხლის სამართლის სისტემების შედარებით ანალიზს. სინამდვილეში კი, ეს ასე არ არის, არამედ იგი წარმოადგენს რეგიონალურ საერთაშორისო სამართალს. ასევე, შეიძლება ვინმემ ჩათვალოს, რომ საქმე ეხება ორიგინალურ სუპრანაციონალურ სისხლის სამართალს, რომელიც შეიცავს წესებს, რომელთაც ევროპული გაერთიანების სუვერენული სისხლის სამართლის იუსტიცია წევრი სახელმწიფოების ცალკეული მოქალაქეების მიმართ, როგორც დასჯის სამართალს, უშუალოდ იყენებს – *ius puniendi*. ევროგაერთიანების სუპრანაციონალური სისხლის სამართალი ამ გაგებით ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული.[2] ევროგაერთიანებას ნიცას ხელშეკრულებით არ ჰქონდა ამისათვის აუცილებელი სისხლის სამართლის რეალიზაციის კომპეტენცია. იგი არც ევროგაერთიანების ხელშეკრულების 280-ე მუხლიდან არ გამომდინარეობდა.[3]

კაი ამბოსის განმარტებით, „ევროპული სისხლის სამართლის" დეფინიცია შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: იგი წარმოადგენს გვარეობით ცნებას, რომელიც მოიცავს სისხლის სამართლის ყველა იმ მატერიალურ და პროცესუალურ ნორმასა და მათ საფუძველზე ჩამოყალი-

---

[1] იხ. ელექტრონული ჟურნალი: Europa. Deutsche Bundestag. Wissenschaftliche Dienste, Nr. 18/08 (21. Mai 2008), გვ. 1.

[2] გერმანელი პროფესორი *კაი ამბოსი* თავისი ამ პოზიციის დასადასტურებლად უთითებს არაერთ ავტორს, მათ შორის, *ფილოპოულოსის* ნაშრომს ბერძნული პერსპექტივიდან. იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 346.

[3] იხ. *Fromm:* "Ius Puniendi": The Right of the Institutions of the EC to Protect the Financial Interests of the EC from Fraud (Art. 280 paragraph 4 EC treaty)?, European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice , ISSN 0928-9569, Vol. 16, Nr. PAGS. 125-1421, 2008 , pags. 125-142.

ბებულ პრაქტიკას, რომელიც დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ევროგაერთიანების/ევროკავშირის (ევროპული სისხლის სამართალი ვიწრო გაგებით), ხოლო, მეორე მხრივ, ასევე ევროსაბჭოს (ევროპული სისხლის სამართალი ფართო გაგებით) სამართლთან და მოქმედებებთან და მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ევროპის ცალკეული სახელმწიფოების ნაციონალური მატერიალური და საპროცესო სისხლის სამართლის სისტემების შორს მიმდინარე ჰარმონიზაციას.[1] ევროპული სისხლის სამართლის დეფინიცია მოცემულია, ასევე, სხვა ავტორებთანაც.[2]

„ევროპული სისხლის სამართლის" ცნება არ არის ჩამოყალიბებული არც ევროპული გაერთიანებების კანონმდებლისა და არც ევროპული მართლმსაჯულების მიერ დეფინირებული. ერთ-ერთი დეფინიციის მიხედვით, იგი შეიძლება განისაზღვროს, როგორც თავისებური სამართლებრივი მასალა, რომელიც მოიცავს სისხლისსამართლებრივად რელევანტურ როგორც გაერთიანების სამართალს, კავშირის სამართალსა და საერთაშორისო სამართალს, ასევე გაერთიანების, კავშირისა და საერთაშორისოსამართლებრივი ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბებულ ნაციონალურ სისხლის სამართალს. თანამედროვე პოზიციებიდან, ამ ცნების ქვეშ არცერთ შემთხვევაში არ მოიაზრება ევროკავშირის სისხლის სამართლის კოდექსის ნორმათა ერთობლიობა, რომელიც, თავისი არსით, წევრი სახელმწიფოს სისხლის სამართლის კოდექსის ანალოგიური იქნებოდა. მაშასადამე, არ არსებობს დანაშაულის შემადგენლობების ერთობლიობა, რომელიც ჩამოყალიბებული იყოს ერთ სამართლებრივ აქტში და ყველა წევრ სახელმწიფოში უშუალოდ ერთგვარად იქნებოდა გამოყენებული.[3]

მოქმედების გეოგრაფიულ-სამართლებრივი სივრციდან გამომდინარე, ცნება: ევროპული სისხლის სამართალი ორი: ვიწრო და ფართო მნიშვნელობით გამოიყენება. არ არის სწორი მისი შედარება ფედერალური სახელმწიფოებრივი მოწყობის პირობებში არსებულ სისხლის სამართლის სისტემასთან, მაგალითად, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, რადგან ჯერ კიდევ არ არსებობს „ნამდვილი" ევროპული სუპრანაციონალური სისხლის სამართლის კანონები. ევროპული სისხლის სამართალი წარმოადგენს ინტრადისციპლინურ მასალას, რომელიც მოიცავს მთლიანი სისხლის სამართლის სხვადასხვა სფეროებს, მაგრამ, იმავდროულად, საერთაშორისო, ევროპულ და საკონსტიტუციოსამართლებრივ საფუძვლებში ჰპოვებს თავის დასაყრდენს.[4]

ფართო გაგებით ევროპული სისხლის სამართლის დარგობრივ (საგნობრივ) სფეროს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ყველა ის ნორმა, რომელიც მიღებულ იქნა და მოქმედებს ევროსაბჭოს ფარგლებში, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მისი დამატებითი ოქმებით) და მათ საფუძველზე ჩამოყალიბებული სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მთელ რიგ მუხლებზე. განსაკუთრებით, კონვენციის მე-5, მე-6 და მე-8 მუხლების სასამართლო პრაქტიკამ მნიშვნელოვანი ნორმატიული და ფაქტიური ზეგავლენა მოახდინა ნაციონალური საპროცესო სისტემების განვითარებაზე.[5] გარდა ამისა, არსებობს ევროსაბჭოს არაერთი სპეციალური

---

[1] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 346, ასევე, იქვე, 347-ე გვერდზე მოცემული მე-14 სქემა.

[2] ასე, მაგალითად, იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 5, ასევე: *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 90.

[3] იხ. ელექტრონული ჟურნალი: Europa. Deutscher Bundestag. Wissenschaftliche Dienste, Nr. 18/08 (21. Mai 2008), გვ. 1.

[4] შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 346; იხ. ასევე: *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 7, გვ. 24.

[5] საქართველოსგან განსხვავებით, სტრასბურგის სასამართლოს მიერ კონვენციის დარღვევის ფაქტის დადგენა ზოგიერთი ნაციონალური სამართლებრივი სისტემის მიხედვით, თუ ამ დარღვევას ეფუძნებოდა მისი

კონვენცია სისხლის სამართლის სფეროში.[1]

რაც შეეხება ევროპულ სისხლის სამართალს ვიწრო გაგებით, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ გაერთიანების სამართალი, ყოველ შემთხვევაში შუალობითად მაინც, ნაციონალურ (სისხლის) სამართლის სისტემებზე ახდენს ზეგავლენას. ეს ზეგავლენა უკანასკნელ წლებში ხორციელდებოდა სხვადასხვა გზით, კერძოდ,

- ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების მე-10 მუხლის მიერ განსაზღვრული წევრი სახელმწიფოს ვალდებულების მეშვეობით, შეასრულოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა მოვალეობა და ხელი შეუწყოს გაერთიანების ორგანოებს, შეასრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები; ევროგაერთიანების ერთგულების პრინციპი შეიცვალა ევროკავშირის ერთგულების პრინციპით (ევროკავშირის ლისაბონის ხელშეკრულების მე-4 III მუხლი);
- გაერთიანების სამართლის გამოყენების უპირატესობის პრინციპითა და
- ნაციონალური სამართლის გაერთიანების სამართლის შესაბამისი ინტერპრეტაციის ვალდებულების მეშვეობით.[2]

გარდა ამისა, ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოს ნაციონალურ სასამართლოს შეეძლო, ე.წ. ევროპული საკითხი პირდაპირ ლუქსემბურგის ევროპული სასამართლოსათვის წარედგინა (ევროგაერთიანების ხელშეკრულების 234-ე მუხლი) წინასწარი გადაწყვეტილების („Vorabentscheidung") მიღების პროცედურით. იგივე პროცედურას ითვალისწინებს ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 267-ე მუხლი.

ევროგაერთიანების სამართლის ნაციონალურ (სისხლის) სამართალზე ზეგავლენის მომხდენ კონკრეტულ ფაქტორებად და ფორმებად *კაი ამბოსი* ასახელებს შემდეგს, რომლებიც ლისაბონის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სტრუქტურული ცვლილებების პირობებშიც შესაბამისი მოდერნიზირებული ფორმით ინარჩუნებენ არსებობას:

– გაერთიანების ინტერესების ნაციონალურ ინტერესებთან ასიმილირების ტექნიკა, რომელიც ხორციელდებოდა გაერთიანების პრიმერულ სამართლებრივ ნორმებში ნაციონალურ სისხლის სამართალზე ბლანკეტური მითითებების გზით;

– პირიქით, არსებობს ნაციონალური სისხლის სამართლის კანონების ბლანკეტური მითითებები გაერთიანების სამართალზე;

– ევროგაერთიანების ხელშეკრულების 94-ე და მომდევნო მუხლების შესაბამისად, ევროგაერთიანებას შეეძლო, დირექტივის (Richtlinie) მიღების გზით, მოეხდინა წევრ სახელმწიფოთა ნაციონალური სისხლის სამართლის კანონების ურთიერთჰარმონიზაცია. შესაბამისად, დღევანდელი ევროპული პრიმერული სამართლებრივი ნორმების მიხედვით, ევროპის კავშირის ორგანოების მიერ წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი დებულებების ჰარმონიზაციას ეძღვნება ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 114-ე-118-ე მუხლები.

სისხლის სამართლის განაჩენი, არის ახლად გამოვლენილი გარემოება, რომელიც სისხლის სამართლის წარმოების ხელახლა დაწყების საფუძველს წარმოადგენს. ასე, მაგალითად, იხ. გერმანიის სისხლის საპროცესო კოდექსის (StPO) § 358 Nr. 6. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტიც ითვალისწინებს ამ გარემოებას, როგორც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ერთ-ერთ საფუძველს. ეს ნორმა უნდა ამოქმედდეს 2012 წლის 1 ოქტომბრიდან.

[1] ევროპის საბჭოს კონვენციების სრული ჩამონათვალი იხ. ვებ-გვერდზე: http://conventions.coe.int. მათი რაოდენობა, *ამბოსის* მიხედვით, სულ ორასია. ასევე, მისი მონაცემებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი 14 დამატებითი ოქმის ჩათვლით, მთლიანად არსებობს ევროსაბჭოს 53 მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი ხასიათის კონვენცია. შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 347.

[2] შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 348.

– პოლიციურ და იუსტიციურ სფეროებში თანამშრომლობის ფარგლებში, წევრმა სახელმწიფოებმა, ევროკავშირის „სახურავქვეშ“ (ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 29-ე მუხლის მე-2 აბზაცი), ერთი მხრივ, მოახდინეს მატერიალური სისხლის სამართლის ჰარმონიზაცია ისეთ სფეროებში, როგორიცაა ორგანიზებული დანაშაული და ტერორიზმი (ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 31-ე მუხლის 1-ლი (ე) აბზაცი), ხოლო, მეორე მხრივ, გააძლიერეს თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში (ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 29-ე მუხლის მე-2 აბზაცი, 30-ე, 31-ე მუხლები). შესაბამისად, დღევანდელი ევროპული პრიმერული სამართლებრივი ნორმების მიხედვით, პოლიციურ და იუსტიციურ სფეროებში სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობას ევროპის კავშირის ფარგლებში ეძღვნება ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 82-ე-89-ე მუხლები. 82-ე მუხლით მოხდა ე.წ. გადაწყვეტილებათა ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის პრიმერულ-სამართლებრივი რეგლამენტაცია, ხოლო 83-ე მუხლი მიეძღვნა ჰარმონიზაციას მატერიალური სისხლის სამართლის სფეროში. 86-ე მუხლის საფუძველზე კი, უნდა მოხდეს ევროპული პროკურატურის დაფუძნება.

– ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივ და აღსრულების საკითხებში თანამშრომლობის სფეროში არსებობს არაერთი ხელშეკრულება, როგორიცაა, მაგალითად, ევროპული შეთანხმება სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ, შენგენის შეთანხმება, შეთანხმება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის გამარტივებული ექსტრადიციის (გადაცემის) პროცედურის შესახებ. *ამჟამად* ამ სფეროში „ნამდვილ რევოლუციურ, მაგრამ ასევე კრიტიკულ“ აქტად მიიჩნევს ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებას ერთიანი ევროპული დაპატიმრების ბრძანების შესახებ.[1]

სისხლის სამართლის ევროპეიზაცია გამოხატულებას პოულობს, ასევე ინსტიტუციონალიზაციაში, რომელიც სულ უფრო იზრდება. აღსანიშნავია შემდეგი ევროპული ინსტიტუტების შესახებ:

ევროგაერთიანებამ, ევროკომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, შექმნა თაღლითობასთან ბრძოლის ევროპული სამსახური – ოლაფი (OLAF – Office pour la Lutte AntiFraude), რომელიც, როგორც ევროკომისიის განყოფილება, დამოუკიდებლად იძიებს ევროკავშირის ფინანსური ინტერესების საზიანო თაღლითურ ქმედებებს (ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 280-ე მუხლი; ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 325-ე მუხლი) და წარმოადგენს სუპრანაციონალურ მოკვლევის ორგანოს. იგი მოქმედებს ევროკავშირის „პირველი სვეტის“ ფარგლებში;

– მისგან განსხვავებით, ევროპული პოლიციური სამსახური – ევროპოლი (Europol), როგორც სისხლის სამართლის საქმეებზე პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობის ნაწილი, ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულებით „მესამე სვეტის“ ფარგლებში, არის მთავრობათაშორისი თანამშრომლობის საგანი და საქმიანობს, როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია, უმეტესწილად ინფორმაციის მოპოვებისა და გაცვლის მიმართულებით;

– ევროიუსტი (Eurojust) ახორციელებს სახელმწიფოთა კოოპერაციას საპროკურორო და იუსტიციურ სფეროში მძიმე დამნაშავეობასთან ბრძოლის მიზნით, მათ შორის, განსაკუთრებით, ექსტრადიციის (გადაცემისა) და სხვაგვარი სამართლებრივი დახმარების გაადვილების გზით;

– ასევე, დაგეგმილია, შეიქმნას ევროპული პროკურატურის ინსტიტუტი (ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 86-ე მუხლი), რომელიც იქნება

---

[1] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 348.

სისხლის სამართლის დევნის ევროპული ცენტრალიზებული სამსახური განსაზღვრულ დანაშაულთა სფეროებისათვის. მას ექნება ოპერატიული უფლებამოსილებები. იგი შეიძლება გახდეს ევროიუსტის სამართალმემკვიდრე და ევროპოლთან მიმართებაში აღიჭურვოს მნიშვნელოვანი მაკონტროლებელი ფუნქციებით.

ევროპის კავშირის ფარგლებში ჰარმონიზაციის პროცესი და მასთან დაკავშირებული ევროპული ზეგავლენები ნაციონალურ სისხლის სამართლის სისტემებზე არის თვალშისაცემი.

სისხლის სამართლის მეცნიერებაში, ცნებათა დაკონკრეტების მიზნით, წარმოდგენილი მასალის შინაარსის მიხედვით, განასხვავებენ ფართო და ვიწრო გაგებით სისხლის სამართალს შორის. პირველ მათგანს ეკუთვნის ასევე არასისხლისსამართლებრივი ადმინისტრაციული სანქციები, ხოლო მეორეს წარმოადგენს კრიმინალური სისხლის სამართალი. არასისხლისსამართლებრივი ბუნებისაა სანქციათა შესახებ ის დებულებები, რომლებიც მიზნად ისახავს პრევენციულ და რესტიტუციულ ამოცანებს. კრიმინალური სისხლის სამართლისათვის კი, დამახასიათებელია ის, რომ დასჯითი დებულებები წარმოადგენს დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედებისა (და, შედეგიან დელიქტებში, დამდგარი შედეგის) სოციალ-ეთიკური უღირსობის გამოხატულებას და მის სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს თავისუფლების შემზღუდავი ან ფულადი სასჯელები. მაშინ, როდესაც ევროპული დებულებები (Verordnungen; Richtlinien) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სანქციებით ევროპული გაერთიანების უფლებამოსილებას აღიარებდა, კრიმინალური სისხლის სამართალის სფეროში ევროპული კანონმდებლის კომპეტენცია კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. ევროპული გაერთაინებების სამართლის გამოკვლევის შედეგად, *ზატცგერი* ევროპულ დებულებებს სანქციებით ყოფს სამ ტიპად. ესენია: ფულადი სახდელები (Geldbußen), სხვა ფინანსური სანქციები (sonstige finanzielle Sanktionen) და სხვა სამართლებრივი შედეგები (sonstige Rechtsverluste).[1]

II ევროპული სისხლის სამართლის წყაროები

ფორმალურად, ევროკავშირის დაარსების მომენტიდან ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედებამდე არსებობდა ორი სამართლებრივი სისტემა, კერძოდ, ევროგაერთიანებების (ორიგინალური ხასიათის) გაერთიანების სამართალი და ევროკავშირის (ახალი) სამართალი. სინამდვილეში კი, ამ განსხვავების პრაქტიკული მნიშვნელობა დაბალი იყო, რადგან ევროკავშირის ხელშეკრულება იმავდროულად წარმოადგენდა „სახურავ ხელშეკრულებას" („Dachvertrag") ასევე ევროგაერთიანებისთვის, რომელიც წარმოადგენდა კავშირის ერთ-ერთ სვეტს და ევროკავშირი, როგორც წესი, უპირატესად ევროგაერთიანების ორგანოებით მოქმედებდა.

არსებობს ორი სახის: „პრიმერული" (პირველადი, ანუ ძირითადი) და „სეკუნდარული" (მეორადი, ანუ დამატებითი) ევროპული სამართალი[2].

ევროპული გაერთიანების პრიმერული სამართლის პოზიტიური (დაწერილი) წყაროებია: ევროპული გაერთიანებების დამაფუძნებელი ხელშეკრულებები, მათი ოქმებისა და დეკლარაციების ჩათვლით. ასევე, არსებობს დაუწერელი პრიმერული სამართალი, კერძოდ, გაერთიანების ჩვეულებითი სამართლისა (მაგალითად, ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 203-ე მუხლის პირველ აბზაცთან მიმართებაში[3]) და ზოგადი სამართლებრივი პრინციპების სახით.

იმის შესაძლებლობა, რომ ევროპის კავშირის საბჭოში წარმომადგენლობა შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფო მდივნების მიერ, წარმოადგენს ხელშეკრულების ტექსტის განვრცობას გაერთიანების დაუწერელი პრიმერული სამართლის ნორმით, რომელიც ჩვეუ-

---

1 შეად. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 91-92.

2 ევროპული სამართლის წყაროებზე იხ. *Streinz*, Europarecht, მე-8 გამოცემა, 2008, გვ. 137-181.

3 შეად. *Oppermann*, §6 Rn. 18; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 350.

ლებითი სამართლით არის აღიარებული (ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 203-ე მუხლის პირველი აბზაცი).

ზოგადი სამართლებრივი პრინციპები, როგორც გაერთიანების დაუწერელი პრიმერული სამართლის წესები, განმარტებულია, როგორც ისეთი სამართლებრივი დებულებები, რომლებიც საერთოა გაერთიანების წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემებისათვის (იხ. მაგალითად, ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 288-ე მუხლის მე-2 აბზაცი).[1] ლუქსემბურგის სასამართლო დაუწერელი ნორმების გამოყენებისას იყენებს სამართალშედარების ნორმატიულ მეთოდს.[2]

ზოგადი სამართლებრივი პრინციპები შინაარსობრივად გამომდინარეობენ თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის, ისევე, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებიდან (შეად. ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლი).[3] საუბარია ძირითად უფლებებსა და სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ პრინციპებზე. ზოგად სამართლებრივ პრინციპებად, ასევე მიჩნეულია თანაზომიერება, კეთილსინდისიერება და სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნა.[4] ძირითადი უფლებები, როგორც ზოგადი სამართლებრივი პრინციპების შემადგენელი ნაწილი, ლუქსემბურგის სასამართლოს, ასევე გამოჰყავს წევრი სახელმწიფოების საერთო კონსტიტუციური თვალსაზრისებიდან და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან (შეად. ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლი).[5] აღიარებულია, მაგალითად, თანასწორობის ზოგადი პრინციპი, საკუთრების დაცვა, პროფესიული საქმიანობისა და აზრის თავისუფლება, ხოლო პროცესუალური პრინციპებიდან, განსაკუთრებით, საქმის სამართლიანი განხილვის უფლება.[6]

ევროპული გაერთიანების „სეკუნდარული" (მეორადი) სამართალი შეიქმნა გაერთიანების ორგანოების მიერ. კერძოდ, სამართლებრივი აქტების გამოცემის უფლებამოსილებით აღიჭურვა ევროპარლამენტი ევროკავშირის საბჭოსთან ერთად, ან მარტო ევროკავშირის საბჭო, ან ევროკომისია (ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 249-ე მუხლი).

სეკუნდარული სამართლის გასატარებლად მოქმედების ტიპებად ევროგაერთიანების ხელშეკრულების 249-ე მუხლი ითვალისწინებდა შემდეგ ფორმებს:[7] დადგენილებები, ანუ რეგულაციები (Verordnungen), სახელმძღვანელო მიმართულებები, ანუ დირექტივები (Richtlinien), გადაწყვეტილებები (Entscheidungen), რეკომენდაციები (Empfehlungen), შეხედულებები (Stellungsnahmen).[8]

დადგენილებას, ანუ რეგულაციას (Verordnung) აქვს საყოველთაო და უშუალო მოქმედების ძალა და მთლიანად სავალდებულოა ყველა წევრი სახელმწიფოსათვის. იგი მოქმედებს აბსტრაქტულ-გენერალურად.

სახელმძღვანელო მიმართულება, ანუ დირექტივა (Richtlinie) მისი ადრესატი თითოეული

---

[1] შეად. *Oppermann*, §6 Rn. 20; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 350.

[2] ევროპული სისხლის სამართლის განვითარების პროცესში შედარებით-სამართლებრივი მეთოდის მნიშვნელობაზე იხ. *Bacigalupo*, CPC 2004, გვ. 5; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 350.

[3] შეად. *Oppermann*, §6 Rn. 22; *Ambos:* Internationales Strafrecht. მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 350.

[4] შეად. *Oppermann*, §6 Rn. 23; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 350.

[5] შეად. *Oppermann*, §6 Rn. 26; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 350.

[6] შეად. *Oppermann*, §6 Rn. 34; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 350.

[7] შეად. *Oppermann*, §6 Rn. 73; *Ambos/Rackow*, Jura 2006, 506; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 350.

[8] შევეცადეთ, ევროპული „სეკუნდარული" სამართლებრივი აქტებისათვის მოგვეძებნა ყველაზე უფრო შესატყვისი ქართული ტერმინოლოგია, თუმცა იგი შეიძლება სხვაგვარადაც გამოიხატოს.

წევრი სახელმწიფოს მიმართ სავალდებულოა მასში დასახულ მიზნის მიღწევასთან დაკავშირებით, მაგრამ მისი კონკრეტულად დანერგვის ფორმასა და საშუალებას განსაზღვრავს თვით სახელმწიფო.

გადაწყვეტილება (Entscheidung), შიდასახელმწიფოებრივი ადმინისტრაციული აქტების მსგავსად, მთლიანად სავალდებულოა მხოლოდ მასში მითითებული ადრესატებისათვის.

რეკომენდაციები (Empfehlungen) და წინადადებები (Stellungsnahmen) არ წარმოადგენენ სავალდებულოს.

სისხლის სამართლის საქმეებზე პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობის სფეროში ევროკავშირს გააჩნდა მოქმედების სხვადასხვა შესაძლებლობები (ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 34-ე მუხლის მე-2 აბზაცი). ევროკავშირის საბჭოს შეეძლო, წევრი სახელმწიფოს ან კომისიის ინიციატივით, ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, გამოეყენებინა შემდეგი ფორმები:

– საერთო თვალსაზრისები. ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 34-ე მუხლის მე-2 (a) აბზაცი ევროკავშირის საბჭოს აძლევდა შესაძლებლობას, დაედგინა საერთო თვალსაზრისები, რომლებიც გარკვეულ საკითხებზე კავშირის საერთო პოზიციას განმარტავდნენ. ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოები საერთაშორისო-სამართლებრივად ვალდებული იყვნენ, საგარეო ურთიერთობებში, „საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო კონფერენციებზე", წარმოედგინათ ეს პოზიცია (ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 37-ე მუხლი).

– ჩარჩო-გადაწყვეტილებები. ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 34-ე მუხლის მე-2 (b) აბზაცის თანახმად, შესაძლებელი იყო წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი ჰარმონიზაციის განხორციელება „ჩარჩო-გადაწყვეტილებების" მიღების გზით. ისინი, მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, სავალდებულო იყო წევრი სახელმწიფოებისათვის, მაგრამ ტოვებდა არჩევანს მათი იმპლემენტაციის ფორმისა და საშუალების შესახებ. მაშასადამე, არსებითად ევროგაერთიანების დირექტივების მოქმედების წესს შეესაბამებოდა,[1] თუმცა, მისგან განსხვავებით, ხელშეკრულების 34-ე მუხლის მე-2 (b) აბზაცის მე-3 წინადადებაში პირდაპირ არის მითითებული, რომ ჩარჩო გადაწყვეტილებებს არა აქვთ პირდაპირი მოქმედების ძალა.

– სხვა გადაწყვეტილებები. ევროკავშირის ხელშეკრულების 34-ე მუხლის მე-2 (c) აბზაცის მიხედვით, ასევე არსებობდა შესაძლებლობა, შემუშავებულიყო სხვა შინაარსის გადაწყვეტილებები, რომლებიც ემსახურებოდნენ სისხლის სამართლის საქმეებზე პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობის მიზნებს. ასეთი გადაწყვეტილებები სავალდებულო იყო წევრი სახელმწიფოებისთვის, მაგრამ მათ არ ჰქონდათ უშუალოდ მოქმედების ძალა. ამ გადაწყვეტილებებს შეეძლოთ, წევრი სახელმწიფოებისთვის დაედგინათ განსაზღვრული მიზნის მიღწევის გზა. ევროკავშირის საბჭო კვალიფიციური უმრავლესობით ატარებდა ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელი იყო ამ გადაწყვეტილებების კავშირის მასშტაბით რეალიზაციისათვის.

– საერთაშორისო-სამართლებრივი შეთანხმებები. ევროპის კავშირის ნიცას ხელშეკრულების 34-ე მუხლის მე-2 (d) აბზაცი ითვალისწინებდა, რომ საბჭოს შეეძლო, წევრი სახელმწიფოებისთვის შეეთავაზებინა ურთიერთშეთანხმების შესახებ ხელშეკრულების დადება.

– სახელმძღვანელო მიმართულებები. ევროპის კავშირის ნიცას ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, საბჭოს შეეძლო, ასევე, სისხლის სამართლის საქმეებზე პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობის სფეროში განესაზღვრა „ზოგადი პოლიტიკური მიზანდასახულობები".

---

[1] შეად. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 124-125. იხ. აგრეთვე: *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 351.

ევროპის კონსტიტუციის ხელშეკრულების პროექტის I-33-ე მუხლის პირველი აბზაცი „კავშირის სამართლებრივ აქტად" ითვალისწინებდა ევროპული კანონის (Europäisches Gesetz), ევროპული ჩარჩო-კანონის (Europäisches Rahmengesetz), ევროპული რეგულაციის (Europäische Verordnung), ევროპული გადაწყვეტილების (Europäischer Beschluss), ასევე რეკომენდაციებისა (Empfehlungen) და წინადადებების (Stellungsnahmen) შემოღებას.

პროექტის ამავე მუხლის მიხედვით, ევროპული კანონი და ევროპული ჩარჩო-კანონი წარმოადგენდნენ საკანონმდებლო აქტს, ხოლო დანარჩენები – სამართლებრივ აქტს საკანონმდებლო ხასიათის გარეშე.

ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ევროპული კანონი" (Europäisches Gesetz) და „ევროპული რეგულაცია" (Europäische Verordnung), თავიანთი აბსტრაქტულ-გენერალური მოქმედების ძალით, ევროგაერთიანების სეკუნდარულ-სამართლებრივი „რეგულაციების" (Verordnungen) შესაბამისი, (თუმცა კანონი, გასაგებია, უფრო მაღალი რანგის სამართლებრივ ბუნებას გამოხატავს), „ევროპული ჩარჩო-კანონი" (Europäisches Rahmengesetz) კი, სეკუნდარულ-სამართლებრივი „დირექტივების" (Richtlinien) შესაბამისი უნდა ყოფილიყო.[1]

მას შემდეგ, რაც ევროპის კონსტიტუციის იდეის ხორცშესხმა ჩაიშალა, ე.წ. „ლისაბონის ხელშეკრულებით" დღის წესრიგში დადგა ევროპის კავშირისა და ევროგაერთიანების „სახელშეკრულებო რეფორმირების" საკითხი[2]. ამ რეფორმით შეიცვალა ევროპის კავშირის სტრუქტურა. რეფორმის შედეგად, ევროკავშირმა ხელშეკრულებით „ევროპის კავშირის შესახებ"[3] მიიღო ერთიანი სამართალსუბიექტურობა, ხოლო ევროგაერთიანების ხელშეკრულება კი, შეიცვალა ხელშეკრულებით „ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ".[4] მთავრობათაშორისი პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში სწორედ ამ ხელშეკრულებაში დარეგულირების გზით გახდა ევროკავშირის სუპრანაციონალური საქმიანობის ნაწილი.[5]

ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 249-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავდა „სეკუნდარული" (მეორადი) სამართლებრივი აქტების გამოცემის უფლებამოსილებას, შეიცვალა ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 288-ე მუხლით. ევროკავშირის ორგანოები გამოსცემენ დადგენილებებს, ანუ რეგულაციებს (Verordnungen), დირექტივებს (Richtlinien), გადაწყვეტილებებს (Beschlüsse), რეკომენდაციებსა (Empfehlungen) და შეხედულებებს (Stellungsnahmen). ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურა გამოიხატება ევროპული პარლამენტისა და ევროპის კავშირის საბჭოს მიერ, ევროკომისიის წინადადებით, რეგულაციის (Verordnung), დირექტივის (Richtlinie) და გადაწყვეტილების (Beschlüss) ერთობლივად მიღებაში (ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 289-ე მუხლის 1-ლი აბზაცი).

ევროპის კონსტიტუციის ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებული ევროპული (ჩარჩო) კანონები არ იქნა შემოღებული, თუმცა სისხლის სამართლის საკითხებზე პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობის სფეროშიც გახდა შესაძლებელი, „დირექტივების"

---

[1] შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 351.

[2] იხ. ხელშეკრულება ევროკავშირის ხელშეკრულებისა და ევროგაერთიანების ხელშეკრულების შეცვლის შესახებ (ლისაბონის ხელშეკრულება) – Vertrag zur Änderung des Vertrags über die EU und des Vertrags über die EG (Lissabonner Vertrag).

[3] Der Vertrag über die Europäische Union.

[4] Der Vertrag über die Arbeitsweise der Europäischen Union.

[5] ამ საკითხზე იხ. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 103-104; *Rabe,* NJW 2007, 3156; *Weber,* EuZW 2008, 14. შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 351.

(Richtlinien) მეშვეობით განისაზღვროს გარკვეული ჩარჩო-პირობები სისხლის სამართლის კანონმდებლობის სფეროში.[1]

ირლანდიაში 2008 წლის 12 ივნისის რეფერენდუმის შედეგების შედეგად ევროპის ინტეგრაციის გეგმები კი არ ჩაშლილა, არამედ ევროპის კავშირის შემდგომი რეფორმირების პერსპექტივები და ვადები შეიცვალა. ზოგიერთი ავტორი ამ პროცესს სკეპტიკურადაც კი უყურებდა.[2] სკეპტიკოსების იმედი არ გამართლდა და, სათანადო პროცედურების შემდეგ, ლისაბონის ხელშეკრულება 2009 წლის 1 დეკემბერს ძალაში შევიდა.

როგორც ლიტერატურაში არის მითითებული, მიუხედავად ევროპის კონსტიტუციის იდეის ჩავარდნისა, სისხლის სამართლის სფეროში ევროკავშირის ფარგლებში შემდგომი რეფორმები გარდაუვალი იყო. კავშირის „ჭერქვეშ" დაიგეგმა სისხლისსამართლებრივი მოკვლევისა და დევნის სფეროების ცენტრალიზაცია და გაძლიერება. სხვა საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვანია ალტერნატიული პროექტი სახელწოდებით: „ევროპული სისხლისსამართლებრივი დაცვა" (Europäische Strafverteidigung), რომელიც აყენებს „ევროდამცველის" (Eurodefensor) ინსტიტუტის შემოღების იდეას, რათა სამართლებრივ-სახელმწიფოებრივად სათანადოდ იქნეს დაცული ბრალდებულის უფლებები. იგი შეიმუშავა ევროპელ სისხლის სამართლის ცნობილ ექსპერტთა ჯგუფმა. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, „ევროდეფენსორი" უნდა ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ინსტიტუტად, რომელმაც უნდა მოახდინოს ეროვნული დაცვის მექანიზმების მხარდაჭერა და გაძლიერება.[3] ამ გზით, იგი უნდა გახდეს კოორდინირებული ევროპული სისხლისსამართლებრივი დევნის ინსტიტუტის აუცილებელი საპირწონე,[4] რომელიც ნავარაუდევია, შეიქმნას მომავალში.[5]

---

[1] ამ საკითხზე იხ. *Hecker:* Der Vertrag von Lissabon und das Europäische Strafrecht, Iurratio, 2/2009, გვ. 84; შეად. *Richter,* EuZW 2008, 632; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 351.

[2] ასეთი სკეპტიკური პოზიციის მაგალითად იხ. *Rosenau,* ZIS 2008, 11.

[3] ამ იდეის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შეხედულებებზე მნიშვნელოვანი ლიტერატურა მითითებულია *ამბოსთან.* იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 352. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა: *Schünemann,* ZStW 116 (2004), 388, ასევე: *Schünemann* (Hrsg.): Alternativentwurf Europäische Strafverfolgung, 2004, 14, *Nestler,* ZStW 116 (2004), 351, *Kreß,* ZStW 116 (2004), 470. ალტერნატიული პროექტის კრიტიკაზე იხ. *Militello,* ZStW 116 (2004), 436, *Wasmeier,* ZStW 116 (2004), 324, *Vogel,* ZStW 116 (2004), 414. ამ საკითხზე იხ. ასევე ნიდერლანდული პოზიციიდან: *Buruma,* ZStW 116 (2004), 434. „ევროდეფენსორის" ამოცანები და მუშაობის წესი აღწერილია „ევროპის კავშირში ტრანსნაციონალური სისხლის სამართლის პროცესის რეგულირების პროექტის" 32-ე და მომდევნო მუხლებში („Entwurf einer Regelung transnationaler Strafverfahren in der Europäischen Union"), რომელიც 2006 წლის მაისში შეიქმნა საერთაშორისო კონფერენციაზე, სალონიკში. იგი გამოქვეყნებულია წიგნში: *Schünemann* (Hrsg.): Ein Gesamtkonzept für die europäische Strafrechtspflege, 2006, რომელიც ეძღვნება ევროპული სისხლის სამართალწარმოების ერთიან კონცეფციას.

[4] ამ საკითხზე არსებობს სხვა, ალტერნატიული მოსაზრებაც, რომელიც გვთავაზობს „სისხლისსამართლებრივი დაცვის ევროპული ქსელის" („Europäisches Netzwerk der Strafverteidigung") შექმნას, რომელიც ევროპული სამართლის ნორმებით უნდა იქნეს განმტკიცებული. ალტერნატიულ მოსაზრებებზე იხ. *ამბოსის* წიგნის: *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 352 მითითებული ლიტერატურა, განსაკუთრებით, *Vogel,* ZStW 116 (2004), 415, *Ahlbrecht,* StV 2005, 46.

[5] საქართველოსთან მიმართებაში, ამ საკითხთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2009 წლის 11 მარტს მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორმა *ბერნდ შუნემანმა,* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შემდეგ, წაიკითხა საჯარო მოხსენება თემაზე: „სისხლის სამართლის პროცესი და კონსტიტუცია", რომელშიც იგი, სხვა საკითხებთან ერთად, შეეხო სწორედ „ევროდეფენსორის" ინსტიტუტის მნიშვნელობას.

§5. ევროპული პრიმერული სისხლის სამართალი ევროპული გაერთიანების/ევროპის კავშირის ფარგლებში ნიცას ხელშეკრულების მიხედვით

I ევროგაერთიანების სუპრანაციონალური სისხლის სამართალი ევროკავშირის „პირველი სვეტის ფარგლებში. სისხლის სამართლის ევროპეიზაცია

ლისაბონის ხელშეკრულებამდე არსებული ევროპის კავშირის „სამი სვეტის მოდელიდან" გამომდინარეობს, რომ ევროგაერთიანება „პირველი სვეტის" ფარგლებში, მისთვის ევროგაერთიანების შესახებ ნიცას ხელშეკრულებით მინიჭებულ იმ უფლებამოსილებათა ფარგლებში მოქმედებდა სუვერენულად, როგორც სუპრანაციონალური ინსტიტუტი, რომლებიც მას წევრმა სახელმწიფოებმა მიანიჭეს თავიანთი ნაციონალური „სუვერენიტეტის" ნაწილის დათმობის ხარჯზე. ამიტომ მას შეეძლო, ევროპის მასშტაბით მოეხდინა „სამართლის რეალიზაცია", ანუ ყოფილიყო „სამართალშემოქმედი" (Rechtssetzungskompenenz). „სამართლის ქმნის" მისთვის მინიჭებული ეს უფლებამოსილება („jurisdiction to prescribe") ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ მას გააჩნდა ასევე „ორიგინალური" კომპეტენციები სისხლის სამართლის სფეროში და შეეძლო მის მიერ შექმნილი სამართლის საკუთარი აღსრულების ორგანოებით უშუალო რეალიზაცია („jurisdiction to enforce").[1] კერძოდ, სისხლის სამართლის სფეროში მას არ ჰქონდა ისეთი სისხლისსამართლებრივი ნორმების გამოცემის კომპეტენცია, რომელთა რეალიზაცია უშუალოდ მისი ორგანოების მიერ მოხდებოდა. ეს უფლებამოსილება კვლავ წევრი სახელმწიფოების კომპეტენციაში რჩებოდა. მაშასადამე, გაერთიანების სისხლის სამართალი მოქმედებდა ე.წ. შეზღუდული კომპეტენციის პრინციპით.[2] შესაბამისად, გაერთიანების თითოეული მოქმედება, რომელიც დაკავშირებული იყო „სამართლის ქმნასთან", ეფუძნებოდა პრიმერულ სამართლებრივ ხელშეკრულებებში მოცემულ კონკრეტულ პოზიტიურ-სამართლებრივ ან სამართლებრივი ინტერპრეტაციის შედეგად შექმნილ ნორმას კონპეტენციის საფუძვლების შესახებ[3], ვინაიდან ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების მე-5 მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, გაერთიანება უფლებამოსილი იყო, ემოქმედა მისთვის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. ამდენად, სუვერენული ნაციონალური სახელმწიფოსაგან განსხვავებით, ევროგაერთიანებას არ ჰქონდა კომპეტენციის კომპეტენცია[4], რომლის ძალითაც იგი შეძლებდა საკუთარი კომპეტენციის გაფართოებას.[5]

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ცნების ახსნა-განმარტება, თუ რას ნიშნავდა ევროგაერთიანების კომპეტენცია სისხლისსამართლებრივი ნორმების გამოცემის სფეროში? იგი გულისხმობდა სისხლის სამართალს ვიწრო გაგებით, ე.ი. კრიმინალური ხასიათის ქმედებებისათვის

---

[1] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 147-148. იხ. ასევე: *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 414; *Ligeti:* Strafrecht und strafrechtliche Zusammenarbeit in der EU, 2005, გვ. 69-70.

[2] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 414; *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 97; *Hecker*, Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 153; JA 2007; 563, *Rosenau*, ZIS 2008, 12.

[3] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 414; *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 33.

[4] შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 414.

[5] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 414; *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 33; *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 142.

სისხლისსამართლებრივი ნორმების გამოცემას დასჯითი ხასიათის სანქციებით, რომლებიც ითვალისწინებენ თავისუფლების აღკვეთას ან ფულად ჯარიმას.[1] მათგან განსხვავდება წმინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, რომლებიც, ძირითადად, ითვალისწინებენ ფულად სახდელებს. გაერთიანების ფულადი სახდელებისა (Bußgelder) და ფულადი სანქციების (Geldsanktionen) სიდიდე არაფერს არ ცვლის იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი ფულად ჯარიმებად სისხლის სამართლის გაგებით ჩაითვალონ. ზოგიერთი ავტორი ევროკავშირის სანქციებს „სანქციათა ახლებულ ტიპად" (EU-Sanktionen als „neuartiger Sanktionstypus") მიიჩნევს.[2] *ზატცგერის* აზრით, ისინი არ წარმოადგენენ კრიმინალურ სანქციებს, რადგან მათი საშუალებით არ ხდება ქმედების „სოციალ-ეთიკური ულირსობის განსჯა"[3].

გაერთიანების მიერ ასეთი „დაბალი რანგის" კრიმინალური სისხლის სამართლის სანქციების შექმნის კომპეტენციები არსებობდა სხვადასხვა სფეროებისთვის:[4]

ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 83-ე მუხლის მე-2 (a) აბზაცი უფლებამოსილებას ანიჭებდა საბჭოს, ევროკომისიის წინადადებითა და ევროპარლამენტში ამ საკითხზე მოსმენის შემდეგ, შემოეღო ფულადი სახდელები (Geldbußen);

ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 110-ე მუხლის მე-3 აბზაცის მიხედვით, ევროპის ცენტალურ ბანკს შეეძლო, გარკვეული წინაპირობების არსებობისას, საწარმოებისთვის დაეკისრებინა ფულადი სახდელები (Geldbußen).

ამბოსის აზრით, ევროგაერთიანების ხელშეკრულების ასეთი ნორმებიდანაც კი არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი კომპეტენციების გამოყვანა, რადგან ისინი, მათი სახელწოდებიდანაც გამომდინარე, წარმოადგენენ სანქციებს მხოლოდ კრიმინალური სისხლის სამართლის გარეთ (Geldbußen)[5].

პრობლემატურია ე.წ. „ღია ცნებები"[6], რომლებიც, სიტყვათა ჟღერადობის მიხედვით, ისე ჩანს, რომ თითქოს კრიმინალურ სისხლის სამართალს მიეკუთვნებიან. ასეთ ნორმებს მიეკუთვნება, უპირველეს ყოვლისა, ამსტერდამის ხელშეკრულების შედეგად ჩამოყალიბებული ევროგაერთიანების ხელშეკრულების 280-ე მუხლის მე-4 აბზაცი. ამ ნორმის ხარვეზი უნდა შეევსო ევროგაერთიანების ხელშეკრულების 280-ე (a) მუხლის კომისიის პროექტს.[7] ლიტერატურაში მითითებულია იმის შესახებ, რომ სადავო იყო ევროგაერთიანების კომპეტენცია სუპრანაციონალური სისხლის სამართლის კანონების გამოცემის თაობაზე.[8] ამის გამო, ევროპის კონსტიტუციის ხელშეკრულების პროექტის III-415-ე მუხლი და მისი შესაბამისი ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების (AEUV) 325-ე მუხლი იმთავითვე მიზნად ისახავდა ევროგაერთიანების ხელშეკრულების 280-ე მუხლის რეფორმირებას და ევროპის კავშირისათვის სუპრანაციონალური სისხლისსამართლებრივი კომპეტენციის მინიჭებას.[9]

---

[1] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 415; *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 72; *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 150.

[2] ასე, მაგალითად, *Prieto,* ZStW 120 (2008), 414.

[3] იხ. *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 76; *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 93.

[4] ევროგაერთიანების „სანქციათა სამართლის" შესახებ, რომელსაც ჩვეულებრივ სისხლის სამართლის ნორმებთან შედარებით „დაბალი რანგი" აქვთ, იხ. *Fromm,* ZIS 2007, გვ. 280.

[5] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 415.

[6] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 415.

[7] შეად. Grünbuch Europäische Staatsanwaltschaft, პარ. 141.

[8] შეად. *Zöller,* Europäische Strafgesetzgebung, ZIS 7/2009, გვ. 342.

[9] შეად. *Satzger,* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 103-104; *Rose-*

იყო მცდელობა, რომ ევროგაერთიანების დარგობრივი კომპეტენციიდან (Sachkompetenz) გამომდინარე, როგორიცაა, მაგალითად, აგრარული პოლიტიკა (ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 34-ე მუხლის მე-2 აბზაცი), დასაბუთებულიყო სუპრანაციონალურ დონეზე ამ დარგთან დაკავშირებული სანქციების შექმნის უფლებამოსილება, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, იგი შეიძლება, ასევე, ყოფილიყო სისხლისსამართლებრივი ხასიათის[1].

ამ საკითხთან დაკავშირებით ლიტერატურაში არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები, მათ შორის, „უმცირესობის მიერ გამოხატული გაერთიანების ერთგულების პოზიცია" („gemeinschaftsfreundliche Mindermeinung")[2].

ერთი რამ ნათელია: ევროპული სუპრანაციონალური ორგანოებისათვის სისხლისსამართლებრივი კომპეტენციების გადაცემა უნდა დაფუძნებოდა სუვერენულ წევრ სახელმწიფოთა ნათლად გამოხატულ ნებას. იგი გამოხატული უნდა ყოფილიყო გაერთიანებისათვის უფლებამიმნიჭებელ სპეციალურ ნორმაში.[3] ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისები სწორედ იმასთან დაკავშირებით, წარმოადგენდა თუ არა ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 280-ე მუხლის მე-4 აბზაცი უფლებამოსილების მიმნიჭებელ ასეთ საფუძველს.[4] ვინაიდან წევრ სახელმწიფოთა ნება ამ ნორმაში ნათლად არ იყო გამოხატული, შეიქმნა მისი რეფორმირების აუცილებლობა, ხოლო ლისაბონის ხელშეკრულებით შეიცვალა იგი.

II ევროპეიზაციის სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტორები

ევროკავშირის ფარგლებში, მართალია, დღემდე არ არსებობს ერთიანი ევროპული სისხლის სამართლის კანონი. მიუხედავად ამისა, ცალკეულ წევრ სახელმწიფოებში ნაციონალურ სისხლის სამართალის განვითარებაზე მრავალმხრივი ზეგავლენა მოახდინა გაერთიანების ძირითადი („პრიმერული") და დამატებითი („სეკუნდარული") სამართლის ნორმებმა.

მართალია, ერთი მხრივ, ნიცას ხელშეკრულებით არ არსებობდა ევროგაერთიანების ორგანოების მიერ „ორიგინალური" „სისხლის სამართლის ქმნის" კომპეტენცია (Strafrechtssetzungskompetenz), მეორე მხრივ, წევრი სახელმწიფოების ნაციონალური სისხლის სამართალი უკვე მაშინ გაერთიანების პრიმერული და სეკუნდარული სამართლის მრავალმხრივი ზეგავლენით ვითარდებოდა. ამასთან დაკავშირებით, *ამბოსი* განასხვავებს ზეგავლენის შემდეგ გამოვლინებებს:

– გაერთიანების სამართლის მიერ ნაციონალურ სამართალზე მითითება, ე.წ. „ასიმილირება";

– ნაციონალური სამართლის მიერ გაერთიანების სამართალზე მითითება;

– ჰარმონიზაცია დირექტივების (Richtlinien) მეშვეობით;

– ჰარმონიზაცია და, შესაბამისად, ასიმილირება სხვა პრინციპების საფუძველზე.[5]

აღსანიშნავია, რომ ბლანკეტური (მითითებითი) ნორმა, ცალკე აღებული, არ წარმოადგენს ქმედების შემადგენლობის სრულ სურათს, არამედ სუბსუმციისათვის აუცილებელია, ასევე,

---

nau, ZIS 2008, გვ. 16.

[1] ამის შესახებ იხ. გერმანული ლიტერატურაზე მითითება წიგნში: *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 416.

[2] ამ საკითხზე განსხვავებული პოზიციები წარმოდგენილია წიგნში: *Schröder:* Europäische Richtlinien und deutsches Strafrecht, 2002, გვ. 110; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 416.

[3] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 417; *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 136; *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 158.

[4] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 417.

[5] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 422.

ბლანკეტურ ნორმაში მითითებულ ნორმაში მოცემული ნიშნების შესაბამისობის დადგენა საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებთან. მაშასადამე, დანაშაულის სრული შემადგენლობა მოცემულია გაერთიანების სამართლის დებულებებსა და ნაციონალურ ბლანკეტურ ნორმებში ერთობლივად.[1]

ლიტერატურაში ტერმინოლოგიურად განასხვავებენ ე.წ. „შიდა" და „გარეთა" მითითებებს შორის. „შიდა მითითება" (Binnenverweisung) ეწოდება იმ შემთხვევას, როცა ბლანკეტურ და მითითებულ ნორმას ერთი და იგივე ნორმის გამომცემი ჰყავთ, მაშინ, როდესაც „გარეთა მითითებისას" (Außenverweisung) ბლანკეტური ნორმა და მითითების ობიექტი ნორმა სხვადასხვა ნორმის გამომცემისგან მომდინარეობს.[2]

გარდა ამისა, განასხვავებენ სტატიკურ და დინამიკურ მითითებებს შორის. „სტატიკური მითითება" (statische Verweisung) ეწოდება იმ შემთხვევას, როცა მითითებულია კონკრეტული რედაქციის სახით ჩამოყალიბებულ სხვა ნორმაზე, ხოლო „დინამიკური მითითების" (dynamische Verweisung) შემთხვევაში კი, მითითება ხდება სხვა ნორმის გამოყენებაზე, მისი ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედი აქტუალური რედაქციით.[3]

არსებობს ე.წ. „ბლანკეტური სისხლის სამართლის კანონი", რომელიც შეიცავს სასჯელის მუქარას, მაგრამ სხვა ნორმაზე მიუთითებს, სადაც მოცემულია ქმედების შემადგენლობის ნიშნები.[4]

ევროპეიზაციის სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტორებზე მოვიყვანთ რამდენიმე კაზუსს *ამბოსის* მიხედვით და მათ შესახებ ვიმსჯელებთ ქვემოთ[5]:

(1) აშშ მოქალაქე (მ) ევროპული სასამართლოს წინაშე ლუქსემბურგში წარსდგა მოწმის სახით და ფიცის ქვეშ, შეგნებულად მისცა ცრუ ჩვენება. დასჯადია თუ არა მ.-ს ქმედება ცრუ ჩვენების მიცემისათვის?

(2) ცხოველებით მოვაჭრე ვ.-ს სურს აფრიკული სპილოს გერმანიაში ჩამოყვანა, რათა იგი ერთ-ერთ ზოოპარკს მიჰყიდოს. ნებადართულია თუ არა ვ.-ს მიზანდასახულობის განხორციელება, თუ სისხლისსამართლებრივად დასჯადი?

(3) იტალიის მოქალაქე კ.პ.-მა გერმანიაში შემოიტანა სპეციალურ ბოთლებში („Bocksbeutelflaschen") ჩასხმული ღვინო. ეს ბოთლები მიღებულია ზემო იტალიასა და სამხეთ ტიროლში, მაგრამ მისი გამოყენება გერმანიაში ქმედების ჩადენის დროს მოქმედი ღვინის წარმოების წესების (Weinverordnung) ნორმებით მხოლოდ ფრანკული წარმოშობის ღვინოებისათვის იყო ნებადართული. ჩაიდინა თუ არა კ.პ.-მა დასჯადი ქმედება?

(4) პროკურატურამ ფედერალურ უმაღლეს სასამართლოში (BGH) შეიტანა სარევიზიო საჩივარი გერმანიის ერთ-ერთი ლანდის სასამართლოს მიერ გამოტანილ გამამართლებელ განაჩენზე. სასამართლომ განსასჯელი გაამართლა საბიფათო ნარჩენებისადმი უნებართვო მოპყრობის ბრალდებაში (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის §326-ის პირველი აბზაცი). ფედერალურ უმაღლეს სასამართლოს დასჭირდა „ნარჩენის" ცნების შესახებ სხვადასხვა პოზიციათა ურთიერთშეჯერება. რამდენად მნიშვნელოვანია ასეთ შემთხვევაში ევროპული სამართალი?

---

[1] იხ. *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 187.

[2] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 423.

[3] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 423.

[4] ამის ერთ-ერთი მაგალითია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის §315(a) მუხლის აბზ. 1 №2. ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, არსებობს არაერთი ასეთი ბლანკეტური ნორმა, მაგალითად, 275-ე და 276-ე მუხლები.

[5] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 422. პირველი კაზუსი *ამბოსთან* მოცემულია *ზატცგერის* მიხედვით: შეად. *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 195; *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 93.

1. ასიმილირების პრინციპი

ე.წ. „ასიმილირების პრინციპი" წარმოადგენს გაერთიანების სამართლის მიერ ნაციონალურ სამართალზე მითითებას. გაერთიანების პრიმერულ და სეკუნდარულ სამართალში მოიპოვება არაერთი ასეთი მითითება ნაციონალურ სამართალზე. ასეთი მითითებების მიზანია ის, რომ გაერთიანების სამართლის ბლანკეტური ნორმის დაცვის ობიექტი გაერთიანების სამართლებრივი სიკეთეების სისხლისსამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით იმავე სახის ნაციონალურ სამართლებრივ სიკეთეებს გაუტოლდეთ, რათა ამით მოხდეს წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემების „ასიმილირება".[1] ასეთი პრიმერულსამართლებრივი „ასიმილირების" ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მაგალითს წარმოადგენს ლუქსემბურგის ევროპული სასამართლოს წესდების 30-ე მუხლში მოცემული შემთხვევა. იგი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, განახორციელონ შიდასახელმწიფოებრივი სისხლისსამართლებრივი დევნა ლუქსემბურგის ევროპული სასამართლოს წინაშე მიცემული ცრუ ჩვენებისათვის: „ყოველი წევრი სახელმწიფო განიხილავს მოწმის ან ექსპერტის (სპეციალისტის) მიერ ფიცის გატეხვას, როგორც სამოქალაქო საქმეებზე უფლებამოსილი თავისი საკუთარი სასამართლოების წინაშე ჩადენილ დანაშაულს. ევროპული სასამართლოს განაცხადის საფუძველზე, იგი ქმედების ჩამდენის მიმართ ახორციელებს დევნას საკუთარი უფლებამოსილი სასამართლოების მეშვეობით".

ნორმის ასეთ კონსტრუქციას აქვს თავისი შედეგები. უპირველეს ყოვლისა, იგი იწვევს ნაციონალური სისხლის გამოყენების სამართლის ექსპანსიას[2], რადგან წევრი სახელმწიფოების ნაციონალური სისხლის სამართლის იურისდიქციის გაფართოება ხდება უცხოეთში (ლუქსემბურგში) და საერთაშორისო (გაერთიანების სამართლებრივი) პროცესის დროს ჩადენილი დელიქტების მიმართ.[3] მეორე მხრივ, იგი იწვევს უშუალოდ სისხლის მატერიალურ-სამართლებრივ შედეგებს. გაბატონებული შეხედულების მიხედვით, ე.წ. პრიმერულ-სამართლებრივი ასიმილირების ნორმა, როგორიცაა, მაგალითად, ლუქსემბურგის სასამართლოს წესდების დასახელებული 30-ე მუხლი, არის თვითაღსრულებადი *(self-executing)* და, ამდენად, წარმოადგენს წევრ სახელმწიფოებში გაერთიანების უშუალოდ მოქმედ სამართალს.[4] სწორედ ამიტომ, იგი იწვევს ქმედების კონკრეტული ნაციონალური შემადგენლობების გაფართოებას გაერთიანების შესაბამისი პრიმერულსამართლებრივი ასიმილირების დებულებებით. *ამბოსი*[5] მიუთითებს, რომ სულერთია ასიმილირების შედეგად ხდება „ერთიანი სუპრანაციონალური შემადგენლობების" („supranationale Gesamttatbestände") წარმოშობა[6], თუ ნაციონალური სისხლის სამართლის კანონების „ევროპეიზაცია"[7]. იგი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანი-

---

[1] ამის შესახებ იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 240; შეად. ასევე: *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 188; *Eisele*, JA 2000, 899; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 423.

[2] ტერმინი: „Expansion des nationalen Strafanwendungsrechts" იხ. წიგნში: *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 423.

[3] იხ. *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 192; *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 94; *Eisele*, JA 2000, 899; *Tiedemann*, NJW 1993, 25; *Dannecker/ Freitag*, ZStW 116 (2004), 808.

[4] იხ. *Eisele*, JA 2000, 900. სხვა პოზიციას ავითარებს ზატცგერი. იხ: *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 192; *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 94.

[5] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 424.

[6] ასე, მაგალითად, *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 242.

[7] ასე, მაგალითად, *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 193, რომელიც, სხვა ავტორებზე მითითებით, უარყოფს გაერთიანების სამართლის ნორმის უშუალო მოქმედების ძალას. იხ. ასევე: *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 95; *Rosenaue*, ZIP 2008, 9.

ჭებს შედეგს: სუპრანაციონალური ევროპული სამართლის შედეგად მიიღწევა ქმედების ნაციონალური შემადგენლობების სისხლის გამოყენებით-სამართლებრივი და მატერიალურ-სამართლებრივი ექსპანსია, რომელიც, გაერთიანების სამართლის პრიორიტეტულობის პრინციპის გამო, სუპრანაციონალური ნორმების არსებობის შემთხვევაში, იმავე საკითხზე არსებულ შიდასახელმწიფოებრივ შეზღუდვებს ძალადაკარგულად აქცევს. სწორედ ამიტომ, *ამბოსის* მიხედვით, ეს საკითხი იმით არის საინტერესო, რომ გაერთიანება ამ გზით ქმნის გაერთიანების სუპრანაციონალურ სამართალს, რომელიც უშუალოდ მოქმედებს[1] და, ამით, ფაქტიურად ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც მას გააჩნია სუპრანაციონალური „სისხლის სამართლის ქმნის" კომპეტენციის (Strafrechtssetzungsbefugnis) სფეროში.[2]

„ასიმილირების ტექნიკის" წინააღმდეგ ლიტერატურაში გამოთქმულია მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები. ნაციონალურ სისხლის სამართლის კანონებზე მითითების შედეგად, შესაძლებელია, წევრი სახელმწიფოების მიერ მოხდეს გაერთიანების სამართლებრივი სიკეთეების განსხვავებული დაცვა, რადგან მითითების ეფექტურობა ქმედების შესაბამისი ნაციონალური შემადგენლობის არსებობაზეა დამოკიდებული და შეიძლება ასეთი ზოგჯერ არ არსებობდეს ან მოხდეს არსებულის გაუქმება.[3] ზოგიერთი ავტორის მიერ იგი ასევე მიიჩნევა, როგორც *nullum crimen sine lege*-პრინციპის ხელმყოფი, რადგან გარკვეულ საკითხებზე ნაციონალურ კანონმდებელს არ ძალუძს, ზეგავლენა მოახდინოს საკუთარი სისხლის სამართლით დასჯადი ქმედების შემადგენლობების შემოღებაზე.[4] ასევე, არის შემთხვევები, როცა „ასიმილირების" შედეგად წარმოქმნილი „ქმედების ერთიანი შემადგენლობა" ინტერპრეტაციის რთულ პრობლემებს წარმოშობს.[5] ევროპული სუპრანაციონალური ბლანკეტური ნორმა წარმოშობს პრობლემებს „ნორმის განსაზღვრულობის" (Bestimmtheitsgebot) თვალსაზრისითაც, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის ერთ-ერთ მოთხოვნას[6]. პრობლემურია ის, რომ ბლანკეტური ნორმა, როგორიცაა, მაგალითად, ლუქსემბურგის ევროპული სასამართლოს წესდების 30-ე მუხლი, დაკონკრეტების გარეშე, ნაციონალურ სისხლის სამართალზე ზოგადად მიუთითებს. მართლაც, გარკვეულ კითხვებს ბადებს, თუ რამდენად შეიძლება წევრი სახელმწიფოების ნაციონალურ სისხლის სამართალზე ზოგადი მითითების გამო, რომელიც არ პასუხობს ნორმის განსაზღვრულობის მოთხოვნებს, ნორმის ადრესატს მოეთხოვოს მისი გამოყენების დროს წარმოშობილ განსაკუთრებულ სიძნელეებში გარკვევა?[7] ამ პრობლემის გადასაჭრელად, საჭიროდ მიიჩნევენ, რომ ასიმილირების შედეგად ნაციონალური სისხლის სამართლის მოქმედების ფარგლების გაფართოება ნათლად გამოხატულად იქნეს ასახული კონკრეტულად მითითებულ ნაციონალურ სამართლებრივ დებულებაში.[8] პრობლემისადმი ასეთი მიდგომა მიიჩნევა, როგორც ლუქსემბურგის ევროპული სასამართლოს მართლმსაჯულების პოზიციასთან კონფლიქტური, რადგან ეს უკანასკნელი ხაზგასმით უარყოფს

---

[1] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 424.

[2] ამ საკითხზე იხ. ასევე: *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 195; *Eisele*, JA 2000, 900; *Tiedemann*, NJW 1993, 25; *Dannecker*, Jura 1998, 81.

[3] იხ. *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 196; *Eisele*, JA 2000, 900; *Tiedemann*, ZStW 116 (2004), 950.

[4] იხ. *Jung/Schroth*, GA 1983, 264.

[5] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 424.

[6] იხ. *Roxin*, Strafrecht, AT I, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 142. იხ. ასევე: *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 197; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 425.

[7] იხ. *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 197; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 425.

[8] იხ. *Pabsch*, NJW 1959, 2004; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 425.

უშუალოდ გამოყენებადი გაერთიანების სამართლის განმეორების საჭიროებას ნაციონალურ კანონებში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გაერთიანების (პრიორიტეტულ) სამართალსა და ნაციონალურ სამართლებრივ სისტემებს შორის სხვადასხვაობის გამოკვეთა.[1] *ზატცგერის* აზრით, ბლანკეტურ ნორმებს არ უნდა ჰქონდეთ უშუალო მოქმედების ძალა, არამედ ამის ნაცვლად მათში დანახული უნდა იქნეს წევრ სახელმწიფოთა ვალდებულება, მოახდინონ თავიანთი სისხლის სამართლის კანონების გაერთიანების რელევანტური სამართლებრივი სიკეთეების დაცვის თვალსაზრისით გარდაქმნა. დამატებით, ასევე მოქმედებს ნაციონალური სასამართლოების მიერ ეროვნული სისხლის სამართლის კანონების გაერთიანების სამართლის შესაბამისი ინტერპრეტაციის მოთხოვნის ვალდებულება.

გარდა გაერთიანების პრიმერულ-სამართლებრივი ბლანკეტური ნორმებისა, რომლებიც შეიცავენ ნაციონალურ (სისხლის) სამართალზე მითითებებს, გაერთიანების სამართლებრივი სიკეთეების სისხლისსამართლებრივი დაცვის მიზნით ასიმილირება შეიძლება მოხდეს იმგვარადაც, რომ გაერთიანების სეკუნდარული სამართალი, კერძოდ, რეგულაციები (Verordnungen) შეიცავდეს მითითებას ნაციონალურ სამართალზე.[2] *ამბოსის* თქმით, მაშინ, როდესაც გაერთიანების პრიმერულ-სამართლებრივი ასიმილირებები მნიშვნელოვნად დამაფიქრებელია, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ გაბატონებული შეხედულება[3] სეკუნდარულ-სამართლებრივ ასიმილირებას *a limine* უარყოფს.[4] მნიშვნელოვანი განსხვავება პრიმერულ-სამართლებრივ და სეკუნდარულ-სამართლებრივ ასიმილირებებს შორის მდგომარეობს იმაში, რომ ეს უკანასკნელი საერთაშორისო-სამართლებრივ ხელშეკრულებასაც კი არ ეფუძნება.[5] სწორედ ამიტომ ხდება ის, რომ ბოლო პერიოდში ევროგაერთიანებამ უარი თქვა სეკუნდარულ-სამართლებრივი მითითებებით ასიმილირების ტექნიკაზე.[6] თუმცა ამ სფეროში მაინც არსებობს გარკვეული სეკუნდარულ-სამართლებრივი რეგულაციები. ასე, მაგალითად, მონაცემთა ბაზის „საბაჟო საინფორმაციო სისტემის" (Zollinformationssystem) საქმიანობა დაეფუძნა ევროკავშირის საბჭოს მიერ 1997 წლის 13 მარტს მიღებულ რეგულაციას (EG-VO 515/97)[7]. იგი წარმოადგენს ევროკომისიასთან არსებულ მონაცემთა ცენტრალურ ბაზას, რომელიც წევრი სახელმწიფოების საბაჟო სამსახურებისათვის პირდაპირ ხელმისაწვდომია. ამ სამართლებრივი აქტის 45-ე მუხლის პირველი აბზაცის მე-2 წინადადება დასახელებულ საინფორმაციო სისტემაში არსებულ მონაცემთა გაცემის შესახებ განსაზღვრავს, რომ „ისინი ექცევიან პროფესიული საიდუმლოების ქვეშ და ექვემდებარებიან ისეთსავე დაცვას, როგორსაც იმ

---

[1] ამ საკითხზე ლუქსემბურგის ევროპული სასამართლოს 1977 წლის 2 თებერვლისა და 1973 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებების შესახებ იხ. *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 199; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 425.

[2] ამ საკითხზე მაგალითები იხ. *Satzger*, Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 207.

[3] მაგალითად, *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 208; *Eisele*, JA 2000, 900; *Tiedemann*, NJW 1993, 25; *Tiedemann*, ZStW 116 (2004), 950.

[4] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 425-426. *a limine* – (ლათინური) წარმოადგენს პროცესუალურ ტექნიკას და ნიშნავს გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას დასაბუთების გარეშე. ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებს ზოგჯერ აქვთ აშკარად დაუშვებელი და დაუსაბუთებელი საჩივრების ამ პროცესუალური ტექნიკით უარყოფის უფლება.

[5] იხ. *Tiedemann*, NJW 1993, 25; *Tiedemann*, ZStW 116 (2004), 950; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 426.

[6] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 243-244; *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 208; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 426.

[7] იხ. EG-Verordnung №515/97. საბჭოს 1997 წლის 13 მარტის რეგულაცია „წევრი სახელმწიფოების ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის სამსახურებრივი ურთიერდახმარებისა და ამ ორგანოების კომისიასთან თანამშრომლობის შესახებ, რაც დაკავშირებულია საბაჟო და აგრარული რეგულაციების დადგენილი წესის შესაბამისად გამოყენებასთან".

წევრი სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი სამართალი, რომელმაც იგი მიიღო, ასეთივე სახის ინფორმაციის გაცემისათვის უზრუნველყოფს (...)". მაშასადამე, აღნიშნული წარმოადგენს გაერთიანების სეკუნდარულ-სამართლებრივი ასიმილირების მაგალითს, რომელიც ხორციელდება სეკუნდარული სამართლის ნორმაში ნაციონალურ სამართალზე მითითების გზით. ამ შემთხვევაში, წევრ სახელმწიფოებში გამოიყენება ნაციონალური სისხლის სამართლის კოდექსების შესაბამისი ნორმები, მაგალითად, გერმანიაში, სისხლის სამართლის კოდექსის 203, 204, 353(b) პარაგრაფები.[1]

ერთ-ერთი კაზუსის მიხედვით[2], აშშ მოქალაქე (მ) ლუქსემბურგში ევროპული სასამართლოს წინაშე წარსდგა მოწმის სახით და ფიცის ქვეშ მისცა შეგნებულად ცრუ ჩვენება. დასჯადია თუ არა მ.-ს ქმედება ცრუ ჩვენების მიცემისათვის?[3]

თუ ამ კაზუსს ევროკავშირის ერთ-ერთი სახელმწიფოს (გერმანიის) კანონმდებლობის მიხედვით დავასაბუთებთ, მივიღებთ შემდეგ სურათს: ამ შემთხვევაში, *prima facie*[4], გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე პარაგრაფი (Meineid: „ცრუ ჩვენების მიცემა") არ შეიძლება იქნეს გამოყენებული, რადგან გაბატონებული შეხედულებით, იგი მხოლოდ გერმანულ სამართალწარმოებას იცავს. თუმცა ნაციონალური სისხლის სამართლის ამ ნორმის ასიმილირება ხდებოდა ლუქსემბურგის ევროპული სასამართლოს წესდების 30-ე მუხლის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს გაერთიანების უშუალოდ მოქმედ პრიმერულ სამართლებრივ ნორმას. მაშასადამე, გაერთიანების სამართალი იყენებს ნაციონალური სისხლის სამართლის კოდექსის ნორმას, რის გამოც, ზოგიერთი ავტორის აზრით, ქმედების შემადგენლობა ისე უნდა ყოფილიყო წაკითხული, რომ იგი, ეროვნულ სასამართლო ორგანოებთან ერთად, ლუქსემბურგის ევროპულ სასამართლოსაც მოიცავდა. ამასთან, სისხლის სამართლის კანონის გამოყენების პრინციპების თვალსაზრისითაც, მ.-ს მიმართ საზღვარგარეთ ჩადენილი ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის დამაბრკოლებელ გარემოებად არ მიიჩნეოდა ის, რომ კაზუსში მოცემული შემთხვევა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 პარაგრაფის („Auslandstaten gegen inländische Rechtsgüter": „საზღვარგარეთ ჩადენილი ქმედებები, რომლებიც მიმართულია შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი სიკეთეების წინააღმდეგ") მე-10 პუნქტში მოცემულ პირობებს არ აკმაყოფილებდა. ვინაიდან გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე პარაგრაფის გამოყენება ლუქსემბურგის ევროპულ სასამართლოსთან მიმართებაში ავტორთა მიერ პრობლემატურად მიიჩნეოდა, შემუშავებულ იქნა გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე პარაგრაფის პროექტი.[5] იგი დღეისთვის საერთაშორისო სასამართლოებთან მიმართებაში მოქმედ სპეციალურ ნორმად იქცა, რომელმაც ანგარიში გაუწია სწორედ ამ გარემოებას და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ცრუ ჩვენების მიცემის და სხვა მსგავსი ქმედებების შემადგენლობების მიმართ, თუ იგი ჩადენილია საერთაშორისო სასამართლო პროცესებზე და თუ ეს სასამართლო ორგანო შექმნილია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის ვალდებულებების წარმომშობი სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სწორედ ამ სპეციალური ნორმით დამდგარიყო პასუხისმგებლობა.

---

[1] იხ. *Satzger*, Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 207; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 426.

[2] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 422; შეად. ასევე: *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 195; *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 93.

[3] ევროკავშირის ერთ-ერთი სახელმწიფოს (გერმანიის) მაგალითზე ამ კაზუსის ამოხსნა მოცემულია *ამბოსთან.* იხ. *Ambos*: Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 446.

[4] *prima facie* – (ლათინური) ნიშნავს „ერთი შეხედვით".

[5] შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 439.

2. უკუასიმილირების პრინციპი

ასიმილირების პრინციპის საპირისპიროდ, ე.წ. „უკუასიმილირების პრინციპი" წარმოადგენს ნაციონალური სამართლის მიერ პირიქით გაერთიანების სამართალზე მითითებას. საქმე იმაში გახლავთ, რომ „ასიმილირების პრინციპი" არ წარმოადგენს სისხლის სამართლის ევროპეიზაციის ერთადერთ საშუალებას, რომელიც გამოიხატება გაერთიანების პრიმერულ და სეკუნდარულ სამართალში ნაციონალურ სამართალზე მითითებების გაკეთებაში. არსებობს, ასევე საპირისპირო პროცესი, როცა თვით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა უთითებს გაერთიანების სამართალზე. ამ პროცესს, რომელიც წარმოადგენს ე.წ. „ასიმილირების ტექნიკის" საპირისპირო მოქმედებას, ხშირად აქვს ადგილი.

ევროგაერთიანების სამართალთან მიმართებაში, მაგალითად, გერმანულ ლიტერატურაში განასხვავებენ შემდეგი ორი სახის ბლანკეტურ ნორმებს: (1) სისხლის სამართლის კოდექსის მითითებითი ნორმები და (2) კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების (Verordnungen[1]) მითითებითი ნორმები.[2] მიიჩნევა, რომ ნაციონალურ სამართალებრივ ნორმებში გაერთიანების სამართალზე მითითების ტექნიკა წარმოადგენს „სისხლისსამართლებრივი ევროპეიზაციის" უფრო ინტენსიურ პროცესს, ვიდრე ასიმილირების ტექნიკის გამოყენება. ეს განპირობებულია იმით, რომ ამ შემთხვევაში ნაციონალური სისხლის სამართლის ნორმის შინაარსი უშუალოდ განისაზღვრება გაერთიანების სამართლით.[3] ამასთან, ნაციონალური კანონმდებლობების მიერ ასეთი მითითებების ლეგიტიმურობის შესახებ ლიტერატურაში გამოთქმულია მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები:

(1) უპირველეს ყოვლისა, გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, თუ რამდენად აქვს მინიჭებული ნაციონალურ კანონმდებელს უფლებამოსილება, საკუთარი შეხედულებით, გაერთიანების სამართლის გარკვეული ნორმები ნაციონალური სისხლისსამართლებრივი სანქციებით აღჭურვოს, მაშინ, როდესაც თვით გაერთიანების სამართალი ასეთს არ ითვალისწინებს. გამოთქმულია ეჭვი იმის შესახებ, რომ ეს მისი მხრიდან ხომ არ იქნებოდა *Ultra vires* ჩადენილი[4] მოქმედება.[5]

(2) ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ გაერთიანების ჰარმონიზაციის მიზნების საწინააღმდეგოდ, აღნიშნული გამოიწვევდა გაერთიანების ნორმების ადრესატებისადმი არათანაბარ მოპყრობას, თუ მხოლოდ ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში მოხდებოდა გარკვეული სუპრანაციონალური ნორმების დარღვევების სისხლისსამართლებრივი სანქციონირება.[6]

(3) მთლიანობაში, ეს არგუმენტაცია, *ამბოსის* აზრით, არ არის დამაჯერებელი, ვინაიდან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გაერთიანების „სისხლის სამართლის ქმნის კომპეტენ-

---

[1] გერმანულ სამართალში „*Verordnung*" წარმოადგენს კანონს მატერიალური გაგებით, რადგან იგი, კანონის მსგავსად, შეიცავს ზოგადი ხასიათის ქცევის წესებს და წარმოშობს სამართლებრივ უფლებებსა და ვალდებულებებს, ხოლო ფორმალური გაგებით იგი არ არის კანონი, რადგან მისი მიღება ხდება არა საკანონმდებლო, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ. გერმანიის ძირითადი კანონის მე-80 მუხლის მიხედვით, მისი გამოცემა ყოველთვის საჭიროებს საკანონმდებლო ნებართვას.

[2] იხ. *Satzger*, Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 235; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 427, იქვე, გვ. 439.

[3] იხ. *Satzger*, Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 210; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 427-428.

[4] *Ultra vires* – (ლათინური) უფლებამოსილებათა გადამეტებით.

[5] იხ. *Oehler*, FS Baumann, 1992, 568; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 428.

[6] იხ. *Oehler*, FS Jescheck, 1985, 1405; იხ. ასევე: *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 211. შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 428.

ცია“ (Strafrechtssetzungskompetenz) არასრულფასოვანია ან ხარვეზიანია, მაშინ წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ სუვერენული გადაწყვეტილების მიღების უფლება, რათა სისხლის სამართლის წესით დაიცვან გაერთიანების ინტერესების გამომხატველი გარკვეული ნორმები, ისე, რომ ამით არ შეიცვალოს მათი შინაარსი. ასევე, იგი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებასაც, რომ წევრი სახელმწიფოები ხელშეკრულებით არიან ვალდებული, დაიცვან გაერთიანების სამართლებრივი სიკეთეები.[1]

გარდა ამისა, გაერთიანების სამართლის მიმთითებელი ნაციონალური ბლანკეტური ნორმების მიმართ გამოთქმულია კონსტიტუციურ-სამართლებრივი ხასიათის კრიტიკული თვალსაზრისები. განსაკუთრებით, მითითებების შემცველი ნორმების მიმართ გამოთქმულია კრიტიკა, რომ ისინი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ხელისუფლების დანაწილების (Gewaltenteilungsgrundsatz), დემოკრატიისა (Demokratieprinzip) და ნორმის განსაზღვრულობის (Bestimmtheitsgrundsatz) პრინციპების დაცვას. *ამბოსის* თქმით[2], ეს არგუმენტი იმიტომ იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას გაერთიანების სამართალზე მითითების თვალსაზრისით, რომ ამ დროს ადგილი აქვს ორი ავტონომიური – ევროგაერთიანებისა და ნაციონალური სამართლებრივი წეს-წყობილებების დაკავშირებას. იგი იქვე აღნიშნავს, რომ წევრი სახელმწიფოების ნაციონალური სამართლებრივი სისტემების ჰარმონიზაცია ასეთი მითითებების მეშვეობით გულისხმობს, რომ ეროვნული მიმთითებელი ნორმა (სისხლისსამართლებრივი ბლანკეტი) თავის თავში ახდენს გაერთიანების სამართლებრივი ნორმის მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსის ინკორპორირებას გაერთიანების სამართლებრივი მნიშვნელობით. მაშასადამე, არ ხდება „ნორმათა გაორება“ (*Normverdopplung*), რომლითაც გაერთიანების ამკრძალველი ან აღმჭურველი სამართლებრივი ნორმების გვერდით ასეთივე ხასიათის ნაციონალური სამართლის ნორმები შეიქმნება. ამ გზით წარმოიშობილ ნაციონალურ-გაერთიანებისსამართლებრივ ნორმას *ამბოსი* ადარებს *„იანუსის თავს“* (janusköpfig)[3]: იგი მითითების ობიექტთან მიმართებით არის ევროპულად, ხოლო მიმთითებელ ბლანკეტურ ნორმასთან მიმართებით – ნაციონალურ-სამართლებრივად განსაზღვრული.[4]

ევროპული სისხლის სამართლის ბლანკეტური ნორმა გაერთიანების სამართლებრივ მითითების ობიექტთან მიმართებით არის აქცესორული ხასიათის, ამიტომ, *ზატცგერის* აზრით, ნაციონალურ დონეზე მისი გამოყენების დროს, ნორმის შემფარდებელმა, სუბსუმციის მიზნით, უნდა გამოიყენოს გაერთიანების სამართლებრივი ინტერპრეტაციის მასშტაბები.[5] მაგრამ, როგორც *ამბოსი* მიუთითებს, ეს არ გულისხმობს იმას, რომ ამ დროს ინტერპრეტაციის ზოგადი კონსტიტუციურ-სამართლებრივი წინაპირობები და მოთხოვნები არ უნდა იქნეს გათვალისწინებული. ეს პოზიცია იმ არგუნენტით საბუთდება, რომ, როგორც წესი, გაერთიანების პრიორიტეტული სამართლებრივი ნორმის (მითითების ობიექტის) ფორმალური ინკორპორირება ხდება ნაციონალურ სისხლის სამართლის ბლანკეტურ ნორმაში და, ამით, ხდება ნაციონალური სამართლის ნაწილი, რომელიც კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს.[6]

---

[1] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 428; *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 211; *Satzger*, JuS 2004, 948.

[2] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 428.

[3] *იანუსი* (ლათინურად *Ianus*), რომაულ მითოლოგიაში ყველა საქმის წამოწყების ღვთაება, რომელსაც აქვს ორი თავი.

[4] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 266; *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 232; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 428.

[5] იხ. *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 233.

[6] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 428-429; *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 237; *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 132.

ნორმის განსაზღვრულობის პრინციპთან დაკავშირებით, განასხვავებენ თავისუფლების უზრუნველმყოფელ და კომპეტენციათა დამცველ კომპონენტებს.

როგორც წესი, ხდება გაერთიანების სამართლებრივ რეგულაციებზე (Verordnungen) მითითება, საიდანაც გამომდინარეობს სხვადასხვა შედეგები.[1]

მიიჩნევა, რომ შიდასახელმწიფოებრივ სამართალზე მითითება, მაგალითად, გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის მე-2 აბზაცთან შესაბამისობაშია, თუ მითითებითი ნორმა და მითითების ობიექტი, თითოეული თავის მხრივ, საკმარისად განსაზღვრულია. იგივე შეიძლება ითქვას ნაციონალური ბლანკეტური კანონის მიერ გაერთიანების სამართალზე მითითების დროსაც. მაგრამ იმის გამო, რომ ამ დროს ნორმის ადრესატების მხრიდან, როგორც წესი, „მართლშეგნების" სიძნელე იზრდება, ნორმის შინაარსის სრულყოფილად აღსაქმელად, აუცილებელია, რომ მითითების ობიექტი მითითებით ნორმაში გასაგებად იყოს განსაზღვრული.[2]

მითითების დროს მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მითითების ობიექტის შინაარსი ზოგჯერ იცვლება და, ამით, ნორმის ადრესატების მხრიდან, „სამართლის პოვნის" სიძნელე იზრდება. ნორმის განსაზღვრულობის სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი პრინციპის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს, თუ გლობალურად ზოგადად იქნება მითითებული მთლიან ევროპულ აქტზე.[3] კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტზე (Verordnung) მითითების დროს წინა პლანზე დგება კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრობლემატიკა, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრულობის პრინციპის ფუნქციის თვალსაზრისით.[4] ამ დროს წარმოიშობა საფრთხე, რომ საკანონმდებლო ხელისუფლებას მიკუთვნებული „სამართლის ქმნის" ფუნქცია დაუშვებლად იქნება დელეგირებული აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის. ამიტომ მოითხოვს გერმანიის ძირითადი კანონის 103-ე მუხლის პირველი აბზაცი, რომ, ისევე, როგორც კანონქვემდებარე აქტებზე შიდასახელმწიფოებრივი მითითების დროს, ბლანკეტურ კანონში მოცემული სასჯელის წინაპირობები, სახე და ზომა, აქაც, შეძლებისდაგვარად, ზუსტად იქნეს განსაზღვრული, ისე, რომ ქმედების საკანონმდებლო შემადგენლობა მითითებითი ობიექტით ადვილი დასადგენი იყოს.[5]

ერთ-ერთი კაზუსის მიხედვით[6], ცხოველებით მოვაჭრე ვ.-ს უნდა აფრიკული სპილო გერმანიაში ჩამოიყვანოს, რათა იგი ერთ-ერთ ზოოპარკს მიჰყიდოს. ნებადართულია თუ არა ვ.-ს მიერ განზრახული ქმედება, თუ იგი წარმოადგენს სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების შემადგენლობას?

ვ.-ს ქმედება წარმოადგენს თუ არა ევროკავშირის ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში, მაგალითად, გერმანიაში, დანაშაულს ბუნების დაცვის ფედერალური კანონის[7] 66-ე პარაგრაფის პირველი აბზაცისა და 65-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცის 1-ლი ქვეპუნქტის მიხედვით, დამოკიდებულია იმაზე, დარღვეულია თუ არა ევროგაერთიანების ერთ-ერთი სუპრანაციონალური აქტი,

---

[1] იხ. *Satzger*: Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 249, 269; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 429.

[2] იხ. *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 253; *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 133-134; *Satzger*, JuS 2004, 947; *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 270; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 429.

[3] იხ. *Niehaus*, wistra, 2004, 207, 210; იხ. ასევე: *Dannecker*, ZStW 117 (2005), 738; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 429.

[4] იხ. *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 255; *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 272; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 430.

[5] იხ. *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 255; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 430.

[6] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 422.

[7] Gesetz über Naturschutz und Landschaftspflege (Bundesnaturschutzgesetz _ BNatSchG).

კერძოდ, ევროკავშირის საბჭოს 1996 წლის 9 დეკემბრის რეგულაცია (Verordnung 338/97) „იშვიათი ჯიშის გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა ვაჭრობის ზედამხედველობის გზით დაცვის შესახებ"[1]. ამ კანონის 65-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცის პირველი ქვეპუნქტი აკეთებს მითითებას ამ ევროპული აქტის დარღვევაზე, თუ ადგილი ექნება იქ მითითებული იშვიათი ჯიშის გარეული ცხოველის გასაყიდად შემოყვანას. გერმანული კანონის ნორმა არის ბლანკეტური: მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესწავლილი იქნება ეს ევროპული აქტი და მისი პირველი დანართი (Anhang A), კომისიის სხვა, 2000 წლის 30 ნოემბრის, რეგულაციასთან (Verordnung 2724/2000 EG) ერთად, შესაძლებელია დასჯადი ქმედების შემადგენლობის საბოლოოდ განსაზღვრა.[2] ევროპულ აქტებზე მითითების დროს, რომელიც, თავის მხრივ, შედგება დანართებისაგან და შემდგომ მიღებულ ცვლილებათა და დამატებათა შესახებ ნორმებისაგან, პრობლემურია ნორმის განსაზღვრულობის პრინციპის მოთხოვნათა დაცვა.

3. ჰარმონიზაცია დირექტივების მეშვეობით

ნაციონალური სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის პრაქტიკულად ძალზე მნიშვნელოვანი ფორმაა მასზე გაერთიანების სეკუნარულ-სამართლებრივი ზემოქმედება დირექტივების მეშვეობით. ასეთ ჰარმონიზაციას, უპირველეს ყოვლისა, წინ უსწრებს გაერთიანების (პრიმერულ-სამართლებრივი) ჰარმონიზაციის მოთხოვნილება. ლიტერატურაში მითითებულია ამის შესახებ.[3] ამასთან, სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის მოთხოვნილება, ერთი მხრივ, ზოგადად ფორმულირებული სპეციალური უფლებამოსილებებიდან გამოიყვანება.[4] ლიტერატურაში მითითებულია ასეთი სპეციალური უფლებამოსილებების რამდენიმე მაგალითი: ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 71-ე მუხლის პირველი აბზაცის „c" ქვეპუნქტში გათვალისწინებული იყო ტრანსპორტის უშიშროების გაუმჯობესების მიზნით ღონისძიებების გატარება; გარემოს დაცვის პოლიტიკას შეეხებოდა ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 174-ე და 175-ე მუხლები, საიდანაც უშუალოდ გამომდინარეობდა ჰარმონიზაციის მოთხოვნილება ნაციონალური სატრანსპორტო და ეკოლოგიური სისხლის სამართლის სფეროში.[5] ასევე, ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 280-ე მუხლის მე-4 აბზაცის პირველი წინადადება სახელდება, როგორც სისხლის სამართლის ჰარმონიზაციისათვის კომპეტენციის განმსაზღვრელი სპეციალური საფუძველი.[6] ამასთან, ზოგიერთი ავტორი მიუთითებს

---

[1] Verordnung (EG) Nr. 338/97 „Schutz von Exemplaren wildlebender Tier- und Pflanzenarten durch Überwachung des Handels", 9.12.1996.

[2] გერმანული სისხლისა და საჯარიმო დებულებები (Straf- und Bußgeldvorschriften) შეიცავენ არაერთ მითითებას ევროგაერთიანების სამართალზე. მაგალითები მოცემულია წიგნში: *Erbs/kohlhaas:* Registerband, Blankettvorschriften. შეად. ასევე: *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 235; *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 268; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 446.

[3] იხ. *Satzger*: Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 403; *Hecker*: Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 296; *Hecker*, ZStW 115 (2003), 902; *Dannecker*, Jura 1998, 81; იგივე: ZStW 117 (2005), 723; *Eisele*, JZ 2001, 1160; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 431.

[4] ასე, მაგალითად, *Satzger*: Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 408; *Hecker*: Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 298, 300; *Eisele*, JZ 2001, 1160; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 431.

[5] იხ. *Satzger*: Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 412; *Mansdörfer,* Jura 2004, 301; *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 287; იგივე: ZStW 115 (2003), 903; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 431.

[6] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 305; იგივე: JA 2002, 727; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 431.

ე.წ. „ანექსიის კომპეტენციაზე“ *(Annexkompetenz*[1], ანუ *„implied powers“*). სპეციალური უფლებამოსილებების ცნება ფართოა, რადგან იგი ზოგადად ითვალისწინებს ღონისძიებების შესახებ ნორმების გამოცემას, რის გამოც, ევროგაერთიანებას აკლდა სისხლის სამართლის განხორციელების კომპეტენცია.[2]

ამბოსი[3] აზრით, ეს თვალსაზრისი იმიტომ არ არის დამაჯერებელი, რომ იგი არ ითვალისწინებს განსხვავებას გაერთიანების მიერ სუპრანაციონალურ „სამართლის ქმნასა“ და დირექტივების საფუძველზე ნაციონალური სისხლის სამართლის ჰარმონიზაციას შორის: პირველ შემთხვევაში, გაერთიანება წევრი სახელმწიფოს „სისხლის სამაროლის ქმნის“ სუვერენიტეტში ერევა. დირექტივების მეშვეობით მითითებების მიცემის გზით კი, სისხლის სამართლის ეროვნული ნორმა საბოლოოდ მხოლოდ წევრი სახელმწიფოს სუვერენული გადაწყვეტილების საფუძველზე მიიღება, მაშასადამე, საქმე ეხება ნაციონალური, ხოლო მხოლოდ შუალობითად ევროგაერთიანების სუპრანაციონალური სისხლის სამართლის ძალაუფლების განხორციელებას.[4] ამასთან, ევროპული გაერთიანებების სასამართლომ ლუქსემბურგში თავის 2005 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებაში (პარ. 48) „სისხლის სამართლის მეშვეობით გარემოს დაცვის შესახებ“ ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებასთან[5] დაკავშირებით მიიჩნია, რომ გაერთიანების კანონმდებელს იმ შემთხვევაში შეუძლია სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის საშუალება გამოიყენოს, როცა, მისი აზრით, აუცილებელია მის მიერ გარემოს დაცვის მიზნით გამოცემული სამართლებრივი ნორმების სრული ეფექტურობა იქნეს უზრუნველყოფილი, როცა უფლებამოსილი ეროვნული ორგანოების მიერ ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების გამოყენება წარმოადგენს გარემოს მძიმე დაზიანებების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებად ღონისძიებას.[6] აღნიშნული იძლევა პირველი (და არა მესამე) სვეტის ფარგლებში სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის შესაძლებლობების მნიშვნელოვან საშუალებას:

პირველი, კონკრეტულად ევროგაერთიანებების ლუქსემბურგის სასამართლოს არგუმენტაცია ნაკლებად გამომდინარეობს გარემოს დაცვის შესახებ გაერთიანების დებულებების სპეციფიკური ბუნებიდან (ევროგაერთიანების შესახებ ნიცას ხელშეკრულების 174-ე და მომდევნო მუხლები), არამედ იგი ეფუძნება სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის კომპეტენციას, რომელიც ცნობილია ე.წ. ანექსიის სახელწოდებით, რომელიც წარმოადგენს საკითხის რეგულაციის უფლებამოსილებას და შესაძლებელია, ასევე პოლიტიკის სხვა სფეროებშიც იქნეს გადატანილი. იგი წარმოადგენს ცალკეული უფლებამოსილებების შეზღუდული დელეგირების პრინციპის (Prinzip der begrenzten Einzelermächtigung) პრობლემატურ შემთხვევას. ამის გამო, ლიტერატურაში საუბარია სისხლის სამართლის ინსტრუმენტალურ გაგებაზე, როგორც გაერთიანების სამართლებრივი ინტერესების განხორციელების ეფექტურ საშუალე-

---

[1] Annexkompetenz: ეს ტერმინი გამოიყენება არა მარტო ევროპულ სისხლის სამართალში, არამედ გერმანიის საკონსტიტუციო სამართალშიც, მაგალითად, გერმანიის ძირითადი კანონის 70-ე მუხლთან მიმართებაში, ფედერაციასა და ლანდებს შორის საკანონმდებლო კომპეტენციათა განაწილების თვალსაზრისით. ლანდებს აქვთ საკანონმდებლო უფლებამოსილება ყველა იმ სფეროში, რომელიც ძირითადი კანონით ფედერაციას არა აქვს გადაცემული.

[2] იხ. *Tiedemann*, ZStW 116 (2004), 953; *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 299.

[3] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 432.

[4] იგივე აზრს ავითარებენ სხვა ავტორებიც, ასე, მაგალითად, *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 409; *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 280; *Eisele*, JZ 2001, 1160.

[5] იხ. ევროპის კავშირის საბჭოს 2003 წლის 27 იანვრის ჩარჩო გადაწყვეტილება: „Über den Schutz der Umwelt durch das Strafrecht“ (2003/80/JI).

[6] ამის შესახებ იხ. *Heger*, JZ 2006, 307; *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 287; იგივე: JA 2007, 563; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 432.

ბაზე. სწორედ ამიტომ, სისხლის სამართალი განიხილება, როგორც გაერთიანების მიზნების მიღწევის საშუალება[1]. *ბერნდ შიუნემანი* ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქვამს თავის კრიტიკულ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ აღნიშნული წარმოადგენს ევროგაერთიანების მიერ პირდაპირი საკანონმდებლო კომპეტენციის მითვისებას (უზურპაციას), მართლმსაჯულების აქტის დამახინჯებულ სურათს.[2]

ევროგაერთიანებების ლუქსემბურგის სასამართლოს მიერ ანექსიის კომპეტენციის შესახებ ჩამოყალიბებული დებულებების მიუხედავად, დისკუსიის საგანს წარმოადგენდა გაერთიანების ჰარმონიზაციის ზოგადი კომპეტენციები, რომელიც გამომდინარეობდა ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 94-ე მუხლიდან. იგი წარმოადგენდა სეკუნდარული სამართლებრივი ჰარმონიზაციის საფუძველს.[3] ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 94-ე მუხლი შეიცავს გენერალური კლაუზულის (Generalklausel) სახით ფორმულირებული დირექტივების გამოცემის კომპეტენციის ზოგად საფუძველს, რომელიც ეხება იმ ნაციონალური ნორმების შესაბამისობის მიღწევას, რომლებიც მნიშვნელოვანია საერთო ბაზრის ინტერესებისათვის. ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 95-ე მუხლი წარმოადგენდა 94-ე მუხლთან მიმართებით სპეციალურ ნორმას (lex specialis). იგი ემსახურებოდა შიდა ბაზრის ამოცანების შესრულების მიზნით სამართლებრივი ჰარმონიზაციის მიღწევის გამარტივებას (ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების მე-14 მუხლი). 94-ე მუხლისაგან განსხვავებით, რომელიც საკითხის პარლამენტის მიერ მოსმენის შემდეგ საბჭოს მიერ გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას ითვალისწინებდა, 95-ე მუხლი მოითხოვდა თვითგადაწყვეტის პროცედურას (ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 251-ე მუხლი). დაბოლოს, ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 96-ე მუხლი, საბჭოს კვალიფიციური უმრავლესობის შემთხვევაში, ითვალისწინებდა ნაციონალური სამართლებრივი, შესაბამისად, ადმინისტრაციული დებულებების ჰარმონიზაციის შესაძლებლობას, თუ იგი დაკავშირებული იყო კონკურენციის საკითხებთან. ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 308-ე მუხლით გათვალისწინებული იყო ე.წ. „კომპეტენციის შევსება“ (Kompetenzergenzung), თუ იგი აუცილებელი იყო საერთო ბაზრის მიზნების განსახორციელებლად და ამისთვის არ იყო გათვალისწინებული სპეციალური უფლებამოსილება. ამასთან, დადგენილია რესტრიქციული (შეზღუდული) ინტერპრეტაციის მეთოდის გამოყენება, ვინაიდან ევროგაერთიანება არ ფლობდა ე.წ. კომპეტენციის კომპეტენციას (Kompetenz-Kompetenz).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ევროგაერთიანებამ ჰარმონიზაციის კომპეტენცია სხვადასხვა და ნაწილობრივ სადისკუსიო სფეროებში გამოიყენა. ლიტერატურაში დასახელებულია, მაგალითად, შემდეგი სფეროები: ღვინის სექტორი, იარაღის შესახებ ნორმები[4], ნარჩენების

---

[1] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 432-433.

[2] *ბერნდ შიუნემანის* კრიტიკის შესახებ იხ. *Schünemann,* StW 2006, გვ. 362 და 364; იხ. ასევე: ZIS 2007, 536, სადაც იგი გამოთქვამს არგუმენტირებულ თვალსაზრისს, რომ ევროპული კომპეტენციების პერმანენტული გაფართოება წევრი სახელმწიფოების მთავრობებისთვისაც ხელსაყრელია, რადგან ამით ტენდენციურად ნაციონალური პარლამენტების კონტროლი სუსტდება, მაშინ, როდესაც მთავრობების ზემოქმედება ევროპის კავშირის საბჭოზე კვლავინდებურად ნარჩუნდება. იხ. ასევე: KritV 2008, 11. *მარტინ ჰეგერი* უთითებს გაერთიანების სამართლებრივ კომპეტენციაზე მხოლოდ სანქციათა და არა ასევე სისხლისსამართლებრივი დირექტივების სფეროში. იხ. *Heger,* JZ, 2006, 312. იხ. ასევე: *Kaiafa-Gbandi,* ZIS 2006, 523; *Rosenau,* ZIS 2008, 13. ამ საკითხზე შეად. ასევე: *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 432-433.

[3] იხ. *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 419, 423; *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 298-299, 302-305; JA 2007, 563; *Dannecker,* Jura 1998, 81; *Eisele,* 2001; 1160. შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 434.

[4] იხ. საბჭოს დირექტივა იარაღის შეძენისა და მფლობელობის კონტროლის შესახებ (Richtlinie 91/477/EWG des Rates vom 18. 6. 1991 über die Kontrolle des Erwerbs und des Besitzes von Waffen).

მოშორება[1], ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები (Insiderhandel)[2], ფულის გათეთრება. ეს უკანასკნელი ევროპული ეკონომიკური გაერთიანების ხელშეკრულების 57-ე მუხლის მე-2 აბზაცის საფუძველზე იქნა მიღებული[3].

აღნიშნულ და სხვა სფეროებში ევროპის კავშირის ფარგლებში განხორციელდა ჰარმონიზაცია. დიდი მნიშვნელობის არის, მაგალითად, მონაცემთა დაცვის სფერო: თავდაპირველად მიღებულ იქნა ევროგაერთიანების მონაცემთა დაცვის დირექტივა, რომელმაც მიზნად დაისახა მონაცემთა დაცვის ჰარმონიზაცია მონაცემთა დაცვის მაღალ დონეზე[4]. ამასთან დაკავშირებით, ევროპული ორგანოების მოქმედების სამართლებრივ საფუძვლად სახელდება ევროგაერთიანების ხელშეკრულების 286-ე მუხლი, ხოლო მონაცემთა დაცვაზე ზედამხედველობის განმახორციელებლად – მონაცემთა ევროპული დამცველი (European Data Protection Supervisor)[5].

4. გაერთიანების ერთგულების (ლოიალურობის) პრინციპი

ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების მე-10 მუხლიდან გამომდინარეობდა ე.წ. ლოიალურობის პრინციპი. გაერთიანების გარკვეული სამართლებრივი სიკეთეები ექვემდებარებოდა ჰარმონიზაციის დასახელებული ტექნიკების მეშვეობით დაცვას. თუ ასეთს არ ექნებოდა ადგილი, მაშინ მოქმედებდა წევრი სახელმწიფოების გაერთიანებასთან და მის ორგანოებთან ლოიალური თანამშრომლობის შესახებ ვალდებულება, რაც მოცემული იყო ევროგაერთიანების ხელშეკრულების მე-10 მუხლში. ეს ნორმა აყალიბებს წევრი სახელმწიფოების მიერ ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებას. მისი პირველი აბზაცის შინაარსი ასეთია: „წევრი სახელმწიფოები ახორციელებენ ზოგადი და განსაკუთრებული სახის ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა შესრულდეს ყველა ის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს ამ ხელშეკრულებიდან და გაერთიანების ორგანოების მოქმედებებიდან". ამ დებულებიდან უშუალოდ გამომდინარეობდა წევრი სახელმწიფოების ვალდებულება გაერთიანების გარკვეული სამართლებრივი სიკეთეების დაცვის შესახებ.

ევროგაერთიანებების ლუქსემბურგის სასამართლო თავის ცნობილ გადაწყვეტილებაში ე.წ. *ბერძნული სიმინდის („Griechischer Mais")* სკანდალთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს ევროპული სისხლის სამართლის *„leading case"*-ს, დაეყრდნო სწორედ ლოიალურობის პრინციპს. მისი პოზიციით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა გაერთიანების სამართლის მოქმედება და ეფექტურობა უზრუნველყონ, როცა გაერთიანების სამართლის განსაზღვრული ქცევის დებულებისათვის არავითარი სანქციის ნორმა არ არსებობს. წევრ სახელმწიფოებს რჩებათ სანქციის არჩევანი, თუმცა მათ უნდა იზრუნონ იმისათვის, რათა გაერთიანების სამართლის წინააღმდეგ მიმართული დარღვევები მსგავსი

---

[1] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 294-295.

[2] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 295.

[3] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 282-285.თავდაპირველად, 1991 წელს, მიღებულ იქნა საბჭოს დირექტივა ფინანსური სისტემის ფულის გათეთრების მიზნით გამოყენების აღკვეთის შესახებ (Richtlinie 91/308/EWG des Rates vom 10. 6. 1991 zur Verhinderung der Nutzung des Finanzsystems zum Zwecke der Geldwäsche). შემდგომ, 2001 და 2005 წლებში, მიღებულ იქნა ორი სხვადასხვა დირექტივა ფინანსური სისტემის ფულის გათეთრების მიზნით გამოყენებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ (Richtlinie 2001/97/EG des EP und des Rates vom 4. 12. 2001 და Richtlinie 2005/60/EG des EP und des Rates vom 26. 10. 2005 zur Verhinderung der Nutzung des Finanzsystems zum Zwecke der Geldwäsche und der Terrorismusfinanzierung), რომლითაც ამ ქმედების შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

[4] იხ. მონაცემთა დაცვის შესახებ დირექტივა: 95/46/EG des EP und des Rates (24. 10. 1995) zum Schutz natürlicher Personen bei der Verarbeitung personenbezogener Daten und zum Freien Datenverkehr.

[5] http://www.edps.

დარგობრივი და პროცესუალური-სამართლებრივი წესებით დასაჯოს, როგორც ნაციონალური სამართლის საზითა და სიმძიმით ანალოგიური დარღვევები, რა დროსაც, სანქცია, ყოველ შემთხვევაში, ეფექტური, პროპორციული და დამაშინებელი უნდა იყოს"[1].

ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების მე-10 მუხლი შეიცავდა წევრი სახელმწიფოების აქტიური დაცვის ვალდებულებას გაერთიანების სამართლებრივ სიკეთეებთან მიმართებაში. ამასთან, იგი ეხებოდა არა მარტო ფინანსური ინტერესების, არამედ ყველა სხვა სუპრანაციონალური სამართლებრივი სიკეთის დაცვას, რომელიც დაკავშირებული იყო ევროპული გაერთიანების არსებობასა და ფუნქციონირების უნარიანობასთან.[2] წევრ სახელმწიფოს ჰქონდა მოქმედების ვალდებულება იმ შემთხვევაშიც, როცა გაერთიანება არ გამოდიოდა ინიციატივით და არ აძლევდა წევრ სახელმწიფოს დირექტივას, გაერთიანების განსაზღვრული სამართლებრივი სიკეთის დასაცავად გაეტარებინა კონკრეტული ღონისძიებები. ნაციონალურ კანონმდებელს აქვს ვალდებულება, შეამოწმოს, საჭიროა თუ არა ნაციონალური სისხლის სამართლის კანონის შექმნა, რათა ევროპული სამართლებრივი სიკეთე სისხლისსამართლებრივად ეფექტურად იქნეს დაცული. ამასთან, გადამწყვეტია, რომ ევროპული სამართლის ნორმების წინააღმდეგ მიმართული დარღვევები მსგავსი წესებით იქნეს დასჯილი, როგორც ნაციონალური სამართლებრივი წესების წინააღმდეგ მიმართული ანალოგიური დარღვევები (ე.წ. გათანაბრების მოთხოვნა – Gleichstellungserfordernis).[3] ევროკავშირის სახელმწიფოების სისხლის სამართლის კანონებში მოცემულია არაერთი ნორმა, რომლებიც ევროპულ სამართლებრივ სიკეთეებს გათანაბრების მკაფიოდ მოთხოვნის კლაუზულით ნაციონალური სისხლის სამართლის დაცვის სფეროში აქცევენ.[4] ასე შეიქმნა, მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე პარაგრაფი, რის შედეგადაც, დასჯადია არა მარტო ნაციონალური, არამედ, ასევე იმ საერთაშორისო სასამართლოს წინაშე მიცემული ცრუ ჩვენება, რომელიც შექმნილია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

მაშინაც კი, როცა ე.წ. გათანაბრების მოთხოვნიდან გამომდინარე, ნაციონალური სისხლის სამართლის კანონის მიღება აუცილებლად არ მიიჩნევა, რადგან, მაგალითად, წევრი სახელმწიფო თავის საკუთარ ანალოგიურ სიკეთეს სისხლისსამართლებრივად არ იცავს, ასეთ შემთხვევაშიც, შესაძლებელია, ევროპული გაერთიანებების ლუქსემბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობდეს გაერთიანების სამართლებრივი სიკეთეების სისხლისსამართლებრივი დაცვის აუცილებლობა. ამ შემთხვევაშიც სანქციები, ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს ეფექტური, პროპორციული და დამაშინებელი. ეს უკანასკნელი გულისხმობს ე.წ. ნეგატიური გენერალური პრევენციის ამოცანის შესრულებას.[5]

გათანაბრების ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობდა ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების მე-10 მუხლიდან, ასევე გამოიყენებოდა ევროგაერთიანების ხელშეკრულების

---

[1] შეად. *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 368; *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 247-249; *Hecker,* JA 202, 725; JA 2007, 562; *Tiedemann*, ZStW 116 (2004), 951; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 438.

[2] ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 250.

[3] ამის შესახებ იხ. *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 364; *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 252, 263; *Tiedemann*, NJW 1993, 23; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 438.

[4] გერმანულ სისხლის სამართლის კანონში ე.წ. გათანაბრების მოთხოვის რეალიზაციის მაგალითების შესახებ იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 439.

[5] ამის შესახებ იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 439; შეად. ასევე: *Hekker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 248-249; ZStW 115 (2003), 886.

280-ე მუხლის მე-2 აბზაცთან მიმართებაში. ამ ნორმის მიხედვით, თაღლითობების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც მიმართულია ევროგაერთიანების ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ, წევრი სახელმწიფოები ატარებენ იგივე ღონისძიებებს, რომლებიც გამოიყენება საკუთარი ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ანალოგიური თაღლითობების შემთხვევებში. ლიტერატურაში მითითებულია, რომ ამ ნორმას ჰქონდა მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი.[1]

აღიარებულია, რომ ლოიალურობის პრინციპი სავალდებულოა, ასევე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ნაციონალური სისხლის სამართლის სასამართლოებისათვის.[2]

5. გაერთიანების სამართლის უპირატესი გამოყენების (პრიორიტეტულობის) პრინციპი

ევროპული გაერთიანებების ლუქსემბურგის სასამართლოს მართლმსაჯულებაზე დაყრდნობით[3], გაბატონებული შეხედულება ავითარებს თვალსაზრისს, რომ კოლიზიის შემთხვევებში გაერთიანების სამართალს აქვს პრიორიტეტი ნაციონალურ სამართალთან შედარებით (ე.წ. გამოყენების უპირატესობა – Anwendungsvorrang)[4], მაგრამ მას არ აუქმებს (ე.წ. მოქმედების უპირატესობა – Geltungsvorrang)[5]. ამასთან, პრიორიტეტულობის პრინციპი მოქმედებს სამართლის ყველა დარგისათვის, მათ შორის, ნაციონალური საკონსტიტუციო სამართლის (მაგალითად, ძირითადი უფლებების ნაწილში)[6] და სისხლის სამართლის[7] მიმართაც. სისხლის სამართალში იგი განსაკუთრებით შეეხო ნორმებს კვების პროდუქტებთან დაკავშირებით და ამ სფეროში არსებობს გამოყენების უპირატესობის პრინციპის მთელი რიგი შემთხვევები. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში, მაგალითად, გერმანიაში, განსაზღვრულ პროდუქტებთან მიმართებაში დაწესებული სისხლისსამართლებრივი აკრძალვების ნეიტრალიზაცია ხდება საქონლის თავისუფალი მიმოქცევის შესახებ პრიმერულ-სამართლებრივი ნორმებით, თუ სხვა წევრ სახელმწიფოში მართლზომიერად წარმოებული ეს კვების პროდუქტი ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხის შემცველი არ არის. მაგალითად, ჩეხეთში ნაწარმოები ლუდი, რომელიც გერმანიაში დადგენილ მოთხოვნებს არ შეესაბამება.

ერთ-ერთი კაზუსი ასეთია:[8] იტალიის მოქალაქე კარლ პ.-მა გერმანიაში შემოიტანა სპეციალურ ბოთლებში[9] ჩასხმული ღვინო. ამ ბოთლების გამოყენება ნებადართულია ზემო იტალიასა და სამხეთ ტიროლში, მაგრამ მისი გამოყენება გერმანიაში ქმედების ჩადენის დროს მოქმედი ღვინის წარმოების წესებით (Weinverordnung) ზოგადად აკრძალული იყო და მხოლოდ ფრანკული წარმოშობის ღვინოებისათვის იყო ნებადართული. ჩაიდინა თუ არა კ.პ.-მა დასჯადი ქმედება?

გერმანელ სისხლის სამართლის მოსამართლეს იტალიელი კარლ პ. უნდა გაემართლებინა,

---

[1] იხ. *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 339; *Dannecker,* Jura 1998, 81; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 439.

[2] იხ. *Dannecker,* JZ 1996, 872; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 440.

[3] შეად. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 318.

[4] კოლიზიის შემთხვევებზე იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 325.

[5] შეად. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 317-318.

[6] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 319.

[7] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 321-321; *Satzger*, StV 1999, 133; *Dannecker,* ZStW 117 (2005), 703.

[8] იხ. *Prantl v. Deutschland,* Urt. v. 13. 3. 1984; შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 422.

[9] Bocksbeutel – ღვინის ბოთლის სახეობა, რომელიც 250 წელზე მეტია, საუკეთესო ფრანკული ღვინოების ჩამოსასხმელად გამოიყენება.

რადგან ღვინის წარმოების გერმანული წესები (Weinverordnung) ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 28-ე მუხლით დადგენილ იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვების (Mengenmäßige Einfuhrbeschränkungen) აკრძალვასთან შეუსაბამო იყო. ტრადიციული ფრანკული ღვინოების ჩამოსასხმელად გამოყენებულ ბოთლებთან აღრევა გამორიცხულია, რადგან განსხვავებული სასაქონლო ნიშნები გამოიყენება. გაერთიანების სამართლის ე.წ. გამოყენების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე, გერმანელი სისხლის სამართლის მოსამართლე ვალდებული იყო, უარი ეთქვა ღვინის წარმოების გერმანული წესების (Weinverordnung) გამოყენებაზე.

ასეთ შემთხვევაში გაერთიანების უშუალოდ მოქმედი სამართლის გამოყენების პრიორიტეტულობას მივყავართ იქამდე, რომ ნაციონალურ (კვების პროდუქტების შესახებ ნორმებიდან გამომდინარე) ქცევის წესი, რომლის დარღვევისათვის სისხლის სამართლის სანქციებია დაწესებული, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს. ნაციონალური დასჯითი ნორმა ამის შედეგად იმავდროულად კარგავს მის დაცვის ობიექტს, ვინაიდან მისი ნეიტრალიზაცია ხდება გაერთიანების სამართლის მიერ.[1]

ამის შესაბამისად, ლუქსემბურგის ევროპულმა სასამართლომ, ასევე სამხრეთ ტიროლში, გერმანულენოვანი უცხოელების მიმართ გამართულ სისხლის სამართლის პროცესის შემთხვევაშიც, საკითხი ანალოგიურად გადაწყვიტა. ამ შემთხვევაში იდგა პრობლემა, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის გამო, ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების მე-12 მუხლიდან გამომდინარე, ჰქონდათ თუ არა მათ სისხლის სამართლის პროცესის მშობლიურ – გერმანულ ენაზე ჩატარების მოთხოვნის უფლება. ეს საკითხი ლუქსემბურგის ევროპულმა სასამართლომ პოზიტიურად გადაწყვიტა და ამით ნაციონალური (იტალიური) სისხლის სამართლის პროცესი დაუქვემდებარა გაერთიანების (პრიმერული) სამართლის მასშტაბს.[2]

ევროპული გაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 234-ე მუხლი, წევრი სახელმწიფოების ნაციონალური სასამართლოების მიერ მიმართვის შემთხვევაში, ევროპულ სასამართლოს აძლევდა წინასწარი გადაწყვეტილების (Vorabentscheidung) მიღების შესაძლებლობას. ანალოგიური პროცედურა გათვალისწინებულია ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 267-ე მუხლში. იგი გამოხატავს ე.წ. გამოყენების უპირატესობის პრინციპის სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას.[3] ამის შესაბამისად, ევროპული სასამართლო, წინასწარი გადაწყვეტილების გზით, სხვა საკითხებს შორის, გადაწყვეტილებას ღებულობს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისა და მისი ორგანოების მოქმედებების შესახებ.[4] ამით, ევროპული გაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 234-ე მუხლიდან, ისევე როგორც ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 267-ე მუხლიდან გამომდინარე, პროცესის საგანი შეიძლება გახდეს მთლიანი ევროპული პრიმერული და სეკუნდარული სამართალი. წევრი სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოს შეუძლია ამ ნორმით განსაზღვრული საკითხი ევროპულ სასამართლოს წარუდგინოს, თუ იგი ამას გადასაწყვეტად მნიშვნელოვნად მიიჩნევს. მას ევალება ეს გააკეთოს, თუ იგი წარმოადგენს შიდასახელმწიფოებრივ საბოლოო ინსტანციას.

---

[1] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 440. იხ. ასევე: *Hecker,* JA, 2002, 725.

[2] იხ. *Bickel und Franz,* Urt. v. 24. 11. 1998; შეად. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 15-16, 324; *Eisele,* JA 2000, 900; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 440-441.

[3] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 441.

[4] *ბერნდ ჰეკერი* კრიტიკას გამოთქვამს ევროპული სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილების (Vorabentscheidung) პროცედურის გაჭიანურებული ვადების თაობაზე, რომელიც დაახლოებით 12-17 თვე გრძელდება. იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 493.

6. ნაციონალური სამართლის გაერთიანების სამართლის შესაბამისად ინტერპრეტაციის პრინციპი

გაერთიანების სამართლის უპირატესი გამოყენება აიძულებდა წევრ სახელმწიფოებს, მოეხდინათ ნაციონალური (სისხლის) სამართლის გაერთიანების სამართლის შესაბამისი ინტერპრეტაცია.[1] *ტიდემანს* ასეთი ინტერპრეტაციის სავალდებულო ხასიათი გამოჰყავს ლოიალურობის პრინციპიდან[2]. ასეთი ინტერპრეტაციის საგანს წარმოადგენს არა მარტო მატერიალური სამართალი.[3] თუ ევროპული სამართალი კრძალავს ნაციონალური სისხლის სამართლის პროცესის განსაზღვრული მტკიცებულების მოპოვების ნორმის გამოყენებას, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ევროპული სამართლის მტკიცებულებების გამოყენების აკრძალვის ნორმა, თუ კონკრეტულ პროცესში იგი იქნება გამოყენებული.[4] ნაციონალური სამართლის გაერთიანების სამართლის შესაბამისი ინტერპრეტაცია გამოიყენება როგორც რეგულაციების (Verordnungen), ასევე დირექტივების (Richtlinien) მიმართ[5]. გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში *(Pyrolyse-Entscheidung)*[6] სისხლის სამართლის კოდექსის 326-ე პარაგრაფის („სახიფათო ნარჩენებთან უნებართვო მოპყრობა“) პირველი აბზაცის ერთ-ერთი ცნების ინტერპრეტაციისათვის გამოიყენა საბჭოს ორი დირექტივა (Richtlinien) და ამით გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის დებულება გაერთიანების სეკუნდარული სამართლის ერთ-ერთ ინსტიტუტთან შესაბამისობით ახსნა. ეს გადაწყვეტილება არის პირველი, რომელიც შეეხება გერმანული სისხლის სამართლის გაერთიანების სამართლის შესაბამის ინტერპრეტაციას.[7] ამასთან დაკავშირებით, გამოიყენება ტერმინი „ევროპის სამართლის აქცესორულობა“[8]. ლიტერატურაში გამოთქმულია ამ გადაწყვეტილების კრიტიკაც.[9]

ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ ნაციონალური სამართლის გაერთიანების სამართლის შესაბამისად ინტერპრეტაციის მეთოდს არა აქვს აბსოლუტური პრიორიტეტულობა. იგი ნაციონალური სამართლის ინტერპრეტაციის კლასიკური მეთოდების თანაბარი რანგის მქონეა, თუმცა მას, როგორც primus inter pares[10] რელატიური უპირატესობა ახასიათებს[11]. თვით ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ ასეთ ინტერპრეტაციას თავისი საზღვრები ზოგად სამართლებრივ პრინციპებში აქვს, რომლებიც წარმოადგენენ ევროპული სამართლის

---

[1] ამის შესახებ იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 345, 363-364; *Hecker,* JA, 2002, 727; *Vogel,* ZStW 109 (1997), 348; *Wessels/Beulke,* Strafrecht, Allgemeiner Teil, 38-ე გამოცემა, 2008, გვ. 15; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 442-443.

[2] იხ. *Tiedemann*, ZStW 116 (2004), 950.

[3] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 350.

[4] იხ. *Satzger*, StV 1999, 132; *Kühne*, JZ 1998, 1070; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 443.

[5] იხ. *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 538; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 443.

[6] *BGHSt* 37, 333.

[7] იხ. *Franzheim/Kreß,* JR 1991, 402; *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 545; *Hekker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 369, 373-374; *Hecker,* JA, 2002, 728;

[8] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 443.

[9] კრიტიკა იხ. წიგნში: *Satzger*, Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 546; იხ. ასევე: *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 443-444.

[10] primus inter pares – (ლათინური) პირველი თანაბართა შორის.

[11] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 357; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 445.

ნაწილს, განსაკუთრებით აღსანიშნავია სამართლებრივი უსაფრთხოებისა და უკუძალის აკრძალვის პრინციპები.[1]

ასეთია ევროპეიზაციის სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტორები ევროპული სისხლის სამართლის მიხედვით.

III მატერიალური სისხლის სამართლის ჰარმონიზაცია ევროპის კავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილებების მიხედვით

1. თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცე

ევროპის კავშირი მიზნად ისახავს, რომ ადამიანებისთვის უზრუნველყოს თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის მაღალი დონე, რომელიც, სხვა ფაქტორებთან ერთად, მიიღწევა სისხლის სამართლის სფეროში ეფექტური პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობის გზით. ევროკავშირის ე.წ. სამი სვეტის პირობებში, ევროპის კავშირის შესახებ ნიცას ხელშეკრულების მე-6 სათაურში (ხელშეკრულების 29-ე-42-ე მუხლები) მოცემული იყო ასეთი თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძვლები.[2] მისი განხორციელების ფორმად არჩეულ იქნა ევროპის კავშირის ფარგლებში როგორც ორგანიზებული, ისევე არაორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საქმეში თანამშრომლობა (ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 29-ე მუხლი). სისხლის სამართლის ევროპეიზაცია, ინსტიტუციონალურ თანამშრომლობასთან ერთად, ასევე გულისხმობს ჰარმონიზაციას მატერიალური სისხლის სამართლის სფეროში. ნაციონალური სისხლის სამართლის სუვერენიტეტის მიუხედავად, იგი უნდა განხორციელდეს აუცილებლობის ფარგლებში. სხვა ევროპულ ნორმებთან ერთად, ამ მიზანს ემსახურება, ასევე ევროკავშირის საბჭოს მიერ გამოცემული ე.წ. „ჩარჩო-გადაწყვეტილებები“ (ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 34-ე მუხლის მე-2 აბზაცის (ბ) ქვეპუნქტი), რომლებშიც მოცემულია წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი ვალდებულებები. „ჩარჩო-გადაწყვეტილება“ შესაძლებლობას აძლევს მონაწილე სახელმწიფოს, აირჩიოს იმპლემენტაციის ფორმა და საშუალება. იგი, როგორც წესი, არ არის უშუალოდ მოქმედი, მაგრამ დასახულ მიზანთან მიმართებაში წარმოადგენს სავალდებულოს (ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 34-ე მუხლის მე-2 აბზაცის „ბ“ ქვეპუნქტი). ლუქსემბურგის ევროპული სასამართლოს განმარტებით, ჩარჩო გადაწყვეტილებებთან მიმართებაში მოქმედებს პრინციპი ნაციონალური სამართლის ევროპული ნორმების შესაბამისი ინტერპრეტაციის შესახებ[3].

მატერიალური სისხლის სამართლის ევროპეიზაცია ევროკავშირის ფარგლებში განიხილება ჰარმონიზაციის ცნების ქვეშ. სწორედ ამიტომ მიუთითებს ევროკავშირის ხელშეკრულება წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის ნორმების დაახლოებაზე (ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 29-ე მუხლი). ევროკავშირის ხელშეკრულების 31-ე მუხლის პირველი აბზაცის „ე“ ქვეპუნქტი აკონკრეტებს განსახორციელებელ ღონისძიებებს, კერძოდ, უთითებს ორგანიზებული დანაშაულის, ტერორიზმისა და ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობის

---

[1] იხ. ევროპული სასამართლოს 2005 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება *პუპინოს* საქმეზე (EuGH, *Pupino*, 16. 06. 2005), პარ. 44, 47; შეად: *Hecker*. Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 364; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 445.

[2] დღეს მოქმედ ევროპულ პრიმარულ სამართალში ასეთი თანამშრომლობის შესახებ ნორმები მოცემულია პირველი სვეტის ფარგლებში, კერძოდ, ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 82-ე-89-ე მუხლებში.

[3] იხ. ლუქსენბურგის ევროპული სასამართლოს 2005 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილების პარაგ. 42-47 *პუპინოს* საქმეზე.

სფეროებში დასჯადი ქმედებების შემადგენლობების ნიშნებისა და სასჯელების შესახებ მინიმალური დებულებების დასადგენად ღონისძიებების ეტაპობრივ განხორციელებაზე. ფორმა და შინაარსი, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს მატერიალური სისხლის სამართლის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ფარგლებში, გამომდინარეობს ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 34-ე მუხლის მე-2 აბზაცის „ბ“ ქვეპუნქტიდან და 31-ე მუხლის პირველი აბზაცის „ე“ ქვეპუნქტიდან. ჩარჩო ხელშეკრულებები განსაზღვრავენ მიზანდასახულობას, რომლის ნაციონალურ დონეზე იმპლემენტაციის ფორმა და საშუალება თავისუფალია.

მატერიალური სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის ტენდენცია ევროპის კავშირის 2009 წლის 1 დეკემბრამდე არსებული ე.წ. მესამე სვეტის ფარგლებში (თანამშრომლობა პოლიციისა და იუსტიციის სფეროში), ასევე აჩვენებს, რომ ევროკავშირმა მიიღო ჰარმონიზაციის შეუზღუდავი კომპეტენცია, რამეთუ ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 29-ე მუხლის მე-2 აბზაცი მიუთითებს კონკრეტულად, ასევე „არაორგანიზებულ“ დამნაშავეობაზე. ეს ნორმა მიუთითებს რასიზმისა და ქსენოფობიის (უცხოელთა მტრობა) დანაშაულობაზე და იძლევა ორგანიზებული და არაორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩამონათვალს, რომელიც არ არის ამომწურავი. ეს დანაშაულებია: ტერორიზმი, ტრეფიკინგი, დანაშაულები ბავშვების მიმართ, ნარკოტიკითა და იარაღით არალეგალური ვაჭრობა, მექრთამეობა, თაღლითობა. ამ ჩამონათვალიდან ნათელია, რომ ევროკავშირის ჰარმონიზაციის ინტერესს წარმოადგენს სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, მაშინ, როდესაც ზოგადი ნაწილის ევროპეიზაცია პრაქტიკულად არ არის ყურადღების ცენტრში. ჰარმონიზაციის პროცესი მოიცავს სხვადასხვა სფეროებს (ფინანსური დანაშაულები; ადამიანით ვაჭრობა, ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია და ბავშვთა პორნოგრაფია; მონაცემთა ქსელის დამნაშავეობა (კიბერკრიმინალი); გარემოს დაცვა; რასიზმი და ქსენოფობია; სახელმწიფოში არალეგალური მიგრაცია). ამ სიაში სპეციალურად ცალკე არის გამოყოფილი ორგანიზებული დანაშაული და ტერორიზმი, ისევე, როგორც არალეგალური ნარკოტიკებით ვაჭრობა. ისინი ევროკავშირის ხელშეკრულების 31-ე მუხლში სპეციალურად ცალკე არის მოხსენიებული, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სფეროები.

ჩვენი მიზანია, წიგნის ამ მონაკვეთში წარმოვადგინოთ მატერიალური სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის დახასიათება ევროპის კავშირის ფარგლებში და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი ტრანსნაციონალური დანაშაულების დეფინიციისა და მათთვის გათვალისწინებული სანქციების შესაბამისობა ევროკავშირის ნორმებთან, რომლებიც მოცემულია ევროკავშირის საბჭოს ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს ჩარჩო გადაწყვეტილებაში. ეს ჩარჩო გადაწყვეტილებებია: (1) სანქციები უკანონო შემოსვლის, ტრანზიტისა და ყოფნისათვის[1]; (2) ტრეფიკინგთან ბრძოლა[2]; (3) ფულის გათეთრებასთან ბრძოლა[3]; (4) ტერორიზმთან ბრძოლა[4]; (5) ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლა[5]; (6) თაღლითობასა და გადახდის არაფულადი საშუალებების გაყალბებასთან ბრძოლა[6]; (7) ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლა[7]; (8) კერძო სექტორში კორუფციასთან ბრძოლა[8].

---

1 იხ. ინგლისურ ენაზე 2002/946/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე _ 2002/946/JI.

2 იხ. ინგლისურ ენაზე 2002/629/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე _ 2002/629/JI.

3 იხ. ინგლისურ ენაზე 2001/500/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე _ 2001/500/JI.

4 იხ. ინგლისურ ენაზე 2002/475/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2002/475/JI.

5 იხ. ინგლისურ ენაზე 2004/757/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე _ 2004/757/JI.

6 იხ. ინგლისურ ენაზე 2001/413/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე _ 2001/413/JI.

7 იხ. ინგლისურ ენაზე 2004/68/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე _ 2004/68/JI.

8 იხ. ინგლისურ ენაზე 2003/568/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2003/568/JI.

როგორც აღინიშნა, ეს ჩარჩო-გადაწყვეტილებები მონაწილე სახელმწიფოებისათვის სავალდებულოა მხოლოდ დასახულ მიზანთან მიმართებაში, მაგრამ თავისუფალია ამ მიზნის მიღწევის ფორმებისა და საშუალებების განსაზღვრასთან დაკავშირებით. ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული ევროპის კავშირის ნიცას ხელშეკრულების 34-ე მუხლის მე-2 აბზაცის „ბ“ ქვეპუნქტის მე-2 წინადადებაში. მართალია, იქვე მითითებულია, რომ მათ არა აქვთ უშუალო მოქმედების ძალა, მაგრამ, როგორც აღინიშნა, ლუქსემბურგის ევროპულმა სასამართლომ თავის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში საქმეზე „*პუპინო*“ ჩარჩო-გადაწყვეტილებებს განსაკუთრებული სტატუსი მიანიჭა, როცა მათთვის ევროგაერთიანების დირექტივებში მოცემული ნორმების ანალოგიური სტატუსი დაადგინა, კერძოდ, ნაციონალური სამართლის ნორმების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისად.

„ჩარჩო-გადაწყვეტილებების“ გვერდით, ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 34-ე მუხლის მე-2 აბზაცის „დ“ ქვეპუნქტის ფარგლებში არსებობს სახელმწიფოთა შორის ევროკავშირის საბჭოს რეკომენდაციით საერთაშორისო შეთანხმებების დადების შესაძლებლობა.

ჩვენი მიზანია, ქვემოთ შემდეგი დიდაქტიკური თანმიმდევრობით ჩამოვაყალიბოთ ევროკავშირის ხელშეკრულების 31-ე მუხლის პირველი აბზაცის „ე“ ქვეპუნქტში მოცემული მატერიალური სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის მნიშვნელოვანი სფეროები:

I ორგანიზებული დამნაშავეობა;
II ტერორიზმი;
III ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა;
IV ჰარმონიზაციის სხვა სფეროები.

2. მატერიალური სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის მნიშვნელოვანი სფეროები

2.1 ორგანიზებული დამნაშავეობა

მატერიალური სისხლის სამართლის შესაძლო ჰარმონიზაციის საგნად ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 31-ე მუხლის პირველი აბზაცის „ე“ ქვეპუნქტი სპეციალურად მიუთითებს „ორგანიზებული დანაშაულის“ სფეროზე. დღემდე არ არსებობს ამ ცნების საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია. ასეთ დანაშაულებს ტიპიურად ყველა შემთხვევაში წარმოადგენენ ისეთი ქმედებები, რომლებიც რამდენიმე ორგანიზაციულად დაკავშირებული პირის მიერ გეგმაზომიერად და მათ შორის როლების განაწილებით ხორციელდება. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საერთაშორისო-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია, რომლის რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტმა მოახდინა 2006 წლის 6 ივნისს. ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ, რომელთაც ორგანიზებული დანაშაული ჩაიდინეს ან ამისთვის პასუხისმგებელი არიან, გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი სასჯელები და სხვა სანქციები, რომლებიც შეესაბამებიან ამ დანაშაულთა სიმძიმეს. 2005 წლის 16 მაისს ძალაში შევიდა ევროკავშირის სპეციალური ჩარჩო-გადაწყვეტილება დანაშაულებთან დაკავშირებული მოგებების, დანაშაულის იარაღებისა და ქონებრივი ღირებულებების ჩამორთმევის შესახებ.

ორგანიზაციისა და ბანდის მიერ ჩადენილ დანაშაულებთან ერთად ორგანიზებულ დანაშაულს, ვიწრო გაგებით, ასევე წარმოადგენს ისეთი ქმედებები, რომელთა დანაშაულის შე-

მადგენლობის ნიშანი, მართალია, არ არის რამდენიმე პირის ორგანიზებული დანაშაულებრივი გაერთიანება და საქმიანობა, მაგრამ ისინი ტიპიურად მხოლოდ ორგანიზებული ფორმით შეიძლება იქნენ ჩადენილი. ასეთ დანაშაულთა კატეგორიას ყალბი ფულის დამზადებასა და მიმოქცევაში გაშვებასთან ერთად, ჩვენს მიერ დასახელებული ჩარჩო გადაწყვეტილებებიდან წარმოადგენენ: სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკანონო შემოსვლა, ტრანზიტი და ყოფნა, ადამიანით ვაჭრობა, ფულის გათეთრება. მათი ჩადენისათვის საჭიროა ტექნიკური, ლოჯისტიკური, ფინანსური და პერსონალური რესურსების ორგანიზებული მობილიზება.[1]

(1) სანქციები უკანონო შემოსვლის, ტრანზიტისა და ყოფნისათვის

(ა) ჩარჩო-გადაწყვეტილების შინაარსი

ევროკავშირის საბჭოს 2002 წლის 28 ნოემბრის ჩარჩო გადაწყვეტილება უკანონო შემოსვლის, ტრანზიტისა და ყოფნისათვის ძალაში შევიდა 2002 წლის 6 დეკემბერს.[2] იგი ავსებს იმავე დღეს ძალაში შესულ საბჭოს დირექტივას (2002/90), რომელიც ეხება უკანონო შემოსვლის, ტრანზიტისა და ყოფნის ხელშეწყობის დეფინიციას, სასჯელებსა და იურიდიული პირების პასუხისმგებლობას. ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებით მოხდა იმ ქმედებების კრიმინალიზაცია, რომლებიც მიზნად ისახავენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დაცვას წევრ ქვეყანაში შესული იმ არალეგალი მიგრანტებისაგან, რომლებმაც შემდგომში შესაძლებელია, ჩაიდინონ სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებებიც ან, თავიანთი მხრივ, ექსპლუატაციის მსხვერპლი გახდნენ.

ინიციატივა იმისა, რომ ევროკავშირის საბჭოს მიეღო აღნიშნული გადაწყვეტილება, ეკუთვნის საფრანგეთის სახელმწიფოს. იგი ერთგვარად ავსებს იმ ჩარჩო-გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეხება უკანონო შრომით საქმიანობას, ადამიანით ვაჭრობას, ბავშვების სექსუალურ ექსპლუატაციას და ა.შ.

ჩარჩო-გადაწყვეტილების მიზანია, აღიკვეთოს უცხოელთა არალეგალური შემოსვლის ხელშეწყობა, როგორც იმ შემთხვევაში, როცა იგი, ვიწრო გაგებით, საზღვრის უკანონო გადაკვეთით ხდება, ასევე, როცა იგი ეხება ორგანიზებულ დანაშაულებრივ ქსელს, რომელიც შექმნილია სხვადასხვა თანამედროვე ფორმით ადამიანთა ექსპლუატაციისათვის.

ჩარჩო-გადაწყვეტილების 1-ლი მუხლი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, თავიანთი კანონმდებლობით ეფექტური და კანონშესაბამისი სანქციები დააწესონ ყველა იმ პირის მიმართ, რომლებიც მსგავს დანაშაულებს ჩაიდენენ და რომელთა ექსტრადიცია დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია, დამნაშავეების მიმართ გამოყენებულ იქნეს სხვა დამატებითი სანქციებიც, როგორიცაა, მაგალითად, იმ სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა, რომლის მეშვეობითაც ჩადენილ იქნა დანაშაული, სამსახურებრივი საქმიანობის აკრძალვა თავად ამ პირის ან მესამე პირის მიმართ ან პირის ქვეყნიდან გაძევება. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და, შესაბამისად, სასჯელი მკაცრდება იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი ტიპის დანაშაულებრივი ქმედება მიზნად ისახავს მოგების მიღებას. ასეთი შემთხვევისათვის შესაძლებელია, დაწესდეს თავისუფლების აღკვეთა არა ნაკლებ რვა წლისა, თუ იგი ჩადენილია ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფების მიერ, ან კიდევ, თუ ასეთი ქმედებით საფრთხე შეექმნა ადამიანთა სიცოცხლეს.

---

[1] ორგანიზებული დამნაშავეობის სფეროში ჰარმონიზაციის შესახებ შეად. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 397-398.

[2] ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესახებ შეად. *Hecker:* Europäisches Strafrechts. მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 404-407.

იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ევროკავშირის საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილების მე-2 მუხლი, რა დროსაც შესაძლებელია, იურიდიული პირის სახელით დანაშაულს ჩადიოდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი, რომელსაც პასუხისმგებლობა დაეკისრება, ასევე იურიდიულ პირთან ერთად. სანქციებიდან აღსანიშნავია, როგორც ქონებრივი, ისე სხვა სახის არასისხლისამართლებრივი ღონისძიებები. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს თავის იურისდიქციის გავრცელება შეუძლია, მაშინ თუ: (ა) დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილია მის ტერიტორიაზე; (ბ) როცა დანაშაულს ამ სახელმწიფოს მოქალაქე ჩადის; (გ) როცა აღნიშნულ სახელმწიფოს ტერიტორიაზე განთავსებულია ის იურიდიული პირი, რომელიც ამ დანაშაულშია მხილებული.

მე-6 მუხლიდან გამომდინარე, ეს ჩარჩო გადაწყვეტილება არ არღვევს საერთაშორისო სამართლით გარანტირებულ ლტოლვილთა უფლებებს. ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციითა (1967 წელს შეცვლილი რედაქციით) და ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო აქტებით (მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი) გათვალისწინებული ლტოლვილთა და პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების დაცვა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საერთაშორისო სამართლით დადგენილი წესით.

(ბ) ქართული სისხლის სამართალი

რაც შეეხება ამ ჩარჩო გადაწყვეტილებასთან ქართული კანონმდებლობის შესაბამისობას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს შესაბამის ნორმებს. ქართული მუხლები განსაზღვრავენ იმ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომლებიც შეიძლება ჩადენილ იქნენ საქართველოს მმართველობის წესის წინააღმდეგ. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა დასჯადია სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით, ხოლო 344[1]-ე მუხლი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს კანონმდებლობის დადგენილი წესების დარღვევით საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის არალეგალურად გადაყვანის ან/და მისთვის საქართველოში უკანონოდ ყოფნისათვის შესაბამისი პირობების შექმნის (ხელის შეწყობის) გამო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორივე ქართული ნორმა დამამძიმებელი გარემოებების არსებობის შემთხვევაში აწესებს უფრო მკაცრ სასჯელს, ვიდრე იმავე დანაშაულების დამამძიმებელი გარემოებების გარეშე ჩადენისას. ასე, მაგალითად, 344[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილი აწესებს ჩარჩო-ხელშეკრულებით გათვალისწინებული სასჯელის ანალოგიურ ზომას. კერძოდ, ეს დანაშაული, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ან რამაც გამოიწვია მიგრანტის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 8-დან 15 წლამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლი ითვალისწინებს ქონების ჩამორთმევას. იგი წარმოადგენს ზოგად ნორმას, რომელიც 2005 წლის 28 დეკემბრის კანონით შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. კერძოდ, ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. მაშასადამე, ამ სისხლისსამართლებრივი ღონისძიების გამოყენება შეიძლება ორივე დასახელებული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

რაც შეეხება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, იგი შეიძლე-

ბა გამოყენებულ იქნეს დასახელებული ორი ნორმიდან ერთ-ერთის, კერძოდ, 344[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის („საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანა ან/და მისთვის საქართველოში უკანონოდ ყოფნისათვის შესაბამისი პირობების შექმნა") ჩადენის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში იურიდიული პირი შეიძლება დაისაჯოს: საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ლიკვიდაციით ან ჯარიმით.

სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების („საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა") დასჯადობა, ამავე მუხლის შენიშვნის ძალით, არ ვრცელდება საქართველოში გადმოსულ უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ან მოქალაქეობის არმქონე პირზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად თავშესაფარს სთხოვს ხელისუფლებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები. მაშასადამე, აღნიშნული წესი წარმოადგენს ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-6 მუხლის ანალოგიურ დებულებას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 7 ივნისს მოახდინა „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო საშუალებებით მიგრანტთა საზღვარზე უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ" ოქმის რატიფიკაცია.

(2) ტრეფიკინგთან ბრძოლა

(ა) ჩარჩო-გადაწყვეტილების შინაარსი

ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო-გადაწყვეტილება, რომელიც ეძღვნება ტრეფიკინგთან ბრძოლას, მიღებულ იქნა 2002 წლის 19 ივლისს. იგი ძალაში შევიდა 2002 წლის 2 აგვისტოს.[1] ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება უზრუნველყოფს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების გატარებას. ჯერ კიდევ 1997 წლის 24 თებერვალს საბჭოს მიერ მიღებულ იქნა სპეციალური ზომები, რომლებიც მიმართული იყო ადამიანთა ვაჭრობისა და ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ, რაც შემდგომში გარკვეულწილად გახდა იმის საფუძველი, რომ უფრო მეტი ქმედითი ღონისძიებები გატარებულიყო აღნიშნულ დანაშაულთან საბრძოლველად.

ადამიანით ვაჭრობა ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც უხეშად არღვევს ადამიანის პირად უფლებასა და თავისუფლებას. იგი უკვე დიდი ხანია გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და საერთაშორისო ხასიათი მიიღო. მის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ჩართული არიან ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოები. ადამიანთა ვაჭრობის ყველაზე უფრო მძიმე ფორმებია სექსუალური ექსპლუატაცია, იმ პირების მოტყუება, რომლებიც სოციალურად დაუცველ კატეგორიას მიეკუთვნებიან და შემდგომში ასეთი პირების გამოყენება სხვადასხვა მძიმე სამუშაოებზე, მათი იძულება და დამონება. განსაკუთრებით ხშირია, როცა ამ დანაშაულის მსხვერპლი ბავშვები და ქალები არიან, რის გამოც ევროკავშირის საბჭომ ამასთან დაკავშირებით ცალკე ჩარჩო გადაწყვეტილებაც კი მიიღო 2003 წლის 22 დეკემბერს.

ევროკავშირის ყოველი სახელწიფო ვალდებულია, თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით **დანაშაულად გამოაცხადოს** შემდეგი სახის ქმედებები: გადაბირება (ადამიანთა დასასაქმებლად შეგროვება), ტრანსპორტირება, სხვისთვის გადაცემა, თავშესაფრის მიცემა და სხვა მსგავსი მოქმედება, თუ იგი ჩადენილია:

---

[1] ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესახებ შეად. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 401-404.

(ა) ძალის ან მუქარის ან იძულების სხვა ფორმის, მათ შორის გატაცების, გამოყენებით;

(ბ) თაღლითობით, ან მოტყუებით;

(გ) ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით ან პირის უმწეო მდგომარეობით სარგებლობით, როცა პირს არ შეუძლია თავიდან აიცილოს ასეთი ექსპლუატაცია;

(დ) საზღაურის ან სარგებლის მიცემის ან აღების გზით იმ მიზნით, რათა მიღწეულ იქნეს იმ პირის თანხმობა, რომელიც სხვა პირზე კონტროლს ახორციელებს.

აღნიშნული ქმედებები მიზნად ისახავს ადამიანის გამოყენებას იძულებითი შრომის ან მომსახურების გაწევაში, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის პირობებში მის ჩაყენებას, პროსტიტუციაში ჩაბმას ან სექსუალურ ექსპლუატაციას, მათ შორის, პორნოგრაფიულ საქმიანობაში ჩართვის ჩათვლით.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ დაზარალებულის წინასწარ თანხმობას აღნიშნული დანაშაულის კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. დასჯადია როგორც ამ დანაშაულის დამთავრებული, ისე დაუმთავრებელი, კერძოდ, მცდელობის სტადია. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია, ასევე ადამიანით ვაჭრობაში თანამონაწილეობისთვის, კერძოდ, ისჯება მასში წაქეზებაც და დახმარებაც. სანქციების თვალსაზრისით, შესაძლებელია, დამნაშავის მიმართ გამოყენებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა, რომლის მინიმალური ზღვარი არ უნდა იყოს რვა წელზე ნაკლები, თუ:

(ა) აღნიშნული დანაშაულის ჩადენით მსხვერპლის სიცოცხლეს განზრახ ან გაუფრთხილებლობით საფრთხე შეექმნა;

(ბ) ამ დანაშაულის მსხვერპლი დაუცველია. აქ უნდა ვიგულისხმოთ ისეთი პირები, რომლებსაც ნაციონალური კანონმდებლობით სათანადო ასაკს არ მიუღწევიათ და დამოუკიდებლად არ შეუძლიათ თავიანთი სექსუალური თავისუფლების განკარგვა;

(გ) დანაშაული ჩადენილია მძიმე ძალადობით ან მსხვეპლს ამ დანაშაულით მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა.

იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ევროკავშირის საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილებაც, რა დროსაც შესაძლებელია, იურიდიული პირის სახელით დანაშაულს ჩადიოდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი, რომელსაც პასუხისმგებლობა დაეკისრება, ასევე იურიდიულ პირთან ერთად. სანქციებიდან აღსანიშნავია, ასევე, როგორც ქონებრივი, ისე სხვა სახის არასისხლისსამართლებრივი ღონისძიებები.

აღნიშნული ჩარჩო-გადაწყვეტილებით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, დანაშაულის ჩამდენი პირი დასაჯონ თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისად, ანდა იგი გადასცენ სხვა წევრ სახელმწიფოს. თავად სახელმწიფოს კი, თავისი იურისდიქციის გავრცელება შეუძლია მაშინ, თუ:. (ა) დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილია მის ტერიტორიაზე; (ბ) როცა დანაშაულს ამ სახელმწიფოს მოქალაქე ჩადის; (გ) როცა აღნიშნულ სახელმწიფოს ტერიტორიაზე განთავსებულია ის იურიდიული პირი, რომელიც ამ დანაშაულშია მხილებული.

ჩარჩო-გადაწყვეტილება განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მსხვერპლთა დაცვასა და მხარდაჭერაზე (მუხლი მე-7). სისხლისსამართლებრივი გამოძიებისა და დევნის მიმართ ხორციელდება ე.წ. ლეგალურობის პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი დაწყება არ არის დამოკიდებული მსხვერპლის საჩივარზე, არამედ ხორციელდება საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის სახით. განსაკუთრებით ეს შეეხება იმ შემთხვევებს, როცა იგი ჩადენილია ამ სახელმწიფოს ტერიტორიზე. განსაკუთრებულ დაცვას ექვემდებარებიან ბავშვები, რომლებიც არიან ამ დანაშაულის მსხვერპლი. რაც შეეხება ბავშვს, პირი ასეთად ითვლება 18 წლის ასაკს მიღწევამდე.

(ბ) ქართული სისხლის სამართალი

რაც შეეხება ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილებასთან ქართული კანონმდებლობის შესაბამისობას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143^1-ე, 143^2-ე, 143^3-ე მუხლები დეტალურად განსაზღვრავენ ამ დანაშაულებრივი ქმედებების შემადგენლობებს, რისთვისაც იყენებენ საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების ტერმინოლოგიასა და ტექსტს. კერძოდ, 143^1-ე მუხლი ეძღვნება ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგი), 143^2-ე მუხლი – არასრულწლოვნით ვაჭრობას (ტრეფიკინგი), 143^3 მუხლი კი, – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობას.

პირველი ორი მუხლის დისპოზიცია 2006 წლის 25 ივლისის საქართველოს კანონით იქნა სრულყოფილი, ხოლო 143^3 მუხლის დისპოზიცია 2007 წლის 8 მაისის კანონით შემოღებული.

საერთაშორისო დონეზე ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტმა მიიღო სპეციალური კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ (2006 წლის 28 აპრილი). იგი განსაზღვრავს საქართველოში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში სახელმწიფო ორგანოთა, თანამდებობის პირთა და იურიდიულ პირთა უფლებამოსილებებსა და მათი საქმიანობის კოორდინაციის წესს, აგრეთვე ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათი სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2006 წლის 25 ივლისის კანონით დაწესდა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ტრეფიკინგის ჩადენისათვის. იგი ისჯება საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ლიკვიდაციით ან ფულადი ჯარიმით.

საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 7 ივნისს მოახდინა „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“ ოქმის რატიფიკაცია. 2006 წლის 22 ნოემბერს კი, საქართველოს პარლამენტის მიერ მოხდა ქ. ვარშავაში 2005 წლის 16 მაისს ხელმოწერილი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიკაცია.

(3) ფულის გათეთრებასთან ბრძოლა

(ა) ჩარჩო-გადაწყვეტილების შინაარსი

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ეფექტური ზომების გატარება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს. იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან საშუალებას ორგანიზებული ფინანსური დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯერ კიდევ ევროგაერთიანების ფარგლებში 1991 წლის 10 ივლისს მიღებულ იქნა ფულის გათეთრების წინააღმდეგ დირექტივა, რომლის მიზანი იყო ფინანსურ და საბანკო სექტორში ეფექტური საშუალებებით ბრძოლა. ვინაიდან საბჭომ ვერ მიაღწია შეთანხმებას კონკრეტულად გასატარებელი სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების შესახებ, თვით წევრ სახელმწიფოებს მიანდო, თვითონ განესაზღვრა ამ ძირითადი მიმართულებების გასატარებლად აუცილებელი ღონისძიებები. წევრი სახელმწიფოების აზრი ერთიანი იყო იმასთან დაკავშირებით, რომ უნდა გაეთვალისწინებინათ გაეროს ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპების წინააღმდეგ მი-

მართულ კონვენციასა (1988 წლის 20 დეკემბერი) და ევროსაბჭოს ფულის გათეთრების კონვენციაში (1990 წლის 8 ნოემბერი) მოცემული სისხლისსამართლებრივი ღონისძიებები, თუმცა ევროპის საბჭოს კონვენციაში მოცემულ ქმედებათა კატალოგი მხოლოდ ნარკოტიკული დანაშაულებით არ შემოიფარგლება.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ დირექტივამ განიცადა შემდგომი ცვლილება 2001 წლის 28 დეკემბერს (2001/97), რის შედეგადაც გაფართოვდა ფულის გათეთრების აკრძალვა მძიმე დანაშაულების ყველა ფორმაზე და შეეხო საქმიანობას საფინანსო სექტორის გარეთაც (მაგალითად, ადვოკატები, ნოტარიუსები და ა.შ.). უფრო არსებითად დეტალური სისხლისსამართლებრივი რეგლამენტაცია არის მოცემული 2005 წლის 26 ოქტომბრის ფულის გათეთრების მესამე დირექტივაში (2005/60), რომელიც მიიღო ევროპარლამენტმა და ევროკავშირის საბჭომ და მიზნად ისახავს ფინანსური სისტემის ფულის გათეთრების მიზნით გამოყენების, მათ შორის, ტერორიზმის დაფინანსების, აღმოფხვრას.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის მიზნით, ევროკავშირის საბჭოს მიერ 2001 წლის 26 ივნისს მიღებული ჩარჩო-გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2001 წლის 6 ივლისს.[1] აღნიშნული გადაწყვეტილება გულისხმობს გარკვეული პრევენციული ზომების გატარებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი ფორმით გამოვლენილი ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ქმედებები. გარდა ამისა, სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, თავიანთი ქვეყნების კანონმდებლობებით დანაშაულად გამოაცხადონ ამ სფეროში ჩადენილი ქმედებები.

აღნიშნული ჩარჩო გადაწყვეტილება ეყრდნობა მანამდე მიღებულ საერთაშორისო შეთანხმებებსა და კონვენციებს, კერძოდ, 1990 წლის ფულის გათეთრებასთან ბრძოლის კონვენციას, რომელშიც ცვლილებები განხორციელდა 2001 წელს. ასევე, 1998 წლის 3 დეკემბერს შემუშავებულ იქნა ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა მიერ ერთობლივად გასატარებელი ღონისძიება, რომელიც ეხებოდა ფულის გათეთრების საქმეთა გამოძიებას, ამ მიზნით ანგარიშების დაყადაღებას, დანაშაულის იარაღის (საშუალების) კონფისკაციასა და დანაშაულიდან მიღებული შემოსავლების ამოღებას.

აღნიშნული ღონისძიებები მიზნად ისახავდა სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობის გეგმის შედგენასა და ერთობლივი ზომების გატარებას მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებების აღსაკვეთად. ფულის გათეთრების შესახებ 2001 წლის ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილებამ მოახდინა ადრე მიღებული ერთობლივი ღონისძიების რეფორმირება და ეფექტურობის ამაღლება.

2001 წლის 16 ოქტომბერს გამოქვეყნდა სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროკავშირის შეთანხმების (2000 წლის 29 მაისი) დამატებითი ოქმი, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოთა თანამშრომლობის გაადვილებას ფულის გათეთრების ბრძოლის წინააღმდეგ. კერძოდ, საბანკო საიდუმლოების დაცვა არ უნდა იყოს დაბრკოლება ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფულის გათეთრება, როგორც ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი გამოხატულება, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის ჯერჯერობით მაინც გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს. ჩარჩო-გადაწყვეტილების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან, ერთმანეთში გაცვალონ და ერთმანეთთან შეაჯერონ ფორმალური თუ მატერიალური მნიშვნელობის მქონე ინფორმაციები. ყოველივე ამის მიზანი კი, არის ფულის გათეთრებისკენ მიმართული ყველა ღონისძიების გააქტიურება. ამ კუთხით,

---

[1] ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესახებ შეად. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 407-410.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს ქონებრივი ღირებულებების ჩამორთმევა. კრიმინალური საქმიანობის ორგანიზაცია, რომელიც წინ უძღვის ან თან ახლავს ფულის გათეთრებას, შეიძლება ძალზე დიდი იყოს. ჩარჩო-გადაწყვეტილების რეგლამენტაცია ეყრდნობა ევროსაბჭოს 1990 წლის 8 ნოემბრის ფულის გათეთრების კონვენციას და მიზნად ისახავს, ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში მოახდინოს ამ ღონისძიებათა ეფექტურობის ამაღლება.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართალი 1990 წლის ფულის გათეთრების კონვენციაში მოცემულ დებულებებთან დაკავშირებით დათქმების გაკეთების უფლების თაობაზე ჩარჩო-გადაწყვეტილების 1-ლი მუხლით უფრო შეზღუდულია, ვიდრე იმ ერთობლივად გასატარებელი ღონისძიებით, რომელიც მიღებულ იქნა 1998 წლის 3 დეკემბრის შეთანხმებით. ამავე ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-2 მუხლის მიხედვით კი, სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, თავიანთ სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობაში უზრუნველყონ ფულის გათეთრების წინააღმდეგ სანქციების დაწესება, თავისუფლების აღკვეთის ჩათვლით, რომლის მინიმალური ზღვარი არ შეიძლება იყოს ოთხ წელზე ნაკლები. წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ეს სანქციები შეეხოს 1990 წლის ფულის გათეთრების კონვენციის მე-6 მუხლის პირველი აბზაცის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში დასახელებულ ყველა მძიმე დანაშაულს, როგორც ეს მოცემულია ჩარჩო-გადაწყვეტილების 1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში.

ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-3 მუხლი ეხება დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევას, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული ნებისმიერი ფორმის შემოსავლის ან მათი ღირებულების ეკვივალენტური ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევას. აღნიშნული პროცესი შეიძლება განხორციელდეს არამარტო ნაციონალური კანონმდებლობით, არამედ უცხო ქვეყნების დავალების საფუძველზეც. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ქონების ჩამორთმევა, რომლის ღირებულება ჩადენილ დანაშაულს შეესაბამება და ოთხი ათას ევროს არ აღემატება.

(ბ) ქართული სისხლის სამართალი

რაც შეეხება ქართული კანონმდებლობის შესაბამისობას ჩარჩო-გადაწყვეტილებასთან, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს, როგორც ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოს, პარლამენტს 2004 წლის 17 თებერვალს რატიფიცირებული აქვს 1990 წლის ევროპული კონვენცია „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“, ხოლო 2003 წლის 6 ივნისს კი, საქართველოს პარლამენტმა მიიღო სპეციალური კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“.

ამ კანონის მიზანია (იხ. 1-ლი მუხლი) საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა. იგი არეგულირებს საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამოვლენასა და აღკვეთის ხელშეწყობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

ამ კანონის მიზნებისათვის (მუხლი მე-5) მონიტორინგს ექვემდებარება პირის მიერ დადებული ან შესრულებული გარიგება ანდა მისი დანაწევრების მიზნით განხორციელებულ გარიგებათა ერთობლიობა, თუ ამ გარიგების ან გარიგებათა ფასი ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში აღემატება 30 000 ლარს ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში, თუ ეს გარიგება, ამაყდროულად, ეჭვს იწვევს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების)“ შემადგენლობას (194-ე მუხლი). მუხლის დისპოზიციაში მოცემულია დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც ეხება ფულის გათეთრებას.

ქართული სისხლის სამართლის კანონით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ნიშნავს უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემას (ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვას ან შენიღბვას.

ქართული სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული მუხლი იძლევა როგორც უკანონო, ასევე დაუსაბუთებელი ქონების საკანონმდებლო დეფინიციას. სანქციების თვალსაზრისით, რომელმაც უახლოესი ცვლილება გამკაცრების კუთხით განიცადა 2008 წლის 19 მარტის კანონით, ამ მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან ექვს წლამდე, მეორე ნაწილი – ოთხიდან შვიდ წლამდე, ხოლო მე-3 ნაწილი – ცხრიდან თორმეტ წლამდე. ამავე კანონით, სისხლის სამართლი კოდექსს დაემატა ახალი – 194[1]-ე მუხლი, რომელიც აწესებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთით სარგებლობის, ნივთის შეძენის, ფლობის ან გასაღების დასჯადობას. ფულის გათეთრებისათვის ქართული სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულია, ასევე იურიდიული პირის პასუხისმგებლობა.

ფულის გათეთრების პრობლემასთან მიმართებაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტი. ქონების კონფისკაციის შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 21 ივლისის ცნობილი გადაწყვეტილების შემდეგ, ქონების ჩამორთმევა არ იყო გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის სასჯელთა სისტემაში (მუხლი 40-ე), რადგან იგი მიჩნეულ იქნა არაკონსტიტუციურ სასჯელის ღონისძიებად. 2005 წლის 28 დეკემბრის კანონით იგი ისევ იქნა შემოღებული იმ ფორმით, როგორც დღეს არსებობს. ფულის გათეთრების კონვენციის რატიფიკაციის დამაბრკოლებელ გარემოებად მიიჩნევდნენ იმას, რომ სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებდა დანაშაულებრივად მიღებული ქონების ღირებულების ეკვივალენტური ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესაძლებლობას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის დღეს მოქმედი რედაქცია (2005 წლის 28 დეკემბერის კანონი) არა მარტო ითვალისწინებს დანაშაულებრივი ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესაძლებლობას, არამედ, ასევე შესაძლებელს ხდის მისი ღირებულების ექვივალენტური ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევასაც, თუ პირს ფიზიკურად არ აღმოაჩნდება ეს დანაშაულებრივი ქონება.

2.2 ტერორიზმი

მატერიალური სისხლის სამართლის სფეროში ჰარმონიზაციის მეორე სფეროდ ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 31-ე მუხლის პირველი აბზაცის „ე“ ქვეპუნქტი ასახელებდა ტერორიზმს.[1] არც ამ ტერმინის ზუსტი დეფინიცია იყო გაკეთებული, რადგან წევრ სახელმწიფოებში ვერ მოხდა ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება, ვიდრე 2002 წელს არ იქნა მიღებული სპეციალური ჩარჩო-გადაწყვეტილება. 2001 წლის 11 სექტემბრის ნიუ-იორკის ცნობილი მოვ-

[1] ტერორიზმის სფეროში ჰარმონიზაციის შესახებ შეად. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 411.

ლენების შემდეგ, ტერორიზმთან ბრძოლამ ევროკავშირის ქვეყნებში ახალი დინამიკა შეიძინა. 2001 წლის 21 სექტემბერს ევროპულმა საბჭომ წამოაყენა მოქმედებათა გეგმა, რომელიც მოიცავს ღონისძიებათა კატალოგს ამ სფეროში პილიციური და იუსტიციური თანამშრომლობის გაძლიერებისა და ტერორიზმთან ბრძოლის დაფინანსების გაუმჯობესების შესახებ. 2004 წლის 11 მარტის მადრიდის მოვლენების შემდეგ დაინიშნა ევროკავშირის ტერორიზმთან ბრძოლის კორდინატორი და ჩამოყალიბდა სტრატეგიული მიზნები ამ სფეროში.

(4) ტერორიზმთან ბრძოლა

(ა) ჩარჩო-გადაწყვეტილების შინაარსი

ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია 2002 წლის 13 ივნისს და ძალაში შევიდა 2002 წლის 23 ივნისს, ეძღვნება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.[1] ტერორიზმი არა მარტო სოციალური, არამედ სამართლებრივი მოვლენაც არის. იგი აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს მართლწესრიგს, ხელყოფს ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მათ ქონებას, უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, არღვევს საზოგადოებაში უსაფრთხოებას, სიმყუდროვეს, სტაბილურობას. ტერორისტთა მოქმედება ართულებს სახელმწიფო აპარატის ნორმალურ ფუნქციონირებას. სწორედ ამიტომ, ევროპის ქვეყნებმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში მრავალ საერთაშორისო და ევროპულ ხელშეკრულებასა და შეთანხმებას მოაწერეს ხელი, რომლებიც მიზნად ისახავს მსგავსი დანაშაულების წინააღმდეგ ადეკვატური ღონისძიებების გატარებას. მას მოჰყვა 1997 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული საერთაშორისო კონვენცია, რომელიც ეხებოდა ტერორისტული აქტის დროს მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლას, 1999 წელს კი, მიღებულ იქნა კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ. გარდა ამისა, ევროკავშირის საბჭომ ტერორიზმთან საბრძოლველად გასატარებელი ერთობლივი ღონისძიებების მრავალი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ევროკავშირის აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტი უფრო სრულყოფილად ასახავს იმ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომლებსაც შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეთ ტერორისტული აქტის განხორციელების დროს.

ევროკავშირის წევრი ყველა სახელმწიფო ვალდებულია, ნაციონალურ კანონმდებლობაში ასახოს ტერორისტული დანაშაულის დეფინიცია, ჩადენილი სხვადასხვა დაჯგუფებების მიერ, მიუხედავად იმისა, განახორციელა იგი ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა. აღნიშნული გადაწყვეტილება, ასევე წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს შესაბამისი ზომები მიიღონ ტერორისტული აქტის შედეგად დაზარალებული პირების დასახმარებლად.

ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებით უნდა შეიქმნას გარანტია იმისა, რომ ეფექტურად მოხდეს ადამიანთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მათი კონსტიტუციურ დონეზე უზრუნველყოფა. ჩარჩო გადაწყვეტილების მიხედვით, ტერორისტული აქტი ნიშნავს ისეთ განზრახ ქმედებას, რომლის დროსაც მნიშვნელოვანი ზიანი ადგება არა მარტო სახელმწიფოს, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციას. იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს იმ მიზნით, რათა მოხდეს:

- მოსახლეობის დაშინება;
- საჯარო დაწესებულების ან საერთაშორისო ორგანიზაციის იძულება, განახორციელოს

---

[1] ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესახებ შად. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 411-416. მასში ცვლილებები შეტანილი იქნა 2008 წლის 28 ნოემბრის 2008/919/JI ჩარჩო-გადაწყვეტილებით.

რაიმე ქმედება ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედების განხორციელებისგან;

– პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური ან სოციალური სტრუქტურების ან საერთაშორისო ორგანიზაციის დესტაბილიზაცია ან მთლიანი განადგურება.

დანაშაული შეიძლება გამოიხატოს:

– პირზე თავდასხმაში, რომელიც საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს;

– პირზე თავდასხმაში, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას;

– გატაცებაში ან მძევლად ხელში ჩაგდებაში;

– სამთავრობო თუ საჯარო დაწესებულების, სატრანსპორტო საშუალების, ინფრასტრუქტურის, მათ შორის, საინფორმაციო სისტემის, კონტინენტალურ შელფზე განლაგებული მყარი პლატფორმის, საჯარო ადგილის ან კერძო საკუთრების მძიმე დაზიანებაში, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს ან, შესაძლოა, მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი გამოიწვიოს;

– საჰაერო და საზღვაო ხომალდის ან ნებისმიერი სხვა საჯარო ან სატვირთო სატრანსპორტო საშუალების გატაცებაში;

– ცეცხლსასროლი იარაღის, ფეთქებადი ნივთიერების, ატომური, ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღის წარმოებაში, ფლობაში, შეძენაში, გადატანაში ან დამზადებაში ანდა გამოყენებაში, ისევე, როგორც ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღის კვლევასა და განვითარებაში;

– საშიში ნივთიერებების გავრცელებასა ან ცეცხლის წაკიდების, წყალდიდობის, აფეთქების გამოწვევაში, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს;

– წყლით, ელექტროენერგიით ან სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის რესურსებით მომარაგების ობიექტების დაზიანებასა ან მწყობრიდან გამოყვანაში, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სოცოცხლეს;

– მუქარაში, რომ ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულები იქნება ჩადენილი.

ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო-გადაწყვეტილების მიზნებიდან გამომდინარე, „ტერორისტული გაერთიანება“ ნიშნავს ისეთ „ორგანიზებულ გაერთიანებას“, რომლის არსებობაც დიდხანს გრძელდება და, სულ მცირე, ორ პირს მაინც აერთიანებს და ტერორისტული აქტის ჩადენას ისახავს მიზნად. „ორგანიზებული გაერთიანება“ კი, ნიშნავს უწყვეტად პირთა შეკავშირებას, რომელსაც ნათლად ჩამოყალიბებული სტრუქტურა აქვს. პასუხისმგებლობა დაწესებულია, როგორც ამ გაერთიანების ხელმძღვანელობისთვის, ისე მასში მონაწილეობისთვის. დასჯადია, ასევე, ტერორისტული გაერთიანებისთვის ხელშეწყობა, იქნება ეს გამოხატული მატერილურ, თუ ფინანსურ დახმარებაში.

წევრი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ პასუხისმგებლობა დააწესონ იმ წინარე ქმედებებზეც, რასაც შესაძლოა, მოჰყვეს ზემოთ ჩამოთვლილი დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელება. კერძოდ, ეს ქმედებები შეიძლება იყოს:

(ა) ქურდობა, იმ მიზნით რათა მოხდეს შემდგომში ტერორისტული აქტის ჩადენა;

(ბ) გამოძალვა, იმ მიზნით, რათა მოხდეს შემდგომში ტერორისტული აქტის ჩადენა;

(გ) საიდუმლო დოკუმენტების გაცემა, რათა მოხდეს შემდგომში ტერორისტული აქტის ჩადენა.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია, როგორც ამ დანაშაულის დამთავრებისათვის, ისე მისი მცდელობისთვის. დასჯადია, ასევე, ტერორიზმში თანამონაწილეობაც, კერძოდ, ისჯება მასში წაქეზებაც და დახმარებაც. ჩარჩო-გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია თანაამსრულებლის დასჯადობაზეც. სანქციების თვალსაზრისით, შესაძლებელია, დამნაშავის მიმართ გამოყენებულ იქნეს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა, ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დანაშაულის მიზანი, მოტივი და ა.შ.

განსაკუთრებულ შემთხვევებში, შესაძლებელია სასჯელის შემსუბუქებაც, თუ პირი: ითანამშრომლებს სამართალდამცავ ორგანოებთან, მიაწვდის მათ საჭირო ინფორმაციებს დანაშაულის გახსნის მიზნით, ყველაფერს გააკეთებს, რათა დანაშაული ბოლომდე არ იქნეს მიყვანილი, სხვა დამნაშავეებს წარუდგენს გამოძიებასა და სასამართლოს, დაეხმარება სამართალდამცავ ორგანოებს მტკიცებულებების შეგროვებაში. ევროკავშირის საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ითვალისწინებს, ასევე იურიდიული პირის სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობასაც.

(ბ) ქართული სისხლის სამართალი

საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლის ორგანიზების ფორმები და სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია სპეციალურ კანონში „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ", რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2007 წლის 27 ივნისს. ქართული სისხლის სამართალი კი, შეიცავს არაერთ ნორმას, რომელიც ეძღვნება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

ლიტერატურაში ტერორიზმს ზოგჯერ განიხილავენ, როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის გამოვლენას.[1] ამ დანაშაულის შემადგენლობას ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 408-ე მუხლი.

რაც შეეხება სპეციალურ ნორმებს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა კარში შეიცავს სპეციალურ 38-ე თავს სახელწოდებით: ტერორიზმი (მუხ. 323-331[1]), რომელიც დღეისათვის შედგება 13 მუხლისაგან. ამ თავში საქართველოს პარლამენტის მიერ არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება იქნა შეტანილი 2006 წლის 25 ივლისის კანონით. ამ ცვლილებებით გათვალისწინებული იქნა ის გამოცდილება, რომელიც ამ დანაშაულთან მიმართებაში დაგროვდა საერთაშორისო და ევროპულ დონეზე.

სისხლის სამართლის კოდექსის 323-ე მუხლის პირველი ნაწილი იძლევა ტერორისტული აქტის დეფინიციას: „აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება ან სხვა მოქმედება, რაც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგის განხორციელების საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით". ამ მუხლს აქვს როგორც ძირითადი შემადგენლობა, რომელიც დამთავრებულია ქმედებით საფრთხის წარმოქმნის მომენტიდან, ასევე, დამამძიმებელი გარემოებები. ასე, მაგალითად, თუ ტერაქტმა გამოიწვია კონკრეტული დაზიანება – ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 15-დან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა. ამ მუხლის შენიშვნა ითვალისწინებს ტერორისტული აქტის მომზადების სტადიაზე სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობისა და სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან აცილების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას. ამ და ტერორიზმის სხვა მუხლებით გათვალისწინებულია იურიდიული პირის დასჯა ტერორისტული აქტისათვის მისი ლიკვიდაციით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ჯარიმით.

სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია ტექნოლოგიური ტერორიზმი (324-ე მუხლი) და კიბერტერორიზმი (324[1]-ე მუხლი). ტერორიზმის ცალ-ცალკე დანაშაულის შემადგენლობას

---

[1] შეად. *Mavany:* Terrorismus als Verbrechen gegen die Menschlichkeit – Analyse und Konsequenzen der Zuordnung zum Völkerstrafrecht, ZIS 8/2007, გვ. 324.

გვაძლევს საქართველოს პოლიტიკური თანამდებობის პირის (საქართველოს პრეზიდენტი ან სხვა პოლიტიკური თანამდებობის პირი) ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან საკუთრების ხელყოფა ამ თანამდებობის პირის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით (სისხლის სამართლის კოდექსის 325-ე მუხლი) და საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე ან დაწესებულებაზე (უცხო ქვეყნის წარმომადგენელი ან საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელი) ან მათ ოჯახის წევრზე თავდასხმა პოლიტიკური მოტივით ან საერთაშორისო ურთიერთობების გართულების მიზნით (სისხლის სამართლის კოდექსის 326-ე მუხლი). განზრახ მკვლელობის, ჯანმრთელობის დაზიანებისა და ქონების განადგურების ზოგადი შემადგენლობებისაგან განსხვავებით, ეს ორი დანაშაული დამთავრებულია არა შედეგის დადგომის, არამედ ხელყოფის მომენტიდან. მაშასადამე, მომეტებული საფრთხის გამო, ამ დანაშაულების მცდელობა ითვლება უკვე დამთავრებულ დანაშაულად. მათი ჩადენისათვის გათვალისწინებულია სასჯელი 7-დან ოც წლამდე თავისუფლების აღკვეთის ან უვადო თავისუფლების აღკვეთის სახით.

ტერორიზმი წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენის ერთ-ერთ ფორმას. სწორედ ამიტომ, დანაშაულის მომზადების ისეთი სტადია, როგორიცაა ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ხელმძღვანელობა (სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) გვაძლევს დამთავრებული დანაშაულის შემადგენლობას, ასევე, ცალკე შემადგენლობად არის გათვალისწინებული ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობა (სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ტეროტისტული დანაშაულის სხვა შემადგენლობები, რომლებიც გათვალისწინებულია ქართული სისხლის სამართლის კოდექსით, შემდეგია:

– უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებულ ასეთ ორგანიზაციაში გაერთიანება ანდა მისი დახმარება ტერორისტულ საქმიანობაში (მუხლი 328-ე);

– მძევლად ხელში ჩაგდება ტერორისტული მიზნით (მუხლი 329-ე);

– სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით (მუხლი 330-ე);

– საქვეყნოდ მოწოდება ტერორიზმისაკენ (მუხლი 330^1-ე);

– წვრთნა ტერორისტული მიზნით (მუხლი 330^2-ე);

– ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინება (მუხლი 331-ე);

– ტერორიზმის დაფინანსება (331^1-ე მუხლი).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ევროპული კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა ჯერ კიდევ 2000 წლის 27 სექტემბერს. საქართველოს ასევე რატიფიცირებული აქვს „ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ“ კონვენცია (2002 წლის 7 ივნისი).

2.3 ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა

ნარკოტიკებით არალეგალურ ვაჭრობასთან სისხლისსამართლებრივი ბრძოლა თავიდანვე წარმოადგენდა ევროკავშირის ერთ-ერთ მთავარ მიზანს. ჯერ კიდევ 1996 წლის 17 დეკემბერს საბჭომ, ევროკავშირის მაასტრიხტის ხელშეკრულების K.3 მუხლის საფუძველზე, მიიღო ერთობლივი ღონისძიება[1], რომელიც შეეხებოდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების

[1] იხ. Gemeinsame Maßnahme 96/750/JI. ABlEG 1996, L 342.

სამართლებრივი ნორმებისა და პროცედურების ჰარმონიზაციას ნარკოტიკულ დანაშაულთან, განსაკუთრებით, ნარკოტიკებით არალეგალურ ვაჭრობასთან, დაკავშირებით.[1]

ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის საქმეში პრაქტიკული თანამშრომლობისთვის ევროკავშირის დონეზე დიდ როლს ასრულებს ევროპოლი (Europol[2]) და ანტი-ნარკოტიკული ბრძოლის ევროპული კომიტეტი (CELAD[3]).

80-იან წლებში ნარკოტიკებთან ბრძოლა ევროპის არაერთ ქვეყანაში წარმოადგენდა სისხლის სამართლის პოლიტიკის განმსაზღვრელ მთავარ თემას. ევროპულმა საბჭომ 1989 წელს შექმნა CELAD, რომელიც იმთავითვე წარმოადგენდა ნაციონალური წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისგან შემდგარ ევროპულ სამსახურს. მას დაევალა ამ სფეროში წევრი სახელმწიფოებისა და ევროპული გაერთიანების ღონისძიებების კოორდინაცია. კომიტეტის მუშაობის მნიშვნელოვანი შედეგი იყო ნარკოტიკებთან ბრძოლის ევროპული გეგმის შედგენა, რომელიც, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ითვალისწინებდა ნარკოტიკებზე დაკვირვების ევროპული დაწესებულების შექმნას. ასეთი დაწესებულება ევროპულმა საბჭომ შექმნა 1993 წელს ლისაბონში[4]. იგი აგროვებს ინფორმაციებს ნარკოტიკებისა და ნარკომანიის პრობლემატიკაზე, მაგრამ შემხებლობა არა აქვს პერსონალურ მონაცემებთან. ეს ინფორმაციები გამოიყენება, როგორც ემპირიული საფუძველი წევრი სახელმწიფოების მიერ რეპრესიული და პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად. CELAD არსებობს ამ დრომდე, როგორც თანამშრომლობის ერთ-ერთი ფორმა.

(5) ნარკოტიკებით არალეგალურ ვაჭრობასთან ბრძოლა

(ა) ჩარჩო გადაწყვეტილების შინაარსი

ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილება ნარკოტიკებით არალეგალურ ვაჭრობასთან ბრძოლის წინააღმდეგ მიღებულია 2004 წლის 25 ოქტომბერს, რომელიც ძალაში შევიდა 12 ნოემბერს.[5] აღნიშნული დანაშაულის სიმძიმე მდგომარეობს იმაში, რომ იგი ხელყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობას, მის კეთილდღეობას და უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოების ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ საფუძვლებზე. სწორედ ამ მიზნით, ევროკავშირის საბჭოს მიერ 1998-2004 წლებში შეიქმნა არაერთი სამოქმედო გეგმა, გაფორმდა ევროპის ქვეყნებს შორის საერთაშორისო შეთანხმებები, რომელთა მიხედვითაც, დაიწყო ნარკოტიკულ დანაშაულთან აქტიური ბრძოლა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საჭირო გახდა კიდევ უფრო მეტი ეფექტური და გადაუდებელი ღონისძიებების გატარება, რის გამოც, აღნიშნული ჩარჩო-გადაწყვეტილებით წევრ სახელმწიფოებს დაევალათ ამ დანაშაულებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების საკანონმდებლო დონეზე დეფინიცია.

ჩარჩო-გადაწყვეტილებით, სახელმწიფოები ვადებულნი არიან, გაითვალისწინონ სასჯელის სიმკაცრე, ადეკვატურობა, მისი გამოყენების ეფექტურობა. სასჯელის დანიშვნისას მხედველობაშია მისაღები ნარკოტიკული ნივთიერების რაოდენობა, მისი სახეობა და ჩადენის სიმძიმე. თუმცა, სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ, ასევე, დამნაშავის თანამშრომლობა,

---

[1] ნარკოტიკული დანაშაულის სფეროში ჰარმონიზაციის შესახებ შეად. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 417-418.

[2] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 195-199.

[3] CELAD: Comite Europeen de la Lutte Antidrogue. იხ. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 183-184.

[4] VO (EWG) 302/93.

[5] ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესახებ შეად. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 418-422.

თუ ასეთს ექნება ადგილი, კომპეტენტურ ორგანოებთან. გადაწყვეტილება შესაძლებლობას აძლევს მხარეებს, არა მარტო მკაცრი სანქციები გაატარონ დამნაშავის მიმართ, არამედ ამოიღონ ამ დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, გარკვეული ზომები გაატარონ, ასევე იურიდიული პირების წინააღმდეგაც, თუ ისინი მხილებული არიან მსგავსი დანაშაულის ჩადენაში.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიზნებიდან გამომდინარე, ცნებაში **„ნარკოტიკი"** იგულისხმება ყველა ის ნივთიერება, რომლის დეფინიციაც მოხდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ: 1961 წლის კონვენციით ნარკოტიკული საშუალებების შესახებ (1972 წლის ოქმის თანახმად შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), 1971 წლის ვენის კონვენციით ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ. ასევე არსებობს ევროსაბჭოს 1997 წლის კონვენცია, რომელიც შეიცავს მსგავსი დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხას.

ცნებაში **„ძირითადი ნივთიერება"** იგულისხმება ის ნივთიერებები, რომლებიც მოცემულია გაერო-ს 1988 წლის კონვენციაში „ნარკოტიული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ".

ჩარჩო-გადაწყვეტილებით, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, დანაშაულად გამოაცხადონ ყველა ის განზრახი ქმედება, რომელიც გულისხმობს ნარკოტიკული საშუალებებისადმი უკანონო მოპყრობას, კერძოდ:

ა) შეძენა, წარმოება, ექსტრაქცია, დამზადება, შეთავაზება, გასაღება, განაწილება, გასაღება, გადაცემა, – უშუალოდ ან შუამავლის მეშვეობით, აგრეთვე ტრანზიტი, – გადატანა, იმპორტი, ექსპორტი, ასევე:

ბ) ოპიუმის, ყაყაჩოს, კოკაინის ბუჩქის ან კანაფის პლანტაციის გაშენება;

გ) ნარკოტიკული ნივთიერების ფლობა ან ყიდვა, ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებების განხორციელების მიზნით;

დ) ძირითადი ნივთიერების წარმოება, გადატანა ან განაწილება, რომელიც მიზნად ისახავს ნარკოტიკული ნივთიერების შემდგომში წარმოებას.

ჩარჩო-გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებას ადგილი არ ექნება, თუ დამნაშავე ნარკოტიკულ ნივთიერებას პირადი მოხმარებისთვის გამოიყენებს, როგორც ეს გათვალისწინებულია ნაციონალური კანონმდებლობით.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია, ასევე ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობაში თანამონაწილეობისთვის, კერძოდ, ისჯება მასში წაქეზებაც და დახმარებაც. დასჯადია, როგორც ამ დანაშაულის დამთავრებული, ისე მცდელობის სტადიაც. სანქციების მიხედვით, ჩარჩო-გადაწყვეტილება აღნიშნული დანაშაულისათვის ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, რომლის ვადაც შესაძლებელია, განისაზღვროს ერთიდან სამ წლამდე, ამ ვადის გაზრდა ხუთიდან ათ წლამდე შეიძლება, თუ დანაშაული ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ, მაშინ, როცა საუბარი ეხება ნარკოტიკების დიდ ოდენობას, ან თუ ასეთი ქმედებით საფრთხე შეექმნა ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ათი წლიდან იწყება თავისუფლების აღკვეთა, როცა აღნიშნული დანაშაული ჩადენილია კრიმინალური დაჯგუფების მიერ. განსაკუთრებულ შემთხვევებში, შესაძლებელია სასჯელის შემსუბუქებაც, თუ პირი: ითანამშრომლებს სამართალდამცავ ორგანოებთან, მიაწვდის მათ საჭირო ინფორმაციას დანაშაულის გახსნის მიზნით, ყველაფერს გააკეთებს, რომ დანაშაული ბოლომდე არ იქნეს მიყვანილი, სხვა დამნაშავეებს წარუდგენს გამოძიებასა და სასამართლოს, მტკიცებულებების შეგროვებაში დაეხმარება სამართალდამცავ ორგანოებს. იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, ასევე ევროკავშირის

აღნიშნული გადაწყვეტილება, რა დროსაც შესაძლებელია, იურიდიული პირის სახელით დანაშაულს ჩადიოდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი, რომელსაც პასუხისმგებლობა დაეკისრება, ასევე იურიდიულ პირთან ერთად. სანქციებიდან აღსანიშნავია, როგორც ქონებრივი, ისე სხვა სახის არასისხლისამართლებრივი ღონისძიებები.

ჩარჩო-გადაწყვეტილებით, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, დანაშაულის ჩამდენი პირები დასაჯონ თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისად, ანდა იგი გადასცენ სხვა წევრ სახელმწიფოს. თავად სახელმწიფოს კი, თავისი იურისდიქციის გავრცელება შეუძლია მაშინ, თუ: (ა) დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილია მის ტერიტორიაზე; (ბ) როცა დანაშაულს ამ სახელმწიფოს მოქალაქე ჩადის; (გ) როცა აღნიშნულ სახელმწიფოს ტერიტორიაზე განთავსებულია ის იურიდიული პირი, რომელიც ამ დანაშაულშია მხილებული.

(ბ) ქართული სისხლის სამართალი

რაც შეეხება ქართული კანონმდებლობის ჩარჩო-გადაწყვეტილებასთან შესაბამისობას, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტს სხვადასხვა დროს რატიფიცირებული აქვს ზემოთ ჩამოთვლილი კონვენციები. აღნიშნულ კონვენციებზე დაყრდნობით, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიღებული აქვს, ასევე, კანონი „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროული ნივთიერების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ (2002 წლის 5 დეკემბერი). გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე თავი ეძღვნება ნარკოტიკულ დანაშაულებს, რომლის 260-ე-274-ე მუხლები აღწერს ყველა იმ ქმედების შემადგენლობებს, რომლებიც ამ დანაშაულს უკავშირდება.

საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 28 მაისს რატიფიცირებულ იქნა „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის კონვენცია, ასევე „ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1971 წლის კონვენცია. „ნარკოტიკული საშუალებების შესახებ“ გაეროს 1961 წლის ერთიანი კონვენცია კი, რატიფიცირებულ იქნა 2000 წლის 23 თებერვალს.

აღსანიშნავია უახლოესი საკანონმდებლო ცვლილება, კერძოდ, საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის 3 ივლისს მიიღო სპეციალური კანონი „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“. ამ კანონის მიზანია, ხელი შეუწყოს ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, ნარკომანიის გავრცელების თავიდან აცილებას, კერძო, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინტერესის დაცვას ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელთა და ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობთა ხელყოფისაგან, აგრეთვე ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისა და გავრცელების პრევენციას. კანონი, მასში გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას; ითვალისწინებს უფლებების ჩამორთმევასა (მუხლი მე-3) და ქონების ჩამორთმევას (მუხლი მე-4). როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობს მუშაობა ნარკოტიკული კანონმდებლობის რეფორმის სფეროში.

2.4 ჰარმონიზაციის სხვა სფეროები

(6) თაღლითობისა და გადახდის არაფულადი საშუალებების გაყალბებასთან ბრძოლა

(ა) ჩარჩო გადაწყვეტილების შინაარსი

ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო-გადაწყვეტილება, რომელიც ეხება თაღლითობასა და გადახდის არაფულადი საშუალებების გაყალბებასთან ბრძოლას, მიღებულ იქნა 2001 წლის 28 მაისს, ხოლო ძალაში შევიდა 3 ივნისს. იგი უზრუნველყოფს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში აღნიშნულ დანაშაულებთან ბრძოლის წინააღმდეგ პრევენციული ზომების გატარებას.[1] ამ გადაწყვეტილების მიღება მიზნად ისახავს, თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი ფორმით გამოვლენილი თაღლითობის თუ არაფულადი საშუალებების გაყალბების გზით განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებები. ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყანა ვალდებულებას იღებს, თავისი ქვეყნის შიდა კანონმდებლობებით დანაშაულად გამოაცხადოს და შესაბამისი ზომები გაატარონ ამ სფეროში ჩადენილი ქმედებების აღსაკვეთად. შესაძლებლობის ფარგლებში კი, წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, კონსულტაციისა და ინფორმაციის გაცვლის მეშვეობით სამართლებრივი დახმარება აღმოუჩინონ ერთმანეთს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში გამოყენებულ ტერმინში – „გადახდის არაფულადი საშუალება“ იგულისხმება ნებისმიერი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათი ან სხვა საგადასახადო ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, გარდა ფულის ბანკნოტისა და მონეტისა. ხოლო რაც შეეხება იურიდიულ პირს, მასში მოიაზრება სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი, ანუ მასში შეიძლება მოვიაზროთ მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიული პირები.

წევრი სახელმწიფოები გამოდიან იმ განზრახი ქმედებების წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია გადახდის არაფულადი საშუალებების წინააღმდეგ, თუ ქმედება ჩადენილია განზრახ. იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს საკრედიტო ბარათების ან საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სხვა ბარათების, ასევე სამოგზაურო ჩეკის, ევროჩეკის და გადახდის სხვა არაფულადი საშუალებების გაყალბებით, კერძოდ, (ა) ქურდობა ან სხვაგვარი მართლსაწინააღმდეგო მითვისება გადახდის არაფულადი საშუალების გამოყენებით; (ბ) ფალსიფიკაცია ან სხვაგვარი გაყალბება გადახდის არაფულადი საშუალების მიმართ, რათა შემდგომში იგი გამოყენებული იქნეს სხვის მოსატყუებლად; (გ) მათი მიღება, მოპოვება, ტრასპორტირება, გასაღება ან სხვისთვის გადაცემა ან მოპარული ან სხვაგვარად არამართლზომიერად მოპოვებული ან გაყალბებული გადახდის ინსტრუმენტების ფლობა ან მითვისება თავისთვის ან სხვისთვის, რათა გამოყენებულ იქნეს სხვის მოსატყუებლად.

აღნიშნული გადაწყვეტილებით, დანაშაულად ცხადდება **კომპიუტერული დანაშაულები**. იგი წარმოადგენს ისეთ განზრახ ქმედებებს, რომლებშიც იგულისხმება ნებისმიერი კომპიუტერული მონაცემისა თუ ინფორმაციის არამართლზომიერი შეტანა, შეცვლა, წაშლა ან კომპიუტერული მონაცემების სხვაგვარი გაყალბება, რომლის მეშვეობითაც, შესაძლებელი იქნება ქონებრივი უპირატესობის არაკანონიერად მიღება. დასჯადია, ასევე, ამ მიზნით განხორციელებული კომპიუტერული პროგრამის ან კომპიუტერული სისტემის სხვა ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა.

აღსანიშნავია, რომ დასჯადია როგორც დამთავრებული, ისე დაუმთავრებელი დანაშაული, კერძოდ, მცდელობის სტადია. ისჯება აგრეთვე, ამ დანაშაულებში თანამონაწილეობაც,

---

[1] ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესახებ შეად. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 424-426.

კერძოდ, დახმარება და წაქეზება. სანქციების თვალსაზრისით, შესაძლებელია, დამნაშავის მიმართ გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სახის სასჯელები, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთაც. ჩარჩო-გადაწყვეტილება (მუხლი მე-4) დამთავრებულად აცხადებს დანაშაულის ისეთ მოსამზადებელ სტადიას, რომელიც დაკავშირებულია დანაშაულის სპეციალურ საშუალებებთან, კერძოდ, აპარატურის, საგნების, კომპიუტერული პროგრამებისა და სხვა საშუალებების დამზადება, მიღება, მოპოვება, გასაღება, სხვისთვის გადაცემა ან ფლობა, რომლის მიზანია, ჩადენილ იქნეს დანაშაული, რომელიც დაკავშირებულია გადახდის არაფულადი საშუალებების გაყალბებასთან.

ცალკე აღნიშვნის ღირსია იურიდიული პირების დასჯადობის დაწესებაც, რა დროსაც, შესაძლებელია, იურიდიული პირის სახელით დანაშაულს ჩადიოდეს შესაბამისი უფლებამოსილის მქონე პირი, რომელსაც პასუხისმგებლობა დაეკისრება, ასევე, იურიდიულ პირთან ერთად.

(ბ) ქართული სისხლის სამართალი

რაც შეეხება ქართული კანონმდებლობის ჩარჩო-გადაწყვეტილებასთან შესაბამისობას, საქართველოს სისხლის სამართლი კოდექსის 180-ე მუხლი (თაღლითობა) და მთლიანად კოდექსის 27-ე თავი, რომელიც ეძღვნება დანაშაულს ფულად-საკრედიტო სისტემაში, მათი დისპოზიციიდან გამომდინარე, არეგულირებს ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო-გადაწყვეტილებაში მოცემულ საკითხებს. ასე, მაგალითად, 210-ე მუხლით დასჯადია ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის, სხვა საგადასახადო დოკუმენტის ან ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი ისეთი დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით, გასაღება ან გამოყენება, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდი. ამ დანაშაულის ჩადენისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 2-დან ოთხ წლამდე, ხოლო დამამძიმებელ გარემოებებში – შვიდ წლამდე.

211-ე მუხლით დასჯადია ჩეკის ან საკრედიტო ბარათის ბოროტად გამოყენება, რამაც გამნაღდებელი მნიშვნელოვნად დააზიანა (გათვალისწინებული სასჯელი 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა). 212-ე მუხლის 1-ლი ნაწილი კი, ყალბ საბანკო ბილეთთან, ლითონის მონეტასთან და ვალუტასთან ერთად, ითვალისწინებს ფასიანის ქაღალდის გასაღების მიზნით უკანონო დამზადების, შეძენის, შენახვის ან გასაღების დასჯადობას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით დასჯადია მათი დასამზადებელი ნებისმიერი სახის საბეჭდი ფორმის, მატრიცის, ქაღალდის, საღებავის და სხვა საგნის ან ნივთიერების დამზადება, შეძენა, შენახვა ან გადაზიდვა გასაღების მიზნით ან გასაღება. კომპიუტერული დანაშაულები დასჯადია ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე (კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა), 285-ე (დამაზიანებელი პროგრამის შექმნა) და 286-ე (სისტემის ან ქსელის ექსპლუატაციის წესის დარღვევა) მუხლებით.

აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად ქართული სისხლის სამართლის კოდექსით ზოგადად იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებისა, კონკრეტულად აღნიშნული დანაშაულებისთვის იურიდიული პირის პასუხისმგებლობას კოდექსი არ ითვალისწინებს, რადგან ეს დანაშაულები არ არის მითითებული სისხლის სამართლის კოდექსის 107^2-ე მუხლის ჩამონათვალში. ამიტომ, მიზანშეწონილია ამ კუთხით კანონმდებლობაში სათანადო საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.

(7) ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლა

(ა) ჩარჩო გადაწყვეტილების შინაარსი

2003 წლის 22 დეკემბერს მიღებულ იქნა ევროკავშირის საბჭოს მიერ ჩარჩო-გადაწყვეტილება, რომელიც ეძღვნება ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლას. იგი ძალაში შევიდა 2004 წლის 21 იანვარს.[1] აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება განაპირობა უკანასკნელ პერიოდში გავრცელებულმა ისეთი სახის დანაშაულებმა, რომლებიც ჩადენის ხასიათიდან გამომდინარე, საზოგადოებაში მკაცრ მორალურ-სამართლებრივ გაკიცხვას იწვევს. ევროკავშირის წევრი ყველა სახელმწიფო სხვადასხვა ღონისძიებების გატარების გზით ცდილობს, თავიდან აიცილოს ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციისა თუ პორნოგრაფიის მსხვერპლად გამოყენება. ამ მიზნით, ევროკავშირის საბჭომ გასატარებელი ერთობლივი ღონისძიებების მრავალი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა, მაგრამ აღნიშნული გადაწყვეტილება, შეიძლება ითქვას, რომ არის ერთადერთი სრულყოფილი დოკუმენტი, რომელიც დაწვრილებით ასახავს ამ დანაშაულის შინაარსსა და სიმძიმეს.

ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციისა და პორნოგრაფიის მსხვერპლი შეიძლება გახდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ესა თუ ის სახელმწიფო წინასწარ ადეკვატურ ზომებს არ მიიღებს, ერთგვარ პრევენციულ ღონისძიებებს არ გაატარებს ასეთი კატეგორიის დანაშაულების თავიდან ასაცილებლად. ამიტომ, ჩარჩო-გადაწყვეტილება წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, თავიანთი კანონმდებლობებით მკაცრი, ეფექტური და კანონშესაბამისი სანქციები დააწესონ ყველა იმ პირების მიმართ, რომლებიც მსგავს დანაშაულებს ჩაიდენენ.

ამ სამართლებრივი აქტის მიზნებიდან გამომდინარე, დანაშაულების ობიექტია პიროვნების ხელშეუხებლობა, სახელდობრ, ბავშვის ნორმალური ზნეობრივი ფორმირება. ბავშვად კი, მიიჩნევა 18 წელს მიუღწეველი ნებისმიერი პირი. ბავშვის პორნოგრაფიად (1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი) ითვლება ნებისმიერი პორნოგრაფიული გამოსახულებიანი მასალა, რომელზეც აღბეჭდილი არიან ბავშვები სხვადასხვა სექსუალურ ეპიზოდებში, როგორც აქტიურ, ისე პასიურ მდგომარეობაში. ჩარჩო-გადაწყვეტილების მიხედვით, ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია ნიშნავს ისეთ განზრახ ქმედებას, რომლის დროსაც პირი:

(ა) ბავშვს იძულების წესით ჩააბამს პროსტიტუციაში ან პორნოგრაფიულ საქმიანობაში და ამით გარკვეულ მატერიალურ ანაზღაურებას მიიღებს ან მოახდენს ბავშვის სხვაგარ ექსპლუატაციას ამავე მიზნით;

(ბ) ასეთ საქმიანობაში ჩასაბმელად „შეაგროვებს“ 18 წელს მიუღწეველ პირებს;

(გ) განახორციელებს სექსუალურ ქმედებებს ბავშვთან.

ასეთი ქმედება შეიძლება განხორციელდეს:

1) იძულებით, ძალადობით ან მუქარით;

2) აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ბავშვისათვის ფულის ან სხვა მატერიალური ანაზღაურების შეთავაზებით, რათა ეს უკანასკნელი დათანხმდეს;

3) ისეთი პირის მიერ, რომელსაც შეუძლია თავისი მდგომარეობის, სტატუსის ან ზეგავლენის ბოროტად გამოყენება ბავშვზე.

რაც შეეხება ბავშვის პორნოგრაფიას, ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-3 მუხლის შესაბამისად, წევრი სახელმწიფოები ნებისმიერი ფორმით გამოვლენილი პორნოგრაფიული მასალის

---

[1] ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესახებ შეად. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 426-429.

წინააღმდეგ გამოდიან და სისხლისამართლებრივად დასჯადად აცხადებენ ისეთ ქმედებებს, როგორიცაა, პორნოგრაფიული მასალის წარმოება, გასაღება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, ასევე, შეძენა ან მფლობელობა. დასჯადია როგორც ამ დანაშაულის დამთავრებული, ისე დაუმთავრებელი, კერძოდ, მცდელობის სტადია. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია, ასევე ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციასა და ბავშვთა პორნოგრაფიაში თანამონაწილეობისთვის, კერძოდ, ისჯება მასში წაქეზებაც და დახმარებაც.

სანქციების მიხედვით, ჩარჩო-გადაწყვეტილება აღნიშნული დანაშაულისათვის ითვალისწინებს მარტო თავისუფლების აღკვეთას, რომლის ვადაც, შესაძლებელია, განისაზღვროს ერთიდან სამ წლამდე. ამ ვადის გაზრდა ხუთიდან ათ წლამდე შეიძლება, თუ დანაშაული ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში, კერძოდ, თუ იგი განხორციელდა მძიმე ძალადობით, იძულებით, თუ ასეთი ქმედებით განზრახ ან გაუფრთხილებლობით საფრთხე შეექმნა ბავშვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, ასევე ევროკავშირის აღნიშნული გადაწყვეტილება, რა დროსაც შესაძლებელია, იურიდიული პირის სახელით დანაშაულს ჩადიოდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი, რომელსაც პასუხისმგებლობა დაეკისრება, ასევე იურიდიულ პირთან ერთად. სანქციებიდან აღსანიშნავია, როგორც ქონებრივი, ისე სხვა სახის არასისხლისსამართლებრივი ღონისძიებანი.

(ბ) ქართული სისხლის სამართალი

რაც შეეხება ქართული კანონმდებლობის შესაბამისობას ჩარჩო-გადაწყვეტილებასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[2]-ე მუხლით განსაზღვრულია სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგისათვის), რომლის საკანონმდებლო დეფინიცია თავდაპირველი სახით 2003 წლის 6 ივნისის კანონით ჩამოყალიბდა. ამ ნორმამ განიცადა შემდგომი ცვლილებები. არასრულწლოვნის ტრეფიკინგი შეიძლება გამოიხატოს მონობის სხვადასხვა თანამედროვე ფორმაში, მათ შორის, სექსუალურ ექსპლუატაციაში. ასევე დამოუკიდებელი შემადგენლობის სახით ჩამოყალიბებულია სისხლის სამართლის კოდექსის 253-ე მუხლი – პროსტიტუციაში ჩაბმა, რომლის მეორე ნაწილი დამამძიმებელი გარემოების სახით ითვალისწინებს პასუხისმგებლობას, თუ ეს ქმედება განხორციელდა არასრულწლოვნის მიმართ. ამ მუხლის ხარვეზი გახლავთ ის, რომ იგი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ დანაშაულის ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით ჩადენისათვის, მაშინ, როდესაც იქვე არასრულწლოვანთა მიმართ ასეთი მოქმედების ნებაყოფლობით ჩადენა არ არის გათვალისწინებული. ნაცვლად ამავე მუხლით გათვალისწინებისა, არასრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში ძალადობის, ძალადობის მუქარის ან მოტყუების გარეშე, დასჯადია სისხლის სამართლის კოდექსის 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

2005 წლის 3 ივნისის კანონით არსებითი ცვლილება განიცადა სისხლის სამართლის კოდექსის 255-ე მუხლმა („პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება“). კერძოდ, ამ მუხლს დაემატა მე-2 ნაწილი სწორედ არასრულწლოვანთან მიმართებაში, რომელსაც იგი ადრე არ შეიცავდა. დასჯადად გამოცხადდა არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადება ან/და შენახვა, აგრეთვე, ასეთი მასალის შეთავაზება, გადაცემა, გავრცელება, გასაღება, რეკლამირება, ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომა (სასჯელი სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა).

ჩარჩო-გადაწყვეტილების 1-ლი მუხლის მსგავსად, ქართული სისხლის სამართლის

კოდექსის 255-ე მუხლი შეიცავს შენიშვნას, რომელშიც განმარტებულია, თუ რას ნიშნავს არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოები. ასეთად ითვლება ნებისმიერი მეთოდით დამზადებული ვიზუალური ან აუდიომასალა, რომელშიც სხვადასხვა საშუალებებით წარმოდგენილია კონკრეტული არასრულწლოვნის მონაწილეობა ნამდვილ ან სიმულირებულ სექსუალურ სცენებში, გამოყენებულია მისი ხმა ან მომხმარებლის სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ნაჩვენებია არასრულწლოვნის გენიტალური ორგანოები.

სისხლის სამართლის კოდექსის 255[1]-ე მუხლი დასჯადად განსაზღვრავს არასრულწლოვნის ჩაბმას პორნოგრაფიული ნაწარმოების ან პორნოგრაფიული ხასიათის სხვა საგნის უკანონოდ დამზადებაში, ასეთი მასალის გავრცელებაში, რეკლამირებაში ან მისით ვაჭრობაში. ეს მუხლი, ასევე ითვალისწინებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. .

სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე თავი ეძღვნება დანაშაულს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლოის წინააღმდეგ, რომლის 137-ე-141-ე მუხლები აწესრიგებენ აღნიშნულ სფეროში ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს. გაუპატიურების (137-ე მუხლი), ისევე როგორც სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების (138-ე მუხლი) დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს ამ დანაშაულების ჩადენა არასრულწლოვნის ან თოთხმეტ წელს მიუღწეველი პირების მიმართ. დასჯადია სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების (მამათმავლობა, ლესბიანობა და სხვ.) იძულება არასრულწლოვნის მიმართ (139-ე მუხლის მე-2 ნაწილი), იგივე ქმედება, თუნდაც ნებაყოფლობით წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწეველთან (140-ე მუხლი), ძალადობის გარეშე გარყვნილი ქმედება წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწეველთან (141-ე მუხლი).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს პარლამენტმა 2002 წლის 27 სექტემბერს მიიღო დადგენილება ,,ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ" ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებით ოქმთან შეერთების თაობაზე.

(8) კერძო სექტორში კორუფციასთან ბრძოლა

(ა) ჩარჩო გადაწყვეტილების შინაარსი

კორუფციის გამოვლენა და მის წინააღმდეგ ბრძოლა ნებისმიერი და, მათ შორის, ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს ერთ-ერთ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს. იგი შეიძლება ,,შეჭრილი" იყოს როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში, ისე კერძო სექტორში, რაც თავისთავად ძირს უთხრის ორივე ამ ორგანოს და, საერთო ჯამში, ქვეყნის ნორმალურ და სტაბილურ ფუნქციონირებას. ევროკავშირის სახელმწიფოები სხვადასხვა ფორმებითა და ხერხებით ცდილობენ თავიდან აიცილონ ამ დანაშაულის მანკიერი გამოვლინებები და მისი სავალალო შედეგები. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ევროკავშირის ის ჩარჩო გადაწყვეტილება, რასაც კერძო სექტორში კორუფციასთან ბრძოლა ჰქვია, რომელიც დანიის სამეფოს ინიციატივით მიღებულია 2003 წლის 22 ივლისს. იგი ძალაში შევიდა იმავე წლის პირველ აგვისტოს.[1]

კერძო სექტორში კორუფცია წარმოადგენს არა მარტო ნაციონალურ, არამედ ტრანსნაციონალურ პრობლემას. ამ სფეროში კორფუციის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება

---

[1] ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესახებ შეად. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 430-432.

ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან დაიწყო, რაც გასატარებელი ერთობლივი ღონისძიებების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში გამოიხატა. ყოველივე ამან კი, ასახვა ჰპოვა 1996 წლის შეთანხმებაში ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ და 1997 წლის ხელშეკრულებაში საჯარო სამსახურში კორუფციის შესახებ, რასაც მოჰყვა 1998 წლის ერთობლივი ღონისძიების შემუშავება კერძო სექტორში არსებული კორუფციის აღმოსაფხვრელად. ჩარჩო-გადაწყვეტილებამ შეცვალა სწორედ 1998 წლის 22 დეკემბრის ერთობლივი ღონისძიება (98/42). უნდა ითქვას, რომ ეს იყო ერთგვარი პირველი ქმელითი ნაბიჯი, რომელიც ამ დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად გადაიდგა. აღნიშნული ღონისძიებების გატარებით, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან:

– უზრუნველყონ, როგორც ზოგადად კორუფციის, ისე კერძო სექტორში არსებული კორუფციის დანაშაულებრივ ქმედებად გამოცხადება, რომელიც ხელყოფს კონკურენციას და გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას;

– დააწესონ იურიდიული პირების დასჯადობა, თუკი ისინი მხილებული იქნებიან ასეთი დანაშაულების ჩადენაში.

2002 წლის 13 ივნისს ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ჩარჩო-გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ევროპული დაპატიმრების ბრძანების გაცემასა და გადაცემის პროცესის წარმოებას ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის[1]. უნდა აღინიშნოს, რომ მასში კორუფცია, როგორც დანაშაული, ისეა განსაზღვრული და ამ გადაწყვეტილებით მასზე ვრცელდება ევროპული დაპატიმრების ბრძანება.

ჩარჩო-გადაწყვეტილებით, წევრი სახელმწიფოები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ კორუფციასთან ბრძოლას არა მარტო საჯარო, არამედ კერძო სფეროებში. აღნიშნული დანაშაული საფრთხეს უქმნის როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში „საზოგადოების ნდობას“, კონკურენტულ გარემოს, რომელიც, საბოლოო ჯამში, გავლენას ახდენს სამეწარმეო საქმიანობის შემდგომ განვითარებაზე.

ჩარჩო-გადაწყვეტილების მიზნებიდან გამომდინარე, იურიდიული პირის ცნებაში იგულისხმება ნებისმიერი სამეწარმეო და არასამეწარმეო ორგანიზაციული გაერთიანება, საჯარო სამართლის იურიდიული პირისა და საერთაშორისო ორგანიზაციის გარდა. რაც შეეხება ცნებას: „ვალდებულების დარღვევა“, ცალკეული სახელმწიფოები მოვალენი არიან, განსაზღვრონ ეს ცნება, როგორც „ნდობის საწინააღმდეგო მოქმედება“, რომელიც კანონით დადგენილი ვალდებულების დარღვევაში გამოიხატება. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს ვალდებულების დამრღვევს კერძო სექტორში ხელმძღვანელის თანამდებობა, თუ რიგითი თანამშრომლის ადგილი უკავია.

ევროკავშირის ყოველი წევრი სახელმწიფო შესაბამის ზომებს იღებს, რათა უზრუნველყოს იმ ქმედებების დანაშაულად გამოცხადება, რომლებიც ჩადენილი იქნება საწარმოო საქმიანობის სფეროში და გამოიხატება ამ სამართლებრივ აქტში მითითებულ ერთ-ერთ ქმედებაში. კერძოდ, დასჯადია:

– ქმედება, რომლის მიხედვით, პირი უშუალოდ ან შუამავლის მეშვეობით, რომელსაც საწარმოში ხელმძღვანელი ან სხვა თანამდებობა უკავია, არამართლზომიერად, თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ, ვინმეს უპირატესობას დაჰპირდება, შესთავაზებს ან მიანიჭებს, რა დროსაც იგი, თავისი ვალდებულებების დარღვევით, ჩაიდენს მოქმედებას ან რაიმე მოქმედების განხორციელებისგან თავს შეიკავებს;

– ქმედება, რომლის მიხედვით, პირი, რომელსაც საწარმოში ხელმძღვანელის ან სხვა თანამდებობა უკავია, უშუალოდ ან შუამავლის მეშვეობით, თავის ან მესამე პირის სასარ-

[1] იხ. ინგლისურ ენაზე 2002/584/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე _ 2002/584/JI.

გებლოდ არამართლზომიერად საქმის გასაკეთებლად უპირატესობას მოითხოვს, მიიღებს ან ასევე ასეთის თაობაზე დაპირებას (შეთავაზებას) მიიღებს, რა დროსაც იგი, თავისი ვალდებულებების დარღვევით, ჩაიდენს მოქმედებას ან რაიმე მოქმედების განხორციელებისგან თავს შეიკავებს.

გადაწყვეტილების მიზნებიდან გამომდინარე, სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოგებაზე ან ასეთი მოგების მიღების მიზანი არ გააჩნია.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია, ასევე კერძო სექტორში ჩადენილ კორუფციაში თანამონაწილეობისთვის, კერძოდ, ისჯება მასში წაქეზებაც და დახმარებაც. სანქციების თვალსაზრისით, შესაძლებელია, დამნაშავის მიმართ გამოყენებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა, ერთიდან სამ წლამდე ფარგლებში.

ჩარჩო-გადაწყვეტილებით, ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს კერძო სექტორში დასაქმებულ და ხელმძღვანელ თანამდებობაზე მყოფ იმ ფიზიკურ პირთა სათანადოდ დასასჯელად, რომლებიც ჩაიდენენ ზემოაღნიშნულ ქმედებებს. ამ აუცილებელმა ზომებმა კი, სათანადო ასახვა უნდა ჰპოვონ ქვეყნის კანონმდებლობაში.

იურიდიული პირის სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, ასევე ევროკავშირის აღნიშნული გადაწყვეტილება, რა დროსაც, შესაძლებელია, იურიდიული პირის სახელით დანაშაულს ჩადიოდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირი, რომელსაც პასუხისმგებლობა დაეკისრება, ასევე იურიდიულ პირთან ერთად. სანქციებიდან გამოიყენება, როგორც ქონებრივი, ისე სხვა სახის არასისხლისსამართლებრივი ღონისძიებები.

ჩარჩო გადაწყვეტილებით, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, დანაშაულის ჩამდენი პირები დასაჯონ თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისად ანდა გადასცენ სხვა წევრ სახელმწიფოს.. თავად სახელმწიფოს კი, თავისი იურისდიქციის გავრცელება შეუძლია, მაშინ თუ: (ა) დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილია მის ტერიტორიაზე; (ბ) როცა დანაშაულს ამ სახელმწიფოს მოქალაქე ჩადის; (გ) როცა აღნიშნულ სახელმწიფოს ტერიტორიაზე განთავსებულია ის იურიდიული პირი, რომელიც ამ დანაშაულშია მხილებული.

აღნიშნული გადაწყვეტილებით, ის სახელმწიფო, რომელიც საკუთარ მოქალაქეს სხვა სახელმწიფოს არ გადასცემს, ვალდებულია, მის მიმართ განახორციელოს ყველა აუცილებელი სანქციები, რაც გათვალისწინებულია ჩარჩო-გადაწყვეტილებით, მიუხედავად იმისა, მან ეს დანაშაული საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე ჩაიდინა თუ არა.

(ბ) ქართული სისხლის სამართალი

რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობასთან ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისობას, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტს 2006 წლის 14 დეკემბერს რატიფიცირებული აქვს 1999 წლის ევროპული სისხლის სამართლის კონვენცია კორუფციასთან ბრძოლის შესახებ, ასევე 1997 წელს მიღებული აქვს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ".

საჯარო სექტორში კორუფციის წინააღმდეგ მიმართული სისხლისსამართლებრივი ნორმები მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის სამოხელეო დანაშაულთა თავში. დასჯადია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ქრთამის აღება (მუხლი 338-ე), ასევე კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება (მუხლი 340-ე). ახალი, 2006 წლის 25 ივლისის კანონით, შემოღებულია ნორმა „ზეგავლენით ვაჭრობა" (მუხლი 339^1-ე).

რაც შეეხება კერძო სექტორში ჩადენილ თანამდებობრივ დანაშაულებს, მას ცალკე თავი ეძღვნება სისხლის სამართლის კოდექსში. კერძოდ, 29-ე თავის 220-ე და 221-ე მუხლებში მოცემულია ის დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც შესაძლებელია, ჩადენილ იქნეს სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ.

ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო-გადაწყვეტილებასთან შესაბამისობის თვალსაზრისით, კერძო სექტორში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას ეძღვნება ქართული სისხლის სამართლის კოდექსის 221-ე მუხლი („კომერციული მოსყიდვა“). ამ ნორმამ 2006 წელს განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ვიდრე იგი დღევანდელი ფორმით ჩამოყალიბდებოდა. მასში ცვლილებები იქნა შეტანილი, ასევე 2010 წლის 23 თებერვლის კანონით.

კომერციული მოსყიდვისათვის დასჯადია იურიდიული პირიც, ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით.

2.5 შეჯამება

ამრიგად, წარმოდგენილ იქნა ევროპის კავშირის ფარგლებში სისხლის სამართლის ევროპეიზაციისა და ნაციონალური სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის რამდენიმე ასპექტი ევროკავშირის ზოგიერთი ჩარჩო-გადაწყვეტილების მიხედვით. წარმოდგენილ სფეროებში ევროკავშირის სისხლის სამართლისა და ქართული სისხლის სამართლის ნორმების ანალოგიურობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტრანსნაციონალურ დანაშაულებთან ბრძოლის სფეროში პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობის გაღრმავებისათვის.

როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ 1997 წლის 2 სექტემბერს მიიღო დადგენილება „საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ“. ამ დადგენილების შესაბამისად, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ქართული სისხლის სამართლის კოდექსის არაერთ ნორმაში აისახა ჩარჩო-გადაწყვეტილებებში მოცემული დებულებები.

შეიძლება ითქვას, რომ მატერიალური სისხლის სამართლის ევროპეიზაციას აქვს პერსპექტივა. ევროპის კავშირის კონსტიტუციის ხელშეკრულების პროექტი (მუხლი III-271/I) ითვალისწინებდა უფრო შორს მიმავალ კომპეტენციებს მატერიალური სისხლის სამართლის ჰარმონიზაციისათვის. მის ფორმად, ასევე ლისაბონის ხელშეკრულებით (ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლი) გათვალისწინებულია განსაკუთრებით მძიმე დამნაშავეობის სფეროში დანაშაულებისა და სასჯელების განსასაზღვრავად მინიმალური დებულებების დადგენა, რათა, დანაშაულთა სახეობისა და მათი შედეგების მიხედვით, განსაკუთრებული აუცილებლობის გამო მოხდეს მათთან ბრძოლა საერთო სამართლებრივი საფუძვლებით.

IV ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ (ნიცა[1])

სათაური I
საერთო დებულებები

მუხლი 2

(ევროკავშირის მიზნები; სუბსიდიარულობა)

კავშირი ისახავს შემდეგ მიზნებს:

...

– კავშირის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება, როგორც თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცე, რომელშიც, იმ შესაბამის ღონისძიებებთან ურთიერთობაში, რომლებიც უკავშირდება გარე საზღვრების კონტროლს, თავშესაფარს, მიგრაციას, ასევე დამნაშავეობის აღკვეთასა და მის წინააღმდეგ ბრძოლას, უზრუნველყოფილია ადამიანთა თავისუფალი გადაადგილება.

...

კავშირის მიზნები ხორციელდება ამ ხელშეკრულების მიხედვით, მასში მოცემული პირობებისა და გათვალისწინებული დროის თანმიმდევრობის მიხედვით, სუბსიდიარულობის პრინციპის მხედველობაში მიღებით, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე-5 მუხლში.

მუხლი 6

(კავშირის ფუნდამენტური პრინციპები; ძირითადი უფლებები)

(1) კავშირი ეფუძნება თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და სამართლებრივი სახელმწოფოს პრინციპებს. ეს პრინციპები ყველა წევრი სახელმწიფოსათვის საერთოა.

(2) ევროკავშირი პატივს სცემს ძირითად უფლებებს, როგორც ეს გარანტირებულია რომში 1950 წლის 4 ნოემბრს ხელმოწერილ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპულ კონვენციაში და გამომდინარეობს წევრი სახელმწიფოების საერთო კონსტიტუციური თვალსაზრისებიდან, რომლებიც წარმოადგენენ გაერთიანების სამართლის ზოგად პრინციპებს.

(3) კავშირი პატივისცემით ეპყრობა მისი წევრი სახელმწიფოების ნაციონალურ თვითმყოფადობას.

(4) კავშირი აღჭურვილია ისეთი საშუალებებით, რომლებიც აუცილებელია მისი მიზნების მისაღწევად და მისი პოლიტიკის გასატარებლად.

---

[1] Treaty on European Union (Vertrag über die Europäische Union). ეს ხელშეკრულება, რომელიც დადებულ იქნა ნიცაში, ძალაში შევიდა 2003 წლის 1 თებერვალს. ისევე, როგორც სხვა ხელშეკრულებებთან მიმართებაში, წიგნში წარმოდგენილია ამ ხელშეკრულების მხოლოდ სისხლისსამართლებრივად რელევანტური ნორმები.

სათაური V
დებულებები ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ

მუხლი 18

(ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის წარმომადგენლობა)

(1) კავშირს ერთობლივ საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში წარმოადგენს მისი თავმჯდომარე.

(2) თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამ სათაურის მიხედვით შემუშავებული გადაწყვეტილებების განხორციელებაზე. ამ ამოცანის ფარგლებში იგი წამოადგენს კავშირის ძირითად თვალსაზრისს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო კონფერენციებზე.

(3) თავმჯდომარეს დახმარებას უწევს საბჭოს გენერალური მდივანი, რომელიც დავალებებს ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში იღებს უმაღლესი წარმომადგენლისაგან.

(4) კომისია, პირველი და მე-2 აბზაცის შესაბამისად, სრული მოცულობით მონაწილეობს ამოცანების შესრულებაში. თავმჯდომარეს, საჭიროების შემთხვევაში, ამ ამოცანების შესრულებაში ხელს უწყობს ის წევრი სახელმწიფო, რომელიც მის შემდგომ იღებს თამჯდომარეობას.

(5) საბჭოს შეუძლია, განსაკუთრებულ პოლიტიკურ საკითხებზე დანიშნოს საგანგებო უფლებამოსილებებით აღჭურვილი პირი, თუ იგი ამას აუცილებლად მიიჩნევს.

მუხლი 19

(ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კოორდინაცია)

(1) წევრი სახელმწიფოები კოორდინირებულად მოქმედებენ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო კონფერენციებზე. ისინი იქ წარმოადგენენ ერთიან პოზიციებს.

საერთაშორისო ორგანიზაციებში და საერთაშორისო კონფერენციებზე, სადაც წარმოდგენილი არ არის ყველა წევრი სახელმწიფო, იქ წარმოდგენილი წევრი სახელმწიფოები იცავენ ერთიან პოზიციებს.

(2) პირველი აბზაცისა და მე-14 მუხლის მე-3 აბზაცის დაურღვევლად, წევრი სახელმწიფოები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციებში ან საერთაშორისო კონფერენციებზე არიან წარმოდგენილი, იმ წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც იქ არ მონაწილეობენ, მუდმივად ატყობინებენ ყველა იმ საკითხის შესახებ, რომელიც საერთო ინტერესებს შეეხება.

წევრი სახელმწიფოები, რომლებიც, ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს წევრები არიან, ერთმანეთში თანხმდებიან და ყველა სხვა დანარჩენ წევრ სახელმწიფოებს სრული მოცულობით აწვდიან ინფორმაციას. წევრი სახელმწიფოები, რომლებიც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არიან, თავიანთი ამოცანების შესრულების დროს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიიდან გამომდინარე, თავიანთი ვალდებულებების დაურღვეველად, იცავენ კავშირის პოზიციებსა და ინტერესებს.

სათაური VI
დებულებები სისხლის სამართლის საქმეებზე პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობის შესახებ

მუხლი 29

(სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის მიზნები და ინსტრუმენტები)

ევროპული გაერთიანების უფლებამოსილებების დაურღვევლად, ევროპის კავშირი მიზნად ისახავს, რომ მოქალაქეებს შესთავაზოს თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცეში უსაფრთხოების მაღალი ხარისხი, რამდენადაც იგი [ევროკავშირი] სისხლის სამართლის საქმეებზე პოლიციურ და იუსტიციურ სფეროში წევრი სახელმწიფოების საერთო მიდგომას ავითარებს, ასევე ხელს უწყობს რასიზმისა და ქსენოფობიის აღკვეთასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლას.

ეს მიზანი მიიღწევა – როგორც ორგანიზებული, ისე არაორგანიზებული – დამნაშავეობის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მეშვეობით, განსაკუთრებით, ტერორიზმის, ადამიანით ვაჭრობისა და ბავშვების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, ნარკოტიკებითა და იარაღით არალეგალური ვაჭრობის, ქრთამის მიცემისა და ქრთამის აღების [მექრთამეობის], ასევე თაღლითობის სფეროებში, შემდეგი გზებით: წევრ სახელმწიფოებში პოლიციურ, საბაჟო და სხვა კომპეტენტურ ორგანოთა მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა, როგორც უშუალოდ, ისე ევროპული პოლიციური სამსახურის (ევროპოლი) ჩართვით, 30-ე და 32-ე მუხლების მიხედვით;

– წევრი სახელმწიფოების იუსტიციურ ორგანოთა, ასევე სხვა უფლებამოსილ უწყებათა მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა, მათ შორის, იუსტიციური თანამშრომლობის ევროპული სამსახურის (ევროიუსტი) ჩართვით, 31-ე და 32-ე მუხლების მიხედვით;

– წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი დებულებების ერთმანეთთან დაახლოება, 31-ე (ე) მუხლის შესაბამისად, თუ ეს აუცილებელია.

მუხლი 30

(პოლიციური თანამშრომლობა; ევროპოლი)

(1) საერთო მიდგომები პოლიციური თანამშრომლობის სფეროში მოიცავს:

a) წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური, მათ შორის, პოლიციის, საბაჟო და სხვა სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი სპეციალიზირებული, ორგანოების ოპერატიულ თანამშრომლობას დანაშაულის პრევენციის, ასევე, მისი გამოვლენისა და გამოძიების მიზნით;

b) საქმიანი ინფორმაციის მოპოვებას, შენახვას, დამუშავებას, გაანალიზებასა და გაცვლას, მათ შორის, სისხლისსამართლებივი დევნის განმახორციელებელი ორგანოების მიერ საეჭვო ფინანსური ტრანსაქციების შესახებ შეტყობინებებს, განსაკუთრებით, ევროპოლის ჩართვით. ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს შესაბამის დებულებებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის თაობაზე;

c) თანამშრომლობას, ასევე საერთო ინიციატივებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა განათლება და კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება, საკონტაქტო მოხელეთა და დელეგაციების გაცვლა, აღჭურვილობების დანერგვა და კრიმინალ-ტექნიკური კვლევა;

d) საერთო შეფასებებს ცალკეული საგამოძიებო ტექნიკის მიმართ, რაც დაკავშირებულია ორგანიზებული დამნაშავეობის ყველაზე უფრო მძიმე ფორმების გახსნასთან.

(2) საბჭო ხელს უწყობს თანამშრომლობას ევროპოლის მეშვეობით და, ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში, ახორციელებს განსაკუთრებით შემდეგს:

a) იგი შესაძლებლობას აძლევს ევროპოლს, რომ გაადვილდეს და მხადაჭერილ იქნეს წევრი სახელმწიფოების შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების სპეციფიკური საგამოძიებო ღონისძიებების, მათ შორის, ევროპოლის წარმომადგენლების მონაწილეობით მხარდამჭერი ფუნქციების შესასრულებლად შედგენილი საერთო ჯგუფების ოპერატიული მოქმედებების მომზადება და ხელი შეეწყოს ამგვარი საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელებასა და კოორდინაციას;

b) იგი ადგენს ღონისძიებებს, რომლებიც, ერთი მხრივ, შესაძლებლობას აძლევს ევროპოლს, თხოვნით მიმართოს წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებს, რომ სპეციალურ შემთხვევებში განახორციელოს და კოორდინაცია გაუკეთოს გამოძიებებს, ხოლო, მეორე მხრივ, იძლევა სპეციფიკური პროფესიული ცოდნის განვითარების შესაძლებლობას, რაც შეიძლება, ხელმისაწვდომი გახდეს წევრი სახელმწიფოებისთვის მათ მიერ ორგანიზებული დამნაშავეობის შემთხვევების გამოძიებების დროს დასახმარებლად.

c) იგი ხელს უწყობს მექანიზმებს სისხლისსამართლებრივი დევნის/საგამოძიებო ორგანოების მოხელეთა ურთიერთთანამშრომლობისათვის, რომელთა სპეციალური სფეროა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და რომლებიც ევროპოლთან მჭიდროდ თანამშრომლობენ;

d) იგი ქმნის ქსელს ტრანსნაციონალური დამნაშავეობის კვლევის, დოკუმენტაციისა და სტატისტიკისათვის.

მუხლი 31

(იუსტიციური თანამშრომლობა; ევროიუსტი)

(1) საერთო მიდგომები იუსტიციური თანამშრომლობის სფეროში სისხლის სამართლის საქმეებზე მოიცავს შემდეგს:

a) წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილ სამინისტროებსა და იუსტიციის ორგანოებს ან შესაბამის უწყებებს შორის თანამშორმლობის გაადვილება და დაჩქარება, აგრეთვე ევროიუსტის ჩართვით, თუკი ეს მიზანშეწონილი გახდება, სასამართლო განხილვის და გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში.

b) წევრ სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის პროცესის გაადვილება;

c) წევრი სახელმწიფოების მოქმედი დებულებების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველყოფა, რამდენადაც ეს ამ თანამშრომლობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია;

d) წევრ სახელმწიფოთა შორის კომპეტენციის თაობაზე კონფლიქტების თავიდან აცილება;

e) ორგანიზებული დამნაშავეობის, ტერორიზმისა და ნარკოტიკებით არალეგარულად ვაჭრობის სფეროებში დასჯადი მოქმედებების ქმედების შემადგენლობების ნიშნებისა და სასჯელების თაობაზე მინიმალური დებულებების დასადგენად ეტაპობრივად ღონისძიებების გატარება.

(2) საბჭო ხელს უწყობს ევროიუსტის მეშვეობით თანამშრომლობას შემდეგი სახით:

a) იგი შესაძლებლობას აძლევს ევროიუსტს, წვლილი შეიტანოს წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი კომპეტენტური ორგანოების სათანადო კოორდინაციაში;

b) იგი ხელს უწყობს ევროიუსტიციის მხრიდან ისეთი შემთხვევების გამოძიების მხარდაჭერას, რომლებიც დაკავშირებულია მძიმე ტრანსნაციონალურ, კერძოდ, ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, განსაკუთრებით, ევროპოლის ანალიზების გათვალისწინებით;

c) იგი აადვილებს ევროიუსტის მჭიდრო თანამშრომლობას ევროპულ იუსტიციურ ქსელთან, განსაკუთრებით იმ მიზნით, რომ გაადვილდეს სამართლებრივი დახმარებისა და ექსტრადიციის თხოვნის შესრულება.

მუხლი 32

(ექსტრატერიტორიალობა: წევრ სახელმწიფოთა უწყებების ტრანსნაციონალური მოქმედებები)

საბჭო ადგენს, თუ რა პირობების დაცვითა და საზღვრებში შეუძლიათ 30-ე და 31-ე მუხლებში დასახელებულ კომპეტენტურ ორგანოებს მოქმედება სხვა წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე, მის უწყებებთან კავშირში და შეთანხმებით.

მუხლი 33

(დათქმა საჯარო უსაფრთხოებასა და წესრიგთან დაკავშირებით)

ეს სათაური [დებულებები სისხლის სამართლის საქმეებზე პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობის შესახებ] ხელშეუხებელს ტოვებს წევრი სახელმწიფოების მიერ თავიანთი კომპეტენციების განხორციელებას, რომლებიც მიმართულია საჯარო წესრიგის შენარჩუნებისა და შინაგანი უსაფრთხოების დაცვისაკენ.

მუხლი 34

(მოქმედების ფორმები: წევრი სახელმწიფოების კოორდინაცია და საბჭოს ღონისძიებები)

(1) ამ სათაურში შემავალი სფეროების შესახებ წევრი სახელმწიფოები ერთმანეთს აყენებენ საქმის კურსში და ატარებენ ერთმანეთთან კონსულტაციებს საბჭოში, რათა მოახდინონ მათი მიდგომების კოორდინირება. ამისათვის ისინი აფუძნებენ თანამშრომლობას მათ კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის.

(2) საბჭო იღებს ზომებს და უწყობს ხელს, რათა თანამშრომლობა წარიმართოს ამ სათაურით დადგენილი სათანადო ფორმითა და შესაბამისი პროცედურით, რომელიც ემსახურება ევროკავშირის მიზნებს. ამისათვის მას შეუძლია, რომ, წევრი სახელმწიფოს ან კომისიის ინიციატივებზე დაყრდნობით, ერთხმად,

a) მიიღოს საერთო პოზიციები (gemeinsame Standpunkte), რომლითაც განისაზღვრება კავშირის საქმიანობა ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე;

b) მიიღოს ჩარჩო-გადაწყვეტილებები (Rahmenbeschlüsse) წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი და ადმინისტრაციული დებულებების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ჩარჩო-გადაწყვეტილებები წევრი სახელმწიფოებისათვის სავალდებულოა მისაღწევ მიზანთან დაკავშირებით, ხოლო ფორმისა და საშუალების არჩევანი გადაცემული აქვთ შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს. მათ არა აქვთ უშუალო მოქმედების ძალა;

c) მიიღოს გადაწყვეტილებები (Beschlüsse) ნებისმიერი სხვა მიზნით, რომელიც შესაბამისობაში იქნება ამ სათაურის მიზნებთან, გარდა წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი და ადმინისტრაციული აქტების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის ღონისძიებებისა. ეს გადაწყვეტილებები სავალდებულოა და არა აქვთ უშუალო მოქმედების ძალა. საბჭო, კვალიფიციური უმრავლესობით, იღებს ღონისძიებებს, რომლებიც აუცილებელია ამ გადაწყვეტილებების კავშირის დონეზე განსახორციელებლად.

d) შეადგინოს შეთანხმებები (Übereinkommen), რომელთა მიღებასაც იგი წევრ სახელმწიფოებს ურჩევს მათი კონსტიტუციური დებულებების შესაბამისად. წევრი სახელმწიფოები შესაბამის პროცედურას აწარმოებენ საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში.

თუკი შეთანხმებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ისინი, როგორც კი, სულ მცირე, წევრ სახელმწიფოთა ნახევრის მიერ იქნება მიღებული, შედიან ამ სახელმწიფოებისათვის ძალაში. შეთანხმებათა გასატარებლად საჭირო ღონისძიებები საბჭოში მიიღება ხელშეკრულების მონაწილეთა ორი მესამედის უმრავლესობით.

(3) თუკი საბჭოს გადაწყვეტილებისთვის აუცილებელია კვალიფიციური უმრავლესობა, მაშინ წევრების ხმები ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების 205-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით დაითვლება. გადაწყვეტილებები მიიღება მინიმუმ 255 ხმით, რაც სულ მცირე წევრების ორ მესამედის მხარდაჭერას საჭიროებს. თუკი გადაწყვეტილების მიღებას საბჭოს კვალიფიციური უმრავლესობა სჭირდება, მაშინ საბჭოს ერთ-ერთ წევრს შეუძლია შეიტანოს განაცხადი, რომ შემოწმებულ იქნეს, წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ამ კვალიფიციურ უმრავლესობას ქმნიან, წარმოადგენენ თუ არა კავშირის მთელი მოსახლეობის სულ მცირე 62%-ს. თუკი აღმოჩნდება, რომ ეს წინაპირობა არ არის შესრულებული, მაშინ შესაბამისი გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული.

(4) პროცედურულ საკითხებზე საბჭო გადაწყვეტილებას იღებს თავის წევრთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 35

(ევროპული გაერთიანებების სასამართლოს კონტროლი და განმარტება)

(1) ევროპული გაერთიანებების სასამართლო, ამ მუხლით დადგენილი პირობების მიხედვით, წინასწარი გადაწყვეტის გზით, იღებს გადაწყვეტილებას ჩარჩო-გადაწყვეტილებებისა და გადაწყვეტილებების მოქმედების იურიდიული ძალისა და ინტერპრეტაციის, ასევე შეთანხმებათა განმარტების თაობაზე, რაც ხორციელდება ამ სათაურში მოცემული დებულებების მიხედვით, და მათ განსახორციელებლად გამოცემული ღონისძიებების მოქმედების იურიდიული ძალისა და ინტერპრეტაციის შესახებ.

(2) ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, ამსტერდამის ხელშეკრულების ხელმოწერისას ან მოგვიანებით ნებისმიერ დროს, მის მიერ წარდგენილი განაცხადით, აღიაროს სასამართლოს კომპეტენცია პირველი აბზაცით გათვალისწინებულ წინასწარი გადაწყვეტის თაობაზე.

(3) წევრი სახელმწიფო, რომელიც განაცხადს მე-2 აბზაცის შესაბამისად წარადგენს, განსაზღვრავს, რომ

a) ან, [ევროგაერთიანებების] სასამართლოს, წინასწარი გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია შეკითხვით, რომელიც მიმდინარე გაჭიანურებულ პროცესზე წამოიჭრა და პირველი აბზაციდან გამომდინარე სამართლებრივი აქტის იურიდიულ ძალას ან მის ინტერპრეტაციას შეეხება, მიმართოს მხოლოდ მისმა ნებისმიერმა იმ [ნაციონალურმა] სასამართლომ, რომლის

გადაწყვეტილებების გასაჩივრება შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებებით აღარ შეიძლება, თუკი იგი ამ საკითხის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას თავისი გადაწყვეტილების გამოტანისთვის აუცილებლად მიიჩნევს,

b) ანდა, ნებისმიერ მის [ნაციონალურ] სასამართლოს შეუძლია, შეკითხვა, რომელიც მიმდინარე გაჭიანურებულ პროცესზე წამოიჭრება და პირველი აბზაცის შესაბამისად სამართლებრივი აქტის იურიდიულ ძალას ან მის ინტერპრეტაციას შეეხება, წინასწარი გადაწყვეტის მიზნით, წარუდგინოს [ევროგაერთიანებების] სასამართლოს, თუკი იგი საკითხის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებას თავისი გადაწყვეტილების გამოტანისთვის აუცილებლად მიიჩნევს.

(4) ყოველ წევრ სახელმწიფოს, მიუხედავად იმისა, მე-2 აბზაცის მიხედვით წარადგინა თუ არა განაცხადი, პროცესის წარმოებისას, პირველი ნაწილის შესაბამისად, შეუძლია, [ევროგაერთიანებების] სასამართლოს მიაწოდოს წერილობითი დოკუმენტები ანდა წერილობითი ახსნა-განმარტებები.

(5) [ევროგაერთიანებების] სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გადაამოწმოს წევრი სახელმწიფოს პოლიციის ან სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი სხვა ორგანოების ღონისძიებების იურიდიული ძალა ან თანაზომიერება ან წევრი სახელმწიფოების მიერ თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელება საჯარო წესრიგის შენარჩუნებისა და შინაგანი უსაფრთხოების დაცვისათვის.

(6) [ევროგაერთიანებების] სასამართლო უფლებამოსილია, გადაამოწმოს ჩარჩო-გადაწყვეტილებებისა და გადაწყვეტილებების მართლზომიერება იმ სარჩელის საფუძველზე, რომელიც წევრი სახელმწიფოს ან კომისიის მიერ არაუფლებამოსილების, ფორმის შესახებ დებულებების არსებითი დარღვევის, ამ ხელშეკრულების დარღვევის ან მისი განხორციელებისას გამოყენებადი სამართლებრივი ნორმის ან დისკრეციის ბოროტად გამოყენების გამო იქნა აღძრული. ამ აბზაცით გათვალისწინებული სასამართლო პროცესი იწყება ღონისძიებების გამოქვეყნებიდან ორი თვის განმავლობაში.

(7) [ევროგაერთიანებების] სასამართლო უფლებამოსილია, გადაწყვიტოს წევრ სახელმწიფოთა შორის ყველა ის დავა, რაც დაკავშირებულია 34-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით მიღებული სამართლებრივი აქტის განმარტებასთან ან გამოყენებასთან, რომელიც საბჭოს მიერ, მისი ერთ-ერთი წევრის ინიციატივით, განხილვის დაწყების მომენტიდან 6 თვის განმავლობაში არ იქნა მოგვარებული. სასამართლო, ასევე, უფლებამოსილია წევრ სახელმწიფოთა და კომისიას შორის არსებული დავების გადაწყვეტაზე, რაც დაკავშირებულია 34-ე მუხლის მე-2 (d) აბზაცის შესაბამისად შედგენილი შეთანხმების განმარტებასთან ან გამოყენებასთან.

მუხლი 36

(საკოორდინაციო კომიტეტი)

(1) საკოორდინაციო კომიტეტი იქმნება მაღალი რანგის მოხელეებისაგან. გარდა საკოორდინაციო საქმიანობისა, მას გააჩნია ამოცანა,

– საბჭოს თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით მიმართოს საბჭოს დასკვნით,

– ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების 207-ე მუხლის დაურღვევლად, წვლილი შეიტანოს საბჭოს მიერ 29-ე მუხლში დასახელებულ სფეროებში განსახორციელებელ სამუშაოთა მომზადებაში.

(2) კომისია სრული მოცულობით მონაწილეობს სამუშაოების შესრულებაში იმ სფეროებში, რომლებიც ამ სათაურშია დასახელებული.

მუხლი 37

(საერთო თვალსაზრისები საერთაშორისო ასპარეზზე)

წევრი სახელმწიფოები საერთაშორისო ორგანიზაციებში და საერთაშორისო კონფერენციებზე, სადაც ისინი წარმოდგენილი არიან, წარმოადგენენ ამ სათაურის ფარგლებში მიღებულ საერთო პოზიციებს._

მე-18 და მე-19 მუხლები ამ სათაურს მიკუთვნებულ საქმიანობებზე გამოიყენება არსობრივად.

მუხლი 38

(საერთაშორისო შეთანხმებების დადება)

24-ე მუხლის შესაბამისად დადებულ შეთანხმებებში შესაძლებელია, დარეგულირდეს ის საკითხები, რომლებიც მოცემულია ამ სათაურში.

მუხლი 39

(ევროპარლამენტის მონაწილეობა)

(1) საბჭო, სანამ ღონისძიებას 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის (b), (c) და (d) ქვეპუნქტების შესაბამისად მიიღებს, მოუსმენს ევროპულ პარლამენტს. ევროპული პარლამენტი თავის მოსაზრებას გამოხატავს იმ ვადაში, რომელიც შეიძლება, რომ საბჭომ დაადგინოს და რომელიც მინიმუმ 3 თვეს შეადგენს. თუ ამ ვადაში არავითარი მოსაზრება არ იქნება გამოთქმული, მაშინ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო.

(2) თავმჯდომარე და კომისია რეგულარულად ატყობინებენ ევროპულ პარლამენტს ამ ნაწილის სფეროებში გატარებელი ღონისძიებების შესახებ.

(3) ევროპულ პარლამენტს შეუძლია შეკითხვით ან რეკომენდაციით მიმართოს საბჭოს. წელიწადში ერთხელ იგი წარმართავს დისკუსიას ამ სათაურში დასახელებულ სფეროებში მიღწეული წარმატებების შესახებ.

მუხლი 40

(გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის მიზნები)

(1) ამ სათაურის ქვეშ მოცემულ სფეროებში გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობა მიზნად ისახავს, რომ კავშირი, ევროპული გაერთიანების უფლებამოსილებების, ასევე ამ სათაურში დადგენილი მიზნების დაცვით, სწრაფად განვითარდეს თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცედ.

(2) ამ მუხლით გათვალისწინებული გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის სფეროში მოქმედებს 29-ე-39-ე და მე-40(a), მე-40(b) და 41-ე მუხლები, თუ მე-40(a) და 43-ე- 45-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

(3) ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების განსაზღვრებები [ევროგაერთიანებების] სასამართლოს უფლებამოსილებისა და ამ უფლებამოსილების განხორციელების შესახებ გამოიყენება ამ მუხლის, ისევე, როგორც მე-40(a) და მე-40(b) მუხლების მიმართ.

მუხლი 40 (a)

(გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის პროცედურა)

(1) წევრი სახელმწიფოები, რომლებსაც განზრახული აქვთ, მე-40 მუხლის თანახმად დააფუძნონ გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობა, განაცხადით მიმართავენ კომისიას, რომელსაც შეუძლია შესაბამისი წინადადებით მიმართოს საბჭოს. თუკი კომისია არ წარმოადგენს არავითარ წინადადებას, მაშინ იგი ამის მიზეზს ატყობინებს დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოებს. მათ შემდგომ შეუძლიათ ინიციატივით მიმართონ საბჭოს, რომლის მიზანია, გაცემულ იქნეს ნებართვა შესაბამისი გაძლიერებული თანამშრომლობის დასაწყებად.

(2) პირველი ნაწილით გათვალისწინებული ნებართვის გაცემა, 43-დან 45-მდე მუხლების შესაბამისად, ხდება საბჭოს მიერ კვალიფიციური უმრავლესობით, კომისიის წინადადების ან მინიმუმ რვა წევრი სახელმწიფოს ინიციატივის საფუძველზე, ევროპარლამენტის მოსმენის შემდეგ. საბჭოს წევრების ხმები დაითვლება ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების 205-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით.

საბჭოს ერთ-ერთ წევრს შეუძლია, მოითხოვოს, რომ ევროპული საბჭო ამ საკითხით დაკავდეს. ამის შემდეგ, საბჭოს შეუძლია, გადაწყვეტილება მიიღოს პირველი ქვეაბზაცის მიხედვით.

მუხლი 40 (b)

(გაძლიერებულ ურთიერთთანამშრომლობაში მონაწილეობა)

ყოველი წევრი სახელმწიფო, რომელსაც სურს, შეუერთდეს მე-40a მუხლის მიხედვით დაფუძნებულ ურთიერთთანამშრომლობას, ატყობინებს საბჭოსა და კომისიას მისი განზრახვის შესახებ. კომისია საბჭოს, შეტყობინების მიღებიდან 3 თვის განმავლობაში, წარუდგენს დასკვნას, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, თან ერთვის რეკომენდაცია სპეციფიკური რეგულირების თაობაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს, რათა წევრმა სახელმწიფომ შეძლოს ურთიერთთანამშრომლობაში ჩართვა. საბჭო განაცხადის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს განაცხადის შესვლიდან 4 თვის განმავლობაში. გადაწყვეტილება ითვლება მიღებულად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბჭო აღნიშნულ ვადაში, კვალიფიციური უმრავლესობით, მიიღებს გადაწყვეტილებას მისი უარყოფის შესახებ. ამ შემთხვევაში, საბჭო უთითებს თავისი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს და ადგენს მისი გადამოწმების ვადას.

ამ მუხლის მიზნებისათვის, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 44-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 41

(დაფინანსება)

(1) ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების 189-ე, 190-ე, 195-ე, 196-ე-199-ე, 203-ე, 204-ე მუხლები, 205-ე მუხლის მე-3 აბზაცი, ასევე, 206-ე-209-ე, 213-ე-219-ე, 255-ე და 290-ე მუხლები გამოიყენება ამ ნაწილში მითითებული სფეროების შესახებ დებულებების მიმართ.

(2) ადმინისტრაციული ხარჯები, რომლებიც ამ ნაწილში დასახელებული სფეროების დებულებებიდან წარმოიშობიან, ფინანსდება ევროპული გაერთიანებების ბიუჯეტიდან.

(3) ოპერატიული ხარჯები, რაც დაკავშირებულია ამ დებულებების გატარებასთან, ასევე ფინანსდება ევროპული გაერთიანებების ბიუჯეტიდან, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა საბჭო ერთხმად სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს. იმ შემთვევებში, როცა ხარჯები ევროპული გაერთიანებების ბიუჯეტიდან არ ფინანსდება, მისი დაფინანსების ხარჯებს გაიღებენ წევრი სახელმწიფოები, თუკი საბჭო ერთხმად სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

(4) ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ნორმები ბიუჯეტის შესახებ გამოიყენება იმ ხარჯებთან მიმართებაში, რომლებიც ევროპული გაერთიანებების ბიუჯეტიდან გამოიყოფა.

მუხლი 42

(ევროპის გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში გადატანა)

საბჭოს შეუძლია, კომისიის ან ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს ინიციატივით და ევროპული პარლამენტის მოსმენის შემდეგ, ერთხმად გადაწყვიტოს, რომ ის ღონისძიებები, რომლებიც 29-ე მუხლით გათვალისწინებულ სფეროებს განეკუთვნებიან, ექცევიან ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების IV სათაურის ქვეშ და იმავდროულად დაადგინოს შესაბამისი ხმის მიცემის პროცედურა. იგი ურჩევს წევრ სახელმწიფოებს, ეს გადაწყვეტილება მიიღონ მათი კონსტიტუციური დებულებების შესაბამისად.

სათაური VIII
დასკვნითი დებულებები

მუხლი 46

(ევროპული გაერთიანებების სასამართლოს კომპეტენცია)

ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების, ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულებისა და ევროპული ატომური გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების განსაზღვრებები, რომლებიც შეეხებიან ევროპული გაერთიანებების სასამართლოს კომპეტენციას და ამ უფლებამოსილების განხორციელებას, მოქმედებენ მხოლოდ ხელშეკრულების შემდეგი დებულებებისათვის:

...

b) VI სათაურის დებულებები 35-ე მუხლის შესაბამისად;

...

d) მე-6 მუხლის მე-2 აბზაცი, დაკავშირებული ორგანოების ქმედებებთან, თუ სასამართლოს ევროპული გაერთიანებების სადამფუძნებლო ხელშეკრულებებისა და ამ ხელშეკრულების ფარგლებში გააჩნია ამის უფლებამოსილება;

...

f) 46-დან 53-მდე მუხლები.

მუხლი 47

(კავშირის ხელშეკრულების მიმართება გაერთიანების ხელშეკრულებებთან)

გარდა იმ დებულებებისა, რომლებიც შეეხებიან ევროპული ეკონომიკური გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების შეცვლას, რაც დაკავშირებულია ევროპული გაერთიანების დაფუძნებასთან, ასევე ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულებისა და ევროპული ატომური გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების შეცვლას, ასევე ამ დასკვნითი დებულებების გარდა, წარმოდგენილი ხელშეკრულება ხელშეუხლებელს ტოვებს ევროპული გაერთიანებების სადამფუძნებლო ხელშეკრულებებს, ასევე შემდგომ ხელშეკრულებებსა და აქტებს, რომლებიც ცვლიან ან ავსებენ დასახელებულ ხელშეკრულებებს.

V ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულება (ნიცა[1])

პირველი ნაწილი
ძირითადი პრინციპები

მუხლი 5

(შეზღუდული ცალკეული უფლებამოსილებები; სუბსიდიარულობა და თანაზომიერება)

გაერთიანება მოქმედებს იმ კომპეტენციათა ფარგლებში, რომლებიც მას ამ ხელშეკრულებით, მასში დასახული მიზნების მისაღწევად, აქვს მინიჭებული.

გაერთიანება იმ სფეროებში, რომლებიც მის განსაკუთრებულ კომპეტენციის ფარგლებს არ განეკუთვნება, სუბსიდიარულობის პრინციპის თანახმად, საქმიანობს მხოლოდ მაშინ, როცა გამოსაყენებელი ღონისძიებებით დასახული მიზნების დამაკმაყოფილებლად მიღწევა წევრი სახელმწიფოების დონეზე არ არის შესაძლებელი და ამიტომ, მათი მოცულობისა და შედეგების გათვალისწინებით, გაერთიანების დონეზე უკეთესად განხორციელებადია.

გაერთიანების ღონისძიებები არ უნდა გასცდეს ამ ხელშეკრულების მიზნების მისაღწევად აუცილებელ ზომებს.

მუხლი 10

(გაერთიანების ერთგულება)

წევრი სახელმწიფოები, იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რომლებიც გამომდინარეობს ამ ხელშეკრულებიდან ან გაერთიანების ორგანოების მოქმედებებიდან, იღებენ ზოგადი ან განსაკუთრებული სახის ყველა საჭირო ღონისძიებას. ისინი უადვილებენ მათ თავიანთი ამოცანების შესრულებას.

---

[1] Treaty establishing the European Community (Vertrag zur Gründung der Europäischen Gemeinschaft). ეს ხელშეკრულება, რომელიც დადებულ იქნა ნიცაში, ძალაში შევიდა 2003 წლის 1 თებერვალს. ისევე, როგორც სხვა ხელშეკრულებებთან მიმართებაში, წიგნში წარმოდგენილია ამ ხელშეკრულების მხოლოდ სისხლისსამართლებრივად რელევანტური ნორმები.

ისინი თავს იკავებენ ყველა იმ ღონისძიებისაგან, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ამ ხელშეკრულების მიზნების განხორციელებას.

მესამე ნაწილი

გაერთიანების პოლიტიკის სფეროები

სათაური IV
ვიზა, თავშესაფარი, მიგრაცია და პოლიტიკის სხვა სფეროები, რომლებიც ეხება პირთა თავისუფალ გადაადგილებას

მუხლი 61

(პირთა თავისუფალი გადაადგილება; დამნაშავეობასთან ბრძოლა)

თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცის ეტაპობრივი შექმნის მიზნით, საბჭო ახორციელებს

a) ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში, მე-14 მუხლის შესაბამისად, ღონისძიებებს პირთა თავისუფალი გადაადგილების უზრუნველსაყოფად, უშუალოდ იმ დამხმარე ღონისძიებებთან კავშირში, რომლებიც, 62-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნომრებიდან, 63-ე მუხლის პირველი ნომრის ,,a'' ქვეპუნქტიდან და მე-2 ნომრის ,,a'' ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ეხება გარე საზღვრების კონტროლს, თავშესაფრის უფლებასა და მიგრაციას, ასევე ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 31-ე მუხლის ,,e'' ქვეპუნქტის შესაბამისად, იმ ღონისძიებების გატარებას, რომლებიც უკავშირდება დამნაშავეობის აღკვეთასა და მის წინააღმდეგ ბრძოლას;

...

e) ღონისძიებებს პოლიციური და იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის სფეროში სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებიც კავშირის შიგნით დამნაშავეობის აღკვეთისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მეშვეობით, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, გამიზნულია უსაფრთხოების მაღალი ხარისხის მისაღწევად.

სათაური X
ურთიერთთანამშრომლობა საბაჟო საკითხებში

მუხლი 135

(საბაჟო საკითხებში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ)

საბჭო, ამ ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში, 251-ე მუხლით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, იღებს ღონისძიებებს საბაჟო საკითხებში ურთიერთთანამშრომლობის განვითარებისათვის, როგორც წევრ სახელმწიფოებს, ისე წევრ სახელმწიფოებსა და კომისიას შორის. წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის გამოყენება და სისხლის სამართალწარმოება ამ ღონისძიებებისაგან ხელშეუხებელი რჩება.

მუხლი 280

(თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა)

(1) გაერთიანება და წევრი სახელმწიფოები ებრძვიან თაღლითობებსა და გაერთიანების ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებებით, რომლებიც დამაშინებელია და წევრ სახელმწიფოებში ეფექტურ დაცვას უზრუნველყოფენ.

(2) თაღლითობების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც მიმართულია გაერთიანების ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ, წევრი სახელმწიფოები ატარებენ იგივე ღონისძიებებს, რომლებსაც ისინი ასევე იყენებენ იმ თაღლითობების მიმართ საბრძოლველად, რომლებიც მიმართულია საკუთარი ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ.

(3) წევრი სახელმწიფოები, ხელშეკრულების სხვა დებულებების დაურღვეველად, კოორდინაციას უწევენ თავიანთ საქმიანობას თაღლითობებისაგან გაერთიანების ფინანსურის ინტერსების დაცვის მიზნით. ისინი ამ მიზნით, კომისიასთან ერთად, ზრუნავენ, რათა მჭიდრო და რეგულარული ურთიერთთანამშრომლობა განახორციელონ უფლებამოსილ უწყებებს შორის.

(4) წევრ სახელმწიფოებში დაცვის ეფექტურად და თანაბრად უზრუნველსაყოფად, საბჭო, 251-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, კონტროლის პალატის მოსმენის შემდეგ, იღებს აუცილებელ ღონისძიებებს გაერთიანების ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართული თაღლითობების აღკვეთისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის გამოყენება და მათი სისხლის სამართალწარმოება ამ ღონისძიებებისაგან ხელშეუხებელი რჩება.

(5) კომისია, წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთთანამშრომლობის გზით, ევროპულ პარლამენტსა და საბჭოს ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ამ მუხლის განსახორციელებლად იქნა გატარებული.

VI სუპრანაციონალური სისხლისსამართლებრივი კომპეტენცია ევროგაერთიანების ხელშეკრულების 280-ე მუხლის მე-4 აბზაცის მიხედვით და მისი რეფორმირების მცდელობები

ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 280-ე მუხლის რეგულირების საგანს წარმოადგენდა „ევროგაერთიანების საზიანოდ თაღლითობასთან ბრძოლა". ამ ნორმის თავდაპირველი ვარიანტი ევროგაერთიანების ხელშეკრულებაში შეტანილი იქნა მაასტრიხის ხელშეკრულებით, ხოლო ამსტერდამის ხელშეკრულებით გაფართოვდა მისი შინაარსი.

თაღლითობები და ევროგაერთიანების ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებები წარმოადგენენ მნიშვნელოვან პრობლემას ევროკავშირის ფარგლებში. ევროგაერთიანების ხელშეკრულების 280-ე მუხლი ეფუძნება 1995 წლის წევრი სახელმწიფოების შეთანხმებას „ევროგაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ".[1] იგი გახლავთ მრავალმხრივი საერთაშორისო რეგიონალური ხელშეკრულება, რომელიც „მესამე სვეტის ფარგლებში" შეიქმნა სამთავრობოთაშორისი თანამშრომლობის შედეგად.[2] თანამშრომლობის შესახებ ეს შეთანხმება არ შეიცავს გაერთიანების მიერ „სამართლის ქმნის" ორიგინალურ კომპეტენციას (Strafrechtssetzungskompetenz). ასევე, ამ შეთანხმებაზე დამყარებული იმედები წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემების ჰარმონიზაციის შესახებ სრულად ვერ განხორციელდა. ეს კონვენცია ძალაში შევიდა მიღებიდან მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ, რადგან ამდენი ხანი დასჭირდა დრო ბოლო რატიფიკაციამდე. სწორედ ამან განაპირობა „პირველი სვეტის" ფარგლებში მუშაობის გააქტიურება და ევროკომისიამ 2001 წლის გაზაფხულზე წარმოადგინა ევროგაერთიანების ფინანსური ინტერესების სისხლისსამართლებრივი დაცვის შესახებ სპეციალური დირექტივის (Richtlinie) მიღების რეკომენდაცია.[3] მის შიდასახელმწიფოებრივ იმპლემენტაციას მნიშვნელოვანი შედეგები ექნებოდა ნაციონალური სისხლის სამართლისათვის. ასე, მაგალითად, რეკომენდაციის მე-9 მუხლი ითვალისწინებს იურიდიულ პირთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ხოლო მე-11 მუხლით გათვალისწინებულია იურიდიული პირების მიმართ ისეთი სანქციები, როგორიცაა „სისხლისსამართლებრივი და არასისხლისსამართლებრივი ფულადი სანქციები და სხვა სახის სანქციები, როგორიცაა, მაგალითად, „მოსამართლის გადაწყვეტილებით ლიკვიდაცია". ევროპარლამენტის თვალსაზრისის გათვალისწინებით, შეცვლილი რეკომენდაცია მიღებულ იქნა კომისიის მიერ და 2002 წლის ოქტომბერში ისევ საბჭოსა და პარლამენტს გადაეცა.

სადავო იყო საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შეეძლო ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 280-ე მუხლის არსებულ რედაქციას, ყოფილიყო „პირველი სვეტის" ფარგლებში სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გატარების კომპეტენციის სამართლებრივი საფუძველი.[4] ამ მუხლის მე-4 აბზაცის პირველი წინადადების მიხედვით, საბჭო, ევროგაერთიანების ხელშეკრულების 251-ე მუხლის საფუძველზე, თანაგადაწყვეტილების პროცედურით, ღებულობს „ყველა აუცილებელ ღონისძიებას გაერთიანების ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართული თაღლითური ქმედებებისაგან დასაცავად და მასთან საბრძოლველად".

---

1 Übereinkommen „zum Schutz der finanziellen Interessen der Europäischen Gemeinschaften".

2 შეად. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 530-532; იხ. ასევე: *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 417.

3 შეად. *Rossenau*, ZIS 2008, 10.

4 იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 417.

არსებობს ამ დებულების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. ამ ნორმის სიტყვათა ჟღერადობიდან გამომდინარე, შესაძლებელია ისეთი დასკვნის გაკეთება, რომ იგი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი ნორმების გამოცემის კომპეტენციას.[1] მაგრამ ლიტერატურაში გამოთქმულია ასეთი თვალსაზრისის საწინააღმდეგო პოზიციაც. ეჭვის წარმოიშობის საფუძველს იძლევა ამ ნორმაში გამოყენებული ტერმინი: „ღონისძიება" (Maßnahme). ისმის კითხვა: გულისხმობს იგი სისხლისსამართლებრივ ნორმებსაც? *ამბოსი* ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად იყენებს ნორმის სისტემურ ახსნა-განმარტებას. კერძოდ, 280-ე მუხლის მე-4 აბზაცს კითხულობს მე-2 აბზაცთან ერთობლიობაში და უთითებს, რომ ეს უკანასკნელი ცნებას: „ღონისძიება" ასევე (ნაციონალურ) სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან მიმართებითაც იყენებს. აქედან იგი აკეთებს დასკვნას, რომ ამ ნორმაში მოხსენიებული ტერმინი: „ღონიძიება" წარმოადგენს გვარეობით ცნებას, რომელიც თავის თავში ასევე სისხლისსამართლებრივი ნორმების გამოცემასაც მოიცავს.[2]

ნაკლებად ერთმნიშვნელოვანი, მაგრამ 280-ე მუხლის მე-4 აბზაცის ახსნა-განმარტებისათვის გადამწყვეტია ამ აბზაცის პირველი და მეორე წინადადებების ურთიერთკავშირში წაკითხვა. მე-2 წინადადება წარმოადგენს პირველი წინადადებისადმი „გაერთიანების მეგობრული" დამოკიდებულების გამომხატველ დებულებას, რომლის მიხედვითაც, გაერთიანებას შეუძლია, გადაწყვიტოს „აუცილებელი ღონისძიებები", რომლებიც წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის გამოყენებასა და მათ სისხლის სამართლის წარმოებას ხელშეუხებელს ტოვებს. აქედან, *ამბოსის* აზრით, შეიძლება *prima facie* დავადგინოთ, რომ პირველი წინადადებიდან გამომდინარე კომპეტენცია არ შეიძლება გავრცელდეს სისხლის სამართლის სფეროზე, რომელიც „ამ ღონისძიებებიდან ხელშეუხებელი რჩება".[3] ზოგიერთი ავტორი 280-ე მუხლის მე-4 აბზაცის მე-2 წინადადებაში ხედავს ექსპლიციტურ აკრძალვას, ევროგაერთიანების ფინანსური ინტერესების დაცვა მოხდეს ნაციონალურ სისხლის სამართალზე ბლანკეტური მითითებით.[4]

მართლაც, მე-2 წინადადებაში მოცემულია ცნებები, რომელთაც აკლია სასურველი სინათლე: აქ საუბარია ნაციონალური სისხლის სამართლის „გამოყენებასა" და წევრი სახელმწიფოების „სისხლის სამართლის წარმოებაზე". აქედან შეიძლება, ნორმის გრამატიკული ინტერპრეტაციით, გამომდინარეობდეს, რომ მე-2 წინადადების დათქმა მხოლოდ სისხლის საპროცესო სამართალზე ან სისხლის სამართლის პროცესზე ვრცელდება და, ამით, პირველი წინადადებიდან გამომდინარე კომპეტენციას მატერიალური სისხლის სამართლის სფეროსთან მიმართებით ვერ შეაფერხებს. სხვაგვარი მიდგომით, მე-2 წინადადებას მხოლოდ იმის ნათელყოფა უნდა, რომ ნაციონალური სამართალი, გაერთიანების სისხლის სამართლის გვერდით, გაერთიანების სამართლის გამოყენების პრიორიტეტულობის პრინციპის დარღვევით, ზოგადად, ინარჩუნებს გამოყენებას.

ორივე თვალსაზრისიდან გამომდინარეობს, რომ 280-ე მუხლის მე-4 აბზაცი წარმოადგენდა ევროგაერთიანებისათვის გაერთიანების საზიანო თაღლითობის წინააღმდეგ საბრძოლველად სისხლისსამართლებრივი ნორმების შექმნის კომპეტენციის მინიჭების სამართლებრივ საფუძველს. ასეთი დებულებები გამოყენებადია ნაციონალური სამართლის გვერდით.

---

[1] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 418; *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 106.

[2] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 418. ამ საკითხთან დაკავშირებით ლიტერატურა მითითებულია იქვე, 39-ე სქოლიოში.

[3] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 418.

[4] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 418.

ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 280-ე მუხლის მე-4 აბზაცში მოცემულია წევრი სახელმწიფოების ნაციონალურ სისხლის სამართალთან მიმართებაში, მისი „განვრცობის კომპეტენციის" საფუძველზე, სისხლის სამართლის კანონმდებლობის სფეროში გაერთიანების უფლებამოსილების სამართლებრივი საფუძველი, რომელიც მხოლოდ სუბსიდიარულობისა (ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-2 აბზაცი და ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-2 აბზაცი – Subsidiaritätsprinzip) და თანაზომიერების (ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-3 აბზაცი – Verhältnismäßigkeitsgrundsatz) პრინციპებით შეიძლებოდა შეზღუდულიყო.[1]

მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, გაბატონებული შეხედულების მიხედვით, საბოლოოდ ჩამოყალიბდა პოზიცია, რომ ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 280-ე მუხლის მე-4 აბზაცი გაერთიანებას არავითარ სისხლისსამართლებრივ „სამართლის ქმნის" კომპეტენციას (kriminalstrafrechtliche Rechtssetzungsbefugnis) არ აძლევდა, რაც გამომდინარეობდა 280-ე მუხლის მე-4 აბზაცის მე-2 წინადადებიდან.[2] ამასთან, *ჰეკერი* უთითებს, რომ არსებობს გაერთიანების „სპეციალური კომპეტენციის საფუძველი" (spezielle Kompetenzgrundlage"), რომელიც ემსახურება წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის მიზანს.[3]

ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 280-ე მუხლის შემცვლელად ჩამოყალიბებული ევროპული საკონსტიტუციო ხელშეკრულების III-415-ე მუხლი მე-4 აბზაცში არ შეიცავს 280-ე მუხლის მე-4 აბზაცის მე-2 წინადადების ანალოგიურ მითითებას.[4] ასეთივე მდგომარეობაა ევროკავშირის საქმინობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების (AEUV) 325-ე მუხლის მე-4 აბზაცის მიხედვითაც.[5]

ამბოსი მიდის დასკვნამდე, რომ მე-2 წინადადების ინტერპრეტაცია არ არის ნათელი და არ იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. ამასთან, მას მიაჩნია, რომ ინტერპრეტაციის გადამწყვეტი – თელეოლოგიური არგუმენტი გაერთიანებისათვის სისხლის სამართლის სფეროში „სამართლის ქმნის" კომპეტენციის მინიჭების წინააღმდეგ გამოდის და სისხლის სამართალი კვლავაც ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ძირითად სფეროდ რჩება.[6] თუ წევრ სახელმწიფოებს უნდა ჰქონოდათ ამ სფეროში „სისხლის სამართლის ქმნის" კომპეტენციის სუპრანაციონალური ინსტიტუტების მეშვეობით განხორციელების უფლება, მაშინ ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულებაში 280-ე მუხლის სადავო ნორმა უფრო გარკვევით უნდა ჩამოყალიბებულიყო, ვიდრე ეს მოცემული იყო ამ მუხლის ძალზე სადავო მე-4 აბზაცში. ლიტერატურაში გაკეთებულია დასკვნა, რომ 280-ე მუხლის მე-4 აბზაცში არ არის ნათლად მოცემული არც „სისხლის სამართლი ქმნის" კომპეტენციის საფუძველი, არც ახსნა-განმარტების გზით არის შესაძლებელი ამ დებულების ისეთი ინტერპრეტაცია, რომ იგი წარმოადგენს ნაციონალური სუვერენიტეტის გაერთიანების სუპრანაციონალური ორგანოებისათვის გადაცემის გამოხატულებას.

---

[1] შეად. *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 138; *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 419.

[2] იხ. *Satzger:* Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 106, 109, 143; *Weigend*, StV 2001, 67; *Hekker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, Die Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 163; *Hecker*, ZStW 115 (2003), 895; *Tiedemann*, ZStW 116 (2004), 947; *Rosenau*, ZIP 2008, 14.

[3] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, 307.

[4] ამ საკითხზე კრიტიკული თვალსაზრისი გამოთქმულია *ვაიგენდის* მიერ, იხ. *Weigend*, ZStW 116 (2004), 288.

[5] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 418.

[6] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 419.

ევროკომისიის „მწვანე წიგნი ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვისა და ევროპული პროკურატურის შესახებ“[1] მიიჩნევს, რომ ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 280-ე მუხლი წარმოადგენს არასაკმარის საფუძველს სისხლის სამართლის სფეროში სუპრანაციონალური კომპეტენციების განსაზღვრისათვის, რადგან, ამ მუხლის მე-4 აბზაცის მე-2 წინადადებით, წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის გამოყენება და მათი სისხლის სამართლის წარმოება ამ სუპრანაციონალური ნორმისაგან ხელშეუხებელი უნდა დარჩეს. კომისიის თვალსაზრისით, ევროგაერთიანების ხელშეკრულების აღნიშნული ნორმის შეცვლა აუცილებელი იყო[2] და იგი უნდა შეცვლილიყო ახალი, 280a-ე მუხლით.[3]

ამ მუხლის მე-3 აბზაცის მიხედვით, საბჭო, 251-ე მუხლით განსაზღვრული პროცედურით, ადგენს ევროპული პროკურორის მიერ თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პირობებს და გამოსცემს, განსაკუთრებით,

(ა) დებულებებს (ნორმებს), რათა განისაზღვროს თაღლითობისა და ევროგაერთიანების ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ყველა სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ქმედების შემადგენლობათა ნიშნები, ისევე, როგორც სასჯელები ყველა ამ დანაშაულის შემადგენლობებისათვის;

(ბ) საპროცესო დებულებებს (ნორმებს) ევროპული პროკურორის საქმიანობის შესახებ, ისევე, როგორც დებულებებს მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ;

(გ) დებულებებს (ნორმებს) ევროპული პროკურორის მიერ თავისი სამსახურებრივი საქმიანობის პროცესში განხორციელებულ საპროცესო მოქმედებებზე სამოსამართლეო კონტროლის შესახებ.

როგორც ვხედავთ, ამ ნორმის მიზანია, გაიზარდოს ევროპული სუპრანაციონალური ორგანოების უფლებამოსილებები მატერიალური სისხლის სამართლის სფეროში. „მწვანე წიგნის“ მიხედვით, რაც უფრო ერთიანი იქნება მატერიალური სამართალი, მით უფრო გაადვილდება ევროპული პროკურატურის საქმიანობა. გარდა ამისა, ამ გზით, ევროგაერთიანების ხელშეკრულებით დადგენილი გაერთიანების შიგნით სამართლებრივი დაცვის თანაბარუფლებიანობა უკეთესად იქნებოდა უზრუნველყოფილი.[4]

ევროგაერთიანების ხელშეკრულებაში პროექტით შემოთავაზებული 280a-ე მუხლის მე-3 აბზაცის შეტანის შემთხვევაში, შეიქმნებოდა ევროპული სისხლის სამართლის შექმნის შესაძლებლობა უშუალოდ „პირველი სვეტის“ ფარგლებში.[5] მაშასადამე, ამით რეალობად იქცეოდა მრავალმხრივ სადისკუსიო თემა ევროგაერთიანების მიერ სუპრანაციონალური სისხლის სამართლის ქმნის კომპეტენციის თაობაზე, ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ სფეროში მაინც. ასეთი სუპრანაციონალური სისხლის სამართლის ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული შეკითხვები.[6]

ევროპის კონსტიტუციის ხელშეკრულების პროექტის III-415-ე მუხლი ითვალისწინებს დებულებას, რომელიც სიტყვა სიტყვით იმეორებს ევროგაერთიანების ხელშეკრულების 280-ე მუხლის შინაარსს, ოღონდ მე-4 აბზაცის მე-2 წინადადებაში მოცემული შიდასახელმწიფოებრივ სამართალზე გაკეთებული დათქმის გარეშე. ევროპის კონსტიტუციის პროექტის

---

[1] იხ. KOM (2001) 715. ეს დოკუმენტი ევროკავშირის სხვადასხვა ენაზე იხ. http://europa.eu/documents/comm/green_papers/index_en.htm.

[2] იხ. იქვე, გვ. 22-23.

[3] იხ. KOM (2000) 608, გვ. 10-11. ამ მუხლის ტექსტი ქართულ ენაზე იხ. წიგნში აქვე ქვემოთ.

[4] იხ. KOM (2001) 715, გვ. 37.

[5] შეად. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, 537; იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 421.

[6] იხ. *Meyer:* Demokratieprinzip und Europäisches Strafrecht, 2009.

„მამებმა“ გაითვალისწინეს ევროგაერთიანების ხელშეკრულების ამ დათქმის გარშემო გამართულ დისკუსიებში გამოთქმულ პოზიციათა ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათი, რაც სისხლის სამართლის სფეროში ევროგაერთიანების კომპეტენციასთან დაკავშირებით ხშირად გაუგებრობებს იწვევდა და უარი თქვეს ამ დათქმის კონსტიტუციის პროექტში გადატანაზე. პროექტის ამ ნორმის მიზანი იყო ევროპული სპეციფიკური სუპრანაციონალური სისხლის-სამართლებრივი ნორმების გამოცემის კომპეტენციის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა.[1] მაგრამ ვინაიდან ევროპის კონსტიტუციის იდეის ხორცშესხმა ჩაიშალა, ისევ აქტუალური გახდა „მწვანე წიგნით“ შემოთავაზებული ევროგაერთიანების ხელშეკრულების ცვლილების ვარიანტი, განსაკუთრებით, 280a-ე მუხლის მე-3 აბზაცის პროექტი.

„ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ“ ლისაბონის ხელშეკრულების (AEUV) 325-ე მუხლის მე-4 აბზაცი აღარ ითვალისწინებს ევროგაერთიანების მანამდე მოქმედი ნიცას ხელშეკრულების 280-ე მუხლის მე-4 აბზაცში მოცემულ მე-2 სადავო წინადადებას. ხელშეკრულების ამ ახალი სახით ამოქმედებამ გამოიწვია იმ გაუგებრობათა აღმოფხვრა, რასაც იწვევდა მანამდე მოქმედი ნორმის ინტერპრეტაცია და არის სისხლის სამართლის სფეროში სუპრანაციონალური კომპეტენციების გაფართოების კარგი სამართლებრივი საფუძველი.

VII ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 280-ე და 280-ე (a) მუხლების ახალი რედაქციის პროექტი

აქვე წარმოგიდგენთ ევროპული გაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 280-ე მუხლის ახალ რედაქციას და ახალი 280-ე (a) მუხლის პროექტს, რომლებიც შემუშავებულ იქნა ევროკომისიის მიერ.[2] ეს პროექტი მიზნად ისახავდა 280-ე მუხლის რეფორმირებასა და ევროგაერთიანების სისხლისსამართლებრივ სუპრანაციონალურ კომპეტენცასთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციების აღმოფხვრას. პროექტის 280-ე მუხლი ევროპული გაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 280-ე მუხლისაგან განსხვავდება იმით, რომ მე-4 აბზაცის მე-2 წინადადებაში აღარ შეიცავს დათქმას შიდასახელმწიფოებრივ სამართალზე.

(ა) 280-ე მუხლი (პროექტი):

1. გაერთიანება და წევრი სახელმწიფოები თაღლითობებსა და გაერთიანების ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს ებრძვიან ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც დამაშინებელია და წევრ სახელმწიფოებში ეფექტურ დაცვას უზრუნველყოფენ.

2. თაღლითობების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც მიმართულია გაერთიანების ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ, წევრი სახელმწიფოები ატარებენ იგივე ღონისძიებებს, რომლებსაც ისინი ასევე იყენებენ იმ თაღლითობების მიმართ საბრძოლველად, რომლებიც მიმართულია საკუთარი ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ.

---

[1] შეად. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrechts, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 104; *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, 541, 544; *Tiedemann,* ZStW 116 (2004), 955; *Walter*, ZStW 117 (2005), 917. იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 421.

[2] იხ. KOM (2001) 715: Grünbuch zum strafrechtlichen Schutz der finanziellen Interessen der Europäischen Gemeinschaften und zur Schaffung einer Europäischen Staatsanwaltschaft, გვ. 91-93.

3. წევრი სახელმწიფოები, ხელშეკრულების სხვა დებულებების დაურღვევლად, კოორდინაციას უწევენ თავიანთ საქმიანობას თაღლითობებისგან გაერთიანების ფინანსური ინტერესების დაცვის მიზნით. ისინი ამ მიზნით, კომისიასთან ერთად, ზრუნავენ, რომ მჭიდრო და რეგულარული ურთიერთთანამშრომლობა განახორციელონ უფლებამოსილ უწყებებს შორის.

4. წევრ სახელმწიფოებში დაცვის ეფექტურად და თანაბრად უზრუნველსაყოფად, საბჭო, 251-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, კონტროლის პალატის მოსმენის შემდეგ, იღებს აუცილებელ ღონისძიებებს გაერთიანების ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართული თაღლითობების აღკვეთისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის გამოყენება და მათი სისხლის სამართალწარმოება, 280-ე (a) მუხლის დებულებების დაურღვევლად, ამ ღონისძიებებისაგან ხელშეუხებელი რჩება.

5. კომისია, წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთთანამშრომლობის გზით, ევროპულ პარლამენტსა და საბჭოს ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ამ მუხლის განსახორციელებლად იქნა გატარებული.

(ბ) 280-ე (a) მუხლი (პროექტი):

1. 280-ე მუხლის 1-ლი აბზაცის მიზნების განხორციელებაში წვლილის შეტანის მიზნით, საბჭო, რომელიც, ევროკომისიის წინადადებითა და ევროპარლამენტის თანხმობის შემდეგ, გადაწყვეტილებას კვალიფიციური უმრავლესობით იღებს, თანამდებობრივი უფლებამოსილების ექვსი წლის ვადით შესასრულებლად, ნიშნავს ევროპის პროკურორს და ეს ვადა გაგრძელებას არ ექვემდებარება. ევროპის პროკურორის ამოცანას წარმოადგენს იმ დანაშაულთა ამსრულებლებისა და თანამონაწილეების მიმართ, რომლებიც ევროპული გაერთიანების ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული, გამოძიების წარმოება, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება და ამ დანაშაულთა გამო წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილი სასამართლოების წინაშე, მე-3 აბზაცში დასახელებული დებულებების შესაბამისად, საჯარო ბრალდების წარდგენა.

2. ევროპის პროკურორის არჩევა მოხდება იმ პიროვნებებიდან, რომლებიც იძლევიან დამოუკიდებლობის ყველა გარანტიას და საკუთარ სახელმწიფოში აკმაყოფილებენ უმაღლესი სამოსამართლეო თანამდებობის განსახორციელებლად აუცილებელ წინაპირობებს. საკუთარი მოვალეობების შესრულების დროს, მას არ შეუძლია არც მითითებების გაცემა და არც მიღება. [ევროპული] პარლამენტის, საბჭოს ან კომისიის განაცხადის საფუძველზე, იგი შეიძლება [ევროგაერთიანების] სასამართლოს მიერ გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ ვეღარ ასრულებს ამ თანამდებობის განხორციელებისათვის დაწესებულ წინაპირობებს ან თუ ჩაიდინა მძიმე გადაცდომა. საბჭო ევროპის პროკურორის სტატუსს განსაზღვრავს 251-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურით.

3. 251-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურით, საბჭო განსაზღვრავს პირობებს ევროპის პროკურორის მიერ თანამდებობრივი საქმიანობის განხორციელებისათვის და განსაკუთრებით გამოსცემს

a) დებულებებს თაღლითობისა და ყველა სხვა იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შემადგენლობის ნიშნების დასადგენად, რომელიც გაერთიანების ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული, ასევე სასჯელებს ყველა ამ დანაშაულის შემადგენლობისათვის;

b) პროცესუალურ დებულებებს ევროპის პროკურორის საქმიანობის შესახებ, ასევე ნორმებს მტკიცებულებათა დასაშვებობის შესახებ;

c) დებულებებს ევროპის პროკურორის მიერ საკუთარი თანამდებობრივი საქმიანობის პროცესში განხორციელებულ პროცესუალურ მოქმედებებზე სამოსამართლეო კონტროლის შესახებ.

VIII ხელშეკრულებების ოქმები და დეკლარაციები

არსებობს არაერთი **ოქმი** და **დეკლარაცია**, რომლებიც სამთავრობო კონფერენციის მიერ ევროპის კავშირისა და ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულებების ხელმოწერასთან დაკავშირებით იქნა მიღებული.

ოქმი წარმოადგენს ხელშეკრულებების დანართს და სამართლებრივად სავალდებულო ძალის მატარებელია.

დეკლარაცია შეიცავს ახსნა-განმარტებებს, ინტერპრეტაციის შესახებ მითითებებსა და რეკომენდაციებს ხელშეკრულების ცალკეულ დებულებებთან მიმართებაში. ქვემოთ წარმოდგენილი დეკლარაციები მიღებულ იქნა სამთავრობო კონფერენციის მიერ და, ამდენად, დიდი სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნიათ.

წარმოგიდგენთ ზოგიერთ ასეთ მნიშვნელოვან ოქმსა და დეკლარაციას, რათა ქართველ მკითხველს წარმოდგენა შეექმნას მათი სამართლებრივი ბუნების შესახებ.[1]

(1) ოქმი

ევროპული გაერთიანებების სასამართლოს წესდების შესახებ[2]

მუხლი 30[3]

ყოველი წევრი სახელმწიფო მოწმის ან ექსპერტის მიერ [ევროპული სასამართლოს წინაშე] მიცემულ ფიცის დარღვევას მიიჩნევს, როგორც სამოქალაქო საქმის განმხილველი საკუთარი სასამართლოს წინაშე ჩადენილ დანაშაულს. [ევროპული] სასამართლოს განაცხადის საფუძველზე, იგი ასეთი ქმედების ჩამდენი პირის მიმართ განახორციელებს სისხლის-სამართლებრივ დევნას თავისი უფლებამოსილი სასამართლოების მეშვეობით.

---

[1] შეად. *Wasmeier/Möhlig* (Hrsg.): Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 33-38.

[2] 2001 წლის 26 თებერვლის აქტი, რომელმაც შემდგომში განიცადა ცვლილებები. იხ. *Esser* (Hrsg.), Europäisches und Internationales Strafrecht, 2009, გვ. 45.

[3] ეს ნორმა წარმოადგენს ე.წ. ასიმილირების პრინციპის მაგალითს, რომელიც შეიცავს გაერთიანების სამართლის მიერ ნაციონალურ სამართალზე მითითებას.

(2) შენგენის მფლობელობის ოქმი

ოქმი №2

შენგენის მფლობელობის ინტეგრაცია ევროპის კავშირის ფარგლებში[1]

ეს დოკუმენტი შეიცავს პრეამბულას, რომლის მიხედვითაც, მონაწილე სახელმწიფოები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ქვემოთ მოცემული დებულებები, ამსტერდამის ხელშეკრულებიდან მოყოლებული, წარმოადგენდნენ ევროპის კავშირის ხელშეკრულებისა და ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების დანართს და სამართლებრივად სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე გახდა. მასში მითითებულია, რომ ევროპის კავშირის ზოგიერთმა წევრმა 1985 წლის 14 ივნისსა და 1990 წლის 19 ივნისს შენგენში ხელი მოაწერეს შეთანხმებებს, რომლებიც შეეხება საერთო საზღვრებზე კონტროლის ეტაპობრივ გაუქმებას. ეს აქტები და მის საფუძველზე მიღებული სხვა დებულებები მიზნად ისახავენ ევროპული ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას და, განსაკუთრებით, ევროკავშირისათვის იმის შესაძლებლობის მიცემას, რომ იგი სწრაფად გარდაიქმნას თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცედ. მასში ხაზგასმულია იმის შესახებ, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის დანიამ გამოხატა განსაკუთრებული პოზიცია, ხოლო ირლანდია, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო და ჩრდილოეთ ირლანდია არ წარმოადგენენ შენგენის შეთანხმებების მონაწილეს და ხელი არ მოუწერიათ ამ დოკუმენტისათვის, თუმცა, მათ მიეცათ შესაძლებლობა, შეუერთდნენ ამ შეთანხმებების ცალკეულ თუ ყველა დებულებას. მაშინ, როცა მიღწეული ვერ იქნება ყველა წევრი სახელმწიფოს ერთობლივი თანამშრომლობის შეთანხმება, ასეთი შემთხვევისათვის ეს დოკუმენტი ხაზს უსვამს ე.წ. უკანასკნელ საშუალებად ზოგიერთ წევრ სახელმწიფოს შორის გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის შესახებ დებულებების გამოყენების მნიშვნელობას, რომლებიც მოცემულია ევროპის კავშირისა და ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულებებში. თუმცა, ამ წესის გამოყენება უნდა მოხდეს *ultima-ratio*-პრინციპის შესაბამისად. ამასთან, სახელმწიფოებს აუცილებლად მიაჩნიათ ისლანდიის რესპუბლიკასთან და ნორვეგიის სამეფოსთან, რომლებიც არ წარმოადგენენ ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს, განსაკუთრებული ურთიერთობების შენარჩუნება, მით უმეტეს, ორივე მათგანმა განაცხადეს მზადყოფნა, მათთვის სავალდებულო იყოს ზემოთ დასახელებული აქტების დებულებები, 1996 წლის 19 დეკემბერს ლუქსემბურგში ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე.

ეს ოქმი შედგება შემდეგი დებულებებისაგან:

მუხლი 1

ბელგიის სამეფო, დანიის სამეფო, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საბერძნეთის რესპუბლიკა, ესპანეთის სამეფო, საფრანგეთის რესპუბლიკა, იტალიის რესპუბლიკა, ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო, ნიდერლანდების სამეფო, ავსტრიის რესპუბლიკა, პორტუგალიის რესპუბლიკა, ფინეთის რესპუბლიკა და შვედეთის სამეფო, როგორც შენგენის შეთანხმების ხელმომწერი სახელმწიფოები, ალიჭურვებიან უფლებამოსილებით, ერთმანეთთან,

[1] Protocol No 2 integrating the Schengen acquis into the framework of the European Union. (Protokoll Nr.2 zur Einbeziehung des Schengen-Besitzstands in den Rahmen der Europäischen Union).

ამ შეთანხმების და, ამით, მასთან დაკავშირებული დებულებების ფარგლებში, რომლებიც ამ ოქმის დანართშია მითითებული, – შემდგომში აღინიშნება, როგორც „შენგენის მფლობელობა“ (Schengen-Besitzstand) – დააფუძნონ გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობა. ეს ურთიერთთანამშრომლობა ხორციელდება ევროპის კავშირის ინსტიტუციურ და სამართლებრივ ფარგლებში და ევროპის კავშირის ხელშეკრულებისა და ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების შესაბამისი დებულებების პატივისცემით.

მუხლი 2

(1) ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დროიდან, „შენგენის მფლობელობა“, რომელიც აგრეთვე შენგენის შეთანხმებით შექმნილ აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ამ ხელშეკრულებამდე გამოცემულ გადაწყვეტილებებს მოიცავს, ამ მუხლის მე-2 აბზაცის დაურღვევლად, პირველ აბცაზში დასახელებული ცამეტი წევრი სახელმწიფოსთვის მაშინვე ხდება გამოყენებადი. ამ დროიდანვე საბჭო იკავებს დასახელებული აღმასრულებელი კომიტეტის ადგილს.

საბჭო, პირველ მუხლში მოხსენიებული თავისი წევრების მეშვეობით, ერთხმად იღებს ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც აუცილებელია ამ აბზაცის განსახორციელებლად. საბჭო, ხელშეკრულების შესაბამისი დებულებების საფუძველზე, ერთხმად ადგენს შესაბამის სამართლებრივ საფუძველს ყოველი დებულებისა და ყოველი გადაწყვეტილებისათვის, რომლებიც „შენგენის მფლობელობას“ ქმნის.

ევროპული გაერთიანებების სასამართლო, ასეთ დებულებებთან და გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, ამ დებულებასთან შესაბამისობაში, ახორციელებს თავის უფლებამოსილებას, რომელსაც მას ხელშეკრულებების შესაბამისი მოქმედი დებულებები ანიჭებენ. სასამართლო არავითარ შემთხვევაში კომპეტენტური არ არის, მიიღოს ღონისძიებები ან გადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებულია საჯარო წესრიგის შენარჩუნებასთან და შიდა უსაფრთხოების დაცვასთან.

სანამ არ იქნება მიღებული დასახელებული ღონისძიებები, მანამდე, მე-5 მუხლის მე-2 აბზაცის დაურღვევლად, როგორც სამართლებრივი საფუძველი, მოქმედებს დებულებები და გადაწყვეტილებები, რომლებიც ქმნის „შენგენის მფლობელობას“ და ეფუძნება ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-6 სათაურის დებულებებს.

(2) პირველი აბზაცი მოქმედებს იმ წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს შენგენის შეთანხმებასთან შეერთების შესახებ ოქმებს, თითოეულ შემთხვევაში იმ დროიდან, რომელიც საბჭოს მიერ პირველ მუხლში დასახელებული მისი წევრების მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით იქნება დადგენილი, თუკი სახელმწიფოს მიერ შენგენის შეთანხმებაში შესვლის პირობებები ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე არ არის შესრულებული.

მუხლი 3

მე-2 მუხლის პირველი აბზაცის მე-2 ქვეაბზაცით დადგენილი წესის შესაბამისად, დანია, „შენგენის მფლობელობის“ იმ ნაწილებთან მიმართებაში, რომელთა სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე-4 სათაური, შენგენის შეთანხმების სხვა დანარჩენ ხელისმომწერ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში ინარჩუნებს იმავე უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც მოქმედებდა ამ წესის დადგენამდე.

შენგენის შეთანხმების იმ ნაწილებთან მიმართებაში, რომელთა სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-6 სათაური, დანია ინარჩუნებს იმავე უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც შენგენის შეთანხმების ხელისმომწერ სხვა დანარჩენ სახელმწიფოებს გააჩნიათ.

მუხლი 4

ირლანდიას და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოს და ჩრდილოეთ ირლანდიას, რომლებიც შენგენის შეთანხმებას არ არიან მიერთებულნი, შეუძლიათ, ნებისმიერ დროს შეიტანონ განაცხადი, რომ „შენგენის მფლობელობის“ ცალკეული ან ყველა დებულება მათ მიმართაც იქნეს გამოყენებული.

საბჭო, ასეთი განაცხადის თაობაზე, ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას, რისთვისაც მას პირველ მუხლში დასახელებული თავისი წევრების ერთიანი თანხმობა და, ასევე იმ სახელმწიფოს მთავრობის წარმომადგენლის თანხმობა სჭირდება, რომელსაც ეს გადაწყვეტილება ეხება.

მუხლი 5

(1) წინადადებები და ინიციატივები, რომლებიც ეფუძნებიან „შენგენის მფლობელობას“, ექვემდებარებიან ხელშეკრულებების შესაბამის დებულებებს.

ამასთან დაკავშირებით, თუკი ირლანდია, ან გაერთიანებული სამეფო, ან ორივე ქვეყანა საბჭოს პრეზიდენტს გონივრულ ვადაში წერილობით არ შეატყობინებს, რომ სურს მონაწილეობის მიღება, მაშინ უფლებამოსილება, ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე-11 მუხლისა და ევროკავშირის ხელშეკრულების მე-40 მუხლის შესაბამისად, პირველ მუხლში დასახელებულ წევრ სახელმწიფოებთან, ასევე, ირლანდიასა და გაერთიანებულ სამეფოსთან მიმართებაში, ითვლება მინიჭებულად, თუკი ამ ორი ქვეყნიდან ერთ-ერთს უნდა, რომ მონაწილეობა მიიღოს ურთიერთთანამშრომლობის შესაბამის სფეროებში.

ხელშეკრულებების შესაბამისი დებულებები, პირველი აბზაცის პირველი ქვეაბზაცის თანახმად, მაშინაც ექვემდებარე გამოყენებას, როცა საბჭოს მიერ მე-2 მუხლის პირველი აბზაცის მე-2 ქვეაბზაცში დასახელებული ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

მუხლი 6

ისლანდიის რესპუბლიკა და ნორვეგიის სამეფო, „შენგენის მფლობელობის“ განხორციელებისას და მისი შემდგომი განვითარების დროს, 1996 წლის 19 დეკემბრს ლუქსემბურში ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე, იქნებიან ასოცირებული. ამისათვის შესაბამისი პროცედურები დადგინდება ამ სახელმწიფოებთან დადებული შეთანხმებით, რომელიც საბჭოს მიერ მიიღება პირველ მუხლში დასახელებული მისი წევრი სახელმწიფოების ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით. შეთანხმება შეიცავს, ასევე დებულებებს ისლანდიისა და ნორვეგიის გარკვეული ფინანსური წვლილის შესახებ, რომელიც საჭიროა ამ ოქმის შესასრულებლად.

საბჭო, ისლანდიასა და ნორვეგიასთან ერთიანი გადაწყვეტილებით, აფორმებს სპეციალურ ხელშეკრულებას, რომელშიც დადგინდება უფლებები და მოვალეობები, ერთი მხრივ, ირლანდიას და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოსა და ჩრდილოეთ ირლან-

დიას შორის და, მეორე მხრივ, ისლანდიასა და ნორვეგიას შორის, რომლებიც შეეხება ამ სახელმწიფოებისთვის „შენგენის მფლობელობის“ მოქმედ სფეროებს.

მუხლი 7

საბჭო კვალიფიციური უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას შენგენის სამდივნოს საბჭოს გენერალურ სამდივნოში შემოერთებასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე.

მუხლი 8

მოლაპარაკებების დროს, რომლებიც დაკავშირებულია ევროპის კავშირში ახალი წევრი სახელმწიფოების მიღებასთან, მოქმედებს „შენგენის მფლობელობა“ და სხვა შემდგომი ღონისძიებები, რომლებიც ორგანოებმა თავიანთი მოქმედების სფეროს ფარგლებში მიიღეს, როგორც სამართლებრივი აქტების ერთობლიობა, რომელიც ყველა იმ სახელმწიფოს მიერ სრულად უნდა იქნეს მიღებული, რომელიც შესვლის კანდიდატია.

დანართი
„შენგენის მფლობელობა“:

(1) შენგენში, 1985 წლის 14 ივნისს, ბენელუქსის ეკონომიკური კავშირის ქვეყნების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობებს შორის ხელმოწერილი შეთანხმება, რომელიც შეეხება საერთო საზღვრებზე კონტროლის ეტაპობრივ გაუქმებას.

(2) შენგენში, 1990 წლის 19 ივნისს, ბელგიის სამეფოს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, საფრანგეთის რესპუბლიკას, ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოსა და ნიდერლანდების სამეფოს შორის ხელმოწერილი შეთანხმება, დაკავშირებული შენგენში, 1985 წლის 14 ივნისს, ხელმოწერილი შეთანხმების განხორციელებასთან, რომელიც შეეხება საერთო საზღვრებზე კონტროლის ეტაპობრივ გაუქმებას, რომელსაც ახლავს დასკვნითი აქტი და საერთო დეკლარაციები.

(3) შეერთების ოქმები და შეთანხმებები, დაკავშირებული 1985 წლის შეთანხმებასთან და 1990 წლის მის განხორციელების შეთანხმებასთან, რომელიც დაიდო იტალიასთან (ხელი მოეწერა 1990 წლის 27 ნოემბერს, პარიზში), ესპანეთთან და პორტუგალიასთან (ხელი მოეწერა 1991 წლის 25 ივნისს, ბონში), საბერძნეთთან (ხელი მოეწერა 1992 წლის 6 ნოემბერს, მადრიდში), ავსტრიასთან (ხელი მოეწერა 1995 წლის 28 აპრილს, ბრიუსელში), ასევე დანიასთან, ფინეთთან და შვედეთთან (ხელი მოეწერა 1996 წლის 19 დეკემბერს, ლუქსემბურგში), რომელთაც ახლავთ დასვნითი აქტები და დეკლარაციები.

(4) გადაწყვეტილებები და დეკლარაციები, რომლებიც მიღებულია შენგენის შეთანხმების განხორციელების 1990 წლის შეთანხმების საფუძველზე შექმნილი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, ასევე, სამართლებრივი აქტები შეთანხმების განსახორციელებლად, რომლებიც გამოცემულ იქნა იმ ორგანოების მიერ, რომლებსაც აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასცა გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.

(3) დეკლარაცია
ევროპის კავშირში სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ

დეკლარაცია (№ 1)
სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ

კონფერენცია, ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-2 აბზაცზე დაყრდნობით, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ კონვენციის მე-6 დამატებითი ოქმი, რომელიც წევრ სახელმწიფოთა დიდი უმრავლესობის მიერ ხელმოწერილი და რატიფიცირებულია, ითვალისწინებს სიკვდილით დასჯის გაუქმებას.

ამასთან დაკავშირებით, კონფერენცია ადგენს, რომ 1983 წლის 28 აპრილს აღნიშნულ ხელშეკრულებაზე სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ ხელმოწერის განხორციელების შემდეგ, სიკვდილით დასჯა კავშირის უმეტეს წევრ სახელმწიფოებში გაუქმებულ იქნა და მისი გამოყენება არცერთ წევრ სახელმწიფოში არ ხდება.

(შენიშვნა: ამ დეკლარაციის მიღების შემდეგ, ევროპის კავშირის ყველა წევრმა სახელმწიფომ მოახდინა ადამიანის უფლებათა ევროსაბჭოს კონვენციის მე-6 დამატებითი ოქმის რატიფიკაცია. მიუხედავად ამისა, ეს დეკლარაცია მაინც ინარჩუნებს მნიშვნელობას ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-2 აბზაცის ინტერპრეტაციისათვის. ევროპის საბჭომ 2002 წლის 3 მაისს ხელმოსაწერად დადო ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-13 დამატებითი ოქმი სიკვდილის დასჯის ყველა ვითარებაში გაუქმების შესახებ, რომელიც არ არის რატიფიცირებული ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ).

(4) დეკლარაცია
მინიმალური სასჯელების შესახებ

დეკლარაცია (№ 8)
ევროპის კავშირის ხელშეკრულების 31-ე მუხლის ე ქვეპუნქტთან დაკავშირებით

კონფერენცია თანხმდება იმაზე, რომ წევრი სახელმწიფო, რომლის სამართლებრივი სისტემა სასჯელის მინიმუმს არ ითვალისწინებს, ევროპის კავშირის ხელშეკრულების 31-ე მუხლის e ქვეპუნქტიდან გამომდინარე, არა არის ვალდებული, დააწესოს მინიმალური სასჯელები.

(5) დეკლარაცია ევროპის კავშირის ხელშეკრულების 34-ე მუხლის მე-2 აბზაცის შესახებ

დეკლარაცია (№ 9) ევროპის კავშირის ხელშეკრულების 34-ე მუხლის მე-2 აბზაცთან დაკავშირებით

კონფერენცია თანხმდება იმაზე, რომ ინიციატივები, დაკავშირებული ღონისძიებებთან, რაც გამომდინარეობს ევროპის კავშირის ხელშეკრულების 34-ე მუხლის მე-2 აბზაციდან და საბჭოს მიერ ამ აბზაცის მიხედვით მიღებული სამართლებრივი აქტები, საბჭოსა და კომისიის შესაბამისი რეგლამენტების შესაბამისად, ქვეყნდება ევროპული გაერთიანებების ოფიციალურ ჟურნალში.

(6) დეკლარაცია ევროპის კავშირის ხელშეკრულების 35-ე მუხლის შესახებ

დეკლარაცია (№ 10) ევროპის კავშირის ხელშეკრულების 35-ე მუხლთან დაკავშირებით

კონფერენცია ცნობად იღებს, რომ წევრ სახელმწიფოებს, ევროპის კავშირის ხელშეკრულების 35-ე მუხლის მიხედვით განმარტების მიცემის დროს, შეუძლიათ, შეინარჩუნონ უფლება, თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი სამართლით განსაზღვრონ, რომ ნაციონალური სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებების გასაჩივრება შიდასამართლებრივი სამართლის სამართლებრივი საშუალებებით აღარ არის შესაძლებელი, ვალდებულია, მიმართოს ევროპულ სასამართლოს, თუკი პროცესის მიმდინარეობისას, 35-ე მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, დადგება საკითხი სამართლებრივი აქტის იურიდიული ძალის ან ინტერპრეტაციის შესახებ.

§6. ევროპული პრიმერული სისხლის სამართალი ევროპის კავშირის ფარგლებში ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით

I ლისაბონის ხელშეკრულება და ევროპული სისხლის სამართალი

1. შესავალი

2007 წლის 13 დეკემბერს ხელმოწერილი ლისაბონის ხელშეკრულება ძალაში შევიდა თითქმის ორი წლის შემდეგ, 2009 წლის 1 დეკემბერს. იგი შედგება ორი სამართლებრივი აქტისაგან: „ევროპის კავშირის ხელშეკრულება“[1] და „ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულება“[2].

ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედებას აქვს ის შედეგი, რომ ევროპის კავშირის სისხლის სამართლის ინსტიტუციური საფუძვლები კავშირის მოქმედ სამართალს გაუთანაბრდა. მანამდე არსებული „მესამე სვეტი“ პრაქტიკულად გახდა ერთიანი ევროპული სამართლებრივი სისტემის ნაწილი, რომლის საფუძველზე, აქამდე გამოქვეყნებული სამართლებრივი აქტები (მაგალითად, ჩარჩო-გადაწყვეტილებები) თავის განსაკუთრებულ სამართლებრივ ბუნებას შეინარჩუნებენ მანამ, სანამ ისინი ახალი სამართლებრივი აქტებით არ შეიცვლებიან.

ახალი სარეფორმო ხელშეკრულების შექმნა გამოიწვია 2002-2003 წლებში შემუშავებული და 2004 წელს ხელმოწერილი ევროპის კავშირის კონსტიტუციის ხელშეკრულების[3] ჩავარდნამ, გამომდინარე საფრანგეთსა და ნიდერლანდებში 2005 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებიდან. ევროპის კავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით, შემუშავებულ იქნა ახალი სარეფორმო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც წარმოდგენილ იქნა 2007 წლის 23 ივლისს. იგი იმავე წლის აგვისტოს ბოლოდან ოქტომბრის დასაწყისამდე შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა ყველა 27 წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი სამართლის ექსპერტების მიერ. ამის შემდეგ, 2007 წლის 5 ოქტომბერს, იმ დროისათვის ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა – პორტუგალიამ გამოაქვეყნა ხელშეკრულების პროექტი, რომელიც გახდა 18-19 ოქტომბერს ჩატარებული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა შეხვედრაზე შეთანხმების საფუძველი. ხელშეკრულების საბოლოო ტექსტი კი, ხელმოწერილ იქნა ლისაბონში, 2007 წლის 13 დეკემბერს[4]. წინასწარი შეთანხმებით, ხელშეკრულების რატიფიკაციათა პროცესი უნდა დასრულებულიყო 2008 წლის ბოლომდე, ხოლო 2009 წლის 1 იანვარს იგი ძალაში უნდა შესულიყო. ამ წინასწარგანზრახულობის ხორციშესხმას ხელი შეუშალა, უპირველეს ყოვლისა, ირლანდიის მოსახლეობის განწყობამ, რაც გამოიხატა იმაში, რომ 2008 წლის 12 ივნისის რეფერენდუმზე 53,4 პროცენტმა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა ამ გზით ევროპის შემდგომი ინტეგრაციის პროცესის მიმართ[5]. ასევე გარკვეული წინაღობები იყო ჩეხეთისა და პოლონეთის მხრიდანაც. 2009 წლის 2 ოქტომბერს ირლანდიაში იმავე საკითხზე ჩატარდა მეორე რეფერენდუმი, რომელმაც მასში მონაწილეთა 67,1 პროცენტით მხარი დაუჭირა ლი-

---

1 Treaty on European Union: TEU (Vertrag über die Europäische Union: EUV).

2 Treaty on the Functioning of the European Union: TFEU (Vertrag über die Arbeitsweise der Europäischen Union: AEUV).

3 Treaty establishing a Constitution for Europe: TCE (Vertrag über eine Verfassung für Europa: VVE).

4 იხ. *Hecker*, Iurratio 2/2009, გვ. 81.

5 რეფერენდუმში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა საარჩევნო უფლების მქონე მოსახლეობის 53,1 პროცენტს.

საბონის ხელშეკრულებას[1]. ასევე გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ, თავისი 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით, დაადასტურა ლისაბონის ხელშეკრულების შესაბამისობა გერმანიის ძირითად კანონთან[2].

როგორც უკვე აღინიშნა, მანამდე მოქმედი სახელშეკრულებო დებულებებით, ევროკავშირის პოლიტიკური სისტემა ეფუძნებოდა ე.წ. „სამ სვეტის სისტემას". სამართალსუბიექტურობის მატარებელი იყო ევროპული გაერთიანება და არა ევროპის კავშირი. ამას ის შედეგი ჰქონდა, რომ თავისი კომპეტენციის ფარგლებში ევროპულ გაერთიანებას ჰქონდა სამართლებრივი დებულებების მიღების უფლებამოსილება, მაშინ როდესაც ევროპის კავშირი მხოლოდ „სახურავ ორგანიზაციას" წარმოადგენდა. განსაკუთრებით საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში ევროკავშირს არ შეეძლო გამოსულიყო, როგორც თვითმყოფადი ინსტიტუტი, არამედ იგი მოქმედებდა მისი წევრი სახელმწიფოების სახით.

ლისაბონის ხელშეკრულებით, „სამი სვეტის მოდელი" შეიცვალა, რამდენადაც ევროპული გაერთიანება შეიცვალა ევროპის კავშირით. ადრინდელ ევროპული გაერთიანების ხელშეკრულებას 2009 წლის 1 დეკემბრიდან ჩაენაცვლა ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულება. ამით ევროკავშირმა მიიღო ევროგაერთიანების სამართალსუბიექტურობა. ამის შედეგად მას შეუძლია, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, საკუთარი სახელით, თუმცა, როგორც წესი, მხოლოდ საგარეო საქმეთა საბჭოს ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, ხელი მოაწეროს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობები სხვა სახელმწიფოებთან ახლად შექმნილი ევროპული საგარეო სამსახურის მეშვეობით და შეიტანოს განაცხადი საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორიცაა, მაგალითად, ევროსაბჭო და გაერო, წევრობაზე.

2. ევროპული სისხლის სამართლის სტრუქტურული ელემენტები

ლისაბონის ხელშეკრულება არ არის ევროპული სისხლის სამართლის სრულიად ახალი დასაწყისი, არამედ იგი წარმოადგენს ინტეგრაციის იმ პროცესის გაღრმავებას, რომელიც მანამდე მოქმედი სახელშეკრულებო ნორმებით იქნა მიღწეული.

ჯერ კიდევ 1999 წლის 1 მაისს ძალაში შესულმა ამსტერდამის ხელშეკრულებამ ევროპის კავშირს ახალ მიზნად დაუსახა „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცის" შექმნა (იხ. ევროკავშირის ხელშეკრულების მე-2 და 29-ე მუხლები). ასევე ლისაბონის ხელშეკრულება ამ მიზანს აყენებს ხელშეკრულების თავში (იხ. ევროკავშირის დღეს მოქმედი ხელშეკრულების მე-3 II მუხლი). ეს მიზადასახულობა ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 67-ე I მუხლში კიდევ ერთხელ არის ხაზგასმული, სადაც დამატებით არის მითითებული ამ მიზნის მიღწევის დროს ძირითადი უფლებებისა და წევრი სახელმწიფოების სხვადასხვა სამართლებრივი წეს-წყობილებებისა და ტრადიციების პატივისცემაზე.

ევროპის კავშირში ინტეგრირებული სისტემის არსებით სტრუქტურულ ელემენტებად *ჰეკერი* ასახელებს შემდეგს: თანამშრომლობა, კოორდინაცია, ასიმილირება და ჰარმონიზაცია.[3] უკანასკნელი წლების განმავლობაში ევროპულ სისხლის სამართალში მომხდარი სწრაფი განვითარება ევროკომისიისა და ევროპის კავშირის საბჭოს მიერ გატარებული ინიციატი-

---

[1] რეფერენდუმში მონაწილეთა რაოდენობა ამჯერად შეადგენდა 58 პროცენტს.

[2] იხ. *Lissabon-Urteil:* BVerfGE 123, 267 = NJW 2009, 2267.

[3] შეად. *Hecker*, Iurratio 2/2009, გვ. 81.

ებისა და ღონისძიებების შედეგია.[1] ასევე, ევროპული გაერთიანებების სასამართლომ ლუქსემბურგში ბოლო პერიოდში მიიღო არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელმაც ევროპული სისხლის სამართლის განვითარებას ახალი დინამიკა შესძინა[2].

მართალია, ჯერ კიდევ 70-იანი წლებიდან დაიწყო სისხლის სამართლის სფეროში გარკვეული აქტიურობები, მაგრამ გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლომდე სისხლის სამართალს ევროპული გაერთიანებების ხელშეკრულებების მიზნებსა და ამოცანებში, ევროპული პოლიტიკის სხვა სფეროებისგან განსხვავებით, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა.[3]

ლისაბონის ხელშეკრულება ევროპული სისხლის სამართლის განვითარებისათვის წარმოადგენს კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძველს. იგი ხელს უწყობს ევროპული სისხლის სამართლის დღემდე არსებული სტრუქტურული ელემენტების (თანამშრომლობა, კოორდინაცია, ასიმილირება, ჰარმონიზაცია) სრულყოფას და მათ განავრცობს კიდევ ერთი ელემენტით, რომელსაც *ჰეკერი* უწოდებს „სისხლის სამართალწარმოების დარგობრივ ცენტრალიზაციას" („sektorielle Zentralisierung der Strafrechtspflege"[4]).

ლისაბონის ხელშეკრულება ეფუძნება ტრადიციულ პრინციპს, რომელიც ცნობილია შეზღუდული ცალკეული უფლებამოსილებების პრინციპის (Grundsatz der begrenzten Einzelermächtigung[5]) სახელწოდებით. იგი მოცემულია ევროკავშირის ლისაბონის ხელშეკრულების მე-5 მუხლსა და ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების მე-2 I მუხლში. ამ პრინციპის თანახმად, კავშირი მოქმედებს მხოლოდ იმ კომპეტენციათა საზღვრებში, რომლებიც წევრი სახელმწიფოების მიერ მას ხელშეკრულებებით, მათში მოცემული მიზნების განსახორციელებლად, აქვს გადაცემული. ყველა დანარჩენი უფლებამოსილება, რომელიც ხელშეკრულებებით არ არის კავშირისათვის გადაცემული, რჩება წევრი სახელმწიფოების კომპეტენციაში. იუსტიციური პოლიტიკის სფეროში ევროკავშირის თავის კომპეტენციას იყოფს წევრ სახელმწიფოებთან (ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების მე-4 II j მუხლი).[6]

ევროპის კავშირის მიერ თავისი კომპეტენციების განხორციელება ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვითაც შეზღუდულია ორი სამართლებრივი პრინციპით, როგორიცაა სუბსიდიარულობის პრინციპი (ევროკავშირის ხელშეკრულების მე-5 III მუხლი) და თანაზომიერების პრინციპი (ევროკავშირის ხელშეკრულების მე-5 IV მუხლი).[7]

---

[1] ამ ინიციატივებისა და ღონისძიებების შესახებ იხ. *Hecker*, Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 397-445.

[2] იხ. *Zöller*, Europäische Strafgesetzgebung, ZIS 7/2009, გვ. 344-346; ასევე ევროპული სისხლის სამართლის სხვა ლიტერატურაში (იხ., მაგალითად, *Hecker*, Iurratio 2/2009, გვ. 81, მე-3 სქოლიო) მითითებულია არაერთი ასეთი გადაწყვეტილება, მათ შორის, ევროგაერთიანების მიერ დირექტივების მეშვეობით სისხლის-სამართლებრივი მითითებების კომპეტენციის შესახებ: EuGH JZ 2006, 307 და EuGH NStZ 2008, 703; წევრი სახელმწიფოების ნაციონალური სამართლის გაერთიანების სამართლებრივი დებულების შესაბამისი ინტერპრეტაციის დროს ჩარჩო-გადაწყვეტილებების სამართლებრივი მნიშვნელობის შესახებ: EuGH NJW 2005, 2839 (*Pupino*); ერთიანი ევროპული დაპატიმრების ბრძანების შესახებ ჩარჩო გადაწყვეტილების იურიდიული ძალის შესახებ: EuGH EuGRZ 2007, 273.

[3] იხ. *Sieber*, Memorandum für ein Europäisches Modellstrafgesetzbuch, JZ 8/1997, 369; შეად. ასევე: *Dannecker*, ZStW 108 (1996), 577; *Tiedemann*, NJW 1990, 226.

[4] იხ. *Hecker*, Iurratio 2/2009, გვ. 82.

[5] იხ. *Zöller*, ZIS 7/2009, გვ. 341-342.

[6] იხ. *Hecker*, Iurratio 2/2009, გვ. 84.

[7] ამის შესახებ იხ. იხ. *Hecker*, Iurratio 2/2009, გვ. 84-85.

2.1 თანამშრომლობა და კოორდინაცია სისხლის სამართლის საქმეებზე

ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოები ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედებამდეც ახორციელებდნენ ინტენსიურ თანამშრომლობას სამართლებრივი გადაწყვეტილებების ე.წ. ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის საფუძველზე. *ჰეკერის* მიხედვით, იგი ევროპის კავშირის საბჭოს, ევროკომისიისა და ევროპარლამენტის საერთო თვალსაზრისით, წარმოადგენს ფუძემდებლურ სტრუქტურულ პრინციპს.[1] ამ პრინციპის მიხედვით, იუსტიციის ნაციონალური ორგანოების სისხლისსამართლებრივი გადაწყვეტილებები, როგორც წესი, შემოწმების გარეშე ყველა სხვა წევრ სახელმწიფოში უნდა აღსრულდეს. ამ პრინციპის ერთ-ერთი გამოხატულებაა შენგენის 1990 წლის შეთანხმების 54-ე მუხლი, რომელიც ეძღვნება ტრანსნაციონალურ ორჯერ დასჯის აკრძალვას[2]. ამ სტრუქტურული პრინციპის მეორე, პრაქტიკული თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვან გამოხატულებას წარმოადგენს ე.წ. ერთიანი ევროპული დაპატიმრების ბრძანება.[3] ბოლო პერიოდში ინიციირებული და მიღებული იქნა არაერთი სხვა სამართლებრივი აქტი, რომელიც ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპს ეფუძნება.[4]

წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობის განვრცობა ხდება მათი საქმიანობის კოორდინაციით, როცა საქმე ეხება ტრანსნაციონალურ დამნაშავეობას.[5] ასეთი კოორდინაციის მთავარი ამოცანების შემსრულებელი ევროპული ორგანოებია ევროპოლი და ეუროიუსტი (იხ. ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 85-ე და 88-ე მუხლები).

ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 67-ე III მუხლი ხაზგასმით აღნიშნავს თანამშრომლობისა და კოორდინაციის მნიშვნელობაზე ევროკავშირის საქმიანობის პროცესში: ,,კავშირი მოქმედებს იმ მიზნით, რომ იმ ღონისძიებების მეშვეობით, რომლებიც მიმართულია დამნაშავეობის, ისევე, როგორც რასიზმისა და ქსენოფობიის თავიდან აცილებისაკენ და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად, პოლიციური უწყებებისა და სისხლის სამართალწარმოების ორგანოებისა და სხვა კომპეტენტური უწყებების კოორდინაციისა და თანამშრომლობისაკენ, ასევე სისხლისსამართლებრივი გადაწყვეტილებების ორმხრივი აღიარებისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დებულებების ჰარმონიზაციის გზით, უზრუნველყოს უსაფრთხოების მაღალი ხარისხის მიღწევა“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ხელშეკრულების 82-ე I მუხლი, რომელშიც პრიმერულ-სამართლებრივ დონეზე დადგენილია წევრ სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი გადაწყვეტილებების ორმხრივი ურთიერთაღიარების პინციპი.

2.2 ასიმილირების პრინციპი

ევროპული სისხლის სამართლის დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ ევროპული გაერთიანება არ იყო აღჭურვილი სუპრანაციონალური, მაშასადამე, ნამდვილი (genuin) კრიმინალური სისხლის სამართლის (Kriminalstrafrecht) ნორმების გამოცემის უფლებამოსილე-

---

[1] შეად. *Hecker,* lurratio 2/2009, გვ. 82. იხ. ასევე: *Hecker*, Europäisches Strafrecht. მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 470.

[2] შეად. *Gleß,* ZStW 116 (2004), 353, 362; *Hecker,* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 483.

[3] შეად. *Hecker*, Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 456.

[4] შეად. *Hecker*, Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 470.

[5] შეად. *Hecker,* lurratio 2/2009, გვ. 82.

ბით.[1] ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 280-ე მუხლის მე-4 აბზაცის შინაარსიდან გამომდინარე, მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, რეგულაციების (Verordnungen) მიღების გზით სისხლისსამართლებრივად დაეცვა საკუთარი ფინანსური ინტერესები. ევროგაერთიანებების სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით, წევრ სახელმწიფოებს ეკისრებოდათ ვალდებულება, გაერთიანების ინტერესების ხელყოფის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა განეხორციელებინათ ნაციონალური სამართლის წინააღმდეგ მიმართული მსგავსი სახისა და სიმძიმის დარღვევების მიმართ გამოყენებადი მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური ნორმების ანალოგიური დებულებებით[2]. ეს თვალაზრისი ლიტერატურაში ცნობილია ე.წ. გათანაბრების მოთხოვნის (Gleichstellungserfordernis[3]) სახელწოდებით. წევრ სახელმწიფოთა პრეპოგატივას წარმოადგენდა სანქციების განსაზღვრა, რომლებიც ყველა შემთხვევაში უნდა ყოფილიყო ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი.

წევრ სახელმწიფოთა ამოცანა და ვალდებულება, თავიანთი ნაციონალური სისხლის სამართალი გაერთიანების ინტერესების სამსახურში ჩაეყენებინათ, ხორციელდებოდა ე.წ. ასიმილირების პრინციპის (Assimilierungsprinzip) გამოყენებით. იგი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ევროგაერთიანების ფინანსური ინტერესების დაცვით. წევრი სახელმწიფოების მიერ გაერთიანების სამართლებრივ სიკეთეთა დაცვის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს გაერთიანების ერთგულების პრინციპიდან (Grundsatz der Gemeinschaftstreue) ვრცელდებოდა გაერთიენების სამართლებრივად დაცულ ყველა ინტერესზე, რომელიც მნიშვნელოვანია მისი ფუნქციონირების უნარიანობისა და მისი პოლიტიკის სფეროების რეალიზაციისათვის (იხ. ევროგაერთიანების ხელშეკრულების მე-10 მუხლი). ევროგაერთიანების დაცვის სიკეთეებად, მის საფინანსო ბიუჯეტთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, დასახელებულია მის მოხელეთა მოუსყიდაობა, სამსახურებრივი საიდუმლოებების დაცვა, ევროპული მართლმსაჯულება, ძირითად თავისუფლებათა რეალიზაცია, ასევე გაერთიანების პოლიტიკის განხორციელება, მაგალითად, ბაზრის ორგანიზაციის, კონკურენციის, მომხმარებელთა დაცვის და ეკოლოგიის სფეროებში.[4] სწორედ აქედან გამომდინარე, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებობს ე.წ. გაერთიანების სამართლის აქცესორული ბლანკეტური სისხლის სამართალი („gemeinschaftsrechtsakzesorisches Blankettstrafrecht“[5]), რომელიც ევროგაერთიანების უშუალოდ მოქმედი რეგულაციების (Verordnungen) ბრალეული დარღვევისათვის სისხლისსამართლებრივი ბლანკეტური კანონებით სასჯელებს ან ფულად სახდელებს აწესებს. *ჰეკერი* ასახელებს გერმანული სამართლის მიხედვით კანონის ასეთ სამ ტიპიურ შესაძლო კონსტრუქციას (მოდელს), რომელიც ახდენს გაერთიანების უშუალოდ მოქმედი სამართლის სანქციონირებას[6].

გარდა ამისა, არსებობს ნაციონალური სისხლის სამართლის ნორმების გაერთიანების სამართლის შესაბამისი ინტერპრეტაციის ვალდებულება.[7]

---

[1] იხ. *Hecker,* Iurratio 2/2009, გვ. 82. ამ საკითხზე იხ. ასევე: *Hecker*, Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 153-163.

[2] იხ. „ბერძნული სიმინდის“ (გერმანულად: „Griechischer Mais“) საქმე და „ფრანგი ფერმერების“ გერმანულად: „Französische Landwirte“ საქმე. ამის შესახებ იხ. ევროპული გაერთიანებების სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: EuGHE 1989, 2965 = NJW 1990, 2245 („Griechischer Mais“); EuGHE 1997, 6959 („Französische Landwirte“).

[3] იხ. *Hecker,* Iurratio 2/2009, გვ. 82.

[4] იხ. *Hecker,* Iurratio 2/2009, გვ. 82.

[5] შეად. *Hecker*, Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 266.

[6] შეად. *Hecker*, Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 268-275.

[7] შეად. *Hecker*, Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 345.

ლისაბონის ხელშეკრულებით, ევროპული გაერთიანების სამართალმემკვიდრე გახდა ევროპის კავშირი, რის გამოც, გაერთიანების ერთგულების პრინციპი (Grundsatz der Gemeinschaftstreue) შეიცვალა ე.წ. კავშირის ერთგულების პრინციპით (Grundsatz der Unionstreue). ეს უკანასკნელი მოცემულია ევროკავშირის ლისაბონის ხელშეკრულების მე-4 III მუხლში. ამის გამო, ასიმილირების პრინციპმა ევროპულ სისხლის სამართალში შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა. ამ გზით მიღწეული ევროპეიზაციის ეფექტი არის შეზღუდული, რის გამოც, ევროკავშირის სამართლებრივ სიკეთეთა და მისი პოლიტიკის სფეროების ერთგვაროვანი სისხლისსამართლებრივი დაცვა შესაძლებელია მხოლოდ უფრო შორს მიმავალი ჰარმონიზაციის ღონისძიებებით.[1]

2.3 ჰარმონიზაცია

გასული საუკუნის 90-იან წლებში ევროკავშირის სისხლის სამართლის პოლიტიკის ინტერესის სფეროს, პირველ რიგში, წარმოადგენდა ტრანსნაციონალური პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობის გაღრმავება. ამ თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძველი იყო 1993 წლის 1 სექტემბერს ძალაში შესული შენგენის 1990 წლის შეთანხმება, ისევე როგორც 1993 წლის 1 ნოემბერს ძალაში შესული მაასტრიხტის ხელშეკრულება. ამ უკანასკნელმა შემოიღო ე.წ. „მესამე სვეტის“ ფარგლებში იუსტიციური და პოლიციური თანამშრომლობა, როგორც ევროკავშირის პოლიტიკის ახალი სფერო.[2] ამ საუკუნის დასაწყისიდან კი, ნაწილობრივ შეიცვალა პრიორიტეტები და ევროპული სისხლის სამართლის პოლიტიკის ყურადღების ცენტრში მოექცა სისხლის სამართლის ჰარმონიზაცია.[3] ჰარმონიზაცია შეეხება მატერიალური სისხლის სამართლის სფეროს. ევროპის კავშირში იგი გულისხმობს წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის ნორმების შინაარსობრივ იდენტურობას საერთო ევროპული ნორმის საფუძველზე. ჰარმონიზაცია განსხვავდება სუპრანაციონალური ორიგინალური (genuin) ევროპული ნორმების გამოცემის გზით დანაშაულის შემადგენლობების შექმნის კომპეტენციისგან, რომელთაც ექნებათ უშუალო გამოყენება. ლისაბონის ხელშეკრულებამდე ევროგაერთიანების ასეთი უფლებამოსილების გამოყვანა პრიმერული სამართლის ნორმებიდან (მაგალითად, ევროგაერთიანების ხელშეკრულების 280-ე მუხლიდან) იყო უარყოფილი.[4]

ლისაბონის ხელშეკრულებაც არ შეიცავს ისეთ საერთო ნორმას, რომელიც ევროკავშირს მისცემდა სუპრანაციონალური სისხლის სამართლის დებულებების გამოცემის ზოგად კომპეტენციას. (გამონაკლისია, მაგალითად, ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 325-ე მუხლი). როგორც მანამდე, ასევე ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვითაც, არ არის გათვალისწინებული მატერიალური სისხლის სამართლის ტოტალური ჰარმონიზაცია, არამედ წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის ნორმების მინიმალური გათანაბრება.

ჯერ კიდევ თავის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებში[5] ევროპული გაერთიანებების სა-

---

[1] იხ. *Hecker*, Iurratio 2/2009, გვ. 83.

[2] ამის შესახებ იხ. *Hecker*, Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 185, 193.

[3] იხ. *Hecker*, Iurratio 2/2009, გვ. 83; *Dannecker*, JURA 2006, 95, 98.

[4] შეად. *Hecker*, Iurratio 2/2009, გვ. 83. ევროპული სუპრანაციონალური სისხლის სამართლის განვითარების პერსპექტივის შესახებ ლიტერატურაში გამოთქმული იყო არაერთი თვალსაზრისი. იხ., მაგალითად, *Klip*, ZStW 117 (2005). 889, 900; *Perron*, ZStW 112 (2000). 202, 210.

[5] იხ. ევროპული გაერთიანებების სასამართლოს 2005 წლის 13 სექტემბრისა (EuGH, JZ 2006, 307 =

სამართლომ მიუთითა ევროგაერთიანების მიერ წევრი სახელმწიფოებისათვის სისხლისსამართლებრივი მითითებების გაკეთების კომპეტენციაზე.[1] მათში მოცემული ინტერპრეტაციები ვრცელდება არა მარტო კონკრეტულად გარემოს დაცვასა და სატრანსპორტო პოლიტიკაზე, არამედ ზოგადად ევროგაერთიანების პოლიტიკის სფეროებსა და ძირითად თავისუფლებებზე. ამასთან, 2007 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ჰარმონიზაციის სფეროებში გამოსაყენებელი სისხლისსამართლებრივი სანქციების სახეებისა და ზომის განსაზღვრა არ წარმოადგენს ევროგაერთიანების კომპეტენციას, არამედ წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილებას.[2] აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკითხისადმი ასეთი მიდგომა შეიცვალა ლისაბონის ხელშეკრულებით. კერძოდ, ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მიხედვით, არა მარტო დანაშაულის შემადგენლობები, არამედ ასევე სასჯელები, მაშასადამე, სამართლებრივი შედეგებიც, დაექვემდებარებიან მინიმალური სტანდარტების შესაბამისად ჰარმონიზაციას.[3]

პირველი სვეტის ფარგლებში სისხლის სამართლის სფეროში დირექტივების მეშვეობით ჰარმონიზაციის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად სახელდება ევროგაერთიანების 2005 წლის 26 ოქტომბრის ფულის გათეთრების შესახებ მე-3 დირექტივა, რომელმაც ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში გაერთიანების მინიმალური სამართლებრივი სტანდარტი დააწესა.[4]

ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედებამდე, სისხლის სამართლის სფეროში ჰარმონიზაცია ხორციელდებოდა ძირითადად „მესამე სვეტის" ფარგლებში. იგი ემსახურებოდა ისეთი დამნაშავეობის სფეროების პრევენციასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლას, რომლებშიც ევროკავშირმა განავითარა საერთო პოლიტიკა ან ტრანსნაციონალური ხასიათი აქვთ.[5]

ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით, სისხლის სამართლის ჰარმონიზაცია კვლავ ევროპული სისხლის სამართლის პოლიტიკის ცენტრშია.[6] ამ საკითხს ეძღვნება ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლი. ამ მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, ევროპულ პარლამენტსა და ევროპის კავშირის საბჭოს შეუძლია, დადგენილი საკანონმდებლო პროცედურების შესაბამისად, მანამდე არსებული ჩარჩო-გადაწყვეტილებების (Rahmenbeschlüsse) ნაცვლად, დირექტივების (Richtlinien) მეშვეობით, განსაკუთრებით მძიმე დამნაშავეობის სფეროში, დაადგინოს მინიმალური წესები დანაშაულებისა და სასჯელების შესახებ, რომელსაც დანაშაულთა სახის ან შედეგების ან განსაკუთრებული აუცილებლობის საფუძველზე, რათა მის წინააღმდეგ განხორციელდეს ბრძოლა ერთიან საფუძველზე, ტრანსნაციონალური ხასიათი აქვს. ასეთი დამნაშავეობის სფეროებად იქვე დასახელებულია: ტერორიზმი, ადამიანებით ვაჭრობა და, განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია, ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა, იარაღით არალეგალური ვაჭრობა, ფულის გათეთრება, კორუფცია, გადახდის საშუალებების გაყალბება, კომპიუტერული დამნაშავეობა და ორგანიზებული დამნაშავეობა. დამნაშავეობის განვითარების მიხედვით, საბჭოს შეუძლია, გამოსცეს გადაწყვეტილება (Beschluss), რომლითაც განისაზღვრება დამნაშავეობის სხვა სფეროები, რომლებიც ამავე კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად, ევროპული პარლამენტის თანხმობის შემდეგ.

ZIS 2006, 179) და 2007 წლის 23 ოქტომბრის (EuGH, NStZ 2008, 703) გადაწყვეტილებები.

1 ამის შესახებ იხ. *Eisele*, JZ 2008, 248; *Kubiciel*, NStZ 2007, 136; *Zimmermann*, NStZ 2008, 662.

2 ამის შესახებ იხ. *Hecker*, Iurratio 2/2009, გვ. 83.

3 იხ. *Hecker*, Iurratio 2/2009, გვ. 84.

4 ამის შესახებ იხ. *Hecker*, Iurratio 2/2009, გვ. 83.

5 ამის შესახებ იხ. *Hecker*, JA 2007, 561.

6 იხ. *Hecker*, Iurratio 2/2009, გვ. 84.

მაშინ, როდესაც ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედებამდე ჰარმონიზაციის ღონისძიებები მესამე სვეტის ფარგლებში, ჩარჩო-გადაწყვეტილებების სახით, ერთხმად მიიღებოდა (ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 34-ე II ხ მუხლი), ახლანდელი ჰარმონიზაციის ღონისძიებები (დირექტივები) მიიღება დადგენილი საკანონმდებლო პროცედურებით (ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 294-ე მუხლი), ევროპის კავშირის საბჭოს მიერ, ევროკომისიის წინადადებითა და ევროპული პარლამენტის თანამონაწილეობით, ხმათა უმრავლესობით (ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 238-ე III მუხლი). მანამდე პირველი სვეტის ფარგლებში არსებული სისხლის სამართლის ჰარმონიზაცია ისეთ სფეროებში, როგორიცაა, მაგალითად, შიდა ბაზარი, ეკოლოგია, ტრანსპორტი, მომხმარებელთა დაცვა, ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე II მუხლით კვლავ ინარჩუნებს არსებობას: თუკი აღმოჩნდება, რომ წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი დებულებების ჰარმონიზაცია აუცილებელია კავშირის პოლიტიკის ეფექტურად გასატარებლად იმ სფეროებში, რომლებშიც ჰარმონიზაციის ღონისძიებები უკვე გატარებულია, მაშინ დირექტივების (Richtlinien) მეშვეობით შესაძლებელია, დადგენილ იქნეს მინიმალური წესები, რომლებიც განსაზღვრავენ დანაშაულებსა და სასჯელებს ამ შესაბამის სფეროებში.

ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლიდან გამომდინარე, მატერიალური სისხლის სამართლის სფეროში ჰარმონიზაციამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოიცვას სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შემადგენლობებზე მინიმალური დებულებების გამოცემა, რომლებშიც შეიძლება აღწერილი იყოს ინკრიმინირებული ქმედებების ობიექტური და სუბიექტური ნიშნები, რომელთა განვრცობა და დაკონკრეტება ნაციონალური სამართლის დებულებებით არ არის გამორიცხული. მან ასევე შეიძლება მოიცვას ჰარმონიზაცია სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ცალკეულ საკითხებზე, რამდენადაც იგი აუცილებელია კავშირის კომპეტენციაში შემავალი ჰარმონიზაციის სფეროებში ამა თუ იმ დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის.[1]

მიუხედავად ჰარმონიზაციის სფეროებში ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის დაწესებისა, ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე III მუხლი ითვალისწინებს ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს მიერ ვეტოს უფლების გამოყენებას, როცა იგი ფიქრობს, რომ ამა თუ იმ დირექტივის მიღებამ შესაძლოა, თავისი ნაციონალური სისხლის სამართლის წეს-წყობილების ფუძემდებლური ასპექტების ხელყოფა გამოიწვიოს. ეს შემთხვევა ცნობილია ე.წ. „საავარიო მუხრუჭის“ სახელწოდებით. ასეთ შემთხვევაში მინიმუმ ცხრა წევრ სახელმწიფოს შეუძლია, იმოქმედოს ე.წ. გაძლიერებული თანამშრომლობის შესახებ პროცედურით, რომელიც წარმოადგენს წევრ სახელმწიფოთა ნაწილის *ultima ratio* თანამშრომლობის ფორმას, რადგან სასურველია, რომ შეთანხმება ყოველთვის მთელი კავშირის მასშტაბით იქნეს მიღწეული.

---

[1] იხ. *Hecker,* Iurratio 2/2009, გვ. 84.

2.4 სისხლის სამართალწარმოების დარგობრივი ცენტრალიზაცია

ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 325-ე მუხლიდან გამომდინარეობს ჰარმონიზაციისგან განსხვავებული ახალი კომპეტენცია, რომელსაც *ჰეკერი*[1] „სისხლის სამართალწარმოების დარგობრივ ცენტრალიზაციას“ უწოდებს. კერძოდ, ხელშეკრულების 83-ე მუხლით გათვალისწინებული მატერიალური სისხლის სამართლის ჰარმონიზაცია ხორციელდება დირექტივების (Richtlinien) მეშვეობით და მათ არა აქვთ უშუალო მოქმედების ძალა, ხოლო 325-ე მუხლი ითვალისწინებს რეგულაციების (Verordnungen) მეშვეობით უშუალოდ მოქმედი დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობების ჩამოყალიბების უფლებამოსილებას. ეს უკანასკნელი შემოიფარგლება სამართალწარმოების კონკრეტული დარგობრივი სფეროთი, კერძოდ, თაღლითობებითა და ევროკავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართული სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებით.

2009 წლის 1 დეკემბრიდან ისტორიას ჩაბარდა ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 280-ე მუხლის მე-4 აბზაცის მე-2 წინადადება[2], ხოლო ძალაში შევიდა ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების ახალი 325-ე მუხლის მე-4 აბზაცი, რომელმაც კარგი პერსპექტივა დაუსახა ევროპული სუპრანაციონალური სისხლის სამართლის განვითარებას. ეს უკანასკნელი იძლევა მოქმედების ფორმების (დირექტივა ან რეგულაცია) არჩევანის თავისუფლებას და შესაძლებელს ხდის, რომ მის საფუძველზე შეიქმნას დანაშაულის სუპრანაციონალური შემადგენლობები.[3] მიუხედავად იმისა, რომ ეს სუპრანაციონალური კომპეტენცია შემოიფარგლება მხოლოდ ერთი კონკრეტული სფეროთი, იგი მაინც წარმოადგენს წინგადადგმულ ნაბიჯს ევროპული ორიგინალური სისხლის სამართლის განვითარების პროცესში.[4]

ასეთი ევროპული დანაშაულების სისხლისსამართლებრივი დევნა შეიძლება განხორციელდეს **ევროპული პროკურატურის** მიერ, რომლის შექმნაც გათვალისწინებულია ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 86-ე მუხლით. იგი შეიძლება შეიქმნას ევროპის კავშირის საბჭოს მიერ რეგულაციის (Verordnung) მეშვეობით, ერთხმად, მას შემდეგ, რაც ევროპული პარლამენტი მისცემს ამაზე თანხმობას. ამ საკითხზეც გათვალისწინებულია მინიმუმ ცხრა წევრი სახელმწიფოს მიერ მოქმედება ე.წ. გაძლიერებული თანამშრომლობის შესახებ პროცედურით, რომელიც წარმოადგენს წევრ სახელმწიფოთა ნაწილის *ultima ratio* თანამშრომლობის ფორმას, თუ ყველა წევრი სახელმწიფო ერთხმად ვერ შეთანხმდა ერთიანი ევროპული პროკურატურის შესახებ რეგულაციის მიღებაზე.

ლისაბონის ხელშეკრულების ეს ნოვაციები წარმოადგენს *Corpus Juris 2000*-სა და ევროკომისიის „მწვანე წიგნის“ იდეების ევროპული პრიმერულ-სამართლებრივი საფუძვლების შექმნას.[5]

მაშასადამე, ლისაბონის ხელშეკრულება წარმოადგენს ევროპული სისხლის სამართლის ცენტრალური სტრუქტურული ელემენტების: თანამშრომლობის, კოოპერაციის, ასიმილირებისა და ჰარმონიზაციის არა მარტო გაღრმავებას, არამედ მათ შემდგომ გაფართოებას ახალი

---

[1] იხ. *Hecker*, Iurratio 2/2009, გვ. 85.

[2] შეად. *Fromm*, ZIS 2007, გვ. 26.

[3] შეად. *Rosenau*, ZIS 2008, გვ. 9, 16.

[4] იხ. *Hecker*, Iurratio 2/2009, გვ. 85.

[5] ამ დოკუმენტებისა და ერთიანი ევროპული პროკურატურის შესახებ იხ. *Hecker*, Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 533-540.

ფორმებით. პირველად სწორედ ამ სამართლებრივი აქტით გაიკვალა გზა სუპრანაციონალური სისხლის სამართლის განვითარებისაკენ, რომელიც განხორციელდება ერთიანი ევროპული სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს მეშვეობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მთელი ევროპული სისხლის სამართლის განვითარება მოხდება ევროპის კავშირის პირველი სვეტის ფარგლებში, რადგან ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლით ე.წ. „სამი სვეტის მოდელი", ისევე როგორც ევროპული გაერთიანება, ისტორიას ჩაბარდა.

II ლისაბონის ხელშეკრულება

ქვემოთ წარმოდგენილი იქნება ლისაბონის ხელშეკრულების ორი სამართლებრივი აქტის: „ევროპის კავშირის ხელშეკრულებისა" და „ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების" მხოლოდ ის ნორმები, რომელთაც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭებათ. აქ წარმოდგენილი იქნება არა მარტო სისხლის სამართლის სფეროში იუსტიციური თანამშრომლობის შესახებ ის მთავარი ნორმები, რომლებიც მოცემულია ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულებაში (82-ე-86-ე მუხლები), არამედ, ასევე რამდენიმე სხვა უმნიშვნელოვანესი ნორმაც.

ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების სახელწოდების პრიმერული სამართლებრივი აქტი ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედებამდე არ არსებობდა. იგი მოქმედებს ევროპის კავშირის ხელშეკრულების გვერდით. ნიცას ხელშეკრულებითაც პრიმერული სამართალი წარმოდგენილი იყო ორი ევროპული აქტით, რომელსაც, ევროპის კავშირის ხელშეკრულებასთან ერთად, წარმოადგენდა ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულება.

ლისაბონის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ არ არსებობს ევროპული გაერთიანება. მაშინ, როდესაც იუსტიციური და პოლიციური თანამშრომლობის საკითხები ნიცას ევროკავშირის ხელშეკრულებით მესამე სვეტის ფარგლებში იყო მოწესრიგებული, დღეს მოქმედი ევროპული პრიმერული სამართლით, ეს საკითხები წარმოდგენილ ხელშეკრულებაში არის დარეგულირებული და მესამე სვეტის გაუქმების შედეგად პირველ სვეტში გადაინაცვლა და მიიღო მანამდე პირველი სვეტის ფარგლებში არსებული ევროპული გაერთიანების სუპრანაციონალური სამართლის რანგი.

1. ევროპის კავშირის ხელშეკრულება[1]

სათაური I
საერთო განსაზღვრებები

მუხლი 3 (ევროკავშირის ხელშეკრულების ყოფილი მე-2 მუხლი)

ევროპის კავშირის მიზნები

(1) კავშირის მიზანია, მშვიდობის, თავისი ფასეულობებისა და საკუთარი ხალხის კეთილდღეობის ხელშეწყობა.

(2) კავშირი თავაზობს თავის მოქალაქეებს თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცეს შიდა საზღვრების გარეშე, სადაც – იმ შესაბამის ღონისძიებებთან კავშირში, რომლებიც დაკავშირებულია საზღვრების კონტროლთან, თავშესაფართან, მიგრაციასთან, ასევე დამნაშავეობის თავიდან აცილებასა და მის წინააღმდეგ ბრძოლასთან – უზრუნველყოფილია პირების თავისუფლად გადაადგილება.

(3) კავშირი აფუძნებს შიდა ბაზარს. იგი მოქმედებს ევროპის მუდმივი განვითარებისთვის, ეკონომიკის პროპორციულად ზრდისა და ფასების სტაბილიზაციის, მაღალკონკურენტუნარიანი სოციალური საბაზრო ეკონომიკის საფუძველზე, რომელიც მიმართულია მოსახლეობის სრული დასაქმებისა და სოციალური პროგრესისაკენ, ასევე, დიდი მასშტაბით გარემოს დაცვისა და გარემო პირობების გაუმჯობესებისაკენ. იგი ხელს უწყობს სამეცნიერო და ტექნიკურ პროგრესს.

იგი იბრძვის სოციალური უთანასწორობისა და დისკრიმინაციის წინაღმდეგ და ხელს უწყობს სოციალურ სამართლიანობასა და სოციალურ დაცვას, ქალებისა და მამაკაცების თანასწორობას, სოლიდარობას თაობებს შორის და ბავშვთა უფლებების დაცვას. კავშირი ხელს უწყობს ეკონომიკურ, სოციალურ და ტერიტორიულ მთლიანობას და სოლიდარობას წევრ სახელმწიფოებს შორის.

იგი იცავს თავისი კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნების სიმდიდრეს და ზრუნავს ევროპის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარებისთვის.

(4) კავშირი ქმნის ერთიან ეკონომიკურ და სავალუტო კავშირს, რომლის ვალუტა არის ევრო.

(5) მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობებში, კავშირი იცავს და ხელს უწყობს თავის ფასეულებებსა და ინტერესებს და წვლილი შეაქვს თავისი მოქალაქეების დაცვაში. იგი ხელს უწყობს მშვიდობას, უსაფრთხოებას, ხანგრძლივ გლობალურ განვითარებას, სოლიდარობასა და ხალხთა შორის ურთიერთპატივისცემას, თავისუფალ და სამართლიან ვაჭრობას, სიღარიბის აღმოფხვრასა და ადამიანის უფლებათა დაცვას, განსაკუთრებით, ბავშვთა უფლებების დაცვის კუთხით, ასევე საერთაშორისო სამართლის მკაცრად დაცვასა და მის შემდგომ განვითარებას, განსაკუთრებით, გაერთიანებული ერების ქარტიის ძირითადი პრინციპების დაცვის კუთხით.

(6) კავშირი ახორციელებს თავის მიზნებს შესაბამისი საშუალებებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც მას ხელშეკრულებებით აქვს მინიჭებული.

---

[1] Treaty of Lisbon: Treaty on European Union (TEU). Vertrag von Lissabon: Vertrag über die Europäische Union (EUV).

მუხლი 5 (ევროგაერთიანების ხელშეკრულების ყოფილი მე-5 მუხლი)

(შეზღუდული ცალკეული უფლებამოსილებები; სუბსიდიარულობა და თანაზომიერება)

(1) კავშირის კომპეტენციების გამიჯვნისათვის მოქმედებს შეზღუდულ ცალკეულ უფლებამოსილებათა პრინციპი. კავშირის კომპეტენციების შესრულებისთვის მოქმედებს სუბსიდიარულობისა და თანაზომიერების პრინციპები.

(2) შეზღუდულ ცალკეულ უფლებამოსილებათა პრინციპის თანახმად, კავშირი მოქმედებს მხოლოდ იმ კომპეტენციათა საზღვრებში, რომლებიც წევრი სახელმწიფოების მიერ მას ხელშეკრულებებით, მათში მოცემული მიზნების განსახორციელებლად, აქვს გადაცემული. ყველა დანარჩენი უფლებამოსილება, რომელიც ხელშეკრულებებით არ არის კავშირისათვის გადაცემული, რჩება წევრი სახელმწიფოების კომპეტენციაში.

(3) სუბსიდიარულობის პრინციპის თანახმად, კავშირი, იმ სფეროებში, რომლებიც მის განსაკუთრებულ კომპეტენციის ფარგლებს არ განეკუთვნება, საქმიანობს მხოლოდ მაშინ, როცა დასახული ღონისძიებების მიზნების საკმარისად განხორციელება წევრი სახელმწიფოების მიერ არც ცენტრალურ, არც რეგიონალურ ან ადგილობრივ დონეზე არ არის შესაძლებელი, არამედ, მათი მოცულობისა და შედეგების გათვალისწინებით, კავშირის დონეზე უკეთესად განხორციელებადია.

კავშირის ორგანოები იყენებენ სუბსიდიარულობის პრინციპს სუბსიდიარულობისა და თანაზომიერების პრინციპების გამოყენების შესახებ ოქმის შესაბამისად. ნაციონალური საკანონმდებლო ორგანოები ყურადღებას ამახვილებენ სუბსიდიარულობის პრინციპის დაცვაზე ამ ოქმში გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

(4) თანაზომიერების პრინციპის თანახმად, კავშირის ღონისძიებები, როგორც შინაარსობრივად, ისე ფორმალურად, არ უნდა გასცდეს ხელშეკრულებების მიზნების მისაღწევად აუცილებელ ზომებს.

კავშირის ორგანოები იყენებენ თანაზომიერების პრინციპს სუბსიდიარულობისა და თანაზომიერების პრინციპების გამოყენების შესახებ ოქმის შესაბამისად.

მუხლი 6 (ევროკავშირის ხელშეკრულების ყოფილი მე-6 მუხლი)

(კავშირის ფუნდამენტური პრინციპები; ძირითადი უფლებები; მიერთება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან)

(1) კავშირი აღიარებს უფლებებს, თავისუფლებსა და ძირითად პრინციპებს, რომლებიც 2000 წლის 7 დეკემბრის ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიაში – სტრასბურგში 2007 წლის 12 დეკემბერს ადაპტირებულ ვარიანტში – არის ასახული. ძირითად უფლებათა ქარტია და ხელშეკრულებები სამართლებრივად თანაბარი რანგის არიან.

ხელშეკრულებებში დადგენილი კავშირის კომპეტენციის ფარგლების გაფართოება ქარტიის განსაზღვრებების მეშვეობით არანაირი სახით არ ხდება.

ქარტიაში გათვალისწინებული უფლებების, თავისუფლებებისა და ძირითადი პრინციპების განმარტება ხდება ქარტიის მე-7 თავის ზოგადი განსაზღვრებების თანახმად, რომლებიც მათ განმარტებასა და გამოყენებას აწესრიგებენ, და ქარტიაში მოცემული განმარტებების სათანადოდ გათვალისწინებით, სადაც აღნიშნული განსაზღვრებების წყაროებია მოცემული.

(2) კავშირი უერთდება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას. აღნიშნული მიერთება არ ცვლის კავშირის ხელშეკრულებებით დადგენილ კომპეტენციებს.

(3) ძირითადი უფლებები, როგორც ისინი გარანტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში და, ასევე, როგორც ისინი წევრი სახელმწიფოების საერთო კონსტიტუციური თვალსაზრისებიდან გამომდინარეობენ, როგორც ზოგადი პრინციპები, არიან კავშირის სამართლის შემადგენელი ნაწილი.

სათაური IV
გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის შესახებ დებულებები

მუხლი 20 (ევროკავშირის ხელშეკრულების ყოფილი 27(a)-დან 27(e)-მდე, 40-დან 40(ბ)-მდე და 43-დან 45-მდე მუხლები და ევროგაერთიანების ხელშეკრულების ყოფილი 11-დან 11(a)-მდე მუხლები)

(წევრი სახელმწიფოების ურთიერთთანამშრომლობა)

(1) წევრ სახელმწიფოებს, რომლებსაც ერთმანეთთან გაძლიერებული თანამშრომლობის დაფუძნება სურთ იმ ფარგლებში, რომელიც არ წარმოადგენს კავშირის განსაკუთრებულ კომპეტენციას, შეუძლიათ ამ მუხლის ფარგლებში და მის მიხედვით და ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 326-ე-334-ე მუხლების შესაბამისად, გამოიყენონ კავშირის ორგანოები და ეს კომპეტენცია ხელშეკრულების შესაბამისი დებულებების გამოყენებით განახორციელონ.

გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობა ორიენტირებულია იმაზე, რომ ხელი შეუწყოს კავშირის მიზნების განხორციელებას, დაიცვას მისი ინტერესები და გააძლიეროს მისი ინტეგრაციის პროცესი. ის ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 328-ე მუხლის შესაბამისად, ნებისმიერ დროს ღიაა ყველა წევრი სახელმწიფოსთვის.

(2) საბჭოს მიერ გადაწყვეტილება (Beschluss) გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ მიიღება როგორც უკანასკნელი საშუალება, როდესაც იგი დაადგენს, რომ ამ თანამშრომლობით დასახული მიზნების განხორციელება კავშირის მიერ მთლიანობაში მისაღები დროის განმავლობაში შეუძლებელია და ასევე თუ თანამშრომლობაში მინიმუმ ცხრა წევრი სახელმწიფო მაინც მონაწილეობს. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 329-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურით.

(3) საბჭოს ყველა წევრს შეუძლია, ამ კონსულტაციებში მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ კენჭისყრაში მონაწილეობენ საბჭოს მხოლოდ ის წევრები, რომლებიც გაძლიერებულ ურთიერთთანამშრომლობაში მონაწილე წევრ სახელმწიფოებს წარმოადგენენ. კენჭისყრის პროცედურები გათვალისწინებულია ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 330-ე მუხლით.

(4) გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში გამოცემული სამართლებრივი აქტები სავალდებულოა მხოლოდ ამ თანამშრომლობაში მონაწილე წევრი სახელმწიფოებისათვის. ისინი არ წარმოადგენენ იმ სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც შესვლის მსურველმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ.

2. ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულება[1]

მესამე ნაწილი
კავშირის შიდა პოლიტიკის სფეროები და ღონისძიებები

სათაური V
თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცე

თავი 1
ზოგადი განსაზღვრებები

მუხლი 67 (ევროგაერთიანების ხელშეკრულების ყოფილი 61-ე მუხლი და ევროკავშირის ხელშეკრულების ყოფილი 29-ე მუხლი)

(თავისუფლების სივრცე)

(1) კავშირი ქმნის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცეს, რომელიც პატივს სცემს ძირითად უფლებებსა და წევრი სახელმწიფოების განსხვავებულ სამართლებრივ წეს-წყობილებებსა და ტრადიციებს.

(2) იგი უზრუნველყოფს, რომ პირების მიმართ შიდა საზღვრებში კონტროლი არ განხორციელდეს და ავითარებს ერთიან პოლიტიკას თავშესაფრის, მიგრაციისა და გარე საზღვრებზე კონტროლის სფეროებში, რომელიც ეფუძნება წევრი სახელმწიფოების სოლიდარობასა და მესამე სახელმწიფოების მოქალაქეების მიმართ თანაზომიერია. ამ ნაწილის მიზნებისათვის, მოქალაქეობის არმქონე პირები გათანაბრებულია მესამე სახელმწიფოთა მოქალაქეებთან.

(3) კავშირი მოქმედებს იმ მიზნით, რომ იმ ღონისძიებების მეშვეობით, რომლებიც მიმართულია დამნაშავეობის, ისევე, როგორც რასიზმისა და ქსენოფობიის თავიდან აცილებისაკენ და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად, პოლიციური უწყებებისა და სისხლის სამართალწარმოების ორგანოებისა და სხვა კომპეტენტური უწყებების კოორდინაციისა და თანამშრომლობისაკენ, ასევე სისხლისსამართლებრივი გადაწყვეტილებების ორმხრივი აღიარებისა და, აუცილებლობის შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დებულებების ჰარმონიზაციის გზით, უზრუნველყოს უსაფრთხოების მაღალი ხარისხის მიღწევა.

(4) კავშირი ამარტივებს სამართლის ხელმისაწდომობას, განსაკუთრებით, სამოქალაქო საქმეებში სასამართლო და არასასამართლო გადაწყვეტილებების ორმხრივი აღიარების პრინციპის მეშვეობით.

მუხლი 68

(სტრატეგიული ძირითადი მიმართულებები)

ევროპული საბჭო ადგენს სტრატეგიულ ძირითად მიმართულებებს საკანონმდებლო და ოპერატიული პროგრამული დაგეგმვისათვის თავისუფლების, უსაფრთხოებასა და სამართლის სივრცეში.

---

[1] Treaty of Lisbon: Treaty on the Functioning of the European Union. Vertrag von Lissabon: Vertrag über die Arbeitsweise der Europäischen Union (AEUV).

მუხლი 75 (ევროგაერთიანების ხელშეკრულების ყოფილი მე-60 მუხლი)

(ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა)

რამდენადაც ეს აუცილებელია, რათა განხორციელდეს 67-ე მუხლის მიზნები ტერორიზმის აღკვეთასა და მის წინააღმდეგ ბრძოლასთან მიმართებაში და მასთან დაკავშირებული აქტიურობები, ევროპის პარლამენტი და საბჭო, დადგენილი საკანონმდებლო პროცედურების შესაბამისად, რეგულაციების (Verordnungen) მეშვეობით ქმნიან ჩარჩოს ადმინისტრაციული ღონისძიებებისთვის კაპიტალის მოძრაობებთან და გადახდებთან მიმართებაში, რაც შეიძლება გამოიხატოს თანხის, ფინანსური ქონებრივი ღირებულებების ან ეკონომიკური შემოსავლების გაყინვაში, რომელთა მესაკუთრე ან მფლობელია ფიზიკური ან იურიდიული პირი, პირთა ჯგუფები ან არასახელმწიფოებრივი გაერთიანებები.

საბჭო, კომისიის ინიციატივით, ატარებს ღონისძიებებს პირველ აბზაცში დასახელებული ჩარჩოს განსახორციელებლად.

სამართლებრივ აქტებში, ამ მუხლის შესაბამისად, სავალდებულოა, გათვალისწინებულ იქნეს აუცილებელი დებულებები სამართლებრივი დაცვის შესახებ.

თავი 2
პოლიტიკა საზღვრების კონტროლის, თავშესაფარისა და მიგრაციის სფეროში

მუხლი 79 (ევროგაერთიანების ხელშეკრულების ყოფილი 63-ე მუხლის მე-3 და მე-4 აბზაცები)

(ერთობლივი საიმიგრაციო პოლიტიკა)

(1) კავშირი ავითარებს ერთობლივ საიმიგრაციო პოლიტიკას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საიმიგრაციო დინებების ყველა ფაზაში ეფექტური რეგულირება, სათანადო მოპყრობა მესამე სახელმწიფოს მოქალაქეების მიმართ, რომლებიც მართლზომიერად იმყოფებიან წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ასევე, არალეგარული მიგრაციისა და ადამიანით ვაჭრობის აღკვეთა და მათ წინააღმდეგ გაძლიერებული ბრძოლა.

(2) პირველ აბზაცში მოცემული მიზნებისათვის, ევროპული პარლამენტი და საბჭო, დადგენილი საკანონმდებლო პროცედურების შესაბამისად, ატარებენ ღონისძიებებს შემდეგ სფეროებში:

a) შემოსვლისა და ყოფნის წინაპირობები, ასევე ნორმები ვიზისა და, გრძელვადიანი ყოფნის შემთხვევაში, ყოფნის სტატუსის თაობაზე, ოჯახის თანაცხოვრების მიზნით ასეთი ღონისძიებების გატარების ჩათვლით, რაც ხორციელდება წევრი სახელმწიფოების მეშვეობით;

b) მესამე სახელმწიფოს იმ მოქალაქეებისთვის უფლებების განსაზღვრა, რომლებიც მართლზომიერად იმყოფებიან წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე, იმ პირობების ჩათვლით, რომელთა მიხედვით, მათ ნება ეძლევათ, სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილდნენ და იმყოფებოდნენ;

c) არალეგალური მიგრაცია და არალეგალური ყოფნა, იმ პირების გაძევებისა და უკან დაბრუნების ჩათვლით, რომლებიც არალეგარულად იმყოფებიან წევრ სახელმწიფოში;

d) ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა, განსაკუთრებით, ბავშვებითა და ქალებით ვაჭრობის შემთხვევაში.

(3) კავშირს შეუძლია, გააფორმოს შეთანხმება მესამე სახელმწიფოებთან, მესამე სახელმწიფოების მოქალაქეების მათი დაბადების ან საცხოვრებელი ადგილის ქვეყანაში უკან მიღების შესახებ, თუ ისინი არ აკმაყოფილებდნენ ან უკვე ვეღარ აკმაყოფილებენ წევრი სახელმწიფოების სუვერენულ ტერიტორიაზე შემოსვლის, ყოფნის ან ცხოვრების წინაპირობებს.

(4) ევროპულ პარლამენტსა და საბჭოს შეუძლიათ, დადგენილი საკანონმდებლო პროცედურების შესაბამისად, წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი დებულებების ნებისმიერი ჰარმონიზაციის გარდა, დაადგინონ ღონისძიებები, რომელთა მიხედვით, ხდება წევრი სახელმწიფოების მხრიდან მესამე სახელმწიფოების იმ მოქალაქეების ინტეგრაციის ხელშეწყობა და მხარდაჭერა, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან წევრი სახელმწიფოების სუვერენულ ტერიტორიაზე.

(5) აღნიშნული მუხლი ხელშეუხებელს ტოვებს წევრი სახელმწიფოების უფლებას, დაადგინონ, მესამე სახელმწიფოების თუ რამდენ მოქალაქეს ეძლევა უფლება, მესამე სახელმწიფოებიდან შემოვიდეს მათ სუვერენულ ტერიტორიაზე, რათა მათ იქ მოძებნონ სამუშო ადგილი ან გასწიონ ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა.

თავი 4
იუსტიციური თანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმეებში

მუხლი 82 (ევროკავშირის ხელშეკრულების ყოფილი 31-ე მუხლი)

(ორმხრივი ურთიერთაღიარება)

(1) კავშირში იუსტიციური თანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმეებში ეყრდნობა სასამართლო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპს და მოიცავს წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი დებულებების ჰარმონიზაციას მე-2 აბზაცსა და 83-ე მუხლში დასახელებულ სფეროებში.

ევროპული პარლამენტი და საბჭო, დადგენილი საკანონმდებლო პროცედურის შესაბამისად, იღებს ღონისძიებებს, რათა

a) დადგინდეს წესები და პროცედურები, რომლის მიხედვითაც, მთელი კავშირის მასშტაბით მოხდება ყველა სახის განაჩენისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღიარების უზრუნველყოფა;

b) თავიდან იქნეს აცილებული და მოგვარებული წევრ სახელმწიფოთა შორის კომპეტენციათა შესახებ კონფლიქტი;

c) ხელი შეეწყოს მოსამართლეთა და პროკურორთა, ასევე იუსტიციის სფეროში მომუშავე პირთა კვალიფიკაციის ამაღლებას;

d) გამარტივდეს თანამშრომლობა წევრი სახელმწიფოების იუსტიციის უწყებებს ან შესაბამის უწყებებს შორის სისხლისსაართლებრივი დევნის, ასევე, გადაწყვეტილებების შესრულებისა და აღსრულების ფარგლებში.

(2) რამდენადაც ეს სასამართლო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ორმხრივი ურთიერთაღიარებისა და ტრანსნაციონალური ხასიათის მქონე სისხლის სამართლის საქმეებში პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობის გამარტივებისათვის აუცილებელია, ევროპულ პარლამენტსა და საბჭოს, დადგენილი საკანონმდებლო პროცედურების შესაბამისად, შეუძლია, დირექტივების (Richtlinien) მეშვეობით დაადგინოს მინიმალური წესები. ამ მინიმალური წესების დადგენისას ხდება წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ წეს-წყობილებებსა და ტრადიციებს შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინება.

წესები ეხება შემდეგ საკითხებს:

a) წევრ სახელმწიფოებს შორის მტკიცებულებათა დასაშვებობა ორმხრივობის საფუძველზე;

b) ცალკეულ ინდივიდთა უფლებები სისხლის სამართლის პროცესში;

c) დანაშაულის მსხვერპლთა უფლებები;

d) სისხლის სამართალის პროცესის სხვა სპეციფიკური ასპექტები, რომლებიც თავდაპირველად საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით (Beschluss) განისაზღვრება; ეს გადაწყვეტილება საბჭოს მიერ მიიღება ერთხმად, ევროპული პარლამენტის თანხმობის შემდეგ.

ამ აბზაცის მიხედვით მიღებული მინიმალური წესები არ ზღუდავს წევრ სახელმწიფოებს, შეინარჩუნონ ან დააწესონ ცალკეულ პირთათვის უფრო მაღალი დაცვის დონე.

(3) თუ საბჭოს ერთ-ერთი წევრი ჩათვლის, რომ მე-2 აბზაცის მიხედვით შემუშავებული დირექტივის (Richtlinie) პროექტი მისი სისხლისსამართლებრივი სისტემის ძირითად ასპექტებს შეიძლება შეეხოს, მაშინ მას შეუძლია განაცხადი გააკეთოს, რომ აღნიშნული საკითხი ევროპულმა საბჭომ განიხილოს. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურა ჩერდება. განხილვის დასრულების შემდეგ, ევროპული საბჭო, პროექტზე თანხმობის შემთხვევაში, უბრუნებს აღნიშნულ პროექტს საბჭოს პროცესის შეჩერებიდან 4 თვის განმავლობაში, რითაც საკანონმდებლო პროცესის შეჩერება დასრულდება.

თუ თანხმობა ვერ მიიღწევა, მაგრამ სულ მცირე კავშირის ცხრა წევრ სახელმწიფოს არსებული დირექტივის (Richtlinie) პროექტის საფუძველზე გაძლიერებული თანამშრომლობის დაფუძნება სურს, მაშინ ისინი ამის შესახებ იგივე ვადაში აცნობებენ ევროპულ პარლამენტს, საბჭოსა და კომისიას. ამ შემთხვევაში, ევროკავშირის ხელშეკრულების მე-20 მუხლის მე-2 აბზაცისა და ამ ხელშეკრულების 329-ე მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად, გაძლიერებული თანამშრომლობის უფლებამოსილება ითვლება მინიჭებულად და გამოიყენება დებულებები გაძლიერებული თანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 83 (ევროკავშირის ხელშეკრულების ყოფილი 31-ე მუხლი)

(მინიმალური წესები)

(1) ევროპულ პარლამენტსა და საბჭოს შეუძლია, დადგენილი საკანონმდებლო პროცედურების შესაბამისად, დირექტივების (Richtlinien) მეშვეობით, განსაკუთრებით მძიმე დამნაშავეობის სფეროში, დაადგინოს მინიმალური წესები დანაშაულებისა და სასჯელების შესახებ, რომელსაც დანაშაულთა სახის ან შედეგების ან განსაკუთრებული აუცილებლობის საფუძველზე, რათა მის წინააღმდეგ განხორციელდეს ბრძოლა ერთიან საფუძველზე, ტრანსნაციონალური ხასიათი აქვს.

ასეთი დამნაშავეობის სფეროებია: ტერორიზმი, ადამიანებით ვაჭრობა და, განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია, ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა, იარაღით არალეგალური ვაჭრობა, ფულის გათეთრება, კორუფცია, გადახდის საშუალებების გაყალბება, კომპიუტერული დამნაშავეობა და ორგანიზებული დამნაშავეობა.

დამნაშავეობის განვითარების მიხედვით, საბჭოს შეუძლია, გამოსცეს გადაწყვეტილება (Beschluss), რომლითაც განისაზღვრება დამნაშავეობის სხვა სფეროები, რომლებიც ამ აბზაცის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. იგი გადაწყვეტილებას იღებს ერთხმად, ევროპული პარლამენტის თანხმობის შემდეგ.

(2) თუკი აღმოჩნდება, რომ წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი დებულე-

ბების ჰარმონიზაცია აუცილებელია კავშირის პოლიტიკის ეფექტურად განსატარებლად იმ სფეროში, რომელშიც ჰარმონიზაციის ღონისძიებები უკვე გატარებულია, მაშინ, დირექტივების (Richtlinien) მეშვეობით, შესაძლებელია, დადგენილ იქნეს მინიმალური წესები, რომლებიც განსაზღვრავს დანაშაულებსა და სასჯელებს ამ შესაბამის სფეროში. ეს დირექტივები, 76-ე მუხლის დაურღვევლად, იმავე ჩვეულებრივი ან განსაკუთრებული საკანონმდებლო პროცედურების დაცვით გამოიცემა, როგორც შესაბამისი ჰარმონიზაციის ღონისძიებები.

(3) თუ საბჭოს ერთ-ერთ წევრს მიაჩნია, რომ პირველი ან მე-2 აბზაციდან გამომდინარე დირექტივის (Richtlinie) პროექტი შეიძლება მისი სისხლისსამართლებრივი სისტემის ძირითად ასპექტებს შეეხოს, მაშინ შეუძლია განაცხადი გააკეთოს, რომ ეს საკითხი ევროპულმა საბჭომ განიხილოს. ამ შემთხვევაში, დადგენილი საკანონმდებლო პროცედურა ჩერდება. განხილვის დასრულების შემდეგ, ევროპული საბჭო, თანხმობის შემთხვევაში, პროექტს, პროცედურის შეჩერებიდან 4 თვის განმავლობაში, უბრუნებს საბჭოს, რითაც დადგენილი საკანონმდებლო პროცედურის შეჩერება დასრულდება.

თუ თანხმობა ვერ მიიღწევა, მაგრამ სულ მცირე კავშირის ცხრა წევრ სახელმწიფოს, არსებული დირექტივის (Richtlinie) პროექტის საფუძველზე, გაძლიერებული თანამშრომლობის დაფუძნება სურს, მაშინ ისინი ამის შესახებ იგივე ვადაში აცნობებენ ევროპულ პარლამენტს, საბჭოსა და კომისიას. ამ შემთხვევაში, ევროკავშირის ხელშეკრულების მე-20 მუხლის მე-2 აბზაცისა და ამ ხელშეკრულების 329-ე მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად, გაძლიერებული თანამშრომლობის უფლებამოსილება ითვლება მინიჭებულად და გამოიყენება დებულებები გაძლიერებული თანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 84

(დანაშაულის პრევენციის ხელშეწყობა)

ევროპულ პარლამენტსა და საბჭოს შეუძლია, დადგენილი საკანონმდებლო პროცედურების შესაბამისად, წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი დებულებების ნებისმიერი ჰარმონიზაციის პროცესის მიუხედავად, დაადგინონ შესაბამისი ღონისძიებები, რათა მოხდეს წევრი სახელმწიფოებისათვის დანაშაულის პრევენციის სფეროში ხელშეწყობა და დახმარება.

მუხლი 85 (ევროკავშირის ხელშეკრულების ყოფილი 31-ე მუხლი)

(ევროიუსტი)

(1) ევროიუსტს აქვს დავალება, ხელი შეუწყოს და გააძლიეროს კოორდინაცია და თანამშრომლობა იმ ნაციონალურ უწყებებს შორის, რომლებიც უფლებამოსილი არიან, განახორციელონ მოკვლევა და დევნა მძიმე დანაშაულების მიმართ, თუკი აღნიშნული ეხება ორ ან მეტ წევრ სახელმწიფოს ან დევნის განხორციელება აუცილებელია საერთო საფუძველზე. ამ დროს, ევროიუსტი ეფუძნება წევრი სახელმწიფოების ორგანოებისა და ევროპოლის მიერ ჩატარებელ ოპერაციებს და მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციებს.

ამ მიზნით, ევროპული პარლამენტი და საბჭო, დადგენილი საკანონმდებლო პროცედურის შესაბამისად, რეგულაციების (Verordnungen) მეშვეობით, ადგენს ევროიუსტის სტრუქტურას, მუშაობის წესს, საქმიანობის სფეროსა და ამოცანებს. ამ ამოცანებს შესაძლებელია, მიეკუთვნოს:

(a) სისხლისსამართლებრივი გამოძიების ღონისძიებების დაწყება, ასევე, რეკომენდაციები, დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების დაწყებასთან, რომლებიც

გატარებული იქნება კომპეტენტური ნაციონალური უწყებების მიერ, განსაკუთრებით იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომლებიც კავშირის ფინანსური ინტერესების დაზიანებას ეხება;

b) „a“ ქვეპუნქტში დასახელებული გამოძიებისა და დევნის ღონისძიებების კოორდინაცია;

c) იუსტიციური თანამშრომლობის გაძლიერება, მათ შორის, ასევე, კომპეტენციებთან დაკავშირებული კონფლიქტების მოგვარებისა და ევროპულ იუსტიციურ ქსელთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით.

გარდა ამისა, ამ რეგულაციებით (Verordnungen) დგინდება ცალკეული საკითხები ევროპული პარლამენტისა და ნაციონალური პარლამენტების ევროიუსტის საქმიანობის შეფასებაში მონაწილეობისათვის.

(2) სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების ფარგლებში, რაც ხორციელდება პირველი აბზაცის მიხედვით, ფორმალური პროცესუალური მოქმედებები, 86-ე მუხლის დაურღვევლად, ტარდება ცალკეული სახელმწიფოების უფლებამოსილი თანამდებობის პირების მეშვეობით.

მუხლი 86

(ევროპული პროკურატურა)

(1) იმ დანაშაულების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც ეხება კავშირის ფინანსური ინტერესებისათვის ზიანის მიყენებას, საბჭოს შეუძლია, განსაკუთრებული საკანონმდებლო პროცედურების შესაბამისად, რეგულაციების (Verordnungen) მეშვეობით, ევროიუსტის საფუძველზე, შექმნას ევროპული პროკურატურა. გადაწყვეტილებას საბჭო იღებს ერთხმად, ევროპული პარლამენტის თანხმობის შემდეგ.

იმ შემთხვევაში, თუკი გადაწყვეტილება ერთხმად ვერ იქნება მიღებული, მინიმუმ ცხრა წევრი სახელმწიფოსაგან შემდგარ ჯგუფს შეუძლია, გააკეთოს განაცხადი, რომ ევროპული საბჭო დაკავდეს რეგულაციის (Verordnung) პროექტით. ამ შემთხვევაში, საბჭოში პროცესი ჩერდება. განხილვის შემდეგ, თანხმობის შემთხვევაში, ევროპული საბჭო, პროცესის შეჩერებიდან ოთხი თვის განმავლობაში, უბრუნებს პროექტს საბჭოს მისაღებად.

თუ თანხმობა ვერ იქნა მიღწეული, მაგრამ მინიმუმ ცხრა წევრ სახელმწიფოს სურს არსებული რეგულაციის (Verordnung) პროექტის საფუძველზე გაძლიერებული თანამშრომლობის დაფუძნება, მაშინ ეს წევრი სახელმწიფოები ამის შესახებ იგივე ვადაში აცნობებენ ევროპულ პარლამენტს, საბჭოსა და კომისიას.

ამ შემთხვევაში, ევროკავშირის ხელშეკრულების მე-20 მუხლის მე-2 აბზაცისა და ამ ხელშეკრულების 329-ე მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად, გაძლიერებული თანამშრომლობის უფლებამოსილება ითვლება მინიჭებულად და გამოიყენება დებულებები გაძლიერებული თანამშრომლობის შესახებ.

(2) ევროპული პროკურატურა, აუცილებლობის შემთხვევაში ევროპოლთან ერთობლივად, უფლებამოსილია, განახორციელოს სისხლისსამართლებრივი გამოძიება და დევნა, ასევე, ბრალდების წაყენება იმ პირების მიმართ, რომლებმაც, როგორც ამსრულებელმა ან თანამონაწილემ, კავშირის ფინანსური ინტერესების საზიანოდ ჩაიდინეს დანაშაულები, რომლებიც პირველ აბზაცში მითითებული რეგულაციით (Verordnung) არის განსაზღვრული. ამ დანაშაულების შემთხვევაში, ევროპული პროკურატურა პროკურატურის ამოცანებს ახორციელებს წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილი სასამართლოების წინაშე.

(3) პირველ აბზაცში მითითებული რეგულაცია (Verordnung) ადგენს ევროპული პროკურატურის წესდებას, მისი ამოცანების შესასრულებლად საჭირო ცალკეულ საკითხებს, ასევე, საქმიანობისთვის მოქმედ საპროცესო დებულებებს, ისევე, როგორც მტკიცებულებათა დასაშვებობისა და ევროპული პროკურატურის მიერ თავისი ამოცანების შესრულებისას განხორციელებული პროცესუალური მოქმედებების სასამართლო კონტროლის შესახებ წესებს.

(4) იმავდროულად, ევროპულ საბჭოს შეუძლია, რეგულაციის (Verordnung) მიღებით ან მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების (Beschluss) გამოცემით, შეცვალოს პირველი აბზაცი, ტრანსნაციონალური ხასიათის მძიმე დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად ევროპული პროკურატურის უფლებამოსილებების გაფართოების მიზნით, და, შესაბამისად, მე-2 აბზაცი, იმ პირებთან მიმართებაში, რომლებმაც, როგორც ამსრულებელმა ან თანამონაწილემ, ჩაიდინეს მძიმე დანაშაულები, რომელთაც შემხებლობა აქვთ ერთზე მეტ წევრ სახელმწიფოსთან. ამ გადაწყვეტილებას ევროპული საბჭო იღებს ერთხმად, ევროპული პარლამენტის თანხმობისა და კომიისიის მოსმენის შემდეგ.

ნაწილი 5
პოლიციური თანამშრომლობა

მუხლი 87 (ევროკავშირის ხელშეკრულების ყოფილი 30-ე მუხლი)

(პოლიციური თანაშრომლობის განვითარება)

(1) კავშირი ავითარებს პოლიციურ თანამშრომლობას წევრი სახელმწიფოების ყველა კომპეტენტურ უწყებებს შორის, მათ შორის, პოლიციის, საბაჟო და სხვა, დანაშაულთა აღკვეთის ან გახსნის, ისევე, როგორც შესაბამის გამოძიებებზე_სპეციალიზირებულ სისხლისსამართლებრივ დევნის ორგანოებს შორის.

(2) პირველი აბზაცის მიზნებისათვის, ევროპის პარლამენტსა და საბჭოს, დადგენილი საკანონმდებლო პროცედურების შესაბამისად, შეუძლია, გაატაროს ღონისძიებები, რომლებიც შეეხება შემდეგს:

a) საქმიანი ინფორმაციების მოძიება, შენახვა, დამუშავება, ანალიზი და გაცვლა;

b) პერსონალისათვის განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დროს ხელშეწყობა, ასევე, ურთიერთთანამშრომლობა, დაკავშირებული პერსონალის გაცვლასთან, აღჭურვილობასთან და კრიმინალ-ტექნიკურ კვლევასთან;

c) ერთობლივი საგამოძიებო ტექნიკები ორგანიზებული დამნაშავეობის მძიმე ფორმების გამოვლენის მიზნით.

(3) საბჭოს, განსაკუთრებული საკანონმდებლო პროცედურის შესაბამისად, შეუძლია, გაატაროს ღონისძიებები, რომლებიც აღნიშნულ მუხლში დასახელებულ უწყებებს შორის ოპერატიულ ურთიერთთანამშრომლობას უკავშირდება. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ერთხმად, ევროპული პარლამენტის მოსმენის შემდეგ.

იმ შემთხვევაში, თუკი გადაწყვეტილება ერთხმად ვერ იქნა მიღებული, მინიმუმ ცხრა წევრი სახელმწიფოსგან შემდგარ ჯგუფს შეუძლია, გააკეთოს განაცხადი, რომ ევროპული საბჭო დაკავდეს ღონისძიებათა პროექტით. ამ შემთხვევაში, საბჭოში პროცესი შეჩერდება. განხილვის შემდეგ, ევროპული საბჭო, თანხმობის შემთხვევაში, პროცესის შეჩერებიდან ოთხი თვის განმავლობაში, უბრუნებს პროექტს საბჭოს მისაღებად.

თუ თანხმობა ვერ იქნა მიღწეული, მაგრამ მინიმუმ ცხრა წევრ სახელმწიფოს, არსებული ღონისძიებების პროექტის საფუძველზე, გაძლიერებული თანამშრომლობის დაფუძნება სურს, მაშინ ეს წევრი სახელმწიფოები ამის შესახებ იგივე ვადაში აცნობებენ ევროპულ პარლამენტს, საბჭოსა და კომისიას. ამ შემთხვევაში, ევროკავშირის ხელშეკრულების მე-20 მუხლის მე-2 აბზაცისა და ამ ხელშეკრულების 329-ე მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად, გაძლიერებული თანამშრომლობის უფლებამოსილება ითვლება მინიჭებულად და გამოიყენება დებულებები გაძლიერებული თანამშრომლობის შესახებ.

განსაკუთრებული პროცედურები, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2 და მე-3 აბზაცებში, არ მოქმედებს სამართლებრივი აქტების მიმართ, რომლებიც ასახავენ „შენგენის მფლობელობის“ ოქმის შემდგომ განვითარებას[1].

მუხლი 88 (ევროკავშირის ხელშეკრულების ყოფილი 30-ე მუხლი)

(ევროპოლის საქმიანობა)

(1) ევროპოლს აქვს ამოცანა, მხარი დაუჭიროს და გააძლიეროს წევრი სახელმწიფოების პოლიციური უწყებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი სხვა უწყებების საქმიანობა, ასევე მათი ურთიერთთანამშრომლობა ორ ან მეტ წევრ სახელმწიფოსთან შემხებლობაში მყოფი მძიმე დანაშაულების, ტერორიზმისა და დამნაშავეობის იმ ფორმების აღკვეთისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლისას, რომლებიც საერთო ინტერესს ხელყოფენ და კავშირის პოლიტიკის საგანია.

(2) ევროპული პარლამენტი და საბჭო, დადგენილი საკანონმდებლო პროცედურების შესაბამისად, რეგულაციების (Verordnungen) მიღებით, ადგენენ ევროპოლის სტრუქტურას, მუშაობის წესს, საქმიანობის სფეროსა და ამოცანებს. აღნიშნულ ამოცანებს შეიძლება მიეკუთვნოს შემდეგი:

ა) ინფორმაციების მოძიება, შენახვა, დამუშავება, ანალიზი და გაცვლა, რომლებიც მას განსაკუთრებით წევრი სახელმწიფოების უწყებების ან მესამე ქვეყნების, შესაბამისად, კავშირის ფარგლებს გარეთ არსებული სამსახურების მიერ გადაეცემა;

ბ) მოკვლევებისა და ოპერატიული ღონისძიებების კოორდინაცია, ორგანიზაცია და განხორციელება, რომლებიც წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ უწყებებთან ერთობლივად ან ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, ევროიუსტთან კავშირში ხორციელდება.

გარდა ამისა, ამ რეგულაციების (Verordnungen) მეშვეობით, ევროპული პარლამენტის მიერ ხდება ევროპოლის საქმიანობების კონტროლისათვის ცალკეული საკითხების დადგენა. აღნიშნულ კონტროლში მონაწილეობას იღებენ ნაციონალური პარლამენტები.

(3) ევროპოლს უფლება აქვს, ოპერატიული ღონისძიებები მხოლოდ იმ წევრი სახელმწიფოს ან წევრი სახელმწიფოების უწყებებთან კავშირში და შეთანხმებით გაატაროს, რომლის სუვერენულ ტერიტორიასთანაც შემხებლობაშია. იძულებითი ღონისძიებების გამოყენება წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ ცალკეული წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური უწყებების პრეროგატივას.

---

[1] „შენგენის მფლობელობაში“ იგულისხმება შენგენის შეთანხმებებისა და მათი შემდგომი სრულყოფის მიზნით მიღებული სამართლებრივი აქტების ერთობლიობა.

მუხლი 89 (ევროკავშირის ხელშეკრულების ყოფილი 32-ე მუხლი)

სხვა სახელმწიფოში მოქმედება

საბჭო, განსაკუთრებული საკანონმდებლო პროცედურის შესაბამისად, ადგენს, თუ რა პირობებსა და საზღვრებში შეუძლიათ წევრი სახელმწიფოების 82-ე და 87-ე მუხლებში დასახელებულ კომპეტენტურ უწყებებს სხვა წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე მის უწყებებთან კავშირში და შეთანხმებით განახორციელონ საქმიანობა. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ერთხმად, ევროპული პარლამენტის მიერ მოსმენის შემდეგ.

მეექვსე ნაწილი
ინსტიტუციური განსაზღვრებები და ფინანსური დებულებები

სათაური I
დებულებები ორგანოების შესახებ

თავი 2
კავშირის სამართლებრივი აქტები, მიღების პროცედურა და სხვა დებულებები

მონაკვეთი 1
კავშირის სამართლებრივი აქტები

მუხლი 288 (ევროგაერთიანების ხელშეკრულების ყოფილი 249-ე მუხლი)

მოქმედების ფორმები

–

კავშირის უფლებამოსილებების განსახორციელებლად ორგანოები იღებენ რეგულაციებს (Verordnungen), დირექტივებს (Richtlinien), გადაწყვეტილებებს (Beschlüsse), რეკომენდაციებსა (Empfehlungen) და დასკვნებს (Stellungsnahmen).

დადგენილებას აქვს საყოველთაო მოქმედების ძალა. ის არის ყველა ნაწილში სავალდებულო და მოქმედებს უშუალოდ ყველა წევრ სახელმწიფოში.

დირექტივა არის იმ წევრი სახელმწიფოსათვის, რომლისკენაც იგი არის მიმართული, მისაღწევ მიზანთან მიმართებაში სავალდებულო, მაგრამ იმპლემენტაციის ფორმისა და საშუალების არჩევანი აქვთ შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს.

გადაწყვეტილებების ყველა ნაწილი სავალდებულოა. თუ ისინი განსაზღვრული ადრესატებისკენ არის მიმართული, მაშინ ისინი მხოლოდ მათთვის არის სავალდებულო.

რეკომენდაციები და დასკვნები ატარებენ არასავალდებულო ხასიათს.

მუხლი 289

ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურა

(1) ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურა გამოიხატება ევროპული პარლამენტისა და საბჭოს მიერ დადგენილების, დირექტივის ან გადაწყვეტილების ერთობლივად მიღებაში,

რაც ხორციელდება კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე. ეს პროცედურა დადგენილია 294-ე მუხლით.

(2) განსაზღვრულ, ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დადგენილების, დირექტივის ან გადაწყვეტილების მიღება ხდება განსაკუთრებული საკანონმდებლო პროცედურით, რომელსაც ახორციელდებს ევროპული პარლამენტი საბჭოს მონაწილეობით ან საბჭო ევროპული პარლამენტის მონაწილეობით.

(3) სამართლებრივი აქტები, რომლებიც საკანონმდებლო პროცედურის შესაბამისად მიიღება, წარმოადგენენ საკანონმდებლო აქტებს.

(4) განსაზღვრულ, ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაძლებელია, საკანონმდებლო აქტები გამოცემული იქნენ წევრი სახელმწიფოების ჯგუფის ან ევროპის პარლამენტის ინიციატივით, ევროპული ცენტრალური ბანკის რეკომენდაციის ან ევროპული სასამართლოს ან ევროპული საინვესტიციო ბანკის განაცხადის საფუძველზე.

მეექვსე ნაწილი
ინსტიტუციური განსაზღვრებები და ფინანსური დებულებები

სათაური II
ფინანსური დებულებები

თავი 6
თაღლითობასთან ბრძოლა

მუხლი 325 (ევროგაერთიანების ხელშეკრულების ყოფილი 280-ე მუხლი)

თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლა

(1) კავშირი და წევრი სახელმწიფოები ებრძვიან თაღლითობებსა და კავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებებით, რომლებიც დამაშინებელია და წევრ სახელმწიფოებში, ისევე, როგორც კავშირის ორგანოებში, უწყებებსა სხვა სამსახურებში ეფექტურ დაცვას უზრუნველყოფენ.

(2) თაღლითური ქმედებების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც მიმართულია კავშირის ფინანსური ინტერესების ხელყოფისაკენ, წევრი სახელმწიფოები იყენებენ იგივე ღონისძიებებს, რომლებსაც ისინი იყენებენ თაღლითური ქმედებების მიმართ საბრძოლველად, რომლებიც ხელყოფენ საკუთარ ფინანსურ ინტერესებს.

(3) წევრი სახელმწიფოები, ხელშეკრულების სხვა დებულებების დაურღვევლად, კოორდინაციას უწევენ საკუთარ საქმიანობას, თაღლითური ქმედებებისაგან კავშირის ფინანსური ინტერსების დაცვის მიზნით. ისინი ამ მიზნისათვის ზრუნავენ კომისიასთან ერთად, რომ მჭიდრო და რეგულარული თანამშრომლობა განხორციელდეს უფლებამოსილ უწყებებს შორის.

(4) წევრ სახელმწიფოებში, ისევე, როგორც კავშირის ორგანოებში, დაწესებულებებსა და სხვა ადგილებში დაცვის ეფექტურად და თანაბრად უზრუნველსაყოფად, ევროპული პარლამენტი და საბჭო, დადგენილი საკანონმდებლო პროცედურის შესაბამისად, კონტროლის პალატის მოსმენის შემდეგ, იღებს აუცილებელ ღონისძიებებს კავშირის ფინანსური ინტერ-

ესების წინააღმდეგ მიმართული თაღლითური ქმედებების აღკვეთისა და მასთან ბრძოლის მიზნით.

(5) კომისია, წევრ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გზით, ევროპულ პარლამენტსა და საბჭოს ყოველწლიურად წარუდგენს ანგარიშს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ამ მუხლის განხორციელებისათვის იქნა მიღებული.

სათაური III
გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობა

მუხლი 329 (ევროკავშირის ხელშეკრულების ყოფილი 27ა-დან 27ე-მდე, 40-დან 40ბ-მდე და 43-დან 45-მდე მუხლები და ევროგაერთიანების ხელშეკრულების ყოფილი 11-დან 11ა-მდე მუხლები)

კომისიისათვის განაცხადით მიმართვა

(1) წევრი სახელმწიფოები, რომელთაც ხელშეკრულებებში მოცემულ რომელიმე სფეროში – იმ სფეროების გამოკლებით, რომლისთვისაც მხოლოდ კავშირია კომპეტენტური, და, ასევე, ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გარდა – სურთ დააფუძნონ ერთმანეთთან გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობა, უგზავნიან განაცხადს კომისიას, რომელშიც განსაზღვრავენ გამოყენების სფეროსა და მიზნებს, რომელთა მიღწევა დასახულია გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობით. კომისიას შეუძლია საბჭოს წარუდგინოს შესაბამისი რჩევა. თუკი კომისია არ წარადგენს რჩევას, მაშინ იგი ამის მიზეზს აცნობებს დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოებს.

გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის დაწყების უფლებამოსილება, პირველი ქვეაბზაცის თანახმად, გაიცემა საბჭოს მიერ კომისიის რეკომენდაციისა და ევროპული პარლამენტის თანხმობის შესაბამისად.

(2) წევრი სახელმწიფოების განაცხადი, რომლებსაც ერთმანეთთან ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის დაფუძნება სურთ, წარედგინება საბჭოს. განაცხადი გადაეცემა კავშირის უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში, რომელიც, გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის შეკავშირების მიზნით, კავშირის ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან მიმართებაში აკეთებს შეფასებას. ასევე, იგი გადაეცემა კომისიას, რომელიც, კავშირის პოლიტიკასთან დაკავშირებული გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის შეკავშირების მიზნით, სხვა სფეროებში აკეთებს შეფასებას. გარდა ამისა, განაცხადი ევროპულ პარლამენტს გადაეცემა გაცნობის მიზნით.

გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის დაწყების უფლებამოსილება გაიცემა საბჭოს მიერ გადაწყვეტილების ფორმით, რომელიც ერთხმად მიიღება.

III ძირითადი უფლებები და სამართლის ფუნდამენტური პრინციპები

1. შესავალი

ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია[1] წარმოადგენს წევრ სახელმწიფოთა საერთო ღირებულებების ერთობლიობას. მასში თავმოყრილია სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებები.

1999 წლის ივნისს კიოლნში გამართულ ევროპული საბჭოს სხდომაზე გადაწყდა, რომ ერთ ქარტიაში ყოფილიყო თავმოყრილი ევროკავშირის დონეზე მოქმედი ძირითადი უფლებები. მისი ჩამოყალიბება კი, უნდა მომხდარიყო *ადამიანის უფლებათა* 1950 წლის *ევროპული კონვენციის* ზოგადი პრინციპების შესაბამისად, რომელიც გამოხატავს წევრ სახელმწიფოთა საერთო კონსტიტუციურ თვალსაზრისებს, ხოლო ეკონომიკური და სოციალური უფლებები უნდა ჩამოყალიბებულიყო *ევროპული სოციალური ქარტიისა* და *დასაქმებულთა ძირითადი სოციალური უფლებების ევროგაერთიანების ქარტიის*[2] მიხედვით. ქარტიას, ასევე უნდა გაეთვალისწინებინა ის ძირითადი თვალსაზრისები, რომლებიც გამომდინარეობდა ევროპული გაერთიანებების ლუქსემბურგის სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა სტრასბურგის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან.

ქარტია შეიმუშავა ევროპულმა კონვენტმა (სამუშაო ჯგუფმა), რომელსაც თავმჯდომარეობდა გერმანიის ყოფილი პრეზიდენტი *რომან ჰერცოგი*. იგი შედგებოდა წევრი სახელმწიფოებისა და მთავრობების 15, ევროკომისიის 1, ევროპარლამენტის 16 და ნაციონალური პარლამენტების 30 წარმომადგენლისაგან, მასში, ასევე მონაწილეობდნენ ევროპული გაერთიანებების სასამარლოსა და ევროსაბჭოს 2-2 დამკვირვებელი (მათგან ერთი სტრასბურგის სასამართლოს წევრი იყო)[3].

ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია თარიღდება 2000 წლის 7 დეკემბერით. მას ევროპულმა საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი. ევროპარლამენტის, ევროპის კავშირის საბჭოსა და ევროკომისიის თავმჯდომარეების მიერ ამ აქტზე ხელმოწერა დაემთხვა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ნიცას სამთავრობო კონფერენციას. თავდაპირველად იგი წარმოადგენდა მხოლოდ პოლიტიკური ნების გამოხატულებას და არ ჰქონდა იურიდიულად სავალდებულო ძალა. 2007 წელს მოხდა მისი ხელახალი დეკლარირება.

2007 წლის 13 დეკემბერს ხელმოწერილი ლისაბონის ხელშეკრულება, რომელიც ამოქმედდა 2009 წლის 1 დეკემბერს, აღიარებს ძირითად უფლებათა ქარტიას, როგორც ევროპის კავშირის უშუალოდ მოქმედ სამართალს (იხ. ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლის პირველი აბზაცი). ქარტიის ტექსტი, ევროპის კონსტიტუციის ხელშეკრულების პროექტისგან განსხვავებით, რომელიც ვერ გახდა ევროპის კავშირის პრიმერული სამართლებრივი აქტი, ფორმალურად არ არის ლისაბონის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი. ევროპის კონსტიტუციის ხელშეკრულების მე-2 ნაწილი, როგორც ეს კონსტიტუციებისათვის არის დამახასიათებელი, შეიცავდა ძირითად უფლებათა ქარტიას[4]. ევროპის კონსტიტუციის პროექტის ბაზაზე შექმნილ ლისაბონის ხელშეკრულებას რომ არ მიეღო კონსტიტუციის ფორმა და, ამით, ევროპის კონსტიტუციის მოწინააღმდეგეები არ დაეფრთხო და ხელშეკრულების ამოქმედებას საფრთხე არ შექმნოდა, ამიტომ მის ტექსტში საერთოდ

---

[1] Charter of Fundamental Rights of the European Union. Charta der Grundrechte der Europäischen Union.

[2] Gemeinschaftscharta der Sozialen Grundrechte der Arbeitnehmer, 9.12. 1989. იხ. KOM (89) 248.

[3] შეად. *Herdegen*, Europarecht, მე-10 გამოცემა, 2008, გვ. 157.

[4] შეად. *Streinz/Ohler/Herrmann*, Verfassungsvertrag, 2005, გვ. 78.

არ იქნა გათვალისწინებული ძირითად უფლებათა ნაწილი. მიუხედავად ამისა, ევროპის კავშირის ლისაბონის ხელშეკრულების მე-6 მუხლის 1-ლი აბზაცის არაორაზროვანი მითითების ძალით, მან შეიძინა უშუალო მოქმედების იურიდიული ძალა. სპეციალური ოქმის მიხედვით, ქარტიის გამოყენებასთან დაკავშირებით დათქმები გაკეთდა გაერთიანებული სამეფოსა და პოლონეთის მიერ, რომ ეს ეს აქტი მათთვის სავალდებულო არ არის[1].

ევროპული სისხლის სამართლის ძირითად უფლებათა განმსაზღვრელ ამ სამართლებრივ აქტს აქვს დიდი მნიშვნელობა, რის გამოც ქართულ ენაზე ვაქცევნებთ სისხლის სამართლისათვის განსაკუთებით მნიშვნელოვან მუხლებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია წარმოადგენს ევროპის კავშირის „მნიშვნელოვან საერთაშორისო-სამართლებრივ დამატებით კონსტიტუციას"[2]. ევროპული გაერთიანების სასამართლომ თავის 2/94 დასკვნაში, მაშინდელი ინტეგრაციის დონიდან გამომდინარე, უარყო ევროგაერთიანების კომპეტენცია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიერთების თაობაზე.[3] მოგვიანებით შეიცვალა სამართლებრივი მდგომარეობა. ევროკავშირის 2009 წლის 1 დეკემბრამდე მოქმედი ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, ევროკავშირი *პატივს სცემდა* ძირითად უფლებებს, რომლებიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით. ევროკავშირის ლისაბონის ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-2 აბზაცით კი, ევროკავშირისათვის გაიზარდა ამ კონვენციის სამართლებრივი მნიშვნელობა, რომლის მიხედვით, ევროკავშირი *უერთდება* ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.

თვით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 59-ე მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, ეს კონვენცია ღია იყო ხელმოსაწერად მხოლოდ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. კონვენციის მე-14 დამატებითი ოქმის მე-17 მუხლით შეიცვალა კონვენციის 59-ე მუხლი და დაემატა მას შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი: „ევროპის კავშირს შეუძლია, შეუერთდეს ამ კონვენციას".

ქარტია შედგება პრეამბულისა და შვიდი სათაურის ქვეშ განაწილებული 54 მუხლისაგან:

I სათაური: ადამიანის ღირსება (1-ლი-მე-5 მუხლები)

II სათაური: თავისუფლებები (მე-6-მე-19 მუხლები)

III სათაური: თანასწორობა (მე-20-26-ე მუხლები)

IV სათაური: სოლიდარობა (27-ე-38-ე მუხლები)

V სათაური: სამოქალაქო უფლებები (39-ე-46-ე მუხლები)

VI სათაური: იუსტიციური უფლებები (47-ე-50-ე მუხლები)

VII სათაური: ზოგადი დებულებები ქარტიის ინტერპრეტაციისა და გამოყენების თაობაზე (51-ე-54-ე მუხლები)

ქარტაში მოცემული უფლებები ზოგადად ყველა ადამიანის მიმართ მოქმედებს. ამასთან, მასში მოხსენიებულია პირთა გარკვეული ჯგუფები (ბავშვები; მოხუცები; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები), რომლებიც განსაკუთრებული დაცვის ქვეშ იმყოფებიან. კლასიკურ უფლებებთან (სიცოცხლის უფლება; აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლება; ეფექტური სასამართლო გასაჩივრების უფლება და სხვ.) ერთად, ქარტიით გარანტირებულია ისეთი უფლებები (მონაცემთა დაცვა; მომხმარებელთა უფლებების დაცვა; ბიოეთიკა და სხვ.),

---

[1] იხ. *Streinz*, Europarecht, მე-8 გამოცემა, 2008, გვ. 24.

[2] ასეთი შეფასება: „wesentliche völkerrechtliche Nebenverfassung der Europäischen Union" იხ. წიგნში: *Streinz/Ohler/Herrmann*, Der Vertrag von Lissabon zur Reform der EU, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 132.

[3] იხ. *Streinz/Ohler/Herrmann*, Der Vertrag von Lissabon zur Reform der EU, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 132.

რომლებიც არ არის გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა 1950 წლის ევროპული კონვენციით.[1]

ქარტიის ზოგად დებულებებში მითითებულია მის ურთიერთობაზე ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან. იგი მოქმედებს კავშირის ორგანოების, უწყებებისა და სხვა სამსახურებისათვის სუბსიდიარულობის პრინციპის დაცვით. მისი პრინციპები გამოიყენება, ასევე წევრი სახელმწიფოების ცენტრალური, რეგიონალური და ლოკალური ორგანოების მიერ მხოლოდ კავშირის სამართლის განხორციელების დროს. ლუქსემბურგის ევროპულმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში[2] მიუთითა, რომ წევრი სახელმწიფოები გაერთიანების სამართლის ფარგლებში ვალდებული არიან, დაიცვან ძირითადი უფლებები. ძირითად უფლებათა ქარტიამ, ასევე არაერთგზის ზეგავლენა მოახდინა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, მიუხედავად იმისა, რომ იგი სამართლებრივად ჯერ კიდევ არ იყო სავალდებულო[3].

ქარტიის ურთიერთობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან მოცემულია ძირითად უფლებათა ქარტიის 52-ე და 53-ე მუხლებში. ორივე ამ მუხლის მიზანია, კონფლიქტური სიტუაციების მოწესრიგება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 53-ე მუხლი ეძღვნება წევრი სახელმწიფოების შიდა სამართლითა და მათ მიერ დადებული საერთაშორისო შეთანხმებებით აღიარებულ უფლებათა უზრუნველყოფას.

თუ ქარტია შეიცავს უფლებებს, რომლებიც შეესებამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, მათ აქვთ იგივე მნიშვნელობა და ძალა, როგორიც მათ კონვენციაში ენიჭებათ. ამასთან, კავშირის სამართალმა შესაძლებელია, უფლების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი გაითვალისწინოს.

ქარტიის არცერთი დებულება არ უნდა განიმარტოს, როგორც ადამიანის იმ უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდავი ან დამრღვევი, რომელთა მოქმედების ფარგლები აღიარებულია კავშირის სამართლითა და საერთაშორისო სამართლით, ასევე საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა ხელშემკვრელ მხარეს წარმოადგენს კავშირი ან ყველა წევრი სახელმწიფო, მათ შორის, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციით, ასევე წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციებით.

ამასთან დაკავშირებით მოქმედებს ე.წ. სამი ხელსაყრელობის პრინციპი (drei Günstigkeitsprinzipien): ევროკავშირის ქარტიით გარანტირებული უფლებები, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებები და ნაციონალური კონსტიტუციების ძირითადი უფლებები. ამასთან, ხელსაყრელობის პრივილეგია ევროკონვენციასთან ერთად მხოლოდ იმ დამატებით ოქმებს შეეხება, რომლებიც ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ არის რატიფიცირებული. ასეთად ლიტერატურაში დასახელებულია 1-ლი და მე-6 დამატებითი ოქმები, ხოლო მე-4 და მე-7 დამატებითი ოქმები კი, არა.[4]

ამით ევროპის კავშირის მოქალაქეებისათვის შეიქმნა ძირითად უფლებათა დაცვის სამკუთხედი: ნაციონალური სამართლებრივი სისტემა, საკონსტიტუციო სასამართლოების ჩათვლით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და ევროკავშირის სასამართლო.

---

[1] ზოგიერთი ქვეყნის ნაციონალური ნორმების გათვალისწინებით, ქარტიაში ხაზგასმულია არა ქორწინებაზე ქალსა და მამაკაცს შორის, არამედ ზოგადად საუბარია ქორწინებაზე და აღიარებულია ოჯახის შექმნის სხვა ფორმებიც.

[2] იხ., მაგალითად, საქმე C 292/97.

[3] ევროპული სასამართლო თავის 2006 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე C 540/03 პირველად გარკვევით დაეყრდნო ქარტიას და გაუსვა ხაზი მის მნიშვნელობას.

[4] იხ. *Grabenwarter:* Europäische Menschenrechtskonvention, მე-3 გამოცემა, 2008, გვ. 32.

თუ მანამდე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილეები იყვნენ წევრი სახელმწიფოები და მხოლოდ მათ მიერ კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევის გამო შეიძლებოდა სტრასბურგის სასამართლოსათვის მიმართვა, ლისაბონის ხელშეკრულებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 პროტოკოლის ამოქმედების შემდეგ, ევროკავშირი ხდება რა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე, იხსნება გზა თვით ევროკავშირის სამართლის გამოყენების პროცესში და მისი სუპრანაციონალური ორგანოების მიერ კონვენციური უფლებების დარღვევის შემთხვევაში სტრასბურგის სასამართლოსაკენ. სტრასბურგისა და ლუქსემბურგის ევროპული სასამართლოების მართლმსაჯულება კი, ვფიქრობთ, ამ ახალი სამართლებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, იქნება არა კონფლიქტური, არამედ ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებათა ჰარმონიულ დაცვას ევროპაში.

2. ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია[1]

(ამონარიდი)

პრეამბულა

ევროპის ხალხებს გადაწყვეტილი აქვთ, საერთო ღირებულებების საფუძველზე გაიზიარონ მშვიდობიანი მომავალი, რამდენადაც ისინი სულ უფრო მჭიდრო გაერთიანებად კავშირდებიან.

მისი რელიგიურ-სულიერი და ადათ-ჩვეულებითი მემკვიდრეობის გაცნობიერებით, კავშირი ეფუძნება ადამიანის ღირსების, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის განუყოფელ და უნივერსალურ ღირებულებებს. იგი ემყარება დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს. იგი ადამიანს აყენებს თავისი საქმიანობის ცენტრში, რამდენადაც აფუძნებს კავშირის მოქალაქეობას და თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცეს.

კავშირს, ევროპის ხალხების კულტურებისა და ტრადიციების მრავალფეროვნების, ასევე, წევრი სახელმწიფოების ეროვნული თვითმყოფადობისა და ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე მათი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანიზაციის გათვალისწინებით, წვლილი შეაქვს ამ საერთო ღირებულებების შენარჩუნებასა და განვითარებაში. იგი მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ჰარმონიულ და სტაბილურ განვითარებას და უზრუნველყოფს პირთა, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას, ასევე ამა თუ იმ ორგანიზაციის დაფუძნების თავისუფლებას.

ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია, საზოგადოების შემდგომი განვითარების, სოციალური წინსვლისა და სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარებების თვალსაზრისით, გაძლიერდეს ძირითად უფლებათა დაცვა, რამდენადაც ისინი ქარტიაში უფრო ნათლად წარმოჩინდება.

ეს ქარტია, გაერთიანებისა და კავშირის კომპეტენციებისა და ამოცანების და სუბსიდიარულობის პრინციპის გათვალისწინებით, აძლიერებს უფლებებს, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, წევრი სახელმწიფოების ერთიანი კონსტიტუციური ტრადიციებიდან და საერთო

[1] Charter of Fundamental Rights of the European Union. Charta der Grundrechte der Europäischen Union.

საერთაშორისო ვალდებულებებიდან, ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულებიდან და გაერთიანების ხელშეკრულებებიდან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციიდან, გაერთიანებისა და ევროსაბჭოს მიერ მიღებული სოციალური ქარტიებიდან, ისევე, როგორც ევროპული გაერთიანებების სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტებიდან გამომდინარეობს.

თავი I
ადამიანის ღირსება

მუხლი 1 ადამიანის ღირსება

ადამიანის ღირსება ხელშეუხებელია. ის დაცული და გარანტირებულია.

მუხლი 2 სიცოცხლის უფლება

(1) ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება.
(2) არავის შეიძლება მიესაჯოს სიკვდილით დასჯა ან მოხდეს მისი აღსრულება.

მუხლი 3 სხეულებრივი და სულიერი მთლიანობის ხელშეუხებლობის უფლება

(1) ყოველ ადამიანს აქვს სხეულებრივი და სულიერი მთლიანობის ხელშეუხებლობის უფლება.
(2) მედიცინისა და ბიოლოგიის სფეროებში ყურადღება უნდა მიექცეს განსაკუთრებით შემდეგს:
a) უნდა არსებობდეს პირის თავისუფალი თანხმობა, მას შემდეგ, რაც მას წინასწარ განემარტება კანონით დადგენილი ცალკეული საკითხები;
b) გენეტიკური მანიპულაციების პრაქტიკის აკრძალვა, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ იგი მიზნად ისახავს ადამიანთა სელექციას;
c) ადამიანის სხეულისა და ნაწილების გამოყენება მოგების მიღების მიზნით;
d) ადამიანის რეპროდუქციული კლონირების აკრძალვა.

მუხლი 4 წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის ან მოპყრობის აკრძალვა

არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების დამამცირებელ სასჯელს ან მოპყრობას.

მუხლი 5 მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა

(1) არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ჩაგვრაში.
(2) არავინ შეიძლება იქნეს იძულებული, შეასრულოს იძულებითი ან სავალდებულო სამუშაო.
(3) ადამიანით ვაჭრობა აკრძალულია.

თავი II
თავისუფლებები

მუხლი 6 თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

ყოველ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება.

მუხლი 7 პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა

ყოველ ადამიანს აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელს, ასევე მიმოწერას.

მუხლი 8 პირადი მონაცემების დაცვა

(1) ყოველ ადამიანს აქვს უფლება, დაცულ იქნეს ინფორმაცია მისი პირადი მონაცემების შესახებ.

(2) ნებადართულია, ეს მონაცემები დამუშავებულ იქნეს მხოლოდ კეთილსინდისიერად, დადგენილი მიზნებისათვის და იმ პირის თანხმობით, ვისაც იგი ეხება, ან კანონით განსაზღვრულ სხვა ლეგიტიმურ საფუძველზე. ყოველ პირს აქვს უფლება, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ მოპოვებულ მონაცემებზე და შეასწორებინოს ეს მონაცემები.

(3) ამ დებულებების დაცვას ზედამხედველობას უწევს დამოუკიდებელი სამსახური.

მუხლი 10 აზრის, სინდისა და რელიგიის თავისუფლება

(1) ყოველ ადამიანს აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას, ასევე, თავისუფლებას, გამოხატოს თავისი რელიგია თუ რწმენა ცალკე ან სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, რაც შეიძლება განხორციელდეს აღმსარებლობით, სწავლებით, ჩვეულებებით ან რიტუალების აღსრულების გზით.

(2) სამხედრო სამსახურის შესრულებაზე უარის თქმის უფლება, რაც განპირობებულია სინდისის თავისუფლებით, აღიარებულია ცალკეული სახელმწიფოების კანონებით, რომლებიც ამ უფლების განხორციელებას აწესრიგებენ.

მუხლი 11 აზრის გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის თავისუფლება

(1) ყოველ ადამიანს აქვს აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლება. ეს უფლება მოიცავს აზრის თავისუფლებას და ასევე, ინფორმაციისა და მოსაზრებების საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად, მიღებისა და გავრცელების თავისუფლებას.

(2) მედიის თავისუფლება და მისი პლურალიზმი დაცულია.

მუხლი 12 შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

(1) ყოველ ადამიანს აქვს უფლება, განსაკუთრებით, პოლიტიკურ, პროფკავშირულ და სამოქალაქო საზოგადოების სფეროში, ნებისმიერ დონეზე, თავისუფლად და მშვიდობიანად ერთობლივად შეიკრიბოს ან სხვებთან თავისუფლად გაერთიანდეს, რაც მოიცავს ყოველი პირის უფლებას, საკუთარი ინტერესების დასაცავად შექმნას პროფესიული კავშირები და გაერთიანდეს პროფესიულ კავშირებში.

(2) პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც მოქმედებენ კავშირის დონეზე, წვლილი შეაქვთ კავშირის მოქალაქეთა პოლიტიკური ნების გამოხატვაში.

მუხლი 19 პირის დაცვა დეპორტაციის, გაძევებისა და გადაცემის დროს

(1) კოლექტიური გაძევება დაუშვებელია.

(2) არავინ შეიძლება იმ სახელმწიფოში იქნეს დეპორტირებული ან გაძევებული, ან იმ სახელმწიფოსთვის გადაცემული, რომელშიც არსებობს მის მიმართ სიკვდილით დასჯის, წამების ან სხვაგვარი არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი სასჯელის გამოყენების ან მოპყრობის სერიოზული რისკი.

თავი III თანასწორობა

მუხლი 21 დისკრიმინაციის აკრძალვა

(1) აკრძალულია დისკრიმინაცია, განსაკუთრებით, სქესის, რასის, კანის ფერის, ეთნიკური და სოციალური წარმოშობის, გენეტიკური ნიშნების, ენის, რელიგიის ან მსოფლმხედველობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ნაციონალური უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონების, დაბადების, შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის გამო.

(2) ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულებისა და ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების გამოყენების სფეროში, ამ ხელშეკრულებების განსაკუთრებული დებულებების დაურღვევლად, აკრძალულია ყოველგვარი დისკრიმინაცია სახელმწიფოსადმი კუთვნილების ნიშნით.

თავი V
სამოქალაქო უფლებები

მუხლი 46 დიპლომატიური და საკონსულო დაცვა

კავშირის მოქალაქე მესამე ქვეყნის სუვერენულ ტერიტორიაზე, სადაც იმ წევრ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეც იგი არის, არ ჰყავს წარმომადგენლობა, სარგებლობს ყოველი წევრი სახელმწიფოს დიპლომატიური და საკონსულო დაწესებულებების დაცვით, იმავე პირობებით, როგორც ამ სახელმწიფოს მოქალაქე.

თავი VI
იუსტიციური უფლებები

მუხლი 47 ეფექტური გასაჩივრების უფლება და მიუკერძოებელი სასამართლო

ნებისმიერ პირს, რომლის მიმართაც დაირღვა კავშირის სამართლით გარანტირებული უფლებები ან თავისუფლებები, უფლება აქვს, ამ მუხლით გათვალისწინებული პირობებით, ისარგებლოს ეფექტური სასამართლო გასაჩივრების უფლებით.

ყოველ ადამიანს აქვს იმის უფლება, რომ მისი საქმე დამოუკიდებელმა, მიუკერძოებელმა

და მანამდე კანონის საფუძველზე შექმნილმა სამართლიანმა სასამართლომ განიხილოს საქვეყნოდ და გონივრულ ვადაში. ყოველ ადამიანს შეუძლია, მიიღოს კონსულტაცია, დაიცვას თავი და იყოლიოს წარმომადგენელი.

პირი, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი საშუალება, სარგებლობს დახმარებით პროცესის ხარჯების ასანაზღაურებლად, თუკი ეს დახმარება აუცილებელია, რათა გარანტირებულ იქნეს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.

მუხლი 48 უდანაშაულობის პრეზუმცია და დაცვის უფლებები

(1) ყოველი ბრალდებული პირი ითვლება უდანაშაულოდ მანამ, სანამ მისი ბრალეულობა სამართლებრივი ფორმის დაცვით მოპოვებული მტკიცებულებით არ დადასტურდება.

(2) ყოველ ბრალდებულ პირს გარანტირებული აქვს დაცვის უფლებების პატივისცემა.

მუხლი 49 კანონზომიერებისა და თანაზომიერების პრინციპები დანაშაულებთან და სასჯელებთან მიმართებაში

(1) არავინ შეიძლება გასამართლდეს იმ მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც მისი ჩადენის დროს შიდასახელმწიფოებრივი ან საერთაშორისო სამართლით დასჯადი არ იყო. ასევე, დაუშვებელია იმაზე უფრო მძიმე სასჯელის გამოყენება, ვიდრე მისი ჩადენის დროს იყო გათვალისწინებული. თუკი დანაშაულის ჩადენის შემდეგ კანონით სასჯელი შემსუბუქდა, მაშინ ის უნდა იქნეს გამოყენებული.

(2) ეს მუხლი არ გამორიცხავს პირის გასამართლებას ან დასჯას მოქმედების ან უმოქმედობისათვის, თუ იგი მისი ჩადენის დროს საყოველთაო, ერების ერთობის მიერ აღიარებული პრინციპებით დასჯადი იყო.

(3) არ შეიძლება, სასჯელის ზომა დანაშაულის არათანაზომიერი იყოს.

მუხლი 50 პირის უფლება, ერთი და იგივე დანაშაულისთვის ორჯერ არ განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა ან არ მოხდეს დასჯა

არავინ შეიძლება, დანაშაულისათვის, რომლის გამოც, იგი კავშირის ფარგლებში, კანონის შესაბამისად მიღებული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, ერთხელ უკვე დასჯილი ან გამართლებულია, სისხლისსამართლებრივად ხელმეორედ იქნეს დევნილი ან დასჯილი.

თავი VII ზოგადი დებულებები ქარტიის ინტერპრეტაციისა და გამოყენებისათვის

მუხლი 51 გამოყენების სფერო

(1) ეს ქარტია მოქმედებს კავშირის ორგანოების, უწყებებისა და სხვა სამსახურებისათვის, სუბსიდიარულობის პრინციპის დაცვითა და წევრი სახელმწიფოებისათვის მხოლოდ კავშირის სამართლის განხორციელების დროს. ამის შესაბამისად, ისინი პატივს სცემენ სამართალს, ორიენტირებული არიან ძირითად პრინციპებზე და ხელს უწყობენ მათ გამოყენებას მათი უფლებამოსილებების შესაბამისად და უფლებამოსილებათა საზღვრების პატივისცემით, რომლებიც კავშირს ხელშეკრულებებით აქვს გადაცემული.

(2) ეს ქარტია არ განავრცობს კავშირის სამართლის მოქმედების ფარგლებს კავშირის

კომპეტენციების ფარგლებს გარეთ და არ აფუძნებს ახალ კომპეტენციებსა და არც ახალ ამოცანებს კავშირისათვის და ასევე არ ცვლის ხელშეკრულებებში დადგენილ კომპეტენციებსა და ამოცანებს.

მუხლი 52 უფლებებისა და პრინციპების მნიშვნელობა და ინტერპრეტაცია

(1) ამ ქარტიაში აღიარებული უფლებისა და თავისუფლების განხორციელების ყოველი შეზღუდვა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით და პატივს უნდა სცემდეს უფლებებისა და თავისუფლებების არსებით შინაარსს. თანაზომიერების პრინციპის დაცვით, ნებადართულია, შეზღუდვები მხოლოდ მაშინ იქნეს გატარებული, როცა ამის აუცილებლობა არსებობს და კავშირის მიერ აღიარებულ საყოველთაო კეთილდღეობისაკენ მიმართულ მიზნებს ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აუცილებლობას რეალურად შეესაბამება.

(2) ამ ქარტიით აღიარებული უფლებების განხორციელება, რომლებიც ხელშეკრულებებით არის მოწესრიგებული, ხორციელდება ხელშეკრულებებით დადგენილი პირობებითა და ფარგლებში.

(3) თუ ეს ქარტია შეიცავს უფლებებს, რომლებიც შეესაბამება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, მათ აქვთ იგივე მნიშვნელობა და ძალა, როგორიც მათ დასახელებულ კონვენციაში ენიჭებათ. ეს დებულება არ ეწინააღმდეგება იმას, რომ კავშირის სამართალმა შესაძლებელია, უფლების უფრო ფართო დაცვის მინიჭება მოახდინოს.

(4) თუ ამ ქარტიაში აღიარებულია ძირითადი უფლებები, რომლებიც წევრი სახელმწიფოების ერთიანი კონსტიტუციური თვალსაზრისებიდან გამომდინარეობს, მათი ინტერპრეტაცია მოხდება ამ თვალსაზრისებთან შესაბამისობაში.

მუხლი 53 დაცვის დონე

ამ ქარტიის არცერთი დებულება არ უნდა განიმარტოს, როგორც ადამიანის იმ უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდავი ან დამრღვევი, რომელთა მოქმედების ფარგლები აღიარებულია კავშირის სამართლითა და საერთაშორისო სამართლით, ასევე საერთაშორისო შეთანხმებებით, რომელთა ხელშემკვრელ მხარეს წარმოადგენს კავშირი ან ყველა წევრი სახელმწიფო, მათ შორის, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციით, ასევე, წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციებით.

მუხლი 54. უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა

ამ ქარტიის არცერთი დებულება არ უნდა იქნეს ისე განმარტებული, თითქოს იგი აფუძნებდეს უფლებას, განხორციელდეს საქმიანობა ან შესრულდეს მოქმედება, რომლის მიზანია, გააუქმოს ქარტიაში აღიარებული უფლებები და თავისუფლები ან შეზღუდოს ისინი იმაზე უფრო მეტად, ვიდრე ეს ქარტიაშია გათვალისწინებული.

3. ერთი და იგივე ქმედებისათვის ორჯერ დასჯის აკრძალვა ევროპაში

ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის მე-6 თავის (იუსტიციური უფლებები) ერთ-ერთი, კერძოდ, 50-ე მუხლი *(ne bis in idem)* ევროკავშირის ფარგლებში მანამდე მოქმედი შენგენის 1990 წლის შეთანხმების 54-ე მუხლისაგან განსხვავებულად აყალიბებს ერთი და იმავე დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივად ხელმეორედ დევნისა და დასჯის აკრძალვის პრინციპს. ამიტომ ამ წიგნში, ,,ძირითად უფლებათა ქარტიის" შემდეგ, ასევე შეგიძლიათ ქართულ ენაზე გაეცნოთ შენგენის 1990 წლის შეთანხმების 54-ე მუხლის შინაარსს. ქარტის 50-ე მუხლი, ასევე განსხვავდება ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი *ne bis in idem*-ის პრინციპის შინაარსისგან.

ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისათვის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი აწესრიგებს *ne bis in idem*-ის (ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა) პრინციპთან დაკავშირებით წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს: ,,დაუშვებელია სისხლის სამართლის წესით პირის ხელმეორედ გასამართლება ან დასჯა ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც ის ერთხელ უკვე იქნა საბოლოოდ გამართლებული ან მსჯავრდებული ამ სახელმწიფოს კანონისა და სისხლის სამართლის პროცედურის შესაბამისად".

მაშასადამე, ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი აწესებს პირის სისხლის სამართლის წესით ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვას ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში, მაშინ როდესაც ამ პრინციპს ევროკავშირის ფარგლებში ტრანსნაციონალური ხასიათი აქვს.

ევროპის კავშირის სისხლის სამართალში თავისი განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა *ne bis in idem*-ის პრინციპმა. 1995 წლიდან მოქმედი *შენგენის 1990 წლის შეთანხმების* 54-ე მუხლის მიხედვით, იმ პირის მიმართ, ვინც ამ შეთანხმების მონაწილე ერთ-ერთი მხარის მიერ უკვე გასამართლებულია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, არ შეიძლება ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარის მიერ იგივე ქმედებისათვის მოექცეს ხელახალი დევნის ქვეშ, იმ პირობით, რომ გამოყენებული სანქცია უკვე აღსრულებულია, აღსრულების პროცესშია ან განაჩენის გამომტანი სახელმწიფოს სამართლით უკვე აღსრულებას არ ექვემდებარება.

ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის ამკრძალველი ეს ევროპული ნორმა აყენებს *სამ* წინაპირობას: (1) პირი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით ხელშეკრულების მონაწილე ევროკავშირის წევრი ერთ-ერთი სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს უკვე გასამართლებული; (2) უნდა შეეხებოდეს იგივე ქმედებისათვის ხელახლა გასამართლებას და (3) უნდა არსებობდეს აღსრულების ელემენტი.[1]

,,ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტია", რომელზეც მითითებას აკეთებს ევროპის კავშირის ლისაბონის ხელშეკრულების (ამოქმედდა 2009 წლის 1 დეკემბერს) მე-6 მუხლი, იუსტიციურ უფლებათა თავში ეხება *ne bis in idem*-ის პრინციპს (მუხლი 50). იგი *შენგენის 1990 შეთანხმების* 54-ე მუხლისაგან განსხვავებით, კმაყოფილდება ევროკავშირის ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი ან გამამართლებელი განაჩენის არსებობის ფაქტით და არ მოითხოვს აღსრულების ელემენტის არსებობას. აღნიშნული ამარტივებს ამ პრინციპის გამოყენების პრაქტიკას ევროკავშირის ფარგლებში.[2]

---

[1] იხ. *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht. მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 180.

[2] ამ საკითხზე იხ. *ჯიშკარიანი*, ორმაგი დასჯის აკრძალვა (,,NE BIS IN IDEM") ევროკავშირის ფარგლებში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, თსუ, 1/2009, გვ. 216.

Ne bis in idem-ის პრინციპისადმი ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის ფარგლებში განსხვავებული მიდგომა იმის მაჩვენებელია, რომ სამართლებრივი ურთიერთთანამშრომლობის ნდობის ხარისხი ევროპის კავშირის ფარგლებში გაცილებით უფრო მაღალია, რის გამოც იგი იქცა ტრანსნაციონალურ პრინციპად.[1]

4. შენგენის შეთანხმება

1990 წლის 19 ივნისის შეთანხმება შენგენის 1985 წლის 14 ივნისის შეთანხმების განხორციელების შესახებ, რომელიც შეეხება საერთო საზღვრებზე კონტროლის ეტაპობრივ გაუქმებას

(ამონარიდი)

თავი 3
ორმაგი დასჯის აკრძალვა

მუხლი 54

თუკი პირი ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე სახელმწიფოს მიერ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით უკვე გასამართლებულია, ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოს მიერ იგი იგივე ქმედებისათვის არ შეიძლება ხელახლა იქნეს დევნილი, იმ პირობით, რომ გასამართლების შემთხვევაში შეფარდებული სანქცია უკვე აღსრულებულია, აღსრულების პროცესშია ან განაჩენის გამომტანი სახელმწიფოს სამართლით აღსრულება უკვე შეუძლებელია.

მუხლი 55

(1) ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს ამ შეთანხმების რატიფიკაციისას, მისი მიღებისას ან მასთან შეერთებისას შეუძლია, გააკეთოს დეკლარირება, რომ იგი ქვემოთ დასახელებულ ერთ ან რამდენიმე შემთხვევაში 54-ე მუხლით არ არის შეზღუდული:

a) თუკი ქმედება, რომელიც უცხოეთში გამოტანილ განაჩენს საფუძვლად დაედო, მთლიანად ან ნაწილობრივ მის სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი; თუმცა, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ეს გამონაკლისი არ მოქმედებს, თუკი ეს ქმედება ნაწილობრივ მაინც ხელშეკრულების მონაწილე იმ სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე განხორციელდა, სადაც განაჩენი იქნა გამოტანილი;

b) თუკი ქმედება, რომელიც უცხოეთში გამოტანილ განაჩენს საფუძვლად დაედო, წარმოადგენს ამ მონაწილე სახელმწოფოს უშიშროების ან სხვა თანაბარმნიშვნელოვნად არსებითი ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს;

c) თუკი ქმედება, რომელიც უცხოეთში გამოტანილ განაჩენს საფუძვლად დაედო, ამ მონაწილე სახელმწიფოს საჯარო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევით იქნა ჩადენილი.

(2) ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფო, რომელიც ასეთ განმარტებას გააკეთებს

---

[1] ამ საკითხზე იხ. *ტურავა*, სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-8 გამოცემა, 2010, გვ. 46-47.

პირველი აბზაცის b) ქვეპუნქტში დასახელებულ გამონაკლისებთან დაკავშირებით, ჩამოთვლის იმ დანაშაულთა სახეებს, რომელთა მიმართაც შეიძლება, გავრცელდეს ასეთი გამონაკლისები.

(3) მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია, ნებისმიერ დროს უკან გაითხოვოს ისეთი დეკლარაცია, რომელიც შეეხება პირველ აბზაცში დასახელებულ ერთ ან რამდენიმე გამონაკლისს.

(4) გამონაკლისები, რომლებიც წარმოადგენდნენ პირველი აბზაცის მიხედვით გაკეთებული დეკლარაციის საგანს, არ გამოიყენა, თუკი ხელშეკრულების მონაწილე დაინტერესებული მხარე ხელშეკრულების მონაწილე მეორე სახელმწიფოს მიმართავს თხოვნით იგივე ქმედებისათვის დევნის ჩასატარებლად ან გაცემულია თანხმობა პირის გადაცემის თაობაზე.

მუხლი 56

თუკი მონაწილე სახელმწიფო ხელახალ სისხლისსამართლებრივ დევნას განახორციელებს იმ პირის მიმართ, რომელზეც სხვა მონაწილე სახელმწიფოს მიერ კანონიერ ძალაში შესული განაჩენი უკვე გამოტანილია, მაშინ პირს ამ სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე მოსახდელ სასჯელში იმავე ქმედებისათვის ადრე თავისუფლების აღკვეთის სახით მოხდილი სასჯელი ჩაეთვლება. თუკი ნაციონალური სამართლით ნებადართულია, ასევე სხვა ისეთი სანქციების გათვალისწინება, რომლებიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი უკვე აღსრულებულია.

მუხლი 57

(1) თუკი პირი მონაწილე სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენის გამო ბრალდებულია და ამ მონაწილე სახელმწიფოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს სრული საფუძველი აქვთ ჩათვალონ, რომ ბრალდება იმავე ქმედებას ეხება, რომლის გამოც ამ პირის მიმართ ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორაზე უკვე გამოტანილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, მაშინ მათ შეუძლიათ, თუკი ამას საჭიროდ ჩათვლიან, თხოვნით მიმართონ ამ წევრი სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს, რომლის სუვერენულ ტერიტორიაზეც გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, საქმის გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე.

(2) გამოთხოვილი ინფორმაცია შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა იქნეს მოწოდებული და, ასევე, პროცესის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული.

(3) ხელშეკრულების მონაწილე ყოველი მხარე რატიფიკაციისას, მისი მიღებისას ან მასთან შეერთებისას, უთითებს ორგანოებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან ამ მუხლის მიხედვით თხოვნასთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცემის თაობაზე ან ასეთის მიღებაზე.

მუხლი 58

ზემოთ მოცემული განსაზღვრებები არ ეწინააღმდეგება ნაციონალურ სამართლის უფრო შორს მიმავალ დებულებებს, რომლებიც ეხება ორჯერ დასჯის აკრძალვას უცხოურ იუსტიციურ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

IV ევროპული სისხლის სამართლის პერსპექტივები ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით

პროფესორი, დოქტორი მარტინ ჰეგერი, ბერლინი[1]

I. შესავალი

2009 წლის 1 დეკემბერს ძალაში შევიდა ლისაბონის ხელშეკრულება და შეცვალა მანამდე მოქმედი ნიცას ხელშეკრულების რედაქციით არსებული ევროკავშირისა და ევროპული გაერთიანების ხელშეკრულებები. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მასიურად გაფართოვებული ევროკავშირი, 2004 წლის საკონსტიტუციო ხელშეკრულების წარუმატებლობის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს ადგას საფუძვლიანი რეფორმირების გზას. ამასთან ერთად, ტრანსფორმირება განიცადეს სისხლის სამართლის ნორმებმაც.

II. ევროკავშირის პრიმერული სამართლის სტრუქტურა ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით

ერთი შეხედვით, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგაც, ევროკავშირის პრიმერული სამართალი სტრუქტურულად ისევ შეუცვლელი რჩება. ევროკავშირში ევროპული პრიმერული სამართლის ძირითადი საფუძვლები ისევ განსაზღვრულია ორ განსხვავებულ ხელშეკრულებაში. მაშინ, როდესაც უარყოფილი ევროპის კონსტიტუციის ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენდა ერთიანი დოკუმენტის შექმნა, რომელიც გამოიწვევდა არა მხოლოდ მანამდე არსებული ევროპული გაერთიანებისა და ევროკავშირის ხელშეკრულებების შეცვლას, არამედ, ამასთანავე – მე-2 ნაწილის სახით – ითვალისწინებდა ძირითად უფლებათა ქარტიისათვის კონსტიტუციური რანგის მინიჭებას და ამით მისთვის იურიდიულად სავალდებულო ძალის მინიჭებას, ლისაბონის ხელშეკრულება ერთმანეთის გვერდით ითვალისწინებს *ორ* ძირითად ხელშეკრულებას. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ქარტია ვიზუალურად ხელშეკრულების „კარს მიღმა რჩება“. ამ პირველმა წარმოდგენამ თავიდან უნდა აგვაცილოს ევროკავშირის ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს მიერ თავის დროზე საკონსტიტუციო პროექტის შესახებ პრინციპულად საკამათო გამოხატულების განმეორებითი გაჟღერება, როგორც ეს სახელმწიფოთა მეთაურთა სამიტზე გერმანიის სამთავრობო თავმჯდომარეობის დროს ნათლად იქნა გამოხატული. საკონსტიტუციო ხელშეკრულების საბოლოოდ ჩავარდნის შემდეგ, ბრიუსელის 2007 წლის 22-23 ივნისის სამიტზე, მიღწეულ იქნა კომპრომისი და პორტუგალიას მისი თავმჯდომარეობის დროს გაეხსნა გზა ლისაბონის ხელშეკრულების მიღებისაკენ, რითაც გადარჩენილი უნდა ყოფილიყო ყველაფერი, რისი გადარჩენაც კონსტიტუციის ხელშეკრულების პროექტიდან შეიძლებოდა. ასე, რომ ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგაც, ევროკავშირის შესახებ მანამდე არსებული ხელშეკრულება, ახალი რედაქციისა

---

[1] Prof. Dr. *Martin Heger:* Perspektiven des Europäischen Strafrechts nach dem Vertrag von Lissabon. ტექსტი ეფუძნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე 2009 წლის 25 და 26 ნოემბერს რუსთაველის ფონდის სამეცნიერო პროექტის ფარგლებში ევროპულ სისხლის სამართალში გაკეთებულ მოხსენებას. ავტორი არის ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის, ევროპული სისხლის სამართლისა და უახლესი სამართლის ისტორიის კათედრის ხელმძღვანელი.

და შინაარსობრივად მნიშვნელოვანი მოდიფიცირების მიუხედავად, ვერბალურად იგივე რჩება; ევროკავშირის ბირთვს -- ევროპული გაერთიანების ხელშეკრულებას – სახელწოდება შეეცვალა და დაერქვა „ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულება (AEUV)“ და ამით – თაბარი რანგის მიუხედავად – ენობრივად ევროკავშირის ხელშეკრულების უკან გადაინაცვლა; ამასთან ერთად, მანამდე ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 თავში დარეგულირებული პოლიციური და იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმეებზე (PJZS) გადატანილი იქნა ამ სახელწოდებაშეცვლილ ხელშეკრულებაში (AEUV) და, ამით, „ევროპული გაერთიანების სამართლად იქცა“. თუმცა, თუ ზუსტად ვიტყვით, ლისაბონის სახელშეკრულებო დოკუმენტში სისხლის სამართლის ეკონომიკური პოლიტიკის გვერდით პირველი სვეტის ფარგლებში გათვალისწინების მიუხედავად, ამ სფეროს „ევროპული გაერთიანების სამართლად გადაქცევაზე“ საუბარი უკვე იმიტომ ვერ მოხდება, რადგან მანამდე არსებული ევროპული გაერთიანება, როგორც სუპრანაციონალური ორგანიზაცია, ლისაბონის ხელშეკრულებით დაფუძნებულ ევროკავშირის ახალ ფორმაში გადაიზარდა; ამით ევროკავშირი – ტერმინოლოგიურად მანამდე ბრიუსელის ტაძრის სამივე სვეტის პოლიტიკური და ინსტიტუციური სახურავი – გახდა სუპრანაციონალური ორგანიზაცია და ჩაენაცვლა ევროპულ გაერთიანებას.[1] ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების (EUV) 47-ე მუხლი კი, მოკლედ განსაზღვრავს, რომ „ევროკავშირს გააჩნია სამართალსუბიექტობა“. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ევროკავშირის არქიტექტურული ტაძრიდან, რომელიც წარმოდგენილი იყო სამ სვეტად, კერძოდ, ეკონომიკური პოლიტიკა (ევროპული გაერთიანების ხელშეკრულება), საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა (GASP) და პოლიციური და იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმეებზე (PJZS), ბევრი რამ ოპტიკურად ძველებურად არ რჩება. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა დარეგულირებულია ისევ ევროკავშირის ხელშეკრულებაში; ეკონომიკური პოლიტიკა და პოლიციური და იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმეებზე (PJZS) ახლა უკვე გათვალისწინებულია ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულებაში, ისე, რომ სტრუქტურული განსხვავებანი საშინაო და სამართლებრივ პოლიტიკას შორის ჯერ კიდევ გათვალისწინებულია, რის შედეგადაც ეს ორი პოლიტიკური სფერო შინაარსობრივად არ არის იდენტური.

III. ევროკავშირის «ახალი“ ხელშეკრულება

იმ შემთხვევაშიც კი, როცა მანამდე არსებული ევროკავშირის ხელშეკრულების მესამე სვეტი (მე-6 სათაური) გადავიდა ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულებაში, ევროკავშირის ხელშეკრულება, ლისაბონის ხელშეკრულების რედაქციით, ევროკავშირისა და ევროპული გაერთიანების შერწყმით, მაინც არის ამ „ახალი“ ევროკავშირის დამაფუძნებელი ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს ახალი ორგანიზაციული ფორმის ყოველგვარი საქმიანობისათვის აზრობრივ ამოსავალ წერტილს. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულება კი, მხოლოდ აკონკრეტებს მასში დარეგულირებულ ზოგიერთ პოლიტიკურ სფეროს, ამასთან ერთად, ასევე ევროპული სისხლის სამართლის საკითხებსაც.

---

[1] შად. მხოლოდ *Weber*, EuZW 2008, 7.

1. მთავარი მიზანი: ერთიანი შიდასამართლებრივი სივრცე

ევროკავშირის ხელშეკრულების პრეამბულაში, სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნულია, რომ გადამწყვეტია წევრი სახელმწიფოების მიერ საკუთარი მოქალაქეებისათვის, ამ ხელშეკრულებისა და ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, თავისუფალი გადაადგილებისა და, იმავდროულად, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება „თავისუფალი, უსაფრთხო და სამართლებრივი სივრცის შექმნაში". შემდეგ, ევროკავშირის ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-2 აბზაცში – როგორც მანამდე ევროკავშირის ხელშეკრულების მე-2 და მე-4 მუხლებში იყო ასახული – ევროკავშირის მიზნად სახელდება შემდეგი: „ევროკავშირი თავის მოქალაქეებს, ყოველგვარი შიდა საზღვრების გარეშე, სთავაზობს თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლებრივ სივრცეს, რომელშიც – საგარეო საზღვრების, თავშესაფრის, მიგრაციისა და, ასევე დამნაშავეობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის ღონისძიებების გათვალისწინებით – უზრუნველყოფილი იქნება პირთა თავისუფალი გადაადგილება".

ამით, ევროკავშირის სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ძირითად მიზანია თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლებრივი სივრცის[1] შექმნა შიდა საზღვრების გარეშე; ეს საკითხი უკვე მთავარ თემადაც კი იქცა[2] და იგი ოპტიკურად ევროკავშირის ხელშეკრულების მე-3 მუხლის მე-3 აბზაცში ხაზგასმული, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან არსებული ევროპული გაერთიანების ეკონომიკური პოლიტიკის წარმმართველი ერთიანი შიდა ბაზრის წინაც კი, ამავე მუხლის მე-2 აბზაცით დარეგულირდა. თუმცა ორივესთვის ამოსავალი წერტილი ერთი და იგივეა: როგორ უნდა გადაადგილდეს თავისუფლად ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს ნებისმიერი ეკონომიკური სუბიექტი შიდა ბაზარში. ეს, რა თქმა უნდა, ვრცელდება, ასევე ნებისმიერ „ევროკავშირის ჩვეულებრივ მოქალაქეზეც", რომელიც, ასევე თავისუფალი გადაადგილების უფლებით სარგებლობს.

2. ძირითადი უფლებებით ბოჭვა

ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლი – ევროკავშირის ფარგლებში მოქმედი სისხლის სამართლისათვის მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით – შინაარსობრივად ორი მიმართულებით ნამდვილად ახალ შემოთავაზებას იძლევა. ამ მუხლის პირველი აბზაცი ასე ჟღერს: კავშირი აღიარებს უფლებებს, თავისუფლებსა და ძირითად პრინციპებს, რომლებიც 2000 წლის 7 დეკემბრის ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიაში – სტრასბურგში 2007 წლის 12 დეკემბერს ადაპტირებულ ვარიანტში – არის ასახული. ძირითად უფლებათა ქარტია და ევროკავშირის ხელშეკრულებები სამართლებრივად თანაბარი რანგის არიან.

ასეთი მიდგომით, ძირითად უფლებათა ქარტიამ (GRCh), როგორც იქნა, მოიპოვა სამართლებრივი მოქმედების ძალა; იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის არ არის – როგორც ჯერ კიდევ ევროპის საკონსტიტუციო ხელშეკრულების პროექტში იყო გათვალისწინებული – ევროპის სარეფორმო ხელშეკრულების შემადგენელი (მეორე) ნაწილი, ის მაინც შესაბამისობაშია მოყვანილი აქტუალურ ხელშეკრულებებთან და, სამართლებრივი გავლენის თვალსაზრისითაც, აშკარად მსგავსი მოქმედების ძალა გააჩნია. აქედან გამომდინარე, ევროკავშირის მასშტა-

---

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით, ამსტერდამის ხელშეკრულების მიხედვით, იხ. *Kraus-Vonjahr*, Der Raum der Freiheit, der Sicherheit und des Rechts. 2002.

[2] იხ. *Hecker*, Iurratio 2009, 81, 82.

ბით ნებისმიერი საკითხის სამართლებრივი დარეგულირების დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ძირითად უფლებათა ქარტიით გათვალისწინებული ყველა სამართლებრივი გარანტია; არაფერს არ ცვლის ის ფაქტიც, რომ ძირითად უფლებათა ქარტიის ერთ-ერთ ოქმში გაერთიანებული სამეფოსათვის და პოლონეთისათვის მას არა აქვს სავალდებულო ძალა.

ევროპულ სისხლის სამართალთან და სისხლის სამართლის პროცესთან კავშირში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ ძირითად უფლებათა ქარტიის[1] 47-ე და მომდევნო მუხლებით გათვალისწინებულ იუსტიციურ უფლებებს, რომლებიც ჯერ კიდევ ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში (EMRK) არსებითად იყო ასახული ადამიანის უფლებათა გარანტიის სახით და მათი მხედველობაში მიღების ვალდებულება, ევროკავშირის ხელშეკრულების ნიცას რედაქციის მე-6 მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად, აგრეთვე მანამდე არსებული სახით მოქმედ ევროკავშირსაც ეკისრებოდა; ძირითად უფლებათა ქარტიისათვის სავალდებულო ძალის მინიჭების შემდეგ, ეს უფლებები შინაარსობრივად მხოლოდ უმნიშვნელოდ თუ შეიცვალა. საკითხი ცოტა სხვაგვარად დგას ძირითად უფლებათა ქარტიის მხოლოდ 50-ე მუხლთან მიმართებაში, რომელიც შენგენის 1985 წლის შეთანხმების განხორციელების 1990 წლის შეთანხმების (SDÜ) 54-ე მუხლის მეშვეობით მოწესრიგებულ *ne bis in idem*[2]-ის საკითხს სხვაგვარად უდგება და ამ პრინციპის ამოქმედებისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს არა რომელიმე წევრ სახელმწიფოში გამოტანილ განაჩენთან ერთად აღსრულების ელემენტის არსებობასაც, როგორც ამას ეს შეთანხმება მოითხოვდა, არამედ საკმარისად მიიჩნევს მხოლოდ იმ ფაქტის არსებობას, რომ წევრი სახელმწიფოს მიერ გამოტანილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენი; ეს სიახლე განპირობებულია არა მხოლოდ იმით, რომ ევროპულმა სასამართლომ (EuGH) რამდენიმე განაჩენში დააკონკრეტა შენგენის შეთანხმების 54-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის აღსრულების სამი ელემენტი, არამედ, ასევე იმითაც, რომ ამ ელემენტების უარყოფის შედეგად სამომავლოდ სასამართლო პრაქტიკა გამარტივდებოდა; ეს ყოველივე ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირის შიგნით ამიერიდან უკვე არსებითად ისე უნდა მოხდეს ამ საკითხის მოწესრიგება, როგორც ეს „ჩვეულებრივი" ქვეყნის შიგნით ხდება. ორჯერ დასჯის აკრძალვა დაკისრებული სასჯელის მოხდაზე კი არ იქნება დამოკიდებული, არამედ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკისრებული სანქცია გასამართლებულის მოგვიანებით დაკავების შემდეგ უნდა დაექვემდებაროს აღსრულებას და არა ხელახლა გასამართლებას. ამ მიზნის განსახორციელებლად, ევროკავშირის შიგნით, 2002 წლიდან უკვე შექმნილია ევროპული დაპატიმრების ბრძანების ინსტიტუტი აღსრულებისათვის.

უფრო მეტიც, ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-2 აბზაცი ითვალისწინებს ევროკავშირის მიერთებას ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან და ასე აძლიერებს უკვე ზემოთ აღნიშნული ევროკავშირის მანამდე მოქმედი ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-2 აბზაცის მხედველობაში მიღების ვალდებულე-

---

[1] შეად. ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ 47-ე და მომდევნო მუხლების კომენტარები შემდეგ ავტორებთან: *Eser*, in: Meyer (Hrsg.), GRCh, 2. Aufl., 2008, და *Alber*, in: *Tettinger*, GRCh, 2006. - ევროკავშირში იუსტიციურ ძირითად უფლებებზე ზოგადად იხ. *Grabenwarter*, in: *Ehlers* (Hrsg.), Europäische Grundrechte und Grundfreiheiten, 2. Aufl., 2008, § 6, *Paeffgen*, ZStW 118 (2006), 275 ff., და *Abetz*, Justizgrundrechte in der Europäischen Union, 2005.

[2] ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. *Mansdörfer*, Das Prinzip des ne bis in idem im europäischen Strafrecht, 2004; *Kniebühler*, Transnationales „ne bis in idem", 2005; *Stein*, Zum europäischen ne bis in idem nach Artikel 54 des Schengener Durchführungsübereinkommens, 2004; *Hecker*, Europäisches Strafrecht, 2. Aufl., 2007, § 13; *Ambos*, Internationales Strafrecht, 2. Aufl., 2008, § 12 Rn. 38 ff.; *Radtke/Busch*, NStZ 2003, 281 ff.

ბას, ხოლო მე-3 აბზაცში მოცემულია ის დებულება, რომ ამ კონვენციით გარანტირებული ძირითადი უფლებების საყოველთაო სამართლებრივი პრინციპები წარმოადგენენ კავშირის სამართლის შემადგენელ ნაწილს. ევროპულმა სასამართლომ ადრე ევროპული გაერთიანების მიერთება ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან მიიჩნია დაუშვებლად იმის გამო, რომ მას კონვენციასთან მიერთებისათვის არ ჰქონდა საკმარისი კომპეტენცია, ამიტომ ლისაბონის ხელშეკრულებამდე კონვენციურ გარანტიებზე, ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-2 აბზაცის საფუძველზე, არსებობდა მხოლოდ თვითდავალდებულება. ევროკავშირის მიერ ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის გარანტიების მხედველობაში მიღების გარეშე გამოცემული სისხლისსამართლებრივი აქტები, ევროკავშირის მანამდე არსებული ხელშეკრულების ფონზე, მაინც განხილული იქნებოდა ევროპის სამართლის საწინააღმდეგოდ, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ევროპულ სასამართლოს ჰქონდა სამართლებრივი დაცვის უფლება; ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპულ კონვენციასთან მიერთებით ევროკავშირი – თავისი სასამართლოს ჩათვლით – უშუალოდ დაუკავშირდა კონვენციურ გარანტიებსა და დაექვემდებარა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მართლმსაჯულებას. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველთვის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები უპირატესად ბრიუსელის მეშვეობით ახდენენ რეალიზირებას, ისინი როგორც ასევე ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, ექვემდებარებიან ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას; ასე რომ, ფაქტობრივად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, ახლა უკვე არაპირდაპირ, შესაძლებელია (და მოხდება) აგრეთვე ევროკავშირის სამართლებრივი აქტების გაკონტროლება კონვენციურ გარანტიებთან შეთავსებადობის თვალსაზრისით. ევროკავშირის მასთან მიერთებით ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან მიმართებით შინაარსობრივად ცოტა რამ თუ იცვლება, თუმცა ეს სიმბოლურად მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რამდენადაც თითქმის ყველა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი ევროპაში უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან, რომელიც ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო რეგიონალურ სამართალს წარმოადგენს.

ეს მიერთება ევროპული სისხლის სამართლის სფეროზე პრაქტიკულ მნიშვნელობას მოიპოვებდა იმ შემთხვევაში, თუკი ევროკავშირი, დამოუკიდებლად და წევრი სახელმწიფოების მხრიდან თანაზემოქმედების გარეშე, დამოუკიდებელ სისხლის სამართალს შექმნიდა და განახორციელებდა. მაგრამ ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგაც ეს ასე არ არის, – თუნდაც ევროპული პროკურატურა რეალობადაც რომ იქცეს (შეად. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 86-ე მუხლი) – იმიტომ, რომ ამ შემთხვევაშიც სამართალწარმოება ნაციონალური სასამართლოს წინაშე წარიმართება.

3. სისხლის სამართლის ყოველგვარი ევროპეიზაციის საზღვრები

რადგანაც ევროკავშირის ხელშეკრულების მე-5 მუხლით ევროკავშირის ნებისმიერი სამართალშემოქმედებითი საქმიანობისათვის (მათ შორის სისხლის სამართლის სფეროში) ძირითადი ამოსავალი პრინციპებია თანაზომიერება და სუბსიდიარულობა, მას ერთმევა უფლება, წევრ სახელმწიფოებს მოსთხოვოს (სისხლის) სამართლის განხორციელების შესახებ ისეთი აქტების მიღება, რომლებიც მათთვის არ არის აუცილებელი ან წევრ სახელმწიფოთა

დონეზე კარგად შესრულებადი ფუნქციები თვითონ შეითავსოს.[1] როგორც აქედან, ასევე ევროკავშირის ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 აბზაციდან გამომდინარე მოთხოვნები, რომლებიც ეხება წევრ სახელმწიფოთა ნაციონალურ იდენტურობას, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს სისხლისსამართლებრივად სპეციფიკური საკითხებისადმი ფრთხილად მოპყრობის ვალდებულებას (Schonungsgrundsatz).[2]

4. ფორმალური მონაცემები

ევროკავშირის ხელშეკრულების მე-12 მუხლიდან გამომდინარე, წევრ სახელმწიფოთა პარლამენტები ჩართული არიან ევროპულ საკანონმდებლო საქმიანობაში და, ამასთანავე, ამის ვალდებულებაც აკისრიათ. ეს ყოველივე ასე გამოიხატება: ნაციონალურ პარლამენტებს აქტიურად შეაქვთ წვლილი ევროკავშირის საქმიანობაში, რაც გამოიხატება იმაში, რომ თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლებრივი სივრცის ფარგლებში, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 70-ე მუხლის მიხედვით, მონაწილეობენ ევროკავშირის პოლიტიკის შეფასებასა და განხორციელებაში და დასახელებული ხელშეკრულების 88-ე და 85-ე მუხლების თანახმად, ჩართული არიან ევროპოლის (Europol) პოლიტიკურ კონტროლსა და ევროკავშირის ერთიანი იუსტიციური თანამშრომლობის ორგანოს (Eurojust) საქმიანობაში.

საბოლოოდ, ევროკავშირის ხელშეკრულების მე-16 მუხლის მე-3 აბზაცი, როგორც ევროკავშირის შიგნით პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების ძირითადი საფუძველი, ითვალისწინებს: „თუ ხელშეკრულებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს კვალიფიციური უმრავლესობით.“ ეს საკითხი სისხლის სამართლისთვის მოქმედებს მხოლოდ შეზღუდული მნიშვნელობით, რამდენადაც ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის მე-3 აბზაციდან და 83-ე მუხლის მე-3 აბზაციდან გამომდინარე, ევროკავშირის მხოლოდ ერთ სახელმწიფოსაც შეუძლია, სუსპენზიური ვეტოს უფლების გამოყენებით, დაბლოკოს გადაწყვეტილების მიღება; რაც შეეხება გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილ ე.წ. ლისაბონის გადაწყვეტილებას (Lissabon-Urteil), ამის მიხედვით, შესაძლებელია კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების წესმა მნიშვნელობა დაკარგოს, რადგან გერმანიის მთავრობამ, ევროკავშირის მიერ მისაღებ აქტთან დაკავშირებით არსებული ეჭვის შემთხვევაში, უნდა გამოიყენოს ვეტოს უფლება, რათა არ დაუშვას ევროკავშირის მხრიდან ბუნდესტაგისა და ბუნდესრატის მონაწილეობის მიღების უფლებამოსილების შეზღუდვა ნებისმიერი სახის ევროპული სისხლისსამართლებრივი აქტის გამოცემაში.

---

[1] შად. *Hecker*, JURRATIO 2009, 81, 84.

[2] იხ. *Hecker*, JURRATIO 2009, 81, 85.

IV. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულება

1. კომპეტენციათა დანაწილება

ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 აბზაცის „ჯ" ქვეპუნქტის მიხედვით, ევროკავშირსა და წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლებრივი სივრცის ფარგლებისათვის – და ამით სისხლის სამართლისთვისაც – მომავალში დანაწილებულია კომპეტენციები. ამ მიდგომით, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, ძირითადად, დამოუკიდებლად უზრუნველყოფენ სამართლებრივი ნორმების შექმნასა და მათ აღსრულებას,[1] მაგრამ თუ ევროკავშირი, ევროპის სამართლით დაშვებული და მისთვის მინდობილი სისხლისსამართლებრივი ინსტრუქციების მიცემისა და, გარკვეულ გარემოებებში, ასევე სისხლისსამართლებრივი ნორმების გამოცემისა და მათი განხორციელების უფლებამოსილებით სარგებლობს, რაც უნდა მოხდეს თანაზომიერებისა და სუბსიდიარულობის პრინციპების გათვალისწინებით, წევრი სახელმწიფოებისთვის ასეთი მოქმედებები სავალდებულოა. როგორც წესი, ამ საკითხს – როგორც აქამდე ეს ხდებოდა ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილებებისა[2] და ბოლო პერიოდში აგრეთვე ევროპული გაერთიანების დირექტივების[3] საფუძველზე – შეიძლება დაერქვას წევრ სახელმწიფოთა ევროპული ჩარჩო-პირობები, რომლებიც მომავალში, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 288-ე მუხლის მე-3 აბზაცის საფუძველზე, მხოლოდ დირექტივის სახით შეიძლება გამოიცენ, ისე, რომ ამის შედეგად ტერმინოლოგიურად სწორი იქნება მითითება ამ აქტებზე, როგორც „ევროკავშირის დირექტივებზე".[4]

2. შიდასამართლებრივი სივრცის დაკონკრეტება

ევროკავშირი, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 67-ე მუხლის 1-ლი აბზაცის საფუძველზე – ევროკავშირის ხელშეკრულების ზემოდასახელებული მიზნების დაკონკრეტებით – ქმნის „თავისუფალ, უსაფრთხო და სამართლებრივ სივრცეს, რომელშიც მხედველობაში იქნება მიღებული წევრ სახელმწიფოთა ძირითადი პრინციპები, განსხვავებული მართლწესრიგი და ტრადიციები."

ძირითადი უფლებებით ბოჭვის საკითხს ეხება ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლი. აქ მოაზრებულია ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 67-ე მუხლის პირველ აბზაცში მოცემული საერთო ევროპული ძირითადი უფლებების[5] მხედველობაში მიღება და გათვალისწინება, კერძოდ:

---

[1] შეად. მხოლოდ *Schwarze*, EuR 2009, Beiheft 1, 9, 25.

[2] შეად. მხოლოდ ზოგიერთი სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი ჩარჩო-გადაწყვეტილების ჩამონათვალი შემდეგ ავტორთან: *Hecker*, Europäisches Strafrecht, 2. Aufl., 2007, § 11 Rn. 11 ff. – ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილებების მოქმედების შესახებ იხ. *Weißer*, ZIS 2006, 562 ff.

[3] იხ., უპირველეს ყოვლისა, ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 2008 წ. 19 ნოემბრის დირექტივა (Richtlinie 2008/99/EG) გარემოს სისხლისსამართლებრივი დაცვის შესახებ (ABl. EU 2008, Nr. L 328 S. 28 ff.). – ზოგადად ევროგაერთიანების დირექტივების (Richtlinien) სისხლის სამართალზე ზეგავლენის შესახებ იხ. *Schröder*, Europäische Richtlinien und deutsches Strafrecht, 2002, und *Eisele*, JZ 2001, 1157 ff.

[4] იხ. ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილებებისა (Rahmenbeschlüsse) და ევროპული გაერთიანების დირექტივების (Richtlinien) მსგავსებისა და განსხვავების შესახებ *Heger*, Die europäisierung des deutschen Umweltstrafrechts, 2009, S. 123 ff.

[5] ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. *Ehlers* (Hrsg.), Europäische Grundrechte und Grundfreiheiten. 2. Aufl., 2008; *Rengeling/Szczekalla*, Grundrechte in der Europäischen Union, 2004; *Jarass*, EU-Grundrechte, 2005.

– ძირითად უფლებათა ქარტიის ძირითადი უფლებები,

– ძირითადი თავისუფლებანი,

– ის ძირითადი უფლებები, რომლებიც წევრ სახელმწიფოთა საერთო კონსტიტუციური თვალსაზრისიდან გამომდინარეობს, ასევე

– ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის გარანტიები.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ნაციონალური ძირითადი უფლებები მათივე მართლწესრიგის შემადგენელი ნაწილია და, შესაბამისად, „ძირითადი უფლებების" მხედველობაში მიღების ვალდებულება ამ შემთხვევაში არ გულისხმობს ნაციონალურ უფლებებს, თუკი ისინი, ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-3 აბზაციდან გამომდინარე, არ მიეკუთვნებიან წევრ სახელმწიფოთა საერთო კონსტიტუციურ ტრადიციას. თუმცა, რამდენადაც ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 67-ე მუხლის პირველი აბზაცი ითვალისწინებს, რომ, როგორც სისხლისსამართლებრივი მითითებების გაკეთების, ასევე – რამდენადაც ეს ევროპული სამართლით დაშვებულია – უშუალო სისხლისსამართლებრივი სამართალშემოქმედების დროს უნდა მოხდეს „წევრ სახელმწიფოთა განსხვავებული მართლწესრიგისა და ტრადიციების" მხედველობაში მიღება. ამდენად, ეს ვალდებულება თავის თავში მოიაზრებს ძირითად ნაციონალურ უფლებებსაც, როგორც წევრ სახელმწიფოთა მართლწესრიგის შემადგენელ ნაწილს.

სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაციის დროს მითითება იმაზე, რომ გათვალისწინებულ უნდა იქნეს „წევრ სახელმწიფოთა განსხვავებული მართლწესრიგი და ტრადიციები", ემსახურება, რა თქმა უნდა, იმ მიზანს, რომ დღეს არსებული ევროკავშირის 27 სახელმწიფოს მრავალმხრივი სისხლისსამართლებრივი და პროცესუალური იუსტიციური სისტემები იქნეს შენარჩუნებული. აქედან გამომდინარე, – ევროკავშირის ხელშეკრულების მე-4 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით – აღნიშნული შესაბამისობაშია სისხლისსამართლებრივად სპეციფიკურ „ფრთხილად მოპყრობის" პრინციპთან (Schonungsgrundsatz), რომელიც *ზაცგერის* მიერ იქნა განვითარებული[1] და შემდგომში გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2005 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებაში გამოყენებული, რომელიც ეხებოდა ერთიან ევროპულ დაპატიმრების ბრძანებას.[2] ამ პრინციპის მიხედვით, ნაციონალურ სისხლისსამართლებრივ სისტემებში, მათსავე კულტურებთან მჭიდრო კავშირის გამო, მხოლოდ განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მოხდეს ჩარევა.

ევროკავშირის მიერ თავისუფალი, უსაფრთხო და სამართლებრივი შიდა სივრცის განვითარებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გამოყენების დროს უნდა იქნეს მუდამ „მხედველობაში მიღებული" ძირითადი უფლებები და ნაციონალური მართლწესრიგის სისტემები. ეს იმას ნიშნავს, რომ, როგორც ევროპული, ასევე შესაბამისად, ნაციონალური ძირითადი უფლებები გაგებულ უნდა იქნეს იმ დასაშვები ღონისძიებების საზღვრად, რომელთა გამოყენების უფლებაც აქვს ევროკავშირს და არა როგორც შიდასამართლებრივი სივრცის პრიმერული დამაფუძნებელი საფუძვლები, რომლებიც ევროკავშირის ღონისძიებების მეშვეობით ეფექტურად უნდა განხორციელდეს.

---

[1] იხ. *Satzger*, Die Europäisierung des Strafrechts, 2001, S. 166 ff.

[2] იხ. BVerfGE 113, 273 ; ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: *Vogel*, JZ 2005, 801 ff.; *Lagodny*, StV 2005, 515 ff.; *Gas*, EuR 2006, 285 ff.; *Schünemann*, StV 2005, 681 ff.; *Hufeld*, JuS 2005, 865 ff.; *Ranft*, wistra 2005, 361 ff.; *Wasmeier*, ZEuS 2006, 23 ff.; *Tomuschat*, EuGRZ 2005, 453 ff.; *Buermeyer*, HRRS 2005, 273 ff.; *Klinkl Proelß*, DöV 2006, 469 ff.; *Bosbach*, NStZ 2006, 104 ff.; *Jekewitz*, GA 2005, 625 ff.; *Tams*, JA 2006, 177 ff.; *Knopp*, JR 2005, 448 ff.; *Stachel*, Verwaltungsrundschau 2005, 394 ff.; *Böhm*, NJW 2005, 2588 ff.; *Kretschmer*, Jura 2005, 780 ff.

ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 67-ე მუხლის მე-3 აბზაცი ითვალისწინებს, რომ კავშირის მოქმედებები მიმართულია უსაფრთხოების მაღალი ხარისხის მიღწევისაკენ, რაც უნდა განხორციელდეს დამნაშავეობასთან, ასევე რასიზმთან და ქსენოფობიასთან, ბრძოლისა და მისი აღკვეთის, პოლიციური და სისხლისსამართლებრივი წარმოების ორგანოებისა და სხვა უფლებამოსილი ორგანოების ურთიერთთანამშრომლობის კოორდინაციისათვის ღონისძიებების გატარებით, ისევე, როგორც სისხლისსამართლებრივი გადაწყვეტილებების ორმხრივი ურთიერთაღიარებისა და, საჭიროების შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაციის გზით ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანის მეშვეობით.

აქ, ისევე როგორც ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლში, გაჟღერებულია სისხლისსამართლებრივ გადაწყვეტილებათა ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის უპირატესობა მატერიალური და პროცესუალური სისხლის სამართლის (მინიმალური) ჰარმონიზაციის საწინააღმდეგოდ; ანუ, ჰარმონიზაცია არა მხოლოდ ოპტიკურად არის მეორე ადგილზე დაყენებული, არამედ ის – როგორც ეს არის გამოხატული ევროპული სასამართლოს (EuGH) 2005 წლის 13 სექტემბრის[1] გადაწყვეტილებაში გარემოს სისხლის სამართლის მეშვეობით დაცვის შესახებ – ნათლად ექვემდებარება აუცილებლობის პრინციპს (Grundsatz der Erforderlichkeit). ეს ძირითადი პრინციპი მოქმედებს, რა თქმა უნდა, ასევე, ორმხრივი ურთიერთაღიარების ღონისძიებებისთვისაც, რამდენადაც თანაზომიერების პრინციპი (Verhältnismäßigkeitsprinzip) მოქმედებს მთლიანი ევროკავშირისთვის (ევროკავშირის ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-4 აბზაცი) და იგი აუცილებელ ღონისძიებებს, როგორც წესი, არ ეწინააღმდეგება.

ევროპის კავშირის საბჭო, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 68-ე მუხლის მიხედვით, ადგენს სტრატეგიულ დირექტივებს თავისუფალ, უსაფრთხო და სამართლებრივ სივრცეში საკანონმდებლო და ოპერატიული პროგრამის დაგეგმისათვის. აქ აღსანიშნავია ევროპის კავშირის საბჭოს კომპეტენცია, რამდენადაც სხვა პოლიტიკურ სფეროებში დირექტივების წარმოდგენის უფლება აქვს კომისიას. ზოგადად, შიდა და იუსტიციურ სფეროებში და, ამით, ასევე სისხლის სამართალშიც, პარალელური ინიციატივის უფლება გააჩნიათ კომისიასა და წევრ სახელმწიფოთა ერთ მეოთხედს; ამისგან განსხვავებით, კომისიას ეკონომიკურ პოლიტიკაში (აქამდე არსებულ პირველ სვეტში) აღარ ჰქონდა ინიციატივის მონოპოლია. დამატებით ამის დასტურია, 69-ე მუხლიდან (AEUV) გამომდინარე, სუბსიდიარულობის პრინციპის დაცვაზე მეთვალყურეობის განხორციელების ვალდებულების ნაციონალურ პარლამენტებზე გადატანა.

3. ორმხრივი ურთიერთაღიარება სისხლის სამართლის საქმეებზე

1999 წელს ტამპერეში (Tampere) ევროპის კავშირის საბჭოს შეკრების შემდეგ, მოქმედებს ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპი (Grundsatz gegenseitiger Anerkennung), როგორც ევროპული მატერიალური და პროცესუალური სისხლის სამართლის ქვაკუთხედი[2],

---

[1] იხ. EuGH, Slg. 2005. I-7879; dazu *Wegener/Greenawalt*, ZUR 2005, 585 ff.; *Braum*, wistra 2006, 121 ff.; *Heger*, Die europäisierung des deutschen Umweltstrafrechts, 2009. S. 133 ff. და JZ 2006, 310 ff.; *Böse*. GA 2006, 211 ff.; *Weiß*. ZEuS 2006, 381 ff.; *Streinz*. JuS 2006, 164 ff.; *Hefendehl*, ZIS 2006, 161 ff.; *Pohl*, ZIS 2006, 213 ff.

[2] შეად. მხოლოდ: *Gleß*. ZStW 116 (2004). S. 353 ff.; *Böse*. in: Momsen/Bloy//Rackow (Hrsg.). Fragmentarisches Strafrecht, 2003. S. 113 ff.

რომელიც სამეურნეო სამართალში ჯერ კიდევ ოცი წლით ადრე იყო განმტკიცებული „წარმოშობის ქვეყნის პრინციპის“ (Herkunftslandprinzip) სახელწოდებით[1]. მაშინ, როდესაც მანამდე ეს პრინციპი არ იყო ასახული ევროკავშირის აქამდე მოქმედი ხელშეკრულების 29-ე და მომდევნო მუხლებში, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლი, (ისევე, როგორც ევროპის კონსტიტუციური ხელშეკრულების (EVV) პროექტის III-271-ე მუხლის 1-ლი აბზაცი), მას ანიჭებს უპირატესობას[2] ევროპეიზაციის პრინციპთან შედარებით: „ევროკავშირის მასშტაბით იუსტიციური თანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმეებზე ეფუძნება სასამართლო განაჩენთა და გადაწყვეტილებათა ორმხრივი ურთიერთაღიარების ძირითად პრინციპს და მოიცავს წევრ სახელმწიფოთა სამართლებრივი ნორმების ურთიერთშესაბამისობას მე-2 აბზაცსა და 83-ე მუხლში დასახელებული სფეროებისათვის.“

სისხლის სამართლის მინიმალური ჰარმონიზაციის პრინციპთან შედარებით ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპისათვის უპირატესობის მინიჭებასთან მიმართებით არაფერი აქვს საწინააღმდეგო გერმანიის ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოსაც, რომელმაც თავის 2005 წლის 18 ივლისის ევროპული დაპატიმრების ბრძანების შესახებ გადაწყვეტილებაში განავითარა ორი თეზა[3]: „ევროკავშირის „მესამე სვეტში“ წარმოებული ურთიერთთანამშრომლობა ორმხრივი ურთიერთაღიარების შესახებ შეზღუდული ფორმით სუბსიდიარულობის პრინციპის თვალთახედვიდან (გერმანიის კონსტიტუციის 23-ე მუხლის 1-ლი აბზაცი) გამომდინარეც არის ფრთხილი გზა ერთიან ევროპულ სივრცეში ნაციონალური იდენტურობისა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის.“

ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის 1-ლი აბზაციდან გამომდინარე, ორმხრივი ურთიერთაღიარება ვრცელდება ყველა სახის სასამართლო განაჩენსა და გადაწყვეტილებაზე, რამაც უნდა განაპირობოს წევრ სახელმწფოთა შორის კომპეტენციათა კონფლიქტის თავიდან აცილება, ხელი შეუწყოს მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებას და ა. შ., ასევე, უნდა გააადვილოს ურთიერთთანამშრომლობა ნაციონალურ იუსტიციურ და სხვა ორგანოებს შორის სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასჯელის აღსრულების საკითხებში. მატერიალური სისხლის სამართლისათვის, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს კომპეტენციათა კონფლიქტის[4] თავიდან აცილება; ეს საკითხი გერმანიაში გავლენას იქონიებდა სასჯელის შეფარდების სამართალზე (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 და მომდევნო პარაგრაფები).

აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის მე-3 აბზაცში განსაზღვრული „საავარიო მუხრუჭი“ ეხება მხოლოდ მე-2 აბზაცში მოცემულ ჰარმონიზაციის ღონისძიებებს, ასე, რომ ევროკავშირის საბჭოში, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის 1-ლი აბზაცის საფუძველზე, ხმების უმრავლესობით სისხლის სამართლის საქმეებზე ორმხრივი ურთიერთაღიარების შესახებ მიღებული დებულების ინსტიტუციონალიზირებული დაბლოკვის შესაძლებლობა არც ერთ ხმათა უმცირესობაში დარჩენილ წევრ სახელმწიფოს არ გააჩნია.[5] ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს არსებული status quo-ს უპირობლემოდ შეცვლას, რამდენადაც ევროკავშირის ხელშეკრულების 29-ე და 31-ე მუხლების საფუძველზე აქამდე გამოცემული

---

[1] იხ. EuGH, Slg. 1979, 649 „Cassis de Dijon“.

[2] შად. *Andreou*, Gegenseitige Anerkennung von Entscheidungen in Strafsachen in der Europäischen Union, 2009, S. 116 f.

[3] იხ. BVerfGE 113, 273.

[4] კრიტერიუმები ამ საკითხისათვის იხ. *Vander/Beken/Vermeulen/Lagodny*, NStZ 2002, 624 ff.

[5] იხ. *Pradel/Corstens/Vermeulen*, Droit penal européen, 3. Aufl., 2009, Rn. 731.

სამართლებრივი აქტები ორმხრივი ურთიერთაღიარების შესახებ – როგორიცაა, ჩარჩო-გადაწყვეტილებები ერთიანი ევროპული დაპატიმრების ბრძანების შესახებ და ევროპული მტკიცებულებათა წესების შესახებ -- საჭიროებდნენ ერთხმად თანხმობას; ამასთანავე, ევროპული დაპატიმრების ბრძანების შემოღების შედეგები ნაწილობრივ ნათელყოფენ – როგორც, მაგალითად, საკუთარი მოქალაქის გადაცემა სხვა ქვეყნისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ჩადენილი ქმედებისათვის გადამცემი სახელმწიფოს შიდა სამართლით სისხლისსამართლებრივი დასჯადობა შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული, ან კიდევ ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოში გამოტანილი განაჩენის საკუთარ ქვეყანაში აღსრულება, მაშინ, როდესაც აღსრულებას დაქვემდებარებული ქმედება აღმსრულებელ სახელმწიფოში საერთოდ არ ისჯება – რომ სისხლის სამართლის საქმეებზე ორმხრივმა ურთიერთაღიარებამ შესაძლებელია, მნიშვნელოვნად ხელყოს მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობა.

4. (მინიმალური) ჰარმონიზაცია

(a) ჰარმონიზაცია საპროცესო სამართლის სფეროში (ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის მე-2 აბზაცი)

ნაციონალური (სისხლისსამართლებრივი) ნორმების მინიმალური ჰარმონიზაციის საკითხი, სისხლის სამართლის საქმეებზე ორმხრივი ურთიერთაღიარების საპირისპიროდ, უკანა პლანზე იწევს. ამასთანავე, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის მე-2 აბზაცი პირველად ანიჭებს ევროკავშირს უფლებამოსილებას, გამოსცეს მინიმალური დებულებები სისხლის სამართლის პროცესის სფეროში, კონკრეტულად კი, წესები მტკიცებულებების დასაშვებობის, სისხლის სამართლის პროცესის ცალკეულ მონაწილეთა და დანაშაულის შედეგად დაზარალებულის უფლებების, ასევე სისხლის სამართლის პროცესის სხვა სპეციფიკური საკითხების შესახებ, თუმცა, რომლებიც – და ეს ამცირებს ამ „ცალკეული უფლებამოსილების“ ცნების სრულ გაურკვევლობას გარკვეულ მოსათმენ ზღვრამდე – ჯერ საბჭოს მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით უნდა იქნეს წარდგენილი; გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული ე.წ. ლისაბონის გადაწყვეტილების ფონზე, უფლებამოსილებათა ასეთი გაფართოვებისას ფედერალურ მთავრობას უნდა ჰქონდეს წინააღმდეგობის გაწევის საშუალება, ყოველ შემთხვევაში, მაშინ, როდესაც ბუნდესტაგსა და ბუნდესრატს მხარი არა აქვთ დაჭერილი უფლებამოსილებათა ასეთი გაფართოვებისათვის. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის მე-3 და მე-4 აბზაცები შეიცავენ ცალკეული წევრი სახელმწიფოების მიერ პირველადი „საავარიო მუხრუჭის“ გამოყენების უფლებამოსილებას გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის ჩათვლით, რომლითაც საბოლოოდ ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, თავისი ვეტოს უფლებით შეაჩეროს სისხლის სამართლის პროცესის ჰარმონიზაცია. მისი წინაპირობები ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლში სიტყვასიტყვითაა მოცემული, რის გამოც, ეს საკითხიც ქვემოთ იქნება განხილული.

(b) ჰარმონიზაცია მატერიალური სისხლის სამართლის სფეროში (ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლი)

ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლი არეგულირებს მატერიალური სისხლის სამართლის მინიმალური ჰარმონიზაციის საკითხს. ისევე, როგორ

2003 წელს ევროპული კონვენტის მიერ მიღებული ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტის III-172-ე და 2004 წლის საკონსტიტუციო ხელშეკრულების პროექტის III-271 მუხლები, ასევე ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლიც, თავის პირველ ორ აბზაცში, ითვალისწინებს ორგვარი სახის სისხლისსამართლებრივი მითითების მიცემის კომპეტენციას. მაშინ, როდესაც პირველი აბზაცი – ადრე მოქმედი ევროკავშირის ხელშეკრულების 31-ე მუხლის 1-ლი აბზაცის „e" ქვეპუნქტის მსგავსად – ითვალისწინებს ორიგინალური სისხლისსამართლებრივი მითითების მიცემის კომპეტენციას, მე-2 აბზაცით განსაზღვრულია, ევროპული სასამართლოს მიერ 2005 წლის 13 სექტემბერს გარემოს დაცვის შესახებ მიღებული სისხლის სამართლის გადაწყვეტილების შედეგად ევროპის სამართლით აღიარებული დამატებითი (ანექსიის) კომპეტენცია აქამდე ევროპული გაერთიანების პოლიტიკის პირველ სვეტში არსებული სისხლის სამართლის განსახორციელებლად, (განსაკუთრებით, ეკონომიკური და ეკოლოგიური პოლიტიკის სფეროებში).

(aa) ორიგინალური სისხლისსამართლებრივი მითითების მიცემის კომპეტენცია (ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის 1-ლი აბზაცი)

ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის 1-ლი აბზაცი ასეა ჩამოყალიბებული:

„ევროპულ პარლამენტსა და საბჭოს შეუძლია, დადგენილი საკანონმდებლო პროცედურების შესაბამისად, დირექტივების მეშვეობით, დაადგინოს მინიმალური წესები დანაშაულებისა და სასჯელების, განსაკუთრებით მძიმე დამნაშავეობის სფეროში, დადგენის მიზნით, რომელსაც დანაშაულთა სახის ან შედეგების ან განსაკუთრებული აუცილებლობის საფუძველზე, რათა მის წინააღმდეგ განხორციელდეს ბრძოლა ერთიან საფუძველზე, ტრანსნაციონალური ხასიათი აქვს.

ასეთი დამნაშავეობის სფეროებია: ტერორიზმი, ადამიანებით ვაჭრობა და ქალებისა და ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია, ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა, იარაღით არალეგალური ვაჭრობა, ფულის გათეთრება, კორუფცია, გადახდის საშუალებების გაყალბება, კომპიუტერული დამნაშავეობა და ორგანიზებული დამნაშავეობა.

დამნაშავეობის განვითარების მიხედვით, საბჭოს შეუძლია, გამოსცეს გადაწყვეტილება (Beschluss), რომლითაც განისაზღვრება დამნაშავეობის სხვა სფეროები, რომლებიც ამ აბზაცის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. იგი გადაწყვეტილებას იღებს ერთხმად, ევროპული პარლამენტის თანხმობის შემდეგ".

მანამდე მოქმედი ევროკავშირის ხელშეკრულების 31-ე მუხლის პირველი აბზაცის „c" ქვეპუნქტისა და 29-ე მუხლის მე-2 აბზაცისგან განსხვავებით, სისხლისსამართლებრივი მითითების მიცემის ასეთი კომპეტენცია წარმოადგენს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას[1]. ერთი შეხედვით, სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაციის ღონისძიებების[2] ფარგლები კიდევ უფრო გაიზარდა, ხოლო აქამდე ასეთი ჰარმონიზაცია, ევროკავშირის ხელშეკრულების 31-ე მუხლის პირველი აბზაცის „e" ქვეპუნქტის სიტყვა-სიტყვითი ჟღერადობის თანახმად, შემოფარგლული იყო და ვრცელდებოდა მხოლოდ სამ სფეროზე, როგორიცაა ორგანიზებული დამნაშავეობა,

---

[1] იხ. დღემდე არსებულ კომპეტენციათა ნორმების ფორმულირებების დეფიციტთან დაკავშირებით: *Albrecht/Braum*, KritV 2001, 312, 347; *Vormbaum*, Schutz der Rechtsgüter von EU-Staaten durch das deutsche Strafrecht, 2005, S. 71 f.; *Schünemann*, GA 2004, 193, 195.

[2] იხ. ზოგადად ჰარმონიზაციის, როგორც სისხლის სამართლის ევროპეიზაციის საშუალების შესახებ: *Weyembergh*, L´harmonisation des législations, 2004, და in: MJ 12 (2005), 149 ff.

ნარკოტიკებით ვაჭრობა და ტერორიზმი, თუმცა სფეროების ასეთი შეზღუდვა დიდი ხანია, რაც მხოლოდ ქაღალდზე წერია და, ზოგადად, რედაქციულ უზუსტობად მიიჩნევა; სისხლის სამართლის სხვა სფეროების ჰარმონიზაციის შესაძლებლობაც არ მიიჩნეოდა გამორიცხულად, მიუხედავად ამის დასაბუთების საკმაო სირთულის არსებობისა.[1] ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი აბზაცის მე-2 ქვეაბზაცში გათვალისწინებული ჰარმონიზაციის გავრცელება უფრო მეტ სამართლებრივ სფეროებზე, ვიდრე აქამდე იყო, არის არა მხოლოდ „უკეთესი", არამედ პრაქტიკულ სამართლებრივ მდგომარეობასთან მიმართებაშიც უფრო ნათელი და კორექტულიც, რამდენადაც სხვა სფეროების ჰარმონიზაცია, რომლებიც ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი აბზაცის მე-2 ქვეაბზაცებში არ არის დასახელებული, თუ ისინი 83-ე მუხლის მე-2 აბზაციდან გამომდინარე, ჰარმონიზაციას არ ექვემდებარებიან, შესაძლებელია ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის 1-ლი აბზაცის მე-3 ქვეაბზაცის მიხედვით, რომელიც შეიძლება განხორციელდეს საბჭოს მხოლოდ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. ასეთ გადაწყვეტილებას, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ე.წ. ლისაბონის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ფედერალური მთავრობა ვერ მისცემს თანხმობას ნაციონალური პარლამენტის წინასწარი ნებართვის გარეშე.

გერმანული გაგებით, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველ და მე-2 აბზაცებში – როგორც ადრე ასევე საკონსტიტუციო ხელშეკრულებაში – გამოყენებული ფორმულირება „დანაშაულები" ტერმინ „ქმედების შემადგენლობის ნიშნებზე" უფრო ფართოდ ეღერს. ევროკავშირის აქამდე მოქმედი ხელშეკრულების 31-ე მუხლის პირველი აბზაცის „e" ქვეპუნქტი, რომელიც მიუთითებდა ქმედების შემადგენლობის ნიშნებზე („სასჯელების" სახელწოდების შეუცვლელად გამოყენებით), შემოიფარგლებოდა მინიმალური ჰარმონიზაციით. პირველმა ტერმინმა „დანაშაულები" შესაძლოა, მოიცვას ზოგადი წესებიც, მაშინ, როდესაც მეორე ტერმინი მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობის ცალკეული წინაპირობებით შემოისაზღვრება და, ამით, სისხლის სამართლის კერძო ნაწილით შემოიფარგლება. თავის მხრივ, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველ და მე-2 აბზაცებში მითითებული „დანაშაულები" დაკავშირებულია გარკვეული დანაშაულების კატალოგთან (ტერორიზმი, ადამიანით ვაჭრობა და ა.შ.), შესაბამისად, აქამდე არსებული ევროპული გაერთიანების პოლიტიკის ჰარმონიზაციის სფეროებთან (ეკონომიკა, ტრანსპორტი, გარემო და ა.შ.), ასე, რომ მასზე დაფუძნებით დანაშაულის მოძღვრების ზოგადი წესების ჰარმონიზაცია არსებითად იკრძალება. ეს გამომდინარეობს, ასევე სისხლისსამართლებრივად სპეციფიკური ფრთხილად მოპყრობის პრინციპიდან (Schonungsgrundsatz)[2].

მეორე მხრივ, აღიარებულ იქნა, რომ ევროკავშირის ხელშეკრულების 31-ე მუხლის პირველი აბზაცის „e" ქვეპუნქტში მოცემული ქმედებებისათვის შესაძლოა, გათვალისწინებული იქნეს[3] სპეციფიკურ ქმედების შემადგენლობასთან კავშირში მყოფი ზოგადი წესები, როგორიცაა, ქმედების სუბიექტური ნიშნები - განზრახვა და აგრეთვე (მინიმუმ უხეში) გაუფრთხილებლობა, ასევე ქმედების შემადგენლობის დაწყების წინა სტადია – მცდელობა და დამნაშავეთა წრის გაფართოვება – წამქეზებელობისა და დამხმარის ინსტიტუტი,

---

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად იხ. *Heger*, Die europäisierung des deutschen Umweltstrafrechts, 2009. S. 140 ff.

[2] იხ. *Hecker*, JURRATIO 2009, 81, 85.

[3] იხ. *Hecker*, JURRATIO 2009, 81, 84.

რომელთა გათვალისწინება გერმანული სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში არის გერმანელი კანონმდებლის გადასაწყვეტი, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში სხვაგვარადაც არის განსაზღვრული[1]. ასე, რომ დღეს უკვე, გერმანიის დღევანდელი სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის საფუძველზე, გაუფრთხილებლობითი დანაშაულები პრიციპულად ასახულია ცალკეულ სისხლისსამართლებრივ ნორმებში და მცდელობის დასჯადობის დასაბუთება შესაძლებელია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის არა მხოლოდ 23-ე მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, არამედ ასევე სისხლის სამართლის კერძო ნაწილში დელიქტების შექმნის საფუძველზეც (შეად. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პარაგრაფის 1-ლი აბზაცის მე-6 ქვეაბზაცი). ასევე, საბოლოოდ შესაძლებელია ისიც, რომ წამქეზებლობისა და დამხმარის ქმედებები ასახული იქნეს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ქმედების შემადგენლობებში. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილება ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[2], რომლის საფუძველზეც, შექმნილია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 223a პარაგრაფი. ყველაფრის მიუხედავად, ეს ორივე ცნება „დანაშაულები“ და „ქმედების შემადგენლობის ნიშნები“ არსებითად თავსებადია, მინიმუმ იმდენად, რომ მათი ურთიერთშეცვლა ევროკავშირის კომპეტენციათა გაფართოვებას სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ტოტალური ჰარმონიზაციის მიმართულებით არ განაპირობებს.

აქამდე არსებულ სამართლებრივ მდგომარეობასთან შედარებით, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველ აბზაცში უფრო ზუსტად არის განსაზღვრული მინიმალური ჰარმონიზაციის ფარგლების შეზღუდვის საკითხი. ის მოიცავს ისეთი დანაშაულებს, რომლებიც სცდებიან ერთი ქვეყნის ფარგლებს. ეს საკითხი აქამდე არ იყო ნორმირებული[3]. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი აბზაცის პირველი ქვეაბზაცის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ეს საერთაშორისო კომპონენტები, ერთი მხრივ, დანაშაულის სახეობიდან ან შედეგიდან გამომდინარეობდეს, ხოლო, მეორე მხრივ, კი, აგრეთვე დანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის განსაკუთრებული საჭიროებიდან. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ამ საკითხთან დაკავშირებით ლისაბონის ხელშეკრულების შესახებ გადაწყვეტილებაში (აბზ. 359) მართებულად აღნიშნავს, რომ შეუძლებელია, დანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის საჭიროებისა და დანაშაულის სახისა და შედეგის კომპონენტების ერთმანეთისგან გამოყოფა[4], ამიტომაც მხოლოდ შიშველი პოლიტიკური ნების გაცხადება დანაშაულის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ, სხვა საერთაშორისო მომენტებით დასაბუთების გარეშე, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი აბზაცით გათვალისწინებული ჰარმონიზაციის დასაბუთებისათვის საკმარისი არ იქნება.

„სასჯელთა“ მინიმალური ჰარმონიზაცია იფარგლება სასჯელის მინიმალური ზედა ზღვარის დადგენით.

---

[1] ამას ადასტურებს, ასევე გერმანიის სამართლის ისტორიის გადახედვაც, რამდენადაც გერმანიის რაიხის სისხლის სამართლის კოდექსში არ არსებობდა დღევანდელ სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 პარაგრაფის ანალოგიური ზოგადი რეგულირება, ასე, რომ გერმანიის რაიხის სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პარაგრაფში შემადგენლობის განხორციელებისათვის განზრახი დაზიანების არსებობის აუცილებლობაზე იყო მითითებული.

[2] იხ. ABl. EG 2002, Nr. L 203, S. 1; ამის შესახებ იხ. *Hecker*, Europäisches Strafrecht, 2. Aufl., 2007, § 11 Rn. 24 ff.

[3] შეად. *Heger*, Die europäisierung des deutschen Umweltstrafrechts, 2009, S. 53 ff.

[4] იხ. ტრანსნაციონალური დამნაშავეობის გარემოებების შესახებ: *Hecker*, JA 2002, 723 ff.; *Heger*, ZIS 2007, 547, 549 f.

(bb) დამატებითი (ანექსიის) კომპეტენცია (ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მე-2 აბზაცი)

2008 წლის 19 ნოემბრის გარემოს სისხლის სამართლის მეშვეობით დაცვის შესახებ დირექტივაში გათვალისწინებული დამატებითი (ანექსიის) კომპეტენცია ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მეორე აბზაცში პრიმერული სამართლის დონეზე პირველად იქნა ღიად დაფიქსირებული: „თუკი აღმოჩნდება, რომ წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი დებულებების ჰარმონიზაცია აუცილებელია კავშირის პოლიტიკის ეფექტურად გასატარებლად იმ სფეროში, რომელშიც ჰარმონიზაციის ღონისძიებები უკვე გატარებულია, მაშინ, დირექტივების (Richtlinien) მეშვეობით, შესაძლებელია, დადგენილ იქნეს მინიმალური წესები, რომლებიც განსაზღვრავს დანაშაულებსა და სასჯელებს ამ შესაბამის სფეროში. ეს დირექტივები (Richtlinien), 76-ე მუხლის დაურღვევლად, იმავე ჩვეულებრივი ან განსაკუთრებული საკანონმდებლო პროცედურების დაცვით გამოიცემა, როგორც შესაბამისი ჰარმონიზაციის ღონისძიებები".

2007 წლის ზაფხულში, სარეფორმო ხელშეკრულების წარმოშობის დროს, პირველ რიგში, ეს ნორმა ჩანდა მხოლოდ როგორც ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ევროპული სამართლის გამოძახილი, მას შემდეგ, რაც მან გარემოს დაცვის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში, პირველი სვეტის ფარგლებში, ევროგაერთიანების დირექტივების (Richtlinien) მეშვეობით ასეთი დამატებითი, ანექსიის კომპეტენციის დასაშვებობა დაადგინა[1] და ევროკავშირის კომისიამ ამის შემდგომ ჩამოაყალიბა „შეთანხმებულობის პრინციპი" (Grundsatz der Kohärenz), რომლითაც პირველ სვეტში რეგულირების არმქონე საკითხზე სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაცია, ევროკავშირის აქამდე მოქმედი ხელშეკრულების 31-ე მუხლის პირველი აბზაცის „e" ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოებულ ჰარმონიზაციასთან კავშირში უნდა განხორციელებულიყო ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილებების გამოცემის მეშვეობით. მას შემდეგ, რაც ევროპულმა სასამართლომ 2007 წლის 23 ოქტომბრის[2] ზღვის დაბინძურების შესახებ გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ პირველი სვეტის შიგნით დაშვებულადაა მიჩნეული მხოლოდ ქმედების შემადგენლობის ნიშნების ჰარმონიზაცია და არა სასჯელების, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მე-2 აბზაცი ტექსტობრივად უფრო შორს წავიდა, ვიდრე მანამდე მოქმედი (დაუწერელი) ევროპის სამართალი[3]. რამდენადაც სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაცია აქამდე არსებული ევროგაერთიანების პოლიტიკის სფეროებში, უფლებამოსილების მიმნიჭებელი ამ ნორმის მიხედვით, „კავშირის პოლიტიკის ეფექტური განხორციელებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი" უნდა იყოს და ევროპულმა სასამართლომ ზღვის დაბინძურების შესახებ გადაწყვეტილებაში პირველი სვეტის ფარგლებში ევროგაერთიანების პოლიტიკის სფეროების ეფექტური განხორციელებისათვის უბრალოდ მხოლოდ ქმედების შემადგენლობის ნიშნების დადგენა ჩათვალა აუცილებლად, მიანიშნებს იმაზე, რომ, მიუხედავად აგრეთვე სასჯელების ნათელი დაქვემდებარებისა (მინიმალური) ჰარმონიზაციისადმი, მათი დადგენა არ არის „გარდაუვალი" შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებისათვის და ამიტომ ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგაც ამის გაკეთებისაგან თავი უნდა იქნეს არიდებული.

---

[1] იხ. EuGH, Slg. 2005, I-7879.

[2] იხ. EuGH, JZ 2008, 248 m. Anm. *Eisele*, JZ 2008, 251; *Fromm*, ZIS 2008, 168 ff.

[3] იხ. *Hecker*, JURRATIO 2009, 81, 84.

(cc) „საავარიო მუხრუჭი" (ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მე-3 აბზაცი)

მაშინ, როდესაც, ევროპის კონვენტის მიერ შემუშავებული ევროპის კონსტიტუციის პროექტი სისხლისსამართლებრივი დირექტივების მიცემის საკითხთან დაკავშირებით არ ითვალისწინებდა წევრი ქვეყნების მხრიდან ნაციონალური ვეტოს გამოყენების უფლებას და ევროპის კონსტიტუციის შესახებ ხელშეკრულების[1] III-271-ე მუხლის მე-3 აბზაცმა კი, მხოლოდ გადადების ვეტოს უფლება (aufschiebendes Einspruchsrecht) გაითვალისწინა, განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების გადადების სახით, რომლის უარყოფაც, მინიმუმ თეორიულად მაინც, ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების მიერ იყო შესაძლებელი, დღეს უკვე ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მე-3 აბზაცი შეიცავს „ძლიერი" ვეტოს უფლებას[2]; ასეთმა ვეტომ – იმ შემთვევაში, როდესაც ვეტოს გამომყენებელ ქვეყანას ვერ გადააფიქრებინეს მისი გამოყენება – ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოსთვის შესაძლოა, დაბლოკოს სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობასთან დაკავშირებით სავალდებულო მითითებების მიცემა – ტრადიციულად რომ ვთქვათ – როგორც პირველი, ასევე მესამე სვეტის სფეროებში; სისხლისსამართლებრივ მითითებებზე ვეტოს უფლების გამოყენება – ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი აბზაცის საფუძველზე – არავითარ სიახლეს არ წარმოადგენს; ასეთი ვეტოს უფლების გარეშეც ევროკავშირის საბჭოში სისხლის სამართლის ჰარმონიზაციისათვის გამოცემული ჩარჩო-გადაწყვეტილებების მიღების დროს მოქმედებდა საკითხის ერთხმად მიღების პრინციპი, რომლის მეშვეობითაც, ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი მითითების მიცემის თანხმობაზე უბრალო უარით შეეძლო დაებრკოლებინა ევროკავშირის მასშტაბით ასეთი მითითების გაცემა. ამ ყოველივეს საპირისპიროდ, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მე-2 აბზაცის საფუძველზე, ასეთი ვეტოს უფლების გამოყენება სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის ღონისძიებების მიმართ იწვევს პროცედურული წესის შეცვლას, რამდენადაც

---

[1] იხ. ევროპის კონსტიტუციის ხელშეკრულების პროექტის III-271-ე მუხლი:

(3) იმ შემთხვევაში, თუ ევროპის კავშირის საბჭოს წევრი მიიჩნევს, რომ ევროპული ჩარჩო-კანონის პროექტი, პირველი ან მე-2 აბზაცის მიხედვით, შესაძლოა, შეეხოს თავისი სისხლისსამართლებრივი წესწყობილების ძირითად ასპექტებს, მაშინ წევრს შეუძლია შეიტანოს განაცხადი, რომ ეს საკითხი განიხილოს ევროპულმა საბჭომ. ასეთ შემთხვევაში, პროცედურა შეჩერდება III-396-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, რამდენადაც ის გამოყენებადია. წარმოების შეჩერებიდან ოთხი თვის განმავლობაში, ევროკავშირის საბჭო მსჯელობის შედეგად იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

a) უკან უბრუნებს საბჭოს პროექტს, რითაც III-396-ე მუხლით გათვალისწინებული წარმოების შეჩერება, რამდენადაც ის გამოყენებადია, დამთავრდება, ან

b) ის მიმართავს თხოვნით ევროკომისიას, შესაბამისად, იმ წევრ სახელმწიფოთა ჯგუფს, რომლებმაც წარმოადგინეს პროექტი, ახალი პროექტის წარმოდგენის შესახებ; ამ შემთხვევაში, თავდაპირველად წარდგენილი სამართლებრივი აქტი ითვლება როგორც არგამოცემული.

(4) იმ შემთხვევაში, თუ ევროპულმა საბჭომ მე-3 აბზაცში აღნიშნულ ვადაში არ იმოქმედა ან თუ ევროპული ჩარჩო-კანონი ახალი პროექტის წარდგენიდან 12 თვის განმავლობაში მე-3 აბზაცის „ხ" ქვეპუნქტის საფუძველზე არ გამოიცა და წევრ სახელმწიფოთა მინიმუმ ერთ მესამედს სურს, რომ შესაბამისი ჩარჩო-კანონის საფუძველზე დაფუძნდეს გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობა, ასეთ შემთხვევაში, ამის შესახებ ატყობინებს ევროპულ პარლამენტს, საბჭოსა და კომისიას.

ასეთ შემთხვევაში, გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობისათვის უფლებამოსილება განსაზღვრულია I-44-ე მუხლის მე-2 და III-419-ე მუხლის პირველი აბზაცებით და გამოიყენება გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის შესახებ დადგენილებები.

[2] იხ. *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht. § 8 Rn. 45.

ევროპული გაერთიანების პოლიტიკის პირველი სვეტის სფეროში სისხლისსამართლებრივი დირექტივის (Richtlinie) გაცემასთან დაკავშირებით არ იყო განსაზღვრული არც გადაწყვეტილების ერთხმად მიღების პრინციპი და არც ვეტოს უფლება.

ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მე-3 აბზაცი ჟღერს შემდეგნაირად:

„თუ საბჭოს ერთ-ერთ წევრს მიაჩნია, რომ პირველი ან მეორე აბზაციდან გამომდინარე დირექტივის პროექტი შეიძლება მისი სისხლისსამართლებრივი სისტემის ძირითად ასპექტებს შეეხოს, მაშინ შეუძლია განაცხადი გააკეთოს, რომ ამით ევროპული საბჭო დაკავდეს. ამ შემთხვევაში, დადგენილი საკანონმდებლო პროცედურა ჩერდება. განხილვის დასრულების შემდეგ, ევროპული საბჭო, თანხმობის შემთხვევაში, პროექტს, პროცედურის შეჩერებიდან 4 თვის განმავლობაში, უბრუნებს საბჭოს, რითაც დადგენილი საკანონმდებლო პროცედურის შეჩერება დასრულდება.

თუ თანხმობა ვერ მიიღწევა, მაგრამ სულ მცირე კავშირის ცხრა წევრ სახელმწიფოს, არსებული დირექტივის პროექტის საფუძველზე, გაძლიერებული თანამშრომლობის დაფუძნება სურს, მაშინ ისინი ამის შესახებ იგივე ვადაში აცნობებენ ევროპულ პარლამენტს, საბჭოსა და კომისიას. ამ შემთხვევაში, ევროკავშირის ხელშეკრულების მე-20 მუხლის მე-2 აბზაცისა და ამ ხელშეკრულების 329-ე მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად, გაძლიერებული თანამშრომლობის უფლებამოსილება ითვლება მინიჭებულად და გამოიყენება დებულებები გაძლიერებული თანამშრომლობის შესახებ".

ევროკავშირის ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს მიერ მატერიალური და პროცესუალური სისხლის სამართლის სფეროში არსებული სამართლებრივი აქტის მიმართ ასეთ ვეტოს უფლებას, ლიტერატურაში უმეტეს შემთხვევებში,[1] „საავარიო მუხრუჭს" („emergency brake") უწოდებენ და ასევე მისი გაგებაც ასე ხდება; თუმცა, წევრი სახელმწიფოს მიერ, უბრალოდ მხოლოდ ნების არარსებობის გამო, თანხმობის არ მიცემით, ნებისმიერი ევროპული სისხლისსამართლებრივი აქტი არ უნდა ჩავარდეს. ამაზე მეტყველებს, ერთი მხრივ, გადაწყვეტილების ერთხმად მიღების პრინციპის (მესამე სვეტში) სტრუქტურულად შეცვლა დღეს მოქმედი უმრავლესობის პრინციპით; ამის შედეგად, ვეტოს უფლება სტრუქტურულად გამონაკლისი გახდა, რომელიც შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ აქტიურად უნდა იქნეს განხორციელებული და მხოლოდ თანხმობაზე უბრალოდ უარის გაცხადება (მეტად) აღარ არის საკმარისი. ამას ხაზს უსვამს ისიც, რომ ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის მე-3 და 83-ე მუხლის მე-3 აბზაცების თანახმად, ამ ინსტრუმენტის გამოყენება დამოკიდებულია იმ წინაპირობაზე, რომლის მიხედვითაც, ვეტოს გამომყენებელ წევრ ქვეყანას უნდა მიაჩნდეს, რომ სისხლისსამართლებრივი დირექტივის საკამათო პროექტი, მისი მოსაზრებით, შესაძლოა, „საკუთარი სისხლისსამართლებრივი წესრიგის ძირითად პრინციპებს შეეხოს." ამ პოზიციის სხვა წევრი ქვეყნების ან ევროკავშირის ორგანოების მხრიდან გაზიარება აუცილებელი არ არის; წევრ სახელმწიფოს გააჩნია პრეროგატივა, რომელიც გადამოწმებას არ ექვემდებარება. მიუხედავად ამისა, ვეტოს უფლების სრულიად უსაფუძვლოდ გამოყენება მაინც არ შეიძლება. საკითხი იმის შესახებ, უნდა იყოს თუ არა ვეტოს უფლების გამოყენება ევროპის სამართლით დასაბუთებული, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რამდენადაც ვეტოს უფლების გამომყენებლმა ქვეყანამ მხოლოდ უნდა მიიჩნიოს, რომ შესაძლებელია, აქტი შეეხოს მისი სისხლისსამართლებრივი წესრიგის ძირითად ასპექტებს. ასევე, დასაბუთების გარეშე გამოყენებულ ვეტოს უფლებასაც შეუძლია ევროკავშირის საბჭოში სისხლის სამართლის სფეროში სამართლებრივი აქტის წარმდგენი

[1] შეად. მხოლოდ *Sieber*, ZStW 121 (2009), 1, 56.

უმრავლესობის პროექტი ჩააგდოს; საკითხი შესაძლოა, სხვაგვარად გადაწყვეტილიყო, თუ შესაბამისი სახელმწიფო გამოხატავდა, რომ იგი ვეტოს იყენებს მხოლოდ სხვა საფუძვლებით, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის მე-3 და 83-ე მუხლის მე-3 აბზაცებში დასახელებულ საფუძვლებს მიღმა – თუნდაც ბრიუსელში მუშაობის პროცესის ბლოკირებისათვის ან ამის მეშვეობით პოლიტიკური ვაჭრობისათვის.

განსხვავება სამართლებრივი აქტის მიღების თანხმობაზე უარის თქმასა და გარკვეული წინაპირობების დაცვით ვეტოს დადებას შორის, როდესაც ორივე შემთხვევაში წევრ სახელმწიფოს ამ აქტის დაბლოკვა შეუძლია, ატარებს, უპირველეს ყოვლისა, არა სამართლებრივ, არამედ პოლიტიკურ ხასიათს. უმჯობესი იქნებოდა, რომ ვეტო, ხშირად ბრიუსელის დიპლომატიურ სცენაზე და აგრეთვე მომავალში გაძლიერებული ევროპული საზოგადოებრიობის წინაშე შეხვედროდა დიდ წინააღმდეგობას, ვიდრე ეს საკითხი გამხდარიყო წევრი ქვეყნის უბრალო (დროებითი) თვითნებობის საგანი, რათა ამ უკანასკნელმაც გაითავისოს საკუთარი პასუხისმგებლობა. მართალია, კონვენტის პროექტის შემდგომ განვითარებული ვეტოს გამოყენების უფლება ნათელყოფს, რომ წევრ ქვეყნებს ბოლოს და ბოლოს სურთ, რომ, აუცილებლობის შემთხვევაში, საკუთარი ქვეყნის სისხლისსამართლებრივი ნორმები ბრიუსელის ჩარევისაგან დაიცვან, მაგრამ, ამასთანავე, არ სურთ, რომ მომავალში ამ საკითხის გადაწყვეტა მუდმივად საბჭოში შეკრებილი ყველა წევრი ქვეყნების მთავრობების წარმომადგენლების თანხმობაზე იყოს დამოკიდებული[1].

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ვეტოს გამომყენებელი წევრი ქვეყნის პოზიცია არ არის გადამოწმებადი, უნდა იქნეს მოფიქრებული – განსაკუთრებით გერმანული თვალთახედვით – თუ რა უნდა ჩაითვალოს დასაცავი „სისხლისსამართლებრივი წესრიგის ფუძემდებლურ ასპექტებად". „ფუძემდებლურ ასპექტებში" არ იგულისხმება მხოლოდ ნაციონალური სამართლის კონსტიტუციური რანგის მქონე პრინციპები. აქედან გამომდინარე, გერმანული გადმოსახედიდიდან, ყურადღება შესაძლებელია, გამახვილდეს შემდეგ ასპექტებზე:

- სამართლებრივი სიკეთის პრინციპი, რომელზეც გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა სისხლის აღრევას,[2] როგორც ცნობილია, უარყო სამართლებრივი სიკეთისათვის კონსტიტუციური რანგის მინიჭება,
- ბრალის პრინციპი,[3]
- კანონის უკუძალის აკრძალვა,
- კანონის განსაზღვრულობის სავალდებულობა,
- სიტყვა-სიტყვითი განმარტების საზღვრები,
- პროპორციულობის ძირითადი პრინციპი,
- იურიდიული პირის დასჯადობის არ არსებობა.

ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებში დისკუსიას იწვევს შემდეგი საკითხები:

- მინიმალური სასჯელები,
- უვადო თავისუფლების აღკვეთა,
- აზრის გამოხატვის დელიქტებისა და ქსენოფობიასთან (უცხოელთა მტრობასთან) დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი ნორმების ურთიერთობა აზრისა და რელიგიის თავისუფლებასთან,

---

[1] იხ. *Sieber*, ZStW 121 (2009), 1, 57, რომელიც საუბრობს ჰარმონიზებული ევროპული სისხლის სამართლის უპირველესად, ასევე ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვან ლეგიტიმაციაზე.

[2] იხ. BVerfGE 120, 224.

[3] იხ. პრინციპზე „არავითარი სასჯელი ბრალის გარეშე" („nulla pone sine culpa") BVerfGE 20, 323.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სამართლისა და სისხლის სამართლის ურთიერთმიმართება,
- ერთიანი ამსრულებლის პრინციპის არსი.

ცნებაზე: „სისხლისსამართლებრივი წესრიგის ფუძემდებლური ასპექტები“ საუბრისას მხედველობაში მიიღება, ასევე, ნაციონალური კრიმინალ-პოლიტიკური ფუძემდებლური გადაწყვეტილებები; მათ შეიძლება მიეკუთვნოს, მაგალითად, შემდეგი:

- საკუთრებისა და ქონებრივ დელიქტებთან დაკავშირებით გაუფრთხილებლობის სისხლისსამართლებრივი ნორმების (ფართოდ) უარყოფა,
- განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორის განმასხვავებელი შერაცხვის სუბიექტური კრიტერიუმების არსებითი უარყოფა, როგორიცაა, მაგალითად, შეგნებულობა („recklessness“) ინგლისურ სამართალში[1],
- მთლიანობაში, სისხლისსამართლებრივ სანქციათა შესაბამისობა,
- სასჯელის შეფარდების განსაზღვრული კონცეფციები,
- სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის გამიჯვნა კერძო ნაწილისაგან, რომელიც ეკოლოგიურ და სამეურნეო სისხლის სამართლის სფეროებში, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის საკითხებში დარგობრივ-სპეციფიკური თავისებურებების გამო, შესაძლოა, საკამათო გახდეს,
- ეკოლოგიურ სისხლის სამართალში გადაწყვეტილებები ადმინისტრაციულ აქცესორობასთან დაკავშირებით,
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და დანაშაულების ურთიერთგამიჯვნა,
- „გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობისა“ და „გაუფრთხილებლობით დელიქტებში თანამონაწილეობისათვის“ დასჯადობის არ არსებობა,
- პოლიტიკური გადაწყვეტილებები ნარკოტიკების, თვითმკვლელობაში დახმარებისა და აბორტის გაკეთების საკითხებისადმი სისხლისსამართლებრივ მიდგომასთან დაკავშირებით,
- ევროკავშირის სამართლით გათვალისწინებული მცდელობის დასჯადობისგან ნებაყოფლობითი ხელის აღების შემთხვევაში სასჯელისგან განთავისუფლების შესაძლებლობა, ისევე, როგორც ევროკავშირის სისხლისსამართლებრივი ნორმების დარღვევის შემდეგ, მათი ქმედითი მონანიების შემთხვევაში, სასჯელისგან გათავისუფლება;
- ევროკავშირის ფარგლებში მოქმედი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების შესრულების მიუხედავად, პროცესის შეწყვეტის შესაძლებლობის არსებობა, მაგალითად, გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო წესების 153-ე და მომდევნო პარაგრაფების შესაბამისად.

იმ შემთხვევაშიც კი, როცა ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლში არ არის გათვალისწინებული[2] ევროპის მასშტაბით სამომავლოდ დანაშაულთა დეკრიმინალიზაციის უფლებამოსილება, (არამედ, უპირატესად მხოლოდ დანაშაულთა და სასჯელთა გათვალისწინების უფლებამოსილება, რა თქმა უნდა, ამასთან ერთად, ასევე, გარკვეულ ქმედებათა კრიმინალიზაციისა და პენალიზაციის კომპეტენცია)[3], ასეთ შემთხვევაში, ცალკეული ქვეყნების საკუთარი ნაციონალური დეკრიმინალიზაციის კონცეფციები

---

[1] იხ. ამ საკითხთან დაკავშირებით: *Weigend*, ZStW 93 (1981), 657 ff.

[2] თეორიულად ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. *Vogel*, GA 2003, 314, 316. – მას ემხრობიან *Braum*, Europäische Strafgesetzlichkeit, 2003, გვ. 1 და *Albrecht*, ZRP 2004, 1, 3.

[3] შეად. მხოლოდ *Heger*, Die europäisierung des deutschen Umweltstrafrechts, 2009, S. 73.

შესაძლებელია, ბრიუსელის მიერ დაწესებულ კრიმინალიზაციის ვალდებულებებთან არ მოდიოდეს შესაბამისობაში.

მაშინაც კი, თუ ვეტოს დადების უფლების შესაძლო ნაციონალური საფუძვლების ეს არასრულყოფილი კატალოგი, ერთი შეხედვით, შესაძლოა, არც ისე სრულყოფილი ჩანს, ერთი მაინც კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: ვეტოს დადების უფლების ეს „ახალი" წესი მოაზრებულია და, შესაბამისად, ჩამოყალიბებულია, როგორც „საავარიო მუხრუჭი", რომელიც ევროკავშირის საბჭოში უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილი გადაწყვეტილებების მიღების საწინააღმდეგოდ ბოროტად არ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც გენერალური დაბლოკვის ინსტრუმენტი.

V. სისხლის სამართლის ქმნის კომპეტენცია?

მაშინ, როდესაც გაბატონებული მოსაზრებით აქამდე მოქმედი ევროპული პრიმერული სამართლიდან არ გამომდინარეობდა „სისხლის სამართლის ქმნის" კომპეტენცია (Kompetenz zur Strafrechtssetzung), კერძოდ, ნამდვილი (genuin) ევროპული სისხლისსამართლებრივი ქმედების შემადგენლობების[1] შექმნის თვალსაზრისით, ეს ვითარება შესაძლოა, შეიცვალოს ლისაბონის ხელშეკრულებით, მიუხედავად იმისა, რომ ლისაბონის ხელშეკრულების შედეგად შექმნილი ორი სამართლებრივი აქტიდან არც ერთში არ არის ნათლად გათვალისწინებული[2] მითითება ამ კომპეტენციაზე. ყოველ შემთხვევაში, *ვალტერმა*, ევროკავშირის საკონსტიტუციო ხელშეკრულების III-267-ე მუხლის მე-2 აბზაციდან და III-415-ე მუხლიდან გამომდინარე, დაადგინა უშუალოდ მოქმედი ევროპული სისხლისსამართლებრივი კანონების გამოცემის კომპეტენცია[3]. მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო ხელშეკრულების პროექტის ამ ორივე მუხლმა ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულებაში, 79-ე მუხლის მე-2 აბზაცისა და 325-ე მუხლის სახით, გარკვეული ენობრივი ცვლილებებით, ასახვა ჰპოვა, ერთი შეხედვით, საქმე ისე ჩანს, რომ ევროკავშირს, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 288-ე მუხლის მე-3 აბზაცით გათვალისწინებული რეგულაციის (Verordnung) ფორმით, შეუძლია, მომავალში გამოსცეს ევროკავშირის მასშტაბით მოქმედი სისხლისსამართლებრივი ნორმები, რომლებიც შეეხება ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლას, ასევე ევროკავშირის ინტერესების საზიანოდ ჩადენილი თაღლითობების წინააღმდეგ ბრძოლას; ამას, მით უმეტეს, ემატება ისიც, რომ უკვე გასული საუკუნის 90-იანი წლების დასასრულიდან მუშავდება „ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დამცავი სისხლისსამართლებრივი წესები – „Corpus Juris"[4].

ასეთი სახის აქტის მიღებით, ევროკავშირისათვის ნათლად მინიჭებული სისხლისსამართლებრივი ნორმების შექმნის კომპეტენცია, რა თქმა უნდა, უპრობლემოდ არ გადაწყდება, რამდენადაც მინიმუმ ჰარმონიზაციის პროცესში წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლე-

---

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით ზოგადად იხ. *Klip*, ZStW 117 (2005), 889, 900 ff.; *Perron*, ZStW 112 (2000), 202, 210; *Schwarzburg/Hamdorf*, NStZ 2002, 617, 623.

[2] იხ. *Zöller*, ZIS 2009, 340, 343 f., რომელიც უარყოფს ლისაბონის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ევროკავშირის სისხლისსამართლებრივ კომპეტენციას.

[3] იხ. *Walter*, ZStW 117 (2005), 912 ff.

[4] შეად. მხოლოდ *Delmas-Marty* (Hrsg.), Corpus Juris der strafrechtlichen Regelungen zum Schutz der finanziellen Interessen der Europäischen Union, 1998. ამის შესახებ *Huber* (Hrsg.), Das Corpus Juris als Grundlage eines Europäischen Strafrechts, 2000. – ევროკავშირის საზიანოდ ჩადენილ თაღლითობასთან საბრძოლველად ერთიანი ევროპული სისხლისსამართლებრივი სივრცის აუცილებლობის შესახებ იხ. *Valls Prieto*, El fraude de subvenciones de la Unión Europea, 2005.

ბრივი ნორმების შექმნის მონოპოლიაში „არაოფიციალურად“ უკვე ასეთი სახის ინტენსიური ჩარევა საეჭვოდ უნდა იქნეს მიჩნეული. ამას ემატება, ასევე ისიც, რომ არსებობდა იმის შესაძლებლობა, რომ წევრი სახელმწიფოების სასარგებლოდ ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე და 83-ე მუხლებში გათვალისწინებული „საავარიო მუხრუჭის“ უფლების გამოყენებისათვის გათვალისწინებული ძირითადი უფლებამოსილებების გარდა, ამ მუხლის ფარგლებს გარეთ არსებული უფლებამოსილებანი, თავის მხრივ, „დამუხრუჭებას“ არ დაქვემდებარებოდნენ. ის, რომ ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის პირველი აბზაცით გათვალისწინებული სისხლის სამართლის საქმეებზე ორმხრივი ურთიერთაღიარებისათვის არ არსებობს მხოლოდ ერთი სახელმწიფოს მიერ „დამუხრუჭების“ მექანიზმი, გამომდინარეობს ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის მე-3 აბზაცის ნათელი რედაქციიდან და ეს ყოველთვის იმით საბუთდება, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე ორმხრივი ურთიერთაღიარება, მინიმალური ჰარმონიზაციისაგან განსხვავებით, წარმოადგენს ნაკლებად მძიმე ჩარევას ნაციონალური სახელმწიფოების სუვერენიტეტში სისხლის სამართლის სფეროში. ამის საპირისპიროდ, ევროკავშირის მასშტაბით უშუალოდ მოქმედი სისხლის სამართლის შექმნა, უბრალო სისხლისსამართლებრივი მითითების მიცემასთან შედარებით, იქნებოდა უხეში ჩარევა ნაციონალური ქვეყნის სუვერენიტეტში სისხლის სამართლის სფეროში, რის გამოც, აქ, ასეთ ვითარებაში, „საავარიო მუხრუჭზე“ უარის თქმა სრულიად გაუგებარი იქნებოდა.

1. სისხლისსამართლებრივი კომპეტენცია ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში სისხლისსამართლებრივი ნორმების ქმნის კომპეტენციის თემა განსაკუთრებით გასარკვევია, რამდენადაც აქ – ევროკავშირის ინტერესების საზიანოდ მიმართული თაღლითობების წინააღმდეგ ბრძოლისაგან განსხვავებით – საქმე არ ეხება ევროკავშირის ორიგინალურ (ნამდვილ) სამართლებრივ სიკეთეს. თვით ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულება არ იძლევა ადამიანით ვაჭრობის სფეროში სისხლისსამართლებრივი ნორმების შექმნის კომპეტენციას, მაშინ, როდესაც ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 79-ე მუხლის მე-2 აბზაცში ეს შეიძლება წაიკითხო. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი აბზაცი ადამიანით ვაჭრობას ნათლად ასახელებს იმ სფეროდ, რომელშიც დასაშვებია მინიმალური ჰარმონიზაცია; ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის პირველი აბზაცი, ევროკავშირის კონკრეტული სისხლისსამართლებრივი კომპეტენციის კუთხით, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 79-ე მუხლის მე-2 აბზაცის საპირისპიროდ, ნამდვილად არის სპეციალური ნორმა, ასე რომ, ამ სფეროზე არსებითად შესაძლებელია მხოლოდ სისხლისსამართლებრივი მითითებების კომპეტენციის განხორციელება.

2. სისხლისსამართლებრივი კომპეტენცია ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვისათვის

ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვის სფეროში სისხლისსამართლებრივი ნორმების შექმნის კომპეტენცია არ ჩანს პრობლემატურად, მინიმუმ იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 86-ე მუხლის შესაბამისად,

სავარაუდოდ ევროპული პროკურატურა შეიქმნება[1], რაც დღეისათვის, ევროპის კავშირის საბჭოში ამ ორგანოს შექმნისათვის ერთსულოვნების საჭიროებიდან გამომდინარე (ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 86-ე მუხლის პირველი აბზაცი), საეჭვოა. ევროპის პროკურატურა, ყველა შემთხვევაში, იქნებოდა უფლებამოსილი სახელდობრ ევროკავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე დევნის განსახორციელებლად (ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 86-ე მუხლის მე-4 აბზაცი); მაგრამ, მაშინ, როდესაც დაცული სამართლებრივი სიკეთე, ერთი მხრივ, ეკუთვნის მხოლოდ ევროკავშირს და, მეორე მხრივ, ამ სიკეთის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე დევნის კომპეტენცია აქვს ბრიუსელის ერთიან ორგანოს – ევროპის პროკურატურას, ასეთ შემთხვევაში უფრო აზრიანი იქნებოდა, თუ ამ ორგანოს ექნებოდა შესაძლებლობა, თავისი საქმიანობის განსახორციელებლად გამოეყენებინა ქმედების შემადგენლობის ერთიანი საფუძვლები და არ ჰქონოდა ნაციონალური ქვეყნების განსხვავებული იმპლემენტაციის კანონების გათვალისწინების ვალდებულება.

ლისაბონის ხელშეკრულებამდე მოქმედ ევროპის სამართალში ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების[2] 280-ე მუხლის მე-4 აბზაცის მე-2 წინადადება ბლოკავდა ევროპული გაერთიანების ფინანსური ინტერესების დაცვისათვის ყოველგვარი სისხლისსამართლებრივი ნორმის შექმნისა და სისხლისსამართლებრივი მითითების მიცემის შესაძლებლობას. როგორც ჩანს, ეს პოზიცია გაიზიარა, ასევე ევროპულმა სასამართლომ გარემოს დაცვის შესახებ სისხლისსამართლებრივ გადაწყვეტილებაში.[3] ეს დამბლოკავი ნორმა ლისაბონის ხელშეკრულებამ არ გაითვალისწინა; ის, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 325-ე მუხლში ისეთივე მინიმალური სახითაა წარმოდგენილი, როგორც საკონსტიტუციო ხელშეკრულების პროექტში. ამ ყოველივეს საფუძველზე, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 325-ე მუხლის სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ევროპის პროკურატურის შექმნის გარეშეც, შესაძლებელი უნდა იყოს ევროკავშირის მიერ სისხლისსამართლებრივი ნორმების შექმნა (და არა მხოლოდ სისხლის სამართლის ჰარმონიზაცია), რამდენადაც ასეთი ნორმების შექმნა ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 325-ე მუხლის მე-4 აბზაცთან კავშირში, განხილული იქნებოდა[4], როგორც ევროკავშირის ფინანსური ინტერესების ეფექტურად დაცვის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ღონისძიება. თუმცა, ეს საეჭვოა, განსაკუთრებით მანამ, სანამ ასეთი ევროპული (და არა უბრალოდ ევროპეიზირებული) ქმედების შემადგენლობების მიმართ დევნის უფლებამოსილება წევრი სახელმწიფოების ორგანოებს, კერძოდ, კი, ნაციონალურ პროკურატურებს ექნებათ. სწორედ ამის გამოა, რომ ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 325-ე მუხლის მე-4 აბზაცის მიზანი, განხორციელდეს ევროკავშირის მასშტაბით მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართული თაღლითობების წინააღმდეგ

---

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით ძირითადად იხ. Grünbuch zum strafrechtlichen Schutz der finanziellen Interessen der EG und zur Schaffung einer Europäischen Staatsanwaltschaft (KOM[2001] 715 endg.); შეად. *Hecker*, Europäisches Strafrecht, 2. Aufl., 2007, § 14 Rn. 37 ff.; *Ambos*, Internationales Strafrecht, 2. Aufl., 2008, § 13 Rn. 23 ff.; *Brüner/Spitzer*, NStZ 2002, 393 ff. und 2003, 113 ff.; *Radtke*, GA 2004, 1 ff.

[2] შეად. ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ *Fromm*, Der strafrechtliche Schutz der Finanzinteressen der EG, 2004, და ZIS 2007, 26 ff.; *Rosenau*, ZIS 2008, 9 ff.

[3] იხ. EuGH, Slg. 2005, I-7879.

[4] შეად. *Hecker*, IURRATIO 2009, 81, 85. – *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht, § 8 Rn. 64, ასევე KritV 2008, 25 ff. მიიჩნევს სისხლის სამართლის ჰარმონიზაციას დირექტივების (Richtlinien) მეშვეობით ნებადართულად.

ერთიანი სისხლისსამართლებრივი დევნა, ამით ვერ იქნება მიღწეული. მართალია, ლისაბონის ხელშეკრულებით არ არის გამორიცხული ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვისათვის სისხლისსამართლებრივი ნორმების შექმნის კომპეტენცია, მაგრამ ეს საკითხი წინაპირობად პრინციპულად გულისხმობს ევროპის პროკურატურის შექმნას. რამდენადაც ასეთი შექმნა შესაძლებელია წევრი სახელმწიფოების მიერ მხოლოდ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, ამდენად, ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 325-ე მუხლში „საავარიო მუხრუჭის" არ არსებობას არა აქვს უკვე დიდი მნიშვნელობა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არსებობდეს კარგი დასაბუთება იმისა, რომ ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის მე-3 აბზაცსა და 83-ე მუხლის მე-3 აბზაცში სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაციისთვის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის შექმნილი „საავარიო მუხრუჭი", წევრ სახელმწიფოთა სუვერენიტეტში გაძლიერებული ზემოქმედების გამო, სუპრანაციონალური სისხლისსამართლებრივი ნორმების შექმნის დროსაც ყოფილიყო გამოყენებული.

VI. რეფორმატორული მოძრაობა

ევროპული სისხლის სამართლის განვითარების აშკარა ტენდენციაზე მეტყველებს, ერთი მხრივ, მოქმედებაში განვითარებული ხელშეკრულებები, როგორიცაა, მაასტრიხტის, შემდგომ ამსტერდამისა და ბოლოს ნიცას ხელშეკრულება, მეორე მხრივ, კი, 2003 წლის გაზაფხულზე, ნიცას ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, წარმოქმნილი სარეფორმო წინადადებები, როგორიცაა, 2003 წლის ივლისს ევროპის კავშირის კონვენტის მიერ მიღებული პროექტი ევროპის კონსტიტუციის შესახებ, 2004 წლის ოქტომბრის ბოლოს ხელმოწერილი კონსტიტუციის პროექტი და, ბოლოს, გასული წლის დეკემბრის თვეში ამოქმედებული ლისაბონის ხელშეკრულება. მაშინ, როდესაც მაასტრიხტის ხელშეკრულებით სამთავრობოთაშორისი თანამშრომლობის ორი სვეტის შექმნით – ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისა (GASP) და შინაგან საქმეთა და იუსტიციურ სფეროებში ურთიერთთანამშრომლობის (ZBIJ) სფეროებში – ჯერ კიდევ ფრთხილი ნაბიჯებით დაიწყო სისხლის სამართლის ევროპეიზაციის განხორციელება, ამსტერდამის ხელშეკრულების მიერ განხორციელდა მე-3 სვეტში ევროკავშირის მასშტაბით პოლიციური და იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის (PJZS) კონცენტრაცია, რაც ამსტერდამის ხელშეკრულებაში წინა პლანზე იქნა წამოწეული. ეს უკანასკნელი კი, უკვე დაკავშირებული იყო ევროკავშირის ხელშეკრულების 42-ე მუხლის ფორმულირებასთან (ე.წ. „Passarelle"-Klausel), რომელიც ლისაბონის ხელშეკრულების გარეშეც იძლეოდა სისხლის სამართლის გამარტივებული ევროპეიზაციის შესაძლებლობას[1]. ამ საკითხთან დაკავშირებით ნიცას ხელშეკრულებას, მესამე სვეტის ფარგლებში სისხლის სამართლის სფეროში კომპეტენციათა უმნიშვნელოდ გაფართოების გარდა, არავითარი ცვლილება არ განუხორციელებია. ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ერთი მხრივ, მიღებულ იქნა მრავალი აქტი პოლიციურ და იუსტიციურ სფეროში ურთიერთთანამშრომლობის (PJZS) შესახებ და, მეორე მხრივ, შეიქმნა მნიშვნელოვანი საგამოძიებო და საკოორდინაციო ორგანოები: ევროპოლი (Europol)[2],

[1] შეად. ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ: *Jour-Schröder/Konow*, EuZW 2006, 550 f.

[2] ამასთან დაკავშირებით იხ. *Hecker*, Europäisches Strafrecht, 2. Aufl., 2007, § 5 Rn. 61 ff.; *Ambos*, Internationales Strafrecht, 2. Aufl., 2008, § 13 Rn. 5 ff.; *Milke*, Europol und Eurojust, 2003, S. 45 ff.; *Günther*, Europol, 2006.

ოლაფი (თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული სამსახური) (OLAF)[1], ევროპული იუსტიციური ქსელი (EJN)[2], ევროიუსტი (Eurojust)[3]. ევროკავშირის ხელშეკრულების 35-ე მუხლის მეშვეობით, ევროპულმა სასამართლომ (EuGH) მოიპოვა, აგრეთვე, მესამე სვეტში და, ამით, ასევე სისხლის სამართალთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების კომპეტენცია; ამას იგი შენგენის შეთანხმების განხორციელების შეთანხმების (SDÜ)[4] 54-ე მუხლთან დაკავშირებით 2003 წლის თებერვალში „Gözütok"-ის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მუდამ აკეთებდა._

ასევე აღნიშნული ახალი სარეფორმო ხელშეკრულებები ამ მხრივ არაფერს ცვლიან სასხლის სამართალთან დაკავშირებით. ყველა ცდილობდა სამართლის ამ სფეროს გადატანას ევროპული გაერთიანების ხელშეკრულებაში, შესაბამისად, მის მემკვიდრე – ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულებაში – და ამით – როგორც ტრადიციულად ითქმის – ამ მასალის ევროპეიზაციას, ევროპული გაერთიანების სამართლად გადაქცევას. ამით, ევროპის სამართლის მიხედვით, ეკონომიკური პოლიტიკა და სისხლის სამართალი დადგნენ თანაბარ დონეზე, რაც ადასტურებს – როგორც ეს, ასევე პირდაპირ არის აღნიშნული ლისაბონის ხელშეკრულებაში – შიდა ბაზრისა და შიდა სამართლებრივი სივრცის ხაზგასმულად პარალელურ მუშაობას. ამსტერდამის ხელშეკრულებიდან მოყოლებული, ევროკავშირის ლისაბონის ხელშეკრულებამდე მოქმედი ხელშეკრულების 29-ე მუხლში გათვალისწინებული მიზანი, რომ მესამე სვეტისათვის ძირითად მიზანს თავისუფალი, უსაფრთხო და სამართლებრივი სივრცის შექმნა წარმოადგენს, იქცა ევროკავშირის პოლიტიკის ფუნდამენტურ პოსტულატად.

მაშინ, როდესაც შიდა ბაზრის კონცეფციის განხორციელებისათვის გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპი (Grundsatz gegenseitiger Anerkennung) და, ამით, ასევე „წარმოშობის ქვეყნის პრინციპი" (Herkunftslandprinzip) უფრო ადრე წარმოშობილი ჰარმონიზაციის პოლიტიკის (Harmonisierungspolitik) გვერდით ამოქმედდა, ტამპერეში (Tampere) ევროპული საბჭოს შეკრების შემდეგ, 1999 წლის ოქტომბრიდან, ევროკავშირის ფარგლებში ორმხრივი ურთიერთაღიარება მოქმედებს, ასევე ევროკავშირის ფარგლებში სისხლისსამართლებრივი გადაწყვეტილებების მიმართ, როგორც ამ შიდასამართლებრივი სივრცის განხორციელების „ქვაკუთხედი". ამასთან ერთად, სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის ფარგლებიც უფრო ნათლად განისაზღვრა.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ – რაც აქ შემდგომ დაწვრილებით არ იქნება განხილული – ევროკავშირის საბჭოსა და ევროპარლამენტში გადაწყვეტილების უმრავლესობის პრინციპით მიღება, რომელიც უკავშირდება ნაციონალური პარლამენტების ევროკავშირის დონეზე საკანონმდებლო პროცესთან მჭიდრო ურთიერთობას, ისევე, როგორც ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის მე-3 და 83-ე მუხლის მე-3 აბზაცებში ჩადებული „საავარიო მუხრუჭის" გამოყენების შესაძლებლობა, ერთობლიობაში

---

[1] ამასთან დაკავშირებით იხ. *Hecker*, Europäisches Strafrecht, 2. Aufl., 2007, § 4 Rn. 28 ff.; *Ambos*, Internationales Strafrecht, 2. Aufl., 2008, § 13 Rn. 1 ff.; *Weitendorf*, Die interne Betrugsbekämpfung in den Europäischen Gemeinschaften durch das Europäische Amt für Betrugsbekämpfung (OLAF), 2007.

[2] ამასთან დაკავშირებით იხ. *Hecker*, Europäisches Strafrecht, 2. Aufl., 2007, § 5 Rn. 68; *Ambos*, Internationales Strafrecht, 2. Aufl., 2008, § 13 Rn. 23.

[3] ამასთან დაკავშირებით იხ. *Hecker*, Europäisches Strafrecht, 2. Aufl., 2007, § 5 Rn. 73 ff.; *Ambos*, Internationales Strafrecht, 2. Aufl., 2008, § 13 Rn. 19 ff.; *Milke*, Europol und Eurojust, 2003, S. 275 ff., *Kahlke*, Eurojust, 2004.

[4] იხ. EuGH, Slg. 2003, I-1345; ამის შესახებ იხ. *Radtke/Busch*, NStZ 2003, 281 ff.; *Vogel/Norouzi*, JuS 2003, 1059 ff; *Thym*, NStZ 2003, 334 ff.

წარმოადგენს, როგორც ევროპული სისხლის სამართლის კანონომდებლობის დემოკრატიული ელემენტის გაძლიერებას[1], ასევე უზრუნველყოფს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კულტურული იდენტურობის დაცვას. სწორედ ამის გამოც წარმოადგენს ლისაბონის ხელშეკრულება, ადრინდელ სამართლებრივ მდგომარეობასთან შედარებით, მნიშვნელოვან წინსვლას.

V სისხლისსამართლებრივი ინტეგრაცია ევროგაერთიანების/ევროკავშირის ფარგლებში (ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის მე-3 აბზაცზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით)

ბაჩანა ჯიშკარიანი, LL.M. München[2]

შესავალი

ევროპული კონსტიტუციის პროექტის ჩავარდნის შემდგომ, რომელმაც რამდენიმე ქვეყანაში მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, ევროპა იძულებული გახდა, ახალი გამოსავალი მოეძებნა. სწორედ სიტყვა „კონსტიტუცია" იწვევდა თავისთავად ნეგატიურ რეაქციებს და აღიქმებოდა როგორც სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართული საფრთხე. ამიტომაც გამონახულ იქნა ახლებური ფორმულირება, რომელშიც ეს სიტყვა პირდაპირ არ არის ნახსენები. *ლისაბონის ხელშეკრულება* – ხელმოწერილი 27 სახელმწიფოს მეთაურის მიერ 2007 წლის 13 დეკემბერს – უნდა გამხდარიყო ის დოკუმენტი, რომელსაც ევროკონსტიტუცია უნდა ჩაენაცვლებინა. ამით ევროკავშირის რეფორმასთან დაკავშირებით *ე.წ. პოსტ-ნიცა-პროცესი* უნდა დასრულებულიყო.[3]

მიუხედავად იმისა, რომ ლისაბონის ხელშეკრულება ახალი დოკუმენტია, კონსტიტუციის პროექტის შინაარსი დიდად არ შეცვლილა და მისი ძირითადი ელემენტები გადმოტანილ იქნა. რეალობაში ის „ძველი ღვინოა", უბრალოდ ჩამოსხმული „ახალ ბოთლებში", თუმცა, ამასთანავე, ევროპული ინტეგრაციის პროცესს უფრო რეალისტურად უდგება.[4]

ნაშრომი ძირითადად ორიენტირებულია სისხლის სამართალზე, მის ჰარმონიზაციაზე, დაახლოებაზე ევროკავშირის ფარგლებში ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდგომ. დღემდე ევროკავშირს ყოვლისმომცველი და პირდაპირი კომპეტენცია სისხლის სამართლის სფეროში არ გააჩნია. არსებობს გარკვეული მიმართულებები, სადაც მას მოქმედება შეუძლია, თუმცა ძირითადად ეს დარგი წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილებათა კატალოგშია. შესაბამისად საკითხავია, გაგრძელდება თუ არა ეს ასე? ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლი (გერმანულად: AEUV _ Vertrag über die Arbeitsweise der EU) შეეხება იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც კავშირის მიერ სისხლის სამართლის სფეროში შეიძლება დადგენილ იქნეს. მისი მიზანია დანაშაულებისა და სასჯელების დადგენა განსაკუთრებით რთული დანაშაულების შემთხვევებში, თუმცა ამასაც

---

[1] იხ. *Sieber*, ZStW 121 (2009), 1, 62 f. – ამის შესახებ დაწვრილებით იხ. *Meyer*, Demokratieprinzip und Europäisches Strafrecht, 2009.

[2] ავტორი არის მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი, რომელმაც თავისი სამაგისტრო ნაშრომი შეასრულა ევროპულ სისხლის სამართალში.

[3] *Fuest/Nettesheim/Scholz*, Lissabon-Vertrag: Sind die Weichen richtig gestellt?, 2008, გვ. 29.

[4] იხ. იქვე.

გარკვეული ფარგლები გააჩნია. სახელმწიფოებს, თავის მხრივ, შეუძლიათ ე.წ. „საავარიო მუხრუჭის“ გამოყენება, როდესაც ევროკავშირის დირექტივა მინიმალური სტანდარტების შესახებ მისი შიდასამართლებრივი წესრიგის ძირითად პრინციპებს შეეწინააღმდეგება.

მაშასადამე, ჩვენი მიზანია, ვეცადოთ გავარკვიოთ, სანამდე მიდის ევროკავშირის კომპეტენცია და რა შესაძლებლობები გააჩნდა მას აქამდე და რა რეალობები დადგება მომავალში?

ყოველივე ამას პასუხი რომ გავცეთ, საჭიროა თავდაპირველად იმის გამოკვლევა, თუ რა ინსტიტუტს წარმოადგენს ზოგადად ევროპული სისხლის სამართალი და რა ფორმით არსებობს ის? ამ კონტექსტში განხილული იქნება სხვადასხვა სადავო მუხლები (მაგალითად, 280-ე მუხლის მე-4 აბზაცი: ევროგაერთიანების ხელშეკრულება. გერმანულად: EGV – Vertrag zur Gründung der Europäischen Gemeinschaft). მნიშვნელოვანია ევროგაერთიანების სასამართლოს გადაწყვეტილებებიც, განსაკუთრებით, გარემოს წინააღმდეგ მიმართულ დელიქტებთან დაკავშირებით, რომლებითაც ევროკავშირის კომპეტენცია საკმაოდ ფართოდ იქნა ინტერპრეტირებული. ასევე შევეხებით ევროკონსტიტუციის პროექტსა და ლისაბონის ხელშეკრულებას, მათი არსებობის აუცილებლობას. ამასთანავე, საინტერესოა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაც ლისაბონის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

1. ევროპული ინტეგრაცია

1.1 ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპა მხოლოდ ნანგრევებსღა წარმოადგენდა; ასევე მისი პოლიტიკაც. აშშ-ი და საბჭოთა კავშირი მიისწრაფვოდნენ გაბატონებისაკენ.[1] საჭირო იყო ფიქრის დაწყება ახალ ევროპულ ინტეგრაციაზე. პირველი ნაბიჯი იყო ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება. ჯერ კიდევ 1949 წელს მოუწოდებდა ჩერჩილი ერთგვარი ევროპის გაერთიანებული შტატების შექმნის შესახებ.[2] ის საუბრობდა ახალი ევროპული ოჯახის შექმნის შესახებ. გაერთიანების დაფუძნების საფუძველი იყო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის შუმანისა და მისი თანამშრომლის, მონეს გეგმა. გერმანიისა და საფრანგეთის ქვანახშირისა და ფოლადის წარმოება უნდა გაერთიანებულიყო და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მიერთება სხვა სახელმწიფოებსაც შეეძლოთ.[3]

საინტერესოა საფრანგეთის მოტივაცია ამ ინტეგრაციასთან მიმართებაში. მისი უმთავრესი მიზანი იყო კონფლიქტების აცილება გერმანიასთან. ომის შემდგომი საფრანგეთი დამოკიდებული იყო აშშ-ს დახმარებაზე და სრული პასუხისმგებლობის აღება არ შეეძლო. ამიტომაც მან აირჩია ირიბი კონტროლის გზა. სწორედ ამაზე უნდა ყოფილიყო საფრანგეთის მომავალი პოლიტიკა დამყარებული. გერმანიის კანცლერი, ადენაუერი, ამას მიხვდა, თუმცა მაინც დაეთანხმა შემოთავაზებას, რადგან ურთიერთობების გაუმჯობესება სურდა. ასევე ის იმაშიც არ იყო დარწმუნებული, რომ გერმანელი ერი ოდესმე ისევ არ მიმართავდა ძალადობას. ამ გაერთიანებას აშშ-მაც დაუჭირა მხარი, რადგან გაერთიანებულ ევროპას კომუნიზმის წინააღმდეგ მეტი შესაძლებლობები ექნებოდა.[4]

---

1 *Herz/Jetzlsberger*, Die Europäische Union, 2008, გვ. 8.

2 *Satzger*, Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 15.

3 დაწვრ. *Herdegen*. Europarecht, 2005. გვ. 42.

4 დაწვრ. *Herz/Jetzlsberger*, Die Europäische Union, 2008. გვ. 12-14.

1951 წლის 18 აპრილს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ბელგიას, გერმანიას, საფრანგეთს, იტალიას, ლუქსემბურგსა და ნიდერლანდებს შორის ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების დაფუძნების შესახებ, რომელიც მოგვიანებით, 1952 წელს, შევიდა ძალაში. ხელშეკრულების პრეამბულაშივე შემდეგი მიზანი ჩაიწერა: „შემდგომი გაღრმავებული თანამშრომლობა ხალხებს შორის...“ ის არეგულირებდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა, ფასი, საკარტელო დებულება და ა.შ. მისი ხანგრძლივობა განისაზღვრა 50 წლით, ანუ 2002 წელს მას ვადა გაუვიდა. [1]

1.2 რომის ხელშეკრულებები

1957 წლის მარტში, რომში, კაპიტოლიუმში ხელი მოეწერა ხელშეკრულებებს *ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და ევროპის ატომური გაერთიანების შესახებ*. ეს იყო შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ევროპული ინტეგრაციის საკითხში. მართალია, მეორე ხელშეკრულებამ არ გაამართლა, მაგრამ ამავდროულად ეკონომიკური გაერთიანება დაახლოვების პროცესის საერთო მამოძრავებელ ძალად იქცა.[2] ის მოლოდინი, რომ ეკონომიკური ურთიერთობები თავისთავად პოლიტიკურ ურთიერთობებსაც გააქტიურებდა, გამართლდა. მაასტრიხტის 1992 წლის ხელშეკრულებით, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება ევროგაერთიანებად გადაიქცა (Europäische Gemeinschaft). მას საფუძვლად ძირითადად საბაჟო ურთიერთოები დაედო[3]. ამ ხელშეკრულებით მოხდა ევროპული ორგანოების ფუზიონირებაც და მათ შემდეგი სახე მიიღეს: ევროპარლამენტი, ევროგაერთიანების სასამართლო, საერთო საბჭო და კომისია.

1.3 ევროკავშირი

მაასტრიხტის 1992 წლის ხელშეკრულება – ევროკავშირის დამფუძნებელი აქტია. ეს იყო გადამწყვეტი რეფორმა.[4] ხელშეკრულებამ მოიცვა შემდეგი დამატებითი სფეროები: საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და თანამშრომლობა იუსტიციისა და პოლიციის სფეროში, ანუ *ჩამოყალიბდა ე.წ. „სამბოძიანი“* სისტემა, მთავრობათაშორის თანამშრომლობას პლუს ზემოთნახსენები ორი სფერო.

1997 წელს ხელი მოეწერა *ამსტერდამის ხელშეკრულებას*. მისი მიზანი იყო პოლიტიკური კავშირის გაძლიერება, თუმცა მან დიდად არ გაამართლა[5]. პარლამენტის როლი საბჭოს წინაშე გაძლიერდა.

2000 წელი, *ნიცას ხელშეკრულება* – ეს დოკუმენტი შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა, ხმების გადანაწილება პარლამენტში, ევროკომისრების რაოდენობის შეზღუდვა, რამდენიმე სფეროში ვეტოს უფლება და ა. შ.[6]

2004 წელი, *ევროკონსტიტუციის პროექტი* – ის ორიენტირებული იყო სამუშაო პროცესის გაუმჯობესებაზე, რადგანაც ევროკავშირი ახალი წევრებით იყო გაზრდილი. ინსტიტუციონალური რეფორმა უნდა შეხებოდა ევროკავშირის საბჭოს, გადაწყვეტილებების

---

1 *Herdegen*, Europarecht, 2005, გვ. 42-43.

2 *Herz/Jetzlsberger*, Die Europäische Union, 2008, გვ. 27.

3 დაწვრ. *Herdegen*, Europarecht, 2005, გვ. 44-45.

4 *Satzger*, Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 17.

5 იხ. იქვე, გვ. 18.

6 მოკლე მიმოხილვა იხ. *Lorenzmeier/Rohde*, Europarecht , 2005, გვ. 28-32.

მიღების პროცესში ნაციონალური პარლამენტების ჩართვას და ა.შ.[1] ევროკავშირის საბჭო ხშირად უსვამდა ხაზს მის მნიშვნელობას სამოქალაქო საზოგადოების დებატებში ჩართვის პროცესში[2]. მიუხედავად მოლოდინისა, საფრანგეთსა და ნიდერლანდებში პროექტი ჩავარდა. ამის მიზეზად სხვადასხვა რამ შეიძლება დასახელდეს, თუნდაც თვითონ ტერმინი ,,კონსტიტუცია", ასევე საფრანგეთში იმდროინდელი მთავრობის არაპოპულარულობა და ა.შ.

ლისაბონის ხელშეკრულება – კონსტიტუციის პროექტის ჩავარდნის მიუხედავად აუცილებელი იყო დაწყებული პროცესების გაგრძელება, თუმცა არა კონსტიტუციის ფორმით. შესაბამისად, ეს ტერმინი დათმობილ იქნა და 2007 წელს ხელი მოეწერა ლისაბონის ხელშეკრულებას. საინტერესოა ის, რომ ახალ დოკუმენტში ევროკონსტიტუციის არსებითი შინაარსი შენარჩუნებულ იქნა. მის შემადგენელ ორივე ნაწილს, ევროკავშირის ხელშეკრულებას და, ასევე ხელშეკრულებას ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ, თანაბარი რანგი აქვს. ისინი ერთ, საერთო გაერთიანებას ეხებიან. ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის (2009 წლის 1 დეკემბერი) შემდგომ დაყოფა ევროკავშირი და ევროგაერთიანება აღარ არსებობს (დარჩა მხოლოდ ერთი სახელი – ევროკავშირი). გაუქმდა, ასევე სამბოძიანი სისტემაც.[3]

2. ევროგაერთიანების/ევროკავშირის კომპეტენცია სისხლის სამართლის სფეროში ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე

ინტეგრაციის პროცესი, რომელიც უბრალო დაახლოვების ფარგლებს სცილდება, უფრო და უფრო მწვავედ აყენებს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის აუცილებლობას. ევროპეიზაცია ითხოვს ახლებურ მიდგომებს მოქმედი სამართლის მიმართ, განსაკუთრებით, ნაციონალური და საერთო-ევროპული ნორმების ურთიერთმიმართების კუთხით.[4]

სასამართლო პრეცედენტებიდან და, ასევე სხვა, პირდაპირი თუ არაპირდაპირი, მექანიზმებიდან გამომდინარე, რომლებიც ევროკავშირმა გზადაგზა მოიპოვა სისხლის სამართლის სფეროში, შეგვიძლია ვისაუბროთ ევროპულ სისხლის სამართალზე. ეს, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირს უშუალო კომპეტენცია ნორმის გამოცემის თვალსაზრისით ამ დარგში აქამდე არ გააჩნდა[5]. ევროპული სისხლის სამართლის კოდექსი არ არსებობს და არც ისეთი ნორმები, რომლების ყველა ქვეყანაში უშუალოდ გამოყენებადი იქნებოდა[6].

ევროგაერთიანების ხელშეკრულების (EGV) 249-ე და ევროკავშირის ხელშეკრულების (EUV) მე-5 მუხლები მიუთითებდნენ, რომ ევროპული ორგანოები იმ უფლებამოსილებათა ფარგლებში მოქმედებენ, რაც მათ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე გააჩნიათ, ანუ, თუ სისხლის სამართალს ეს აქტები არ მოიცავენ, მაშინ ის არაა მათი კომპეტენცია, თუმცა, როგორც ითქვა, რეალობა გვიჩვენებს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს ასე არ არის. ხელშეკრულებების ნორმები არ არის ხშირად კონკრეტული, რაც მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, მათ შორის, სისხლის სამართლის კუთხითაც.[7]

---

1 *Fuest/Netesheim/Scholz*, Lissabon-Vertrag: Sind die Weichen richtig gestellt?, გვ. 31.

2 *Streinz/Ohler/Hermann*, Der Vertrag von Lissabon zur Reform der EU, გვ. 13-14.

3 *Streinz/Ohler/Hermann*, Der Vertrag von Lissabon zur Reform der EU, 2008, გვ. 13-14.

4 *Dannecker*, JURA, 2/2006, გვ. 95.

5 *Hecker*, Europäisches Strafrecht, 2007, გვ. 239.

6 *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht, 2009, გვ. 90.

7 *Dannecker*, JURA, 2/2006 , გვ. 96.

2.1 ევროგაერთიანების ხელშეკრულების (EGV) 280-ე მუხლი

რადგანაც აქამდე არსებულმა მექანიზმებმა სათანადო შედეგები არ გამოიღო, გადაწყვეტილ იქნა ევროგაერთიანების ფინანსური ინტერესების დასაცავად მუშაობის გაძლიერება. ეს საკითხი დარეგულირდა ამსტერდამის ხელშეკრულებით. 280-ე მუხლი სწორედ თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლას ეხებოდა.

განსაკუთრებით საინტერესოა მე-4 აბზაცი, რომელიც ორაზროვანია. ერთი მხრივ, ის გაერთიანებას აძლევდა უფლებას, გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები, თუმცა იქვე დამატებული იყო, რომ წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი სისტემა ამაში არ მოიაზრებოდა. კითხვაზე პასუხი: აქვს თუ არა ევროგაერთიანებას სისხლისსამართლებრივი კომპეტენცია – ღიად რჩებოდა.

რადგანაც ეს მუხლი სისხლის სამართალს ხელშეუხებლად ტოვებდა, შეიძლება ითქვას, რომ 280-ე მუხლის მე-4 ნაწილი არ იყო სისხლისსამართლებრივი უფლებამოსილების დამფუძნებელი ნორმა[1], მაგრამ რადგანაც მასში სიტყვა *„გამოყენება“* იყო ნახსენები, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ საპროცესო და არა მატერიალური სისხლის სამართალი იგულისხმებოდა. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ზოგადად გაერთიანების სამართლის უპირატესი რანგი ნაციონალურთან მიმართებაში.[2] თუმცა, გაბატონებული მოსაზრება უარყოფს 280-ე მუხლიდან გამომდინარე სისხლისსამართლებრივ კომპეტენციას.[3] როდესაც ჩვენ ამ სადავო საკითხზე ვსაუბრობთ, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ შიდაეროვნული და საერთო-ევროპული დელიქტები. როდესაც ევროგაერთიანება თავისი ინტერესების დასაცავად ნორმას გამოსცემს, ის ამით შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებში არ ერევა, რადგანაც არა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, არამედ თავის წინააღმდეგ მიმართულს ეხება, შესაბამისად, ადგილობრივი ნორმების მოქმედება ხელშეუხებელი რჩება. ამასთანავე, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროგაერთიანებას მინიმუმ მითითების უფლება მაინც გააჩნია. მითითების შედეგად სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, გამოსცენ შიდასამართლებრივი ნორმები და ეს ნაწილობრივ გამომდინარეობდა ევროგაერთიანების ხელშეკრულების 94-ე და 95-ე მუხლებიდან. ეს ხელშეკრულება გაერთიანებას აძლევდა მითითებების მეშვეობით წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი ნორმების ჰარმონიზირების უფლებამოსილებას.[4] საინტერესოა ის, რომ ევროკონსტიტუციის პროექტი თაღლითობის დელიქტების მიმართ უშვებდა სუპრანაციონალური (ევროკავშირის ფარგლებში მოქმედი) სისხლის სამართლის ჩამოყალიბებას და, შესაბამისად, 280-ე მუხლის მე-4 ნაწილის პრობლემაც მოიხსნებოდა (მსგავსი შინაარსისაა ლისაბონის ხელშეკრულებაც).[5]

280-ე მუხლს შეესაბამება ევროპული კონსტიტუციის პროექტის III-415-ე მუხლი და მისგან იმით განსხვავდება, რომ ევროკავშირს მატერიალური და პროცესუალური სისხლის სამართლის სფეროებში მოქმედების საშუალებას აძლევს და ამით ნაციონალური სისხლის სამართალი აღარ რჩებოდა, როგორც ხელშეუხებელი რამ.[6]

მაშასადამე, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე არსებული სიტუაციის შესახებ შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლებოდა: მართალია, ევროკავშირი პირდაპირი, ვი-

---

1 *Dannecker*, JURA, 2/2006, გვ. 96.

2 დაწვრ. *Ambos*, Internationales Strafrecht, 2008, გვ. 418.

3 იხ., მაგალითად, *Satzger*, Europäisierung des Strafrechts , 2001, გვ. 105.

4 *Dannecker*, JURA, 2/2006, გვ. 97, ასევე: *Hecker*, Europäisches Strafrecht, 2007, გვ. 307.

5 დაწვრ. *Hecker*, Europäisches Strafrecht, 2007, გვ. 540.

6 *Vedder/Heinegg*(Hrsg.), Europäischer Verfassungsvertrag, 2007, გვ. 981.

წრო გაგებით, სისხლისსამართლებრივი კომპეტენციით არ იყო აღჭურვილი, თუმცა ფართო გაგებით ამ სფეროში მოქმედების საშუალება მაინც გააჩნდა.[1]

2.2 ურთიერთთანამშრომლობა პოლიციისა და იუსტიციის სფეროში

ეს თანამშრომლობა ქმნიდა ევროკავშირის ე.წ. *„მესამე ბოძს"* და სამთავრობოთაშორის ხასიათს ატარებდა. მისი ამოსავალი წერტილი იყო ლისაბონის ხელშეკრულებამდე მოქმედი ევროკავშირის ხელშეკრულების (EUV) 29-ე მუხლი, რომლის მთავარი მიზანიც თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის ერთიანი სივრცის შექმნაში მდგომარეობდა. ის ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი ნორმების იმ დონემდე დაახლოვებას, რამდენადაც ეს საჭიროა, თუმცა ეს მხოლოდ დაახლოვებას, განსხვავებების მაქსიმალურად შემცირებას და არა ყოვლისმომცველ ჩარევას ნიშნავს.[2]

სისხლის სამართლის ევროპეიზაცია ძირითადად ამ მესამე ბოძის ფარგლებში მიმდინარეობდა, რადგანაც მას, წევრი სახელმწიფოების მთავრობების გადმოსახედიდან, ის უპირატესობა გააჩნდა, რომ დამატებით ფორმალობებს რატიფიკაციისათვის არ საჭიროებდა. ევროპალამენტსა და კომისიას ამ მიმართულებით ფართო შესაძლებლობები არ გააჩნდათ. მაშასადამე, ყოველივე ამით საბჭომ საკმაოდ დიდი შესაძლებლობები მიიღო სამართალშემოქმედების თვალსაზრისით, რაც გამომდინარეობდა ამსტერდამის ხელშეკრულებიდან და გარკვეული კრიტიკაც დაიმსახურა მისი არაზუსტი ფორმულირებებისათვის.[3]

ნაციონალური ნორმების დაახლოების უპირველესი ამოსავალი წერტილია ე.წ. ჩარჩო-გადაწყვეტილება (გერმანულად: Rahmenbeschluss), რომელიც ნახსენებია ევროკავშირის ხელშეკრულების (EUV) 34-ე მუხლში (ძველი რედაქცია).[4] ის სტრუქტურულად დირექტივის (გერმანულად: Richtlinie) მსგავსია და ეს *„პუპინოს"*[5] შემთხვევაზე ევროგაერთიანების სასამართლოს გადაწყვეტილებამაც დაადასტურა.[6] ამ გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა შიდაეროვნული ნორმების ჩარჩო-გადაწყვეტილებების შესაბამისად განმარტების ვალდებულება.[7] დირექტივებისა და ჩარჩო-გადაწყვეტილებების ასეთი მსგავსების ხაზგასმა სასამართლოს მიერ კიდევ ერთი მაგალითია გაერთიანების შიდა სამართლის განვითარებისა, რომელსაც, თავის მხრივ, ევროინტეგრაციამდე მივყავართ.[8]

ეს გადაწყვეტილება მრავალჯერ იქნა გაკრიტიკებული და სხვადასხვა ინტერპრეტაციები მიეცა. განსაკუთრებით იქნა ხაზგასმული, რომ ზემოთ ნახსენები 34-ე მუხლის მეორე აბზაცი ჩარჩო-გადაწყვეტილების ყოველგვარ პირდაპირ მოქმედებას გამორიცხავს.[9] მაგრამ აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნაციონალური ნორმების გადაწყვეტილების შესაბამისი ინტერპრეტაცია სწორედ იმ ფარგლებში ხდება, რასაც თვითონ ნაციონალური სამართალი ითვალისწინებს.

---

1 *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht. 2009, გვ. 100.

2 იხ. იქვე.

3 *Vormbaum*, Schutz der Rechtsgüter von EU-Staaten durch das deutsche Strafrecht, 2005, გვ. 50.

4 *Dannecker*, JURA, 2/2006, გვ. 99.

5 *EuGHE* Rs. C-105/03.

6 *Walzel/Becker*, JURA, 9/2007, გვ. 656.

7 *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht. 2009, გვ. 153.

8 *Hecker*, Europäisches Strafrecht, 2007, გვ. 153.

9 *Ambos*, Internationales Strafrecht, 2008, გვ. 455; ასევე, კრიტიკა: *Kaiafa-Gbandi, in Schünemann* (Hrsg.), Ein Gesamtkonzept für die europäische Strafrechtspflege. 2006, გვ. 77.

შესაბამისად, წევრი სახელმწიფოს სისხლის სამართალი ხელშეუხებელი რჩება.[1]

გარდა ამისა, ზოგადად, ყოველდღე ზრდადი დაახლოვების პროცესი ევროკავშირის ფარგლებში მოითხოვს მსგავს მიდგომებს. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს წევრი სახელმწიფოების ერთგულების პრინციპი, რომელიც ჩადებულია ევროგაერთიანების შესახებ ხელშეკრულების მე-10 მუხლსა და ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების პირველ მუხლში (ძველი რედაქცია).[2] სახელწიფოები ვალდებული არიან, ამ პრინციპიდან გამომდინარე, იმოქმედონ საერთო ინტერესების შესაბამისად და ამისათვის ყოველგვარი ღონე იხმარონ. თუ დავუშვებთ, რომ ევროგაერთიანების სამართლის შესაბამისად განმარტებების გაკეთება საერთოდ დაუშვებელია, მაინც რჩება მეორე გზა: განმარტება ზოგადად საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე, რაშიც თავისთავად ჩარჩო-გადაწყვეტილებებიც მოიაზრება. შესაბამისად, ევროგაერთიანების სასამართლოს გადაწყვეტილება რამე რევოლუციურ სიახლეს არ წარმოადგენდა.[3]

საერთო ჯამში, ზემონახსენებ ორივე გზას საერთო შედეგამდე მივყავართ. ევროპული თუ ზოგადი საერთაშორისოსამართლებრივი განმარტება საბოლოოდ ისევ ნაციონალურ დონემდე დადის,[4] რადგან ასეთი განმარტებების საფუძველი იქ არის ჩადებული. ამ საკითხის დიდი პრობლემატიზება ამიტომაც არ არის მიზანშეწონილი.

2.3 ნაციონალური სამართლის ევროპეიზაციის სხვა ფაქტორები

როგორც უკვე ითქვა, მიუხედავად სისხლისსამართლებრივი კომპეტენციის არქონისა, ევროგაერთიანებას მაინც გააჩნდა ნაციონალურ სამართალზე გავლენის მოხდენის სხვადასხვა მექანიზმი.[5] ეს მექანიზმები ევროპეიზაციის ძირითად „დამრტყმელ“ ძალადაც კი მიიჩნევა.[6] ევროგაერთიანებას გააჩნდა იმის მოთხოვნის უფლება, რომ წევრ სახელმწიფოებს თავიანთი სამართლის გამოყენებით დაეცვათ მისი ინტერესები და სისხლისსამართლებრივ დელიქტებს ეფექტურად შებრძოლებოდნენ, თუმცა, როგორც ვხედავთ, ეს თვითონ სახელმწიფოს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ზოგადად, დაცვის ეს ვალდებულება იმავე მე-10 მუხლიდან გამომდინარეობდა (EGV) და *ლოიალობის პრინციპი* ეწოდება.[7] ევროგაერთიანების გადმოსახედიდან, ცალკეულმა სახელმწიფოებმა თავიანთი მოვალეობები ლოიალურად უნდა შეასრულონ. ეს ნიშნავს მოვალეობების ერთიან და განუსაზღვრელ შესრულებას შიდასამართლებრივი სისტემების დაახლოვების კონტექსტში.[8]

ეს მექანიზმებია:

– გაერთიანების სამართალში მითითება ნაციონალურ სისხლის სამართალზე („ასიმილაცია“);

– ნაციონალურ სამართალში მითითება გაერთიანების სამართალზე;

---

1 *Hecker,* Europäisches Strafrecht , 2007, გვ. 386.

2 *Satzger,* Internatioanles und Europäisches Strafrecht, 2009, გვ. 154.

3 *Satzger,* Internatioanles und Europäisches Strafrecht, 2009, გვ. 154; ასევე: *Dannecker,* JURA, 2/2006, გვ. 99.

4 *Dannecker,* JURA, 2/2006, გვ. 99.

5 *Ambos,* Internationles Strafrecht, 2008, გვ. 422.

6 *Satzger*, Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 187.

7 *Hecker,* Europäisches Strafrecht, 2007, გვ. 239.

8 dawvr. *Herdegen,* Europarecht , 2005, გვ. 84.

– ჰარმონიზაცია დირექტივების მეშვეობით;

– ჰარმონიზაცია, ასიმილაცია სხვა პრონციპებიდან გამომდინარე.

ასიმილაცია – ეს არის გაერთიანების სამართლებრივი სიკეთეების დაცვის ყველაზე ეფექტური შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში, ნაციონალური და გაერთიანების სამართალი საერთო კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. ადგილობრივი და საერთოევროპული ნორმების კომბინაციის შედეგად იქმნება *დანაშაულის სუპრანაციონალური ერთობლივი შემადგენლობა.*[1] ამით, გარკვეულწილად, ევროპული სისხლის სამართლის არარასებობის ნაკლის კომპენსირება ხდება და ეს მაგალითი ნამდვილი სუპრანაციონალური სისხლის სამართლის ნიმუშადაც მოიაზრება.[2]

ზემოაღწერილ კონსტრუქციას პრაქტიკაში მნიშვნელოვან პრობლემებამდე მივყავართ. ის შიდაეროვნული სისხლის სამართლის ექსპანსიას იწვევს.[3] ასიმილაცია სუპრანაციონალური შემადგენლობების წარმოშობად ან ნაციონალური ნორმების ევროპეიზაციად შეიძლება შეფასდეს, თუმცა ორივეს საბოლოოდ მსგავსი შედეგი აქვს: ადგილობრივი სისხლისსამართლებრივი შემადგენლობების ექსპანსია მიიღწევა სუპრანაციონალური ევროპული ნორმების გამოყენებით, თუმცა ეს შემადგენლობები, საერთოევროპული სამართლის უპირატესი რანგის პრინციპიდან გამომდინარე, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიმართ მაინც ძალას კარგავს,[4] ანუ, საბოლოო ჯამში შედეგი მაინც გაურკვეველია.

დამატებით პრობლემას წარმოადგენს განსხვავებების არსებობა სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის. ევროკომისია შეეცადა კიდეც, რომ კვლევების მეშვეობით ეს ბარიერი გადაელახა, თუმცა შედეგმა კიდევ უფრო ნათლად უჩვენა, რომ ეს რეალურად შეუძლებელია. მაგალითად, თაღლითობის შემადგენლობის გაგება იტალიაში, გერმანიასა და საფრანგეთში სრულიად განსხვავებულია. პრობლემურია იურიდიული პირის პასუხისმგებლობის თემაც. ის ყველა სახელმწიფოში არ არის აღიარებული. ყოველივე ამან ნათლად უჩვენა, რომ მხოლოდ ასიმილაციის მეშვეობით საერთოევროპული სამართლებრივი სიკეთეების დაცვა არ იქნებოდა სრულყოფილი.[5] მერყევი სიტუაციიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ახალი გზების ძიება.[6] შემუშავებულ იქნა დოკუმენტი სახელად *Corpus Juris – ევროპის ფინანსური ინტერესების დაცვა*. ის, მართალია, სიახლეს წარმოადგენდა, მაგრამ დაფუძნებული იყო უკვე ნაცნობ პრინციპებზე: ასიმილაცია, კოოპერაცია და ჰარმონიზაცია. საინტერესოა ამ სამი მექანიზმის შეფასება *Corpus Juris*-ის 1996 წლის პროექტში: „ასიმილაციის უპირატესობაა მისი პრაქტიკულობა და უბრალოობა, თუმცა ის არ იძლევა იმის გარანტიას, რომ დაცული იქნება თანასწორობის პრინციპი ყველა სუბიექტის მიმართ; თანამშრომლობა პოლიციისა და იუსტიციის სფეროში – გამიზნული ეფექტურობის ასამაღლებლად, სინამდვილეში მეტ გართულებებს იწვევს; ეს ეხება ჰარმონიზაციის პრინციპსაც...“[7] ეს შესავალი ნათლად მიუთითებს არსებულ ხარვეზებზე.

მიუხედავად *Corpus Juris*-ის ეკონომიკური დელიქტებით შემოფარგვლისა, ის ევროპული

---

1 *Hecker*, Europäisches Strafrecht , 2007, გვ. 230.

2 *Satzger*, Europäisierung des Strafrechts, 2001, გვ. 188.

3 *Ambos*, Internatioanles Strafrecht, 2008, გვ. 423.

4 იხ. იქვე.

5 *Bacigalupo*, in: *Schünemann* (Hrsg.), Ein Gesamtkonzept für die europäische Strafrechtspflege, 2006, გვ. 82; შეად. *Ambos*, Internationales Strafrecht, 2008, გვ. 424, ასევე: *Hecker*. Europäisches Strafrecht, 2007. გვ. 240.

6 *Bacigalupo*, in: *Schünemann* (Hrsg.), Ein Gesamtkonzept für die europäische Strafrechtspflege, 2006, გვ. 83.

7 დაწვრ. იხ. იქვე.

სისხლის სამართლის მამოძრავებელ ძალად მიიჩნევა, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრინციპებზე.[1]

პროექტი შეიცავს რვა სისხლისსამართლებრივ შემადგენლობას და ზოგად ნაწილს,[2] მაგრამ ეს შეზღუდვა, სავარაუდოდ, დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს.[3] სწორედ დელიქტების რაოდენობის გაფართოვების შესაძლებლობამ, რომელსაც ეს დოკუმენტი მოიცავს, გამოიწვია ის, რომ მრავალჯერ იქნა გაკრიტიკებული. ყურადღება გამახვილდა *ultima ratio*-სა და დემოკრატიის პრინციპებზე. საფრთხის შემცველად შეფასდა ზოგადი ნაწილის ღია ფორმულირებებიც, რომლებიც შესაძლებელია, მომავალში წმინდა საერთო ინტერესების დაცვის ფარგლებს გასცდეს.[4]

მიუხედავად ასეთი შეფასებებისა, უნდა აღინიშნოს ამ პროექტის დიდი მნიშვნელობა. მან პირველად დააყენა საკითხი იმ კონკრეტული სფეროების შესახებ, რომლებიც დაცულ უნდა იქნენ და, ამასთანავე, საფუძველი ჩაუყარა ფართო დისკუსიას ევროპულ სივრცეში სისხლის სამართლის როლის თაობაზე.[5]

საინტერესოა ის გადაწვეტილებაც, რომ *Corpus Juris* მისი ძალაში შესვლის კონკრეტულ ვადებსა და ფორმებს არ ადგენს, რაც ერთმნიშვნელოვნად სწორი მიდგომაა. ეს იძლევა შემდგომი დისკუსიების შესაძლებლობას ევროკავშირის ფარგლებში სისხლის სამართლის განვითარების შესახებ.

სამწუხაროდ, დღეისათვის *Corpus Juris* ერთგვარად დახშულ წრეში მოექცა. ასიმილაციის პრინციპით გამოწვეული პრობლემების გადალახვის მცდელობა, სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი სისტემების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ჩაანაცვლა დემოკრატიულობის პრინციპის კრიტიკამ. ამიტომაც კონკრეტულად ფინანსური ინტერესების დაცვის თემა და ზოგადად ევროპული სისხლის სამართლის თემა ისევ ღიად დარჩა. კრიტიკასთან ერთად შემოთავაზებულ იქნა ალტერნატიული პროექტიც, სადაც ევროპული კონსტიტუციაც იქნა განხილული და შემდეგი ნეგატიური შეფასება მიეცა: „მასში მოჩანს ხერხემალში გადატეხილი ევროპული სისხლის სამართლის სილუეტი"-ო.[6]

კრიტიკა არა მხოლოდ კონკრეტული საკითხებით შემოიფარგლება, არამედ სიღრმეებში მიდის *სამართლებრივი კულტურის* დონემდე. განსაკუთრებით აქტიურია *გერმანული სკოლა*, რომელიც სამართლებრივი აზროვნებების განსხვავებებზე აკეთებს აქცენტს. გერმანული სკოლა აკრიტიკებს თუნდაც დირექტივებს ან ორმხრივი აღიარების პრინციპს ევროკავშირის ფარგლებში. რადგანაც ასეთი საკითხები მთავრობების დონეზე წყდება, სხვა მხარეებს მხოლოდ „ლაქიის" ფუნქცია რჩებათ – ასეთია მისი პოზიცია.[7] კრიტიკოსები განმანათლებლობის ეპოქის იდეებსაც არ ივიწყებენ.[8] მთავარია მოქალაქეების უფლებების დაცვა მთავრობებისა და ზოგადად ბრიუსელის მხრიდან. ევროკავშირის მთავარი მიზანი – თავისუფლება, უსაფრთხოება და სამართალი გულისხმობს არა მხოლოდ სისხლის სამართლის გამოყენებას, არამედ მისგან დაცვასაც და რადგანაც ეს დარგი სპეციფიკურია ქვეყნების კულტურის შესაბამისად, ის მათსავე კომპეტენციაში უნდა დარჩეს. კრიტიკოსების, განსაკუთრებით

---

1 *Hecker,* Europäisches Strafrecht, 2007, გვ. 533.

2 დაწვრ. *Vormbaum,* Schutz der Rechtsgüter von EU-Staaten durch das deutsche Strafrecht, 2005, გვ. 83.

3 იხ. იქვე, გვ. 84.

4 იხ. იქვე, გვ. 86.

5 *Hecker,* Europäisches Strafrecht, 2007, გვ. 535-536.

6 *Schünemann,* Alternativentwurf Europäische Strafverfolgung, 2004, გვ. 37.

7 *Schünemann,* in: *Hefendehl(Hrsg.),* Empirische und dogmatische Fundamente, kriminalpolitischer Impetus, 2005, გვ. 375.

8 იხ. იქვე, გვ. 376.

გერმანელი მეცნიერების, ასეთ შეფასებებს ზოგიერთი *„ნაციონალურ სიამაყედ“* მიიჩნევს[1].

უნდა აღინიშნოს, რომ *სამართლებრივი კულტურის საკითხი* თანამედროვე ეპოქაში ერთგვარად მოძველებულად მოჩანს. არსებობს იმის უამრავი მაგალითი, რომ ერთმანეთისგან სხვადასხვა სამართლებრივი ინსტიტუტები იქნა გადაღებული. ეს ეხება როგორც მატერიალურ, ასევე საპროცესო სამართალს. გერმანული სისხლისსამართლებრივი კულტურა, ხაზგასმული ათასჯერ, თვითონვე არის ანგლო-ამერიკული სისტემის გავლენის ქვეშ. აქის კარგი მაგალითია საპროცესო შეთანხმება, რომელიც 70-იანი წლებიდან მოყოლებული აქტიურად დე-ფაქტო გამოიყენება პრაქტიკაში. ანუ კულტურული სხვაობების მიუხედავად, დრომ მაინც მოიტანა ის, რომ საპროცესო შეთანხმებამ კონტინენტურ ევროპაშიც გაიდგა ფესვები. ის გამოიყენება პოლონეთში, იტალიაში. ბოლოს მიუერთდა რუსეთიც.[2]

მსგავსი სიტუაციაა ნაფიც მსაჯულებთან მიმართებაშიც. ეს არის ტიპიური ამერიკული თემა, მაგრამ სხვადასხვა ფორმით სხვა ქვეყნებშიც დანერგილი.

არა სისხლის სამართლის ევროპეიზაციაზე, არამედ უკვე გლობალიზაციაზე შეიძლება იყოს საუბარი. ამიტომ ერთი ქვეყნის სისხლის სამართლის სხვებისგან „რკინის კედლით“ გამიჯვნა შეუძლებელია და არის უტოპია, განსაკუთრებით, ორგანიზებული დამნაშავეობის გაზრდის ფონზე.

ურთიერთთანამშრომლობის აუცილებობის კარგი მაგალითია ქალაქ დუისბურგის (გერმანია) შემთხვევა, სადაც 2007 წელს ექვსი იტალიელი იქნა საჯაროდ მოკლული. მოგვიანებით სავარაუდო მკვლელები დააკავეს, თუმცა პრობლემები შეიქმნა მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებით. ერთმა გამომძიებელმა ამ სიტუაციას *„ევროპაში ორგანიზებულ კრიმინალთან ბრძოლის უმდაბლესი წერტილი“* უწოდა.

პრობლემა იყო შემდეგში: მოცემული შემთხვევით სამი ქვეყანა – იტალია (მსხვერპლი), გერმანია (დანაშაულის ჩადენის ადგილი) და ნიდერლანდები (ეჭვმიტანილების დაკავების ადგილი) იყო დაინტერესებული და სწორედ აქ გაჩნდა ხარვეზები კოოპერაციასთან მიმართებაში. გერმანელ გამომძიებლებს არ მიეცათ საშუალება, გასცნობოდნენ იმ მტკიცებულებებს, რაც დანარჩენ ორ ქვეყანაში იქნა მოპოვებული. კვალის შედარების ანალიზები, რაც იტალიიდან იქნა გამოთხოვილი, დღემდე არ არის მიღებული და იტალიას ამას ვერც მოსთხოვენ, რადგან მას ევროკავშირის ფარგლებში მონაცემთა შედარების შესახებ ხელშეკრულებისათვის ხელი არ მოუწერია. ასევე ნიდერლანდების იუსტიციამაც მხოლოდ მტკიცებულებების ნაწილი გახადა იტალიისა და გერმანიისათვის ხელმისაწვდომი.

ეს გაურკვევლობა უჩვენებს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის სფეროში ურთიერთთანამშრომლობა არ ფუნქციონირებს.[3] ეს გამოწვეულია იმით, რომ სამართლებრივი ტრადიციის ხაზგასმით, ყველა ქვეყანა თავის სამართალს ეყრდნობა და შესაბამისად, ყველაფერი ძველებურად რჩება.

დირექტივები – განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ევროგაერთიანებაში სწორედ დირექტივები ასრულებენ. ისინი არიან არა პირდაპირი მოქმედების, არამედ მეორადი, ირიბი მოქმედების ნორმები.

ევროგაერთიანების ხელშეკრულების (EGV) 249-ე მუხლის მესამე აბზაცი მას სრულ სავალდებულობას არ ანიჭებდა. ის მხოლოდ მისაღწევ მიზანთან მიმართებაში იყო სავალდებულო და ამის ხერხი და საშუალება თვითონ კონკრეტულ სახელმწიფოს უნდა გადაეწყვიტა. მაშინ როდესაც ჩარჩო-გადაწყვეტლება მთლიანად სავალდებულოა, დირექტივა

---

1 *Schünemann.* Alternativentwurf europäische Strafverfolgung. 2004, გვ. 78.

2 დაწვრ. *Schünemann.* Wetterzeichen vom Untergang der deutschen Rechtskultur. 2005.

3 დაწვრ. DER SPIEGEL. Nr. 18/2009, გვ. 66.

მხოლოდ სამართლებრივი სისტემების დაახლოვებას ისახავს მიზნად.[1]

დირექტივის პრაქტიკაში გასატარებლად ორი საფეხურია საჭირო. თავდაპირველად ხდება წევრი სახელმწიფოებისათვის მარეგულირებელი პროგრამის გამოცემა და შემდგომ ეს სახელწიფოები გამოსცემენ მის შესაბამის შიდა ნორმებს (სწორედ ამიტომაც არის დირექტივა „მეორადი"). ეს არის ჰარმონიზაციის კლასიკური ინსტრუმენტი. დირექტივები შეიცავენ კონკრეტულ ვადებსა და გარკვეულ თავისუფალ სივრცეს მათ ნაციონალურ სამართალში გადასატანად, თუმცა ეს ფარგლები ზოგჯერ საკმაოდ ვიწროა.[2]

ევროგაერთიანების სასამართლო ცდილობს ყოველთვის წინ აღუდგეს დირექტივების არასრულყოფილ განხორციელებას სახელმწიფოების მიერ და ისეთი საფუძვლები, როგორიცაა, მაგალითად, ვადები ან ევროგაერთიანების შესახებ ხელშეკრულებასთან შეუსაბამობა, არასაპატიოდ მიაჩნია.[3] სასამართლო თვლის, რომ სახელმწიფოებმა მათთვის მინიჭებული ყველა უფლებამოსილება უნდა გამოიყენონ და დააყენონ საკითხი შესაბამისი ორგანოების წინაშე ვადის გაგრძელების თაობაზე ან 230-ე მუხლის (EGV) მეშვეობით დაიწყონ წარმოება მისი ხელშეკრულებასთან შესაბამისობის თაობაზე და არა თავი იმართლონ.[4]

ახალი შიდასამართლებრივი ნორმების გამოცემა არ არის საჭირო, მაშინ, როდესაც დირექტივის მიზნის მისაღწევად საჭირო მექანიზმები ქვეყნის შიგნით ისედაც არსებობდა. დირექტივის გამოცემის შემდგომ მოხდება უბრალოდ მათი ახლებურად, საერთოევროპული კონტექსტიდან ინტერპრეტირება, ანუ წარმოიშობა ევროპეიზებული ნაციონალური ნორმები.[5]

დირექტივის შესაბამისი მიზნის სრულყოფილად განსახორციელებლად მხოლოდ ახალი ნორმების გამოცემა საკმარისი არ არის. ევროგაერთიანების სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ *საჯარო უფლებამოსილებების მატარებელი ყველა პირი, იქნება ეს მოსამართლე თუ სხვა ვინმე, ვალდებულია დასახული მიზნის შესაბამისად იმოქმედოს და ყველა შესაბამისი ზომა გაატაროს.*[6] ანუ ფაქტობრივად მთელი სამართლებრივი სივრცე დირექტივის შესაბამისი განმარტების ჩარჩოებში ექცევა.[7] სასამართლო *„მარლესინგის"* გადაწყვეტილებაში კიდევ უფრო შორს წავიდა[8] და მიუთითა, რომ *ადგილობრივი ნორმა, გამოცემული დირექტივის გამოცემამდე თუ მის შემდეგ, მაინც მის შესაბამისად უნდა იქნეს განმარტებული.*[9] ასევე მან სხვა გადაწყვეტილებაშიც მიუთითა შემდეგი: *ნაციონალურმა სასამართლომ ისე უნდა მოახდინოს მთელი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის განმარტება, რომ დირექტივის არსი არ დაირღვეს.* [10]

ასეთი ყოვლისმომცველი მითითებების შემდგომ, ჩნდება სხვადასხვა ნორმების ინტერპრეტაციის ფართო შესაძლებლობა. ეს საფრთხე ევროპის სასამართლომაც დაინახა და თავის პრაქტიკაში არ დავიწყებია იმაზე მინიშნება, რომ სასამართლოებმა იმდენად ფართო ინტერპრეტაციაც არ უნდა მოახდინონ, რომ რეალობაში კანონმდებლის ფუნქცია შეითავსონ.[11] საერთაშორისო ნორმების განმარტების ფარგლებს, როგორც უკვე აღინიშნა, თვითონ

---

1 *Walzel/Becker*, JURA, 9/2007, გვ. 654.

2 *Herdegen*, Europarecht, 2005, გვ. 158.

3 *EuGHE* C-260/93, ასევე C-71/97.

4 *Walzel/Becker*, JURA, 9/2007, გვ. 654.

5 *Hecker*, Europäisches Strafrecht, 2007, გვ. 352.

6 *EuGHE* 14/83 „Colson und Kamann".

7 *Heise*, ციტ. *Hecker*-ის მიხედვით, Europäisches Strafrecht, 2007, გვ. 350.

8 *EuGHE* 1990, 4135.

9 *Hecker*, Europäisches Strafrecht, 2007, გვ. 351.

10 *EuGHE* 397/01.

11 *Walzel/Becker*, JURA, 9/2007, გვ. 656.

კანონმდებელი ადგენს, ამიტომაც სასამართლოებისათვის ამოსავალი წერტილიც ეს ჩარჩოებია და მის საზღვრებს არ უნდა გასცდნენ.[1] ეს ასე რომ არ იყოს, მოხდებოდა ფაქტობრივად პარალელური სისხლის სამართლის ჩამოყალიბება.[2]

ზოგიერთ შემთხვევაში, დირექტივას პირდაპირი მოქმედების ძალაც გააჩნია. ასეთ შემთხვევაში, მას დამატებით ადგილობრივი ნორმა არ სჭირდება. ყველა სახელმწიფო ორგანო ხდება ვალდებული, მის შესაბამისად იმოქმედოს.[3] მაშასადამე, ნებისმიერ პირს შეუძლია მიუთითოს მასზე თავისი უფლებების დასაცავად, თუნდაც მაშინ, როდესაც დირექტივის კონკრეტულ სახელმწიფოში გადასატანად არანაირი ნორმა არ გამოცემულა (ანუ მეორე საფეხური გამოტოვებულია).[4] ამით სახელმწიფოს ერთმევა შესაძლებლობა, თავისივე არასწორი ქმედებების გამო დირექტივის რეალობაში გატარებასთან მიმართებაში მოქალაქის წინაში პასუხი არ აგოს. უშუალო მოქმედების ძალა ხელს უწყობს გაერთიანების სამართლის რეალურ განხორციელებას.[5]

ასეთი მოქმედება შემდეგ კრიტერიუმებზეა დამოკიდებული, რომლებიც ჩამოაყალიბა ევროგაერთიანების სასამართლომ:[6]

— დირექტივის საკმარისად ზუსტი ფორმულირება, როდესაც ადგილობრივი კანონმდებლისათვის მოქმედების თავისუფალი სივრცე არ რჩება (ე.წ. *self-executing);*

— დირექტივის ადგილობრივ კანონმდებლობაში გადატანის ვადის გასვლა ისე, რომ ეს სრულყოფილად არ მომხდარა;

— არანაირი პირდაპირი მოქმედება დირექტივისა, თუ ის მოქალაქის მდგომარეობას აუარესებს. ეს ხდება მხოლოდ მდგომარეობის შემამსუბუქებელ შემთხვევაში.[7]

ვადის საკითხი ზოგჯერ რთული გადასაწყვეტია. თუ ის ისე გავიდა და შესაბამისი საკანონმდებლო ღონისძიებები არასრულყოფილად იქნა გატარებული, მოწმდება, არის თუ არა უკვე მიღებული ზომები დასახული მიზნის მისაღწევად საკმარისი. როდესაც ადგილობრივ კანონმდებელს მოქმედების ფართო არეალი ჰქონდა თვითონ ევროპული ორგანოების მხრიდან მიღებული, მაშინ ამის გარკვევა არცთუ ადვილია.[8]

ამ საკითხის გარკვევის დროს მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს კითხვას: იყო თუ არა დირექტივა საკმარისად ზუსტი და შინაარსობრივად სავალდებულო?[9] ის შინაარსობრივად ზუსტია, როდესაც ერთმნიშვნელოვან ვალდებულებებს შეიცავს.[10] მნიშვნელოვანია, ასევე სასამართლოების შესაძლებლობა, შეძლონ კონკრეტული ვალდებულების შინაარსის დადგენა.[11] ამიტომაც გასარკვევია, ვის, ვისგან, რისი მოთხოვნის უფლება აქვს.[12] მაგრამ სწორედ ასეთი სიზუსტე აკლია მაშინ, როდესაც დირექტივა მხოლოდ ზოგად მითითებებს შეიცავს და ამავდროულად სახელმწიფოებსაც მოქმედების ფართო საშუალება ეძლევათ, გარდა ამ

---

1 იხ. იქვე.

2 *Hecker,* Europäisches Strafrecht, 2007, გვ. 362, ასევე ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებით იხ: *Ambos,* Internationales Strafrecht, 2008, გვ. 442.

3 *Lorenzmeier/Rohde,* Europarecht , 2005, გვ. 160.

4 *Walzel/Becker,* JURA. 9/2007, გვ. 656.

5 იხ. იქვე, გვ. 657.

6 *EuGHE* Rs. C-6/90.

7 *Lorenzmeier/Rohde*, Europarecht, 2005, გვ. 161.

8 *Walzel/Becker,* JURA, 9/2007, გვ. 657.

9 იხ. იქვე.

10 *EuGH* Rs. 271/81.

11 *Schroeder,* ციტ. *Walzel/Becker*-ის მიხედვით, JURA, 9/2007, გვ. 657.

12 *EuGH* Rs. C-6/90.

მოქმედების ფარგლების გარკვეული საზღვრების არსებობისა.[1]

შინაარსობრივად დირექტივა სავალდებულოა სხვა არანაირი ღონისძიების გატარების საჭიროების შემთხვევაში.[2]

პირდაპირი მოქმედების თემა ლიტერატურაში სადავოა. მომხრეები მას ევროსასამართლოს პოზიციით ასაბუთებენ, თუმცა როგორც უკვე დავინახეთ, ეს ზოგადად არცთუ იშვიათად პრობლემატურია.[3]

ფრანკოვიჩის შემთხვევა (EuGHE C-6/90)

ეს მნიშვნელოვანი შემთხვევაა დირექტივებთან დაკავშირებით. ევროკავშირის სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრინციპი, რაც მანამდე პირდაპირ გაერთიანების სამართალში ჩადებული არ ყოფილა.[4]

შემთხვევა შემდეგი შინაარსისაა: დირექტივა 80/987 ითვალისწინებდა მუშაკის მინიმალურ ფინანსურ დაცვას სამუშაოს მიმცემის გადახდისუუნარობის შემთხვევაში. ეს ეხებოდა განსაკუთრებით შრომის ანაზღაურებას. ეს ევროპული დირექტივა იტალიამ თავის დროზე არ გადაიტანა შიდა კანონმდებლობაში. ამ დროს ერთ-ერთმა იტალიელმა მუშაკმა, ფრანკოვიჩმა, სარჩელი შეიტანა თავისი ფირმის წინააღმდეგ, რადგანაც მისგან თვეობით ხელფასი არ მიეღო. მართალია, მან ყველა სასამართლო ინსტანციაში მოიგო, თუმცა თანხა ვერ მიიღო, რადგან ფირმა გაკოტრებული იყო. ამის გამო მან ანაზღარება იტალიის სახელმწიფოსაგან მოითხოვა.

ევროგაერთიანების სასამართლომ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა შემდეგი დასაბუთებით: *კონკრეტული სუბიექტი უფლებებს იძენს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ევროგაერთიანების შესახებ ხელშეკრულებით პირდაპირ არის გათვალისწინებული, არამედ მაშინაც, როდესაც ეს ხელშეკრულება სახელმწიფოებს ვალდებულებებს ნათლად აკისრებს.* დირექტივის მოქმედება, რომელმაც ცალკეული პირები უნდა დაიცვას, ძალიან შეზღუდულია ვადის დარღვევის დროს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შეუძლებლობის შემთხვევაში.[5]

სისხლის სამართლის კონტექსტში მნიშვნელოვანია *კოლპინგუის ნიიმეგენ*-ის შემთხვევა (Kolpinghuis Nijmegen).[6] აქაც ვადის დარღვევასა და უშუალო მოქმედებაზე იყო საუბარი, თუმცა, უკვე პირიქით, მოქალაქის მდგომარეობის გაუარესების კუთხით.[7] სასამართლომ დაადასტურა ადრეული პოზიცია და მიუთითა შემდეგი: *ადგილობრივ კანონმდებლობაში არადროული იმპლემენტაციის შემთხვევაში დაუშვებელია მოქალაქის პასუხისმგებლობით დამძიმება. სახელმწიფო მოხელეს არა აქვს უფლება, იმ დირექტივაზე დაყრდნობით მოსთხოვოს მას პასუხი, რომლის იმპლემენტაციაც ჯერ არ მომხდარა.*

სადავოა დირექტივებიდან გამომდინარე უფლება-ვალდებულებების თემა კერძო პირებს შორის. ეს პოზიცია უარყოფილ იქნა. ასეთმა მიდგომამ შეიძლება ერთის უფლებების დაცვის ხარჯზე მეორის უფლებების დარღვევა გამოიწვიოს.[8]

---

1 *Walzel/Becker*, JURA, 9/2007, გვ. 657.

2 *Walzel/Becker*, JURA, 9/2007, გვ. 657.

3 იხ. იქვე, გვ. 658.

4 *Lorenzemeier/Rohde*, Europarecht, 2005, გვ. 162.

5 იხ. იქვე, გვ. 162-163.

6 *EuGHE* 1987, 3969.

7 *Hecker*, Europäisches Strafrecht , 2007, გვ. 364.

8 *Herdegen*, Europarecht, 2005, გვ. 164.

3. ევროგაერთიანების მიერ სისხლისსამართლებრივი მითითებების გაკეთების კომპეტენცია

რადგანაც დირექტივები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ გაერთიანების ცხოვრებაში, მოგვიანებით მიღებულ იქნა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი კომპეტენციის კონტექსტში. ამ დავებმა გარემოსდაცვით სისხლისსსამართლებრივ საკითხს ეხებოდა.[1] ევროგაერთიანების ევროპული სასამართლოს წინაშე პირველად დააყენა პრობლემატური და სადავო საკითხი, შესაძლებელია თუ არა დირექტივის მეშვეობით გაერთიანების მიერ სახელმწიფოებისადმი მითითება სისხლისსამართლებრივი ნორმის შექმნის შესახებ.[2] ამას სასამართლო დაეთანხმა, რამაც „ერთგვარად ფურორი გამოიწვია".[3] ეს გადაწყვეტილებები საინტერესოა სისხლის სამართლის მომავალი განვითარების, ასევე განსაკუთრებით ლისაბონის ხელშეკრულების კონტექსტში.[4] ეს მაგალითები გვიჩვენებენ, ადრე მოქმედი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, არსებობდა თუ არა სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაციის კომპეტენცია.[5]

3.1 პირველი გადაწყვეტილება – C-176/03

საქმე ეხებოდა კომისიის სარჩელს, რომელიც დაკავშირებული იყო 2003 წელს საბჭოს მიერ გამოცემულ ჩარჩო-გადაწყვეტილებასთან „გარემოს სისხლის სამართლის მეშვეობით დაცვის შესახებ". იგი მიღებულ იქნა ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებისის (EUV: ძველი რედაქცია) 34-ე მუხლის II აბზ. 2b ქვეაბზაცის თანახმად, თუმცა იმავდროულად ამაზე ევროკომისიამ გამოსცა დირექტივა სხვა, ევროგაერთანების ხელშეკრულების 175-ე მუხლზე დაყრდნობით. ამიტომაც მან დააყენა საკითხი ჩარჩო-გადაწყვეტლიების ძალადკარგულად ცნობის შესახებ და მიუთითა 47-ე მუხლზე (EUV).[6]

სასამართლომ 2005 წლის 13 სექტემბერს ეს დოკუმენტი ძალადაკარგულად ცნო. ამან დიდი დისკუსიები გამოიწვია. ერთნი ამას ევროპული სისხლის სამართლის თავდაყირა დაყენებად მიიჩნევენ,[7] მეორენი კი – დადებითად შეფასების ღირსად.[8]

რაც შეეხება თვითონ გადაწყვეტილების შინაარსს, მასში ევროგაერთიანების სასამართლომ ხაზი გაუსვა გარემოს დაცვას, როგორც გაერთიანების არსებით მიზანს. აღნიშნულ იქნა, რომ, მართალია, ძირითადად სისხლის სამართალი გაერთიანების კომპეტენციაში არ შედის, თუმცა ეს არ გამორიცხვას წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლისადმი მიმართულ ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა, რათა მოხდეს გამოცემული ნორმების სრულყოფილი რეალიზება და როდესაც ეს გარემოს დასაცავად აუცილებელ ნაბიჯს წარმოადგენს. ანუ ევროგაერთიანების ხელშეკრულების (EGV) 280-ე მუხლის მე-4 ნაწილი არ ეწინააღმდეგებოდა მითითებების შესაძლებლობებს გარემოს დაცვის სფეროში.

კრიტიკამ გადაწყვეტილების ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობა დაიწუნა და მი-

---

1 EuGHE Rs. C-176/03, C-440/05.

2 *Kubiciel,* NStZ, 3/2007, გვ. 136.

3 *Zimmermann,* NStZ, 12/2008, გვ. 662.

4 დაწერ. იხ. იქვე.

5 იხ. იქვე, გვ. 663.

6 დაწერ. *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht, 2009, გვ. 120.

7 მაგალითად, *Zimmermann*, NStZ, 3/2007, გვ . 663.

8 *Hecker,* Europäisches Strafrecht , 2007, გვ. 291.

უთითა, რომ მიუხედავად გარემოს დაცვაზე ხაზგასმისა, სასამართლო არ მალავს სურვილს, რომ შემდგომში მთლიანად ევროკავშირის ზოგადი სისხლისსამართლებრივი უფლებამოსილება აღიაროს.[1]

ასევე კრიტიკოსების მოსაზრებით, სისხლის სამართალი განხილულ იქნა, როგორც ინსტრუმენტი საერთო მიზნების მისაღწევად და სწორედ ეს მიდგომა არის გასაღები მთლიანი სისხლისსამართლებრივი კომპეტენციის კარის გასაღებად.[2] გამოთქმული იქნა ის მოსაზრებაც, რომ ზოგადი სისხლისსამართლებრივი კომპეტენციის არქონის შემთხვევაში არც მითითების უფლებაა გამართლებული.[3] სისხლის სამართალი არ არის ჰარმონიზაციის საგანი, არამედ საშუალება გაერთიანების მიზნების მისაღწევად.[4]

მთელი გადაწყვეტილება მხოლოდ ამ პუნქტებამდე რომ დავიყვანოთ, არ იქნება გამართლებული. ეს კრიტიკა ძირითადად გამომდინარეობს ევროკომისიის ერთ-ერთი მიმართვიდან საბჭოსა და ევროპარლამენტის წინაშე, სადაც შემდეგი რამ ეწერა: *როდესაც კომისია ჩათვლის, რომ გაერთიანების სამართლის სრული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სისხლისსამართლებრივი უზრუნველყოფა, მაშინ კომისიას შეუძლია სასჯელის სახეობისა და ზომის დადგენა.*[5] ანუ კომისია ერთპიროვნულად ცდილობს ამის გადაწყვეტას, მაგრამ ამის გამო სასამართლოს პოზიციის გაკრიტიკება არამართებულია. თუმცა იქვე გარკვეული კითხვები რჩება. მაგალითად, სასამართლო გარემოს დაცვის „პროფილურ ხასიათზე" საუბრობს, რაც კონკრეტული ფარგლების დადგენას ართულებს.[6]

3.2 მეორე გადაწყვეტილება – C-440/05

ეს გადაწყვეტილება 2007 წლის 23 ოქტომბერს იქნა მიღებული და ეხებოდა ზღვის დაბინძურებასთან ბრძოლას. როგორც მოსალოდნელი იყო, სასამართლომ თავისი ადრინდელი პოზიცია დაადასტურა.[7] მან აქაც დაადგინა ჰარმონიზაციის შესაძლებლობა.[8]

სასამართლომ განსაზღვრა შემდეგი: *მართალია სანქციის სახეობა და მოცულობა არ შეიძლება „პირველი ბოძის" ფარგლებში, ანუ დირექტივის საშუალებით განისაზღვროს, მაგრამ, ამასთანავე, მოცემულ შემთხვევაში, ჩარჩო-გადაწყვეტილების მიღებაც არამართებულია იმ საკითხთან მიმართებაში, რაც „მესამე ბოძში" არ შედის.* მიუხედავად ამისა, აქვე აღინიშნა, რომ ის ისეთ მოქმედებებს შეეხებოდა, რომლებსაც საზღვაო მიმოსვლის მნიშვნელოვნად შეფერხება შეეძლოთ.[9] დოკუმენტის რამდენიმე ნაწილი ითვალისწინებდა უსაფრთხოების გაუმჯობესებას და ამიტომ შესაძლებელი იყო მისი გამოცემა მე-80 მუხლის II აბზაცის (EGV) საფუძველზე.[10] მაგრამ, როგორც ითქვა, ეს სფერო გაერთიანების და, შესაბამისად, დირექტივის მოქმედების ფარგლებშიც ექცეოდა და რადგანაც ჩარჩო-გადაწყვეტილების

---

1 *Satzger,* Internationales und Europäisches Strafrecht, 2009, გვ. 120.

2 *Kubiciel,* NStZ, 3/2007, გვ . 137.

3 *Moll,* ციტ. *Kubiciel*-ის მიხედვით, NStZ, 3/2007, გვ. 137.

4 *Kubiciel,* NStZ, 3/2007, გვ. 137, ასევე: *Satzger,* Internationales und Europäisches Strafrecht, 2009, გვ. 121.

5 *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht, 2009, გვ. 122.

6 *Zimmermann,* NStZ,12/2008, გვ. 663.

7 *Satzger,* Internationales und Europäisches Strafrecht, 2009, გვ. 122.

8 *Zimmermann,* NStZ, 12/2008, გვ. 663.

9 *EuGHE* C-440/05, Rn. 67 (www. lehrbuch-satzger.de).

10 *EuGHE* C-440/05, Rn. 68.

„დაყოფა“ არ შეიძლება, ის მთლიანად უარყო სასამართლომ.[1] ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ საერთოსამართლებრივი აქტის შერჩევა და გამოცემა დამოკიდებულია ობექტურ და სასამართლოს მიერ გადამოწმებად გარემოებებზე. ეს გადამოწმება ეხება განსაკუთრებით მიზანსა და შინაარსს.[2] ეს განსაკუთრებით საინტერესო მომენტია. სასამართლო გამოდის ობიექტური და არა სუბიექტური პოზიციიდან და გეევლინება როგორც ერთგვარი დამამუხრუჭებელი მექანიზმი საჭიროების შემთხვევაში.

ევროგაერთიანების სასამართლომ კომისიის სარჩელი მთლიანდ არ დააკმაყოფილა. მისი მოსაზრებით, სისხლისსამართლებრივი სანქციის სახეობა და მოცულობა არ არის ევროგაერთიანების გადასაწყვეტი.[3] ამ კუთხით, ჰარმონიზაცია ისევ მთავრობათაშორისი ურთიერთთანამშრომლობით უნდა გადაწყდეს. ეს პოზიცია გვიჩვენებს ნაციონალური თავისებურებების გათვალისწინების აუცილებლობას და სრულ თანხმობას იმსახურებს.[4]

3.3 ორივე გადაწყვეტილების ერთიანი ანალიზი

ევროკავშირის სასამართლოს ზემონახსენებმა გადაწყვეტილებებმა სისხლის სამართლის განვითარებას სრულიად ახალი მიმართულებები მისცა. მინიმუმ პირველ გადაწყვეტილებამდე სიტუაცია სტატიკური იყო[5]. თუმცა სასამართლომ პირველად დააფიქსირა სისხლის სამართალში წევრი სახელმწიფოების მიმართ მითითებების გაკეთების შესაძლებლობა.[6]

ეს პოზიცია ძირითადად პოზიტიურად და მომავლისკენ მიმართულად უნდა შეფასდეს. არსებობს უამრავი კრიტიკოსი, რომლებიც დემოკრატიის პრინციპის დარღვევას ან, საერთოდ, სისხლისსამართლებრივ სფეროში ჩარევას დაუშვებლად მიიჩნევენ[7], თუმცა უნდა ითქვას, რომ უკვე დროა, ევროგაერთიანებამ ბოლოს და ბოლოს საერთო პრობლემების გადასაჭრელად სამართლის ეს დარგიც გამოიყენოს (რა თქმა უნდა, არა სრული მოცულობით) და მოხდეს მისი ტაბუსგან გათავისუფლება. თუ ჩვენ მხოლოდ მესამე ბოძს და სახელმწიფოთა კეთილ ნებას დავეყრდნობით, ვერასდროს ვერ მივალთ სრულყოფილ ურთიერთთანამშრომლობამდე, რადგან ეს ბოძი არასავალდებულო ხასიათს ატარებს.[8] გართულდება, ასევე საერთაშორისო დამნაშავეობასთან ბრძოლა. ასეთია თუნდაც გარემოს დაცვა და ბოლოს და ბოლოს ევროკავშირი შედგება წევრი სახელმწიფოებისაგან და მისი ორგანოებიც ამ სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან შედგება, შესაბამისად, გამოცემული დირექტივებიც ვინმე უცხოსაგან არ გამომდინარეობს.

ეს გაურკვევლობები იმითაც არის გამოწვეული, რომ თავის დროზე მაასტრიხტის ხელშეკრულებამ ორი დოკუმენტი: ევროგაერთიანების ხელშეკრულება (გერმანულად: EGV) და ევროკავშირის ხელშეკრულება (გერმანულად: EUV) წარმოშვა. მომავლისკენ მიმართული საკითხები – საგარეო და უსაფრთხოების, ასევე შინაგანი და იუსტიციის პოლიტიკის შეს-

---

1 *Ambos*, Internationales Strafrecht, გვ. 435.

2 *EuGHE* C-440/05. Rn. 61.

3 იხ. იქვე, Rn. 70.

4 *Zimmermann*, NStZ,12/2008, გვ. 665.

5 იხ. იქვე.

6 *Kaiafa-Gbandi*, in: *Schünemann* (Hrsg.), Ein Gesamtkonzept für die europäische Strafrechtspflege, 2006, გვ. 68.

7 მაგალითად, *Kaiafa-Gbandi*, in *Schünemann* (Hrsg.), Ein Gesamtkonzept für die europäische Strafrechtspflege, 2006, გვ. 68.

8 *Diehm*, WISTRA, 10/2006, გვ. 370.

ახებ – ცალკე, არცთუ მყარი ფუნდამენტის მქონე ევროკავშირის ხელშეკრულებაში მოთავსდა[1] და, აქედან მოყოლებული, ევროგაერთიანება იმ მატარებელს გვაგონებს, რომელიც ერთდროულად ორ ლიანდაგზე ცდილობს მოძრაობას.[2]

სწორედ ეს ორლიანდაგიანობა იწვევდა გაურკვევლობებს. თუმცა ევროკავშირის ხელშეკრულების პირველივე მუხლის III ნაწილში ეწერა შემდეგი: *ევროკავშირი დაფუძნებულია ევროპის გაერთიანებებზე და სრულყოფილია ამ ხელშეკრულებით შემოღებული პოლიტიკისა და ურთიერთთანამშრომლობის ახალი ფორმებით.* ეს ფორმები იყო მეორე და მესამე ბოძები და ის გარკვეული პრივილეგია, რომ სისხლის სამართალი მესამე ბოძს განეკუთვნება, არ ნიშნავს, იმავდროულად, ამ დარგის პირველი ბოძიდან გამორიცხვას.

სასამართლოს შეხედულებები მის ამ ორ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებში შემდგომმა განვითარებამ, კერძოდ, ევროკონსტიტუციის პროექტმა და ლისაბონის ხელშეკრულებამ დაადასტურა. მათ აქვე განვიხილავთ.

4. ევროპული კონსტიტუცია – ინტეგრაციის შედეგი?

დროის მიერ გაერთიანების წინაშე დაყენებული ახალი გამოწვევებისათვის პასუხის გაცემა უფრო და უფრო რთული გახდა. ეს არა რომელიმე კონკრეტულ სფეროს, არამედ კავშირის მთლიან ეფექტურობას ეხებოდა.

საკონსტიტუციო ხელშეკრულება არ იყო სრულიად ახალი იდეა. ეს იყო დაწყებული პროცესების გაგრძელება. ევროპული დაახლოების პროცესი დღეისთვის ისე შორს არის წასული, რომ თანაარსებობა მხოლოდ წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციებზე დაყრდნობით შეუძლებელია.[3]

ერთიან ძირითად დოკუმენტზე დისკუსიები ადრეული პერიოდიდანვე მიმდინარეობდა. ბოლო მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 70-იანი წლებში ევროპარლამენტის მიერ ევროკაშირის შესახებ პროექტის მიღება. ეკონომიკური გაერთიანების მექანიზმები არ იყო საკმარისი. 1994 წელს პარლამენტმა ევროპული კონსტიტუციის პროექტიც კი მოითხოვა. თუმცა შემდგომში პროცესები არსებული ხელშეკრულებების გაერთიანებით შემოიფარგლა. უფრო მეტისთვის სახელწიფოები ჯერ კიდევ არ იყვნენ მზად.[4] თუმცა შემდგომი განვითარების შეჩერება შეუძლებელი იყო და აუცილებელი გახდა არსებული გაურკვევლობების აღმოფხვრა. ეს კარგად გვიჩვენა სისხლის სამართლის მაგალითებმაც, სადაც არა ნორმალური მოქალაქე, არამედ კარგად განათლებული იურისტიც კი ხშირად ვერ ერკვევა. ერთი მხრივ, იყო თუნდაც ერთი სფეროს საერთო ბაზაზე დარეგულირების მცდელობა, მაგალითად, *Corpus Juris-ის* შემთხვევაში, მაგრამ ამავდროულად გაჩნდა კრიტიკა და ალტერნატიული პროექტები და სიტუაცია კვლავ უცვლელი და გაუგებარი დარჩა.

საერთო განვითარების პროდუქტი იყო კონსტიტუციის პროექტი, რომელამდეც ევროპა მივიდა. 2001 წელს ევროკავშირის საბჭომ მოიწვია ქალაქ ლეკენში „ყრილობა ევროპის მომავლის შესახებ".[5] მან შემდეგი საკითხები წამოჭრა: უფლებამოსილებათა უკეთესი გადანაწილება და განსაზღვრა, ევროკავშირის სამოქმედო მექანიზმების გამარტივება, მეტი

---

1 *Schäfer,* JA, 5/2006, გვ. 342.

2 იხ. იქვე.

3 *Möstl,* Verfassung für Europa. 2005, გვ. 20.

4 დაწვრ. *Streinz/Ohler/Hermann,* Der Vertrag von Lissabon zur Reform der EU, 2008, გვ. 3.

5 იხ. იქვე.

დემოკრატიულობა და ეფექტურობა, კონსტიტუციის პროექტამდე მისვლა[1].

რადგანაც ევროპის მომავლის საკითხი წევრი სახელმწიფოების გადასაწყვეტი იყო, კონვენტი შეიკრიბა მთავრობებისა და პარლამენტების წარმომადგენლების საფუძველზე. ევროპარლამენტარებისა და ადგილობრივი პარლამენტარების მონაწილეობის მიზანი იყო მცდელობა, ამ პროცესებში მოქალაქეების მეტ წარმომადგენლებს მიეღოთ მონაწილეობა. ინტერნეტში საჯარო დებატებიც კი იქნა შეთავაზებული ნებისმიერი პირისათვის. არ უნდა გამოგვრჩეს ასევე, რომ ეს კონვენტი არ იყო უფლებამოსილი კონსტიტუციის მისაღებად. ის მხოლოდ სადისკუსიოდ, რეკომენდაციების შესამუშავებლად შეიკრიბა[2].

2003 წლის 20 ივნისს მან ევროკავშირის საბჭოს წარუდგინა ევროპის კონსტიტიციის პროექტი და ამით მისი მისია ამოიწურა.

შემდგომი პროცესები შედარებით რთულად წარიმართა. 2003 წლის სამთავრობო კონფერენცია ინსტიტუციონალური საკითხების (მაგალითად, საბჭოში ხმის მიცემის უფლება) გამო ჩაიშალა. მიუხედავად ამისა, კომპრომისი გამონახულ იქნა და 2004 წლის 29 ოქტომბერს ხელი მოეწერა მთავრობათა და სახელმწიფოს მეთაურების მიერ ხელშეკრულებას ევროკავშირის კონსტიტუციის შესახებ. ეს პროცესები რატიფიკაციის პრობლემებმა შეაფერხა. აქ გადამწყვეტი როლი საფრანგეთმა და ნიდერლანდებმა ითამაშეს. ამით, მოცემული მომენტისათვის, პროექტი ჩავარდა, თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ პროცესების შემდგომი მიმდინარეობა საერთოდ შეჩერდა. ევროპის კონსტიტუციის შემდგომი ლოგიკური განვითარება იყო ლისაბონის ხელშეკრულება.

5. ლისაბონის ხელშეკრულება – ინტეგრაციის პროცესი გრძელდება

კონსტიტუციის ჩავარდნის პირველი შოკის შემდეგ დაიწყო ახალი გზების ძიება, რომლითაც ამ პროექტის არსებითი პუნქტები შენარჩუნებული იქნებოდა. ეს დასაბუთდა იმით, რომ რეფერენდუმებზე ჩავარდნის მიზეზი არა შინაარსი, არამედ სულ სხვა მოტივები იყო[3]. მაგრამ პირდაპირ ისევ იმავე შინაარსიის აქტის დადებაც არამართებული იქნებოდა[4].

კომპრომისის მიღწევა არცთუ ადვილი აღმოჩნდა. დაიწყო დავა ევროკავშირის შიგნით ფინანსების განაწილებაზე, თურქეთის გაწევრიანების საკითხზე და ა.შ. 2007 წლამდე არანაირი შედეგი არ დადგა და ევროპის სამუშაო რეზერვები ამოწურულად ჩანდა[5].

პროცესებს ახალი სტიმული მისცა 2007 წლის დასაწყისიდან გერმანიის თავმჯდომარეობამ. გერმანია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე „პრო-ევროპული" სახელმწიფო, დაინტერესებული იყო არსებული უთანხმოებების მოგვარებით, რაც მოახერხა კიდეც. ამის შემდეგ, 2007 წლის 13 დეკემბერს, პორტუგალიაში ხელი მოეწერა ახალ ხელშეკრულებას[6].

ეს „ახალი" პროექტი რეალობაში ევროკონსტიტუციისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. მაგრამ მიზანი, რომ ყველა საკითხი ერთ დოკუმენტში მოგვარებულიყო, დათმობილ იქნა. ლისაბონის ხელშეკრულებამ მოიცვა ორი დოკუმენტი: ევროკავშირის ხელშეკრულება (EUV) – არეგულირებს ევროკავშირის არსებით მხარეს და მეორე ხელშეკრულება ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ (AEUV). მან ევროგაერთიანების დაფუძნების შესახებ

---

1 *Fischer*, Der Europäische Verfassungsvertrag, 2005, გვ. 23.

2 *Streinz/Ohler/Hermann*, Vertrag von Lissabon, გვ. 19.

3 *Weidenfeld*, Lissabon in der Analyse, 2008, გვ. 16.

4 დაწვრ. *Streinz/Ohler/Hermann*, Vertrag von Lissabon zur Reform der EU, 2008, გვ. 27.

5 *Weidenfeld*, Lissabon in der Analyse, 2008, გვ. 16.

6 იხ. იქვე, გვ. 18.

ხელშეკრულება ჩაანაცვლა (EGV). აქ უბრალოდ სახელის შეცვლა მოხდა.

ლისაბონის ხელშეკრულების ხელმოწერით ევროკავშირის რეფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი ბარიერი იქნა გადალახული[1].

6. კომპეტენცია სისხლის სამართლის სფეროში

ზემოხსენებული რეფორმები, განხილული ზოგადად, შეეხება სისხლის სამართალსაც. 2009 წლის 1 დეკემბრამდე, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე, არსებული ნორმები არ იძლეოდა მკაფიო პასუხებს სხვადასხვა კითხვაზე ამ სფეროში. ამის თავიდან ასაცილებლად მოხდა სხვადასხვა ნორმების ახლებურად ჩამოყალიბება და ფორმულირება. ამას მოითხოვდა ახალი გამოწვევები ტექნოლოგიების განვითარებისა და გლობალიზაციის ფონზე[2].

6.1 თანამშრომლობა იუსტიციის სფეროში

თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის ერთიანი სივრცის შექმნის მიზნად დასახვით ევროკავშირმა ისეთივე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება დაიწყო, როგორიც იყო თავის დროზე თავისუფალი ბაზრის შექმნა[3]. როგორც უკვე ითქვა, ლისაბონის ხელშეკრულებამ იგივე ძირითადი კომპონენტები გადმოიტანა, რაც ევროკონსტიტუციის პროექტში იყო და ეს სამი ნიშანი: თავისუფლება, უსაფრთხოება, სამართალი მთლიან იუსტიციასა და შინაგან საქმეთა პოლიტიკას მოიცავს. ამით, სამთავრობოთაშორის თანამშრომლობას უკვე თვითონ გაერთიანება ენაცვლება. ასევე ადვილდება საზღვრის პოვნა ამ ორ მხარეს შორის[4]. საერთო ჯამში, ამაში შემდეგი საკითხებია ჩადებული:

– *საზღვრის კონტროლი, თავშესაფარი და მიგრაცია;*

– *ურთიერთთანამშრომლობა სამოქალაქო სამართლის საქმეებში;*

– *ურთიერთთანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმეებში* – ის მოიცავს სისხლის-სამართლებრივ დევნას, გადაწყვეტილებების ორმხრივ აღიარებას, მატერიალური და პროცესუალური სისხლის სამართლის ჰარმონიზაციასა და ევროპული პროკურატურის შექმნას ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართულ ფინანსურ დელიქტებთან საბრძოლველად;

– *თანამშრომლობა პოლიციის სფეროში* – ინფორმაცის გაცვლა და ოპერატიული თანამშრომობა[5].

6.2 ურთიერთთანამშრომობა სისხლის სამართლის სფეროში

ევროპის კონსტიტუციის პროექტისა და ლისაბონის ხელშეკრულების დებულებები ამ საკითხშიც მსგავსია და ამიტომაც მათ ცალ-ცალკე არ განვიხილავთ.

საინტერესოა, თუ რა დონემდე წავიდა ინტეგრაცის პროცესი და რა უფლებები შეიძინა ევროკავშირმა. ერთი რამ შეიძლება თავიდანვე ითქვას: ლისაბონის ხელშეკრულების 2009 წლის 1 დეკემბერს ძალაში შესვლით მრავალი სადავო საკითხი მოგვარდება და ის უფრო

---

[1] იხ. იქვე, გვ. 13.

[2] *Dannecker,* JURA, 3/2006, გვ. 176.

[3] *Möstl,* Verfassung für Europa, 2005, გვ. 104.

[4] *Streinz/Ohler/Hermann,* Vertrag von Lissabon zur Reform der EU, 2008, გვ. 132, ასევე: *Möstl,* Verfassung für Europa, 2005, გვ.104.

[5] დაწვრ. *Möstl,* Verfassung für Europa, 2005, გვ.106.

ნათელ სურათს შექმნის. შეიძლება „აქამდე არსებული კომპეტენციების ნამდვილ შეცვლაზეც“ ვისაუბროთ[1]. ეს არ ნიშნავს რევოლუციურ და კარდინალურ სიახლეებს. საუბარია უბრალოდ არსებული სიტუაციის დარეგულირებასა და მოწესრიგებაზე და ნაწილობრივ უფლებამოსილებების გაზრდაზე. სისხლისსამართლებრივი ურთიერთთანამშრომლობის საკითხი ლისაბონის ხელშეკრულების V სათაურის მე-4 თავშია მოცემული (AEUV)[2]. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლი შეესაბამება ევროკონსტიტუციის პროექტის III-271-ე მუხლს.

პირველ რიგში, ამ მუხლებში დასახელებულია განსაკუთრებით მძიმე დამნაშავეობასთან ბრძოლა. ამ მიმართულებით შესაძლებელია მინიმალური სტანდარტების შემცველი ნორმების გამოცემა ევროკავშირის მიერ დირექტივის ფორმით (კონსტიტუციის პროექტში ამას ჩარჩო-კანონი ერქვა), ანუ ევროკავშირი გამოსცემს სისხლისსამართლებრივ ნორმას, მაგრამ აქ გადამწყვეტია ის, რომ დანაშაულს ტრანსნაციონალური ხასიათი უნდა ჰქონდეს. აღნიშნული 83-ე მუხლი გარკვეულ კატალოგსაც შეიცავს: ტერორიზმი, ტრეფიკინგი, ნარკობიზნესი, ფულის გათეთრება, იარაღით ვაჭრობა და ა. შ[3].

ეს მუხლი ევროკავშირს მოქმედების მნიშვნელოვან საშუალებას აძლევს, რათა წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის ჰარმონიზაცია მოახდინოს და ზოგადად შეძლოს სამართლის სტანდარტიზაცია, ასევე აადვილებს ტრანსნაციონალურ ურთიერთთანამშრომლობას ჯერ კიდევ კლასიკური ურთიერთდახმარების ინსტიტუტში ჩადებული ორმხრივი დასჯადობის მიმართულებით[4].

რაც შეეხება დანაშაულების კონკრეტულ კატალოგს, შეგვიძლია შედარებები გავაკეთოთ აქამდე მოქმედ სამართალთან. მსგავს ჩამონათვალს ევროკავშირის ხელშეკრულების (EUV) ძველი რედაქციის 31-ე მუხლიც შეიცავდა. ახალი ხელშეკრულების 83-ე მუხლი (ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტის III-271-ე მუხლი) შედარებით მეტს მოიცავს, თუმცა ამაში განსაკუთრებით არსებითი ცვლილება არ არის ნაგულისხმევი, რადგან ასე თუ ისე, გაერთიანებას აქამდეც შეეძლო გარკვეული მექანიზმების ამოქმედება, თუნდაც ჩარჩო-გადაწყვეტილების ან გარემოს დაცვის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების სახით[5].

ახალი რეალობა ადასტურებს ევროკავშირის აქტიური მოქმედების საშუალებას სისხლის სამართლის მიმართულებით და ამით ხდება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების პოზიტიური გაგება. ხშირად ხაზგასმული მოსაზრება, რომ თავის დროზე სახელმწიფოებს სისხლის სამართლის ერთობლივი დარეგულირება არ სურდათ, კარგავს საფუძველს და საერთოდაც საკითხავია, არსებობდა თუ არა მართლაც ეს წინააღმდეგობა მაშინ. თავიდანვე სისხლის სამართალი საერთო კომპეტენციათა სფეროში რომ არ მოექცა, თავისთავად გასაგებია. ატომურ თუ თავდაცვის გაერთიანებებს ეს არც სჭირდებოდათ და შესაბამისად, არც ვინმეს გამოუთქვამს სურვილი, მაგრამ შემდგომში ეკონომიკური კავშირების გაღრმავების პარალელურად ახალი პრობლემები წარმოიშვა. ეკონომიკური დაახლოება აუცილებლად მოითხოვდა სამართლებრივ დაახლოებასაც. ერთ-ერთ უპირველეს, თავდაცვითი გაერთიანების შესახებ ხელშეკრულებაში არაფერი ყოფილა ნახსენები სისხლისსამართლებრივი კომპეტენციის წინააღმდეგ, ამიტომ კრი-

---

1 *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht, 2009, გვ. 103.

2 *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht, 2009, გვ. 103.

3 *Dannecker*, JURA, 3/2006, გვ. 176, ასევე: *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht, 2009, გვ.128.

4 *Vedder/Heinegg* (Hrsg.), Verfassungsvertrag, გვ. 719

5 *Vedder/Heinegg* (Hrsg.), Europäischer Verfassungsvertrag, 2007, გვ. 719; შეად. ასევე: *Dannecker*, JURA, 3/2006, გვ. 173, აგრეთვე ამ ნაშრომის მესამე თავი.

ტიკოსების მიერ ისტორიული ნების ხაზგასმა უბრალოდ არანაირ საფუძველს არ ემყარება[1].

ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების (AEUV) 83-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ მინიმალურ სტანდარტებს დირექტივის ფორმით. ამაში შედის შემადგენლობების განსაზღვრასთან ერთად სანქციებიც[2]. დირექტივის ფორმით ამის განხორციელება არ ნიშნავს იმას, რომ ეს უფლებამოსილება ზოგადად ისევ კითხვის ნიშნის ქვეშაა დაყენებული. დირექტივები, მართალია, ისევ არაპირდაპირი მოქმედების აქტებად რჩებიან, მაგრამ შესაძლებელია მათი შინაარსის დეტალურად განსაზღვრა და შემდგომ ადგილობრივ კანონმდებლობაში გარეული ფორმით გადატანა[3]. მათი მოქმედება განმარტებების მეშვეობითაც დამატებით ძალას იძენს[4]. დირექტივის შესაბამისი განმარტების ვალდებულება კვლავ აქტუალურია და, სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ზოგჯერ პირდაპირაც მოქმედებენ.[5]

83-ე მუხლის I აბზაცი კატალოგის გაფართოების შესაძლებლობას უშვებს იმ დანაშაულების მიმართ, რომლებიც ამ აბზაცის კრიტერიუმებს შეესაბამებიან. ანუ დღეს არსებული კატალოგი არ ატარებს საბოლოო ხასიათს. ერთი მხრივ, ეს განუსაზღვრელობა პრობლემატურია, მაგრამ, ამასთანავე, წინასწარვე კონკრეტული სიის შედგენა არამიზანშეწონილია. კრიმინალის განვითარების სიჩქარე ამას აზრს უკარგავს. ამით ევროკავშირი ყოველთვის ერთი ნაბიჯით ჩამორჩებოდა მას.

83-ე მუხლის II აბზაცის მიხედვით, როდესაც ევროკავშირის პოლიტიკის განსატარებლად რომელიმე კონკრეტული მიმართულებით, რომელშიც ზოგადად ჰარმონიზაცია უკვე განხორციელდა, აუცილებელია სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების გატარება, მაშინ ისევ და ისევ შესაძლებელია დირექტივებით დანაშაულებისა და სასჯელების დადგენა. პირველი აბზაცისგან განსხვავებით, აქ ამის გაკეთება არ ხდება ჩვეულებრივი საკანონმდებლო გზით. დირექტივაც ისე მიიღება, როგორც თვითონ ის ჰარმონიზაციის მექანიზმები, რომელთა გამოც ეს დამატებითი პროცესი ხდება საჭირო. ეს გზას ხსნის პროცესის სხვადასხვა ფორმების წარმოებისათვის[6].

83-ე მუხლის მეორე აბზაცი პირდაპირ მიუთითებს 76-ე მუხლზე, რომელიც, თავის მხრივ, ინიციატივის დაყენების უფლებას, ევროკომისიის გარდა, წევრი სახელმწიფოების ერთ მეოთხედსაც აძლევს, ჩვეულებრივ შემთხვევაში ეს რომ გამორიცხულიც იყოს. ამით გარკვეულწილად გვარდება დავა აქამდე არსებული ორ ხელშეკრულებისა და მითითებების გაკეთების პრობლემატიკის თაობაზე[7].

83-ე მუხლის ეს ნაწილი გაურკვევლობებსაც იწვევს. ტერმინები *„ჰარმონიზებული პოლიტიკური სფეროები“* ან *„აუცილებელი“*, რომლებიც წინაპირობებია მე-2 აბზაცის ამოქმედებისათვის, საკმაოდ ფართოა და არაზუსტი. შეიძლება ისიც ითქვას, რომ მსგავსი ფორმულირებები გზას ხსნიან ნებისმიერ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი მოქმედებისათვის, მიუხედავად იმისა, თუ აქამდე რა სახის და მნიშვნელობის ჰარმონიზაცია მოხდა[8]

---

1 *Böse,* GA 2006, გვ. 212.

2 *Streinz/Ohler/Hermann,* Vertrag von Lissabon zur Reform der EU, 2008, გვ. 139.

3 იხ. იქვე.

4 *Walzel/Becker,* JURA , 9/2007, გვ. 655.

5 იხ. იქვე.

6 *Vedder/Heinegg* (Hrsg.), Europäischer Verfassungsvertrag, 2007, გვ. 725.

7 *Vedder/Heinegg* (Hrsg.), Europäischer Verfassungsvertrag, 2007, გვ. 725, ასევე *EuGH* Rs. C-176/03, Rs. C-440/05.

8 *Vedder/Heinegg* (Hrsg.), Europäischer Verfassungsvertrag, 2007, გვ. 726.

და შეიცავენ „უზურპირების პოტენციალს“[1]. გამოსავალი შეიძლება იყოს „აუცილებლობის“ კრიტერიუმისთვის დიდი ყურადღების მიქცევა. თუ მთლიანად გავაანალიზებთ მე-2 აბზაცს, დავინახავთ *ultima ratio*–ს პრინციპს. სისხლისსამართლებრივი მექანიზმების ამოქმედება ხდება არა ნებისმიერ შემთხვევაში, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა ჰარმონიზაციის მცდელობებმა შედეგი არ გამოიღო. სწორედ ამას გულისხმობს ზემოხსენებული პრინციპი ზოგადად სისხლის სამართალში[2].

83-ე მუხლი სხვა საკითხებსაც ეხება, თუმცა სანამ მათ განვიხილავთ, მანამდე შევეხებით გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ლისაბონის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით[3].

7. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიცია

სანამ ლისაბონის ხელშეკრულება ძალაში შევიდოდა, მანამადე არსებობდა პოლემიკა მის შინაარსთან დაკავშირებით. საკითხი საბოლოოდ გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომდე მივიდა. მოსამაართლეებს უნდა გაერკვიათ საკითხი, ხომ არ თმობდა გერმანია დიდი მოცულობით თავის სუვერენიტეტს ევროკავშირის სასარგებლოდ და ზოგადად ჰქონდათ თუ არა გაერთიანების ინსტიტუტებს დემოკრატიული ლეგიტიმაცია. კრიტიკოსები ხედავდნენ „კომპეტენციის მცოცავი გადასვლის“[4] საფრთხეს. ისინი კიდევ უფრო შორს წავიდნენ და თვლიდნენ, რომ მომავალში ბრიუსელი ნაციონალურ კანონმდებელს საერთოდ შეზღუდავდა და მის კომპეტენციას მიითვისებდა[5]. დადგა საკითხი გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოსა და ევროპული სასამართლოს შორის საზღვრის დადგენის შესახებ. რომელი მათგანის გადაწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო?

სასამართლომ გადაწყვეტილება ივნისში მიიღო და პასუხი გასცა დასმულ კითხვებს. საერთო ჯამში, მან ლისაბონის ხელშეკრულება არ ჩათვალა იმ დოკუმენტად, რომელიც გერმანიის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

სავსებით ნათლად იქნა ხაზგასმული გადაწყვეტილებაში ევროპული წესრიგისა და ინტეგრაციის მიზანი. სასამართლოს აზრით, გერმანიის კონსტიტუცია მასში ჩადებული დემოკრატიის პრინციპით ღიაა იმისათვის, რომ გერმანია საერთაშორისო და ევროპულ სამშვიდობო პროცესებში ჩაერთოს. *ამ პროცესების შედეგად შექმნილი ახალი ორგანოები (მაგალითად, ევროკავშირის) არ ექვემდებარება ავტომატურად, სქემატურად შესაბამისი ხელმწიფოებრივ კონსტიტუციურ მოთხოვნებს და ამიტომაც მათი ლეგიტიმურობის გადამოწმება, დემოკრატიულობის პრინციპის კონკრეტული ნიშნებიდან გამომდინარე, არ უნდა ხდებოდეს*[6]. ანუ ამით სასამართლო ამბობს, რომ მათ მკაცრი მოთხოვნები არ უნდა წაეყენოთ.

მოსამართლეები უფრო შორს მიდიან და ახსენებენ *გერმანიის კონსტიტუციის 23-ე მუხლს*. ეს მუხლი მოიცავს დავალებას საერთოევროპულ პროცესებში მონაწილეობის შესახებ და ამიტომ ამის გაკეთება-არგაკეთების ნება სახელმწიფო ორგანოების ნებაზე არ არის

---

1 იხ. იქვე, გვ. 727.

2 დაწვრ. *Dannecker*, JURA, 3/2006, გვ. 176.

3 *BVerfG*, 30.06.2009, გადაწყვეტილება დაბეჭდილია ჟურნალში: NJW, 2267.

4 *Kerber, Markus*, DER SPIEGEL, 7/2009, გვ. 31.

5 *Murswieck, Dietrich*, იხ. იქვე.

6 *BVerfG*, Rn. 219, 30.06.09.

დამოკიდებული[1]. თუმცა, ეს პროცესიც გარკვეულ საზღვრებში უნდა ჩაჯდეს. ევროპულ ინტეგრაციაში მონაწილეობის ვალდებულება არ მოითხოვს უარის თქმას საკუთარ ნებაზე მოლიანად და ყოველგვარი კონტროლის უარყოფას. ესე იგი, გერმანიის სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს მონაწილეობა ამ პროცესებში, მაგრამ სათანადო ფარგლებში[2].

გერმანიის ბუნდესტაგი (პარლამენტი) თავის პოლიტიკურ წონას არ კარგავს და შეუძლია გავლენის მოხდენა გერმანიის მთავრობაზე ევროპულ თემებზე გადაწყვეტილებების მიღებისას[3]. – ეს ამონარიდი უფრო იმ კანონის წინააღმდეგაა მიმართული, რომელიც ბუნდესტაგს ლისაბონის ხელშეკრულების განსახორციელებლად უნდა გამოეცა (გერმანულად: ე.წ. Begleitgesetz) და არა ზოგადად ლისაბონის ხელშეკრულების მიმართ. ამიტომაც მოსაზრებები, რომ ამ გადაწყვეტილებით ხელშეკრულება შესაძლოა, საერთოდ „აფეთქდეს“ და „ჰაერში ავარდეს“[4], სრულიად გადაჭარბებული იყო. თუ ჩვენ სასამართლოს პოზიციას ბოლომდე მივყვებით, დავინახავთ შემდეგ შეფასებასაც: *დემოკრატიის პრინციპიდან გამომდინარე, სუვერენიტეტის დაცვა ინტეგრაციის შესაბამისი მოქმედების ფარგლებში არ ნიშნავს იმას, რომ წინასწარ განსაზღვრული მოცულობა და სახეობა უმაღლესი უფლებამოსილებებისა სახელმწიფოს ხელში უნდა დარჩეს. 23-ე მუხლის I ნაწილი ეკონომიკური და სავალუტო გაერთიანების გარდა, პოლიტიკური კავშირის შექმნის საშუალებასაც იძლევა*[5].

23-ე მუხლიდანვე გამომდინარე, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო გარკვეულ საზღვრებსაც ადგენს. ისეთ ცენტრალურ პოლიტიკურ საკითხებში, როგორიცაა, პიროვნული განვითარება, სოციალური ურთიერთობები, უმაღლესი ძალაუფლების ევროკავშირისათვის გადაცემა, უნდა შემოიფარგლოს იმ საზღვრებით, სანამ მათი ინტერნაციონალური რეგულირება არის საჭირო.

საერთო ჯამში, სასამართლო საჭიროდ თვლის კომპეტენციისათვის საზღვრების დადგენას (თუმცა, ევროკავშირის დონეზე არც არასდროს მოუთხოვია ვინმეს მისი სრული გადაცემა), მაგრამ ამავდროულად კარებს ღიად ტოვებს საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებისათვის.

8. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება და ევროპული სისხლის სამართალი

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო პრინციპულად ევროკავშირის დამატებით სისხლისსამართლებრივ კომპეტენციას ეთანხმება, მაგრამ გარკვეული წინაპირობების დაცვით ახალი ნორმების განმარტებისას. მისი მოსაზრებით, ყოველგვარი ჰარმონიზაცია ამ მიმართულებით ნაციონალრი თავისებურებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს[6]. ამ მიდგომას *„ფრთხილი მოპყრობის პრინციპსაც“* უწოდებენ[7].

მთლიანი სისხლის სამართალი, დასჯადობის წინაპირობები, წარმოდგენები სამართლიან პროცესზე გამომდინარეობს საზოგადოების კულტურული, ისტორიული და მისი ენობრივი წარსულიდან, – ამბობს საკონსტიტუციო სასამართლო[8]. იმავდროულად, ის ცნობს საერთო

---

1 *BVerfG*, Rn. 225, 30.06.09.

2 *BVerfG*, Rn. 228, 30.06.09.

3 *BVerfG*, Rn. 216, 30.06.09.

4 DER SPIEGEL, 28/2009, გვ. 28.

5 *BVerfG*, Rn. 251, 30.06.09.

6 *Zimmermann*, JURA, Nov. 2009, გვ. 12.

7 იხ. იქვე.

8 *BVerfG*, Rn. 253, 30.06.09.

ევროპული მასშტაბით დამნაშავეობასთან ბრძოლის აუცილებლობას და მხარს უჭერს ლისაბონის ხელშეკრულებას[1]. სასამართლო მუდმივად აღნიშნავს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ცენტრალურ და ზოგადად მნიშვნელოვან შიდასახელმწიფოებრივ საკითხებში ხელშეუხებელი რჩება[2]. იქვე სასამართლო ამოსავალ წერტილს უბრუნდება და გერმანელი კანონმდებლის შეზღუდვაზე საუბრობს. ისეთი დარგში, როგორიცაა, სისხლის სამართალი და რომელიც ყველაზე ინტენსიურ ჩარევას წარმოადგენს ინდივიუალურ თავისუფლებაში, გერმანიის სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგში ჩართვის გამო, ბუნდესტაგის მოქმედება შესაძლებელია, შეიზღუდოს. მეტიც, გერმანია ვალდებულია, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის მიზნიდან გამომდინარე იმოქმედოს[3].

საკონსტიტუციო სასამართლო ლისაბონის ხელშეკრულების 83-ე მუხლსაც (AEUV) აანალიზებს. ის იქ ჩამოთვლილ დანაშაულებს ტიპიურ საერთაშორისო ხასიათის დელიქტებად მიიჩნევს[4]. საინტერესოა 83-ე მუხლის I აბზაცის მესამე ნაწილის შეფასებაც. ერთი მხრივ, სასამართლო ცდილობს, გერმანიის კონსტიტუციის 23-ე მუხლის I აბზაცის მეორე ნაწილის შესაბამისად იმოქმედოს და, იმავდროულად, განსაკუთრებით მძიმე დამნაშავეობის ფარგლები წინასწარ არ დაადგინოს. სასამართლო შემდეგი კუთხით მიუდგა საკითხს: კატალოგის გაფართოება ევროკავშირის კომპეტენციის გაფართოების ტოლფასია და ამიტომ, 23-ე მუხლიდან გამომდინარე, საკანონმდებლო პროცესს უნდა დაექვემდებაროს[5]. ანუ ეს დასაშვებია, თუმცა უფრო რთული პროცედურების გავლით. ეს პოზიცია მისასალმებელია. სხვანაირად ინტეგრაციის პროცესის რეალიზაცია გართულდებოდა. ლისაბონის ხელშეკრულების 83-ე მუხლი ისედაც მოიცავს იმ შესაძლებლობებს, თუ როდის შეიძლება კატალოგის გაფართოება. მართალია, პირდაპირ არ წერია, თუ რას ნიშნავს „კრიტერიუმები, რომლებიც ამ აბზაცის მოთხოვნებს აკმაყოფილებენ", მაგრამ მთლიან მუხლს რომ გადავხედავთ, რამდენიმე კონკრეტულ მითითებას მაინც აღმოვაჩენთ: სახეობა, გავლენა, განსაკუთრებული აუცილებლობა, საერთაშორისო ჰარმონიზაცია სისხლის სამართალში არ შეიძლება ყოვლისმომცველი იყოს. ევროკავშირს არა აქვს უფლება, წევრ სახელმწიფოებს წინასწარ მთლიანად და დეტალურად ჩამოყალიბებული ნორმები დაუდოს[6], *მაგრამ ეს დათქმაც არაა საბოლოო და განმსაზღვრელი. რაც უფრო მძიმე შედეგებს იწვევს ესა თუ ის დელიქტი და რაც უფრო მეტად არ ჯდება ის შიდასახელმწიფოებრივ ფარგლებში, მით უფრო დეტალური შეიძლება იყოს ევროკავშირის მიერ გამოცემული ნორმა*[7].

83-ე მუხლის მეორე აბზაცის შეფასებისას თავიდან რჩება შთაბეჭდილება, რომ ის ნეგატიურად არის შეფასებული. გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ამ ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი კომპეტენცია (ე.წ. Annexkompetenz) აქამდე არსებული კომპეტენციის საკმაოდ დიდი გაფართოებაა[8] და არ შეესაბამება უმრავლესობის მიერ არჩეული ნაციონალური საკანონმდებლო ორგანოს მიერ კონტროლის განხორციელების პრინციპს[9]. მაგრამ ეს „დაფარულ საფრთხედ" შეფასებული მუხლი თვითონვე ცდილობს საზღვრების დადგენას. პირველი: მუხლის მეორე აბზაცის შინაარსი დაკონკრეტებულია; მეორე: აუ-

---

1 იხ. იქვე.

2 *BVerfG*, Rn. 357, 30.06.09.

3 იხ. იქვე.

4 *Zimmermann*, JURA, Nov. 2009, გვ. 13.

5 *BVerfG*, Rn. 363, 30. 06. 09.

6 *Zimmermann*, JURA, Nov. 2009. გვ. 13.

7 იხ. იქვე.

8 *BVerfG*, Rn. 361, 30. 06. 09.

9 იხ. იქვე. ასევე: *Zimmermann*, JURA, გვ. 14.

ცილებელია დამატებითი მოქმედებების განხორციელებისას „საჭიროების“ (გერმანულად: unerlässlich) კრიტერიუმის არსებობა და მესამე: აქამდე გამოყენებული საშუალებები უნდა იყოს არასაკმარისად ეფექტური და სისხლის სამართალი უნდა იყოს ბოლო საშუალება[1].

მოკლედ რომ შევაფასოთ: გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო ლისაბონის ხელშეკრულების გარკვეული ნაწილების მიმართ შენიშვნებს იძლევა, თუმცა მას, საერთო ჯამში, დადებითად აფასებს და განსაკუთრებით ხაზს უსვამს გერმანიის სახელმწიფოს ვალდებულებას, ევროკავშირის დონეზე აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ინტეგრაციაში.

9. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 83-ე მუხლის III აბზაცი – ე .წ. „საავარიო მუხრუჭი“

9.1 ზოგადი მიმოხილვა

ზოგადად, ევროკავშირის სამართალი და, კერძოდ, ლისაბონის ხელშეკრულება იძლევა სხვადასხვა დონეზე სისხლის სამართლის დემოკრატიული ლეგიტიმაციის საშუალებას. სუპრანაციონალურ დონეზე ეს ხდება პირდაპირ, ევროპარლამენტის მეშვეობით, ან არაპირდაპირ, სახელმწიფოების საბჭოს მიერ (ევროკავშირის საბჭო)[2]. არსებობს აქტიური თანამონაწილეობის სხვადასხვა ფორმები. სუპრანაციონალური ორგანიზაციის, მოცემულ შემთხვევაში, ევროკავშირის წინასწარი ლეგიტიმაცია ხდება ადგილობრივი პარლამენტების მიერ და შემდგომ მის მიერვე მიღებული გადაწყვეტილებების ქვეყნის შიგნით რეალური გატარებაც[3].

9.2 უფრო ძლიერი ლეგიტიმაცია ნაციონალური პარლამენტების მეშვეობით

სუპრანაციონალური სისხლის სამართლის ლეგიტიმაცია იწყება ჯერ კიდევ იმ კანონის მიღებით ადგილობრივ პარლამენტში, რომლითაც ხდება ამა თუ იმ ორგანიზაციასთან მიერთება. თუმცა ეს ლიგიტიმაცია მოითხოვს ორგანიზაციისათვის გადაცემული უფლებამოსილებებისა და ინტეგრაციის პროგრამის სათანადოდ განსაზღვრას[4]. სწორედ ეს პუნქტი იყო სადავო იმ კანონში, რაც გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოში იქნა გასაჩივრებული. ბუნდესტაგის მიერ ევროპულ პროცესებში თანამონაწილეობის საკმარისი საშუალებების კანონში არ ჩადების გამო, სასამართლომ ის არაკონსტიტუციურად ცნო[5].

საერათაშორისო დონეზე დეფინირებულ წესებს შემდგომ ლეგიტიმაციას, როგორც უკვე აღინიშნა, ნაციონალური კანონმდებელი აძლევს. თუ რა ფარგლებში ხდება ეს, უკვე განვიხილეთ[6]. მიუხედავად შესაძლებლობისა, რომ შეიძლება, დირექტივა საკმაოდ კონკრეტულ დათქმებს შეიცავდეს და ევროკავშირი ამით ზეწოლას წევრს სახელმწიფოზე მოახდენს, მაინც ვერ ვიტყვით, რომ ის პირდაპირ კანონის ხასიათს ატარებს. ეს ზეწოლა იმით არის დასაბუთებული, რომ ჩარჩო-გადაწყვეტილებებისა და დირექტივების გამოცემის წესებს ნაციონალური პარლამენტები ევროპული ხელშეკრულებების რატიფიცირებისას ეთანხმებიან

---

1 *BVerfG*, Rn. 361, 30. 06. 09.

2 *Sieber*, ZStW 121(2009), გვ. 53.

3 *Sieber*, ZStW 121(2009), გვ. 53.

4 იხ. იქვე, გვ. 55.

5 *BVerfG*, 30. 06. 09.

6 იხ. ამავე ნაშრომის 6.2. ქვეთავი.

და ამით წინასწარვე იზღუდავენ მოქმედების თავისუფლებას[1].

ლისაბონის ხელშეკრულება არა მხოლოდ ზოგად სურათს აუმჯობესებს, არამედ ის ევროპული სისხლის სამართლისათვისაც მნიშვნელოვანია. სისხლისსამართლებრივი ნორმების უმეტესობა გამოიცემა ევროპარლამენტის, საბჭოსა და ნაციონალური პარლამენტების თანამონაწილეობის შედეგად. ამის გამოვლინებაა ის კანონები, რომლებიც გამოიცემა დირექტივის კონკრეტულ სახელმწიფოში რეალურად განსახორციელებლად და რომელთა მიმართებაშიც ადგილობრივ კანონმდებელს გარკვეული თავისუფალი სივრცე გააჩნია. ეს მექანიზმები კიდევ უფრო ძლიერდება ადამიანის უფლებებითა და „სააყარიო მუხრუჭის" მექანიზმებით. ყოველივე ეს ახდენს დემოკრატიული ლეგიტიმაციისადმი მიმართული კრიტიკის კომპენსირებას[2]. მსგავსი პოზიცია დააფიქსირა გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომაც. ევროკავშირი აღიარებს დემოკრატიის პრინციპს, როგორც საერთო ევროპულ ტრადიციას და ამას ადასტურებს იმ ფორმით, რომ ის სახელმწიფოებისადმი დასახული სტრუქტურული მოთხოვნების რეალიზაციისას მათგან რეალურ თანანშრომლობას მოითხოვს და არ იღებს ერთპიროვნულად გადაწყვეტილებებს. რადგანც ევროკავშირის უფლებები სხვისგან მისთვის გადაცემულ უფლებებზეა დამოკიდებული, ამიტომაც მას დემოკრატიის პრინციპის ნიშნების სრული დაკმაყოფილება არ სჭირდება. ევროპარლამენტი არის ევროკავშირის მოქალაქეების მიერ პირდაპირ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო, დამოუკიდებელი დამატებითი წყარო დემოკრატიული ლეგიტიმაციისათვის. *როგორც სუპრანაციონალურ, მისი წევრების ნებისაგან გამომდინარე ორგანიზაციის წარმომადგენლობით ორგანოს, მას არ შეუძლია და არც მოეთხოვება იმ მოთხოვნებს შეესაბამებოდეს, როგორც ეს მოეთხოვება შიდასახელმწიფოებრივ დონეზე არჩეულ ორგანოებს*[3].

9.3 სისხლისსამართლებრივი კომპეტენციის ფარგლები

თუ ლისაბონის ხელშეკრულება ამ მიმართულების უფლებების გაფართოვებას ითვალისწინებს, მასში ჩადებულია ასევე მისივე საზღვრებიც[4]. ამოსავალი წერტილია 67-ე მუხლი (AEUV): *კავშირი ქმნის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცეს, რომელშიც ძირითადი უფლებები და წევრი სახელმწიფოების სხვადასხვა სამართლებრივი ტრადიციები გათვალისწინებულ იქნება.*

ეს ჯერ კიდევ ევროკონსტიტუციის III-257-ე მუხლში ეწერა და უცვლელად იქნა გადმოტანილი[5]. ასეთი სივრცის შექმნა აქამდე მოქმედი ხელშეკრულებების მიზანიც იყო. ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 29-ე მუხლი (EUV: ძველი რედაქცია) ხაზს უსვამდა ამ მიზანს, მაგრამ ნაციონალური ნიშნების ხსენების გარეშე.

თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცის შექმნის მიზანი უფრო შორს წავიდა, ვიდრე მხოლოდ საქონლის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფაა. ამას დაემატა კერძო პირთა შეუფერხებელი მიმოსვლაც. ევროკონსტიტუციის პროექტით, შეიძლება ითქვას, დაიწყო *„სარემონტო სამუშაოები ევროკავშირის შენობაში"*[6]. მანამდე არსებული მოქმედების ფორმები იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სფეროებში არცთუ

---

1 *Sieber*, ZStW 121(2009), გვ. 56.

2 *Sieber*, ZStW 121(2009), gv. 57.

3 *BVerfG*, Rn. 271, 30. 06. 09.

4 *Walter*, ZStW 117(2005), გვ. 919.

5 დაწვრ. *Vedder/Heinegg* (Hrsg.), Europäischer Verfassungsvertrag, 2007, გვ. 663.

6 იხ. იქვე, გვ. 665.

ეფექტური გამოდგა. მაასტრიხტისა და ამსტერდამის ხელშეკრულებებმა სათანადო შედეგი არ მოიტანა. საერთო ღონისძიებების გატარების ვალდებულება ყოველთვის რთული და საერთო შეთანხმების მიღება დავის საგანი იყო[1].

ახალი რეფორმებით, რომლითაც იუსტიციური თანამშრომლობა სახელმწიფოების კომპეტენციიდან (ანუ მესამე ბოძი) ევროკავშირის ხელში (პირველი ბოძი) გადავიდა, ლისაბონის ხელშეკრულებაში ჩადებულ იქნა უკვე ნახსენები ნაციონალური თავისებურებების გათვალისწინების ცნებაც. ამით 67-ე მუხლი I აბზაცი (AEUV) შეგვიძლია 83-ე მუხლის III აბზაცთან (AEUV) დავაკავშიროთ.

ევროკავშირის მოქმედების საზღვრები სხვადასხვა სახითაა გათვალისწინებული. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია *შეზღუდული უფლებამოსილებისა* (გერმანულად: Begrenzte Einzelermächtigung) და *სუბსიდიურობის* პრინციპები. პირველი მათგანი დაცვის მექანიზმია სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის შენარჩუნებისათვის. მისი არსი შემდეგში მდგომარეობს: *ევროკავშირი ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში იმ მოცულობითაა უფლებამოსილი, რამდენიც მას წევრი სახელმწიფოების მიერ გადაეცა.* ლისაბონის ხელშეკრულება ადასტურებს ამ პრინციპს (მუხ. 5 აბზ. I პუნქტი I და II EUV)[2].

მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია *სუბსიდიურობის პრინციპი.* ლისაბონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი (EUV) მას შემდეგნაირად აფასიბებს: *ევროკავშირი, იმ შემთხვევებში, როდესაც ესა თუ ის სფერო პირდაპირ მის კომპეტენციაში არ შედის, უფლებამოსილია იმოქმედოს, როდესაც სათანადო ღონისძიებები წევრი სახელმწიფოების მიერ ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე არაეფექტურად გატარებადია. ამაზე უფრო მეტად გადამწყვეტია კიდევ ის, რომ ესა თუ ის საკითხი ევროკავშირის დონეზე უკეთესად მოგვარებადია.*[3]

აქამდე პრობლემა იყო არა წევრი სახელმწიფოების უმოქმედობა, არამედ მათი დაგვიანებული მოქმედება. ამიტომაც გაჩნდა კითხვა: ხომ არ იქნებოდა უკეთესი, რომ სანქციისაკონტროლებელი ხელშეკრულება ყველასათვის სავალდებულო ყოფილიყო?

სუბსიდიურობის პრინციპის დამატებით ეხება ლისაბონის ხელშეკრულების მეორე ოქმი. ადგილობრივი პარლამენტების უფლებები გათვალისწინებულია მე-12 მუხლშიც (EUV) – ე.წ. *ნაციონალური კონტროლის სისტემაში*, როდესაც ეს პარლამენტები ამა თუ იმ პროექტის შესახებ ევროკავშირის ორგანოებისგან წინასწარ იღებენ ინფორმაციას. მათ შეუძლიათ, ევროკავშირის სასამართლოში სარჩელიც შეიტანონ[4].

სუპრანაციონალური სისხლის სამართლის შემდგომი გამაწონასწორებელი მექანიზმი არის ადამიანის უფლებათა დაცვა. ჯერ კიდევ ევროკონსტიტუციის პროექტში *ძირითად უფლებათა ქარტია* მეორე ნაწილად მოიაზრებოდა, რაითა მას შესაბამისი მნიშვნელობა მისცემოდა. ეს ქარტია ძირითად უფლებათა კატალოგს შეიცავს. ეს კატალოგი შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ნაციონალურ კონსტიტუციებს. მისგან გამომდინარე, დაუშვებელია ისეთი სასჯელის ზომის დაკისრება, რომელიც დანაშაულს არ შეესაბამება. ასევე დაუშვებელია დამამცირებელი და არაადამიანური სასჯელები[5].

ძირითად უფლებათა ქარტია ევროკავშირის ლისაბონის ხელშეკრულების მე-6 მუხლის თანახმად (EUV) გათანაბრებულია ხელშეკრულებებთან და ლისაბონის ხელშეკრულების

---

1 იხ. იქვე.

2 *BVerfG*, Rn. 301, 30. 06. 09.

3 *Walter*, ZStW 117(2005), გვ. 920.

4 *BVerfG*, Rn. 305, 30.06.09. შად. *Walter*, ZStW 117(2005), გვ. 920.

5 *Walter*, ZStW 117(2005), გვ. 921.

შემადგენელი ნაწილია[1]. ევროკავშირი აღიარებს იმ უფლებებს, თავისუფლებებსა და ძირითად პრინციპებს, რომლებიც ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიაში ჩადებულ იქნა 2000 წლის 7 დეკემბერს და სტრასბურგში 2007 წლის 12 დეკემბერს გადამუშავებულ პროექტში. ქარტია და ხელშეკრულებები თანაბარი ძალის მქონე დოკუმენტებია.

ყველა ამ საშუალების მიუხედავად, რაც ლისაბონის ხელშეკრულებამ გაითვალისწინა, ევროპული კანონშემოქმედებითი საქმიანობის გარკვეულ ჩარჩოებში ჩასასმელად, კიდევ ერთი დამატებითი მნიშვნელოვანი მუხრუჭი არსებობს უშუალოდ სისხლის სამართლის სფეროში.

9.4 83-ე მუხლის III აბზაცის შინაარსი (AEUV)

ე. წ. „საავარიო მუხრუჭი" შემდეგნაირდ არის ფორმულირებული: *თუ საბჭოს რომელიმე წევრი თვლის, რომ პირველი და მეორე ნაწილებიდან გამომდინარე დირექტივა მის სისხლისსამართლებრივ წესრიგს ეხება, მას შეუძლია დააყენოს საკითხი, რომ ეს ევროკავშირის საბჭომ განიხილოს. მოცემულ შემთხვევაში ჩვეულებრივი საკანონმდებლო პროცედურა არ გამოიყენება...* (მუხ. 83, ნაწ. III).

ასეთი მუხრუჭის ჩადების საფუძველი იყო სისხლის სამართალი, როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტის გამომხატველი ერთ-ერთი ინსტიტუტი. სახელმწიფოებს მისი დათმობა ადვილად არ სურდათ და არსებულ მექანიზმებს ესეც დაემატა[2]. ამ ნორმით, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია, სისხლისსამართლებრივი საკანონმდებლო პროცესი მთავარ საკითხად აქციოს[3].

ევროკონსტიტუციის III-271-ე მუხლის III ნაწილში იგივე საკითხი ოდნავ სხვანაირად იყო ჩამოყალიბებული. ევროკავშირის საბჭოს შეეძლო ოთხი თვის განმავლობაში ინიციატივის პროექტი საბჭოსათვის უკან დაებრუნებინა (ანუ „მუხრუჭი" ჩავარდებოდა) ან ახალი პროექტი მოეთხოვა[4]. დღეისათვის ამ მოთხოვნაზე არაფერია ნახსენები, თუმცა, საერთო ჯამში, უფრო ენობრივ და არა შინაარსობრივ ცვლილებასთან გვაქვს საქმე.

პრობლემას იწვევს „ძირითადი ასპექტების" გაგება. ეს საკმაოდ ვრცელი ტერმინია და გასარკვევია, თუ რა შეიძლება მასში მოიაზრებოდეს? გერმანული თვალთახედვიდან გამომდინარე, ასეთად შეიძლება, კონსტიტუციურად მიჩნეული შემდეგი ძირითადი პრინციპები ჩაითვალოს: ბრალი, (დანაშაულისა და სასჯელის) თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპი, ასევე ის შემთხვევებიც, როდესაც მინიმალური სასჯელების დადგენის პარალელურად მცდელობის დასჯადობაც იქნება გადაწყვეტილი[5].

ამ მიმართულებით გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომაც იმსჯელა „კონსტიტუციური იდენტურობის" ჩარჩოებში. მან შემდეგი რამ დაადგინა: *კონსტიტუცია კანონმდებელს აძლევს საშუალებას, ევროკავშირს გადასცეს უფლებების საკმაოდ ფართო წრე, მაგრამ ეს იმ წინაპირობით, რომ ამ დროს სახელმწიფოს კონსტიტუციით დაცულ სუვერენიტეტსა და იდენტურობას ყურადღება მიექცევა...*[6]

სასამართლო ზოგადი ფორმულირებებიდან კონკრეტიკაზე გადადის და პირდაპირ ასახე-

---

1 *Fuest/Nettesheim/Scholz* (Hrsg.), Lissabon-Vertrag: Sind die Weichen richtig gestellt?, 2008, გვ. 31.

2 შეად. *Vedder/Heinegg* (Hrsg.), Europäischer Verfassungsvertrag, 2007, გვ. 717.

3 *Walter*, ZStW 117(2005), გვ. 924.

4 *Walter*, ZStW 117(2005), გვ. 921.

5 *Dannecker*, JURA, 3/2006, გვ. 177.

6 *BVerfG*, Rn. 226, 30. 06. 09.

ლებს ბრალის პრინციპს, როგორც პრიორიტეტს. *ევროკავშირმა ისე უნდა განახორციელოს თავისი საქმიანობა სისხლის სამართლის სფეროში, რომ ბრალის პრინციპი არ დაირღვეს, რადგან ზოგადად სისხლის სამართალი ამას ეფუძნება. ბრალი არის პიროვნების ინდივიდუალური პასუხისმგებლობა. ის თვითონ ირჩევს გზას სამართალსა და უმართლობას შორის. კონსტიტუციის პირველივე მუხლი აყალიბებს ურთიერთმიმართებას დანაშაულსა და ბრალს შორის, ამიტომაც ბრალის პრინციპი განეკუთვნება იმ ხელშეუხებელ კონსტიტუციური იდენტურობის მატარებელ ნიშნებს, რომლებიც სუპრანაციონალური ჩარევისგანაც დაცულ უნდა იქნეს*[1].

სამწუხაროდ, სასამართლო ამის იქით არ მიდის. ეს „სახელმძღვანელოს სტილის გადაწყვეტილება"[2] ბრალის პრინციპით შემოიფარგლა და რჩება კითხვა: არის ეს გერმანული სამართლის ერთადერთი იდენტურობის ნიშანი თუ ამაში კიდევ სხვა რამის მოაზრებაც შეიძლება?[3] ერთი მხრივ, სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ ამ თემით, მაგრამ ზოგადად ხშირად ახსენებს სისხლის სამართალში ნაციონალურ იდენტურობას, ამიტომაც ამის გაგება უფრო ფართოდაც შეიძლება. გადაწყვეტილების ეს ნაწილი არცთუ ნათელია და ევროპული ინტეგრაციის ზოგადი შეფასებები ხშირად მის იურიდიულ მხარეს არ შეესაბამება[4].

თუ ჩავთვლით, რომ მხოლოდ ბრალის საკითხით უნდა შემოვიფარგლოთ, მაშინ ეს საკმაოდ დაავიწროებს სისხლისსამართლებრივი „ნაციონალური იდენტურობის" ცნებას. მომავალში აუცილებლად იქნება მომენტები, როდესაც ისინი პირდაპირ ბრალს არ შეეხებიან, თუმცა, კონკრეტული სახელმწიფოს თვალთახედვიდან გამომდინარე, საკითხი მაინც სადავო იქნება.

საკონსტიტუციო სასამართლო, ასევე ცდილობს მისივე შეზღუდვები გარკვეულ ჩარჩოებში ჩასვას. იგი არც ერთ მომენტში არ ივიწყებს ინტეგრაციის ვალდებულებას. სასამართლო 82-ე მუხლის მე-2 აბზაცსა და 83-ე მუხლის პირველ და მე-2 აბზაცებს (AEUV) *ხელშეკრულების შეცვლის სტატუსს აძლევს და, აქედან გამომდინარე, საკანონმდებლო ორგანოების მხრიდან მე-3 აბზაცის მიხედვით მოქმედებისას, ინტეგრაციის ვალდებულების ფარგლებში პასუხისმგებლობას მოითხოვს*[5].

საერთო ჯამში გადაწყვეტილება ასე თუ შეფასდება: *დიახ, სისხლის სამართალი მნიშვნელოვანი საკითხია, ბრალის პრინციპს ყოველთვის უნდა მიექცეს ყურადღება, მაგრამ ეს ყველაფერი ინტეგრაციის სახურავქვეშ უნდა მოხდეს. სახელმწიფომ არ უნდა გადააჭარბოს და უნებლიედ დაახლოვების პროცესი არ უნდა შეაფერხოს.*

ბრალის პრინციპით შემოფარგვლა და სხვა მომენტებზე არმითითება ისევ ინტერგაციის პერპექტივაში უნდა იქნეს წაკითხული. სასამართლო ამიტომაც არ წავიდა შორს. შესაბამისად, ეს პოზიცია, გარკვეული ბუნდოვანი მონაკვეთების მიუხედავად, დადებითად თუ შეფასდება. ლისაბონის ხელშეკრულება ხომ სწორედ ევროგაერთიანების ფარგლებში დაახლოების პროცესის პროდუქტია.

---

1 *BVerfG*, Rn. 364, 30.06.09.

2 *Calliess*, NJW, 30/2009, გვ. 14.

3 იხ. ასევე: *Zimmermann*, JURA, Nov. 2009, გვ. 15.

4 *Calliess*, NJW, 30/2009. გვ. 14.

5 *BVerfG*, Rn. 365, 30. 06. 09.

9.5 „საავარიო მუხრუჭის“ პრაქტიკული რეალიზაცია

„მუხრუჭის“ გამოყენება ხდება საბჭოში ამა თუ იმ ქვეყნის წარმომადგენლის მიერ, მაგრამ თუ როგორ უნდა ხდებოდეს ეს კონკრეტულად, არცთუ ნათელია. გაურკვეველობა გამოიწვია გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგმა ციტატამაც: *ნაციონალური პარლამენტის სათანადო ლეგიტიმაცია, გერმანული გადმოსახედიდან გამომდინარე, იმით არის უზრუნველყოფილი, რომ ლისაბონის ხელშეკრულების 82-ე მუხლის მე-3 აბზაცით და 83-ე მუხლის მე-3 აბზაცით (AEUV) გათვალისწინებულ ქმედებას ახორციელებს გერმანიის წარმომადგენელი საბჭოში ბუნდესტაგისა და, საჭიროების შემთხვევაში, ბუნდესრატის მითითებით*[1]. აქედან ისე ჩანს, თითქოს წარმომადგენელმა ყოველი ასეთი მოქმედებისათვის ნებართვა უნდა მიიღოს[2]. თუმცა, ამის გაგება სხვა მხრიდანაც შეიძლება: ყოველი უმოქმედობისათვის მიღებული უნდა იქნეს ნებართვა[3]. საერთო ჯამში ეს მაინც გაურკვეველია. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა პარლამენტსა და საბჭოში წარმომადგენელს შორის ურთიერთობის უკეთესი დარეგულირება[4].

აუცილებელია პასუხი გაეცეს კითხვასაც, შეესაბამება თუ არა ევროკავშირის სისხლისსამართლებრივი კომპეტენცია დემოკრატიის პრინციპს? კითხვის ნიშნის ქვეშ ხომ არ დგება *„nullum crimen sine lege parlamentaria“?*[5]

2009 წლის 1 დეკემბრამდე მოქმედი ხელშეკრულებების ფარგლებში ამაზე დავა შეიძლებოდა. ევროპარლამენტი არ არის საკანონმდებლო ორგანო და დიდი უფლებები არ გააჩნდა. ლისაბონის ხელშეკრულებით სიტუაცია გარკვეულწილად შეიცვალა. ის მეტი უფლებებით აღიჭურვა. გაძლიერდა ნაციონალური პარლამენტების როლიც. ისინი ვალდებულნიც კი არიან, ევროპულ პროცესებში აქტიურად მიიღონ მონაწილეობა[6]. ამასვე ემატება 83-ე მუხლის მე-3 აბზაციც.

მკაცრი კრიტიკა, რომ ევროკავშირის ბოუროკრატიულ სტრუქტურას არა აქვს უფლება, რომ პირდაპირ ან არაპირდაპირ ნაციონალურ პარლამენტებზე მითითებით სისხლისსამართლებრივი ნორმები გამოსცეს[7], უკვე არცთუ გამართლებულია. რა თქმა უნდა, არავის აქვს უფლება, ზემოდან აიძულოს ადგილობრივი პარლამენტი, რამე ნორმა გამოსცეს. თუ ეს სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივ წესრიგს ეხება, ამის საწინააღმდეგო საშუალებაა სწორედ „საავარიო მუხრუჭი“, ხოლო თუ ასეთ შემთხვევასთან არ გვაქვს საქმე, მაშინ ისედაც არ დგება ევროკავშირთან დავის აუცილებლობა. ეს იგივე საკუთარ თავთან დავის ტოლფასი იქნებოდა.

ზოგადად, თავიდან „მუხრუჭის“ შემოღება პოლიტიკური კომპრომისის შედეგი იყო. გადაწყვეტილებების მიღების ახალ, უმრავლესობის პრინციპს (მანამდე საჭირო იყო ყველა ხმა) რამდენიმე სახელმწიფო არ ეთანხმებოდა. მათი ინტერესების დასაკმაყოფილებლად სწორედ ეს წესი იქნა ჩადებული. წარმოშობის ამ ისტორიის გამო, ზოგი თვლის, რომ მას მხოლოდ იშვიათად თუ გამოიყენებენ[8]. მიუხედავად ამისა, მისი მნიშვნელობა სისხლის

---

1 *BVerfG*, Rn. 365, 30. 06. 09.

2 *Zimmermann*, JURA, Nov. 2009, გვ. 16.

3 იხ. იქვე.

4 დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 17.

5 კრიტ. *Lüderssen*, in: *Schünemann* (Hrsg.), Alternativentwurf Europäische Strafverfolgung, 2004, გვ. 48.

6 ასეთია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საერთო შინაარსი.

7 *Schünemann* (Hrsg.), Ein Gesamtkonzept für die europäische Strafrechtspflege, 2006, გვ. 95.

8 დაწვრ. *Hefendehl* (Hrsg.), Empirische und dogmatische Fundamente, kriminalpolitischer Impetus, 2005, გვ. 308.

სამართლისათვის, როგორც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ასპექტისათვის, დიდია[1].

საინტერესოა ისიც, რომ ერთი სახელმწიფოს მიერ რომელიმე პროექტის ბლოკადა მისი გამოყენებით არ ნიშნავს მთელი პროცესის შეჩერებას. სისხლისსამართლებრივი ნორმის გამოცემის მომხრე სხვა სახელმწიფოებს შეუძლიათ სხვა ფორმას მიმართონ. ეს არის *გაძლიერებული თანამშრომლობა*. ამისათვის საჭიროა მინიმუმ ცხრა სახელმწიფოს სურვილი. შემდგომ ეს წინადადება გადაეცემა ევროპარლამენტს, საბჭოსა და ევროკომისიას. ასეთ შემთხვევაში, გაძლიერებული ურთიერთთანამშრომლობის ნებართვა გაცემულად ითვლება (მუხ. 83 აბზაცი III ქვეაბზ. 2 AEUV).

ეს შესაძლებლობა, რომ „შეჩერებული მატარებელი შემოვლითი გზით იქნეს გატარებული",[2] ერთგვარად მაშველი საშუალებაა საკითხის სრული ჩავარდნის წინააღმდეგ. სახელმწიფოს, რომელსაც ესა თუ ის ნორმა არ სურს, იცავს თავის ინტერესებს და, იმავდროულად, სხვებსაც რჩებათ საშუალება, სხვა გზით ეს პროექტი განახორციელონ. ამ დროს, რა თქმა უნდა, საუბარია არა მინიმალური სტადარტების გამოცემაზე, როგორც ეს „არდამუხრუჭების" შემთხვევაში იქნებოდა. სხვა შემთხვევაში, ინტეგრაციის პროცესი ყოველთვის რომელიმე სახელმწიფოს ნებაზე იქნებოდა მიბმული.

10. შეჯამება

ევროპული სისხლის სამართლის განვითარება თანამდევი პროცესებით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფენომენია იურიდიულ აწმყოში. თანამედროვე განვითარება უჩვენებს, რომ სისხლის სამართლის, როგორც ნაციონალურ ინსტიტუტად მიჩნევის დრო, კარგა ხანია წავიდა[3]. ეს მოიტანა ბევრჯერ ნახსენებმა *„ინტეგრაციამ"*. ამის საუკეთესო მაგალითია ლისაბონის ხელშეკრულება. მან არა მხოლოდ ზოგადად, არამედ სისხლის სამართალთან მიმართებაშიც გააუმჯობესა სიტუაცია, ვიდრე ეს აქამდე იყო. სისხლისსამართლებრივი ნორმების უმეტესობა გამოიცემა ევროპარლამენტის, საბჭოსა და ნაციონალური პარლამენტების კოოპერაციის შედეგად. ამასვე ემატება დამატებით ადგილობრივი კანონები, სუბსიდიურობის პრინციპი, „მუხრუჭი" და ა.შ.[4]

„საავარიო მუხრუჭი" ხელს უწყობს საერთო და ეროვნული ინტერესების შეთანასწორებას. მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამის უკეთესად განხორციელება. თუმცა არსებობს იმის საფრთხეც, რომ მან უარყოფითი როლი ითამაშოს ევროკავშირის რეალობაში. საინტერსოა ამ თვალსაზრისით მომავალში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება. მაგრამ, როგორც ითქვა, მისგან სხვა, შემოვლითი გზაც არსებობს.

საბოლოოდ შეიძლება ასეთი დასკვნის გაკეთება: ლისაბონის ხელშეკრულების 83-ე მუხლის მე-3 აბზაცის (AEUV) დათქმას შეუძლია, საკმაოდ დადებითი როლი შეასრულოს მომავალში და ხელი შეუწყოს ორივე მხარის ინტერესების დაცვას და რომ სისხლისსამართლებრივი ინტეგრაციის პროცესი, მიუხედავად გარკვეული პრობლემებისა, საერთო ჯამში, ევროპის ფარგლებში სწორ გზას ადგას.

---

[1] იხ. იქვე.

[2] *Vedder/Heinegg* (Hrsg.), Europäischer Verfassungsvertrag, 2007, გვ. 718.

[3] *Satzger*, Der Einfluss des europäischen Rechts auf die rumänische und die deutsche Strafrechtsordnung, მოხსენება გაკეთებული რუმინეთის ქ. კლუშში, 28. 02. 09, გვ. 11.

[4] დაწვრ. *Sieber*, ZStW(2009) Heft 1, გვ. 57.

§7. ევროპული იუსტიციის ორგანიზაცია

I OLAF-ი, ევროპოლი, ევროიუსტი, ევროპული პროკურატურა

ლისაბონის ხელშეკრულებამდე ევროპის კავშირი არ იყო საერთაშორისო ორგანიზაცია და არ გააჩნდა სამართალსუბიექტურობა. იგი წარმოადგენდა სახელმწიფოთა კავშირს, რომელიც თავის თავში აერთიანებდა სამ სფეროს – სვეტს, რომელსაც ევროკავშირი, როგორც სახურავი ეყრდნობოდა. ლისაბონის ხელშეკრულებით ევროკავშირმა შეიძინა ასეთი სამართალსუბიექტურობა. ჩვენთვის სისხლის სამართლის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ისეთი წარმონაქმნი, როგორიცაა OLAF-ი, ლისაბონის ხელშეკრულებამდეც იყო ევროპის კავშირის 1-ლი სვეტის ფარგლებში, ხოლო ევროპოლი და ევროიუსტი ლისაბონის ხელშეკრულებამდე მესამე სვეტის ფარგლებში მოიაზრებოდნენ და მათაც ევროკავშირის რეფორმირების შედეგად პირველ სვეტში გადაინაცვლეს. ლისაბონის ხელშეკრულების 86-ე მუხლის მიხედვით, მოსალოდნელია, მალე ევროიუსტის ბაზაზე ერთიანი ევროპული პროკურატურის ინსტიტუტის წარმოქმნა, რაც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა საერთო ნებაზეა დამოკიდებული.

ჯერ კიდევ 1992 წლის მაასტრიხის ხელშეკრულებით განისაზღვრა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ინტერესების დაცვის სფეროები. საერთო ინტერესების სფეროს მიეკუთვნება თანამშრომლობა იუსტიციურ და შინაგან საქმეთა სფეროებში. ევროპული სისხლის სამართლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლით, ასევე შენგენის შეთანხმების მონაწილე მხარეების თანამშრომლობა გადაიზარდა ევროპის კავშირის ინსტიტუციონალურ და იურიდიულ ჩარჩოებში, რომელმაც სისტემატიზაციაში მოიყვანა მესამე სვეტის ფარგლებში პოლიციურ-იუსტიციური თანამშრომლობის საკითხები.

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მიხედვით, ევროკავშირის მიზანია, შეიქმნას თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცე, რომელიც მიიღწევა პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობით და, ასევე წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის ერთმანეთთან დაახლოებით. ამის გამო, მესამე სვეტს უნდა შევხედოთ, როგორც მატერიალური სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის ადგილს, თუმცა, იმავდროულად, ეს იყო თავიდანვე განსაზღვრული, წინასწარ დაგეგმილი სამართლებრივი ინსტრუმენტი სისხლისსამართლებრივი დევნის სფეროში ინტეგრაციის მაღალი ხარისხის მისაღწევად.

ევროპოლი და ევროიუსტი უკვე აღარ განიხილება მესამე სვეტის ფარგლებში. ლისაბონის ხელშეკრულების შედეგად, ევროპული სისხლის სამართალი დადგა ახალი გამოწვევების წინაშე. ის ფაქტი, რომ ლისაბონის ხელშეკრულების შედეგად, რომელიც ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს, გაუქმდა ევროპის კავშირის მესამე სვეტი და ამ სფეროს კომპეტენციები გაერთიანდა პირველი სვეტის ფარგლებში, ნიშნავს ევროკავშირის გაძლიერდებას წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტის ხარჯზე. ამიტომაც აღნიშნული ცვლილების ძალაში შესვლა დამოკიდებული იყო ნაციონალური სახელმწიფოების ნებაზე. მაგალითად, იყოს იმის საშიშროება, რომ ირლანდიაში გამართული ხელახალი რეფერენდუმიც წარუმატებელი ყოფილიყო ან გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიეღო გადაწყვეტილება, რომელსაც შედეგად მოჰყვებოდა ლისაბონის სარეფორმო აქტის არაკონსტიტუციურად ეცნო. ევროკავშირის ინტეგრაციის ამ ეტაპმაც წარმატებით ჩაიარა, რამაც ევროპული სისხლის სამართლის განვითარებასაც ახალი პერსპექტივები დაუსახა.

1. OLAF

OLAF-ი თაღლითობასთან ბრძოლის ევროპული სამსახურია, რომლის ფუნქციაა ევროპის კავშირის ფინანსური ინტერესების დაცვა თაღლითობის, კორუფციისა და ყველა სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების წინააღმდეგ ბრძოლის გზით, რომელიც ჩადენილია ევროკავშირის სუპრანაციონალური ფინანსური ინტერესების საზიანოდ. თავისი უფლებამოსილებების განხორციელების დროს მას ევალება ევროკავშირის მოხელეების მიერ თავიანთი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მძიმე ფინანსური დარღვევების აღმოაჩენა. იგი შეიქმნა ევროკომისიის 1999 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილების[1] შედეგად, ხოლო თავისი საქმიანობის შესრულებას შეუდგა 1999 წლის 1 ივნისს.

OLAF-ს, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ თაღლითურ დანაშაულებზე წინასწარი გამოძიების ორგანოს, არ გააჩნია საკუთარი სამართალსუბიექტობა, არამედ ორგანიზაციულად წარმოადგენს პირველი სვეტის ფარგლებში ევროკომისიასთან შექმნილ ერთ-ერთ სამსახურს. მართალია, იგი შეიქმნა ევროკომისიის ნორმატიული აქტის საფუძველზე, მაგრამ ანგარიშვალდებულია ევროპარლამენტის, ევროკავშირის საბჭოსა და ევროპული კონტროლის პალატის (Rechnungshof) წინაშე[2] და მისი წინამორბედის, UCLAF-გან განსხვავებით, რომელიც შეიქმნა 1988 წელს, როგორც თაღლითობასთან ბრძოლის საკოორდინაციო ჯგუფი, იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს.

OLAF-ი ოპერატიულ გამოძიებაში სრული ავტონომიით სარგებლობს. მას აქვს ფართო საგამოძიებო უფლებამოსილებები. უფრო მეტიც, იგი შეიქმნა სწორედ იმიტომ, რომ ორგანოს გამოძიება არ წარმართულიყო მიკერძოებულად, მხოლოდ რამდენიმე პირზე დაყრდნობით. ასეთი დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა იმიტომ დადგა დღის წესრიგში, რომ 1999 წლის მარტში მთელი ევროკომისია გადადგა, რადგან არსებობდა კორუფციულ დელიქტებთან მათი კავშირის ეჭვი.[3] სწორედ ამ ინციდენტის შემდგომ შეიქმნა OLAF-ი.[4]

მისი დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია:

1) სამსახურის დირექტორის მიერ, რომელიც ინიშნება ევროპარლამენტის მიერ, კომისიასთან და საბჭოსთან შეთანხმებით (ოლაფის შექმნის შესახებ ევროკომისიის გადაწყვეტილების მე-5 და მე-6 მუხლები) და უფლებამოსილია, ლუქსემბურგის ევროპულ სასამართლოში შეიტანოს საჩივარი საკუთარი დამოუკიდებლობის დასაცავად. გარდა ამისა, მას შეუძლია წამოიწყოს გამოძიება არა მხოლოდ დაინტერესებული ორგანოს, ორგანიზაციის ან წევრი სახელმწიფოს თხოვნის საფუძველზე, არამედ საკუთარი ინიციატივითაც.

2) საზედამხედველო კომიტეტის მიერ[5]. იგი პასუხისმგებელია მონიტორინგზე და შედგება პარლამენტის, კომისიისა და საბჭოს მიერ ერთობლივი ნებით დანიშნული ხუთი საყოველთაოდ ცნობილი დამოუკიდებელი გარეშე პირისაგან.

OLAF-ის ფართო საგამოძიებო უფლებამოსილებები გამოიხატება იმაში, რომ მას გააჩნია ყველა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, შეუძლია სამუშაო ოთახების ჩხრეკა და, საჭიროების შემთხვევაში, დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების ამოღება, ასევე ფინანსური შემოწმების ჩატარების უფლება.

---

[1] იხ. Kommisionsbeschluss 1999/352/EG.

[2] იხ. მუხ. 12 VO (EG) 1073/99.

[3] შეად. *Gleß*, EuZW 1999, 618.

[4] იხ. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrechts, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 161.

[5] იხ. მუხ. 11 VO (EG) 1073/99.

გარდა რეპრესიული ფუნქციისა, OLAF-ს შეუძლია, ასევე პრევენციის მიზნით შეიმუშაოს სტრატეგია და საკანონმდებლო ინიციატივა თაღლითობის წინააღმდეგ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ OLAF-მა ხელი შეუწყო *Corpus Juris 2000*-ის პროექტის შემუშავებას, რომლის მიზანია, გაუმჯობესდეს სამართლებრივი დაცვა მატერიალური სისხლის სამართლისა და პროცესუალური ნორმების მეშვეობით ევროპული ფინანსების სფეროში, ძოხდეს ნაციონალურ სამართალზე დოკუმენტის გავლენის შესწავლა და იმპლემენტაციის ფორმების, წინაპირობების და რეკომენდაციების შემუშავება წევრი სახელმწიფოებისათვის, რამაც საბოლოო ჯამში უნდა გამოიწვიოს ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვა.

OLAF-ი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც ასრულებს არა მხოლოდ სისხლისსამართლებრივ გამოძიებას, არამედ ადმინისტრაციულ და დისციპლინურ სამართალწარმოებასაც. განასხვავებენ შიდა და გარე გამოძიებას. გარე გამოძიება ეხება წევრი სახელმწიფოების ნაციონალურ ორგანოებს, შიდა გამოძიება კი, ეხება ევროკავშირის ორგანოების თანამდებობის პირებისა და წარმომადგენლების დარღვევებს.

OLAF-ის საგამოძიებო მოქმედებები მთავრდება საბოლოო დოკუმენტით, რომელიც

1) აღწერს საქმის ვითარებას;

2) უთითებს მიყენებული ზიანის ოდენობას;

3) იძლევა სამართლებრივ შეფასებებს.

იგი მოიცავს, ასევე ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების ჩატარების შესახებ რჩევებს.

OLAF-ს ევროპარლამენტის დეპუტატების მიმართ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლებამოსილება აქვს, რაც წინააღმდეგობაში მოდის პარლამენტის წევრის თავისუფალი მანდატის პრინციპთან, რომელიც მოწესრიგებულია პარლამენტის რეგლამენტით. ასევე ბუნდოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად არის OLAF-ი უფლებამოსილი, გამოძიება აწარმოოს ევროპულ ცენტრალურ ბანკსა და ევროპულ საინვესტიციო ბანკში. დღეს არსებული თვალსაზრისით, OLAF-ის მთავარი ნაკლი გამოიხატება იმაში, რომ მისი მოქმედებების სფეროში ზუსტად არ არის ფორმულირებული ბრალდებულის უფლებები, თუმცა ევროპული ორგანოები, და მათთან ერთად OLAF-ი, შებოჭილია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლითა და ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიით. მისი ეს ბოჭვა ძირითადი უფლებებით უფრო გაძლიერდა ევროკავშირის ლისაბონის ხელშეკრულების მე-6 მუხლის ამოქმედებით.

2. ევროპოლი

ევროპოლი დაარსდა, როგორც საერთაშორისო ორგანიზაცია. ევროკავშირის ხელშეკრულების (მაასტრიხის რეაქცია) K.3 მუხლის საფუძველზე დადებული ევროპოლის შესახებ 1995 წლის 26 ივლისს შეთანხმება[1] ძალაში შევიდა 1998 წლის 1 ოქტომბერს. 1999 წლის 1 ივლისს მის მიერ მუშაობის დაწყებით ევროპოლმა შეცვალა ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული ბიურო (Drogenstelle). ევროპოლის შტაბბინა არის ჰააგაში. იგი ორი ძირითადი ორგანოსგან შედგება:

1) დირექტორი, რომელიც წარმართავს მის ძირითად ყოველდღიურ საქმიანობას და

2) ადმინისტრაციული საბჭო.

ევროპოლის შესახებ პრიმერულ სამართლებრივ ნორმას დღეისათვის წარმოადგენს ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 88-ე მუხლი,

[1] Europolübereinkommen.

რომელმაც შეცვალა ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 30-ე მუხლი.

ევროპოლის ამოცანები განსაზღვრულია ევროპოლის შეთანხმებაში (Europolübereinkommen). კერძოდ, მე-3 მუხლის 1-ლი აბზაცით, ევროპოლის ამოცანებია:

1) ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გადაცემის გაადვილება;

2) ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;

3) დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ წევრი სახელმწიფოებისთვის ინფორმაციის მიწოდება;

4) ნაციონალური გამოძიების ორგანოების მხარდაჭერა სასარგებლო ინფორმაციის გადაცემით;

5) საერთო ინფორმაციული ბაზის შექმნა.

ევროპოლის შეთანხმების მე-3 მუხლის მე-2 აბზაცით, მას ევალება:

1) საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების კონსულტაციების გზით გაღრმავება;

2) ნაციონალური რესურსების ეფექტური საქმიანობის ხელშესაწყობად სტრატეგიული ინფორმაციის გადაცემა;

3) ბოლოდროინდელი ტენდენციების შედგენა მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

რადგანაც ეს ვალდებულებამოსილებებიდან გამომდინარე ნებადართული და რეალურად შესაძლებელია, ევროპოლი ხელს უწყობს წევრი სახელმწიფოების ნაციონალური სისხლის-სამართლებრივი დევნის ორგანოების სწავლებას, ორგანიზებას და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას (ევროპოლის შეთანხმების მე-3 მუხლის მე-3 აბზაცი).

ტერორიზმისა და ზოგიერთი სხვა საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასამარცხებლად ევროპოლი წინასწარ იღებს პრევენციულ ზომებს (ევროპოლის შეთანხმების მე-2 მუხლის მე-2 აბზაცი). საერთაშორისო ხასიათის დანაშაულების სერიოზული ფორმების ზოგადი ცნება კი, მოიცავს შემდეგ დანაშაულებებს:

1) ტერორისტული მოქმედებები;

2) ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა;

3) ფულის გათეთრება;

4) რადიაქტიური და ბირთვული ნივთიერებებით ვაჭრობა;

5) უკანონო საიმიგრაციო მოქმედებები;

6) ადამიანით ვაჭრობა;

7) ავტომობილებით უკანონო ვაჭრობა და სხვ.

ეს დანაშაულები ევროპულ სისხლის სამართალში ცნობილია, როგორც ტრანსნაციონალური ხასიათის მატარებელი, რომლებიც მიმართულია ადამიანთა სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობის, საკუთრების, თავისუფლების, გარემოს წინააღმდეგ.

დღევანდელი მდგომარეობით, ევროპოლის უფლებამოსილებათა კატალოგი უნდა გაიზარდოს და მოიცვას დელიქტთა 24 ჯგუფი, რომელთა დიდი ნაწილი, ასევე მითითებულია ევროპული დაპატიმრების ბრძანების შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილების[1] მე-2 მუხლში, ისევე როგორც ის დანაშაულები, რომლების ამ დელიქტებთან კავშირშია.[2]

ევროპოლის კომპეტენცია, მისი მიზნებიდან გამომდინარე, რომელიც მოცემულია ევროპოლის შეთანხმების მე-2 მუხლის პირველ აბზაცში, ვრცელდება მხოლოდ საერთაშორისო

---

[1] იხ. Council Framework Decision of 13 June 2002 on the European arrest warrant and the surrender procedures between Member States (2002/548/JAII). Rahmenbeschluss des Rates vom 13. Juni 2002 über den Europäischen Haftbefehl und die Übergabeverfahren zwischen den Mitgliedstaaten (2002/548/JI).

[2] იხ. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 159.

ხასიათის მძიმე დანაშაულებრივ ქმედებათა მიმართ. მისი დამახასიათებელი თვისებაა ის, რომ იგი ჩადენილი უნდა იქნეს კრიმინალური ორგანიზებული სტრუქტურული გაერთიანების მიერ. ამასთან, ამ დანაშაულებს შემხებლობა უნდა ჰქონდეთ მინიმუმ ორ წევრ სახელმწიფოსთან, რათა ევროპოლმა გაავრცელოს მათზე საკუთარი უფლებამოსილება და მათი მოცულობის, მნიშვნელობისა და შედეგების მიხედვით, საჭირო უნდა იყოს წევრ სახელმწიფოთა ერთობლივი მოქმედება.

ევროპოლი, ნაციონალური პოლიციის ორგანოებისაგან განსხვავებით, ჯერჯერობით არ არის აღჭურვილი ოპერაციული პოლიციური უფლებამოსილებებით. მისი ამოცანა ძირითადად შემოიფარგლება ნაციონალური პოლიციური ორგანოების გაძლიერებული თანამშრომლობის უზრუნველყოფით, ისევე, როგორც წევრ სახელმწიფოებში სისხლისსამართლებრივი დევნის მხარდაჭერით. ამ მიზნით, თითოეული წევრი სახელმწიფო ქმნის ან ასახელებს ევროპოლთან თანამშრომლობის ნაციონალურ დაწესებულებას, რომელიც მოქმედებს, როგორც საკონტაქტო ორგანო ევროპოლსა და შესაბამის უფლებამოსილ ნაციონალურ ორგანოებს შორის. ასევე წევრი სახელმწიფო ასახელებს საკონტაქტო თანამდებობის პირს („Europol Liaison officers-ELOs“), რომელიც იგზავნება ევროპოლში. ისინი ხელს უწყობენ ნაციონალურ საკონტაქტო ადგილებსა და ევროპოლს შორის ინფორმაციის დროულ და გამარტივებულ გაცვლას.

ევროპოლი შესაძლებელია, დავახასიათოთ, როგორც ევროპული ცენტრალური საინფორმაციო სამსახური. ინფორმაციულ ურთიერთობას ევროპოლსა და წევრ სახელმწიფოთა შორის უზრუნველყოფენ სწორედ ეს საკონტაქტო მოხელეები, რომლებიც ნაციონალური დაწესებულებებიდან იგზავნებიან და სარგებლობენ ხელშეუხებლობით. ადრე წევრ სახელმწიფოთა და ევროპოლს შორის მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლებოდა პირდაპირი კონტაქტების დამყარება, მაგრამ ცვლილებების შედეგად დღეს უკვე ნებადართულია პირდაპირი კონტაქტებიც (ევროპოლის შეთანხმების მუხ. მე-4 აბზ. მე-2). ნაციონალური საკონტაქტო ადგილები არის ერთადერთი დამაკავშირებელი დაწესებულებები ევროპოლსა და წევრ სახელმწიფოთა შორის და ევროპოლისთვის უმნიშვნელოვანესი საინფორმაციო წყარო. მიუხედავად ეფექტური თანამშრომლობის ვალდებულებისა, ასევე მათ შეუძლიათ, ნაციონალური უსაფრთხოებიდან და სხვა განსაკუთრებული გარემოებიდან გამომდინარე, ევროპოლისათვის განსაზღვრული ინფორმაციის გადაცემაზე უარის თქმა (ევროპოლის შეთანხმების მუხ. მე-4 აბზ. მე-5).

მნიშვნელოვანია ევროპოლის ინფორმაციული უფლებამოსილება. თავისი ამოცანების შესასრულებლად, იგი ფლობს ავტომატიზირებულ საინფორმაციო სისტემას (ევროპოლის შეთანხმების მუხ. მე-7-მე-9), რომელშიც ხდება მონაცემთა შეგროვება და ანალიზი, რათა შემდეგ გადაეცეს წევრ სახელმწიფოებს. ავტომატური საინფორმაციო სისტემა, მონაცემთა ბაზაში შეგროვილი ინფორმაციის საფუძველზე, ევროპოლის შეთანხმების მე-8 მუხლის მიხედვით, სამ კატეგორიად იყოფა:

1) ევროპოლის უფლებამოსილებაში შემავალი დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირების შესახებ ინფორმაცია;

2) ასეთი დანაშაულებრივი ქმედებებისათვის გასამართლებული პირების შესახებ ინფორმაცია;

3) პრევენციული მიზნით შეგროვებული ინფორმაცია. კერძოდ, იგი გულისხმობს ყველა იმ პირის შესახებ მონაცემების შეგროვებას, რომელმაც შესაძლებელია, განახორციელოს ასეთი დანაშაულებრივი ქმედება.

ევროპოლის შეთანხმების მე-9 მუხლის მიხედვით, საინფორმაციო სისტემაზე ხელი მიუწვდებათ მხოლოდ ნაციონალურ საკონტაქტო ორგანოებს, წევრი სახელმწიფოების მიერ

დასახელებულ საკონტაქტო მოხელეებს და ევროპოლის მოხელეთა ვიწროდ განსაზღვრულ წრეს.

ევროპოლის საინფორმაციო სისტემა იყოფა ორ ნაწილად: ინფორმაციის შეგროვება და გადაცემული ინფორმაციის დაცვა. ევროპოლის შეთანხმების მე-15 მუხლის მიხედვით, ასევე მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობაც იყოფა ორ ნაწილად: წევრი სახელმწიფოს მიერ გადაცემული ინფორმაცია ევროპოლმა უნდა დაიცვას, როგორც ეს ამ ნაციონალური სახელმწიფოს კანონმდებლობით არის განსაზღვრული, ხოლო ის ინფორმაცია, რომელიც მის მიერ მოპოვებულ იქნა სხვა გზით, დაცული უნდა იქნეს, ერთი მხრივ, „პერსონალური მონაცემების ავტომატიზირებული დამუშავების დროს პიროვნების დაცვის შესახებ" ევროსაბჭოს 1981 წლის 28 იანვრის სპეციალური კონვენციით[1] დადგენილი წესით, ხოლო, მეორე მხრივ, თვით ევროპოლის შეთანხმებაში მოცემული მონაცემთა დაცვის შესახებ დებულებებით (იხ., მაგალითად, ევროპოლის შეთანხმების მე-8 და მე-10 მუხლები).

ევროპოლის შეთანხმების 24-ე მუხლით გათვალისწინებულია ევროპოლის ფარგლებში არსებული სპეციალური საკონტროლო ინსპექცია, რომელიც ახორციელებს ინფორმაციის დაცვასა და კონტროლზე საერთო სამართლებრივ ზედამხედველობას. იგი იხილავს საჩივრებს იმ დაუკმაყოფილებელი განაცხადების შესახებ, რომლებიც ეხება ინფორმაციის მიღებას, გასწორებასა და წაშლას. მის მიერ მონაცემთა გადაცემაზე უარის თქმა საბოლოოა და სასამართლოში არ საჩივრდება.

ჰელმუტ ზატცგერი ეჭვქვეშ აყენებს ევროპოლისგან სამართლებრივი დაცვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი წინაპირობების არსებობას.[2]

სხვაგვარია ამ საკითხისადმი სამართლებრივი მიდგომა ევროპის კავშირის ლისაბონის ხელშეკრულების მე-6 მუხლის ძალაში შესვლის შემდეგ, რომელიც ადამიანებს, ნაციონალური საკონსტიტუციო მექანიზმების გარდა, აძლევს უფლებათა დაცვის გარანტიას ორი სხვა სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებით: ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით.

ევროპოლთან მიმართებაში დღემდე დიდად სადისკუსიო პრობლემური საკითხებია მისი დემოკრატიული ლეგიტიმაცია და სასამართლო კონტროლს დაუქვემდებარებლობა. ასევე მიმდინარეობს მუშაობა მისი შემდგომი რეფორმირებისათვის. უკვე დიდი ხანია არსებობს პოლიტიკური ნება, რომ ევროპოლის შეთანხმება შეიცვალოს ევროპის კავშირის საბჭოს აქტით, რომელსაც არ დასჭირდება საერთაშორისო ხელშეკრულებებისათვის გათვალისწინებული შიდასახელმწიფოებრივი რატიფიკაციები.[3] ასეთ აქტს ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 34-ე II 2 მუხლით წარმოადგენდა ევროპის კავშირის საბჭოს გადაწყვეტილება (Ratsbeschluss). ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 88-ე II მუხლი კი, ევროპოლთან მიმართებაში ითვალისწინებს ევროპული პარლამენტისა და საბჭოს მიერ რეგულაციის (Verordnung) მიღებას.

შესაძლებელია, მომავალში ევროპოლი მოქმედებდეს არა მარტო ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გადაცემის მიმართულებით, არამედ აღიჭურვოს გამოძიების ჩატარების უფლებამოსილებებითაც.

---

[1] „Über den Schutz des Menschen bei der automatischen Verarbeitung personenbezogener Daten", 28.01. 1981.

[2] იხ. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 159.

[3] იხ. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 159.

3. ევროიუსტი

ევროიუსტი წარმოადგენს იუსტიციური თანამშრომლობის ცენტრალურ ევროპულ დაწესებულებას. OLAF-ისა და ევროპოლის საქმიანობის პარალელურად, ევროიუსტი საკუთარ უფლებამოსილებას ავრცელებს იმავე და სხვა დანაშაულთა მიმართ, ოღონდ იუსტიციურ სფეროში. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მოსამართლეები და პროკურორები ახორციელებენ ურთიერთდახმარებას როგორც ევროპოლის მეშვეობით, ასევე იუსტიციური თანამშრომლობის პირდაპირი კონტაქტების წარმოებით.

ჯერ კიდევ ევროპული საბჭოს დონეზე ტამპერეში (Tampere) მიღწეული შეთანხმებით გადაწყდა, რომ პოლიციური თანამშრომლობის სფეროში არსებული ევროპოლის პარალელურად იუსტიციის ორგანოებს შორის თანამშრომლობის მიზნით შექმნილიყო ევროიუსტი. იგი შეიქმნა ევროკავშირის საბჭოს 2002 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით (Beschluss[1]). მანამდე, 2000 წლის 14 დეკემბერს, საბჭოს გადაწყვეტილებით ბრიუსელში ჩამოყალიბდა Pro-Eurojust – დროებითი ორგანო იუსტიციური თანამშრომლობისთვის („Vorläufige Stelle zur justitiellen Zusammenarbeit“[2]), რომელიც თავის საქმიანობას შეუდგა 2001 წლის 3 იანვარს. ევროიუსტის შტაბ-ბინაც მდებარეობს ჰააგაში.

ევროიუსტის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი პრიმერულ სამართალში განისაზღვრა ნიცას ხელშეკრულებით. ასეთ ნორმას წარმოადგენდა ევროკავშირის შესახებ ნიცას ხელშეკრულების 31-ე მუხლი, ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულებაში კი, ეს საკითხი დარეგულირდა 85-ე მუხლში.

ორგანიზაციულ-სამართლებრივად ევროიუსტი დაფუძნდა, როგორც დირექტივებისგან დამოუკიდებელი იუსტიციური სამსახური, საკუთარი უფლებამოსილებებით. ევროიუსტის მიზნებია:

1) კოორდინაცია გაუწიოს წევრ სახელმწიფოებში მიმდინარე გამოძიებებსა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებებს;

2) სამართლებრივი დახმარების სფეროში თანამშრომლობის გაუმჯობესება;

3) ამ საკითხებში მხარდაჭერა შესაბამისი ნაციონალური ორგანოებისთვის, მათ მიერ ჩატარებული გამოძიებისას.

ევროიუსტი ზოგადი მატერიალურ-სამართლებრივი უფლებამოსილებების სფეროს ავრცელებს ევროპოლის კომპენტენციაში შემავალ დანაშაულებზე და კრიმინალური საქმიანობის ფორმებზე (ევროპოლის შესახებ გადაწყვეტილების მუხ. მე-4 I a), ასევე სხვა დანაშაულებზე და მათთან დაკავშირებულ საქმიანობებზე (მუხ. მე-4 I b c). ევროიუსტს ზოგადი უფლებამოსილება აქვს სხვა დანაშაულებრივ საქმიანობაზეც, მხოლოდ მაშინ, როცა ნაციონალური დაწესებულება მიმართავს დახმარების თხოვნით (მუხ. 4 აბზ. 2). ევროიუსტის უფლებამოსილება ერცელდება დამნაშავეობის ისეთ ფორმებზე, რომლებსაც შემხებლობა აქვთ რამდენიმე წევრ სახელმწიფოსთან.

დასახული მიზნების მისაღწევად, ევროიუსტი საქმიანობს, როგორც კოლეგიალური ორგანო:

1) ჩვეულებრივ შემთხვევებში, ერთი ან მეტი ეროვნული წევრის საშუალებით;

---

[1] Council Decision of 28 February 2002 setting up Eurojust with a view to reinforcing the fight against serious crime. (Beschluss vom 28. Februar 2002 über die Errichtung von Eurojust zur Verstärkung der Bekämpfung der schweren Kriminalität). იხ. გადაწყვეტილება ინგლისურ ენაზე: 2002/187/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2002/187/JI. ქვემოთ ამ წიგნში ქვეყნდება გადწყვეტილების ქართული ტექსტი, ისევე როგორც იუსტიციური თანამშრომლობის სფეროში გამოცემული სხვა ზოგიერთი აქტი.

[2] იხ. გადაწყვეტილება ინგლისურ ენაზე: 2000/799/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2000/799/JI.

2) წევრი სახელმწიფოს შუამდგომლობის საფუძველზე ან საერთაშორისო ხასიათის გამოძიებისას.

ორივე შემთხვევაში, ევროიუსტს შეუძლია, წევრ სახელმწიფოებს მისცეს მიმართულება განსაზღვრული საქმის გამოძიებისას. შემდგომ, ევროიუსტს მიეცა პერსონალური მონაცემების გადამუშავების უფლება (მუხ. მე-14-ე-25-ე). ევროიუსტს მჭიდრო კავშირები აქვს, ასევე სხვა ორგანიზაციებთან, ხოლო ევროპული იუსტიციური ქსელის (EJN) კანცელარია დამკვიდრდა ევროიუსტთან.

ევროიუსტი ძირითადად მუშაობს დოკუმენტაციაზე ტრანსნაციონალური დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის გასაადვილებლად. ევროპოლის სტრუქტურის მსგავსად, იგი შედგება ე.წ. ნაციონალური წევრებისგან (მოსამართლეები, პროკურორები, პოლიციის მოხელეები). როგორც მათ შიდასახელმწიფოებრივ კოლეგებს, მათაც მიუწვდებათ ხელი ნაციონალურ სისხლის სამართლის რეესტრებზე. ამით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ინფორმაციის ოპერატიული და ეფექტური მიღება და გამოყენება სისხლის სამართლის დევნაში მონაწილე წევრ სახელმწიფოებს შორის. გარდა ამისა, ევროიუსტი მუშაობს საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების კოორდინაციისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული ორმაგი პარალელური საქმიანობები და კომპეტენციათა კონფლიქტები.

ევროიუსტს ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი საკუთარი დამოუკიდებელი თანამდებობის პირი და შექმნილი აქვს საკონტროლო ინსტანცია, რომელიც პერსონალური მონაცემების სწორად დამუშავებას უწევს ზედამხედველობას და იხილავს ცალკეულ პირთა შესაბამის საჩივრებს.

ევროიუსტი განსხვავდება ე.წ. ევროპული იუსტიციური ქსელისაგან[1]. ეს უკანასკნელი წარმოადგენს 1998 წელს საერთო ღონისძიების (Joint Action[2]) საფუძველზე შექმნილ ნაციონალური საკონტაქტო ადგილების გაერთიანებას, რომლის მიზანია წევრ სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი დახმარების სფეროში იუსტიციური თანამშრომლობის გაადვილება. ევროიუსტისაგან განსხვავებით, იგი არ წარმოადგენს ორიგინალურ ევროპულ ორგანიზაციას მყარი სამართლებრივი სტრუქტურებით, არამედ ქსელს, რომელიც ახორციელებს ინფორმაციების გაცვლასა და კონტაქტების დამყარებას ნაციონალურ საკონტაქტო ორგანოებს შორის.[3]

OLAF-ი თანამშრომლობს ევროიუსტთან იმ დანაშაულთა სფეროებში, რომლებიც მიმართულია ევროკავშირის ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ. ასევე ევროპოლთან არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი.

ევროპოლი და ევროიუსტი – ეს არის ორი ურთიერთშემავსებელი ევროპული სისხლისამართლებრივი დევნის განმახორციელებელი წარმონაქმნი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ოპერატიული, საგამოძიებო და აღმასრულებელი უფლებამოსილება ჯერ კიდევ წევრი სახელმწიფოების პოლიციასა და პროკურატურას რჩება.

ევროიუსტის როლი უახლოეს მომავალში კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს და ევროპოლთან მიმართებაში, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება, აღიჭურვოს აღმასრულებელი ფუნქციებით, უნდა მიიღოს საზედამხედველო ფუნქცია[4]. ევროიუსტის ბაზაზე უნდა შეიქმნას, ასევე ევროპული პროკურატურის ინსტიტუტი.

---

[1] European Judicial Network (EJN). გერმანულად: Europäisches Justizielles Netz: EJN)

[2] იხ. ინგლისურ ენაზე: 98/428/JHA, ხოლო Gemeinsame Maßnahme გერმანულ ენაზე – 98/428/JI. იგი შეიცვალა საბჭოს გადაწყვეტილებით: იხ. ინგლისურ ენაზე: 2008/976/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2008/976/JI.

[3] უფრო დაწვრილებით იხ. http://www.ejn-crimjust.europa.eu.

[4] იმის შესახებ,რომ ევროიუსტი უნდა აღიჭურვოს ევროპოლის სამართლებრივი ზედამხედველობის ფუნქციით იხ. *Grote*, in: *Gleß/Grote/Heine* (Hrsg.), Justitielle Einbindung und Kontrolle von Europol, 2001, გვ. 607.

ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის მოქმედი ხელშეკრულების 86-ე მუხლი ითვალისწინებს ევროპული პროკურატურის დაფუძნებას. მისი უფლებამოსილებები არ იქნება ზოგადი და განუსაზღვრელი, არამედ შემოიფარგლება ევროპის კავშირის ფინანსური ინტერესების საზიანო დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანით. მაშასადამე, იგი უკავშირდება ამავე ხელშეკრულების 325-ე მუხლით გათვალისწინებულ ევროკავშირის სუპრანაციონალურ კომპეტენციას ევროკავშირის წინააღმდეგ მიმართული თაღლითობებისა და ფინანსური ინტერესების საზიანოდ ჩადენილი სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის ორიგინალური სისხლისსამართლებრივი ნორმების გამოცემის თაობაზე, რომელიც აქამდე სადავო იყო ევროგაერთიანების ნიცას ხელშეკრულების 280-ე მუხლის მე-4 აბზაცის მე-2 წინადადებიდან გამომდინარე. ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით, შესაძლებელია, მისი კომპეტენციის სფეროში მოექცეს, ასევე მთლიანი „ტრანსნაციონალური ხასიათის მძიმე დამნაშავეობა“[1].

ევროპული პროკურატურა შეიძლება დაფუძნდეს ევროკავშირის საბჭოს რეგულაციით (Verordnung). გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს ერთხმად, მას შემდეგ, რაც ამ საკითხზე თანხმობას მისცემს ევროპული პარლამენტი. თუ წევრი სახელმწიფოების ერთსულოვანი ნება არ იარსებებს, მაშინ მინიმუმ ცხრა წევრი სახელმწიფოსგან შემდგარ ჯგუფს შეუძლია მხარი დაუჭიროს ამ ორგანოს შექმნას ე.წ. „გაძლიერებული თანამშრომლობის“ პროცედურით, რაც გათვალისწინებულია ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების მე-20 მუხლით.

ევროპული პროკურატურა უნდა იყოს ძლიერი, დამოუკიდებელი ორგანო[2], რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში გამოძიებების ხელმძღვანელობასა და კოორდინაციაზე. ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 86-ე მუხლის მე-2 აბზაცით, ევროპული პროკურატურის უფლებამოსილებაში შედის სისხლისსამართლებრივი გამოძიება და დევნა, ისევე როგორც ბრალდების წარდგენა იმ პირების მიმართ, რომლებმაც, როგორც ამსრულებლებმა ან თანამონაწილეებმა ჩაიდინეს ევროკავშირის ფინანსური ინტერესების საზიანო დანაშაულები. საქმის განხილვა უნდა მოხდეს წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ სასამართლო ორგანოებში, სადაც ევროპული პროკურატურა ამ დანაშაულთა საქმეებზე შეასრულებს ბრალმდებლის ფუნქციას.

მომავალი ევროპული პროკურატურა გამოძიებების ჩატარების პროცესში არ იმუშავებს ცალმხრივად, არამედ შეაგროვებს ბრალდების როგორც სასარგებლო, ასევე საწინააღმდეგო მტკიცებულებებს. იგი უნდა დაეყრდნოს ნაციონალური პოლიციური საგამოძიებო და იუსტიციის ორგანოების მხარდაჭერას. სასამართლო კონტროლი კი, უნდა განხორციელდეს ნაციონალური ე.წ. თავისუფლების მოსამართლის („juge des libertes“) მიერ, რომელიც არის უფლებამოსილი იძულებითი ღონისძიებების გამოყენების ნებართვის გაცემაზე. ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული ე.წ. ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპი, რამეთუ ერთერთი რომელიმე წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული დაპატიმრების ორდერი ან სხვა განჩინება უნდა აღსრულდეს ნებისმიერ სხვა წევრ ქვეყანაში უპრობლემოდ. თუ ევროპურმა პროკურატურამ არ შეწყვიტა საქმის წარმოება და ბოლომდე მიიყვანა იგი, საბრალდებო დასკვნას წარადგენს ნაციონალური სასამართლოს წინაშე და საქმის განხილვა მოხდება ამ სახელმწიფოში მოქმედი საპროცესო წესების მიხედვით. სხვა სახელმწიფოში კანონიერად მოპოვებული ნებისმიერი მტკიცებულება მეორე სახელმწიფოში მიღებული უნდა იქნეს უპ-

---

[1] შეად. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 162-163.

[2] იხ. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 162.

რიბლებრივ, ამ ქვეყანაში მოქმედი მტკიცებულებითი სამართლის ნორმების მიუხედავად.

ევროპული სისხლის სამართლის ინსტიტუტი სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან იწვევს გარკვეულ კრიტიკას და აზრთა სხვადასხვაობას.[1] ბრალდებულის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი ევროპული ინსტიტუციონალური დაცვის ორგანიზაციის ჩამოყალიბების თაობაზე, რომელიც ლიტერატურაში მოხსენიებულია „Eurodefensor" ან „Euroadvokat" სახელწოდებით.[2] *ზატცგერი* გამოდგება რწმენას, რომ ევროპული პროკურატურის მიერ ევროკავშირის დონეზე ჩატარებულ გამოძიებას და სისხლისსამართლებრივ დევნას არ ექნება სამართლებრივი სახელმწიფოს საწინააღმდეგო დეფექტები ბრალდებულის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით.[3]

თუ წარსულს გადავხედავთ, ასევე ევროპული კონსტიტუციის ხელშეკრულების პროექტიც ითვალისწინებდა ევროპული პროკურატურის ორგანოს დაფუძნებას (იხ. მუხ. III-274-ე). ჯერ კიდევ სისხლის სამართლის პროექტი სახელწოდებით: *Corpus Juris 2000*, რომელიც ძირითად ისაბავს ევროგაერთიანების ფინანსური ინტერესების დაცვას, ითვალისწინებს ევროპული პროკურატურის შექმნას (იხ. *Corpus Juris 2000*-ის მე-18-24-ე მუხლები)[4]. ამ იდეის გავითარებას წარმოადგენს ევროკომისიის მიერ შემუშავებული „მწვანე წიგნი ევროპული გაერთიანების ფინანსური ინტერესების სისხლისსამართლებრივი დაცვისა და ევროპული პროკურატურის შექმნისათვის"[5], რომელშიც განავითარა და სადისკუსიოდ წარმოადგინა ევროპული პროკურატურის კონცეფცია.

II ევროიუსტიციის ორგანიზაციული მოწყობა

წარმოგიდგენთ ევროკავშირის ფარგლებში იუსტიციის ორგანიზაციის საკითხებს. წევრ სახელმწიფოებს შორის ერთობლივი მუშაობის გაუმჯობესების, ასევე წევრ სახელმწიფოებსა და ევროკავშირის ორგანოებს შორის ურთიერთთანამშრომლობის დამყარების მიზნით, შეიქმნა სპეციალური ორგანო – ევროიუსტი (Eurojust) და ევროპული იურიდიული ქსელი (EJN), ასევე, ომის დანაშაულების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ადგილების ევროპული ქსელი, რომელსაც არ გააჩნია ევროპული ფორმალური სტრუქტურები. არსებობს მოსამართლეთა და პროკურორთა გაცვლითი პროგრამების განხორციელებისა და ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების შექმნის შესაძლებლობა, ასევე მოსამართლეთა და პროკურორთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ევროპული ქსელი (EJTN), რომელიც წარმოადგენს კერძო სამართლებრივ ორგანიზაციას, რომლის სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია EJTN-ის 2002 წლის 6 დეკემბრის ქარტიაში[6]. იუსტიციის სფეროში თანამშრომლობის მიზანია, დახმარება გაუწიოს წევრ სახელმწიფოთა საგამოძიებო ორგანოებსა და პროკურორებს კოორდინირებული ტრანსნაციონალური მუშაობის წარმართვაში.

---

[1] ასეთი კრიტიკული თვალსაზრისის შესახებ იხ. *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 163.

[2] ამის შესახებ იხ. *Schünemann*, Alternativentwurf Europäische Strafverfolgung, 2004, გვ. 14.

[3] იხ. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 163, ასევე: *Hekker*, Europäisches Strafrecht, Par. 14 Rn. 41.

[4] ევროპული სისხლის სამართლის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, ამ წიგნში ქვემოთ პირველად ქართულ ენაზე ვაქვეყნებთ *Corpus Juris*-ის ჩვენს მიერ თარგმნილ ქართულ ვერსიას.

[5] „Green Paper on criminal-law protection of the financial interests of the Community and the establishment of a European Prosecutor". გერმანულად: „Grünbuch zum strafrechtlichen Schutz der finanziellen Interessen der EG und zur Schaffung einer europäischen Staatsanwaltschaft". იხ. KOM (2001) 715, 11.12.2001.

[6] http://www.ejtn.net/www/en/html/nodes_main/5_1708_36/5_1663_37_de.htm.

1. გადაწყვეტილება ევროიუსტის შექმნის შესახებ

საბჭოს 2002 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება[1] ევროიუსტის შექმნის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს მძიმე დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას[2]

წარმოდგენილი სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნა 2002 წლის 28 თებერვალს ევროკავშირის საბჭოს მიერ, რომელმაც შემდგომ განიცადა ცვლილებები[3]. მის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ იგი ეფუძნება ევროკავშირის ხელშეკრულების 31-ე მუხლსა და 34-ე მუხლის მე-2 აბზაცის c) ქვეპუნქტს. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პორტუგალიის, საფრანგეთის, შვედეთისა და ბელგიის სამეფოების ინიციატივით, ევროპარლამენტის მიერ პოზიციის გამოხატვის შემდეგ. მისი მიღება მიზნად ისახავდა:

– წევრ სახელმწიფოებს შორის იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის შემდგომ უპირობო გაუმჯობესებას, განსაკუთრებით იმ მძიმე დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც ხშირად სჩადიან ტრანსნაციონალური გაერთიანებები;

– ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების შეუზღუდავად, ისეთი სტრუქტურული ღონისძიებების გატარებას, რომელთა მეშვეობითაც უნდა გამარტივებულიყო წევრ სახელმწიფოებს შორის საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების ოპტიმალური კოორდინირება;

– მძიმე ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, რა მიზნითაც, ევროპის საბჭომ, ტამპერეში, 1999 წლის 15-16 ოქტომბერს, გადაწყვიტა ევროიუსტის სამსახურის შექმნა, რომელშიც პროკურორები, მოსამართლეები და პოლიციის მოხელეები გაერთიანდებოდნენ თანაბარი უფლებამოსილებებით;

– ევროიუსტის ორგანოს, როგორც ევროკავშირის დაწესებულების შექმნას, რომლსაც გააჩნია სამართლსუბიექტურობა;

– ევროიუსტის საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თვალსაზრისით, რაც გამოიხატება იმაში, რომ მთელ რიგ საკითხებში OLAF-თვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი დოკუმენტები, ოფიციალური საბუთები, მოხსენებები, აღნიშვნები ან ინფორმაციები;

– ევროიუსტის მიზნების ეფექტურად მიღწევისათვის თავისი ამოცანების განხორციელებას ერთი ან რამდენიმე დაინტერესებული ნაციონალურ წევრის, ან კიდევ კოლეგიის მიერ;

– ინფორმაციათა გაცვლას წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილ ორგანოებს შორის იმ პროცედურებთან დაკავშირებით, რომლებიც ემსახურება სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციონირების ინტერესებს;

---

[1] Council Decision of 28 February 2002 setting up Eurojust with a view to reinforcing the fight against serious crime. ABl. L 63, 6. 03. 2002. იხ. ინგლისურ ენაზე 2002/187/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე (Beschluss vom 28. Februar 2002 über die Errichtung von Eurojust zur Verstärkung der Bekämpfung der schweren Kriminalität) – 2002/187/JI.

[2] ეს გადაწყვეტილება (Beschluss) წარმოდგენილია საბჭოს 2003 წლის 18 ივნისის ცვლილებებით, იხ. ინგლისურ ენაზე 2003/659/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2003/659/JI. ამ გადაწყვეტილებით ცვლილებები შევიდა 35-ე-38-ე მუხლებში.

[3] ბოლო ცვლილებები განხორციელდა 2009 წელს, იხ. გადაწყვეტილება (Beschluss) ინგლისურ ენაზე 2009/426/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2009/426/JI, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ყველა წევრ სახელმწიფოში ჯერ კიდევ არ არის იმპლემენტირებული. მისი განხორციელების ვადა განისაზღვრა 2011 წლის 4 ივნისამდე, რის გამოც, არ არის ასახული აქ წარმოდგენილ ქართულ ტექსტში.

– ევროიუსტის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებას ავტომატიზირებული ფორმით ან სხვა სახით და მათი დაცვის უზრუნველყოფას;

– საერთო საკონტროლო ინსტანციის შექმნას ევროიუსტის პერსონალური მონაცემების სწორად დამუშავების უზრუნველყოფისა და კონტროლის მიზნით. დაკომპლექტების თვალსაზრისით, ევროიუსტი შედგება მოსამართლეების ან, თუ ამას მოითხოვს ნაციონალური საკონსტიტუციო ან საკანონმდებლო სისტემა, იმ პირებისგან, რომლებიც თანაბარი სახის საქმიანობას ეწევიან, რომელიც მათ შესაბამის დამოუკიდებლობას ანიჭებს. ამ ერთობლივმა საკონტროლო ინსტანციის უფლებამოსილებებმა ხელშეუხებელი უნდა დატოვოს ნაციონალური სასამართლოების უფლებამოსილებები და ის სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც შესაძლოა, გამოყენებული იქნეს;

– ევროკომისიის აქტიურ ჩართვას ევროიუსტის მუშაობაში, ევროკავშირისა და ევროგაერთიანების სხვადასხვა საქმიანობებს შორის ჰარმონიული ურთიერთთანამშრომლობის უზრუნველყოფას, ევროკავშირის ნიცას ხელშეკრულების 29-ე მუხლისა და 36-ე მუხლის მე-2 აბზაცის მხედველობაში მიღებით.

– დებულებების შემუშავებას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ევროიუსტსა და ევროპოლს შორის მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას;

– ევროიუსტისა და ევროპული იუსტიციური ქსელის განსაკუთრებით მჭიდრო ურთერთთანამშრომლობას;

– ევროიუსტის საქმიანობის გაადვილების მიზნით, წევრი სახელმწიფოების მიერ ერთი ან რამდენიმე ნაციონალური საკონტაქტო ორგანოს (nationale Anlaufstelle) შექმნას ან დასახელებას.

თავისი ამოცანების განხორციელების თვალსაზრისით, ევროიუსტი თანამშრომლობს მესამე სახელმწიფოებთან და აფორთოებს შეთანხმებებს ამ მიზნით. ის პრიორიტეტულად თანამშრომლობს იმ ქვეყნებთან, რომლებსაც სურთ ევროკავშირში შესვლა, ასევე სხვა იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც ევროკავშირს აქვს თანამშრომლობა.

წარმოდგენილი სამართლებრივი აქტი – გადაწყვეტილება ითვალისწინებს ძირითად უფლებათა პატივისცემასა და ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლით აღიარებული და გარანტირებული პრინციპების განუხრელ დაცვას.

ევროიუსტის შექმნის შესახებ ევროკავშირის საბჭოს ზემოდასახელებული გადაწყვეტილების ცალკეული მუხლების შინაარსი ასეთია:

მუხლი 1 დაფუძნება და სამართალსუბიექტურობა

ამ სამართლებრივი აქტით, რომელსაც ჰქვია ევროკავშირის საბჭოს *გადაწყვეტილება*, ხდება შემდგომში ევროიუსტის სახელით მოხსენიებული დაწესებულების დაფუძნება.

ევროიუსტს გააჩნია სამართალსუბიექტურობა.

მუხლი 2 შემადგენლობა

ევროიუსტი შედგება ყოველი წევრი სახელმწიფოს მიერ საკუთარი სამართლებრივი წესების შესაბამისად წარგზავნილი ნაციონალური წევრებისგან, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი უფლებამოსილებებით აღჭურვილი პროკურორის, მოსამართლის ან პოლიციის მოხელის თვისება.

(1) ყოველ ნაციონალურ წევრს შეუძლია, მიიღოს მხარდაჭერა ერთი პირისგან. საჭიროების შემთხვევაში, ნაციონალურ წევრს შეუძლია, მე-10 მუხლში დასახელებული კოლეგიის

თანხმობით, მხარდაჭერა მიიღოს რამდენიმე პირისგან. ერთ-ერთ ამ პირთაგანს შეუძლია, შეასრულოს ნაციონალური წევრის მოვალეობა.

მუხლი 3 მიზნები

(1) ორ ან მეტ წევრ სახელმწიფოსთან შემხებლობაში მყოფი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, რაც დაკავშირებულია მე-4 მუხლში დასახელებული მძიმე, განსაკუთრებით ორგანიზებული, დამნაშავეობის სფეროში დანაშაულებრივ საქმიანობასთან, ევროიუსტი მიზნად ისახავს:

a) წევრ სახელმწიფოებში მიმდინარე გამოძიებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების გატარების კოორდინაციის ხელშეწყობასა და გაუმჯობესებას წევრ სახელმწიფოთა კომპეტენტურ ორგანოებს შორის, წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი უწყებიდან მომდინარე ყოველი თხოვნისა და ნებისმიერი ინფორმაციის გათვალისწინებით, რომლის გადაცემა ხდება იმ დაწესებულების მეშვეობით, რომელიც, ხელშეკრულებების ფარგლებში გამოცემული დებულებებით, ამისთვის უფლებამოსილია;

b) წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებს შორის ურთიერთანამშრომლობის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების გაადვილებისა და ექსტრადიციის თხოვნის განხორციელების მეშვეობით;

c) წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების სხვა სახის მხარდაჭერას იმ მიზნით, რათა მოხდეს მათი გამოძიებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების განხორციელების ეფექტურობის ამაღლება.

(2) ამ გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ევროიუსტს შეუძლია, წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყების განაცხადის საფუძველზე, მხარი დაუჭიროს, აგრეთვე იმ გამოძიებების ჩატარებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების გატარებას, რომლებიც მხოლოდ ამ წევრ სახელმწიფოსა და მესამე სახელმწიფოს შეეხება, თუკი, 27-ე მუხლის მე-3 აბზაცის შესაბამისად, ამ სახელმწიფოსთან დადებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება ან, ცალკეულ შემთხვევებში, როცა არსებობს მხარდაჭერის განხორციელების არსებითი ინტერესი.

(3) ამ გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ევროიუსტს შეუძლია, წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყების ან კომისიის განაცხადის საფუძველზე, მხარი დაუჭიროს აგრეთვე იმ გამოძიებების ჩატარებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების გატარებას, რომლებიც მხოლოდ ამ წევრ სახელმწიფოსა და გაერთიანებას შეეხება.

მუხლი 4 უფლებამოსილებები

(1) ევროიუსტის ზოგადი უფლებამოსილების სფერო ვრცელდება

a) დამნაშავეობის იმ ფორმებსა და დანაშაულებზე, რომლებიც ევროპოლის 1995 წლის 16 ივლისის შეთანხმების მე-2 მუხლის თანახმად, ევროიუსტის მიერ კონკრეტული უფლებამოსილების განხორციელების შესაბამის დროს ევროპოლის კომპეტენციაში შედის;

b) დამნაშავეობის შემდეგ ფორმებზე:

– კომპიუტერული დამნაშავეობა;

– თაღლითობა და კორუფცია, ასევე სხვა დანაშაულები, რომელიც ხელყოფს ევროპული გაერთიანებების ფინანსურ ინტერესებს;

– დანაშაულებისგან მიღებული შემოსავლების გათეთრება;

– ეკოლოგიური დამნაშავეობა;

– მონაწილეობა კრიმინალურ გაერთიანებაში, ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებული 1998 წლის 21 დეკემბრის ერთობლივი ღონისძიებებიდან 98/78/JI გამომდინარე, რომელიც ეხება ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში კრიმინალურ გაერთიანებაში მონაწილეობისათვის დასჯადობას;

c) სხვა დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია a) და b) ქვეპუნქტებში დასახელებულ დამნაშავეობის ფორმებთან და დანაშაულებთან ერთად.

(2) დანაშაულის სხვა სახეების შემთხვევაში, რომელიც არ არის დასახელებული პირველ აბზაცში, ევროიუსტს, თავისი მიზნების შესაბამისად, წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყების განაცხადის საფუძველზე, ასევე შეუძლია, დამატებით დაუჭიროს მხარი გამოძიებებსა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების გატარებას.

მუხლი 5 ევროიუსტის ამოცანები

(1) თავისი მიზნების მისაღწევად, ევროიუსტი მის წინაშე მდგარ ამოცანებს ასრულებს:

a) დაინტერესებული ნაციონალური წევრის ან რამდენიმე დაინტერესებული ნაციონალური წევრების მეშვეობით, მე-6 მუხლის შესაბამისად, ან

b) როგორც კოლეგია, მე-7 მუხლის შესაბამისად, იმ შემთხვევებში,

i) როცა ერთი ან რამდენიმე ნაციონალური წევრი, რომელსაც ევროიუსტის მიერ განხილული საქმეები ეხება, ამის შესახებ განაცხადს გააკეთებს, ან

ii) როცა საქმე ეხება გამოძიებებს ან სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებებს, რომლებსაც აქვთ ზეგავლენა კავშირის დონეზე, ან სხვა შემთხვევაში, როცა შესაძლებელია, ისინი შეეხოს სხვა იმ სახელმწიფოს, რომელიც არ არის უშუალოდ მონაწილე წევრი სახელმწიფო, ან

iii) როცა საქმე ეხება მისი მიზნების მიღწევასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს, ან

iv) რომლებიც ამ გადაწყვეტილების სხვა დებულებებით არის მოწესრიგებული.

(2) თუკი ევროიუსტი ასრულებს თავის ამოცანებს, მაშინ უთითებს, იგი მოქმედებს ერთი ან რამდენიმე ნაციონალური წევრის მეშვეობით, მე-6 მუხლიდან გამომდინარე, თუ როგორც კოლეგია, მე-7 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 6 ევროიუსტის მიერ ამოცანების განხორციელება მისი ნაციონალური წევრების მეშვეობით

როცა ევროიუსტი მოქმედებს თავისი დაინტერესებული ნაციონალური წევრების მეშვეობით, მაშინ

a) მას შეუძლია, დაინტერესებული სახელმწიფოების კომპეტენტურ უწყებებს მიმართოს თხოვნით, რათა

i) განსაზღვრული ქმედების შემადგენლობების მიმართ ჩატარდეს გამოძიება ან განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

ii) განაცხადონ თანხმობა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში განსაზღვრული ქმედების შემადგენლობების მიმართ გამოძიების ჩატარება ან სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება განახორციელოს სხვა კომპეტენტურმა უწყებამ, რადგან იგი ამას უკეთესად შეძლებს;

iii) წარიმართოს კოორდინირებული მუშაობა დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოთა კომპეტენტურ უწყებებს შორის;

iv) შეიქმნას ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფი თანამშრომლობის შესახებ შესაბამისი შეთანხმებების მიხედვით;

v) შესაძლებელი გახდეს მისთვის ყველა იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც აუცილებელია მის მიერ თავისი ამოცანების შესასრულებლად;

b) იგი უზრუნველყოფს დაინტერესებული წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური უწყებების ურთიერთინფორმირებას გამოძიებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების შესახებ იმ მასალით, რომლის შესახებაც იგი ინფორმირებულია;

c) იგი ხელს უწყობს წევრ სახელმწიფოთა კომპეტენტურ უწყებებს, რათა მათი თხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნეს გამოძიებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების გატარების ოპტიმალური კოორდინაცია;

d) იგი მხარს უჭერს იმას, რომ მოხდეს წევრ სახელმწიფოთა კომპეტენტურ უწყებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესება.

e) იგი მუშაობს ევროპულ ერთიან იუსტიციურ ქსელთან ერთად და მასთან შეთანხმებით; ამაში მოიაზრება, აგრეთვე მისი დოკუმენტაციის მონაცემთა ბაზის გამოყენება და ამ მონაცემთა ბაზის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა;

f)იგი, მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცებში მოცემულ შემთხვევებში, კოლეგიის თანხმობით, ხელს უწყობს გამოძიებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების გატარებას, რითაც დაინტერესებულია ერთადერთი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყებები;

g) მას შეუძლია, თავისი მიზნების შესაბამისად და მე-4 მუხლის პირველი აბზაცის ფარგლებში, წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ უწყებებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაუმჯობესების გათვალისწინებით, მოახდინოს სამართლებრივი დახმარების შესახებ თხოვნის გადაცემა, თუ ეს

i) მომდინარეობს წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყებისგან,

ii) დაკავშირებულია გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ღონისძიებასთან, რომელიც კონკრეტულ საქმეში ამ უწყების მიერ ტარდება, და

iii) მოითხოვს, კოორდინირებული შესრულების გათვალისწინებით, ევროიუსტის მოქმედებას.

მუხლი 7 ევროიუსტის, როგორ კოლეგიის მიერ ამოცანების განხორციელება

თუკი ევროიუსტი მოქმედებს, როგორც კოლეგია, მაშინ

a) მას შეუძლია, მე-4 მუხლის პირველ აბზაცში დასახელებულ დამნაშავეობის ფორმებთან და დანაშაულებთან დაკავშირებით შესაბამისი დასაბუთებული თხოვნით მიმართოს დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოთა კომპეტენტურ უწყებებს, რათა

i) განსაზღვრული ქმედების შემადგენლობების მიმართ ჩატარდეს გამოძიება ან განხორციელდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

ii) განაცხადონ თანხმობა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში განსაზღვრული ქმედების შემადგენლობების მიმართ გამოძიების ჩატარება ან სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება განახორციელოს სხვა კომპეტენტურმა უწყებამ, რადგან იგი ამას უკეთესად შეძლებს;

iii) წარიმართოს კოორდინირებული მუშაობა დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოთა კომპეტენტურ უწყებებს შორის;

iv) შეიქმნას ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფი თანამშრომლობის შესახებ შესაბამისი შეთანხმებების მიხედვით;

v) შესაძლებელი გახდეს მისთვის ყველა იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც აუცილებელია მის მიერ თავისი ამოცანების შესასრულებლად;

b) იგი უზრუნველყოფს წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური უწყებების ურთიერთინფორმირებას გამოძიებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების შესახებ იმ მასალით, რომლის შესახებაც იგი ინფორმირებულია და რომელსაც ზეგავლენა აქვთ კავშირის დონეზე, ან სხვა შემთხვევაში, როცა შესაძლებელია, ისინი შეეხოს სხვა იმ სახელმწიფოს, რომელიც არ არის უშუალოდ დაინტერესებული წევრი სახელმწიფო, ან;

c) იგი ხელს უწყობს წევრ სახელმწიფოთა კომპეტენტურ უწყებებს, რათა მათი თხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნეს გამოძიებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების გატარების ოპტიმალური კოორდინაცია;

d) იგი მხარს უჭერს იმას, რომ მოხდეს წევრ სახელმწიფოთა კომპეტენტურ უწყებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესება, განსაკუთრებით ევროპოლის მიერ გაკეთებული ანალიზების საფუძველზე;

e) იგი მუშაობს ევროპულ ერთიან იუსტიციურ ქსელთან ერთად და მასთან შეთანხმებით; ამაში მოიაზრება, აგრეთვე მისი დოკუმენტაციის მონაცემთა ბაზის გამოყენება და ამ მონაცემთა ბაზის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა;

f) მას შეუძლია, თანადგომა გაუწიოს ევროპოლს, განსაკუთრებით ევროპოლის მიერ გაკეთებული ანალიზების საფუძველზე დასკვნების გაცემით;

g) მას შეუძლია, a), c) და d) ქვეპუნქტებში გათვალისწინებულ შემთხვევებში, უზრუნველყოს ლოჯისტიკური მხარდაჭერა. ასეთი ლოჯისტიკური მხარდაჭერა, სხვა შემთხვევებს შორის, შეიძლება, მდგომარეობდეს საკოორდინაციო სხდომების თარგმნასა და ორგანიზებაში.

მუხლი 8 დასაბუთება

თუკი დაინტერესებული წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყებები გადაწყვეტილებას მიიღებენ, რომ თხოვნა მე-7 მუხლის a) ქვეპუნქტის თანახმად არ დააკმაყოფილონ, მაშინ ისინი თავიანთი გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთების შესახებ აცნობებენ ევროიუსტს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ მე-7 მუხლის a) ქვეპუნქტის i), ii) და v) დასახელებულ შემთხვევებში ასეთი დასაბუთების მიწოდება იმდენად არ შეუძლიათ, რამდენადაც იგი

i) ხელყოფდა უსაფრთხოების სფეროში მნიშვნელოვან ნაციონალურ ინტერესებს, ან

ii) საფრთხეს შეუქმნიდა მიმდინარე გამოძიებების შეუფერხებელ მიმდინარეობას, ან პირის უსაფრთხოებას.

მუხლი 9 ნაციონალური წევრები

(1) ნაციონალური წევრების სტატუსი დადგენილია მათი წევრი სახელმწიფოების ნაციონალური სამართლით. ნაციონალური წევრების მანდატის ხანგრძლივობა განისაზღვრება იმ წევრი სახელმწიფოს მიერ, რომელსაც ისინი წარმოადგენენ; მან ევროიუსტს უნდა მისცეს თავისი ფუნქციების შეუფერხებლად განხორციელების შესაძლებლობა.

(2) ყველა ინფორმაციის გაცვლა ევროიუსტსა და წევრ სახელმწიფოებს შორის, მე-6 მუხლის a) ქვეპუნქტის ფარგლებში ჩამოყალიბებული თხოვნის ჩათვლით, წარმოებს ნაციონალური წევრების მეშვეობით.

(3) ყოველი წევრი სახელმწიფო ადგენს იუსტიციური უფლებამოსილებების ფორმასა და შინაარსს, რომლებსაც იგი საკუთარ ნაციონალურ წევრს თავის სუვერენულ ტერიტორიაზე გადასცემს. იგი განსაზღვრავს, ასევე ნაციონალური წევრის უფლებას, უცხოურ იუსტიციის

უწყებებთან ურთიერთობებში იმოქმედოს წევრი სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად. ნაციონალური წევრის დასახელების დროისათვის და, აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა ნებისმიერ დროს, წევრი სახელმწიფო ევროიუსტსა და საბჭოს გენერალურ სამდივნოს ატყობინებს თავის გადაწყვეტილებას, რათა მან ამის შესახებ შეატყობინოს სხვა წევრ სახელმწიფოებს. ისინი ვალდებულებას იღებენ, რომ ამ გზით მიღებული უფლებამოსილებები აღიარონ და პატივი სცენ მათ, თუკი ისინი შესაბამისობაშია მათ მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებთან.

(4) ევროიუსტის მიზნების მისაღწევად, ნაციონალურ წევრს ისეთივე ხელმისაწვდომობა აქვს თავისი წევრი სახელმწიფოს შესაბამის მოქმედ ნაციონალურ სისხლის სამართლის რეესტრში ან ნებისმიერ სხვა რეესტრში არსებულ ინფორმაციებთან, როგორც ნაციონალური სამართლის დებულებების საფუძველზე თანაბარი უფლებამოსილებების მქონე პროკურორს, მოსამართლეს ან პოლიციის მოხელეს.

(5) ნაციონალურ წევრს შეუძლია, თავისი ქვეყნის კომპეტენტურ უწყებებთან დაამყაროს პირდაპირი კავშირი.

(6) თავისი საქმიანობების შესრულებისას, საჭიროების შემთხვევაში, ნაციონალური წევრი უთითებს ამის შესახებ, როცა საქმე მისთვის მე-3 აბზაცით გადაცემულ იუსტიციურ უფლებამოსილებებს შეეხება.

მუხლი 10 კოლეგია

(1) კოლეგია შედგება ნაციონალური წევრების ერთობლიობისაგან. ყოველ ნაციონალურ წევრს აქვს მხოლოდ ერთი ხმა.

(2) ევროიუსტის რეგლამენტის დამტკიცება ხდება საბჭოს მიერ, – 23-ე მუხლის შესაბამისად არსებული ერთობლივი საკონტროლო ინსტანციის პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დებულებებთან დაკავშირებით მოსმენის შემდეგ, – კოლეგიის წარდგინებით, რომელიც მანამდე მის მიერ ერთხმად იქნა მიღებული. რეგლამენტის დებულებები, რომლებიც შეეხება პერსონალური მონაცემების დამუშავებას, შესაძლებელია, საბჭოს მიერ ცალკე იქნეს იქნეს ნებადართული.

(3) თუ კოლეგია მოქმედებს მე-7 მუხლის a) ქვეპუნქტის შესაბამისად, მაშინ იგი გადაწყვეტილებას იღებს ორი მესამედის უმრავლესობით. კოლეგიის სხვა გადაწყვეტილებების მიღების წესი კი, განისაზღვრება მისი რეგლამენტის მიხედვით.

მუხლი 11 ევროკომისიის როლი

(1) კომისია, ხელშეკრულების 36-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, სრული მოცულობით მონაწილეობს ევროიუსტის საქმიანობებში. იგი მონაწილეობას იღებს ამ საქმიანობების იმ სფეროებში, რომლებიც მის კომპეტენციაში შედის.

(2)ევროიუსტის საქმიანობების განხორციელების პროცესში, რომელიც დაკავშირებულია გამოძიებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების კოორდინაციასთან, შესაძლოა, კომისიას ეთხოვოს, წვლილი შეიტანოს თავისი სპეციალური დარგობრივი ცოდნის გამოყენებით.

(3) ევროიუსტისა და კომიისიის ურთიერთთანამშრომლობის გასაძლიერებად, ევროიუსტს შეუძლია, აწარმოოს აუცილებელი პრაქტიკული მოლაპარაკებები კომისიასთან.

მუხლი 12 ნაციონალური საკონტაქტო ორგანოები (ატიონალე ნლაუფსტელლენ)

(1) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, შექმნას ან დაასახელოს ერთი ან რამდენიმე ნაციონალური საკონტაქტო ორგანო. ამ დაწესებულებას ან დასახელებას ტერორიზმის სფეროში აქვს მაღალი პრიორიტეტი. ნაციონალურ საკონტაქტო ორგანოსა და წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ უწყებას შორის ურთიერთობების მოწესრიგება ხდება ცალკეული სახელმწიფოების სამართლებრივი დებულებებით. ნაციონალური საკონტაქტო ორგანოები მოქმედებენ იმ წევრ სახელმწიფოში, რომელმაც ისინი დაასახელა.

(2) წევრი სახელმწიფოს მიერ დასახელებული ნაციონალური საკონტაქტო ორგანო შეიძლება, იმავდროულად წარმოადგენდეს ევროპული იუსტიციური ქსელის საკონტაქტო დაწესებულებასაც.

(3) ურთიერთობები ნაციონალურ წევრსა და ნაციონალურ საკონტაქტო ორგანოს შორის არ გამორიცხავს ნაციონალური წევრისა და მისი კომპეტენტური უწყებების პირდაპირ კავშირს.

მუხლი 13 ინფორმაციის გაცვლა წევრ სახელმწიფოებთან და ნაციონალურ წევრებს შორის

(1) წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ უწყებებს შეუძლიათ ევროიუსტთან ყველა იმ ინფორმაციის გაცვლა, რომელიც აუცილებელია იმ ამოცანების შესასრულებლად, რაც ევროიუსტის წინაშე დგას მე-5 მუხლის შესაბამისად.

(2) მე-9 მუხლის თანახმად, ევროიუსტის ნაციონალური წევრები უფლებამოსილი არიან, ერთმანეთში ან თავიანთი ქვეყნის კომპეტენტურ უწყებებთან წინასწარი თანხმობის გარეშე აწარმოონ ყველა იმ ინფორმაციის გაცვლა, რომელიც აუცილებელია ევროიუსტის წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად.

მუხლი 14 პერსონალური მონაცემების დამუშავება

(1) თუკი ეს აუცილებელია თავისი მიზნების მისაღწევად, ევროიუსტს შეუძლია, თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში და მის წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად მოახდინოს პერსონალური მონაცემების დამუშავება, იქნება ეს განხორციელებული ავტომატიზირებული ფორმით თუ სტრუქტურირებული ხელნაწერი მონაცემების სახით.

(2) ევროიუსტი იღებს აუცილებელ ღონისძიებებს პერსონალური მონაცემების დაცვის დონის უზრუნველსაყოფად, რომელიც, სულ მცირე, შეესაბამება ყველა იმ სტანდარტს, რომელიც გამომდინარეობს ევროსაბჭოს 1981 წლის 28 იანვრის შეთანხმების პრინციპების გამოყენებიდან და წევრ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში მოქმედი, მასში მოგვიანებით შეტანილი სათანადო ცვლილებებიდან.

(3) ევროიუსტის მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემები უნდა შეესაბამებოდეს იმ მიზნებს, რისთვისაც იგი იქნება დამუშავებული, მათთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს და არ შეიძლება ამ მიზნებს სცილდებოდეს, და ისინი, წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური უწყებების ან სხვა პარტნიორების მიერ მე-13 და 26-ე მუხლების შესაბამისად მიწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით, საგნობრივად სწორი და განახლებულ მდგომარეობაში უნდა იყოს. ევროიუსტის მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემები კეთილსინდისიერად და კანონიერი გზით უნდა იქნეს დამუშავებული.

(4) ამ სამართლებრივი აქტის – გადაწყვეტილების შესაბამისად, ევროიუსტი ადგენს საგამოძიებო ინდექსს და უფლება აქვს, შეზღუდული ვადით შექმნას სამუშაო მონაცემები, რომლებიც, ასევე შეიცავს პერსონალურ მონაცემებს.

მუხლი 15 პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვები

(1) მე-14 მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად მონაცემთა დამუშავებისას, ევროიუსტი უფლებამოსილია, იმ პირების შესახებ, რომელთა მიმართაც, დაინტერესებული წევრი სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დებულებების მიხედვით, მე-4 მუხლის გაგებით ერთი ან რამდენიმე დამნაშავეობის ფორმის და დანაშაულის გამო ტარდება სისხლისსამართლებრივი გამოძიება ან ამ საფუძვლით მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, დაამუშავოს მხოლოდ შემდეგი პერსონალური მონაცემები:

a) გვარი, დაბადების გვარი, სახელები და, არსებობის შემთხვევაში, ფსევდონიმები ან მეტსახელები;

b) დაბადების თარიღი და ადგილი;

c) მოქალაქეობა;

d) სქესი;

e) საცხოვრებელი ადგილი, პროფესია და მისი ადგილსამყოფელი;

f) სოციალური დაზღვევის ნომრები, მართვის ნებართვები, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები და საპასპორტო მონაცემები;

g) ინფორმაციები იურიდიული პირების შესახებ, თუ ისინი მოიცავენ ინფორმაციებს განსაზღვრული ან განსაზღვრებადი ფიზიკური პირების შესახებ, რომელთა მიმართაც ტარდება გამოძიება ან მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა;

h) საბანკო ანგარიშები ან ანგარიშები სხვა ფინანსურ დაწესებულებებში;

i) პირის მიერ ჩადენილი დანაშაულების აღწერა და სახე, ქმედების ჩადენის დრო, ქმედებათა სისხლისსამართლებრივი შეფასება და საგამოძიებო მოქმედებების მდგომარეობა;

j) საქმის ფაქტობრივი ვითარების ასპექტები, რომლებიც შემთხვევის საერთაშორისო ხასიათის შესახებ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევიან;

k) ცალკეული საკითხები პირის დანაშაულებრივი ორგანიზაციისადმი სავარაუდო კუთვნილების შესახებ.

(2) მე-14 მუხლის პირველი აბზაცის შესაბამისად მონაცემთა დამუშავებისას, ევროიუსტი უფლებამოსილია, იმ პირების შესახებ, რომლებიც დაინტერესებული წევრი სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დებულებების მიხედვით, მე-4 მუხლის გაგებით ერთი ან რამდენიმე დამნაშავეობის ფორმის და დანაშაულის გამო ჩატარებული გამოძიებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების ფარგლებში მოწმის ან დაზარალებულის სტატუსის მატარებელი არიან, დაამუშავოს მხოლოდ შემდეგი პერსონალური მონაცემები:

a) გვარი, დაბადების გვარი, სახელები და, არსებობის შემთხვევაში, ფსევდონიმები ან მეტსახელები;

b) დაბადების თარიღი და ადგილი;

c) მოქალაქეობა;

d) სქესი;

e) საცხოვრებელი ადგილი, პროფესია და მისი ადგილსამყოფელი;

f) მასთან შემხებლობაში მყოფი საქმის ფაქტობრივი ვითარების აღწერა და სახე, ქმედების ჩადენის დრო, საქმის ფაქტობრივი ვითარების სისხლისსამართლებრივი შეფასება და საგამოძიებო მოქმედებების მდგომარეობა.

(3) გამონაკლის შემთხვევებში, ევროიუსტი უფლებამოსილია, დაამუშავოს საქმის გარემოებების შესახებ სხვა პერსონალური მონაცემებიც, თუმცა შეზღუდული დროით, თუკი ისინი მიმდინარე გამოძიებებისათვის, რომელთა კოორდინაციაში ევროიუსტი მონაწილეობს,

უშუალოდ მნიშვნელოვანია და იგი მასში იქნება ჩართული, თუკი ამ სპეციფიკური მონაცემების დამუშავება მოხდება მე-14 და 21-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

მე-17 მუხლში დასახელებული მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი ამ აბზაცის გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ინფორმირებული.

თუკი ეს სხვა მონაცემები ეხება მოწმეებს ან დაზარალებულებს, მე-2 აბზაცის გაგებით, მაშინ გადაწყვეტილება მათი დამუშავების შესახებ მიიღება ერთობლივად სულ მცირე ორი ნაციონალური წევრის მიერ.

(4) მიუხედავად იმისა, მონაცემების დამუშავება ხდება ავტომატიზირებულად თუ არაავტომატიზირებულად, იმ პერსონალური მონაცემების დამუშავება, რომლითაც დგინდება რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობა, პოლიტიკური შეხედულებები, რელიგიური ან ფილოსოფიური მსოფლმხედველობები ან პროფესიული კავშირისადმი კუთვნილება, ისევე როგორც ის მონაცამები, რომლებიც შეეხება პირის ჯანმრთელობას ან სექსუალურ ცხოვრებას, ნებადართულია, ევროიუსტის მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნეს დამუშავებული, თუკი იგი აუცილებელია სახელმწიფოების მიერ წარმოებული ცალკეული გამოძიებების ჩასატარებლად, ისევე როგორც ევროიუსტის ფარგლებში კოორდინირებული მუშაობის განსახორციელებლად.

მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი ამ აბზაცის გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ინფორმირებული.

დაუშვებელია, ეს მონაცემები დამუშავებულ იქნეს ინდექსით, რაც გათვალისწინებულია მე-16 მუხლის პირველი აბზაცით.

თუკი ეს სხვა მონაცემები ეხება მოწმეებს ან დაზარალებულებს, მე-2 აბზაცის გაგებით, მაშინ გადაწყვეტილება მათი დამუშავების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს კოლეგიის მიერ.

მუხლი 16 საგამოძიებო ინდექსი და განსაზღვრული დროით წარმოებული სამუშაო მონაცემები

(1) თავისი მიზნის მისაღწევად, ევროიუსტი აწარმოებს ავტომატიზირებულ მონაცემთა ბაზას, რომელიც წარმოადგენს საგამოძიებო ინდექსს, რომელშიც შესაძლებელია, შენახულ იქნეს არაპერსონალური მონაცემები, ასევე პერსონალური მონაცემები, მე-15 მუხლის პირველი აბზაცის a)-დან i)-მდე ქვეპუნქტებისა და k) ქვეპუნქტის, ასევე მე-2 აბცაზის მიხედვით. ეს ინდექსი ემსახურება

a) იმ გამოძიებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების განხორციელებისა და კოორდინაციის მხარდაჭერას, რომლის კოორდინაციაშიც ევროიუსტს შეაქვს წვლილი, განსაკუთრებით ინფორმაციების შედარების გზით;

b) მიმდინარე გამოძიებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციების ხელმისაწდომობის გაადვილებას;

c) პერსონალური მონაცემების მართლზომიერად დამუშავების პროცესის ზედამხედველობისა და მისი ამ სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის გაადვილებას.

(2) ინდექსი შეიცავს მითითებებს დროით წარმოებული სამუშაო მონაცემების შესახებ, რომელთა წარმოება ხდება ევროიუსტის ფარგლებში.

(3) ევროიუსტის ნაციონალურ წევრებს შეუძლიათ, იმ ამოცანების შესასრულებლად, რაც გამომდინარეობს მე-6 და მე-7 მუხლებიდან, ინფორმაციები მათ მიერ დამუშავებული ცალკეული შემთხვევების შესახებ გადაამუშავონ განსაზღვრული დროით წარმოებულ სამუშაო მონაცამებად. ისინი უზრუნველყოფენ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირისა და, თუ კოლეგია ამას გადაწყვეტს, აგრეთვე სხვა ნაციონალური წევრების, ისევე როგორც

მონაცემთა ხელმისაწვდომობაზე უფლებამოსილი მოხელეებისათვის სამუშაო მონაცემებზე ხელმისაწვდომობას. ყოველი ახალი სამუშაო მონაცემი პერსონალური მონაცემებით ეცნობება მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირს.

მუხლი 17 მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი

(1) ევროიუსტს ჰყავს მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც პერსონალის წევრია და სპეციალურად ამ დავალებისთვის არის დანიშნული. ამ საქმიანობის ფარგლებში, იგი უშუალოდ კოლეგიას ექვემდებარება. ამ მუხლის შესაბამისად თავისი ამოცანების შესრულებისას, იგი არავისგან იღებს მითითებებს.

(2) მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირს აკისრია, სულ მცირე, შემდეგი ამოცანები:

a) იგი დამოუკიდებელი საშუალებებით ზრუნავს იმისთვის, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავება მართლზომიერად და ამ სამართლებრივი აქტის – გადაწყვეტილების შესაბამისი დებულებების დაცვით მიმდინარეობდეს;

b) იგი, რეგლამენტით დასადგენი პროცედურების შესაბამისად, ზედამხედველობას უწევს, ხდება თუ არა პერსონალური მონაცემების გადაცემისა და მიღების, განსაკუთრებით მე-19 მუხლის მე-3 აბზაცის მიზნებისთვის, 22-ე მუხლით გათვალისწინებული უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად წერილობით დაფიქსირება;

c) იგი უზრუნველყოფს, რომ დაინტერესებულ პირებს, მათი განაცხადის საფუძველზე, ეცნობოთ ამ გადაწყვეტილების ფარგლებში თავიანთი უფლებების შესახებ.

(3) თავისი ამოცანების შესრულებისას, მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირს ხელი მიუწვდება ევროიუსტის მიერ დამუშავებულ ყველა მონაცემზე და ეძლევა ევროიუსტის ყველა შენობა-ოთახში შესვლის უფლება.

(4) თუ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი დაადგენს, რომ მონაცემთა ესა თუ ის დამუშავება, მისი აზრით, ამ სამართლებრივ აქტთან – გადაწყვეტილებასთან შესაბამისობაში არ მოდის,

a) იგი ამის შესახებ აცნობებს კოლეგიას, რომელიც ადასტურებს შეტყობინების მიღებას;

b) იგი საქმეში ჩართავს საერთო საკონტროლო ინსტანციას, თუკი კოლეგია გონივრული დროის ფარგლებში გადაწყვეტილებასთან წინააღმდეგობას არ აღმოფხვრის.

მუხლი 18 პერსონალურ მონაცემებზე ავტორიზირებული დასაშვებობა

მხოლოდ ნაციონალურ წევრებსა და მათ მხარდამჭერ პირებს, მე-2 მუხლის მე-2 აბზაცის გაგებით, ასევე ევროიუსტის უფლებამოსილ თანამშრომლებს შეუძლიათ, ხელი მიუწვდებოდეთ ევროიუსტის მიზნების მისაღწევად დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებზე.

მუხლი 19 პერსონალურ მონაცემებზე ხელმისაწდომის პრეტენზია

(1) ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ამ მუხლის დებულებების შესაბამისად, მოითხოვოს ინფორმაცია პერსონალური მონაცემების შესახებ, რომლებიც მას ეხება და ევროიუსტის მიერ არის დამუშავებული.

(2) ყოველ ადამიანს, რომელსაც სურს, გამოიყენოს თავისი უფლება მის შესახებ ევროიუსტში შენახულ პერსონალურ მონაცემებზე ინფორმაციის მიღების თაობაზე ან სურს ამ მონაცემების გადამოწმება 20-ე მუხლის შესაბამისად, შეუძლია, ამ მიზნით ნებისმიერ

წევრ სახელმწიფოში უფასოდ შეიტანოს განაცხადი ამ წევრი სახელმწიფოს მიერ დასახელებულ უწყებაში, რომელიც ამ საქმეში დაუყოვნებლივ ჩართავს ევროიუსტს.

(3) პირის უფლება მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებზე ინფორმაციის მიღების ან მისი გადამოწმების თაობაზე რეალიზებულ უნდა იქნეს იმ წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი დებულებებისა და პროცედურების შესაბამისად, სადაც განმცხადებელმა შეიტანა თავისი განაცხადი. ევროიუსტი უფლებამოსილია, დაადგინოს, წევრი სახელმწიფოს თუ რომელ უწყებას უნდა გადაეცეს შესაბამისი მონაცემები, რა დროსაც, ამ უწყებას შეუძლია, მოითხოვოს, რომ პირის უფლება ინფორმაციის მიღების თაობაზე რეალიზებულ იქნეს მისი წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი დებულებებისა და პროცედურების შესაბამისად.

(4) პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე უარი იქნება ნათქვამი, თუ

a) ამ ინფორმაციას შეუძლია, ზიანი მიაყენოს ევროიუსტის საქმიანობას;

b) ამ ინფორმაციას შეუძლია, ზიანი მიაყენოს ნაციონალურ გამოძიებას, რომელშიც ევროიუსტიც მონაწილეობს;

c) ამ ინფორმაციას შეუძლია, ზიანი მიაყენოს მესამე პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს.

(5) იმ საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, დაკმაყოფილდეს თუ არა ინფორმაციის გაცემის თაობაზე შეტანილი განაცხადი, გათვალისწინებული უნდა იქნეს განმცხადებლის სტატუსი ევროიუსტის მიერ შენახულ მონაცემებთან მიმართებაში.

(6) განაცხადი დამუშავებული იქნება შემხებლობაში მყოფი ნაციონალური წევრების მიერ, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ ევროიუსტის სახელით. განაცხადი საბოლოოდ განხილული უნდა იქნეს შემოსვლიდან სამი თვის განმავლობაში. თუკი წევრები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მაშინ ისინი საქმეს გადასცემენ კოლეგიას, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ორი მესამედის უმრავლესობით.

(7) თუ განმცხადებელს უარი ეთქმევა ინფორმაციის გაცემაზე, ან თუ ევროიუსტის მიერ არ მუშავდება განმცხადებელთან შემხებლობაში მყოფი პერსონალური მონაცემები, მაშინ ევროიუსტი ატყობინებს განმცხადებელს, რომ ჩატარდა გადამოწმება, ამ დროს მითითებების მიცემის გარეშე, საიდანაც განმცხადებელს შეუძლია გააკეთოს დასკვნა, რომ მისი პიროვნების შესახებ არსებობს მონაცემები.

(8) თუკი განმცხადებელი არ ეთანხმება პასუხს თავის განაცხადზე, მაშინ მას შეუძლია, ერთობლივ საკონტროლო ინსტაციაში მოახდინოს მასთან შემხებლობაში მყოფი გადაწყვეტილების გასაჩივრება. ერთობლივი საკონტროლო ინსტანცია ამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამება ამ გადაწყვეტილებას ევროიუსტის ეს სამართლებრივი აქტი.

(9) წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ კომპეტენტურ უწყებებს გადაწყვეტილების მიღების წინ კონსულტაციას უწევს ევროიუსტი. ამის შემდეგ, დაინტერესებული ნაციონალური წევრები ამ უწყებებს ატყობინებენ გადაწყვეტილების შინაარსს.

მუხლი 20 პერსონალური მონაცემების შესწორება და წაშლა

(1) ყოველი ადამიანი, მე-19 მუხლის მე-3 აბზაცის თანახმად, უფლებამოსილია, ევროიუსტისგან მოითხოვოს, რომ მასთან შემხებლობაში მყოფი მონაცემები, რომლებიც არასწორი ან არასრულყოფილია, ან რომლის მონაცემთა ბაზაში შეტანა ან შენახვა ეწინააღმდეგება ამ გადაწყვეტილებას, შესწორებულ, ბლოკირებულ ან წაშლილ იქნეს.

(2) ევროიუსტი ატყობინებს განმცხადებელს იმის შესახებ, მოხდა თუ არა მასთან შემხ-

ებლობაში მყოფი მონაცემების შესწორება, ბლოკირება ან წაშლა. თუ ევროიუსტის პასუხი არ აკმაყოფილებს განმცხადებელს, მაშინ მას შეუძლია, ევროიუსტის გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში მიმართოს ერთობლივ საკონტროლო ინსტანციას.

(3) წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყებების, მისი ნაციონალური წევრის ან – არსებობის შემთხვევაში – ნაციონალური საკონტაქტო ორგანოს განაცხადის საფუძველზე და მათი პასუხისმგებლობის ქვეშ, ევროიუსტი, თავისი რეგლამენტის შესაბამისად, ასწორებს ან შლის მის მიერ დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც ამ წევრი სახელმწიფოს, მისი ნაციონალური წევრის ან ნაციონალური საკონტაქტო ორგანოს მიერ იქნა გადაგზავნილი ან წარდგენილი. წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყებები და ევროიუსტი, ნაციონალური წევრის და – არსებობის შემთხვევაში – ნაციონალური საკონტაქტო ორგანო ჩათვლით, უზრუნველყოფენ, რომ დაცულ იქნეს ძირითადი პრინციპები, რაც გათვალისწინებულია მე-14 მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცებით, ასევე მე-15 მუხლის მე-4 აბზაცით.

(4) თუკი აღმოჩნდება, რომ ევროიუსტის მიერ გადამუშავებული პერსონალური მონაცემები არასწორი ან არასრულყოფილია, ან მისი მონაცემთა ბაზაში შეტანა ან შენახვა ეწინააღმდეგება ამ გადაწყვეტილებას, ასეთ შემთხვევაში, ევროიუსტი ვალდებულია, დაბლოკოს, შეასწოროს ან წაშალოს ეს მონაცემები.

(5) მე-3 და მე-4 აბზაცებში დასახელებულ შემთხვევებში, დაწესებულებები, რომლებმაც ეს მონაცემები გადააგზავნეს ან მიიღეს, დაუყოვნებლივ იქნებიან ინფორმირებული. ინფორმაციის ეს მიმღებები ვალდებული არიან, მათთვის მოქმედი წესების თანახმად, ასევე მათ საკუთარ სისტემაში განახორციელონ შესაბამისი შესწორება, ბლოკირება ან წაშლა.

მუხლი 21 პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები

(1) ევროიუსტის მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემების ევროიუსტში შენახვა ნებადართულია მხოლოდ მანამ, სანამ ეს აუცილებელია თავისი მიზნების მისაღწევად.

(2) დაუშვებელია, მე-14 მუხლის პირველი აბზაცის თანახმად ევროიუსტის მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემები შენახულ იქნეს იმ დროის შემდეგ, როცა

a) გამოძიებებთან და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებებთან შემხებლობაში მყოფ ყველა წევრ სახელმწიფოში გავა სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა;

b) კანონიერ ძალაში შევა სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ბოლო წევრ სახელმწიფოში, რომელსაც შემხებლობა აქვს იმ გამოძიებებთან ან სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებებთან, რომლებიც იძლევიან ევროიუსტის მიერ კოორდინაციის საბაბს;

c) ევროიუსტისა და დაინტერესებული სახელმწიფოების მიერ ერთობლივად დადგინდება ან მოხდება შეთანხმება იმის შესახებ, რომ გამოძიებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების კოორდინაცია ევროიუსტის მეშვეობით უკვე არ არის საჭირო.

(3) a) მე-2 აბზაცში დასახელებული შენახვის ვადების დაცვის მუდმივი გადამოწმება ხდება შესაბამისი ავტომატიზირებული დამუშავების სისტემის გამოყენებით. ყველა შემთხვევაში, მონაცემთა შენახვის გადამოწმება სავალდებულო წესით ხდება მისი მონაცემთა ბაზაში შეტანიდან სამ წელიწადში ერთხელ.

b) თუკი მე-2 აბზაცში დასახელებული შენახვის ვადები გავიდა, ევროიუსტი ამოწმებს, რამდენად აუცილებელია ამ მონაცემების კიდევ მეტ ხანს შენახვა, რათა ამით თავისი მიზნების მიღწევა შეძლოს და შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, ეს მონაცემები, გამონაკლისის სახით, შემდგომ შემოწმებამდე იქნეს შენახული.

c) თუკი მონაცემები, გამონაკლისის სახით, b) ქვეპუნქტის მიხედვით იქნება შენახული, მაშინ მონაცემთა შენახვის გადამოწმება სავალდებულო წესით ხდება სამ წელიწადში ერთხელ.

(4) თუკი არსებობს აქტი, რომელიც შეიცავს არაავტომატიზირებულ და არასტრუქტურირებულ მონაცემებს და შენახვის ვადა ამ უკანასკნელის ანალოგი, ამ აქტიდან გამომდინარე ავტომატიზირებული მონაცემისათვის უკვე გასულია, მაშინ ამ აქტის ცალკეული შემადგენელი ნაწილები უბრუნდება იმ უწყებას, რომლის მიერ იქნა იგი გადაცემული და ნებისმიერი ასლი კი, ნადგურდება.

(5) თუ ევროიუსტმა კოორდინაცია გაუწია გამოძიებებსა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებებს, მაშინ შემხებლობაში მყოფი ნაციონალური წევრები ინფორმაციას აწვდიან ევროიუსტს და სხვა დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოებს ყველა იმ სასამართლო გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ამ შემთხვევასთან და კანონიერ ძალაში არის შესული, მათ შორის, ასევე იმ მიზნით, რომ ამით შესაძლებელი იყოს მე-2 აბზაცის b) ქვეპუნქტის გამოყენება.

მუხლი 22 მონაცემთა უსაფრთხო დაცვა

(1) ევროიუსტი და წევრი სახელმწიფოები, რამდენადაც ისინი ევროიუსტის მიერ გადაცემულ მონაცმებთან არიან შემხებლობაში, ამ გადაწყვეტილების შესრულების ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით იღებენ ღონისძიებებს, რათა პერსონალური მონაცემები დაცულ იქნეს შემთხვევითი ან არამართლზომიერი წაშლის, შემთხვევითი დაკარგვის ან არაუფლებამოსილი შემდგომი გადაცემის, არაუფლებამოსილი შეცვლის ან არაუფლებამოსილი ხელმისაწვდომობის, ისევე როგორც უნებართვო დამუშავების ყველა სხვაგვარი ფომებისგან.

(2) რეგლამენტი შეიცავს იმ ტექნიკურ ღონისძიებებსა და პრევენციულ ორგანიზაციულ ზომებს, რომლებიც მონაცემების უსაფრთხოებისა და დაცვის თვალსაზრისით აუცილებელია ამ გადაწყვეტილების განსახორციელებლად და, განსაკუთრებით კი, ღონისძიებებს, რომლებიც გამოიყენება იმისათვის, რათა

a) ხელი შეეშალოს იმას, რომ იმ პირთათვის, ვისაც არა აქვს სათანადო ნებართვა, ხელმისაწვდომი გახდეს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხდება პერსონალური მონაცმების დამუშავება;

b) აღკვეთილ იქნეს მონაცემთა მატარებლის უნებართვო წაკითხვა, ასლის გადაღება, შეცვლა ან ამოღება;

c) აღკვეთილ იქნეს მონაცემთა დამუშავების სისტემაში უნებართვო შესვლა, ასევე არ მოხდეს შენახული პერსონალური მონაცემების უნებართვო გაცნობა, შეცვლა ან წაშლა;

d) აღკვეთილ იქნეს, რომ მონაცემთა ავტომატიზირებული დამუშავების სისტემების გამოყენება მონაცემთა გადამტანი მოწყობილობების დახმარებით უნებართვოდ იყოს შესაძლებელი;

e) უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მონაცემთა ავტომატიზირებული დამუშავების სისტემის გამოყენებაზე უფლებამოსილ პირს მხოლოდ იმ ინფორმაციაზე მიუწვდებოდეს ხელი, რომლის ხელმისაწვდომობაც მისი უფლებამოსილების ფარგლებშია;

f)უზრუნველოფილი იქნეს, რომ შესაძლებელი იყოს იმის შემოწმება და განსაზღვრა, მონაცემების გადაცემის შემთხვევაში, თუ რომელ დაწესებულებებში უნდა მოხდეს პერსონალური მონაცემების წარდგენა;

g) უზრუნველყოფილ იქნეს, რომ დამატებით შესაძლებელი იყოს იმის შემოწმება და განსაზღვრა, თუ რომელი პერსონალური მონაცემები, რომელ დროსა და ვის მიერ უნდა იქნეს წარდგენილი მონაცემთა ავტომატიზირებული დამუშავების სისტემებში;

h) აღკვეთილ იქნეს, რომ პერსონალური მონაცემების გადატანის დროს, ისევე როგორც მონაცემთა მატარებლის ტრანსპორტირებისას, მონაცემები უნებართვოდ იქნეს წაკითხული, შეცვლილი ან წაშლილი.

მუხლი 23 ერთობლივი საკონტროლო ინსტანცია

(1) იქმნება დამოუკიდებელი ერთობლივი საკონტროლო ინსტანცია, რომელიც, როგორც კოლეგია, ზედამხედველობს ევროიუსტის მიერ მე-14-22-ე მუხლებში აღწერილი საქმიანობის განხორციელებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პერსონალური მონაცემების ამ გადაწყვეტილების შესაბამისად დამუშავება. ამ ამოცანების შესრულების დროს ერთობლივ საკონტროლო ინსტანციას შეუფერხებლად მიუწვდება ხელი ყველა იმ მონაცემთა ბაზაზე, რომელშიც ხდება ამ პერსონალური მონაცემების დამუშავება. ევროიუსტი მონაცემთა ამ ბაზებიდან ერთობლივ საკონტროლო ინსტანციას წარუდგენს ყველა მის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და თავისი ამოცანების შესრულების პროცესში მხარს უჭერს მას ასევე ნებისმიერი სხვა ფორმით.

ერთობლივი საკონტროლო ინსტანცია იკრიბება ყოველ ექვს თვეში ერთხელ მაინც. გარდა ამისა, მისი შეკრება ხდება საჩივრის შემოსვლიდან სამი თვის განმავლობაში ან შეიძლება, სხდომის მოწვევა მოხდეს მისი თავმჯდომარის მიერ, თუკი სულ მცირე ორი წევრი სახელმწიფო ამის შესახებ გააკეთებს განაცხადს.

ამ ერთობლივი საკონტროლო ინსტანციის შესაქმნელად, ყოველი წევრი სახელმწიფო, თავისი სამართლებრივი წეს-წყობილების შესაბამისად, ასახელებს ერთ მოსამართლეს, რომელიც ევროიუსტის წევრი არ არის, ან, როცა საკონსტიტუციო სისტემა ან ნაციონალური სისტემა ამას მოითხოვს, პირს, რომელიც ისეთ სამსახურს ასრულებს, რომელიც მას საკმარის დამოუკიდებლობას ანიჭებს ამ პირის მოსამართლეთა სიაში შესაყვანად, რათა, როგორც წევრი ან როგორც ad-hoc მოსამართლე, ერთობლივ საკონტროლო ინსტაციაში იქნეს წარმოდგენილი. არ შეიძლება, დასახელებული პირების ამ ორგანოში საქმიანობა 18 თვეზე ნაკლები ვადით განისაზღვროს. მათი გამოწვევის შესახებ მოქმედებს გამოწვევის პრინციპები, რომლებიც წარმოშობის წევრი სახელმწიფოს ნაციონალური სამართლებრივი დებულებების მიხედვით გამოიყენება. პირის დასახელებისა და გამოწვევის შესახებ ეცნობება საბჭოს გენერალურ მდივანსა და ევროიუსტს.

(2) ერთობლივი საკონტროლო ინსტანცია შედგება სამი მუდმივი წევრისგან და, მე-4 აბზაციდან გამომდინარე, ad-hoc მოსამართლეებისგან.

(3) წევრი სახელმწიფოსგან დასახელებული მოსამართლე, სანამ სახელმწიფო, რომელმაც იგი დაასახელა, საბჭოს თავმჯდომარეობას შეუდგება, ერთი წლით ადრე ხდება მუდმივი წევრი და მისი სტატუსი გრძელდება ერთი წელი და ექვსი თვე.

მოსამართლე, რომელიც იმ წევრი სახელმწიფოსგან არის დასახელებული, რომელიც საბჭოს თავმჯდომარეობას ახორციელებს, წარმართავს ერთობლივი საკონტროლო ინსტანციის თავმჯდომარეობას.

(4) ერთი ან რამდენიმე ad-hoc მოსამართლე იკრიბება ასევე პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული საჩივრის შემოწმების ვადით, რომელიც შემოსულია იმ წევრი სახელმწიფოდან, რომელმაც იგი დაასახელა.

(5) ერთობლივი საკონტროლო ინსტანციის შემადგენლობა საჩივრის შემოწმების მთლიან

ვადაში რჩება უცვლელი, იმ შემთხვევაშიც, როცა მუდმივი წევრების მანდატი, მე-3 აბზაცის შესაბამისად, ამოიწურება.

(6) ყოველ წევრსა და ad-hoc მოსამართლეს აქვს ხმის მიცემის უფლება. ხმათა თანასწორობის შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

(7) ერთობლივი საკონტროლო ინსტანცია ამოწმებს მე-19 მუხლის მე-8 აბზაცისა და მე-20 მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად შემოსულ საჩივრებს და ახორციელებს მათზე ცონტროლს, რაც ხორციელდება ამ მუხლის პირველი აბზაცის პირველი ქვეაბზაცის თანახმად. თუკი ერთობლივი საკონტროლო ინსტანციის თვალსაზრისი არის, რომ ევროიუსტის მიღებული გადაწყვეტილება ან წარმოებული მონაცემთა გადამუშავება ამ გადაწყვეტილებასთან შეუსაბამოა, მაშინ საქმეს უკან დაუბრუნებს ევროიუსტს, რომელიც ერთობლივი საკონტროლო ინსტანციის გადაწყვეტილებას ემორჩილება.

(8) ერთობლივი საკონტროლო ინსტაციის გადაწყვეტილება ევროიუსტისთვის არის საბოლოო და სავალდებულო.

(9) 1-ლი აბზაცის მე-3 ქვეაბზაცის შესაბამისად, წევრი სახელმწიფოს მიერ დასახელებული პირები, რომლებიც იკრიბებიან ერთობლივი საკონტროლო ინსტანციის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით, იღებენ რეგლამენტსა და საპროცედურო წესებს, რომლებიც საჩივრის შემოწმებასთან დაკავშირებით საკონტროლო ინსტანციის წევრების დასახელებისათვის ობიექტურ კრიტერიუმებს შეიცავენ.

(10) სამდივნოს ხარჯებს მთლიანად ფარავს ევროიუსტი თავისი ბიუჯეტიდან. ერთობლივი საკონტროლო ინსტაციის სამდივნო თავისი ამოცანების შესრულების დროს ევროისტიცის სამდივნოს შიგნით არის დამოუკიდებელი.

(11) ერთობლივი საკონტროლო ინსტანციის წევრები ექვემდებარებიან საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას, რაც გამომდინარეობს 25-ე მუხლიდან.

(12) საკონტროლო ინსტანცია წელიწადში ერთხელ საბჭოს წარუდგენს მოხსენებას.

მუხლი 24 პასუხისმგებლობა მონაცემთა უნებართვო ან არასწორი დამუშავებისთვის

(1) ევროიუსტი პასუხს აგებს იმ წევრი სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისად, რომელშიც მას აქვს თავისი ადგილსამყოფელი, პირის მიმართ მიყენებული იმ ზიანისთვის, რომელიც მას მიადგა მის მიმართ განხორციელებული პერსონალური მონაცემების უნებათვო და არასწორი დამუშავების შედეგად.

(2) ევროიუსტის მიმართ საჩივრები, პირველი აბზაცის მიხედვით პასუხისმგებლობის ფარგლებში, უნდა წარედგინოთ იმ წევრი სახელმწიფოს სასამართლოებს, რომელშიც მას თავისი ადგილსამყოფელი აქვს.

(3) ყოველი წევრი სახელმწიფო პასუხს აგებს თავისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისად პირის მიმართ მიყენებული იმ ზიანისთვის, რომელიც მას მიადგა მის მიმართ განხორციელებული პერსონალური მონაცემების უნებათვო და არასწორი დამუშავების შედეგად, რომლებიც ევროიუსტისთვის იქნა გადაცემული.

მუხლი 25 საიდუმლოს შენახვა

(1) ნაციონალურ წევრებსა და მის მხარდამჭერ პირებს, მე-2 მუხლის მე-2 აბზაცის გაგებით, ევროიუსტის პერსონალს, ნაციონალურ საკონტაქტო ორგანოებსა – თუ ასეთი შექმნილია – და მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელ პირს აკისრიათ საიდუმლოს შენახვის ვალდებულება, თუმცა მე-9 მუხლის პირველი აბზაცის დარღვევის გარეშე.

(2) საიდუმლოს შენახვის ვალდებულება ვრცელდება ყველა იმ პირზე და დაწესებულებაზე, რომელიც თანამშრომლობას ახორციელებს ევროიუსტთან.

(3) საიდუმლოს შენახვის ვალდებულება არსებობს, ასევე მას შემდეგაც, რაც პირი დატოვებს თანამდებობას ან შეწყვეტს სამსახურებრივ ურთიერთობას ან დაასრულებს საქმიანობას, პირველი და მე-2 აბზაცების მიხედვით.

(4) მე-9 მუხლის პირველი აბზაცის დაურღვეველად, საიდუმლოს შენახვის ვალდებულება ვრცელდება ყველა იმ ინფორმაციაზე, რომელსაც ევროიუსტი ფლობს.

მუხლი 26 პარტნიორებთან ურთიერთობები

(1) ევროიუსტი აფუძნებს და ახორციელებს მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას ევროპოლთან, რამდენადაც ეს მნიშვნელოვანია ევროიუსტის მიერ დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად და საკუთარი მიზნების მისაღწევად; ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ადგილი არ ჰქონდეს ზედმეტი ორმაგი მუშაობის შესრულებას. ამ ურთიერთთანამშრომლობის მნიშვნელოვანი ელემენტები დადგენილი უნდა იქნეს შეთანხმების გზით, რომელც – მონაცემთა დაცვის შესახებ დებულებებთან დაკავშირებით ერთობლივი საკონტროლო ინსტანციის მოსმენის შემდეგ – საჭიროებს საბჭოს თანხმობას.

(2) ევროიუსტი განსაკუთრებულ მჭიდრო ურთიერთობას ამყარებს ევროპულ იუსტიციურ ქსელთან, რომელიც ეფუძნება შეთანხმებასა (Konzertierung) და დამატებითობას (Komplementarität), უპირველეს ყოვლისა, ნაციონალურ წევრს, მის ქვეყანაში საკონტაქტო ორგანოებსა და – თუ არსებობს – ნაციონალურ საკონტროლო ორგანოს შორის. ეფექტური ურთიერთთანამშრომლობის ინტერესებიდან გამომდინარე, მიღებულ უნდა იქნეს შემდეგი ღონისძიებები:

a) ევროიუსტს, 1998 წლის 29 ივნისის ერთობლივი ღონისძიების (Gemeinsame Maßnahme 98/428/JI) მე-8 მუხლის საფუძველზე, აქვს დასაშვებობა ევროპულ იუსტიციურ ქსელში არსებულ ცენტრალიზებულ ინფორმაციებთან და ამ ერთობლივი ღონისძიების მე-10 მუხლის საფუძველზე ინსტალირებულ სატელეკომუნიკაციო ქსელთან.

b) ერთობლივი ღონისძიების (Gemeinsame Maßnahme 98/428/JI) მე-9 მუხლის მე-3 აბზაცისგან გადახვევით, ევროპული იუსტიციური ქსელის სამდივნო განთავსებულია ევროიუსტის სამდივნოში. იგი იქ ქმნის განცალკევებულ და ფუნქციონალური თვალსაზრისით დამოუკიდებელ ორგანიზაციულ ერთეულს. მას შეუძლია, ისარგებლოს ევროიუსტის საშუალებებით, რომლებიც საჭიროა ევროპული იუსტიციური ქსელის დავალებების შესასრულებლად. ევროიუსტის პერსონალისთვის მოქმედი წესები გამოიყენება, ასევე ევროპული იუსტიციური ქსელი სამდივნოს პერსონალისთვისაც, თუკი იგი ქსელის სამდივნოს ფუნქციონალურ ავტონომიასთან შეუთავსებელი არ არის.

c) მიწვევის შემთხვევაში, ევროიუსტის ნაციონალურ წევრებს შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ ევროპული იუსტიციური ქსელის სხდომებში. ევროპული იუსტიციური ქსელის საკონტაქტო ორგანოები შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევებში მოწვეული იქნენ ევროიუსტის სხდომებზე.

(3) ევროიუსტი აფუძნებს და ახორციელებს მჭიდრო კავშირს OLAF-თან. ამ თვალსაზრისით, OLAF-ს შეუძლია ევროიუსტს ხელი შეუწყოს გამოძიებებისა და სისხლისამართლებრივი დევნის ღონისძიებების კოორდიანციაში, რაც დაკავშირებულია ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვასთან, იქნება ეს ევროიუსტის ინიციატივის თუ საკუთარი სურვილის საფუძველზე, თუკი ნაციონალური დაინტერესებული დაწესებულებები არ იტყვიან ასეთ მონაწილებაზე უარს.

(4)ევროიუსტსა და OLAF-ს შორის ინფორმაციების მიღებისა და გადაცემის მიზნით, წევრი სახელმწიფოები, მე-9 მუხლის ხელშეუხებლად, ზრუნავენ იმისათვის, რომ ევროიუსტის ნაციონალური წევრები განხილული იქნენ როგორც წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოები, განსაკუთრებით საბჭოს 1999 წლის 25 მაისის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული სამსახურის გამოძიებებთან დაკავშირებით მიღებული რეგულაციების (Verordnungen (EG) Nr. 1073/1999 und (Euratom) Nr. 1074/1999) მიზნებისთვის. ნაციონალურ წევრებსა და OLAF-ს შორის ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება იმ ინფორმაციების ხელშეუხებლად, რომლებიც სხვა უფლებამოსილ ორგანოებს ამ რეგულაციების (Verordnungen) შესაბამისად უნდა გადაეცეთ.

(5) თავისი მიზნების განსახორციელებლად, ევროიუსტს შეუძლია, სხვა დაწესებულებებთან, განსაკუთრებით საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დაამყაროს ურთიერთობები და გაცვალოს გამოცდილებები არაოპერატიულ დონეზე.

(6) ევროიუსტს შეუძლია, შემთხვევიდან შემთხვევამდე ითანამშრომლოს წევრი სახელმწიფოების საკონტაქტო მოსამართლეებთან/პროკურორებთან, საბჭოს 1996 წლის 22 აპრილის ერთობლივი ღონისძიების (96/277/JI) გაგებით, რომელიც უკავშირდება მოსამართლეების/პროკურორების გაცვლას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 27 ინფორმაციის გაცვლა პარტნიორებთან

(1) ამ გადაწყვეტილების დებულებების შესაბამისად, ევროიუსტს აქვს შესაძლებლობა, გაცვალოს ყველა საჭირო ინფორმაცია თავისი დავალებების შესასრულებად

a) ინსტიტუტებთან, რომლებიც, ხელშეკრულებების ფარგლებში გამოცემული დებულებების შესაბამისად, არიან უფლებამოსილნი;

b) საერთაშორისო ორგანიზაციებთან ან ინსტიტუტებთან;

c) მესამე სახელმწიფოს გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნაზე უფლებამოსილ ორგანოებთან.

(2) ვიდრე ევროიუსტი 1-ლი აბზაცის b) და c) ქვეპუნქტებში დასახელებულ ორგანოებთან გაცვლის ინფორმაციას, იმ წევრი სახელმწიფოს ნაციონალურ წევრი, რომელმაც წარმოადგინა ინფორმაცია, გასცემს თავის თანხმობას მისი შემდგომი გადაცემის შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში, ნაციონალური წევრი კონსულტაციას გადის წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილ ორგანოებთან.

(3) ევროიუსტს, საბჭოს თანხმობით, შეუძლია მესამე სახელმწიფოსთან და პირველ აბზაცში დასახელებულ ორაგანოებთან დადოს შეთანხმებები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. ეს შეთანხმებები შესაძლებელია, განსაკუთრებით, შეიცავდეს დებულებებს საკონტაქტო მოხელეების ან საკონტაქტო მოსამართლეების/პროკურორების ევროიუსტში გაგზავნის პირობების შესახებ. გარდა ამისა, ისინი შეიძლება შეიცავდნენ პირთა პერსონალური მონაცემების გაცვლის შესახებ დებულებებს; ამ შემთხვევაში მოხდება ევროიუსტის ერთობლივი საკონტროლო ინსტანციის მოსმენა.

გადაუდებელი საკითხების განსახილველად, ევროიუსტის შეუძლია, პირველ აბზაცის b) და c) ქვეპუნქტებში დასახლებულ ორგანოებთან ითანამშრომლოს წინასწარი შეთანხმებების გარეშე, თუკი ეს ურთიერთთანამშრომლობა ევროიუსტის მეშვეობით ამ ორგანოებისთვის პერსონალური მონაცემების გადაცემას არ ითვალისწინებს.

(4) მე-3 აბზაცის ხელშეუხებლად, ევროიუსტის მიერ პერსონალური მონაცემების გადაცემა 1-ლი აბზაცის b) ქვეპუნქტში დასახელებული ორგანოებისა და 1-ლი აბზაცის c) ქვეპუნქტში დასახელებული მესამე სახელმწიფოს ორგანოებისათვის, რომელთათვისაც არ მოქმედებს ევროპის საბჭოს 1981 წლის 28 იანვრის შეთანხმება, ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია, უზრუნველყოფილი იქნეს მონაცემთა დაცვის შედარებით მსგავსი დონე.

(5) მესამე სახელმწიფოს ან 1-ლი აბზაცის b) და c) ქვეპუნქტებში დასახელებული ორგანოების მიერ მე-4 აბზაცში დასახელებული პირობების ყოველი დაგვიანებული შეუსრულებლობის ან მათი შეუსრულებლობის ალბათობის მაღალი ხარისხის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება ერთობლივ საკონტროლო ინსტანციასა და დაინტერესებულ სახელმწიფოებს ევროიუსტიცის მეშვეობით. ერთობლივ საკონტროლო ინსტანციას შეუძლია, შეწყვიტოს პერსონალური მონაცემების შემდგომი გაცვლა დაინტერესებულ ორაგანოებთან იმ დრომდე, ვიდრე იგი არ დარწმუნდება, რომ შექმნილია სამართლებრივი დაცვის შესაბამისი საშუალება.

(6) იმ შემთხვევაშიც, როდესაც, მე-3 და მე-4 აბზაცებში დასახელებული პირობები არ არის შესრულებული, ნაციონალურ წევრს, როგორც ასეთს, შეუძლია, გამონაკლისის სახით, ის ინფორმაციები, რომლებიც შეიცავენ პერსონალურ მონაცემებს, გაცვალონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიღებული უნდა იქნეს გადაუდებელი ღონისძიებები პიროვნების ან საჯარო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული უშუალო რეალური საფრთხის თავიდან ასაცილებლად. გადაცემის დაშვებაზე პასუხისმგებლობა აკისრია ნაციონალურ წევრს. ნაციონალური წევრი გადაცემისა და მისი საფუძვლის შესახებ აკეთებს ჩანაწერს. გადაცემა მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, როდესაც მიმღები თანხმობას აცხადებს, რომ მონაცემები მხოლოდ იმ მიზნით იქნება გამოყენებული, რა მიზნითაც მოხდა მათი გადაცემა.

მუხლი 28 ორგანიზაცია და ფუნქციონირების წესი

(1) კოლეგია პასუხისმგებელია ევროიუსტის ორგანიზაციული საქმიანობისა და ფუნქციონირების წესისათვის.

(2) კოლეგია ნაციონალური წევრების წრიდან ირჩევს პრეზიდენტს და შეუძლია, თუ იგი ამას საჭიროდ მიიჩნევს, აირჩიოს ერთი ან ორი ვიცე-პრეზიდენტი. არჩევნების შედეგი წარედგინება საბჭოს თანხმობისათვის.

(3) პრეზიდენტი თავის საქმიანობას ახორციელებს კოლეგიის სახელითა და მისი ზედამხედველობით, ხელმძღვანელობს მის ფუნქციონირებას და კონტროლს უწევს ადმინისტრაციის დირექტორის მიმდინარე საქმიანობას. რეგლამენტში დარეგულირებულია, თუ რა შემთხვევებში ესაჭიროება პრეზიდენტის გადაწყვეტილებებსა და ღონისძიებებს წინასწარი თანხმობა ან მოხსენება კოლეგიაზე.

(4) პრეზიდენტის სამსახურებრივი უფლებამოსილების ვადა განსაზღვრულია სამი წლით. იგი შესაძლებელია, არჩეული იქნეს კიდევ ერთხელ. ვიცე-პრეზიდენტის (ვიცე პრეზიდენტების) სამსახურებრივი უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება რეგლამენტით.

(5) ევროიუსტს დახმარებას უწევს სამდივნო, რომელსაც ხელმძღვანელობს ადმინისტრაციის დირექტორი.

(6) ევროიუსტი თავისი თანამშრომლების მიმართ ახორციელებს პერსონალის სამსახურის უფლებამოსილებებს. რეგლამენტის თანახმად, კოლეგია ამ აბზაცის გამოყენებისათვის გამოსცემს შესაბამის დებულებებს.

მუხლი 29 ადმინისტრაციის დირექტორი

(1) ევროიუსტის ადმინისტრაციის დირექტორის თანამდებობაზე გამწესება ხდება კოლეგიის მიერ ერთხმად. კოლეგია ქმნის საარჩევნო კომისიას, რომელიც განაცხადების მიღების შემდეგ ადგენს კონკურსანტთა სიას, საიდანაც კოლეგია ირჩევს ადმინისტრაციის დირექტორს.

(2) ადმინისტრაციის დირექტორის სამსახურებრივი უფლებამოსილება ვადა მოიცავს 5 წელს. ხელმეორედ დასახელება შესაძლებელია.

(3) ადმინისტრაციის დირექტორის მიმართ მოქმედებს ევროპული გაერთიანებების მოხელეებისა და სხვა მოსამსახურეებისთვის დადგენილი რეგულაციები (Verordnungen) და დებულებები.

(4) ადმინისტრაციის დირექტორი ექვემდებარება კოლეგიასა და მის პრეზიდენტს, რომელიც საქმიანობას ახორციელებს 28-ე მუხლის მე-3 აბზაციდან გამომდინარე. იგი თანამდებობიდან შეიძლება განთავისუფლდეს კოლეგიის მიერ, ხმების 2/3-ის უმრავლესობით.

(5) ადმინისტრაციის დირექტორი პასუხისმგებელია ევროიუსტის მიმდინარე ადმინისტრაციული საქმიანობისა და პერსონალის მართვაზე, რაც ხორციელდება პრეზიდენტის ზედამხედველობით.

მუხლი 30 პერსონალი

(1) ევროიუსტის პერსონალი, განსაკუთრებით სამსახურში მიღების პირობებისა და სტატუსის განსაზღვრის თვალსაზრისით, ექვემდებარება ევროპული გაერთიანებების მოხელეებისა და სხვა დასაქმებული პირების შესახებ არსებულ რეგულაციებსა (Verordnungen) და დებულებებს.

(2) ევროიუსტის პერსონალი შედგება იმ პირებისგან, რომელთა დანიშვნა ხდება 1-ლი აბზაცით გათვალისწინებული რეგულაციებისა (Verordnungen) და წესების თანახმად, ევროპული გაერთიანებების მოხელეების სტატუსისათვის დასახელებული ყველა კრიტერიუმის მხედველობაში მიღებით, რაც გათვალისწინებულია 259/68-ე რეგულაციის (Verordnung 259/68. EWG, Euratom, EGKS) 27-ე მუხლით, ასევე გეოგრაფიული განაწილების პრინციპის გათვალისწინებით. ისინი ფლობენ უვადოდ ან დროებით დასაქმებული, ან ადგილობრივი პერსონალის სტატუსს. ადმინისტრაციის დირექტორის განცხადებითა და პრეზიდენტის თანხმობით, კოლეგიის სახელით, გაერთიანების ორგანოებს შეუძლიათ, გაერთიანებების მოხელეები, როგორც მოსამსახურეები, დროებით დაუქვემდებარონ ევროიუსტს. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ნაციონალური ექსპერტები დაუქვემდებარონ ევროიუსტს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, კოლეგია ადგენს მისი განხორციელების შესახებ საჭირო წესებს.

(3) პერსონალი თავისი დავალებების შესრულებისას კოლეგიის მეთვალყურეობით ხელმძღვანელობს ევროიუსტის მიზნებისა და მანდატის მხედველობაში მიღებით და უფლება არა აქვს, მოითხოვოს ან მიიღოს მითითებები მთავრობის, ორგანოს, ორგანიზაციის ან პირისაგან, გარდა ევროიუსტისა.

მუხლი 31 დახმარება თარჯიმნისა და მთარგმნელის მეშვეობით

(1) ევროიუსტის მუშაობისათვის მოქმედებს ევროკავშირის ოფიციალური ენობრივი რეგულირება.

(2) საბჭოსადმი ყოველწლიური მოხსენება, 32-ე მუხლის 1-ლი აბზაცის მე-2 ქვეაბზაცის შესაბამისად, შედგენილი იქნება ევროკავშირის ორგანოს ოფიციალურ ენებზე.

მუხლი 32 ევროპარლამენტისა და საბჭოს შეტყობინება

(1) პრეზიდენტი, კოლეგიის სახელით, ყოველწლიურად წერილობით წარუდგენს საბჭოს ევროიუსტის საქმიანობისა და მართვის – მათ შორის ფინანსური მენეჯმენტის – შესახებ ანგარიშს.

ამ მიზნით, კოლეგია ადგენს წლიურ ანგარიშს ევროიუსტის საქმიანობისა და ევროკავშირში დამნაშავეობის პოლიტიკის სფეროში პრობლემების შესახებ, რომლის შედეგადაც ვლინდება ევროიუსტის საქმიანობები. ევროიუსტს შეუძლია, ამ სფეროში ჩამოაყალიბოს წინადადებები სისხლის სამართლის საქმეებზე იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

შემდგომ, პრეზიდენტი წარადგენს ყოველგვარ მოხსენებასა და სხვა სახის ინფორმაციას ევროიუსტის ფუნქციონირების შესახებ, რომელსაც აუცილებლობის შემთხვევაში საბჭო მოითხოვს მისგან.

(2) საბჭოს თავმჯდომარე ყოველწლიურად გადასცემს ევროპარლამენტს ინფორმაციას ევროიუსტის საქმიანობების შესახებ, ასევე ერთობლივი საკონტროლო ინსტანციის საქმიანობების შესახებ.

მუხლი 33 ფინანსები

(1) ნაციონალური წევრებისა და მე-2 მუხლის მე-2 აბზაცის გაგებით დაფინანსებული პირებისთვის ანაზღაურებისა და შემოსავლების გადახდა ეკისრება მათ შესაბამის წარმომავლობის წევრ ქვეყანას.

(2) იმ შემთხვევაში, როდესაც ნაციონალური წევრები დასაქმებული არიან ევროიუსტის მიერ მიცემული დავალებების ფარგლებში, მაშინ ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები, ხელშეკრულების 41-ე მუხლის მე-3 აბზაცის გაგებით, განიხილება როგორც ოპერატიული ხარჯები.

მუხლი 34 ბიუჯეტი

(1) ევროიუსტის ყველა შემოსავალი და გასავლები განისაზღვრება ყოველი საბიუჯეტო წლისათვის, რომელიც შეესაბამება კალენდარულ წელს. ისინი გათვალისწინებული იქნება ევროიუსტის საბიუჯეტო პროექტში, რომელიც აგრეთვე საშტატო აღწერილობასაც მოიცავს, რომელიც წარედგინება კავშირის მთლიანი საბიუჯეტო პროექტისთვის უფლებამოსილ საბიუჯეტო ორგანოს. საშტატო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს უვადო ან დროებით საშტატო ადგილებს, ასევე შეიცავს აღნიშვნას ნაციონალური ექსპერტების წარმომადგენლობის შესახებ. მასში მითითებული იქნება ევროიუსტის მიერ მიმდინარე საბიუჯეტო წლისათვის დასაქმებული მოსამსახურეების რაოდენობისა და, ასევე კატეგორიების მიხედვით მათთვის ყოველგვარი ფინანსური დანამატების შესახებ.

(2) ევროიუსტის საბიუჯეტო პროექტის შემოსავლები და გასაველები შესაბამისობაში უნდა იყოს ერთმანეთთან.

(3) ევროიუსტის შემოსავლები, სხვა შემოსავლების ხელშეუხებლად, შესაძლებელია, მოიცავდეს ევროკავშირის მთლიან საბიუჯეტო პროექტში გათვალისწინებულ სუბსიდიებს.

(4) ევროიუსტის ხარჯები მოიცავს განსაკუთრებით ხარჯებს თარჯიმნობისა და თარგმნისათვის, უსაფრთხოების, ადმინისტრირებისა და ინფრასტრუქტურის ხარჯებს, წარმოებისა და ქირის ხარჯებს, ევროიუსტის წევრების და მისი პერსონალის მგზავრობის ხარჯებს, ასევე ხარჯებს ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, რომლებიც მესამე მხარესთან გაფორმდა.

მუხლი 35 საბიუჯეტო გეგმის შედგენა

1) კოლეგია, ადმინისტრაციის დირექტორის პროექტის საფუძველზე, ყოველწლიურად ადგენს ევროიუსტის შემოსავლებისა და გასაელების წინასწარ ხარჯთაღრიცხვას მომდევნო საბიუჯეტო წლისთვის. ეს წინასწარი ხარჯთაღრიცხვა მოიცავს, ასევე საშტატო ადგილების გეგმის პროექტს და კოლეგიის მიერ, არაუგვიანეს 31 მარტისა, წარედგინება კომისიას.

2) კომისია, წინასწარი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე, იძლევა შეთავაზებას ევროკავშირის მთლიანი საბიუჯეტო გეგმის პროექტში როგორც ყოველწლიური დანამატების, ასევე უვადო და დროებითი საშტატო ადგილების შესახებ და ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების 272-ე მუხლის თანახმად, წინასწარ პროექტს წარუდგენს საბიუჯეტო ორგანოს.

3) საბიუჯეტო ორგანო იძლევა თანხმობას ევროიუსტისათვის დანამატის საშუალებებზე და ევროპული გაერთიანებების მოხელეთა სტატუტისა და გაერთიანებების სხვა მოსამსახურეთათვის დასაქმების პირობების ფარგლებში განსაზღვრავს უვადო ან დროებით საშტატო ადგილებს.

4) ევროიუსტის კოლეგია საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ადგენს საბიუჯეტო გეგმას და ასევე 34-ე მუხლის 1-ლი აბზაცის მესამე წინადადების თანახმად გათვალისწინებული საშტატო ადგილების გეგმას. ეს ყოველივე ხორციელდება ყოველწლიური დანამატისა და საბიუჯეტო ორგანოს მიერ მე-3 აბზაცის თანახმად საშტატო ადგილების დამტკიცების საფუძველზე. შესაბამისად, საბიუჯეტო გეგმაში გათვალისწინებული არის, ასევე ევროიუსტში განხორციელებული ცალკეული შენატანები და სხვა წყაროებიდან მიღებულ საშუალებები.

მუხლი 36 ბიუჯეტის შესრულება და ჩამოწერა

(1) ადმინისტრაციის დირექტორი, როგორც მითითებების მიცემაზე უფლებამოსილი პირი, ასრულებს ევროიუსტის საბიუჯეტო გეგმას. იგი საბიუჯეტი გეგმის შესრულებაზე ანგარიშვალდებულია კოლეგიის წინაშე.

(2) ევროიუსტის ბუღალტერი, საბიუჯეტო წლის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 2 მარტისა გადასცემს კომისიის ბუღალტერს დასრულებული საბიუჯეტო წლის საბიუჯეტო მართვისა და ფინანსური მენეჯმენტის შესახებ წინასწარ დაანგარიშებებსა და მოხსენებას. კომისიის ბუღალტერი ახდენს ორგანოებისა და დეცენტრალიზებული დაწესებულებების წინასწარი დაანგარიშებების კონსოლიდაციას, ბიუჯეტის რეგლამენტის 128-ე მუხლის თანახმად.

(3) კომისიის ბუღალტერი, საბიუჯეტო წლის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 31 მარტისა უგზავნის კონტროლის პალატას ევროიუსტის წინასწარ დაანგარიშებებსა და დასრულებული საბიუჯეტო წლის საბიუჯეტო მართვისა და ფინანსური მენეჯმენტის შესახებ მოხსენებას. საბიუჯეტო მართვისა და ფინანსური მენეჯმენტის შესახებ მოხსენება გადაეგზავნება, ასევე ევროპარლამენტსა და საბჭოს.

(4) ევროიუსტის წინასწარი დაანაგარიშებების შესახებ კონტროლის პალატიდან მიღებული შენიშვნების შემდეგ, ადმინისტრაციის დირექტორი, ბიუჯეტის რეგლამენტის 129-ე მუხლის თანახმად, საკუთარი პასუხისმგებლობით ადგენს ევროიუსტის საბოლოო საფინანსო ანგარიშგებებს და წარუდგენს მას ევროიუსტის კოლეგიას მასზე საკუთარი აზრის გამოსახატავად.

(5) ევროიუსტის კოლეგია გამოხატავს თავის აზრს ევროიუსტის საბოლოო საფინანსო ანგარიშგებების შესახებ.

(6) ევროიუსტის ადმინისტრაციის დირექტორი ამ საბოლოო საფინანსო ანგარიშგებებს,

მასზე ევროიუსტის კოლეგიის შეხედულებასთან ერთად, საბიუჯეტო წლის დასრულების შემდეგ, არაუგვიანეს 1-ლი ივლისისა, გადაუგზავნის ევროპარლამენტს, საბჭოს, კომისიასა და კონტროლის პალატას.

(7) საბოლოო საფინანსო ანგარიშგებები გამოქვეყნდება.

(8) ევროიუსტის ადმინისტრაციის დირექტორი, არაუგვიანეს 30 სექტემბრისა, წარუდგენს კონტროლის პალატას პასუხს მის მიერ გაკეთებულ შენიშვნებზე. ეს პასუხი წარედგინება, ასევე ევროიუსტის კოლეგიას.

(9) ადმინისტრაციის დირექტორი, რომელიც ექვემდებარება ევროიუსტის კოლეგიასა და შესაბამის პრეზიდენტს, ევროპულ პარლამენტს, მისი მოთხოვნის საფუძველზე, ბიუჯეტის რეგლამენტის 146-ე მუხლის მე-3 აბზაცის თანახმად, გადასცემს ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა შესაბამისი საბიუჯეტო წლისთვის ჩამოწერის პროცესის შეუფერხებელად განხორციელებისთვის.

(10) საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, რომელიც მიიღება კვალიფიციური უმრავლოსებით, ევროპული პარლამენტი, წლის 30 აპრილამდე, აძლევს ადმინისტრაციის დირექტორს საბიუჯეტო გეგმის ჩამოწერის განხორციელების შესაძლებლობას.

მუხლი 37 ნორმები ფინანსების შესახებ

კოლეგია, კომისიასთან კონსულტაციის შემდეგ, ერთხმად გამოსცემს ევროიუსტის ბიუჯეტისთვის მოქმედ ფინანსურ წესებს. კომისიის 2002 წლის 19 ნოემბრის 2343/2002-ე რეგულაციიდან (Verordnung (EG, Euratom) Nr. 2343/2002) გამომდინარე, რომელიც შეეხება საბჭოს 2002 წლის 25 ივნისის 1605/2002-ე რეგულაციის (Verordnung (EG, Euratom) Nr. 1605/2002) 185-ე მუხლს ევროპული გაერთიანებების მთლიანი საბიუჯეტო რეგლამენტის ჩარჩო-საფინანსო წესების დარეგულირების შესახებ, შესაძლებელია მოხდეს მისგან გვერდის ავლა მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს საჭიროა ევროიუსტის ფუნქციონირების წესიდან გამომდინარე და თუ ამას ეთანხმება კომისია.

მუხლი 38 მართვა

1) მითითებების მიცემაზე უფლებამოსილი პირი ახორციელებს სისტემების შიდა მართვასა და პროცესს იმ სახით, რომელიც საჭიროა მისი დავალებების განხორციელებისათვის.

2) კოლეგია თანამდებობაზე განამწესებს შიდა რევიზორს, რომელიც განსაკუთრებით უფლებამოსილია იმისთვის, რომ საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, უზრუნველყოს საბიუჯეტო გეგმის შესრულებისათვის სისტემის ფუნქციონირება და პროცესის შეუფერხებელი წარმართვა. შიდა რევიზორი არ შეიძლება იყოს არც მითითებების მიცემაზე უფლებამოსილი პირი და არც ბუღალტერი. კოლეგიას შეუძლია, თხოვნით მიმართოს კომისიის შიდა რევიზორს ამ ამოცანის განხორციელებისათვის.

3) შიდა რევიზორი ევროიუსტს წარუდგენს მოხსენებას საკუთარი დასკვნებისა და რეკომენდაციების შესახებ და ამ მოხსენების ერთ ასლს გადაუგზავნის კომისიას. ევროიუსტი, შიდა რევიზორის მოხსენების მხედველობაში მიღებით, იღებს საჭირო ღონისძიებებს ამ რეკომენდაციების შესრულებისათვის.

4) 1073/1999-ე რეგულაციის (Verordnung (EG) Nr. 1073/1999) დებულებები გამოიყენება ევროიუსტის მიმართაც. კოლეგია გამოსცემს საჭირო გასატარებელ ღონისძიებებს.

მუხლი 39 დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა

კოლეგია, ადმინისტრაციის დირექტორის წინადადების საფუძველზე, ადგენს ევროიუსტის დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობის წესებს და ამასთან ითვალისწინებს ევროპარლამენტის 1049/2001 რეგულაციისა (Verordnung (EG) Nr. 1049/2001) და საბჭოს 2001 წლის 30 მაისის რეგულაციის პრინციპებსა და საზღვრებს, რომლებიც შეეხება ევროპული პარლამენტის, საბჭოსა და კომისიის დოკუმენტაციის საჯარო ხელმისაწვდომობას.

მუხლი 40 ტერიტორიული გამოყენება

ეს სამართლებრივი აქტი გამოიყენება გიბრალტარზე, რომელსაც წარმოადგენს გაერთიანებული სამეფოს ნაციონალური წევრი.

მუხლი 41 გარდამავალი დებულებები

(1) საბჭოს 2000 წლის 14 დეკემბრის 2000/799/JI გადაწყვეტილების (Beschluss 2000/799/JI) საფუძველზე, რომელიც შეეხება იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის მიზნით დროებითი სამსახურის მოწყობას, წევრი სახელმწიფოების მიერ იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის მიზნით დროებით სამსახურებში დასახელებული ნაციონალური წევრები, ამ სამართლებრივი აქტის მე-2 მუხლის თანახმად, ახორციელებენ ევროიუსტის ნაციონალური წევრის ამოცანებს იმ დრომდე, ვიდრე საბოლოოდ არ იქნება დანიშნული დაინტერესებული წევრი სახელმწიფოს ნაციონალური წევრი; მათი სამსახური სრულდება არაუგვიანეს მეორე თვის დასასრულს, რომელიც წარმოდგენილი გადაწყვეტილების ძალაში შესვლას მოსდევს.

ამასთან დაკავშირებით, დროებითი სამსახურის ნაციონალურ წევრებს გააჩნიათ ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც წარმოდგენილი გადაწყვეტილებით ენიჭებათ ნაციონალურ წევრებს.

ნაციონალური წევრის საბოლოო დასახელება იმ დღიდან შედის ძალაში, როდესაც ამ მიზნით წევრი სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად ეცნობება საბჭოს გენერალურ სამდივნოს.

(2) ამ სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლიდან 3 თვის განმავლობაში, ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, გააკეთოს დათქმა, რომ ის, 42-ე მუხლში გათვალისწინებულ დრომდე, ზოგიერთ მუხლს – განსაკუთრებით მე-9 და მე-13 მუხლებს – არ გამოიყენებს, რამდენადაც მათი გამოყენება შიდასახელმწიფოებრივ დებულებებთან არ იქნებოდა შეესაბამისობაში. ამ დათქმის შესახებ საბჭოს გენერალური სამდივნო ატყობინებს წევრ სახელმწიფოებსა და კომისიას.

(3) კოლეგია საბჭოს მიერ ევროიუსტის რეგლამენტზე თანხმობის მიცემამდე ყველა გადაწყვეტილებას იღებს ხმების 2/3-ის უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელზეც ეს სამართლებრივი აქტი ითვალისწინებს გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას.

(4) წევრი სახელმწიფოები ზრუნავენ იმისთვის, რომ ევროიუსტის საბოლოო მოწყობამდე მიღებულ იქნეს ყველა საჭირო ღონისძიება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ დროებითი სამსახურის მიერ იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის მიზნით დამუშავებული ყველა ოპერაცია, განსაკუთრებით გამოძიებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების კოორდინირების თვალსაზრისით, შესაძლებელი იყოს, ნაციონალური წევრების მიერ შემდგომშიც ეფექტურად წარიმართოს.

ნაციონალური წევრები უზრუნველყოფენ, სულ მცირე, იმავე მიზნებისა და ამოცანების

შესრულებას, რომლებსაც ახორციელებდა იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის დროებითი სამსახური.

მუხლი 42 განხორციელება

წევრმა სახელმწიფოებმა, აუცილებლობის შემთხვევაში, თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი სამართალი, რაც შეიძლება სწრაფად, შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ ამ სამართლებრივ აქტთან, მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 2003 წლის 6 სექტემბრისა.

მუხლი 43 ძალაში შესვლა

ეს გადაწყვეტილება, 41-ე მუხლის ხელშეუხებლად, ძალაში შედის მისი ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღიდან. ამ დღიდან უწყდება არსებობა იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის მიზნით შექმნილ დროებით სამსახურს[1].

2. ევროიუსტის რეგლამენტი[2]

ევროიუსტის რეგლამენტი მიღებულ იქნა ევროიუსტის კოლეგიის მიერ 2002 წლის 30 მაისს და 2002 წლის 13 ივნისს საბჭოს მიერ დამტკიცებული. მისი სამართლებრივი საფუძველი არის ევროპის კავშირის საბჭოს 2002 წლის 28 თებერვლის სამართლებრივი აქტი – გადაწყვეტილება ევროიუსტის შექმნის შესახებ[3], განსაკუთრებით მისი მე-10 მუხლი.

ევროიუსტის რეგლამენტი შედგება შემდეგი შინაარსის მუხლებისაგან:

სათაური I
ორგანიზაცია და ფუნქციონირების წესი

თავი I
კოლეგია

მუხლი 1 კოლეგიის შემადგენლობა და ფუნქციონირების წესი

ევროპის კავშირის საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების (Beschluss 2002/187) მე-10 მუხლის 1-ლი აბზაცისა და 28-ე მუხლის 1-ლი აბზაცის შესაბამისად, მოქმედებს შემდეგი წესი:

1. კოლეგია წარმოადგენს ნაციონალური წევრების ერთობლიობას. ყოველ მათგანს აქვს მხოლოდ ერთი ხმის უფლება.

2. კოლეგია პასუხისმგებელია ევროიუსტის ორგანიზაციულ საქმიანობასა და ფუნქციონირებაზე.

---

[1] იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის დროებითი სამსახური შექმნილი იყო ევროიუსტის მოსამზადებლად. იხ. ინგლისურად (Council Decision of 14 December 2000 setting up a Provisional Judicial Cooperation Unit) 2000/799/JHA, ხოლო გერმანულად – (Beschluss des Rates vom 14. Dezember 2000 über die Einrichtung einer vorläufigen Stelle zur justiziellen Zusammenarbeit) 2000/799/JI.

[2] Rules of procedure of Eurojust. (გერმანულად: Geschäftsordnung von Eurojustz). იხ. ABl. C 286, 22. 11. 2002.

[3] ABl. L 63, 6. 03. 2002. იხ. ინგლისურ ენაზე 2002/187/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე _ 2002/187/JI.

მუხლი 2 კოლეგიის ამოცანები

კოლეგია, საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების მიხედვით დადგენილი ამოცანების შესრულებისას, როგორც ევროიუსტის ორგანიზაციულ საქმიანობისა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი ორგანო, ახორციელებს შემდეგი სახის ამოცანებს:

1.მე-6 მუხლის თანახმად იძლევა ნებართვას Ad-hoc კომისიის შესაქმნელად და ნიშნავს კომისიის წევრებს თავისი შემადგენლობიდან.

2. იძლევა ნებართვას ადმინისტრაციის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად განცხადებების მიღების თაობაზე და ნიშნავს თავისი შემადგენლობიდან საკონკურსო კომისიის წევრებს.

3. ხმათა 2/3-ის უმრავლესობით ნიშნავს ეუროიუსტის ფინანსურ კონტროლიორს.

4. ხმათა 2/3-ის უმრავლესობით ნიშნავს ეუროიუსტის შიდა რევიზორს.

5. გარდა ამისა, იგი მოქმედებს ამ რეგლამენტის შესაბამისად.

მუხლი 3 პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტების არჩევა

(1) კოლეგია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს პრეზიდენტსა და ორ ვიცე-პრეზიდენტს. არჩევნების შედეგი მასზე თანხმობის მიცემისათვის წარედგინება საბჭოს.

(2) კოლეგია, ხმათა 2/3-ის უმრავლესობით, ირჩევს პრეზიდენტს, რომელიც ნაციონალური წევრების მიერ ფარული კენჭრისყრის საფუძველზე განხორციელდება. ნაციონალური წევრები, რომლებსაც სურთ არჩევნებში მონაწილეობის მიღება, კოლეგიის სხდომაზე, სადაც უნდა ჩატარდეს არჩევნები, წარადგენენ წერილობით განაცხადს.

(3) იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთი წევრი ვერ მიიღებს პირველ არჩევნებში ხმათა საჭირო უმრავლესობას, მაშინ დაუყოვნებლივ ტარდება არჩევნების მეორე ტური იმ ორ წევრს შორის, ან რამდენიმე წევრის მიერ თანაბარი ხმების შემთხვევაში იმ წევრებს შორის, ვინც პირველ კენჭისყრაში ხმების უმრავლესობა მიიღო, ხოლო არჩევა მოხდება კოლეგიის მიერ ხმათა 2/3-ის უმრავლესობით. იმ შემთხვევაში, როდესაც კოლეგიის ხმათა რაოდენობა 2/3-ის უმრავლესობას ვერ მიაღწევს, მაშინ დაუყოვნებლივ ინიშნება არჩევნების მესამე ტური, რომელშიც ხმათა უბრალო უმრავლესობით აირჩევა ერთ-ერთი წევრი იმ წევრებიდან, რომლებმაც არჩევნების მეორე ტურში ხმათა უმრავლესობა მოიპოვეს. თუ მესამე საარჩევნო ტურშიც ვერც ერთი წევრი ვერ მიიღებს ხმების უმრავლესობას, მაშინ იმ წევრებიდან, რომელთაც ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვთ მიღებული, არჩეულიდ ითვლება უხუცესი.

(4) კოლეგიას შეუძლია, არჩევნებზე დამკვირვებლად მოიწვიოს ევროკავშირის ორგანოს წარმომადგენელი.

(5) პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, კოლეგია, ასევე ფარული კენჭისყრით ირჩევს ვიცე-პრეზიდენტებს. არჩეულად ჩაითვლება ის ორი წევრი, რომლებიც მოიპოვებენ ხმათა უმრავლესობას. ყველა სხვა შემთხვევაში, ვიცე-საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება იმავე პროცედურებით, როგორც საპრეზიდენტო არჩევნები.

(6) პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის სამსახურებრივი უფლებამოსილების ვადა წარმოადგენს 3 წელს. წევრის არჩევა მეორე სამსახურებრივი ვადით შესაძლებელია. უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ, კოლეგია ატარებს ხელახალ არჩევნებს ზემოთ აღნიშნული აბზაცებით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად. ახალი წევრების არჩევამდე, პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები თავიანთ სამსახურებრივ უფლებამოსილებებს ახორციელებენ იმ დრომდე, ვიდრე არ მოხდება მათ შემცვლელების დანიშვნა და საბჭოს მიერ ამის დადასტურება.

(7) იმ შემთხვევაში, როდესაც ნაციონალური წევრი, რომელსაც უკავია პრეზიდენტის

ან ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა, თავისი უფლებამოსილების განხორციელების პერიოდში წევრი სახელმწიფოს მიერ შეიცვლება, გადადგება ან გარდაიცვლება, მაშინ არჩევნები ჩატარდება მე-2, მე-3 და მე-5 აბზაცებით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 4 პრეზიდენტის ამოცანები

(1) პრეზიდენტი ახორციელებს იმ ამოცანებს, რომლებიც მას დაეკისრა საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილებითა და ამ რეგლამენტით. იგი მოქმედებს კოლეგიის სახელითა და მისი მეთვალყურეობით.

(2) პრეზიდენტი წარმოადგენს ევროიუსტს. თუ ევროიუსტი მოქმედებს როგორც კოლეგია, მაშინ იგი ხელს აწერს ევროიუსტის ყველა ოფიციალურ დოკუმენტს კოლეგიის სახელით. პრეზიდენტის უფლებამოსილებები, კოლეგიის სახელით ხელი მოაწეროს ფინანსურ საქმეებთან დაკავშირებულ საკითხებზე, დარეგულირებულია საფინანსო რეგლამენტით.

(3) პრეზიდენტი იწვევს კოლეგიის სხდომებს და უძღვება მათ, ადგენს სხდომის ჩატარების ადგილს, თარიღსა და საათს; იგი, ასევე ადგენს დროებითი დღის წესრიგს, ხსნის და ხურავს სხდომებს, ხელმძღვანელობას უწევს სიტყვით გამოსვლებს და მეთვალყურეობს მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებას. ევროიუსტის საორგანიზაციო და ფუნქციონირების წესისათვის ყველა მნიშვნელოვანი თემა შეიტანება კოლეგიის დღის წესრიგში. პრეზიდენტი და ადმინისტრაციის დირექტორი ზრუნავენ იმისათვის, რომ კოლეგია ინფორმირებული იქნეს ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა მისთვის საინტერესო იყოს.

(4) პრეზიდენტი ხელმძღვანელობს კოლეგიის საქმიანობას და მეთვალყურეობს ადმინისტრაციის დირექტორის მიმდინარე საქმიანობას.

(5) პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის არყოფნის შემთხვევაში, ევროიუსტის პრეზიდენტის ამოცანებს ახორციელებს ევროიუსტის ყველაზე უხუცესი წევრი.

მუხლი 5 ვიცე-პრეზიდენტების ამოცანები

(1) იმ შემთხვევაში, როდესაც პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტურია, ან მისი არყოფნის ან ავადმყოფობის შემთხვევაში, პრეზიდენტის ამოცანებს ახორციელებენ ვიცე-პრეზიდენტები, და, კერძოდ, ევროიუსტის წევრისათვის დადგენილი უმაღლესი სამსახურებრივი სტატუსის რიგითობის შესაბამისად. ვიცე-პრეზიდენტები მხარს უჭერენ პრეზიდენტს მისი დავალებების განხორციელებისას.

(2) ვიცე-პრეზიდენტები ასრულებენ იმ დავალებებს, რომელთა შესრულებასაც მათ პრეზიდენტი დააკისრებს. პრეზიდენტი ატყობინებს კოლეგიას და მასთან მართავს კონსულტაციას იმ მნიშვნელოვან საქმეებზე, რომლებიც უკავშირდება ვიცე-პრეზიდენტებს შორის დავალებების განაწილების საკითხს.

(3) ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის ვაკანტურობის, ან მისი არყოფნის ან ავადმყოფობის შემთხვევაში, ვიცე-პრეზიდენტები ითავსებენ ერთმანეთის ფუნქციებს.

მუხლი 6 კომიტეტები

(1) კოლეგიას შეუძლია Ad-hoc კომიტეტების შექმნა და კოლეგიის ორი მესამედის უმრავლესობით მისი თავმჯდომარისა და წევრების დანიშვნა. კოლეგიას შეუძლია კომიტეტების წევრები დანიშნოს ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც გადაწყვეტილებათა

მომზადების თვალსაზრისით დაკავშირებულნი არიან ევროიუსტის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების წესთან.

(2) ამ სახით შექმნილი კომიტეტები ატყობინებენ კოლეგიას მათი მუშაობის შესახებ.

(3) კოლეგიამ შესაძლოა, მიიღოს გადაწყვეტილება, მისი უფლებამოსილებები შეასრულოს ერთ-ერთმა კომიტეტმა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილება ნათლად ითვალისწინებს, რომ დავალებები უნდა შესრულდეს კოლეგიის მიერ. ამ შემთხვევაში, დავალებათა გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებაში ზუსტად უნდა იქნეს აღწერილი, თუ რომელი დავალების შესრულება დაეკისრა კომიტეტს და თუ როგორი მოხსენების ვალდებულება აკისრია მას კოლეგიის წინაშე.

(4) კოლეგიის მდივანი ან ადმინისტრაციის დირექტორი ან სხვა პირი, რომელიც დასახელებული იქნა მათ მიერ პრეზიდენტის თანხმობით, ახორციელებს დავალებებს ასეთი კომიტეტისათვის სამდივნოში. კომიტეტების სხდომებს იწვევს კომიტეტის თავმჯდომარე, სხდომის ჩატარებამდე სულ მცირე ორი დღით ადრე.

მუხლი 7 კოლეგიის მდივნის თანამდებობა

(1) კოლეგიას შეუძლია გადაწყვიტოს, რომ მას ესაჭიროება მდივანი, რომელიც სპეციალურად ამ მიზნით არჩეული იქნება ევროიუსტის პერსონალის წევრებისაგან. კოლეგიის მდივნის არჩევა ხდება ადმინისტრაციის დირექტორსა და პრეზიდენტს შორის კონკრეტული შეთანხმებით. მდივანი მონაწილეობას იღებს კოლეგიის სხდომებში. ის ადგენს სხდომის ოქმს.

(2) მდივანი მუშაობს კოლეგიის პრეზიდენტთან შეთანხმებით და ექვემდებარება ადმინისტრაციის დირექტორს.

(3) მდივანი უნდა აკმაყოფილებდეს კოლეგიის მიერ დადგენილ წინაპირობებს; ამისათვის დადგენილია შემდეგ კრიტერიუმები:

ა) თანამდებობისათვის შესაფერისობა,

ბ) კოლეგიის მიერ დადგენილი გამოცდილება სამსახურში დანიშვნისათვის,

ც) თანამდებობაზე მუშაობის დასაშვებობა.

(4) მდივანი დახმარებას უწევს პრეზიდენტს თავისი იმ ადმინისტრაციული დავალებების შესრულების დროს, რომლებიც უკავშირდება კოლეგიას, იგი ინახავს კოლეგიისა და Ad-hoc კომისიების სხდომის ოქმებს.

მუხლი 8 კოლეგიის სხდომები

(1) თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კოლეგია სულ მცირე კვირაში ერთხელ ატარებს მიმდინარე სხდომებს.

(2) კოლეგიის სხდომები არ არის საჯარო, წარმოთქმული გამონათქვამები კი, კონფიდენციალურია.

(3) პრეზიდენტს შეუძლია თავად ან ნაციონალური წევრის განცხადების საფუძველზე, თუ არსებობს ამის საჭიროება, მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.

(4) კოლეგიის პრეზიდენტი ყოველი სხდომისათვის ადგენს წინასწარ დღის წესრიგს, რომელიც მდივნისგან სხდომის დაწყებამდე სულ მცირე სამი დღით ადრე გადაეგზავნებათ კოლეგიის სხვა წევრებს. რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში, დღის წესრიგის გადაგზავნა უნდა განხორციელდეს სხდომის დაწყებამდე 24 საათით ადრე.

(5) წინასწარი დღის წესრიგი შეიცავს ყველა იმ საკითხს, რომელთა მიღებაზეც განაცხადი ნაციონალური წევრების მიერ სხდომის მოწვევამდე გაკეთდა, ასევე ყველა იმ

საკითხთა წრეს, რომელთა განხილვაც პრეზიდენტსა და ადმინისტრაციის დირექტორს საჭიროდ მიაჩნიათ.

(6) კოლეგია ყოველი სხდომის დაწყებისას იღებს დღის წესრიგს. სასწრაფოდ განსახილველი საკითხები, რომლებიც წინასწარი დღის წესრიგით არ არის გათვალისწინებული, შესაძლებელია, შეტანილ იქნეს დღის წესრიგში, გახდეს დისკუსიის საგანი და წარდგენილი იქნეს კენჭისყრისათვის, თუ კოლეგია დაუჭერს მხარს; ამასთან ერთად, საკითხის განხილვის დროს, რომელზეც გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა კენჭისყრის ჩატარება, პრეზიდენტმა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უნდა გაიგოს კოლეგიის იმ წევრთა აზრიც, რომლებიც სხდომას არ ესწრებიან. თუ ეს მოხდა, მაშინ გათვალისწინებული იქნება ასევე იმ წევრთა აზრიც, რომლებიც სხდომას არ ესწრებიან.

(7) კენჭისყრა ხორციელდება ხელის აწევით; თუ ხელის აწევით ჩატარებული კენჭისყრა გასაჩივრდა, მაშინ ხორციელდება სახელობითი კენჭისყრა. კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ან შეთანხმებებში არ მიეთითება ხმათა გადანაწილების შესახებ. ერთერთი ნაციონალური წევრის განაცხადის საფუძველზე, შესაძლებელია, უმცირესობის აზრი შეტანილი იქნეს სხდომის ოქმში, რაც კონფიდენციალურია.

(8) თუ საქმის განხილვა ხდება კოლეგიის წინაშე, მაშინ იგი ყველა გარემოების გათვალისწინებით წყვეტს, განიხილავს თუ არა ამ საქმეს. იმ შემთხვევაში, თუ კოლეგია ხმათა 2/3-ის უმრავლესობით მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ არ განიხილოს საქმე, მაშინ ეს ყოველივე ხორციელდება განსახილველ საკითხთან კავშირში მყოფი პრიორიტეტების გათვალისწინებით; პრაქტიკული სიძნელეების არსებობის შემთხვევაში, ევროიუსტს შეუძლია, რომ თხოვნის გამგზავნი წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოსთან განიხილოს, თუ როგორ უნდა მოხდეს ყველაზე უკეთესად ამ საკითხის გადაწყვეტა.

მუხლი 9 გადაწყვეტილების მიღების შნარიანობა და კენჭისყრა

(1) პრეზიდენტი ორგანიზაციას უკეთებს კოლეგიის მუშაობას იმ სახითა და ფორმით, რომ სხდომას ესწრებოდეს კოლეგიის ყველა წევრი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მისაღებია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. თუ სხდომას არ ესწრება ყველა წევრი, მაშინ კოლეგია გადაწყვეტილების მიღებისუნარიანია, თუ სხდომას ესწრება წევრთა 2/3-ი. თუ გადაწყვეტილების მიღებისათვის წარმოდგენილი არ არის საჭირო წევრთა რაოდენობა, პრეზიდენტი აგრძელებს სხდომას და სხდომის ოქმში ფორმალური გადაწყვეტილების შესახებ ჩანაწერი არ შეიტანება. დროებითი გადაწყვეტილებები უნდა დამტკიცდეს მომდევნო სხდომაზე, რომელზეც მოცემული იქნება წევრთა გადაწყვეტილებაუნარიანი ქვოტა.

(2) კოლეგია მხოლოდ მაშინ უყრის საკითხს კენჭს, როდესაც პრეზიდენტს მიაჩნია, რომ საკითხი სათანადოდ იქნა გადამოწმებული.

(3) გადაწყვეტილებები, რომელთა მიღებისთვისაც საბჭოს გადაწყვეტილებისა და ამ რეგლამენტის თანახმად არ არის საჭირო არც ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება და არც ხმათა 2/3-ის უმრავლესობა, მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

(4) შეთანხმებები, მე-3 მუხლის მე-5 აბზაცის ხელშეუხებლად, რომლებიც საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების თანახმად საჭიროებს ევროკავშირის საბჭოს თანხმობას, მიიღება კოლეგიის წევრთა ხმების 2/3-ის უმრავლესობით.

მუხლი 10 სხდომებზე დასწრება

(1) ნაციონალური წევრების ასისტენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კოლეგიის სხდომებზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი სხდომაზე მონაწილეობენ როგორც ნაციონალური წევრების წარმომადგენლები, მაშინ მონაწილებას იღებენ როგორც გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე წევრები. პრეზიდენტს ან კოლეგიას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ სხდომებზე მონაწილეობის მიღება შეიზღუდოს ხმის უფლების მქონე წევრებით.

(2) პრეზიდენტს შეუძლია, კოლეგიასთან კონსულტაციით, დღის წესრიგის სპეციალური საკითხის განხილვის მიზნით, მოიწვიოს ის პირები, რომლებსაც განსახილველ საკითხთან დაკავშირებით აქვთ სპეციალური ცოდნა.

(3) საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილებითა და ამ რეგლამენტით დადგენილი შესაბამისი პირობების გათვალისწინებით, კოლეგიის სხდომაზე, პრეზიდენტის მიერ სხდომაზე მოწვევით, შესაძლებელია, მონაწილეობა მიიღონ კომისიის, მათ შორის, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული სამსახურის (OLAF), ევროპოლის ან სხვა ორგანოებისა და დაწესებულებებისა და ევროპული იუსტიციური ქსელის საკონტაქტო ორგანოების, წარმომადგენლებმა. ოპერატიულ სხდომებში ამ წარმომადგენლების მონაწილეობა დარეგულირებულია მე-15-მე-19 მუხლებით. სხდომები, რომლებიც არ შეეხება ოპერატიულ საკითხებს და თუ მასში მონაწილეობენ ზემოთ დასახელებული პირები, არ მოხდება ოპერატიული ინფორმაციების გაცვლა. მსგავს სხდომებზე, მე-19 მუხლის ხელშეუხებლად, არ მოხდება ოპერატიული სფეროების განხილვა.

მუხლი 11 სხდომის ოქმები

(1) კოლეგიის მდივანი ყოველი სხდომის შესახებ ადგენს ოქმს. ოქმში, რომელიც პრინციპში სხდომის დასრულებიდან ორი დღის განმავლობაში უნდა იქნეს შედგენილი, ჩაიწერება შემდეგი მონაცემები:

- სხდომის მონაწილეთა სახელი და გვარი,
- სხდომის მოხსენება,
- კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

(2) ოქმის პროექტი პრეზიდენტის მიერ დაეგზავნებათ ნაციონალურ წევრებს, კოლეგიის მეშვეობით დასამტკიცებლად.

(3) კოლეგიის მიერ ნებადართული ოქმს ხელს აწერენ პრეზიდენტი და მდივანი და შეიტანება მდივნის მიერ წარმოებულ რეესტრში.

თავი II
ნაციონალური წევრები

მუხლი 12 ნაციონალური წევრების სტატუსი

(1) ყოველი ნაციონალური წევრი ატყობინებს პრეზიდენტსა და სხვა ნაციონალურ წევრებს თავისი მანდატისა და იუსტიციური უფლებამოსილებების შესახებ, რომლებიც მას საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების მე-9 მუხლის მე-3 აბზაცის თანახმად საკუთარი წევრი სახელმწიფოს მოქმედების ფარგლებში დაეკისრა, ასევე ყველა სხვა ცვლილების შესახებ. ამ შემთხვევაში, პრეზიდენტი ადგენს დოკუმენტს, რომელშიც ცალ-ცალკე აღინიშნება მანდატის, იუსტიციური უფლებამოსილებებისა და პრივილეგიების შესახებ, რომლებიც წევრმა

სახელმწიფომ თავის ნაციონალურ წევრს მიანიჭა და რომლითაც ამ უკანასკნელს ეძლევა უცხო ქვეყნის იუსტიციურ ორგანოებთან ურთიერთობის შესაძლებლობა; ამ დოკუმენტის განახლება ხდება პერიოდულად. პრეზიდენტი უზრუნველყოფს ნაციონალური წევრებისათვის ამ დოკუმენტის ხელმისაწვდომობას.

(2) იმ შემთხვევაში, თუ ნაციონალურ წევრს თავისი, როგორც წევრი სახელმწიფოს გარეთ ურთიერთობა ჰქონდა სხვა ორგანოებთან, მაშინ იგი დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამისი წევრი სახელმწიფოს ნაციონალურ წევრს ამ კავშირისა და მისი სახის შესახებ.

მუხლი 13 შეტყობინება ნაციონალური წევრების მეშვეობით

(1) ნაციონალური წევრები ატყობინებენ კოლეგიას ზოგადად ყველა იმ საქმის გარემოების შესახებ, რომელიც შესაძლოა, ევროიუსტის კომპეტენციაში თავსდებოდეს, განსაკუთრებით, როდესაც საქმე იმ საკითხებს ეხება, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ევროკავშირის დონეზე ან შესაძლოა, უშუალოდ შეეხებოდეს წევრ სახელმწიფოებს.

(2) იმ შემთხვევაში, როდესაც დავალებების შესრულების პროცესში ნაციონალურ წევრებს შორის წარმოიშობა დავა, დაინტერესებული ნაციონალური წევრები ატყობინებენ პრეზიდენტს ამის შესახებ, რომელსაც ამ საქმის გადასამოწმებლად შეუძლია მოიწვიოს კოლეგიის რიგგარეშე სხდომა.

სათაური II
ოპერატიული დებულებები

მუხლი 14 ოპერატიული მუშაობა

ევროიუსტი თავის ოპერატიულ ამოცანებს ახორციელებს ქვემოთ მოცემულ დებულებებთან შესაბამისობაში:

მუხლი 15 კოლეგიის ოპერატიული მუშაობა (1-ლი დონე)

(1) კოლეგიის სხდომის დაწყებისას პრეზიდენტს ან დაინტერესებულ ნაციონალურ წევრს შეუძლია, გააკეთოს შეთავაზება, რომ კოლეგია, საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების მე-5 მუხლის 1-ლი აბზაცის b) პუნქტისა და მე-7 მუხლის საფუძველზე, განიხილავს ერთ განსაზღვრულ საკითხს. ამ საკითხთან დაკავშირებით, პრეზიდენტი ან ამ საკითხით დაინტერესებული წევრი ატყობინებს კოლეგიას იმ სახელმწიფოების შესახებ, რომლებსაც ეს შეეხოთ და მიუთითებს, რომ ეს საკითხი თავსდება საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების მე-4 მუხლში დასახელებულ კომპეტენციათა ფარგლებში.

(2) ევროიუსტი აკეთებს ყველა იმ საკითხის შესახებ ჩანაწერს, რომელიც მის მიერ იქნა განხილული.

(3) კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს იმის შესახებ, განიხილავს თუ არა საკითხს.

(4) კოლეგია სულ მცირე თვეში ერთხელ მაინც ამოწმებს თავისი ოპერატიული საქმიანობების ფაქტობრივ მდგომარეობას. ნაციონალური წევრები, რომლებიც ამ საქმეებს ამუშავებენ, ატყობინებენ კოლეგიას საქმის ფაქტობრივი ვითარების შესახებ და მიმართავენ თხოვნით საქმის დასრულების შესახებ, თუ ეს საჭიროა.

(5) კოლეგიას, ისევე როგორც განსაზღვრული საკითხების შესახებ მუშაობის დაწყების დროს, ასევე მოგვიანებით, ნაციონალური წევრის წინადადების საფუძველზე, შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება, მე-16 მუხლის საფუძველზე მოიწვიოს საკოორდინაციო სხდომა მეორე

ოპერატიულ დონეზე. კოლეგიას ზოგადად ეცნობება ამ სხდომის შედეგების შესახებ.

მუხლი 16 წევრების ოპერატიული მუშაობა (მე-2 დონე)

(1) საჭიროების შემთხვევაში, მოიწვევა ნაციონალური წევრების ოპერატიული სხდომა, თუ საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების მე-5 მუხლის 1-ლი აბზაცის a) ქვეპუნქტის საფუძველზე ორი ან მეტი ნაციონალური წევრი ამოქმედდება, ან თუ კოლეგია გადაწყვეტს, რომ მე-15 მუხლის მე-5 აბზაცის თანახმად მოიწვიოს საკოორდინაციო სხდომა მე-2 დონეზე.

(2) ამ სხდომებზე მონაწილეობის მიღება შეუძლიათ განსახილველი საქმით დაინტერესებულ ნაციონალურ წევრებს და, აუცილებლობის შემთხვევაში, მათ ასისტენტებს, ასევე კოლეგიის მდივანს ან პრეზიდენტის მიერ დასახელებულ და დაინტერესებული წევრების მიერ დაშვებულ პირს, რომელსაც გააჩნია საჭირო უფლებამოსილება და რომელიც ადგენს სხდომის ოქმს. საქმის გარემოებით დაინტერესებული ნაციონალური წევრი იმ შემთხვევაში მიიღებს სხდომაზე მონაწილეობას, თუ ამაზე თანხმობას განაცხადებენ დაინტერესებული ნაციონალური წევრები.

(3) საქმის ის გარემოებები, რომლებზეც გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნეს კოლეგიის მიერ, საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების თანახმად გადაეგზავნება მას.

მუხლი 17 სპეციალური საკოორდინაციო სხდომები (მე-3 დონე)

(1) ერთი ან რამდენიმე დაინტერესებული ნაციონალური წევრის ინიციატივის საფუძველზე, კოლეგიას შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება სპეციალური საკოორდინაციო სხდომის მოწვევის შესახებ, რომელიც ჩატარდება მე-2 აბზაცის საფუძველზე.

(2) აღნიშნული დონის სხდომებზე შესაძლებელია, მონაწილეობა მიიღონ დაინტერესებულმა ნაციონალურმა წევრებმა, საჭიროების შემთხვევაში, მათმა ასისტენტებმა და დაინტერესებული წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილმა ნაციონალურმა ორგანოებმა, ასევე კოლეგიის მდივანმა ან სხვა, პრეზიდენტების მიერ დაინტერესებული ნაციონალური წევრების თანხმობით დანიშნულმა პირმა, რომელიც ადგენს ოქმს.

მუხლი 18 საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების მე-6 და მე-7 მუხლების საფუძველზე უფლებამოსილებების განხორციელება

(1) პრეზიდენტი უზრუნველყოფს, რომ მიმდინარეობს პროცესი, რომლის მიხედვითაც შეიქმნება და გატარდება რეესტრი, რომლითაც დაცული იქნება საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების მე-6 და მე-7 მუხლების მიხედვით უფლებამოსილებათა განხორციელების ჩანაწერები.

(2) ერთ-ერთი ნაციონალური წევრის მიერ თავისი უფლებამოსილებების განხორციელების დროს გაკეთებული თხოვნა, რომელიც გამომდინარეობს საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების მე-6 მუხლის a) ქვეპუნქტიდან, უნდა შესრულდეს წერილობითი ფორმით. წერილობითი თხოვნოს ასლი გადაეგზავნებათ პრეზიდენტებსა და ყველა დაინტერესებული წევრი სახელმწიფოს ნაციონალურ წევრებს.

(3) იმ შემთხვევაში, როცა კოლეგია მოქმედებს საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების მე-7 მუხლის მუხლის a) ქვეპუნქტის საფუძველზე, ეს უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით. პრეზიდენტი ყოველი დაინტერესებული წევრი სახელმწიფოს ნაციონალურ წევრს უგზავნის წერილობითი თხოვნის ასლს.

(4) პრეზიდენტი უზრუნველყოფს, რომ წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოების ყველა პასუხი, რომლებსაც ევროიუსტი საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების მე-8 მუხლის საფუძველზე კოლეგიის მიერ მე-7 მუხლის a) ქვეპუნქტის საფუძველზე გაკეთებული თხოვნის შედეგად მიიღებს, გატარებული იქნეს რეესტრში.

(5) ევროიუსტსა და წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილ ორგანოებს შორის წარმართული ყველა სახის მიმოწერა, აგრეთვე ყველა სახის გადაცემული ინფორმაცია ხორციელდება ნაციონალური წევრების მეშვეობით.

მუხლი 19 სხვა ორგანოების მონაწილეობა

(1) ევროპოლის მონაწილეობა ოპერატიულ სხდომებზე ხორციელდება საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების 26-ე მუხლის დებულებების საფუძველზე მიღებული შეთანხმებით.

(2) ევროპული იუსტიციური ქსელის საკონტაქტო ორგანოებისა და საკონტაქტო მოსამართლეების/პროკურორების მონაწილეობა ოპერატიული სხდომების ყველა დონეზე ხორციელდება დაინტერესებული წევრების ინიციატივით, ასევე პრეზიდენტის მოწვევის საფუძველზე, კოლეგიასთან გავლილი კონსულტაციის შემდეგ. კოლეგიაზე ევროპული იუსტიციური ქსელის მიერ დასახელებული საკონტაქტო ორგანოების მოწვევა ხდება რეგულარულად, რათა წარმოდგენილი იქნეს მათი შეხედულებები, მოხდეს გამოცდილებების გაზიარება და განხილულ იქნეს საერთო ინტერესებთან დაკავშირებულ საქმეები. ევროპული იუსტიციური ქსელი ატყობინებს კოლეგიას მის მიერ თავისი ადმინისტრაციული და ფინანსური მოთხოვნილებების შესახებ გაკეთებულ შეფასებას.

(3) კომისიამ, საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების მე-3 მუხლის მე-3 აბზაცით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პრეზიდენტის მოწვევითა და დაინტერესებული ნაციონალური წევრების თანხმობით, შესაძლებელია, მონაწილეობა მიიღოს სხდომებზე.

(4) საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების მე-3 მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მესამე სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა, პრეზიდენტის მოწვევითა და დაინტერესებული ნაციონალური წევრების თანხმობით, შესაძლებელია, მონაწილეობა მიიღონ სხდომებზე.

(5) იმ შემთხვევაში, როდესაც ოპერატიულ სხდომებზე განსახილველი საკითხები შეეხება ევროპული გაერთიანების ფინანსური ინტერესების დაცვის თვალსაზრისით გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების კოორდინირებას, მაშინ შესაძლებელია, დაინტერესებული ნაციონალური წევრების ინიციატივითა და პრეზიდენტების მოწვევით, სხდომებზე მონაწილეობა მიიღოს თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულმა სამსახურმა (OLAF). საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების 26-ე მუხლის მე-3 აბზაცი არეგულირებს სხდომებზე OLAF-ის მონაწილეობას საკუთარი სურვილით.

სათაური III
ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილ ან მათ საფუძველზე მოქმედ ორგანოებთან და დაწესებულებებთან ურთიერთობა

მუხლი 20 ევროპული პარლამენტი

ევროიუსტი ევროპულ პარლამენტთან საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების შესაბამისად ახორციელებს ურთიერთობას აუცილებელი საკომუნიკაციო არხებით.

მუხლი 21 ევროპული კომისია

(1) საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების მე-11 მუხლის თანახმად, ევროიუსტს მუდმივი ურთიერთობები აქვს კომისიასთან, რომლის საფუძველზეც იგი მონაწილეობას იღებს ევროიუსტის მუშაობაში ზოგადი საკითხების თვალსაზრისით და განსაკუთრებით საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებით, ასევე იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც ევროკავშირის ხელშეკრულების 36-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად მის კომპეტენციაში შედის. ევროიუსტის მოწვევით კომისიას შეუძლია გაუზიაროს კოლეგიას მისი მოსაზრებები იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ევროპული გაერთიანების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულების თანახმად მის კომპეტენციას მიეკუთვნება.

(2) კოლეგია, კომისიასთან არსებული სხვა პრაქტიკული შეთანხმებების ხელშეუხებლად, პერიოდულად ატყობინებს კომისიას სისხლის სამართლის საქმეებზე იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის სფეროში წარმოქნილი მთავარი პრობლემების შესახებ, რომლებიც მან დაადგინა თავისი ამოცანების შესრულების პროცესში, რათა კომისიას მისცეს შესაძლებლობა, საბჭოს წინაშე ისაუბროს რეკომენდაციების შესახებ, გამოთქვას საკუთარი პოზიცია ან წარმოადგინოს ინიციატივები, რომლებიც მას წევრ-სახელმწიფოებს შორის სისხლის სამართლის საქმეებზე იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესების თვალსაზრისით საჭიროდ მიაჩნია.

(3) კოლეგია იწვევს კომისიას სხდომაზე პრინციპში თვეში ერთხელ, რათა მოხდეს გამოცდილებების, რჩევებისა და ინფორმაციების გაცვლა, როცა საკითხი არ შეეხება ოპერატიულ ინფორმაციებს. ამ სხდომების დროს ინფორმაციის გაცვლა ხდება ზოგად საკითხთან დაკავშირებით, ასევე ევროიუსტისა და კომისიის საქმიანობისა და მიზნების შესახებ. ევროიუსტი ყოველი სხდომის დაწყებამდე, როგორც წესი, ერთი კვირით ადრე წარუდგენს კომისიას დღის წესრიგს. კომისიას მოეთხოვება სხვა საკითხების წარმოდგენა დღის წესრიგში შესატანად. მისაღები დამატებით პუნქტების გათვალისწინებით, დღის წესრიგი მიღებული უნდა იქნეს სხდომის დაწყებისას. საჭიროების შემთხვევაში, კოლეგია კომისიას იწვევს რიგგარეშე სხდომებზეც.

(4) გამოძიებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების კოორდინირებისას, ევროიუსტი განსაკუთრებით ამოწმებს, ხომ არ არის ისეთი საკითხები წამოჭრილი, რომლებიც თავსდებიან კომისიის კომპეტენციაში და საჭირო ხომ არ არის, კოლეგიამ მიმართოს თხოვნით კომისიას სპეციალური ცოდნის ან ინფორმაციათა გაცვლის შესახებ.

(5) კომისიას ოპერატიულ მონაცემებზე ხელი არ მიუწვდება.

მუხლი 22 თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული სამსახური (OLAF)

საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების 26-ე მუხლის მე-3 აბზაცის თანახმად, ევროიუსტი აფუძნებს და ინარჩუნებს მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ სამსახურთან (OLAF):

1. ყველა იმ შემთხვევაში, რომელიც დასახელებული არ არის მე-19 მუხლის მე-5 აბზაცში და ევროიუსტი იღებს ინიციატივას, რომ კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე, გაერთიანების ფინანსური ინტერესების დაცვის მიზნით ითანამშრომლოს OLAF-თან, უნდა მისცეს შესაბამის ნაციონალურ წევრებს იმის გადამოწმების შესაძლებლობა, ეთანხმებიან თუ არა დაინტერესებული წევრი სახელმწიფოები ასეთ ურთიერთთანამშრომლობას.

2. იმ შემთხვევებში, როდესაც OLAF-ი, ცალკეული შემთხვევის საფუძველზე, თხოვნით მიმართავს ევროიუსტს გაერთიანების ფინანსური ინტერესების დაცვის თაობაზე, მაშინ კოლეგია ნაციონალური წევრების მეშვეობით ამოწმებს, თანახმანი არიან თუ არა დაინტერესებული წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილი ორგანოები ასეთ ურთიერთთანამშრომლობაზე.

3. საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების 11-ე მუხლის მე-3 აბზაცის თანახმად, ევროიუსტსა და კომისიას (OLAF) შეუძლიათ, შეათანხმონ საკითხები ევროიუსტსა და კომისიას შორის ურთიერთთანამშრომლობისათვის შემდგომი აუცილებელი პრაქტიკული ზომების მიღების შესახებ. ეს შეთანხმება შეიცავს ზომებს, რომლებიც 2002/187-ე გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ შესაბამის შემთხვევებში დაკავშირებულია OLAF-თან ინფორმაციის გაცვლასთან.

მუხლი 23 ევროპოლი

ევროიუსტსა და ევროპოლს შორის ურთიერთობები მოწესრიგებულია იმ შეთანხმების დებულებების საფუძველზე, რომლებიც ეფუძნება საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების 26-ე მუხლს და საჭიროებს საბჭოს თანხმობას.

სათაური IV
დებულებები პერსონალის შესახებ

მუხლი 24 ადმინისტრაციის დირექტორი

(1) ადმინისტრაციის დირექტორი კოლეგიას წარუდგენს ევროიუსტის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების წესის შესახებ ყველა საჭირო ღონისძიებაზე წინადადებებს.

(2) საარჩევნო კომისია, რომელიც შედგება სამი ნაციონალური წევრისაგან და, აუცილებლობის შემთხვევაში, კოლეგიის გადაწყვეტილების შესაბამისად, შესაძლოა, შედგებოდეს, ასევე ყოფილი ადმინისტრაციის დირექტორისგან, თუ ის ხელმეორედ არ იყრის კენჭს კანდიდატად, ან სხვა პირისგან, რომელიც შესაძლოა, იყოს მრჩეველი საწარმოში ან სხვა პირი, რომელსაც აქვს წამყვანი პოზიციის დაკავების განსაკუთრებული გამოცდილება, არჩევს კანდიდატებს, აწარმოებს მათთან მოლაპარაკებებს და კოლეგიას წარუდგენს კონკურსანტთა სიას, ასარჩევ კანდიდატზე შესაბამისი რეკომენდაციით. საარჩევნო კომისიას შეუძლია, შესთავაზოს კოლეგიას, თუ როგორი სახით უნდა მოხდეს საკონკურსო განაცხადების ჩაბარება და, ასევე შეუძლია, გადაწყვიტოს მონაწილეთა რაოდენობის შესახებ,

რომლებიც საკონკურსო განცხადებების ჩაბარების ვადის დამთავრების შემდეგ მიწვეული იქნებიან გასაუბრებაზე.

(3) კონკურსანტებს უნდა ჰქონდეთ აკადემიური ხარისხი, ფლობდნენ ენებს, ასევე უნდა გააჩნდეთ გამოცდილება იურიდიულ და ფინანსურ სფეროებში, ასევე მენეჯმენტში, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას, დაიკავონ ადმინისტრაციის დირექტორის თანამდებობა. ისინი უნდა იყვნენ ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს მოქალაქე.

(4) კოლეგიას შეუძლია, ადმინისტრაციის დირექტორი გაანთავისუფლოს თანამდებობიდან. ევროიუსტის ნებისმიერ წევრს შეუძლია, შესაბამისი დასაბუთებით ინიცირება გაუკეთოს მისი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ წარმოების დაწყებას. თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ წინადადებას პრეზიდენტი გადასცემს ადმინისტრაციის დირექტორს, ისე, რომ ამ უკანასკნელმა შეძლოს 8 დღის განმავლობაში პრეზიდენტისათვის საკუთარი პოზიციის წარდგენა. ვითარების შესახებ პრეზიდენტი ატყობინებს კოლეგიას. ადმინისტრაციის დირექტორის გადაწყვეტილება თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ მიღებული უნდა იქნეს კოლეგიის შემადგენლობის ხმათა 2/3-ის უმრავლესობით.

მუხლი 25 ევროიუსტის პერსონალი

(1) ადმინისტრაციის დირექტორის წინადადებით, კოლეგია ამტკიცებს შესაბამისი საბიუჯეტო წლის საშტატო ერთეულების გეგმას.

(2) ევროიუსტის პერსონალის სამსახურში დანიშვნა ხდება ადმინისტრაციის დირექტორის მიერ საშტატო ერთეულების შესაბამისად ან საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების 28-ე მუხლის თანახმად, კოლეგიის სპეციალური გადაწყვეტილების საფუძველზე.

(3) თანამდებობები ევროუსტის პერსონალისათვის არის განსაზღვრული და კოლეგიის მიერ საშტატო გეგმით დამტკიცებული დავალებების ხასიათისა და მნიშვნელობის მიხედვით და საჭირო ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით.

(4) ადმინისტრაციის დირექტორი ასრულებს თანამდებობაზე დამნიშნავი ორგანოსაგან (AIPN) დაკისრებულ უფლებამოსილებებს პერსონალთან მიმართებით. კოლეგია ამ აბზაცის გამოყენებისათვის გამოსცემს შესაბამის დებულებებს.

სათაური V
დებულებები პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ

მუხლი 26 პერსონალური მონაცემები

საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილების მე-10 მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, პერსონალური მონაცემების გადამუშავებისა და დაცვის შესახებ სპეციალური გადაწყვეტილება მიიღება ამ რეგლამენტისაგან დამოუკიდებლად, დამატებით.

სათაური VI
სხვა დებულებები

მუხლი 27 რეგლამენტის გადამოწმება

რეგლამენტში ცვლილებების შეტანა ხორციელდება იმავე პროცედურით, რომელიც დადგენილია საბჭოს 2002/187-ე გადაწყვეტილებაში რეგლამენტის მიღებაზე ნებართვის შესახებ.

ეს რეგლამენტი ძალაში შედის საბჭოს მიერ მისი საბოლოო გამოქვეყნების დღიდან.

3. ერთობლივი ღონისძიება ევროპული იუსტიციური ქსელის მოწყობის შესახებ

საბჭოს 1998 წლის 29 ივნისის ერთობლივი ღონისძიება[1] ევროპული იუსტიციური ქსელის მოწყობის შესახებ

ერთობლივი ღონისძიება არის ევროპის კავშირის საბჭოს სამართლებრივი აქტი, რომელიც წარმოადგენს ჩარჩო-გადაწყვეტილების წინამორბედს. ყველა ერთობლივი ღონისძიება ინარჩუნებს სამართლებრივ ძალას, სანამ იგივე საკითხზე არ იქნება ახალი სამართლებრივი აქტი მიღებული.

წარმოდგენილი ერთობლივი ღონისძიება (Gemeinsame Maßnahme 98/428/JI) მიღებულ იქნა იმ დროს მოქმედი ევროპის კავშირის ხელშეკრულების, განსაკუთრებით მისი K.3 მუხლის მე-2 ხ აბზაცის, საფუძველზე, ბელგიის სამეფოს ინიციატივით.

როგორც პრეამბულაშია აღნიშნული, იგი ეფუძნება ევროკავშირის საბჭოს მიერ 1997 წლის 17 ივნისს ამსტერდამში მიღებულ მოქმედების გეგმას, რომელიც მიეძღვნა ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას.

ამ სამართლებრივი აქტის მიზანია ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის შემდგომი გაუმჯობესება, განსაკუთრებით მძიმე დამანაშავეობასთან ბრძოლის სფეროში, რომელიც ხშირად ტრანსნაციონალური კრიმინალური ორგანიზაციების მიერ ხორციელდება. იგი ხელშეუხებელს ტოვებს სხვა მოქმედ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მათ შორის, ევროსაბჭოს 1959 წლის 20 აპრილის კონვენციას სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ.

ამ სამართლებრივი აქტის ცალკეული მუხლების შინაარსი ასეთია:

სათაური I
ევროპული იუსტიციური ქსელის პრინციპები

მუხლი 1 შექმნა

იქმნება წევრ სახელმწიფოთა შორის იუსტიუციური საკონტაქტო ადგილების ქსელი, შემდგომში „ევროპული იუსტიციური ქსელი“.

მუხლი 2 შემადგენლობა

(1) ევროპული იუსტიციური ქსელი, ყოველი წევრი სახელმწიფოს კონსტიტუციურ-სამართლებრივი დებულებების, სამართლებრივი ტრადიციებისა და შიდა სტრუქტურის გათვალისწინებით, შედგება საერთაშორისო იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის განხორციელებისათვის უფლებამოსილი ცენტრალური, იუსტიციური ან სხვა ორგანოებისაგან,

[1] იხ. ABl. L 191, 7. 07. 1998; ინგლისურ ენაზე 98/428/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე _ 98/428/JI.

რომლებსაც საერთაშორისო იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ზოგადად ყველა სახის დანაშაულის, ან კონკრეტული სახის მძიმე დანაშაულებისათვის, რ ორიცაა ორგანიზებული დამნაშავეობა, კორუფცია, ნარკოტიკებით ვაჭრობა ან ტერორიზმი, გააჩნიათ საკუთარი კომპეტენცია.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო, თავისი შიდასახელმწიფოებრივი დებულებებისა და უფლებამოსილებების შესაბამისად, ქმნის ერთ ან რამდენიმე საკონტაქტო ორგანოს, რა დროსაც იგი ზრუნავს იმისათვის, რომ რეალურად მოიცვას თავისი მთლიანი სუვერენული სახელმწიფო ტერიტორია, ისევე როგორც მძიმე დამნაშავეობის სხვადასხვა ფორმები.

(3) ყოველი წევრი სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ მისი საკონტაქტო ორგანო (ორგანოები), საჭიროების შემთხვევაში, მას (მათსა) და სხვა წევრი სახელმწიფოების საკონტაქტო ორგანოებს შორის კომუნიკაციის შესაძლებლობის თვალსაზრისით, მშობლიურ ენასთან ერთად, საკმარისად ფლობდეს (ფლობდნენ) ევროკავშირის ერთ-ერთ სხვა ენას.

(4) ერთობლივი ღონისძიების (Gemeinsame Maßnahme 96/277/JI) გაგებით, საკონტაქტო მოსამართლეებს/პროკურორებს შეუძლიათ, რამდენადაც ისინი ასრულებენ დავალებებს, რომლებიც შეესაბამება საკონტაქტო ორგანოებზე მე-4 მუხლით გადაცემულ ამოცანებს, იმ წევრი სახელმწიფოს სახელით, რომელმაც დაასახელა საკონტაქტო მოსამართლე/პროკურორი, და ამავე სახელმწიფოს მიერ დადგენილი პროცედურებით, ჩაერთონ ევროპულ იუსტიციურ ქსელში.

(5) კომისია თავის კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროებისათვის ასახელებს საკონტაქტო ორგანოს.

მუხლი 3 ქსელის საქმიანობის წესი

ევროპული იუსტიციური ქსელი ახორციელებს შემდეგ სამ ამოცანას:

a) მე-4 მუხლით გათვალისწინებული ამოცანების განსახორციელებლად, ამარტივებს საქმიანი ურთიერთობის წარმოებას ცალკეული წევრი სახელმწიფოების საკონტაქტო ორგანოებს შორის.

b) მე-5, მე-6 და მე-7 მუხლების თანახმად, რეგულარულად ატარებს სხდომებს წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლების მონაწილეობით.

c) მე-8, მე-9 და მე-10 მუხლების თანახმად, აქტუალიზირებული ფორმით ჰუდმიევად წარმოადგენს მთელ რიგ ფუძემდებლურ ინფორმაციებს სპეციალურად შესაბამისი სატელეკომუნიკაციო ქსელის შესახებ.

სათაური II
ქსელის შიდა ურთიერთობები

მუხლი 4 საკონტაქტო ორგანოების ამოცანები

(1) საკონტაქტო ორგანოები არიან აქტიური შუამავლები, რომელთა მეშვეობითაც უნდა გამარტივდეს იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობა წევრ სახელმწიფოებს შორის, განსაკუთრებით მძიმე დამნაშავეობის წინააღმდეგ დევნის განხორციელების დროს. ისინი ემსახურებიან თავიანთი ქვეყნის ადგილობრივ იუსტიციურ დაწესებულებებსა და სხვა უფლებამოსილ დაწესებულებებს, სხვა ქვეყნების საკონტაქტო ორგანოებსა და, ასევე ადგილობრივ იუსტიციურ დაწესებულებებსა და სხვა ქვეყნების სხვა უფლებამოსილ დაწესებულებებს შეძლებისდაგვარად აუცილებელი პირდაპირი კავშირის დამყარების მიზნით.

მათ დაინტერესებულ დაწესებულებებს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე

შეუძლიათ, რამდენადაც ეს აუცილებელია, ითანამშრომლონ სხვა წევრი სახელმწიფოების საკონტაქტო ორგანოებთან.

(2) საკონტაქტო ორგანოები აწვდიან აუცილებელ სამართლებრივ და პრაქტიკულ ინფორმაციებს თავიანთი ქვეყნის ადგილობრივ იუსტიციის დაწესებულებებს, ისევე როგორც სხვა ქვეყნების საკონტაქტო ორგანოებსა და სხვა ქვეყნების ადგილობრივ იუსტიციის დაწესებულებებს, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა ერთობლივი იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის შესახებ თხოვნის ეფექტურად მომზადებისათვის, ან ზოგადად იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესებისათვის.

(3) ისინი აუმჯობესებენ კოორდინაციას იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობისათვის იმ შემთხვევებში, როდესაც წევრი სახელმწიფოს ადგილობრივი იუსტიციური დაწესებულებების რამდენიმე განაცხადის საფუძველზე აუცილებელია სხვა წევრ სახელმწიფოსთან კოორდინერებული მოქმედების გაუმჯობესება.

სათაური III
ევროპული იუსტიციური ქსელის რეგულარული სხდომები

მუხლი 5 რეგულარული სხდომების ჩატარების მიზანი

(1) ევროპული იუსტიციური ქსელის რეგულარულმა სხდომებმა

a) უნდა უზრუნველყოს საკონტაქტო ორგანოებისათვის, რომ მათ ერთმანეთი გაიცნონ და გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, განსაკუთრებით ქსელის ფუნქციონირების წესის თვალსაზრისით;

b) უნდა შექმნას პრაქტიკული და სამართლებრივი პრობლემების სადისკუსიო ფორუმი, რომელიც წევრ სახელმწიფოებში იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის, განსაკუთრებით, ევროკავშირის დონეზე მიღებული სამართლებრივი აქტების, განხორციელების ფარგლებში წარმოიშობა.

(2) ევროპული იუსტიციური ქსელის ფარგლებში დაგროვილი გამოცდილების შესახებ ეცნობებათ ევროკავშირის უფლებამოსილ სამუშაო ჯგუფებებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია, განხილვის საგანი გახდეს საერთაშორისო იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის სფეროში ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილებისა და პრაქტიკული გაუმჯობესების საკითხი.

მუხლი 6 სხდომების ჩატარების სიხშირე

(1) ევროპული იუსტიციური ქსელი პირველად შეიკრიბება ამ საერთო ღონისძიების ძალაში შესვლიდან სამი თვის განმავლობაში.

(2) ევროპული იუსტიციური ქსელი Ad-hoc ბაზაზე, როცა ამას საჭიროდ მიიჩნევენ თავისი წევრები, საბჭოს თავმჯდომარის მოწვევით, რომელიც ასევე ანგარიშს უწევს წევრი სახელმწიფოების სურვილს ქსელის შეკრებასთან დაკავშირებით, იკრიბება რეგულარულად.

მუხლი 7 სხდომის ადგილი

(1) სხდომები ძირითადად ტარდება ბრიუსელში, საბჭოს ადგილმდებარეობის ადგილას, საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად.

(2) სხდომების ჩატარება, გარდა ამისა, უნდა იქნეს, ასევე გათვალისწინებული წევრ სახელმწიფოებში, რათა შესაძლებელი გახდეს ყველა წევრი სახელმწიფოს საკონტაქტო

ორგანოების მასპინძელი სახელმწიფოს სხვა დაწესებულებებთან, ვიდრე საკონტაქტო ორგანოებთან, შეხვედრა და რომ შესაძლებელი გახდეს ამ სახელმწიფოს განსაკუთრებულ დაწესებულებებში სტუმრობა, რომლებიც თავიანთ ამოცანებს ასრულებენ საერთაშორისო იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის ან მძიმე დანაშაულობის კონკრეტული ფორმების წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში.

სათაური IV
ევროპული იუსტიციური ქსელის ფარგლებში ხელმისაწვდომი ინფორმაციები

მუხლი 8 ევროპული იუსტიციური ქსელის ფარგლებში გავრცელებული ინფორმაციების შინაარსი

საკონტაქტო ორგანოებისათვის მუდმივად ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემდეგი ოთხი სახის ინფორმაცია:

1. ყოველ წევრ სახელმწიფოში არსებული საკონტაქტო ორგანოების შესახებ სრულყოფილი მონაცემები, აუცილებლობის შემთხვევაში, მათი შიდასახელმწიფოებრივი უფლებამოსილების მონაცემების მითითებით;

2. ყოველი წევრი სახელმწიფოს ადგილობრივი დაწესებულებების იუსტიციური ორგანოების გამარტივებული სია და მათი აღწერა;

3. მოკლედ აღწერილი სამართლებრივი და პრაქტიკული ინფორმაციები წევრ სახელმწიფოებში სასამართლო წყობილებისა და საპროცესო პრაქტიკის შესახებ;

4. შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და – ძალაში შესული ხელშეკრულების შემთხვევაში – ამა თუ იმ დეკლარაციებისა და დათქმების ტექსტები.

მუხლი 9 ინფორმაციის გააქტიურება

1)ევროპული იუსტიციური ქსელის ფარგლებში გავრცელებული ინფორმაცია უნდა განახლდეს მუდმივად სარწმუნოდ.

2) ყოველი წევრი სახელმწიფო თავად არის პასუხისმგებელი, შეამოწმოს სისტემის შიგნით არსებული ინფორმაციის სისწორე და დაუყონებლივ აცნობოს საბჭოს, თუ მე-8 მუხლში დასახელებულ ერთი-ერთ პუნქტთან დაკავშირებული ინფორმაციები შეიცვლება.

3) საბჭოს გენერალური მდივანი პასუხისმგებელია ამ ერთობლივი ღონისძიების საფუძველზე შექმნილი ქსელის მართვაზე. იგი განსაკუთრებით უზრუნველყოფს, რომ ევროპული იუსტიციური ქსელის წევრებისათვის ხელმისაწვდომი იყოს მე-8 მუხლში დასახელებული ინფორმაციები და, ასევე უზრუნველყოფს ინფორმაციათა მუდმივად განახლებას, რომელიც აუცილებელია ქსელის შეუფერხებელი მუშაობისთვის.

სათაური V
სატელეკომუნიკაციო ქსელი

მუხლი 10 მოხსენება სატელეკომუნიკაციო ქსელის შესახებ

1) საბჭო, ამ ერთობლივი ღონისძიების ძალაში შესვლიდან 6 თვის განმავლობაში, თავმჯდომარის მიერ ევროპულ იუსტიციურ ქსელთან წარმოებული კონსულტაციის შედეგად შედგენილი მოხსენების საფუძველზე ამოწმებს, უნდა ჩაერთოს თუ არა ქსელი სატელეკომუნიკაციო სისტემაში.

2) საბჭო ევროკავშირის ხელშეკრულების K.3 მუხლის მე-2 აბზაცის b) პუნქტის თანახმად, კვალიფიციური უმრავლესობით, წყვეტს სატელეკომუნიკაციო სისტემის კონფიგურაციის ცალკეულ საკითხებს.

სათაური VI
დასკვნითი დებულებები

მუხლი 11 ტერიტორიული მოქმედების სფერო

გაერთიანებული სამეფოს შემთხვევაში, ეს ერთობლივი ღონისძიება მოქმედებს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიისათვის, ნორმანდიის კუნძულებისა და მენის კუნძულისთვის.

მუხლი 12 ევროპული იუსტიციური ქსელის ფუნქციონირების შეფასება

საბჭო მიმდინარე ფაზის დასრულებისათვის, რომელიც მთავრდება ამ ერთიანი ღონისძიების ძალაში შესვლიდან ერთი წლის შემდეგ, ახდენს ევროპული იუსტიციური ქსელის ფუნქციონირების პირველ შეფასებას.

საბჭო ამის შემდეგ ყოველ სამ წელიწადში, თავმჯდომარის ინიციატივის საფუძველზე და ქსელის მიერ შედგენილი მოხსენების მეშვეობით, აფასებს ევროპული იუსტიციური ქსელის ფუნქციონირებას.

საბჭო პირველი სამწლიანი მოხსენების შემოწმების დროს, ქსელის ფუნქციონირებისა და ევროპოლის უფლებამოსილებების შემდგომი განვითარების გამოცდილებებიდან გამომდინარე, ამოწმებს ქსელის ადგილსა და როლს ევროპოლთან მიმართებაში.

მუხლი 13 ძალაში შესვლა

ეს ერთობლივი ღონისძიება ძალაში შედის მისი ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

მუხლი 14 გამოქვეყნება

ეს ერთობლივი ღონისძიება ქვეყნდება ოფიციალურ ჟურნალში.

4. ერთობლივი ღონისძიება მოსამართლეების/პროკურორების გაცვლის შესახებ

საბჭოს 1996 წლის 22 აპრილის ერთობლივი ღონისძიება[1] ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით საკონტაქტო ორგანოების მოსამართლეების/პროკურორების გაცვლასთან დაკავშირებით

ეს ერთობლივი ღონისძიებაც (Gemeinsame Maßnahme 96/277/JI) მიღებულ იქნა იმ დროს მოქმედი ევროპის კავშირის ხელშეკრულების, განსაკუთრებით მისი K.3 მუხლის მე-2 ხ აბზაცის, საფუძველზე, იტალიის რესპუბლიკის ინიციატივით.

როგორც პრეამბულაშია აღნიშნული, სახელმწიფოები იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის გასაუმჯობესებლად ღონისძიებების გატარებას მიიჩნევენ საერთო ინტერესების სფეროს მიკუთვნებულ საქმედ. ამ მიზნით მნიშვნელოვან ღონისძიებად მიიჩნევა საკონტაქტო მოსამართლეების/პროკურორების ან მოხელეების გაცვლა წევრ სახელმწიფოთა შორის. ამით იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობა ხდება უფრო სწრაფი და ეფექტური. ამ გზით, ასევე მიიღწევა წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი და იუსტიციური სისტემების ურთიერთგაგების გაადვილება.

ამ სამართლებრივმა აქტმა ხელი უნდა შეუწყოს ტრანსნაციონალურ დამნაშავეობასთან, განსაკუთრებით ორგანიზებული დამნაშავეობისა და ტერორიზმის სფეროში, ისევე როგორც ევროგაერთიანების ფინანსური ინტერესების საზიანოდ თაღლითური მოქმედებების წინააღმდეგ ეფექტურ ბრძოლას. მისი ცალკეული მუხლების შინაარსი ასეთია:

მუხლი 1 საკონტაქტო მოსამართლეების/პროკურორების გაცვლა

(1) ამ ერთობლივი ღონისძიებით იქმნება ჩარჩო-პირობები წევრ სახელმწიფოებს შორის ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების დროს განხორციელებული მოსამართლეების/პროკურორების, შესაბამისად, იმ მოხელეების, რომლებსაც გააჩნიათ სპეციალური ცოდნა იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის პროცესის სფეროში, გაგზავნის ან გაცვლისათვის. ისინი ქვემოთ მოხსენიებული იქნებიან, როგორც „საკონტაქტო მოსამართლეები/პროკურორები".

(2) წევრი სახელმწიფოები თანხმდებიან, რომ ამ ერთობლივ ღონისძიებაში გათვალისწინებული სახელმძღვანელო მიმართულებები გამოყენებული იქნება, როგორც ჩარჩო-საფუძველი, თუ ისინი სხვა წევრი სახელმწიფოს თანხმობით გადაწყვეტენ, უზრუნველყოფილ იქნეს მოსამართლეების/პროკურორების გაგზავნა ან გაცვლა.

(3) მოსამართლეების/პროკურორების გაცვლის ჩარჩო-ფარგლების შექმნით ძირითადად მიღწეული იქნება იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის დაჩქარებისა და ეფექტურად განხორციელების მიზანი, ასევე განხორციელდება წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი და იუსტიციური სისტემებისა და მათი ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციების გაცვლა.

---

[1] იხ. ABl. L 105, 27. 04. 1996; ინგლისურ ენაზე 96/277/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 96/277/JI.

მუხლი 2 საკონტაქტო მოსამართლეების/პროკურორების ამოცანები

(1) საკონტაქტო პროკურორების/მოსამართლეების ამოცანებს, როგორც წესი, შეადგენს ყველა ის საქმიანობა, რომელთა მეშვეობითაც სისხლისა და, საჭიროების შემთხვევაში, სამოქალაქო სამართლის სფეროში, განსაკუთრებით მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილ სამსახურებთან და იუსტიციურ დაწესებულებებთან პირდაპირი კონტაქტის დამყარებით, ხელი შეეწყობა იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის ყველა ფორმის განხორციელებასა და მის დაჩქარებას.

(2) საკონტაქტო პროკურორების/მოსამართლეების ამოცანები შესაძლებელია, გათვალისწინებული იქნეს გამგზავნ და მიმღებ სახელმწიფოებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე და, აგრეთვე, ყველა იმ საქმიანობას მოიცავდეს, რომელთა მეშვეობითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ინფორმაციებისა და სტატისტიკური მონაცემების გაცვლა; ამისათვის ხელშეწყობილი უნდა იქნეს როგორც შესაბამისი წევრი სახელმწიფოების არსებულ სამართლებრივ წეს-წყობილებასთან და იურიდიულ მონაცემთა ბაზასთან მიმართებით ორმხრივი ცოდნის მიღება, ასევე ურთიერთობები სპეციფიკურ იურიდიულ პროფესიებს შორის._

მუხლი 3 ინფორმაციის გაცვლა

წევრი სახელმწიფოები ინფორმაციებს ცვლიან საბჭოში, როგორც მიმდინარე, ასევე იმ ინიციატივების შესახებ, რომლებიც მიღებული იქნება ამ ერთობლივი ღონისძიების განხორციელებისათვის. დაინტერესებული წევრი სახელმწიფოები ყოველწლიურად აწვდიან ინფორმაციას საბჭოს გენერალურ მდივანს მათ მიერ განხორციელებული პროკურორების/მოსამართლეების გაცვლის შესახებ.

მუხლი 4 დასკვნითი დებულება

ეს ერთობლივი ღონისძიება ქვეყნდება ოფიციალურ ჟურნალში და ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან.

5. გადაწყვეტილება საკონტაქტო ორგანოების ევროპული ქსელის მოწყობისათვის საერთაშორისო დამნაშავეების მიმართ

საბჭოს 2002 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება[1] საკონტაქტო ორგანოების ევროპული ქსელის მოწყობისათვის იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც ექვემდებარებიან პასუხისმგებლობას გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და ომის დანაშაულისათვის

ევროპის კავშირის საბჭოს ეს გადაწყვეტილება (Beschluss 2002/494/JI) მიღებულ იქნა იმ დროს მოქმედი ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-6 სათაურის, განსაკუთრებით მისი 30-ე მუხლისა და 34-ე მუხლის მე-2 c აბზაცის, საფუძველზე, ნიდერლანდების სამეფოს ინიციატივით, ევროპის პარლამენტის მიერ თავისი პოზიციის გამოხატვის შემდეგ.

როგორც პრეამბულაშია აღნიშნული, მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შუა პერიოდიდან ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის დროებითი ტრიბუნალები ატარებენ სისხლისსამართლებრივ გამოძიებას, დევნასა და გასამართლებას იმ პირების მიმართ, რომლებმაც ამ ქვეყნების ტერიტორიაზე 90-იან წლების დასაწყისში ჩაიდინეს საერთაშორისო დანაშაულები. 1998 წლის 17 ივლისს კი, მიღებულ იქნა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება (რომის სტატუტი), რომლის მიხედვითაც, დაუსჯელი არ უნდა დარჩეს საერთაშორისო მძიმე დანაშაულების ჩადენის ფაქტები. ევროპის კავშირის ყველა წევრი სახელმწიფო არის რომის სტატუტის მონაწილე. აუცილებელი გახდა წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობა იმ პირთა დანაშაულების გამოსაძიებლად, სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად და გასასამართლებლად, რომლებმაც ჩაიდინეს გენოციდი, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ან ომის დანაშაული.

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა 2001 წლის 11 ივნისს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან მიმართებაში გაკეთებულ საერთო თვალსაზრისში[2] გამოხატეს პოზიცია, რომ იმ დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა, რომლებიც შედის ამ სასამართლოს იურისდიქციაში, ყველა წევრი სახელმწიფოს საერთო საქმეა. ამ სფეროში აუცილებლად მიიჩნიეს ურთიერთთანამშრომლობა, რათა მოხდეს ამ დანაშაულთა აღკვეთა და მათი ჩამდენი პირების თავისუფლებაში ყოფნისათვის ბოლოს მოღება.

ეს სამართლებრივი აქტი ხელშეუხებელს ტოვებს წევრ სახელმწიფოთა შორის დადებულ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებს სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთთანამშრომლობის სფეროში. მისი ცალკეული მუხლების შინაარსი ასეთია:

---

[1] იხ. ABl. L 167, 26. 06. 2002; ინგლისურ ენაზე 2002/494/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე _ 2002/494/JI. ამ სამართლებრივ აქტთან ერთად, არსებობს საბჭოს 2003 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება, რომელიც ეხება გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და ომის დანაშაულის გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნას (იხ. ABl. L 118. 14. 05. 2003). ამ აქტით რეგულირდება ინტენსიური თანამშრომლობა ვიზის გაცემაზე პასუხისმგებელ უცხოელთა სამსახურებსა და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს შორის. იგი შეიცავს ვალდებულებას დევნის ორგანოებისათვის შეტყობინების შესახებ, თუ არსებობს ეჭვი, რომ იმ პირს, რომელმაც განაცხადი შეიტანა ვიზის მიღებაზე, შესაბამისი დანაშაული აქვს ჩადენილი.

[2] Gemeinsamer Standpunkt 2001/443/GASP. იხ. Abl. L 155, 12.06.2001.

მუხლი 1 საკონტაქტო ორგანოების დასახელება და შეტყობინება

1) ყოველი წევრი სახელმწიფო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს 1998 წლის 17 ივლისის რომის სტატუტის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და ომის დანაშაულის გამოძიებების შესახებ ინფორმაციების გაცვლისათვის ასახელებს საკონტაქტო ორგანოს.

2) ყოველი წევრი სახელმწიფო წერილობით ატყობინებს საბჭოს გენერალურ მდივანს, თუ რომელი საკონტაქტო ორგანო დაასახელა მან აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად. გენერალური მდივანი უზრუნველყოფს, რომ აღნიშნული შეტყობინება ეცნობოთ წევრ სახელმწიფოებს და ატყობინებს წევრ სახელმწიფოებს ამ საკითხთან დაკავშირებულ ყველა ცვლილებებაზე.

მუხლი 2 ინფორმაციების მოპოვება და გაცვლა

1) ყოველი საკონტაქტო ორგანოს ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ წევრ სახელმწიფოებს შორის არსებული შეთანხმებებისა და მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისად, თხოვნის საფუძველზე, გასცენ ყველა მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელსაც შესაძლოა, მნიშვნელობა ჰქონდეს 1-ლი მუხლის პირველ აბზაცში დასახელებული გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისა და ომის დანაშაულის გამოძიებებისათვის, შესაბამისად, ცალკეული სახელმწიფოების უფლებამოსილ დაწესებულებებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გამარტივებისათვის.

2) მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ფარგლებში შესაძლებელია, საკონტაქტო ორგანოებმა საქმიანი ინფორმაციები, მასთან დაკავშირებული თხოვნის გარეშე გაცვალონ ერთმანეთში.

მუხლი 3 ევროპარლამენტისათვის შეტყობინება

საბჭო, ხელშეკრულების 39-ე მუხლის თანახმად, ევროპარლამენტისათვის წარდგენილი ყოველწლიური მოხსენების ფარგლებში, ატყობინებს ევროპარლამენტს საკონტაქტო ორგანოების ევროპული ქსელის ფუნქციონირებისა და ეფექტურობის შესახებ.

მუხლი 4 განხორციელება

წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ისინი ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ერთ წლისა, შეძლებენ ამ გადაწყვეტილების შესაბამისად სრული მოცულობით ურთიერთთანამშრომლობას.

მუხლი 5 ძალაში შესვლა

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი მიღების დღიდან.

§8. სამართლებრივი ურთიერთდახმარება ევროპაში

I შენგენის შეთანხმება

1. შენგენი I და შენგენი II ზოგადად

ერთიან ევროპულ სამართლებრივ სივრცეში შიდა საზღვრების გაუქმება იყო ჯერ კიდევ 1974 წელს გამართული ევროპული გაერთიანების წევრი სახელმწიფოების მეთაურთა პარიზის კონფერენციის ინტერესის საგანი, მაგრამ მაშინ ეს მიზანდასახულობა წარუმატებელი აღმოჩნდა.[1] ევროპაში შიდა საზღვრების გაუქმების პირველი წარმატებული ნაბიჯი იყო 1984 წლის გერმანულ-ფრანგული ორმხრივი ე.წ. ზაარბრიუკენის შეთანხმება *(Saarbrücker Abkommen)* ორივე მხარეს საზღვრის კონტროლის ეტაპობრივი გაუქმების თაობაზე. სწორედ ამ სამართლებრივ ბაზაზე აღმოცენდა შემდგომში ე.წ. შენგენის შეთანხმება. საფრანგეთის, გერმანიისა და ბენელუქსის ქვეყნების (ბელგია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები) მთავრობათა მეთაურებმა 1985 წლის ივნისში შენგენში (ლუქსემბურგი) დადეს შეთანხმება, ე.წ. შენგენი I, რომელმაც, როგორც ამოცანა, მიზნად დაისახა 1990 წლის 1 იანვრამდე შენგენის წევრ სახელმწიფოებს შორის საზღვრების ეტაპობრივი გაუქმება (შენგენის I შეთანხმების 30-ე მუხლი). ცოტა მოგვიანებით, 1990 წლის 19 ივნისს, იმავე სახელმწიფოების მიერ დაიდო შენგენის შეთანხმების განხორციელების ახალი შეთანხმება (ე.წ. შენგენი II)[2]. იგი ძალაში შევიდა 1993 წლის 1 სექტემბერს. მისი ცალკეული დებულებების პრაქტიკული ამოქმედება და შენგენი I შეთანხმების მიერ გადაწყვეტილი შიდასაზღვრების გადაკვეთის დროს ადამიანთა კონტროლის გაუქმება კი, მოხდა 1995 წლის 26 მარტს, მხოლოდ აუცილებელი ტექნიკური (მაგალითად, მონაცემთა ბაზებისა და მისთვის აუცილებელი მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი დაწესებულებების შექმნა) და სამართლებრივი (შესაბამისი ნორმების ამოქმედება) წინაპირობების შექმნის შემდეგ, თავდაპირველად შენგენის შეთანხმების მონაწილე ხუთი სახელმწიფოს, ასევე ესპანეთისა და პორტუგალიის მიერ. მას შემდეგ ამ შეთანხმებას არაერთი სახელმწიფო შეუერთდა. 1995 წლიდან იტალია, საბერძნეთი, ავსტრია, დანია, ფინეთი და შვედეთი შეუერთდნენ შენგენის შეთანხმებას. ისლანდია და ნორვეგია მისი ასოცირებული წევრები არიან და 2001 წლის 25 მარტიდან ფართოდ იყენებენ შენგენის ნორმებს. დიდი ბრიტანეთი და ირლანდია არ არიან შენგენის წევრი სახელმწიფოები, მაგრამ ევროკავშირის საბჭოს ნებართვით შეუძლიათ სრულად ან ნაწილობრივ გამოიყენონ ე.წ. „შენგენის მფლობელობის"[3] *(Schengen-Acquis)* სამართლებრივი აქტები და მის შემდგომ განვითარებაში მიიღონ მონაწილეობა. ისინი, როგორც წესი, ევროგაერთიანების ხელშეკრულების 69-ე მუხლის შესაბამისად და გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის პოზიციის შესახებ მე-4 ოქმის 1-ლი მუხლის მიხედვით, თავიდანვე არ მონაწილეობდნენ იმ ღონისძიებებში, რომლებიც ტარდებოდა ევროგაერთიანების ხელშეკრულების მე-4 სათაურის მიხედვით, კერძოდ, ისეთ სფეროებში, როგორიცაა „ვიზა, თავშესაფარი, მიგრაცია და პოლიტიკის სხვა სფეროები, რომლებიც ეხება პირთა თავისუფალ გადაადგილებას", მაშასადამე, ისინი არ მონაწილეობდნენ სასაზღვრო კონტროლის გაუქმების შესახებ დებულებებში. ევროგაერთიანების ხელშეკრულების 69-ე მუხლისა და იმავე ოქმის მე-2 მუხლის მიხედვით, ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული ამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები გაერ-

---

[1] შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 473.

[2] Schengener Durchführungsübereinkommen (SDÜ). იხ. *Schomburg/Lagodny/Gleß/Hackner:* Internationale Rechtshilfe in Strafsachen, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 1391.

[3] Protokoll zum Schengen-Besitzstand. იხ. *Wasmeier/Möhlig* (Hrsg.): Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, გვ. 33-37.

თიანებულ სამეფოსა და ირლანდიასთან დაკავშირებით არ იძენს იურიდიულ ძალას.[1] ევროკავშირის საბჭოს 2000 და 2002 წლებში მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებების[2] შედეგად, გაერთიანებული სამეფო და ირლანდია შეუერთდნენ შენგენის შეთანხმების იმ დებულებებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის უცხოელებთან.[3] დანიას გააჩნია განსაკუთრებული სტატუსი[4], რომელიც შენგენის შეთანხმების ოქმის თანახმად, „შენგენის მფლობელობასთან" მიმართებით მოქმედებს საერთაშორისო სამართლის წესების შესაბამისად. იგი ყოველ კონკრეტულ შემთხვევებში ღებულობს გადაწყვეტილებას, შეუერთდება თუ არა „შენგენის მფლობელობას" საერთაშორისო-სამართლებრივ საფუძველზე და გამოიყენებს თუ არა მისი მონაწილეობის გარეშე მიღებულ სამართლებრივ ნორმებს, როგორც ნაციონალურ სამართალს. 2004 წლის 1 მაისიდან ევროკავშირის ახალი წევრი სახელმწიფოები კავშირში შესვლით „შენგენის მფლობელობის" სამართლებრივ აქტებსაც შეუერთდნენ, რადგან ისინი ამ დროისათვის უკვე ევროკავშირის სამართლებრივ დებულებებს წარმოადგნდა.[5] შენგენის 1997 წლის ოქტომბრის ოქმის მე-8 მუხლის თანახმად, განსაზღვრულია, რომ შენგენის მფლობელობის სამართლებრივი აქტები ევროკავშირის შემადგენლობაში შემოსულმა ახალმა წევრებმა „მთლიანად უნდა მიიღონ".[6] ამსტერდამის 1997 წლის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი მიღწევა არის სწორედ „შენგენის მფლობელობის" *(Schengen-Acquis)* ჩართვა ევროკავშირის ფარგლებში.[7] ამით 1999 წლის 1 მაისიდან შენგენის შეთანხმების წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთთანამშრომლობა მიმდინარეობს ევროკავშირის ხელშეკრულების მესამე სვეტის ინსტიტუციურ და სამართლებრივ ჩარჩოებში.[8] ამის შედეგად, ევროპული გაერთიანებების სასამართლომ ლუქსემბურგში მიიღო, ასევე შენგენის შეთანხმების სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაციის უფლებამოსილება (ევროკავშირის 2009 წლის 1 დეკემბრამდე მოქმედი ხელშეკრულების 35-ე მუხლის 1-ლი აბზაცი), იმ პირობით, თუ წევრ სახელმწიფოს ამსტერდამის ხელშეკრულების ხელმოწერისას ან მოგვიანებით ნებისმიერ დროს მის მიერ წარდგენილი განაცხადით აღიარებული აქვს ამის თაობაზე ევროპული სასამართლოს კომპეტენცია (ევროკავშირის იმავე ხელშეკრულების 35-ე მუხლის მე-2 აბზაცი)[9].

ახალი წევრების მიღება არ ნიშნავდა იმას, რომ მათი ევროკავშირში შესვლით შიდასაზღვრები მყისიერად მოიშალა, არამედ დაევალათ შენგენის სტანდარტები სრულად შემოეღოთ, მაგალითად, გარე საზღვრების უსაფრთხოების ეფექტური დაცვის ორგანიზაცია და შენგენის საინფორმაციო სისტემასთან (SIS) შეერთება[10].

დღეისათვის „შენგენი" უკვე წარმოადგენს სამართლებრივ სივრცეს, რომელიც მოიცავს

---

1 შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 474.

2 ასეთს წარმოადგენს ევროპის კავშირის საბჭოს 2000 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება (Ratsbeschluss 2000/365/EG) _ იხ. ABl. EG L 131, 1. 06. 2000 და 2002 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება (Ratsbeschluss 2002/192/EG) – იხ. ABl. EG L 64, 7. 03. 2002. შეად. *Wasmeier/Möhlig* (Hrsg.): Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 109.

3 იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 474.

4 ამის შესახებ იხ. ABl. EG C 340, 10. 11. 1997.

5 შეად. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 184-185.

6 ამის შესახებ იხ. *Krüßmann:* ZeuS 2001, 229.

7 შეად. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 201.

8 შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 473-474.

9 შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 474.

10 ამის შესახებ იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 474-475; *Elsen*, in: Hummer, Rechtsfragen der Anwendung des Amsterdamer Vertrages, 2001, გვ. 50. ამ სამართლებრივი აქტის ძალაში შესვლის წინაპირობების კრიტიკაზე იხ. *Rybicki*, PYIL 25 (2001), 112. ამის შესახებ იხ. ასევე: http://www.bmi.bund.de.

ტერიტორიას ევროკავშირს მიმატებული ისლანდია, ნორვეგია და შვეიცარია, მაშასადამე, ბულგარეთისა და რუმინეთის ევროკავშირში შესვლის შემდეგ, 30 სახელმწიფოს თანამშრომლობას.[1]

შენგენი II შეთანხმება შედგება რვა სათაურისაგან. იგი მთლიანად 142 მუხლში აწესრიგებს შენგენის სისტემის ფუძემდებლურ ოპერატიულ დებულებებს. საზღვრის კონტროლის გაუქმების ღონისძიებებთან და პირთა თავისუფალ მიმოსვლასთან ერთად, მან შემოიღო მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს უსაფრთხოების შესაძლო დეფიციტების აღმოფხვრას. ასეთ ღონისძიებებს ეკუთვნის, მაგალითად, შეთანხმება გარე საზღვრებზე კონტროლის ერთიანი სტანდარტების დაწესების შესახებ, მესამე ქვეყნებიდან უცხოელების წევრ სახელმწიფოში შემოსვლისა და ყოფნის ერთიანი პრინციპების გამოყენება, ერთიანი საviზო პოლიტიკისა და პრაქტიკის განსაზღვრა, თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ მოპყრობის წესების, ასევე ტრანსნაციონალური პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობის ერთიანი პრინციპების მიღება. გარდა ამისა, არსებობს შენგენის საინფორმაციო სისტემა (SIS[2]), რომელიც წარმოადგენს ტრანსნაციონალური თანამშრომლობის მთავარ ტექნიკურ საშუალებას. იგი ყველა მონაწილე ქვეყანას აძლევს შესაძლებლობას, გამოიყენოს პოლიციური ურთიერთთანამშრომლობისათვის მეტად სასარგებლო ცენტრალური საინფორმაციო სისტემა.[3]

2. პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობა შენგენის შეთანხმების მიხედვით

შენგენის II შეთანხმების არაერთი ნორმა ეძღვნება მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობას პოლიციურ და იუსტიციურ სფეროებში. ამ საკითხს კონკრეტულად ეხება შეთანხმების შვიდი თავისაგან (39-ე-91-ე მუხლები) შემდგარი III სათაური („პოლიცია და უშიშროება"). ამ მიმართულებით განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია ამ სათაურის 1-ლი-მე-5 თავების დებულებები. მიუხედავად სათაურის ასეთი სახელწოდებისა, მასში მოცემულია, ასევე იუსტიციის სფეროში სამართლებრივი დახმარების მნიშვნელოვანი დებულებები, თუმცა შენგენის შეთანხმება მაინც უპირატესად პოლიციურ მოქმედებებზე არის ორიენტირებული[4].

ამ სამართლებრივ აქტში მოცემულია საკითხთა კატალოგი, რომელიც ემსახურება პრევენციულ-პოლიციური ამოცანების განხორციელებას და დასჯადი ქმედებების წინააღმდეგ პრევენციულ ბრძოლას და მათ გახსნას. აქ მოცემული ღონისძიებებიდან შევეხებით ზოგიერთს.

(ა) III სათაურის I თავი (39-ე-47-ე მუხლები) აწესრიგებს **პოლიციური თანამშრომლობის** საკითხებს, II თავი (48-ე-53-ე მუხლები) – **სამართლებრივ დახმარებას სისხლის სამართლის საქმეებზე**, III თავი (54-ე-58-ე მუხლები) – **ტრანსნაციონალურ ორჯერ დასჯის აკრძალვას**, IV თავი (59-ე-58-ე მუხლები) – **ექსტრადიციას** და ა.შ.

ა) შეთანხმების 39-ე მუხლი ეძღვნება პოლიციური ინფორმაციის გაცვლას. იგი ემსახურება დანაშაულთა წინააღმდეგ როგორც პრევენციულ ბრძოლას (პრევენციულ-პოლიციური

---

[1] შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 474. ამ საკითხზე იხ. ასევე: *Schomburg*, NJW, 2002, 1630. შენგენი II შეთანხმების მონაწილეთა სია, 2006 წლის 1 მარტის მდგომარეობით, სათანადო თარიღების მითითებით, იხ. წიგნში: *Schomburg/Lagodny/Gleß/Hackner:* Internationale Rechtshilfe in Strafsachen, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 1389-1390. აქ მოცემულია მონაცემები 28 სახელმწიფოს შესახებ. რუმინეთი და ბულგარეთი მოგვიანებით გახდნენ ევროკავშირის წევრები.

[2] Schengener Informationssystem. იხ. *Schomburg/Lagodny/Gleß/Hackner:* Internationale Rechtshilfe in Strafsachen, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 1434-1450.

[3] შეად. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 185.

[4] იხ. *Schomburg/Lagodny/Gleß/Hackner:* Internationale Rechtshilfe in Strafsachen, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 1394.

სფერო), ასევე დანაშაულთა გამოკვლევას (სისხლისსამართლებრივი დევნა). 39-ე I მუხლიდან გამომდინარე, გამორიცხულია პოლიციური სამართლებრივი დახმარების სფეროში ურთიერთობა, როცა თხოვნა ან მისი შესრულება ნაციონალური სამართლით იუსტიციის დაწესებულების პრეროგატივაა და თხოვნის შესრულება იძულებითი ღონისძიებების (მაგალითად, დაკავება, ჩხრეკა, დაყადაღება, სატელეფონო მოსმენა) გამოყენებას მოითხოვს.

შენგენის II შეთანხმების 39-ე II მუხლი აწესრიგებს მტკიცებულებათა გამოყენების წესს. მის მიხედვით, წერილობითი ინფორმაციები, რომლებიც თხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფოს მიერ 39-ე I მუხლის მიხედვით იქნა გადაცემული თხოვნის გამგზავნი წევრი სახელმწიფოსთვის, მტკიცებულებად სისხლის სამართლის პროცესში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ თხოვნის მიმღები უფლებამოსილი იუსტიციური უწყების თანხმობით. მაგალითად, ფრანგული იუსტიციის ორგანოს მიერ ბრალდებულის დაკითხვის თაობაზე პოლიციური ოქმი, რომელიც, შენგენი II შეთანხმების 39-ე I მუხლიდან გამომდინარე, ინფორმაციის გაცვლის ფარგლებში გერმანული პოლიციის მიერ ფრანგ კოლეგებს გადაეგზავნათ, დაკითხული პირის წინააღმდეგ წარმართულ სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებად მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს გამოყენებული, როცა უფლებამოსილი გერმანული სამსახური ამაზე თანხმობას განაცხადებს.[1]

როგორც წესი, პოლიციური სამართლებრივი დახმარების სფეროში ურთიერთობა ხორციელდება წევრი სახელმწიფოების ცენტრალური პოლიციური ორგანოების მიერ. ინფორმაციის უშუალო გაცვლა წევრ სახელმწიფოთა პოლიციური სამსახურების მიერ შესაძლებელია მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში (შენგენის II შეთანხმების 39-ე III მუხლი). შენგენის II შეთანხმების 39-ე V მუხლის მიხედვით, ბილატერალური შეთანხმებები წევრ სახელმწიფოთა შორის, რომელთაც აქვთ საერთო საზღვრები, რჩება ხელშეუხებელი, მაგალითად, ორმხრივი ხელშეკრულებები, რომლებიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას დადებული აქვს ბელგიასთან, საფრანგეთთან და ავსტრიასთან, რომლებიც იძლევიან უშუალო საქმიანი ურთიერთობების შესაძლებლობას განსაზღვრულ პოლიციურ სამსახურებს შორის.

ბ) შენგენის II შეთანხმების მე-40 მუხლი ითვალისწინებს ტრანსნაციონალური ფარული თვალთვალის შესაძლებლობას. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა სამართლებრივად ნებადართულია ტრანსნაციონალური პოლიციური ღონისძიებების ჩატარება, რა დროსაც ერთი წევრი სახელმწიფოს სუვერენული ძალაუფლება მეზობელი წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე შეიძლება განხორციელდეს.2 შეთანხმების მე-40 I მუხლის მიხედვით, ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს მოხელე, რომელიც თავის ქვეყანაში გამოძიების პროცესის ფარგლებში აწარმოების იმ ეჭვმიტანილი პირის ფარულ თვალთვალს, რომელმაც შესაძლოა, ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რომლის გამო პირი ექსტრადიციას ექვემდებარება, უფლებამოსილია, თვალთვალი სხვა წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე გააგრძელოს, თუ ეს სახელმწიფო ტრანსნაციონალურ თვალთვალს მანამდე წარდგენილი სამართლებრივი თხოვნის საფუძველზე დათანხმდა.

თვალთვალი წარმოადგენს პოლიციის მოხელეების მიერ ფიზიკური პირების მიმართ განხორციელებულ გრძელვადიან ფარულ დაკვირვებას, რა დროსაც ურთიერთობა დაკვირვების ობიექტსა და დამკვირვებელს შორის, როგორც წესი, არ არის გათვალისწინებული.

შენგენი II შეთანხმების ძალაში შესვლამდე, ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების ნაციონალური მოხელეების მოქმედების ფარგლები შეზღუდული იყო საკუთარი ქვეყნის სუვერენული ტერიტორიით. სამართლებრივი დახმარების „კლასიკური" გაგების მიხედვით,

---

[1] ეს მაგალითი იხ. წიგნში: *Hecker:* Europäisches Strafrechts. მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 186.

[2] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 187.

პირის მიმართ თვალთვალის ფუნქციის განხორციელება საზღვარზე მეორე ქვეყნის მოხელეებს გადაეცემოდათ. მე-40 I მუხლმა დააფუძნა ტრანსნაციონალური სისხლის სამართლის დევნის ახალი თვალსაზრისი, კერძოდ, შენგენის წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილება, იმოქმედოს მეზობელი ქვეყნის სუვერენულ ტერიტორიაზე. ამასთან, იქვე გათვალისწინებულია, რომ თუ იმ წევრმა სახელმწიფომ, რომლის ტერიტორიაზეც უნდა განხორციელდეს თვალთვალი, მოითხოვა, მაშინ ეს დავალება მის მოხელეებს უნდა გადაეცეთ.

ტრანსნაციონალური თვალთვალი კუმულაციურად მოითხოვს შემდეგი წინაპირობების შესრულებას:

– გამოძიების პროცესი დაწყებული უნდა იყოს თავდაპირველ ქვეყანაში,
– ექსტრადიციას დაქვემდებარებულ დანაშაულზე,
– თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში უკვე თვალთვალის ქვეშ მყოფი პირის მიმართ და
– უნდა არსებობდეს თხოვნის მიმღები სახელმწიფოს თანხმობა თვალთვალზე.[1]

შესაძლებელია, განსაკუთრებულ გადაუდებელ შემთხვევებში ტრანსნაციონალური თვალთვალი გამონაკლისის სახით ჩატარდეს წინასწარი თანხმობის გარეშე. ასეთ შემთხვევებში მოქმედებს განსაკუთრებული წინაპირობები და წესები, რაც გათვალისწინებულია შენგენი II შეთანხმების მე-40 II მუხლში. იგი ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იმ სხვა სახელმწიფოს მხრიდან, რომელშიც უნდა განხორციელდეს ასეთი თვალთვალი, შეუძლებელია ასეთი წინასწარი თანხმობის მიღება. ამასთან, თხოვნა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გაგზავნილი და ის მიზეზები მითითებული, რომელიც გაამართლებს თვალთვალის განსახორციელებლად წინასწარი თანხმობის გარეშე მეორე სახელმწიფოს საზღვრის გადაკვეთას. თვალთვალი დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს, თუ ის სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც ტარდება იგი, ამას მოითხოვს, ან თუ თანხმობა საზღვრის გადაკვეთიდან ხუთი საათის განმავლობაში არ იქნება გაცემული.

შენგენი II შეთანხმების მე-40 III მუხლის a-h ქვეპუნქტები ითვალისწინებს ტრანსნაციონალური თვალთვალის ნებადართულობის სხვა ზოგად პირობებსაც. საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში, თვალთვალის განმახორციელებელი მოხელეები იმ ქვეყნის სამართლის ნორმებით არიან შებოჭილი, რომლის სუვერენულ ტერიტორიაზეც ატარებენ ოპერაციას. მათ შეუძლიათ, თავიანთი სამსახურებრივი სატაბელო იარაღი თან იქონიონ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს სახელმწიფო გამოხატავს თავის კატეგორიულ უარს ამის შესახებ. აკრძალულია ასეთი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, გარდა აუცილებელი მოგერიების შემთხვევისა. თვალთვალის ჩამტარებელი მოხელეები არ არიან უფლებამოსილი, შევიდნენ საცხოვრებელ ბინაში და მიწის ნაკვეთზე, რომელიც არ არის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი, ასევე მათ არ შეუძლიათ თვალთვალის ქვეშ მყოფი პირის შეჩერება ან დაკავება.[2]

გ) შენგენი II შეთანხმების 41-ე მუხლი ეძღვნება ტრანსნაციონალურ მოქმედებებს ცხელ კვალზე. იგი წარმოადგენს გაქცეული პირის მიმართ პოლიციური დევნის გაგრძელებას სხვა ქვეყნის სუვერენულ ტერიტორიაზე.3 ჰეკერი მას უწოდებს „პოლიციური აქტიურობის ახალ ფორმას“, რომელიც ხორციელდება საკუთარი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ.[4] იგი ნებადართულია, როცა პირს წაასწრეს ცხელ კვალზე, დანაშაულის ჩადენისას ან ჩადენისთანავე, ან იგი გაიქცა წინასწარი პატიმრობის ან სასჯელის მოხდის ადგილიდან და არ

---

[1] შეად. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 187-188.

[2] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 188. გერმანია-ბელგია-ნიდერლანდების საზღვარზე პოლიციის მოხელეების მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების პრობლემატიკაზე იქვე მითითებულია: *Brammertz/Bourdoux/Hartwig,* Die Polizei, 1996, გვ. 33.

[3] ამ ღონისძიების შესახებ იხ. *Bubnoff,* ZRP 2000, გვ. 60.

[4] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 189.

არის შესაძლებელი, რომ იმ ქვეყნის მოხელეები, რომლის სუვერენულ ტერიტორიაზეც უნდა ჩატარდეს გადაუდებელი მოქმედება, დროულად იქნენ ინფორმირებული.

შენგენის წევრი სხვა სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე ცხელ კვალზე ტრანსნაციონალური დევნის განხორციელების გაგრძელების უფლებამოსილებას 41-ე მუხლი უკავშირებს გარკვეული პირობების არსებობას, მათ შორის, ასეთი მოქმედების გადაუდებელ ხასიათს, დანაშაულის კატეგორიას (ამავე აქტის კატალოგით განსაზღვრული ან ექსტრადიციას დაქვემდებარებული ქმედების ჩადენა/თანამონაწილეობა), პატიმრობის ადგილიდან გაქცევა. თუ წინასწარ ვერ შეატყობინებს, მოხელემ საზღვრის გადაკვეთის დროს მაინც უნდა აცნობოს თავისი მოქმედების შესახებ შენგენის წევრი სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილ მოხელეებს. ამასთან, დაცული უნდა იქნეს ის პირობები, რომლებიც ყოველი წევრი სახელმწიფოს მიერ წინასწარ არის ჩამოყალიბებული შენგენი II შეთანხმების 41-ე IX მუხლის შესაბამისად გაკეთებულ დეკლარაციაში, რომელიც ეხება ცხელ კვალზე ტრანსნაციონალური მოქმედებების სივრცეში, დროში და საგნობრივად განხორციელების საკითხებს. იგი წევრი სახელმწიფოების მიერ ერთგვაროვნად არ არის ჩამოყალიბებული, რაც ზოგჯერ ხელს უშლის ამ მექანიზმის დადებითი მხარეების ეფექტურ გამოყენებას.[1] ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი ამ საკითხზე ჰარმონიზაციის მიღწევის აუცილებლობის თაობაზე.[2] ასევე მნიშვნელოვანია, თუ რა პროცესუალური შედეგები უნდა მოჰყვეს ტრანსნაციონალური თვალთვალის დროს, განსაკუთრებით გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, დადგენილი წესების დარღვევას მტკიცებულებათა იურიდიული ძალის თვალსაზრისით. მაგალითად, გერმანიაში, თვით უზენაესი სასამართლოს დონეზეც არ არის დადგენილი, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამას სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა შეფასების დროს.[3]

(ბ) შენგენი II შეთანხმების **IV სათაური** (92-ე-119-ე მუხლები) ეძღვნება **შენგენის საინფორმაციო სისტემას (SIS)**[4]. *ჰეკერი* მას მიიჩნევს ევროპაში ტრანსნაციონალურ დამნაშავეობასთან ბრძოლის მეორე მნიშვნელოვან ინოვაციად[5]. იგი გაიხსნა 1995 წლის მარტში და თანდათანობით შეუერთდა მთელი ევროპა – შენგენის წევრი სახელმწიფოები, მათ შორის, ევროკავშირის ახალი წევრები. იგი წარმოადგენს ტრანსნაციონალურ კომპიუტერულ პოლიციურ საძიებო სისტემას, რომელიც იძლევა შენგენის წევრი სახელმწიფოების მიერ პოლიციური საძიებო მონაცემების ონლაინ-ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას.[6]

„შენგენის მფლობელობის" ევროპის კავშირის სამართლებრივ სივრცეში ინტეგრაციის შედეგად, შენგენის საინფორმაციო სისტემა **(SIS)** გადაიქცა ევროპულ საინფორმაციო სისტემად **(EIS)**. ამის შედეგად, შენგენის არაწევრ სახელმწიფოებსაც, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი და ირლანდია, ეძლევათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ შენგენის საინფორმაციო სისტემაში. ამის შედეგად შეიქმნა ერთიანი ევროპული საძიებო სივრცე ყველა პოლიციური სამსახურისათვის ხელმისაწვდომი საძიებო მონაცემებით.

შენგენის საინფორმაციო სისტემა **(SIS)** შედგება ცენტრალური გამომთველელი სისტემისგან სტრასბურგში **(C.SIS)**[7] და მისი გამომყენებელი სახელმწიფოების ნაციონალური

---

[1] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 189.

[2] იხ. *Bubnoff*, ZRP 2000, გვ. 60.

[3] ასეთ მტკიცებულებათა დასაშვებობას სხვა სახელმწიფოს სუვერენულ უფლებათა დარღვევის გამო უარყოფს, მაგალითად, *Böse*, ZStW 114 (2002), გვ. 148, 177.

[4] შენგენის საინფორმაციო სისტემაში ძიების სქემა გერმანიის მაგალითზე იხ. წიგნში: *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 478.

[5] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 191.

[6] ამის შესახებ იხ. *Gleß/Lüke*, JURA, 1998, გვ. 70, 74.

[7] C.SIS = Central Schengen Information System.

სისტემებისაგან (N.SIS)[1]. ნაციონალური სისტემებიდან მონაცემები გადაეცემა ცენტრალურ სისტემას, რომელიც ზრუნავს მის დამუშავებაზე და შემდეგ მონაცემებს ყველა ნაციონალურ სისტემაში ანაწილებს, ისე, რომ გადაცემიდან მალე, დროის გაჭიანურების გარეშე, მონაცემები ერთდროულად ყველა წევრ სახელმწიფოს სარგებლობაში გადადის. შენგენის საინფორმაციო სისტემის მონაწილე ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია, განსაზღვროს დაწესებულება, რომელიც უფლებამოსილია ამ სისტემის ნაციონალურ ნაწილზე. ეს დაწესებულებები ცნობილია SIRENE-ს[2] სახელწოდებით[3].

შენგენის საინფორმაციო სისტემა განასხვავებს შემდეგ საძიებო კატეგორიებს:

– იმ პირთა შესახებ მონაცემთა ძიება, რომელთა დაკავება უნდა მოხდეს ექსტრადიციის მიზნით (შენგენი II შეთანხმების 95-ე მუხლი, რომელიც ყოველთვის გამოყენებულ უნდა იქნეს 64-ე მუხლთან კავშირში. იგი არის ევროსაბჭოს 1957 წლის 13 სექტემბრის ევროპული ექსტრადიციის „დედა კონვენციის"[4] მე-16 მუხლთან გათანაბრებული[5]). ასეთი ძებნა შენარჩუნებულ იქნა ევროპული დაპატიმრების ბრძანების შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილების ამოქმედების შემდეგაც[6],

– მესამე ქვეყნების წარმომადგენელი უცხოელების შესახებ მონაცემთა ძიება, რომელთაც უარი უნდა ეთქვათ შენგენის სამართლებრივ სივრცეში შემოსვლაზე, რადგან ისინი გარკვეული საშიშროების მატარებელი არიან (შენგენი II შეთანხმების 96-ე მუხლი),

– ძიება დაკარგულთა პოვნის და საშიშროების აღკვეთის (მაგალითად, სუიციდის საშიშროება) მიზნით (შენგენი II შეთანხმების 97-ე მუხლი),

– ბრალდებულთა, მოწმეთა და გასამართლებულთა შესახებ მონაცემთა ძიება იუსტიციის ორგანოებისათვის დახმარების მიზნით (შენგენი II შეთანხმების 98-ე მუხლი),

– ძებნა პირთა ან ნივთების ფარული რეგისტრაციისათვის, როცა არსებობს მათ მიერ მძიმე დანაშაულების ჩადენის ეჭვი (შენგენი II შეთანხმების 99-ე მუხლი),

– მოპარული, მითვისებული ან სხვაგვარად დაკარგული ნივთების ძიება, მათი სისხლის სამართლის პროცესში უზრუნველყოფის ღონისძიებად გამოყენების ან მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზნით (შენგენი II შეთანხმების მე-100 მუხლი).[7]

შენგენი II შეთანხმება ითვალისწინებს შენგენის მასშტაბით სასამართლოს წინაშე სამართლებრივ დაცვას, რომელიც ხორციელდება დაზარალებულის არჩევით, როცა საქმე შეეხება მის შესახებ მონაცემთა შენახვას, რომელიც შემხებლობაშია შენგენის საინფორმაციო სისტემასთან. ამ შეთანხმების 110-ე მუხლით, ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, მოითხოვოს მის პიროვნებასთან დაკავშირებული არასწორი მონაცემების გასწორება ან არამართლზომიერად მოპოვებული მონაცემების წაშლა. თუ შენგენის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზაში ინახება მონაცემები პიროვნების შესახებ, მაშინ მას, ამ შეთანხმების

---

1 N.SIS = National Schengen Information System.

2 SIRENE – Supplementary Information Request at the National Entry.

3 მაგალითად, გერმანული SIRENE მდებარეობს ფედერალურ კრიმინალურ სამსახურთან, *ჰესენის* დედაქალაქ *კისბადენში*.

4 „Mutterkonvention". ექსტრადიციის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციას ასე უწოდებს, მაგალითად, *ჰეკერი*. იხ. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 405.

5 იხ. *Schomburg/Lagodny/Gleß/Hackner:* Internationale Rechtshilfe in Strafsachen, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 1427, 1435.

6 იხ. *Schomburg/Lagodny/Gleß/Hackner:* Internationale Rechtshilfe in Strafsachen, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 1435.

7 შეად. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 477; *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 192.

114-ე II მუხლის შესაბამისად, წარმოეშობა იმის უფლება, რომ 114-ე I მუხლის მიხედვით შექმნილ ნაციონალურ საკონტროლო ინსტანციებში მოითხოვოს მონაცემთა შენახვის, ასევე გამოყენების მართლზომიერების გადამოწმება. აუცილებლობის შემთხვევაში, მას შეუძლია ისარგებლოს 111-ე მუხლით გარანტირებული სამართლებრივი დაცვის უფლებით და მიმართოს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს უფლებამოსილ სასამართლოს ან უწყებას საჩივრით მის პიროვნებასთან შემხებლობაში მყოფი ინფორმაციის გასწორების, წაშლის, მის შესახებ ინფორმაციის მიღების ან მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.[1]

3. სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარება შენგენის შეთანხმების მიხედვით

სამართლებრივ დახმარებას სისხლის სამართლის საქმეებზე ეძღვნება შენგენი II შეთანხმების III სათაურის მე-2 თავი (48-ე-53-ე მუხლები). თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, ამ თავში შემავალ მუხლებს აქვე ვაქვეყნებთ მთლიანად, ხოლო შემდეგ წარმოგიდგენთ ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ 2000 წლის 29 მაისის შეთანხმებასა და 2001 წლის 16 ოქტომბრის მის დამატებით ოქმს.

1990 წლის 19 ივნისის შეთანხმება[2] შენგენის 1985 წლის 14 ივნისის შეთანხმების განხორციელების შესახებ, დაკავშირებული ერთობლივ საზღვრებზე კონტროლის ეტაპობრივ გაუქმებასთან[3]

(ამონარიდი)

სათაური III
პოლიცია და უსაფრთხოება

თავი 2
სამართლებრივი დახმარება სისხლის სამართლის საქმეებზე

მუხლი 48

(1) ამ თავის დებულებებმა უნდა უზრუნველყონ სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროსაბჭოს 1959 წლის 20 აპრილის კონვენციის განვრცობა და მისი გამოყენების გაადვილება. ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს შორის ურთიერთობებში, რომლებიც ბენელუქსის ეკონომიკურ კავშირს მიეკუთვნებიან, 1-ლი წინადადება აზრობრივი შესაბამისობით მოქმედებს სისხლის სამართლის საქმეებზე ექსტრადი-

---

[1] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 192; *Gleß/Lüke*, JURA, 2000, გვ. 400, 404.

[2] ABL. L 239, 22. 09. 2000.

[3] ინგლისურად: Convention Implementing the Schengen Agreement of 14 June 1985 between the Governments of the States of the Benelux Economic Union, the Federal Republic of Germany and the French Republic on the gradual abolition of checks at their common borders. გერმანულად: Übereinkommen zur Durchführung des Übereinkommens von Schengen vom 14. Juni 1985 zwischen den Regierungen der Staaten der Benelux-Wirtschaftsunion, der Bundesrepublik Deutschland und der Französischen Republik betreffend den schrittweisen Abbau der Kontrollen an den gemeinsamen Grenzen.

ციისა და სამართლებრივი დახმარების შესახებ 1962 წლის 27 ივნისის (1974 წლის 11 მაისის ოქმის მდგომარეობით) ბენელუქსის შეთანხმების მე-2 თავისთვის.

(2) ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს შორის ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე მოქმედი მაღალი სტანდარტების შემცველი დებულებები რჩება ხელშეუხებელი.

მუხლი 49

სამართლებრივი დახმარება ხორციელდება, აგრეთვე

ა) იმ ქმედებების გამო წარმოებულ პროცესში, რომლებიც ხელშეკრულების მონაწილე ერთი ან ორივე მხარის ნაციონალური სამართლით განიხილება სათანადო ორგანოების მიერ დასჯად საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად და ამ გადაწყვეტილებებზე შესაძლებელია, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე უფლებამოსილი სასამართლოსათვის მიმართვა;

ბ) იმ პროცესში, რომელიც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებებისა და არამართლზომიერი გასამართლებების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას;

ც) შეწყალების საქმეებზე;

დ) სამოქალაქო საქმეებზე, რომლებიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე სარჩელებთან, იმ დრომდე, ვიდრე სისხლის სამართლის საქმეზე უფლებამოსილ სასამართლოს სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია;

ე) იმ დოკუმენტების წარდგენისას, რომლებიც უკავშირდება სასჯელის ან სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიების აღსრულებას, ფულადი სახდელის დაკისრებას ან სასამართლო ხარჯების გადახდას;

ფ) იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება გასამართლების ან სასჯელის ან სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიებების აღსრულების გადავადებას, პირობით გათავისუფლებას, სასჯელის ან სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიებების აღსრულების დაწყების გადადებას ან აღსრულების დროებით შეჩერებას.

მუხლი 50

1) ხელშეკრულების მონაწილე მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ სამართლებრივი დახმარების განხორციელება უზრუნველყონ 48-ე მუხლში მითითებული ხელშეკრულებების შესაბამისად, იმ სამართლებრივი დებულებებისა და ნორმების დარღვევის გამო, რომლებიც შეეხება სამომხმარებლო გადასახადების, დამატებითი ღირებულების გადასახადებისა და საბაჟო სფეროებს. როგორც საბაჟო კანონები, ბელგიას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, საფრანგეთს, იტალიას, ლუქსემბურგსა და ნიდერლანდებს შორის მოქმედებს მათი საბაჟო ადმინისტრაციების ორმხრივი ურთიერთმხარდაჭერის შესახებ 1967 წლის 7 სექტემბერის შეთანხმების მე-2 მუხლში მოცემული წესები, ასევე საბჭოს 1981 წლის 19 მაისის 1468/81-ე რეგულაციის (Verordnung (EWG) 1468/81) მე-2 მუხლში მოცემული წესები.

2) სამომხმარებლო გადასახადებისაგან თავის არიდების ეჭვის გამო წარმოებულ პროცესში დახმარების შესახებ თხოვნაზე უარი არ შეიძლება იმ დასაბუთებით იქნეს უარყოფილი, რომ თხოვნის მიმღები ხელშეკრულების მხარე თხოვნაში დასახელებულ საქონელზე არ ითვალისწინებს სამომხმარებლო გადასახადების დაკისრებას.

3) ხელშეკრულების მონაწილე თხოვნის გამგზავნი მხარე ხელშეკრულების მონაწილე თხოვნის მიმღები მხარისგან მიღებულ ინფორმაციებს ან მტკიცებულებებს გადასცემს და იყენებს თხოვნაში მითითებული გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის ან პროცესის წარმოების გარდა სხვა მიზნებისათვის მხოლოდ თხოვნის მიმღები ხელშეკრულების

მონაწილე მხარის წინასწარი თანხმობით.

4) ამ მუხლის გაგებით, შესაძლებელია, სამართლებრივ დახმარებაზე ითქვას უარი, თუ შემცირებული ან დამალული თანხა სავარაუდოდ არ აღემატება 25 000 ეკიუს (ECU) ან უკანონოდ იმპორტირებული ან ექსპორტირებული საქონლის ღირებულება – 100 000 ეკიუს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ქმედება მისი სახის ან დამნაშავის პიროვნების გათვალისწინებით, ხელშეკრულების მონაწილე თხოვნის გამგზავნი მხარის მიერ სერიოზულად მიიჩნევა.

5) ამ მუხლის დებულებები გამოიყენება, აგრეთვე მაშინაც, როდესაც თხოვნა სამართლებრივი დახმარების შესახებ ეხება იმ ქმედებებს, რომლებზეც შესაძლებელია მხოლოდ ფულადი სახდელების დაკისრება (ადმინისტრაციული სამართალდაღვევები) და თხოვნა გაკეთებულია იუსტიციის დაწესებულების მიერ.

მუხლი 51

ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ჩხრეკისა და ყადაღის აღსრულებისათვის სამართლებრივი დახმარების თხოვნის შესრულებას არ უყენებენ სხვა დამატებითი პირობებით, გარდა იმისა, რომ

a) იმ ქმედებისათვის, რომელიც საფუძვლად უდევს სამართლებრივი დახმარების თაობაზე თხოვნას, ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარის სამართლით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ან თავისუფლების შემზღუდველი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიება მინიმუმ 6 თვის ვადით, ან ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარის სამართლის მიხედვით მისთვის გათვალისწინებულია მსგავსი სახის სანქცია და ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარის სამართლით წარმოადგენს სათანადო ორგანოების მიერ დასჯად საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და ამ გადაწყვეტილებაზე შესაძლებელია, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე უფლებამოსილი სასამართლოსათვის მიმართვა;

b) სხვა შემთხვევაში, სამართლებრივი დახმარების შესახებ თხოვნის შესრულება შეესაბამება ხელშეკრულების მონაწილე თხოვნის მიმღები მხარის სამართალს.

მუხლი 52

1) ხელშეკრულების ყოველ მხარეს შეუძლია, სასამართლო დოკუმენტები უშუალოდ ფოსტით გადაუგზავნოს იმ პირებს, რომლებიც იმყოფებიან ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარის სუვერენულ ტერიტორიაზე. იმ დოკუმენტების სია, რომელთა გადაგზავნა ამ გზით ნებადართულია, ხელშეკრულების მონაწილე მხარეების მიერ გადაეცემა აღმასრულებელ კომიტეტს.

2) თუ არსებობს იმის შესახებ ინფორმაცია, რომ მიმღები პირი არ ფლობს იმ ენას, რომელზეც ეს დოკუმენტია შედგენილი, მაშინ დოკუმენტი – ან სულ მცირე მისი არსებითი ადგილები – უნდა ითარგმნოს ხელშეკრულების მონაწილე იმ მხარის ენაზე ან ერთ-ერთ ენაზე, რომლის სუვერენულ ტერიტორიაზეც იმყოფება მიმღები. იმ შემთხვევაში, თუ გამგზავნი ორგანოსათვის ცნობილია, რომ მიმღები ფლობს მხოლოდ სხვა ენას, მაშინ დოკუმენტი – ან სულ მცირე მისი არსებითი ადგილები – უნდა ითარგმნოს ამ სხვა ენაზე.

3) მოწმე ან ექსპერტი, რომელსაც პროცესზე გამოძახების უწყება გაეგზავნა ფოსტის საშუალებით და არ იმოქმედა მის შესაბამისად, მაშინაც კი არ შეიძლება დაისაჯოს ან მის მიმართ გამოყენებულ იქნეს საპროცესო იძულების ღონისძიება, როდესაც გამოძახების უწყებაში გათვალისწინებულია გამოუცხადებლობის შემთხვევაში იძულების მუქარა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი მოგვიანებით გამგზავნი ქვეყნის სუვერენულ ტერიტორიაზე ნებაყოფლობით არ გამოცხადდება და იქ ხელახლა დადგენილი წესის შესაბამისად ვერ

იქნება გამოძახებული. გამგზავნი ორგანო ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ფოსტის საშუალებით გადაცემული გამოძახების უწყებები არ შეიცავდეს იძულებითი გამოცხადების მუქარას. 1962 წლის 27 ივნისის სისხლის სამართლის საქმეებზე ექსტრადიციისა და სამართლებრივი დახმარების შესახებ ბენელუქსის ხელშეკრულების 34-ე მუხლი, 1974 წლის 11 მაისის ოქმის რედაქციით, ამისგან ხელშეუხებელი რჩება.

4) თუ სამართლებრივ თხოვნას საფუძვლად უდევს ისეთი ქმედება, რომელიც როგორც თხოვნის მიმღები, ასევე თხოვნის გამგზავნი ხელშეკრულების მონაწილე მხარის სამართლით განიხილება სათანადო ორგანოების მიერ დასჯად საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად და ამ გადაწყვეტილებებზე შესაძლებელია, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე უფლებამოსილი სასამართლოსათვის მიმართვა, მაშინ დოკუმენტების მიწოდება ძირითადად უნდა განხორციელდეს 1-ლი აბზაცით გათვალისწინებული პროცედურით.

5) 1-ლი აბზაცის ხელშეუხებლად, შესაძლებელია სასამართლო დოკუმენტების გადაგზავნა განხორციელდეს ხელშეკრულების მონაწილე თხოვნის მიღები მხარის იუსტიციური დაწესებულების მეშვეობით, როდესაც უცნობია მიმღების მისამართი ან თუ ხელშეკრულების მონაწილე თხოვნის გამგზავნი მხარე მოითხოვს ოფიციალური ფორმით გადაცემას.

მუხლი 53

1) სამართლებრივი დახმარების შესახებ თხოვნებისა და შესაბამისი პასუხების გაგზავნა შესაძლებელია, განხორციელდეს უშუალოდ იუსტიციური დაწესებულებიდან იმავე სახის იუსტიციურ დაწესებულებაში გადაგზავნით.

2) თხოვნების გაგზავნისა და მასზე პასუხების გაცემის შესაძლებლობა იუსტიციის სამინისტროების ან საერთაშორისო კრიმინალ-პოლიციური ორგანიზაციის ნაციონალური ცენტრალური ბიუროს მეშვეობით 1-ლი აბზაცისგან ხელშეუხებელია.

3) თხოვნები პირთა დროებითი გადაცემის ან ტრანზიტის შესახებ, რომლებიც იმყოფებიან წინასწარ პატიმრობაში ან იხდიან სასჯელს, ან რომელთა მიმართაც გამოიყენება თავისუფლების შემზღუდავი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიება, ასევე თხოვნები იუსტიციური დოკუმენტაციებიდან ინფორმაციათა რეგულარული ან შემთხვევითი გაცვლის შესახებ უნდა განხორციელდეს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური გზით.

4) სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ 1959 წლის 20 აპრილის ევროპული კონვენციის გაგებით, იუსტიციის მინისტრები გერმანიისათვის არის იუსტიციის ფედერალური მინისტრი და მიწების იუსტიციის მინისტრები/სენატორები.

5) განცხადებები სისხლისსამართლებრივ დევნის მიზნით, რაც გამომდინარეობს სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ 1959 წლის 20 აპრილის ევროპული კონვენციის 21-ე მუხლიდან ან სისხლის სამართლის საქმეებზე ექსტრადიციისა და სამართლებრივი დახმარების შესახებ 1962 წლის 27 ივნისის ბენელუქსის შეთანხმების 42-ე მუხლიდან, 1974 წლის 11 მაისის ოქმის რედაქციით, მართვისა და დასვენების დროის მარეგულირებელი ნორმების[1] დარღვევის გამო შესაძლებელია, ხელშეკრულების მონაწილე თხოვნის გამგზავნი მხარის იუსტიციის ორგანოების მეშვეობით უშუალოდ გადაეგზავნოს ხელშეკრულების მონაწილე თხოვნის მიმღები მხარის იუსტიციის ორგანოს.

---

[1] Lenk- und Ruhezeitvorschriften. ევროკავშირის ფარგლებში დღეისათვის ავტომანქანის მძღოლთა მართვისა და დასვენების დროის წესები მოწესრიგებულია ევროპული პარლამენტისა და საბჭოს სპეციალური რეგულაციით. იხ. Verordnung (EG) 561/2006.

II ევროკავშირის შეთანხმება და ოქმი სამართლებრივი დახმარების შესახებ

სამართლებრივი დახმარება სისხლის სამართლის საქმეებზე არის ყოველგვარი ისეთი მხარდაჭერა, რომელიც თხოვნის მიმღები სახელმწიფოს მიერ თხოვნის საფუძველზე ხორციელდება თხოვნის გამგზავნ სხვა სახელმწიფოში მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისათვის. ასეთ დახმარებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი იმ დროს, როცა უცხოურ სისხლის სამართალწარმოებას ახორციელებს სასამართლო ან საგამოძიებო და სხვა ორგანოები (პროკურატურა, პოლიცია, საბაჟო და საფინანსო უწყებები), მიუხედავად იმისა, თუ რომელი ორგანო არის ჩართული სამართლებრივი დახმარების პროცედურის უშუალოდ წარმართვაში.

ევროპული სისხლის სამართლის სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყოფა სამართლებრივი დახმარების შემდეგი ტრადიციული სფეროები:

– ექსტრადიციის პროცედურა[1];

– სისხლისსამართლებრივი სანქციების აღსრულების მხარდაჭერა (აღსრულების დახმარება) და

– ე.წ. პატარა ანუ სხვაგვარი დახმარებები (მაგალითად, უწყებისა და განაჩენის ჩაბარება; მოწმეთა და ბრალდებულთა დაკითხვა; მტკიცებულებათა დაყადაღება და გადაცემა; ტრანსნაციონალური ოპერატიული ღონისძიებანი).[2]

უკანასკნელი ორმოცდაათი წლის განმავლობაში ევროპაში ჩამოყალიბდა სამართლებრივი დახმარების სფეროში ურთიერთობის სხვადასხვა ინსტრუმენტები. უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი სამართლებრივი დახმარების „დედა კონვენცია"[3] – სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ 1959 წლის 20 აპრილის კონვენცია, რომელსაც აქვს 1978 წლის 17 მარტის დამატებითი ოქმი. კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად, წევრი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, ერთმანეთს აღმოუჩინონ სამართლებრივი დახმარება დასჯად ქმედებებთან დაკავშირებულ ყველა პროცესში.

ევროპული თანამშრომლობის მეორე ინსტრუმენტად სახელდება შენგენი II შეთანხმების ზემოთ წარმოდგენილი 48-ე და მომდევნო მუხლებით გათვალისწინებული კოოპერაცია სამართლებრივი დახმარების სფეროში[4]. მაგალითად, შეთანხმების 52-ე მუხლი შესაძლებლობას იძლევა, რომ სასამართლო დოკუმენტები პირდაპირ გადაეგზავნოთ უშუალოდ კერძო პირებს, ვისაც ეს დოკუმენტები ეხება. იმავე შეთანხმების 53-ე მუხლი ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოების იუსტიციურ ორგანოებს შორის სამართლებრივი დახმარების შესახებ თხოვნის უშუალოდ გაცვლას.

სამართლებრივი დახმარების სფეროში მანამდე არსებული ევროპული სტანდარტების შემდგომ განვითარებას წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ 2000 წლის 29 მაისის შეთანხმება. სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროსაბჭოს კონვენციასთან შედარებით, მას ახასიათებს მთელი რიგი ნოვაციები:

– სამართლებრივი დახმარების განვრცობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების

---

[1] ამის შესახებ იხ. *Weigend*, JuS 2000, 105.

[2] შეად. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 447-448.

[3] ამ ტერმინს იყენებს, მაგალითად, *ჰეკერი*. იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 448.

[4] ამის შესახებ იხ. *Epiney*, EuZW 2003, 422.

მიმართ განხორციელებულ დევნაზე, რომელიც მოწესრიგებულია შეთანხმების მე-3 მუხლით. ამ ნორმამ შეცვალა შენგენი II შეთანხმების 49-ე a მუხლი;

– თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს სამართლით დადგენილი ვადები და ფორმა. ეს საკითხი მოწესრიგებულია შეთანხმების მე-4 მუხლით. ამით ევროკავშირის დონეზე შემოღებულ იქნა ე.წ. *„forum regit actum*-პრინციპი, ნაცვლად მანამდე მოქმედი *„locus regit actum*-პრინციპისა[1].

– დოკუმენტების უშუალოდ გადაგზავნის პრინციპი. ეს საკითხი მოცემულია შეთანხმების მე-5 მუხლში. მან შეცვალა შენგენი II შეთანხმების 52-ე მუხლი;

– უშუალო საქმიანი ურთიერთობების დამყარების პრინციპი. ეს საკითხი მოწესრიგებულია შეთანხმების მე-6 მუხლით, რომელმაც შეცვალა შენგენი II შეთანხმების 53-ე მუხლი.

– ინფორმაციის გაცვლა თხოვნის გარეშე. ეს საკითხი მოცემულია შეთანხმების მე-7 მუხლში;

– დაპატიმრებული პირების დროებითი გადაცემის განხორციელება გამოძიების მიზნებისათვის, რომელიც მოწესრიგებულია შეთანხმების მე-9 მუხლით;

– მოწმეთა და ექსპერტთა დაკითხვა ვიდეო ან სატელეფონო კონფერენციების გამოყენებით. ამის შესახებ მოცემულია შეთანხმების მე-10 მუხლში;

– საკონტროლო მიწოდების განხორციელების შესაძლებლობა, რომელიც მოწესრიგებულია შეთანხმების მე-12 მუხლით;

– საერთო საგამოძიებო ჯგუფების შექმნა და საქმიანობა, რომელიც წარმოადგენს შეთანხმების მე-13 მუხლით გათვალისწინებულ წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობის ფორმას;

– საიდუმლო საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესაძლებლობა, რაც გათვალისწინებულია შეთანხმების მე-14 მუხლით;

– ტელესაკომუნიკაციო საშუალებების მიყურადების საკითხი მოწესრიგებულია შეთანხმების მე-17 მუხლით;

– დაბოლოს, პერსონალური მონაცემების დაცვის რეგულირებას ეძღვნება შეთანხმების 23-ე მუხლი.

ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი დახმარების შემდგომ განვითარებას ისახავს მიზნად 2001 წლის 16 ოქტომბერს ევროპის კავშირის საბჭოს მიერ მიღებული ახალი სამართლებრივი აქტი – სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ შეთანხმების ოქმი, რომელიც საჭიროებს წევრ სახელმწიფოთა მხრიდან რატიფიკაციას. იგი უფრო აადვილებს და განავრცობს წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობას სისხლის სამართლის საქმეებზე. სხვა სიახლეებთან ერთად, იგი ზღუდავს ფისკალური და პოლიტიკური დანაშაულებისათვის დათქმების გაკეთების შესაძლებლობას, ითვალისწინებს საბანკო ინფორმაციების მიღების შესახებ სპეციალურ წესებს და იუსტიციური თანამშრომლობის დაწესებულების – ევროიუსტის აქტიურ ჩართვას სამართლებრივი დახმარების პროცესში.[2]

---

[1] ამის შესახებ იხ. *Lagodny*, Spinellis-FS, 2002, გვ. 641. შეად. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 450

[2] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 450.

1. სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროკავშირის შეთანხმება

2000 წლის 29 მაისის ევროკავშირის საბჭოს სამართლებრივი აქტი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ შეთანხმების შექმნის თაობაზე[1]

ევროპის კავშირის საბჭომ, ევროპის კავშირის ხელშეკრულების საფუძველზე, განსაკუთრებით მის 31-ე a და 34-ე II d მუხლებზე დაყრდნობით, წევრ სახელმწიფოთა ინიციატივითა და ამ საკითხზე ევროპული პარლამენტის მიერ 2000 წლის 17 თებერვალს პოზიციის გამოხატვის შემდეგ, წარმოადგინა შეთანხმება, რომელიც 2000 წლის 29 მაისს წევრი სახელმწიფოების მთავრობათა წარმომადგენლების მიერ იქნა ხელმოწერილი. საბჭომ მიიჩნია, რომ კავშირის მიზნების უკეთ განხორციელების მიზნით, უნდა განმტკიცებულიყო სისხლის სამართლის საქმეებზე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი დახმარების ნორმატიული საფუძვლები. ამასთან, მან ურჩია წევრ სახელმწიფოებს, მათი კონსტიტუციური დებულებების შესაბამისად მოეხდინათ შეთანხმებასთან შეერთება, რომელიც აქვე წარმოდგენილია დანართის სახით.

ევროკავშირის წარმოდგენილი შეთანხმება წევრ სახელმწიფოთა შორის სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ ძალაში შევიდა 2005 წლის 23 აგვისტოს მერვე წევრი სახელმწიფოს მიერ რატიფიკაციის შედეგად.

ამ შეთანხმებამ და მისმა ოქმმა შეცვალეს შენგენი II შეთანხმების ზოგიერთი ნორმა, როგორც ეს მითითებულია წარმოდგენილი შეთანხმების მე-2 მუხლის მე-2 აბზაცსა და მისი დამატებითი ოქმის მე-8 მუხლის მე-3 აბზაცში.

დანართი:

შეთანხმება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ

(მიღებულია ევროკავშირის საბჭოს მიერ ევროპის კავშირის ხელშეკრულების 34-ე მუხლის შესაბამისად)

შეთანხმების პრეამბულაში აღნიშნულია, რომ წევრ სახელმწიფოთა მიერ ამ სამართლებრივი აქტის მიღების მიზანია, რომ გაუმჯობესდეს სისხლის სამართლის საქმეებზე იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის, ისე, რომ არ დაზიანდეს პიროვნების თავისუფლების დაცვის შესახებ დებულებები. იგი შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა 1950 წლის ევროპული კონვენციის პრინციპებთან. ამასთან, ეს შეთანხმება წარმოადგენს ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი სისხლის სამართლის

---

[1] იხ. ABl. C197, 12. 07. 2000.

ინგლისურად: Council Act of 29 May 2000 establishing in accordance with Article 34 of the Treaty on European Union the Convention on Mutual Assistance in Criminal Matters between the Member States of the European Union.

გერმანულად: Rechtsakt des Rates vom 29. Mai 2000 über die Erstellung des Übereinkommens – gemäß Artikel 34 des Vertrags über die Europäische Union – über die Rechtshilfe in Strafsachen zwischen den Mitgliedstaaten der Europäischen Union.

საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ 1959 წლის 20 აპრილის კონვენციის სამართლებრივი ნორმების განვითარებას ევროკავშირის სამართლებრივი სივრცისათვის, რომლის წევრ სახელმწიფოთა შორის არსებობს ნდობის უფრო მაღალი ხარისხი, ვიდრე ევროსაბჭოს ფარგლებში.

ამ შეთანხმების ცალკეული მუხლების შინაარსი ასეთია:

სათაური I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1 სამართლებრივი დახმარების შესახებ სხვა შეთანხმებებთან მიმართება

(1) ამ შეთანხმების მიზანია შემდეგი დებულებების შევსება და მათი გამოყენების გაადვილება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის:

a) 1959 წლის 20 აპრილის ევროპული კონვენცია სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ (შემდგომში: „სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროპული კონვენცია"),

b) სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ კონვენციის 1978 წლის 17 მარტის დამატებითი ოქმი,

c) სისხლის სამართლის საქმეებზე დახმარების შესახებ დებულებები, რაც გამომდინარეობს 1990 წლის 19 ივნისის შეთანხმებიდან 1985 წლის 14 ივნისის შენგენის შეთანხმების განხორციელების შესახებ (შემდგომში: „შენგენის განხორციელების შესახებ შეთანხმება"), რომელიც ეხება საერთო საზღვრების ეტაპობრივ გაუქმებას, თუ ესა თუ ის დებულება მე-2 მუხლის მე-2 აბზაცით არ არის გაუქმებული.

d) 1962 წლის 27 ივნისის შეთანხმების მე-2 თავი, რომელიც გაფორმებულია ბელგიის სამეფოს, ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოსა და ნიდერლანდების სამეფოს შორის, დაკავშირებული ექსტრადიციასთან და სამართლებრივ ურთიერთდახმარებასთან სისხლის სამართლის საქმეებზე, რომელიც შეცვლილ იქნა 1974 წლის 11 მაისის ოქმით (შემდგომში: „ბენელუქსის შეთანხმება") და მოქმედებს ბენელუქსის ეკონომიკური კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში.

(2) ეს შეთანხმება ხელშეუხებელს ტოვებს როგორც წევრ სახელმწიფოებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით დადგენილი უფრო ხელსაყრელი დებულებების გამოყენებას, ასევე სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროპული კონვენციის 26-ე მუხლის მე-4 აბზაცით გათვალისწინებულ ერთიანი სამართლებრივი ნორმების ან განსაკუთრებული სისტემის საფუძველზე სუვერენულ ტერიტორიებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ ღონისძიებების ორმხრივად გამოყენების წესს.

მუხლი 2 დებულებები, დაკავშირებული „შენგენის მფლობელობასთან"

(1) მე-3, მე-5, მე-6, მე-7, მე-12 და 23-ე მუხლები, აგრეთვე, თუ მე-12 მუხლისთვის მნიშვნელოვანია, მე-15 და მე-16 მუხლები, ასევე, თუ აღნიშნული მუხლებისთვის მნიშვნელოვანია, 1-ლი მუხლი, შეიცავენ ღონისძიებებს, რომლებიც ევროპის კავშირის საბჭოს და ისლანდიის რესპუბლიკასა და ნორვეგიის სამეფოს შორის ამ ორივე სახელმწიფოს შენგენის მფლობელობის იმპლემენტაციის, გამოყენებისა და განვითარების შესახებ ასოცირების ხელშეკრულების დანართში მოცემულ დებულებებს ცვლიან ან შესაბამისად მათ ეფუძნებიან.

(2) შენგენის განხორციელების შესახებ შეთანხმების 49-ე მუხლის a) ასო, ასევე 52-ე, 53-ე, და 73-ე მუხლები ამით გაუქმებულად ცხადდება.

მუხლი 3 პროცესები, რომლებზეც, ასევე სამართლებრივი დახმარება ხორციელდება

(1) სამართლებრივი დახმარების გაწევა ხდება, აგრეთვე პროცესებში იმ ქმედებების გამო, რომლებიც თხოვნის გამგზავნი ან თხოვნის მიმღები ან ორივე ამ სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლით, ადმინისტრაციული უწყებების მიერ ისე ისჯება, როგორც სამართალდარღვევა და რომელთა გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეებზე უფლებამოსილ სასამართლოს შეიძლება მიემართოს.

(2) სამართლებრივი დახმარება ხდება, ასევე სისხლის სამართლის პროცესში და იმ პროცესებში, რომლებიც დაკავშირებულია პირველ აბზაცში გათვალისწინებულ იმ დანაშაულებთან და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან, რომელთა გამოც თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში იურიდიული პირი პასუხისმგებლობაში შეიძლება მიეცეს.

მუხლი 4 სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ თხოვნის შესრულების ფორმა და პროცესი

(1) იმ შემთხვევებში, როდესაც ხორციელდება სამართლებრივი დახმარება, თხოვნის მიმღები სახელმწიფო იცავს თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს მიერ მითითებულ ფორმასა და პროცესს, თუკი თავად ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და თუკი მითითებული ფორმის შესახებ ნორმები და პროცესი არ არღვევს თხოვნის მიმღები სახელმწიფოს სამართლის ძირითად პრინციპებს.

(2) თხოვნის მიმღები სახელმწიფო სამართლებრივ დახმარებაზე მიღებულ თხოვნას შეძლებისდაგვარად მოკლე დროში ასრულებს, ამასთან იგი შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს მიერ დადგენილ პროცესუალურ და სხვა ვადებს. თხოვნის გამგზავნი სახელმწიფო უთითებს საფუძვლებს მის მიერ დადგენილი ვადისთვის.

(3) თუკი თხოვნის მიმღები სახელმწიფო თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს მოთხოვნების შესაბამისად თხოვნას ვერ ასრულებს ან სრულყოფილად ვერ ასრულებს, მაშინ ამის შესახებ დაუყონებლივ ეცნობება თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს უწყებებს. გარდა ამისა, ეცნობება ასევე ყველა ის პირობა, რომელიც ხელს შეუწყობს ამგვარი თხოვნის სისრულეში მოყვანას. თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოს უწყებასა და თხოვნის მიმღები სახელმწიფოს უწყებას შეუძლიათ, ერთმანეთში შეთანხმდნენ, თუ როგორ უნდა მოხდეს შემდგომი თხოვნის თაობაზე მიმართვის დამუშავება. ამასთან, მისი შედგენა ხდება ზემოთ მითითებული პირობების დაცვით.

(4) თუკი შესაძლებელია წინასწარ იმის განსაზღვრა, რომ მიღებული თხოვნის შესრულება თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს მიერ დადგენილ ვადაში ვერ შესრულდება და, ასევე მე-2 აბზაცის მე-2 წინადადებაში დასახელებული საფუძვლებიდან გამომდინარე, არსებობს ვარაუდი, რომ ყოველმა ამგვარმა დაყოვნებამ შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესს, მაშინ თხოვნის მიმღები წევრი სახლემწიფოს ორგანოები დაუყონებლივ ატყობინებენ თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოს შესრულების სავარაუდო ვადის შესახებ. თხოვნის მიმღები და თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოების უწყებებს შეუძლიათ, ერთმანეთში შეთანხმდნენ, თუ როგორ მოხდეს ასეთი თხოვნის შემდგომი შემუშავება.

მუხლი 5 საპროცესო დოკუმენტების გადაგზავნა და ჩაბარება

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო გადასცემს პირებს, რომლებიც სხვა წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე იმყოფებიან, მათთვის განსაზღვრულ პროცესუალურ დოკუმენტებს, უშუალოდ ფოსტის მეშვეობით.

(2) საპროცესო დოკუმენტები შესაძლებელია, თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მეშვეობით იქნეს მხოლოდ მაშინ გადაცემული, როცა

a) მიმღების მისამართი უცნობია ან ზუსტად არ არის ცნობილი,

b) თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს შესაბამისი საპროცესო ნორმები მოითხოვენ მიმღებისათვის დოკუმენტის გადაცემის თაობაზე სხვა სახეს, ვიდრე ეს საფოსტო გზითაა შესაძლებელი,

c) ფოსტით მიწოდება შეუძლებელია ან

d) თხოვნის გამგზავნ წევრ სახელმწიფოს ლეგიტიმური მიზეზები აქვს, განაცხადოს, რომ საფოსტო გზით მიზნის მიღწევა შეუძლებელია ან შეუსაბამოა.

(3) როცა არსებობს ინფორმაცია, რომ საბუთების მიმღებმა პირმა არ იცის ის ენა, რომელზეც შედგენილია დოკუმენტი, მაშინ აღნიშნული დოკუმენტი ან მისი არსებითი ნაწილი იმ წევრი სახელმწიფოს ენაზე ან მის ერთ-ერთ სახელმწიფო ენაზე უნდა იქნეს გადათარგმნილი, რომლის სუვერენულ ტერიტორიაზეც მიმღები იმყოფება. თუკი უწყებისთვის, რომელმაც საპროცესო დოკუმენტი შეადგინა, ცნობილია, რომ მიმღებმა მხოლოდ სხვა ენა იცის, მაშინ დოკუმენტი – ან სულ მცირე მისი არსებითი ნაწილი – ამ სხვა ენაზე უნდა ითარგმნოს.

(4) ყოველ საპროცესო დოკუმენტს თან ერთვის შენიშვნა, რომლიდანაც გამომდინარეობს, რომ მიმღებს დოკუმენტის გამცემ ან ამ წევრი სახელმწიფოს სხვა უწყებებში შეუძლია, მიიღოს ინფორმაცია, თუ რა უფლებები და მოვალეობები აქვს მას დოკუმენტთან მიმართებაში. მე-3 აბზაცი მოქმედებს, აგრეთვე აღნიშნული შენიშვნისთვის.

(5) ამ მუხლისაგან ხელშეუხებელი რჩება სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროპული კონვენციის მე-8, მე-9 და მე-12 მუხლებისა და ბენილუქსის შეთანხმების 32-ე, 34-ე და 35-ე მუხლების გამოყენება.

მუხლი 6 სამართლებრივი დახმარების შესახებ თხოვნის გადაცემა

(1) სამართლებრივი დახმარების შესახებ თხოვნა, ასევე ინფორმაციების გაცვლა ამგვარი თხოვნის არსებობის გარეშე, მე-7 მუხლის თანახმად, ხორციელდება წერილობით ან იმ საშუალებით, რომლის წერილობითი ვარიანტის შედგენა გარკვეული პირობებითაა შესაძლებელი და რომელიც მიმღებ წევრ სახელმწიფოს დოკუმენტის ნამდვილობის დადგენის საშუალებას აძლევს. ამ თხოვნის გადაცემა ხდება უშუალოდ იუსტიციის ორგანოებს შორის, რომლებიც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობიდან და მისი შესრულების უფლებიდან გამომდინარე, ტერიტორიულად კომპეტენტურები არიან. იმავე გზით ხდება პასუხის უკან დაბრუნებაც, თუკი ამ მუხლში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

წევრი სახელმწიფოს განცხადებები სისხლისსამართლებრივი დევნის სხვა წევრი სახელმწიფოს სასამართლოს მეშვეობით დაწყების მიზნით, რაც გამომდინარეობს სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროპული შეთანხმების 21-ე მუხლის და ბენილუქსის ხელშეკრულების 42-ე მუხლის შინაარსიდან, შესაძლებელია კომპეტენტურ იუსტიციის უწყებებს შორის უშუალოდ განხორციელდეს.

(2) პირველი აბზაცი ხელშეუხებელს ტოვებს შესაძლებლობას, რომ თხოვნების გადაგზავნა ან დაბრუნება განსაკუთრებულ შემთხვევებში განხორციელდეს

a) წევრი სახელმწიფოების ცენტრალურ უწყებებს, ან

b) ერთი წევრი სახელმწიფოს იუსტიციური უწყებასა და სხვა წევრი სახელმწიფოს ცენტრალურ უწყებას შორის.

(3) პირველი აბზაცის გაუთვალისწინებლად, გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიას შეუძლიათ ნოტიფიკაციისას 27-ე მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად განაცხადონ. რომ მათდამი მიმართული თხოვნები და შეტყობინებები განცხადებაში მითითებული წესით ცენტრალური უწყების მეშვეობით იქნეს გადაცემული. ამ წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ნებისმიერ დროს შემდგომი განაცხადის მეშვეობით წინარე განაცხადის გამოყენების სფერო შეზღუდონ. ისინი ამ მეთოდით მოქმედებენ, როცა მათთვის შენგენის განხორციელების ხელშეკრულებაში მოცემული განსაზღვრებები სამართლებრივი დახმარების შესახებ ძალაში შევლენ.

ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, ზემოხსენებულ განმარტებებთან მიმართებაში გამოიყენოს ორმხრივობის პრინციპი.

(4) შესაძლებელია, ყველა სამართლებრივი დახმარების თხოვნა გადაუდებელ შემთხვევებში ინტერპოლის ან სხვა მსგავსი ორგანოების მეშვეობით განხორციელდეს, თუკი ისინი ამის უფლებამოსილებებს ევროპის კავშირის ხელშეკრულების შესაბამისად ფლობენ.

(5) თუკი მე-12, მე-13, მე-14 მუხლების თანახმად თხოვნის შემთხვევაში, კომპეტენტური უწყებებიდან საქმე ეხება ერთ წევრ სახელმწიფოში იუსტიციურ უწყებას ან ცენტრალურ უწყებას და სხვა წევრ სახელმწიფოში პოლიციის ან საბაჟო უწყებას, მაშინ ეს თხოვნები და მისი შესაბამისი პასუხები უშუალოდ ამ უწყებებს შორის უნდა გადაიცეს. აღნიშნული კონტაქტების დროს გამოიყენება მე-4 აბზაცი.

(6) თუკი იმ სამართლებრივი დახმარების შესახებ თხოვნის შემთხვევაში, რომელსაც საფუძვლად უდევს მე-3 მუხლის 1-ლი აბზაცით გათვალისწინებული ქმედებები, კომპეტენტური უწყებებიდან საქმე ეხება ერთ წევრ სახელმწიფოში იუსტიციურ უწყებას ან ცენტრალურ უწყებას და სხვა წევრ სახელმწიფოში ადმინისტრაციულ უწყებას, მაშინ ეს თხოვნები და მისი შესაბამისი პასუხები უშუალოდ ამ უწყებებს შორის უნდა გადაიცეს.

(7) ყოველ წევრ სახელმწიფოს, 27-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად ნოტიფიკაციისას, შეუძლია განმარტება გააკეთოს, რომ ის მე-5 ბაზაცის პირველი წინადადებით ან მე-6 აბზაცით ან ამ ორივე ამ ნორმით თავს არ იბოჭავს, ან რომ ამ დებულებებს მხოლოდ მის მიერვე უფრო კონკრეტულად განსაზღვრული წინაპირობების არსებობის დროს გამოიყენებს. მსგავსი დათქმის უკან გამოთხოვა ან შეცვლა შესაძლებელია ნებისმიერ დროს.

(8) წევრი სახელმწიფოების ცენტრალური უწყებების მეშვეობით გადაიცემა შემდეგი თხოვნები ან შეტყობინებები:

a) თხოვნა დაპატიმრებული პირების დროებითი გადაყვანის ან ტრანზიტის შესახებ, ამ შეთანხმების მე-9 მუხლის, სამართლებრივი დახმარების ევროპული შეთანხმების მე-11 მუხლისა და ბენილუქსის შეთანხმების 33-ე მუხლის თანახმად;

b) როცა საქმე ეხება რეესტრიდან პირის ნასამართლეობის შესახებ ამონაწერს, სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროპული შეთანხმების 22-ე მუხლისა და ბენილუქსის შეთანხმების 43-ე მუხლის შესაბამისად. თხოვნა განაჩენებისა და ღონისძიებების ასლების გადაცემასთან დაკავშირებით, რაც გამომდინარეობს სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროპული შეთანხმების დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის შინაარსიდან, შესაძლებელია, კომპეტენტურ უწყებებს შორის განხორციელდეს პირდაპირ.

მუხლი 7 ინფორმაციის გაცვლა თხოვნის გარეშე

(1) შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დებულებების ფარგლებში, კომპეტენტურ უწყებებს შეუძლიათ, ამასთან დაკავშირებული თხოვნის გარეშე გაცვალონ ინფორმაციები დანაშაულებზე და მე-3 მუხლის 1-ლი აბზაცით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, რომელთა დასჯა ან დამუშავება იმ დროს, როცა ინფორმაციის გადაცემა ხდება, მიმღები უწყების უფლებამოსილებათა სფეროს განეკუთვნება.

(2) გადამცემ უწყებას შეუძლია, თავისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისად დაადგინოს პირობები მიმღები უწყებების მიერ აღნიშნული ინფორმაციების გამოყენებისთვის.

(3) მიმღები უწყება შებოჭილია ამ პირობებით.

სათაური II
თხოვნა სამართლებრივი დახმარების სპეციფიკური ფორმების შესახებ

მუხლი 8 დაბრუნება

(1) თხოვნის მიმღებ წევრ სახელმწიფოს შეუძლია დანაშაულის შედეგად მიღებული საგნები თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს მიმართვის საფუძველზე და კეთილსინდისიერი მესამე პირის უფლებების დაურღვევლად გადასცეს თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოს კანონიერი მესაკუთრისათვის მათი უკან დაბრუნების მიზნით.

(2) სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროპული შეთანხმების მე-3 და მე-6 მუხლების, ასევე ბენილუქსის შეთანხმების 24-ე მუხლის მე-2 აბზაცისა და 29-ე მუხლის გამოყენებისას, თხოვნის მიმღები სახელმწიფო უფლებამოსილია, უარი თქვას ასეთ დაბრუნებაზე, კერძოდ, თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოსადმი მათი გადაცემის წინ ან შემდეგ, თუკი ამით საგნების დაბრუნება კანონიერი მესაკუთრისათვის გამარტივდება. კეთილსინდისერი მესამე პირების უფლებები ხელშეუხებელია.

(3) თუკი თხოვნის მიმღები სახელმწიფო უარს იტყვის საგნების დაბრუნებაზე, სანამ ის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოს მათ გადასცემს, იგი არ იყენებს უზრუნველყოფის ან სხვა მოთხოვნის უფლებას ამ საგნებთან მიმართებაში საგადასახადო ან საბაჟო ნორმების საფუძველზე.

უარი ამგვარი ქონების დაბრუნებაზე მე-2 აბზაცის თანახმად ხელშეუხებელს ტოვებს თხოვნის მიმღები სახელმწიფოს უფლებას კანონიერი მესაკუთრისგან გადასახადების ან მოსაკრებლების ამოღებაზე.

მუხლი 9 დაპატიმრებული პირების დროებით გადაცემა გამოძიების მიზნით

(1) წევრ სახელმწიფოს, რომელიც საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად საჭიროებს დაკავებული პირის მონაწილეობას და ამისათვის აუცილებელია მის სუვერენულ ტერიტორიაზე დაკავებულის ყოფნა, შესაძლებელია, აღნიშნული პირი დროებით გადაეცეს, თუ შესაბამისი წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური უწყებები შეთანხმდებიან ამის თაობაზე.

(2) შეთანხმება მოიცავს პირის დროებითი გადაცემისა და მისი დროებით გადამცემი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკან დაბრუნების ვადის დეტალებს.

(3) თუკი აღნიშნულ პირის თანხმობა გადაცემაზე აუცილებელია, მაშინ თხოვნის

მიმღებ სახელმწიფოს დაუყონებლივ გადაეცემა პირის თანხმობის წერილი ან ამ წერილის ასლი.

(4) პირის პატიმრობა თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩაითვლება თავისუფლების აღკვეთის იმ ვადაში, რომელსაც ის თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ექვემდებარება ან დაექვემდებარება.

(5) სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროპული კონვენციის 11-ე მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცები, მე-12 და მე-20 მუხლები გამოიყენებიან ამ მუხლის მიმართ.

(6) 27-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად ნოტიფიკაციისას, ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, გააკეთოს დათქმა, რომ 1-ლი აბზაცის თანახმად შეთანხმების დასადებად ზოგადად ან განაცხადში დასახელებული განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას, მე-3 აბზაცის შესაბამისად თანხმობა აუცილებელია.

მუხლი 10 დაკითხვა ვიდეოკონფერენციის მეშვეობით

1) თუკი პირი იმყოფება წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე და საჭიროა მისი, როგორც მოწმის ან ექსპერტის სხვა წევრი სახელმწიფოს იუსტიციის ორგანოს მიერ დაკითხვა, მაშინ ამ უკანასკნელ სახელმწიფოს შეუძლია, თუკი დასაკითხი პირის პირადი გამოჩენა თავის სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე არ არის მიზანშეწონილი ან შესაძლებელი, თხოვნით მიმართოს მეორე წევრ სახელმწიფოს მე-2-მე-8 აბზაცების შესაბამისად ამ პირის ვიდეოკონფერენცის მეშვეობით დაკითხვის შესახებ.

(2) თხოვნის მიმღები სახელმწიფო თანხმობას აცხადებს დაკითხვის ასეთ ფორმაზე, როცა ასეთი მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება მისი სამართლებრივი წეს-წყობილების პრინციპებს და იგი აღჭურვილია ამგვარი დაკითხვის ჩატარებისთვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით. თუკი თხოვნის მიმღები სახელმწიფო არ არის აღჭურვილი ამგვარი ტექნიკით, მაშინ შესაძლებელია, ამ სახელმწიფოს თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ტექნიკა გადაეცეს, თუ ამაზე ორივე მხარე თანახმაა.

(3) თხოვნა პირის ვიდეოკონფერენციით დაკითხვის შესახებ, სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროპული კონვენციის მე-14 მუხლსა და ბენილუქსის შეთანხმების 37-ე მუხლში დასახელებული მონაცემების გარდა, შეიცავს დასაბუთებას იმის შესახებ, რომ დასაკითხი მოწმის ან ექსპერტის პირადი გამოჩენა არ არის მიზანშეწონილი ან შესაძლებელი, ასევე იუსტიციის უწყების აღწერასა და იმ პირების გვარებს, რომლებმაც აღნიშნული დაკითხვა უნდა განახორციელონ.

(4) თხოვნის მიმღები იუსტიციის მოხელეები იძახებენ დასაკითხ პირებს შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორმით.

(5) ვიდეოკონფერენციით დაკითხვის დროს მოქმედებს შემდეგი წესები:

a) დაკითხვას ესწრება თხოვნის მიმღები სახელმწიფოს იუსტიციის ორგანოს წარმომადგენელი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ეხმარება თარჯმანი. იუსტიციის უწყების თანამშრომელი ადასტურებს პირის იდენტურობას და იცავს თხოვნის მიმღები სახელმწიფოს სამართლებრივ პრინციპებს. თუკი მიმღები სახელმწიფოს იუსტიციის ორგანოს წარმომადგენლის შეხედულებით, დაკითხვისას ირღვევა თხოვნის მიმღები სახელმწიფოს სამართლებრივი პრინციპები, მაშინ იგი დაუყოვნებლივ იღებს ზომებს, რათა დაკითხვის შემდგომი მიმდინარეობა წარიმართოს ამ პრინციპების დაცვით.

b) საჭიროების შემთხვევაში, როგორც თხოვნის მიმღები, ისე გამგზავნი სახელმწიფოების კომპეტენტურ უწყებებს შორის ხდება დასაკითხი პირის დასაცავად ღონისძიებების შეთანხმება.

c) დაკითხვა ხორციელდება უშუალად თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს იუსტიციის უწყების მიერ ან მისი ხელმძღვანელობის ქვეშ, თავისი შიდასახელმწიფოებრივი ნორმების მიხედვით.

d) თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ან დასაკითხი პირის სურვილით, თხოვნის მიმღები სახელმწიფო ზრუნავს იმაზე, რომ დასაკითხი პირი, საჭიროების შემთხვევაში, თარჯიმნის დახმარებით დაიკითხოს.

e) დასაკითხმა პირმა შესაძლებელია, დაკითხვაზე უარი განაცხადოს, თუ მას ამის უფლება მინიჭებული აქვს თხოვნის გამგზავნი ან თხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით.

(6) პიროვნების დასაცავად შეთანხმებული შესაძლო ღონისძიებების დაურღვეველად, დაკითხვის დასრულებისას თხოვნის მიმღები სახელმწიფოს იუსტიციის უწყება ადგენს შესაბამის ოქმს, სადაც მითითებულ უნდა იქნეს დაკითხვის დრო, ადგილი, დასაკითხი პირის პირადი მონაცემები, დაკითხვაში მონაწილე ყველა პირის პარადი მონაცემები და ფუნქციები, შესაძლო ფიცის მიცემა, ასევე სხვა ტექნიკური პირობები, რომლებშიც ჩატარდა დაკითხვა. აღნიშნული დოკუმენტი თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტური უწყების მიერ გადაეცემა თხოვნის გამცემ სახელმწიფოს კომპეტენტურ უწყებას.

(7) ვიდეოკავშირის დასამყარებელი ხარჯები, თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში ვიდეოტრანსლაციის ხარჯები, თარჯიმნისადმი ასაზღაურებული ხარჯები და მოწმისა და ექსპერტისადმი მისაცემი კომპენსაცია, ასევე თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში მათი მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება თხოვნის მიმღები სახელმწიფოსათვის ხდება თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს მიერ, თუკი თხოვნის მიმღები სახელმწიფო მისთვის ამ ხარჯების ანაზღაურებაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარს არ იტყვის.

(8) ყოველი წევრი სახელმწიფო ატარებს საჭირო ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოს, რომ იმ შემთხვევებში, როცა მოწმეები ან ექსპერტები ამ მუხლის შესაბამისად იკითხებიან და, ჩვენების მიცემის ვალდებულების მიუხედავად, ჩვენების მიცემაზე უარს განაცხადებენ ან ცრუ ჩვენებას მისცემენ, თავისი შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ზუსტად ისე გამოიყენებოდეს, როგორც ეს შიდასახელმწიფოებრივი პროცესის დროს დაკითხვისას მოხდებოდა.

(9) წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, თავიანთი შეხედულების მიხედვით და საკუთარი უფლებამოსილი იუსტიციის ორგანოების თანხმობით, თუ ეს მიზანშეწონილია, ამ მუხლის განსაზღვრებები გაავრცელონ ბრალდებულთა დაკითხვაზეც. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება, თუ როგორ ფორმატში უნდა იქნეს დაკითხვა ვიდეოკონფერენციის მეშვეობით განხორციელებული, არის მონაწილე წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების საგანი. წევრი სახელმწიფოები მსგავსი სახის გადაწყვეტილებას იღებენ მათი შიდასახელმწიფოებრივი სამართლისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ 1950 წლის ევროპული კონვენციის მიხედვით.

ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, 27-ე მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად ნოტიფიკაციისას, განმარტოს, რომ იგი პირველ ქვეაბზაცს არ გამოიყენებს. მსგავსი დათქმა ნებისმიერ დროს შესაძლებელია, უკან იქნეს გამოთხოვილი.

დაკითხვის ჩატარება ნებადართულია მხოლოდ ბრალდებულის თანხმობით. მოცემულ შემთხვევაში აუცილებელ ბრალდებულის დასაცავად განკუთვნილ წესებს საბჭო გამოსცემს სამართლებრივი ძალის მქონე ინსტრუმენტის ფორმით.

მუხლი 11 მოწმისა და ექსპერტის დაკითხვა სატელეფონო კონფერენციის მეშვეობით

(1) თუკი პირი იმყოფება წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე და საჭიროა მისი, როგორც მოწმის ან ექსპერტის სხვა წევრი სახელმწიფოს იუსტიციის ორგანოს მიერ დაკითხვა, მაშინ ამ უკანასკნელ სახელმწიფოს შეუძლია, თუ ეს მისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებულია, თხოვნით მიმართოს მეორე წევრ სახელმწიფოს, მისცეს სატელეფონო კონფერენციის მეშვეობით დაკითხვის განხორციელების შესაძლებლობა, როგორც ეს მე-2-მე-5 აბზაცებით არის გათვალისწინებული.

(2) ამგვარი საშუალებით მოწმის ან ექსპერტის დაკითხა წარმოებს მხოლოდ მათი თანხმობით.

(3) თხოვნის მიმღები სახელმწიფო თანხმობას აცხადებს სატელეფონო კონფერენციის მეშვეობით დაკითხვის ფორმაზე, როცა ასეთი მოთხოვნა არ ეწინააღმდეგება მის ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

(4) სატელეფონო კონფერენციის მეშვეობით დაკითხვის თხოვნა შეიცავს სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროპული კონვენციის მე-14 მუხლსა და ბენილუქსის შეთანხმების 37-ე მუხლში დასახელებული მონაცემების გარდა, იუსტიციის უწყების დასახელებასა და იმ პირების გვარებს, რომლებმაც აღნიშნული დაკითხვა უნდა განახორციელონ, ასევე მონაცემებს იმის შესახებ, რომ მოწმე ან ექსპერტი სატელეფონო კონფერენციის მეშვეობით დაკითხვაზე თანახმაა.

(5) დაკითხვის პრაქტიკული გარემოებები არის შესაბამისი წევრი სახელმწიფოების შეთანხმების საგანი. ამასთან, თხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო ვალდებულებას იღებს,

a) შესაბამის მოწმეებს და ექსპერტებს შეატყობინოს დაკითხვის ადგილისა და დროის შესახებ,

b) მოახდინოს მოწმეებისა და ექსპერტების იდენტიფიკაცია,

c) შეამოწმოს, თანახმანი არიან თუ არა მოწმეები და ექსპერტები დაკითხვის ამგვარი ფორმით წარმოებაზე.

თხოვნის მიმღები სახელმწიფო უფლებამოსილია, თავისი თანხმობა მთლიანად ან ნაწილობრივ მე-10 მუხლის მე-5 აბზაცისა და მე-8 მუხლის შესამაბის დებულებებზე დამოკიდებული გახადოს. თუკი სხვა რამ არ არის შეთანხმებული, გამოიყენება მე-10 მუხლის მე-7 აბზაცი.

მუხლი 12 შემოწმებული გზავნილები

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ სხვა წევრი სახელმწიფოს თხოვნის საფუძველზე შემოწმებული გზავნილის მიწოდება სისხლისსამართლებრივი გამოძიების ფარგლებში, რომლებიც ექსტრადიციას დაქვემდებარებულ დანაშაულებს უკავშირდება, თავის სუვერენულ ტერიტორიაზე იყოს შესაძლებელი.

(2) გადაწყვეტილება შემოწმებული გზავნილის მიწოდების განხორციელების შესახებ მიიღება თითოეულ შემთხვევაში თხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყების მიერ, შიდასახელმწიფოებივი სამართლებრივი დებულებების დაცვით.

(3) შემოწმებული გზავნილის მიწოდება ხორციელდება თხოვნის მიმღების წევრი სახელმწიფოს პროცესის შესაბამისად. ჩარევის, ხელმძღვანელობისა და კონტროლის უფლებამოსილება გააჩნიათ ამ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ უწყებებს.

(1) შეთანხმების საფუძველზე, ორი ან მეტი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ უწყებებს შეუძლიათ, განსაზღვრული მიზნითა და შეზღუდული ვადით, რომელიც მხარეთა ურთიერთთანხმობით შეიძლება გაგრძელდეს, ჯგუფში მონაწილე ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე სისხლისსამართლებრივი საქმეების გამოძიებისთვის შექმნან ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფი. საგამოძიებო ჯგუფის შემადგენლობა მიეთითება შეთანხმებაში.

ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფები შეიძლება შეიქმნას, განსაკუთრებით,

a) როდესაც წევრ სახელმწიფოში დანაშაულების გამოვლენის მიზნით საგამოძიებო პროცესი სხვა წევრ სახელმწიფოებთან მიმართებაში რთული და ძვირადღირებული საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელებასთანაა დაკავშირებულია;

b) როდესაც რამდენიმე წევრი სახელმწიფო გამოძიებას ატარებს იმ დანაშაულების გამოვლენის მიზნით, რომლებიც საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, წევრი სახელმწიფოების კოორდინირებულ და შეთანხმებულ მოქმედებებს აუცილებლობით მოითხოვენ.

თხოვნის გაცხადება ამგვარი ერთობლივი საგამოძიებო ორგანოების შესაქმნელად შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოს. ჯგუფი იქმნება ერთ რომელიმე წევრ სახელმწიფოში, სადაც გამოძიებები სავარაუდოდ უნდა ჩატარდეს.

(2) ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის შექმნის შესახებ თხოვნა შეიცავს სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროპული კონვენციის მე-14 მუხლსა და ბენილუქსის შეთანხმების 37-ე მუხლში დასახელებული მონაცემების გარდა, ასევე წინადადებებს ჯგუფის შემადგენლობის თაობაზე.

(3) ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფი მოქმედებს ჯგუფში მონაწილე წევრი სახელმწიფოების სუვერენულ ტერიტორიაზე შემდეგი ზოგადი წინაპირობებით:

a) ჯგუფი იმართება პირის მეშვეობით, რომელიც არის სისხლისსამართლებრივ გამოძიების წარმოების ადგილის სახელმწიფოს კომპეტენტური უწყების წარმომადგენელი. ჯგუფის ხელმძღვანელი მოქმედებს თავისი შიდასახელმწიფოებრივი დებულებებით მინიჭებული უფლებამოსილებების შესაბამისად.

b) ჯგუფი ახორციელებს თავის საქმიანობას იმ წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, სადაც გამოძიება მიმდინარეობს. ჯგუფის წევრები თავიანთ დაკალებებს ასრულებენ a) ასოში დასახელებული პირის ხელმძღვანელობის ქვეშ, იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებიც დადგენილია მათ უწყებებს შორის ჯგუფის შექმნის მიზნით დადებული შეთანხმებით.

c) წევრი სახელმწიფო, სადაც ხდება ჯგუფის მოქმედება, ქმნის აუცილებელ საორგანიზაციო წინაპირობებს ამგვარი მუშაობისათვის.

(4) ამ მუხლიდან გამომდინარე, სხვა წევრი სახელმწიფოებიდან ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის წევრები, გარდა სამოქმედო სახელმწიფოს წარმომადგენლებისა, ითვლებიან ჯგუფში „წარგზავნილ“ წევრებად.

(5) ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფში წარგზავნილი წევრები უფლებამოსილი არიან, საგამოძიებო ღონისძიებების მიმდინარეობისას იმყოფებოდნენ სამოქმედო წევრ სახელმწიფოში. განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, ჯგუფის ხელმძღვანელს შეუძლია, იმ წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, სადაც ამგვარი ჯგუფის მოქმედება ხდება, აღნიშნული საკითხი სხვაგვარად გადაწყვიტოს.

(6) იმ წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, სადაც ჯგუფის მოქმედება ხდება, ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფში წარგზავნილ წევრებს შეიძლება ჯგუფის ხელმძღვანელმა გარკვეული საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელება მიანდოს,

თუ არსებობს იმ წევრი სახელმწიფოს უწყების, სადაც მოქმედება ხდება და გამგზავნი სახელმწიფოს თანხმობა.

(7) თუკი ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფს სჭირდება საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც ჯგუფის შემქმნელ ერთ რომელიმე წევრ სახელმწიფოში უნდა განხორციელდეს, მაშინ წევრი სახელმწიფოების მიერ ჯგუფში წარგზავნილ წევრებს შეუძლიათ მიმართონ თავისი ქვეყნის კომპეტენტურ უწყებებს ამ ღონისძიებების მისაღებად. საკითხი შესაბამის წევრ სახელმწიფოში წყდება იმგვარად, როგორც ეს შიდასახელმწიფოებრივი გამოძიების ფარგლებში მოხდებოდა.

(8) თუკი ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფი საჭიროებს იმ წევრი სახელმწიფოს დახმარებას, რომელიც ამ ჯგუფის წევრი არ არის, ან კიდევ მესამე სახელმწიფოს მხარდაჭერას, მაშინ სამოქმედო სახელმწიფოს კომპეტენტურ უწყებებს, შესაბამისი ხელშეკრულების ან შეთანხმების თანახმად, შეუძლიათ სამართლებრივი დახმარების თხოვნა სხვა შესაბამისი სახელმწიფოს კომპეტენტურ უწყებებს გადასცენ.

(9) ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის წევრი უფლებამოსილია, საკუთარი სახელმწიფოს სამართლებრივი დებულებების თანახმად და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ჯგუფს წარუდგინოს ის ინფორმაციები, რომლებსაც ფლობს მისი წარმგზავნი წევრი სახელმწიფო, წარმოებული სისხლისსამართლებრივი გამოძიების მიზნებიდან გამომდინარე.

(10) წევრისგან ან წარგზავნილი წევრისგან საგამოძიებო ჯგუფში მისი მონაწილეობის პერიოდში კანონიერი გზით მიღებული ინფორმაციები, რომლებიც შესაბამისი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყებისთვის სხვაგვარად ხელმიუწვდომელია, შესაძლებელია შემდეგი მიზნით იქნეს გამოყენებული:

a) იმ მიზნებისთვის, რომლებისთვისაც ჯგუფი შეიქმნა;

b) სხვა დანაშაულის გამოსავლენად, მის გამოსაძიებლად და სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად, იმ წევრი სახელმწიფოს წინასწარი თანხმობის პირობით, საიდანაც ეს ინფორმაციები იქნა მიღებული. ეს თანხმობა შესაძლებელია, არ იქნეს გაცემული მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა მისმა გამოყენებამ შესაძლოა, ზიანი მიაყენოს სისხლისსამართლებრივი გამოძიების პროცესის მიმდინარეობას შესაბამის სახელმწიფოში, ან იმ შემთხვევებში, როცა ამ სახელმწიფოს შეეძლო უარი ეთქვა სამართლებრივი დახმარების გაწევაზე.

c) საჯარო უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული რეალური და უშუალო საფრთხისაგან დასაცავად და, b) ასოს დაურღვევლად, თუ ამას სისხლისსამართლებრივი გამოძიების დაწყება მოყვება;

d) აგრეთვე სხვა მიზნებითაც, თუკი ეს იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებმაც ამგვარი ჯგუფი შექმნეს, ურთიერთშეთანხმებულია.

(11) სხვა მოქმედ დებულებებსა და შეთანხმებებს ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების შექმნისა და მათი გამოყენების შესახებ ეს მუხლი ხელშეუხებელს ტოვებს.

(12) თუკი შესაბამისი წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი აქტები ან ამ სახელმწიფოებს შორის გამოყენებადი შეთანხმებები უფლებას იძლევიან, შესაძლებელია შეთანხმებულ იქნეს, რომ ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების საქმიანობაში მონაწილეობა მიიღონ პირებმა, რომლებიც არ არიან იმ წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლები, რომლებმაც ჯგუფები შექმნეს. ამასთან, აქ შესაძლებელია საქმე ეხებოდეს, მაგალითად, ევროკავშირის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი დაწესებულებების მუშაკებს. ჯგუფის წევრებისთვის ან წარგზავნილი წევრებისთვის ამ მუხლით მინიჭებული უფლებები არ მოქმედებს ამ პირებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი შეთანხმებით პირდაპირ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 14 ფარული გამოძიებები

(1) თხოვნის გამგზავნ და თხოვნის მიმღებ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ერთმანეთში შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთს დაეხმარებიან სისხლისსამართლებრივი გამოძიებების პროცესში ფარულად ან ყალბი იდენტურობით მოქმედი მოხელის მეშვეობით (ფარული გამოძიება).

(2) გადაწყვეტილება ამგვარი თხოვნის შესახებ მიიღება თითოეულ შემთხვევაში თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტური უწყებების მიერ, ამ წევრი სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად. ფარული გამოძიების ხანგრძლივობა, ზუსტი წინაპირობები და ფარული გამოძიებებისას შესაბამისი მოხელეების სამართლებრივი სტატუსი გადაწყდება სახელმწიფოთა შეთანხმების საფუძველზე, ამ წევრი სახელმწიფოების შიდასახელმწიფოებრივი ნორმების დაცვით.

(3) ფარული გამოძიება იწარმოება იმ წევრი სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დებულებებისა და პროცესის შესაბამისად, რომლის სუვერენულ ტერიტორიაზეც იგი ტარდება. მონაწილე წევრი სახელმწიფოები თანამშრომლობენ, რათა ფარული გამოძიების მომზადება და მისი ზედამხედველობა უზრუნველყოფილ იქნეს და, ასევე ფარულად ან ყალბი იდენტურობით მოქმედი მოხელის უსაფრთხოებისთვის მიღებული იქნეს სათანადო ზომები.

(4) 27-ე მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად ნოტიფიკაციისას, ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, განმარტოს, რომ ის არ იბოჭება წინამდებარე მუხლით. მსგავსი განმარტება წევრ სახელმწიფოს შეუძლია ნებისმიერ დროს უკან გაითხოვოს.

მუხლი 15 მოხელეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

მე-12, მე-13 და მე-14 მუხლებით გათვალისწინებული მოქმედებებისას, არა იმ წევრი სახელმწიფოს მოხელეები, სადაც მოქმედებები ხორციელდება, დანაშაულებთან მიმართებაში, რომლებიც მათ წინააღმდეგ ან მათ მიერ იქნა ჩადენილი, გათანაბრებულნი არიან იმ წევრი სახელმწიფოს მოხელეებთან, სადაც მიმდინარეობს მოქმედება.

მუხლი 16 მოხელეთა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა

(1) მე-12, მე-13, და მე-14 მუხლების თანახმად, როცა წევრი სახელმწიფოს მოხელეები სხვა წევრ სახელმწიფოში მოქმედებენ, პასუხს აგებს პირველი წევრი სახელმწიფო თავისი მოხელის მოქმედებით გამოწვეული ზიანისთვის იმ წევრი სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც მოქმედებები ხორციელდება.

(2) წევრი სახელმწიფო, რომლის სუვერენულ ტერიტორიაზე პირველ აბზაცში დასახელებული ზიანი იქნა გამოიწვეული, ანაზღაურებს მას ისე, როგორც მას იგი აანაზღაურებდა თავისი მოხელის მიერ ზიანის გამოწვევის შემთხვევაში.

(3) წევრი სახელმწიფო, რომლის მოხელის მოქმედებამ სხვა წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე ზიანი გამოიწვია, უხდის ამ წევრ სახელმწიფოს ზიანის ასანაზღაურებლად სრული მოცულობით იმ თანხას, რომელიც მან დაზარალებულს ან მის სამართალმემკვიდრეს აუნაზღაურა.

(4) მესამე პირის უფლებების დაურღვევლად და მე-3 აბზაცის გამოკლებით, ყოველი წევრი სახელმწიფო უარს ამბობს პირველი აბზაცის შემთხვევაში სხვა სახელმწიფოს მიმართ მოთხოვნის უფლების განხორციელებაზე მიყენებული ზიანის საფუძვლით.

სათაური III
ტელეკომუნიკაციის საშუალებებზე თვალთვალი

მუხლი 17 ტელეკომუნიკაციის საშუალებებზე თვალთვალის დაწესებაზე უფლებამოსილი ორგანო

მე-18, მე-19 და მე-20 მუხლების გაგებით, ტერმინი: „უფლებამოსილი ორგანო“ აღნიშნავს იუსტიციურ ორგანოს, ან თუ იუსტიციის ორგანოებს არა აქვთ კომპეტენცია ამ დებულებებით მოცულ სფეროებში, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც დასახელებულია 24-ე მუხლის პირველი აბზაცის e) ასოს შესაბამისად და საქმიანობს სისხლისსამართლებრივი გამოძიების მიზნით.

მუხლი 18 ტელეკომუნიკაციის საშუალებებზე თვალთვალის შესახებ თხოვნა

(1) თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს კომპეტენტურ უწყებას შეუძლია, თავისი შიდასახელმწიფოებრივი ნორმების შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი გამოძიების მიზნით, თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტურ უწყებას მიმართოს თხოვნით, რათა

a) განხორციელდეს ტელეკომუნიკაციის საშუალებებზე თვალთვალი და ამ მონაცემები უშუალოდ მიწოდებულ იქნეს თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოსთვის, ან

b) განხორციელდეს თვალთვალი, ჩაწერა და ტელეკომუნიკაციის ჩაწერილი მასალები გადაეცეს თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოს.

(2) თხოვნა 1-ლი აბზაცის მიხედვით შესაძლებელია, დაყენებულ იქნეს კონკრეტული პირის მიერ ტელეკომუნიკაციის საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, როცა ეს პირი იმყოფება

a) თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მას ესაჭიროება თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ტექნიკური დახმარება, რათა კონკრეტული პირის მიერ ტელეკომუნიკაციის საშუალებების გამოყენებაზე განხორციელდეს თვალთვალი;

b) თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე და როცა ამგვარი თვალთვალი ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესაძლებელია;

c) მესამე წევრ სახელმწიფოში, რომელსაც მე-20 მუხლის მე-2 აბზაცის a) ასოს თანახმად, საქმის ვითარების შესახებ ეცნობა და თხოვნის გამგზავნი სახელმწიფო თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ტექნიკურ დახმარებას საჭიროებს, რათა კონკრეტული პირის კომუნიკაციის საშუალებებზე განხორციელდეს თვალთვალი.

(3) სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროპული კონვენციის მე-14 მუხლისა და ბენილუქსის შეთანხმების 37-ე მუხლისგან განსხვავებით, თხოვნა ამ მუხლის მიხედვით უნდა შეიცავდეს:

a) იმ ორგანოს მონაცემებს, რომელიც ამგვარ თხოვნას აკეთებს;

b) დადასტურებას, რომ გაცემულია მართლზომიერი განკარგულება თვალთვალის შესახებ სისხლისსამართლებრივ გამოძიებასთან კავშირში;

c) სამიზნე პირის მონაცემებს იდენტიფიკაციის მიზნით;

d) მონაცემებს დანაშაულის შესახებ, რის საფუძველზეც დაწყებულია გამოძიება;

e) თვალთვალის სასურველ ხანგრძლივობას;

f) შეძლებისდაგვარად, საკმარის ტექნიკურ მონაცემებს, განსაკუთრებით ქსელში ჩართვის ნომერს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს თხოვნის შესრულება.

(4) ამ მუხლის მე-2 აბზაცის b) ასოს შესაბამისად თხოვნის შემთხვევაში, თხოვნა,

ასევე მოკლედ უნდა შეიცავდეს საქმის ვითარების მოკლე აღწერას. თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია, ასევე მოითხოვოს ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რათა შეძლოს შეფასების გაკეთება, გაატარებდა თუ არა თხოვნაში მითითებული ღონისძიებას ანალოგიურ შიდასახელმწიფოებრივ შემთხვევაში.

(5) თხოვნის მიმღები სახელმწიფო ვალდებულია, შეასრულოს თხოვნა 1-ლი აბზაცის a) ასოს შესაბამისად:

a) თხოვნის შემთხვევებში მე-2 აბზაცის a) და c) ასოების შესაბამისად, მას შემდეგ, რაც იგი მე-3 აბზაცში დასახელებულ ინფორმაციებს მიიღებს. თხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო უფლებამოსილია, თვალთვალი ყოველგვარი შემდგომი ფორმალობების გარეშე განახორციელოს;

b) თხოვნის შემთხვევებში მე-2 აბზაცის b) ასოს შესაბამისად, მას შემდეგ, რაც იგი მე-3 და მე-4 აბზაცებში აღწერილ ინფორმაციებს მიიღებს და თუკი იგი შუამდგომლობაში დასახალებულ ღონისძიებებს ანალოგიურ შიდასახელმწიფოებრივ შემთხვევასთან მიმართებაშიც განახორციელებდა. თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს შეუძლია, თავისი თანხმობა ამგვარი თხოვნის შესრულებაზე იმ წინაპირობებზე დამოკიდებული გახადოს, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულო იქნებოდა ანალოგიურ შიდასახელმწიფოებრივ შემთხვევასთან მიმართებაში.

(6) თუკი თხოვნის შემდგომი უშუალოდ გადაცემა შეუძლებელია, თხოვნის მიმღები სახელმწიფო ვალდებულია, თხოვნა 1-ლი აბზაცის b) ასოს თანახმად დააკმაყოფილოს მას შემდეგ, რაც იგი მე-3 და მე-4 აბზაცებში დასახელებულ ინფორმაციებს მიიღებს და თუკი ის შუამდგომლობაში დასახალებულ ღონისძიებებს ანალოგიურ შიდასახელმწიფოებრივ შემთხვევასთან მიმართებაშიც გაატარებდა. თხოვნის მიმღები სახელმწიფო უფლებამოსილია, თავისი თანხმობა ამგვარი თხოვნის შესრულებაზე იმ წინაპირობებზე დამოკიდებული გახადოს, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულო იქნებოდა ანალოგიურ შიდასახელმწიფოებრივ შემთხვევასთან მიმართებაში.

(7) 27-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად ნოტიფიკაციისას, წევრი სახელმწიფო უფლებამოსილია, განმარტოს, რომ იგი მე-6 აბზაცით მხოლოდ მაშინ იქნება შებოჭილი, როცა მას არ შეეძლება იზრუნოს თხოვნის უშუალოდ შემდგომ გადაცემაზე. ამ შემთხვევაში სხვა წევრ სახელმწიფოს შეუძლია ორმხრივობის პრინციპი გამოიყენოს.

(8) თუკი თხოვნა პირველი აბზაცის b) ასოს შესაბამისად არის გაცხადებული, თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოს შეუძლია, თუკი არსებობს განსაკუთრებული გარემოებები, აგრეთვე მოითხოვოს ჩანაწერის წერილობითი გადაცემა. თხოვნის მიმღები სახელმწიფო ამონწებს მსგავს თხოვნებს თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და პროცესის შესაბამისად.

(9) წევრი სახელმწიფო, რომელმაც ინფორმაციები მე-3 და მე-4 აბზაცების მიხედვით მიიღო, განიხილავს ამ ინფორმაციებს თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, სასიდუმლოდ.

მუხლი 19 ტელეკომუნიკაციების საშუალებებზე თვალთვალი საკუთარ სუვერენულ ტერიტორიაზე მომსახურების შემსრულებლების (პროვაიდერების) ჩართვით

(1) წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ მათ ტერიტორიაზე არსებული მიწისზედა სადგურების მეშვეობით მოქმედი სატელეკომუკაციო საშსახურების სისტემები, რომლებიც კანონიერი თვალთვალის მიზნით სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე მყოფი პირის

კომუნიკაციის საშუალებებზე უშუალოდ არ არიან ხელმისაწვდომი, კანონიერი თვალთვალის მიზნით ამ სახელმწიფოს მიერ ერთ-ერთი აღნიშნული პროვაიდერის მეშვეობით, რომელიც მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმყოფება, გახდეს ხელმისაწვდომი.

(2) პირველ აბზაცში აღნიშნულ შემთხვევაში კომპეტენტური უწყებები უფლებამოსილი არიან, სისხლისსამართლებრივი გამოძიების განხორციელების მიზნით, შიდა კანონმდებლობის შესაბამისად და თუკი სამიზნე პირი აღნიშნული წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე იმყოფება, განახორციელონ თვალთვალი იქ არსებული პროვაიდერის მეშვეობით, ისე რომ წევრი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც მიწისზედა სადგური იმყოფება, არ იქნეს ჩართული.

(3) მე-2 აბზაცი მოქმედებს, აგრეთვე, როცა თვალთვალი ხორციელდება მე-18 მუხლის მე-2 აბზაცის b) ასოს მიხედვით თხოვნის შესაბამისად.

(4) აღნიშნული მუხლი არ ზღუდავს წევრ სახელმწიფოს, იმ წევრ სახელმწიფოებს, რომლის სუვერენულ ტერიტორიაზე მიწისზედა სადგურები მდებარეობს, მე-18 მუხლის შესაბამისად, დააყენოს შუამდგომლობა ტელეკომუნიკაციის საშუალებებზე კანონიერი თვალთვალის განხორციელების შესახებ, განსაკუთრებით კი, მაშინ, როცა თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში სატელეკომუნიკაციო სადგური არ არის.

მუხლი 20 ტელეკომუნიკაციების საშუალებებზე თვალთვალი სხვა სახელმწიფოს ტექნიკური დახმარების გარეშე

(1) საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების, ასევე მე-18 მუხლის მე-2 აბზაცის c) ასოს დაურღვევლად, მოქმედებს ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები თვალთვალის წესების შესახებ, რომლებიც წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური უწყებების მიერ სისხლისსამართლებრივი გამოძიების პროცესისთვის არის გამოცემული ან ნებადართული; ამასთან, საქმე უნდა ეხებოდეს იმ გამოძიებებს, რომლებიც სპეციფიკური დანაშაულების ჩადენის გამო – დანაშაულის მცდელობების ჩათვლით, თუ ისინი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით დასჯას ექვემდებარება – ხორციელდება, რათა ამ ქმედებებზე პასუხისმგებელი პირები დადგინდნენ და დაკავებულ იქნენ, წარედგინოთ ბრალი, სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდეს მათ წინააღმდეგ ან გამოტანილ იქნეს გამამტყუნებელი განაჩენი.

(2) როცა სისხლისსამართლებრივი გამოძიების მიზნებიდან გამომდინარე, ტელეკომუნიკაციის საშუალებებზე თვალთვალი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყების მიერ არის ნებადართული და თვალთვალის შესახებ განკარგულებაში აღწერილი სამიზნე პირის მიერ ტელეკომუნიკაციის კავშირით სხვა წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე ხდება სარგებლობა და თვალთვალის განსახარციელებლად ტექნიკური დახმარება არ არის საჭირო, მაშინ თვალთვალის განმახორციებელი წევრი სახელმწიფო აცნობებს მეორე წევრ სახელმწიფოს თვალთვალის განხორციელების შესახებ:

a) თვალთვალის დაწყებამდე იმ შემთხვევებში, როდესაც მისთვის განკარგულების გაცემამდე ცნობილია, რომ სამიზნე პირი მეორე სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე იმყოფება, ან

b) სხვა შემთხვევებში უშუალოდ მას შემდეგ, როდესაც მან გაიგო, რომ სამიზნე პირი მეორე სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე იმყოფება.

(3) თვალთვალის განმახორციელებელი სახელმწიფოს მიერ შემდეგი ინფორმაციები უნდა იქნეს წარდგენილი:

a) მონაცემები უწყებაზე, რომელიც თვალთვალის განხორციელებას ადგენს;

b) დადასტურება, რომ გაცემულია მართლზომიერი განკარგულება თვალთვალის შესახებ სისხლისსამართლებრივ გამოძიებასთან კავშირში;

c) სამიზნე პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

d) მონაცემები დანაშაულზე, რის საფუძველზეც დაწყებულია გამოძიება;

ე) თვალთვალის ხანგრძლივობის სავარაუდო ვადა.

(4) თუკი წევრი სახელმწიფო, მე-2 და მე-3 აბზაცის შესაბამისად, ინფორმირებული იქნება, მაშინ მოქმედებს შემდეგი პირობები:

a) თუკი ინფორმირებული წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყება ინფორმაციებს მე-3 აბზაცის მიხედვით მიიღებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ და არაუგვიანეს 96 საათისა უპასუხოს თვალთვალის განმახორციელებელ წევრ სახელმწიფოს, რათა

i) თვალთვალის ჩატარების გაგრძელებაზე ან თვალთვალის განხორციელებაზე თანხმობა იქნეს გაცემული. ინფორმაციის ადრესატი სახელმწიფო უფლებამოსილია, თავისი თანხმობა ამგვარი თხოვნის შესრულებაზე იმ წინაპირობებზე დამოკიდებული გახადოს, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულო იქნებოდა შიდასახელმწიფოებრივ ანალოგიურ შემთხვევასთან მიმართებაში;

ii) მოითხოვოს, რომ თვალთვალი არ განხორციელდეს ან დასრულდეს, როცა ამგვარი თვალთვალი დაუშვებელია მისი შიდა კანონმდებლობით ან სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროპული შეთანხების მე-2 მუხლით. თუკი ინფორმაციის ადრესატი სახელმწიფო დააყენებს ამგვარ მოთხოვნას, მან წერილობით უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება;

iii) მოითხოვოს, რომ მასალა ii) ციფრის მიხედვით, რომელიც პირის მის სუვერენულ ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში შეკრებილ იქნა, არ იქნეს გამოყენებული ან გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მის მიერ დადგენილი პირობების მიხედვით. ინფორმირებული სახელმწიფო აცნობებს თვალთვალის განმახორციებელ სახელმწიფოს აღნიშნული პირობების საფუძვლებს;

iv) მოითხოვოს, რომ თავდაპირველი ვადა 96 საათის შესახებ, თვალთვალის განმახორციებელ სახელმწიფოსთან შეთანხმებული ვადით, არაუმეტეს 8 დღით გაგრძელდეს, რათა მან შიდასახელმწიფოებრივი სამართლით სავალდებულო პროცესის განხორციელება შეძლოს. ინფორმირებული სახელმწიფო აცნობებს თვალთვალის განმახორციებელ სახელმწიფოს იმ საფუძვლებს, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისად ამართლებენ აღნიშნული ვადის გაგრძელებას.

b) მანამ, სანამ ინფორმირებული სახელმწიფოს გადაწყვეტილება a) ასოს i) ან ii) ციფრების შესაბამისად არ იქნება წარმოდგენილი, თვალთვალის განმახორციებელ სახელწიფოს შეუძლია,

i) თვალთვალი გააგრძელოს;

ii) უკვე შეგროვებული მასალა არ გამოიყენოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა

– შესაბამისი სახელმწიფოები სხვა რამეზე შეთანხმდნენ, ან

– ეს მასალა აუცილებელია საჯარო უსაფრთხოებისათვის იმწუთიერი და სერიოზული საფრთხის მოსაგერიებლად გადაუდებელი ღონისძიებების გასატარებლად. ინფორმირებულ სახელმწიფოს ყოველგვარი ასეთი საფუძვლის გამოყენების შესახებ ეცნობება.

c) ინფორმირებულ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, საქმის გარემოებების შესახებ მოკლე ინფორმაცია და ყოველი შემდეგი დამატებითი ინფორმაცია მოითხოვოს, რომელიც საჭიროა, რათა შეძლოს შეფასების გაკეთება, გაიცემოდა თუ არა შიდასახელმწიფოებრივ ანალოგიურ შემთხვევაში თვალთვალზე ნებართვა. ამგვარ თხოვნას არ აქვს გავლენა b) ასოს გამოყენ-

ებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმირებულ და თვალთვალის განმახორციებელ სახელმწიფოებს შორის სხვა რამ არის შეთანხმებული.

d) წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პასუხის გაცემა 96 საათის განმავლობაში. ამ მიზნით ისინი მიუთითებენ საკონტაქტო ორგანოებზე, რომლებიც 24 საათის განმავლობაში მუშაობენ და მიუთითებენ მათზე 24-ე მუხლის 1-ლი აბზაცის e) ასოს შესაბამისად გაკეთებულ განმარტებებში.

(5) ინფორმირებული წევრი სახელმწიფო განიხილავს მე-3 აბზაცის შესაბამისად მიწოდებულ ინფორმაციას შიდა კანონმდებლობის შესაბამისად კონფიდენციალურად.

(6) თუკი თვალთვალის განმახორციებელ სახელწიფოს მიაჩნია, რომ მე-3 აბზაცის თანახმად გადასაცემი ინფორმაცია განსაკუთრებულ კონფიდენციალურ პროცედურებს საჭიროებს, მაშინ ასეთი ინფორმაციის გადაცემა უფლებამოსილი ორგანოსათვის შეიძლება განხორციელდეს სპეციალური უწყების მეშვეობით, თუკი აღნიშნული შესაბამის წევრ სახელმწიფოთა შორის ორმხრივად იქნა შეთანხმებული.

(7) ყოველ წევრ სახემწიფოს შეუძლია, 27-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად ნოტიფიკაციისას ან მოგვიანებით გააკეთოს განმარტება, რომ მას ინფორმაციები თვალთვალის შესახებ ამ მუხლის შესაბამისად არ ესაჭიროება.

მუხლი 21 ტელეკომინიკაციის საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯების ანაზღაურება

ტელეკომინიკაციის საშუალებების ექსპლუატაციის ან სამსახურის ხარჯებს, რომლებიც წარმოიშობა მე-18 მუხლის თანახმად თხოვნის შესრულების გამო, ანაზღაურებს თხოვნის გამგზავნი სახელმწიფო.

მუხლი 22 ორმხრივი შეთანხმებები

ამ სათაურში მოცემული დებულებები არ ეწინააღმდეგება წევრ სახელმწიფოებს შორის გაფორმებულ იმ ორმხრივ ან მრავალმხრივ შეთანხმებებს, რომლებმაც უნდა გაუადვილონ მათ დღევანდელი ან სამომავლოდ ტექნიკური შესაძლებლობებით სარგებლობა სატელეკომუნიკაციო საშუალებებზე მართლზომიერი თვალთვალის მიზნით.

IV სათაური

მუხლი 23 პერსონალური მონაცემების დაცვა

(1) პერსონალური მონაცემები, რომელთა გადაცემა ხდება ამ შეთანხმების საფუძველზე, შესაძლებელია, მიმღები სახელმწიფოს მიერ გამოყენებული იქნეს შემდეგი მიზნებისთვის:

a) პროცესის საწარმოებლად, რომელზეც ეს ხელშეკრულება გამოიყენება;

b) სხვა იმ იუსტიციური და ადმინისტრაციული პროცესების საწარმოებლად, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია პროცესთან a) ქვეპუნქტის გაგებით;

c) საჯარო უსაფრთხოების დაცვის მიზნით, თუ ასეთი საფრთხე რეალურია;

d) სხვა მიზნებისათვის, თუკი მონაცემების გადამცემი წევრი სახელმწიფოს წინასწარი თანხმობა არსებობს ან პირმა, ვისაც ეს მონაცემები ეხება, თანხმობა განაცხადა.

(2) ეს მუხლი პერსონალური მონაცემების მიმართ გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, როცა მონაცემები არა გადაგზავნის, არამედ სხვა გზით იქნა გადაცემული.

(3 გამგზავნი სახელმწიფო უფლებამოსილია, მიმღებ წევრ სახელმწიფოს განსაკუთრებულ

შემთხვევებში მიმართოს თხოვნით მონაცემების შემდგომ გამოყენებაზე ინფორმაციის მიწოდების შესახებ.

(4) იმ შემთხვევებში, როდესაც პერსონალური მონაცემების გამოყენება დაკავშირებულია მე-7 მუხლის მე-2 აბზაცით, მე-18 მუხლის მე-5 აბზაცის b) ქვეპუნქტით, მე-18 მუხლის მე-6 აბზაცით ან მე-20 მუხლის მე-4 აბზაცით გათვალისწინებულ წინაპირობებთან, მაშინ ამ წინაპირობებს უპირატესი ძალა გააჩნიათ. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ასეთი პირობები არ არის გათვალისწინებული, გამოიყენება წარმოდგენილი მუხლი.

(5) მე-13 მუხლის შესაბამისად გამოთხოვილ ინფორმაციასთან მიმართებაში მე-13 მუხლის მე-10 აბზაცს უპირატესი ძალა გააჩნია, ვიდრე ამ მუხლს.

(6) ეს მუხლი არ ვრცელდება იმ პერსონალურ მონაცემებზე, რომლებიც წევრმა სახელმწიფომ მოიპოვა ამ შეთანხმების ფარგლებში და წყაროც ეს წევრი სახელმწიფოა.

(7) ლუქსემბურგს ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას შეუძლია განაცხადოს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ლუქსემბურგი სხვა წევრ სახელმწიფოს ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ ფარგლებში პერსონალური მონაცემებს გადასცემს, მოქმედებს შემდეგი წესები:

1-ლი აბზაცის c) ასოს დაურღვეველად, ლუქსემბურგს შეუძლია, განსაკუთრებული შემთხვევის გარემოებებთან მიმართებით, მოითხოვოს, რომ პერსონალური მონაცემები, თუ შესაბამისმა წევრმა სახელმწიფომ შესაბამისი პირისგან თანხმობა ვერ მიიღო, 1-ლი აბზაცის a) და b) ასოებით დადგენილი მიზნებისთვის მხოლოდ ლუქსემბურგის წინასწარი თანხმობით შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ პროცესებთან მიმართებით, რომლებისთვისაც ლუქსემბურგს პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე და გადაცემაზე შეეძლო უარი ეთქვა ან შეეზღუდა ამ შეთანხმების ან 1-ლი აბზაცით გათვალისწინებული შეთანხმებების დებულებების მიხედვით.

თუ ლუქსემბურგი განსაკუთრებულ შემთხვევაში უარს ამბობს თანხმობის მიცემაზე 1-ლი აბზაცის შესაბამისად წევრი სახელმწიფოს თხოვნაზე, მაშინ მან თავისი გადაწყვეტილება წერილობით უნდა დაასაბუთოს.

სათაური V
დასკვნითი დებულებები

მუხლი 24 განმარტებები

(1) 27-ე მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად ნოტიფიკაციის დროს, ყოველი წევრი სახელმწიფო განმარტებაში ასახელებს უწყებებს, რომლებიც სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროპული კონვენციითა და ბენელუქსის შეთანხმებით უკვე დასახელებული უწყებების გარდა, წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში ამ შეთანხმების გამოყენებისათვის, ასევე სისხლის სამართალის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ იმ დებულებების გამოყენებისათვის არიან კომპეტენტური, რომლებიც მოცემულია 1-ლი მუხლის პირველ აბზაცში.

განსაკუთრებით დასახელებული უნდა იქნენ შემდეგი უწყებები:

a) საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილი არიან მე-3 მუხლის 1-ლი აბზაციდან გამომდინარე,

b) ერთი ან რამდენიმე ცენტრალური ორგანო, მე-6 მუხლის გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე, ასევე ორგანოები, რომლებიც კომპეტენტური არიან, დაამუშავონ თხოვნა მე-6 მუხლის მე-8 აბზაცის მიხედვით,

c) საჭიროების შემთხვევაში, მე-6 მუხლის მე-5 აბზაცის გამოყენებისათვის კომპეტენტური პოლიციის ან საბაჟო ორგანოები,

d) საჭიროების შემთხვევაში, მე-6 მუხლის მე-6 აბზაცის გამოყენებისათვის კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოები, ასევე

e) მე-18 და მე-19 მუხლებისა და მე-20 მუხლის 1-ლი-მე-5 აბზაცების გამოყენებისათვის კომპეტენტური ორგანო ან კომპეტენტური ორგანოები.

(2) 1-ლი აბზაცის მიხედვით გაკეთებული განმარტებები შესაძლებელია, ნებისმიერ დროს იგივე წესით მთლიანად ან ნაწილობრივ იქნეს შეცვლილი.

მუხლი 25 დათქმა

ამ შეთანხმებაზე დათქმის გაკეთება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ამ შეთანხმებაში.

მუხლი 26 ტერიტორიული მოქმედების სფერო

ამ შეთანხმების გამოყენება გიბრალტარისთვის ძალაში შედის მაშინ, როგორც კი სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროპული კონვენცია ამ ტერიტორიაზეც გავრცელდება.

გაერთიანებული სამეფო წერილობით ატყობინებს საბჭოს პრეზიდენტს, როცა გაერთიანებული სამეფო მიიღებს გადაწყვეტილებას ამ შეთანხმების ნორმანდიის კუნძულებსა და მენის კუნძულზე გამოყენების თაობაზე, რომელიც იქნება სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროპული კონვენციის მოქმედების ფარგლების ამ ტერიტორიებზე გავრცელების გაფართოება. საბჭო ერთხმად ღებულობს გადაწყვეტილებას ასეთი შუამდგომლობის შესახებ.

მუხლი 27 ძალაში შესვლა

(1) ეს შეთანხმება საჭიროებს წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებას მათი კონსტიტუციური დებულებების შესაბამისად.

(2) წევრი სახელმწიფოები ნოტიფიკაციით ატყობინებენ ევროკავშირის საბჭოს გენერალურ მდივანს ამ შეთანხმების მიღებასთან დაკავშირებით კონსტიტუციურ-სამართლებრივი პროცედურების დასრულების შესახებ.

(3) ეს შეთანხმება ძალაში შედის მე-2 აბზაცის მიხედვით მერვე სახელმწიფოს მიერ, რომელიც საბჭოს მიერ ამ შეთანხმების შექმნის შესახებ სამართლებრივი აქტის მიღების დროს ევროკავშირის წევრია, ნოტიფიკაციის განხორციელების დღიდან 90-ე დღეს რვავე სახელმწიფოსთვის, რომლებმაც მოახდინეს მისი ნოტიფიკაცია.

(4) ყოველ ახალ წევრ სახელმწიფოსა, რომელიც ნოტიფიკაციას მე-2 აბზაცის მიხედვით მერვე სახელმწიფოს შემდეგ განახორციელებს, და დანარჩენ წევრ სახელმწიფოებს შორის, რომელთათვისაც შეთანხმება უკვე ძალაშია შესული, ეს შეთანხმება ძალაში შედის ამ გვიანი ნოტიფიკაციიდან 90-ე დღეს.

(5) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, მე-3 აბზაცის მიხედვით ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე, მე-2 აბზაცის შესაბამისად ნოტიფიკაციისას ან მოგვიანებით ნებისმიერ დროს გააკეთოს განმარტება, რომ ის ამ შეთანხმებას გამოიყენებს სხვა იმ წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობებში, რომლებმაც იგივე შინაარსის განმარტება გააკეთეს. ეს განმარტება ძალაში შედის მისი დეპონირებიდან 90-ე დღეს.

(6) ეს შეთანხმება გამოიყენება იმ სამართლებრივი დახმარებისას, რომელიც ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ წარმოიშობა ან მე-5 აბზაცის შესაბამისად ხორციელდება.

მუხლი 28 ახალი წევრი სახელმწიფოს მიერთება

(1) ეს შეთანხმება ღიაა ყველა იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც ევროპის კავშირის წევრი გახდება.

(2) ევროკავშირის საბჭოს მიერ ახალი წევრი სახელმწიფოს ენაზე განხორციელებული შეთანხმების თარგმანი არის სავალდებულო ძალის მატარებელი.

(3) გაწევრიანების სიგელების დეპონირება ხდება დეპოზიტართან.

(4) ეს შეთანხმება ძალაში შედის ყოველი ახალი სახელმწიფოსთვის მის მიერ გაწევრიანების სიგელის დეპონირებიდან 90-ე დღეს ან ამ შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტიდან, როცა ეს აქტი დასახელებული 90-დღიანი ვადის გასვლისას ჯერ კიდევ ძალაში არ არის შესული.

(5) თუკი ეს შეთანხმება გაწევრიანების სიგელის დეპონორების დროს ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული, მაშინ შემსვლელი წევრი სახელმწიფოების მიმართ გამოიყენება 27-ე მუხლის მე-5 აბზაცი.

მუხლი 29 ისლანდიისა და ნორვეგიისათვის ძალაში შესვლა

(1) ევროპის კავშირის საბჭოსა და ისლანდიის რესპუბლიკას და ნორვეგიის სამეფოს შორის დადებული ამ ორივე დასახელებული სახელმწიფოს მიერ „შენგენის მფლობელობის“ იმპლემენტაციის, გამოყენებისა და განვითარების პროცესში ასოცირების შეთანხმების („ასოცირების შესახებ შეთანხმება“) მე-8 მუხლის დაურღვევლად, მე-2 მუხლის 1-ლი აბზაცის დებულებები ისლანდიისა და ნორვეგიისათვის ძალაში შედის ყველა იმ წევრ სახელმწიფოსთან ორმხრივ ურთიერთობებში, რომელთათვისაც შეთანხმება 27-ე მუხლის მე-3 ან მე-4 აბზაცების მიხედვით უკვე ძალაშია შესული, 90-ე დღეს იმ დროიდან, როდესაც საბჭომ და კომისიამ ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-8 მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად მიიღეს ინფორმაციები მათ [ისლანდიისა და ნორვეგიის] მიერ ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით კონსტიტუციურ-სამართლებრივი წინაპირობების შესრულების თაობაზე.

(2) წევრი სახელმწიფოსათვის შეთანხმების ძალაში შესვლა მე-2 მუხლის 1-ლი აბზაცით ისლანდიისა და ნორვეგიისათვის დასახელებული დებულებების ძალაში შესვლის შემდეგ იწვევს იმას, რომ ეს დებულებები, ასევე ორმხრივ ურთიერთობებში ამ წევრ სახელწიფოსა და, აგრეთვე ისლანდიასა და ნორვეგიას შორის გამოიყენება.

(3) ყოველ შემთხვევაში, მე-2 მუხლის 1-ლი აბზაცით დასახელებული დებულებები ისლანდიისა და ნორვეგიისათვის არ არის სავალდებულო ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-15 მუხლის მე-4 აბზაცით დადგენილ დრომდე.

(4) 1-ლი, მე-2 და მე-3 აბზაცების დაურღვევლად, მე-2 მუხლის 1-ლი აბზაცით დასახელებული დებულებები ისლანდიისა და ნორვეგიისათვის ძალაში შედის არაუგვიანეს ამ შეთანხმების იმ მე-15 წევრი სახელმწიფოსათვის ძალაში შესვლის მომენტიდან, რომელიც საბჭოს მიერ ამ შეთანხმების შექმნის შესახებ სამართლებრივი აქტის მიღების დროს ევროკავშირის წევრია.

მუხლი 30 დეპოზიტარი

(1) ამ ხელშეკრულების დეპოზიტარი (შემნახველი) არის ევროპის კავშირის საბჭოს გენერალური მდივანი.

(2) დეპოზიტარი აქვეყნებს ევროპული გაერთიანებების ოფიციალურ ჟურნალში მიღების ან შეერთების მდგომარეობას, განმარტებებსა და დათქმებს, ასევე ყველა სხვა ნოტიფიკაციას, რომელიც დაკავშირებულია ამ შეთანხმებასთან.

2. სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროკავშირის შეთანხმების ოქმი

2001 წლის 16 ოქტომბრის ევროკავშირის საბჭოს სამართლებრივი აქტი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ შეთანხმების ოქმის შექმნის თაობაზე[1]

(მიღებულია ევროკავშირის საბჭოს მიერ ევროპის კავშირის ხელშეკრულების 34-ე მუხლის შესაბამისად)

ევროპის კავშირის საბჭომ, ევროპის კავშირის ხელშეკრულების საფუძველზე, განსაკუთრებით მის 31-ე a და 34-ე II d მუხლებზე დაყრდნობით, საფრანგეთის რესპუბლიკის ინიციატივითა და ამ საკითხზე ევროპული პარლამენტის მიერ 2000 წლის 4 ოქტომბრს პოზიციის გამოხატვის შემდეგ, წარმოადგინა შეთანხმების ოქმი, რომელიც 2001 წლის 16 ოქტომბერს წევრი სახელმწიფოების მთავრობათა წარმომადგენლების მიერ იქნა ხელმოწერილი. საბჭომ მიიჩნია, რომ კავშირის მიზნების უკეთ განხორციელების მიზნით, უნდა განმტკიცებულიყო სისხლის სამართლის საქმეებზე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი დახმარების ნორმატიული ბაზა. ამ მიზნით მან წარმოადგინა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ შეთანხმების ოქმი და ურჩია წევრ სახელმწიფოებს, მათი კონსტიტუციური დებულებების შესაბამისად მოეხდინათ მასთან შეერთება.

ამ ოქმმა ძალადაკარგულად გამოაცხადა შენგენი II შეთანხმების 50-ე მუხლი, როგორც ეს წარმოდგენილი ოქმის მე-8 მუხლის მე-3 აბზაცშია მითითებული.

დანართი:

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ შეთანხმების ოქმი

(მიღებულია ევროკავშირის საბჭოს მიერ ევროპის კავშირის ხელშეკრულების 34-ე მუხლის შესაბამისად)

სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ შეთანხმების წარმოდგენილი ოქმის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა მიერ ამ სამართლებრივი აქტის მიღების მიზანია, რომ ცხოვრებაში იქნეს რეალიზებული ტამპერეში (Tampere) 1999 წლის 15-16 ოქტომბერს ევროპის კავშირის საბჭოს სხდომაზე მიღებული მნიშვნელოვანი დასკვნითი დებულებები, რითაც მიღწეულ უნდა იქნეს

---

[1] იხ. ABl. C 326, 21. 11. 2001.

ინგლისურად: Council Act of 16 October 2001 establishing, in accordance with Article 34 of the Treaty on European Union, the Protocol to the Convention on Mutual Assistance in Criminal Matters between the Member States of the European Union.

გერმანულად: Rechtsakt des Rates vom 16. Oktober 2001 über die Erstellung – gemäß Artikel 34 des Vertrags über die Europäische Union – des Protokolls zu dem Überienkommen über die Rechtshilfe in Strafsachen zwischen den Mitgliedstaaten der Europäischen Union.

თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცე. იქვე ხაზგასმულია, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების სფეროში აუცილებელია დამატებითი ღონისძიებების გატარება, რომელმაც უნდა მოიცვას დამნაშავეობასთან ბრძოლის მნიშვნელოვანი სფეროები, განსაკუთრებით ეს შეეხება ორგანიზებულ დამნაშავეობას, ფულის გათეთრებას და ფინანსურ დანაშაულებს.

ეს აქტი წარმოადგენს ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის სისხლის სამართლის საქმეზე სამართლებრივი დახმარების შესახებ 2000 წლის 29 მაისის ზემოთ წარმოდგენილი შეთანხმების[1] განმავრცობელ დამატებით ოქმს.

ამ ოქმის ცალკეული მუხლების შინაარსი ასეთია:

მუხლი 1 შუამდგომლობა საბანკო ანგარიშებზე ინფორმაციის შესახებ

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს შესაბამის ზომებს სხვა წევრი სახელმწიფოს მიმართვის საფუძველზე, იმის დასადგენად, გააჩნიათ თუ არა იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა წინააღმდეგაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი გამოძიება, საბანკო ანგარიშები ან აკონტროლებენ მას მის სუვერენულ ტერიტორიაზე. ასეთ შემთხვევაში ხდება მოცემულ ანგარიშებთან დაკავშირებით ინფორმაციის გადაცემა.

ინფორმაციის გადაცემის ეს ვალდებულება ეხება იმ ანგარიშებსაც, რომელზეც მინდობილობა გააჩნია იმ პირს, ვის წინააღმდეგაც მიმდინარეობს წარმოება, თუ ამის შესახებაც იქნა თხოვნა დაყენებული და მისი განხორციელება გონიერ ვადებში არის შესაძლებელი.

(2) ამ მუხლის მიხედვით ასეთი მოთხოვის შესრულების ვალდებულება მაშინ აქვთ ბანკებს, როდესაც ისინი ამასთან დაკავშირებულ ინფორმაციებს ფლობენ.

(3) ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება ძალაშია, როდესაც გამოძიება შემდეგ საკითხებს ეხება:

– დანაშაული, რომლისთვისაც თავისუფლების აღკვეთა ან თავისუფლების შემზღუდავი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიება გათვალისწინებულია სულ მცირე 4 წლის ვადით თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს კანონმდებლობით და სულ მცირე 2 წლის ვადით თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით, ან

– დანაშაული, რომელიც ევროპული პოლიციის შექმნის შესახებ 1995 წლის შეთანხმების (ევროპოლის შეთანხმება[2]) მე-2 მუხლით ან იმავე შეთანხმების დანართში შეცვლილი რედაქციით არის გათვალისწინებული, ან

– დანაშაული, რომელიც თუმცა ევროპოლის შესახებ შეთანხმებაში არ არის მითითებული, მაგრამ გათვალისწინებულია ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ 1995 წლის შეთანხმებით[3], ან მისი 1996 წლის ოქმით[4] ან 1997 წლის მეორე ოქმით[5].

(4) თხოვნის გამგზავნი მოხელე

– გაგზავნილ თხოვნაში უთითებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს დანაშაულის გამოსაძიებლად ამგვარი ინფორმაციის მიღებას;

– გაგზავნილ თხოვნაში უთითებს, თუ რატომ თვლის ის, რომ საბანკო ანგარიშები თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებობენ. ამასთანავე, ის შეძლებისდაგ-

---

[1] იხ. ABl. C197, 12. 07. 2000.

[2] Europol-Übereinkommen.

[3] იხ. ABl. C 316, 27. 11. 1995.

[4] იხ. ABl. C 313, 23. 10. 1996.

[5] იხ. ABl. C 221, 19. 07. 1997.

ვარად უთითებს, თუ რომელ ბანკს ეხება აღნიშნული;

– გაგზავნილ თხოვნაში უთითებს იმ ინფორმაციას, რომელსაც შეუძლია ასეთი თხოვის შესრულების გაადვილება.

(5) წევრ სახელწიფოებს შეუძლიათ, ამ მუხლის მიხედვით თხოვნის შესრულება იგივე პირობებზე გახადონ დამოკიდებული, რომლებიც მოქმედებს ჩხრეკის ან ქონების კონფისკაციის მიმართ.

(6) საბჭო უფლებამოსილია, ევროკავშირის ხელშეკრულების 34-ე მუხლის მე-2 აბზაცის c) ქვეპუნქტის თანახმად გადაწყვიტოს მე-3 აბზაცის გამოყენების სფეროს გაფართოების შესახებ.

მუხლი 2 შუამდგომლობა საბანკო საქმიანობაზე ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ

(1) თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს განაცხადის საფუძველზე, თხოვნის მიმღები სახელმწიფო გადასცემს მას მონაცემებს იმ განსაზღვრული ანგარიშებისა და საბანკო ოპერაციების შესახებ, რომლებიც გარკვეულ პერიოდში განხორციელდა და კავშირშია თხოვნაში მითითებულ ანგარიშებთან.

(2) ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება ეხება იმ ბანკებს, რომლებსაც ამგვარ ინფორმაციებზე ხელი მიუწვდებათ.

(3) თხოვნის გამგზავნი სახელმწიფო გაგზავნილ თხოვნაში უთითებს, თუ რატომ არის საჭირო ამგვარი ინფორმაციის მიღება დანაშაულის გამოსაძიებლად.

(4) წევრ სახელწიფოებს შეუძლიათ, ამ მუხლის მიხედვით თხოვნის შესრულება იგივე პირობებზე გახადონ დამოკიდებული, რომლებიც მოქმედებს ჩხრეკის ან ქონების კონფისკაციის მიმართ.

მუხლი 3 შუამდგომლობა საბანკო საქმიანობაზე თვალთვალის განხორციელების შესახებ

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო ვალდებულია, განახორციელოს კონტროლი (თვალთვალი) მეორე სახელმწიფოს შუამდგომლობის საფუძველზე იმ საბანკო ოპერაციებზე, რომლებიც განხორციელდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში და კავშირშია შუამდგომლობაში მითითებულ საბანკო ანგარიშებთან. მიღებული შედეგები გადაეცემა მეორე სახელმწიფოს.

(2) თხოვნის გამგზავნი სახელმწიფო გაგზავნილ თხოვნაში უთითებს, თუ რატომ არის საჭირო ამგვარი ინფორმაციის მიღება დანაშაულის გამოსაძიებლად.

(3) გადაწყვეტილება თითოეულ შემთხვევაზე ასეთი თვალთვალის განხორციელების შესახებ მიიღება თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ, თავისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სათანადოდ გათვალისწინებით.

(4) თვალთვალის (კონტროლის) განხორციელების პრაქტიკული დეტალების შეთანხმება ხდება ორიეე სახელმწიფოს კომპეტენტურ უწყებებს შორის.

მუხლი 4 კონფიდენციალურობა

ყოველი წევრი სახელწიფო იღებს საჭირო ზომებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ბანკებმა მომხმარებლები და მესამე პირები 1-ლი, მე-2 ან მე-3 მუხლების შესაბამისად ინფორმაციების გადაცემის ან გამოძიების მიმდინარეობის შესახებ საქმის კურსში არ ჩააყენონ.

მუხლი 5 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

თუკი თხოვნის მიმღები სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები სამართლებრივი დახმარების შესრულებისას გამოავლენენ, რომ სასარგებლო იქნებოდა იმ დამატებითი გამოძიებების ჩატარება, რომლის საჭიროებაც შუამდგომლობის დაყენების დროს არ იდგა ან არ ჩანდა, მაშინ ისინი დაუყოვნებლივ ატყობინებენ ამის შესახებ მეორე მხარეს, რათა მან შესაბამისი ზომები მიიღოს.

მუხლი 6 დამატებითი შუამდგომლობა

(1) თუკი შუამდგომლობის გამგზავნი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყებები დააყენებენ სამართლებრივი დახმარების შესახებ დამატებით თხოვნას, რომელიც ადრინდელი თხოვნის სრულყოფას წარმოადგენს, მაშინ მათ არ სჭირდებათ იმ ინფორმაციების გადაცემა, რომელიც თავდაპირველი შუამდგომლობის ფარგლებში უკვე იყო მიწოდებული. დამატებითი შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს თავდაპირველი თხოვნის იდენტიფიცირებისათვის საჭირო ყველა მონაცემებს.

(2) თუკი კომპეტენტური უწყება, რომელმაც სამართლებრივი დახმარების შესახებ თხოვნა დააყენა, მოქმედი ნორმების შესაბამისად მონაწილეობს თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში მის შესრულებაში, მაშინ მას შეუძლია, სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ 2000 წლის შეთანხმების მე-6 მუხლის მე-3 აბზაცის დაურღვევლად, თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში ყოფნის პერიოდში დამატებითი შუამდგომლობა ადგილობრივ კომპეტენტურ ორგანოს პირდაპირ წარუდგინოს.

მუხლი 7 საბანკო საიდუმლოება

საბანკო საიდუმლოების ცნება წევრი სახელმწიფოს მხრიდან სხვა წევრი სახელმწიფოს მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ შუამდგომლობის უარყოფის საფუძველი.

მუხლი 8 ფისკალური დანაშაულებრივი ქმედებები

(1) სამართლებრივ დახმარებაზე არ შეიძლება უარი მხოლოდ იმ მიზეზით ითქვას, რომ თხოვნა ეფუძნება ისეთ დანაშაულებრივ ქმედებაზე, რომელიც თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში, როგორც ფისკალური დანაშაულებრივი ქმედება ისე განიხილება.

(2) თუკი წევრმა სახელმწიფომ ჩხრეკის ან ყადაღის შესახებ შუამდგომლობის შესრულება იმ წინაპირობას დაუკავშირა, რომ შუამდგომლობის დამაფუძნებელი სისხლის-სამართლებრივი ქმედება მასთანაც დასჯადი უნდა იყოს, მაშინ ეს წინაპირობა პირველ აბზაცთან მიმართებაში შესრულებულია, როდესაც ქმედება მისი სამართლის მიხედვით იგივე სახის სისხლისსამართლებრივ ქმედებას შეესაბამება.

თხოვნა არ შეიძლება უარყოფილი იქნეს იმ დასაბუთებით, რომ თხოვნის მიმღები სახელმწიფოს სამართლით არ არის გათვალისწინებული იგივე სახის მოსაკრებლები ან გადასახადები ან იგივე სახის სამართლებრივი ნორმები მოსაკრებლების, გადასახადების, საბაჟოს ან უცხოურ ვალუტაში გადახდის საშუალებების შესახებ, როგორც ამას ითვალისწინებს თხოვნის გამცემი სახელმწიფოს სამართალი.

(3) გაუქმებულ იქნეს შენგენის განხორციელების შესახებ შეთანხმების 50-ე მუხლი.

მუხლი 9 პოლიტიკური შინაარსის დანაშაულებრივი ქმედებები

(1) წევრ სახელმწიფოებს შორის სისხლისსამართლებრივ საქმეებზე სამართლებრივი დახმარების განხორციელების მიზნებიდან გამომდინარე, დაუშვებელია თხოვნის მიმღები სახელმწიფოს მიერ დასჯადი ქმედება განხილულ იქნეს, როგორც პოლიტიკური დანაშაული, ან როგორც დასჯადი ქმედება, რომელიც პოლიტიკურ დანაშაულთან არის დაკავშირებული, ან როგორც პოლიტიკურად მოტივირებული ქმედება.

(2) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, მე-13 მუხლის მე-2 აბზაცის ფარგლებში ნოტიფიკაციისას განმარტება გააკეთოს იმის შესახებ, რომ ის პირველ აბზაცს გამოიყენებს მხოლოდ

a) იმ დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც გათვალისწინებულია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 1977 წლის 27 იანვრის ევროსაბჭოს კონვენციის 1-ლი და მე-2 მუხლებით და

b) ისეთ ქმედებებთან მიმართებაში, რომლებიც წარმოადგენს დასჯადი ქმედების ჩადენის შეთანხმების ან კრიმინალურ გაერთიანებაში მონაწილეობის შემადგენლობას, შეესაბამება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის 1996 წლის 27 სექტემბრის ექსტრადიციის შესახებ შეთანხმების მე-3 მუხლის მე-4 აბზაცით აღწერილ ქმედებებს და მიმართულია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციის 1-ლი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ქმედების ჩადენისაკენ.

(3) ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციის მე-13 მუხლის დათქმები არ გამოიყენება წევრ სახელმწიფოებს შორის სამართლებრივი დახმარების მიმართ.

მუხლი 10 საბჭოს მოქმედება თხოვნის უარყოფის შემთხვევაში და ევროიუსტიციის მასში მონაწილეობა

(1) თუკი თხოვნა, უარყოფილი იქნება

— სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროსაბჭოს კონვენციის მე-2 b) მუხლის, ან ბენელუქსის შეთანხმების 22-ე მუხლის მე-2 b) აბზაცის, ან

— შენგენის განხორციელების შესახებ შეთანხმების 51-ე მუხლის, ან სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-5 მუხლის, ან

— ამ ოქმის 1-ლი მუხლის მე-5 აბზაცის ან მე-2 მუხლის მე-4 აბზაცის

მითითების საფუძველზე და თხოვნის გამგზავნი წევრი სახელმწიფო თხოვნის შესრულებას დაჟინებით ითხოვს და არც სხვა გადაწყვეტას ეთანხმება, მაშინ თხოვნის მიმღები სახელმწიფოსგან ასეთი უარყოფითი გადაწყვეტილება შესაბამისი დასაბუთებით ინფორმაციის სახით წარედგინება ევროპის კავშირის საბჭოს, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხდეს წევრ სახელმწიფოებს შორის იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის ფუნქციონირების შეფასება.

(2) თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ, ევროიუსტს, ევროიუსტის შექმნის შესახებ სამართლებრივი აქტის შესაბამისად, გაუზიარონ პრობლემები 1-ლი აბზაციდან გამომდინარე შემთხვევების პრაქტიკულად მოსაგვარებლად.

მუხლი 11 დათქმა

აღნიშნულ ოქმთან მიმართებაში დათქმების გაკეთება დაუშვებელია, გარდა მე-9 მუხლის მეორე აბზაცით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 12 სამოქმედო ტერიტორია

ამ ხელშეკრულების გამოყენება გიბრალტარისთვის ამოქმედდება, როგორც კი სამართლებრივის დახმარების შესახებ 2000 წლის შეთანხმების 26-ე მუხლი გიბრალტარისთვის ძალაში შევა.

მუხლი 13 ძალაში შესვლა

(1) ეს ოქმი საჭიროებს წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებას მათი კონსტიტუციური ნორმების შესაბამისად.

(2) წევრი სახელმწიფოები ევროპის კავშირის საბჭოს გენერალურ მდივანს ატყობინებენ ამ ოქმის მიღებისათვის საჭირო კონსტიტუციურ-სამართლებრივი პროცედურების დასრულების შესახებ.

(3) ეს ოქმი ძალაში შედის მე-2 აბზაცის მიხედვით ნოტიფიკაციის განხორციელებიდან 90-ე დღეს, იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც საბჭოს მიერ ამ ოქმის შექმნის შესახებ სამართლებრივი აქტის მიღების დროს ევროკავშირის წევრია და ამ ფორმალობას, როგორც მერვე სახელმწიფო განახორციელებს, ყველა იმ რვავე სახელმწიფოსთვის, რომლებმაც მოახდინეს მისი ნოტიფიკაცია. თუკი ამ დროისთვის სამართლებრივი დახმარების შესახებ 2000 წლის შეთანხმება ჯერ კიდევ ძალაში არ იქნება შესული, მაშინ ეს ოქმი ამოქმედდება მისი ძალაში შესვლის მომენტიდან.

(4) წევრი სახელმწიფოს მიერ ამ ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ მე-3 აბზაცის მიხედვით განხორციელებულ ყოველ ნოტიფიკაციას შედეგად მოსდევს ის, რომ ეს ოქმი ამ წევრ სახელმწიფოსა და დანარჩენ წევრ სახელმწიფოებს შორის, რომელთათვისაც ეს ოქმი უკვე ძალაშია შესული, ძალაში შედის ამ გვიანი ნოტიფიკაციიდან 90-ე დღეს.

(5) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, მე-3 აბზაცის მიხედვით ამ შეთანხმების ძალაში შესვლამდე, მე-2 აბზაცის შესაბამისად ნოტიფიკაციისას ან მოგვიანებით ნებისმიერ დროს გააკეთოს განმარტება, რომ ის ამ შეთანხმებას გამოიყენებს სხვა იმ წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობებში, რომლებმაც იგივე შინაარსის განმარტება გააკეთეს. ეს განმარტება ძალაში შედის მისი დეპონირებიდან 90-ე დღეს.

(6) მე-3-მე-5 აბზაცების მიუხედავად, ამ ოქმის ძალაში შესვლა ან მისი გამოყენება ორ წევრ სახელმწიფოს შორის ურთიერთობებში შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ შორის ამოქმედდება სამართლებრივი დახმარების შესახებ 2000 წლის შეთანხმება ან ის გამოყენების პროცესში იქნება.

(7) ეს ოქმი გამოიყენება იმ სამართლებრივი დახმარების შემთხვევაში, რომელიც იმ დროს ხორციელდება, როდესაც ოქმი შესაბამისი წევრი სახელმწიფოებისათვის ძალაშია შესული ან მე-5 აბზაცის მიხედვით გამოიყენება.

მუხლი 14 ახალი წევრი სახელმწიფოები

(1) ეს ოქმი ღიაა ყველა იმ სახელმწიფოსთვის მასთან შეერთებისთვის, რომელიც ევროპის კავშირის წევრი გახდება და სამართლებრივი დახმარების შესახებ 2000 წლის შეთანხმებას შეუერთდება.

(2) ევროკავშირის საბჭოს მიერ ახალი წევრი სახელმწიფოს ენაზე თარგმნილ ოქმის ტექსტს სავალდებულო ძალა გააჩნია.

(3) გაწევრიანების სიგელების დეპონირება ხდება დეპოზიტართან.

(4) ეს ოქმი ძალაში შედის ყოველი ახალი სახელმწიფოსთვის მისი გაწევრიანების

სიგელის დეპონირების შემდეგ 90-ე დღეს ან ამ ოქმის ძალაში შესვლის დროს, თუ ის დასახელებული 90-დღიანი ვადის დასრულებისთვის ჯერ კიდევ არ არის შესული ძალაში.

(5) თუკი ეს ოქმი გაწევრიანების სიგელის დეპონირების დროს ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული, მაშინ გასაწევრიანებელი წევრი სახელმწიფოების მიმართ გამოიყენება მე-13 მუხლის მე-5 აბზაცი.

(6) მე-4 და მე-5 აბზაცების მიუხედავად, ეს ოქმი გასაწევრიანებელ სახელმწიფოსთან მიმართებაში მხოლოდ მაშინ შედის ძალაში ან გამოიყენება, როცა სამართლებრივი დახმარების შესახებ 2000 წლის კონვენცია ამ სახელმწიფოსთან მიმართებაში შევა ძალაში ან იქნება გამოყენების პროცესში.

მუხლი 15 ისლანდიისა და ნორვეგიის პოზიცია

მე-8 მუხლი ასახავს ღონისძიებებს, რომლებიც ევროპის კავშირის საბჭოს და ისლანდიის რესპუბლიკას და ნორვეგიის სამეფოს შორის დადებულ ამ ორივე სახელმწიფოს მიერ „შენგენის მფლობელობის“ იმპლემენტაციის, გამოყენებისა და განვითარების პროცესში ასოცირების შეთანხმების („ასოცირების შესახებ შეთანხმება“) პირველ დანართში დასახალებული დებულებების ცვლილებას იწვევს.

მუხლი 16 ისლანდიისა და ნორვეგიისთვის ძალაში შესვლა

(1) ასოცირების შეთანხმების მე-8 მუხლის დაურღვეველად, მე-15 მუხლში დასახელებული დებულება ისლანდიისა და ნორვეგიისათვის ძალაში შედის ყველა იმ წევრ სახელმწიფოსთან ორმხრივ ურთიერთობებში, რომელთათვისაც ოქმი მე-13 მუხლის მე-3 ან მე-4 აბზაცების მიხედვით უკვე ძალაშია შესული, 90-ე დღეს იმ დროიდან, როდესაც საბჭომ და კომისიამ ასოცირების შესახებ შეთანხმების მე-8 მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად მიიღეს ინფორმაციები მათ [ისლანდიისა და ნორვეგიის] მიერ ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით კონსტიტუციურ-სამართლებრივი წინაპირობების შესრულების თაობაზე.

(2) ამ ოქმის წევრი სახელმწიფოსთვის ძალაში შესვლა მე-15 მუხლით ისლანდიისა და ნორვეგიისათვის განსაზღვრული დებულებების ძალაში შესვლის შემდეგ იწვევს იმას, რომ ეს დებულებები, ასევე ორმხრივ ურთიერთობებში ამ წევრ სახელწიფოსა და, აგრეთვე ისლანდიასა და ნორვეგიას შორის გამოიყენება.

(3) ყოველ შემთხვევაში, მე-15 მუხლში დასახელებული დებულება ისლანდიისა და ნორვეგიისათვის იურიდიულად სავალდებულო გახდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ძალაში შევა სამართლებრივი დახმარების შესახებ 2000 წლის შეთანხმების მე-2 მუხლის პირველ აბზაცში დასახელებული დებულებები ორივე სახელმწიფოსთან მიმართებაში.

(4) 1-ლი, მე-2 და მე-3 აბზაცების დაურღვეველად, მე-15 მუხლში დასახელებული დებულებები ისლანდიისა და ნორვეგიისათვის ძალაში შედის არაუგვიანეს ამ შეთანხმების იმ მე-15 წევრი სახელმწიფოსათვის ძალაში შესვლის მომენტიდან, რომელიც საბჭოს მიერ ამ ოქმის შექმნის შესახებ სამართლებრივი აქტის მიღების დროს ევროკავშირის წევრია.

მუხლი 17 დეპოზიტარი

(1) ამ ხელშეკრულების დეპოზიტარი (შემნახველი) არის ევროპის კავშირის საბჭოს გენერალური მდივანი.

(2) დეპოზიტარი აქვეყნებს ევროპული გაერთიანებების ოფიციალურ ჟურნალში მიღების ან შეერთების მდგომარეობას, განმარტებებსა და დათქმებს, ასევე ყველა სხვა ნოტიფიკაციას, რომელიც დაკავშირებულია ამ შეთანხმებასთან.

3. ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფები

ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ 2000 წლის 29 მაისის შეთანხმების მე-13 მუხლი განსაზღვრავს ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს. ვინაიდან შეთანხმება წარმოადგენს მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას, მისი რატიფიკაცია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვდა გარკვეულ დროს, რის გამოც წევრმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევროკავშირის საბჭოს სამართლებრივი აქტის დონეზე მიეღოთ ჩარჩო-გადაწყვეტილება. მის მიღებას ჰქონდა ის უპირატესობა, რომ იგი არ მოითხოვდა რატიფიკაციას. მართალია, შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ჩარჩო-გადაწყვეტილებას პირდაპირი მოქმედების ძალა არა აქვს, მაგრამ მისი შინაარსი და მიზანი ევროპული გაერთიანების სასამართლოს პრაქტიკით[1] შიდასახელმწიფოებრივი ნაციონალური სამართლის ნორმების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელოვანი.[2]

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მე-5 მუხლის მიხედვით, ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება დროებითია. იგი კარგავს იურიდიულ ძალას, როცა ყველა წევრ სახელმწიფოში ამოქმედდება სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროკავშირის შეთანხმება.

ლიტერატურაში ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება, პირველ რიგში, მიიჩნევა ტეროტისტული დანაშაულების გამოკვლევისა და გამოძიების დროს ტრანსნაციონალური თანამშრომლობის ეფექტურობის ამაღლებისკენ მიმართულ ღონისძიებად, რომელიც, ასევე გამოიყენება საერთაშორისო დამნაშავეობის სხვა სფეროებისთვისაც.[3]

2002 წლის 13 ივნისის ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო-გადაწყვეტილება[4] ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების შექმნის შესახებ

ევროპის კავშირის საბჭომ, ევროპის კავშირის ხელშეკრულების, განსაკუთრებით მისი 34-ე მუხლის 2 b აბზაცის საფუძველზე, ბელგიის სამეფოს, საფრანგეთის რესპუბლიკის, ესპანეთის სამეფოსა და გაერთიანებული სამეფოს ინიციატივით, ევროპული პარლამენტის მიერ 2001 წლის 13 ნოემბერს პოზიციის გამოხატვის შემდეგ, მიიღო წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება.

როგორც პრეამბულაშია მითითებული, ეს სამართლებრივი აქტი ემსახურება ევროკავშირის ერთ-ერთი მიზნის განხორციელებას, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მოქალაქეებისათვის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცეში უზრუნველყოს უსაფრთხოების მაღალი ხარისხი. ეს მიზანი უნდა განხორციელდეს დამნაშავეობის აღკვეთისა და მასთან ბრძოლის გზით, რისთვისაც საჭიროა წევრი სახელმწიფოების პოლიციის, საბაჟო და სხვა უფლებამოსილი ორგანოების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა. ამ საქმიანობის პროცეს-

---

[1] იხ. C-105/03.

[2] შეად. *Wasmeier/Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 164.

[3] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 416.

[4] Abl. L 162, 20. 06. 2002. იხ. ინგლისურ ენაზე 2002/465/JHA, Council Framework Decision of 13 June 2002 on joint investigation teams, ხოლო გერმანულ ენაზე – 2002/465/JI, Rahmenbeschluss des Rates vom 13. Juni 2002 über gemeinsame Ermittlungsgruppen.

ში აუცილებელია ადამიანის უფლებათა პატივისცემისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების დაცვა, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი.

1999 წლის ოქტომბერში ტამპერეში (Tampere) გამართულ ევროპის კავშირის საბჭოზე განხილულ იქნა ერთიანი საგამოძიებო ჯგუფების შექმნის საჭიროების საკითხი, როგორც პირველი ნაბიჯი განსაკუთრებით ნარკოტიკითა და ადამიანით ვაჭრობის, ასევე ტერორიზმისა და ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც თავდაპირველად პრაქტიკულად იქნა რეალიზებული სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროკავშირის 2000 წლის 29 მაისის შეთანხმების მე-13 მუხლით, რომელიც შეიცავს დებულებებს ასეთი საგამოძიებო ჯგუფების შესახებ. წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება კი, მთლიანად ამ საკითხს ეძღვნება. საბჭოს პოზიციის მიხედვით, ამ დანაშაულებრივი ქმედებებიდან ერთიანი ევროპული საგამოძიებო ჯგუფები უპირატესად გამოყენებულ უნდა იქნეს ტერორისტების მიერ ჩადენილ დანაშაულთა წინააღმდეგ საბრძოლველად. წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ასეთ ჯგუფებს ქმნიან, განსაზღვრავენ მათ სტრუქტურას, მიზანსა და მოქმედების ვადას.

წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილების ცალკეული დებულებების შინაარსი ასეთია:

მუხლი 1 ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფები

(1) შეთანხმების გზით, ორი ან მეტი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ უწყებებს შეუძლიათ, განსაზღვრული მიზნითა და გარკვეული ვადით, რომლის გახანგრძლივებაც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია, შექმნან ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფი მასში მონაწილე ორ ან მეტ წევრ სახელმწიფოში სისხლისსამართლებრივი საქმეების გამოსაძიებლად. საგამოძიებო ჯგუფის შემადგენლობა მიეთითება შეთანხმებაში.

ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფი შეიძლება შეიქმნას განსაკუთრებით იმ შემთხვევაში,

a) როდესაც გამოძიების ჩატარება რთულ და დიდი დანახარჯის გამომწვევ საქმეებზე სხვა სახელმწიფოსთან კავშირით არის შესაძლებელი;

b) როდესაც დანაშაულებრივი ქმედებების გამოვლენის მიზნით საჭიროა რამდენიმე სახელმწიფოს საგამოძიებო ორგანოების კოორდინირებული და წინასწარ შეთანხმებული მოქმედება.

ჯგუფის შექმნის შესახებ თხოვნის წარდგენა შესაძლებელია ნებისმიერი დაინტერესებული სახელმწიფოს მხრიდან. საგამოძიებო ჯგუფი იქმნება იმ წევრი სახელმწიფოში, სადაც სავარაუდოდ გამოძიება ჩატარდება.

(2) ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის შექმნის შესახებ თხოვნა შეიცავს სამართლებრივი დახმარების შესახებ ევროპული კონვენციის მე-14 მუხლსა და ბენელუქსის 1962 წლის 27 ივნისის შეთანხმების, რომელიც შეიცვალა 1974 წლის 11 მაისის ოქმით, 37-ე მუხლში დასახელებული მონაცემების გარდა, ასევე წინადადებებს ჯგუფის დაკომპლექტების შესახებ.

(3) ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფი თავის საქმიანობას ახორციელებს წევრი სახელმწიფოების სუვერენულ ტერიტორიებზე შემდეგი წინაპირობების დაცვით:

a) ჯგუფს ხელმძღვანელობს სისხლისსამართლებრივ გამოძიებაში მონაწილე იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური უწყების წარმომადგენელი, რომლის ტერიტორიაზეც ხდება გამოძიება. ჯგუფის ხელმძღვანელი მოქმედებს მისი ქვეყნის შიდა სამართლით მინიჭებული უფლებამოსილებებით.

b) საგამოძიებო ჯგუფი თავის საქმიანობას ახორციელებს წევრი სახელმწიფოს სამართლის შესაბამისად. ჯგუფის წევრები თავიანთ დავალებებს ასრულებენ a) ქვეაბზაცში

დასახელებული პირების ხელმძღვანელობის ქვეშ იმ ფარგლებში, რომლებიც, თავის მხრივ, დადგენილია მათი კომპეტენტური ორგანოების შეთანხმების საფუძველზე.

c) წევრი სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობს ჯგუფის მუშაობა, ქმნის აუცილებელ ორგანიზაციულ წინაპირობებს მისი საქმიანობისათვის.

(4) ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების გაგებით, წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები, გარდა ჯგუფის მოქმედების სახელმწიფოს წარმომადგენლებისა, ითვლებიან ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფში „წარგზავნილ" წევრებად.

(5) ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფში წარგზავნილი წევრები უფლებამოსილნი არიან, იმყოფებოდნენ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე საგამოძიებო ჯგუფის ხელმძღვანელი უფლებამოსილია, განსაკუთრებული საფუძვლის არსებობისას, იმ წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი დებულებების შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზე ხორციელდება ჯგუფის საქმიანობა, სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღოს.

(6) ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფში წარგზავნილი წევრებს შესაძლებელია, იმ წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი დებულებების შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედება, ჯგუფის ხელმძღვანელმა დაავალოს გარკვეული საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარება, თუკი ამას შესაბამისი ადგილობრივი და წარმგზავნი წევრი სახელმწიფოების უწყებები დაეთანხმებიან.

(7) თუკი ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის მუშაობისათვის საჭიროა საგამოძიებო ღონისძიების ჩატარება, რომელიც უნდა ჩატარდეს ჯგუფში ჩართული ერთ-ერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელმაც ჯგუფი შექმნა, ამ სახელმწიფოს მიერ წარგზავნილ პირებს შეუძლიათ თავიანთ კომპეტენტურ ორგანოებს აღნიშნული ღონისძიების ჩასატერებლად თხოვნით მიმართონ. მისი ჩატარების მიზანშეწონილობა შემოწმდება შიდა გამოძიებისათვის გათვალისწინებულ ფარგლებში.

(8) ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის მუშაობისათვის თუკი საჭიროა იმ წევრი სახელმწიფოს მხარდაჭერა, რომელსაც ამ ჯგუფის შექმნაში მონაწილეობა არ მიუღია, ან კიდევ საუბარია მესამე სახელმწიფოს მხრიდან დახმარებაზე, მაშინ იმ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს, რომლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობს ჯგუფის მუშაობა, შესაბამისი შეთანხმებების ფარგლებში შეუძლიათ, სხვა სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს მიმართონ სამართლებრივი დახმარების შესახებ თხოვნით.

(9) ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის წევრი უფლებამოსილია, მისი ქვეყნის სამართლებრივი დებულებების შესაბამისად და მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ინფორმაციები, რომლებსაც მისი წარმგზავნი წევრი სახელმწიფო ფლობს, გასატარებელი სისხლისსამართლებრივი გამოძიების მიზნებიდან გამომდინარე, გააცნოს ჯგუფის წევრებს.

(10) საერთო საგამოძიებო ჯგუფში მათი უფლებამოსილების განხორციელებისას, წევრისგან ან წარგზავნილი წევრისგან მართლზომიერად მიღებული ინფორმაცია, რომელიც შესაბამისი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოსათვის სხვაგვარად ხელმიუწვდომელი იქნებოდა, შესაძლებელია, შემდეგი მიზნით იქნეს გამოყენებული:

a) იმ მიზნებისათვის, რომლისთვისაც ჯგუფი შეიქმნა;

b) სხვა დანაშაულის გამოვლენის, გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, თუკი წინასწარ მიღებულია იმ წევრი სახელმწიფოს თანხმობა, რომელშიც მოპოვებულ იქნა ეს ინფორმაცია. ასეთი თანხმობა მხოლოდ მაშინ შეიძლება უარყოფილ იქნეს, თუკი ამან შესაძლოა, ზიანი მიაყენოს ამ სახელმწიფოში საგამოძიებო ღონისძიებების გატარებას ან იმ შემთხვევებში, როდესაც ამ წევრ სახელმწიფოს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე უარის თქმის საფუძველი აქვს;

c) თუკი საშიშროება სერიოზულია და საჯარო უსაფრთხოების ხელყოფას უშუალოდ

საფრთხე ემუქრება, რომელიც უნდა განხორციელდეს b) ქვეპუნქტის დაურღვევლად, როდესაც ამას სისხლისსამართლებრივი გამოძიების დაწყება მოყვება;

d) სხვა მიზნებისათვის, თუ წევრ სახელმწიფოებს შორის, რომლებმაც ამგვარი ჯგუფი შემქნეს, შეთანხმება არსებობს.

(11) ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ხელშეუხებელს ტოვებს სხვა უკვე არსებულ დებულებებსა და შეთანხმებებს, რომლებიც დაკავშირებულია ერთიანი საგამოძიებო ჯგუფის შექმნასთან ან მის საქმიანობასთან.

(12) რამდენადაც შესაბამისი წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი დებულებებით ან მათ შორის გამოყენებული შეთანხმებებით დაშვებულია, შეიძლება მოხდეს შეთანხმება, რომ ერთიანი საგამოძიებო ჯგუფის საქმიანობაში იმ პირებმაც მიიღონ მონაწილეობა, რომლებიც არ არიან ჯგუფის შემქმნელი წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური უწყებებისგან წარგაზავნილი პირები. აქ, მაგალითად, საქმე შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულებით შექმნილი ორგანიზაციების მოსამსახურეებს, რომლებიც წევრებად ან სახელმწიფოთა მიერ წარგზავნილ ჯგუფის წევრებად არ ითვლებიან და ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებით მინიჭებული უფლებებით არ სარგებლობენ, თუკი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 2 მოხელეთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

1-ლი მუხლის თანახმად მოქმედებებისას, სხვა წევრი სახელმწიფოების მოხელეები, რომელთა წინააღმდეგაც განხორციელდა ან თავად ჩაიდინეს დანაშაული, უთანაბრდებიან ჯგუფის სამოქმედო სახელმწიფოს მოხელეებს.

მუხლი 3 მოხელეთა სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა

(1) როდესაც რომელიმე წევრი სახელმწიფოს მოხელე, 1-ლი მუხლის შესაბამისად, სხვა წევრ სახელმწიფოში მოქმედებს, მის მიერ მიყენებული ზიანისათვის წარმგზავნი სახელმწიფო პასუხს აგებს იმ წევრი სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისად, რომლის სუვერენულ ტერიტორიაზეც მოქმედება მიმდინარეობს.

(2) წევრი სახელმწიფო, რომლის სუვერენულ ტერიტორიაზე პირველ აბზაცში დასახელებული ზიანი იქნა მიყენებული, ანაზღაურებს მას ისე, როგორც ამას იგი აანაზღაურებდა თავისი მოხელის მიერ ზიანის მიყენების შემთხვევაში.

(3) წევრი სახელმწიფო, რომლის მოხელის მოქმედებამ სხვა წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე ზიანი გამოიწვია, უნაზღაურებს ამ სხვა სახელმწიფოს ანაზღაურებული ზიანის მთლიან ოდენობას, რომელიც მან დაზარალებულს ან მის სამართალმემკვიდრეს გადაუხადა.

(4) მესამე პირთა უფლებების დაურღვევლად და მე-3 აბზაცის გამოკლებით, ყოველი წევრი სახელმწიფო, 1-ლი აბზაცის შემთხვევაში, უარს აცხადებს სხვა სახელმწიფოს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე.

მუხლი 4 განხორციელება

(1) წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომებს, რათა ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების წინაპირობები 2003 წლის 1 იავრამდე შესრულდეს.

(2) წევრი სახელმწიფოები საბჭოს გენერალურ მდივანსა და კომისიას აცნობებენ იმ ცვლილებების შინაარსის ტექსტს, რომლებიც მათ ჩარჩო-გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვალდებულებების საკუთარ სამართალში გადასატანად განახორციელეს. ამ და სხვა მონაცემების საფუძველზე, კომისია საბჭოს 2004 წლის 1 ივლისამდე წარუდგენს მოხსენებას ამ

ჩარჩო-გადაწყვეტილების განხორციელების შესახებ. საბჭო ადგენს, თუ როგორ შეასრულეს წევრმა სახელმწიფოებმა ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების დებულებები.

მუხლი 5 ძალაში შესვლა

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღიდან. იგი ძალას კარგავს მაშინ, როგორც კი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ შეთანხმება ყველა წევრი სახელმწიფოსთვის შევა ძალაში.

§9 გადაწყვეტილებათა ორმხრივი ურთიერთაღიარება სისხლის სამართალში

I შესავალი

ევროკავშირის საბჭოს, ევროკომისიისა და ევროპარლამენტის მიერ გამოთქმული საერთო თვალსაზრისის მიხედვით, იუსტიციური გადაწყვეტილებების ორმხრივი ურთიერთაღიარება წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეებზე იუსტიციური თანამშრომლობის ფუძემდებლურ სტრუქტურულ პრინციპს. ამ პრინციპის მიხედვით, ნაციონალური იუსტიციის ორგანოების გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ყველა სხვა წევრ სახელმწიფოში შემოწმების გარეშე მოქმედების ძალას იძენს და აღსრულდება.[1]

„ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპი" განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 86-ე მუხლის საფუძველზე ევროპული პროკურატურის ინსტიტუტის შექმნისა და ამოქმედების შემდეგ. ეს პრინციპი უკვე ათ წელზე მეტია ვითარდება ევროკავშირის სამართლებრივ სივრცეში. 1999 წლის ოქტომბერში ტამპერეში (Tampere) გამართული ევროპული საბჭოს სხდომა მთლიანად მიეძღვნა ევროკავშირის ფარგლებში „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცის" წარმოქმნას. სწორედ მაშინ გამოცხადდა „ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპი", როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის სფეროებში ურთიერთთანამშრომლობის ქვაკუთხედად. იგი გულისხმობს როგორც განაჩენების, ასევე იუსტიციური ორგანოების სხვა გადაწყვეტილებების ურთიერთაღიარებას[2].

თავდაპირველად ეს პრინციპი ევროკომისიის მიერ შიდა ბაზრის წარმოქმნისათვის იქნა განვითარებული, რათა შრომატევადი და დროში გაწელილი ჰარმონიზაციის გარეშე, შედარებით მარტივი ურთიერთაღიარების მექანიზმის გამოყენებით უზრუნველეყო საქონლის თავისუფალი ბრუნვა[3]. სწორედ ამიტომ ლიტერატურაში მიუთითებენ „წარმოშობის ქვეყნის პრინციპის" (Herkunftslandprinzip) მიხედვით „პროდუქციის სტანდარტების ორმხრივ ურთიერთაღიარებაზე"[4].

სისხლის სამართლის პროცესში ეს პრინციპი არის შემდეგი შინაარსის მატარებელი: ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში მართლზომიერად დადგენილი იუსტიციური გადაწყვეტილება ყველა სხვა წევრ სახელმწიფოში უნდა იქნეს აღიარებული. ასეთი აღიარების წინაპირობაა, რომ არსებობდეს წევრ სახელმწიფოთა შორის ერთმანეთის სისხლის სამართლის იუსტიციის სისტემების მიმართ ურთიერთნდობა და ყოველი წევრი სახელმწიფო აღიარებდეს სხვა წევრ სახელმწიფოებში მოქმედ სისხლის სამართლის გამოყენების პრინციპებსა და წესებს, მაშინაც კი, როცა კონკრეტულ შემთხვევაში საკუთარი ნაციონალური სამართლის გამოყენება სხვა სამართლებრივ შედეგს გამოიწვევდა.[5] ნაციონალური სასამართლო გადაწყვეტილებების მთელი კავშირის მასშტაბით ურთიერთაღიარებას შედეგად მოსდევს სამართლებრივი დახმარების სფეროში არსებული, დროში გაწელილი სირთულეების გაუქმება და, ამ გზით, ეფექტური ტრანსნაციონალური სისხლის სამართლის დევნის შესაძლებლობების შექმნა. ევროპაში

---

[1] შეად. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 470.

[2] იხ. *Esser* (Hrsg.), Europäisches und Internationales Strafrecht, 2009, გვ. 49.

[3] იხ. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrechts, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 164-165. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხ. *Satzger,* StV 2003, 141.

[4] გამოთქმა: „Die gegenseitige Anerkennung der Produktstandards" იხ. წიგნში: *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 475.

[5] იხ. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrechts, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 165.

დღეისათვის არსებული თავისუფალი გადაადგილების უფლება დამნაშავეებს აძლევს შიდა საზღვრების უპრობლემოდ გადაკვეთის შესაძლებლობას. შესაბამისად, ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპმა უნდა უზრუნველყოს, რომ სისხლის სამართლის დევნა არ იყოს შეკვეთილი წევრი სახელმწიფოების ნაციონალურ საზღვრებში, არამედ ხელი უნდა შეუწყოს „ნამდვილი ევროპული სამართლებრივი სივრცის“ ჩამოყალიბებას. ლიტერატურაში პრობლემურად მიიჩნევა ამ პრინციპის გადატანა შიდა ბაზრის სამართლებრივი ურთიერთობებიდან პოლიციური და იუსტიციური თანამშრომლობის სფეროებში და გამოთქმულია შეხედულებები პრობლემის de lege ferenda გადაწყვეტის შესახებ.[1]

სისხლის სამართლის პროცესის უმაღლესი მიზანია საქმის სამართლიანი განხილვის უფლების უზრუნველყოფა. ერთ სახელმწიფოში გამოტანილი გადაწყვეტილების მეორე სახელმწიფოს მიერ აღიარებამ შესაძლოა, გამოიწვიოს გარკვეული უფლებების ხელყოფა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ანალოგიური შემთხვევისათვის გადაწყვეტილების აღსრულების სახელმწიფოში სამართლებრივი დაცვის უფრო მაღალი სტანდარტი მოითხოვება. ამის გამო, ორმხრივი ურთიერთაღიარების გვერდით თავის მნიშვნელობას არ კარგავს წევრ სახელმწიფოთა სამართლებრივი სისტემების დაახლოება ჰარმონიზაციის გზით. რამდენადაც ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში ადამიანები უფლებათა დაცვის „სამმაგი ქოლგის ქვეშ“ – ნაციონალური კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ძირითად უფლებათა ქარტია – იმყოფებიან, ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპით შემცირებულია პროცესუალურ უფლებათა დარღვევის შანსი. მართალია, ამ ევროპული აქტებით გარანტირებული ბრალდებულის საპროცესო უფლებები უზრუნველყოფენ ძირითად უფლებათა საერთო ევროპულ სტანდარტებს, მაგრამ რადგან ისინი მხოლოდ მინინალური უფლებების გარანტიას იძლევიან, ამიტომ ნაციონალური სისტემები, როგორც „კომპლექსური დინამიური სისტემა“[2] სხვადასხვა სტრატეგიებს ატარებენ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლებრივ-სახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის პროცესი. *ჰეკერი* ასახელებს, მაგალითად, მტკიცებულებათა თავისუფალი გამოყენების პრინციპს. კერძოდ, წინასწარი გამოძიების პროცესში მტკიცებულებათა მოპოვების წესები და სასამართლოს მთავარ სხდომაზე მისი გამოყენება გარკვეულ შემთხვევებში არა იდენტური, არამედ ერთმანეთთან შეუთავსებელია. ეს განპირობებულია განსაკუთრებით კონტინენტალურ-ევროპული საგამოძიებო პრინციპსა და ანგლო-ამერიკულ წმინდა შეჯიბრებით პროცესს შორის განსხვავებით.[3]

ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპი ნორმატიულად პრიმერული სამართლის დონეზე პირველად აისახა ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 82-ე მუხლის პირველ აბზაცში. ასევე ევროპის კონსტიტუციის პროექტის III-270-ე მუხლი ითვალისწინებდა იმავე შინაარსის ნორმას.

ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 82-ე მუხლის მიხედვით, კავშირის ფარგლებში იუსტიციური თანამშრომლობა სისხლის სამართლის საქმეებზე ეყრდნობა სასამართლო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპს. ევროპული პარლამენტი და საბჭო, დადგენილი საკანონმდებლო პროცედურის შესაბამისად, იღებს ღონისძიებებს, რათა (ა) დადგინდეს წესები და პროცედურები, რომლის მიხედვითაც, მთელი კავშირის მასშტაბით მოხდება ყველა სახის განაჩენისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღიარების უზრუნველყოფა; (ბ) თავიდან იქნეს აცილებული

---

[1] შეად. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 478-479; იხ. ასევე: *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrechts, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 165.

[2] *Perron*, ZStW 109 (1997), გვ. 281, 288.

[3] იხ. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 476.

და მოგვარებული წევრ სახელმწიფოთა შორის კომპეტენციათა შესახებ კონფლიქტი; (გ) ხელი შეეწყოს მოსამართლეთა და პროკურორთა, ასევე იუსტიციის სფეროში მომუშავე პირთა კვალიფიკაციის ამაღლებას; (დ) გამარტივდეს თანამშრომლობა წევრი სახელმწიფოების იუსტიციის უწყებებს ან შესაბამის უწყებებს შორის სისხლისსამართლებრივი დევნის, ასევე გადაწყვეტილებების შესრულებისა და აღსრულების პროცესში.

ევროპულ სისხლის სამართალში ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის გამოხატულებაა ერთი და იგივე ქმედებისათვის ტრანსნაციონალური ორჯერ დასჯის აკრძალვა ევროპის კავშირის ფარგლებში, რომელიც ზემოთ იქნა განხილული, ასევე ერთიანი ევროპული დაპატიმრების ბრძანება, რომელსაც ქვემოთ ცალკე პარაგრაფი მიეძღვნება. გარდა ამისა, ბოლო წლებში მიღებულ ან ინიციირებულ იქნა სხვა არაერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი, რომელიც ამ პრინციპს ეფუძნება[1].

ამ პარაგრაფში წარმოგიდგენთ ზოგიერთ ჩარჩო-გადაწყვეტილებას, რომელიც გარდა ორმხრივი ურთიერთაღიარებისა, ასევე წარმოადგენს ინსტრუმენტს ჰარმონიზაციის გზით წევრი სახელმწიფოების ნაციონალური სისხლის სამართლის სისტემების დაახლოებისათვის.

II უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებების ურთიერთაღიარება

2003 წლის 22 ივლისის ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო-გადაწყვეტილება[2] გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, რაც დაკავშირებულია ევროკავშირში ქონებრივი ღირებულებების ან მტკიცებულებების უზრუნველყოფასთან

ევროკავშირის საბჭომ ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება მიიღო ევროკავშირის ხელშეკრულებაზე, განსაკუთრებით მის 31-ე მუხლის a) და 34-ე მუხლის მე-2 აბზაცის b) ქვეპუნქტებზე დაყრდნობით. იგი მიღებულ იქნა საფრანგეთის რესპუბლიკის, შვედეთისა და ბელგიის სამეფოების ინიციატივით, მას შემდეგ, რაც ევროპულმა პარლამენტმა 2002 წლის 11 ივნისს დაუჭირა მას მხარი.

როგორც პრეამბულაშია აღნიშნული, ამ აქტის მიღების დროს მხედველობაში იქნა მიღებული შემდეგი გარემოებები:

– ევროპულმა საბჭომ 1999 წლის ოქტომბრის სხდომაზე ტამპერეში მხარი დაუჭირა ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპს, რომელიც როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეებზე კავშირის ფარგლებში იუსტიციური თანამშრომლობის ქვაკუთხედი უნდა გამხდარიყო;

– ორმხრივი ურთიერთაღიარების ეს პრინციპი, ასევე უნდა მოქმედებდეს გამოძიების პროცესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებისათვის, განსაკუთრებით კი, ისეთი აქტებისათვის, რომლებიც იუსტიციურ ორგანოებს შესაძლებლობას აძლევს, მოახდინონ მტკიცებულებათა სწრაფად უზრუნველყოფა და, ამ მიზნით, მოძრავი ქონებრივი ღირებულებების დაყადაღება;

– საბჭომ, 2000 წლის 29 ნოემბერის ტამპერეს დასკვნითი დებულებების შესაბამისად,

---

[1] ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის გამოყენების სფეროების შესახებ იხ. *Hecker:* Europäisches Strafrechts, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 470-474.

[2] ABl. L 196, 2. 08. 2003. იხ. ინგლისურ ენაზე 2003/577/JHA. ხოლო გერმანულ ენაზე – 2003/577/JI.

სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის ღონისძიებათა პროგრამა მიიღო, რომლის უმაღლესი პრიორიტეტია ისეთი სამართლებრივი აქტის მიღებაა, როგორიცაა ორმხრივი აღიარების პრინციპის გამოყენება მტკიცებულებისა და ქონებრივი ღირებულებების უზრუნველყოფის მიმართ;

– წევრ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობას ორმხრივი ურთიერთაღიარებისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა უშუალოდ აღსრულების პრინციპის მიხედვით, გააჩნია ის წინაპირობა, რომ წევრი სახელმწიფოები ერთმანეთს ენდობიან, რომ ასაღიარებელი და აღსასრულებელი გადაწყვეტილებები მუდამ მართლზომიერების, სუბსიდიარულობისა და პროპორციულობის პრინციპების დაცვითაა გამოცემული;

– ამ ურთიერთობების დროს დაცული უნდა იქნეს მხარეთა, ასევე მონაწილე კეთილსინდისიერი მესამე პირების უფლებები;

– წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება პატივს სცემს ძირითად უფლებებს და იცავს ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლში აღიარებულ პრინციპებს, რომლებიც, ასევე ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიით, განსაკუთრებით მისი მე-6 სათაურით, არის გარანტირებული. წინამდებარე ჩარჩო-გადაწყვეტილების არცერთი განსაზღვრება არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ იგი კრძალავს ქონებრივი ღირებულებების, რომელთა გამოც უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, უზრუნველყოფაზე უარის თქმას, თუ ობიექტური გარემოებები იმაზე მიუთითებენ, რომ უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა პირის სქესის, რასის, რელიგიის, ეთნიკური კუთვნილების, მოქალაქეობის, ენის, პოლიტიკური შეხედულებების ან სექსუალური ორიენტაციის გამო დევნის ან დასჯის მიზნით ან პირის მდგომარეობა ერთ-ერთი ამ საფუძვლიდან გამომდინარე გაუარესდება.

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება უცვლელად ტოვებს ყოველი წევრი სახელმწიფოს კონსტიტუციური წესების გამოყენების თავისუფლებას, რაც დაკავშირებულია სამართლიან სასამართლო პროცესთან, გაერთიანების თავისუფლებასთან, პრესის თავისუფლებასა და სხვა ნედია საშუალებებით გამოხატვის თავისუფლებასთან.

ჩარჩო-გადაწყვეტილების ტექსტი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

სათაური I
გამოყენების სფერო

მუხლი 1 მიზანი

ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მიზანია ნორმების განსაზღვრა, რომლის მიხედვით, წევრი სახელმწიფო თავის სახელმწიფო ტერიტორიაზე აღიარებს და აღასრულებს უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებას, რომელიც სხვა წევრი სახელწიფოს იუსტიციის ორგანოს მიერ სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში იქნა მიღებული. ეს ჩარჩო-გადაწყვეტილებას არ ცვლის ხელშეკრულების მე-6 მუხლის მიხედვით გათვალისწინებულ ძირითად უფლებათა ან ზოგადი სამართლებრივი პრინციპების პატივისცემის ვალდებულებას.

მუხლი 2 ცნებების განსაზღვრა

ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მიზნებისთვის ქვემოთ ჩამოთვლილი ცნებები ნიშნავს:

a) „გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფო“ – წევრი სახელმწიფო, რომლის იუსტიციის ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის

შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია, სამართლებრივი ძალის მქონედ არის აღიარებული ან სხვა გზით არის დადასტურებული;

b) „აღმასრულებელი სახელმწიფო“ – წევრი სახელმწიფო, რომლის სუვერენულ ტერიტორიაზეც ქონება ან მტკიცებულება მდებარეობს;

c) „უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება“ – ყოველი წევრი სახელმწიფოს შესაბამისი იუსტიციის ორგანოს მიერ მიღებული ღონისძიება, რომლითაც დროებით იმ ქონებრივი ღირებულების განადგურების, შეცვლის, გატარების, გადატანის ან მისი გასხვისებისთვის ხელის შეშლა ხდება, რომელიც შესაძლოა, მტკიცებულებას წარმოადგენდეს ან მისი ჩამორთმევის შესახებ განკარგულება იქნეს გაცემული;

d) „ქონებრივი ღირებულება“ – სხეულებრივი ან არასხეულებრივი, მოძრავი ან უძრავი ქონების ნებისმიერი სახე, ასევე დოკუმენტი ან სამართლებრივად მნიშვნელოვანი საბუთი, რომელიც ამგვარ ქონებრივ უფლებას ასახავს და მათ შესახებ გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს შესაბამის იუსტიციურ ორგანოებს მიაჩნიათ, რომ

– საქმე ეხება დანაშაულებრივი ქმედებისგან მიღებულ შემოსავალს მე-3 მუხლის თანახმად, ან ქონებრივ ღირებულებას, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ აღნიშნული შემოსავლის ღირებულებას შეესაბამება, ან

– იგი დანაშაულის იარაღს ან დანაშაულის მიზანს წარმოადგენს;

e) „მტკიცებულება“ – ნივთები, დოკუმენტი ან მონაცემები, რომლებიც შესაძლოა, დანაშაულის შემადგენლობის გამო როგორც მტკიცებულებითი ღირებულების მქონე ობიექტები სისხლის სამართლის პროცესში მე-3 მუხლის მიხედვით იქნენ გამოყენებული.

მუხლი 3 დანაშაულებრივი ქმედებები

(1) ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება მოქმედებს უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებებისთვის, რომლებიც:

a) მტკიცებულებათა მოპოვების უზრუნველყოფის ან

b) ქონებრივი ღირებულებების ჩამორთმევის მიზნით იქნა მიღებული.

(2) შემდეგი დანაშაულების მიმართ, რომლებიც გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს სამართლით არის განსაზღვრული და იქ მაქსიმალური სასჯელი სულ მცირე სამი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, არ ხდება ორმხრივი დასჯადობის შემოწმება:

– დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობა,

– ტერორიზმი,

– ტრეფიკინგი,

– ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და ბავშვთა პორნოგრაფია,

– ნარკოტიკული ნივთიერებებით ან ფსიქოტროპული საშუალებებით არალეგალური ვაჭრობა,

– იარაღით, საბრძოლო მასალით და ასაფეთქებელი საშუალებებით არალეგალური ვაჭრობა,

– კორუფცია,

– თაღლითობის დანაშაულები, მათ შორის, ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების საზიანოდ მიმართული დანაშაულები, გამომდინარე 1995 წლის 26 ივლისის ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ შეთანხმებიდან,

– დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრება,

– ფულის გაყალბება, ევროს გაყალბების ჩათვლით,

– კიბერნეტიკული დანაშაული,

– გარემოს დაცვის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, მათ შორის, საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველებისა ან მცენარეების სახეებით არალეგარული ვაჭრობა,

– საზღვრის არალეგალურად გადაკვეთასა ან ქვეყანაში არალეგალურად ყოფნაში დახმარება,

– განზრახ მკვლელობა ან სხეულის მძიმე დაზიანება,

– ადამიანის ორგანოებით ან ქსოვილებით არალეგალურად ვაჭრობა,

– გატაცება, თავისუფლების აღკვეთა ან მძევლად ხელში ჩაგდება,

– რასიზმი ან ქსენოფობია,

– ქურდობა, ჩადენილი ორგანიზებულად ან იარაღით,

– კულტურული ღირებულების მქონე ნივთებით, მათ შორის ანტიკვარებითა და ხელოვნების ნიმუშებით არალეგალური ვაჭრობა,

– თაღლითობა,

– გამოძალვა და რეკეტის გზით ფულის გამოძალვა,

– გაყალბება და ფალსიფიკაცია,

– სამოხელეო დოკუმენტების გაყალბება და ამით ვაჭრობა,

– გადახდის საშუალებების გაყალბება,

– ჰორმონებითა და ხელოვნური ზრდის სხვა ნივთიერებებით არალეგალური ვაჭრობა,

– ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებით არალეგალური ვაჭრობა,

– ნაქურდალი სატრანსპორტო საშუალებებით არალეგალური ვაჭრობა,

– გაუპატიურება,

– ცეცხლის წაკიდება,

– დანაშაულები, რომლებიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში შედის,

– საჰაერო და საზღვაო ხომალდის გატაცება,

– საბოტაჟი.

(3) საბჭო უფლებამოსილია, ერთხმად, ევროპის პარლამენტის მოსმენის შემდეგ, ხელშეკრულების 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნებისმიერ დროს გადაწყვიტოს, დანაშაულების სხვა სახეების მე-2 მუხლის ჩამონათვალში შეტანა. საბჭო, იმ მოხსენების მეშვეობით, რომელსაც კომისია მას ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-14 მუხლის მიხედვით წარუდგენს, ამოწმებს, თუ რამდენად მიზანშეწონილია, ამ სიის გაფართოება ან შეცვლა.

(4) აღმასრულებელ სახელმწიფოს შეუძლია, იმ შემთხვევების დროს, რომელთაც მე-2 ნაწილი არ მოიცავს, პირველი ნაწილის a) ქვეპუნქტით დასახელებული მიზნებისთვის მიღებული უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება აღასრულოს და აღიაროს იმ პირობით, რომ ქმედებები, რომელთა გამოც უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლის მიხედვით დანაშაულებს წარმოადგენენ, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს სამართლში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ან კლასიფიკაციისა.

აღმასრულებელ სახელმწიფოს შეუძლია, იმ შემთხვევების დროს, რომელთაც მე-2 ნაწილი არ მოიცავს, პირველი ნაწილის a) ქვეპუნქტით დასახელებული მიზნებისთვის მიღებული უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება აღასრულოს და აღიაროს იმ პირობით, რომ ქმედებები, რომელთა გამოც უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლის მიხედვით ისეთ დანაშაულებს წარმოადგენენ,

რომელთა მიმართაც უზრუნველყოფის ღონისძიება არის შესაძლებელი, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს სამართლში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ან კლასიფიკაციისა.

სათაური II
უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების პროცესი

მუხლი 4 უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გადაცემა

(1) ყოველი უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება, ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, მე-9 მუხლში მითითებულ მოწმობასთან ერთად, იუსტიციის ორგანოს მიერ, რომელმაც გადაწყვეტილება გამოსცა, პირდაპირ გადაეცემა აღსრულებისათვის უფლებამოსილ იუსტიციის ორგანოს იმ ფორმით, რომელიც აღმასრულებელ სახელმწიფოს მისი ნამდვილობის შემოწმებისა და წერილობითი დადასტურების საშუალებას მისცემს.

(2) გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიას შეუძლიათ, მე-14 მუხლის პირველი ნაწილში დასახელებულ დრომდე დეკლარაციის მეშვეობით განაცხადონ, რომ უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება მოწმობასთან ერთად უნდა გადაეცეს იმ ცენტრალური ორგანოს ან ცენტრალური ორგანოების მეშვეობით, რომლებიც დეკლარაციაშია აღწერილი. მსგავსი სახის დეკლარაცია შესაძლებელია ნებისმიერ დროს შემდგომი დეკლარაციით შეიცვალოს ან უკან იქნეს გათხოვილი. ყოველი დეკლარაციის ან მისი უკან გათხოვის დეპონირება ხდება საბჭოს გენერალურ სამდივნოში და კომისიისათვის შეტყობინებით. ამ წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს შემდგომში გაკეთებული დეკლარაციით გამოყენების სფერო ამგვარი განმარტებით შეზღუდონ, რათა ამით პირველი ნაწილის მოქმედება გააძლიერონ. ისინი მოქმედებენ ასე, თუკი მათთვის შენგენის შეთანხმების განხორციელების შესახებ შეთანხმების სამართლებრივი დახმარების თაობაზე დებულებები ძალაში შევა.

(3) თუკი აღსრულებისთვის უფლებამოსილი იუსტიციის ორგანო უცნობია, მაშინ გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს იუსტიციის ორგანო ეცდება მის ხელთ არსებული ყველა საშუალებებით – მათ შორის, ევროპული იუსტიციური ქსელის[1] საკონტაქტო ორგანოების მეშვეობით – აღმასრულებელ სახელმწიფოს გადასცეს ინფორმაცია.

(4) თუკი აღმასრულებელი სახელმწიფოს იუსტიციის ორგანო, რომელსაც უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება გადაეცა, არაუფლებამოსილია აღიაროს იგი და აღსრულებისთვის საჭირო ღონისძიებები გაატაროს, მაშინ ის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებას აღსრულებისათვის გადასცემს უფლებამოსილ იუსტიციის ორგანოს და აცნობებს ამის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოს იუსტიციურ ორგანოს, რომელმაც უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება გამოსცა.

მუხლი 5 აღიარება და უშუალო აღსრულება

(1) აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო აღიარებს მე-4 მუხლის თანახმად გადაცემულ ყოველ უზრუნველყოფის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას ყოველგვარი ფორმალურობის გარეშე და იღებს დაუყონებლივ აუცილებელ ზომებს მათი უშუალო

[1] ევროპული იუსტიციური ქსელი, რომელიც შექმნილია 1998 წლის 29 ივნისის საერთო ღონისძიებით, წარმოდგენილი იყო ზემოთ. Gemeinsame Maßnahme 98/428/JI zur Einrichtung eines Europäischen Justiziellen Netzes. იხ. ABl. L 191, 7. 07. 1998.

აღსრულებისთვის იმავე გზით, როგორც ეს აღმასრულებელი სახელმწიფოს ორგანოს მიერ გამოცემული უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ხდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უფლებამოსილი ორგანო უარს იტყვის აღიარებაზე ან აღსრულებაზე მე-7 მუხლის საფუძველზე ან მე-8 მუხლის შესაბამისად გადასწევს ვადას.

აღმასრულებელი სახელმწიფოს იუსტიციის ორგანო, გარდა ამისა, იცავს, გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილი იუსტიციის ორგანოს მიერ უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებისთვის საგანგებოდ მითითებული ფორმასა და პროცესს, თუ ეს გამოთხოვილი მტკიცებულებების ძალაში ყოფნის შემოწმებისათვის არის საჭირო და თუკი აღნიშნული ფორმა და პროცესი არ ეწინააღმდეგება აღმასრულებელ სახელმწიფოს სამართლის ძირითად პრინციპებს.

უზრუნველყოფის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს ნებისმიერი საშუალებით, რისი დადასტურებაც წერილობით შესაძლებელია.

(2) იძულებითი ღონისძიებების ყოველი დამატებითი გამოყენება, რაც უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე არის აუცილებელი, ხორციელდება აღმასრულებელი სახელმწიფოს შესაბამისი საპროცესო ნორმების მიხედვით.

(3) აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოები შეძლებისდაგვარად დაჩქარებულ ვადებში წყვეტენ საკითხს უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესახებ, თუ ეს შესაძლებელია, მისი მიღებიდან 24 საათის განმავლობაში და ამის შესახებ აცნობებენ გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოს.

მუხლი 6 უზრუნველყოფის ხანგრძლივობა

(1) შესაბამისი ნივთები აღმასრულებელ სახელმწიფოში მანამ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, სანამ აღმასრულებელი სახელმწიფო თხოვნას მე-10 მუხლის პირველი აბზაცის a) ან b) ქვეაბზაცის შესაბამისად სრულად არ განახორციელებს.

(2) აღმასრულებელი სახელმწიფო უფლებამოსილია, გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს მოსმენის შემდეგ, თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და ტრადიციების შესაბამისად, შემთხვევის გარემოებების შესაბამისი პირობები დაადგინოს, რათა ქონებრივი ღირებულების უზრუნველყოფის განხორციელების ვადის ხანგრძლივობა შეზღუდოს. თუკი მისი მიზანია, უზრუნველყოფა ამ პირობებიდან გამომდინარე დაასრულოს, მაშინ ის ამის შესახებ აცნობებს გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოს და აძლევს მას ამის შესახებ შენიშვნების წარდგენის შესაძლებლობას.

(3) გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს იუსტიციის ორგანოები დაუყონებლივ ატყობინებენ აღმასრულებელი სახელმწიფოს იუსტიციის ორგანოებს უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. ამ შემთხვევაში აღმასრულებელი სახელმწიფო ვალდებულია, შეძლებისდაგვარად დაჩქარებულ ვადებში მიიღოს გაუქმების შესაბამისი ზომები.

მუხლი 7 აღიარების ან აღსრულების უარყოფის საფუძვლები

(1) აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილ იუსტიციის ორგანოებს შეუძლიათ, უარი განაცხადონ უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების აღიარებასა და აღსრულებაზე მხოლოდ მაშინ, როცა:

ა) დოკუმენტი მე-9 მუხლის თანახმად არ იქნა წარმოდგენილი, არასრულყოფილია ან აშკარად არ შეესაბამება უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებას;

ბ) აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლით ისეთი გათავისუფლების საფუძვლები ან პრივილეგიებია გათვალისწინებული, რაც უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებას შეუძლებელს ხდის;

ც) დოკუმენტში არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მე-10 მუხლიდან გამომდინარე სამართლებრივი დახმარება, რომელიც მიმართულია იმ დანაშაულისაკენ, რაც უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას დაედო საფუძვლად, შესაძლოა ne bis in idem-ის პრინციპს ეწინააღმდეგებოდეს;

დ) მე-3 მუხლის მე-4 აბზაცში დასახელებულ შემთხვევებში, ქმედება, რომლის საფუძველზეც უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლით დანაშაულს არ წარმოადგენს; საგადასახადო, საბაჟო და სავალუტო საქმიანობებში არ შეიძლება უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება იმ საფუძვლით იქნეს უარყოფილი, რომ აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართალში მსგავსი გადასახადები არ არის გათვალისწინებული, ან იგი მსგავსი სახის საგადასახადო, საბაჟო და სავალუტო დებულებებს არ შეიცავს, როგორც ეს გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს სამართლითაა დადგენილი.

(2) 1-ლი აბზაცის a) ქვეაბზაცში დასახელებულ შემთხვევაში, უფლებამოსილ იუსტიციის ორგანოს შეუძლია,

a) დაადგინოს დოკუმენტის წარმოდგენის ან სრულყოფის ან გასწორების ვადა, ან

b) აღიაროს მსგავსი ღირებულების მქონე დოკუმენტი, ან,

c) თუკი მას მიაჩნია, რომ საკმარის ინფორმაციას ფლობს, გაათავისუფლოს იუსტიციის ორგანოები, რომლებმაც გადაწყვეტილება მიიღეს, ამგვარი დოკუმენტის წარმოდგენისაგან.

(3) ყოველი გადაწყვეტილება, დაკავშირებული აღსრულების აღიარებასთან ან უარყოფასთან, საჭიროებს დაუყონებლივ მიღებას და გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოებისთვის ნებისმიერი საშუალებით, რისი დადასტურდებაც წერილობით შესაძლებელია, შეტყობინებას.

(4) თუკი უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოსთან მოლაპარაკების შემდეგაც პრაქტიკაში ვერ აღსრულდება, რადგან ნივთი ან მტკიცებულება გაქრა, განადგურებულია ან დოკუმენტში მითითებული ადგილის პოვნა შეუძლებელია ან ადგილი, სადაც მტკიცებულება ან ნივთი იმყოფება, არასაკმარისადაა მითითებული, მაშინ ამის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილ იუსტიციურ ორგანოებს დაუყონებლივ ეცნობებათ.

მუხლი 8 აღსრულების გადავადების საფუძვლები

(1) აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილ იუსტიციურ ორგანოს შეუძლია, მე-4 მუხლის თანახმად გადაცემული უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება გადააგვადოს,

a) თუკი აღსრულებას მიმდინარე გამოძიებისათვის ზიანის მიყენება შეუძლია და, ამასთან, ამგვარი გადავადება იმ დროით არის შესაძლებელი, რამდენსაც სახელმწიფო საჭიროდ ჩათვლის;

b) თუკი ქონებრივი ღირებულება ან მტკიცებულება სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში უკვე უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების საგანს წარმოადგენდნენ და, ამასთან, გადავადება იმ დრომდე არის შესაძლებელი, სანამ უზრუნველყოფის შესახებ ეს გადაწყვეტილება არ გაუქმდება;

c) თუკი ქონებრივი ღირებულება, რომლის უზრუნველყოფა სისხლის სამართლის

პროცესის ფარგლებში მისი შემდგომი ჩამორთმევის მიზნით ხდება, აღმასრულებელ სახელმწიფოში უკვე სხვა პროცესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების საგანია. ამგვარი გადაცემა იმ დროით არის შესაძლებელი, სანამ ეს გადაწყვეტილება არ გაუქმდება. ეს ქვეპუნქტი მოქმედებს მხოლოდ მაშინ, როცა მსგავსი სახის სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებას შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით მოგვიანებით მიღებულ შიდასახელმწიფოებრივ უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებასთან მიმართებაში უპირატესობა გააჩნია.

(2) გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების გადავადება, გადავადების საფუძვლებთან ერთად, აგრეთვე, თუ შესაძლებელია, გადავადების სავარაუდო ხანგრძლივობა დაუყონებლივ ნებისმიერი ისეთი საშუალებით ეცნობება, რისი დადასტურდებაც წერილობით შესაძლებელია.

(3) როგორც კი ამგვარი გადავადების საფუძველი აღარ იარსებებს, აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო დაუყოვნებლივ იღებს აუცილებელ ზომებს უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებისთვის და ამის შესახებ ატყობინებს გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოს ორგანოებს, ნებისმიერი ისეთი საშუალებით, რისი დადასტურდებაც წერილობით შესაძლებელია.

(4) აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო ატყობინებს გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს უზრუნველყოფის ყველა სხვა ღონისძიების შესახებ, რაც შესაბამის ქონებრივი ღირებულების მიმართ უნდა განხორციელდეს.

მუხლი 9 ცნობა

(1) ცნობას, რომელიც დანართში მოცემული ფორმით უნდა იქნეს გამოყენებული, ხელი მოეწერება გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილი იუსტიციის ორგანოს მიერ, რომელმაც ღონისძიებები დაადგინა. ამასთან, ეს ორგანო ადასტურებს ამ დოკუმენტის შინაარსობრივ სისწორეს.

(2) ცნობა უნდა ითარგმნოს აღმასრულებელი სახელწიფოს ოფიციალურ ენაზე ან მის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე.

(3) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, ჩარჩო-გადაწყვეტილების მიღებისას ან მოგვიანებით დეპონირებული დეკლარაციით საბჭოს გენერალური სამდივნოს შეატყობინოს, რომ ის აღიარებს თარგმანს, რომელიც გაკეთებულია ევროკავშირის ერთ ან რამდენიმე ოფიციალურ ენაზე.

მუხლი 10 უზრუნველყოფილი ქონებისადმი შემდგომი მოპყრობა

(1) მე-4 მუხლის თანახმად გადაწყვეტილების გადაცემისთვის მოქმედებს წესები, კერძოდ, გადაწყვეტილებას

a) თან ერთვის თხოვნა გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოსათვის მტკიცებულების გადაცემის შესახებ, ან

b) თან ერთვის თხოვნა ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, რომელიც გამოცემულია გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს მიერ, ან თხოვნა დაკავშირებული ქონების ჩამორთმევასთან, რომელიც მიღებულია აღმასრულებულ სახელმწიფოში ასეთი გადაწყვეტილების შემდგომი აღსრულების მიზნით, ან

c) შესაბამისი ცნობა შეიცავს განკარგულებას, რომლის მიხედვითაც ქონებრივი ღირებულება აღმასრულებელ სახელმწიფოში მანამ რჩება, სანამ გადაწყვეტილების მიმღები

სახელმწიფო, ამ მუხლის a) ან b) ქვეპუნქტების შესაბამისად, თხოვნას არ წარადგენს. გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფო ცნობაში უთითებს თხოვნის გადაცემის (სავარაუდო) თარიღს. ამ დროს გამოიყენება მე-6 მუხლის მე-2 აბზაცი.

(2) თხოვნას 1-ლი ნაწილის a) და b) ქვეპუნქტების შესაბამისად, წარადგენს გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფო და აღმასრულებელი სახელმწიფო მას განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების წესებისა და ჩამორთმევის სფეროში არსებული საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის წესების შესაბამისად.

(3) მე-2 აბზაცში დასახელებული სამართლებრივი დახმარების შესახებ წესებისგან გადახვევით, აღმასრულებელი სახელმწიფოს მიერ 1-ლი აბზაცის a) ქვეპუნქტიდან გამომდინარე თხოვნა არ შეიძლება იმ არგუმენტით იქნეს უარყოფილი, რომ ქმედება ორივე მხარის მიერ არ ისჯება, თუკი საქმე ეხება მე-3 მუხლის მე-2 აბზაცში ჩამოთვლილ დანაშაულებს და ამ დანაშულებისათვის გადაწყვეტილების მიმღებ სახელწიფოში სულ მცირე 3 წლით თავისუფლების აღკვეთა არის დაწესებული.

მუხლი 11 გასაჩივრების სამართლებრივი საშუალებები

(1) წევრი სახელმწიფოები იღებენ აუცილებელ ზომებს, რათა ყველა შესაბამის მხარეს, მათ შორის, კეთილსინდისიერ მესამე პირს, ჰქონდეს შესაძლებლობა, გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს ან აღმასრულებელი სახელმწიფოს სასამართლოს წინაშე, ადგილობრივი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, შეაჩეროს მე-5 მუხლიდან გამომდინარე უზრუნველყოფის ღონისძიება სამართლებრივი საშუალებით, რომელიც გადავადებას არ ექვემდებარება, რათა თავისი სამართლებრივი ინტერესები დაიცვას.

(2) უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი საფუძვლები შესაძლებელია, მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოს სასამართლოში იქნეს გასაჩივრებული.

(3) თუკი სარჩელი წარდგენილი იქნება აღმასრულებელ სახელმწიფოში, მაშინ გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს იუსტიციის ორგანოს ამ სარჩელისა და მისი დასაბუთების შესახებ ეცნობება, რათა მან მის მიერ არსებითად მიჩნეული არგუმენტების წამოყენება შეძლოს. მას ეცნობება სასამართლო პროცესის შედეგების შესახებ.

(4) გადაწყვეტილების მიმღები და აღმასრულებელი სახელმწიფოები იღებენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა სარჩელის უფლების განხორციელება 1-ლი აბზაცის თანახმად გაადვილდეს. ისინი ზრუნავენ განსაკუთრებით იმაზე, რომ მონაწილე მხარეები ამის შესახებ შესაბამისად ინფორმირებული იქნენ.

(5) გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფო უზრუნველყოფს, რათა პირველ აბზაცში დასახელებული სარჩელის წარდგენის ისეთი ვადები მოქმედებდეს, რომელიც დაინტერესებული მხარეების მიერ გასაჩივრების უფლების ეფექტური განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

მუხლი 12 ანაზღაურება

(1) მე-11 მუხლის მე-2 აბზაცის დაურღვევლად, გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფო აუნაზღაურებს აღმასრულებელ სახელმწიფოს ხარჯებს იმ შემთხვევებში, როცა აღმასრულებელი სახელმწიფო თავისი სამართლის მიხედვით იმ ზიანისთვის პასუხისმგებელია, რომელიც მე-11 მუხლში დასახელებულ მხარეებს მე-4 მუხლის მიხედვით გადაცემული უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად წარმოეშობათ და აღმასრულებელმა სახელმწიფომ ამ პასუხისმგებლობის გამო დაზარალებული მხარისთვის

გასწია. ეს არ ეხება იმ ზიანს ან ზიანის ნაწილს, რომელიც მხოლოდ აღმასრულებელი სახელმწიფოს ქცევის მიზეზით დადგა.

(2) 1-ლი აბზაცი ხელშეუხებლად ტოვებს წევრი სახელმწიფოების ცალკეულ სამართლებრივ ნორმებს, რომლებითაც გათვალისწინებულია ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

სათაური III
დასკვნითი დებულებები

მუხლი 13 სამოქმედო ტერიტორია

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ვრცელდება გიბლარტარზეც.

მუხლი 14 იმპლემენტაცია

(1) წევრი სახელმწიფოები იღებენ საჭირო ზომებს, რათა ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებისათვის საჭირო პირობები 2005 წლის 2 აგვისტომდე შესრულდეს.

(2) წევრი სახელმწიფოები საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და კომისიას ამ ვადაში გადასცემენ იმ სამართლებრივი ნორმების ტექსტს, რომლითაც მათ ჩარჩო-გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვალდებულებებს საკუთარ სამართალში იმპლემენტაცია გაუკეთეს. საბჭო 2006 წლის 2 აგვისტომდე ამოწმებს ამ ინფორმაციების გამოყენებით შედგენილი მოხსენებისა და კომისიის წერილობითი მოხსენების საშუალებით, თუ რამდენად შეასრულეს ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების დებულებები წევრმა სახელმწიფოებმა.

(3) საბჭოს გენერალური სამდივნო ატყობინებს წევრ სახელმწიფოებს და კომისიას მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით ჩაბარებულ დეკლარაციებს.

მუხლი 15 ძალაში შესვლა

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღიდან.

III ქონების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებების ორმხრივი ურთიერთაღიარება

2006 წლის 6 ოქტომბრის ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო-გადაწყვეტილება[1] ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებების მიმართ ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის გამოყენების შესახებ

ევროკავშირის საბჭომ ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება მიიღო ევროპის კავშირის ხელშეკრულებაზე, განსაკუთრებით მის 31-ე მუხლის a) და 34-ე მუხლის მე-2 აბზაცის b) ქვეპუნქტებზე დაყრდნობით, დანიის სამეფოს ინიციატივით, ევროპული პარლამენტის 2002 წლის 20 ნოემბრის პოზიციის გათვალისწინებით. როგორც ამ სამართლებრივი აქტის პრეამბულაშია აღნიშნული, საბჭომ მისი მიღების დროს მხედველობაში მიიღო შემდეგი გარემოებები:

– ევროკავშირის საბჭომ 1999 წლის 15 და 16 ოქტომბრის სხდომაზე ტამპერეში მხარი დაუჭირა ორმხრივი აღიარების პრინციპს, რომელიც როგორც სამოქალაქო, ის სისხლის სამართლის საქმეებში კავშირის ფარგლებში იუსტიციური თანამშრომლობის ქვაკუთხედი უნდა გამხდარიყო.

– ევროკავშირის საბჭოს დასკვნითი დებულებების 51-ე პარაგრაფში (ტამპერე) ხაზგასმულია, რომ ფულის გათეთრება ორგანიზებული დანაშაულის ნაწილია და ევროპის კავშირს მიზნად დაუსახა მისი აღმოფხვრა. ევროკავშირის საბჭოს ამოცანად დაისახა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა დანაშაულისგან მიღებული შემოსავლების გამოძიების, გაყინვის, დაყადაღებისა და ჩამორთმევის მიმართულებით. ამავე დროს ევროკავშირის საბჭო დასკვნის 55-ე პარაგრაფში წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს ფულის გათეთრების შესახებ არსებული მატერიალური და პროცესუალური სისხლისსამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაციისაკენ.

– ყველა წევრმა სახელმწიფომ მოახდინა ევროპის საბჭოს 1990 წლის 8 ნოემბრის ფულის გათეთრების, აგრეთვე მისი გამოძიების, დაყადაღებისა და დანაშაულისგან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევის შესახებ კონვენციის რატიფიცირება (1990 წლის კონვენცია). კონვენცია ავალდებულებს ხელის მომწერ სახელმწიფოებს ხელშეკრულების მონაწილე სხვა სახელმწიფოების მიერ მიღებული ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებების აღიარებასა და აღსრულებას ან თხოვნის თავიანთი უფლებამოსილი ორგანოებისათვის გადაცემას, რათა ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება იქნეს მიღებული და შემდეგ აღსრულებული. მხარეებს შეუძლიათ ჩამორთმევის შესახებ თხოვნა უარყონ, თუ დანაშაული, რომელსაც თხოვნა ეხება, თხოვნის მიმღები ხელშეკრულების მონაწილე მხარის სამართლის მიხედვით დანაშაულს არ წარმოადგენს ან მისი სამართალი დანაშაულის ამ სახისთვის, რომელსაც თხოვნა ეხება, ჩამორთმევას არ ითვალისწინებს.

– საბჭომ 2000 წლის 30 ნოემბერს მიიღო სისხლის სამართლის საქმებზე სასამართლო განაჩენთა ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის იმპლემენტაციის სამოქმედო პროგრამა, რომლითაც ხელი ეწყობა ორმხრივი აღიარების პრინციპის მტკიცებულებების ან კაპიტალის გაყინვაზე გამოყენებას, როგორც პრიორიტეტულ ინსტრუმენტს. გარდა ამისა, პროგრამით გათვალისწინებულია მიზანი, რომ ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის შესაბამისად წევრი სახელმწიფოს ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება სხვა სახელმწიფოში, მათ შორის დანაშაულის მსხვერპლის მთლიანი რესტიტუციის მიზნით, 1990 წლის კონვენციის შესაბამისად, უნდა გაუმჯობესდეს. ამ მიზნის განსახორციელებლად, ამ ჩარჩო-

[1] ABl. L 328, 24. 11. 2006. იხ. ინგლისურ ენაზე 2006/783/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2006/783/JI.

გადაწყვეტილებით მოხდა მის გამოყენების სფეროში აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლების შეზღუდვა და წევრ სახელმწიფოთა შორის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების ნაციონალურ ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებად გადაქცევის სისტემა გაუქმდა.

– საბჭოს 2001/500/JI ჩარჩო-გადაწყვეტილებით დადგინდა ფულის გათეთრების, აგრეთვე მისი გამოძიების, გაყინვის, დაყადაღებისა და დანაშაულის იარაღისა და დანაშაულიდან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევის შესახებ დებულებები. ჩარჩო-გადაწყვეტილების მიხედვით, წევრი სახელმწიფოები დამატებით ვალდებული არიან, ევროსაბჭოს 1990 წლის კონვენციის მე-2 მუხლთან მიმართებაში არ გამოიყენონ დათქმის უფლება ან უარი თქვან მასზე, თუ დანაშაული თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების შემზღუდველი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიების სახით სულ მცირე ერთ წელზე მეტი ვადით ისჯება.

– საბჭომ მიიღო 2003 წლის 22 ივლისის ჩარჩო-გადაწყვეტილება 2003/577/JI ევროპის კავშირში ქონებრივი ღირებულებების ან მტკიცებულებების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებათა აღსრულების შესახებ.

– ორგანიზებული დამნაშავეობის მთავარი მოტივი ეკონომიკური სარგებლის მიღებაა. მისი ეფექტური აღკვეთისა და მასთან ბრძოლის ფარგლებში აქცენტი გამოძიებაზე, ანგარიშების გაყინვაზე, დაყადაღებასა და დანაშაულიდან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევაზე უნდა იქნეს გადატანილი, თუმცა საკმარისი არ არის, რომ ორმხრივი ურთიერთაღიარების უზრუნველყოფა მხოლოდ მიმდინარე სამართლებრივი ღონისძიებებით, როგორიცაა, მაგალითად, დაყადაღება, მოხდეს. ეკონომიკურ დამნაშავეობასთან ეფექტური ბრძოლისთვის საჭიროა, აგრეთვე დანაშაულისგან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებების ორმხრივი ურთიერთაღიარება.

– ამ ჩარჩო-გადაწყვეტილიების მიზანია, მოხდეს წევრ სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა, ქონებრივი ღირებულებების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებათა ორმხრივი ურთიერთაღიარებისა და აღსრულების გაადვილება, ისე, რომ წევრი სახელმწიფო ვალდებული გახდეს ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებები, რომლებიც სხვა წევრი სახელმწიფოს სასამართლოს მიერ იქნა მიღებული სისხლის სამართლის საქმეზე, აღიაროს და თავის სუვერენულ ტერიტორიაზე აღასრულოს. ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება კავშირშია 2005 წლის 24 თებერვლის საბჭოს 2005/212/JI ჩარჩო-გადაწვეტილებასთან დანაშაულიდან მიღებული შემოსავლების, დანაშაულის იარაღისა და ქონებრივი ღირებულებების ჩამორთმევის შესახებ. იმ ჩარჩო-გადაწვეტილების მიზანია, უზრუნველყოს ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ დანაშაულისგან მიღებული შემოსავლების წინააღმდეგ ეფექტური ნორმების მიღება, მათ შორის, იმ პირის ქონებრივი ღირებულებების წარმომავლობის მტკიცების ტვირთთან კავშირში, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულთან კავშირის გამო იქნა მსჯავრდებული.

– წევრ სახელმწიფოთა შორის ორმხრივი ურთიერთაღიარებისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა უშუალოდ აღსრულების პრინციპის საფუძველზე თანამშრომლობას გააჩნია ის წინაპირობა, რომ ასაღიარებელი და აღსასრულებელი გადაწყვეტილებები მუდამ მართლზომიერების, სუბსიდიარულობისა და პროპორციულობის პრინციპების დაცვითაა მიღებული. შემდეგი წინაპირობა კი, მდგომარეობს იმაში, რომ დაცული უნდა იქნეს მხარეებისა და კეთილსინდისიერი მესამე პირის უფლებები. ამავე დროს კი, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ იურიდიული და ფიზიკური პირების უსაფუძვლო მოთხოვნებს წარმატების პერსპექტივა არ გააჩნდეთ.

– ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების პრაქტიკაში უპრობლემოდ განხორციელების, განსაკუთრებით კი, ერთზე მეტ წევრ სახელმწიფოში ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების ერთდროული აღსრულების წინაპირობაა ცალკეულ უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა.

– ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებაში გამოყენებული ტერმინები „შემოსავალი“ და „დანაშაულის იარაღი“ იმდენად ფართოდ არის განმარტებული, რომ ისინი საჭიროების შემთხვევაში დანაშაულის საგანსაც მოიცავენ.

– ქონებრივი ღირებულებების ადგილსამყოფლის გაურკვევლობის შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოების მიერ გამოყენებულ უნდა იქნეს მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება, მათ შორის, ყველა შესაძლებელი საინფორმაციო სისტემა, რათა დადგენილ იქნეს ეს ადგილსამყოფელი.

– წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება პატივს სცემს ძირითად უფლებებს და იცავს ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლით აღიარებულ პრინციპებს, რომლებიც ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიით, განსაკუთრებით მისი მე-6 თავით არის აღიარებული. წინამდებარე ჩარჩო-გადაწყვეტილების არცერთი განსაზღვრება არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ იგი კრძალავს ქონებრივი ღირებულებების, რომელთა გამოც უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, უზრუნველყოფაზე უარის თქმას, თუ ობიექტური გარემოებები იმაზე მიუთითებენ, რომ უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა პირის სქესის, რასის, რელიგიის, ეთნიკური კუთვნილების, მოქალაქეობის, ენის, პოლიტიკური შეხედულებების ან სექსუალური ორიენტაციის გამო დევნის ან დასჯის მიზნით ან პირის მდგომარეობა, ერთ-ერთი ამ საფუძვლიდან გამომდინარე, შეიძლება გაუარესდეს.

– ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ხელს არ უშლის წევრ სახელმწიფოებს გამოიყენონ კონსტიტუციური ნორმები, დაკავშირებული სამართლიან სასამართლო პროცესთან, შეკრების თავისუფლებასთან, პრესის თავისუფლებასა და გამოხატვის თავისუფლებასთან სხვა მედია საშუალებებში.

– ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება არ განიხილავს ქონებრივი ღირებულებების კანონიერი მესაკუთრისათვის დაბრუნების საკითხს. იგი არ განსაზღვრავს, თუ რა მიზნით უნდა გამოიყენონ წევრმა სახელმწიფოებმა შემოსავლები, რომლებიც მათ ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების გამოყენების შედეგად მიიღეს. ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება არ ეხება, აგრეთვე წევრი სახელმწიფოების მიერ უფლებამოსილებების განხორციელებას ევროპის კავშირის ხელშეკრულების 33-ე მუხლის შესაბამისად, რაც გამომდინარეობს საჯარო წესრიგისა და შიდა უსაფრთხოების დაცვის მიზნიდან.

ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების ტექსტი შედგება შემდეგი დებულებებისაგან:

მუხლი 1 მიზანი

(1) აღნიშნული ჩარჩო გადაწყვეტილების მიზანია, წესების დადგენა, რომელთა მიხედვით, წევრი სახელმწიფო აღიარებს და თავის სახელმწიფო ტერიტორიაზე აღასრულებს სხვა წევრი სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი საქმეების განმხილველი სასამართლოს მიერ ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებას.

(2) ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ხელშეუხებელს ტოვებს ძირითად უფლებათა და ზოგადი სამართლებრივი პრინციპების პატივისცემის ვალდებულებას, როგორც ეს ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლითაა განმტკიცებული. იუსტიციის ორგანოების ვალდებულებები ამ მხრივ უცვლელი რჩება.

მუხლი 2 ცნებათა განსაზღვრა

ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მიზნებისთვის ქვემოთ ჩამოთვლილი ცნებები ნიშნავს:

a) „გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფო“ – წევრი სახელმწიფო, რომლის სასა-

მართლმაც სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში ჩამორთმევის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება;

b) „აღმასრულებელი სახელმწიფო“ – წევრი სახელმწიფო, რომელსაც ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება აღსრულების მიზნისათვის გადაეგზავნა;

c) „ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება“ – სასჯელი ან ღონისძიება, რომელიც სასამართლოს მიერ ერთ ან რამდენიმე დანაშაულთან დაკავშირებულ პროცესში მიიღება და რასაც ქონებრივი ღირებულებების საბოლოო ჩამორთმევამდე მივყავართ;

d) „ქონებრივი ღირებულებები“ – სხეულებრივი ან არასხეულებრივი, მოძრავი ან უძრავი ქონების ნებისმიერი სახე, ასევე დოკუმენტი ან სამართლებრივად მნიშვნელოვანი საბუთები, რომლებიც ამგვარ ქონებრივ უფლებას ადასტურებენ ან მისი მიღების შესაძლებლობას იძლევიან და, გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით,

i) წარმოადგენენ დანაშაულისგან მიღებულ შემოსავალს ან ქონებრივი ღირებულებებს, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ ამ შემოსავალს შეესაბამება, ან

ii) წარმოადგენენ დანაშაულის იარაღს, ან,

iii) გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს მიერ 2005/212JI ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 აბზაცებით გათვალისწინებული გაფართოებული ჩამორთმევის შესაძლებლობის მიხედვით, ჩამორთმევას ექვემდებარებიან, ან,

iv) გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს სამართლით, ჩამორთმევის გაფართოებული შესაძლებლობების შესახებ სხვა დებულებების საფუძველზე, ჩამორთმევას ექვემდებარებიან;

e) „შემოსავალი“ – ყოველი ეკონომიკური სარგებელი, რომელიც დანაშაულის მეშვეობით მიიღება. აქ იგულისხმება, აგრეთვე ქონებრივი ღირებულებების ყველა სახეობა;

f) „დანაშაულის იარაღი“ – ყოველი ნივთი, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის განსახორციელებლად გამოიყენება ან გამოყენებულ უნდა იქნეს;

g) „ნაციონალურ კულტურულ მემკვიდრეობას მიკუთვნებული კულტურული სიკეთეები“ – კულტურული სიკეთეები საბჭოს 1993 წლის 15 მარტის დირექტივის (93/7/EWG): „წევრი სახელმწიფოს სუვერენული ტერიტორიიდან არამართლზომიერად გატანილი კულტურული სიკეთეების დაბრუნების შესახებ“ 1-ლი მუხლის 1-ლი ქვეპუნქტის გაგებით;

h) „დანაშაული“ – მე-8 მუხლის მე-2 აბზაცის f ქვეპუნქტიდან გამომდინარე წინარე ქმედება, ასევე ფულის გათეთრება, რომელსაც ჩამორთმების შესახებ პროცესამდე მივყავართ.

მუხლი 3 უფლებამოსილი ორგანოები

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო აცნობებს საბჭოს გენერალურ სამდივნოს, შიდა კანონმდებლობის მიხედვით, ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისად, თუ რომელი ორგანო ან ორგანოები არიან უფლებამოსილი, თუ ეს სახელმწიფო არის

– გადაწყვეტილების მიმღები ან

– აღმასრულებელი სახელმწიფო.

(2) მე-4 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების დაურღვევლად, ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, თუ ეს თავისი შიდა ორგანიზაციიდან გამომდინარე აუცილებელია, დაასახელოს ერთი ან რამდენიმე ცენტრალური ორგანო, რომელიც ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებების ადმინისტრაციულ გადაცემაზე, მიღებასა და უფლებამოსილი ორგანოების მხარდაჭერაზე არის პასუხისმგებელი.

(3) საბჭოს გენერალური სამდივნო მიღებულ მონაცემებს წევრი სახელმწიფოებისა და კომისიისთვის ხელმისაწვდომს ხდის.

მუხლი 4 ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების გადაცემა

(1) ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება შესაძლებელია, მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ცნობასთან ერთად, რომელისთვისაც ფორმულარი დანართშია მოცემული, თანხის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების შემთხვევაში, გადაეცეს წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს, თუ გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს მიღებისთვის ის კანონიერი საფუძველი აქვს, რომ ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომელთა წინააღმდეგ გამოცემულ იქნა ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება, შესაბამის წევრ სახელმწიფოში ქონებას ფლობენ ან შემოსავლებს იღებენ.

განსაზღვრული ქონებრივი ღირებულებების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლებელია, ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება და ცნობა წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს გადაეცეს, თუ გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს მიღებისთვის ის კანონიერი საფუძველი აქვს, რომ ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებით მოცული ქონებრივი ღირებულებები შესაბამის წევრ სახელმწიფოში იმყოფება.

თუკი არ არსებობს გონივრული საფუძველი იმისა, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოს საშუალებას მისცემდა, დაედგინა ის წევრი სახელმწიფო, რომელსაც ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება გადაეცემოდა, მაშინ იგი შესაძლებელია, იმ წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს მიეწოდოს, რომელშიც ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა წინააღმდეგაც გამოცემულია ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება, როგორც წესი, იმყოფებიან ან დარეგისტრირებული არიან.

(2) გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო გადასცემს ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებას ან ამ დოკუმენტის დამოწმებული ასლს მოწმობასთან ერთად უშუალოდ აღმასრულებელ სახელმწიფოს ორგანოს, რომელიც ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებაზეა უფლებამოსილი, ნებისმიერი საშუალებით, რისი დადასტურდებაც წერილობით შესაძლებელია და იმ პირობით, რაც აღმასრულებელ სახელმწიფოს საშუალებას მისცემს, დაადასტუროს მისი სისწორე. ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების ორიგინალი ან ამ დოკუმენტის დამოწმებული ასლი და მოწმობის ორიგინალი აღმასრულებელ სახელმწიფოს გადაეცემა სურვილისამებრ. ყველა ოფიციალური შეტყობინების გაგზავნა ხდება უშუალოდ დასახელებულ უფლებამოსილ უწყებებს შორის.

(3) ცნობას ხელი მოეწერება გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ, ამასთანავე ორგანო ამოწმებს მოწმობის შინაარსობრივ სისწორესაც.

(4) თუ გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოსათვის უცნობია, გადაწყვეტილების აღსრულებისთვის რომელი ორგანოა უფლებამოსილი, მაშინ იგი ეცდება, აღმასრულებელ სახელმწიფოს ამის შესახებ მის ხელთ არსებული ყველა საშუალებებით – მათ შორის ევროპის იუსტიციის ქსელის საკონტაქტო ორგანოების მეშვეობით – გადასცეს ინფორმაცია.

(5) თუკი აღმასრულებელი სახელმწიფოს ორგანო, რომელსაც ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება გადაეცა, არაუფლებამოსილია აღიაროს იგი ან აღსრულებისთვის საჭირო ღონისძიებები გაატაროს, მაშინ იგი ვალდებულია, გადასცეს გადაწყვეტილება აღსრულებისთვის უფლებამოსილ ორგანოს და ამის შესახებ აცნობებს გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს შესაბამის ორგანოს.

მუხლი 5 ერთი ან რამდენიმე აღმასრულებელი სახელმწიფოსათვის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების გადაცემა

(1) მე-2 და მე-3 აბზაცების პირობითა დაცვით, შესაძლებელია, ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება, მე-4 მუხლის შესაბამისად, ყოველთვის მხოლოდ ერთ აღმასრულებელ სახელმწიფოს გადაეცეს.

(2) განსაზღვრული ქონებრივი ღირებულებების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება შესაძლებელია, ერთდროულად რამდენიმე აღმასრულებელ სახელმწიფოს გადაეცეს, თუ

– გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს აქვს გამართლებული საფუძველი, რომ ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებით მოცული სხვადასხვა ქონებრივი ღირებულებები სხვადასხვა აღმასრულებელ სახელმწიფოში იმყოფებიან, ან

- ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებით მოცული ქონებრივი ღირებულებების ჩამორთმევა რამდენიმე აღმასრულებელ სახელმწიფოშია საჭირო, ან

– გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს დასაბუთებული საფუძველი აქვს ვარაუდისთვის, რომ ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებით მოცული განსაზღვრული ქონებრივი ღირებულება ორი ან მეტი კონკრეტულად დასახელებული აღმასრულებელი სახელმწიფოდან ერთ-ერთში იმყოფება.

(3) თანხის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება, შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე აღმასრულებელ სახელმწიფოს გადაეცეს, როცა ეს გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მოსაზრებით, განსაკუთრებულ შემთხვევებში, აუცილებელია, მაგალითად, როდესაც

– შესაბამისი ქონებრივი ღირებულება 2003/577/JI ჩარჩო-გადაწყვეტილების[1] მიხედვით არ არის უზრუნველყოფილი, ან

– ქონებრივი ღირებულების ოდენობა, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოში და აგრეთვე აღმასრულებელ სახელმწიფოში შესაძლებელია, ჩამორთმეული იქნეს, სავარაუდოდ ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებით მოცული მთლიანი თანხის ჩამორთმევისთვის არასაკმარისია.

მუხლი 6 დანაშაულებრივი ქმედებები

(1) თუკი ქმედებები, რომლებსაც ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებამდე მივყავართ, გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების მიხედვით ერთ ან რამდენიმე შემდეგ დანაშაულს წარმოადგენს და გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოში სულ მცირე სამი წლით თავისუფლების აღკვეთით ისჯება, მაშინ ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება, ქმედების ორმხრივი დასჯადობის შეუმოწმებლად, აღსრულდება. ასეთი ქმედებებია:

– კრიმინალურ გაერთიანებაში მონაწილეობა,
– ტერორიზმი,
– ტრეფიკინგი,
– ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და ბავშვთა პორნოგრაფია,
– ნარკოტიკული ნივთიერებებით ან ფსიქოტროპული საშუალებებით არალეგარული ვაჭრობა,
– იარაღით, საბრძოლო მასალით და ასაფეთქებელი საშუალებებით არალეგალური ვაჭრობა,

[1] ABl. L 196, 2. 08. 2003.

- კორუფცია,
- თაღლითობის დანაშაულები, მათ შორის, ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების საზიანოდ მიმართული დანაშაულები, გამომდინარე ევროპული გაერთიენებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ 1995 წლის 26 ივლისის შეთანხმებიდან,
- დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრება,
- ფულის გაყალბება, ევროს გაყალბების ჩათვლით,
- კიბერნეტიკული დანაშაული,
- გარემოს დაცვის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, მათ შორის, საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველებისა ან მცენარეების სახეებით არალეგარული ვაჭრობა,
- საზღვრის არალეგალურად გადაკვეთასა ან ქვეყანაში არალეგარულად ყოფნაში დახმარება,
- განზრახ მკვლელობა და სხეულის მძიმე დაზიანება,
- ადამიანის ორგანოებით ან ქსოვილებით არალეგარულად ვაჭრობა,
- გატაცება, თავისუფლების აღკვეთა ან მძევლად ხელში ჩაგდება,
- რასიზმი ან ქსენოფობია,
- ქურდობა, ჩადენილი ორგანიზებულად ან იარაღით,
- კულტურული ღირებულების მქონე ნივთებით, მათ შორის, ანტიკვარებითა და ხელოვნების ნიმუშებით არალეგარული ვაჭრობა,
- თაღლითობა,
- გამოძალვა და რეკეტის გზით ფულის გამოძალვა,
- გაყალბება და ფალსიფიკაცია,
- სამოხელეო დოკუმენტების გაყალბება და ამით ვაჭრობა,
- გადახდის საშუალებების გაყალბება,
- ჰორმონებითა და ხელოვნური ზრდის სხვა ნივთიერებებით არალეგალური ვაჭრობა,
- ბირთვული და რადიაქტიური ნივთიერებებით არალეგარული ვაჭრობა,
- ნაქურდალი სატრანსპორტო საშუალებებით არალეგარული ვაჭრობა,
- გაუპატიურება,
- ცეცხლის წაკიდება,
- დანაშაულები, რომლებიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციაში შედის,
- საჰაერო და საზღვაო ხომალდების გატაცება,
- საბოტაჟი.

(2) საბჭო უფლებამოსილია, ერთხმად, ევროპის პარლამენტის მოსმენის შემდეგ, ხელშეკრულების 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნებისმიერ დროს გადაწყვიტოს, დანაშაულების სხვა სახეების მე-2 მუხლის ჩამონათვალში შეტანა. საბჭო, იმ მოხსენების მეშვეობით, რომელსაც კომისია 22-ე მუხლის მიხედვით წარმოადგენს, ამოწმებს, თუ რამდენად საჭიროა ამ სიის გაფართოება ან შეცვლა.

(3) აღმასრულებელ სახელმწიფოს შეუძლია, იმ შემთხვევების დროს, რომელთაც 1-ლი აბზაცი არ მოიცავს, ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღიარება და აღსრულება დამოკიდებული გახადოს იმ წინაპირობაზე, რომ ქმედებების მიმართ, რომელთაც ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება ეხებათ, აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართალი უშვებდეს ჩამორთმევის შესაძლებლობას.

მუხლი 7 აღიარება და აღსრულება

(1) აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოები აღიარებენ მე-4 მუხლის თანახმად გადაცემულ ყოველ გადაწყვეტილებას ჩამორთმევის შესახებ, ყოველგვარი ფორმალურობის გარეშე და იღებენ დაუყონებლივ აუცილებელ ზომებს მათი უშუალო აღსრულებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უფლებამოსილი ორგანოები გადაწყვეტენ, აღიარებაზე ან აღსრულებაზე უარის თქვან მე-8 მუხლის ერთი-ერთი საფუძვლიდან გამომდინარე ან აღსრულება გადაავადონ მე-10 მუხლზე დაყრდნობით.

(2) თუკი თხოვნა განსაზღვრულ ქონებრივ ღირებულებას ეხება, მაშინ გადაწყვეტილების მიმღები და აღმასრულებელი სახელმწიფოების უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლიათ, შეთანხმდნენ, თუ ამ სახელმწიფოთა სამართლით ეს გათვალისწინებულია, რომ ჩამორთმევა აღმასრულებელ სახელმწიფოში იმ ფულადი სახით განხორციელდეს, რომელიც ქონებრივი ღირებულების ოდენობას შეესაბამება.

(3) თუკი ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება ეხება ფულის ჩამორთმევას, მაშინ აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოები ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებას აღასრულებენ მაშინ, როდესაც არ არის შესაძლებელი გადახდა. 1-ლი აბზაცის თანახმად, აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, აღსრულება განხორციელდება ნებისმიერ ქონებრივ ღირებულებაზე.

(4) თუკი გადაწყვეტილება ეხება ფულის ჩამორთმევას, მაშინ მისი დაანგარიშება ხდება აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგამოების მიერ იმ გაცვლითი კურსის მიხედვით, რომელიც ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღეს არსებობდა.

(5) ყოველი წევრი სახელმწიფო უფლებამოსილია, საბჭოს გენერალური სამდივნოსადმი წარდგენილ დეკლარაციაში მიუთითოს, რომ მისი უფლებამოსილი ორგანოები ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებას არ აღიარებენ და არ აღასრულებენ, თუ ის იმ გარემოებების გამო არის გამოცემული, რომლის დროსაც ქონებრივი ღირებულებების ჩამორთმევა მე-2 მუხლის d პუნქტის iv ქვეპუნქტის მიხედვით ჩამორთმევის გაფართოებული დადგენილებიბს საფუძველზე იქნა დადგენილი. მსგავსი განაცხადი შესაძლებელია ნებისმიერ დროს იქნეს უკან გამოთხოვილი.

მუხლი 8 აღიარებასა და აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი

(1) აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლიათ, უარი განაცხადონ გადაწყვეტილების აღიარებასა და აღსრულებაზე, როცა მე-4 მუხლით გათვალისწინებული ცნობა არ არის წარმოდგენილი, არასრულყოფილია ან აშკარად არ შეესაბამება ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებას.

(2) გარდა ამისა, აღმასრულებელ სახელმწიფოს განსაზღვრულ უფლებამოსილ ორგანოს, თავისი სამართლის მიხედვით, შეუძლია, ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღიარებასა და აღსრულებაზე უარი განაცხადოს, თუკი დადგენილი იქნა, რომ

a) ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს ne bis in idem-ის პრინციპს;

b) მე-6 მუხლის მე-3 აბზაცში დასახელებულ შემთხვევებში ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება ეხება ისეთ ქმედებებს, რომლებიც აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლის მიხედვით არ წარმოადგენს ჩამორთმევას დაქვემდებარებულ დანაშაულს. ამასთან, საგადასახადო, მოსაკრებლების, საბაჟო და სავალუტო საქმეებში ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება არ შეიძლება უარყოფილ იქნეს იმ საფუძვლით, რომ აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართალი არ აწესებს მსგავს გადასახადებს ან მოსაკრებლებს

ან არ შეიცავს მსგავს საგადასახადო მოსაკრებლებზე საბაჟო ან სავალუტო დებულებებს, როგორც ეს გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს სამართლითაა გათვალისწინებული.

c) აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლით დაწესებულია იმუნიტეტები ან პრივილეგიები, რომლებიც ქონებრივი ღირებულებების ჩამორთმევის შესახებ შიდასახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების საწინააღმდეგო იქნებოდა;

d) ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლის შესაბამისად ეწინააღმდეგება დაინტერესებული პირების, მათ შორის, კეთილსინდისიერი მესამე პირების უფლებებს, მაშინაც კი, როცა იგი გამომდინარეობს მე-9 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საჩივრიდან;

e) მე-4 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით შეტყობინების დროს, სასამართლო სხდომაზე, რომელიც ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ტარდება, დაინტერესებული პირი, რომელსაც ეს გადაწყვეტილება შეეხო, არ წარსდგა პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ცნობიდან გამომდინარეობს, რომ აღნიშნულ პირს, პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს ცალკეული სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, პროცესის შესახებ ეცნობა, ან როცა მან განაცხადა, რომ იგი ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებას არ ეწინააღმდეგება;

f) ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება სისხლის სამართლის პროცესში იმ დანაშაულთა გამო არის გამოცემული, რომლებიც,

– აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების თანახმად, მთლიანად ან ნაწილობრივ, მის სუვერენულ ტერიტორიაზე ან მასთან გათანაბრებულ ადგილზე იქნა ჩადენილი, ან

– გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს სუვერენული ტერიტორიის გარეთ განხორციელდა და აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნა ამ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ ჩადენილი მსგავსი დანაშაულებისთვის დაუშვებელია;

g) ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება, აღმასრულებელი ორგანოს მოსაზრებით, მიღებულია მე-2 მუხლის d) პუნქტის iv ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჩამორთმევის გაფართოებული შესაძლებლობების საფუძველზე;

h) ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება აღმასრულებელი სახელმწიფოში მოქმედი ხანდაზმულობის ვადების გამო გამორიცხულია, თუკი ეს ქმედებები ამ სახელმწიფოს სისხლის სამართლის მიხედვით ადგილობრივი სასამართლოების განსჯადობას ექვემდებარებიან.

(3) როდესაც აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მოსაზრებით

– ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია მე-2 მუხლის d) პუნქტის iii ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჩამორთმევის გაფართოებული შესაძლებლობის საფუძველზე და

– ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება აღმასრულებელი სახელმწიფოს მიერ 2005/212/JI ჩარჩო-გადაწყვეტილების[1] მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით არჩეული ალტერნატივის ფარგლებს სცილდება,

ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება აღსრულდება სულ მცირე იმ მოცულობით, როგორც ეს გათვალისწინებულია მსგავსი შემთხვევისთვის შიდასახელმწიფოებრივი სამართლით.

(4) აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოები მხედველობაში იღებენ გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებთან კონსულტაციის

[1] ABl. L 68, 15. 03. 2005.

შედეგებს, სანამ ისინი გადაწყვეტენ ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მე-2 ნაწილის შესაბამისად არაღიარებას და არაღსრულებას ან აღსრულების მე-3 ნაწილის მიხედვით შეზღუდვას. კონსულტაცია სავალდებულოა იმ შემთხვევებში, როცა გადაწყვეტილება სავარაუდოდ ეფუძნება

– პირველ აბზაცს,

– მე-2 აბზაცის a, e, f, ან g პუნქტებს,

– მე-2 აბზაცის d პუნქტს, როცა შეტყობინება არ განხორციელებულა მე-9 მუხლის მე-3 აბზაცის მიხედვით, ან

– მე-3 აბზაცს.

(5) თუკი ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოსთან კონსულტაციის შემდეგაც ვერ აღსრულდება, რადგან ჩამოსართმევი ქონება უკვე ჩამორთმეულია, გაუჩინარდა, განადგურდა ან ცნობაში მითითებული ადგილი ნაპოვნი ვერ იქნა ან ადგილი, სადაც ქონებრივი ღირებულება მდებარეობს, არასწორად იქნა მითითებული, მაშინ გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს.

მუხლი 9 აღმასრულებელ სახელმწიფოში აღიარებისა და აღსრულების წინააღმდეგ მიმართული საჩივარი

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს, რათა ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის კეთილსინდისიერ მესამე პირს, მიეცეს შესაძლებლობა, აღიარებისა და აღსრულების წინააღმდეგ საჩივარი შეიტანოს მე-7 მუხლის თანახმად, რათა დაცულ იქნეს მათი უფლებები. ეს საჩივარი წარედგინება აღსრულების სახელმწიფოს სასამართლოს ამ სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების მიხედვით. საჩივარს შესაძლებელია, აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლის მიხედვით გადავადების შედეგი ჰქონდეს.

(2) ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი საფუძვლები აღმასრულებელი სახელმწიფოს სასამართლოში არ საჩივრდება.

(3) თუკი აღმასრულებელი სახელმწიფოს სასამართლოში საჩივარი შეტანილია, მაშინ ამის შესახებ ეცნობებათ გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებს.

მუხლი 10 აღსრულების გადავადება

(1) აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია, მე-4 და მე-5 მუხლების თანახმად გადაცემული ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულება გადააგადოს,

a) თუ ფულადი თანხის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების დროს იგი მიიჩნევს, რომ აღსრულებიდან მიღებული მთლიანი ოდენობა შესაძლებელია, აჭარბებდეს ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებაში დადგენილ თანხას, ერთზე მეტ წევრ სახელმწიფოში განხორციელებული ერთდროული ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების გამო,

b) როცა მე-8 მუხლის მიხედვით საჩივარია შეტანილი,

c) თუკი აღსრულებას მიმდინარე სისხლისსამართლებრივი გამოძიების ან პროცესისათვის ზიანის მიყენება შეუძლია, იმ დრომდე, სანამ იგი საჭიროდ ჩათვლის;

d) როცა ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების ან მისი ნაწილების თარგმანი აღმასრულებელი სახელმწიფოს ხარჯზე აუცილებლად მიიჩნევა, იმ დროით, რომელიც მის თარგმნას დასჭირდება, ან

e) როცა ქონებრივი ღირებულებები უკვე წარმოადგენენ აღმასრულებელ სახელმწიფოში ჩამორთმევის პროცესის საგანს.

(2) აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოები იღებენ აღსრულების გადავადების მიმდინარეობისას იმ დამატებით ზომებს, რომლებსაც ისინი მსგავს შიდასახელმწიფოებრივ შემთხვევებში მიიღებდნენ, რათა უზრუნველყონ, რომ ქონებრივი ღირებულებები შემდგომში ჩამორთმევის აღსრულებისათვის ხელმისაწვდომი იყოს.

(3) 1-ლი ნაწილის a პუნქტის შემთხვევაში გადავადების დროს აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო დაუყონებლივ აცნობებს გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს ნებისმიერი საშუალებით, რისი დადასტურდებაც წერილობით შესაძლებელია და შემდგომ გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო ასრულებს თავის ვალდებულებებს მე-14 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად.

(4) 1-ლი ნაწილის b, c, d და e პუნქტების შემთხვევებში აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს აცნობებს გადავადების, მათ შორის გადავადების საფუძვლების, აგრეთვე, თუ შესაძლებელია, გადავადების სავარაუდო ხანგრძლივობის შესახებ ნებისმიერი საშუალებით, დაუყონებლივ, რისი წერილობით დადასტურდებაც შესაძლებელი უნდა იყოს.

როგორც კი ამგვარი გადავადების საფუძველი აღარ იარსებებს, აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო დაუყოვნებლივ იღებს აუცილებელ ზომებს ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებისთვის და ამის შესახებ ნებისმიერი საშუალებით ატყობინებს გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებს, რისი წერილობით დადასტურდებაც შესაძლებელი უნდა იყოს.

მუხლი 11 რამდენიმე ჩამორთმევის გადაწყვეტილება

თუკი უფლებამოსილი ორგანო ამუშავებს

– ორი ან მეტი ფულადი თანხის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებას ერთი და იმავე ფიზიკური ან იურიდიული პირის წინააღმდეგ და შესაბამისი პირი აღმასრულებელ სახელმწიფოში არასაკმარის საშუალებებს ფლობს, რათა ყველა გადაწყვეტილების აღსრულება შესაძლებელი გახდეს, ან

– ერთი და იმავე განსაზღვრული ქონებრივი ღირებულების ჩამორთმევის შესახებ ორ ან მეტ გადაწყვეტილებას,

მაშინ გადაწყვეტილებას აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო იღებს აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლის მიხედვით, ყველა სათანადო გარემოების გათვალისწინებით, მაგალითად, ეხება თუ არა საქმე გაყინულ საშუალებებს, დანაშაულის რელატიური სიმძიმე, დანაშაულის ადგილი, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების, ასევე ამ გადაწყვეტილების გადაცემის დრო, ჩამორთმევის შესახებ თუ რომელი გადაწყვეტილება (გადაწყვეტილებები) უნდა აღსრულდეს.

მუხლი 12 აღსრულებისას გამოსაყენებელი სამართალი

(1) მე-3 აბზაცის დაურღვევლად, ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გამოიყენება აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართალი. მხოლოდ მის ორგანოებს შეუძლიათ აღსრულების პროცესის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განსაზღვრა.

(2) თუ შესაბამის პირს შეუძლია წარადგინოს საბუთი რომელიმე სახელმწიფოში განხორციელებული ნაწილობრივი ან მთლიანი ჩამორთმევის შესახებ, მაშინ აღმასრულებელი

სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო განსაზღვრული სახითა და საშუალებით კონსულტაციას გადის გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოსთან. თუკი შემოსავლების ჩამორთმევისას ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების შესაბამისად თანხის ნაწილი სხვა სახელმწიფოში, ვიდრე აღმასრულებელი სახელმწიფოა, გადაიხდევინება, მაშინ ეს ნაწილი მთლიანად იანგარიშება აღმასრულებელი სახელმწიფოს მიერ ჩამოსართმევ თანხაში.

(3) იურიდიული პირის წინააღმდეგ მიმართული ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება მაშინაც აღსრულდება, თუკი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართალი არ აღიარებს.

(4) აღმასრულებელ სახელმწიფოს არ შეუძლია დააწესოს მე-4 და მე-5 მუხლების მიხედვით გადაცემის შედეგად ღონისძიებები, როგორც ჩამორთმევის გადაწყვეტილების ალტერნატივა, იქნება ეს თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა თუ თავისუფლების შემზღუდველი სხვა ღონისძიებები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფო ამას დათანხმდება.

მუხლი 13 ამნისტია, შეწყალება, ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების გადამოწმება

(1) გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოსა და, ასევე აღმასრულებელ სახელმწიფოს შეუძლიათ, გამოსცენ ამნისტიისა ან შეწყალების აქტი.

(2) მხოლოდ გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოა უფლებამოსილი ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების გადამოწმებაზე.

მუხლი 14 გადაწყვეტილების გადაცემის შედეგები

(1) ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების გადაცემა მე-4 და მე-5 მუხლების მიხედვით ერთი ან რამდენიმე აღმასრულებელი სახელმწიფოსთვის არ ზღუდავს გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოს სამართალს, ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება თვითონ აღასრულოს.

(2) თუკი ფულადი თანხის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების გადაცემა ერთი ან რამდენიმე აღმასრულებელი სახელმწიფოსთვის ხდება, მაშინ დაუშვებელია აღსრულებიდან მიღებული საერთო თანხა აღემატებოდეს ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებაში დადგენილ თანხის მაქსიმუმს.

(3) გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო აღმასრულებელი სახელმწიფოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს დაუყონებლივ აცნობებს ნებისმიერი საშუალებით, რისი დადასტურებაც წერილობით შესაძლებელი უნდა იყოს,

a) თუ ის, მაგალითად, ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც რომელიმე აღმასრულებელმა სახელმწიფომ მას მე-10 მუხლის მე-3 აბზაცის თანახმად გადასცა, იმ პოზიციაზეა, რომ აღსრულება შესაძლოა, მაქსიმალურ თანხას გადასცდეს. მე-10 მუხლის 1-ლი აბზაცის a პუნქტის გამოყენებისას, გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო აღმასრულებელ სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს აცნობებს რაც შეიძლება სწრაფად, როცა დასახელებული რისკი უკვე აღარ იარსებებს;

b) თუ ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოში ან სხვა აღმასრულებელ სახელმწიფოში მთლიანად ან ნაწილობრივ აღსრულებულ იქნა. ამასთან, უნდა მიეთითოს, თუ რომელი თანხისთვის არ არის ჯერ კიდევ აღსრულებული ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება;

c) თუ მე-4 და მე-5 მუხლის მიხედვით გადაწყვეტილების გადაცემის შემდეგ გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს ორგანო თანხას მიიღებს, რომელიც შესაბამისი პირის მიერ ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე ნებაყოფლობით იქნა გადახდილი. ამ შემთხვევაში გამოიყენება მე-12 მუხლის მე-2 აბზაცი.

მუხლი 15 აღსრულების დასრულება

გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო ატყობინებს აღმსრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს ნებისმიერი საშუალებით, რისი დადასტურებაც წერილობით შესაძლებელი უნდა იყოს, დაუყონებლივ ყოველი გადაწყვეტილების ან ღონისძიების შესახებ, რომლის საფუძველზეც გადაწყვეტილების აღსრულებამ ძალა დაკარგა ან აღსრულება აღმასრულებელ სახელმწიფოს სხვა საფუძვლით ჩამოერთვა. აღმასრულებელი სახელმწიფო ამთავრებს გადაწყვეტილების აღსრულებას, როგორც კი ამის შესახებ ეცნობება.

მუხლი 16 ჩამორთმეული ქონებრივი ღირებულებების განკარგვის უფლება

(1) ფულადი სახსრები, რომლებიც ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებით იქნა მიღებული, აღსრულების სახელმწიფოს მიერ წარიმართება შემდეგნაირად:

a) თუკი თანხა, რომელიც ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებიდან იქნა მიღებული, 10 000 ევროზე ნაკლები ან ამ თანხის ექვივალენტურია, აღმასრულებელ სახელმწიფოში.

b) ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში თანხის 50%, რომელიც ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებიდან იქნა მიღებული, აღმასრულებელი სახელმწიფოსგან გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოს გადაერიცხება.

(2) თანხის გარდა სხვა ქონებრივ ღირებულებებზე, რომლებიც ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებიდან იქნა მიღებული, აღმასრულებელი სახელმწიფოს მიერ შემდეგი გადაწყვეტილებები მიიღება:

a) ქონებრივი ღირებულებები შესაძლოა, გაიყიდოს. ამ შემთხვევაში გაყიდვიდან შემოსული შემოსავლები 1-ლი აბზაცით დადგენილი წესით წარიმართება.

b) ქონებრივი ღირებულებები შესაძლოა, გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოში გადაიგზავნოს. თუ ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება დაკავშირებულია ფულად თანხებთან, მაშინ ქონებრივი ღირებულებები გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოში მაშინ უნდა გადაიგზავნოს, თუ იგი ამაზე დათანხმდება.

c) თუკი ზემოთ დასახელებული პუნქტებიდან არცერთი არ გამოიყენება, შესაძლებელია, ქონებრივი ღირებულებები სხვა სახით აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლის შესაბამისად განიკარგოს.

(3) მე-2 აბზაცის მიუხედავად, აღმასრულებელი სახელმწიფო არ არის ვალდებული, განსაზღვრული საგნები, რომელსაც ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება ეხება, გაყიდოს ან უკან დააბრუნოს, როცა საქმე ეხება კულტურულ სიკეთეს, რომელიც ამ სახელმწიფოს კულტურულ მემკვიდრეობას განეკუთვნება.

(4) 1-ლი, მე-2 და მე-3 აბზაცები გამოიყენება, როცა გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოსა და აღმასრულებელ სახელმწიფოს შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 17 აღსრულების შედეგის შეტყობინება

აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო ატყობინებს გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს დაუყონებლივ ნებისმიერი საშუალებით, რისი დადასტურებაც წერილობით შესაძლებელი უნდა იყოს,

ა) მე-4 და მე-5 მუხლების თანახმად ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების უფლებამოსილი ორგანოსადმი გადაცემის შესახებ;

ბ) ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღიარების უარყოფის შესახებ გადაწყვეტილებების შესახებ, დასაბუთებასთან ერთად;

ც) გადაწყვეტილების მთლიანი ან ნაწილობრივი არაღსრულების შესახებ, მე-11 მუხლში, მე-12 მუხლის 1-ლ და მე-2 აბზაცებში ან მე-13 მუხლის 1-ლ აბზაცში დასახელებული საფუძვლებიდან გამომდინარე;

დ) გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ, როგორც კი ეს განხორციელდება;

ე) ალტერნატიული ღონისძიებების შეფარდების შესახებ, მე-12 მუხლის მე-4 აბზაციდან გამომდინარე.

მუხლი 18 ანაზღაურება

(1) მე-9 მუხლის მე-2 აბზაცის დაურღვევლად, გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფო უნაზღაურებს აღმასრულებელ სახელმწიფოს ხარჯებს იმ შემთხვევებში, როცა აღმასრულებელი სახელმწიფო, თავისი კანონმდებლობის შესაბამისად, ზარალისთვის პასუხისმგებელია, რომელიც მე-9 მუხლში მოხსენიებულ მხარეს აღსრულების შედეგად მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად გადაგზავნილი ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების შედეგად წარმოეშვა და აღმასრულებელმა სახელმწიფომ ამ პასუხისმგებლობის შედეგად დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურა. ეს არ მოქმედებს იმ ზარალის ან ზარალის ნაწილზე, რომელიც მხოლოდ აღმასრულებელი სახელმწიფოს მიზეზით დადგა.

(2) 1-ლი აბზაცი ხელშეუხებელს ტოვებს წევრ სახელმწიფოთა ცალკეულ სამართლებრივ ნორმებს, რომლებითაც გათვალისწინებულია ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

მუხლი 19 ენა

(1) ცნობა უნდა ითარგმნოს აღმასრულებელი სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან მის ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე.

(2) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, ჩარჩო-გადაწყვეტილების მიღებისას ან მოგვიანებით დეპონირებული დეკლარაციით საბჭოს გენერალური სამდივნოს შეატყობინოს, რომ ის აღიარებს თარგმანს, რომელიც გაკეთებულია ევროკავშირის ერთ ან რამდენიმე ოფიციალურ ენაზე.

მუხლი 20 ხარჯები

(1) მე-16 მუხლის დაურღვევლად, წევრი სახელმწიფოები უარს აცხადებენ ერთმანეთისგან ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების გამოყენების დროს წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის მიღებაზე.

(2) თუკი ხარჯები წარმოეშვა აღმასრულებელ სახელმწიფოს, რომელსაც იგი არსებითად ან არაორდინალურად მიიჩნევს, მაშინ მას შეუძლია, გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოს შესთავაზოს ხარჯების განაწილება. გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფო ითვალისწინებს ასეთ წინადადებას აღმასრულებელი სახელმწიფოს დეტალური მონაცემების საფუძველზე.

მუხლი 21 მიმართება სხვა შეთანხმებებთან და ხელშეკრულებებთან

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება არ ეხება წევრ სახელმწიფოებს შორის ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების გამოყენებას, თუ ისინი ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების პროცესის შემდგომი გაიოლების ან მისი გამარტივებისკენ არის მიმართული.

მუხლი 22 იმპლემენტაცია

(1) წევრი სახელმწიფოები იღებენ საჭირო ზომებს, რათა ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების წინაპირობები 2008 წლის 24 ნოემბრამდე შესრულდეს.

(2) წევრი სახელმწიფოები საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და კომისიას ამ ვადაში გადასცემენ იმ სამართლებრივი დებულებების ტექსტს, რომლითაც მათ ჩარჩო-გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვალდებულებებს საკუთარ სამართალში იმპლემენტაცია გაუკეთეს. საბჭო კომისიის მიერ ამ მონაცემების გამოყენების შედეგად შედგენილი მოხსენების საფუძველზე 2009 წლის 24 ნოემბრამდე ამოწმებს, თუ რამდენად შეასრულეს ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების წინაპირობები წევრმა სახელმწიფოებმა.

(3) საბჭოს გენერალური სამდივნო აცნობებს წევრ სახელმწიფოებსა და კომისიას მე-7 მუხლის მე-5 აბზაცისა და მე-19 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით ჩაბარებული დეკლარაციების შესახებ.

(4) თუკი წევრ სახელმწიფოს სხვა წევრი სახელმწიფო კვლავ სირთულეებს ან არასაკმარის სამუშაო პირობებს უქმნის, რაც დაკავშირებულია ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების ორმხრივ ურთიერთაღიარებასთან ან აღსრულებასთან და ორმხრივმა კონსულტაციებმა შედეგი არ გამოიღო, მაშინ მას შეუძლია ამის შესახებ აცნობოს საბჭოს, რათა შესაძლებელი გახდეს წევრი სახელმწიფოების დონეზე ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების იმპლემენტაციის შეფასება.

(5) წევრი სახელმწიფოები, რომლებიც მოქმედებენ როგორც აღმასრულებელი სახელმწიფოები, საბჭოსა და კომისიას ყოველი კალენდარული წლის დასაწყისისათვის ატყობინებენ იმ შემთხვევთა რაოდენობის შესახებ, რომლის დროსაც მე-17 მუხლის b პუნქტი იქნა გამოყენებული და, ასევე მისი გამოყენების მოკლე დასაბუთებას.

კომისია, გადაცემული მონაცემების საფუძველზე, 2013 წლის 24 ნოემბრამდე ადგენს მოხსენებას და სრულყოფს მას მისი შეხედულების მიხედვით შესაბამისი ინიციატივებით.

მუხლი 23 ძალაში შესვლა

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ძალაში შედის ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღიდან.

IV დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისა და დანაშაულის იარაღის ჩამორთმევა

2005 წლის 24 თებერვლის ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო-გადაწყვეტილება[1] დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების, დანაშაულის იარაღისა და ქონებრივი ღირებულებების ჩამორთმევის შესახებ

ევროკავშირის საბჭომ ეს სამართლებრივი აქტი მიიღო ევროპის კავშირის ხელშეკრულების, განსაკუთრებით მის 29-ე მუხლზე, 31-ე მუხლების პირველი აბზაცის c) და 34-ე მუხლის მე-2 აბზაცის b) პუნქტებზე დაყრდნობით, დანიის სამეფოს ინიციატივით, ევროპული პარლამენტის პოზიციის გათვალისწინებით. როგორც პრეამბულაშია აღნიშნული, ამ აქტის მიღების დროს მხედველობაში იქნა მიღებული შემდეგი გარემოებები:

– ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის მთავარი მოტივი ეკონომიკური სარგებლის მიღებაა. ორგანიზებული დანაშაულის ეფექტური აღკვეთისა და მასთან ბრძოლის ფარგლებში აქცენტი გამოძიებაზე, ანგარიშების გაყინვაზე, დაყადაღებასა და დანაშაულიდან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევაზე უნდა იქნეს გადატანილი. ეს კი, თავის მხრივ, წევრ სახელმწიფოებში მოქმედ სამართლებრივ ნორმათა განსხვავებების გამო ძნელდება.

– ვენის 1998 წლის დეკემბრის სხდომის დასკვნითი დებულებებით, ევროკავშირის საბჭო მოუწოდებდა საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად სამოქმედო გეგმის შესაბამისად ევროკავშირის ღონისძიებების გააქტიურებისაკენ, რომლითაც უნდა მომხდარიყო ამსტერდამის ხელშეკრულების დებულებების შეძლებისდაგვარად საუკეთესოდ იმპლემენტაცია თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცის შექმნისათვის.

– ვენის სამოქმედო გეგმის მიხედვით, ამსტერდამის ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 წლისა, უნდა მოხდეს ცალკეული სახელმწიფოებრივი ნორმების გაუმჯობესება და მათი აუცილებელი დაახლოება შემოსავლების დაყადაღებისა და ჩამორთმევის სფეროში, რომლებიც დანაშაულიდან არის მიღებული, იმ მესამე პირების უფლებების გათვალისწინებით, რომლებიც კეთილსინდისიერად მოქმედებდნენ.

– ევროკავშირის საბჭოს 1999 წლის ოქტომბრის ტამპერეს სხდომის დასკვნით დებულებებში ხაზგასმულია, რომ ფულის გათეთრება ორგანიზებული დამნაშავეობის ბირთვია და უნდა იქნეს აღკვეთილი. ამ მიმართულებით საბჭომ გადაწყვიტა, მოქმედების კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას, რათა დანაშაულისგან მიღებული შემოსავლები გამოძიებულ, გაყინულ, დაყადაღებულ და ჩამორთმეულ იქნეს. გარდა ამისა, ევროკავშირის საბჭო წევრსახელმწიფოებს მოუწოდებს ფულის გათეთრების შესახებ მატერიალური და პროცესუალური სისხლისსამართლებრივი დებულებების ჰარმონიზაციისაკენ.

– 2000 წლის 27 მარტს საბჭოს მიერ მოწონებული სამოქმედო გეგმის (2000) „ორგანიზებული დამნაშავეობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა – ევროკავშირის სტრატეგია ახალი ათასწლეულის დასაწყისისათვის“ მე-19 რეკომენდაციის მიხედვით, უნდა შემოწმებულიყო, საჭირო იყო თუ არა სათანადო სამართლებრივი აქტის მიღება, რომელიც წევრი სახელმწიფოების პრაქტიკის გათვალისწინებითა და სისხლის, სამოქალაქო, საგადასახადო სამართლის ელემენტარული სამართლებრივი პრინციპების სათანადო პატივისცემით, იმ ქონების წარმომავლობასთან დაკავშირებით მტკიცების ტვირთის შემსუბუქების შესაძლებლობას გამოიწვევდა, რომელიც იმ პირს შეეხებოდა, რომელიც ორგანიზებულ

[1] ABl. L 68, 15. 03. 2005;ინგლისურ ენაზე 2005/212/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2005/212/JI.

დამნაშავეობასთან კავშირის გამო იქნა მსჯავრდებული.

– ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ გაეროს 2000 წლის 12 დეკემბრის კონვენციის მე-12 მუხლის (ჩამორთმევა და დაყადაღება) მიხედვით, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს ეძლევათ შესაძლებლობა, გაითვალისწინონ, რომ დამნაშავემ უნდა დაამტკიცოს სავარაუდოდ დანაშაულისგან მიღებული შემოსავლების ან სხვა ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონებრივი ღირებულებების მართლზომიერი წარმომავლობა, თუ ასეთი ღონისძიება მის შიდასახელმწიფოებრივ სამართალსა და სასამართლო წარმოების წესებს შეესაბამება.

– ყველა წევრმა სახელმწიფომ მოახდინა ევროპის საბჭოს 1990 წლის 8 ნოემბრის ფულის გათეთრების, ასევე მისი გამოძიების, დაყადაღებისა და დანაშაულისგან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევის შესახებ კონვენციის რატიფიცირება. რამდენიმე წევრმა სახელმწიფომ კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ჩამორთმევის ღონისძიებებთან მიმართებით გააკეთა განმარტებები, ისე, რომ ისინი ვალდებული არიან, მხოლოდ ის შემოსავლები დაუქვემდებარონ ჩამოართმევას, რომლებიც დანაშაულთა გარკვეული სახეებიდან არის მიღებული.

– ევროკავშირის საბჭოს 2001/500/JI ჩარჩო-გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა ფულის გათეთრების, აგრეთვე გამოძიების, გაყინვის, დაყადაღებისა და დანაშაულის იარაღისა და დანაშაულიდან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევის შესახებ დებულებები. ჩარჩო-გადაწყვეტილების მიხედვით, წევრი სახელმწიფოები დამატებით ვალდებული არიან, ევროსაბჭოს კონვენციის ჩამორთმევასთან დაკავშირებული დებულებების მიმართ არ გამოიყენონ დათქმის უფლება ან არ შეინარჩუნონ იგი, თუ დანაშაული თავისუფლების აღკვეთით ან თავისუფლების შემზღუდველი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიებებით სულ მცირე ერთ წელზე მეტი ვადით ისჯება.

– ამ სფეროში არსებული ჩამორთმევასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტებით შედეგიანი ტრანსნაციონალური თანამშრომლობა სათანადო ზომით ვერ იქნა უზრუნველყოფილი, რადგან ზოგიერთ წევრ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ შეუძლია ყველა დანაშაულისგან, რომლებიც თავისუფლების აღკვეთით სულ მცირე ერთ წელზე მეტი ვადით ისჯება, მიღებული შემოსავლების ჩამორთმევა.

– ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მიზანია, უზრუნველყოს ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ დანაშაულისგან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევისათვის საჭირო ეფექტური ნორმების შემოღება, ასევე იმ პირის ქონებრივი ღირებულებების წარმომავლობის მტკიცების ტვირთთან მიმართებაში, რომელიც ორგანიზებულ დამნაშავეობასთან კავშირის გამო იქნა მსჯავრდებული. ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება კავშირში იმყოფება იმავდროულად წარმოდგენილ დანიურ წინადადებასთან დანაშაულისგან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებათა ორმხრივი ურთიერთაღიარების თაობაზე ჩარჩო-გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

– წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება უცვლელად ტოვებს ყოველი წევრი სახელმწიფოს მიერ თავისი სამართლებრივი პრინციპების გამოყენების თავისუფლებას, რაც დაკავშირებულია სამართლიან სასამართლო პროცესთან, აგრეთვე, განსაკუთრებით, უდანაშაულობის პრეზუმფციასთან, საკუთრების უფლებებთან, გაერთიანების თავისუფლებასთან, პრესის თავისუფლებასთან და სხვა მედია საშუალებებით გამოხატვის თავისუფლებასთან.

წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება შედგება შემდეგი შინაარსის ნორმებისაგან:

მუხლი 1 ცნებების განსაზღვრა

ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების გაგებით, ქვემოთ ჩამოთვლილ ცნებებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

– „შემოსავალი“ – ყოველი ეკონომიკური სარგებელი, რომელიც დანაშაულის გზით არის მიღებული. ასეთი სარგებელი შესაძლებელია, ნებისმიერი ქონებრივი ღირებულებებისგან შედგებოდეს, რაც ქვემოთ მოცემული განმარტებებიდან გამომდინარეობს;

– „ქონებრივ ღირებულებები“ – ქონებრივი ღირებულების ნებისმიერი სახე, სხეულებრივი ან არასხეულებრივი, მოძრავი ან უძრავი ქონება, ასევე დოკუმენტი ან სამართლებრივად მნიშვნელოვანი საბუთი, რომელიც ამგვარ ქონებრივ უფლებას ასახავს ან მისი მიღების შესაძლებლობას იძლევა;

– „დანაშაულის იარაღი“ – ყველა ნივთი, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის განსახორციელებლად გამოიყენება ან გამოყენებულ უნდა იქნეს;

– „ქონების ჩამორთმევა“ – სასჯელი ან სოციალური დაცვის ღონისძიება, რომელიც სასამართლოს მიერ ერთ ან რამდენიმე დანაშაულთან დაკავშირებულ პროცესში გამოიყენება და ქონებრივი ღირებულებების საბოლოო ჩამორთმევამდე მივყავართ;

– „იურიდიული პირი“ – სამართლის ყოველი სუბიექტი, რომელიც ამ სტატუსის მატარებელია მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით, გარდა სახელმწიფოების ან სახელმწიფოებრივი უფლებამოსილებების განმახორციელებელი სხვა საჯარო სამართლებრივი გაერთიანებებისა და საერთაშორისო საჯარო-სამართლებრივი ორგანიზაციებისა.

მუხლი 2 ჩამორთმევა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, დანაშაულის იარაღისა და დანაშაულებისგან, რომლებიც თავისუფლების აღკვეთით სულ მცირე ერთი წლით ისჯება, მიღებული შემოსავლების ან ქონებრივი ღირებულებების, რომელთა ღირებულებაც ამ შემოსავლებს შეესაბამება, მთლიანი ან ნაწილობრივი ჩამორთმევა.

(2) საგადასახადო დანაშაულებთან მიმართებაში წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ სისხლის სამართლის პროცესისგან განსხვავებული სხვა პროცესი გამოიყენონ, რათა დანაშაულისგან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევა მოხდეს.

მუხლი 3 ჩამორთმევის გაფართოებული შესაძლებლობები

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს სულ მცირე აუცილებელ ზომებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-2 აბზაცში დასახელებული პირობებით პირის ქონებრივი ღირებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი ჩამორთმევა, იმ დანაშაულისთვის,

a) რომელზეც 1998 წლის 21 დეკემბერის 98/733/JI ერთობლივი ღონისძიების დეფინიციის შესაბამისად, რაც დაკავშირებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში კრიმინალურ გაერთიანებაში მონაწილეობის დასჯადობასთან, განაჩენი იქნა გამოტანილი, თუ დანაშაული ერთ-ერთი შემდეგი ჩარჩო-გადაწყვეტილებით არის გათვალისწინებული:

– 2000 წლის 29 მაისის საბჭოს 2000/383/JI ჩარჩო-გადაწყვეტილება ევროს შემოღებასთან მიმართებაში ფულის გათეთრების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი და სხვა სანქციებით დაცვის გაძლიერების შესახებ;

– 2001 წლის 26 ივნისის საბჭოს 2001/500/JI ჩარჩო-გადაწყვეტილება ფულის გათეთრების, აგრეთვე გამოძიების, გაყინვის, დაყადაღების და დანაშაულის იარაღის ან დანაშაულისგან მიღებული შემოსავლის ჩამორთმევის შესახებ;

– 2002 წლის 19 ივლისის საბჭოს 2002/629/JI ჩარჩო-გადაწყვეტილება ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;

– 2002 წლის 28 ნოემბრის საბჭოს 2002/946/JI ჩარჩო-გადაწყვეტილება, რაც დაკავშირებულია სათანადო ნებართვის გარეშე ქვეყანაში შემოსვლის, ტრანზიტისა და უნებართვო ყოფნაში დახმარების წინააღმდეგ ბრძოლის სისხლისსამართლებრივი ფარგლების გაძლიერებასთან;

– 2003 წლის 22 დეკემბრის საბჭოს 2004/68/JI ჩარჩო-გადაწყვეტილება ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;

– 2004 წლის 25 ოქტომბრის საბჭოს 2004/757/JI ჩარჩო-გადაწყვეტილება ნარკოტიკული ნივთიერებების არალეგალურად ვაჭრობის სფეროში დასჯადი ქმედებების შემადგენლობისა და სასჯელების მინიმალური დებულებების დადგენის შესახებ;

b) რომელიც 2002 წლის 13 ივნისის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საბჭოს 2002/475/JI ჩარჩო-გადაწყვეტილებით არის გათვალისწინებული.

გარდა ამისა, ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის,

– თუ იგი წარმოადგენს სხვა დანაშაულს, ვიდრე ფულის გათეთრებაა, გათვალისწინებული უნდა იყოს თავისუფლების აღკვეთა სულ მცირე ხუთი წლიდან ათ წლამდე ვადით,

– ფულის გათეთრების შემთხვევაში კი, გათვალისწინებული უნდა იყოს თავისუფლების აღკვეთა სულ მცირე 4 წლის ვადით,

ამასთან, სახეზე უნდა იყოს ისეთი დანაშაული, რომლიდანაც შესაძლებელია ფინანსური სარგებლის მიღება.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს, რათა ჩამორთმევა ამ მუხლის მიხედვით სულ მცირე შემდეგ შემთხვევებში გახდეს შესაძლებელი:

a) მაშინ, როდესაც ნაციონალური სასამართლო, კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, სრულიად დარწმუნებულია იმაში, რომ შესაბამისი ქონებრივი ღირებულებები მსჯავრდებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულებიდან არის მიღებული, რომლებიც ჩადენილია პირველ ნაწილში მოცემული დანაშაულისათვის გასამართლებამდე დროის პერიოდში და სასამართლოს მიერ, საქმის კონკრეტული გარემოებების მიხედვით, სათანადოდ ჩაითვლება, ან, ალტერნატიულად,

b) მაშინ, როდესაც ნაციონალური სასამართლო, კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, სრულიად დარწმუნებულია იმაში, რომ შესაბამისი ქონებრივი ღირებულებები მსჯავრდებული პირის მიერ ჩადენილი მსგავსი დანაშაულებიდან არის მიღებული, რომლებიც ჩადენილია პირველ ნაწილში მოცემული დანაშაულისათვის გასამართლებამდე დროის პერიოდში და სასამართლოს მიერ საქმის კონკრეტული გარემოებების შესაბამისად სათანადოდ ჩაითვლება, ან, ალტერნატიულად,

c) როდესაც დამტკიცებულია, რომ ქონებრივი ღირებულებების ოდენობა არ შეესაბამება მსჯავრდებული პირის კანონიერ შემოსავლებს და ნაციონალური სასამართლო, კონკრეტული საქმიდან გამომდინარე, სრულიად დარწმუნებულია იმაში, რომ შესაბამისი ქონებრივი ღირებულებები მსჯავრდებული პირის მიერ დანაშაულებიდან იქნა მიღებული.

(3) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია დამატებით მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა უზრუნველყოს, რომ პირველ და მე-2 აბზაცებში დასახელებული წინაპირობებით მიღებული ქონება, რომელიც დანაშაულთან შემხებლობაში მყოფ პირთან ძალიან დაახლოებული პირისგან იქნა შეძენილი, ასევე ის ქონებრივი ღირებულება, რომელიც იურიდიულ პირს გადაეცა და რომელზედაც შესაბამისი პირი მარტო ან მასთან ძალიან დაახლოებულ

პირთან ერთად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამორთმეულ იქნეს. იგივე ხდება, როცა დაინტერესებული პირი იურიდიული პირის შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილს ითვისებს.

(4) წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, სისხლის სამართლის პროცესის გარეთ სხვა პროცესი გამოიყენონ, რათა დამნაშავეს შესაბამისი ქონებრივი ღირებულებები ჩამოერთვას.

მუხლი 4 გასაჩივრების საშუალებები

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მე-2 და მე-3 მუხლების მიხედვით გატარებული ნებისმიერი ღონისძიებით დაზარალებული მხარე საკუთარი უფლებების დასაცავად გასაჩივრების ეფექტურ საშუალებებს ფლობდეს.

მუხლი 5 გარანტიები

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება არ ეხება ძირითადი უფლებებისა და საყოველთაო სამართლებრივი პრინციპების, მათ შორის, განსაკუთრებით უდანაშაულობის პრეზუმფციის, პატივისცემის მოვალეობას, როგორც ეს ევროპის კავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-6 მუხლითაა გათვალისწინებული.

მუხლი 6 იმპლემენტაცია

(1) წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას, რათა ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებისათვის საჭირო წინაპირობები 2007 წლის 15 მარტამდე შესრულდეს.

(2) წევრი სახლემწიფოები საბჭოს გენერალ სამდივნოს და კომისიას არაუგვიანეს 2007 წლის 15 მარტისა გადასცემენ სამართლებრივი დებულებების ტექსტს, რომლითაც მათ ჩარჩო-გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვალდებულებებს ნაციონალურ სამართალში იმპლემენტაცია გაუკეთეს. საბჭო, არაუგვიანეს 2007 წლის 15 ივნისისა, ამოწმებს ამ ინფორმაციის გამოყენების შედეგად შედგენილი მოხსენებისა და კომისიის წერილობითი მოხსენების საშუალებით, თუ რამდენად შეასრულეს ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების დებულებები წევრმა სახელმწიფოებმა.

მუხლი 7 ძალაში შესვლა

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღიდან.

V თავისუფლების აღკვეთისა და თავისუფლების შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილებების აღსრულებაში დახმარება

ევროპულ სისხლის სამართალში გამოიყენება აღსრულებაში დახმარება, რაც გულისხმობს უცხო ქვეყნის გამამტყუნებელი განაჩენების აღსრულებას. ეს სფერო დიდი ხნის მანძილზე იყო „იურიდიული ყამირი" (juristisches Brachland)[1]. ევროპის საბჭოსა და ევროპული გაერთიანებების ფარგლებში შეიქმნა სამართლებრივი ინსტრუმენტები, რომლებიც ამ სფეროს არეგულირებენ. ასეთია: ევროპის საბჭოს 1970 წლის 28 მაისის კონვენცია სისხლის სამართლის განაჩენების საერთაშორისო აღიარების შესახებ[2], ასევე არსებობს ევროპული გაერთიანებების წევრ სახელმწიფოთა შორის 1991 წლის 13 ნოემბრის შეთანხმება უცხოური სისხლისსამართლებრივი გამამტყუნებელი განაჩენების აღსრულების შესახებ.[3] ამ სფეროში ეფექტურ ურთიერთთანამშრომლობას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ეს ხელშეკრულებები მხოლოდ ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს მიერ იქნა რატიფიცირებული.

ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის აღსრულების დახმარება არსებითად ეფუძნებოდა ევროპის საბჭოს 1983 წლის 21 მარტის კონვენციას მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ[4]. ეს არის მსჯავრდებულთა გადაცემის სფეროში ე.წ. „დედა კონვენცია" („Mutterkonvention"[5]). ევროპულ სისხლის სამართალში მისი განვრცობა ხდება შენგენი II შეთანხმების 67-ე-69-ე მუხლებით. ამ ნორმებს, რომლებიც ეხება თავისუფლების აღმკვეთი სასჯელებისა და თავისუფლების შემზღუდველი ღონისძიებების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებაში დახმარებას, წარმოგიდგენთ აქვე. შემდეგ წარმოგიდგენთ ევროპის კავშირის საბჭოს 2005 წლის 24 თებერვლის ჩარჩო გადაწყვეტილებას ფულადი სასჯელებისა და ფულადი სახდელების შესახებ გადაწყვეტილებების ორმხრივი ურთიერთაღიარების შესახებ. ევროპის კავშირმა ამ სამართლებრივი აქტით სისხლის სამართლის სფეროში პირველად დაასაბუთა სხვა წევრი სახელმწიფოების მიერ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულება.[6]

სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი გადაწყვეტილებების ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპმა აღსრულების დახმარების სფეროში ევროპის კავშირის ფარგლებში უკანასკნელ წლებში მიაღწია მნიშვნელოვან განვითარებას. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია 2008 წლის 27 ნოემბრის 2008/909/JI ჩარჩო-გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენთა მიმართ ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის გამოყენების შესახებ, რომლითაც ხდება თავისუფლების აღმკვეთი სასჯელის ან ღონისძიების დაკისრება.[7] ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება 2011 წლის 5 დეკემბრიდან უნდა ჩაენაცვლოს შენ-

---

[1] იხ. *Wasmeier/Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 249.

[2] გერმანულად: Europäische Übereinkommen über die internationale Geltung von Strafurteilen. ეს კონვენცია არ არის რატიფიცირებული, მაგალითად, გერმანიის მიერ.

[3] გერმანულად: Übereinkommen zwischen den Mitgliedstaaten der Europäischen Gemeinschaften über die Vollstreckung ausländischer strafrechtlicher Verurteilungen.

[4] იხ. *Schomburg/Lagodny/Gleß/Hackner:* Internationale Rechtshilfe in Strafsachen, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 695. გერმანულად: Übereinkommen über die Überstellung verurteilter Personen.

[5] ეს ტერმინი იხ. წიგნში: *Wasmeier/Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 249.

[6] შეად. *Wasmeier/Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 249.

[7] ABl. L 327, 15. 12. 2008; ინგლისურ ენაზე 2008/909/JHA: Council Framework Decision of 27 November 2008 on the application of the principle of mutual recognition to judgments in criminal matters imposing custodial sentences or measures involving deprivation of liberty for the purpose of their enforcement in the European Union, ხოლო გერმანულ ენაზე _ 2008/909/JI: Rahmenbeschluss des Rates vom 27. November 2008 über die Anwendung des Grundsatzes der gegenseitigen Anerkennung auf Urteile in Strafsachen, durch die eine frei-

გენი II შეთანხმების 67-ე-69-ე მუხლებს, ასევე მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ ევროპის საბჭოს 1983 წლის 21 მარტის კონვენციისა და ზოგიერთი სხვა აქტის შესაბამის დებულებებს ამ სფეროში ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის საქმეში. ამ სამართლებრივი ინსტრუმენტის მიღებაზე ევროკავშირის საბჭომ 2007 წლის 15 თებერვალს მიაღწია პოლიტიკურ შეთანხმებას[1].

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ადგენს წესებს, რომლის მიხედვითაც ერთ წევრ სახელმწიფოში გამოტანილი განაჩენი, რომლითაც მსჯავრდებულს მისჯილი აქვს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, უნდა იქნეს აღიარებული და აღსრულებული სხვა წევრ სახელმწიფოში. იგი მიზნად ისახავს მსჯავრდებულ პირთა რესოციალიზაციის გაადვილებას. აღსრულების სახელმწიფომ, გადაცემული განაჩენისა და ცნობის მიღების შემთხვევაში, 90 წლის განმავლობაში უნდა გადაწყვიტოს განაჩენის აღიარებისა და სანქციის აღსრულების შესახებ.

ასევე აღსანიშნავია 2008 წლის 27 ნოემბრის 2008/947/JI ჩარჩო-გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენთა და პირობითი მსჯავრდების შესახებ გადაწყვეტილებათა მიმართ, გამოსაცდელი ღონისძიებებისა და ალტერნატიული სანქციების აღსრულების ზედამხედველობის დროს ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის გამოყენების შესახებ.[2]

ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების გაგებით, განაჩენი ნიშნავს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას ან განკარგულებას, რომლითაც დგინდება, რომ ფიზიკურმა პირმა ჩაიდინა დანაშაული და მის მიმართ გამოიყენება: ა) სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით ან თავისუფლების შემზღუდავი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიება, რა დროსაც ამ განაჩენით ან პრობაციის შესახებ შემდგომი გადაწყვეტილებით მისი სასჯელისგან პირობითი გათავისუფლება ხდება; ბ) პირობითი სასჯელი; გ) სასჯელის მოუხდელი ნაწილისგან პირობით ვადამდე გათავისუფლება; დ) ალტერნაციული სანქცია, რომელიც არ წარმოადგენს თავისუფლების აღკვეთას ან ფულად ჯარიმას.

---

heitsentziehende Strafe oder Maßnahme verhängt wird, für die Zwecke ihrer Vollstreckung in der Europäischen Union. იგი ძალაში შევიდა 2008 წლის 5 დეკემბერს, ხოლო მისი იმპლემენტაცია წევრ სახელმწიფოებში უნდა მოხდეს 2011 წლის 5 დეკემბრამდე.

[1] იხ. *Wasmeier/Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 249.

[2] ABl. L 337, 16. 12. 2008; ინგლისურ ენაზე 2008/947/JHA: Council Framework Decision of 27 November 2008 on the application of the principle of mutual recognition to judgments and probation decisions with a view to the supervision of probation measures and alternative sanctions, ხოლო გერმანულ ენაზე _ 2008/947/JI: Rahmenbeschluss des Rates vom 27. November 2008 über die Anwendung des Grundsatzes der gegenseitigen Anerkennung auf Urteile und Bewährungsentscheidungen im Hinblick auf die Überwachung von Bewährungsmaßnahmen und alternativen Sanktionen. იგი ძალაში შევიდა 2008 წლის 6 დეკემბერს, ხოლო მისი იმპლემენტაცია წევრ სახელმწიფოებში უნდა მოხდეს 2011 წლის 6 დეკემბრამდე.

1990 წლის 19 ივნისის შეთანხმება[1] შენგენის 1985 წლის 14 ივნისის შეთანხმების განხორციელების შესახებ, დაკავშირებული ერთობლივ საზღვრებზე კონტროლის ეტაპობრივ გაუქმებასთან

(ამონარიდი)

სათაური III
პოლიცია და უსაფრთხოება

თავი 5
სისხლისსამართლებრივი განაჩენების აღსრულების გადაცემა

მუხლი 67

ხელშეკრულების მონაწილე მხარეებისათვის, რომლებიც შეერთებული არიან მსჯავრდებულ პირებთა გადაცემის შესახებ 1983 წლის 21 მარტის ევროსაბჭოს კონვენციას, ქვემოთ მოცემული რეგულირება ითვლება, როგორც აღნიშნული კონვენციის დამატება.

მუხლი 68

1) ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარეს, რომლის სუვერენულ ტერიტორიაზეც ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარის მოქალაქეს, კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა ან თავისუფლების შემზღუდავი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიება, შეუძლია, თუკი ის პირი, ვისაც ეს განაჩენი ეხება, მიმალვაში იმყოფება და მის სახელმწიფოში შეუძლებელია აღსრულების განხორციელება და აღსრულების შემდგომი გაგრძელება, აღსრულების შესახებ თხოვნა გადასცეს ხელშეკრულების მეორე მხარეს, რომლის ტერიტორიაზეც მიმალული პირი იმყოფება.

2) თხოვნის მიმღებ ხელშეკრულების მონაწილე მხარეს შეუძლია, თხოვნის გამგზავნი ხელშეკრულების მონაწილე მხარის თხოვნით, იმ დოკუმენტებისა და მასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გადმოგზავნის მოლოდინში, რომლებიც სასჯელის ან იძულებითი ღონისძიების ან მოუხდელი სასჯელის ნაწილის აღსრულების გადაცემის შესახებ თხოვნას ასაბუთებს, მსჯავრდებული პირი დააპატიმროს ან მიიღოს უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებები მსჯავრდებული პირის თხოვნის მიმღებ ხელშეკრულების მონაწილე სუვერენულ ტერიტორიაზე ყოფნის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 69

სასჯელის აღსრულების გადაცემა, რაც ხორციელდება 68-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, არ საჭიროებს იმ პირის თანხმობას, რომელსაც შეფარდებული აქვს სასჯელი ან იძულებითი ღონისძიება. მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ ევროპის საბჭოს 1983 წლის 21 მარტის კონვენციის სხვა დებულებები გამოიყენება შესაბამისად.

[1] ABL. L 239, 22. 09. 2000.

VI ფულადი სასჯელებისა და ფულადი სახდელების შესახებ გადაწყვეტილებების ორმხრივი ურთიერთაღიარება

2005 წლის 24 თებერვლის ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო-გადაწყვეტილება[1] ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის გამოყენების შესახებ ფულად სასჯელებთან და ფულად სახდელებთან მიმართებაში

წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილების პრეამბულაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის საბჭო ეყრდნობა ევროკავშირის ხელშეკრულებას, განსაკუთრებით, მისი 31-ე მუხლის a) ქვეპუნქტსა და 34-ე მუხლის მე-2 აბზაცის b) ქვეპუნქტს. ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მიღება მოხდა გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთის რესპუბლიკისა და შვედეთის სამეფოს ინიციატივით, ამ საკითხთან დაკავშირებით ევროპარლამენტის მიერ 2002 წლის 7 ნოემბერს გამოხატული პოზიციის შემდეგ. მისი მიღების დროსაც საბჭომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ევროპის საბჭომ 1999 წლის 15 და 16 ოქტომბერს ტამპერეში ჩატარებულ სხდომაზე მხარი დაუჭირა ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპს. ეს პრინციპი ევროკავშირის შიგნით უნდა გამხდარიყო იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის ქვაკუთხედი, როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე.

ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების თანახმად, ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის გამოყენება უნდა მოხდეს ფულადი ჯარიმებისა და ფულადი სახდელების მიმართ, რომლებიც შეფარდებული იქნება სასამართლოების ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ. ეს კი, მიზნად ისახავს ფულადი ჯარიმებისა და ფულადი სახდელების აღსრულების გაადვილებას გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს გარეთ, სხვა წევრ სახელმწიფოში. ამ მიზნის განსახორციელებლად, საბჭომ 2000 წლის 29 ნოემბერს ტამპერეში გაკეთებული დასკვნების შედეგად, მიიღო იმ ღონისძიებების პროგრამა, რომელიც საჭირო იყო სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებების ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის აღსრულებისათვის, რა დროსაც, მან უპირატესობა მიანიჭა ისეთი სამართლებრივი აქტის მიღებას, რომელიც გაითვალისწინებდა ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის გამოყენებას ფულად ჯარიმებსა და ფულად სახდელებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება მოიცავს, ასევე სატრანსპორტო მოძრაობის მარეგულირებელი წესების დარღვევის გამო დაკისრებული ფულადი ჯარიმებისა და ფულადი სახდელების აღსრულებას.

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება პატივს სცემს ადამიანის ძირითად უფლებებს და იცავს ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლით აღიარებულ პრინციპებს, რომლებიც, ასევე გათვალისწინებულია ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიაში, განსაკუთრებით, მის მე-6 თავში. ჩარჩო-გადაწყვეტილების პრეამბულაში აღნიშნულია, რომ მისი არც ერთი დებულება არ შეიძლება განმარტებულ იქნეს იმგვარად, რომ იგი თითქოს კრძალავს გადაწყვეტილების აღსრულების უარყოფას, მაშინ როდესაც არსებობს ობიექტური გარემოებები იმის დასადასტურებლად, რომ ფულადი ჯარიმები და ფულადი სახდელები გამოყენებულ იქნა პიროვნების დასჯის მიზნით მისი სქესის, რასის, რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, მოქალაქეობის, ენის, პოლიტიკური შეხედულების ან სექსუალური ორიენტაციის გამო ან იმ შემთხვევაში, როდესაც ამ პიროვნების მდგომარეობა ერთ-ერთი ამ საფუძვლით შეიძლება ხელყოფილი იქნეს.

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება არ იწვევს წევრ სახელმწიფოთა სუვერენული უფლებების

[1] ABl. L 76, 22. 03. 2005. იხ. ინგლისურ ენაზე 2005/214/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2005/214/JI.

ხელყოფას, არამედ, პრეამბულის თანახმად, ყველა წევრ სახელმწიფოს უტოვებს თავისი კონსტიტუციური დებულებების თავისუფლად გამოყენების უფლებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კანონშესაბამისი სასამართლო წარმოება. იგი, ასევე ხელშეუხებელს ტოვებს წევრი სახელმწიფოს შიდა სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ გაერთიანების თავისუფლებას, პრესის თავისუფლებასა და მედიის სხვა საშუალებებით აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებას.

საბჭოს წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება შეიცავს შემდეგი შინაარსის დებულებებს:

მუხლი 1 ტერმინთა განსაზღვრებები

ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

a) „გადაწყვეტილება" – კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ ფულადი ჯარიმის ან ფულადი სახდელის გადახდის შესახებ, რომელიც

i) მიღებულ იქნა გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს სასამართლოს მიერ მისი ქვეყნის სამართლით გათვალისწინებული დასჯადი ქმედებისათვის;

ii) მიღებულ იქნა გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს ერთ-ერთი არასასამართლო დაწესებულების მიერ, იმ წინაპირობით, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდა შესაძლებლობა, საქმე სისხლის სამართლის საქმეზე განსჯადობის უფლების მქონე ერთ-ერთ სასამართლოში წარედგინა;

iii) გამოცემულ იქნა გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს ერთ-ერთი არასასამართლო დაწესებულების მიერ იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც მისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლით ექვემდებარება სისხლისსამართლებრივ დევნას სამართლებრივი ნორმების დარღვევის გამო, იმ წინაპირობით, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდა შესაძლებლობა, საქმე სისხლის სამართლის საქმეზე განსჯადობის უფლების მქონე ერთ-ერთ სასამართლოში წარედგინა;

iv) მიღებულ იქნა ასევე სისხლის სამართლის საქმეზე განსჯადობის უფლების მქონე ერთ-ერთი სასამართლოს მიერ და რომელიც უკავშირდება გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღება iii ქვეპუნქტის შესაბამისად;

b) „ფულადი სასჯელი ან ფულადი სახდელი" – გადახდის ვალდებულება, რომელიც

i) ნორმის დარღვევის გამო, გასამართლების საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით არის დადგენილი ფულადი თანხის სახით;

ii) იმავე გადაწყვეტილებაში დადგენილია მსხვერპლისათვის ზიანის ანაზღაურების სახით, თუ მსხვერპლს მიმდინარე პროცესის ფარგლებში არა აქვს სამოქალაქო სარჩელის წარდგენის უფლება და თუ სასამართლო საქმიანობას ახორციელებს თავისი სისხლისსამართლებრივი განსჯადობიდან გამომდინარე;

iii) უკავშირდება ფულად ხარჯებს, რომლებიც განკუთვნილია გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს ან ადმინისტრაციული წარმოების ხარჯების დასაფარავად;

iv) უკავშირდება იგივე სახის გადაწყვეტილებაში დადგენილ ფულად შენატანებს საჯარო სალაროში ან ორგანიზაციაში მსხვერპლთა მხარდაჭერისათვის.

„ფულად სასჯელებსა და ფულად სახდელებში" არ მოიაზრება:

– განკარგულებები დანაშაულის იარაღის ან დანაშაულებიდან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევის შესახებ;

– სამოქალაქო-სამართლებრივი ბუნების განკარგულებები, რომლებიც გამომდინარეობენ ზიანის ანაზღაურების სარჩელებიდან და პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის შესახებ საჩივრებიდან და „სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე სასამართლო განსჯადობისა და გადაწყვეტილებათა აღიარებისა და აღსრულების შესახებ“ საბჭოს 2000 წლის 22 დეკემბრის (EG) 44/2001 რეგულაციის[1] თანახმად, აღსრულებას ექვემდებარებიან.

c) „გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფო“ – წევრი სახელმწიფო, რომელშიც გადაწყვეტილება მიღებული იქნა ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მიხედვით;

d) „აღმასრულებელი სახელმწიფო“ – წევრი სახელმწიფო, რომელსაც გადაეგზავნა გადაწყვეტილება აღსრულების მიზნით.

მუხლი 2 უფლებამოსილ დაწესებულებათა დასახელება

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო ატყობინებს საბჭოს გენერალურ მდივანს, თუ რომელი ორგანო ან ორგანოები არის მისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმებით, ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისად, უფლებამოსილი, როცა ეს წევრი სახელმწიფო წარმოადგენს გადაწყვეტილების გამომტან ან აღმასრულებელ სახელმწიფოს.

(2) ყოველ წევრ სახელმწიფოს, მე-4 მუხლის დაურღვევლად, თუ ეს აუცილებელია მისი სამართლებრივი სისტემის მოწყობის საფუძვლებიდან გამომდინარე, შეუძლია, დაასახელოს ერთი ან რამდენიმე ცენტრალური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადაწყვეტილებათა ადმინისტრაციული გადაცემისა და მიღების და უფლებამოსილი ორგანოების მხარდაჭერისათვის.

(3) საბჭოს გენერალური სამდივნო მოპოვებულ მონაცემებს ყველა წევრი სახელმწიფოსთვის და კომისიისთვის, ხელმისაწვდომს ხდის.

მუხლი 3 ძირითადი უფლებები

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ხელშეუხებელს ტოვებს ხელშეკრულების მე-6 მუხლიდან გამომდინარე ძირითადი უფლებებისა და ზოგადი სამართლებრივი პრინციპების პატივისცემის ვალდებულებას.

მუხლი 4 გადაწყვეტილებათა გადაცემა და ცენტრალური დაწესებულებების ჩართვა

(1) გადაწყვეტილება, ამ მუხლით გათვალისწინებულ ცნობასთან ერთად, შესაძლებელია, გადაეცეს იმ წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელის ტერიტორიაზეც ფიზიკური ან იურიდიულ პირი, რომლის წინააღმდეგაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ფლობს ქონებას ან ღებულობს შემოსავალს, და, როგორც წესი, იმყოფება, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში, გააჩნია რეგისტრაციის ადგილი.

(2) ცნობა, რომლისთვისაც დანართში არსებული ფორმულარი უნდა იქნეს გამოყენებული, ხელმოწერილი უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ; ამასთანავე, ორგანო ამოწმებს ცნობის შინაარსის სისწორეს.

(3) გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო უშუალოდ გადასცემს აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს გადაწყვეტილებას ან მის დამოწმებულ ასლს, ცნობასთან ერთად, და, სახელდობრ, იმ ფორმით, რომელიც

[1] ABl. L 12, 16. 01. 2001. Verordnung (EG) 44/2001 des Rates vom 22. Dezember 2000 über die gerichtliche Zuständigkeit und die Anerkennung und Vollstreckung von Entscheidungen in Zivil- und Handelssachen.

იძლევა შესაბამისი პირობების დაცვით წერილობითი დადასტურების შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს აღმასრულებელი სახელმწიფოსათვის მისი ნამდვილობის დადასტურებას. გადაწყვეტილების დედანი ან მისი დამოწმებული ასლი და ცნობის დედანი აღმასრულებელ სახელმწიფოს ეგზავნება სურვილისამებრ. ასევე ყველა ოფიციალური შეტყობინებების გადაცემა ხორციელდება უშუალოდ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს შორის.

(4) გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფო კონკრეტულ შემთხვევაში გადასცემს გადაწყვეტილებას მხოლოდ აღმასრულებელ სახელმწიფოს.

(5) იმ შემთხვევაში, როცა გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოსთვის უცნობია, თუ რომელია აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო, მაშინ იგი ცდილობს, მიიღოს ინფორმაცია აღმასრულებელი სახელმწიფოსგან ასეთი ორგანოს შესახებ მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით, მათ შორის, ევროპული იუსტიციური ქსელის საკონტაქტო ორგანოების მეშვეობითაც.

(6) იმ შემთხვევაში, როცა გადაწყვეტილება გადაეცემა აღმასრულებელი სახელმწიფოს ისეთ ორგანოს, რომელიც არ არის უფლებამოსილი მის აღიარებასა და მისი აღსრულებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებაზე, ასეთ შემთხვევაში, იგი ვალდებულია, გადასცეს გადაწყვეტილება უფლებამოსილ ორგანოს და შესაბამისად ამის შესახებ აცნობოს გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს. გამომტანი

(7) გაერთიანებულ სამეფოს, შესაბამისად, ირლანდიას, შეუძლია, დეკლარაციით გააკეთოს შეტყობინება, რომ გადაწყვეტილება ცნობასთან ერთად უნდა გადაეცეს მის ცენტრალურ დაწესებულებას ან ცენტრალურ დაწესებულებებს, რომელიც (რომლებიც) მითითებულია დეკლარაციაში. ამ წევრ სახელმწიფოებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ, რომ შემდგომი დეკლარაციით შეზღუდონ ასეთი სახის დეკლარაციის გამოყენების სფერო, რათა მე-3 აბზაცს უფრო მეტი მოქმედების ფარგლები მიენიჭოს. ამ ფორმით ისინი მოქმედებენ მაშინ, როდესაც შენგენის შეთანხმების განხორციელების შეთანხმების სამართლებრივი დახმარების შესახებ დებულებები მათთვის ძალაში შევა. ყოველი დეკლარაცია შეინახება საბჭოს გენერალურ სამდივნოში და ეცნობება კომისიას.

მუხლი 5 გამოყენების სფერო

(1) ქვემოთ ჩამოთვლილი დანაშაულები და ადმინისტრაციული გადაცდომები (სამართალდარღვევები) – თუ ისინი გადაწყვეტილების გამომტან სახელმწიფოში დასჯადია და როგორც ისინი მისი სამართლით არის განსაზღვრული – ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების თანახმად, ორმხრივი დასჯადობის არსებობის გადამოწმების გარეშე, იწვევენ გადაწყვეტილებათა აღიარებასა და აღსრულებას:

– დანაშაულებრივ დაჯგუფებაში მონაწილეობა,

– ტერორიზმი,

– ტრეფიკინგი,

– ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და ბავშვთა პორნოგრაფია,

– ნარკოტიკებითა და ფსიქოტროპული ნივთიერებებით არალეგალური ვაჭრობა,

– იარაღით, საბრძოლო მასალითა და ასაფეთქებელი ნივთიერებებით არალეგალური ვაჭრობა,

– კორუფცია,

– თაღლითობის დელიქტები, მათ შორის, ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების წინააღმდეგ მიმართული თაღლითობის ჩათვლით, ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ 1995 წლის 26 ივლისის შეთანხმების გაგებით,

– დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრება,

– ფულის გაყალბება, მათ შორის, ევროს გაყალბება,

– კიბერნეტიკული დამნაშავეობა,

– გარემოს წინააღმდეგ მიმართული დამნაშავეობა, მათ შორის, საფრთხეში მყოფ ცხოველთა სახეობებით ან საფრთხეში მყოფ მცენარეთა და ხის სახეობებით არალეგალური ვაჭრობა,

– დახმარება ქვეყანაში არალეგალურად შემოსვლასა და არალეგალურად ყოფნაში,

– განზრახი მკვლელობა, სხეულის მძიმე დაზიანება,

– ადამიანის ორგანოებით ან ქსოვილებით არალეგალურად ვაჭრობა,

– გატაცება, თავისუფლების აღკვეთა ან მძევლად ხელში ჩაგდება,

– რასიზმი ან ქსენოფობია,

– ქურდობა, ჩადენილი ორგანიზებულად ან იარაღით,

– კულტურული ფასეულობებით, მათ შორის, ანტიკვარული ნივთებითა და ხელოვნების ნიმუშებით არალეგალური ვაჭრობა,

– თაღლითობა,

– გამოძალვა და რეკეტის გზით ფულის გამოძალვა,

– გაყალბება და ფალსიფიკაცია,

– ოფიციალური დოკუმენტების გაყალბება და ამით ვაჭრობა,

– გადახდის საშუალებების გაყალბება,

– ჰორმონებითა და ზრდის სტიმულატორებით არალეგალური ვაჭრობა,

– ბირთვული და რადიაქტიური ნივთიერებებით არალეგალური ვაჭრობა,

– ნაქურდალი სატრანსპორტო საშუალებებით ვაჭრობა,

– გაუპატიურება,

– ცეცხლის წაკიდება,

– დანაშაულები, რომლებიც წარმოადგენენ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს განსჯადს,

– საჰაერო/საზღვაო ხომალდების გატაცება,

– საბოტაჟი,

– სატრანსპორტო მოძრაობის მარეგულირებელი წესების დარღვევა, მათ შორის, დარღვევები მიმართული მართვისა და დასვენების, ასევე საფრთხის შემცველი ტვირთების შესახებ დებულებების წინააღმდეგ,

– კონტრაბანდა,

– ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევა,

– პიროვნებების მიმართ განხორციელებული მუქარა და ძალადობრივი ქმედებები, მათ შორის, ძალადობა სპორტული ღონისძიებების დროს,

– ნივთის დაზიანება,

– ქურდობა,

– დანაშაულის შემადგენლობები, რომლებიც გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს მიერ იქნა დადგენილი და ეფუძნებიან იმ ვალდებულებებს, რომლებიც ევროპული გაერთიანების ან ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 სათაურის ფარგლებში გამოცემული სამართლებრივი აქტებიდან გამომდინარეობენ.

(2) საბჭოს შეუძლია, ერთხმად და ევროპარლამენტის მოსმენის შემდეგ, ევროკავშირის ხელშეკრულების 39-ე მუხლის 1-ლი აბზაცის თანახმად, გადაწყვიტოს 1-ლი აბზაცის ჩამონათვალში სხვა სახის დანაშაულებისა და ადმინისტრაციული გადაცდომების (სამართალდარღვევების) დამატება.

საბჭო, მისთვის მე-20 მუხლის მე-5 აბზაცის საფუძველზე განსახილველად წარდგენილი მოხსენების თვალსაზრისით, ამოწმებს, თუ რამდენად რეკომენდირებულია ამ სიის გაფართოვება ან შეცვლა. მოგვიანებით საბჭო, იმ მოხსენების საფუძველზე, რომელსაც მას კომისია ჩარჩო-გადაწყვეტილების გამოყენების თაობაზე მე-20 მუხლის პირველ აბზაცში დასახელებული დროიდან ხუთი წლის განმავლობაში წარუდგენს, განმეორებით იხილავს ამ საკითხს.

(3) ის შემთხვევები, რომლებიც პირველ აბზაცში არ თავსდებიან, შესაძლებელია, აღმასრულებელმა სახელმწიფომ, ქმედების შემადგენლობის ნიშნებისა და დანაშაულთა კლასიფიკაციისგან დამოუკიდებლად, აღიაროს და აღსრულებას დაუქვემდებაროს, იმ პირობით, რომ გადაწყვეტილება ისეთ ქმედებებს შეეხება, რომლებიც აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლით განხილული იქნებოდა როგორც დანაშაული.

მუხლი 6 გადაწყვეტილებების აღიარება და აღსრულება

აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოები აღიარებენ მე-4 მუხლის შესაბამისად გადაცემულ გადაწყვეტილებას ყოველგვარი ფორმალობების გარეშე და იღებენ ყველა საჭირო ზომებს მისი აღსრულებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როცა უფლებამოსილი ორგანო გადაწყვეტს, უარი თქვას აღიარებაზე ან აღსრულებაზე მე-7 მუხლის ერთ-ერთი პირობის თანახმად.

მუხლი 7 აღიარებასა ან აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები

(1) აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლიათ უარი განაცხადონ გადაწყვეტილების აღიარებასა და აღსრულებაზე, თუ მე-4 მუხლის თანახმად ცნობა არ არის წარმოდგენილი, არის არასრულყოფილი ან აშკარად არ შეესაბამება გადაწყვეტილებას.

(2) გარდა ამისა, აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია, რომ უარი განაცხადოს გადაწყვეტილების აღიარებასა და აღსრულებაზე, თუ დადგენილია, რომ

a) გასამართლებული პირის მიმართ იგივე ქმედებისათვის აღმასრულებულ ან სხვა სახელმწიფოში, რომელიც არ არის გადაწყვეტილების გამომტანი ან აღმასრულებელი სახელმწიფო, მიღებულია გადაწყვეტილება და აღსრულებულია იგი;

b) მე-5 მუხლის მე-3 აბზაცის შემთხვევებში, გადაწყვეტილება ეხება ისეთ ქმედებებს, რომლებიც აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლით დანაშაულად არ იქნებოდა მიჩნეული;

c) აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმებით გადაწყვეტილების აღსრულება ხანდაზმულია და გადაწყვეტილება ისეთ ქმედებას ეხება, რომლისთვისაც ეს სახელმწიფო, თავისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლით უფლებამოსილია;

d) გადაწყვეტილება ეხება ისეთ ქმედებებს,

i) რომლებიც აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების თანახმად მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილია მის სუვერენულ ტერიტორიაზე ან მასთან გათანაბრებულ ტერიტორიაზე, ან

ii) ჩადენილია გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს სუვერენული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ და აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმები მის სუვერენულ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ჩადენილ მსგავს დანაშაულებსა და ადმინისტრაციულ გადაცდომებზე (სამართალდარღვევებზე) დევნას არ უშვებს;

e) აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლით არსებობს გათავისუფლების საფუძვლები, რაც გადაწყვეტილების აღსრულებას შეუძლებელს ხდის;

f) გადაწყვეტილება გამოტანილია ფიზიკური პირის მიმართ, რომელიც აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების თანახმად, მისი ასაკიდან გამომდინარე, არ შეიძლება დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებებისათვის, რომლებიც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილებას;

g) მე-4 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი ცნობის თანახმად, დაინტერესებულ პირს

i) საქმის წერილობითი განხილვის დროს, გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების თანახმად, არც პირადად ან არც შიდასახელმწიფოებრივი სამართლით უფლებამოსილი მისი წარმომადგენლის მეშვეობით ეცნობა მისი უფლებების შესახებ, კერძოდ, გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და იმ ვადების შესახებ, რომლებიც მოქმედებენ ამ გასაჩივრებისათვის, ან

ii) პირადად არ გამოცხადდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ცნობიდან გამომდინარეობს, რომ:

– დაინტერესებული პირი პირადად ან შიდასახელმწიფოებრივი სამართლით უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, ინფორმირებული იქნა პროცესის შესახებ, ან

– როდესაც დაინტერესებული პირი უთითებს, რომ გადაწყვეტილებას არ ასაჩივრებს;

h) დაკისრებული ფულადი ჯარიმა ან ფულადი სახდელი 70 ევროზე ნაკლებია ან მის ექვივალენტურ ღირებულებაზე ნაკლებია.

(3) ვიდრე აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო, 1-ლი და მე-2 აბზაცების c) და g) პუნქტებში დასახელებული შემთხვევების არსებობისას, მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ გადაწყვეტილების აღიარება და აღსრულება უარყოფილი იქნეს მთლიანად ან ნაწილობრივ, გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოსთან ახორციელებს მოლაპარაკებებს შესაბამისი ფორმითა და სახით და შესაბამისად თხოვს მას ყველა საჭირო დამატებითი მონაცემების დაუყოვნებლივი გადაცემის შესახებ.

მუხლი 8 გადასახდელი თანხის განსაზღვრა

(1) თუკი გადაწყვეტილება დადასტურებულად უკავშირდება ქმედებებს, რომლებიც გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე არ იყო განხორციელებული, მაშინ აღმასრულებელ სახელწიფოს შეუძლია, გადაწყვიტოს, რომ ფულადი ჯარიმის ან ფულადი სახდელის უმაღლესი ოდენობა შემცირებული იქნეს იგივე სახის ქმედებებისთვის თავისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლით გათვალისწინებული სასჯელის უმაღლეს ოდენობამდე, იმდენად რამდენადაც ქმედებები მის იურისდიქციას ექვემდებარებიან.

(2) აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი დაწესებულება ფულადი ჯარიმის ან ფულადი სახდელის გადაანგარიშებას ახორციელებს აღმასრულებელი სახელმწიფოს ვალუტაში, იმ გადაცვლითი კურსის მიხედვით, რომელიც ფულადი ჯარიმისა ან ფულადი სახდელის დაკისრების დღეს მოქმედებს.

მუხლი 9 სამართალი, რომლის მიხედვითაც ხდება აღსრულება

(1) მე-3 აბზაცისა და მე-10 მუხლის დაურღვევლად, გადაწყვეტილების აღმასრულებელი წევრი სახელმწიფოს სამართალი გადაწყვეტილების აღსრულებაზე იმავე სახით გამოიყენება,

როგორც იმ ფულადი ჯარიმების ან ფულადი სახდელების მიმართ, რომლებიც ამ აღმასრულებელი წევრი სახელმწიფოს მიერ იქნება შეფარდებული. მხოლოდ აღმასრულებელ სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლიათ, აღსრულების პროცესის შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება და განსაზღვრონ მასთან დაკავშირებული ღონისძიებები; ეს წესი მოქმედებს ასევე აღსრულების შეწყვეტის პირობებისთვისაც.

(2) იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული პირი შეძლებს, დაამტკიცოს ერთ-ერთ სახელმწიფოში გადასახადის მთლიანი ან ნაწილობრივი გადახდის შესახებ, მაშინ აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი დაწესებულება, მე-7 მუხლის მე-3 აბზაცის თანახმად, აწარმოებს მოლაპარაკებებს გადაწყვეტილების გამომტან უფლებამოსილ დაწესებულებასთან. ამა თუ იმ სახელმწიფოში ნებიემიერი სახით გადახდილი ფულადი ჯარიმის ან ფულადი სახდელის ნაწილი მთლიანად ჩაითვლება აღმასრულებელ სახელმწიფოში ამოსაღებ ფულად თანხაში.

(3) იურიდიულ პირებზე დაკისრებული ფულადი სახდელებისა და ფულადი ჯარიმების აღსრულება მოხდება მაშინაც, თუ აღმასრულებელ სახელმწიფოში არ არის აღიარებული იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი.

მუხლი 10 ფულადი ჯარიმის შემცვლელი თავისუფლების აღკვეთა ან სხვა შემცვლელი სასჯელები

იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია, რომ გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ აღსრულდეს, მაშინ შესაძლებელია, სხვა შემცვლელი სასჯელის, მათ შორის, თავისუფლების აღმკვეთი შემცვლელი სასჯელის დაწესება, თუ ეს გათვალისწინებულია აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმებით და თუ გადაწყვეტილების გამომტანმა სახელმწიფომ ასეთი შემცვლელი სასჯელის დაწესებაზე, მე-4 მუხლის შესაბამისად გაცემულ ცნობაში თანხმობა განაცხადა. შემცვლელი სასჯელის ზომა განისაზღვრება აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლით, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს მიერ გადაცემულ ცნობაში მითითებული სასჯელის უმაღლესი ზომას.

მუხლი 11 ამნისტია, შეწყალება, პროცესის განახლება

(1) გადაწყვეტილების გამომტან და აღმასრულებელ სახელმწიფოს შეუძლია, გამოსცეს ამნისტიის ან შეწყალების აქტი.

(2) მხოლოდ გადაწყვეტილების გამომტან სახელმწიფოს შეუძლია, რომ მე-10 მუხლის დაურღვევლად მიიღოს გადაწყვეტილება პროცესის განახლების შესახებ შუამდგომლობების თაობაზე.

მუხლი 12 აღსრულების დასრულება

(1) გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო დაუყოვნებლივ ატყობინებს აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილ დაწესებულებას იმ გადაწყვეტილების ან ღონისძიების შესახებ, რომელთა საფუძველზეც შეწყდება გადაწყვეტილების აღსრულება ან თუ აღმასრულებელ სახელმწიფოს სხვა საფუძვლებით ჩამოერთვა აღსრულების უფლება.

(2) აღსრულების სახელმწიფო დაასრულებს გადაწყვეტილების აღსრულებას, მას შემდეგ რაც გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ ეცნობება ამ გადაწყვეტილების ან ღონისძიების შესახებ.

მუხლი 13 გადაწყვეტილების აღსრულებიდან მიღებული შემოსავალი

გადაწყვეტილების აღსრულებიდან მიღებული შემოსავალი მიედინება აღმასრულებელ სახელმწიფოში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაწყვეტილების გამომტან და აღმასრულებელ სახელმწიფოებს შორის არსებობს სხვა სახის შეთანხმება, განსაკუთრებით 1-ლი მუხლის b) პუნქტის ii) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 14 ინფორმირება აღმასრულებელი სახელმწიფოს მეშვეობით

აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანო ახდენს გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით, ინფორმირებას,

a) უფლებამოსილი ორგანოსათვის, მე-4 მუხლის მე-6 აბზაციდან გამომდინარე, გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ;

b) ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, რომელიც ეხება აღიარებასა და აღსრულებაზე უარის თქმას, მე-7 მუხლის ან მე-20 მუხლის მე-3 აბზაცის თანახმად;

c) გადაწყვეტილების მთლიანი ან ნაწილობრივი აღუსრულებლობის შესახებ, მე-8 მუხლში, მე-9 მუხლის 1-ელ და მე-2 აბზაცებში, ასევე მე-11 მუხლის 1-ელ აბზაცში დასახელებული საფუძვლებით;

d) გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ, ამ პროცედურის დასრულებისთანავე;

e) შემცვლელი სახის სასჯელის დადგენის შესახებ, მე-10 მუხლიდან გამომდინარე.

მუხლი 15 გადაწყვეტილების გადაცემის შედეგები

(1) გადაწყვეტილების გამომტან სახელმწიფოს, მე-2 აბზაცის გათვალისწინებით, არ შეუძლია განახორციელოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც მას მე-4 მუხლის თანახმად გადაეცა.

(2) გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფო აღსრულებაზე მას შემდეგ არის კვლავ უფლებამოსილი,

a) როდესაც აღმასრულებელმა სახელმწიფომ მას შეატყობინა იმის შესახებ, რომ მე-7 მუხლის, მე-7 მუხლის მე-2 აბზაცის a) ქვეპუნქტის გამოკლებით, და მე-11 მუხლის 1-ლი აბზაცის და, ასევე მე-20 მუხლის მე-3 აბზაცის გამოყენების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მთლიანი ან ნაწილიობრივი აღსრულება არ განხორციელებულა ან არ მომხდარა გადაწყვეტილების აღიარება, ან

b) როდესაც მან აღმასრულებელ სახელმწიფოს შეატყობინა იმის შესახებ, რომ მას, მე-12 მუხლის თანახმად, ჩამოართვა გადაწყვეტილების აღსრულების უფლება.

(3) იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფოს ერთ-ერთი ორგანო, მე-4 მუხლის მიხედვით გადაწყვეტის გადაცემის შემდეგ, მიიღებს ფულად თანხას, რომელიც მსჯავრდებულმა პირმა გადაწყვეტილების საფუძველზე ნებაყოფლობით გადაიხადა, მაშინ გადაწყვეტილების გამომტანი სახელმწიფო დაუყონებლივ ატყობინებს ამის შესახებ აღმასრულებელი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს. მე-9 მუხლის მე-2 აბზაცი გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 16 ენები

(1) ცნობა, რომლისთვისაც გამოიყენება დანართში არსებული სტანდარტული ფორმულარი, ითარგმნება აღმასრულებელი სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე. ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, რომ ჩარჩო გადაწყვეტილების მიღების დროს ან მოგვიანებით საბჭოს გენერალურ სამდივნოში წარადგინოს განაცხადი იმის თაობაზე, რომ ის აღიარებს ევროკავშირის ორგანოს მიერ ერთ ან რამდენიმე ოფიციალურ ენაზე გაკეთებულ თარგმანს.

(2) გადაწყვეტილების აღსრულება შესაძლოა, გადადებულ იქნეს იმ დროით, რომელიც საჭიროა თარგმანის შესასრულებლად, რომელიც უნდა განხორციელდეს აღმასრულებელი სახელმწიფოს ხარჯებით.

მუხლი 17 ხარჯები

წევრი სახელმწიფოები უარს აცხადებენ აღნიშნული ჩარჩო-გადაწყვეტილების გამოყენებისას წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურების ერთმანეთისაგან მოთხოვნაზე.

მუხლი 18 კავშირი სხვა სახის შეთანხმებებთან და ხელშეკრულებებთან

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება არ გამორიცხავს წევრ სახელმწიფოებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების გამოყენებას, თუ ისინი ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების დებულებებზე უფრო მაღალ სტანდარტებს აწესებენ და ხელს უწყობენ ფულადი სასჯელებისა და ფულადი სახდელების აღსრულების პროცესის გამარტივებასა და შემსუბუქებაში წვლილის შეტანას.

მუხლი 19 ტერიტორიული გამოყენების სფერო

აღნიშნული ჩარჩო-გადაწყვეტილება გიბრალტარის ტერიტორიაზე გამოყენებადია.

მუხლი 20 განხორციელება

(1) წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომებს, რომ მოახდინონ ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების იმპლემენტაცია 2007 წლის 22 მარტამდე.

(2) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში, შეზღუდოს მისი გამოყენება

a) 1-ლი მუხლის a) პუნქტის i) და iv) ქვეპუნქტების თანახმად მიღებულ გადაწყვეტილებებზე, ან/და

b) იურიდიულ პირებთან მიმართებით, იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც იმ ქმედებებს ეხება, რომლებისთვისაც ევროპული სამართლებრივი აქტით დადგენილია იურიდიული პირის პასუხისმგებლობის პრინციპი.

თუ წევრ სახელმწიფოს სურს ამ აბზაცის გამოყენება, მაშინ იგი საბჭოს გენერალურ მდივანს ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მიღების დროს, შესაბამისი დეკლარაციით ატყობინებს ამის შესახებ. დეკლარაცია ქვეყნდება ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში.

(3) იმ შემთხვევაში, როცა მე-4 მუხლში დასახელებული ცნობა იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ დაირღვა ხელშეკრულების მე-6 მუხლის ძირითადი უფლებები ან საყოველთაო სამართლებრივი პრინციპები, მაშინ ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, უარი განაცხადოს გადაწყვეტილებების აღიარებასა და აღსრულებაზე. ამ შემთხვევაში გამოიყენება მე-7 მუხლის მე-3 აბზაცში დასახელებული პროცესი.

(4) წევრ სახელმწიფოს შეუძლია, სხვა წევრ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში, რომელიც იყენებს მე-2 აბზაცს, გამოიყენოს ორმხრივობის პრინციპი.

(5) წევრი სახელმწიფოები საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და კომისიას ატყობინებენ იმ დებულების ტექსტს, რომლითაც მათ, ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, მოახდინეს ვალდებულებების იმპლემენტაცია შიდასახელმწიფოებრივ სამართალში. ამ მონაცემების საფუძველზე, კომისიის მიერ შედგენილ მოხსენებას საბჭო ამოწმებს არა უგვიანეს 2008 წლის 22 მარტისა, თუ რამდენად ასრულებენ წევრი სახელმწიფოები ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებას.

(6) საბჭოს გენერალური სამდივნო ატყობინებს წევრ სახელმწიფოებსა და კომისიას მე-4 მუხლის მე-7 აბზაცისა და მე-16 მუხლის თანახმად გაკეთებული დეკლარაციების შესახებ.

(7) იმ შემთხვევაში, როცა წევრი სახელმწიფო სხვა წევრ სახელმწიფოსთან მიმართებით დაადგენს, რომ კვლავ არსებობს სირთულეები ან ხორციელდება არასაკმარისი მოქმედებები გადაწყვეტილებათა ორმხრივი ურთიერთაღიარებასა და აღსრულებასთან დაკავშირებით, ისე, რომ ორმხრივი კონსულტაციების გზით მისი აღმოფხვრა არ შეიძლება, მაშინ, ასეთ შემთხვევაში, მას შეუძლია, ხელშეკრულების 35-ე მუხლის მე-7 აბზაცის ხელშეუხებლად, შეატყობინოს ამის შესახებ საბჭოს, რათა შესაძლებელი გახდეს ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების იმპლემენტაციის შეფასება წევრი სახელმწიფოების დონეზე.

(8) ყოველი წევრი სახლემწიფო, რომლმაც კალენდარული წლის განმავლობაში გამოიყენა მე-3 აბზაცი, ატყობინებს საბჭოსა და კომისიას მომდევნო კალენდარული წლის დასაწყისში იმ შემთხვევების შესახებ, რომლებშიც გადაწყვეტილების აღიარება და აღსრულება ამ დებულებებში მითითებული საფუძვლებით იქნა უარყოფილი.

(9) ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 7 წლის განმავლობაში, კომისია, მიღებული ინფორმაციების საფუძველზე, ადგენს მოხსენებას და განავრცობს მას, მისი აზრით, საჭირო ინიციატივებით. ამ მოხსენების საფუძველზე, საბჭო ამოწმებს ამ მუხლს იმ თვალსაზრისით, შენარჩუნებული უნდა იქნეს თუ არა მე-3 აბზაცი, თუ უნდა შეიცვალოს სპეციფიკური დებულებით.

მუხლი 21 ძალაში შესვლა

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ძალაში შედის ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღიდან.

§10 ერთიანი ევროპული დაპატიმრების ბრძანება

I შესავალი

ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის ექსტრადიციის პროცედურის გამარტივების მიზნით, 2002 წლის 13 ივნისს ევროპის კავშირის საბჭოს მიერ ძიღებულ იქნა ჩარჩო გადაწყვეტილება „ევროპული დაპატიმრების ბრძანებისა და წევრ სახელმწიფოთა შორის გადაცემის პროცედურის შესახებ"[1]. იგი წარმოადგენდა სისხლის სამართლის სფეროში „ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის" პირველ კონკრეტულ განხორციელებას.[2] ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებას ჰქონდა „სანიმუშო ხასიათი" შემდგომი სამართლებრივი აქტებისათვის. სამართლებრივი აქტის მიზანი იყო ექსტრადიციის დროში გაწელილი, რთული და შრომატევადი კლასიკური პროცედურის გამარტივება. ექსტრადიციის სფეროში ასეთ კლასიკურ „დედა კონვენციას" („Mutterkonvention"[3]) წარმოადგენდა ექსტრადიციის შესახებ 1957 წლის 13 დეკემბრის ევროსაბჭოს კონვენცია.[4] ამ კონვენციიდან გამომდინარე, გადაცემა ორსაფეხურიანია. მაგალითად, ევროკავშირის ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში – გერმანიაში მიწის უმაღლესი სასამართლოს მიერ ექსტრადიციის სამართლებრივი საფუძვლების შემოწმების შემდეგ, აუცილებლად განიხილება და მიიღება ბრალდებულის გადაცემის შესახებ ე.წ. პოლიტიკური გადაწყვეტილება. ეს არის ფედერალური მთავრობის დონეზე მიღებული გადაწყვეტილება, კონკრეტული ბრალდებულის გადაცემის პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, რაც ართულებს და არაეფექტურს ხდის გადაცემის პროცედურას. გარდა ამისა, ევროსაბჭოს კონვენციის ფარგლებში ექსტრადიციის კლასიკური პროცედურის ფუძემდებლური პრინციპია „ორმხრივი დასჯადობა" („beiderseitige Strafbarkeit"), რომლის მიხედვითაც, ქმედება, რომელიც წარმოადგენს ექსტრადიციის თხოვნის საფუძველს, როგორც თხოვნის გამგზავნ, ასევე თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში უნდა წარმოადგენდეს დასჯად ქმედებას. თხოვნის მიმღებმა სახელმწიფომ შეიძლება უარი თქვას თანამშრომლობაზე, თუ უცხო ქვეყნის ქმედების შემადგენლობის მსგავს შემადგენლობას მისი სამართალი არ იცნობს.[5] როგორც *ზატცგერი* აღნიშნავს, ამით ბრალდებულს აქვს შესაძლებლობა, მისი ექსტრადიციის წინააღმდეგ შექმნას მთელი რიგი მატერიალურ-სამართლებრივი დაბრკოლებები, რომელიც, მართალია, პირის ინდივიდუალურ დაცვას ემსახურება, მაგრამ ექსტრადიციის პროცედურის ეფექტურობას ამცირებს.[6]

ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო-გადაწყვეტილებით ერთიანი ევროპული დაპატიმრების ბრძანების შემოღებით უარი ითქვა გადაცემის დროს ე.წ. პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხის დაყენებაზე და შეიქმნა წევრ სახელმწიფოთა შორის გადაცემის ერთიანი ფორმა. პროცესი მთლიანად იუსტიციური ორგანოების ხელში გადავიდა.[7]

---

[1] ინგლისურად: Council Framework Decision of 13 June 2002 on the European arrest warrant and the surrender procedures between Member States (2002/548/JAH). გერმანულად: Rahmenbeschluss des Rates vom 13. Juni 2002 über den Europäischen Haftbefehl und die Übergabeverfahren zwischen den Mitgliedstaaten (2002/548/JI).

[2] *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 166.

[3] იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 405.

[4] იხ. *Schomburg/Lagodny/Gleß/Hackner:* Internationale Rechtshilfe in Strafsachen, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 433.

[5] *Schomburg/Lagodny/Gleß/Hackner:* Internationale Rechtshilfe in Strafsachen, მე-4 გამოცემა, 2006, გვ. 46.

[6] შეად. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 166.

[7] ექსტრადიციის ტრადიციული სამართლისა და ევროპული დაპატიმრების თანამედროვე ბრძანების შესახებ დაწვრილებით იხ. *Murschetz,* Auslieferung und Europäischer Haftbefehl, 2007.

ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-2 მუხლის 1-ლი აბზაცით, „ორმხრივი დასჯადობის“ პრინციპი იმ მხრივ იქნა შენარჩუნებული, რომ გადაცემა იმაზე არის დამოკიდებული, რომ ქმედება, რომლის გამოც გაიცა დაპატიმრების ბრძანება, წარმოადგენს თუ არა დანაშაულს აღსრულების სახელმწიფოს სამართლის მიხედვითაც. კერძოდ, შესაძლებელია, ევროპული დაპატიმრების ბრძანება იმ ქმედების განხორციელებისას იქნეს გაცემული, რომლისთვისაც პირს, გამცემი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების მიხედვით, თავისუფლის აღკვეთა ემუქრება ან თუ იგი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიებების გამოყენებას ექვემდებარება, რომლის მიხედვით, უმაღლესი სასჯელი სულ მცირე 12 თვიდან უნდა იწყებოდეს[1], ან კიდევ იმ შემთხვევებში, როცა განაჩენია გამოტანილი და შეფარდებული სასჯელის ზომა ან იძულებითი ღონისძიებების შესახებ გადაწყვეტილება სულ მცირე ოთხ თვეს შეადგენს[2].

ამასთან, ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-2 მუხლის მე-2 აბზაცში მოცემულია კატალოგი, რომელიც შედგება 32 დანაშაულის ჩამონათვალისაგან, რომელთა ჩადენის დროს, გადაცემა შეიძლება განხორციელდეს იმ შემთხვევაშიც, როცა ქმედება არ არის დასჯადი ბრძანების აღსრულების სახელმწიფოს სისხლის სამართლის მიხედვით. ე.ი. კატალოგში მოცემული ამ დანაშაულების მიმართ ჩარჩო-გადაწყვეტილება არ მოითხოვს ე.წ. „ორმხრივ დასჯადობას“. ამ ჩამონათვალის მიმართ მოქმედებს ის პირობა, რომ იქ მოცემული დანაშაულები თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს სამართლით უნდა ითვალისწინებდეს თავისუფლების აღკვეთას ან თავისუფლების შემზღუდავ სოციალური დაცვის იძულებით ღონისძიებას, რომლის ზედა ზღვარი არ უნდა იყოს სამ წელზე ნაკლები. პრობლემურია ის, რომ ჩარჩო-გადაწყვეტილებაში მოცემულია დანაშაულთა მხოლოდ სახელწოდებები, ხოლო მათი შემადგენლობების კონკრეტული ნიშნები ნაციონალური სისხლის სამართლის სისტემების მიხედვით უნდა შეივსოს. ხშირად ძნელი სათქმელია, როდის არის შესრულებული კატალოგში დასახელებული ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობა, მაგალითად, კორუფცია, თაღლითობის დელიქტები, რასიზმი და ქსენოფობია, საბოტაჟი, რომელიც ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში ყოველთვის დანაშაულის ერთი და იგივე შემადგენლობის სახით არ არის ჩამოყალიბებული, რის გამოც, ჩარჩო-გადაწყვეტილების კატალოგი იწვევს გარკვეულ კრიტიკას.[3] უფრო მეტიც, ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-2 მუხლის მე-3 აბზაცი ევროკავშირის საბჭოს ანიჭებს უფლებამოსილებას, რომ ევროპის პარლამენტის მოსმენის შემდეგ, ერთხმად გადაწყვიტოს იმ დანაშაულთა კატალოგის გაფართოება, რომელიც არ მოითხოვს „ორმხრივი დასჯადობის პრინციპის“ გამოყენებას. ამ პროცესში მონაწილეობს, ასევე ევროკომისია.

სხვა შემთხვევაში, ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-2 მუხლის მე-4 ნაწილი ადგენს, რომ ქმედება ორივე სახელმწიფოს სისხლის სამართლით უნდა იყოს დასჯადი, რა დროსაც ყურადღება შეიძლება არ მიექცეს ბრძანების აღსრულების სახელმწიფოში დანაშაულის სახელწოდებას ან კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების სრულ იდენტურობას.

ყურადღებას იმსახურებს ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-3 და მე-4 მუხლები, სადაც გათვალისწინებულია დაპატიმრების ბრძანების აღსრულებაზე უარის თქმის სავალდებულო და შესაძლებელი საფუძვლები. უარის თქმის ასეთ იმპერატიულ საფუძველს წარმოადგენს აღსრულების სახელმწიფოში ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის

---

[1] *ზატცგერი* ამ აქტს *გადაცემის დაპატიმრების ბრძანებას* (Auslieferungshaftbefehl) უწოდებს. ამის შესახებ იხ. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 166.

[2] *ზატცგერი* ამ აქტს კი, *აღსრულების დაპატიმრების ბრძანებას* (Vollstreckungshaftbefehl) უწოდებს. იხ. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 166.

[3] ამ საკითხზე კრიტიკა იხ. *Roxin/Schünemann,* Strafverfahrensrecht, 26-ე გამოცემა, 2009, გვ. 20. იქვე მოცემულია მაგალითი გერმანულ და ინგლისურ სამართალს შორის განსხვავებაზე კორუფციის დანაშაულის დასჯადობასთან დაკავშირებით.

ასაკს მიუღწევლობა ან ამნისტია, ხოლო ფაკულტატიურ საფუძვლებად მიჩნეულია, მაგალითად, აღსრულების სახელმწიფოს სამართლით გათვალისწინებული ხანდაზმულობა. ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-5 მუხლი შესაძლებლობას იძლევა, რომ ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულება ბრძანების გამცემი სახელმწიფოს მხრიდან გარკვეულ გარანტიებთან იყოს დაკავშირებული. ასე, მაგალითად, ბრძანების აღსრულების სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს, რომ საკუთარი მოქალაქის გადაცემის შემთხვევაში, იგი გასამართლების შემდეგ, სასჯელის აღსრულების მიზნით, ისევ მისთვის უკან იქნეს დაბრუნებული.

ჩარჩო-გადაწყვეტილების მიხედვით, ნებადართულია საკუთარი მოქალაქის გადაცემა ევროპის კავშირის ფარგლებში ერთიანი ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულების დროს. კონტინენტალური ევროპის ქვეყნების კონსტიტუციები კრძალავდა საკუთარი მოქალაქის გადაცემას მისი სუვერენული სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. ამ საუკუნის დასაწყისში ცვლილებები იქნა განხორციელებული კონსტიტუციების დონეზე, მაგალითად, გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 მუხლში, რის შედეგადაც, საკუთარი მოქალაქის გადაცემა შესაძლებელია ევროპის კავშირის ფარგლებში და საერთაშორისო სასამართლოებისათვის.[1]

გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული ევროპული დაპატიმრების ბრძანების შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილების იმპლემენტაცია წევრ სახელმწიფოებში, რომელიც უნდა განხორციელებულიყო 2003 წლის ბოლომდე, მაგრამ, მაგალითად, გერმანიამ იმპლემენტაციის კანონი მიიღო 2004 წლის 16 ივნისს, რომელიც ძალაში შევიდა 23 აგვისტოს. ამის შემდეგ, ამ კანონის კონსტიტუციურობის საკითხი დადგა გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე, რომელმაც განიხილა გერმანიაში მცხოვრები, წარმოშობით სირიელი, სირიისა და გერმანიის მოქალაქეობის მქონე პირის *(Darkanzali)* ინდივიდუალური სარჩელი, რომელიც შეეხებოდა ევროპული დაპატიმრების ბრძანების საფუძველზე ჰამბურგის მიწის უმაღლესი სასამართლოს მიერ მიღებული ესპანეთისათვის გადაცემის გადაწყვეტილების ძირითად კანონთან შესაბამისობას[2]. საკონსტიტუციო სასამართლომ, 2005 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით[3], გერმანული აღნიშნული იმპლემენტაციის კანონი იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა.

მოსარჩელე იყო ალქაიდას წევრი, კრიმინალური ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ფიგურა, რის გამოც ესპანეთი ითხოვდა მის გადაცემას 2004 წელს მადრიდში მომხდარი ტერორისტული აქტის გამო. მას ბრალად ედებოდა კრიმინალურ გაერთიანებაში მონაწილეობა და ტერორიზმი. მისთვის ესპანეთის მიერ ბრალად შერაცხული ქმედება ჩადენის დროს გერმანული სისხლის სამართლის კოდექსით არ იყო დასჯადი და მხოლოდ ესპანეთში მომხდარი ტერორისტული აქტის შემდეგ დაემატა გერმანულ სისხლის სამართლის კანონს 129b პარაგრაფი, რომელიც ითვალისწინებს უცხოეთში მოქმედი ტერორისტული გაერთიანების მხარდაჭერის (Unterstützung ausländischer terroristischer Vereinigungen) დასჯადობას.

ამასთან დაკავშირებით ყურადღება იქნა გამახვილებული ორ მომენტზე, რის გამოც გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ იმპლემენტაციის კანონი, რომელსაც ეფუძნებოდა გადაცემის შესახებ ჰამბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, არაკონსტიტუციურად და, შესაბამისად, იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, იმპლემენტაციის კანონით

---

[1] ერთიანი ევროპული დაპატიმრების ბრძანებისა და გერმანიაში მის ნაციონალურ დონეზე იმპლემენტაციის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 492-514.

[2] ამ შემთხვევის შესახებ იხ. *Ambos:* Internationales Strafrecht. მე-2 გამოცემა. 2008, გვ. 492, 514.

[3] იხ. BVerfGE 113, 273.

– დაირღვა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, რადგან ქმედება თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში ქმედების ჩადენის დროს დასჯადი არ იყო (გერმანიის ძირითადი კანონის მე-16 II მუხლი);

– დაირღვა ეფექტური სამართლებრივი დაცვის უფლება, რადგან პირს არ მიეცა გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების თხოვნის მიმღებ სახელმწიფოში გასაჩივრების შესაძლებლობა (გერანიის ძირითადი კანონის მე-19 IV მუხლი).

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, 2006 წლის 20 ივლისს, გერმანიის ბუნდესტაგმა მიიღო ახალი კანონი, რომელიც ძალაში შევიდა 2 აგვისტოს. ეს ახალი კანონიც, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, ლიტერატურაში გარკვეულ კითხვის ნიშნებს იწვევს.[1] როგორც *ზატცგერი* მიიჩნევს, ამ ახალი კანონით არც სამართლებრივი უსაფრთხოება გაუმჯობესებულა და არც სამართლის გამოყენება გაადვილებულა, რადგან იგი შეიცავს ზოგად და ბუნდოვან ფორმულირებებს.[2]

ევროკავშირის სხვა სახელმწიფოებში ჩარჩო გადაწყვეტილების იმპლემენტაცია არ იყო ერთგვაროვანი[3]. იმპლემენტაციის შესახებ ნაციონალური კანონები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, განსაკუთრებით ბრძანების აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლებთან დაკავშირებით.[4] დადგა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც, ასევე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება.

ზოგიერთმა სახელმწიფომ ისეთი დებულება ჩაწერა იმპლემენტაციის ნაციონალურ კანონში, რაც არ არის გათვალისწინებული თვით ჩარჩო-გადაწყვეტილებაში. ასე, მაგალითად, დიდი ბრიტანეთის სამართლის მიხედვით, გადაცემაზე შეიძლება უარი ითქვას საზოგადოებრივი უშიშროების მიზეზებით.[5] იტალიის კანონით (მე-8 III მუხლი) უარი აღსრულებაზე შეიძლება ითქვას, როცა საქმე ეხება იტალიის მოქალაქის გადაცემას, რომელმაც ქმედების ჩადენის დროს დაუშვა შეცდომა აკრძალვაში. მნიშვნელოვანია ის მომენტი, რომ იტალიამ ჩარჩო-გადაწყვეტილების დელიქტთა კატალოგი ქმედების ნაციონალურ შემადგენლობებად გარდაქმნა (მე-8 I მუხლი). ამის შედეგად, შესაძლებელია, გადაცემა მოხდეს მხოლოდ იმ ქმედებების შემთხვევაში, რომლებიც იტალიაშიც დასჯადია, ასე, რომ იტალიამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-2 II მუხლში მოცემული დანაშაულების დასჯადობაც „ორმხრივი დასჯადობის" პრინციპს დაუქვემდებარა. პოლონეთში დადგა კონსტიტუციურობის პრობლემა საკუთარი მოქალაქის გადაცემასთან დაკავშირებით, რის გამოც, საკონსტიტუციო სასამართლომ იმპლემენტაციის კანონი გამოაცხადა იურიდიული ძალის არმქონედ. კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შემდეგ, 2006 წელს მიღებული იქნა ახალი პოლონური კანონი. კანონმა პოლონეთის მოქალაქეების გადაცემის დროს დააწესა ორმხრივი დასჯადობის არსებობის სავალდებულო მოთხოვნა.[6] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კვიპროსში ჩარჩო-გადაწყვეტილების იმპლემენტაციამდე შეიცვალა კონსტიტუცია, ხოლო ჩეხეთის საკონსტიტუციო სასამართლომ უარყო საკონსტიტუციო სარჩელი ნაციონალური იმპლემენტაციის კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე. ბელგიამ სამი შემდეგი შეკითხვით

---

[1] იხ. *Böhm,* NJW 2006, 2593.

[2] იხ. *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 168.

[3] ევროკავშირის ქვეყნების განსხვავებული სამართლებრივი მიდგომის მიმოხილვა იხ. წიგნში: *Satzger:* Internationales und Europäisches Strafrecht, მე-3 გამოცემა, 2009, გვ. 169-170. იხ. ასევე: *Satzger/Pohl,* JICJ 2006, გვ. 690.

[4] ნაციონალური იმპლემენტაციის კანონები ხელმისაწვდომია ინტერნეტში კატეგორიაში: „country info" მისამართზე: http://www.eurowarrant.net.

[5] იხ. Extradition Act, Section 208.

[6] ამ საკითხზე პოლონური სამართლის შესახებ იხ. *Nalewajko,* ZIS 2007, 113.

მიმართა ლუქსემბურგის სასამართლოს აღნიშნული ჩარჩო-გადაწყვეტილების მოქმედების იურიდიულ ძალასთან დაკავშირებით:

– ევროპული დაპატიმრების ბრძანება ჩარჩო-გადაწყვეტილების ნაცვლად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის ხელშეკრულებით (შეთანხმებით) ხომ არ უნდა დარეგულირებულიყო? ამ კითხვაზე სასამართლოს პასუხი იყო, რომ ევროკავშირის ხელშეკრულება ასეთ ვალდებულებას და ამ სამართლებრივი ინსტრუმენტის უპირატესობას არ ითვალისწინებს.

– ორმხრივი დასჯადობის პრინციპის უარყოფა ხომ არ წარმოადგენს კანონიერების პრინციპის, როგორც ევროკავშირის საერთო ევროპული სამართლებრივი თვალსაზრისის ხელყოფას, რომელიც გამომდინარეობს ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლიდან? ამ საკითხთან მიმართებაში, ლუქსემბურგის სასამართლომ ჩათვალა *nullum crimen sine lege*-ს პრინციპი დაცულად და ამისთვის საკმარისად მიიჩნია, თუ ქმედება მისი ჩადენის დროს დასჯადია ბრძანების გამცემ სახელმწიფოში, მაშინაც კი, როცა გადაცემის ბრძანების აღსრულების ქვეყანაში ეს ქმედება არ ისჯება.

– ხომ არ ხდება თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის ხელყოფა, რადგან მხოლოდ ზოგიერთი დელიქტი დაექვემდებარა ორმხრივი დასჯადობის მოთხოვნას? სასამართლოს პოზიციით, ამ დანაშაულთა კატალოგში არის ისეთი დელიქტები, რომლებიც თავიანთი ბუნებითა და სასჯელით საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის ისეთ ხელყოფას იწვევენ, რომ სახელმწიფოები არ უნდა ამოწმებდნენ ორმხრივი დასჯადობის არსებობას.[1]

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, ექსტრადიციის ტრადიციული სამართალი ევროპის კავშირის ფარგლებში გარდაიქმნა ევროპული დაპატიმრების ბრძანების თანამედროვე ინსტიტუტად, რომელიც ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის საფუძველზე აუმჯობესებს სისხლის სამართლის სფეროში წევრ სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობას.

II. დაპატიმრება და გადაცემა ევროპის კავშირის ფარგლებში

2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო-გადაწყვეტილება[2] ევროპული დაპატიმრების ბრძანებისა და წევრ სახელმწიფოთა შორის გადაცემის პროცედურის შესახებ

წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძველი იყო ევროკავშირის იმ დროს მოქმედი ნიცას ხელშეკრულების 31-ე მუხლის 1-ლი a, b და 34-ე მუხლის მე-2 b აბზაცები. იგი მიღებულ იქნა ევროკომისიის წინადადებით[3], მას შემდეგ, რაც ევროპარლამენტმა 2002 წლის 9 იანვარს გამოხატა თავისი პოზიცია.

თვით ჩარჩო-გადაწყვეტილების პრეამბულაში არის მითითებული, რომ ეს სამართლებრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ევროკავშირის საბჭოს მიერ იუსტიციური თანამშრომლობის ქვაკუთხედად გამოცხადებული ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის სისხლის სამართლის სფეროში პირველ კონკრეტულ რეალიზაციას. იგი, ერთი მხრივ, წარმოადგენს

---

[1] ლუქსემბურგის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება იხ. EuGHE 2005, I-3633-Rs. C-303/05 „Advocaten voor de Wereld".

[2] ABl. L 190, 18. 07. 2002. იხ. ინგლისურ ენაზე 2002/584/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე _ 2002/584/JI. ინგლისურად: Council Framework Decision of 13 June 2002 on the European arrest warrant and the surrender procedures between Member States. გერმანულად: Rahmenbeschluss des Rates vom 13. Juni 2002 über den Europäischen Haftbefehl und die Übergabeverfahren zwischen den Mitgliedstaaten.

[3] იხ. ABl. C 332 E, 27. 11. 2001.

ევროპული კლასიკური ექსტრადიციის პროცესის გამარტივებას, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1957 წლის ევროსაბჭოს ექსტრადიციის შესახებ კონვენციით, მეორე მხრივ, მასში ხაზგასმულია ძირითადი უფლებების პატივისცემა და ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლით აღიარებული პრინციპების დაცვა, რომლებიც, ასევე ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიაში, განსაკუთრებით მის მე-6 თავში, არის მოცემული.

როგორც წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილების პრეამბულაშია ხაზგასმული, არავინ შეიძლება დეპორტირებულ ან გაძევებულ ან ექსტრადირებულ იქნეს იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს ამ პირის მიმართ სიკვდილის დასჯის, წამების ან სხვაგვარი არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი სასჯელის გამოყენების ან მოპყრობის სერიოზული რისკი. პირის ეს უფლება გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა 1950 ევროსაბჭოს კონვენციის მე-3 მუხლიდან. ამასთან, ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს რატიფიცირებული აქვს ევროსაბჭოს 1981 წლის 28 იანვრის კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავების დროს ადამიანის დაცვის შესახებ[1]. ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების რეალიზაციის პროცესში დამუშავებული პერსონალური მონაცემები სწორედ ამ კონვენციის პრინციპების შესაბამისად უნდა იქნეს დაცული.

ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების ცალკეული დებულებების შინაარსი ასეთია:

თავი I
ზოგადი პრინციპები

მუხლი 1 ევროპული დაპატიმრების ბრძანების დეფინიცია და მისი აღსრულების ვალდებულება

(1) ევროპული დაპატიმრების ბრძანების დროს საქმე ეხება იუსტიციურ გადაწყვეტილებას, რომელიც რომელიმე წევრ სახელმწიფოში გამოიცემა და მიზნად ისახავს ძებნილი პირის დაკავებასა და გადაცემას სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების, თავისუფლების აღკვეთის შესახებ გამოტანილი განაჩენის ან სხვა თავისუფლების შემზღუდავი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიებების აღსრულების მიზნით.

(2) წევრი სახელმწიფოები ევროპულ დაპატიმრების ბრძანებას აღასრულებენ ორმხრივი ურთიერთაღიარების შესახებ პრინციპისა და ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების დებულებების შესაბამისად.

(3) ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება არ არღვევს ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული ძირითადი უფლებებისა და ზოგადი სამართლებრივი პრინციპების დაცვის ვალდებულებას.

მუხლი 2 ევროპული დაპატიმრების ბრძანების გამოყენების სფერო

(1) ევროპული დაპატიმრების ბრძანება შესაძლებელია, იმ ქმედების განხორციელებისას იქნეს გამოცემული, რომლის ჩადენისთვისაც პირს, გამცემი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების მიხედვით, თავისუფლის აღკვეთა ემუქრება ან იგი ამისთვის სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიების გამოყენებას ექვემდებარება, რომლის მიხედვით, უმაღლესი სანქ-

[1] გერმანულად: Übereinkommen des Europarates vom 28. Januar 1981 zum Schutz des Menschen bei der automatischen Verarbeitung personenbezogener Daten.

ცია სულ მცირე 12 თვიდან იწყება, ან კიდევ იმ შემთხვევაში, როცა მის მიმართ განაჩენია გამოტანილი და შეფარდებული სასჯელის ან იძულებითი ღონისძიების ზომა სულ მცირე ოთხ თვეს შეადგენს.

(2) ქვემოთ ჩამოთვლილი დანაშაულების განხროციელებისას, როდესაც ბრძანების გამცემი წევრი სახელმწიფო თავისი სამართლით ითვალისწინებს მათი ჩადენისათვის თავისუფლების აღკვეთას ან თავისუფლების შემზღუდავი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიების გამოყენას, რომლის მიხედვითაც, უმაღლესი სანქცია სულ მცირე 3 წლიდან იწყება, ევროპული დაპატიმრების ბრძანების საფუძველზე გადაცემა ხდება ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისად ორმხრივი დასჯადობის შემოწმების გარეშე. ეს დანაშაულებია:

- კრიმინალურ დაჯგუფებაში მონაწილეობა;
- ტერორიზმი;
- ტრეფიკინგი;
- ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და ბავშვთა პორნოგრაფია;
- ნარკოტიკული ნივთიერებებით ან ფსიქოტროპული საშუალებებით არალეგალური ვაჭრობა;
- იარაღით, სამხედრო აღჭურვილობითა და ასაფეთქებელი საშუალებებით არალეგალური ვაჭრობა;
- კორუფცია;
- თაღლითური დელიქტები, მათ შორის, თაღლითობა ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების საზიანოდ, ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ 1995 წლის 26 ივლისის შეთანხმების გაგებით;
- დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრება;
- ფულის, მათ შორის ევროს, გაყალბება;
- კიბერნეტიკული დამნაშავეობა;
- გარემოს დაცვის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, მათ შორის; საფრთხის წინაშე მყოფი ცხოველებისა ან მცენარეების სახეებით არალეგარული ვაჭრობა;
- დახმარება ქვეყანაში არალეგალურად შემოსვლაში ან არალეგარულად ყოფნაში;
- განზრახ მკვლელობა, სხეულის მძიმე დაზიანება;
- ადამიანის ორგანოებით ან ქსოვილებით არალეგარულად ვაჭრობა;
- გატაცება, თავისუფლების აღკვეთა და მძევლად ხელში ჩაგდება;
- რასიზმი ან ქსენოფობია;
- ქურდობა, ჩადენილი ორგანიზებულად ან იარაღის გამოყენებით;
- კულტურული სიკეთეებით არალეგალური ვაჭრობა, მათ შორის, ანტიკვარებითა და ხელოვნების ნიმუშებით;
- თაღლითობა;
- გამოძალვა და რეკეტის გზით ფულის გამოძალვა;
- გაყალბება და ფალსიფიკაცია;
- ოფიციალური დოკუმენტების გაყალბება და ამით ვაჭრობა;
- გადახდის საშუალებების გაყალბება;
- ჰორმონებითა და ხელოვნური ზრდის სხვა საშუალებებით არალეგალური ვაჭრობა;
- ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებით არალეგარული ვაჭრობა;
- ნაქურდალი სატრანსპორტო საშუალებებით არალეგარული ვაჭრობა;
- გაუპატიურება;
- ცეცხლის წაკიდება;

– დანაშაულები, რომლებიც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარებიან;

– საჰაერო და საზღვაო ხომალდების გატაცება;

– საბოტაჟი.

(3) საბჭო უფლებამოსილია, ერთხმად, ევროპის პარლამენტის მოსმენის შემდეგ, ევროპის კავშირის ხელშეკრულების 39-ე მუხლის I აბზაცის თანახმად, ნებისმიერ დროს გადაწყვიტოს, დანაშაულების სხვა სახეების მე-2 აბზაცის ჩამონათვალში დამატება. საბჭო ამოწმებს იმ მოხსენების მეშვეობით, რომელსაც ევროკომისია მას 34-ე მუხლის მე-3 აბზაცის შესაბამისად წარუდგენს, საჭიროა თუ არა ამ სიის გაფართოვება ან შეცვლა.

(4) სხვა დანაშაულებრივი ქმედებებისათვის, ვიდრე ეს მე-2 აბზაცშია მოცემული, შესაძლებელია, გადაცემა იმ წინაპირობით განხორციელდეს, რომ ქმედებები, რომელთა საფუძველზეც გაცემულ იქნა ევროპული დაპატიმრების ბრძანება, უნდა წარმოადგენდნენ დანაშაულს აღმასრულებელი წევრი სახელმწიფოს სამართლით, ქმედების შემადგენლობის ნიშნების ან დანაშაულის სახელწოდების მიუხედავად.

მუხლი 3 ევროპულ დაპატიმრების ბრძანების აღსრულებაზე უარის თქმის საფუძვლები

აღმასრულებელი სახელმწიფოს იუსტიციის ორგანო (აღმასრულებელი იუსტიციის ორგანო) უარყოფს ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულებას,

1. თუკი დანაშაული, რომლის საფუძველზეც გაცემული იქნა ევროპული დაპატიმრების ბრძანება, აღმასრულებელ სახელმწიფოში ამნისტიას ექვემდებარება და ეს სახელმწიფო თავისი საკუთარი სისხლის სამართლით სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე იყო უფლებამოსილი;

2. როცა აღმასრულებელი იუსტიციის ორგანო ფლობს ინფორმაციას, რომ ძებნილი პირი იგივე ქმედების გამო რომელიმე წევრი სახელმწიფოს მიერ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით არის გასამართლებული, იმ პირობით, რომ ამ შემთხვევაში სანქცია უკვე აღსრულდა, აღსრულების პროცესშია ან განაჩენის გამომტანი წევრი სახელმწიფოს სამართლით ამგვარი აღსრულება უკვე შეუძლებელია;

3. როცა პირი, რომლის წინააღმდეგაც ევროპული დაპატიმრების ბრძანებაა გაცემული, აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლით, მისი ასაკიდან გამომდინარე, იმ ქმედებისათვის, რომლის საფუძველზეც ეს ბრძანება იქნა გაცემული, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ვერ დაექვემდებარება.

მუხლი 4 საფუძვლები, რომელთა გამოც შესაძლებელია ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულებაზე უარის თქმა

აღმასრულებელ იუსტიციის ორგანოს შეუძლია, უარი თქვას ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულებაზე,

1. თუკი მე-2 მუხლის მე-4 აბზაცში დასახელებულ შემთხვევებში, ქმედებები, რომელთა საფუძველზეც ევროპული დაპატიმრების ბრძანება იქნა გაცემული, აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლით არ წარმოადგენს დანაშაულს; ამასთან, საგადასახადო, საბაჟო და სავალუტო საქმეებში ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულება არ შეიძლება უარყოფილ იქნეს იმ საფუძვლით, რომ აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართალი არ აწესებს იდენტურ გადასახადებს ან არ შეიცავს მსგავს საგადასახადო, საბაჟო და სავალუტო დებულებებს, როგორც ეს ბრძანების გამცემ სახელმწიფოშია დადგენილი;

2. თუ იმ პირის მიმართ, რომლის წინააღმდეგაც ევროპული დაპატიმრების ბრძანებაა გამოცემული, აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლით იგივე ქმედების გამო, რომლის საფუძველზეც ევროპული დაპატიმრების ბრძანება იქნა გამოცემული, სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს;

3. როცა აღმასრულებელი სახელმწიფოს იუსტიციის ორგანოები გადაწყვეტენ, იმ დანაშაულებრივ ქმედებაზე, რომლის საფუძველზეც ევროპული დაპატიმრების ბრძანება იქნა გაცემული, წარმოება არ განხორციელდეს ან შეწყდეს ან როდესაც ძებნილი პირის წინააღმდეგ იგივე ქმედების გამო რომელიმე წევრ სახელმწიფოში კანონიერ ძალაში შესული განაჩენი იქნა გამოტანილი, რის გამოც შემდგომი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება შეუძლებელია.

4. როცა სისხლისსამართლებრივი დევნა ან სასჯელის აღსრულება აღმასრულებელი წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი დებულებებით ხანდაზმულობის გამო შეუძლებელია და საკუთარი სისხლის სამართლის მიხედვით ამ ქმედებებზე მისი იურისდიქცია ვრცელდებოდა.

5. როცა აღმასრულებელი იუსტიციის ორგანო ფლობს ინფორმაციას, რომ ძებნილი პირი იგივე ქმედების გამო მესამე სახელმწიფოს მიერ კანონიერ ძალაში შესული განაჩენით იქნა გასამართლებული, იმ პირობით, რომ გასამართლების შემთხვევაში სასჯელის აღსრულება მიმდინარეობს, უკვე აღსრულებულ იქნა ან განაჩენის გამომტანი წევრი სახელმწიფოს სამართლით ამგვარი აღსრულება უკვე შეუძლებელია;

6. როცა ევროპული დაპატიმრების ბრძანება გაცემულ იქნა თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ან თავისუფლების შემზღუდავი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, ამასთან, თუკი ძებნილი პირი აღმასრულებელ სახელმწიფოში იმყოფება, რომლის მოქალაქეც ის არის ან იქ საცხოვრებელი ადგილი გააჩნია და ეს სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, სასჯელი ან იძულებითი ხასიათის ღონისძიება საკუთარი სამართლით აღასრულოს.

7. თუკი ევროპული დაპატიმრების ბრძანება იმ დანაშაულებზე ვრცელდება, რომლებიც

a) აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმებით მთლიანად ან ნაწილობრივ ამ სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე ან მასთან გათანაბრებულ ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი; ან

b) ბრძანების გამცემი სახელმწიფოს სუვერენული ტერიტორიის გარეთ განხორციელდა და აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლებივი ნორმების შესაბამისად, დევნის განხორციელება ამ სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ჩადენილ დანაშაულის მსგავს სახეზე დაუშვებელია.

მუხლი 5 ბრძანების გამცემი წევრი სახელმწიფოსგან განსაზღვრულ შემთხვევებში გასაცემი გარანტიები

აღმასრულებელი იუსტიციის ორგანოს მეშვეობით ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულება შესაძლებელია, ამ სახელმწიფოს სამართლის მიხედვით ერთ-ერთ შემდეგ პირობასთან იქნეს დაკავშირებული:

1. თუკი ევროპული დაპატიმრების ბრძანება სასჯელის ან სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიების აღსრულებასთან არის დაკავშირებული, რომელიც პირის დაუსწრებლად გამოტანილ განაჩენშია მოცემული და თუკი ეს პირი პირადად მიწვეული არ ყოფილა ან სხვაგვარად სასამართლო სხდომის დრო და ადგილი არ ეცნობა, რამაც განაჩენის მის დაუსწრებლად გამოტანა განაპირობა, ასეთ შემთხვევაში გადაცემა იმ პირობის შესრულების ვალდებულებასთან შეიძლება იქნეს დაკავშირებული, რომ ბრძანების გამცემი იუსტიციის

ორგანოს მხრიდან გაიცეს სარწმუნო დასტური, რომლის მიხედვითაც, პირს, რომლის მიმართაც გაცემულია დაპატიმრების ბრძანება, მიეცემა შესაძლებლობა, ბრძანების გამცემ სახელმწიფოში შეიტანოს შუამდგომლობა პროცესის განახლების შესახებ და დაესწროს ხელახალ სასამართლო განხილვას.

2. თუკი ევროპულ დაპატიმრების ბრძანებას საფუძვლად უდევს დანაშაული, რომელიც ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას ან სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიების უვადოდ გამოყენებასთან არის დაკავშირებული, მაშინ შესაძლებელია, ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულება იმ პირობის შესრულების ვალდებულებასთან იქნეს დაკავშირებული, რომ ბრძანების გამცემი წევრი სახელმწიფოს სამართალი უნდა უშვებდეს გამოტანილი განაჩენის გასინჯვას – შუამდგომლობის საფუძველზე ან არაუგვიანეს 20 წლისა – ან შეწყალების აქტის გამოცემას, რომლის საფუძველზეც შეწყდება სასჯელის ან სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიების აღსრულება და ბრძანების გამცემი წევრი სახელმწიფოს შიდა სამართლით ან სამართლებრივი პრაქტიკის მიხედვით გადაცემულ პირს უნდა ჰქონდეს ამის შესაძლებლობა.

3. თუკი პირი, რომლის წინააღმდეგაც გაცემულია ევროპული დაპატიმრების ბრძანება, აღმასრულებელი სახელმწიფოს მოქალაქეა ან ამ სახელმწიფოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, მაშინ შესაძლებელია, გადაცემა იმ პირობით განხორციელდეს, რომ ეს პირი, სასამართლოს წინაშე წარდგენის შემდეგ, სასჯელის ან სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიების მოსახდელად, რომელიც ბრძანების გამცემ სახელმწიფოში მის წინააღმდეგ იქნება დადგენილი, კვლავ აღმასრულებელ წევრ სახელმწიფოს დაუბრუნდეს.

მუხლი 6 უფლებამოსილი ორგანოების განსაზღვრა

(1) ბრძანების გამცემი იუსტიციის ორგანო არის ბრძანების გამცემი წევრი სახელმწიფოს იუსტიციის ორგანო, რომელიც ამ სახელმწიფოს სამართლის მიხედვით, უფლებამოსილია, გასცეს ევროპული დაპატიმრების ბრძანება.

(2) აღმასრულებელი იუსტიციის ორგანო არის აღმასრულებელი წევრი სახელმწიფოს იუსტიციის ორგანო, რომელიც ამ სახელმწიფოს სამართლის მიხედვით, უფლებამოსილია, აღასრულოს ევროპული დაპატიმრების ბრძანება.

(3) ყოველი წევრი სახელმწიფო ატყობინებს საბჭოს გენერალურ მდივანს მისი სამართლის მიხედვით უფლებამოსილი იუსტიციის ორგანოს შესახებ.

მუხლი 7 ცენტრალური ორგანოების მონაწილეობა

(1) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, იუსტიციის კომპეტენტური ორგანოების მხარდაჭერის მიზნით, დაასახელოს ერთი ან, თუ ამას მისი სამართლებრივი სისტემა ითვალისწინებს, რამდენიმე ცენტრალური ორგანო.

(2) წევრ სახელმწიფოს შეუძლია, თუკი ეს აუცილებელია მისი იუსტიციის სისტემიდან გამომდინარე, თავის ცენტრალურ ორგანოს ან ორგანოებს, ევროპული დაპატიმრების ბრძანების მიღების ან გადაცემის, ასევე მასთან დაკავშირებული ყველა სახის მიმოწერის განხორციელების უფლებამოსილება გადასცეს.

წევრი სახელმწიფო, რომელსაც სურს ამ მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობების გამოყენება, საბჭოს გენერალურ სამდივნოს უგზავნის მის მიერ დასახელებული ცენტრალური ორგანოს ან ორგანოების შესახებ მონაცემებს. ეს მონაცემები ბრძანების გამცემი სახელმწიფოს ყველა ორგანოსათვის სავალდებულოა.

მუხლი 8 ევროპული დაპატიმრების ბრძანების ფორმა და შინაარსი

(1) [ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებისთვის] დანართის სახით თანდართული ფორმულარის შესაბამისად, ევროპული დაპატიმრების ბრძანება შეიცავს შემდეგ ინფორმაციებს:

a) ძებნილი პირის საიდენტიფიკაციო და მოქალაქეობის შესახებ მონაცემებს;

b) ბრძანების გამცემი იუსტიციის ორგანოს სასელს, მისამართს, ტელეფონისა და ტელეფაქსის ნომრებს, ასევე ელექტრონული ფოსტის მისამართს;

c) მონაცემს, 1-ლი და მე-2 მუხლების შესაბამისად, წარმოდგენილია თუ არა აღსასრულებელი განაჩენი, დაპატიმრების ბრძანება ან მსგავსი იურიდიული ძალის მატარებელი სხვა იუსტიციური გადაწყვეტილება.

d) დანაშაულის სახესა და მის სამართლებივ შეფასებას, განსაკუთრებით მე-2 მუხლთან მიმართებაში;

e) დანაშაულის გარემოებების აღწერას, რომელშიც ჩადენილ იქნა დანაშაული, მათ შორის, მისი ჩადენის დროის, ადგილისა და ძებნილი პირის ქმედებაში მონაწილეობის სახის მითითებას;

f) კანონიერ ძალაში შესული განაჩენის არსებობის შემთხვევაში, შეფარდებული სასჯელის ან ჩადენილი დანაშაულისათვის ბრძანების გამცემ წევრ სახელმწიფოში კანონით გათვალისწინებული სასჯელის ფარგლების შესახებ მონაცემებს.

g) ასევე, შეძლებისდაგვარად, დანაშაულის სხვა შედეგებსაც.

(2) ევროპული დაპატიმრების ბრძანება უნდა ითარგმნოს აღმასრულებელი სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე. ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, ჩარჩო-გადაწყვეტილების მიღების დროს ან მოგვიანებით საბჭოს გენერალურ სამდივნოს წარუდგინოს განმარტება იმის შესახებ, რომ ის აღიარებს ევროგაერთიანებების ერთ ან რამდენიმე ოფიციალურ ენაზე შესრულებულ თარგმანს.

თავი II
გადაცემის პროცესი

მუხლი 9 ევროპული დაპატიმრების ბრძანების გადაგზავნა

(1) თუკი ძებნილი პირის ადგილსამყოფელი ცნობილია, მაშინ შესაძლებელია, იუსტიციის უწყების მიერ ევროპული დაპატიმრების ბრძანება პირდაპირ აღმასრულებელი სახელმწიფოს იუსტიციის უწყებას გადაეგზავნოს.

(2) ბრძანების გამცემ იუსტიციის ორგანოს შეუძლია, ყველა შემთხვევაში გადაწყვიტოს ძებნილი პირის შენგენის საინფორმაციო სისტემაში (SIS) შეყვანა.

(3) პირის ასეთი სახის შეყვანა ხდება შენგენის 1985 წლის 14 ივნისის შეთანხმების განხორციელების შესახებ შენგენის 1990 წლის 19 ივნისის შეთანხმების, რომელიც შეეხება საერთო საზღვრებზე კონტროლის ეტაპობრივ გაუქმებას, 95-ე მუხლის შესაბამისად.[1] შენგენის საინფორმაციო სისტემაში პირის შეყვანა ევროპული დაპატიმრების ბრძანების თანაბარმნიშვნელოვანია, რომელსაც დართული აქვს მე-8 მუხლის პირველ აბზაცში მითითებული ინფორმაციები.

გარდამავალი დროის განმავლობაში, რომელიც მანამ გრძელდება, სანამ შენგენის საინფორმაციო სისტემას არ შეეძლება მე-8 მუხლში დასახელებული ყველა ინფორმაციის

[1] იხ. ABl. L 239, 22. 09. 2000.

გადაგზავნა, პირის საინფორმაციო სისტემაში შეყვანა არის ევროპული დაპატიმრების ბრძანების თანაბარმნიშვნელოვანი მანამ, სანამ ორიგინალი არ იქნება შესაბამისი ფორმით გადაცემული აღმასრულებელი იუსტიციის ორგანოსათვის.

მუხლი 10 ევროპული დაპატიმრების ბრძანების გადაცემის პირობები

(1) თუკი ბრძანების გამცემი იუსტიციის ორგანოსთვის აღმასრულებელი იუსტიციის კომპეტენტური ორგანო უცნობია, მაშინ იგი ატარებს აუცილებელ კვლევას, განსაკუთრებით ევროპული იუსტიციური ქსელის[1] საკონტაქტო ადგილების დახმარებით, რათა მოხდეს ამ ინფორმაციის მიწოდება აღმასრულებელი წევრი სახელმწიფოსთვის.

(2) თუ ბრძანების გამცემ იუსტიციის უწყებას ეს სურს, შესაძლებელია, გადაცემა ევროპული იუსტიციური ქსელის უსაფრთხო ტელეკომუნიკაციის სისტემის მეშვეობით მოხდეს.

(3) თუკი შენგენის საინფორმაციო სისტემაზე დაყრდნობა შეუძლებელია, მაშინ ბრძანების გამცემ იუსტიციურ ორგანოს შეუძლია, ევროპული დაპატიმრების ბრძანების გადაცემის დროს გამოიყენოს ინტერპოლის სამსახურები.

(4) ბრძანების გამცემ იუსტიციის ორგანოს შეუძლია, ევროპული დაპატიმრების ბრძანების გადაცემა ნებისმიერი ისეთი უსაფრთხო საშუალებით მოახდინოს, რომელიც გარკვეული პირობების დაცვით წერილობითი ფორმის შედგენის შესაძლებლობას იძლევა, რომელიც აღმასრულებელ წევრ სახელმწიფოს აძლევს მისი ნამდვილობის დადგენის შესაძლებლობას.

(5) ყველა სიძნელე, დაკავშირებული გადაცემასთან ან ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის ნამდვილობასთან, შესაძლებელია, შესაბამის იუსტიციის ორგანოებს შორის პირდაპირ ან, საჭიროების შემთხვევაში, წევრი სახელმწიფოების ცენტრალური ორგანოების მეშვეობით აღმოიფხვრას.

(6) თუკი ევროპულ დაპატიმრების ბრძანებას მიიღებს ორგანო, რომელიც არ არის უფლებამოსილი მის დამუშავებაზე, მაშინ იგი ვალდებულია, დაპატიმრების ბრძანება გადასცეს თავისი წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოს და ამ გარემოების შესახებ ატყობინებს ბრძანების გამცემ იუსტიციის ორგანოს.

მუხლი 11 ძებნილი პირის უფლებები

(1) თუკი ძებნილი პირი იქნა დაკავებული, მაშინ აღმასრულებელი სახელმწიფოს კომპეტენტური იუსტიციის ორგანო, ამ სახელმწიფოს შიდა სამართლის შესაბამისად, ატყობინებს მას ევროპული დაპატიმრების ბრძანების, მისი შინაარსის შესახებ, ასევე იმის შესახებ, რომ მას შეუძლია ბრძანების გამცემ ორგანოსათვის მისი გადაცემაზე თანხმობის მიცემა.

(2) ძებნილ პირს, რომელიც ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულების მიზნით იქნა დაკავებული, აქვს უფლება აღმასრულებელი წევრი სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით მოითხოვოს სამართლებრივი დახმარება და თარჯიმნის დანიშვნა.

მუხლი 12 ძებნილი პირის პატიმრობაში ყოფნა

ევროპული დაპატიმრების ბრძანების საფუძველზე პირის დაკავების შემთხვევაში აღმასრულებელი სახელმწიფოს იუსტიციის ორგანო გადაწყვეტილებას იღებს იმის შესახებ, ძებნილი პირი აღმასრულებელი სახელმწიფოს სამართლის მიხედვით პატიმრობაში უნდა დარჩეს თუ არა. დროებითი გათავისუფლება აღმასრულებელი სახელმწიფოს შიდასამართლებრივი

[1] იხ. ABl. L 191, 7. 07. 1998.

დებულებების შესაბამისად შესაძლებელია ნებისმიერ დროს, თუკი ამ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანო იღებს მისი თვალსაზრისით აუცილებელ ღონისძიებებს ძებნილი პირის გაქცევის თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 13 თანხმობა გადაცემაზე

(1) თუკი დაკავებული პირი აცხადებს თანხმობას გადაცემის შესახებ, მაშინ ეს თანხმობა და არსებობის შემთხვევაში 27-ე მუხლის მე-2 აბზაციდან გამომდინარე სპეციალურობის პრინციპის დაცვაზე გამოკვეთილი უარი აღმასრულებელი წევრი სახელმწიფოს შიდა სამართლის შესაბამისად გაცხადებულ უნდა იქნეს აღმასრულებელი იუსტიციის ორგანოს წინაშე.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს, რათა 1-ლი აბზაცის მიხედვით გაცხადებული თანხმობა და არსებობის შემთხვევაში უარი მიღებულ იქნეს იმ პირობებით, რომლებიც ადასტურებენ, რომ პირმა იგი ნებაყოფლობით და მისგან გამომდინარე შედეგების სრული შეგნებულობით გააკეთა. ძებნილ პირს აქვს უფლება, ამ მიზნით მოითხოვოს სამართლებრივი დახმარება.

(3) 1-ლი აბზაცის მიხედვით თანხმობა და არსებობის შემთხვევაში უარი, აღმასრულებელი სახელმწიფოს შიდა სამართლის მიხედვით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად, უნდა აისახოს შესაბამის ოქმში.

(4) თანხმობის უკან გამოთხოვა ძირითადად შეუძლებელია. ამასთან, ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, დაადგინოს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მოქმედი დებულებებით, შესაძლებელია, თანხმობა და არსებობის შემთხვევაში უარი უკან გამოთხოვას დაექვემდებაროს. ამ შემთხვევაში, მე-17 მუხლით გათვალისწინებული ვადების გამოითვლისას, მხველობაში არ მიიღება დროის მონაკვეთი თანხმობის მიცემასა და მის უკან გამოთხოვას შორის. წევრი სახელმწიფო, რომელსაც ამ შესაძლებლობის გამოყენება სურს, ატყობინებს ამის შესახებ საბჭოს გენერალურ სამდივანოს ჩარჩო- გადაწყვეტილების მიღებისას და უთითებს იმ პირობებზე, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ამგვარი თანხმობის უკან გამოთხოვა, ასევე ატყობინებს ამ პირობების ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

მუხლი 14 ძებნილი პირის დაკითხვა

თუკი დაკავებული პირი უარს აცხადებს მე-13 მუხლის შესაბამისად მის გადაცემაზე, მაშინ მას უფლება აქვს, დაკითხულ იქნეს აღმასრულებელი იუსტიციის ორგანოს მიერ აღმასრულებელი წევრი სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმების შესაბამისად.

მუხლი 15 გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება

(1) აღმასრულებელი იუსტიციის ორგანო იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი პირის გადაცემის შესახებ ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების პირობების შესაბამისად და ამისთვის გათვალისწინებულ ვადებში.

(2) თუკი აღმასრულებელ იუსტიციის ორგანოს მიაჩნია, რომ ბრძანების გამცემი სახელმწიფოს მიერ მიწოდებული ინფორმაცია არასაკმარისია, რათა პირის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება იქნეს მიღებული, მაშინ ის თხოვს აუცილებელი დამატებითი ინფორმაციების მისთვის დაუყოვნებლივ გადაცემას, განსაკუთრებით მე-3, მე-4, მე-5 და მე-8 მუხლებთან მიმართებაში. მას შეუძლია, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დააწესოს ვადა, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს მე-17 მუხლით გათვალისწინებული ვადა.

(3) ბრძანების გამცემ იუსტიციის ორგანოს შეუძლია, აღმასრულებელ იუსტიციის ორგანოს ნებისმიერ დროს მიაწოდოს ყველა დამატებითი საქმიანი ინფორმაცია.

მუხლი 16 გადაწყვეტა მრავალმხრივი თხოვნის დროს

(1) თუკი ორ ან მეტ წევრ სახელმწიფოს ევროპული დაპატიმრების ბრძანება ერთი და იმავე პირის წინააღმდეგ აქვს გაცემული, მაშინ აღმასრულებელი იუსტიციის ორგანო, ყველა გარემოების სათანადოდ გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი ევროპული დაპატიმრების ბრძანება უნდა აღსრულდეს; ამ გარემოებებს მიეკუთვნება განსაკუთრებით დანაშაულის სიმძიმე და მისი ჩადენის ადგილი, დაპატიმრების ბრძანებების გაცემის დრო, ასევე ის გარემოება, დაპატიმრების ბრძანება გაცემულია სისხლისსამართლებრივი დევნის თუ თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების შემზღუდავი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიების აღსრულების მიზნით.

(2) 1-ლი აბზაცის მიხედვით გადაწყვეტილების მიღებისას, აღმასრულებელ იუსტიციის ორგანოს შეუძლია, თხოვნით მიმართოს ევროიუსტს[1], რათა მან გამოხატოს საკუთარი პოზიცია.

(3) ევროპული დაპატიმრების ბრძანებისა და მესამე სახელმწიფოს მხრიდან ექსტრადიციის შესახებ თხოვნის ერთდროულად არსებობის შემთხვევაში, აღმასრულებელი სახელმწიფოს იუსტიციის ორგანო გადაწყვეტილებას იღებს ყველა გარემოების სათანადოდ გათვალისწინებით, განსაკუთრებით ეს ეხება პირველ აბზაცში ჩამოთვლილ გარემოებებს, ასევე მოქმედ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში აღწერილ გარემოებებს, რომლებითაც ირკვევა, ევროპულ დაპატიმრების ბრძანებას თუ ექსტრადიციის შესახებ თხოვნას უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

(4) ამ მუხლს ხელშეუხებელს ტოვებს წევრ სახელმწიფოთა ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობს რომის სტატუტიდან.

მუხლი 17 ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულების ვადები და პირობები

(1) ევროპული დაპატიმრების ბრძანება აღსრულდება დაუყოვნებლივ.

(2) იმ შემთხვევებში, როდესაც ძებნილი პირი გადაცემაზე თანხმობას აცხადებს, ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება თანხმობის მიცემიდან 10 დღის განმავლობაში.

(3) სხვა შემთხვევებში, ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ძებნილი პირის დაკავებიდან 60 დღის განმავლობაში.

(4) თუკი განსაკუთრებულ შემთხვევებში ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულება მე-2 და მე-3 აბზაცებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ მოხდება, მაშინ აღმასრულებელი იუსტიციის ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს ბრძანების გამცემ იუსტიციის ორგანოს ამ გარემოებისა და მისი მიზეზების შესახებ. ამ შემთხვევაში შესაძლებელია, ვადები დამატებით 30 დღით გაგრძელდეს.

(5) სანამ აღმასრულებელი იუსტიციის ორგანოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილება ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულების შესახებ არ არის გაცემული, ის ამოწმებს, რომ პირის ფაქტობრივი გადაცემის შესახებ მატერიალური წინაპირობები კვლავ არსებობს.

(6) ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულებაზე უარი დასაბუთებული უნდა იქნეს.

---

[1] იხ. ABl. L 63, 6. 03. 2002.

(7) განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, თუკი წევრ სახელმწიფოს ამ მუხლში გათვალისწინებული ვადების დაცვა არ შეუძლია, მაშინ იგი ამ გარემოებისა და გაჭიანურების მიზეზების შესახებ ატყობინებს ევროიუსტს. გარდა ამისა, წევრი სახელმწიფო, რომელსაც განმეორებით აქვს ევროპული დაპატიმრების ბრძანების სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ აღსრულების პრობლემები, ატყობინებს ამ გარემოების შესახებ საბჭოს, რათა ამის შედეგად განხორციელდეს ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების იმპლემენტაციის შეფასება წევრი სახელმწიფოების დონეზე.

მუხლი 18 მდგომარეობა გადაწყვეტილების მიღების მოლოდინში

(1) თუკი ევროპული დაპატიმრების ბრძანება გამოცემულია სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, მაშინ აღმასრულებელმა იუსტიციის ორგანომ

a) ან უნდა მოახდინოს მე-19 მუხლის მიხედვით ძებნილი პირის დაკითხვა,

b) ან კიდევ ის უნდა გადასცეს დროებით.

(2) დროებითი გადაცემის პირობები და დრო განისაზღვრება ბრძანების გამცემ და აღმასრულებელ იუსტიციის ორგანოებს შორის ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

(3) დროებითი გადაცემის შემთხვევაში, შესაბამის პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ აღმასრულებელ სახელმწიფოში ისევ უკან დაბრუნდეს, რათა მან სასამართლო განხილვაში, რომელიც გადაცემის პროცესს უკავშირდება, მონაწილეობა მიიღოს.

მუხლი 19 პირის დაკითხვა გადაწყვეტილების მიღების მოლოდინში

(1) ძებნილი პირის დაკითხვა ხდება იუსტიციის ორგანოს მეშვეობით, იმ პირის მხარდაჭერით, რომელსაც თხოვნის გამგზავნი იუსტიციის ორგანო წევრი სახელმწიფოს სამართლით განსაზღვრავს.

(2) ძებნილი პირის დაკითხვა ხდება აღმასრულებელი წევრი სახელმწიფოს სამართლითა და ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ბრძანების გამცემ და აღმასრულებელ იუსტიციის ორგანოებს შორის დადგენილი პირობებით.

(3) კომპეტენტურ აღმასრულებელ იუსტიციის ორგანოს შეუძლია, საკუთარი წევრი სახელმწიფოს იუსტიციის სხვა ორგანოს დაავალოს ძებნილი პირის დაკითხვაში მონაწილეობის მიღება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ მუხლისა და დადგენილი პირობების არსებული წესის შესაბამისი გამოყენება.

მუხლი 20 პრივილეგიები და იმუნიტეტები

(1) თუკი ძებნილი პირი აღმასრულებელ სახელმწიფოში სარგებლობს პრივილეგიით ან სისხლისსამართლებრივი დევნის ან აღსრულების იმუნიტეტით, მაშინ ვადების დინება მე-17 მუხლის მიხედვით იწყება იმ დროიდან, როცა აღმასრულებელი იუსტიციის ორგანო იმის შესახებ იქნება ინფორმირებილი, რომ პირს პრივილეგია და იმუნიტეტი მოეხსნა. ასეთ შემთხვევაში ვადის ათვლა იწყება შეტყობინების დღიდან.

აღმასრულებელი წევრი სახელმწიფო ზრუნავს იმაზე, რომ გადაცემის ფაქტობრივი მატერიალური წინაპირობები კვლავ არსებობდეს, თუკი პირი პრივილეგიით ან იმუნიტეტით უკვე აღარ სარგებლობს.

(2) თუკი პრივილეგიის ან იმუნიტეტის მოხსნაზე უფლებამოსილია აღმასრულებელი სახელმწიფოს უწყება, მაშინ აღმასრულებელი იუსტიციის ორგანო მას დაუყოვნებლივ მიმართავს შესაბამისი თხოვნით. თუკი სხვა სახელმწიფოს უწყება ან საერთაშორისო ორგა-

ნიზაცია არის უფლებამოსილი პრივილეგიის ან იმუნიტეტის მოხსნაზე, მაშინ მას შესაბამისი თხოვნით მიმართავს ბრძანების გამცემი იუსტიციის ორგანო.

მუხლი 21 საერთაშორისო ვალდებულებების კონკურენცია

ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებისგან ხელშეუხებელი რჩება აღმასრულებელი სახელმწიფოს ვალდებულებები ისეთ შემთხვევებში, როცა ძებნილი პირი ამ წევრ სახელმწიფოს მესამე სახელმწიფოს მიერ გადაეცა და როდესაც ასეთი პირის მიმართ ექსტრადიციას საფუძვლად უდევს მათ შორის შეთანხმება სპეციალურობის პრინციპის გამოყენების თაობაზე. აღმასრულებელი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს, რათა დაუყონებლივ მიიღოს თანხმობა მესამე სახელმწიფოსგან, რათა შესაძლებელი გახდეს ევროპული დაპატიმრების ბრძანების გამცემი სახელმწიფოსთვის ამ პირის შემდგომი გადაცემა. მე-17 მუხლის მიხედვით ვადების ათვლა იწყება იმ დღიდან, როცა ამ შემთხვევის მიმართ სპეციალურობის პრინციპის გამოყენება უკვე აღარ მოხდება. მანამ სანამ სახელმწიფოს გადაწყვეტილება არ არსებობს, რითაც მოხდა პირის ექსტრადიცია, აღმასრულებელი სახელმწიფო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ფაქტობრივი გადაცემის მატერიალური წინაპირობები კვლავაც არსებობს.

მუხლი 22 შეტყობინება გადაწყვეტილების შესახებ

აღმასრულებელი იუსტიციის ორგანო დაუყოვნებლივ ატყობინებს ბრძანების გამცემ იუსტიციის ორგანოს თავის გადაწყვეტილებას ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულების ან აღსრულებაზე უარის თქმის თაობაზე.

მუხლი 23 გადაცემის ვადები

(1) ძებნილი პირის გადაცემა უნდა მოხდეს რაც შეიძლება მალე, შესაბამის ორგანოებს შორის შეთანხმებულ დროს.

(2) გადაცემა განხორციელდება არაუგვიანეს 10 დღისა, მას შემდეგ, რაც მიიღება ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება.

(3) თუკი ძებნილი პირის გადაცემა მე-2 აბზაცში დასახელებულ ვადაში აღმასრულებელი სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო შეუძლებელია, ამ დროს აღმასრულებელი და ბრძანების გამცემი იუსტიციის ორგანოები ერთმანეთთან დაუყოვნებლივ ამყარებენ ურთიერთობას და თანხმდებიან გადაცემის ახალ თარიღზე. ამ შემთხვევაში გადაცემა ხორციელდება ახალი ვადის დაწესების შეთანხმების დღიდან 10 დღის ვადაში.

(4) გადაცემა შესაძლებელია, ჰუმანიტარული სიძნელეების გამო, ასე, მაგალითად, თუკი სახეზეა სერიოზული საფუძვლები იმისა, რომ აღსრულება აშკარად შეუქმნის საფრთხეს ძებნილი პირის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს, გამონაკლისის სახით გადაიდოს. ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულება მაშინვე მოხდება, როგორც კი ზემოთ აღნიშნული გარემოებები აღარ იარსებებს. აღმასრულებელი იუსტიციის ორგანო ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს ბრძანების გამცემ იუსტიციის ორგანოს და უთანხმებს გადაცემის ახალ თარიღს. ამ შემთხვევაში გადაცემა ხორციელდება ახალი ვადის შეთანხმების დროიდან 10 დღის ვადაში.

(5) თუკი ძებნილი პირი მე-2 და მე-4 აბზაცში დასახელებული ვადების გასვლის შემდეგაც კვლავ პატიმრობაში იმყოფება, ის გათავისუფლდება.

მუხლი 24 გადაცემის გადავადება ან გადაცემა გარკვეული პირობებით

(1) აღმასრულებელ იუსტიციის ორგანოს შეუძლია, ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულებაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ძებნილი პირის გადაცემა გადაავადოს, რათა აღმასრულებელ სახელმწიფოში ძებნილი პირის წინააღმდეგ სასამართლებრივი დევნა განხორციელდეს, ან თუ მის წინააღმდეგ უკვე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, მოხდეს სასჯელის მოხდა იმ დანაშაულის ჩადენისათვის, რომელსაც ევროპული დაპატიმრების ბრძანება არ ეხება.

(2) გადაცემის გადავადების ნაცვლად, შესაძლებელია, აღმასრულებელი სახელმწიფოს იუსტიციის ორგანომ ძებნილი პირი ბრძანების გამცემ სახელმწიფოს დროებით, გარკვეული პირობებით გადასცეს, რომელიც უნდა წარმოადგენდეს მხარეთა შორის შეთანხმების საგანს. შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობით და მასში ჩადებული პირობები ბრძანების გამცემი სახელმწიფოს ყველა ორგანოსათვის სავალდებულოა.

მუხლი 25 ტრანზიტი

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იძლევა ტრანზიტის თანხმობას იმ მიზნით, რომ ძებნილი პირის გადაცემა მოხდეს თავისი სუვერენული ტერიტორიის გავლით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს სახელმწიფო იყენებს უარის თქმის შესაძლებლობას, თუ ამგვარი გადაცემით ხდება საკუთარი მოქალაქის ამ მის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი პირის ტრანზიტით გადაყვანა თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების შემზღუდავი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიების შესახებ შუამდგომლობის საფუძველზე. გადაცემაზე თანხმობა დამოკიდებულია შემდეგი მონაცემების არსებობაზე. კერძოდ, საჭიროა, მოხდეს

a) იმ პირის იდენტურობისა და მოქალაქეობის დადგენა, რომლის წინააღმდეგაც გაცემულ იქნა ევროპული დაპატიმრების ბრძანება;

b) ევროპული დაპატიმრების ბრძანების არსებობის დადასტურება;

c) დანაშაულის სახის განსაზღვრა და მისი სამართლებრივი შეფასება;

d) იმ გარემოებების აღწერა, რომლის არსებობის პირობებში ჩადენილ იქნა დანაშაული, დანაშაულის ადგილისა და დროის მითითებით.

თუკი პირი, რომლის წინააღმდეგაც გაცემულია ევროპული დაპატიმრების ბრძანება, არის სატრანზიტო სახელმწიფოს მოქალაქე ან ამ ტერიტორიაზე გააჩნია საცხოვრებელი ადგილი, მაშინ შესაძლებელია, გადაცემა იმ პირობით განხორციელდეს, რომ პირი სასამართლო განხილვის შემდეგ სასჯელის ან თავისუფლების შემზღუდავი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიების მოსახდელად, რომელიც მისთვის ბრძანების გამცემ წევრ სახელმწიფოში იქნება შეფარდებული, სატრანზიტო წევრ სახელმწიფოში იქნება დაბრუნებული.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო ასახელებს იმ კომპეტენტურ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია ამგვარი თხოვნისა და აუცილებელი დოკუმენტაციის მიღებასა და ტრანზიტის შესახებ თხოვნასთან დაკავშირებულ შესაბამის ოფიციალურ მიმოწერაზე. წევრი სახელმწიფოები ატყობინებენ საბჭოს გენერალურ სამდივნოს აღნიშნული ორგანოების შესახებ.

(3) ტრანზიტით გადაცემის შესახებ თხოვნა და 1-ლი აბზაცის შესაბამისი ინფორმაციები შესაძლებელია, მე-2 აბზაცის მიხედვით დასახელებულ ორგანოს გადაეცეს ნებისმიერი ფორმით, რომელიც იძლევა წერილობითი დადასტურების შესაძლებლობას. სატრანზიტო წევრი სახელმწიფოც იგივე გზით ახდენს თავისი გადაწყვეტილების შეტყობინებას.

(4) ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება არ გამოიყენება საჰაერო გზით ტრანზიტის განხორციელების დროს, როცა არ არის დაგეგმილი შუალედური დაშვება. თუ მაინც მოხდება

ასეთი დაუგეგმავი დაშვება, მაშინ ბრძანების გამცემი წევრი სახელმწიფო გადასცემს მე-2 აბზაცში მითითებულ ორგანოს 1-ლი აბზაცით გათვალისწინებულ ინფორმაციებს.

(5) თუკი ტრანზიტით გადაცემა ეხება პირს, რომელიც მესამე სახელმწიფოდან წევრ სახელმწიფოში უნდა იქნეს ექსტადირებული, მაშინ ხდება ამ მუხლის შესაბამისი გამოყენება. ამ შემთხვევაში ტერმინი ,,ევროპული დაპატიმრების ბრძანება'' იცვლება ტერმინით ,,ექსტრადიციის შესახებ თხოვნა''.

თავი 3
გადაცემის შედეგი

მუხლი 26 აღმასრულებელ სახელმწიფოში მოხდილი სასჯელის ჩათვლა

(1) ბრძანების გამცემი წევრი სახელმწიფო პატიმრობის ვადაში უთვლის აღმასრულებელ წევრ სახელმწიფოში ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულების შედეგად პირისათვის დაკისრებული თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების შემზღუდავი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიების მოხდის მთლიან ვადას.

(2) ამასთან, ბრძანების გამცემ იუსტიციის ორგანოს გადაცემის დროს ევროპული დაპატიმრების ბრძანების საფუძველზე ძებნილი პირის მიმართ შეფარდებულ პატიმრობის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული ყველა მონაცემი გადაეცემა აღმასრულებელი იუსტიციის ორგანოს ან მე-7 მუხლში აღწერილი ცენტრალური ორგანოსგან.

მუხლი 27 სხვა დანაშაულების ჩადენის გამო შესაძლო სისხლისსამართლებრივი დევნა

(1) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, საბჭოს გენერალურ სამდივნოს აცნობოს, რომ იგი თავის ურთიერთობებში სხვა წევრ სახელმწიფოებთან, რომლებმაც იგივე შეტყობინება გააკეთეს, თანხმობას იძლევა იმაზე, რომ პირი გადაცემამდე სხვა მოქმედების ჩადენის გამო, ვიდრე ის მოქმედებაა, რომელიც ამგვარ გადაცემას საფუძვლად უდევს, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების, გასამართლების ან თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების შემზღუდავი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიების აღსრულების მიზნით, პატიმრობაში იქნეს დატოვებული, თუკი აღმასრულებელი იუსტიციის ორგანო ცალკეულ შემთხვევაში გადაცემის შესახებ თავის გადაწყვეტილებაში სხვაგვარ განმარტებას არ გააკეთებს.

(2) პირველ და მე-3 აბზაცებში გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, დაუშვებელია იმ პირების მიმართ, რომლებიც გადაცემულ იქნენ, გადაცემამდე ჩადენილი სხვა მოქმედების გამო, ვიდრე ის მოქმედებაა, რომელიც საფუძვლად უდევს ამგვარ გადაცემას, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ან გასამართლების ან თავისუფლების შემზღუდავი იძულებითი ღონისძიების გამოყენება.

(3) მე-2 აბზაცი არ გამოიყენა იმ შემთხვევებში,

a) როცა პირი, ამის შესაძლებლობის მიუხედავად, მისი საბოლოო გათავისუფლების შემდეგ, იმ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიას, რომელსაც იგი გადასცეს, 45 დღის განმავლობაში არ დატოვებს, ან როცა იგი ამ ტერიტორიის დატოვების შემდეგ ისევ უკან დაბრუნდება;

b) როცა ისეთი დანაშაულია ჩადენილი, რომელიც არც თავისუფლების აღკვეთას და არც თავისუფლების შემზღუდავ სოციალური დაცვის იძულებით ღონისძიებას ითვალისწინებს;

c) როცა სისხლისსამართლებრივი დევნა პირის თავისუფლების შემზღუდავ ღონისძიების გამოყენებასთან არ არის დაკავშირებული;

d) როცა პირის მიმართ ხდება ისეთი სასჯელის ან სოციალური დაცვის ღონისძიების აღსრულება, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, განსაკუთრებით, როცა გამოიყენება ფულადი ჯარიმა, შესაბამისად, ქონებრივი სამართლებრივი ღონისძიება ან სხვა მისი შემცვლელი ღონისძიება, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამგვარმა სასჯელმა ან ღონისძიებამ შეიძლება, პირის პერსონალური თავისუფლების შეზღუდვა გამოიწვიოს;

e) როცა პირი გადაცემაზე თანხმობას და, შესაბამის შემთხვევაში, მე-13 მუხლის მიხედვით სპეციალურობის პრინციპის გამოყენებაზე განაცხადებს უარს;

f) როცა პირმა, მისი გადაცემის შემდეგ, ნათლად განაცხადა უარი გადაცემამდე ჩადენილი კონკრეტული ქმედებების მიმართ სპეციალურობის პრინციპის გამოყენებაზე. ასეთი უარის შესახებ განაცხადი გადაეცემა ბრძანების გამცემ კომპეტენტურ იუსტიციის ორგანოს და მისი შიდა სამართლის შესაბამისად შეიტანება ოქმში. უარის შესახებ განაცხადი ისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ მასში უნდა ჩანდეს, რომ სათანადო პირი, ვისაც იგი შეეხება, მოქმედებდა ნებაყოფლობით და სრული შეგნებით აცნობიერებდა მისგან გამომდინარე შედეგებს. პირს აქვს უფლება, ამ მიზნით გამოიყენოს სამართლებრივი დახმარება.

g) როცა აღმასრულებელი იუსტიციის ორგანო, რომელმაც პირის გადაცემა განახორციელა, მე-4 აბზაცის შესაბამისად თანხმობას განაცხადებს.

(4) თხოვნა თანხმობის შესახებ მიმართული უნდა იქნეს აღმასრულებელი იუსტიციის ორგანოსკენ, რომელსაც უნდა დაერთოს მე-8 მუხლის პირველ აბზაცში მითითებული მონაცემები და მე-8 მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული თარგმანი. თანხმობა გაიცემა, თუ დანაშაული, რის გამოც თხოვნა დგება, ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისად, გადაცემის ვალდებულებას ექვემდებარება. თანხმობა არ გაიცემა, როცა არსებობს მე-3 აბზაცით გათვალისწინებული საფუძვლები. სხვაგვარად შესაძლებელია, თანხმობა მხოლოდ მე-4 მუხლში დასახელებული საფუძვლიდან გამომდინარე იქნეს უარყოფილი. გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს თხოვნის მიღების შემდეგ არაუგვიანეს 30 დღისა.

მე-5 მუხლის შემთხვევებში გათვალისწინებული გარანტიები გაიცემა ბრძანების გამცემი წევრი სახელმწიფოს მიერ.

მუხლი 28 შემდგომი გადაცემა ან ექსტრადიცია

(1) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, საბჭოს გენერალურ სამდივნოს აცნობოს, რომ თავის ურთიერთობებში სხვა წევრ სახელმწიფოებთან, რომლებმაც იგივე შეტყობინება გააკეთეს, თანხმობას იძლევა იმაზე, რომ პირი სხვა წევრ სახელმწიფოს გადაეცეს, ვიდრე აღმასრულებელი წევრი სახელმწიფოა, ევროპული დაპატიმრების ბრძანების საფუძველზე, რომელსაც საფუძვლად უდევს მის გადაცემამდე ჩადენილი სხვა დანაშაული, თუკი აღმასრულებელი იუსტიციის ორგანო ცალკეულ შემთხვევაში გადაცემის შესახებ თავის გადაწყვეტილებაში სხვაგვარ განმარტებას არ გააკეთებს.

(2) ნებისმიერ შემთხვევაში შესაძლებელია, პირები, რომლებიც ბრძანების გამცემ წევრ სახელმწიფოს ევროპული დაპატიმრების ბრძანების საფუძველზე გადაეცნენ, აღმასრულებელი წევრი სახელმწიფოს თანხმობის გარეშე გადაცემულ იქნენ სხვა წევრი სახელმწიფოსთვის, ევროპული დაპატიმრების ბრძანების საფუძველზე, რომელსაც საფუძვლად უდევს გადაცემამდე ჩადენილი მოქმედება, შემდეგ შემთხვევებში:

a) როცა პირი, ამის შესაძლებლობის მიუხედავად, მისი საბოლოო გათავისუფლების

შემდეგ, წევრი სახელმწიფოს ტერიტორიას, რომელსაც იგი გადასცეს, 45 დღის ვადაში არ დატოვებს, ან როცა იგი ამ ტერიტორიის დატოვების შემდეგ ისევ უკან დაბრუნდება;

b) როცა ძებნილი პირი ევროპული დაპატიმრების ბრძანების საფუძველზე მის გადაცემაზე სხვა წევრი სახელმწიფოსთვის, ვიდრე აღმასრულებელი წევრი სახელმწიფოა, თანახმაა. თანხმობა ბრძანების გამცემი კომპეტენტური ორგანოების წინაშე უნდა გაცხადდეს და ამ სახელმწიფოთა შიდა სამართლის მიხედვით ოქმში უნდა იქნეს შეტანილი. თანხმობის შესახებ განაცხადი ისე უნდა იქნეს შედგენილი, რომ მასში უნდა ჩანდეს, რომ სათანადო პირი, ვისაც იგი შეეხება, მოქმედებდა ნებაყოფლობით და სრული შეგნებით აცნობიერებდა მისგან გამომდინარე შედეგებს. პირს აქვს უფლება, ამ მიზნით გამოიყენოს სამართლებრივი დახმარება.

c) როცა ძებნილი პირის მიმართ სპეციალურობის პრინციპი 22-ე მუხლის მე-3 აბზაცის a), e), f) და g) პუნქტების შესაბამისად არ გამოიყენება.

(3) აღმასრულებელი იუსტიციის ორგანო თანხმობას აცხადებს სხვა სახელმწიფოსთვის ძებნილი პირის გადაცემაზე შემდეგი დებულებების დაცვით:

a) თანხმობაზე თხოვნა დაყენებულია მე-9 მუხლის შესაბამისად, მე-8 მუხლის პირველ აბზაცში დასახელებული ინფორმაციებისა და მე-8 მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული თარგმანის დართვით;

b) როცა დანაშაული, რის გამოც თანხმობაზე თხოვნა დგება, ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისად, გადაცემის ვალდებულებას ექვემდებარება;

c) გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს არაუგვიანეს 30 დღისა, თხოვნის მიღების შემდეგ;

d) თანხმობა უარყოფილი იქნება, როცა იარსებებს მე-3 მუხლში მითითებული საფუძვლები. სხვაგვარად უარი შესაძლებელია მხოლოდ მე-4 მუხლში მითითებული საფუძვლებიდან გამომდინარე.

მე-5 მუხლში მითითებულ შემთხვევებში იქ გათვალისწინებულ გარანტიებს იძლევა ბრძანების გამცემი სახელმწიფო.

(4) 1-ლი აბზაცის მიუხედავად, დაუშვებელია, პირი, რომელიც გადაცემულ იქნა ევროპული დაპატიმრების ბრძანების საფუძველზე, იმ წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოების თანხმობის გარეშე, რომელმაც პირი გადასცა, მესამე სახელმწიფოში იქნეს ექსტრადირებული. თანხმობა გაიცემა ამ წევრი სახელმწიფოსთვის სავალდებულო შეთანხმებებისა და მისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დებულებების შესაბამისად.

მუხლი 29 ნივთების გადაცემა

(1) ბრძანების გამცემი იუსტიციის ორგანოს მოთხოვნით ან მისი სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე, აღმასრულებელი იუსტიციის ორგანო, თავისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისად, ახდენს ნივთების ამოღებასა და გადაცემას,

a) რომლებიც შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს, როგორც მტკიცებულება ან

b) რომლებიც მიღებულ იქნა ძებნილი პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შედეგად.

(2) პირველ აბზაცში მითითებული ნივთები მაშინაც იქნება გადაცემული, როცა ევროპული დაპატიმრების ბრძანება, ძებნილი პირის გარდაცვალების ან მისი მიმალვის გამო, ვერ აღსრულდება.

(3) თუ პირველ აბზაცში მითითებული ნივთები აღმასრულებელი წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე ამოღებას ან ჩამორთმევას ექვემდებარება, მაშინ აღმასრულებელ სახელმწიფოს შეუძლია, ეს ნივთები, როდესაც ისინი მიმდინარე სისხლისსამართლებრივი

პროცესიდან გამომდინარე საჭიროა, დროებით შეინარჩუნოს ან გადასცეს ბრძანების გამცემ სახელმწიფოს იმ პირობით, რომ ისევ უკან იქნება დაბრუნებული.

(4) აღმასრულებელი წევრი სახელმწიფოს ან მესამე პირთა უფლებები პირველ აბზაცში მითითებულ ნივთებთან მიმართებით დაცულია. თუკი არსებობს ასეთი უფლებები, მაშინ ნივთები ბრძანების გამცემი სახელმწიფოსგან, სისხლის სამართლის პროცესის დასრულების შემდეგ, დაუყოვნებლივ და უფასოდ აღმასრულებელ სახელმწიფოს უკან უნდა დაუბრუნდეს.

მუხლი 30 ხარჯები

(1) ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულების შედეგად აღმასრულებელი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურება მასვე ეკისრება.

(2) ყველა სხვა დანარჩენი ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ბრძანების გამცემ წევრ სახელმწიფოს.

თავი 4
ზოგადი დასკვნითი დებულებები

მუხლი 31 კავშირი სხვა შეთანხმებებთან

(1) ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება 2004 წლის 1 იანვრიდან ცვლის შემდეგი ხელშეკრულებების შესაბამის დებულებებს, რომლებიც მოქმედებს წევრ სახელმწიფოთა შორის ექსტრადიციის სფეროში, ხოლო მათი გამოყენება ხელშეუხებელი რჩება წევრ სახელმწიფოებსა და მესამე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში:

a) ექსტრადიციის შესახებ ევროსაბჭოს 1957 წლის 13 დეკემბრის კონვენცია, მისი 1975 წლის 15 ოქტომბრის დამატებითი ოქმი და 1978 წლის 17 მარტის მეორე დამატებითი ოქმი, ასევე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროსაბჭოს 1977 წლის 27 იანვრის კონვენციის ის ნორმები, რომლებიც ეხება ექსტრადიციას;

b) ევროგაერთიანებების წევრ სახელმწიფოთა 1989 წლის 26 მაისის შეთანხმება ექსტრადიციის თხოვნის გადაცემის პროცესის გამარტივებისა და მოდერნიზაციის შესახებ;

c) ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის ექსტრადიციის გამარტივებული პროცედურის შესახებ 1995 წლის 10 მარტის შეთანხმება;

d) ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის ექსტრადიციის შესახებ 1996 წლის 27 სექტემბრის შეთანხმება;

e) შენგენის 1985 წლის 14 ივნისის შეთანხმების განხორციელების 1990 წლის 19 ივნისის შეთანხმების, რომელიც ეხება საერთო საზღვრების კონტროლის ეტაპობრივად გაუქმებას, III სათაურის მე-4 თავი.

(2) წევრ სახელმწიფოებს აქვთ უფლება, შემდგომშიც გამოიყენონ ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედი ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები და შეთანხმებები, თუ ისინი იმის უკეთეს შესაძლებლობას იძლევიან, რომ ევროპული დაპატიმრების ბრძანების ფარგლებში გადაცემის პროცესი შემდგომ გამარტივდეს ან შემსუბუქდეს.

წევრ სახელმწიფოებს აქვთ უფლება, ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ, დადონ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები და შეთანხმებები, თუ ისინი იმის უკეთეს შესაძლებლობას იძლევიან, რომ ევროპული დაპატიმრების ბრძანების

ფარგლებში გადაცემის პროცესი გამარტივდეს ან შემსუბუქდეს, განსაკუთრებით, თუ ამით უფრო მოკლე ვადები დადგინდება, ვიდრე ეს მე-17 მუხლშია გათვალისწინებული, თუ მე-2 მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული დანაშაულების რიცხვი გაფართოვდება, თუ მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული უარის თქმის საფუძვლები დამატებით შეიზღუდება ან თუკი მე-2 მუხლის 1-ლი ან მე-2 აბზაცებით დადგენილი ზღვარი დაიწევა.

მე-2 ქვეაბზაცის მიხედვით ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს არცერთ შემთხვევაში არ შეუძლიათ ზიანი მიაყენონ იმ წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობებს, რომლებიც ამ ხელშეკრულებისა და შეთანხმებების მხარეებს არ წარმოადგენენ.

წევრი სახელმწიფოები საბჭოსა და კომისიას, ამ ჩარჩო-ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 3 თვის განმავლობაში, ატყობინებენ 1-ლი ქვეაბზაცის შესაბამისი ყველა იმ მოქმედი ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ, რომელთა გამოყენებაც შემდგომშიც სურთ.

წევრი სახელმწიფოები შემდგომ ატყობინებენ საბჭოსა და კომისიას მე-2 ქვეაბზაცის გაგებით ყველა ახალი ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ, მისი ხელმოწერიდან 3 თვის განმავლობაში.

(3) თუკი პირველ აბზაცში დასახელებული ხელშეკრულებები და შეთანხმებები მოქმედებენ წევრი სახელმწიფოების სუვერენულ ტერიტორიებზე ან იმ სუვერენულ ტერიტორიებზე, რომელთაც საგარეო ურთიერთობებში წევრი სახელმწიფო წარმოადგენს, და თუ მათზე ამ ჩარჩო-ხელშეკრულების გამოყენება არ ხდება, მაშინ ეს ინსტრუმენტები შემდგომ გამოიყენება ამ სუვერენულ ტერიტორიებსა და სხვა წევრ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში.

მუხლი 32 გარდამავალი დებულებები

2004 წლის 1 იანვრამდე შემოსული ექსტრადიციის თხოვნების შესასრულებლად შემდგომ გამოიყენება ექსტრადიციის სფეროში არსებული ინსტრუმენტები. ამ დროის შემდგომ შემოსული თხოვნების მიმართ გამოიყენება წევრი სახელმწიფოების მიერ ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესაბამისად გამოცემული დებულებები. ამასთან, ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მიღებისას გააკეთოს განმარტება იმის შესახებ, რომ იგი, როგორც აღმასრულებელი სახელმწიფო, შემდგომი თხოვნის მიმართაც, რომელიც მის მიერ დადგენილ დრომდე ჩადენილ ქმედებებს ეხება, 2004 წლის 1 იანვრამდე მოქმედ ექსტრადიციის წესებს გამოიყენებს. თუმცა ასეთი ქმედების ჩადენის დრო არ უნდა სცდებოდეს 2002 წლის 7 აგვისტოს. ეს განმარტება გამოქვეყნდება ოფიციალურ ჟურნალში. მისი უკან გამოთხოვა ნებისმიერ დროს შეიძლება.

მუხლი 33 განსაზღვრებები, რომლებიც ეხება ავსტრიასა და გიბრალტარს

(1) სანამ ავსტრია თავისი ექსტრადიციისა და სამართლებრივი დახმარების შესახებ კანონის მე-12 მუხლის პირველ აბზაცს არ შეცვლის, მაგრამ ყველაზე გვიან 2008 წლის 31 დეკემბრამდე, უფლება აქვს, თავის აღმასრულებელ იუსტიციის ორგანოებს ნება დართოს, უარი თქვან ევროპული დაპატიმრების ბრძანების აღსრულებაზე, როცა ძებნილი პირი ავსტრიის მოქალაქეს წარმოადგენს და როცა მოქმედება, რომლის გამოც გაცემული იქნა დაპატიმრების ბრძანება, ავსტრიის სამართლის მიხედვით არ არის დასჯადი.

(2) ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება გამოიყენება, ასევე გიბრალტარზეც.

მუხლი 34 განხორციელება

(1) წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ზომას, რათა ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებისათვის საჭირო წინაპირობები 2003 წლის 31 დეკემბრამდე შესრულდეს.

(2) წევრი სახელმწიფოები საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და ევროკომისიას ატყობინებენ იმ დებულებების ტექსტებს, რომლებიც მათ მიერ გამოცემულ იქნა ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვალდებულებების თავიანთ შიდა სამართალში იმპლემენტაციისათვის. ამასთან, ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებას სხვა იმ წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობებში, რომლებმაც მსგავსი განმარტება გააკეთეს, დაუყონებლივ გამოიყენებს.

საბჭოს გენერალური სამდივნო ატყობინებს წევრ სახელმწიფოებსა და ევროკომისიას მე-7 მუხლის მე-2 აბზაცის, მე-8 მუხლის მე-2 აბზაცის, მე-13 მუხლის მე-4 აბზაცისა და 25-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით შემოსულ ინფორმაციებს. იგი ზრუნავს, ასევე ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებაზე.

(3) იმ ინფორმაციების საფუძველზე, რომლებსაც საბჭოს გენერალური სამდივნო წარმოადგენს, ევროკომისია ევროპარლამენტსა და საბჭოს 2004 წლის 31 დეკემბრამდე წარუდგენს ანგარიშს ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების გამოყენების თაობაზე, რომელსაც იგი საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო წინადადებებსაც დაურთავს.

(4) საბჭო 2003 წლის მეორე ნახევარში შეამოწმებს წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილების დებულებების განსაკუთრებით პრაქტიკულ იმპლემენტაციას წევრ სახელმწიფოებში, ასევე შენგენის საინფორმაციო სისტემის (SIS) მუშაობის წესს.

მუხლი 35 ძალაში შესვლა

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დროიდან მეოცე დღეს.

დანართი:

ევროპული დაპატიმრების ბრძანება

(შენიშვნა: წარმოდგენილ ჩარჩო-გადაწყვეტილებას ერთვის ევროპული დაპატიმრების ბრძანების ფორმულარი, რომელიც ამ წიგნში არ ქვეყნდება).

§11 კონკრეტული ევროპული დანაშაულის შემადგენლობები და მსხვერპლის დაცვა

I კონკრეტული ევროპული დელიქტები

კონკრეტული ევროპული დანაშაულის შემადგენლობები თავისი ნამდვილი გაგებით ჯერ არ არსებობს. როგორც ზემოთ არაერთგზის აღინიშნა, სუპრანაციონალური სისხლის-სამართლებრივი კომპეტენცია ევროპის კავშირის ფარგლებში, ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 280-ე მუხლიდან გამომდინარე, საკამათო იყო. არ არსებობს დანაშაულის არცერთი კონკრეტული შემადგენლობა, რომელსაც ექნებოდა უშუალო გამოყენების ძალა. ეს ხარვეზი აღმოიფხვრა ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 325-ე მუხლით. იგი ევროკავშირს ცალსახად ანიჭებს სუპრანაციონალური სისხლის სამართლის ნორმების გამოცემის უფლებამოსილებას ერთ კონკრეტულ სფეროში, კერძოდ, ევროპის კავშირის ფინანსური ინტერესების დასაცავად. ამ ვითარებაში, მიზანშეწონილია ერთიანი ევროპული პროკურატურის ინსტიტუტის შემოღება, რომელიც გათვალისწინებულია ამავე ხელშეკრულების 86-ე მუხლით. სამომავლოდ შესაძლებელია, მისი კომპეტენტიის სფეროში მოექცეს ყველა იმ დანაშაულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, რომელიც დღეისათვის წარმოადგენს ჰარმონიზაციის სფეროს.

ევროპის კავშირის ფარგლებში უკანასკნელი წლების მანძილზე სწორედ ჰარმონიზაციის სფეროში მიღებულია არაერთი სამართლებრივი ნორმა, რომელიც დაკავშირებულია მატერიალური სისხლის სამართლის დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობებთან და სასჯელებთან.

ქვემოთ წარმოდგენილი იქნება დანაშაულთა ის სფეროები, რომლებშიც მოხდა ნაციონალური სამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაცია. აღსანიშნავია, რომ ამ ჰარმონიზაციის დროს ყოველთვის საქმე ეხება მინიმალური სტანდარტების დაწესებას. წევრ სახელმწიფოს კი, თავის მხრივ, არ ეკრძალება, ნაციონალური სამართლის ნორმებით გააფართოოს აღნიშნული მინიმალური ჩარჩო-სტანდარტები.

წიგნში კონკრეტული დელიქტების შესახებ სამართლებრივი აქტები, რომლებიც განსაზღვრული დანაშაულების შემადენლობებს უკავშირდება, წარმოდგენილია შემდეგი თანმიმდევრობით:[1]

(1) დანაშაულები, ჩადენილი ევროპული გაერთიანების ბიუჯეტის საზიანოდ; აქ წარმოდგენილი იქნება სამართლებრივი აქტები, რომლებიც ეხება თაღლითობასა და მექრთამეობას ევროპული გაერთიანების ფინანსური ინტერესებისთვის ზიანის მიყენებით, ასევე ფულის გათეთრებას ევროგაერთიანების ბიუჯეტის საზიანოდ და ოქმი დასახელებულ სამართლებრივ აქტებზე ევროპული გაერთიანებების სასამართლოს ინტერპრეტაციის უფლებამოსილების შესახებ;

(2) დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობა და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლა;

(3) ფულის გაყალბება;

(4) უნაღდო გადახდის საშუალებების თაღლითობა და გაყალბება;

---

[1] ასეთი თანმიმდევრობით დელიქტები მოცემულია, ასევე წიგნში: *Wasmeier/Möhlig,* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008. წარმოდგენილი წიგნის დამუშავების დროს ჩვენ სწორედ ამ გერმანული კრებულით ვისარგებლეთ.

(5) კორუფცია საჯარო და კერძო სექტორებში;
(6) ფულის გათეთრება;
(7) ტერორიზმი, მათ შორის, ტერორიზმთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლა;
(8) ადამიანით ვაჭრობა და ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია;
(9) დანაშაული, დაკავშირებული არალეგალურ მიგრაციასთან;
(10) ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა;
(11) კომპიუტერული დამნაშავეობა;
(12) რასიზმი და ქსენოფობია.

ამ წიგნში ქვემოთ გარკვეული სისტემით წარმოდგენილი ევროპის კავშირის ფარგლებში მიღებული სისხლისსამართლებრივი აქტები არ არის ამომწურავი, რის გამოც, დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია დამატებით მოიძიოს და დაამუშავოს ისინი[1].

1. დანაშაულები ევროპული გაერთიანების ბიუჯეტის საზიანოდ

1995 წლის ივლისში ევროპის კავშირის წევრმა სახელმწიფოებმა სუბვენციური[2] (სუბსიდიური) და საგადასახადო თაღლითობების წინააღმდეგ საბრძოლველად, ევროპული გაერთიანებების ბიუჯეტის დაცვის მიზნით, ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ძალაში შევიდა წევრი სახელმწიფოების მიერ რატიფიკაციის შედეგად, 2002 წლის ოქტომბერში. ძალაშია, ასევე შესული ოქმები, რომლებიც შეეხება მექრთამეობასა და ევროპული სასამართლოს მიერ შეთანხმების ინტერპრეტაციას, ასევე არსებობს შემდეგი სხვა ოქმიც, რომელიც შეეხება ფულის გათეთრებას.[3]

ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ პრიმერულ-სამართლებრივ ნორმას წარმოადგენს ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 325-ე მუხლი, რომელიც შეიქმნა ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 280-ე მუხლის ბაზაზე. ამ მუხლის საფუძველზე გამოიცა არაერთი სეკუნდერული სამართლებრივი აქტი. აქვე აღსანიშნავია ევროკომისიის მიერ შექმნილი თაღლითობასთან ბრძოლის ევროპული სამსახური[4] (OLAF[5]), რომელიც უფლებამოსილია, ამ სფეროში ჩაატაროს გამოძიებები.

---

[1] გერმანულ ენაზე იხილეთ, მაგალითად, კრებული: *Esser* (Hrsg.): Europäisches und Internationales Strafrecht, 2009.

[2] სუბვენცია (ლათ. subventio დახმარება) – იგივე, რაც სუბსიდია.

[3] *Wasmeier/Möhlig* (Hrsg.): Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 273.

[4] ABl. L 136, 31. 05. 1999.

[5] *„Office europeen de lutte antifraud"*.

1.1 თაღლითობა ევროპული გაერთიანების ფინანსური ინტერესებისთვის ზიანის მიყენებით

1995 წლის 26 ივლისის შეთანხმება[1] ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ

(მიღებულია ევროპის კავშირის ხელშეკრულების K.3 მუხლის საფუძველზე)

მოკლე პრეამბულის შემდეგ, შეთანხმების მუხლები ჩამოყალიბებულია შემდეგი შინაარსით:

მუხლი 1 ზოგადი განსაზღვრებები

(1) ამ შეთანხმების მიზნებისათვის, თაღლითობის შემადგენლობა მოიცავს ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესებისათვის ზიანის მიყენებას,

a) რაც დაკავშირებულია ისეთ განზრახ მოქმედებასთან ან უმოქმედობასთან, რომელიც ეხება ფინანსურ ხარჯებს და გამოიხატა:

– ყალბი, არასწორად ან არასრულყოფილად შედგენილი დეკლარიციების ან დოკუმენტაციის წარდენაში ან გამოყენებაში, რასაც შედეგად მოჰყვა ევროპული გაერთიანებების ერთიანი ბიუჯეტის გეგმიდან ან ბიუჯეტებიდან ხარჯების, რომლებიც ევროპული გაერთიანებების მიერ ან მისივე დავალებით იმართება, არამართლზომიერი მოთხოვნა ან გადაუხდელობა;

– ინფორმაციის დამალვაში, ჩადენილი სპეციფიკური ვალდებულების დარღვევით, რასაც ზემოთ მოხსენიებული შედეგი მოჰყვა;

– მსგავსი ხარჯების სხვა მიზნებისათვის ბოროტად გამოყენებაში, ვიდრე ისინი თავდაპირველად იყო განსაზღვრული;

b) რაც დაკავშირებული ისეთ განზრახ მოქმედებასთან ან უმოქმედობასთან, რომელიც ეხება შემოსავლების მიღებას და გამოიხატა:

– ყალბი, არასწორად ან არასრულყოფილად შედგენილი დეკლარიციების ან დოკუმენტაციის წარდენაში ან გამოყენებაში, რასაც შედეგად მოჰყვა ევროპული გაერთიანებების ერთიანი ბიუჯეტის გეგმიდან ან ბიუჯეტებიდან ხარჯების, რომლებიც ევროპული გაერთიანებების მიერ ან მისივე დავალებით იმართება, მართლსაწინააღმდეგო შემცირება;

– ინფორმაციის დამალვაში, ჩადენილი სპეციფიკური ვალდებულების დარღვევით, რასაც ზემოთ დასახელებული შედეგი მოჰყვა;

– კანონიერი გზით მიღებული უპირატესობის ბოროტად გამოყენებაში, რასაც მოჰყვა ზემოთ დასახელებული შედეგი.

(2) მე-2 მუხლის მე-2 აბზაცის გათვალისწინებით, ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ და საჭირო ღონისძიებებს, რათა 1-ლი აბზაცი თავის შიდასახელმწიფოებრივ სამართალში ისე იყოს იმპლემენტირებული, რომ ამ აბზაცში მოცული ქმედებები, როგორც დანაშაულები, ისე იქნეს აღწერილი.

(3) მე-2 მუხლის მე-2 აბზაცის გათვალისწინებით, ყოველი წევრი სახელმწიფო შემდგომში იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა ყალბი, არასწორი ან არასრულყოფილი დეკლარიციების ან დოკუმენტაციის განზრახ წარმოება ან დამზადება პირველ აბზაცში დასა-

---

[1] Übereinkommen aufgrund von Artikel K.3 des Vertrags über die Europäische Union über den Schutz der finanziellen Interessen der Europäischen Gemeinschaften (27.11.1995).

Convention drawn up on the basis of Article K.3 of the Treaty on European Union, on the protection of the European Communities' financial interests (27.11.1995).

ხელებული შედეგებით, როგორც დანაშაულებად, ისე იქნეს აღწერილი, თუკი ეს ქმედებები, 1-ლი აბზაცის გაგებით, გამოცხადებული არ არის დასჯად დამოუკიდებელ დანაშაულად ან თაღლითობაში თანამონაწილეობად, როგორც წამქეზებლობა, ან ასეთი თაღლითობის მცდელობად.

(4) მოქმედების ან უმოქმედობის განზრახი ხასიათი, 1-ლი და მე-3 აბზაცების თანახმად, შესაძლოა, გამომდინარეობდეს ქმედების ობიექტური შემადგენლობის გარემოებებიდან.

მუხლი 2 სანქციები

1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა პირველ მუხლში დასახელებული ქმედებების წინააღმდეგ, ასევე 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცის გაგებით ქმედებებში თანამონაწილეობის, მისი წამქეზებლობის ან ასეთი ქმედებების მცდელობის მიმართ უზრუნველყოფილ იქნეს ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სასჯელის გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც, მინიმუმ თაღლითობის მძიმე შემთხვევების დროს, მოიცავს, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთას, რა დროსაც შესაძლებელია ექსტრადიციის განხორციელება. თაღლითობის მძიმე შემთხვევად ითვლება ის თაღლითობა, რომელიც ყოველ წევრ სახელმწიფოში დადგენილი მინიმუმი ფულადი თანხით განისაზღვრება. ასეთი მინიმუმი ფულადი თანხა არ შეიძლება, აღემატებოდეს 50 000 ECU[1]-ს.

2) ამასთან, ყოველ წევრ სახელმწიფოს, თაღლითობის ნაკლებად მძიმე შემთხვევებში, როდესაც საერთო ფულადი თანხა 4 000 ECU-ზე ნაკლებია და თავისი სამართლებრივი დებულებების თანახმად, მოცემული არ არის ქმედების დამამძიმებელი გარემოებები, შეუძლია, გამოიყენოს სხვა ხასიათის სანქციები, ვიდრე ეს პირველ აბზაცში მოცემულ სასჯელებშია გათვალისწინებული.

3) საბჭო უფლებამოსილია, მე-2 აბზაცში გათვალისწინებული თანხა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით შეცვალოს.

მუხლი 3 საწარმოს ხელმძღვანელების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა თავისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის პრინციპების შესაბამისად, მოხდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება საწარმოს ხელმძღვანელის, გადაწყვეტილების მიმღები ან მაკონტროლებელი პირის მიმართ, მათ მიერ თაღლითური ქმედებების განხორციელების შემთხვევაში, რამაც შესაძლოა, 1-ლი მუხლის თანახმად, ზიანი მიაყენოს ევროპული გაერთიანებების ფინანსურ ინტერესებს, რომლებიც ჩადენილ იქნა მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირების მიერ, საწარმოსთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით.

მუხლი 4 იურისდიქცია

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა თავისი იურისდიქცია 1-ლი მუხლისა და მე-2 მუხლის 1-ლი აბზაცის მიხედვით აღწერილ ქმედებებზე დაასაბუთოს იმ შემთხვევებში, როცა:

– თაღლითობა, თაღლითობაში თანამონაწილეობა ან თაღლითობის მცდელობა, ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების საზიანოდ, მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილია

[1] European Currency Unit, ევროპის გაერთიანების საბანკო ანგარიშსწორების ფულის ერთეული, რომელიც 1999 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა ფულის ისეთი ახალი ერთეულით, როგორიც არის ევრო.

მის სუვერენულ ტერიტორიაზე, თაღლითობის იმ შეთხვევების ჩათვლით, რომლებშიც გამორჩენა ამ წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე იქნა მოთხოვნილი;

– მის სუვერენულ ტერიტორიაზე მყოფი პირი, სხვა სუვერენულ ტერიტორიაზე ასეთი თაღლითობის ჩადენას შეგნებულად ხელს შეუწყობს ან მასში წააქეზებს;

– დანაშაულის ჩამდენი პირი დაინტერესებული წევრი სახელმწიფოს მოქალაქეა, ამასთან, შესაძლოა, ამ წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი დებულებები იმაზე იყოს ორიენტირებული, რომ ქმედება იმ სახელმწიფოშიც ისჯებოდეს, სადაც მისი ჩადენა მოხდა.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო უფლებამოსილია, ნოტიფიკაციისას, მე-11 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, გააკეთოს განმარტება, რომ ის 1-ლი აბზაცის მე-3 ქვეაბზაცით გათვალისწინებულ წესს არ გამოიყენებს.

მუხლი 5 გადაცემა და დევნა

1) თუკი წევრი სახელმწიფო, თავისი სამართლის შესაბამისად, საკუთარ მოქალაქეს არ გადასცემს, მაშინ ის იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა 1-ლი მუხლისა და მე-2 მუხლის 1-ლი აბზაცის მიხედვით აღწერილი დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც მისმა მოქალაქეებმა ამ სახელმწიფოს სუვერენული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ჩაიდინეს, დაუქვემდებაროს თავის იურისდიქციას.

2) ყოველი წევრი სახელმწიფო დაკავებულია იმით, რომ მისმა კომპეტენტურმა უწყებებმა, საჭიროების შემთხვევაში, შეძლონ სამართლებრივი დევნის განხორციელება საკუთარი მოქალაქეების მიმართ, თუკი რომელიმე მათგანი ბრალდებულია სხვა წევრ სახელმწიფოში იმ დანაშაულების ჩადენის გამო, რომლებიც გათვალისწინებულია პირველ მუხლსა და მე-2 მუხლის პირველ აბზაცში და ეს პირი გადაცემული არ არის სხვა სახელმწიფოსთვის ამ სახელმწიფოს მოქალაქეობის გამო. ამ მიზნით, დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებული აქტები, საბუთები და ნივთები ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პროცედურის თანახმად, გადაიგზავნება. თხოვნის გამგზავნი სახელმწიფო სამართლებრივი დევნის მიმდინარეობის პროცესისა და შედეგების შესახებ ინფორმირებული უნდა იქნეს.

3) წევრ სახელმწიფოს უფლება არა აქვს, უარი თქვას ექსტრადიციის განხორციელებაზე, რომელიც დაკავშირებულია თაღლითობასთან და ზიანს აყენებს ევროპული გაერთიანებების ფინანსურ ინტერესებს, მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ საქმე ეხება მოსაკრებელს ან საბაჟო დელიქტს.

4) ამ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ცნება წევრი სახელმწიფოს „მოქალაქე“, საჭიროების შემთხვევაში, დაინტერესებული წევრი სახელმწიფოს მიერ განმარტებული უნდა იქნეს ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი აბზაცის b) ქვეპუნქტის მიხედვით გაკეთებული განმარტებისა და დასახელებული მუხლის 1-ლი აბზაცის c) ქვეპუნქტის შესაბამისად.

მუხლი 6 თანამშრომლობა

1) თუ თაღლითობა, როგორც ეს განმარტებულია პირველ მუხლში, წარმოადგენს დანაშაულს და შეეხება ორ ან მეტ წევრ სახელმწიფოს, მაშინ ეს სახელმწიფოები გამოძიებების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასჯელის აღსრულების პროცესში ერთმანეთთან ეფექტურად თანამშრომლობენ. ამგვარი თანამშრომლობა გამოიხატება, მაგალითად, სამართლებრივ დახმარებაში, ექსტრადიციაში, სისხლისსამართლებრივი დევნის ან ერთ რომელიმე სხვა წევრ სახელმწიფოში გამოტანილი განაჩენის აღსრულების გადაცემაში.

2) თუკი რამდენიმე წევრი სახელმწიფოს იურისდიქცია და შესაძლებლობა არსებობს

იმ დანაშაულის მიმართ, რომელიც ერთი და იმავე ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნება, სამართლებრივი დევნის ეფექტურად განხორციელებაზე, მაშინ დაინტერესებული წევრი სახელმწიფოები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, რათა გადაწყდეს, ამ სახელმწიფოებიდან თუ რომელი მათგანი განახორციელებს დამნაშავის (დამნაშავეების) მიმართ სამართლებრივ დევნას, რათა მოხდეს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შეძლებისდაგვარად კონცენტრაცია ერთ რომელიმე წევრ სახელმწიფოში.

მუხლი 7 Ne bis in idem

1) წევრი სახელმწიფოები თავიანთ შიდასახელმწიფოებრივ სისხლის სამართალში იყენებენ *Ne bis in idem*-ის პრინციპს, რის შედეგადაც, პიროვნების მიმართ, რომლის წინააღმდეგ სხვა წევრ სახელმწიფოში უკვე გამოტანილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, დაუშვებელია სამართლებრივი დევნის ხელმეორედ განხორციელება იგივე ქმედების გამო, თუკი განაჩენის სანქცია აღსრულებულია ან აღსრულების პროცესშია ან სასჯელის შემფარდებელი სახელმწიფოს მიერ აღსრულების განხორციელება შეუძლებელია.

2) მე-11 მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად, წევრ სახელმწიფოს შეუძლია, ნოტიფიკაციისას გააკეთოს განმარტება, რომ ის ერთ ამ რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში, 1-ლი აბზაცით არ იქნება შებოჭილი, კერძოდ:

a) როცა ქმედება, რომელზეც სხვა სახელმწიფოს მიერ გამოტანილია განაჩენი, მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილია თავის სუვერენულ ტერიტორიაზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ეს გამონაკლისი წესი არ მოქმედებს, თუ აღნიშნული ქმედება ნაწილობრივ ჩადენილია იმ წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე, სადაც განაჩენი იქნა გამოტანილი;

b) თუკი ქმედება, რომელიც საფუძვლად დაედო სხვა სახელმწიფოს მიერ გამოტანილ განაჩენს, წარმოადგენს ამ წევრი სახელმწიფოს უსაფრთხოების ან სხვა მსგავსი არსებითი ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს;

c) თუკი დანაშაული, რომელზეც სხვა სახელმწიფოს მიერ გამოტანილია განაჩენი, ჩადენილია ამ წევრი სახელმწიფოს საჯარო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევით.

3) ის გამონაკლისები, რომლებიც მე-2 აბზაცში მოცემული განმარტებების საგანს წარმოადგენს, არ გამოიყენება, თუკი დაინტერესებული წევრი სახელმწიფო სხვა წევრ სახელმწიფოს იგივე ქმედების გამო სამართლებრივი დევნის განსახორციელებლად თხოვნით მიმართავს ან ექსტრადიციაზე თანხმობას განაცხადებს.

4) წევრ სახელმწიფოებს შორის დადებული შესაბამისი ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებები და ამასთან დაკავშირებით გაკეთებული დეკლარაციები, ამ მუხლისგან ხელშეუხებელი რჩება.

მუხლი 8 სასამართლო

1) წევრ სახელმწიფოებს შორის დავა, რაც დაკავშირებულია ამ შეთანხმების გამოყენებასთან ან განმარტებასთან, დარეგულირების მიზნით, თავდაპირველად განიხილება საბჭოში, ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 სათაურში გათვალისწინებული პროცესის შესაბამისად.

თუკი ასეთი დავა 6 თვის განმავლობაში არ მოგვარდა, მაშინ ევროპული გაერთიანებების სასამართლო უფლებამოსილია, მხარებს შორის არსებული დავა თავად გადაწყვიტოს.

2) ევროპული გაერთიანებების სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს ერთ ან

რამდენიმე წევრ სახელმწიფოსა და ევროპული გაერთიანებების კომისიას შორის არსებული დავები, ამ შეთანხმების 1-ლი ან მე-10 მუხლების შესახებ, როცა ამგვარი საკითხების მოლაპარაკებებით დარეგულირება შეუძლებელია.

მუხლი 9 შიდასახელმწიფოებრივი დებულებები

ეს შეთანხმება არ ბოჭავს წევრ სახელმწიფოებს, გამოსცენ შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დებულებები, რომლებიც ამ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების საზღვრებს სცილდებიან.

მუხლი 10 შეტყობინება

1) წევრი სახელმწიფოები ატყობინებენ ევროპული გაერთიანებების კომისიას იმ დებულებების ტექსტს, რომლის მიხედვითაც, ამ შეთანხმებიდან გამომდინარე თავიანთი ვალდებულებები შიდასახელმწიფოებრივ სამართალში იქნა იმპლემენტირებული.

2) ამ შეთანხმების გამოყენების მიზნით, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ევროკავშირის საბჭოში აცხადებენ, რომელი ინფორმაციები უნდა იქნეს გადაცემული ან გაცვლილი და რა მეთოდით უნდა განხორციელდეს აღნიშნული პროცესი, წევრ სახელმწიფოებს ან წევრ სახელმწიფოებსა და კომისიას შორის.

მუხლი 11 ძალაში შესვლა

1) ეს შეთანხმება მოითხოვს თითოეული წევრი სახელმწიფოს მხრიდან იმ პროცედურის შესაბამისად მიღებას, რომელიც გათვალისწინებულია თითოეული მათგანის შესაბამისი კონსტიტუციური-სამართლებრივი დებულებებით.

2) წევრი სახელმწიფოები ოფიციალურად აცნობებენ საბჭოს გენერალურ მდივანს პროცესის დასრულებას, რომელიც, თითოეული მათგანის შესაბამისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი დებულებების მიხედვით, ამ შეთანხმების მიღებისთვის აუცილებელია.

3) ეს შეთანხმება ძალაში შედის 90-ე დღეს მე-2 აბზაცში დასახელებული წევრი სახელმწიფოს მხრიდან ნოტიფიკაციის მომენტიდან, რომელმაც ბოლოს მოახდინა ეს ფორმალობა.

მუხლი 12 შეერთება

1) ამ შეთანხმების რატიფიკაცია შეუძლია ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს წარმოადგენს.

2) ევროპის კავშირის საბჭოს მიერ შედგენილი ამ შეთანხმების ტექსტი იმ სახელმწიფოს ენაზე, რომელიც მას უერთდება, სავალდებულო ძალის მქონეა.

3) შეერთების სიგელი ინახება დეპონირების განმახორციელებელ პირთან.

4) ეს შეთანხმება ძალაში შედის ნებისმიერი იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც მას მიუერთდა, 90-ე დღეს, მას შემდეგ, რაც იგი მოახდენს შეერთების სიგელის დეპონირებას ან ამ შეთანხმების ძალაში შესვლის დროიდან, თუ ეს შეთანხმება დასახელებული 90 დღის განმავლობაში ჯერ კიდევ არ იყო ძალაში შესული.

მუხლი 13 დეპონირება

1) ამ შეთანხმების დეპონირება ხდება ევროპის კავშირის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2) დეპონირების განმახორციელებელი პირი აქვეყნებს ევროპული გაერთიანებების ოფიციალურ ჟურნალში წევრი სახელმწიფოების მიერ ამ შეთანხმების მიღებისა და მასთან შეერთების მდგომარეობის, გაკეთებული განმარტებებისა და დათქმების, ასევე ამ შეთანხმებასთან დაკავშირებული ყველა სხვა ნოტიფიკაციების შესახებ.

1.2 მექრთამეობა ევროპული გაერთიანების ფინანსური ინტერესებისთვის ზიანის მიყენებით

ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ შეთანხმების 1996 წლის 27 სექტემბრის ოქმი[1]

(მიღებულია ევროპის კავშირის ხელშეკრულების K.3 მუხლის საფუძველზე)

ეს ოქმი წარმოადგენს ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ შეთანხმების განვრცობას, განსაკუთრებით, მექრთამეობის ქმედებებთან მიმართებაში, რომლის შედეგადაც შესაძლებელია, ზიანი მიადგეს ევროპული გაერთიანებების, შესაბამისად, ევროკავშირის ფინანსურ ინტერესებს.

ამ ოქმის ცალკეული მუხლები შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

მუხლი 1 დეფინიცია

ამ ოქმის მიზნებისათვის,

(1) a) ტერმინი „მოხელე“ ნიშნავს, როგორც გაერთიანების, ისე ნაციონალურ მოხელეს, სხვა წევრი სახელმწიფოს ნაციონალური მოხელის ჩათვლით;

b) ტერმინი „გაერთიანების მოხელე“ ნიშნავს:

– ნებისმიერ პირს, რომელიც ევროპული გაერთიანებების მოხელის სტატუსის ან ევროპული გაერთიანებების სხვა მოსამსახურეებისათვის საქმიანობის პირობების გაგებით, წარმოადგენს მოხელეს ან ხელშეკრულებით მომუშავე პირს;

– ნებისმიერ პირს, რომელიც წევრი სახელმწიფოების ან საჯარო ან კერძო დაწესებულებების მიერ ევროპული გაერთიანებების სამსახურში არიან ჩაყენებული და ასრულებენ იმ დავალებებს, რომლებიც შეესაბამება ევროპული გაერთიანებების მოხელეების ან მომსახურეების დავალებებს.

ევროპული გაერთიანებების შექმნის შესახებ ხელშეკრულებით დაფუძნებული დაწესებულებების წევრები, ასევე ამ დაწესებულებების პერსონალი, სარგებლობენ გაერთიანების მოხელეების შესაბამისი უფლებამოსილებებით, რამდენადაც მათზე არ ვრცელდება ევროპული გაერთიანებების მოხელეების სტატუსი ან ევროპული გაერთიანებების მსგავსი სამსახურების საქმიანობის პირობები;

c) ტერმინი „ნაციონალური მოხელე“ ინტერპრეტირებული უნდა იქნეს იმ წევრი სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივ სამართალში არსებული მოხელის ან თანამდებობის

---

[1] Protokoll aufgrund von Artikel K.3 des Vertrags über die Europäische Union zum Übereinkommen über den Schutz der finanziellen Interessen der Europäischen Gemeinschaften (23.10.1996).

Protocol drawn up on the basis of Article K.3 of the Treaty on European Union to the Convention on the protection of the European Communities' financial interests (23.10.1996).

პირის შესახებ განსაზღვრების შესაბამისად, რომელშიც ის პირი, რომელსაც ეს ეხება, ამ თვისების მატარებელია, აღნიშნული წევრი სახელმწიფოს სისხლის სამართლის გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე._

თუ საქმე ეხება პროცესს, რომელიც წევრმა სახელმწიფომ დანაშაულის ჩადენის გამო წამოიწყო და რომელშიც მონაწილეა სხვა წევრი სახელმწიფოს მოხელე, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, „ნაციონალური მოხელის" ცნების გამოყენება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მის შიდასახელმწიფოებრივ სამართალს შეესაბამება;

(2) ტერმინი „შეთანხმება" აღნიშნავს 1995 წლის 26 ივლისის ევროპის კავშირის K.3 მუხლის საფუძველზე მიღებულ შეთანხმებას, რომელიც უკავშირდება ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვას.

მუხლი 2 ქრთამის აღება

1) ამ ოქმის მიზნებისათვის, მექრთამეობის შემადგენლობა მაშინ არის მოცემული, როცა მოხელე განზრახ, უშუალოდ ან შუამავალი პირის მეშვეობით, თავისთვის ან მესამე პირის სასარგებლოდ ნებისმიერი სახის უპირატესობას მოითხოვს, აიღებს ან დაპირებას მიიღებს, თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევით ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით, ჩადენილი მოქმედებით ან უმოქმედობით, რასაც შედეგად მოჰყვა ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების ხელყოფა ან ასეთი ზიანის საფრთხის შექმნა.

2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა პირველ აბზაცში მოცემული ქმედებები დანაშაულებად გამოაცხადონ.

მუხლი 3 ქრთამის მიცემა

1) ამ ოქმის მიზნებისათვის, მოქრთამვის შემადგენლობა მაშინ არის სახეზე, როცა პირი მოხელეს განზრახ, უშუალოდ ან შუამავალი პირის მეშვეობით, თავისთვის ან მესამე პირის სასარგებლოდ ქმედების შესრულების სანაცვლოდ, ნებისმიერი სახის უპირატესობას შეპირდება ან მიანიჭებს, რათა მოხელის მიერ მოხდეს თავისი სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევით სამსახურებრივი საქმიანობის ან თავისი სამსახურის შესრულებისას ისეთი მოქმედების განხორციელება ან უმოქმედობა, რის შედეგადაც მოხდება ევროპული გაერთიანებების ფინანსურ ინტერესებს დაზიანება ან ასეთი ზიანის საფრთხის შექმნა.

2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა პირველ აბზაცში მოცემული ქმედებები დანაშაულებად გამოაცხადონ.

მუხლი 4 ასიმილაცია

1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მის სისხლის სამართალში აღწერილი დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც წარმოადგენენ მოქმედებას შეთანხმების 1-ლი მუხლის გაგებით და განხორციელებული იქნებიან მისი ნაციონალური მოხელეების მიერ თავიანთი სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების დროს, გამოყენებულ იქნეს იმ ანალოგიური შემთხვევებისთვისაც, როდესაც დანაშაულები ჩადენილია ევროპული გაერთიანებების მოხელეების მიერ თავიანთ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მის სისხლის სამართლში აღწერილი დანაშაულებრივი ქმედებები,

რომლებიც მოცემულია ამავე მუხლის პირველ აბზაცში და მე-2 და მე-3 მუხლებში, რომლებიც ჩადენილია თავისი მთავრობის მინისტრების, საპარლამენტო ორგანოების არჩეული წარმომადგენლების, უზენაესი სასამართლოს წევრების ან კონტროლის პალატის წევრების მიერ ან მათ წინააღმდეგ თავიანთი სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელების დროს, ანალოგიურად გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევებზეც, როდესაც დანაშაული ჩადენილი იქნება ევროპული გაერთიანებების კომისიის, ევროპული პარლამენტის, სასამართლოსა და ევროპული გაერთიანებების კონტროლის პალატის წევრების მიერ ან მათ წინააღმდეგ, თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს.

3) თუკი წევრ სახელმწიფოს გამოცემული აქვს განსაკუთრებული სამართლებრივი დებულებები იმ მოქმედებისთვის ან უმოქმედობისთვის, რომლებიც განსაზღვრავენ მთავრობის მინისტრების პასუხისმგებლობას, მათი განსაკუთრებული პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, დაინტერესებულ წევრ. სახელმწიფოში, მაშინ ამ მუხლის მე-2 აბზაცი არ მოქმედებს ამ დებულებებისათვის, რამდენადაც წევრი სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ სისხლისსამართლებრივი დებულებებით, რომლებითაც მოხდა მე-2 და მე-3 მუხლების, ასევე მე-4 მუხლის 1-ლი აბზაცის იმპლემენტირება, მოცული იქნეს, ასევე ევროპული გაერთიანებების კომისიის წევრებიც.

4) 1-ლი, მე-2 და მე-3 აბზაცები ხელშეუხებელს ტოვებს ყოველ წევრ სახელმწიფოში მოქმედ სისხლის სამართლის პროცესის დებულებებსა და თითოეული კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრებას.

5) ეს ოქმი გამოიყენება ევროპული გაერთიანებების შესახებ ხელშეკრულების, ევროპული გაერთიანებების პრიორიტეტებისა და შეღავათების შესახებ ოქმის, სასამართლოს წესდების, ასევე ამისთვის გამოცემული მათი განხორციელების შესახებ დებულებების სრული შენარჩუნებით, რომლებიც ეხება შეღავათების გაუქმებას.

მუხლი 5 სანქციები

1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-2 და მე-3 მუხლებში დასახელებული ქმედებების ან ასეთ დანაშაულებში დახმარებისა და მათი წაქეზების დასჯადობა თანაზომიერი, ეფექტური და დამაშინებელი სასჯელებით, რომლებიც სულ მცირე დამამძიმებელ გარემოებებში, ასევე თავისუფლების აღკვეთას მოიცავს, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება ექსტრადიციის განხორციელება.

2) 1-ლი აბზაცი ხელშეუხებელს ტოვებს კომპეტენტური ორგანოების უფლებამოსილებას ნაციონალური ან გაერთიანების მოხელეების მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების თაობაზე. სასჯელის შეფარდებისას ნაციონალურ სასამართლოებს, თავიანთი შისახელმწიფოებრივი სამართლის პრინციპების შესაბამისად, შეუძლიათ, გაითვალისწინონ ის დისციპლინირული ღონისძიებები, რომლებიც გამოყენებულ იქნა იმავე პირის მიმართ იგივე ქმედების ჩადენის გამო.

მუხლი 6 იურისდიქცია

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა თავისი იურისდიქცია შეთანხმების მე-2, მე-3 და მე-4 მუხლების მიხედვით აღწერილ დანაშაულების იმ შემთხვევებზე დაასაბუთოს, როცა

a) დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილია მის სუვერენულ ტერიტორიაზე,

b) საქმე ეხება იმ დამნაშავეს, რომელიც არის თავისი მოქალაქე ან მოხელე,

c) საქმე ეხება იმ დანაშაულს, რომელიც მიმართულია პირველ მუხლში დასახელე-

ბული პირის ან მე-4 მუხლის მე-2 აბზაცში დასახლებული უწყებების წევრის წინააღმდეგ, რომელიც მის მოქალაქეს წარმოადგენს,

d) საქმე ეხება იმ დამნაშავეს, რომელიც არის ევროპული გაერთიანებების ორგანოს ან ევროპული გაერთიანებების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე დაფუძნებული დაწესებულების მოხელე, ამასთან, თუ ეს ორგანოები მდებარეობენ დაინტერესებული წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო უფლებამოსილია, მე-9 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით ნოტიფიკაციისას, განმარტოს, რომ ის იურისდიქციის შესახებ ერთ ან რამდენიმე განსაზღვრებას, 1-ლი აბზაცის b), c), და d) პუნქტების შესაბამისად, საერთოდ არ გამოიყენებს ან მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში ან მხოლოდ განსაზღვრული გარემოებების არსებობისას გამოიყენებს.

მუხლი 7 კავშირი შეთანხმებასთან და ხელშეკრულებასთან

1) შეთანხმების მე-3 მუხლი, მე-5 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 აბზაცები, ასევე მე-6 მუხლი მოქმედებს ისე, თითქოს ისინი შეიცავენ მითითებებს მოქმედებებზე ამ ოქმის მე-2, მე-3 და მე-4 მუხლების გაგებით.

2) შეთანხმების შემდეგი დებულები მოქმედებენ, აგრეთვე, ამ ოქმისთვის:

– მე-7 მუხლი, ისე, რომ განმარტებები შეთანხმების მე-7 მუხლის მე-2 აბზაცის გაგებით, ასევე ამ ოქმისთვისაც მოქმედებენ, თუკი ნოტიფიკაციის დროს, ამ ოქმის მე-9 მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად, სხვაგვარი დათქმა არ იქნა გაკეთებული,

– მე-9 მუხლი,

– მე-10 მუხლი.

მუხლი 8 სასამართლო

(1) წევრ სახელმწიფოებს შორის დავა, რომელიც დაკავშირებულია ამ შეთანხმების გამოყენებასთან ან განმარტებასთან, დარეგულირების მიზნით, თავდაპირველად განიხილება საბჭოში, ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 სათაურში გათვალისწინებული პროცესის შესაბამისად.

თუკი ასეთი დავა 6 თვის განმავლობაში არ მოგვარდა, მაშინ ევროპული გაერთიანებების სასამართლო უფლებამოსილია, მხარებს შორის არსებული დავა თავად გადაწყვეტოს.

(2) ევროპული გაერთიანებების სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს ერთი ან რამდენიმე წევრი სახელმწიფოსა და ევროპული გაერთიანებების კომისიას შორის არსებული დავები ამ ოქმის 1-ლი მუხლის შესახებ, 1-ლი პუნქტის c) ქვეპუნქტის გარდა, ასევე მე-2, მე-3 და მე-4 მუხლების, ასევე მე-7 მუხლის მე-2 აბზაცის მე-3 ქვეპუნქტის შესახებ, როცა შეუძლებელია ამგვარი საკითხების მოლაპარაკებებით დარეგულირება.

მუხლი 9 ძალაში შესვლა

(1) ეს ოქმი მოითხოვს თითოეული წევრი სახელმწფოს მხრიდან იმ პროცედურის შესაბამისად მიღებას, რომელიც გათვალისწინებულია თითოეული მათგანის შესაბამისი კონსტიტუციური-სამართლებრივი დებულებებით.

(2) წევრი სახელმწიფოები ოფიციალურად აცნობებენ საბჭოს გენერალურ მდივანს პროცესის დასრულებას, რომელიც სახელმწიფოების კონსტიტუციური დებულებების მიხედვით ამ ოქმის მიღებისთვის აუცილებელია.

(3) ეს ოქმი ძალაში შედის მისი ნოტიფიკაციიდან 90-ე დღეს, მე-2 აბზაცის შესა-

ბამისად, იმ სახელმწიფოს მიერ, რომელიც საბჭოს მიერ ამ ოქმის შემუშავების შესახებ სამართლებრივი აქტის მიღების დროს ევროპის კავშირის წევრი არის და რომელიც ამ ფორმალობას ბოლო შეასრულებს. თუკი ამ დროს შეთანხმება ჯერ კიდევ ძალაში შესული არ არის, მაშინ ეს ოქმი ძალაში შევა შეთანხმების ძალაში შესვლის დროს.

მუხლი 10 ახალ სახელმწიფოთა შეერთება

(1) ამ ოქმის რატიფიკაცია შეუძლია ნებისმიერ იმ სახელმწიფოს, რომელიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს წარმოადგენს.

(2) ევროპის კავშირის საბჭოს მიერ შედგენილი ამ ოქმის ტექსტი იმ სახელმწიფოს ენაზე, რომელიც მას უერთდება, სავალდებულო ძალის მქონეა.

(3) შეერთების სიგელი ინახება დეპონირების განმახორციელებელ პირთან.

(4) ეს ოქმი ძალაში შედის ნებისმიერი იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც მას მიუერთდა, 90-ე დღეს მას შემდეგ, რაც იგი მოახდენს შეერთების სიგელის დეპონირებას ან ამ ოქმის ძალაში შესვლის დროს, როცა იგი დასახელებული 90 დღის განმავლობაში ჯერ კიდევ არ იყო ძალაში შესული.

მუხლი 11 დათქმები

1) დათქმები არ დაიშვება, გარდა მე-6 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით გათვალისწინებული დათქმებისა.

2) ყოველ წევრ სახელმწიფოს, რომელიც დათქმებს გააკეთებს, შეუძლია, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერ დროს, შესაბამისი ნოტიფიკაციის მეშვეობით, უკან გაითხოვოს ასეთი დათქმა. უკან გამოთხოვა ძალაში შედის ნოტიფიკაციის სიგელის დეპონირების განმახორციელებელ პირთან წარდგენის მომენტიდან.

მუხლი 12 დეპონირება

(1) ამ ოქმის დეპონირება ხდება ევროპის კავშირის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

(2) დეპონირების განმახორციელებელი პირი აქვეყნებს ევროპული გაერთიანებების ოფიციალურ ჟურნალში წევრი სახელმწიფოების მიერ ამ შეთანხმების მიღებისა და მასთან შეერთების მდგომარეობის, გაკეთებული განმარტებებისა და დათქმების, ასევე ამ შეთანხმებასთან დაკავშირებული ყველა სხვა ნოტიფიკაციების შესახებ.

1.3 ევროპული გაერთიანებების სასამართლოს ინტერპრეტაციის უფლებამოსილება

1996 წლის 29 ნოემბრის ოქმი[1] ევროპული გაერთიანებების სასამართლოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილების მეშვეობით ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ შეთანხმების ინტერპრეტაციის თაობაზე

(მიღებულია ევროპის კავშირის ხელშეკრულების K.3 მუხლის საფუძველზე)

წარმოდგენილი ოქმი განსაზღვრავს ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ 1995 წლის 26 ივლისის შეთანხმებისა და მისი 1996 წლის 27 სექტემბრის ოქმის ინტერპრეტაციის სამართლებრივ საფუძვლებს. ორივე ეს სამართლებრივი აქტი ზემოთ წარმოდგენილი იქნა ამ წიგნში. ასეთ ინტერპრეტაცია ხდება ევროპული გაერთიანებების სასამართლოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მეშვეობით.

ამ სამართლებრივი აქტის ცალკეული მუხლების შინაარსი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

მუხლი 1

ამ ოქმის მიხედვით, ევროპული გაერთიანებების სასამართლო, წინასწარი გადაწყვეტილების გზით, იღებს გადაწყვეტილებას, ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ შეთანხმებისა და ამ შეთანხმების საფუძველზე შედგენილი 1996 წლის 27 სექტემბრის ოქმის განმარტების შესახებ, რომელიც შემდგომში აღნიშნება, როგორც „პირველი ოქმი“.

მუხლი 2

1) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, ამ ოქმზე ხელმოწერის მეშვეობით ან მოგვიანებით გაცემული ნებისმიერი განმარტებისას, მე-2 აბზაცის a) ან b) პუნქტების პირობებით, აღიაროს ევროპული გაერთიანებების სასამართლოს კომპეტენცია, რაც დაკავშირებულია ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ შეთანხმებისა და ამ შეთანხმების 1-ლი ოქმის განმარტებასთან, წინასწარი გადაწყვეტილების მიღების გზით.

2) ყოველი წევრი სახელმწიფო, რომელიც 1-ლი აბზაცის შესაბამისად განმარტებას გააკეთებს, უფლებამოსილია, მიუთითოს, რომ

a) ამ წევრი სახელმწიფოს ნებისმიერ სასამართლოს, რომლის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლებელია შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით, შეუძლია, წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, მიმართოს ევროპული გაერთიანებების სასამართლოს შეკითხით, რომელიც წამოიჭრება ამ საკითხის გაჭიანურებული პროცესის დროს და უკავშირდება ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ შეთანხ-

---

[1] Protokoll aufgrung von Artikel K.3 des Vertrags über die Europäische Union betreffend die Auslegung des Übereinkommens über den Schutz der finanziellen Interessen der Europäischen Gemeinschaften durch den Gerichtshof der Europäischen Gemeinschaften im Wege der Vorabentscheidung (20.05.1997).

Protocol drawn up on the basis of Article K.3 of the Treaty on European Union, on the interpretation, by way of preliminary rulings, by the Court of Justice of the European Communities of the Convention on the protection of the European Communities' financial interests (20.05.1997).

ებასა და ამ შეთანხმების პირველი ოქმის განმარტებას, თუკი გადაწყვეტილება განაჩენის გამოტანისთვის აუცილებლად მიიჩნევა, ან

b) ამ წევრი სახელმწიფოს ნებისმიერ სასამართლოს შეუძლია, წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, მიმართოს ევროპული გაერთიანებების სასამართლოს შეკითხით, რომელიც წამოიჭრება ამ საკითხის გაჭიანურებული პროცესის დროს და უკავშირდება ევროპული გაერთიანებების ფინანსურ ინტერესების დაცვის შესახებ შეთანხმებასა და ამ შეთანხმების 1-ლი ოქმის განმარტებას, თუკი გადაწყვეტილება განაჩენის გამოტანისთვის აუცილებლად მიიჩნევა.

მუხლი 3

1) ოქმი ევროპული გაერთიანებების სასამართლოს წესდების შესახებ და სასამართლოს საპროცესო წესები გამოიყენება შესაბამისად.

2) ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს, ევროპული გაერთიანებების სასამართლოს წესდებასთან შესაბამისობაში, მიუხედავად იმისა, გააკეთა თუ არა მე-2 მუხლის მიხედვით განმარტება, შეუძლია, 1-ლი მუხლის მიხედვით სასამართლო საქმეებში ევროპული გაერთიანებების სასამართლოს წერილობითი დოკუმენტები წარუდგინოს ან წერილობითი განმარტება მისცეს.

მუხლი 4

1) ეს ოქმი თითოეული წევრი სახელმწიფოს მხრიდან მოითხოვს იმ პროცედურის შესაბამისად მიღებას, რომელიც გათვალისწინებულია თითოეული მათგანის შესაბამისი კონსტიტუციური-სამართლებრივი დებულებებით.

2) წევრი სახელმწიფოები დეპონირების განმახორციელებელ პირთან ნოტიფიცირებით ადასტურებენ იმ პროცედურის დასრულებას, რომელიც, მათი კონსტიტუციური დებულებების შესაბამისად, აუცილებელია ამ ოქმის მიღების, ისე როგორც მე-2 მუხლის თანახმად განმარტებების გასაკეთებლად.

3) ეს ოქმი ძალაში შედის მისი ნოტიფიკაციიდან 90-ე დღეს მე-2 აბზაცის შესაბამისად იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც საბჭოს მიერ ამ ოქმის შემუშავების შესახებ სამართლებრივი აქტის მიღების დროს ევროპის კავშირის წევრი არის და რომელიც ამ ფორმალობას ბოლო შეასრულებს. ოქმი ძალაში შედის არაუადრეს ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის დროისა.

მუხლი 5

(1) ამ ოქმის რატიფიკაცია შეუძლია ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს წარმოადგენს.

(2) შეერთების სიგელი ინახება დეპონირების განმახორციელებელ პირთან.

(3) ევროპის კავშირის საბჭოს მიერ შედგენილი ამ ოქმის ტექსტი იმ სახელმწიფოს ენაზე, რომელიც მას უერთდება, სავალდებულო ძალის მქონეა.

(4) ეს ოქმი ძალაში შედის დაინტერესებული სახელმწიფოსთვის 90-ე დღეს მას შემდეგ, რაც იგი მოახდენს შეერთების სიგელის დეპონირებას ან ამ ოქმის ძალაში შესვლის დროს, თუ იგი დასახელებული 90 დღის განმავლობაში ჯერ კიდევ არ ყოფილა ძალაში შესული.

მუხლი 6

ყოველი სახელმწიფო, რომელიც ევროპის კავშირის წევრი გახდა და რომელიც ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ შეთანხმებას მისი მე-12 მუხლის თანახმად შეუერთდა, ვალდებულია, ამ ოქმის განსაზღვრებები მიიღოს.

მუხლი 7

1) ყოველი წევრი სახელმწიფო, რომელიც ხელშეკრულების მხარეა, უფლებამოსილია, ამ ოქმის ცვლილებების შესახებ წინადადება წამოაყენოს. ცვლილების შესახებ განაცხადი დეპონირების განმახორციელებელ პირს გადაეცემა, რომელიც მას შემდგომ საბჭოს გადასცემს.

2) ცვლილებები გამოიცემა საბჭოს მიერ, რომელიც ურჩევს წევრ სახელმწიფოებს მათ მიღებას თავიანთი კონსტიტუციურ-სამართლებრივი დებულებების შესაბამისად.

3) ამ გზით გამოცემული ცვლილებები ძალაში შედის მე-4 მუხლის განსაზღვრებების შესაბამისად.

მუხლი 8

(1) ამ ოქმის დეპონირება ხდება ევროპის კავშირის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

(2) დეპონირების განმახორციელებელი პირი აქვეყნებს ევროპული გაერთიანებების ოფიციალურ ჟურნალში ამ ოქმთან დაკავშირებული ნოტიფიკაციების, სიგელების ან შეტყობინებების შესახებ.

1.4 ფულის გათეთრება ევროგაერთიანების ბიუჯეტის საზიანოდ

ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ შეთანხმების 1997 წლის 19 ივნისის მეორე ოქმი[1]

(მიღებულია ევროპის კავშირის ხელშეკრულების K.3 მუხლის საფუძველზე)

ეს სამართლებრივი აქტი აწესრიგებს ევროკავშირის ფარგლებში ფულის გათეთრების წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ ბრძოლასთან დაკავშირებულ საკითხებს და წარმოადგენს ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ ზემოთ წარმოდგენილი შეთანხმების ამ სფეროში განვრცობას. ოქმი მიღებული იქნა 1997 წლის წლის 19 ივნისს. როგორც პრეამბულაშია აღნიშნული, მისი მიღების მიზანია, ჰარმონიზაციის შედეგად ნაციონალურმა სისხლის სამართლის ნორმებმა წვლილი შეიტანონ ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების ეფექტურ დაცვაში. აღსანიშნავია, რომ იგი არ არის ძალაში შესული, ვინაიდან ევროპის კავშირის ყველა წევრ სახელმწიფოს მისი რატიფიცირება არ მოუხდენია[2].

ოქმის ცალკეული მუხლები შემდეგი შინაარსის მატარებელია:

---

[1] Zweites Protokoll aufgrund von Artikel K.3 des Vertrags über die Europäische Union zum Übereinkommen über den Schutz der finanziellen Interessen der Europäischen Gemeinschaften (19.7.1997).

Second Protocol, drawn up on the basis of Article K.3 of the treaty on European Union, to the Convention on the protection of the European Communities' financial interests (19.7.1997).

[2] ამ სამართლებრივ აქტზე ასეთი შენიშვნა გაკეთებულია წიგნში: *Wasmeier/Möhlig* (Hrsg.): Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 291.

მუხლი 1 დეფინიცია

ამ ოქმის გაგებით, ტერმინები აღნიშნავენ შემდეგს:

a) „შეთანხმება", – ევროპის კავშირის ხელშეკრულების K.3 მუხლის საფუძველზე შემუშავებული 1995 წლის 26 ივლისის შეთანხმება ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ;

b) „თაღლითობა", – შეთანხმების პირველ მუხლში დასახელებული მოქმედებები;

c) – „მექრთამეობა", – მოქმედებები, რომლებიც ჩადენილია ევროპის კავშირის ხელშეკრულების K.3 მუხლის საფუძველზე შემუშავებული ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ შეთანხმების 1996 წლის 27 სექტემბრის ოქმის მე-2 მუხლის გაგებით,

– „მოქრთამვა" – მოქმედებები დასახლებული ოქმის მე-3 მუხლის გაგებით;

d) „იურიდიული პირი", – სამართლის ყველა ის სუბიექტი, რომელსაც ეს სტატუსი გააჩნია შესაბამის დროს მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით, სახელმწიფოების ან საჯარო სამართლის სხვა დაწესებულებების, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ სუვერენულ უფლებებს, და საჯარო-სამართლებირივი საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა.

e) „ფულის გათეთრება" – მოქმედებები, „ფინანსური სისტემის ფულის გათეთრების მიზნით გამოყენების აღკვეთის შესახებ" საბჭოს 1991 წლის 10 ივნისის დირექტივის[1] 1-ლი მუხლის მე-3 ხაზის გაგებით, რომლებიც დაკავშირებულია თაღლითობიდან, მინიმუმ მძიმე შემთხვევებში, ასევე მოქრთამვიდან და ქრთამის აღებიდან მიღებულ მოგებებთან.

მუხლი 2 ფულის გათეთრება

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა ფულის გათეთრება დასჯადობას ექვემდებარებოდეს.

მუხლი 3 იურიდიული პირების პასუხისმგებლობა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა თაღლითობის, მექრთამეობისა და ფულის გათეთრებისთვის, რომელიც იურიდიული პირის სასარგებლოდ იმ პირის მიერ იქნა ჩადენილი, რომელიც მოქმედებდა მარტო ან როგორც იურიდიული პირის ორგანოს წევრი და რომელსაც წამყვანი თანამდებობა ეკავა იურიდიული პირის შიგნით,

– იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე, ან

– უფლებამოსილი იყო, იურიდიული პირის სახელით მიეღო გადაწყვეტილება, ან

– იურიდიული პირის შიგნით ჰქონდა კონტროლის უფლებამოსილება,

ასევე თუკი დამხმარე ან წამქეზებელია ასეთი თაღლითობის, მექრთამეობის ან ფულის გათეთრების დანაშაულებში ან თუ იგი ასეთი თაღლითობის დანაშაულის მცდელობას განახორციელებს.

(2) პირველ აბზაცში უკვე გათვალისწინებულ შემთხვევებთან ერთად, ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა, როცა პირველ აბზაცში დასახელებული პირების მხრიდან არასაკმარისი ზედამხედველობის ან კონტროლის გამო, ადგილი ექნება მათდამი დაქვემდებარებული პირის მიერ თაღლითობის, მექრთამეობის ან ფულის გათეთრების ჩადენას იურიდიული პირის სასარგებლოდ.

---

[1] Richtlinie 91/308/EWG. იხ. ABl. L 166, 28.06. 1991.

(3) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა 1-ლი და მე-2 აბზაცის მიხედვით, არ გამორიცხავს ფიზიკური პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას, თუკი ისინი თაღლითობის, მექრთამეობის ან ფულის გათეთრების დანაშაულების ჩადენაში ამსრულებელი, წამქეზებელი ან დამხმარეა.

მუხლი 4 იურიდიული პირის სანქციები

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მე-3 მუხლის 1-ლი აბზაცის გაგებით პასუხისმგებელი იურიდიული პირის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციები, რომლებიც შეიძლება, იყოს როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე არასისხლისსამართლებრივი ფულადი სანქციები და სხვა სახის სანქციები, როგორიცაა, მაგალითად,

ა) ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება საჯარო ფულადი დაფინანსებების ან დახმარებების შეწყვეტას;

ბ) ღონისძიებები, რომლებიც ეხება კომერციული საქმიანობის განხორციელების დროებით ან მუდმივად აკრძალვას;

ც) სასამართლო ზედამხედველობა;

დ) სასამართლო განკარგულებით იურიდიული პირის ლიკვიდაცია.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მე-3 მუხლის მე-2 აბზაცის გაგებით პასუხისმგებელი იურიდიული პირის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციები ან ღონისძიებები.

მუხლი 5 კონფისკაცია

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა შესაძლებელი გახდეს დაყადაღება და, კეთილსინდისიერი მესამე პირის უფლებების დაურღვეველად, დანაშაულის ჩადენის საშუალებებისა და თაღლითობიდან, მექრთამეობიდან, ფულის გათეთრებიდან მიღებული შემოსავლების ან ქონებრივი ღირებულების მქონე ნივთების, რომელთა ღირებულება შეესაბამება ამ შემოსავლებს, ჩამორთმევა. წევრი სახელმწიფო, ნაციონალური სამართლებრივი დებულებების შესაბამისად, განაგებს დაყადაღებულ ან ჩამორთმეულ დანაშაულის საშუალებებს, შემოსავლებს ან სხვა ქონებრივ ღირებულებებს.

მუხლი 6 საგადასახადო და საბაჟო დელიქტები

წევრ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, თაღლითობის, მექრთამეობის, ასევე ფულის გათეთრების შემთხვევაში, უარი თქვას სამართლებრივ დახმარებაზე მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ საქმე ეხება საგადასახადო ან საბაჟო დელიქტს, ან შესაბამისი შემთხვევა ასეთ დელიქტად არის გათვალისწინებული.

მუხლი 7 ევროპული გაერთიანებების კომისიასთან თანამშრომლობა

1) წევრი სახელმწიფოები და კომისია თაღლითობის, მექრთამეობის და ფულის გათეთრების წინააღმდეგ საბრძოლველად ერთმანეთთან თანამშრომლობენ.

ამ მიზნით, კომისია ახორციელებს ტექნიკურ და ოპერატიულ დახმარებას, რომელიც კომპეტენტურ ნაციონალურ უწყებებს საჭიროების შემთხვევაში ესაჭიროებათ მათი გამოძიებების კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით.

2) წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ უწყებებს შეუძლიათ, ინფორმაციები კომისიასთან გაცვალონ, რათა მოხდეს საქმის გარემოებების დადგენის გაადვილება და უზრუნველყოფილ იქნეს ეფექტური ღონისძიებების გატარება თაღლითობის, მექრთამეობის, ასევე, ფულის გათეთრების დანაშაულების წინააღმდეგ. კომისია და კომპეტენტური ნაციონალური უწყებები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ითვალისწინებენ გამოძიების საიდუმლოებისა და მონაცემების დაცვის მოთხოვნებს. ამ მიზნით, წევრ სახელმწიფოს შეუძლია, როცა იგი ინფორმაციებს კომისიას გადასცემს, დაადგინოს სპეციფიკური პირობები კომისიის ან სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ, რომლისთვისაც ასეთი ინფორმაციების გადაცემა ნებადართულია, ამ ინფორმაციების გამოყენებისთვის.

მუხლი 8 კომისიის პასუხისმგებლობა მონაცემების დაცვისათვის

კომისია ზრუნავს იმაზე, რომ იმ ინფორმაციების გაცვლასთან დაკავშირებით, რომლებიც გათვალისწინებულია მე-7 მუხლის მე-2 აბზაცით, პერსონალური მონაცემების დამუშავება შეესაბამებოდეს დაცვის იმ დონეს, რომელიც იდენტურია ევროპული პარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის „პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს ფიზიკური პირების დაცვისა და მონაცემთა თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ დირექტივით (Richtlinie 95/46/EG) გათვალისწინებული დაცვის დონისა.

მუხლი 9 მონაცემთა დაცვის შესახებ დებულებების გამოქვეყნება

მე-8 მუხლის დებულებებიდან გამომდინარე ვალდებულებები, გამოქვეყნებულ უნდა იქნეს ევროპული გაერთიანებების ოფიციალურ ჟურნალში.

მუხლი 10 მონაცემთა გადაცემა სხვა წევრი სახელმწიფოებისა და მესამე სახელმწიფოებისთვის

1) მე-7 მუხლის მე-2 აბზაცში მოცემული პირობების გათვალისწინებით, კომისია უფლებამოსილია, პირის პერსონალური მონაცემები, რომლებიც მან მე-7 მუხლის თანახმად წევრი სახელმწიფოებისგან თავისი ამოცანების შესასრულებისას მიიღო, სხვა წევრ სახელმწიფოს გადაუგზავნოს. კომისია აცნობებს წევრ სახელმწიფოს, რომელმაც ინფორმაციები გასცა, იმის შესახებ, რომ იგი ამგვარ გადაცემას აპირებს.

2) კომისიას შეუძლია, მსგავსი პირობებით პერსონალური მონაცემები, რომლებიც მან მე-7 მუხლის მიხედვით წევრი სახელმწიფოსგან თავისი ამოცანების შესრულებისას მიიღო, მესამე სახელმწიფოს გადაუგზავნოს, თუკი წევრი სახელმწიფო, რომელმაც ეს ინფორმაცია გადასცა, ასეთ გადაცემაზე თანხმობას განაცხადებს.

მუხლი 11 საკონტროლო ორგანო

ყოველი ის ორგანო, რომელიც დასახელებული ან შექმნილია იმ მიზნით, რომ განახორციელოს პერსონალური მონაცემების შესახებ მონაცემთა დამოუკიდებელი დაცვის კონტროლი, რომლებიც კომისიის მიერ ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მიხედვით, თავისი ამოცანების შესრულებისას იქნა დამუშავებული, ასრულებს იგივე ამოცანებს იმ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით, რომლებიც კომისიამ ამ ოქმის მიხედვით დაამუშავა.

მუხლი 12 კავშირი შეთანხმებასთან

1) შეთანხმების მე-3, მე-5 და მე-6 მუხლები გამოიყენება, აგრეთვე ამ ოქმის მე-2 მუხლში დასახელებული ქმედებების მიმართ.

2) შეთანხმების შემდეგი განსაზღვრებები გამოიყენება, აგრეთვე ამ ოქმის მიმართ:

– მე-4 მუხლი, ისე, რომ განმარტებები შეთანხმების მე-4 მუხლის მე-2 აბზაცის გაგებით, ასევე ამ ოქმისთვისაც მოქმედებს, თუკი ნოტიფიკაციის დროს, ამ ოქმის მე-16 მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად, სხვაგვარი დათქმა არ იქნა გაკეთებული;

– მე-7 მუხლი, იმ პირობით, რომ „ne bis in idem"-ის პრინციპი, აგრეთვე იურიდიულ პირებთან მიმართებაშიც გამოიყენება და განმარტებები შეთანხმების მე-7 მუხლის მე-2 აბზაცის გაგებით, ასევე ამ ოქმისთვისაც მოქმედებს, თუკი ნოტიფიკაციის დროს, ამ ოქმის მე-16 მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად, სხვაგვარი დათქმა არ იქნა გაკეთებული;

– მე-9 მუხლი;

– მე-10 მუხლი.

მუხლი 13 ევროპული სასამართლო

(1) წევრ სახელმწიფოებს შორის დავა, დაკავშირებული ამ შეთანხმების გამოყენებასთან ან განმარტებასთან, მისი დარეგულირების მიზნით, თავდაპირველად განიხილება საბჭოში, ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-6 ნაწილში გათვალისწინებული პროცესის შესაბამისად.

თუკი ასეთი დავა 6 თვის განმავლობაში არ მოგვარდა, მაშინ ევროპული გაერთიანებების სასამართლო უფლებამოსილია, მხარებს შორის არსებული დავა თავად გადაწყვიტოს.

(2) ევროპული სასამართლო უფლებამოსილია, ექვსი თვის გასვლის შემდეგ, განიხილოს ერთ ან რამდენიმე წევრ სახელმწიფოსა და კომისიას შორის არსებული დავები მე-2 მუხლის გამოყენების შესახებ, ამ ოქმის 1-ლი მუხლის e) პუნქტთან, მე-7, მე-8 და მე-10 მუხლებთან, ასევე მე-12 მუხლის მე-2 აბზაცის მე-4 ხაზთან კავშირში, იმ შეთხვევაში, როცა დავის დარეგულირება მოლაპარაკებებით შეუძლებელია. ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როცა რომელიმე მხარემ სხვა მხარეს გაუგზავნა შეტყობინება, საიდანაც დავის არსებობა წარმოიშვა.

(3) ევროპის კავშირის ხელშეკრულების K.3 მუხლის საფუძველზე შემუშავებული 1996 წლის 29 ნოემბრის ოქმი, რომელიც შეეხება ევროპული გაერთიანებების სასამართლოს მიერ წინასწარი გადაწყვეტილების პროცესში ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ შეთანხმების ინტერპრეტაციას, გამოიყენება წარმოდგენილი ოქმის მიმართაც, იმ პირობით, რომ იმ ოქმის მე-2 მუხლის შესაბამისად წევრი სახელმწიფოს მიერ გაკეთებული განმარტება, აგრეთვე ამ ოქმისთვისაც მოქმედებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაინტერესებულმა წევრმა სახელმწიფომ ნოტიფიკაციის დროს, წარმოდგენილი ოქმის მე-16 მუხლი მე-2 აბზაცის მიხედვით, სხვაგვარი განმარტება გააკეთა.

მუხლი 14 ხელშეკრულების გარეშე პასუხისმგებლობა

ამ ოქმის მიზნებისთვის, ხელშეკრულების გარეშე პასუხისმგებლობა განისაზღვრება ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 215-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით. იმავე ხელშეკრულების 178-ე მუხლი გამოიყენება შესაბამისად.

მუხლი 15 სასამართლო კონტროლი

(1) ევროპული სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს ფიზიკური ან იურიდიული პირების საჩივრები, რომლებიც მიმართულია მათ წინააღმდეგ გამოტანილი ან მათთან უშუალოდ და ინდივიდუალურად შემხებლობაში მყოფი კომისიის გადაწყვეტილების წინააღმდეგ,

რაც გამოწვეულია მე-8 მუხლის დარღვევით ან მის თაობაზე დებულების გამოცემით ან გადაწყვეტილების მიღებისას დისკრეციული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით.

(2) ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 168a მუხლის 1-ლი და მე-2 აბზაცები, 173-ე მუხლის მე-5 აბზაცი, 174-ე მუხლის 1-ლი აბზაცი, 176-ე მუხლის 1-ლი და მე-2 აბზაცები, ასევე 185-ე და 186-ე მუხლები, ასევე ევროპული გაერთიანებების სასამართლოს წესდება მოქმედებენ შესაბამისად.

მუხლი 16 ძალაში შესვლა

(1) ეს ოქმი მოითხოვს, თითოეული წევრი სახელმწიფოს მხრიდან იმ პროცედურის შესაბამისად მიღებას, რომელიც გათვალისწინებულია თითოეული მათგანის შესაბამისი კონსტიტუციური-სამართლებრივი დებულებებით.

(2) წევრი სახელმწიფოები ოფიციალურად აცნობებენ საბჭოს გენერალურ მდივანს პროცესის დასრულებას, რომელიც სახელმწიფოების კონსტიტუციური დებულებების მიხედვით ამ ოქმის მიღებისთვის აუცილებელია.

(3) ეს ოქმი, მე-2 აბზაცის შესაბამისად, ძალაში შედის მისი იმ სახელმწიფოს მიერ ნოტიფიკაციიდან 90-ე დღეს, რომელიც საბჭოს მიერ ამ ოქმის შემუშავების შესახებ სამართლებრივი აქტის მიღების დროს ევროპის კავშირის წევრი იყო და რომელიც აღნიშნულ ფორმალობას ბოლო შეასრულებს. თუკი აღნიშნულ ვადაში შეთანხმება ჯერ კიდევ ძალაში შესული არ იქნება, მაშინ ეს ოქმი ძალაში შევა შეთანხმების ძალაში შესვლის დროს.

(4) მე-7 მუხლის მე-2 აბზაცის გამოყენების გადავადება მოხდება მანამ, სანამ ევროპული გაერთიანებების კომპეტენტური ორგანო მე-9 მუხლიდან გამომდინარე თავის ვალდებულებას, რომელიც ეხება პერსონალური მონაცემის დაცვის შესახებ დებულებების გამოქვეყნებას, არ შეასრულებს ან სანამ დაცული არ იქნება მე-11 მუხლის მიხედვით საკონტროლო ორგანოსთან დაკავშირებული დებულებები.

მუხლი 17 ახალ სახელმწიფოთა შეერთება

(1) ამ ოქმის რატიფიკაცია შეუძლია ნებისმიერ იმ სახელმწიფოს, რომელიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს წარმოადგენს.

(2) ევროპის კავშირის საბჭოს მიერ შედგენილი ამ ოქმის ტექსტი იმ სახელმწიფოს ენაზე, რომელიც მას უერთდება, სავალდებულო ძალის მქონეა.

(3) შეერთების სიგელი ინახება დეპონირების განმახორციელებელ პირთან.

(4) ეს ოქმი ნებისმიერი იმ სახელმწიფოსთვის, რომელიც მას შეურთდება, ძალაში შედის 90-ე დღეს, მას შემდეგ, რაც იგი წარადგენს შეერთების სიგელს ან ამ ოქმის ძალაში შესვლის დროიდან, როცა იგი დასახელებული 90-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული.

მუხლი 18 დათქმები

1) ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, დაიტოვოს უფლება, რომ მექრთამეობისგან მიღებულ მოგებებთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისათვის მექრთამეობის მხოლოდ მძიმე შემთხვევებში დააწესოს სასჯელი. წევრი სახელმწიფო, რომელიც ასეთ დათქმას გააკეთებს, დათქმის მოცულობის ცალკეული მონაცემების შესახებ აცნობებს დეპონირების განმახორციელებელ პირს, რაც უნდა მოხდეს მე-16 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით ნოტიფიკაციის გაკეთებისას. ასეთი დათქმა მოქმედებს დასახელებული ნოტიფიკაციის გაკეთების

დღიდან ხუთი წლის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება შესაძლებელია ერთხელ, ხუთი წლით.

2) ავსტრიის რესპუბლიკას შეუძლია, მე-16 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით ნოტიფიკაციის გაკეთებისას გააკეთოს განმარტება, რომ ის მე-3 და მე-4 მუხლებით არ იქნება შებოჭილი. ასეთი განმარტება მოქმედების ძალას კარგავს ხუთი წლის შემდეგ ამ ოქმის შემუშავების შესახებ სამართლებრივი აქტის მიღების დღიდან.

3) სხვა დათქმების გაკეთება დაუშვებელია, გარდა მე-12 მუხლის მე-2 აბზაცის 1-ლი და მე-2 ხაზებით გათვალისწინებული დათქმებისა.

მუხლი 19 დეპონირება

(1) ამ ოქმის დეპონირება ხდება ევროპის კავშირის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

(2) დეპონირების განმახორციელებელი პირი აქვეყნებს ევროპული გაერთიანებების ოფიციალურ ჟურნალში წევრი სახელმწიფოების მიერ ამ შეთანხმების მიღებისა და მასთან შეერთების მდგომარეობის, გაკეთებული განმარტებებისა და დათქმების, ასევე ამ შეთანხმებასთან დაკავშირებული ყველა სხვა ნოტიფიკაციების შესახებ.

2. დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობა და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლა

ევროპის კავშირის საბჭოს 1998 წლის 12 დეკემბრის ერთობლივი ღონისძიება ეხება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობის დასჯადობას. აღსანიშნავია, რომ ჩარჩო გადაწყვეტილება ამ დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად ბოლო დრომდე არ არსებობდა, თუმცა 2006 წლის 28 აპრილს ევროპის კავშირის საბჭომ მიაღწია პოლიტიკურ კონსესუსს, რომელიც გულისხმობდა ჩარჩო გადაწყვეტილების მიღებას და ამ ერთობლივი ღონისძიების შეცვლას, რათა შემდგომში მომხდარიყო ამ სფეროში სამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაცია[1]. ევროპის კავშირის საბჭომ 2008 წლის 24 ოქტომბერს მიიღო სწორედ ასეთი ჩარჩო-გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას[2], რის შედეგადაც დასახელებული ერთობლივი ღონისძიება ძალადაკარგულად გამოცხადდა. მიუხედავად ამისა, ქვემოთ წარმოგიდგენთ ამ ორივე სამართლებრივ ინსტრუმენტს.

[1] იხ. *Wasmeier/Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 300.

[2] იხ. *Esser* (Hrsg.): Europäisches und Internationales Strafrecht, 2009, გვ. 212.

2.1 დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობა

საბჭოს 1998 წლის 12 დეკემბრის ერთობლივი ღონისძიება[1] დაკავშირებული ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობის დასჯადობასთან

(მიღებულია ევროკავშირის ხელშეკრულების კ.3 მუხლის საფუძველზე)

მოკლე პრეამბულის შემდეგ ეს ერთობლივი ღონისძიება შეიცავს შემდეგ დებულებებს:

მუხლი 1

ამ ერთობლივი ღონისძიების გაგებით, „დანაშაულებრივი გაერთიანება" ა.რ..ს სანგრძლივი დროით შექმნილი მყარი ორგანიზებული ერთობა, რომელიც შედგება ორზე მეტი პირისაგან, რომლებიც შეთანხმდნენ ისეთი დანაშაულების ჩასადენად, რომლებისთვისაც სანქციის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ან თავისუფლების შემზღუდავი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიების გამოყენება არანაკლებ 4 წლის ვადით ან უფრო მძიმე სასჯელი, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ამ დანაშაულების ჩადენა მთავარ მიზანს თუ მიზნის მიღწევის საშუალებას, რათა მიღებულ იქნეს ქონებრივი უპირატესობები და შესაბამის შემთხვევაში მოხდეს დაუშვებელი მეთოდებით საჯარო დაწესებულებების საქმიანობაზე ზემოქმედება.

პირველ აბზაცში მოცემული დანაშაულების ქვეშ მოიაზრება, აგრეთვე ევროპოლის შეთანხმების მე-2 მუხლსა და მის დანართში დასახელებული დანაშაულები, რამდენადაც მათთვის გათვალისწინებულია სასჯელი ან სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიება, რომელიც 1-ლი აბზაცით გათვალისწინებული მინიმუმალური ოდენობების თანაბარია.

მუხლი 2

(1) დანაშაულებრივი გაერთიენების წინააღმდეგ უკეთესად საბრძოლველად, წევრი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, მე-6 მუხლით გათვალიწინებული საპროცესო წესის მიხედვით, იზრუნონ იმისთვის, რათა ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი ან ორივე – a) და b) პუნქტებში აღწერილი ქმედებების მიმართ შესძლონ ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სასჯელების გამოყენება. ესენია:

a) პირის ქმედება, რომელიც შეიძლება, ჩადენილი იქნეს განზრახ, ამასთან, ან გაერთიანების მიზნებისა და ზოგადად დასჯადი საქმიანობის შეგნებით ან გაერთიანების მიერ შესაბამისი დანაშაულების ჩადენის მიზანდასახულობის ცოდნით, რაც გამოიხატა შემდეგ ქმედებებში აქტიურ მოწილეობაში:

– გაერთიანების მიერ ჩადენილი 1-ლი მუხლით გათვალისწინებული დასჯადი დანაშაულებრივი საქმიანობები, მაშინაც კი, როცა ეს პირი უშუალო მონაწილებას არ იღებს საკუთრივ დანაშაულების აღსრულებაში და, შემხებლობაში მყოფი წევრი სახელმწიფოს ზოგადი სისხლისსამართლებრივი პრინციპების დაცვით, მაშინაც, როცა დანაშაულები არ იქნა განხორციელებული,

– გაერთიანების მიერ სხვა საქმიანობების განხორციელება და, გარდა ამისა, თუ პირს შეგნებული აქვს, რომ მისი მონაწილეობით წვლილი შეაქვს პირველ აბზაცში მოცემულ გაერთიანების დასჯად დანაშაულებრივ საქმიანობაში.

---

[1] ინგლისურ ენაზე 98/733/JAH, ხოლო გერმანულ ენაზე – 98/733/JI.

b) პირის მოქმედება, რომელიც ერთ ან რამდენიმე პირთან ერთად მოილაპარაკებს იმ საქმიანობის განხორციელების შესახებ, რომელიც პირველ მუხლში მოცემული დანაშაულებრივი ქმედებების ანალოგიური იქნებოდა, მაშინაც კი, როცა ეს პირი თავად უშუალოდ არ მონაწილებს საკუთრივ ამ საქმიანობის განხორციელებაში.

(2) იმ დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში, რომლებიც გათვალიწინებულია ამ მუხლით ან ევროკავშირის საბჭოს მიერ 1996 წლის 27 სექტემბრს შემუშავებული „ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის ექსტრადიციის შესახებ“ შეთანხმების მე-3 მუხლის მე-4 აბზაცით, წევრი სახელმწიფოები ერთმანეთს უწევენ შეძლებისდაგვარად ფართო მხარდაჭერას, მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა გადაწყვეტილი 1-ლი აბზაცის a) ან b) პუნქტებში აღწერილი ქმედებებისათვის სასჯელების დაწესება.

მუხლი 3

ყოველი წევრი სახელმწიფოები ზრუნავენ იმაზე, რომ მე-2 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შესაძლებელი გახდეს იურიდიული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი ან შიდასახელმწიფოებრივი სამართლით დადგენილი სხვა სახის პროცესის შესაბამისად პასისმგებლობის დაწესება. იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ხელშეუხებელს ტოვებს ფიზიკური პირების პასუხისმგებლობას, რომლებიც ამ დანაშაულების ამსრულებლები ან დამხმარეები არიან. წევრი სახელმწიფოები განსაკუთრებით ზრუნავენ იმაზე, რომ იურიდიული პირების მიმართ გამოყენებული იქნეს ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებული სანქციები, აგრეთვე ქონებრივი ან სხვა სახის ეკონომიკური ხასიათის სანქციები.

მუხლი 4

წევრი სახელმწიფოები ზრუნავენ იმაზე, რომ მე-2 მუხლის 1-ლი აბზაცის a) და b) პუნქტებში აღწერილ ქმედებებზე, რომლებიც ამ სახელმწიფოების სუვერენულ ტერიტორიაზე განხორციელდა, შეიძლებოდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება, მიუხედავად იმ წევრი სახელმწიფოს სუვერენელი ტერიტორიისა, სადაც გაერთიანებას თავისი სამოქმედო ბაზა აქვს ან იგი სისხლისსამართლებრივად დასჯად საქმიანობას ახორციელებს, ან მიუხედავად მოქმედების იმ ადგილისა, სადაც ხორციელდება ის საქმიანობა, რომელიც მე-2 მუხლის 1-ლი აბზაცის b) პუნქტის მიხედვით, წარმოადგენს შეთანხმების საგანს.

თუკი რამდენიმე სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება იმ ქმედებებზე, რომლებიც ჩადენილია დანაშაულებრივი გაერთიანების მონაწილეობით, მაშინ ისინი ერთმანეთთან ატარებენ კონსულტაციებს, რათა სისხლისსამართლებრივი დევნა ერთმანეთთან შეთანხმებულად ეფექტურად განხორციელდეს. ამასთან, ისინი განსაკუთრებით ითვალისწინებენ დანაშაულებრივი გაერთიანების ცალკეული ნაწილების ადგილმდებარეობას შემხებლობაში მყოფი წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე.

მუხლი 5

1) იმ შემთხვევებში, როცა გამოიყენება ევროკავშირის საბჭოს 1996 წლის 27 სექტემბერს შემუშავებული შეთანხმება წევრ სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის განხორციელების შესახებ, ეს ერთობლივი ღონისძება ხელშეუხებელს ტოვებს როგორც შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, ისე მათ ინტერპრეტაციას.

2) ეს ერთობლივი ღონისძიება ხელს არ უშლის წევრ სახელმწიფოებს, რომ დააწესონ

სასჯელი დანაშაულებრივ გაერთიანებასთან დაკავშირებული ისეთი ქმედებებისთვის, რომლებიც სცილდება მე-2 მუხლის პირველ აბზაცში აღწერილ ქმედებათა ჩამონათვალს.

მუხლი 6

ყოველი წევრი სახელმწიფო ამ ერთობლივი ღონისძიების ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში წარადგენს წინადადებებს მის განსახორციელებლად, რომლებიც მოწმდება კომპეტენტური ორგანოების მიერ მათი მიღების თვალსაზრისით.

მუხლი 7

ეს ერთობლივი ღონისძიება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღეს.

მუხლი 8

ეს ერთობლივი ღონისძიება ქვეყნდება ოფიციალურ ჟურნალში.

2.2 ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლა

საბჭოს 2008 წლის 24 ოქტომბრის ჩარჩო-გადაწყვეტილება[1] ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება წარმოადგენს დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობის დასჯადობასთან დაკავშირებით ევროპის კავშირის ფარგლებში გამოცემული 1998 წლის 12 დეკემბრის ერთობლივი ღონისძიების სამართლებრივი დებულებების განვითარებას. ისევე როგორც ყველა სხვა ჩარჩო-გადაწყვეტილება, იგი მიღებულ იქნა ევროპის კავშირის ხელშეკრულების, განსაკუთრებით მისი 29-ე, 31-ე I e და 34-ე II b მუხლების საფუძველზე, ევროკომისიის ინიციატივით, ევროპული პარლამენტის მიერ პოზიციის გამოხატვის შემდეგ. როგორც პრეამბულაშია აღნიშნული, ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების ერთ-ერთი მიზანია ეფექტური ბრძოლა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ. ეს მიზანი, სხვა ინსტრუმენტებთან ერთად, უნდა შესრულდეს განსაკუთრებით სამართლებრივი ჰარმონიზაციის გზით, რის გამოც მიღებული იქნა წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება. კრიმინალური გაერთიანებებიდან მომდინარე საფრთხისა და მათი გაფართოების აღსაკვეთად აუცილებელია სამართლებრივი ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება. ევროკავშირის საბჭომ 2004 წლის 4 და 5 ნოემბერს ბრიუსელში გამართულ სხდომაზე ამასთან დაკავშირებით მიიჩნია, რომ ევროპის მოქალაქეები ევროკავშირისგან მოელიან, რომ ტრანსნაციონალური პრობლემები, როგორიცაა ორგანიზებული დამნაშავეობა, უნდა გადაწყდეს ეფექტური საერთო კონცეფციის განხორციელებით, რა დროსაც გარანტირებული უნდა იყოს ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა. წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება წარმოადგენს სწორედ ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯს. ამ სფეროში დანაშაულის შემადგენლობები ყველა წევრ სახელმწიფოში უნდა იქნეს ჰარმონიზირებული. იგი ითვალისწინებს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების მიმართ მინიმალურ სანქციებს. მისი განსაზღვრა უნდა მოხდეს ჩადენილი დანაშაულების სიმძიმის მიხედვით.

ჩარჩო-გადაწყვეტილება ეფუძნება ამ მიმართულებით საერთაშორისო დონეზე გაეროს

[1] ABl. L 300, 11. 11. 2008; ინგლისურ ენაზე 2008/841/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2008/841/JI.

მიერ გაწეულ საქმიანობას, განსაკუთრებით, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ მიმართულ ე.წ. პალერმოს კონვენციას, რომელიც საბჭოს 2004/579/EG გადაწყვეტილებით[1] ევროგაერთიანების სახელით იქნა დადებული.

ჩარჩო-გადაწყვეტილების პრეამბულაში მითითებულია, რომ იგი მიღებულია სუბსიდიარულობისა და თანაზომიერების პრინციპების დაცვით, რადგან მისი მიზანი წევრი სახელმწიფოების დონეზე არასაკმარისად მიიღწევა, რის გამოც აუცილებელი გახდა სუპრანაციონალური მოქმედებების განხორციელება. იქვე ხაზგასმულია ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის პროცესში ძირითად უფლებათა დაცვის აუცილებლობასა და იმ პრინციპების პატივისცემაზე, რომლებიც მოცემულია ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიაში, განსაკუთრებით, მის მე-6 და 49-ე მუხლებში.

პრეამბულასთან ერთად, წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება შეიცავს შემდეგ ნორმებს:

მუხლი 1 ცნებათა განმარტებები

ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების გაგებით, ტერმინები აღნიშნავს შემდეგს:

1. „დანაშაულებრივი გაერთიანება" – ხანგრძლივი დროით შექმნილ ორზე მეტი პირის ორგანიზებულ ერთობას, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა სახის სარგებლის მისაღებად შეთანხმებულად ახორციელებენ საქმიანობას იმ დანაშაულების ჩასადენად, რომლებისთვისაც სანქციის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ან თავისუფლების შემზღუდავი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიების გამოყენება მაქსიმალური ზომით არანაკლებ 4 წლის ვადით ან უფრო მძიმე სასჯელი.

2. „ორგანიზებული გაერთიანება" – გაერთიანებას, რომელიც შემთხვევით არ არის შექმნილი უშუალოდ დანაშაულის ჩასადენად და, ასევე არ არის სავალდებულო, რომ ჰქონდეს ფორმალურად დადგენილი როლები თავისი წევრებისთვის, უწყვეტი წევრობა და გამოკვეთილი სტრუქტურა.

მუხლი 2 დანაშაულები, რომლებიც დაკავშირებულია დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობასთან

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა დანაშაულებრივ გაერთიანებასთან დაკავშირებული შემდეგი ერთი ან ორივე ქმედება შეფასებულ იქნეს, როგორც დანაშაულის შემადგენლობა:

a) პირის ქმედება, რომელიც განზრახ და, ერთი მხრივ, ან გაერთიანების მიზნისა და დანაშაულებრივი გაერთიანების ზოგადი საქმიანობის შეგნებით, ან, მეორე მხრივ, გაერთიანების მიერ შესაბამისი დანაშაულების ჩადენის მიზანდასახულობის ცოდნით, აქტიურად მონაწილეობს გაერთიანების კრიმინალურ საქმიანობაში, მათ შორის, ინფორმაციების ან მატერიალური საშუალებების მომზადებით, ახალი წევრების რეკრუტირებით (შერჩევით) ან გაერთიანების ნებისმიერი სახით დაფინანსების გზით და გაცნობიერებული აქვს, რომ ეს მონაწილეობა გაერთიანების კრიმინალური საქმიანობის განხორციელებას უწყობს ხელს;

b) პირის ქმედება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ერთ ან რამდენიმე პირთან ერთად მოილაპარაკებს იმ საქმიანობის განხორციელების შესახებ, რომელიც, თუ განხორციელდება, პირველ მუხლში მითითებული დანაშაულებრივი ქმედებების ანალოგიური იქნებოდა, მაშინაც კი, როცა ეს პირი თავად უშუალოდ არ მონაწილეობს ამ საქმიანობის რეალურად განხორციელებაში.

---

[1] ABl. L 261, 6. 08. 2004.

მუხლი 3 სანქციები

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ:

ა) მე-2 მუხლის a პუნქტში მითითებული დანაშაულისათვის გათვალისწინებული იქნეს თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა მინიმუმ 2-დან 5 წლამდე ვადით, ან

ბ) მე-2 მუხლის b პუნქტში მითითებული დანაშაულისათვის გათვალისწინებული იქნეს თავისუფლების აღკვეთის იგივე მაქსიმალური ვადა, რომელიც იმ დანაშაულისთვის არის გათვალისწინებული, რომლის ჩადენისკენაც მიმართულია შეთანხმება ან თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა მინიმუმ 2-დან 5 წლამდე.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ის ფაქტი, რომ მე-2 მუხლის მიხედვით ამ წევრი სახელმწიფოს მიერ დადგენილი დანაშაულები დანაშაულებრივი გაერთიანების ფარგლებში იქნა ჩადენილი, განხილულ იქნეს, როგორც დამამძიმებელი გარემოება.

მუხლი 4 განსაკუთრებული გარემოებები

ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გაატაროს საჭირო ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მე-3 მუხლით გათვალისწინებული სასჯელები შემსუბუქდეს ან დამნაშავე არ დაისაჯოს, როცა იგი, მაგალითად,

a) კრიმინალურ საქმიანობას თავს დაანებებს და

b) ადმინისტრაციულ ან იუსტიციურ ორგანოებს ინფორმაციას მიაწვდის, რომელთა სხვა გზით მიღება შეუძლებელი იქნებოდა, და ამით დაეხმარება მათ

i) დანაშაულის შედეგების თავიდან აცილებაში, დამთავრებაში ან შესუსტებაში,

ii) სხვა დამნაშავეების მოძებნაში ან სასამართლოს წინაშე წარდგენაში,

iii) მტკიცებულებათა შეგროვებაში,

iv) დანაშაულებრივი გაერთიანებისთვის მისი საშუალებებისა და მათი დანაშაულებებიდან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევაში, ან

v) მე-2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების შემდგომ თავიდან აცილებაში.

მუხლი 5 იურიდიული პირების პასუხისმგებლობა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იურიდიულის პირის მიერ მე-2 მუხლით გათვალისწინებული იმ დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა, რომელსაც მის სასარგებლოდ ის პირი ჩადის, ვინც მარტო ან როგორც იურიდიული პირის ორგანოს ნაწილი მოქმედებდა და იურიდიული პირის შიგნით წამყვანი პოზიცია ეკავა,

ა) იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების, ან

ბ) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების, ან

ც) იურიდიული პირის შიგნით კონტროლის უფლებამოსილების საფუძველზე.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ იურიდიული პირი პასუხს აგებს, როცა პირველ აბზაცში მითითებული რომელიმე პირის მხრიდან ზედამხედველობის ან კონტროლის ნაკლებობამ შესაძლებელი გახადა ამ პირს დაქვემდებარებული პირის მიერ მე-2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა იურიდიული პირის სასარგებლოდ.

(3) იურიდიული პირების მიმართ 1-ლი და მე-2 აბზაცებით გათვალისწინებული პასუხიმგებლობის დაკისრება არ გამორიცხავს მე-2 მუხლის მიხედვით ფიზიკური პირების სისხლისსამართლებრივ დევნას, როგორც დანაშაულის ამსრულებელი ან დამხმარე.

(4) ამ ჩარჩო გადაწყვეტილების მიზნებისათვის, ცნება "იურიდიული პირი" აღნიშნავს ყველა იმ სამართლის სუბიექტს, რომელიც ამ სტატუსს შესაბამისი მოქმედი სამართლის მიხედვით ატარებს, სახელმწიფოების ან საჯარო სამართლის სხვა კორპორაციების, რომლებიც საჯარო უფლებამოსილებებს ახორციელებენ, აგრეთვე საჯარო სამართლის საერთაშორისო ორგანიზაციების გამოკლებით.

მუხლი 6 სანქციები იურიდიული პირების მიმართ

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მე-5 მუხლის 1-ლი აბზაცით პასუხისმგებელი იურიდიული პირების მიმართ შესაძლებელი იყოს ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების გამოყენება, რომლებსაც მიეკუთვნება სისხლისსამართებრივი ან არასისხლისსამართლებრივი ფულადი სანქციები, აგრეთვე სხვა სანქციები, როგორიცაა, მაგალითად,

ა) საჯარო ფულადი დაფინანსებების ან დახმარებების შეწყვეტა;

ბ) კომერციული საქმიანობის დროებითი ან მუდმივად აკრძალვა;

ც) სასამართლო ზედამხედველობა;

დ) სასამართლო განკარგულებით იურიდიული პირის ლიკვიდაცია;

ე) იმ დაწესებულებების დროებითი ან მთლიანი დახურვა, რომლებიც დანაშაულის ჩასადენად იქნა გამოყენებული.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს საჭირო ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მე-5 მუხლის მე-2 აბზაცით პასუხისმგებელი იურიდიული პირების მიმართ შესაძლებელი იყოს ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციებისა და ღონისძიებების გამოყენება.

მუხლი 7 იურისდიქცია და სისხლისსამართლებრივი დევნის კოორდინირება

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ მისი მართლმსაჯულება მინიმუმ იმ შემთხვევებზე გავრცელდეს, როცა მე-2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული

ა) მთლიანად ან ნაწილობრივ მის ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი, მიუხედავად იმ ადგილისა, სადაც დანაშაულებრივ გაერთიანებას თავისი საოპერაციო ბაზა აქვს ან თავის დანაშაულებრივ საქმიანობას ახორციელებს;

ბ) მისი მოქალაქის მიერ იქნა ჩადენილი, ან

ც) ამ წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არსებული იურიდიული პირის სასარგებლოდ იქნა ჩადენილი.

წევრ სახელმწიფოს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ b და c პუნქტებით გათვალისწინებულ იურისდიქციის შესახებ დებულებებს არ გამოიყენებს, მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში ან განსაზღვრული გარემოებების არსებობისას გამოიყენოს, როცა მე-2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ იქნა ჩადენილი.

(2) თუ განსჯადობა მე-მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით რამდენიმე სახელმწიფოს აქვს და თითოეული მათგანი უფლებამოსილია, რომ ერთი და იგივე ფაქტების საფუძველზე დანაშაულის მიმართ განახორციელოს ქმედითი დევნა, ამ შემთხვევაში შესაბამისი სახელმწიფოები მუშაობენ ერთად, რომ გადაწყდეს, თუ რომელი მათგანი

განახორციელებს დევნას, რათა მოხდეს სისხლისსამართლებრივი დევნის შეძლებისდაგვარად კონცენტრირება ერთ სახელმწიფოში. ამ მიზნით წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ მიმართონ ევროიუსტს ან ევროკავშირის დონეზე სხვა დაწესებულებას ან მექანიზმს, რათა გამარტივდეს მათ იუსტიციურ ორგანოებს შორის თანამშრომლობა და მათი ღონისძიებების კოორდინირება. ქვემოთ ჩამოთვლილ შემხებლობის პუნქტებს ექცევა განსაკუთრებული ყურადღება:

a) თუ საქმე ეხება იმ წევრ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც იქნა დანაშაული ჩადენილი;

b) თუ საქმე ეხება იმ წევრ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეც არის დამნაშავე ან ან რომლის ტერიტორიაზეც აქვს დამნაშავეს საცხოვრებელი ადგილი;

c) თუ საქმე ეხება იმ წევრ სახელმწიფოს, საიდანაც არის დანაშაულის მსხვერპლი;

d) თუ საქმე ეხება იმ წევრ სახელმწიფოს, რომელშიც დამნაშავე იქნა დაკავებული.

(3) წევრი სახელმწიფო, რომელიც თავისი სამართლებრივი დებულებების საფუძველზე ჯერ კიდევ არ ახდენს საკუთარი მოქალაქის ექსტრადიციას ან გადაცემას, იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა თავისი სასამართლო იურისდიქცია მე-2 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებთან მიმართებით დააფუძნოს და საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს დანაშაულთა დევნა, თუ ისინი მისი მოქალაქის მიერ თავისი სახელმწიფოს სუვერენული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ იქნა ჩადენილი.

(4) ეს მუხლი ხელს არ უშლის წევრ სახელმწიფოს იმაში, რომ განახორციელოს ნაციონალური სამართლებრივი დებულებების საფუძველზე არსებული სისხლისსამართლებრივი განსჯადობა.

მუხლი 8 მსხვერპლის განცხადების ან სარჩელის საჭიროების არარსებობა

წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების დაწყება მე-2 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებთან მიმართებაში სულ მცირე მაშინ არ იქნეს დამოკიდებული დანაშაულის მსხვერპლის განცხადების ან სარჩელის არსებობაზე, როცა ქმედებები წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი.

მუხლი 9 არსებული სამართლებრივი დებულებების გაუქმება

98/733/JI საერთო ღონისძიება გაუქმებულია.

მითითებები დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობაზე, 98/733/JI საერთო ღონისძიების გაგებით, იმ ღონისძიებებში, რომლებიც მიღებულ იქნა ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-6 სათაურისა და ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების მიხედვით, მოქმედებენ, როგორც მითითებები ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მიხედვით დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობაზე.

მუხლი 10 იმპლემენტაცია და შეტყობინება

(1) წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ღონისძიებას ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების 2010 წლის 11 მაისამდე შესრულებისათვის.

(2) წევრი სახელმწიფოები 2010 წლის 11 მაისამდე ატყობინებენ ევროკავშირის საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და ევროკომისიას დებულებების ტექსტს, რომლის მიხედვითაც მოხდა ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვალდებულებების მათ შიდასახელმწიფოებრივ სამართალში იმპლემენტაცია. საბჭო 2012 წლის 11 ნოემბრამდე ამ ინფორმაციის

საფუძვლზე შედგენილი მოხსენებისა და ევროკომისიის წერილობითი მოხსენების მეშვეობით ამოწმებს, მიიღეს თუ არა წევრმა სახელმწიფოებმა აუცილებელი ღონისძიებები ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესასრულებლად.

მუხლი 11

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება გამოიყენება, ასევე გიბრალტარზე.

მუხლი 12 ძალაში შესვლა

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება ძალაში შედის ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღეს.

3. ფულის გაყალბება

საბჭოს 2000 წლის 29 მაისის ჩარჩო-გადაწყვეტილება[1] ფულის გაყალბებისგან დაცვის გაძლიერების მიზნით დაწესებული სისხლისსამართლებრივი და სხვა სანქციების ევროს შემოღებასთან დაკავშირებით გამკაცრების შესახებ

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ეფუძნება ფულის გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 1929 წლის 20 აპრილის საერთაშორისო კონვენციასა და მის დამატებით ოქმს. ეს მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს ფულის გაყალბებისათვის დასჯადობას. წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება ამკაცრებს და აფართოებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სისხლისსამართლებრივ ღონისძიებებს. აქ წარმოდგენილი მე-9a მუხლი (დანაშაულის რეციდივი) ჩარჩო-გადწყვეტილებას დაემატა 2001 წლის 6 დეკემბრის ახალი ჩარჩო-გადაწყვეტილებით[2].

ისევე როგორც ყველა სხვა ჩარჩო-გადაწყვეტილება, იგი მიღებულ იქნა ევროპის კავშირის ხელშეკრულების, განსაკუთრებით მისი 31-ე e და 34-ე II b მუხლების საფუძველზე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინიციატივით, ევროპული პარლამენტის მიერ 2000 წლის 17 თებერვალს პოზიციის გამოხატვის შემდეგ.

1998 წლის 3 მაისს ევროკავშირის საბჭომ მიიღო 974/98 რეგულაცია[3] ევროს შემოღების შესახებ და ევროს ნაღდი ფულადი ანგარიშსწორებისათვის მიმოქცევაში გაშვების თარიღად განსაზღვრა 2002 წლის 1 იანვარი. ამის შედეგად, მონაწილე წევრ სახელმწიფოებს დაევალათ, უზრუნველეყოთ, რომ შესაბამისი სანქციები დაწესებულიყო ევროს ბანკნოტებისა და მონეტების გაყალბებისათვის. ევროკომისიამ, ევროპარლამენტმა და ევროპულმა ცენტრალურმა ბანკმა გარკვეული მუშაობა გასწიეს წარმოდგენილი სამართლებრივი აქტის მიღებამდე. როგორც პრეამბულაშია აღნიშნული, მსოფლიო მასშტაბით თავისი მნიშვნელობის გამო, ევრო აღმოჩნდა გაყალბების განსაკუთრებული რისკის ქვეშ. სწორედ ამიტომ, მიზნად დაისახა, რომ ევრო ყველა წევრ სახელმწიფოში, უკვე მისი ნაღდი ფულადი ანგარიშსწორებისათვის მიმოქცევაში გაშვებამდე, ეფექტური სისხლისსამართლებრივი ღონისძიებებით

---

[1] ABl. L 140, 14. 06. 2000; ინგლისურ ენაზე 2000/383/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2000/383/JI. შეიცვალა 2001 წლის 6 დეკემბრის ჩარჩო-გადაწყვეტილებით;

[2] იხ. ABl. L 329, 14. 12. 2001; ინგლისურ ენაზე 2001/887/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2001/887/JI.

[3] Verordnung (EG) 974/98 vom 3. Mai über die Einführung des Euro; იხ. ABl. L 139, 11. 05. 1998.

ყოფილიყო დაცული, რათა თავიდან აეცილებინათ ამით გამოწვეული შესაძლო ნეგატიური ეკონომიკური შედეგები.

პრეამბულის გარდა, წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება შეიცავს შემდეგ ნორმებს:

მუხლი 1 ცნებათა განსაზღვრა

ამ ჩარჩო გადაწყვეტილების გაგებით, ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით:

– „კონვენცია" – 1929 წლის 20 ივლისის საერთაშორისო კონვენცია ფულის გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და მისი ოქმი;

– „ფული" – ქაღალდის ფული (ბანკნოტების ჩათვლით) და მეტალის ფული, რამდენაც ისინი კანონის დებულებებების საფუძველზე არის მიმოქცევაში, ევროს ბანკნოტებისა და ევროს მონეტების ჩათვლით, რომლის მიმოქცევა 974/98 რეგულაციის (Verordnung (EG) 974/98) მიხედვით, ნებადართულია;

– „იურიდიული პირი", – სამართლის ყველა ის სუბიექტი, რომელსაც ეს სტატუსი გააჩნია შესაბამის დროს მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით, სახელმწიფოების ან სხვა საჯარო სამართლის დაწესებულებების, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ სუვერენულ უფლებებს, და საჯარო-სამართლებირივი საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა.

მუხლი 2 კავშირი სხვა ხელშეკრულებასთან

1) ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მიზანია, შემდეგი განსაზღვრებების მიხედვით კონვენციის განვრცობა და წევრი სახელმწიფოების მიერ მისი გამოყენების გაადვილება.

2) ამ მიზნით, წევრი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, შეუერთდნენ კონვენციას, თუკი ეს მანამდე არ გაუკეთებიათ.

3) კონვენციიდან გამომდინარე ვალდებულებები რჩება ხელშეუხებელი.

მუხლი 3 დანაშაულის ზოგადი შემადგენლობები

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შემდეგ ქმედებებზე სასჯელის დაწესება:

a) თაღლითურად ფულის გაყალბება ან ფულის ფალსიფიკაცია, ჩადენილი ნებისმიერი ფორმით;

b) გაყალბებული ან ფალსიფიცირებული ფულის თაღლითურად შიდა მიმოქცევაში გაშვება;

c) ყალბი ან ფალსიფიცირებული ფულის შემოტანა, გატანა, ტრანსპორტირება, მიღება ან მოპოვება, რომელიც ჩადენილია მისი სიყალბის შეგნებულობითა და მიმოქცევაში გაშვების მიზნით;

d) თაღლითურად დამზადება, მიღება, მოპოვება ან ფლობა

– მოწყობილობის, საგნების, კომპიუტერული პროგრამების და სხვა საშუალებების, რომლებიც თავიანთი ხასიათის მიხედვით იძლევიან ფულის გაყალბების ან ფალსიფიცირების საშუალებას, ან

– ჰოლოგრამების ან ფულის გაყალბებისაგან დამცავი სხვა საშუალებების.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პირველ აბზაცში დასახელებულ ქმედებებში თანამონაწილეობის და

წამქეზებლობის და, ასევე 1-ლი აბზაცის a)-დან c) პუნქტამდე დასახელებული ქმედების მცდელობის დასჯადობა.

მუხლი 4 დამატებითი დანაშაულებრივი შემადგენლობები

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა მოხდეს მე-3 მუხლში დასახელებულ ქმედებებზე სასჯელის დაწესება იმ შემთხვევებშიც, როცა ისინი მიმართულია ბანკნოტებისა და მონეტებისაკენ, რაც გამოიხატა მათ დასამზადებლად ნებადართული მოწყობილობებისა და ნივთების გამოყენებაში, მაგრამ სამართლებრივი ნორმებისა და პირობების უგულველყოფით, რომლის მიხედვითაც, კომპეტენტური უწყებები ფულის გამოცემაზე არიან უფლებამოსილი, თუ იგი ამ უწყებების თანხმობის გარეშე მზადდება ან დამზადდა.

მუხლი 5 ფული, რომელიც მიმოქცევაში ჯერ არ არის გაშვებული, მაგრამ განსაზღვრულია მისი მიმოქცევაში გაშვება

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოს, რომ მე-3 და მე-4 მუხლებში დასახელებულ ქმედებებზე იმ შემთხვევაშიც მოხდეს სასჯელის გამოყენება, როცა

a) ისინი ევროს სამომავლო ბანკნოტებსა და მონეტებს უკავშირდება და შესაბამისი ქმედებები 2002 წლის 1 იანვრამდე იქნა ჩადენილი;

b) ისინი უკავშირდება ბანკნოტებსა და მონეტებს, რომლებიც განსაზღვრულია მიმოქცევაში გასაშვებად, მაგრამ ჯერ არ გაშვებულა და იმ ვალუტას უკავშირდება, რომელიც გადახდის კანონიერ საშუალებას წარმოადგენს.

მუხლი 6 სანქციები

1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებში დასახელებული ქმედებების დასჯადობა ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სისხლისსამართლებრივი სანქციებით, რომლებიც, ასევე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს და რომლის დროს შესაძლებელია ექსტრადიციის განხორციელება.

2) თაღლითური გაყალბების ან ფულის გაყალბების ჩადენის შემთხვევაში, მე-3 მუხლის 1-ლი აბზაცის a) პუნქტის გაგებით, გამოიყენება თავისუფლების აღკვეთა, რომლის დროსაც უმაღლესი სასჯელი სულ მცირე რვა წლის ვადით უნდა განისაზღვროს.

მუხლი 7 იურისდიქცია

(1) ამ მუხლის მე-2 აბზაცის დაურღვეველად, მოქმედებს შემდეგი წესი:

– ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა თავისი იურისდიქცია იმ დანაშაულებზე დასაბუთდეს, რომლებიც გათვალისწინებულია მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებით, როცა დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილია მის სუვერენულ ტერიტორიაზე.

– კონვენციის მე-8 და მე-9 მუხლები, ასევე მე-17 მუხლი გამოიყენება იმ დანაშაულების მიმართ, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ჩარჩო გადაწყვეტილების მე-3 და მე-5 მუხლებით.

(2) სულ მცირე, ის წევრი სახელმწიფოები, სადაც ევრო იქნა შემოღებული, იღებენ სათანადო ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ, რომ ფულის გაყალბების, მინიმუმ ევროს

გაყალბების დროს, მიუხედავად დამნაშავის მოქალაქეობისა და დანაშაულის ჩადენის ადგილისა, შესაძლებელი იყოს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება.

(3) თუკი რამდენიმე წევრი სახელმწიფოს იურისდიქცია და შესაძლებლობა არსებობს იმ დანაშაულზე, რომელიც ერთი და იმავე ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნება, სამართლებრივი დევნის ეფექტურად განხორციელების მიზნით, დაინტერესებული წევრი სახელმწიფოები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, რომ გადაწყდეს, ამ სახელმწიფოებიდან თუ რომელი განახორციელებს დამნაშავის (დამნაშავეების) მიმართ სამართლებრივ დევნას, რათა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების კონცეტრაცია შეძლებისდაგვარად ერთ რომელიმე წევრ სახელმწიფოში მოხდეს.

მუხლი 8 იურიდიული პირების პასუხისმგებლობა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების განხორციელების შემთხვევებში, რომლებიც იურიდიული პირის სასარგებლოდ, იმ პირის მიერ იქნა ჩადენილი, რომელიც მოქმედებდა მარტო ან როგორც იურიდიული პირის ორგანოს წევრი და რომელსაც წამყვანი თანამდებობა ეკავა იურიდიული პირის შიგნით

– იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე ან
– უფლებამოსილება ჰქონდა იურიდიული პირის სახელით მიეღო გადაწყვეტილება ან
– იურიდიული პირის შიგნით კონტროლის უფლებამოსილება გააჩნდა,

ასევე, თუკი დამხმარე ან წამქეზებელია ამ დანაშაულებში, ან თუ იგი იმ დანაშაულების მცდელობას ჩაიდენს, რომლებიც მითითებულია მე-3 მუხლის 1-ლი აბზაცის a) და b) პუნქტებში.

(2) პირველ აბზაცში უკვე გათვალისწინებულ შემთხვევებთან ერთად, ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა, როცა პირველ აბზაცში დასახელებული პირების მხრიდან არასაკმარისი ზედამხედველობის ან კონტროლის გამო, ადგილი ექნება მათდამი დაქვემდებარებული პირის მიერ იურიდიული პირის სასარგებლოდ მე-3-მე-5 მუხლებით დასახელებული დანაშაულების ჩადენას.

(3) 1-ლი და მე-2 აბზაცების მიხედვით იურიდიული პირის პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს ფიზიკური პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას, თუკი ისინი მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებში დასახელებული დანაშაულების ამსრულებელი, წამქეზებელი ან დამხმარე არიან.

მუხლი 9 იურიდიული პირის სანქციები

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-8 მუხლის 1-ლი აბზაცის გაგებით პასუხისმგებელი იურიდიული პირის წინააღმდეგ ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების გამოყენების შესაძლებლობა, რომელთაც ეკუთვნის როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე არასისხლისსამართლებრივი ფულადი სანქციები და სხვა სახის სანქციები, როგორიცაა, მაგალითად,

a) ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება საჯარო ფულადი დაფინანსებების ან დახმარებების შეწყვეტას;

b) ღონისძიებები, რომლებიც ეხება კომერციული საქმიანობის განხორციელების დროებით ან მუდმივად აკრძალვას;

c) სასამართლო ზედამხედველობა;

d) სასამართლო განკარგულებით იურიდიული პირის ლიკვიდაცია.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-8 მუხლის მე-2 აბზაცის გაგებით პასუხისმგებელი იურიდიული პირის წინააღმდეგ ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების ან ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა.

მუხლი 9(a) რეციდივი

ყოველი წევრი სახელმწიფო, თავისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დებულებების მიხედვით, აღიარებს რეციდივის პრინციპს და თავისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დებულებების შესაბამისად ადგენს, რომ რეციდივი სახეზეა მაშინ, როცა ამ ჩარჩო გადაწყვეტილების მე-3-მე-5 მუხლებით ან კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებისათვის სხვა რომელიმე წევრ სახელმწიფოში გამოტანილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ვალუტა იქნა გაყალბებული.

მუხლი 10 მოქმედების ტერიტორიული სივრცე

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება მოქმედებს, ასევე გიბრალტარისთვის.

მუხლი 11 იმპლემენტაცია

1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა ეს ჩარჩო გადაწყვეტილება, მე-5 მუხლის a) პუნქტში მოცემულ შემთხვევაში, არაუგვიანეს 2000 წლის 31 დეკემბრისა და დანარჩენი დებულებების შემთხვევებში, არაუგვიანეს 2001 წლის 29 მაისისა, შესრულდეს.

2) წევრი სახელმწიფოები გადასცემენ საბჭოს გენერალურ სამდივნოს, კომისიასა და ევროპის ცენტრალურ ბანკს იგივე დროს დებულებების ტექსტს, რომლის მიხედვით მოხდა ამ ჩარჩო გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვალდებულებების თავიანთ შიდასახელმწიფოებრივ სამართალში იმპლემენტაცია. საბჭო, არაუგვიანეს 2001 წლის 30 ივნისისა, ამოწმებს ამ ინფორმაციის საფუძველზე შედგენილი მოხსენებისა და კომისიის წერილობითი მოხსენების მეშვეობით, რამდენად მიიღეს წევრმა სახელმწიფოებმა აუცილებელი ღონისძიებები ამ ჩარჩო გადაწყვეტილების შესასრულებლად.

მუხლი 12 ძალაში შესვლა

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღეს.

4. უნაღდო გადახდის საშუალებების თაღლითობა და გაყალბება

საბჭოს 2001 წლის 28 მაისის ჩარჩო-გადაწყვეტილება[1] თაღლითობისა და გადახდის არაფულადი საშუალებების გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება უკავშირდება თაღლითობისა და გადახდის არაფულადი საშუალებების გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც მიღებულია 2001 წლის 28 მაისს. მისი სამართლებრივი საფუძველი იყო ევროპის კავშირის ხელშეკრულება, განსაკუთრებით მისი 34-ე II b მუხლი. იგი მიღებულ იქნა ევროკომისიის ინიციატივით[2], ევროპარლამენტის მიერ თავისი პოზიციის[3] გამოხატვის შემდეგ.

როგორც პრეამბულაშია აღნიშნული ამ სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს, რომელიც ევროკავშირის დონეზე ამ სამართლებრივი აქტის მიღებით იქნა განვრცობილი.

წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება შედგება შემდეგი დებულებებისაგან:

მუხლი 1 დეფინიცია

ამ ჩარჩო გადაწყვეტილების გაგებით, ტერმინები აღნიშნავენ შემდეგს:

a) „გადახდის ინსტრუმენტი“ – სხეულებრივი საშუალება, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული გადახდის საშუალებებისა (ბანკნოტები და მონეტები), რომლებიც თავისი განსაკუთრებული თვისების გამო, მარტო ან სხვა გადახდის ინსტრუმენტებთან კავშირში, მფლობელს/მომხმარებელს აძლევს საშუალებას, ფულის ან სხვა მონეტარული ღირებულების გადაცემა მოახდინოს, როგორიცაა, მაგალითად, საკრედიტო ბარათები, ევროპული ჩეკბარათები ან ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოცემული სხვა ბარათები, სამგზავრო ჩეკი, ევროჩეკი ან სხვა ჩეკები და გადაცვლის ისეთი საშუალებები, რომლებიც თავისი დიზაინით, კოდითა და ხელმოწერით დაცულია გაყალბებისა და თაღლითურად გამოყენებისგან;

b) „იურიდიული პირი“, – სამართლის ყველა ის სუბიექტი, რომელსაც ეს სტატუსი გააჩნია შესაბამის დროს მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით, სახელმწიფოების ან სხვა საჯარო სამართლის დაწესებულებების, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ სუვერენულ უფლებებს, და საჯარო-სამართლებრივი საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა.

მუხლი 2 დანაშაულები, რომლებიც უკავშირდება გადახდის საშუალებებს

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შემდეგი ქმედებების დანაშაულებად გამოცხადება, როცა ისინი განზრახ იქნა ჩადენილი, მინიმუმ საკრედიტო ბარათებთან, ევრო ჩეკ-ბარათებთან, ფინანსური ინსტიტუტების მიერ გამოცემულ სხვა ბარათებთან, სამგზავრო ჩეკებთან, ევროჩეკებთან, სხვა ჩეკებსა და გაცვლით საშუალებებთან მიმართებაში, რაც გამოიხატა:

a) ქურდობაში ან გადახდის ინსტრუმენტების სხვა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში;

---

[1] ABl. L 149, 2. 06. 2001; იხ. ინგლისურ ენაზე 2001/413/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2001/413/JI.

[2] ABl. C 376 E, 28. 12. 1999.

[3] ABl. C 121, 24. 04. 2001.

b) გადახდის ინსტრუმენტების ფალსიფიკაციაში ან გაყალბებაში, თაღლითურად გამოყენების მიზნით;

c) მიღებაში, წარმოებაში, ტრანსპორტირებაში, გასაღებაში ან სხვა პირისთვის გადაცემაში ან ნაქურდალის მფლობელობაში ან გადახდის ინსტრუმენტების სხვაგვარი გზით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში, ფალსიფიცირებაში ან გაყალბებაში, თაღლითურად გამოყენების მიზნით;

d) ნაქურდალის თაღლითურად გამოყენებაში, სხვაგვარი გზით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში ან გადახდის ინსტრუმენტების გაყალბებაში ან ფალსიფიკაციაში.

მუხლი 3 კომპიუტერული დანაშაულები

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შემდეგი ქმედებების დანაშაულებად გამოცხადება, როცა ისინი განზრახ იქნა ჩადენილი, რაც გამოიხატა ფულის ან მონეტარული ღირებულებების გადაცემაში ან მისი გადაცემის უზრუნველყოფაში, რის შედეგად ხელყოფილი იქნა სხვა პირის საკუთრება, იმ მიზნით, რომ მართლსაწინაარმდეგო ქმედების ჩამდენმა ან მესამე პირმა დაუშვებელი ქონებრივი უპირატესობა მიიღოს, განხორციელებული:

– კომპიუტერული მონაცემების, განსაკუთრებით საიდენტიფიკაციო მონაცემების, არაკანონიერად შეყვანის, შეცვლის, ამოშლის ან ჩახშობის გზით, ან

– კომპიუტერული პროგრამის ან კომპიუტერული სისტემის მუშაობაში არამართლზომიერი შეჭრის გზით.

მუხლი 4 დანაშაულები, დაკავშირებული დანაშაულის სპეციალურ საშუალებასთან

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შემდეგი ქმედებების დანაშაულებად გამოცხადება, როცა ისინი განზრახ იქნა ჩადენილი:

თაღლითურად დამზადებაში, მიღებაში, მოპოვებაში, გასაღებაში, სხვა პირისადმი შემდგომ გადაცემაში ან მფლობელობაში:

– მოწყობილობების, საგნების, კომპიუტერული პროგრამებისა და სხვა საშუალებების, რომლებიც თავიანთი თვისებების გამო გამოსადეგია მე-2 მუხლის b) პუნქტის მიხედვით აღწერილი დანაშაულების ჩასადენად;

– კომპიუტერული პროგრამების, რომელთა გამოყენების მიზანია მე-3 მუხლში აღწერილი დანაშაულების განხორციელება.

მუხლი 5 თანამონაწილეობა, წაქეზება და მცდელობა

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოს მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებში აღწერილი ქმედებების თანამონაწილეობის ან წაქეზების ან მე-2, მუხლის a), b), d) პუნქტებსა და მე-3 მუხლში აღწერილი ქმედებების მცდელობის დასჯადობა.

მუხლი 6 სანქციები

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მე-2-მე-5 მუხლებში დასახელებული ქმედებების დასჯადობა ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სასჯელებით, რომლებიც სულ მცირე მძიმე შემთხვევებში

მოიცავს, ასევე თავისუფლების აღკვეთას და რომლის დროსაც შესაძლებელია ექსტრადიციის განხორციელება.

მუხლი 7 იურიდიული პირების პასუხისმგებლობა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა მე-2 მუხლის b), c), d) პუნქტებითა და მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის შემთხვევებში, რომლებიც იურიდიული პირის სასარგებლოდ, იმ პირის მიერ იქნა ჩადენილი, რომელიც მოქმედებდა მარტო ან როგორც იურიდიული პირის ორგანოს წევრი და რომელსაც წამყვანი თანამდებობა ეკავა იურიდიული პირის შიგნით,

– იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე ან

– უფლებამოსილება ჰქონდა, იურიდიული პირის სახელით მიეღო გადაწყვეტილება ან

– იურიდიული პირის შიგნით ჰქონდა კონტროლის უფლებამოსილება,

ასევე, თუკი დამხმარე ან წამქეზებლია მსგავსი დანაშაულების ჩადენაში.

(2) პირველ აბზაცში უკვე გათვალისწინებულ შემთხვევებთან ერთად, ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა, როცა პირველ აბზაცში დასახელებული პირების მხრიდან არასაკმარისი ზედამხედველობის ან კონტროლის გამო, ადგილი ექნება მათდამი დაქვემდებარებული პირის მიერ იურიდიული პირის სასარგებლოდ მე-2 მუხლის b), c), d) პუნქტებითა და მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას.

(3) 1-ლი და მე-2 აბზაცების მიხედვით იურიდიული პირის პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს ფიზიკური პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას, თუკი ისინი მე-2 მუხლის b), c), d) პუნქტებითა და მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში ამსრულებელი, წამქეზებელი ან დამხმარე არიან.

მუხლი 8 სანქციები იურიდიული პირებისათვის

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-7 მუხლის 1-ლი აბზაცის გაგებით პასუხისმგებელი იურიდიული პირის წინააღმდეგ ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების გამოყენების შესაძლებლობა, რომელთაც შეიძლება ეკუთვნოდეს ფულად ჯარიმები ან ფულადი სახდელები, ასევე სხვა სახის სანქციები, როგორიცაა, მაგალითად,

a) ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება საჯარო ფულადი დაფინანსებების ან დახმარების შეწყვეტას;

b) ღონისძიებები, რომლებიც ეხება კომერციული საქმიანობის განხორციელების დროებით ან მუდმივად აკრძალვას;

c) სასამართლო ზედამხედველობა;

d) სასამართლო განკარგულებით იურიდიული პირის ლიკვიდაცია.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-7 მუხლის მე-2 აბზაცის გაგებით პასუხისმგებელი იურიდიული პირის წინააღმდეგ ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების ან ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა.

მუხლი 9 იურისდიქცია

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა თავისი იურისდიქცია დაასაბუთოს მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებში დასახელებულ დანაშაულებთან მიმართებაში, როდესაც ისინი

a) მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილ იქნა მის სუვერენულ ტერიტორიაზე, ან

b) ჩადენილ იქნა მისი მოქალაქის მიერ, ამასთან, შეიძლება, ამ წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი დებულებები იმაზე იყოს ორიენტირებული, რომ ქმედება, აგრეთვე იმ სახელმწიფოშიც ისჯებოდეს, სადაც იგი იქნა განხორციელებული, ან

c) ჩადენილ იქნა იმ იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომელიც ამ წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე მდებარეობს.

(2) მე-10 მუხლის გათვალისწინებით, ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, გადაწყვიტოს, რომ იგი ქვემოთ მითითებულ დებულებებში დასახელებულ უფლებამოსილების წესებს საერთოდ არ გამოიყენებს ან მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში ან განსაზღვრული გარემოებების დროს გამოიყენებს. ესენია:

– 1-ლი აბზაცის b) პუნქტი;

– 1-ლი აბზაცის c) პუნქტი.

(3) თუკი წევრი სახელმწიფო გადაწყვეტს მე-2 აბზაცის გამოყენებას, მაშინ იგი ამის შესახებ შესაბამისად ატყობინებს საბჭოს გენერალურ მდივანს და საჭირო შემთხვევაში აცნობებს, კონკრეტულად თუ რომელ შემთხვევებსა და რა გარემოებებში მოქმედებს ეს გადაწყვეტილება.

მუხლი 10 გადაცემა და დევნა

(1) a) თუკი წევრი სახელმწიფო, თავისი სამართლის შესაბამისად, საკუთარ მოქალაქეს არ გადასცემს, მაშინ ის იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებში მითითებული დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც მისმა მოქალაქეებმა ამ სახელმწიფოს სუვერენული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ჩაიდინეს, თავის იურისდიქციას დაუქვემდებაროს.[1]

b) ყოველი წევრი სახელმწიფო საქმიანობს იმისთვის, რომ საჭიროების შემთხვევაში მისმა კომპეტენტურმა უწყებებმა შეძლონ სამართლებრივი დევნის განახორციელება საკუთარი მოქალაქეების მიმართ, თუკი რომელიმე მათგანი ბრალდებული იქნება სხვა წევრ სახელმწიფოში მე-2, მე-3, მე-4 ან მე-5 მუხლის გაგებით დანაშაულის ჩადენაში და თუკი ეს პირი არ იქნება გადაცემული სხვა სახელმწიფოსთვის მხოლოდ საკუთარი მოქალაქეობის გამო. ამ მიზნით, აღნიშნულ დანაშაულთან დაკავშირებული აქტები, დოკუმენტები და ნივთები პროცესუალურად გადაიგზავნება 1957 წლის 13 დეკემბერის ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 აბცაზის მიხედვით. თხოვნის გამგზავნი სახელმწიფო ინფორმირებული უნდა იქნეს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და მისი შედეგების შესახებ.

(2) ამ მუხლის გაგებით, ცნება წევრი „სახელმწიფოს მოქალაქე“ განმარტებული უნდა იქნეს დაინტერესებული წევრი სახელმწიფოს მიერ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი აბზაცის b) და c) პუნქტების მიხედვით გაკეთებული სათანადო განმარტების შესაბამისად.

---

[1] დღეს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მოქმედებს ჩარჩო-გადაწყვეტილება (Rahmenbeschluss 2002/584/JI) ევროპული დაპატიმრების ბრძანების შესახებ, რომელიც მოგვიანებით, 2002 წლის 13 ივნისს, იქნა მიღებული. იგი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს საკუთარი მოქალაქის გადაცემას. ეს სამართლებრივი აქტი წარმოდგენილი იქნა ზემოთ.

მუხლი 11 წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა

1) მოქმედი ხელშეკრულებებისა და მრავალმხრივი ან ორმხრივი შეთანხმებების ან წესების შესაბამისად, წევრი სახელმწიფოები, იმ სამართალწარმოების პროცესში, რომელიც უკავშირდება დანაშაულებს ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების გაგებით, ერთმანეთთან მიმართებაში უზრუნველყოფენ მაქსიმალურ სამართლებრივ დახმარებას,

2) თუკი ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების გაგებით დანაშაულებზე რამდენიმე წევრი სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება, მაშინ წევრი სახელმწიფოები ერთმანეთთან მართავენ კონსულტაციებს, რათა, სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტურად განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, მოხდეს მათი მოქმედების კოორდინირება.

მუხლი 12 ინფორმაციის გაცვლა

1) წევრი სახელმწიფოები განსაზღვრავენ საკონტაქტო ორგანოებს ან შეუძლიათ არსებული სტრუქტურების გამოყენება, რათა, ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების განხორციელების მიზნით, შეძლონ წევრ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციებისა და სხვა კავშირების გაცვლა.

2) ყოველი წევრი სახელმწიფო ატყობინებს ევროკავშირის საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და ევროკომისიას თავისი სამსახურის (სამსახურების) შესახებ, რომელიც 1-ლი აბზაცის თანახმად ახორციელებს თავის საქმიანობას, როგორც საკონტაქტო ორგანო. საბჭოს გენერალური სამდივნო ამ ინფორმაციებს გადაუგზავნის სხვა წევრ სახელმწიფოებს.

მუხლი 13 მოქმედების ტერიტორიული სივრცე

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება გამოიყენება, ასევე გიბრალტარზე.

მუხლი 14 იმპლემენტაცია

1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება შესრულდეს არაუგვიანეს 2003 წლის 2 ივნისიდან.

2) 2003 წლის 2 ივნისისათვის წევრი სახელმწიფოები ევროპული გაერთიანებების საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და კომისიას გადასცემენ იმ დებულებების ტექსტს, რომლის მიხედვითაც მოხდება ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვალდებულებების თავიანთ შიდასახელმწიფოებრივ სამართალში იმპლემენტაცია. საბჭო 2003 წლის 2 სექტემბრამდე, ამ ინფორმაციის საფუძველზე შედგენილი მოხსენებისა და კომისიის წერილობითი მოხსენების მეშვეობით ამოწმებს, თუ რამდენად მიიღეს წევრმა სახელმწიფოებმა ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესასრულებლად აუცილებელი ღონისძიებები.

მუხლი 15 ძალაში შესვლა

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ევროპული გაერთიანებების ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღეს.

5. კორუფცია

კორუფცია ერთ-ერთი აქტუალური თემაა როგორც ნაციონალურ, ისე ევროპულ სისხლის სამართალში. ამ სფეროში მოქმედებენ საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები, რომელთა ზეგავლენასაც განიცდის ნაციონალური სამართალი. მექრთამეობის წინააღმდეგ საბრძოლველად ევროპის კავშირის ფარგლებში შეიქმნა *ორი* სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომლებიც შეიცავენ ნაციონალური სისხლისსამართლებრივი დებულებების ჰარმონიზაციისათვის მინიმალურ წესებს.[1] პირველი სამართლებრივი ინსტრუმენტი მიმართულია კორუფციის წინააღმდეგ, რომელშიც მონაწილეობას იღებენ წევრი სახელმწიფოების მოხელეები და ევროპული გაერთიანებების, ლისაბონის ხელშეკრულების შედეგად „სამი სვეტის მოდელის" შეცვლის შემდეგ, ევროკავშირის სუპრანაციონალური ინსტიტუტების თანამდებობის პირები. მეორე სამართლებრივი ინსტრუმენტი კი, წარმოადგენს საშუალებას კერძო სექტორში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გასაუმჯობესებლად.

ევროკავშირის სამართლებრივი აქტების შემდეგ, აქვე წარმოგიდგენთ ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ *ბერნდ ჰაინრიხის* მოხსენების ტექსტს, რომელიც ეხება ევროპულ ზეგავლენებს ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს – გერმანიის კორუფციულ სისხლის სამართლის განვითარებაზე.

5.1 კორუფცია საჯარო სექტორში

1997 წლის 26 მაისის შეთანხმება[2] მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელშიც ევროპული გაერთიანებების ან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ორგანოების მოხელეები მონაწილეობენ

(მიღებულია ევროკავშირის ხელშეკრულების K.3 მუხლის მე-2 (c) აბზაცის საფუძველზე)[3]

ეს შეთანხმება მიმართულია საჯარო სექტორში მექრთამეობის დანაშაულის წინააღმდეგ. მისი სუბიექტი შეიძლება იყოს ევროპის კავშირის სუპრანაციონალური ორგანოებისა და წევრი სახელმწიფოების მოხელეები და სხვა თანამდებობის პირები. როგორც პრეამბულაშია მითითებული, წევრი სახელმწიფოები მექრთამეობასთან ბრძოლის დროს იუსტიციური თანამშრომლობის გაუმჯობესებას მიიჩნევენ საერთო ინტერესების სფეროს მიკუთვნებულ საკითხად. ევროკავშირის საბჭომ ზემოთ უკვე წარმოდგენილი 1996 წლის 27 სექტემბერის სამართლებრივი აქტით მიიღო ოქმი[4], რომელიც ძირითადად ეძღვნება მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელსაც ჩაიდენენ ნაციონალური ან გაერთიანების მოხელეები. მექრთამეობის დანაშაულის დაცვის სფეროს კი, წარმოადგენს ევროპული სუპრანაციონა-

---

[1] შეად. *Wasmeier/Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 322.

[2] ABl. C 195. 25. 06. 1997.

[3] Übereinkommen aufgrund von Artikel K.3 Absatz 2 Buchstabe c) des Vertrags über die Europäische Union über die Bekämpfung de Bestechung, an der Beamte der Europäischen Gemeinschaften oder der Mitgliedstaaten der Europäischen Union beteiligt sind.

Convention drawn up on the basis of Article K.3 (2) (c) of the Treaty on European Union on the fight against corruption involving officials of the European Communities or officials of Member States of the European Union.

[4] ABl. C 313, 23. 10. 1996.

ლური ფინანსური ინტერესები. იგი დასჯადად მიიჩნევს ისეთი ქმედების ჩადენას, რომელიც გამოიწვევს ამ სამართლებრივი სიკეთის დაზიანებას ან წარმოქმნის მისთვის ზიანის მიყენების შესაძლებლობას.

წარმოდგენილი სამართლებრივი აქტი მიზნად ისახავს აღნიშნულ სფეროში სისხლის სამართლის საქმეებზე წევრ სახელმწიფოთა იუსტიციური თანამშრომლობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას, ვიდრე ეს დასახელებული ოქმის საფუძველზე არის შესაძლებელი.

წარმოდგენილი შეთანხმების ცალკეული დებულებები შემდეგი შინაარსის მატარებელია:

მუხლი 1 დეფინიცია

ამ ოქმის მიზნებისათვის,

a) ტერმინი „მოხელე" ნიშნავს, როგორც ევროპული გაერთიანების, ისე ნაციონალურ მოხელეს, სხვა წევრი სახელმწიფოს ნაციონალური მოხელის ჩათვლით;

b) ტერმინი „გაერთიანების მოხელე" ნიშნავს,

– ნებისმიერ პირს, რომელიც ევროპული გაერთიანებების მოხელის სტატუტის ან ევროპული გაერთიანებების სხვა მოსამსახურეებისათვის საქმიანობის პირობების გაგებით, წარმოადგენს მოხელეს ან ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს;

– ნებისმიერ პირს, რომელიც წევრი სახელმწიფოების ან საჯარო ან კერძო დაწესებულებების მიერ ევროპული გაერთიანებების სამსახურში არიან ჩაყენებული და იქ ასრულებენ იმ დავალებებს, რომლებიც შეესაბამება ევროპული გაერთიანებების მოხელეთა ან სხვა მომსახურეთა დავალებებს.

ევროპული გაერთიანებების სადამფუძნებლო ხელშეკრულებებით შექმნილი დაწესებულებების წევრები, ასევე ამ დაწესებულებების პერსონალი, განიხილებიან, როგორც გაერთიანების მოხელეები, რამდენადაც მათზე არ ვრცელდება ევროპული გაერთიანებების მოხელის სტატუტი ან ევროპული გაერთიანებების სხვა მომსახურეთა საქმიანობის პირობები;

c) ტერმინი „ნაციონალური მოხელე" ინტერპრეტირებულია იმ წევრი სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივ სამართალში არსებული მოხელისა ან თანამდებობის პირის დეფინიციის შესაბამისად, რომელშიც ის პირი, რომელსაც ეს ეხება ამ თვისების მატარებელია, ამ წევრი სახელმწიფოს სისხლის სამართლის გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე._

თუ საქმე ეხება პროცესს, რომელიც წევრმა სახელმწიფომ დანაშაულის ჩადენის გამო წამოიწყო და მასში მონაწილეა სხვა წევრი სახელმწიფოს მოხელე, ასეთ შემთხვევაში, უპირველესად, საჭიროა, „ნაციონალური მოხელის" ცნების გამოყენება ისე, რომ იგი თავის შიდასახელმწიფოებრივ სამართალს შეესაბამებოდეს.

მუხლი 2 ქრთამის აღება

(1) ამ შეთანხმების მიზნებისათვის, ქრთამის აღების შემადგენლობა მაშინ არის განხორციელებული, როცა მოხელე განზრახ, უშუალოდ ან შუამავალი პირის მეშვეობით, თავისთვის ან მესამე პირის სასარგებლოდ, რაიმე სახის უპირატესობას მოითხოვს, აიღებს ან ასეთის თაობაზე დაპირებას მიიღებს, იმის სანაცვლოდ, რომ იგი თავისი სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევით სამსახურებრივ უფლებამოსილებას ან სხვა მოქმედებას თავისი სამსახურის შესრულების დროს განახორციელებს ან სამსახურებრივ უმოქმედობას გამოიჩენს.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა პირველ აბზაცში დასახელებული ქმედებები დანაშაულებად იქნეს გამოცხადებული.

მუხლი 3 ქრთამის მიცემა

(1) ამ შეთანხმების მიზნებისათვის, მოქრთამვის შემადგენლობა მაშინ არის განხორციელებული, როცა პირი მოხელეს განზრახ, უშუალოდ ან შუამავალი პირის მეშვეობით, თვით მისთვის ან მესამე პირის სასარგებლოდ, რაიმე სახის უპირატესობას შეპირდება ან მიანიჭებს, იმის სანაცვლოდ, რომ მოხელე თავისი სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევით სამსახურებრივ უფლებამოსილებას ან სხვა მოქმედებას თავისი სამსახურის შესრულების დროს განახორციელებს ან სამსახურებრივ უმოქმედობას გამოიჩენს.

3) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა პირველ აბზაცში დასახელებული ქმედებები დანაშაულებად იქნეს გამოცხადებული.

მუხლი 4 ასიმილაცია

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ თავის სისხლის სამართლში მე-2 და მე-3 მუხლების გაგებით აღწერილი დანაშაულებრივი ქმედებები, რომლებიც ჩადენილია თავისი მთავრობის მინისტრების, საპარლამენტო ორგანოების არჩეული წარმომადგენლების, უზენაესი სასამართლოს წევრების ან კონტროლის პალატის წევრების მიერ ან მათ წინააღმდეგ, თავიანთი სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელების დროს, ანალოგიურად გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევებზეც, როდესაც დანაშაული ჩადენილი იქნება ევროპული გაერთიანებების კომისიის, ევროპული პარლამენტის, ევროპული სასამართლოსა და ევროპული გაერთიანების კონტროლის პალატის წევრების მიერ ან მათ წინააღმდეგ, თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს.

(2) თუკი წევრ სახელმწიფოს გამოცემული აქვს განსაკუთრებული სამართლებრივი დებულებები იმ მოქმედების ან უმოქმედობისთვის, რომლებიც დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოში მთავრობის მინისტრების პასუხისმგებლობას, მათი განსაკუთრებული პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, განსაზღვრავენ, მაშინ ამ მუხლის 1-ლი აბზაცი არ მოქმედებს აღნიშნული დებულებებისათვის, რამდენადაც წევრი სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ სისხლისსამართლებრივი დებულებებით, რომლებითაც მოხდა მე-2 და მე-3 მუხლების იმპლემენტირება, მოცული იქნება, ასევე ევროპული გაერთიანებების კომისიის წევრებიც.

(3) 1-ლი და მე-2 აბზაცები ხელშეუხებელს ტოვებს ყოველ წევრ სახელმწიფოში მოქმედი სისხლისსამართლებრივი პროცესის დებულებებსა და შესაბამისი კომპეტენტური სასამართლოს განსაზღვრებას.

(4) ეს შეთანხმება გამოიყენება ევროპული გაერთიანებების შექმნის შესახებ ხელშეკრულების, ევროპული გაერთიანებების პრივილეგიებისა და შეღავათების შესახებ ოქმის, ევროპული სასამართლოს წესდების, ასევე ამისთვის გაცემული შესრულების შესაბამისი დებულებების, რომლებიც შეღავათების გაუქმებას ეხება, სრული შენარჩუნებით.

მუხლი 5 სანქციები

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-2 და მე-3 მუხლებში დასახელებული ქმედებების ან ასეთ დანაშაულებში დახმარებისა და მათი წაქეზების დასჯადობის შესაძლებლობა თანაზომიერი, ეფექტური და დამაშინებელი სასჯელით, რომელიც სულ მცირე დამამძიმებელ გარემოებებში მოიცავს თავისუფლების აღკვეთას, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება ექსტრადიციის განხორციელება.

(2) 1-ლი აბზაცი ხელშეუხებელს ტოვებს კომპეტენტური ორგანოების მიერ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების უფლებამოსილებას ნაციონალური ან გაერთიანების

მოხელეების მიმართ. ნაციონალურმა სასამართლომ სასჯელის შეფარდებისას, თავისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის პრინციპების შესაბამისად, შესაძლებელია, გაითვალისწინოს ის დისციპლინარული ღონისძიებები, რომლებიც გამოყენებულ იქნა ერთი და იმავე პირის მიმართ ერთი და იგივე ქმედების ჩადენის გამო.

მუხლი 6 საწარმოს ხელმძღვანელების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა მათი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის პრინციპების შესაბამისად, შესაძლებელი გახდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება საწარმოს ხელმძღვანელის, გადაწყვეტილების მიმღები პირის ან მაკონტროლებელი პირის მიმართ, მე-3 მუხლის შესაბამისად მოქრთამვის ქმედებების განხორციელების შემთხვევაში, რომლებიც ჩადენილ იქნა მათ დაქვემდებარებაში მყოფი პირების მიერ, საწარმოსთვის უპირატესობას მინიჭების მიზნით.

მუხლი 6 იურისდიქცია

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა თავისი იურისდიქცია დანაშაულებისათვის, რომელთა ქმედების შემადგენლობები მან მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებიდან გამომდინარე ვალდებულებების საფუძველზე შექმნა, იმ შემთხვევებში დაასაბუთოს, როცა

a) დანაშაული მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილ იქნა თავის სუვერენულ ტერიტორიაზე;

b) საქმე ეხება იმ დამნაშავეს, რომელიც არის მისი მოქალაქე ან მოხელე;

c) საქმე ეხება იმ დანაშაულს, რომელიც მიმართულია პირველ მუხლში დასახელებული პირის ან მე-4 მუხლის პირველ აბზაცში დასახელებული ევროპული გაერთიანებების ორგანოების წევრის წინააღმდეგ, რომელიც იმავდროულად არის თავისი მოქალაქე;

d) საქმე ეხება დამნაშავეს, რომელიც არის გაერთიანების მოხელე ევროპული გაერთიანებების ორგანოში ან ევროპული გაერთიანებების შექმნის შესახებ ხელშეკრულებების საფუძველზე დაფუძნებულ დაწესებულებაში, ამასთან, ამ ორგანოების ადგილსამყოფელი დაინტერესებული წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზეა.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო უფლებამოსილია, მე-13 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით ნოტიფიკაციისას, განმარტოს, რომ ის იურისდიქციის შესახებ ერთ ან რამდენიმე დებულებას, 1-ლი აბზაცის b), c) და d) პუნქტების შესაბამისად, საერთოდ არ გამოიყენებს ან მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში ან მხოლოდ განსაზღვრული გარემოებების არსებობისას გამოიყენებს.

მუხლი 8 გადაცემა და დევნა

(1) თუკი წევრი სახელმწიფო, თავისი სამართლის შესაბამისად, საკუთარ მოქალაქეს არ გადასცემს, მაშინ ის იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა თავის იურიდიქციას ის დანაშაულები დაუქვემდებაროს, რომელთა ქმედების შემადგენლობები მე-2, მე-3 და მე-4 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულების საფუძველზე შეიქმნა და რომლებიც მისმა მოქალაქეებმა ამ სახელმწიფოს სუვერენული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ჩაიდინეს.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო საქმიანობს იმისათვის, რომ თავისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა საჭიროების შემთხვევაში შეძლონ სამართლებრივი დევნის განახორციელება საკუთარი მოქალაქეების მიმართ, თუკი რომელიმე მათგანი ბრალდებულია სხვა წევრ

სახელმწიფოში იმ დანაშაულების ჩადენის გამო, რომელთა ქმედების შემადგენლობა მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებიდან გამომდინარე ვალდებულებების საფუძველზე შეიქმნა და თუ ეს პირი არ გადაეცემა სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოს მხოლოდ იმის გამო, რომ თხოვნის მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეა. ამ მიზნით, ამ დანაშაულთან დაკავშირებული აქტების, დოკუმენტებისა და ნივთების გადაცემა ხდება ექსტრადიციის შესახებ 1957 წლის 13 დეკემბერის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის მიხედვით. თხოვნის გამგზავნი სახელმწიფო ინფორმირებული უნდა იქნეს სისხლისსამართლებრივი დევნის მიმდინარეობის პროცესისა და შედეგების შესახებ.

(3) ამ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ცნება წევრი „სახელმწიფოს მოქალაქე", საჭიროების შემთხვევაში, დაინტერესებული წევრი სახელმწიფოს მიერ განმარტებული უნდა იქნეს ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი აბზაცის b) და c) პუნქტების მიხედვით გაკეთებული განმარტების შესაბამისად.

მუხლი 9 თანამშრომლობა

(1) თუკი პროცესი, რომელიც ტარდება იმ დანაშაულთან მიმართებაში, რომლის ქმედების შემადგენლობა მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებიდან გამომდინარე ვალდებულებების საფუძველზე შეიქმნა, ეხება ორ ან მეტ წევრ სახელმწიფოს, მაშინ ეს სახელმწიფოები გამოძიებების, სისხლისსამართლებრივ დევნისა და სასჯელის აღსრულების პროცესში ერთმანეთთან ეფექტურად თანამშრომლობენ. აღნიშნულ თანამშრომლობაში მოიაზრება, მაგალითად, ექსტრადიცია, სამართლებრივი დახმარება, სისხლისსამართლებრივი დევნის ან ერთ რომელიმე სხვა წევრ სახელმწიფოში გამოტანილი განაჩენის აღსრულების გადაცემა.

(2) თუკი რამდენიმე წევრი სახელმწიფოს იურისდიქცია და შესაძლებლობა არსებობს იმ დანაშაულზე, რომელიც ერთი და იმავე ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნება, სამართლებრივი დევნის ეფექტურად განხორციელების მიზნით, დაინტერესებული წევრი სახელმწიფოები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, რათა გადაწყდეს, ამ სახელმწიფოებიდან თუ რომელი განახორციელებს დამნაშავის (დამნაშავეების) მიმართ სამართლებრივ დევნას, რათა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების კონცეტრაცია, შეძლებისდაგვარად, ერთ რომელიმე სახელმწიფოში მოხდეს.

მუხლი 10 Ne bis in idem

(1) წევრი სახელმწიფოები იყენებენ თავიანთ შიდასახელმწიფოებრივ სისხლის სამართალში „Ne-bis-in-idem"-ის პრინციპს, რის შედეგადაც, იმ პიროვნების მიმართ, რომლის წინააღმდეგაც სხვა წევრ სახელმწიფოში კანონიერ ძალაში შესული განაჩენია გამოტანილი, დაუშვებელია სამართლებრივი დევნის განხორციელება სხვა წევრ სახელმწიფოში იგივე ქმედების გამო, თუკი გამოტანილი განაჩენის სანქციები უკვე აღსრულებულია ან აღსრულების პროცესშია ან სასჯელის შემფარდებელი სახელმწიფოს მიერ აღსრულების განხორციელება შეუძლებელია.

(2) წევრ სახელმწიფოს, მე-13 მუხლის მე-2 აბზაცის თანახმად ნოტიფიკაციისას, შეუძლია, განმარტოს, რომ ის ერთ ამ რამდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილ შეთხვევაში 1-ლი აბზაცით არ იქნება შებოჭილი:

a) როცა ქმედება, რომელზეც სხვა სახელმწიფოს მიერ გამოტანილია განაჩენი, მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილია თავის სუვერენულ ტერიტორიაზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს გამონაკლისი წესი არ მოქმედებს, თუ აღნიშნული ქმედება ნაწილობრივ ჩადენილია იმ წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე, სადაც განაჩენი იქნა გამოტანილი;

b) თუკი ქმედება, რომელიც საფუძვლად დაედო სხვა სახელმწიფოს მიერ გამოტანილ განაჩენს, წარმოადგენს დაინტერესებული წევრი სახელმწიფოს უსაფრთხოებისა ან სხვა მსგავსი არსებითი ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს;

c) თუკი დანაშაული, რომელზეც სხვა სახელმწიფოს მიერ გამოტანილია განაჩენი, ჩადენილია დაინტერესებული წევრი სახელმწიფოს საჯარო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობების დარღვევით.

(3) თუკი რომელიმე წევრი სახელმწიფო პირის მიმართ სამართლებრივ დევნას განაახლებს, რომლის მიმართაც სხვა წევრ სახელმწიფოში იგივე ქმედების გამო უკვე გამოტანილი იყო კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, მაშინ იმ სხვა წევრ სახელმწიფოში მოხდილი თავისუფლების აღკვეთის ვადა უნდა ჩაითვალოს დაკისრებული სანქციის ვადაში. თუკი შიდასახელმწიფოებრივი სამართლით ნებადართულია, მხედველობაში მიიღება, ასევე სხვა სანქციებიც, ვიდრე თავისუფლების აღკვეთის სანქციებია, თუ ისინი უკვე აღსრულებულია.

(4) ის გამონაკლისები, რომლებიც მე-2 აბზაცში მოცემულ განმარტების საგანს წარმოადგენს, არ გამოიყენება, თუკი დაინტერესებული სახელმწიფო სხვა წევრ სახელმწიფოს იგივე ქმედების გამო სამართლებრივი დევნის განსახორციელებლად თხოვნით მიმართავს ან დაინტერესებული მხარის ექსტრადიციაზე თანხმობა დაკმაყოფილდება.

5) წევრ სახელმწიფოთა შორის დადებული შესაბამისი ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებები და მასთან დაკავშირებით გაკეთებული განმარტებები ამ მუხლისგან ხელშეუხებელი რჩება.

მუხლი 11 შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დებულებები

ეს შეთანხმება არ ეწინააღმდეგება წევრ სახელმწიფოებს იმაში, რომ მათ გამოსცენ ისეთი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დებულებები, რომლებიც ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულების ფარგლებს სცდებიან.

მუხლი 12 სასამართლო

(1) წევრ სახელმწიფოებს შორის დავები, დაკავშირებული ამ შეთანხმების გამოყენებასთან ან განმარტებასთან, რომლებიც ორმხრივად ვერ მოგვარდება, გადაწყვეტის მიზნით, თავდაპირველად განიხილება საბჭოში, ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 სათაურით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

თუკი ასეთი დავა 6 თვის განმავლობაში ვერ მოგვარდა, მაშინ ევროპული გაერთიანების სასამართლო უფლებამოსილია, მხარებს შორის არსებული დავა, ერთ-ერთი მოდავე მხარის ინიციატივით, გადაწყვიტოს.

(2) პირველ მუხლთან – c) პუნქტის გამოკლებით – და მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებთან დაკავშირებული დავები, რომლებიც წარმოიშობა ერთ ან რამდენიმე წევრ სახელმწიფოსა და ევროპული გაერთიანებების კომისიას შორის და რომლებიც უკავშირდება გაერთიანების სამართლის რომელიმე საკითხს ან ევროპული გაერთიანებების ფინანსურ ინტერესებს ან რომლებშიც მონაწილეობენ გაერთიანების ორგანოების ან ევროპული გაერთიანებების დაფუძნების შესახებ ხელშეკრულებების თანახმად შექმნილი დაწესებულებების წევრები ან მოხელეები და თუ ამგვარი დავების გადაწყვეტა შეუძლებელი გახდა მოლაპარაკებების გზით, მაშინ ერთ-ერთ მოდავე მხარეს შეუძლია, ეს საკითხი ევროპული სასამართლოს წინაშე დააყენოს.

(3) წევრი სახელმწიფოების სასამართლოებს შეუძლიათ, 1-ლი-მე-4 და მე-12-მე-16

მუხლების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, რომელიც გამომდინარეობს მათი ქვემდებარე სამართლებრივი დავების განხილვიდან, რომლებიც წარმოიშობა გაერთიანების ორგანოების ან ევროპული გაერთიანებების სადამფუძნებლო ხელშეკრულებების მიხედვით შექმნილი დაწესებულებების წევრების ან მოხელეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების დროს ჩადენილი ქმედებებიდან, წინასაწარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარუდგინონ ევროპულ სასამართლოს, თუკი ეს გადაწყვეტილება მათ მიერ გადაწყვეტილების გამოტანისათვის აუცილებელად მიაჩნიათ.

(4) მე-3 აბზაციდან გამომდინარე ევროპული სასამართლოს კომპეტენცია დაკავშირებულია იმასთან, რომ დაინტერესებულმა სახელმწიფომ, მე-13 მუხლის მე-2 აბზაცის შესაბამისად ნოტიფიკაციისას, ან მოგვიანებით, გააკეთოს განმარტება, რის შედეგადაც იგი ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს აღიარებს.

(5) წევრ სახელმწიფოს, რომელიც მე-4 მუხლის თანახმად აკეთებს განმარტებას, შეუძლია, ევროპული გაერთიანებების სასამართლოს წინაშე წინასწარი გადაწყვეტილების თხოვნა შეზღუდოს თავისი სასამართლოებით, რომელთა გადაწყვეტილებების გასაჩივრება შეუძლებელია შიდასახელმწიფოებრივი სამართლით.

(6) ევროპული გაერთიანებების სასამართლოს წესდება და მისი რეგლამენტი გამოყენება შესაბამისად. ამ წესდების თანახმად, ევროკომისიას და, ასევე ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, მიუხედავად იმისა, გააკეთა თუ არა მე-4 აბზაცის თანახმად განმარტება, მე-3 აბზაციდან გამომდინარე სამართლებრივ საქმეებში ევროპულ სასამართლოს მიაწოდოს დოკუმენტები ან გადასცეს წერილობითი განმარტებები.

მუხლი 13 ძალაში შესვლა

(1) ეს შეთანხმება თითოეული წევრი სახელმწფოს მხრიდან მოითხოვს იმ პროცედურის შესაბამისად მიღებას, რომელიც გათვალისწინებულია თითოეული მათგანის შესაბამისი კონსტიტუციური-სამართლებრივი დებულებებით.

(2) წევრი სახელმწიფოები ოფიციალურად აცნობებენ საბჭოს გენერალურ მდივანს პროცესის დასრულებას, რომელიც თითოეული მათგანის შესაბამისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი დებულებების მიხედვით ამ შეთანხმების მიღებისათვის აუცილებელია.

(3) ეს შეთანხმება ძალაში შედის 90-ე დღეს მე-2 აბზაცში დასახელებული ნოტიფიკაციის შემდეგ იმ წევრ სახელმწიფოს მხრიდან, რომელმაც ეს ფორმალობა ბოლოს შეასრულა.

(4) სანამ ეს შეთანხმება ძალაში შევა, წევრ სახელმწიფოს შეუძლია, მე-2 მუხლის თანახმად ნოტიფიკაციისას ან მოგვიანებით, გააკეთოს განმარტება, რომ მისთვის ეს შეთანხმება, მე-12 მუხლის გარდა, სხვა წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობებში გამოყენებადია, თუკი ამ უკანსკნელმა სახელმწიფოებმა მსგავსი განმარტება გააკეთეს. ეს შეთანხმება იმ წევრი სახელმწიფოსთვის, რომელმაც მსგავსი განმარტება გააკეთა, ძალაში შედის იმ თვის პირველი დღიდან, რომელიც განმარტების ჩაბარებიდან 90 დღის გასვლის შემდეგ დადგება.

(5) თუკი წევრ სახელმწიფოს მე-4 აბზაცის მიხედვით არ გაუკეთებია განმარტება, მაშინ მას შეუძლია, ეს შეთანხმება სხვა ხელშემკვრელ წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობებში გამოიყენოს ორმხრივად გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე.

მუხლი 14 შეერთება

(1) ამ შეთანხმებასთან შეერთება შეუძლია ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც ევროკავშირის წევრი გახდება.

(2) ევროპის კავშირის საბჭოს მიერ შედგენილი ამ შეთანხმების ტექსტი იმ სახელმწიფოს ენაზე, რომელიც მას შეუერთდება, სავალდებულო ძალის მქონეა.

(3) შეერთების სიგელი ინახება დეპონირების განმახორციელებელ პირთან.

(4) ეს შეთანხმება ძალაში შედის ნებისმიერი იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც მას შეუერთდება, შეერთების სიგელის ჩაბარებიდან 90-ე დღეს ან ამ შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან, თუკი ეს შეთანხმება დასახელებული 90-დღიანი ვადის განმავლობაში ჯერ კიდევ არ შესულა ძალაში.

(5) თუკი ეს შეთანხმება შეერთების სიგელის წარდგენისას ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული, მაშინ შეერთებული სახელმწიფოებისთვის მოქმედებს მე-13 მუხლის მე-4 აბზაცი.

მუხლი 15 დათქმები

1) დათქმების გაკეთება არ დაიშვება, გარდა მე-7 მუხლის მე-2 აბზაცით და მე-10 მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული დათქმებისა.

2) ყოველ წევრ სახელმწიფოს, რომელიც დათქმას გააკეთებს, შეუძლია, ნებისმიერ დროს, მთლიანად ან ნაწილობრივ, შესაბამისი ნოტიფიკაციის მეშვეობით, დეპონირების განმახორციელებელი პირისგან უკან გაითხოვოს იგი. უკან გამოთხოვა ძალაში შედის ასეთი ნოტიფიკაციის დეპონირების განმახორციელებელი პირის მიერ მიღების მომენტიდან.

მუხლი 16 დეპონირება

(1) ამ შეთანხმების დეპონირება ხდება ევროპის კავშირის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

(2) დეპონირების განმახორციელებელი პირი აქვეყნებს ევროპული გაერთიანებების ოფიციალურ ჟურნალში წევრი სახელმწიფოების მიერ ამ შეთანხმების მიღებისა და მასთან შეერთების მდგომარეობის, გაკეთებული განმარტებებისა და დათქმების, ასევე ამ შეთანხმებასთან დაკავშირებული ყველა სხვა ნოტიფიკაციების შესახებ.

5.2 კორუფცია კერძო სექტორში

საბჭოს 2003 წლის 22 ივლისის ჩარჩო-გადაწყვეტილება[1] კერძო სექტორში მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

საჯარო სექტორში კორუფციისგან განსხვავებით, კერძო სექტორში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას ევროპის კავშირის ფარგლებში ეძღვნება ჩარჩო-გადაწყვეტილება. წარმოდგენილი სამართლებრივი აქტი ეხება სწორედ ამ საკითხს. მისი მიღების ინიციატორი სახელმწიფოა დანიის სამეფო. იგი მიღებულ იქნა ევროკავშირის საბჭოს მიერ, ევროპული პარლამენტის მიერ 2002 წლის 22 ნოემბერს პოზიციის გამოხატვის შემდეგ. აღნიშნული ჩარჩო გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2003 წლის 31 ივლისს.

ამ აქტის სამართლებრივი საფუძველი იყო მისი მიღების დროს მოქმედი ევროკავშირის

[1] ABl. L 192, 31. 07. 2003; იხ. ინგლისურ ენაზე 2003/568/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2003/568/JI.

ხელშეკრულება, განსაკუთრებით 29-ე, 31-ე I e და 34-ე II b მუხლები. ჩარჩო-გადაწყვეტილების პრეამბულაში კერძო სექტორში კორუფცია მიჩნეულია არა მხოლოდ წევრ სახელმწიფოთა ნაციონალურ, არამედ, ასევე ტრანსნაციონალურ პრობლემად. იქვე მითითებულია, რომ წევრი სახელმწიფოები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან იგი, სხვა გარემოებებთან ერთად, ხელს უშლის ჯანსაღ ეკონომიკურ განვითარებას. სწორედ ამიტომ, ჯერ კიდევ 1998 წლის 22 დეკემბერს ევროკავშირის საბჭომ მიიღო ერთობლივი ღონისძიება, რომელიც ეხებოდა კორუფციას კერძო სექტორში[1], რომელიც წარმოადგენდა ევროპის კავშირის დონეზე პირველ ნაბიჯს ამ სახის კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც მოითხოვდა შემდეგი ნაბიჯების გადადგმას. 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო-გადაწყვეტილება ევროპული დაპატიმრების ბრძანების შესახებ, რომელიც ზემოთ წარმოვადგინეთ, კორუფციას მიიჩნევს ერთ-ერთ ისეთ დანაშაულად, რომლის ჩადენის შემთხვევაში წევრ სახელმწიფოთა შორის ბრალდებულის გადაცემა შეიძლება მოხდეს ორმხრივი დასჯადობის პრინციპის შემოწმების გარეშე. იგი წარმოადგენს კატალოგში მითითებულ 32-დან ერთ-ერთ დანაშაულს.

წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილების მიღების დროისათვის შეიმჩნეოდა აქტიურობები კორუფციის სფეროში სამართლებრივი აქტების გამოცემასთან დაკავშირებით ევროპულ და საერთაშორისო დონეზე. ასე, მაგალითად, ევროსაბჭომ 1999 წლის 27 იანვარს ხელმოსაწერად წარმოადგინა კორუფციის შესახებ სისხლისსამართლებრივი კონვენცია. ამ დროისთვის უკვე მიღებული იყო გადაწყვეტილება კონვენციასთან კავშირში კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) შექმნის შესახებ. გარდა ამისა, სახელმწიფოთა შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის მიღების თაობაზე.

წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილების მიზანია, განსაკუთრებით, იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა წევრ სახელმწიფოში კერძო სექტორში როგორც ქრთამის აღება, ასევე მოქრთამვა დასჯადად იყოს გამოცხადებული, რითაც, ასევე ამ დანაშაულებისათვის იურიდიული პირებიც შეიძლება დაისაჯონ. ამასთან, დანიშნული სასჯელი უნდა იყოს ეფექტური, თანაზომიერი და პრევენციული.

წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება შედგება შემდეგი შინაარსის მუხლებისგან:

მუხლი 1 ცნებათა განსაზღვრებები

ამ ჩარჩო გადაწყვეტილების გაგებით:

– ტერმინი „იურიდიული პირი“ ნიშნავს სამართლის ყველა იმ სუბიექტს, რომელსაც ეს სტატუსი გააჩნია შესაბამის დროს მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით, სახელმწიფოების ან სხვა საჯარო სამართლის დაწესებულებების, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ სუვერენულ უფლებებს, და საჯარო-სამართლებრივი საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა;

– ტერმინი „მოვალეობის დარღვევა“ გაგებული უნდა იქნეს ცალკეული სახელმწიფოების სამართლის მიხედვით. ცნება მოვალეობის დარღვევა ცალკეული სახელმწიფოების სამართალში სულ მცირე უნდა მოიცავდეს ნებისმიერ ისეთ არაკეთილსინდისიერ ქცევას, რომელიც წარმოადგენს კანონით დადგენილი ვალდებულების, შესაბამისად, პროფესიული მოვალეობის ან მითითების დარღვევას, რომელიც მოქმედებს იმ პირის სამსახურებრივი საქმიანობის სფეროში, რომელსაც კერძო სექტორის საწარმოში ხელმძღვანელობითი ან სხვა თანამდებობა უკავია.

[1] ABl. L 358. 31. 12. 1998; იხ. ინგლისურ ენაზე 98/742/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე -- 98/742/JI.

მუხლი 2 ქრთამის მიცემა და ქრთამის აღება კერძო სექტორში

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შემდეგი განზრახი ქმედებების დასჯადობა, თუკი ისინი საწარმოს საქმიანობის სფეროში იქნა ჩადენილი:

a) მოქმედებები, რომლის დროსაც პირი უშუალოდ ან შუამავლის მეშვეობით, იმ პირს, რომელსაც კერძო სექტორში საწარმოს ხელმძღვანელობითი ან სხვა თანამდებობა უკავია, რაიმე სახის უკანონო უპირატესობას თვით ამ პირის ან მესამე პირის სასარგებლოდ დაპირდება, შეთავაზებს ან მიანიჭებს, რათა ამ პირმა თავისი მოვალეობების დარღვევით ჩაიდინოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს მისგან;

b) მოქმედებები, რომლის დროსაც პირი, რომელსაც კერძო სექტორში საწარმოს ხელმძღვანელობითი ან სხვა თანამდებობა უკავია, უშუალოდ ან შუამავლის მეშვეობით, თავისთვის ან მესამე პირის სასარგებლოდ რაიმე სახის უკანონო უპირატესობას იმის სანაცვლოდ მოითხოვს, აიღებს ან ასეთის თაობაზე დაპირებას მიიღებს, რომ იგი თავისი მოვალეობების დარღვევით ჩაიდენს რაიმე მოქმედებას ან თავს შეიკავებს მისგან.

(2) 1-ლი აბზაცი მოქმედებს საწარმოთა საქმიანობის პროცესზე, მიუხედავად იმისა, ისინი მოქმედებენ მოგების მიღების მიზნით თუ მის გარეშე.

(3) წევრ სახელმწიფოს შეუძლია, განაცხადოს, რომ იგი 1-ლი აბზაცის მოქმედების სფეროს ზღუდავს იმ მოქმედებებით, რომლებსაც საქონლის შეძენასთან ან სამეწარმეო მომსახურებასთან კავშირში კონკურენტული გარემოს დარღვევა მოჰყვა ან შესაძლოა, მოჰყვეს.

(4) განმარტებები, რაც გამომდინარეობს მე-3 აბზაციდან, საბჭოს ამ ჩარჩო გადაწყვეტილების მიღების დროისათვის გადაეცემა და, 2005 წლის 22 ივლისიდან დაწყებული, მოქმედებს ხუთი წლის განმავლობაში.

(5) 2010 წლის 22 ივლისამდე საბჭო დროულად ამოწმებს ამ მუხლს იმ თვალსაზრისით, შესაძლებელია თუ არა მე-3 აბზაცის მიხედვით გაკეთებული განმარტებების მოქმედების ვადის გაგრძელება.

მუხლი 3 წაქეზება და დახმარება

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-2 მუხლით გათვალისწინებული ქმედებების წაქეზებისა და მასში დახმარების დასჯადობა.

მუხლი 4 სასჯელები და სხვა სანქციები

1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-2 და მე-3 მუხლებში დასახელებული ქმედებების ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სასჯელებით დასჯა.

2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მე-2 მუხლში დასახელებული ქმედებების მიმართ მინიმალური სასჯელი ერთიდან სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთის სახით განისაზღვროს.

3) ყოველი წევრი სახელმწიფო, თავისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი დებულებებისა და პრინციპების შესაბამისად, იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ფიზიკურ პირს, რომელსაც განსაზღვრულ სამეწარმეო საქმიანობასთან მიმართებაში მე-2 მუხლში დასახელებული ქმედებების გამო მსჯავრი დაედება, საჭიროების შემთხვევაში, – სულ მცირე მაშინ, როცა მას შესაბამისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში საწარმოს ხელმძღვანელითი თანამდებობა ეკავა, – ამ ან მსგავსი სამსახურებრივი

საქმიანობის შემდგომი შესრულება მსგავს თანამდებობაზე ან საქმიანობის სფეროში დროებით აეკრძალოს, როცა დადგენილი საქმის გარემოებები ცალსახად მიუთითებენ იმ რისკზე, რომ ეს პირი თავის თანამდებობას ან საქმიანობას მოქრთამვისა და მექრთამეობისთვის ბოროტად გამოიყენებს.

მუხლი 5 იურიდიული პირების პასუხისმგებლობა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების განხორციელების შემთხვევებში, რომლებიც იურიდიული პირის სასარგებლოდ, იმ პირის მიერ იქნა ჩადენილი, რომელიც მოქმედებდა მარტო ან როგორც იურიდული პირის ორგანოს წევრი და რომელსაც წამყვანი თანამდებობა ეკავა იურიდიული პირის შიგნით,

a) იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე, ან

b) უფლებამოსილი იყო, იურიდიული პირის სახელით მიეღო გადაწყვეტილება, ან

c) იურიდიული პირის შიგნით კონტროლის უფლებამოსილება ჰქონდა.

(2) პირველ აბზაცში უკვე გათვალისწინებულ შემთხვევებთან ერთად, ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა, როცა პირველ აბზაცში დასახელებული პირების მხრიდან არასაკმარისი ზედამხედველობის ან კონტროლის გამო, ადგილი ექნება მათდამი დაქვემდებარებული პირის მიერ იურიდიული პირის სასარგებლოდ მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას.

(3) 1-ლი და მე-2 აბზაცის მიხედვით იურიდიული პირის პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს ფიზიკური პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას, თუკი ისინი მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში ამსრულებელი, წამქეზებელი ან დამხმარე არიან.

მუხლი 6 სანქციები იურიდიული პირებისათვის

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-5 მუხლის 1-ლი აბზაცის გაგებით პასუხისმგებელი იურიდიული პირის წინააღმდეგ ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების გამოყენების შესაძლებლობა, რომლებიც მოიცავს, ასევე ფულად სასჯელებს ან ფულად საბდელებს; მას შეიძლება მიეკუთვნოს, ასევე სხვა სანქციები, როგორიცაა, მაგალითად,

a) ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება საჯარო ფულადი დაფინანსებების ან დახმარების შეწყვეტას;

b) ღონისძიებები, რომლებიც ეხება კომერციული საქმიანობის განხორციელების დროებით ან მუდმივად აკრძალვას;

c) სასამართლო ზედამხედველობა;

d) სასამართლო განკარგულებით იურიდიული პირის ლიკვიდაცია.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-5 მუხლის მე-2 აბზაცის გაგებით პასუხისმგებელი იურიდიული პირის წინააღმდეგ ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების ან ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა.

მუხლი 7 კომპეტენცია

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა თავისი იურისდიქცია მე-2 და მე-3 მუხლებში მითითებულ დანაშაულებთან მიმართებაში დაასაბუთოს, როდესაც ისინი

a) მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილ იქნა მის სუვერენულ ტერიტორიაზე, ან

b) ჩადენილ იქნა მისი მოქალაქის მიერ, ან

c) ჩადენილ იქნა იმ იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომელიც ამ წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე მდებარეობს.

(2) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, გადაწყვიტოს, რომ ის იმ შემთხვევებში, რომელთა დროს დანაშაულები მისი სუვერენული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ იქნა ჩადენილი, 1-ლი აბზაცის b) ან c) პუნქტებიდან გამომდინარე კომპეტენციის შესახებ დებულებებს საერთოდ არ გამოიყენებს ან მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში ან განსაზღვრული გარემოებების არსებობისას გამოიყენებს.

(3) თუკი წევრი სახელმწიფო თავისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლით თავის მოქალაქეს არ გადასცემს, მაშინ ის იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა თავისი კომპეტენცია მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული დასჯადი ქმედებებისათვის დაასაბუთოს, რომლის დროსაც ამ სახელმწიფოს მოქალაქემ ეს დანაშაულები ჩაიდინა მისი სუვერენული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

(4) თუკი წევრი სახელმწიფო გადაწყვეტს მე-2 აბზაცის გამოყენებას, მაშინ იგი ევროკავშირის საბჭოს გენერალურ სამდივანოსა და ევროკომისიას ამის შესახებ შეატყობინებს და, საჭიროების შემთხვევაში, აცნობებს, თუ რომელ შემთხვევებში, შესაბამისად, რომელ გარემოებებში მოქმედებებს გადაწყვეტილება.

მუხლი 8 გაუქმება

გაუქმებულ იქნეს ერთობლივი ღონისძიება 98/742/JI.

მუხლი 9 იმპლემენტაცია

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება შესრულდეს არაუგვიანეს 2005 წლის 22 ივლისისა.

(2) წევრი სახელმწიფოები ატყობინებენ საბჭოს გენერალურ სამდივნოს და, ასევე იგივე ვადებში ევროკომისიას, იმ დებულებების ტექსტს, რომლის მიხედვითაც მოახდინეს ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვადებულებების იმპლემენტაცია თავიანთ შიდასახელმწიფოებრივ სამართალში. საბჭო, 2005 წლის 22 ოქტომბრამდე, ამ ინფორმაციის საფუძველზე შედგენილი მოხსენებისა და ევროკომისიის წერილობითი მოხსენების მეშვეობით, ამოწმებს, თუ რამდენად შეასრულეს წევრმა სახელმწიფოებმა ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების დებულებები.

მუხლი 10 მოქმედების ტერიტორიული სივრცე

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება გამოიყენება, ასევე გიბრალტარზე.

მუხლი 11 ძალაში შესვლა

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ძალაში შედის ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღეს.

5.3 ევროპული ზეგავლენები გერმანულ კორუფციულ სისხლის სამართლის განვითარებაზე

პროფესორი, დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი, ბერლინი[1]

წარმოდგენილ მოხსენებაში გამოკვლეული იქნება ევროპული ზეგავლენები გერმანულ კორუფციულ სისხლის სამართალზე. ბოლო წლებში ამ ზეგავლენებმა გერმანულ კორუფციულ სისხლის სამართლაში აშკარა ცვლილებები გამოიწვიეს. ამ თვალსაზრისით შემდგომი ცვლილებები მომავალშიცაა მოსალოდნელი.

ამასთანავე, დასაწყისშივე განხილულ უნდა იქნეს ზოგიერთი თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა იქნეს მოაზრებული კორუფციის ცნებაში და რა არა (I). ამის შემდეგ, წარმოდგენილ უნდა იქნეს გერმანული კორუფციული სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპები (II), სადაც განხილული იქნება საკითხი, რომ გერმანიაში კორუფციის დასჯადობის ორი განსხვავებული ფორმა არსებობს: კორუფცია ჩადენილი თანამდებობის პირის მიერ (აქ იგულისხმება „სახელმწიფოებრივი" კორუფცია) და სამეწარმეო ბრუნვაში დასაქმებულ პირთა მიერ ჩადენილი კორუფცია (აქ იგულისხმება „კერძო" კორუფცია). ამასთან კავშირში, ბოლოს, განხილულ უნდა იქნეს ევროპული და საერთაშორისო ნორმების ზეგავლენა გერმანულ კორუფციულ სისხლის სამართალზე (III), ასევე საკითხი სამომავლოდ მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ (IV).

I. ტერმინის გაგებისათვის: კორუფცია

მთელ მსოფლიოში ერთიანი აზრია იმის შესახებ, რომ კორუფცია არის უსიამოვნო გამოვლინება, რომლის წინააღმდეგაც უნდა წარიმართოს ბრძოლა. ამის მიუხედავად, რთულია კორუფციის ცნების ერთიანი კრიტერიუმით განმარტება. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსშიც არ არის მოცემული „კორუფციის" ცნების ერთიანი „დეფინიცია", არამედ ძირითადად კორუფციის შესახებ სხვადასხვა ქმედებათა უხეში აღწერილობაა მოცემული[2].

კლასიკური გაგებით, კორუფციაში მოიაზრება ძალაუფლების ბოროტად გამოყენება ისეთი უპირატესობის მოსაპოვებლად, რისი უფლებაც არ არსებობს (კერძოდ კი, როგორც წესი, უპირატესობის მოპოვებას ახორციელებს პიროვნება თავის სასარგებლოდ). დამნაშავე უმეტესად ამოფარებულია სახელმწიფოს განსაზღვრულ თანამდებობას, პირველ რიგში, სახელმწიფო ადმინისტრაციაში. ასეთმა თანამდებობამ კონკრეტულ პირს უნდა მიანიჭოს განსაკუთრებული სახის გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, რომელთანაც კავშირში სხვა პიროვნებები – მოქალაქეები – ამ გადაწყვეტილებაზე არიან დამოკიდებული. ხშირ შემთხვევებში სახელმწიფოს გააჩნია მონოპოლია. მაგალითად, განსაზღვრული სახის ნებართვის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ მისგან, უმეტესად კი, მხოლოდ შესაბამისად უფლებამოსილი სახელმწიფო მოსამსახურისგან. ასე, რომ მოქალაქე დამოკიდებულია კონკრეტული პიროვნების მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. მოქალაქე მხოლოდ იმის მეშვეობით მოიპოვებს უფლებას, თუ კონკრეტული პიროვნება მიიღებს გადაწყვეტილებას.

---

[1] Prof. Dr. *Bernd Heinrich:* Europäische Einflüsse auf das deutsche Korruptionsstrafrecht. ტექსტი ეფუძნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე 2009 წლის 25 და 26 ნოემბერს რუსთაველის ფონდის სამეცნიერო პროექტის ფარგლებში გაკეთებულ მოხსენებას. ავტორი არის ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის კათედრის ხელმძღვანელი.

[2] იხ. დაწვრილებით II თავში.

მაგალითი: ანტონმა შეიტანა განაცხადი შესაბამის ორგანოში რესტორნის გახსნისათვის ნებართვის მიცემის თაობაზე. უფლებამოსილი სახელმწიფო მოსამსახურე უსაფუძვლოდ აცხადებს უარს ნებართვის გაცემაზე და ფიქრობს, რომ ანტონი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს ნებართვას, თუ მას ბანკის პირად ანგარიშზე გადაურიცხავს ათას ევროს. ანტონს აქვს უფლება, იჩივლოს სასამართლოში მისთვის კუთვნილი ნებართვის უფლების გაცემაზე, მაგრამ საკითხის განხილვა, როგორ წესი, გრძელდება დიდხანს და ამ პერიოდში მას არა აქვს უფლება, რომ ამუშაოს კვების ობიექტი. ამდენად, ანტონი დამოკიდებულია სახელმწიფო მოსამსახურის (კერძოდ კი, ამ კონკრეტული მოხელის) მართლზომიერ თუ მართლსაწინააღმდეგო მოქცევაზე, რომელიც მასზე გარკვეული სახით ფლობს ძალაუფლებას. სწორედ ასეთი ძალაუფლების განხორციელებისათვის არის მოხელე განსაკუთრებით გასაკიცხი, თუ თანხა იმისთვის იქნება მოთხოვნილი, რომ მან შეასრულოს რაიმე, მაშინ როდესაც მის შესრულებაზე პიროვნებას რეალურად აქვს მოთხოვნის უფლება.

სწორედ ეს მონოპოლიური მდგომარეობა განასხვავებს სახელმწიფო კორუფციას კერძო კორუფციისაგან.

მაგალითად, თუ ანტონს გარკვეული სახის ავტომანქანის შეძენა სურს და კერძო სავაჭრო კომპანიის გამყიდველი მისგან ითხოვს „საკომისიო შენატანს", ანტონს შეუძლია, რომ არ გააფორმოს მასთან ხელშეკრულება და სხვა გამყიდველისგან შეიძინოს ავტომანქანა. ამ შემთხვევაში, იგი არ არის დამოკიდებული ამ გამყიდველის მოქცევაზე, რამდენადაც მას აქვს არჩევანის უფლება, რომ ავტომანქანა შეიძინოს რამდენიმედან ერთ-ერთი გამყიდველისგან. იმ შემთხვევაში კი, თუ ანტონს სჭირდება ვიზა გამგზავრებისთვის და უფლებამოსილი მოხელე განუცხადებს მას, რომ ის ვიზას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ მას გადაუხდის ათას ევროს, მაშინ მას არ შეუძლია სხვა მოხელესთან წავიდეს. ანტონი დამოკიდებული იქნება ამ მოხელის მართლზომიერ ქცევაზე. ის დამოკიდებული იქნება მოხელეზე.

ასეთი სახის დამოკიდებულება, რომელიც დაკავშირებულია მონოპოლიურ მდგომარეობასთან, არის კორუფციისთვის დამახასიათებელი თვისება. რა თქმა უნდა, არსებობს კიდევ სხვა საკითხი, რომელიც კორუფციისთვის არის იმანენტური: მოქცევის გაუმჭვირვალობა (არატრანსფარენტულობა). კორუფცია, როგორც წესი, ხორციელდება ფარულად. თანხის გადახდა ხორციელდება „მაგიდის ქვეშ". არც სამსახურის ხელმძღვანელი და არც გარემოცვა ამის შესახებ ვერაფერს გებულობს. კორუფციული გარიგების ორივე მხარე, როგორც თანხის გამცემი, ისევე თანის ამღები, ჩადიან დანაშაულს და, როგორც წესი, არ აცხადებენ ამის შესახებ პოლიციაში, რამდენადაც ხშირ შემთხვევებში – განსაკუთრებით მოხელის მართლსაწინააღმდეგო სამსახურებრივი მოქმედებით – ორივე მხარე ქრთამის მიცემისგან იღებს მოგებას. კორუფციის ფარულობის კოეფიციენტი ძალზე მაღალია[1]. ამ თვალსაზრისით, საუბარია, რომ კორუფცია არის „დანაშაული კონკრეტული მსხვერპლის გარეშე", რაც მხოლოდ იმ შემთხვევებს შეეხება, როდესაც მოქალაქე და მოხელე ურთიერთთანამშრომლობენ და მოქალაქე მოხელესთვის უპირატესობის მინიჭების სანაცვლოდ იღებს სარგებელს, რასაც ის სხვა შემთხვევაში ვერ მიიღებდა.

აგრეთვე იმ შემთხვევებშიც, როცა მოხელე ამა თუ იმ მოქმედების შესრულებისთვის თანხას ითხოვს და მოქალაქე არ იხდის მას, სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება იშვიათად, რამდენადაც მოხელე თანხას, როგორც წესი, ითხოვს მხოლოდ ზეპირად, რისი დამტკიცებაც მოგვიანებით რთულია[2].

---

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით შედ. ასევე: Arzt/Weber-*B.Heinrich*, Strafrecht, Besonderer Teil, 2. Aufl., 2009, § 49 Rn. 10.

[2] დამნაშავეობის განვითარების მდგომარეობის შესახებ პოლიციის კრიმინალური სტატისტიკის მიხედვით იხ. Arzt/Weber-*B.Heinrich*, 2009, § 49 Rn. 10 f.

II. გერმანული კორუფციული სისხლის სამართლის დამახასიათებელი ძირითადი თვისებები

გერმანული სამართალი კორუფციის საკითხებს არეგულირებს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში ორ განსხვავებულ ადგილას. ერთ შემთხვევაში, გერმანული სამართალით გათვალისწინებულია თანამდებობის პირთა კორუფცია, რასაც ჰქვია კორუფცია საჯარო ადმინისტრაციის სფეროში – „კლასიკური კორუფცია". ის ფართოდაა მოწესრიგებული გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე და მომდევნო პარაგრაფებში. მეორე შემთხვევაში, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 299-ე პარაგრაფში დარეგულირებულია სამეწარმეო ურთიერთობაში ჩადენილი კორუფცია, კერძოდ, კორუფცია კერძო სფეროში.

1. სახელმწიფო სფეროში ჩადენილი კორუფცია

სახელმწიფო სფეროში ჩადენილ კორუფციასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული სისხლის სამართალი კოდექსი, 331-334-ე პარაგრაფებში, ითვალისწინებს **ოთხ** განსხვავებულ ქმედების შემადგენლობას, რომლებიც ორი განსხვავებული კრიტერიუმის საფუძველზე განიცდის სისტემატიზაციას:

ერთ შემთხვევაში განსხვავება არსებობს „პასიურ" და „აქტიურ" კორუფციას შორის. კერძოდ, „პასიური" კორუფციის დროს ისჯება მოხელე, რომელიც მოიქრთამა, ე.ი. მის მიერ უპირატესობის მიღების შესახებ მოთხოვნა, დაპირების მიღება ან მისი მიღება, რომლებიც დაკავშირებულია სამსახურებრივ მოქმედებებთან (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე და 332-ე პარაგრაფები). „აქტიური" კორუფციის დროს დამნაშავე არის მოქალაქე, რომელიც ახდენს მოხელის მოქრთამვას, ე.ი. მოხელისთვის სარგებლის მიღების შეთავაზებას, დაპირებას ან მის მიცემას, რის გამოც, მოხელე იღებს მოქალაქის სასარგებლო გადაწყვეტილებას (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე და 334-ე პარაგრაფები)[1].

მეორე შემთხვევაში, განსხვავება შეეხება მოხელის შესაბამისი მოქმედების ხარისხს: *ერთი მხრივ*, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს მართლსაწინააღმდეგო მოქცევას, ე.ი. მოხელე აკეთებს იმას, რისი გაკეთების უფლებაც მას არა აქვს. ამ შემთხვევაში საუბარია „მართლსაწინააღმდეგო სამსახურებრივი ქმედების" განხორციელებაზე, შესაბამისად, „ქმედებაზე, რომლის მეშვეობითაც მოხელე არღვევს თავის მოვალეობებს". რა თქმა უნდა, მოვალეობათა დარღვევაში იგულისხმება არა სარგებლის მიღების მოთხოვნა, მის შესახებ დაპირების მიღება ან ისეთი სანაცვლო სარგებლის მიღება, რისი მიღების უფლებაც მოხელეს არა აქვს, არამედ მისი კონკრეტული თანამდებობრივი ქმედება – სახელმწიფოებრივი აქტი[2].

მაგალითი: (1) მოხელე, განსაზღვრული ოდენობის ფულადი თანხის სანაცვლოდ, აძლევს ნებართვას მოქალაქეს, რომლის მიღების უფლებაც მას არა აქვს, რამდენადაც არ არსებობს ნებართვის მიღების წინაპირობები. (2) პროფესორი, ფულადი თანხის სანაცვლოდ, გამოცდაზე უწერს კარგ შეფასებას სტუდენტს, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტმა მიიღო ცუდი შეფასება და გამოცდა ვერ ჩააბარა.

ასეთ სიტუაციებში საუბრობენ „კლასიკური კორუფციის შემთხვევაზე", რომელიც გერმანიაში მძიმედ ისჯება: შესაბამისი მოხელესათვის გათვალისწინებულია თავისუფლების

---

[1] პასიურ და აქტიურ მექრთამეობას შორის განსხვავებასთან დაკავშირებით დაწვრილებით იხ. Arzt/Weber-*B.Heinrich*, 2009. § 49 Rn. 16.

[2] BGHSt 15. 239 (241 f.); BGHSt 48, 44 (46); Arzt/Weber-*B.Heinrich*, 2009, § 49 Rn. 31.

აღკვეთა ექვსი თვიდან ხუთ წლამდე ვადით (332-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი), ხოლო მოქალაქისათვის – თავისუფლების აღკვეთა სამი თვიდან ხუთ წლამდე ვადით (334-ე პარაგრაფის პირველი ნაწილი).

მეორე მხრივ, არსებობს შემთხვევები, როდესაც მოხელე მართლსაწინააღმდეგოდ არ იქცევა, მაგრამ მაინც ითხოვს მოქალაქისგან სარგებლის მიღებას, იღებს ამის შესახებ დაპირებას ან იღებს სარგებელს, რის გამოც, იგი განახორციელებს გარკვეული სახის თანამდებობრივ ქმედებას, რომლის მოთხოვნის უფლებაც მოქალაქეს ისედაც გააჩნია. ე.ი. მოხელე აკეთებს იმას, რისი გაკეთებაც მას ევალება, მაგრამ ამისთვის ითხოვს თანხის გადახდას, რისი უფლებაც მას არა აქვს (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე, 333-ე პარაგრაფები).

მაგალითი: (1) მოხელე ითხოვს თანხას, რომ მან განცხადება სწრაფად დაამუშავოს: ის ჰპირდება განმცხადებელს, რომ ნებართვას, რომელიც ორ კვირაში უნდა მიეცა, მეორე დღესვე გასცემს. – ნებართვის გაცემა არ არის მართლსაწინააღმდეგო. არც ის არის მართლსაწინააღმდეგო, თუ მოხელე სწრაფად ან ბევრს მუშაობს. (2) მოხელე ვიზის ან კვების ობიექტის ფუნქციონირებისთვის ნებართვის მართლზომიერი გაცემისათვის, „ჩვეულებრივ" გადასახდელ თანხასთან ერთად, დამატებით თავისთვის ითხოვს ათასი ევროს გადახდას. ამ შემთხვევაში, როგორც ვიზის, ასევე კვების ობიექტის ნებართვის გაცემა არ არის მართლსაწინააღმდეგო, პირიქით, მოხელეს ევალებოდა ნებართვის გაცემა, რამდენადაც მის გაცემაზე მოქალაქეს ჰქონდა უფლება. რა თქმა უნდა, მოხელეს უფლება არა აქვს ნებართვის – მართლზომიერი – გაცემისათვის დამატებით თანხა მოითხოვოს. (3) პროფესორი სტუდენტისაგან იღებს თანხას, რის შემდეგაც სტუდენტს შეუძლია მასთან დაწეროს დისერტაცია ან პროფესორი სწრაფად გაუსწორებს დისერტაციას. – ამ შემთხვევაში, არც დოქტორანტად აყვანა და არც ნაშრომის სწრაფი გასწორება არ წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაგრამ პროფესორს, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა თანხის მიღების უფლება.

ასეთ შემთხვევებში, გერმანულ სამართალში საუბრობენ, რომ ადგილი აქვს არა „ქრთამის მიცემას", შესაბამისად, „ქრთამის აღებას", არამედ „უპირატესობის მიღებას", შესაბამისად „უპირატესობის მინიჭებას" და ეს ქმედებები უფრო მსუბუქად ისჯება, ვიდრე კლასიკური კორუფციის დროს განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებები[1]. ეს ორივე სტრუქტურული ნიშნით (აქტიური/პასიური და მართლსაწინააღმდეგო/მართლზომიერი) არსებული განსხვავება რომ შევაჯამოთ, გამოდის, რომ სახელმწიფო სფეროში არსებულ კორუფციაში ოთხი განსხვავებული შემთხვევა არსებობს:

a) სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე პარაგრაფის პირველ ნაწილში მოწესრიგებულია „უპირატესობის მიღება": მოხელე ამ შემთხვევაში ისჯება იმისათვის, რომ ითხოვს უპირატესობის მიღებას, მის შესახებ დაპირებას ეთანხმება ან იღებს, ისე, რომ – ამის გარდა – მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს. ეს ქმედება დასჯადია თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ფულადი ჯარიმით.

b) სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე პარაგრაფში მოწესრიგებულია „ქრთამის აღება": ამ შემთვევაშიც ისჯება მოხელე, როდესაც ის მოქალაქეს ჰპირდება მართლსაწინააღმდეგო სამსახურებრივი ქმედების განხორციელებას, შესაბამისად, ჩადის მას. ამისთვის ისჯება თავისუფლების აღკვეთით ექვსი თვიდან ხუთ წლამდე ვადით. ფულადი ჯარიმა ამ შემთხვევისთვის არ არის გათვალისწინებული.

c) სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე პარაგრაფში გათვალისწინებულია „უპი-

[1] მართლსაწინააღმდეგო და მართლზომიერი სამსახურებრივი ქმედებების ურთიერთგამიჯვნის საკითხისათვის იხ. ასევე: Arzt/Weber-*B.Heinrich*, 2009, § 49 Rn. 17.

რატესობის მინიჭება“: ამ ქმედებისთვის ისჯება მოქალაქე, რომელიც მოხელეს სთავაზობს უპირატესობის მიღებას, ჰპირდება ამის შესახებ ან ანიჭებს უპირატესობას, ისე, რომ არ ითხოვს მოხელესგან კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო სამსახურებრივი ქმედების ჩადენას. აქაც გათვალისწინებულია „მხოლოდ“ თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით, ასევე ფულადი ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობა.

d) დაბოლოს, სისხლის სამართლის კოდექსის 334-ე პარაგრაფი არეგულირებს „ქრთამის მიცემას“: ამ შემთხვევაშიც ისჯება მოქალაქე, რომელიც მოხელეს, აქ უკვე კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, სთავაზობს სარგებლის მიღებას, ჰპირდება ამის შესახებ ან აძლევს სარგებელს. ეს ქმედებაც ისჯება მძიმედ, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთით ვადით სამი თვიდან ხუთ წლამდე.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, უნდა მოხდეს ასევე გერმანული კორუფციული სისხლის სამართლის ზოგიერთ თავისებურებაზე მითითება. 1997 წლამდე მოხელის ქმედების დროს მუდამ ადგილი უნდა ჰქონოდა განსაზღვრულ, ზუსტად დადგენად (მართლზომიერ ან მართლსაწინააღმდეგო) სამსახურებრივ ქმედებას. მოხელეს უნდა გაეცა განსაზღვრული სახის ნებართვა, მოწმობა, უნდა დაედო განსაზღვრული სახის ხელშეკრულება, ე.ი. მუდამ უნდა დადგენილიყო უშუალო კავშირი მოქალაქის მიერ მიღებულ სარგებელსა და მოხელის მიერ განხორციელებულ ქმედებას შორის. აქ საუბარია იმაზე, რომ სარგებელი უნდა ყოფილიყო განსაზღვრული ქმედების კონკრეტული „შემხვედრი (საპასუხო) შედეგი“. ეს პრინციპი 1997 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე და მომდევნო პარაგრაფების საკანონმდებლო ცვლილებებით ნაწილობრივ უარყოფილ იქნა[1]. სარგებელი, როგორც, განსაზღვრული სამსახურებრივი ქმედების შემხვედრი (საპასუხო) შედეგი, დღეისათვის მოქმედებს მხოლოდ მძიმედ დასჯადი ქრთამის აღებისათვის (სსკ 332-ე პარაგრაფი) და მიცემისათვის (სსკ 334-ე პარაგრაფი), ე.ი. მოხელის მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის. ამდენად, ამ შემთხვევებში დასჯადობა გათვალისწინებულია სრულიად განსაზღვრულ, კონკრეტულ შემთხვევაში ზუსტად დასადგენ მოხელის მიერ განხორციელებულ – მართლსაწინააღმდეგო – ქმედებაზე. რაც შეეხება „სარგებლის მიღებასა“ (სსკ 331-ე პარაგრაფი) და, შესაბამისად, „სარგებლის მიცემას“, რომლებიც ნაკლებად მძიმედ ისჯებიან, მათთვის არ არის საჭირო ასეთ კავშირის დადგენა განსაზღვრული სამსახურებრივი ქმედების ჩადენის დროს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას: ისიც საკმარისია, რომ მოქალაქე ანიჭებს მოხელეს უპირატესობას, მაგალითად, როცა იხდის თანხას ან ჩუქნის საჩუქარს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ვერ დგინდება, მოხელემ ამისთვის რაიმე სარგებელი მოუტანა მას ან უნდა მოეტანა.

ქმედების შემადგენლობის ასეთი გაფართოების საფუძველი მდგომარეობს მტკიცების სირთულის თავიდან აცილებაში. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ხშირად დამტკიცებადი იყო მოქალაქის მიერ მოხელესთვის თანხის შეთავაზება ან გადახდა, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევებში არ იყო ნათელი და ვერ დგინდებოდა თუ რისთვის – განსაკუთრებით მრავალჯერადი გადახდის დროს – ხდებოდა გადახდა და თუ დადგინდებოდა, მაშინ რთულდებოდა იმის დადგენა, თუ მოხელემ კონკრეტულად რა სარგებელი მოუტანა მოქალაქეს. ამიტომ კანონმდებელმა უარი განაცხადა 331-ე და 333-ე პარაგრაფების მიზნებისათვის ასეთი ურთიერთკავშირის არსებობაზე, კერძოდ, სარგებელსა და შემხვედრ (საპასუხო) სარგებელს შორის კავშირზე. საკმარისია ის, რომ მოქალაქე უხდის თანხას მოხელეს ან

[1] სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე და მომდევნო პარაგრაფების სისხლისსამართლებრივი ქმედების შემადგენლობები გაფართოვდა 1997 წლის 13 აგვისტოს (BGBl. 1997 I, 2038) კანონით კორუფციასთან ბრძოლის შესახებ; ცალკეულ ცვლილებებთან დაკავშირებით შეად. Schönke/Schröder-*Heine*, Strafgesetzbuch, Kommentar, 27. Aufl. 2006, § 331 Rn. 1b.

კიდევ სთავაზობს სხვა სახის უპირატესობის მინიჭებას, ჰპირდება მას ამის შესახებ ან ანიჭებს უპირატესობას. აქ მნიშვნელოვანი არის მხოლოდ ის, რომ მოქალაქე სწორედ იმიტომ აძლევს ასეთ სარგებელს, რომ საქმე ეხება მოხელეს, რომელსაც უკავია გარკვეული სახის თანამდებობა.

ასეთი კონსტრუქციით, ქმედების შემადგენლობა ძალიან გაფართოვდა და მასში უკვე მრავალი ისეთი ქმედება მოიაზრება, რომელიც დასჯადობას არ იმსახურებს.

მაგალითი: (1) როდესაც სტუდენტი სემესტრის ბოლოს თავის პროფესორს ყკაილების თაიგულს ან ერთ ბოთლ ღვინოს ჩუქნის, იმიტომ, რომ ლექცია კარგად ჩაატარა, ადგილი აქვს უპირატესობის მიღებას პროფესორის მხრიდან, რომელიც მას მხოლოდ იმისთვის გადაეცა, რომ ის პროფესორია. – ამდენად, როგორც სტუდენტის, ასევე პროფესორის ქმედება ექცევა სსკ 331-ე და 333-ე პარაგრაფების ქმედების შემადგენლობაში, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სტუდენს მხოლოდ მადლიერების გამოხატვა სურს და არა მოთხოვნა ან იმედოვნება იმისა, რომ გამოცდა კარგად შეუფასდეს. (2) მოხელე, რომელიც უფლებამოსილია ოფისისთვის ავეჯის შეძენაზე, კომპანიისგან, რომელიც ჰყიდის ასეთ ავეჯს, ნასყიდობაზე მოლაპარაკებისთვის მიიღებს მიპატიჟებას სადილზე ან მიიღებს სარეკლამო საჩუქარს (მაგალითად, საწერ კალამს), ასეთი ქმედება ორივე მხარისათვის არის დასჯადი (სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე, 333-ე პარაგრაფები). ეს ქმედება მაშინაც კი დასჯადია, თუ მოგვიანებით მოხელე ამ კომპანიასთან არ გააფორმებს ხელშეკრულებას. (3) თუ საფეხბურთო გაერთიანების მმართველობა ქალაქის მერს უფასოდ გადასცემს მატჩის ბილეთებს, იმისათვის, რომ მერმა, მეუღლესთან ერთად, უყუროს თამაშს, ამ შემთხვევაშიც შესრულებულია სსკ 331-ე და 333-ე პარაგრაფის შემადგენლობები.

ზემოაღნიშნული მაგალითებიდან ნათელია, რომ დასჯადობა ძალიან გაფართოვებულია, რაც გერმანიაში, სამართლიანად, ხშირად არის კრიტიკის ობიექტი[1]. ამიტომ ერთიანი აზრი არსებობს იმის შესახებ, რომ შეზღუდული განმარტების მეშვეობით უნდა მოხდეს სრულიად უსამართლო შედეგების თავიდან აცილება.

მაგალითი: უნივერსიტეტის პროფესორი თუ რომელიმე ფონდში განაცხადებს სამეცნიერო პროექტის დაფინანსებაზე და მოგვიანებით ამისათვის მიიღებს თანხას, ამით ის იღებს უპირატესობას, რაც დაკავშირებულია მისი საქმიანობის შესრულებასთან და რის მიღებაზეც მას უპირობო პრეტენზია არა აქვს. ასეთი ქმედება, თავისთავად, მიუხედავად იმისა, რომ სხვა მხრივ ეს ქმედება პროფესორის ვალდებულებასაც შეადგენს, რომ მოიპოვოს თანხა სამეცნიერო მიზნებისათვის[2], თავსდება უპირატესობის მიღების შემადგენლობაში. ასევე არ არის პრობლემატური, თუ პროფესორი სახელმწიფო ორგანოსაგან იღებს დაფინანსებას მაგალითად, სამეცნიერო მივლინებისათვის ან საზღვარგარეთ სამეცნიერო კონგრესზე მონაწილეობის მიღებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ის მგზავრობის დაფინანსებას მხოლოდ იმიტომ იღებს, რომ პროფესორია (ე.ი. თანხას „სამსახურებრივი საქმიანობის შესრულებისათვის“ იღებს). ეს საკითხი პრობლემური იქნებოდა, რა თქმა უნდა, მაშინ, როდესაც, მაგალითად, მედიცინის პროფესორი, რომელიც დასაქმებულია სახელმწიფო საავადმყოფოში და უფლებამოსილია იქ სამედიცინო აპარატურის შეძენისათვის, კერძო ფირმისაგან, რომელიც ჰყიდის ძვირადღირებულ რენტგენის აპარატებს, იღებს იმავე მიზნებისათვის დაფინანსებას.

---

[1] სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე და 333-ე პარაგრაფების აუცილებელი თელეოლოგიური რედუქციის (შეზღუდვის) შესახებ იხ. Arzt/Weber-*B. Heinrich*, 2009, § 49 Rn. 30.

[2] კონფლიქტთან დაკავშირებით, რომელიც არსებობს თანხის „სპონსორობით“ მიღების ვალდებულებასა და მესამე პირებისგან სამსახურებრივი ქმედების შესრულებასთან დაკავშირებით სარგებლის მიღების აკრძალვას შორის, შად. BGHSt 47, 295 (303 ff.); BGHSt 48, 44; OLG Karlsruhe NJW 2001, 907.

ეს განსაკუთრებით მაშინაა სახეზე, როდესაც კლინიკა „მადლიერების ნიშნად“ ყოველთვის ამ ფირმისაგან იძენს რენტგენის აპარატებს.

დასახელებულ შემთხვევებთან დაკავშირებით საუბარია დასჯადობის შეზღუდვაზე და, არსებითად კი, არსებობს ერთიანი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ზემოთ დასახელებულ შემთხვევებში დასჯადობა შეუსაბამო იქნებოდა. მაგრამ პრობლემის გადაჭრის გზა ვერ იქნებოდა ის, თუ ყველა შემთხვევა დაექვემდებარებოდა 331-ე და 333-ე პარაგრაფების ქმედების შემადგენლობებს და შემდეგ კი, მოსამართლეზე იქნებოდა დამოკიდებული მისი შეხედულებისამებრ იმ საკითხის გადაწყვეტა, კონკრეტული შემთხვევა იმსახურებს თუ არა დასჯადობას. ძირითადი პრინციპი „არავითარი სასჯელი კანონის გარეშე“ („nulla poena sine lege“), განსაკუთრებით ნორმის განსაზღვრულობის პრინციპი, მოითხოვს ამ შემთხვევებში საკითხის ნათელ რეგულირებას, რომელიც გერმანაში ჯერჯერობით არ ხორციელდება.

მოკლედ უნდა შევეხოთ ასევე ქმედების განხორციელების სხვადასხვა ფორმებს. მოქალაქის მიერ უბრალო ცალმხრივი „შეთავაზება“ უპირატესობის მიცების შესახებ არის დასჯადი. გარდა ამისა, უპირატესობის მიცების შესახებ „დაპირება“ (როგორც წესი, ხელშეკრულების დადებით) და, ბუნებრივია, მოგვიანებით უპირატესობის „მინიჭება“ დასჯად ქმედებებად არის გამოცხადებული. მოხელის მიერ კი, უპირატესობის მიღების შესახებ, ერთი მხრივ, უბრალო „მოთხოვნა“ დასჯადია. მეორე მხრივ, ასევე დასჯადია „დაპირების მიღება“ (ამ შემთხვევაშიც, უმეტესად შესაბამისი ხელშეკრულების დადების მეშვეობით) და მოგვიანებით უპირატესობის ფაქტობრივად მიღებაც.

რამდენადაც ქრთამის მიცემა და აღება მძიმე დანაშაულებია, ამდენად, როდესაც საქმე ეხება კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო სამსახურებრივ ქმედებას, მნიშვნელობა აღარ აქვს უკვე, თანხა წინასწარ თუ მოგვიანებით იქნება გადახდილი. როგორც თანხის წინასწარი გადახდა, ასევე მოგვიანებითი „დაჯილდოება“ არის დასჯადი[1].

უპირატესობა, რომელსაც მოხელე იღებს, ხშირად ხორციელდება თანხის გადახდით, მაგრამ არც ეს არ არის ყველა შემთხვევაში სავალდებულო. საკმარისია, ასევე, ნებისმიერი სარგებელი, მაგალითად, დასასვენებლად მიპატიჟება ან კერძო სპეციალურ ექსკლუზიურ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის ხელშეწყობა. ამასთანავე, სარგებლის ოდენობის კუთხით არ არსებობს შეზღუდვა. კანონით დასჯადია მოხელის დაპატიჟება ორი ევროს ღირებულების ფინჯან ყავაზეც კი. ასეთი მიდგომა მრავალჯერ იქნა გაკრიტიკებული და მოთხოვნილ იქნა, რომ კანონით უნდა ყოფილიყო დადგენილი კონკრეტული ზღვარი[2], მაგრამ მისი განსაზღვრა რთულია: 100 ევრო მუშისათვის დიდი თანხაა, მოსამართლისა და პროფესორისთვის კი არა. რამდენადაც გერმანიაში ჯერჯერობით არ არსებობს ასეთი ზღვარი, დასჯადი იქნებოდა იმ სტუდენტის ქმედება, რომელიც, ზემოთ უკვე დასახელებულ მაგალითში, პროფესორს სემესტრის ბოლოს ერთ ბოთლ იაფფასიან ღვინოს ჩუქნის, რამდენადაც ბოთლი ღვინოს შემთხვევაში, კანონის ტექსტიდან გამომდინარე, ყველა შემთხვევაში საქმე ეხება „სარგებელს“, რომლის მიღების უფლებაც არა აქვს პროფესორს.

გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი სახელმწიფო სფეროში ჩადენილ კორუფციულ დელიქტებში დანაშაულის ჩამდენთა წრის მხრივ ითვალისწინებს გადამწყვეტ შეზუდვას: პასიური ქრთამის ამღები უნდა იყოს თანამდებობის პირი (Amtsträger). სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პარაგრაფის 1-ლი აბზაცის მე-2 ქვეპუნქტის დეფინიციის მიხედვით, ასეთი თანამდებობის პირი არის მოხელე (Beamter). (ამასთან, სუბიექტთა წრის გაფარ-

---

[1] იხ. Schönke/Schröder-*Heine* , § 332 Rn. 6, § 334 Rn. 3.

[2] ამ საკითხთან დაკავშირებით შეად. Arzt/Weber-*B.Heinrich*, 2009, § 49 Fn. 123.

თოება მოცემულია მე-11 პარაგრაფის 1-ლი აბზაცის მე-2a და მე-2b ქვეპუნქტებში). ასეთი დანაშაულის დროს საქმე უნდა ეხებოდეს მოხელეს, რომელიც „გერმანული სამართლით" დანიშნულია მოხელედ, ე.ი. „გერმანელ მოხელეს". კანონის ტექსტი არ ითვალისწინებს უცხოელ მოხელეთა პასუხისმგებლობას.[1]

2. კორუფცია კერძო სფეროში

ქრთამის მიცემა და აღება სამეწარმეო ურთიერთობებში დარეგულირებულია სისხლის სამართლის კოდექსის 299-ე პარაგრაფით. აქაც ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ საწარმოში დასაქმებული პირი, რომელიც ქრთამს აიღებს (1-ლი აბზაცი) და ის საქმიანი პარტნიორი, რომელიც აქტიურად აძლევს თანხას (მე-2 აბზაცი).

მაგალითი: საავტომობილო კონცერნს მანქანების მშენებლობისათვის ესაჭიროება ნედლეული. ასეთი ნედლეულის ყიდვისათვის უფლებამოსილია ამ კონცერნის კონკრეტული დასაქმებული. ამ უკანასკნელს მიმართვს ნედლეულის მომწოდებელი და შეთავაზებს მას ყოველთვიურად პირად ანგარიშზე ათასი ევროს გადარიცხვას, თუ დასაქმებული ნედლეულს იყიდის მხოლოდ მისგან და არა მისი კონკურენტებისგან.

ამ შემთხვევაში ადგილი აქვს კორუფციის კლასიკურ შემთხვევას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სახელმწიფო კორუფციასთან, აგრეთვე სტატიის დასაწყისში დასახელებულ მონოპოლიურ მდგომარეობასთან და მოქალაქის სხვა პიროვნებაზე დამოკიდებულებასთან, რამდენადაც, როგორც საავტომობილო კონცერნს, ასევე ნედლეულის მომწოდებელს ექნებოდათ შესაძლებლობა, რომ ხელშეკრულებები უპრობლემოდ გაეფორმებინათ ასევე სხვა ფირმებთან. ასეთ დროს დაზიანებულია არა სახელმწიფოს ავტორიტეტი, არამედ კონკურენტები, ე.ი. ნედლეულით სხვა მოვაჭრეები, რომლებსაც საავტომობილო კონცერნთან ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა არ ეძლევათ (ყოველ შემთხვევაში, თუ ისინი არ შეთავაზებენ კონცერნში დასაქმებულ პასუხისმგებელ პირს ქრთამის სახით უფრო მაღალ თანხას). სამეწარმეო ბრუნვაში ქრთამის აღების დროს კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთე მთლიანობაში არის სამეწარმეო კონკურენცია[2]. ამ დროს ისიც არ არის საჭირო, რომ თავად საავტომობილო კონცერნს მიადგეს ზიანი, რასაც ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, როცა, მაგალითად, ქრთამის აღების შედეგად საავტომობილო კონცერნისთვის მოხდებოდა ნედლეულის მაღალ ფასად შესყიდვა (ე.ი. მოქრთამული დასაქმებული პირის მიერ ნედლეულის ფასის „კალკულაციის" დროს ასე მოხდებოდა გამოანგარიშება). ასე რომ, ჩვენი შესყიდვაზე პასუხისმგებელი დასაქმებული პირი მაშინაც ექვემდებარება პასუხისმგებლობას, როდესაც ნედლეულის ფასი ქრთამის აღების შედეგადაც იგივე იქნებოდა, როგორც ფასი ქრთამის აღების გარეშე.

რაც შეეხება სასჯელის საკითხს, სამეწარმეო ბრუნვაში ქრთამის აღებისა და მიცემისათვის გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით სამ წლამდე ან ფულადი ჯარიმა – ანუ იგივე სახის სასჯელი, როგორიც სარგებლის მიღებისა (გერმანიის სსკ-ის 331-ე პარაგრაფი) და მიცემისათვის (გერმანიის სსკ-ის 333-ე პარაგრაფი) სახელმწიფო სექტორში.

ამ საკითხთან დაკავშირებით, დამატებით საჭიროა მიეთითოს, ასევე ერთ საინტერესო

---

[1] სწორედ ამ სფეროში გერმანულ სისხლის სამართალზე განსაკუთრებით ძლიერია ევროპული და საერთაშორისო ზეგავლენები. ამის შესახებ იხ. III თავში.

[2] სსკ 299-ე პარაგრაფით დაცულ სამართლებრივ სიკეთესთან დაკავშირებით შად. BGH NJW 2006, 3290 (3298); Arzt/Weber-*B.Heinrich*, 2009, § 49 Rn. 51.

ასპექტზეც: თუკი ადრე გერმანიის სსკ-ის 299-ე პარაგრაფის მეშვეობით დაცული იყო მხოლოდ ნაციონალური კონკურენცია, 2002 წელს სსკ-ის 299-ე III პარაგრაფის შექმნით პასუხისმგებლობა გავრცელდა, ასევე საერთაშორისო კონკურენციაზეც[1]. ეს ცვლილება განხორციელდა არა ნებაყოფლობით, არამედ ვალდებულების საფუძველზე, რომელიც გამომდინარეობდა ისეთი სამართლებრივი აქტიდან, როგორიცაა, „ევროპის კავშირის ერთობლივი ღონისძიება კერძო სექტორში მექრთამეობასთან დაკავშირებით“[2]. ევროკავშირის მხრიდან მოთხოვნილ იქნა, რომ ცალკეული წევრი სახელმწიფოები არ უნდა შემოიფარგლონ ქრთამის მიცემის დროს მხოლოდ ნაციონალური კონკურენციის დაცვით, არამედ, ასევე სასჯელი უნდა დააწესონ უცხოეთში ჩადენილი მოქმედებებისთვისაც.

III. საერთაშორისო და ევროპული ზეგავლენები გერმანულ კორუფციულ სისხლის სამართალზე

გერმანულ სისხლის სამართალზე ზეგავლენა ხორციელდება სხვადასხვა მხრიდან. ამ საკითხთან მიმართებაში უნდა გამოიყოს შემდეგი ოთხი სფერო:

– გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (UNO) ზეგავლენები, განსაკუთრებით, გაეროს კორუფციის საწინააღმდეგო კონვენციის[3] მეშვეობით – ეს კონვენცია მიმართულია არა მხოლოდ გერმანიაზე, არამედ, მაგალითად, ასევე საქართველოზე. მაშინ, როდესაც მისი რატიფიცირება საქართველომ 2008 წელს მოახდინა, გერმანიაში ეს ჯერ კიდევ არ განხორციელებულა[4].

– ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ზეგავლენები, განსაკუთრებით, უცხოელი თანამდებობის პირების მოსყიდვის საწინააღმდეგო OECD-კონვენციის მეშვეობით[5]. იმ ოცდაათ სახელმწიფოს შორის, რომლებიც უმეტესად ევროპის ქვეყნებს წარმოადგენენ, ერთ-ერთი არის გერმანია. მისი წევრები არიან, ასევე, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები და იაპონია, ხოლო საქართველო არ არის ამ ორგანიზაციის წევრი.

– ევროპის საბჭოს ზეგავლენები, განსაკუთრებით, კორუფციის შესახებ სისხლისსამართლებრივი კონვენციის მეშვეობით[6]. ასევე, საქართველოს, როგორც ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნისთვის, ამ კონვენციას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

– ევროკავშირის ზეგავლენები, განსაკუთრებით, ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ შეთანხმების პირველი ოქმის მეშვეობით[7], ასევე მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ შეთანხმების მეშვეობით, რომელშიც ევროგაერთიანების ან

---

[1] BGBl. 2002 I, 3387.

[2] ABl. EU Nr. L 358, 21. 12. 1998, გვ. 2.

[3] ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:
http://www.unodc.org/pdf/crime/convention_corruption/signing/Convention-e.pdf. – მოძიებულ იქნა 2010 წლის 25 იანვარს.

[4] იმ მიზეზების შესახებ, თუ რატომ არ მოახდინა გერმანიამ აქამდე კონვენციის რატიფიცირება, იხ. III 1 ქვეთავში.

[5] კონვენციის ტექსტის ნახვა სხვადასხვა ენაზე შესაძლებელია:
http://www.oecd.org/document/21/0,3343,en_2649_34859_2017813_1_1_1_1,00.html – მოძიებულ იქნა 2010 წლის 25 იანვარს.

[6] ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: http://conventions.coe.int/Treaty/EN/Treaties/Html/173.htm – მოძიებულ იქნა 2010 წლის 25 იანვარს.

[7] ABl. EG Nr. C 313, 23. 10. 1996, გვ. 2; შეად. ასევე: BGBl. 1998 II, 2342.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოხელეები არიან გარეული[1].

მოკლედ უნდა შევეხოთ როგორც ჩამოთვლილ ოთხ სხვადასხვა სფეროს, ასევე დასახელებულ კონვენციებსა და მათ ზეგავლენებს გერმანიაზე.

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორუფციის საწინააღმდეგო კონვენცია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2003 წლის კორუფციის საწინააღმდეგო კონვენცია (UN-Konvention) ძალაში შევიდა 2005 წლის 16 სექტემბერს[2]. ეს კონვენცია, საქართველოსაგან განსხვავებით, გერმანიას ჯერ კიდევ არა აქვს რატიფიცირებული, რამდენადაც გერმანიის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს კონვენციით გათვალისწინებულ ყველა წინაპირობებს. კონვენცია, ერთი მხრივ, ავალდებულებს ხელშემკვრელ მხარეებს, რომ განახორციელონ განსაზღვრული სახის პრევენციული ღონისძიებები კორუფციის წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, გაითვალისწინონ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კორუფციის გარკვეული სახის ფორმებისათვის. გარდა ამისა, კონვენცია ავალდებულებს ცალკეულ ქვეყნებს ამ სფეროში საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობისათვის.

ეს კონვენცია, საჯარო სექტორთან ერთად, მოიცავს კერძო სექტორში ჩადენილ კორუფციასაც. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული უცხოელი თანამდებობის პირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თანამდებობის პირების მოქრთამვისთვის ეფექტური სანქციების დაწესებაზე. კონვენცია ითვალისწინებს, ასევე ვალდებულებას, რომ განხორციელდეს ეფექტური ბრძოლა სამეწარმეო ურთიერთობებში ჩადენილი კორუფციის წინააღმდეგ. დაბოლოს, კონვენციის მე-15 მუხლი ითვალისწინებს დეპუტატთა მექრთამეობისთვის ფართო სახის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის დაწესებას, რაც გერმანიაში ჯერ კიდევ არ არის გათვალისწინებული[3].

2. ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კონვენცია უცხოელ თანამდებობის პირთა მოსყიდვის წინააღმდეგ

1997 წლის ამ კონვეციის სათაურია: „კონვენცია უცხოელ თანამდებობის პირთა საერთაშორისო საქმიან ურთიერთობებში მოსყიდვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“[4]. ეს კონვენცია წევრი სახელმწიფოებისათვის, სხვა საკითხებთან ერთად, ადგენს, რომ განახორციელონ ღონისძიებები უცხოელი თანამდებობის პირისათვის ქრთამის მიცემის წინააღმდეგ; გარდა

---

[1] ABl. EG Nr. C 195, 25. 06. 1997, გვ. 2.

[2] ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:
http://www.unodc.org/pdf/crime/convention_corruption/signing/Convention-e.pdf – მოძიებულ იქნა 2010 წლის 25 იანვარს.

[3] ამ საკითხთან დაკავშირებით შეად. ასევე: IV 2 ქვეთავში.

[4] კონვენციის ტექსტის ნახვა სხვადასხვა ენაზე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: http://www.oecd.org/document/21/0,3343,en_2649_34859_2017813_1_1_1_1,00.html – მოძიებულ იქნა 2010 წლის 25 იანვარს; ასევე დაბეჭდილია: BT-Drucks 13/10428, გვ. 9 ff.; ამ საკითხთან დაკავშირებით, ასევე შეად. ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 1997 წლის 23 მაისის რეკომენდაცია საერთაშორისო სამეწარმეო ბრუნვაში ჩადენილი მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (OECD-Empfehlung zur Bekämpfung der Bestechung im internationalen Geschäftsverkehr vom 23. Mai 1997), 36 I.L.M. 1016 (1997) = OECD Dokument C (97) 123/FINAL vom 29. Mai 1997.

ამისა, უარი უნდა იქნეს ნათქვამი, მაგალითად, (დღემდე გერმანიაში არსებულ) ქრთამის სახით გადახდილი თანხის ხარჯების საგადასახადო დაბეგვრისგან გათავისუფლების შესაძლებლობაზე.

1999 წელს კონვენცია რატიფიცირებული იქნა, ასევე გერმანიის მიერ, რომელიც უკვე 1998 წლიდან ნაციონალურ სამართალში იყო გათვალისწინებული. ნაცვლად იმისა, რომ მომხდარიყო სისხლისსამართლებრივი ნორმების შეცვლა – რაც დღევანდელი გადმოსახედიდანაც მიზანშეწონილად ჩანს – გერმანიაში მიღებულ იქნა ცალკე კანონი სახელწოდებით „საერთაშორისო მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“[1], რომელიც შედგება ოთხი პარაგრაფისაგან და 1999 წლის 15 თებერვალს შევიდა ძალაში[2]. უნდა ვიცოდეთ, რომ გერმანიაში აუცილებელი არ არის, დანაშაულებრივი ქმედების ყველა შემადგენლობა სისხლის სამართლის კოდექსში იყოს გათვალისწინებული, არამედ ასევე შესაძლებელია – და უფრო მოხერხებულიც – რომ სისხლისსამართლებრივი ქმედების შემადგენლობები სხვა კანონებში იქნეს გათვალისწინებული. ამასთანავე, ეს უკვე მიმდინარე პრაქტიკაა, რომ ხდება სისხლისსამართლებრივი დამატებითი კანონების მიღება, რომლებიც ან საერთოდ ახალ ქმედების შემადგენლობებს ჰქმნიან ან ითვალისწინებენ ნორმებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ სისხლისსამართლებრივ წესებზე. სწორედ ამ უკანასკნელ გზას ადგას კანონმდებელი „საერთაშორისო მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის მიღებით. მასში გათვალისწინებული არ არის ქმედების ახალი შემადგენლობები, არამედ მოცემულია განსაზღვრებები, რომლებითაც უცხოელი თანამდებობის პირები გარკვეული სახის ქმედებებისათვის გათანაბრებულია „გერმანელ თანამდებობის პირებთან“.

თვალი რომ გადავავლოთ დასახელებულ კანონს, დავინახავთ, რომ კანონის 1-ლი პარაგრაფის მე-2 პუნქტში უცხოელი თანამდებობის პირი (ე.ი. მსოფლიოს მასშტაბით) გარკვეულ შემთხვევებში უთანაბრდება გერმანელ თანამდებობის პირს. თვალში საცემია ისიც, რომ ასეთი გათანაბრება მოქმედებს მხოლოდ აქტიური მექრთამეობის შემთხვევებისთვის (მოქრთამვისათვის), ე.ი. მხოლოდ მოქალაქის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, რომელიც ქრთამს აძლევს მოხელეს. ამ ყოველივეს გააჩნია თავისი საერთაშორისოსამართლებრივი საფუძველი, რადგან პრობლემატურია, როდესაც ერთი ქვეყნის ნაციონალური სასამართლო სხვა უცხო ქვეყნის მოხელეს გაასამართლებს სარგებლის მიღებისათვის მის სუვერენულ საქმიანობასთან დაკავშირებით (რამდენადაც, ასეთი გასამართლება შესაბამისი სახელმწიფოს ამოცანაა). მეორე მხრივ, ასეთი გათანაბრება მოქმედებს უცხოელი მოხელის მხოლოდ მომავალში განსახორციელებელი, (ე.ი. მოსალოდნელი) ქმედებებისათვის. რაც შეეხება უკვე ჩადენილი ქმედებებისთვის შემდგომ დასაჩუქრებას, ამისთვის არ არის გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა; დაბოლოს, გათანაბრება მოქმედებს მხოლოდ იმ ქმედებებისათვის, რომლებიც ჩადენილ იქნა „საერთაშორისო საქმიან ურთიერთობებში“ თავისთვის ან მესამე პირისთვის შეკვეთის ან არამართლზომიერი სარგებლის მოსაპოვებლად. ამ შეზღუდვასაც გააჩნია თავისი საფუძველი იმაში, რომ გერმანული კანონი ხელმძღვანელობს ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კონვენციით, რომელსაც შეეძლო გაეთვალისწინებინა მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში ჩადენილი ქმედებები.

დასახელებული კონვენციის 1-ლი პარაგრაფის პირველ პუნქტში გათვალისწინებულია,

---

[1] BGBl. 1998 II, 2327.

[2] კანონის ამოქმედება დაკავშირებული იყო OECD-ს 1997 წლის 17 დეკემბრის დასახელებული კონვენციის ძალაში შესვლასთან. კონვენციის მე-15 მუხლი მისი ძალაში შესვლისათვის ადგენდა რატიფიკაციათა გარკვეულ რაოდენობას, რომელიც მიღწეულ იქნა მოცემული დროისათვის.

ასევე მოსამართლეთა გათანაბრების საკითხი: გერმანელ მოსამართლეებს (შეად. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პარაგრაფის 1-ლი აბზაცის მე-2 პუნქტი) უთანაბრდებიან საერთაშორისო სასამართლოებისა და უცხო სახელმწიფოების მოსამართლეები – რა თქმა უნდა, კვლავაც მხოლოდ საერთაშორისო საქმიან ურთიერთობასთან კავშირში

საერთაშორისო მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის მე-2 პარაგრაფში მოწესრიგებულია საკითხი უცხოელი დეპუტატებისათვის ქრთამის მიცემასთან დაკავშირებით – ამ შემთხვევაშიც მხოლოდ საერთაშორისო საქმიან ურთიერთობასთან კავშირში. სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ექვემდებარება ნებისმიერი სარგებლის მიღება, რაც დეპუტატს უბიძგებს, რომ განახორციელოს გარკვეული სახის ქმედება ან თავი შეიკავოს მის განხორციელებაზე.

ეს ნორმა განსაკუთრებით საინტერესოა, რამდენადაც კორუფციის შესახებ გერმანული სისხლის სამართალი არ ითვალისწინებს დეპუტატთა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. გერმანული სამართლით, თანამდებობის პირებად ითვლებიან მხოლოდ ის მოხელეები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ საჯარო მმართველობის სფეროში (შეად. გერმანიის სსკ-ის მე-11 პარაგრაფის 1-ლი აბზაცის მე-2c პუნქტი: „საჯარო მმართველობის ამოცანები"). ამ საკითხზე საკანონმდებლო სფერო არ არის მოწესრიგებული. ამ ყოველივეს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ გერმანიაში დღემდე გათვალისწინებულია საქმიან ურთიერთობებში მონაწილე უცხოელი დეპუტატების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და არა ქვეყნის ნაციონალური პარლამენტის წევრების მოსყიდვა.

3. ევროპის საბჭოს სისხლისსამართლებრივი კონვენცია კორუფციის შესახებ

ევროპის საბჭოს სისხლისსამართლებრივი კონვენცია კორუფციის შესახებ გაფორმდა 1999 წელს და 2002 წლის 1 ივლისიდან შევიდა ძალაში[1]. მოთხოვნები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ასახულია, ასევე ამ კონვენციის 2003 წლის დამატებით ოქმში[2]. კონვენციით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა როგორც აქტიური, ასევე პასიური კორუფციისათვის.

ეს კონვენციაც ითვალისწინებს ვალდებულებას, რომ კორუფციისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ უნდა დაექვემდებარონ მხოლოდ სახელმწიფოს შიდა თანამდებობის პირები. ამასთანავე, სრული მოცულობით უნდა იქნეს გათვალისწინებული უცხოელი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხიც (კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლები). იგივე მიდგომაა საერთაშორისო ორგანიზაციების მოხელეების მიმართაც (კონვენციის მე-9 მუხლი). რაც შეეხება ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კონვენციით გათვალისწინებულ შეზღუდვას, რომ კორუფცია ჩადენილ უნდა იქნეს მხოლოდ „საერთაშორისო საქმიან ურთიერთობებში", ამ კონვეცნიით არ არის გათვალისწინებული. ევროპის საბჭოს კონვენციის მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებულია მრავალი სახის ღონისძიებების გატარება კერძო საქმიან ურთიერთობებში ჩადენილი ქრთამის მიცემის წინააღმდეგ საბრძოლველად; დაბოლოს, ეს კონვენცია მე-4 და მე-10 მუხლებში ითვალისწინებს ვალდებულებას, რომ როგორც ნაციონალური, ისევე

[1] ხელმისაწვდომია ელექტრონულ მისამართზე: http://conventions.coe.int/Treaty/EN/Treaties/Html/173.htm – მოძიებულ იქნა 2010 წლის 25 იანვარს.

[2] ხელმისაწვდომია ელექტრონულ მისამართზე: http://conventions.coe.int/Treaty/EN/Treaties/Html/191.htm – მოძიებულ იქნა 2010 წლის 25 იანვარს.

საერთაშორისო პარლამენტების (მაგალითად, ევროპული პარლამენტის) დეპუტატების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულები უნდა დაექვემდებარონ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

გერმანიას უკვე აქვს ხელი მოწერილი ამ კონვენციისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ არ მომხდარა მისი რატიფიკაცია, რაც კვლავაც იმაზეა დამოკიდებული, რომ – როგორც უკვე იქნა აღნიშნული ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) დასახელებულ კონვენციასთან[1] მიმართებაში – გერმანულ სამართალში ჯერ კიდევ არ არის იმპლემენტირებული ზოგიერთი საკითხი[2]. საქართველოს, გერმანიისაგან განსხვავებით, უკვე აქვს კონვენცია რატიფიცირებული. კონვენცია, ევროპის საბჭოს 47 სახელმწიფოდან, დღემდე 41 ქვეყანას აქვს რატიფიცირებული (ბელორუსიის სახით კონვენციის რატიფიცირება მოახდინა ასევე არაწევრმა სახელმწიფომაც)[3].

4. ევროკავშირი

ევროკავშირის ფარგლებში 1996 წელს მიღებულ იქნა „ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ შეთანხმების პირველი ოქმი“[4]. მიუხედავად იმისა, რომ სათაური არ მიუთითებს, აქ მრავლად არის მოცემული ვალდებულებები ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისათვის, რომ მათი კორუფციული სისხლის სამართალი გავრცელდეს მექრთამეობის იმ ქმედებებზეც, რომლებიც ევროპელი მოხელეების მიმართ იქნება მიმართული, რამდენადაც ამის შედეგად ზიანი ადგება ევროკავშირის ფინანსური ინტერესებს.

იმავე წელს გამოცემული იქნა „ევროკავშირის საბჭოს 1997 წლის 26 მაისის სამართლებრივი აქტი ევროპული გაერთიანების ან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოხელის მონაწილეობით ჩადენილი მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ შეთანხმების შემუშავების თაობაზე“,[5] რომელიც, ასევე შესაბამისი სახის ვალდებულებებს ითვალისწინებს.

ეს ვალდებულებები გერმანიაში შესრულდა და 1998 წელს გამოცემული იქნა „ევროკავშირის მექრთამეობის შესახებ“ კანონი (EU-Bestechungsgesetz)“[6]. ისევე როგორც „საერთაშორისო მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის“ შემთხვევაში, გერმანიის კორუფციული სისხლის სამართლის გაფართოვება არ მომხდარა სისხლის სამართლის კოდექსის ნორმების გადამუშავებით. ამ შემთხვევაშიც, არსებითად მოხელეთა გათანაბრება განხორციელდა ცალკე კანონით, რომელიც მხოლოდ ოთხ ახალ პარაგრაფს მოიცავს. აღსანიშნავია, რომ ამ კანონშიც არ ხდება ევროკავშირის მოხელეებისა და გერმანელი თანამდებობის პირების სრული გათანაბრება. თუმცა, აქ თანამდებობის პირების შესახებ ნორმები განსხვავებულია „საერთაშორისო მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონის დებულებებისგან:

a) „ევროკავშირის მექრთამეობის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულია როგორც

---

[1] შეად. ზემოთ III 1 ქვეთავი.

[2] ამ საკითხებთან დაკავშირებით იხ. ქვემოთ IV თავი.

[3] ბოლოს კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა უკრაინამ 2009 წლის ნოემბერში; შეად. http://conventions.coe.int/treaty/Commun/ChercheSig.asp?NT=173&CM=&DF=&CL=ENG – მოძიებულ იქნა 2010 წლის 25 იანვარს.

[4] ABl. EG Nr. C 313, 23. 10. 1996, გვ. 2; შეად. აგრეთვე: BGBl. 1998 II, 2342; ეს ოქმი ეფუძნება ევროკავშირის სამართლებრივ აქტს ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ შეთანხმების შემუშავების თაობაზე (1995 წლის 26 ივლისი); ABl. EG Nr. C 316, 27. 11. 1995, გამოქვეყნდა: BGBl. 1998 II, 2324.

[5] ABl. EG Nr. C 195, 25. 06. 1997, გვ. 2.

[6] BGBl. 1998 II, 2340.

აქტიური, ასევე პასიური მექრთამეობა. ამით, გერმანული სამართლით პასუხისმგებლობას დაექვემდებარა არა მხოლოდ მოქალაქე, რომელიც ქრთამს აძლევს მოხელეს, არამედ თავად მოხელეც;

b) სხვა მხრივ, ამ კანონითაც ქრთამის მიცემა და აღება გათვალისწინებულია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე და 334-ე პარაგრაფების გაგებით, ანუ, როგორც სარგებლის მიცემა მართლსაწინააღმდეგო სამსახურებრივი ქმედებების სანაცვლოდ;

c) ამის საპირისპიროდ, არ არის გათვალისწინებული გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე და 333-ე პარაგრაფებით განსაზღვრული უპირატესობის მიღება და მინჭება, ე.ი. უბრალო უპირატესობის მიღება, რომელიც დაკავშირებული არ არის მოხელის მიერ კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებასთან;

d) კანონით გათვალისწინებულია, ასევე მოხელის მიერ მხოლოდ სარგებლის მიღება სამომავლოდ შესასრულებელი სამსახურებრივი ქმედებებისათვის, ე.ი. უკვე ჩადენილი ქმედებისათვის მოგვიანებით „დაჯილდოებისათვის“ პასუხისმგებლობა არ არის გათვალისწინებული;

e) ევროკავშირის მოხელეებთან ერთად, გათვალისწინებული არიან, ასევე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ყველა სხვა მოხელეები და თანამდებობის პირები – და სწორედ ამაში მდგომარეობს მოხელეთა ასეთი გათანაბრების ნამდვილი მნიშვნელობა. ამის შედეგად, გერმანული სამართლით დასჯადად არის გამოცხადებული გერმანელი მოქალაქის მიერ ფრანგი მოხელის მოსყიდვა, მოხელის ევროკავშირთან შემხებლობის გარეშეც. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია წარმოვიდგინოთ შემდეგი სახის მაგალითი: გერმანელი მძღოლი საფრანგეთის ავტომაგისტრალზე მანქანას მართავს სწრაფად და მის შემმოწმებელ ფრანგ მოხელეს სთავაზობს 500 ევროს, რომ ამ უკანასკნელმა არ დაიწყოს სამართალწარმოება (ამ შემთხვევაში ეს იქნებოდა მართლსაწინააღმდეგო სამსახურებრივი ქმედება). ამ საკითხთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, არსებობს საინტერესო შეზღუდვა: განხილულ მაგალითში აუცილებლად უნდა შემოწმდეს, უცხოელი თანამდებობის პირი განხილული იქნებოდა თუ არა გერმანული სამართლის ძირითადი დებულებებიდან გამომდინარეც, ასევე თანამდებობის პირად. თუ ეს უარყოფილი იქნებოდა, მაშინ არც მოხელეთა გათანაბრებას და, შესაბამისად, არც დასჯადობას ექნებოდა ადგილი. საკითხის ასეთი მოწესრიგების მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ცალკეულ სახელმწიფოებს არ სურთ ჰქონდეთ ორმხრივი ვალდებულება უცხოური სამართლის იმ ძირითადი პრინციპების გამოყენებისათვის, რომლებიც საკუთარი სამართლებრივი სისტემისთვის უცხოა. ამ მიდგომას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როდესაც ერთ ქვეყანაში მოხელის, შესაბამისად, თანამდებობის პირის ცნება ფართოდ, ხოლო სხვა ქვეყანაში კი, ვიწროდ განიმარტება. გერმანიისთვის პარლამენტის წევრებთან მიმართებაში ეს საკითხი მნიშვნელოვანია. ეს უკანასკნელნი ევროკავშირის უმეტესი წევრი სახელმწიფოების მიერ განიხილებიან თანამდებობის პირებად, გერმანული სამართლის მიხედვით კი, ისინი ამ წინაპირობებს არ აკმაყოფილებენ. აქედან გამომდინარე, გერმანიაში მოქმედი ნორმებით, ევროკავშირის რომელიმე წევრი სახელმწიფოს დეპუტატები იმ შემთხვევაშიც ვერ მოთავსდებიან გერმანიის კორუფციული სისხლის სამართლის ნორმების რეგულირებაში, როდესაც ისინი უცხო სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმებით თანამდებობის პირებად განიხილებიან;

f) „ევროკავშირის მექრთამეობის შესახებ“ კანონითაც ევროპული სასამართლოების მოსამართლეები გათანაბრებული არიან გერმანული სამართლით გათვალისწინებულ მოსამართლეებთან;

g) მაგრამ კანონში არ არიან გათვალისწინებული – და არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით ეს თვალშისაცემია – ევროპული პარლამენტის წევრები, რამდენადაც არ არის

გათვალისწინებული ამ საკითხის დამოუკიდებელი რეგულირება. ამდენად, „ევროკავშირის მექრთამეობის შესახებ“ კანონის ნორმები საერთოდ არ ითვალისწინებენ დეპუტატების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას;

h) დასახელებული კონვენციის გარდა, ამ შემთხვევაში მითითებული უნდა იქნეს ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილება კერძო სექტორში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[1]. ამ უკანასკნელის მეშვეობით გათვალისწინებულია ვალდებულება, რომ მექრთამეობისთვის, აგრეთვე კერძო სექტორშიც ფართო სახით, ე.ი. საზღვარგარეთთან დაკავშირებითაც, უნდა იქნეს გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. გერმანიამ, როგორც უკვე იქნა აღნიშნული, სწორედ სისხლის სამართლის კოდექსში 299-ე პარაგრაფისთვის მე-3 ნაწილის დამატებით შეასრულა მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებული იყო საერთაშორისო კონკურენციასთან. თუმცა სსკ-ის 299-ე მუხლი ითვალისწინებს მექრთამეობის დასჯადობას, რომელიც ჩადენილია მხოლოდ სამეწარმეო ურთიერთობებში, ე.ი. კონკურენციის მიზნებისთვის. ეს ნორმა გამოიყენება მხოლოდ სამეწარმეო კონკურენციისათვის და არა სხვა კერძოსამართლებრივი ხასიათის ურთიერთობობების მიმართ. აქედან გამომდინარე, ამ საკითხის მოწესრიგების გერმანული მიდგომა აშკარად ჩამორჩება ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილების მოთხოვნებს. ასეთი მოწესრიგება მხოლოდ იმიტომ არის შესაძლებელი, რომ გერმანიამ გააკეთა 2010 წლამდე მოქმედი განმარტება ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილების „მოქმედების სფეროს შეზღუდვის შესახებ“[2]. იმ შემთხვევაში, თუ ეს განმარტება ვერ იქნება გახანგრძლივებული, რაც ჯერ კიდევ ღიად არის დატოვებული, მაშინ გერმანელ კანონმდებელს მოუწევს სისხლის სამართლის ნორმის მნიშვნელოვნად გაფართოვება.

დაბოლოს უნდა აღინიშნოს, ასევე ისიც, რომ გერმანული სამართალი შეიცავს უცხოელი მოსამართლეებისა და თანამდებობის პირების გათანაბრების სხვა პირობებსაც, რომლებიც მთლიანობაში ეყრდნობა ევროპულ და სხვა საერთაშორისო წინაპირობებს. მაგალითის სახით შეიძლება დასახელდეს სისხლის სამართლის შესწორების შესახებ მეოთხე კანონი,[3] რომლის მეშვეობითაც, გერმანიაში სტაციონირებული ნატოს სხვა წევრი ქვეყნების შეიარაღებული ძალების თანამშრომლები გაუთანაბრდნენ გერმანელ თანამდებობის პირებს. სპეციალური კანონის მეშვეობით, ასევე მოხდა სისხლის სამართლის მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეებისა და სხვა მოსამსახურე პერსონალის გათანაბრება[4] გერმანელ მოსამართლეებთან და თანამდებობის პირებთან. შემდგომი სახის გათანაბრების შესახებ ნორმა ასახულია ევროპული გაერთიანების სტატისტიკური სამსახურისთვის გადაცემული ინფორმაციის (SAEG-Übermittlungsschutzgesetz) საიდუმლოდ შენახვის უზრუნველყოფის შესახებ 1993 წლის 16 მარტის[5] კანონის მე-2 პარაგრაფში, რომელიც გათანაბრებას ითვალისწინებს მხოლოდ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 203-ე და მომდევნო და 353-ე „b“ პარაგრაფებით გათვალისწინებული საიდუმლოს გაცემის ნორმებისთვის და არა კორუფციული დელიქტებისთვის. იგივე მდგომარეობაა ევროპოლის შესახებ კანონის მე-2 მუხლის მე-8 პარაგრაფში[6], რომლის მიხედვითაც, ევროპოლში მომუშავე და დასაქმებული

---

[1] ABl. EU Nr. L 192, 31. 07. 2003, გვ. 54; მას წინ უძღოდა ზემოთ II 2 ქვეთავში დასახელებული „ევროკავშირის საერთო ღონისძიება კერძო სექტორში მექრთამეობის შესახებ“, ABl. EU Nr. L 358, 21. 12. 1998, გვ. 2.

[2] ეს უფლება გამომდინარეობს ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-2 III მუხლიდან.

[3] BGBl. 1957 I, 597 (601 f.).

[4] BGBl. 2002 I, 2144 (2162).

[5] BGBl. 1993 I, 366.

[6] 1997 წლის 16 დეკემბრის გერმანული კანონი ეხება ევროპული პოლიციური სამსახურის შექმნის შესახებ 1995 წლის 26 ივლისის შეთანხმების იმპლემენტაციას, რომელიც მიღებულია ევროკავშირის

პირები, ამ კანონში დასახელებული თანამდებობრივი დელიქტების თვალსაზრისით (კერძო და სამსახურებრივი საიდუმლოებების დარღვევისა და გამოყენებისთვის, და არა კორუფციული დელიქტებისთვის) გათანაბრებულნი არიან გერმანელ თანამდებობის პირებთან.

IV. მომავალში განსახორციელებელი ცვლილებების მიმოხილვა

1. ზოგადი ცვლილებები

გერმანიაში არსებული დღევანდელი საკანონმდებლო მდგომარეობა, ევროპული და საერთაშორისო მოთხოვნების თვალსაზრისით, მრავალ საკითხში არადამაკმაყოფილებელია. ერთი მხრივ, სისხლის სამართლის კოდექსში არ არის გათვალისწინებული ყველა კორუფციული დანაშაულის შემადგენლობა სრული სახით. ის ასახულია დასახელებული გათანაბრების შესახებ ნორმების სახით რამდენიმე კანონში. ამ კანონებშიც გერმანიამ გაითვალისწინა მხოლოდ ის საკითხები, რაც საერთაშორისო და ევროპული მითითებების გამო სავალდებულოდ იქნა მიჩნეული. არ განხორციელდა არსებული ნორმების შესაბამისობაში მოყვანა, განსაკუთრებით, სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე და მომდევნო პარაგრაფების, ისე, რომ დღეისათვის შექმნილია სრულიად არაერთგვაროვანი სურათი. მეორე მხრივ, გერმანული კანონმდებლობა, როგორც უკვე რამდენიმე ადგილას იქნა აღნიშნული, სრულად ვერ აკმაყოფილებს ევროპულ და საერთაშორისო მოთხოვნებს, ისე, რომ, ამ მხრივ, საჭიროა გარკვეული სახის მოქმედებები. განსაკუთრებით პარლამენტის წევრთა მექრთამეობის თვალსაზრისით გერმანული საკანონმდებლო მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია[1].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი ხანია რაც შემუშავებულია სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტი[2], რომელიც ითვალისწინებს, რომ კორუფციის შესახებ ყველა ნორმა ერთიანი სახით გათვალისწინებული უნდა იყოს სსკ-ის 331-ე და მომდევნო მუხლებში. ამასთანავე, სისხლის სამართლის კოდექსში უნდა შეიქმნას 335-ე „a“ მუხლის სახით ახალი შემადგენლობა, რომელშიც სრულად იქნება გათვალისწინებული უცხოურ და საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა მექრთამეობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამ მუხლის მიხედვით, მასში მოცემული ყველა პირისათვის, გათვალისწინებული უნდა იქნეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა როგორც აქტიური, ასევე პასიური მექრთამეობისათვის, თუმცა არა უპირატესობის მიღებისა და მინიჭებისათვის. მასში მოცემული უნდა იყოს მხოლოდ მოხელის მიერ სამომავლოდ განსახორციელებლი ქმედებები, ამდენად მოწესრიგების გარეშე რჩება მოგვიანებითი (ქმედების ჩადენის შემდგომ) დაჯილდოება. გარდა ამისა, მექრთამეობა უნდა გაფართოვდეს კერძო სექტორზე და აღარ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ სამეწარმეო კონკურენციით.

დასახელებულმა პროექტმა ვერ შეიძინა კანონის ძალა. ამის მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ საქმე შეეხება გერმანიის ფედერალური მთავრობის კანონპროექტს, რომელსაც სურს საერთაშორისო კონვენციების მითითებების სრულად გათვალისწინება. ერთ-ერთ ასეთ მითითებას მიეკუთვნება, რა თქმა უნდა, დეპუტატებისთვის ისეთი „პრობლემატური საკითხი“,

---

ხელშეკრულების K.3 მუხლის საფუძველზე. BGBl. 1997 II, 2150.

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. IV 2 ქვეთავი.

[2] შეად. 2007 წლის 4 ოქტომბრის კანონპროექტს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე, BT-Drucks. 16/6558 = BR-Drucks. 548/07. მას წინ უძღოდა 2006 წლის 19 სექტემბერს გამოცემული ექსპერტების პროექტი, რომელიც „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მეორე კანონპროექტის“ სახელწოდებით სათაურდება.

როგორიცაა დეპუტატთა მექრთამეობა. ამ საკითხთან მიმართებით, ფედერალურ მთავრობას, შესაბამისად, იუსტიციის სამინისტროს, არ სურს ჩარევა პარლამენტის საქმიანობაში და ამიტომ მოითხოვს, რომ წინადადებები დეპუტატთა მექრთამეობის საკანონმდებლო მოწესრიგების შესახებ შემუშავდეს გერმანიის პარლამენტში. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ეს საკითხი კვლავაც წარუმატებელია და იმედია, რომ მალე მოხდება ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი პოზიციის შეჯერება.

2. დეპუტატების მოქრთამვა

კონვენციების უმეტესობა, განსაკუთრებით ევროკავშირის დონეზე, ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და ევროპის საბჭოს კონვენციები, ითვალისწინებენ ვალდებულებას, რომ პარლამენტის დეპუტატთა მოქთამვისთვის გათვალისწინებული იქნეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე „e“ პარაგრაფში გათვალისწინებულია ქმედების ერთი შემადგენლობა, რომელიც ეხება „დეპუტატთა მოქრთამვას“. ზოგადი თვალსაზრისით, მხოლოდ ეს შემადგენლობა არ არის საკმარისი კონვენციების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რამდენადაც ამ მუხლით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ძირითადად გათვალისწინებულია პარლამენტში ან საპარლამენტო კომისიებში არჩევნებისა და ხმის მიცემის დროს ხმების ყიდვა და გაყიდვისათვის და არა უპირატესობის მიღებისათვის. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარეშე რჩება, მაგალითად, თანხის გადახდა იმისთვის, რომ დეპუტატმა თავისი პარტია (ან ფრაქცია) იმ მიმართულებით ამუშავოს, რომ პარლამენტში წარადგინონ კონკრეტული სახის საკანონმდებლო ინიციატივა (ან კიდევ არ წარადგინონ გარკვეული სახის საკანონმდებლო ინიციატივა). გარდა ამისა, გერმანიაში დეპუტატთა მოსყიდვის შემადგენლობის პრაქტიკაში გამოყენება არ ხდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ცნებაში „ყიდვა“ და „გაყიდვა“ იგულისხმება მხოლოდ მატერიალური გადასახადები და არა არამატერიალური უპირატესობანი. ამ ცნებით, ასევე არ არის გათვალისწინებული ის უპირატესობანი, რომლებიც მიენიჭებათ მესამე პირებს ან დაწესებულებებს, მაშინ, როდესაც პოლიტიკურ სფეროში „მესამე პირისათვის“ ასეთი სახის უპირატესობის მინიჭებას ხშირად აქვს ადგილი. მხოლოდ ერთი მაგალითი რომ მოვიყვანოთ, მეწარმე მოისყიდის დეპუტატს იმისთვის, რომ მის სასარგებლო საკითხს პარლამენტში უყარონ კენჭი და შედეგად დაპირდება, რომ მის პარტიაზე გაიღებს გულუხვ შემოწირულობას (ე.წ. „პარტიული შემოწირულობანი“).

გერმანული გაგებით, დეპუტატები არ მოიაზრებიან, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პარაგრაფის 1-ლი აბზაცის მე-2 პუნქტში დასახელებულ თანამდებობის პირებში, ვინაიდან ისინი ახორციელებენ არა საჯარო მმართველობას, არამედ საკანონმდებლო საქმიანობას. სწორედ ამაში მდგომარებს მათი გათანაბრების პრობლემა. მათი სრული სახით გათანაბრება არც არის მიზანშეწონილი, ვინაიდან დეპუტატები – მოხელეებისგან განსხვავებით – არ არიან დამოკიდებული მითითებებზე და უნდა გასწიონ არა ისეთი სახის მომსახურებები, რომლებზეც დამოკიდებულია მოქალაქე, არამედ უმეტესად დასაქმებული არიან, როგორც სხვების ინტერესების წარმომადგენლები, რომლებიც სრულიად შეგნებულად კონკრეტული მოსახლეობის ჯგუფების ინტერესებს ახორციელებენ. რამდენადაც დეპუტატების ჩართულობისა და მოქმედების ფარგლების შინაარსი კორუფციულ დელიქტებში არსებითად საკამათოა და გერმანიის ბუნდესტაგიც, როგორ უკვე აღინიშნა, ჯერ კიდევ ვერ ახორციელებს შესაბამისი სახის საკანონმდებლო ცვლილებას, ამიტომაა, რომ გერმანიის მიერ დღემდე ვერ ხორციელდება ვერც გაეროსა და ვერც ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიკაცია.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, უნდა მიეთითოს, ასევე გერმანულ სამართალში ამჟამად არსებულ კიდევ ერთ განსაკუთრებული სახის სხვაობაზე: საერთაშორისო მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის მე-2 პარაგრაფში[1], რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, გამოცემული იქნა ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კონვენციის განხორციელების შედეგად, გავალისწინებულია უცხოელი დეპუტატების ან საერთაშორისო ორგანიზაციების ასამბლეის დეპუტატების აქტიური მოქრთამეობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ ეს ქმედება ჩადენილია საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, დღეისათვის გერმანიაში არსებობს ამ საკითხის ყოველგვარ არსს მოკლებული რეგულირება, საიდანაც გამომდინარეობს, რომ თითქოს გერმანიის პარლამენტის დეპუტატების მოსყიდვა არ არის შესაძლებელი, უცხოელი დეპუტატებისა კი. მაგალითად, თუ გერმანიის პარლამენტის წევრი იმავდროულად არის ევროსაბჭოს საპარლამენტთაშორისი ასამბლეის წევრი, მაშინ, მისი მექრთამეობის შემთხვევაში, შესაძლებელია, იგი გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ მოქმედებს გერმანიის პარლამენტის წევრის სტატუსით._

3. „ზეგავლენის ბოროტად გამოყენება“

მრავალი სხვა ქვეყნის მართლწესრიგისგან განსხვავებით, გერმანული სამართლისთვის უცხოა ე.წ. „ზეგავლენის ბოროტად გამოყენების“ – Trading in influence – ქმედების შემადგენლობა[2]. ასეთი სახის შემადგენლობაში იგულისხმება სარგებლის გადაცემა იმ პირისათვის, რომელიც იძლევა დაპირებას, რომ რომელიმე თანამდებობის პირზე გარკვეული ფორმით მოახდენს ზეგავლენას.

მაგალითი: ანტონს, როგორც კერძო პირს, სურს, მიიღოს ნებართვა კვების ობიექტის გახსნისათვის ან მოიპოვოს ვიზა საზღვარგარეთ გასამგზავრებლად. მას ჰყავს ნაცნობი, რომლისგანაც იცის, რომ ის მეგობრულ ურთიერთობაშია ერთ-ერთ თანამდებობის პირთან. ანტონი სთხოვს თავის მეგობარს, რომ შეხვდეს ამ მოხელეს და დაარწმუნოს, რომ ანტონს რაც შეიძლება სწრაფად მისცეს ნებართვა ან ვიზა. ანტონი თავის მეგობარს „შუამდგომლობისათვის“ უხდის თანხას. თავად მოხელემ არ უნდა მიიღოს თანხა, არამედ მან მხოლოდ იმიტომ უნდა იმოქმედოს, რათა საერთო მეგობრის თხოვნა დააკმაყოფილოს. ამ შემთხვევაში, ადგილი არა აქვს მოსყიდვას, რამდენადაც, ერთი მხრივ, ანტონის მეგობარი. რომელიც იღებს მისგან თანხას, არ არის თანამდებობის პირი, მეორე მხრივ, მოხელემ, რომელიც გასცემს ნებართვას ან ვიზას, არ უნდა მიიღოს თანხა.

ამ საკითხთან დაკავშირებით დღეისათვის გერმანელი კანონმდებელი იმით ხელმძღვანელობს, რომ გერმანიაში ასეთი სახის მოქცევას, როგორც საზოგადოებრივ ფენომენს, არა აქვს მნიშვნელობა, რის გამოც, უარი უნდა ითქვას მის სისხლისსამართლებრივ მოწესრიგებაზე. გარდა ამისა, უმეტეს შემთხვევაში, ასეთი მოქცევა მოცულია სხვა სისხლისსამართლებრივი ქმედების შემადგენლობებით. თუმცა ევროპის საბჭოს კონვენციის მე-12 მუხლი ითვალისწინებს ვალდებულებას, შესაბამისი ქმედების სპეციალური შემადგენლობის შექმნის შესახებ. ასეთივე ვალდებულებაა მოცემული გაეროს კორუფციის შესახებ კონვენციის მე-18 მუხლშიც. ეს ის საკითხია – დეპუტატთა მოსყიდვის საკანონმდებლო მოწესრიგების არარ-

---

[1] შეად. ზემოთ, III 2 ქვეთავი.

[2] კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში გაეროსა და ევროსაბჭოს დასახელებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2006 წლის 25 ივლისის კანონით შემოღებულ იქნა ასეთი ახალი შემადგენლობა: „ზეგავლენით ვაჭრობა“ (339[1]-ე მუხლი).

სებობასთან ერთად – რომელიც გახდა მიზეზი, თუ რატომ არ მოახდინა აქამდე გერმანიამ, მიუხედავად ხელის მოწერისა, ევროპის საბჭოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციების რატიფიკაცია.

V. შეჯამება

დღეს არსებული მდგომარეობით, კორუფციის შესახებ გერმანული სისხლის სამართალი არის ძალზე არაერთგვაროვანი. კერძოდ, არსებითი რეგულირებები მოცემულია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე და მომდევნო პარაგრაფებში, რომლებშიც მხოლოდ „სახელმწიფო კორუფციაა" გათვალისწინებული და, ამასთანავე, მხოლოდ იმ „თანამდებობის პირების" ქმედებებს მოიცავს, რომლებიც წარმოადგენენ სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 პარაგრაფის 1-ლი აბზაცის მე-2 პუნქტში მითითებულ გერმანული სამართლით გათვალისწინებულ თანამდებობის პირებს. თანამდებობის პირების ჩამონათვალში არ არიან გათვალისწინებული უცხოელი თანამდებობის პირები და დეპუტატები. ამასთან, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 299-ე მუხლში მოცემულია ქრთამის მიცემა და ქრთამის აღება, ჩადენილი საქმიან ურთიერთობაში, რომელიც შეზღუდულია „კონკურენციის მიზნების" ნიშნით. იმისათვის, რომ გერმანიას შეესრულებინა საერთაშორისო კონვენციების, განსაკუთრებით, კორუფციის საწინააღმდეგო გაეროს კონვენციის, უცხოელი თანამდებობის პირების მოსყიდვის საწინააღმდეგო ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კონვენციის, ევროპის საბჭოს სისხლისსამართლებრივი კონვენციისა და, ასევე ევროკავშირის დონეზე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ არსებული ზოგიერთი შეთანხმების მოთხოვნები, მიღებულ იქნა ზოგიერთი მცირე მოცულობის მქონე გათანაბრების შესახებ კანონები, რომლებითაც უცხოელი თანამდებობის პირები გარკვეული მოცულობით გაუთანაბრდნენ გერმანელ თანამდებობის პირებს. ამის შედეგად, ამჟამად სახეზეა სამართლებრივი მოწესრიგების გაურკვეველი სურათი, რომელიც სასწრაფოდ საჭიროებს ცვლილებასა და ერთგვაროვან მოწესრიგებას[1]. ასევე, უნდა ითქვას, რომ, განსაკუთრებით, დეპუტატების მოსყიდვისა და ზეგავლენის ბოროტად გამოყენების (trading in influence) საკითხებზე გაეროსა და ევროპის საბჭოს კონვენციების მითითებები ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული. ამასთან, დიდი ხანია, რაც გერმანიაში მიმდინარეობს დისკუსია შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების აუცილებლობის შესახებ არსებობს ერთიანი პოზიცია, მაგრამ, იმავდროულად, არ არსებობს ერთსულოვნება იმის შესახებ, თუ რა ფორმით და მოცულობით უნდა განხორციელდეს იგი.

[1] იმ საკითხთან დაკავშირებით, შესაძლებალია თუ არა, რომ ასეთმა გაურკვეველმა მოწესრიგებამ ხელყოს ნორმის განსაზღვრულობის პრინციპი, იხ. *Heinrich*, Gedächtnisschrift für Rolf Keller, 2003, გვ. 103 ff.

6. ფულის გათეთრება

ფულის გათეთრების შესახებ 1990 წლის ევროსაბჭოს კონვენციის საფუძველზე, ევროპის კავშირის მინისტრთა საბჭომ 2001 წელს მიიღო ჩარჩო-გადაწყვეტილება ფულის გათეთრების, ასევე დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლებისა და დანაშაულის იარაღების მოძიების, დაყადაღების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ. ჩარჩო-გადაწყვეტილება ერთდროულად ორ მიზანს ისახავს: ერთი მხრივ, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი დებულებების ჰარმონიზაციას დანაშაულის იარაღებისა და დანაშაულებიდან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევის სფეროში, ხოლო, მეორე მხრივ, ნაციონალური სამართლის ნორმების დაახლოებას ფულის გათეთრების დანაშაულის შემადგენლობებსა და სანქციებთან მიმართებაში.[1]

ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების ვალდებულება ფულის გათეთრების წინააღმდეგ სასჯელის დაწესების შესახებ გამომდინარეობს უშუალოდ არა ამ ჩარჩო- გადაწყვეტილებიდან, არამედ ევროპის საბჭოს 1990 წლის კონვენციიდან, რომელიც მოქმედებს ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში და ამით ევროპის კავშირის მფლობელობას („Besitzstand" der EU) წარმოადგენს.[2] ევროპის კავშირის დონეზე არსებობს სხვა სამართლებრივი აქტებიც, რომლებიც წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს ფულის გათეთრების კრიმინალიზაციას. ასეთი სამართლებრივი აქტიებია, მაგალითად, 91/308/EWG დირექტივა[3], 2001/97/EG დირექტივა[4], რომელიც შეიცვალა ახალი, 2005/60/EG დირექტივით[5], რომელიც იძლევა ფულის გათეთრების დეფინიციას და შეიცავს ვალდებულებას ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის დაწესების თაობაზე. ევროპის საბჭოს კონვეციასთან ერთად, ამ სამართლებრივმა აქტებმა ხელი შეუწყვეს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ევროპაში სისხლისსამართლებრივი ბრძოლის გაძლიერებას.

საბჭოს 2001 წლის 26 ივნისის ჩარჩო-გადაწყვეტილება[6] ფულის გათეთრების, ასევე დანაშაულის იარაღისა და დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, დაყადაღების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ

ეს სამართლებრივი აქტიც მიღებულ იქნა ევროკავშირის საბჭოს მიერ, ევროპარლამენტის მიერ პოზიციის გამოხატვის შემდეგ, ჩარჩო-გადაწყვეტილებისათვის დაწესებული პროცედურით. მისი სამართლებრივი საფუძველია ევროკავშირის ხელშეკრულების 31 a), c) და e) პუნტები და 34-ე მუხლის მე-2 აბზაცის b) პუნქტი. მისი მიღების ინიციატორი იყო საფრანგეთის რესპუბლიკა.

ჩარჩო-გადაწყვეტილების პრეამბულაში მითითებულია, რომ ფულის გათეთრება წარმოადგენს ორგანიზებული დამნაშავეობის გულს. მისი მიღების დროისათვის განსაკუთრებით გაიზარდა მძიმე ეკონომიკური დამნაშავეობა, რომელიც უკავშირდება საგადასახადო და საბაჟო სამართალდარღვევებს. ამიტომ აუცილებელი გახდა საერთო დეფინიციების, ქმედების

---

[1] შეად. *Wasmeier/Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 336-337.

[2] იხ. *Wasmeier/Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 337.

[3] Richtlinie 91/308/EWG ; იხ. ABl. L 166, 28. 06. 1991.

[4] Richtlinie 2001/97/EG; იხ. ABl. L 344, 28. 12. 2001.

[5] Richtlinie 2005/60/EG; იხ. ABl. L 309, 25. 11. 2005.

[6] ABl. L 182, 5. 07. 2001; ინგლისურ ენაზე 2001/500/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2001/500/JI.

შემადგენლობის ნიშნებისა და სანქციების დაწესება, უპირველეს ყოვლისა, თავდაპირველად ფინანსური დამნაშავეობის სფეროში.

წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება, რომელიც ეფუძნება ფულის გათეთრების შესახებ 1990 წლის ევროსაბჭოს კონვენციის ძირითად პრინციპებს, შემდეგი შინაარსის მატარებელია:

მუხლი 1 1990 წლის კონვენციაზე დათქმები

ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, წევრი სახელმწიფოები იღებენ აუცილებელ ღონისძიებებს, რათა 1990 წლის კონვენციის შემდეგ მუხლებზე არავითარი დათქმები გაკეთდეს ან თუ გაკეთებულია, ძალაში იქნეს დატოვებული:

ა) მე-2 მუხლი, თუკი დანაშაულზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა ან თავისუფლების შემზღუდველი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიება ერთ წელზე მეტი ვადით.

ამასთან, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, 1990 წლის კონვენციის მე-2 მუხლის დათქმები ფისკალური დასჯადი ქმედებებიდან მოპოვებული შემოსავლების ჩამორთმევასთან მიმართებაში მხოლოდ იმ ერთადერთი მიზნით დატოვონ ძალაში, რომ შესაძლებელი იყოს ასეთი შემოსავლების ჩამორთმევა საგადასახადო მოთხოვნების სფეროში როგორც ცალკეული სახელმწიფოების დონეზე, ასევე შიდასახელმწიფოებირივი, გაერთიანებისა და საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების საფუძველზე, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.

ბ) მე-6 მუხლი, რამდენადაც იგი ეხება მძიმე დანაშაულებს. ამ მძიმე დანაშაულებს, ყველა შემთხვევაში, უნდა მიეკუთვნებდნენ დანაშაულები, რომლებისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ან თავისუფლების შემზღუდველი სოციალური დაცვის იძულებითი ღონისძიების გამოყენება ერთი წელზე მეტი ვადით, ან – იმ სახელმწიფოებში, რომელთა სამართლებრივი სისტემა დანაშაულებისათვის ითვალისწინებს მინიმალური სასჯელის ზომას – თავისუფლების აღკვეთა ან თავისუფლების შემზღუდველი სოციალური დაცვის ღონისძიებები მინიმუმ ექვს თვეზე მეტი ვადით.

მუხლი 2 სანქციები

ყოველი წევრი სახელმწიფო, თავის სამართლებრივ სისტემასთან შეთანხმებულობით (Kohärenz), იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს 1990 წლის კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი აბზაცის a) და b) პუნქტებში დასახელებული ქმედებების მიმართ, როგორც ისინი ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების 1-ლი მუხლის b) პუნქტიდან გამომდინარეობენ, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, რომელიც დაუშვებელია, 4 წელზე ნაკლები იყოს.

მუხლი 3 ქონების ღირებულების ექვივალენტური სასჯელი

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მისი სამართლებრივი და საპროცესო ნორმებით, რომლებიც უკავშირდება დანაშაულებიდან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევას, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ამ შემოსავლების ამოღება შეუძლებელია, შესაძლებელი გახდეს ქონებრივი ღირებულების მქონე ნივთების კონფისკაცია, რომელთა ღირებულება შეესაბამება ამ შემოსავლების ღირებულებას, როგორც წმინდა შიდასახელმწიფოებრივ პროცესში, ასევე იმ პროცესში, რომელიც სხვა წევრი სახელმწიფოს თხოვნით, მათ შორის, უცხო სახელმწიფოს მიერ მი-

ღებულბ კონფისკაციის შესახებ გადაწყვეტილებების აღსრულების თხოვნით, წარიმართება. ამასთან, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ ქონებრივი ნივთების ჩამორთმევა, რომლებიც დანაშაულებიდან მიღებული შემოსავლების ღირებულებას შეესაბამება, იმ შემთხვევებში მოახდინონ, როცა ეს ღირებულება 4000 ევროს ქვემოთ იქნება.

ცნებებს: „ქონებრივი ღირებულებები", „მოგებები" და „ჩამორთმევა" აქვთ იგივე მნიშვნელობა, როგორც ეს მოცემულია 1990 წლის კონვენციის პირველ მუხლში.

მუხლი 4 სამართლებრივი თხოვნის განხილვა

წევრი სახელმწიფოები იღებენ აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სხვა წევრი სახელმწიფოების ყველა თხოვნის, რომელიც გამოძიებას, ქონებრივი ღირებულების დაყადაღებას ან ამოღებასა და კონფისკაციას უკავშირდება, იგივე პრიორიტეტით განხილვა, რომელიც ასეთი ღონისძიებებისთვის შიდასახელმწიფოებრივი პროცესით არის გათვალისწინებული.

მუხლი 5 მოქმედი დებულებების გაუქმება

გაუქმებულ იქნეს ერთობლივი ღონისძიების (98/699/JI) 1-ლი მუხლი, მე-3 მუხლი, მე-5 მუხლის 1-ლი აბზაცი და მე-8 მუხლის მე-2 აბზაცი.

მუხლი 6 იმპლემენტაცია

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება შესრულდეს 2002 წლის 31 დეკემბრამდე.

(2) წევრი სახელმწიფოები საბჭოს გენერალურ სამდივნოს, ასევე ევროკომისიას, არაუგვიანეს 2003 წლის პირველი მარტისა, გადასცემენ დებულებების ტექსტს, რომლის მიხედვით მოხდება ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვალდებულებების თავიანთ შიდასახელმწიფოებრივ სამართალში იმპლემენტაცია, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ნოტიფიკაციებს 1990 წლის კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით. საბჭო 2003 წლის 31 დეკემბრამდე ამოწმებს ამ ინფორმაციის საფუძველზე შედგენილი მოხსენებისა და კომისიის წერილობითი მოხსენების მეშვეობით, თუ რამდენად მიიღეს წევრმა სახელმწიფოებმა აუცილებელი ღონისძიებები ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესასრულებლად.

მუხლი 7 მოქმედების ტერიტორიული სივრცე

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება მოქმედებს გიბრალტარზე, როგორც კი 1990 წლის კონვენცია გიბრალტარზე გავრცელდება.

მუხლი 8 ძალაში შესვლა

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღეს.

ევროპის კავშირის ორგანოებისა და წევრი სახელმწიფოების მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გამოცხადდა პრიორიტეტულად, რის გამოც უკანასკნელ წლებში ამ სფეროში მიღებულ იქნა არაერთი სამართლებრივი ინსტრუმენტი. წარმოგიდგენთ სისხლის სამართლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ორ აქტს. ტერორიზმის წინააღმდეგ 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო-გადაწყვეტილებით, ევროკავშირის დონეზე პირველად განისაზღვრა ტერორისტული დანაშაულის ქმედების შემადგენლობების ნიშნებისა და მათთვის სანქციების შესახებ ერთიანი მინიმალური დებულებები. ტერორისტულ დანაშაულებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის შესახებ 2005 წლის 20 სექტემბრის ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილება კი, მიზნად ისახავს წევრ სახელმწიფოთა შორის ინფორმაციის გაცვლის გაძლიერებას, რომელშიც, ასევე მონაწილეობენ ევროიუსტი და ევროპოლი.[1] 2008 წლის 28 ნოემბერს ევროკავშირის საბჭომ მიიღო ჩარჩო-გადაწყვეტილება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო-გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე[2].

7.1 ტერორიზმის დანაშაულის შემადგენლობების ჰარმონიზაცია

საბჭოს 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო-გადაწყვეტილება[3] ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

ევროკავშირისთვის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, 2002 წლის 13 ივნისს საბჭოს მიერ მიღებული ამ აქტის სამართლებრივი საფუძველი იყო მისი მიღების დროს მოქმედი ევროკავშირის ხელშეკრულება, განსაკუთრებით 29-ე, 31-ე e და 34-ე II b მუხლები. იგი მიღებულ იქნა ევროკომისიის ინიციატივით, ევროპარლამენტის მიერ 2002 წლის 6 თებერვალს პოზიციის გამოხატვის შემდეგ.

ჩარჩო-გადაწყვეტილების პრეამბულაში ტერორიზმი შეფასებულია, როგორც საფრთხე დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა თავისუფალი გამოყენებისა და ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარებისათვის. ტერორიზმის აღკვეთის შესახებ ევროსაბჭოს 1977 წლის 27 იანვრის კონვენცია განსაზღვრავს, რომ ტერორისტული დანაშაული არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც პოლიტიკური დანაშაული ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებული დანაშაული ან პოლიტიკურ ქვენაგრძნობებზე დაფუძნებული დანაშაული.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, ასევე დიდია გაეროს დონეზე ჩატარებული მოქმედებები. კერძოდ, გაეროს მიერ მიღებულ იქნა 1997 წლის 15 დეკემბრის საერთაშორისო კონვენცია ტერორისტული დაბომბვების აღკვეთის შესახებ და 1999 წლის 9 დეკემბრის კონვენცია ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ. ეს არის ის საერთაშორისო სამართლებრივი ბაზა, რომელიც არსებობდა ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მიღების დროს. ამის შემდეგაც მიღებულ იქნა არაერთი სხვა საერთაშორისო და ევროპული აქტი, მათ შორის, ევროკავშირის დონეზე, რომელიც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხს მიეძღვნა.

---

[1] შეად. *Wasmeier/Möhlig:* Strafrecht der Europäischen Union, მე-2 გამოცემა, 2008, გვ. 359.

[2] იხ. *Esser* (Hrsg.), Europäisches und Internationales Strafrecht, 2009, გვ. 132.

[3] ინგლისურ ენაზე 2002/475/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2002/475/JI.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილებით ევროკავშირის დონეზე დადგინდა ერთიანი მინიმალური წესები, რომლებიც შეიცავს ტერორისტული და სხვა მასთან დაკავშირებული დანაშაულების დეფინიციებს, ადგენს ვალდებულებას, ასეთი დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების მიმართ სანქციების გამოყენების თაობაზე, ასევე ტერორიზმის მსხვერპლთათვის სპეციალური ღონისძიებების შემუშავებას.

ჩარჩო-გადაწყვეტილების პრეამბულა განსაკუთრებით ხაზს უსვამს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში წევრ სახელმწიფოთა საერთო ძალისხმევის აუცილებლობას, ხოლო თვით ევროკავშირის მხრიდან სუბსიდიარულობისა და თანაზომიერების პრინციპების გამოყენებით მოქმედების აუცილებლობას. ეს სამართლებრივი აქტი, ასევე აღიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული ძირითადი უფლების პატივისცემის ვალდებულებას.

წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება შედგება შემდეგი მუხლებისაგან:

მუხლი 1 ტერორისტული დანაშაულები, ასევე ძირითადი უფლებები და სამართლებრივი პრინციპები

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ a)-დან i) პუნქტამდე ჩამონათვალში მოცემული, ცალკეული სახელმწიფოების სამართლებრივი დებულებებით დანაშაულებად მიჩნეული განზრახი ქმედებები, რომლებსაც მათი ჩადენის ხერხიდან ან შესაბამისი კონტექსტიდან გამომდინარე, შეუძლიათ, სერიოზული ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას, აღიარებულ იქნეს ტერორისტულ დანაშაულებად, თუკი ისინი ჩადენილი იქნება იმ მიზნით, რათა

– მოხდეს მძიმე ფორმებით მოსახლეობის დაშინება, ან

– მოხდეს საჯარო დაწესებულებების ან საერთაშორისო ორგანიზაციების იძულება, რათა მართლსაწინააღმდეგოდ განახორციელონ მოქმედება ან თავი შეიკავოს მოქმედებისგან, ან

– მოხდეს სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის პოლიტიკური, კონსტიტუციურ-სამართლებრივი, ეკონომიკური ან სოციალური ძირითადი სტრუქტურების სერიოზული დესტაბილიზაცია ან განადგურება, რაც გამოიხატება:

ა) პირის სიცოცხლეზე თავდასხმაში, რასაც შესაძლოა, მოჰყვეს სიკვდილი;

ბ) პირის სხეულებრივი მთლიანობის ხელყოფაში;

ც) გატაცებაში ან მძევლად აყვანაში;

დ) ხელისუფლების დაწესებულების ან საჯარო ორგანიზაციის, სატრანსპორტო საშუალების, ინფრასტრუქტურის, საინფორმაციო სისტემის ჩათვლით, მყარი პლატფორმის, რომელიც კონტინენტურ შელფზე მდებარეობს, საერთო სარგებლობის ადგილის ან კერძო საკუთრების მთლიან განადგურებაში, რასაც შეიძლება, მოჰყვეს ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნა ან მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზიანი;

ე) საზღვაო და საჰაერო ხომალდების ან სხვა საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებების ან ტვირთის გადამზიდავი საშუალებების გატაცებაში;

ფ) საბრძოლო იარაღის, ასაფეთქებელი მოწყობილობის, ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის წარმოებაში, მფლობელობაში, შეძენაში, ხელშეწყობაში ან მზადყოფნის მდგომარეობაში მოყვანაში ან გამოყენებაში, ასევე ბიოლოგიურ და ქიმიურ იარაღთან დაკავშირებით განხორციელებულ კვლევასა და განვითარებაში;

გ) საშიში ნივთიერებების გავრცელებაში ან ცეცხლის წაკიდებების გაჩენაში, წყალდიდობების ან აფეთქებების გამოწვევაში, თუკი ამ ქმედებებით საფრთხე შეექმნება ადამიანთა სიცოცხლეს;

ჰ) წყლის, დენის ან ადამიანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სხვა ბუნებრივი რესურსებით მომარაგების დაზიანებაში ან შეწყვეტაში, თუკი ამ ქმედებებით საფრთხე შეექმნება ადამიანთა სიცოცხლეს;

ი) მუქარაში, რომ ჩადენილი იქნება a)-დან h) პუნქტამდე დასახელებული დანაშაულები.

(2) ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ხელშეუხებელს ტოვებს ძირითად უფლებათა და ზოგადი სამართლებრივი პრინციპების პატივისცემის ვალდებულებას, როგორც ეს გათვალისწინებულია ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

მუხლი 2 დანაშაულები ტერორისტულ გაერთიანებასთან კავშირში

(1) ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების გაგებით, ცნება „ტერორისტული გაერთიანება" აღნიშნავს ხანგრძლივი დროით შექმნილ მყარ ორგანიზებულ გაერთიანებას, რომელიც შედგება ორზე მეტი პირისგან, რომელთა ერთობლივი საქმიანობის მიზანია ტერორისტული დანაშაულების განხორციელება. ცნება „ორგანიზებული დაჯგუფება" აღნიშნავს ერთობას, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად შემთხვევით, იმწუთიერად არ იქმნება, თუმცა მაინცდამაინც არ წარმოადგენს ისეთ შეკავშირებას, რომლის წევრებისთვის როლები ფორმალურად არის განაწილებული და აქვს მყარი შეკავშირება ან გამოკვეთილი სტრუქტურა.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა ქვემოთ დასახელებული განზრახი ქმედებები სასჯელს დაექვემდებაროს:

a) ტერორისტული გაერთიანების ხელმძღვანელობა;

b) ტერორისტული გაერთიანების მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებში მონაწილეობა, ინფორმაციების ან მატერიალური საშუალებების გადაცემის ან მისი საქმიანობისთვის ნებისმიერი ფინანსური დახმარების გაწევის ჩათვლით, ჩადენილი იმ შეგნებულობით, რომ ასეთი მონაწილეობა ხელს უწყობს ტეორორისტული გაერთიანების მიერ დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელებას.

მუხლი 3 დანაშაულები ტერორისტულ მოქმედებებთან კავშირში

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა შემდეგი ქმედებები ჩაითვალონ ტერორისტულ მოქმედებებთან დაკავშირებულ დანაშაულებად:

a) ქურდობა, განხორციელებული დამამძიმებელ გარემოებებში, იმ მიზნით, რათა ჩადენილ იქნეს 1-ლი მუხლის პირველ აბზაცში დასახელებული ქმედებები;

b) გამოძალვა, განხორციელებული იმ მიზნით, რათა ჩადენილ იქნეს 1-ლი მუხლის პირველ აბზაცში დასახელებული ქმედებები;

c) გაყალბებული ადმინისტრაციული დოკუმენტების შედგენა იმ მიზნით, რათა ჩადენილ იქნეს 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცის a)-დან h) პუნქტამდე და მე-2 მუხლის მე-2 აბზაცის b) პუნქტში დასახელებული ქმედებები.

მუხლი 4 წაქეზება, თანაამსრულებლობა და მცდელობა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა დანაშაულის წაქეზება, 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცისა და მე-2 ან მე-3 მუხლების მიხედვით, ან თანაამსრულებლობა დასჯადობას დაექვემდებაროს.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა დასჯადობას დაექვემდებაროს დანაშაულის მცდელობა, რაც გათვალისწინებულია 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცისა და მე-3 მუხლის მიხედვით, გარდა 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცის f) პუნქტში

მითითებული „მფლობელობისა“ და 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცის i) პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისა.

მუხლი 5 სანქციები

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა 1-ლი-მე-4 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე დაწესებულ იქნეს ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სასჯელები, რომელთა დროს შესაძლებელია ექსტრადიციის განხორციელება.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა 1-ლი მუხლის პირველ აბზაცში დასახელებული ტერორისტული დანაშაულებისა და მე-4 მუხლით გათვალისწინებული იმ დანაშაულების მიმართ, რომლებიც დაკავშირებულია ტერორისტულ დანაშაულებთან, გამოყენებულ იქნეს იმაზე მეტი სასჯელები თავისუფლების აღკვეთის სახით, ვიდრე ეს შიდასახელმწიფოებრივი სამართლით გათვალისწინებულია ისეთი დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია 1-ლი მუხლის პირველ აბზაცში მითითებული განსაკუთრებული განზრახვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაწესებული სასჯელები შიდასახელმწიფოებრივი სამართლის შესაბამისად წარმოადგენენ ამ სასჯელების მაქსიმალურ ზომას.

(3) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა მოხდეს მე-2 მუხლში დასახელებული დანაშაულების მიმართ სასჯელების სახით თავისუფლების აღკვეთის დაწესება, რომლის უმაღლესი ზომა იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც მოცემულია მე-2 მუხლის მე-2 აბზაცის a) პუნქტში სულ მცირე 15 წლით და იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2 მუხლის მე-2 აბზაცის b) პუნქტში სულ მცირე 8 წლით თავისუფლების აღკვეთას უნდა შეადგენდეს. თუკი მე-2 მუხლის მე-2 აბზაცის a) პუნქტით გათვალისწინებული დანაშაული უკავშირდება 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცის i) პუნქტში მითითებულ მოქმედებას, მაშინ აუცილებელია, სასჯელის უმაღლესი ზომა სულ მცირე 8 წლით თავისუფლების აღკვეთას შეადგენდეს.

მუხლი 6 განსაკუთრებული გარემოებები

ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, მიიღოს აუცილებელი ღონისძიებები, რათა მოხდეს მე-5 მუხლის მიხედვით სასჯელების შემსუბუქება, თუკი დამნაშავე

a) უარს იტყვის თავის ტერორისტულ მოქმედებაზე და

b) ინფორმაციებს მიაწვდის ადმინისტრაციულ და იუსტიციურ უწყებებს, რომლებიც სხვა გზით ვერ შეიტყობდნენ ამის შესახებ, და ამგვარი საშუალებით მათ დაეხმარება

i) დანაშაულით გამოწვეული შედეგების აღკვეთაში ან შემცირებაში,

ii) სხვა დამნაშავეთა გამოვლენაში ან მათი სასამართლოს წინაშე წარდგენაში,

iii) მტკიცებულებების შეგროვებაში, ან

iv) შემდგომი დანაშაულებრივი ქმედებების, რაც გათვალისწინებულია 1-ლი-მე-4 მუხლებით, განხორციელების აღკვეთაში.

მუხლი 7 იურიდიული პირების პასუხისმგებლობა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა შესაძლებელი გახდეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობა 1-ლი-მე-4 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების განხორციელების შემთხვევებში, რომლებიც იურიდიული პირის სასარგებლოდ ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელიც მოქმედებდა მარტო ან როგორც შესაბამისი იურიდული

პირის ორგანოს წევრი და წამყვანი თანამდებობა ეკავა იურიდიული პირის შიგნით,

a) იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე, ან

b) უფლებამოსილება ჰქონდა, იურიდიული პირის სახელით მიეღო გადაწყვეტილება, ან

c) იურიდიული პირის შიგნით კონტროლის უფლებამოსილება ჰქონდა.

(2) პირველ აბზაცში უკვე გათვალისწინებულ შემთხვევებთან ერთად, ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა, როცა პირველ აბზაცში დასახელებული პირების მხრიდან არასაკმარისი ზედამხედველობის ან კონტროლის გამო, იურიდიული პირის სასარგებლოდ ადგილი ექნება მათდამი დაქვემდებარებული პირის მიერ 1-ლი-მე-4 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას.

(3) 1-ლი და მე-2 აბზაცის მიხედვით იურიუდიული პირის პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს ფიზიკური პირების მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნის განხორციელებას, თუკი ისინი 1-ლი მე-4 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში ამსრულებელი, წამქეზებელი ან დამხმარე არიან.

მუხლი 8 სანქციები იურიდიული პირების მიმართ

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა შესაძლებელი გახდეს მე-7 მუხლის გაგებით პასუხისმგებელი იურიდიული პირის მიმართ ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების გამოყენება, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე არასისხლისსამართლებრივი ფულადი სანქციები და სხვა სახის სანქციები, როგორიცაა, მაგალითად,

a) ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება საჯარო ფულადი დაფინანსებების ან დახმარების შეწყვეტას;

b) ღონისძიებები, რომლებიც ეხება კომერციული საქმიანობის განხორციელების დროებით ან მუდმივად აკრძალვას;

c) სასამართლო ზედამხედველობა;

d) სასამართლო განკარგულებით იურიდიული პირის ლიკვიდაცია;

e) იმ დაწესებულებების დროებითი ან მთლიანად დახურვა, რომლებიც გამოყენებულ იქნა დანაშაულის ჩასადენად.

მუხლი 9 სასამართლოს კომპეტენცია და სისხლისსამართლებრივი დევნა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა თავისი იურისდიქცია 1-ლი-მე -4 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან მიმართებაში დაასაბუთოს იმ შემთხვევებში, როდესაც

a) დანაშაული ჩადენილია მთლიანად ან ნაწილობრივ თავის სუვერენულ ტერიტორიაზე. ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, აგრეთვე თავისი იურისდიქცია იმ შემთხვევაშიც დაასაბუთოს, თუკი დანაშაული რომელიმე წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი;

b) დანაშაული ჩადენილია გემის, რომელიც წევრი სახელმწიფოს დროშას ატარებს, ან საჰაერო ხომალდის ბორტზე, რომელიც ამ წევრ სახელმწიფოშია დარეგისტრირებული;

c) დანაშაული ჩადენილია თავისი მოქალაქის ან ამ წევრ სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები პირის მიერ;

d) დანაშაული ჩადენილია იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომლის ადგილსამყოფელია ამ წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზეა;

e) დანაშაული ჩადენილია ამ წევრი სახელმწიფოს ინსტიტუტების ან მისი მოსახლეობის ან ევროპის კავშირის ორგანოს ან ევროპული გაერთიანებების შექმნის შესახებ ხელშეკრულების ან ევროპის კავშირის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი დაწესებულების წინააღმდეგ, რომლის ადგილსამყოფელია ამ წევრ სახელმწიფოში.

(2) თუკი რამდენიმე წევრი სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება იმ დანაშაულებრივ ქმედებაზე, რომელიც ერთი და იმავე ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნება და თითოეული ეს წევრი სახელმწიფო უფლებამოსილია, მის მიმართ განახორციელოს ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნა, მაშინ დაინტერესებული წევრი სახელმწიფოები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რათა გადაწყვიტონ, თუ რომელი მათგანი განახორციელებს დამნაშავეების მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას, რათა სისხლისსამართლებრივი დევნის კონცენტრაცია მოხდეს შეძლებისდაგვარად ერთ რომელიმე წევრ სახელმწიფოში. ამ მიზნით, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ნებისმიერი ორგანო ან მექანიზმი გამოიყენონ, რომელიც ევროპის კავშირში სწორედ იმ მიზნით შეიქმნა, რათა ხელი შეუწყოს წევრი სახელმწიფოების იუსტიციურ ორგანოებს შორის თანამშრომლობისა და მათი მოქმედებების კოორდინაციის გაადვილებას. პრიორიტეტის განსაზღვრის დროს ქვემოთ მოცემული პუნქტები გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი თანმიმდევრობით:

– საქმე უნდა ეხებოდეს იმ წევრ სახელმწიფოს, რომლის სუვერენულ ტერიტორიაზეც ჩადენილია დანაშაული;

– საქმე უნდა ეხებოდეს იმ წევრ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქე ან მუდმივი მაცხოვრებელი არის დამნაშავე;

– საქმე უნდა ეხებოდეს იმ წევრ სახელმწიფოს, სადანაც არის დანაშაულის მსხვერპლი;

– საქმე უნდა ეხებოდეს იმ წევრ სახელმწიფოს, სადაც დამნაშავე იქნა დაკავებული.

(3) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა თავისი იურისდიქცია 1-ლი-მე-4 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, აგრეთვე იმ შემთხვევებშიც დაასაბუთოს, როცა იგი უარს იტყვის სხვა წევრ სახელმწიფოში ან მესამე სახელმწიფოში იმ პირის გადაცემაზე ან ექსტრადიციაზე, რომელიც ასეთი დანაშაულის ჩადენაშია ეჭვმიტანილი ან ასეთი დანაშაულის გამოა გასამართლებული.

(4) ყოველი წევრი სახელმწიფო ზრუნავს იმაზე, რომ თავისი იურისდიქცია იმ შემთხვევებზე გავრცელდეს, როცა მე-2 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები მთლიანად ან ნაწილობრივ მის სუვერენულ სახელმწიფოს ტერიტორიაზე იქნა ჩადენილი, მიუხედავად იმისა, თუ სად მდებარეობს ტერორისტული გაერთიანების სამოქმედო ბაზა ან თუ სად ეწევა ასეთი გაერთიანება დასჯად საქმიანობას.

(5) ეს მუხლი ხელს არ უშლის წევრ სახელმწიფოებს იმაში, რომ მათ თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დებულებებით დაფუძნებული სისხლისსამართლებრივი კომპეტენცია განახორციელონ.

მუხლი 10 მსხვერპლთა დაცვა და მათი დახმარება

(1) წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ იმას, რომ გამოძიებების ან სისხლისსამართლებრივი დევნის ღონისძიებების დაწყება იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებით, არ იყოს დამოკიდებული მსხვერპლის

განცხადებაზე ან მსხვერპლის მიერ ბრალდების წამოყენებაზე მინიმუმ მაშინ, როცა დანაშაული ჩადენილ იქნა წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო, ევროკავშირის საბჭოს 2001 წლის 15 მარტის 2001/220/JI ჩარჩო-გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხება მსხვერპლის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში, გათვალისწინებულ ღონისძიებებთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, იღებს ყველა სხვა ღონისძიებას, რომელიც მსხვერპლის ოჯახის წევრების მიმართ ადეკვატური მხარდაჭერის მიზნით უნდა განხორციელდეს.

მუხლი 11 იმპლემენტაცია

(1) წევრი სახელმწიფოები იღებენ აუცილებელ ღონისძიებებს, რათა ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება შესრულდეს არაუგვიანეს 2002 წლის 31 დეკემბრისა.

(2) წევრი სახელმწიფოები 2002 წლის 31 დეკემბრამდე გადასცემენ ევროკავშირის საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და ევროკომისიას დებულებების ტექსტს, რომლის მიხედვითაც მოხდა ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვადებულებების მათ შიდასახელმწიფოებრივ სამართალში იმპლემენტაცია. საბჭო 2003 წლის 31 დეკემბრამდე ამ ინფორმაციის საფუძველზე შედგენილი მოხსენებისა და ევროკომისიის წერილობითი მოხსენების მეშვეობით ამოწმებს, მიიღეს თუ არა წევრმა სახელმწიფოებმა აუცილებელი ღონისძიებები ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესასრულებლად.

(3) ევროკომიისის მოხსენებაში განსაკუთრებით მითითებულია, თუ როგორ მოახდინეს წევრმა სახელმწიფოებმა მე-5 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით გათვალისწინებული ვალდებულების იმპლემენტაცია თავიანთ სისხლის სამართალში.

მუხლი 12 მოქმედების ტერიტორიული სივრცე

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება გამოიყენება გიბრალტარზეც.

მუხლი 13 ძალაში შესვლა

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღეს.

7.2 ტერორიზმის დანაშაულის შემადგენლობების ჰარმონიზაციის სრულყოფა

საბჭოს 2008 წლის 28 ნოემბრის ჩარჩო-გადაწყვეტილება[1] ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2002/475/JI ჩარჩო-გადაწყვეტილების შეცვლის შესახებ

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ევროკავშირისთვის ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა კვლავაც პრიორიტეტულ სფეროდ რჩება. 2008 წლის 28 ნოემბერს ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებული იქნა ახალი ჩარჩო-გადაწყვეტილება, რომლითაც ცვლილება შეეიდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო გადაწყვეტილებაში. იგი მიღებულ იქნა ევროკომისიის ინიციატივით, ევროპარლამენტის მიერ პოზიციის გამოხატვის შემდეგ. ცვლილებები ძირითადად შეეხო ორ – მესამე და მეოთხე მუხლებს.

როგორც პრეამბულაშია მითითებული, ტერორიზმი წარმოადგენს ისეთი უნივერსალური ღირებულებების უმძიმეს ხელყოფას, როგორიცაა ადამიანი ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა და სოლიდარობა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა, დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო, რომლებზეც დაფუძნებულია ევროპის კავშირი. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილება კვლავაც რჩება ევროკავშირის საფუძველს ტერორიზმთან ბრძოლაში.

ცვლილებათა შესახებ ახალი ჩარჩო-გადაწყვეტილების შინაარსი ასეთია:

მუხლი 1 ცვლილებები

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ 2002/475/JI ჩარჩო-გადაწყვეტილება შეიცვალა შემდეგნაირად:

1. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3 დანაშაულები ტერორისტულ მოქმედებებთან კავშირში

(1) ამ ჩარჩო გადაწყვეტილების გაგებით, ტერმინი

a) „ტერორისტული დანაშაულის ჩადენისაკენ საჯარო მოწოდება“ ნიშნავს გზავნილის განზრახ საჯაროდ გავრცელებას ან მისი სხვა სახით საჯაროდ ხელმისაწვდომობას, რომელიც მიმართულია 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცის a)-დან h)-მდე პუნქტებში ჩამოთვლილი დანაშაულების ჩადენის წაქეზებისკენ, როდესაც ასეთი ქცევა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა მასში უშუალოდ ტერორისტულ დანაშაულების წახალისება, აფუძნებს ერთი ან რამდენიმე ასეთი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის საფრთხეს;

b) „რეკრუტირება (შერჩევა) ტერორისტული მიზნით“ ნიშნავს სხვა პირის დაყოლიებას 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცის a)-დან h)-მდე პუნქტებში ან მე-2 მუხლის მე-2 აბზაცში ჩამოთვლილი ერთ-ერთი დანაშაულის ჩასადენად;

c) „წვრთნა ტერორისტული მიზნით“ ნიშნავს ასაფეთქებელი მასალების, ცეცხლსასროლი ან სხვა სახის იარაღების ან დამაზიანებელი ან საფრთხის შემქმნელი მასალების დამზადების ან მისი გამოყენების შესახებ მითითებას, ან სხვა სპეციფიკური სახის მეთოდების ან პროცედურის შესახებ მითითებას 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცის a)-დან h)-მდე პუნქტებში ჩამოთვლილი ერთ-ერთი დანაშაულის ჩადენის მიზნით, იმ ფაქტობრივი გარემოების ცოდნით,

[1] ABl. L 330, 9. 12. 2008; ინგლისურ ენაზე 2008/919/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2008/919/JI.

რომ არსებული შესაძლებლობები ამ მიზნით უნდა იქნეს გამოყენებული.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა შემდეგი განზრახი ქმედებები ჩაითვალონ ტერორისტულ მოქმედებებთან დაკავშირებულ დანაშაულებად:

a) საჯარო მოწოდება ტერორისტული დანაშაულის ჩასადენად;

b) რეკრუტირება (შერჩევა) ტერორისტული მიზნით;

c) წვრთნა ტერორისტული მიზნით;

d) ქურდობა, განხორციელებული დამამძიმებელ გარემოებებში, იმ მიზნით, რათა ჩადენილ იქნეს 1-ლი მუხლის პირველ აბზაცში დასახელებული დანაშაულები;

e) გამოძალვა, განხორციელებული იმ მიზნით, რათა ჩადენილ იქნეს 1-ლი მუხლის პირველ აბზაცში დასახელებული ქმედებები;

f) გაყალბებული ადმინისტრაციული დოკუმენტების შედგენა იმ მიზნით, რათა ჩადენილ იქნეს 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცის a)-დან h)-მდე პუნქტებში და მე-2 მუხლის მე-2 აბზაცის b პუნქტში დასახელებული ქმედებები.

(3) მე-2 აბზაცით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ქმედებაზე სისხლისსამართლებრივი დასჯადობის განსახორციელებლად აუცილებელი არ არის, რომ მომავალში ნამდვილად იქნეს ჩადენილი ტერორისტული დანაშაული.“

2. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 4 დახმარება, წაქეზება და მცდელობა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცით, ასევე მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებში დახმარება დაექვემდებაროს დასჯადობას.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცით, მე-2 მუხლითა და მე-3 მუხლის მე-2 აბზაცის d)-დან f)-მდე პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისკენ წაქეზება დაექვემდებაროს დასჯადობას.

(3) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცით, მე-3 მუხლის მე-2 აბზაცის d)-დან f)-მდე პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის მცდელობა, გარდა 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცის f) პუნქტში მითითებული „მფლობელობისა“ და 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცის i) პუნქტში მითითებული დანაშაულისა, დაექვემდებაროს დასჯადობას.

(4) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია გადაწყვიტოს, მიიღოს ყველა აუცილებელი ღონისძიება, რათა მე-3 მუხლის მე-2 აბზაცის b) და c) პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის მცდელობა დაექვემდებაროს დასჯადობას“.

მუხლი 2 ძირითადი პრინციპები, რომლებიც აზრის გამოხატვის თავისუფლებას შეეხება

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება არ ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს მიიღონ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ეწინააღმდეგება იმ ძირითად პრინციპებს, რომლებიც გამომდინარეობს კონსტიტუციური თვალსაზრისებიდან და შეეხება აზრის გამოხატვის თავისუფლებას, განსაკუთრებით, პრესის თავისუფლებასა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას მედიის სხვა საშუალებებით; იგი, ასევე არ ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, მიიღონ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ეწინააღმდეგება იმ დებულებებს, რომლებიც არეგულირებენ

პრესის ან მედიის სხვა საშუალებების უფლებებსა და პასუხისმგებლობის ფორმებს, ასევე საპროცესო გარანტიებს, როდესაც ასეთი დებულებები მიმართულია პასუხისმგებლობის დადგენის ან შეზღუდვისკენ .

მუხლი 3 იმპლემენტაცია და შეტყობინება

(3) წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ღონისძიებას ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების 2010 წლის 9 დეკემბრამდე შესრულებისათვის. ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების იმპლემენტაციისას წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ სისხლისსამართლებრივი დასჯა თანაზომიერი იყოს მართლზომიერ და დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელ მიზნებთან და თვითნებობისა და დისკრიმინაციის ყოველგვარ ფორმას გამორიცხავდეს.

(4) წევრი სახელმწიფოები 2010 წლის 9 დეკემბრამდე ატყობინებენ ევროკავშირის საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და ევროკომისიას დებულებების ტექსტს, რომლის მიხედვითაც მოხდა ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვადებულებების მათ შიდასახელმწიფოებრივ სამართალში იმპლემენტაცია. საბჭო 2011 წლის 9 დეკემბრამდე ამ ინფორმაციის საფუძვლზე შედგენილი მოხსენებისა და ევროკომისიის წერილობითი მოხსენების მეშვეობით ამოწმებს, მიიღეს თუ არა წევრმა სახელმწიფოებმა აუცილებელი ღონისძიებები ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესასრულებლად.

მუხლი 4 ძალაში შესვლა

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება ძალაში შედის ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღეს.

7.3 ტერორიზმთან დაკავშირებით ინფორმაციების გაცვლა

საბჭოს 2005 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება[1] ტერორისტულ დანაშაულებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის შესახებ

2002 წლის 13 ივნისის ჩარჩო-გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, რომელიც შეეხება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სისხლისსამართლებრივ საკითხებს და განსაზღვრავს წევრი სახელმწიფოების მატერიალურ სისხლის სამართალში ტერორიზმის დანაშაულის შემადგენლობებისა და მათთვის გათვალისწინებული სანქციების ჰარმონიზაციის მინინალურ პირობებს, ევროკავშირის საბჭოს წარმოდგენილი გადაწყვეტილება ეხება წევრ სახელმწიფოთა შორის ტერორისტულ დანაშაულებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლასა და თანამშრომლობას. იგი მიზნად ისახავს ინფორმაციების გაცვლის გამარტივებას, როგორც ცალკეულ წევრ სახელმწიფოებს შორის, ასევე ევროიუსტთან და ევროპოლთან.

ამ აქტის მიღების სამართლებრივი საფუძველი იყო იმ დროს მოქმედი ევროკავშირის ხელშეკრულება, განსაკუთრებით მისი 29-ე მუხლი, 30-ე მუხლის 1-ლი აბზაცი, 31-ე მუხლი და 34-ე მუხლის მე-2 c აბზაცი. იგი მიღებულ იქნა ევროკომისიის ინიციატივით, ევროპარლამენტის მიერ 2005 წლის 7 ივნისს პოზიციის გამოხატვის შემდეგ. გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2005 წლის 29 სექტემბერს.

[1] ABl. L 253, 29. 09. 2005; იხ. ინგლისურ ენაზე 2005/671/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2005/67/JI.

როგორც პრეამბულაშია მითითებული, 2001 წლის 21 სექტემბერს ჩატარდა ევროკავშირის საბჭოს ცნობილი რიგგარეშე სხდომა, სადაც გამოცხადდა, რომ ტერორიზმი არის თანამედროვე მსოფლიოსა და ევროპისათვის ნამდვილი გამოწვევა და მის წინააღმდეგ ბრძოლა გამოცხადდა პრიორიტეტულად. იმავე წლის 19 ოქტომბერს საბჭომ განაცხადა, რომ გადაწყვეტილი აქვთ, იბრძოლოს ტერორიზმის ყველა ფორმის წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში. იგი უნდა განხორციელდეს, მაგალითად, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის უფლებამოსილებით აღჭურვილ ოპერატიულ სამსახურებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებით. ამ თანამშრომლობაში აქტიურად არიან ჩართული ისეთი ორგანოები, როგორიცაა ევროპოლი, ევროიუსტი, ნაციონალური საიდუმლო საინფორმაციო, პოლიციური და იუსტიციური ორგანოები. საბჭოს 2002 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება[1], რომელიც შეეხება პოლიციური და იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობის სფეროში ტერორიზმთან ბრძოლის დროს განსაკუთრებული ღონისძიებების გამოყენებას, წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს ამ მიმართულებით, ხოლო წარმოდგენილი გადაწყვეტილება კი, აძლიერებს ინფორმაციის გაცვლის სამართლებრივ ბაზას. იგი მოიცავს სისხლის სამართლის პროცესის ყველა ეტაპს და შეეხება ყველა იმ პირს, გაერთიანებას, რომლის წინააღმდეგაც მიმდინარეობს გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა ან გამოტანილია განაჩენი ტერორიზმის ბრალდებით.

წარმოდგენილი გადაწყვეტილება ეფუძნება სუბსიდიარულობისა და პროპორციულობის პრინციპებს, ხელშეუხებელს ტოვებს წევრი სახელმწიფოების ნაციონალური უშიშროების ინტერესებს, შესაბამისობაშია ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიასთან. მისი ცალკეული დებულებები შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

მუხლი 1 დეფინიცია

ამ გადაწყვეტილების მიზნებისათვის ტერმინები აღნიშნავენ შემდეგს:

a) „ტერორისტული დანაშაულები" – საბჭოს „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2002 წლის 13 ივნისის 2002/475/JI ჩარჩო-გადაწყვეტილების პირველ, მე-2 და მე-3 მუხლებში მოცემული დანაშაულები;

b) „ევროპოლის შეთანხმება" – 1995 წლის 26 ივნისის შეთანხმება „ევროპული პოლიციური სამსახურის შექმნის შესახებ";

c) „ევროიუსტის შესახებ გადაწყვეტილება" – საბჭოს 2002 წლის 28 თებერვლის 2002/187/JI გადაწყვეტილება „ევროიუსტის შექმნის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს მძიმე დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას";

d) „გაერთიანება ან ორგანიზაცია" – „ტერორისტული გაერთიანებები" 2002/475/JI ჩარჩო გადაწყვეტილების მე-2 მუხლის გაგებით, ასევე „გაერთიანებები ან ორგანიზაციები", რომლებიც მითითებულია საბჭოს „ტერორიზმთან ბრძოლის დროს განსაკუთრებული ღონისძიებების გამოყენების შესახებ" 2001 წლის 27 დეკემბრის 2001/931/GASP „ერთიანი თვალსაზრისის"[2] დანართში.

მუხლი 2 ტერორისტული დანაშაულების შესახებ ინფორმაციების გადაცემა ევროიუსტის, ევროპოლისა და წევრი სახელმწიფოებისათვის

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო ასახელებს თავისი პოლიციური სამსახურების ან სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი სხვა ორგანოების ფარგლებში სპეციალიზირებულ დაწესებულებას, რომელსაც შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დებულებების

[1] ABl. L 16, 22. 01. 2003; იხ. ინგლისურ ენაზე 2003/48/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2003/48/JI.

[2] Gemeinsamer Standpunkt 2001/931/GASP.

მიხედვით ხელი მიუწვდება ყველა საჭირო ინფორმაციაზე, თავისი სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოების მიერ ტერორისტული დანაშაულების საქმეებზე ჩატარებული სისხლისსამართლებრივი გამოძიებებისა და ამ გამოძიებების პროცესის შედეგების შესახებ, ასევე შეუძლია ამ ინფორმაციების მოპოვება, რასაც მე-3 და მე-4 აბზაცების თანახმად ევროპოლს გადასცემს.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო ასახლებს ევროიუსტიციის ნაციონალურ საკონტაქტო ორგანოს, რომელიც დაკავებულია ტერორიზმის შესახებ საკითხებით – ან რამდენიმე ასეთ საკონტაქტო ორგანოს, თუკი თავისი სამართლით ეს გათვალისწინებულია – ან შესაბამის იუსტიციის ორგანოს ან სხვა შესაბამის კომპეტენტურ უწყებას, რომელსაც, შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დებულებების თანახმად, ხელი მიუწვდება ყველა საჭირო ინფორმაციაზე, რაც დაკავშირებულია ტერორისტული დანაშაულების შესახებ სისხლისსამართლებრივ დევნასთან ან გამოტანილ განაჩენებთან, ასევე შეუძლია ამ ინფორმაციების მოპოვება, რასაც მე-5 აბზაცის თანახმად ევროიუსტს გადასცემს.

(3) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ ტერორისტულ დანაშაულებთან დაკავშირებით კომპეტენტური ორგანოების მიერ მოპოვებული მინიმუმ მე-4 აბზაცში მითითებული ინფორმაციები სისხლისსამართლებრივი გამოძიების მიზნებისათვის, ხოლო მე-5 აბზაცში მითითებული ინფორმაციები სისხლისსამართლებრივი დევნისა და გასამართლების მიზნით, რომლებიც ორ ან მეტ წევრ სახელმწიფოსთან არის შემხებლობაში, გადაეცეს:

ა) ევროპოლს, შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დებულებებისა და ევროპოლის შეთანხმების დებულებების შესაბამისად, ინფორმაციების გადამუშავებისთვის, ასევე

ბ) ევროიუსტს, შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დებულებების შესაბამისად და რამდენადაც ეს, ევროიუსტის შესახებ გადაწყვეტილების დებულებების მიხედვით, ევროიუსტის მიერ თავისი ამოცანების შესასრულებლად დასაშვებია.

(4) მე-3 აბზაცის მიხედვით ევროპოლისთვის გადასაცემი ინფორმაციები ეხება იმ ინფორმაციებს, რომლებიც

a) უკავშირდება პირის, გაერთიანების ან ორგანიზაციის იდენტურობის დადგენას;

b) ეხება იმ ქმედებებს, რომლებიც წარმოადგენს გამოძიების საგანს და მათ განსაკუთრებულ გარემოებებს;

c) უკავშირდება შესაბამის დანაშაულებს;

d) ეხება სხვა შესაბამის შემთხვევებთან კავშირს;

e) უკავშირდება საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას;

f) ეხება იმ მუქარას, რომელიც მომდინარეობს მასობრივი განადგურების იარიღის მფლობელისგან.

(5) მე-3 აბზაცის მიხედვით ევროიუსტისთვის გადასაცემი ინფორმაციები უკავშირდება იმ ინფორმაციებს, რომლებიც:

a) ეხება პირის, გაერთიანების ან ორგანიზაციის იდენტურობის დადგენას, რომელიც წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი გამოძიებებისა და დევნის საგანს;

b) უკავშირდება შესაბამის დანაშაულსა და მის განსაკუთრებულ გარემოებებს;

c) ეხება ტერორისტული დანაშაულების შესახებ გამოტანილ კანონიერ ძალაში შესულ განაჩენებს, ასევე განსაკუთრებულ გარემოებებს;

d) ეხება სხვა შემთხვევებთან კავშირს;

e) ეხება სამართლებრივი დახმარების თხოვნებს, მტკიცებულების მოპოვების შესახებ თხოვნების ჩათვლით, რომლებიც მიმართულია სხვა წევრი სახელმწიფოსკენ ან სხვა წე-

ვრი სახელმწიფოსგან იქნა ასეთი თხოვნები დაყენებული, აგრეთვე მასთან დაკავშირებულ შედეგებს.

(6) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც მოცემულია დოკუმენტებში, აქტებში, შეტყობინებებში, ნივთებში ან სხვა მტიცებულებებში, რომლებიც სისხლისსამართლებრივი გამოძიებების დროს ან ტერორისტულ დანაშაულებთან კავშირში მყოფ სისხლისსამართლებრივ პროცესებში იქნა დაყადაღებული ან ჩამორთმეული, სხვა დაინტერესებული წევრი სახელმწიფოების ორგანოებისათვის, შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დებულებებისა და შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტების თანახმად, შეძლებისდაგვარად ჩქარა იქნეს ხელმისაწდომი, თუკი იქ ტერორისტულ დანაშაულებთან მიმართებაში მიმდინარეობს ან შესაძლებელია, რომ დაიწყოს გამოძიება ან თუკი ეს დანაშაულები სისხლისსამართლებრივი დევნის საგანს წარმოადგენენ. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მიმდინარე გამოძიებებს საფრთხე არ შეექმნათ.

მუხლი 3 ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფები

ყოველი წევრი სახელმწიფო საჭიროების შემთხვევებში იღებს აუცილებელ ღონისძიებებს ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების შესაქმნელად, რომლებიც ტერორისტული დანაშაულების განხორციელების დროს ჩაატარებენ სისხლისსამართლებრივ გამოძიებას.

მუხლი 4 სამართლებრივ დახმარებისა და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ თხოვნები

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ სამართლებრივი დახმარების, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების შესახებ თხოვნები, რომლებიც დაყენებულ იქნება სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ ტერორისტულ დანაშაულებთან დაკავშირებით, განხილულ იქნეს დაუყონებლივ და პრიორიტეტულად.

მუხლი 5 მოქმედი დებულებების გაუქმება

2003/48/JI გადაწყვეტილება გაუქმებულია.

მუხლი 6 იმპლემენტაცია

წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა ეს გადაწყვეტილება შესრულდეს 2006 წლის 30 ივნისიდან.

მუხლი 7 მოქმედების ტერიტორიული სივრცე

ეს გადაწყვეტილება გამოიყენება გიბრალტარზეც.

მუხლი 8 ძალაში შესვლა

ეს გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების მომდევნო დღიდან.

8. ადამიანით ვაჭრობა და სექსუალური ექსპლუატაცია

8.1 ადამიანით ვაჭრობა

საბჭოს 2002 წლის 19 ივლისის ჩარჩო-გადაწყვეტილება[1] ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ეხება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ადამიანით ვაჭრობის აკრძალვასა და მის წინააღმდეგ საბრძოლველად სანქციების დაწესებას. როგორც პრეამბულაშია მითითებული, ამ აქტის მიღების სამართლებრივი საფუძველი იყო იმ დროს მოქმედი ევროკავშირის ხელშეკრულება, განსაკუთრებით მისი 29-ე მუხლი, 31-ე e მუხლი და 34-ე მუხლის მე-2 b აბზაცი. იგი მიღებულ იქნა ევროკომისიის ინიციატივით, ევროპარლამენტის მიერ პოზიციის[2] გამოხატვის შემდეგ. გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2002 წლის 1 აგვისტოს.

ჩარჩო-გადაწყვეტილების მიზანია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ადამიანით ვაჭრობის სფეროში საერთო განსაზღვრებების, ქმედების შემადგენლობებისა და სანქციებისათვის ჰარმონიზაციის მინიმალური ნორმების დადგენა. საბჭოს 1997 წლის 24 თებერვლის 97/154/JI საერთო ღონისძიება[3] ეხებოდა ადამიანით ვაჭრობისა და ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც მოითხოვდა შემდგომი საკანონმდებლო ნაბიჯების გადადგმას, რათა მომხდარიყო წევრი სახელმწიფოების განსხვავებული სამართლებრივი კონცეფციების შეცვლა და ტრეფიკინგთან ბრძოლის სფეროში იუსტიციისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების ეფექტური ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმის განვითარება. აქ წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილებით ამ საერთო ღონისძიებამ იმ ნაწილებში, რომლებიც ტრეფიკინგს ეხებოდა, შეწყვიტა მოქმედება.

ტრფიკინგი მიჩნეულია ადამიანის ფუნდამენტური ძირითადი უფლებებისა და ღირსების მძიმე ხელყოფად. ჩარჩო-გადაწყვეტილების პრეამბულაში მითითებულია გაეროს აქტიურობებზე ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლაში, მათ შორის, ადამიანით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით, ვაჭრობის სფეროში. ჩარჩო-გადაწყვეტილება წარმოადგენს ევროკავშირის დონეზე ამ მუშაობის გაგრძელებას, რომელიც სუბსიდიარულობისა და თანაზომიერების პრინციპებს ეფუძნება, რის გამოც ადგენს მხოლოდ აუცილებელ მინიმალურ ნორმებს.

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილება შეიცავს შემდეგ დებულებებს:

მუხლი 1 ადამიანით ვაჭრობის დანაშაულის შემადგენლობა, რომელიც ჩადენილია შრომის ექსპლუატაციის ან სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შემდეგ ქმედებებზე სასჯელის დადგენა:

პირის რეკრუტირება (შერჩევა), გადაყვანა, შემდგომი გადაცემა, თავშესაფრის მიცემა და მიღება, მასზე კონტროლის გაცვლის ან კონტროლის შემდგომი გადაცემის ჩათვლით, როცა არსებობს შემდეგი წინაპირობები:

---

[1] ABl. L 203, 1. 08. 2002; იხ. ინგლისურ ენაზე 2002/629/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2002/629/JI.

[2] ABl. C 35 E, 28. 02. 2002.

[3] ABl. L 63, 4. 03. 1997.

a) ძალადობის ან იძულების სხვა ფორმების გამოყენება ან მუქარა, გატაცების ჩათვლით, ან

b) მზაკვრული მოტყუება ან თაღლითობა, ან

c) ძალაუფლების ბოროტად ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენება იმგვარად, რომ დაზარალებულ პირს არ აქვს რეალური და მისთვის მისაღები სხვაგვარი წინააღმდეგობის გაწევისა და მდგომარეობის ბოროტად გამოყენების აღკვეთის საშუალება, ან

d) საზღაურის ან უპირატესობის მინიჭება ან მიღება იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნეს პირის თანხმობა, რომელსაც აქვს სხვა პირზე კონტროლი,

რაც განხორციელდა პირის ექსპლუატაციის მიზნით, სამუშაოების ან მომსახურებების მეშვეობით, მინიმუმ იძულების ქვეშ შესრულებული სამუშაოების ან მომსახურებების გაწევის ჩათვლით, მონობა ან მონობის ან ყმობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენება, ან პირის გამოყენება ექსპლუატაციის მიზნით პროსტიტუციის ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმების, პორნოგრაფიის ჩათვლით, განსახორციელებლად.

(2) ირელევანტურია მსხვერპლის თანხმობა ადამიანით ვაჭრობის ჩადენის განზრახვის ან ფაქტობრივად ამგვარი ექსპლუატაციის არსებობისას, თუკი არსებობს პირველ აბზაცში არსებული წინაპირობები.

(3) თუკი პირველ აბზაცში მოცემული ქმედებები უკავშირდება ბავშვს, ასეთი ქმედება, როგორც ადამიანით ვაჭრობა, დასჯადობას ექვემდებარება მაშინაც, როცა პირველ აბზაცში მითითებული არცერთი წინაპირობა არ არსებობს.

(4) ამ ჩარჩო გადაწყვეტილების მიზნებიდან გამომდინარე, „ბავშვი“ ნიშნავს 18 წლამდე ასაკის პირს.

მუხლი 2 წაქეზება, დახმარება და მცდელობა

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა დანაშაულის წაქეზება ან მასში დახმარება, ასევე დანაშაულის მცდელობა, 1-ლი მუხლის თანახმად, დასჯადობას დაექვემდებაროს.

მუხლი 3 სანქციები

1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პირველ და მე-2 მუხლებში დასახელებული ქმედებების დასჯადობა ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სასჯელებით, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება ექსტრადიციის განხორციელება.

2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პირველ მუხლში დასახელებული ქმედებების მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, რომლის მინიმალური ზღვარი რვა წლიდან უნდა დაიწყოს, როცა დანაშაული ქვემოთ მოცემული გარემოებების ქვეშ იქნება ჩადენილი; კერძოდ, თუ:

a) დანაშაულის ჩადენით მსხვერპლის სიცოცხლეს განზრახ ან დაუდევრობით შეექმნა საფრთხე;

b) დანაშაულის მსხვერპლი არის ის პირი, რომელიც უმწეოა. უმწეობა არსებობს ნებისმიერ იმ შემთხვევაში, როცა მსხვერპლს ნაციონალური სამართლის მიხედვით არ მიუღწევია სექსუალური თვითგამორკვევის ასაკისთვის და დანაშაული ჩადენილია პირის

ექსპლუატაციის მიზნით, პროსტიტუციის ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებით გზით, პორნოგრაფიის ჩათვლით.

c) დანაშაული ჩადენილია მძიმე ძალადობით ან მსხვეპლს ამ დანაშაულით განსაკუთრებით მძიმე ზიანი მიადგა;

d) დანაშაული ჩადენილ იქნა ისეთი კრიმინალური გაერთიანების ფარგლებში, რომელიც შეესაბამება იმ დეფინიციას, რაც მოცემულია 98/733/JI ერთობლივ ღონისძიებაში, თუმცა მასში დასახელებული სასჯელის ზომისთვის მნიშვნელობის მინიჭების გარეშე.

მუხლი 4 იურიდიული პირების პასუხისმგებლობა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა შესაძლებელი გახდეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობა 1-ლი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების განხორციელების შემთხვევებში, რომლებიც იურიდიული პირის სასარგებლოდ ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელიც მოქმედებდა მარტო ან როგორც იურიდული პირის ორგანოს წევრი და რომელსაც წამყვანი თანამდებობა ეკავა იურიდიული პირის შიგნით,

a) იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე, ან

b) უფლებამოსილი იყო, იურიდიული პირის სახელით მიეღო გადაწყვეტილება, ან

c) იურიდიული პირის შიგნით ჰქონდა კონტროლის უფლებამოსილება.

(2) პირველ აბზაცში უკვე გათვალისწინებულ შემთხვევებთან ერთად, ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა, როცა პირველ აბზაცში დასახელებული პირების მხრიდან არასაკმარისი ზედამხედველობის ან კონტროლის გამო ადგილი ექნება მათდამი დაქვემდებარებული პირის მიერ იურიდიული პირის სასარგებლოდ 1-ლი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას.

(3) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა 1-ლი და მე-2 აბზაცის მიხედვით არ გამორიცხავს ფიზიკური პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას, თუკი ისინი 1-ლი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში ამსრულებელი, წამქეზებელი ან დამხმარე არიან.

(4) ამ ჩარჩო გადაწყვეტილების მიზნებისთვის, „იურიდიული პირი“ ნიშნავს სამართლის ყველა იმ სუბიექტს, რომელსაც ეს სტატუსი გააჩნია შესაბამის დროს მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით, სახელმწიფოების ან სხვა საჯარო სამართლის დაწესებულებების, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ სუვერენულ უფლებებს, და საჯარო-სამართლებრივი საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა.

მუხლი 5 სანქციები იურიდიული პირების მიმართ

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა შესაძლებელი გახდეს მე-4 მუხლის გაგებით პასუხისგებაში მიცემული იურიდიული პირის მიმართ ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების გამოყენება, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე არასისხლისსამართლებრივი ფულადი სანქციები და სხვა სახის სანქციები, მაგალითად:

a) ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება საჯარო ფულადი დაფინანსებების ან დახმარებების შეწყვეტას;

b) ღონისძიებები, რომლებიც ეხება კომერციული საქმიანობის განხორციელების დროებით ან მუდმივად აკრძალვას;

c) სასამართლო ზედამხედველობა;

d) სასამართლო განკარგულებით იურიდიული პირის ლიკვიდაცია;

e) იმ ორგანიზაციების დროებითი ან მთლიანი დახურვა, რომლებიც გამოყენებულ იქნა დანაშაულის ჩასადენად.

მუხლი 6 სასამართლოს კომპეტენცია და სისხლისსამართლებრივი დევნა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა თავისი იურისდიქცია პირველ და მე-2 მუხლების მიხედვით აღწერილ იმ ქმედებებზე დასაბუთდეს, რომლებიც

a) ჩადენილია მთლიანად ან ნაწილობრივ წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე, ან

b) ჩადენილია მისი მოქალაქის მიერ, ან

c) ჩადენილია იმ იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომელიც ამ წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე მდებარეობს.

(2) წევრ სახელმწიფოს შეუძლია, გადაწყვიტოს, რომ ის კომპეტენციის შესახებ დებულებებს, რაც მოცემულია 1-ლი აბზაცის b) და c) პუნქტებში, საერთოდ არ გამოიყენებს ან მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში ან განსაზღვრული გარემოების არსებობისას გამოიყენებს, თუკი დანაშაული ჩადენილია მისი სუვერენული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

(3) წევრი სახელმწიფო, რომელიც თავისი სამართლებრივი დებულებების საფუძველზე მისი მოქალაქის გადაცემაზე უარს ამბობს, იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა თავისი იურისდიქცია პირველ და მე-2 მუხლებში დასახელებულ დანაშაულებრივ ქმედებებთან მიმართებაში დაასაბუთოს და, საჭიროების შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს, თუკი დანაშაული მისი მოქალაქის მიერ ჩადენილია თავისი სუვერენული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

(4) წევრი სახელმწიფოები ატყობინებენ საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და ევროკომისიას მე-2 აბზაცის გამოყენების შესახებ წერილობით და იმავდროულად, საჭიროების შემთხვევებში, უთითებენ იმაზე, თუ რომელი განსაზღვრული შემთხვევების ან გარემოებების მიმართ მოქმედებს მათი გადაწყვეტილება.

მუხლი 7 მსხვერპლთა დაცვა და დახმარება

1) წევრი სახელმწიფოები ადგენენ, რომ სისხლისამართლებრივი გამოძიებები ან სისხლისსამართლებრივი დევნა იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომლებიც მოცემულია ამ ჩარჩო გადაწყვეტილებაში, სულ მცირე იმ შემთხვევებში მაინც, რომლებსაც მოიცავს მე-6 მუხლის 1-ლი აბზაცის a) პუნქტი, არ იყოს დამოკიდებული მსხვერპლის მიერ განცხადების ან საჩივრის შეტანაზე.

2) ბავშვები, რომლებიც არიან 1-ლი მუხლით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების შემთხვევაში მსხვერპლი, აუცილებელია, სისხლის სამართლის პროცესში მიჩნეულ იქნენ, როგორც განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი მსხვერპლი, საბჭოს 2001 წლის 15 მარტის სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლის სტატუსის შესახებ 2001/220/JI გადაწყვეტილების მე-2 მუხლის მე-2 აბზაცის, მე-8 მუხლის მე-4 აბზაცისა და მე-14 მუხლის 1-ლი აბზაცის გაგებით.

3) თუკი დანაშაულის მსხვერპლი ბავშვია, მაშინ ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს

აუცილებელ ღონისძიებებს ბავშვის ოჯახის მიმართ შესაბამისი დახმარების გაწევის მიზნით. განსაკუთრებით წევრი სახელმწიფოები ასეთი დაზარალებული ოჯახების მიმართ იყენებენ – რამდენადაც ეს მიზანშეწონილი და შესაძლებელია – 2001/220/JI ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

მუხლი 8 მოქმედების ტერიტორიული სივრცე

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება გამოიყენება გიბრალტარზეც.

მუხლი 9 97/154/ JI ერთობლივი ღონისძიების გამოყენება

97/154/JI ერთობლივი ღონისძიების მოქმედების ვადა მთავრდება იმ ნაწილებში, რომლებიც ადამიანით ვაჭრობას შეეხება.

მუხლი 10 იმპლემენტაცია

1) წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება შესრულდეს 2004 წლის 1 აგვისტომდე.

2) წევრი სახელმწიფოები გადასცემენ საბჭოს გენერალურ სამდივნოს, ასევე ევროკომისიას პირველ აბზაცში დასახელებულ ვადაში დებულებების ტექსტს, რომლის მიხედვით მოხდა ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვადებულებების მათ შიდასახელმწიფოებრივ სამართალში იმპლემენტაცია. საბჭო 2005 წლის 1 აგვიტომდე ამოწმებს ამ ინფორმაციის საფუძველზე შედგენილი მოხსენებისა და კომისიის წერილობითი მოხსენების მეშვეობით, თუ რამდენად მიიღეს წევრმა სახელმწიფოებმა აუცილებელი ღონისძიებები ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესასრულებლად.

მუხლი 11 ძალაში შესვლა

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღეს.

8.2 ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია

საბჭოს 2003 წლის 22 დეკემბრის ჩარჩო-გადაწყვეტილება[1] ბავშვთა პორნოგრაფიისა და ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება ეხება ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც ითვალისწინებს ასეთი დანაშაულების წინააღმდეგ სანქციების გამოყენებას. ამ აქტის მიღების სამართლებრივი საფუძველი იყო იმ დროს მოქმედი ევროკავშირის ხელშეკრულება, განსაკუთრებით მისი 29-ე მუხლი, 31-ე e მუხლი და 34-ე მუხლის მე-2 b აბზაცი. იგი მიღებულ იქნა ევროკომისიის ინიციატივით, ევროპარლამენტის მიერ პოზიციის[2] გამოხატვის შემდეგ. გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2004 წლის 20 იანვარს.

ჩარჩო-გადაწყვეტილების მიზანია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ბავშვების სე-

[1] ABl. 13, 20. 01. 2004; ინგლისურ ენაზე 2004/68/JAH, ხოლო გერმანულ ენაზე – 2004/68/JI.

[2] ABl. C 53 E, 28. 02. 2002.

ქსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში საერთო განსაზღვრებების, ქმედების შემადგენლობებისა და სანქციებისათვის ჰარმონიზაციის მინიმალური ნორმების დადგენა. ამ აქტის მიღებამდე აღნიშნულ სფეროში საერთაშორისო და ევროპული მასშტაბით შემუშავებულ იქნა არაერთი ღონისძიება. მათგან ევროპის კავშირის დონეზე აღსანიშნავია საბჭოს 1997 წლის 24 თებერვლის 97/154/JI საერთო ღონისძიება[1], რომელიც ეხებოდა ადამიანით ვაჭრობისა და ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლას, ხოლო საბჭოს 2000 წლის 29 მაისის 2000/375/JI გადაწყვეტილება[2] – ინტერნეტში ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლას. ეს სამართლებრივი ბაზა მოითხოვდა შემდგომი საკანონმდებლო ნაბიჯების გადადგმას, რათა მომხდარიყო ამ სფეროში წევრი სახელმწიფოების განსხვავებული სამართლებრივი კონცეფციების შეცვლა და ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღდეგ ბრძოლის სფეროში იუსტიციისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების ეფექტური ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმის განვითარება. ევროპარლამენტმა 2000 წლის 30 მარტს მიიღო დოკუმენტი, რომლითაც გამოხატა თავისი დამოკიდებულება სექსტურიზმისა და ამასთან დაკავშირებით ბავშვთა უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობასა და გაძლიერებაზე. სექსტურიზმი დაკავშირებულია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის დანაშაულის ჩადენასთან. ევროპარლამენტმა მიმართა ევროკომისიას წინადადებით, რომ ევროკავშირის საბჭოს წინაშე დაეყენებინა ჩარჩო-გადაწყვეტილების მიღების ინიციატივა, რომელშიც მოცემული იქნებოდა ამ სფეროში ჰარმონიზაციის მინიმალური დებულებები.

როგორც პრეამბულაშია აღნიშნული, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და ბავშვთა პორნოგრაფია წარმოადგენს ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევას და ხელყოფს ბავშვის ძირითად უფლებას ჰარმონიული აღზრდისა და განვითარების თაობაზე. ბავშვთა პორნოგრაფიას, რომელიც წარმოადგენს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის ერთ-ერთ განსაკუთრებით მძიმე ფორმას, ხელი შეუწყო ახალი ტექნოლოგიებისა, მათ შორის, ინტერნეტის დანერგვამ.

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილებაც ეფუძნება სუბსიდიარულობისა და თანაზომიერების პრინციპებს. გარდა ეფექტური, თანაზომიერი და პრევენციული სასჯელების დაწესებისა, იგი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს აღნიშნული დანაშაულის მსხვერპლ ბავშვთა უფლებების დაცვას.

წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილების ცალკეული მუხლების შინაარსი ასეთია:

მუხლი 1 დეფინიცია

ამ ჩარჩო გადაწყვეტილების მიზნებისთვის, ტერმინი

a) „ბავშვი“ აღნიშნავს 18 წლამდე ასაკის ნებისმიერ პირს;

b) „ბავშვთა პორნოგრაფია“ აღნიშნავს პორნოგრაფიულ მასალას ვიზუალური გამოსახულებებით

i) იმ რეალური ბავშვების, რომლებიც აშკარად სექსუალურ მოქმედებებში მონაწილეობენ აქტიური ან პასიური ფორმით, ან

ii) იმ რეალური პიროვნებებით, რომლებიც გამოიყურებიან როგორც ბავშვები და აქტიური ან პასიური ფორმით მონაწილეობენ დასახელებულ ქმედებაში;

iii) არარეალური ბავშვების რეალურად წარმოდგენით, რომლებიც აქტიური ან პასიური ფორმით მონაწილეობენ დასახელებულ ქმედებებში.

[1] ABl. L 63, 4. 03. 1997.

[2] ABl. L 138, 9. 06. 2000.

c) „მონაცემების ელექტრონული დამუშავების სისტემა"[1] ნიშნავს მოწყობილობას ან ერთმანეთთან დაკავშირებულ ან ერთმანეთზე დამოკიდებულ მოწყობილობათა ჯგუფს ან ერთმანეთზე დამოკიდებულ მოწყობილებას, რომელთა მიერ ხდება ერთი ან რამდენიმე მიცემული პროგრამის საფუძველზე მონაცემების ავტომატური გადამუშავება;

d) „იურიდიული პირი" ნიშნავს სამართლის ყველა იმ სუბიექტს, რომელსაც ეს სტატუსი გააჩნია შესაბამის დროს მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით, სახელმწიფოების ან სხვა საჯარო სამართლის დაწესებულებების, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ სუვერენულ უფლებებს, და საჯარო-სამართლებრივი საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა.

მუხლი 2 ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის დანაშაულის შემადგენლობები

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შემდგომი განზრახ დანაშაულებრივ ქმედებებზე სასჯელების დაწესება:

a) ბავშვთა იძულება პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით ან პორნოგრაფიულ საქმიანობაში მონაწილეობის მიზნით ან ბავშვების მეშვეობით მოგების მიღება ან ბავშვების სხვაგვარი ექსპლუატაცია, განხორციელებული იმავე მიზნით;

b) ბავშვების რეკრუტირება (შერჩევა) პროსტიტუციისა და პორნოგრაფიულ საქმიანობაში მონაწილეობის მიზნით;

c) ბავშვთან სექსუალური მოქმედებების განხორციელება, თუ

i) გამოყენებულ იქნა იძულება, ძალადობა ან მუქარა,

ii) ამისთვის შეთავაზებული იქნა ფული ან სხვა სახის ქონებრივი ანაზღაურება ან მომსახურება, რათა ეს ბავშვი დათანხმდეს სექსუალურ ქმედებებში მონაწილეობას, ან

iii) ბავშვის მიმართ ბოროტად იქნა გამოყენებული ნდობა, ძალაუფლება ან გავლენა.

მუხლი 3 ბავშვთა პორნოგრაფიის დანაშაულის შემადგენლობები

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შემდეგ განზრახ ქმედებებზე სასჯელების დაწესება, როცა ისინი განხორციელებულია შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე, მიუხედავად იმისა, ეს ქმედებები მონაცემთა ელექტრონული დამუშავების სისტემის გამოყენების გზით იქნა თუ არა ჩადენილია:

a) ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის წარმოება, ან

b) ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის გასაღება, გავრცელება და შემდგომი გადაცემა, ან

c) ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის შეთავაზება ან მისი სხვაგვარად ხელმისაწვდომობა, ან

d) ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის შეძენა ან ფლობა.

(2) წევრ სახელმწიფოს შეუძლია, დაადგინოს, რომ ქვემოთ დასახელებული ქმედებები, ბავშვთა პორნოგრაფიის დანაშაულთან მიმართებაში, დანაშაულის შემადგენლობას არ ქმნიდეს:

a) 1-ლი მუხლის b) პუნქტის ii) ქვეპუნქტის მიხედვით ჩადენილი მოქმედებები, რა დროსაც, მასში მონაწილე რეალური პიროვნება ბავშვური გამომეტყველებით გამოსახულების შექმნის დროს სინამდვილეში 18 წლის ან უფრო მეტი ასაკის იყო;

b) 1-ლი მუხლის b) პუნქტის i) და ii) ქვეპუნქტების შემთხვევებში ჩადენილი მოქ-

[1] „EDV-System".

მედებები, რომლებიც უკავშირდება წარმოებასა და ფლობას, რა დროსაც მასში ასახულმა ბავშვებმა მაიღწიეს სექსუალურ სრულწლოვანებას, ამასთან არსებობს მათი თანხმობა ამგვარ წარმოებაზე და მფლობელობაზე და, ასევე ეს გამოსახულებები განსაზღვრულია მხოლოდ მათი პირადი გამოყენებისათვის. თანხმობა, როცა ის გაცემული იქნა უტყუარად, მხედველობაში არ მიიღება მაშინ, როცა, მაგალითად, უფროსი ასაკი, მომწიფებულობა, მდგომარეობა, სტატუსი, გამოცდილება ან მსხვერპლის დამნაშავეზე დამოკიდებულობა დამნაშავის მიერ თანხმობის მიღების მიზნით ბოროტად იქნა გამოყენებული;

c) 1-ლი მუხლის b) პუნქტის iii) ქვეპუნქტის მიხედვით გათვალისწინებულ შემთხვევებში ჩადენილი მოქმედებები, რა დროსაც დადგენილია, რომ პორნოგრაფიული მასალა მხოლოდ პირადი გამოყენების მიზნით იქნა წარმოებული და ის მხოლოდ ამ მიზნით იმყოფება მის მფლობელობაში, თუ მისი შექმნისას გამოყენებული არ ყოფილა 1- მუხლის b) პუნქტის i) და ii) ქვეპუნქტების გაგებით პორნოგრაფიული მასალა და არც მისი შემდგომი გავრცელების საფრთხე არსებობს.

მუხლი 4 წაქეზება, დახმარება და მცდელობა

1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-2 და მე-3 მუხლების მიხედვით წაქეზებისა და დახმარების დასჯადობა.

2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-2 მუხლისა და მე-3 მუხლის 1-ლი აბზაცის a) და b) პუნქტების მიხედვით ჩადენილი დანაშაულის მცდელობის დასჯადობა.

მუხლი 5 სანქციები და დამამძიმებელი გარემოებები

(1) გარდა მე-4 აბზაცში მოცემული შემთხვევისა, ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებში გათვალისწინებულ დანაშაულებზე სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, რომელიც განისაზღვრება ვადით არანაკლებ ერთიდან სამ წლამდე.

(2) გარდა მე-4 აბზაცში მოცემული შემთხვევისა, ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შემდეგ დანაშაულებზე სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის არანაკლებ ხუთიდან ათ წლამდე ვადით გამოყენება:

a) მე-2 მუხლის a) პუნქტის მიხედვით განსაზღვრული დანაშაულები – „ბავშვთა იძულება პროსტიტუციაში ჩამბმის მიზნით ან პორნოგრაფიულ საქმიანობაში მონაწილეობის მიზნით“ – ასევე მე-2 მუხლის c) პუნქტის i) ქვეპუნქტის მიხედვით გათვალისწინებული დანაშაულები;

b) მე-2 მუხლის a) პუნქტის მიხედვით განსაზღვრული დანაშაულები – „ბავშვების მეშვეობით მოგების მიღება ან ბავშვების სხვაგვარი ექსპლუატაცია აღნიშნული მიზნით“ – ასევე მე-2 მუხლის b) პუნქტის მიხედვით გათვალისწინებული დანაშაულები, ორივე შემთხვევაში, რამდენადაც ისინი პროსტიტუციის წარმოებას ეხება, და თუკი სულ მცირე ქვემოთ დასახელებულ ერთ-ერთ გარემოებას უკავშირდება:

– როცა საქმე ეხება დანაშაულის შედეგად დაზარალებულ ბავშვს, რომელსაც ნაციონალური სამართლის მიხედვით სექსუალური მომწიფებულობის ასაკს არ მიუღწევია;

– როცა დამნაშავე ბავშვის სიცოცხლეს განზრახ ან გაუფრთხილებლობით უქმნის საფრთხეს;

– როცა დანაშაული ჩადენილია მძიმე ძალადობით ან ბავშვს ამ დანაშაულით მძიმე ზიანი მიადგა;

– თუ დანაშაული ჩადენილია დანაშაულებრივი გაერთიანების ფარგლებში 98/733/JI ერთობლივი ღონისძიების დეფინიციის თანახმად, მასში დასახელებული სასჯელის ზომის მიუხედავად.

c) მე-2 მუხლის a) პუნქტის მიხედვით განსაზღვრული დანაშაულები, – „ბავშვების მეშვეობით მოგების მიღება ან ბავშვების სხვაგვარი ექსპლუატაცია აღნიშნული მიზნით“ – და მე-2 მუხლის b) პუნქტის მიხედვით გათვალისწინებული დანაშაულები, ორივე შემთხვევებში, რამდენადაც ისინი უკავშირდებიან პროსტიტუციის წარმოებას, მე-2 მუხლის c) პუნქტის ii) ქვეპუნქტში, მე-2 მუხლის c) პუნქტის iii) ქვეპუნქტში, მე-3 მუხლის 1-ლი აბზაცის a), b) და c) პუნქტებში მოცემული ქმედებები, რამდენადაც საქმე ეხება დანაშაულის შედეგად დაზარალებულ ბავშვს, რომელსაც ნაციონალური კანონმდებლობის მიხედვით, სექსუალური მომწიფებულობის ასაკს არ მიუღწევია და, საჭიროების შემთხვევაში, სულ მცირე b) პუნქტის მე-2, მე-3 და მე-4) ხაზებში დასახელებულ ერთ-ერთ გარემოებას უკავშირდება.

(3) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა შესაძლებელი გახდეს, რომ ფიზიკურ პირს, რომელიც გასამართლებულია მე-2, მე-3 ან მე-4 მუხლების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, დროებით ან გრძელვადიან პერიოდში აეკრძალოს ისეთი პროფესიული საქმიანობის განხორციელება, რომელიც გულისხმობს ბავშვებისადმი ზედამხედველობის გაწევას.

(4) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, ბავშვთა პორნოგრაფიასთან მიმართებაში დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია 1-ლი მუხლის b) პუნქტის ii) ქვეპუნქტით, ასევე გამოიყენოს სხვა სანქციებიც, მათ შორის, ისეთი, რომელიც არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ სანქციას ან ღონისძიებას.

მუხლი 6 იურიდიული პირების პასუხისმგებლობა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა შესაძლებელი გახდეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობა მე-2, მე-3 ან მე-4 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის შემთხვევებში, რომლებიც იურიდიული პირის სასარგებლოდ ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელიც მოქმედებდა მარტო ან როგორც იურიდიული პირის ორგანოს წევრი და რომელსაც წამყვანი თანამდებობა ეკავა იურიდიული პირის შიგნით,

a) იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე, ან

b) უფლებამოსილი იყო, იურიდიული პირის სახელით მიეღო გადაწყვეტილება, ან

c) იურიდიული პირის შიგნით კონტროლის უფლებამოსილება ჰქონდა.

(2) პირველ აბზაცში უკვე გათვალისწინებულ შემთხვევებთან ერთად, ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა, როცა პირველ აბზაცში დასახელებული პირების მხრიდან არასაკმარისი ზედამხედველობის ან კონტროლის გამო, ადგილი ექნება მათდამი დაქვემდებარებული პირის მიერ იურიდიული პირის სასარგებლოდ მე-2, მე-3 ან მე-4 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას.

(3) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა 1-ლი და მე-2 აბზაცის მიხედვით არ გამორიცხავს ფიზიკური პირების მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნის განხორციელებას, თუკი ისინი მე-2, მე-3 ან მე-4 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში ამსრულებელი, წამქეზებელი ან დამხმარე არიან.

მუხლი 7 იურიდიული პირების მიმართ სანქციები

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა შესაძლებელი გახდეს, მე-6 მუხლის 1-ლი აბზაცის გაგებით პასუხისმგებელი იურიდიული პირის მიმართ გამოყენებულ იქნეს ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციები, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე არასისხლისსამართლებრივი ფულადი სანქციები და სხვა სახის სანქციები, როგორიცაა, მაგალითად,

a) ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება საჯარო ფულადი დაფინანსებების ან დახმარებების შეწყვეტას;

b) ღონისძიებები, რომლებიც ეხება კომერციული საქმიანობის განხორციელების დროებით ან მუდმივად აკრძალვას;

c) სასამართლო ზედამხედველობა;

d) სასამართლო განკარგულებით იურიდიული პირის ლიკვიდაცია;

e) იმ ორგანიზაციების დროებითი ან საბოლოო დახურვა, რომლებიც გამოყენებულ იქნა დანაშაულის ჩასადენად.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა მე-6 მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებულ შემთხვევებში უზრუნველყოფილ იქნეს იურიდიული პირების პასუხისმგებლობა, რა დროსაც შესაძლებელი უნდა იყოს ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების ან ღონისძიებების გამოყენება.

მუხლი 8 იურისდიქცია და სისხლისსამართლებრივი დევნა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა მისი იურისდიქცია მე-2, მე-3 ან მე-4 მუხლებით გათვალისწინებულ იმ ქმედებებზე დასაბუთდეს, რომლებიც

a) ჩადენილია მთლიანად ან ნაწილობრივ მის სუვერენულ ტერიტორიაზე, ან

b) ჩადენილია მისი მოქალაქეს მიერ, ან

c) ჩადენილია იმ იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომელიც ამ წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე მდებარეობს.

(2) წევრ სახელმწიფოს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ ის კომპეტენციის დებულებების განსაზღვრებებს, რომლებიც მოცემულია 1-ლი აბზაცის b) და c) პუნქტებში, საერთოდ არ გამოიყენებს ან მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში ან განსაზღვრული გარემოების არსებობისას გამოიყენებს, თუკი დანაშაული ჩადენილია მისი სუვერენული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

(3) წევრი სახელმწიფო, რომელიც თავისი სამართლებრივი დებულებების შესაბამისად, მისი მოქალაქის გადაცემაზე უარს იტყვის, იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა თავისი იურისდიქცია მე-2, მე-3 ან მე-4 მუხლებში დასახელებულ დანაშაულებრივ ქმედებებთან მიმართებაში დაასაბუთოს და, საჭიროების შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს, თუკი დანაშაული მისი მოქალაქის მიერ ჩადენილია მისი სუვერენულ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

(4) წევრი სახელმწიფოები საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და ევროკომისიას ატყობინებენ წერილობით მე-2 აბზაცის გამოყენების შესახებ და, იმავდროულად, საჭიროების შემთხვევებში, უთითებენ იმაზეც, თუ რომელ განსაზღვრულ შემთხვევებში ან რომელ გარემოებებში მოქმედებს ეს გადაწყვეტილება.

(5) ყოველი წევრი სახელმწიფო ზრუნავს იმაზე, რომ თავის იურისდიქციას დაუქვემდებაროს დანაშაული მე-3 მუხლის გაგებით და, თუ ეს მნიშვნელოვანია, მე-4 მუხლის გაგებით, რომელიც ჩადენილ იქნა მონაცემთა ელექტრონული დამუშავების სისტემის საშუალებით,

რა დროსაც მასში შეჭრა თავისი სუვერენული ტერიტორიიდან განხორციელდა, მიუხედავად იმისა, განთავსებულია თუ არა ამ წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე თვით მონაცემთა ელექტრონული დამუშავების სისტემა.

(6) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა მისი ნაციონალური სამართლით შესაძლებელი გახდეს მინიმუმ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების მიმართ, რომლებიც გათვალისწინებულია მე-2 მუხლში, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, მას შემდეგ, რაც მსხვერპლი სრულწლოვანი გახდება.

მუხლი 9 მსხვერპლთა დაცვა და დახმარება

(1) წევრი სახელმწიფოები ადგენენ იმას, რომ სისხლისამართლებრივი გამოძიებები ან სისხლისსამართლებრივი დევნა იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომლებიც მოცემულია ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებაში, სულ მცირე იმ შემთხვევებში მაინც, რომლებიც მე-8 მუხლის 1-ლი აბზაცის a) პუნქტშია მოცემული, დამოკიდებული არ იყოს მსხვერპლის მიერ განცხადების ან საჩივრის შეტანაზე.

(2) მე-2 მუხლის მიხედვით გათვალისწინებული დანაშაულების მსხვერპლი აუცილებელია, განხილულ იქნეს, როგორც განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი მსხვერპლი, საბჭოს 2001 წლის 15 მარტის სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლის სტატუსის შესახებ 2001/220/JI ჩარჩო გადაწყვეტილების მე-2 მუხლის მე-2 აბზაცის, მე-8 მუხლის მე-4 აბზაცისა და მე-14 მუხლის 1-ლი აბზაცის გაგებით.

(3) თუკი დანაშაულის მსხვერპლი ბავშვია, მაშინ ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს ბავშვის ოჯახის მიმართ შესაბამისი დახმარების გაწევის მიზნით. განსაკუთრებით წევრი სახელმწიფოები დასახელებული ოჯახების მიმართ იყენებენ – რამდენადაც ეს მიზანშეწონილი და შესაძლებელია – აღნიშნული ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

მუხლი 10 მოქმედების ტერიტორიული სივრცე

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება გამოიყენება გიბრალტარზეც.

მუხლი 11 97/154/ JI ერთობლივი ღონისძიების გაუქმება

97/154/JI ერთობლივი ღონისძიების მოქმედების ვადა მთავრდება.

მუხლი 12 იმპლემენტაცია

(1) წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება 2006 წლის 20 იანვრამდე შესრულდეს.

(2) წევრი სახელმწიფოები გადასცემენ საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და ევროკომისიას 2006 წლის 20 იანვრამდე დებულებების ტექსტს, რომლის მიხედვითაც მოხდა ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვადებულებების მათ შიდასახელმწიფოებრივ სამართალში იმპლემენტაცია. საბჭო 2008 წლის 20 იანვრამდე ამოწმებს ამ ინფორმაციის საფუძველზე შედგენილი მოხსენებისა და კომისიის წერილობითი მოხსენების მეშვეობით, თუ რამდენად მიიღეს წევრმა სახელმწიფოებმა აუცილებელი ღონისძიებები ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესასრულებლად.

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღეს.

9. დანაშაული, დაკავშირებული არალეგალურ მიგრაციასთან

ევროპის კავშირის ფარგლებში წევრ სახელმწიფოებში უკანონო შემოსვლასა და ყოფნას ეძღვნება აქ წარმოდგენილი ორი სამართლებრივი აქტი. ერთი მათგანი წარმოადგენს ევროპის კავშირის საბჭოს დირექტივას, ხოლო მეორე – ჩარჩო-გადაწყვეტილებას. ევროპული სისხლის სამართლის წყაროების განხილვის დროს ორივე ეს სამართლებრივი ინსტრუმენტი ზოგადად იქნა დახასიათებული. ამ ეტაპზე კი წარმოგიდგენთ ამ სამართლებრივ ინსტრუმენტებს ევროპული სისხლის სამართალისათვის მნიშვნელოვანი კონკრეტულად რეალიზებული ფორმით.

9.1 არალეგალური იმიგრაციის დანაშაულის შემადგენლობა

საბჭოს 2002 წლის 28 ნოემბრის დირექტივა[1] სახელმწიფოში უნებართვო შემოსვლაში, ტრანზიტსა და ყოფნაში დახმარების დეფინიციის შესახებ

წარმოდგენილი დირექტივა ეხება ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში უნებართვო შემოსვლაში, ტრანზიტსა და ყოფნაში დახმარების განსაზღვრასა და ასეთი დანაშაულის შემადგენლობის განმარტებას. აღსანიშნავია, რომ ამ ქმედებებისთვის სანქციების შესახებ მინიმალური დებულებები, იურიდიული პირის პასუხისმგებლობისა და სასამართლო კომპეტენციის შესახებ მოცემულია არა აღნიშნულ დირექტივაში, არამედ საბჭოს 2002 წლის 28 ნოემბრის 2002/946/JI ჩარჩო-გადაწყვეტილებაში[2], რომელიც ეძღვნება სისხლისსამართლებრივი ჩარჩო-პირობების გაძლიერებას სახელმწიფოს ტერიტორიაზე უნებართვო შემოსვლაში, ტრანზიტსა და ყოფნაში დახმარების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ამ დირექტივის მიღების სამართლებრივი საფუძველი იყო ევროპული გაერთიანების ხელშეკრულების 61-ე მუხლის a პუნქტი და 63-ე მუხლის მე-3 ნომრის b პუნქტი. მისი მიღების ინიციატორი იყო საფრანგეთის რესპუბლიკა. იგი მიღებულ იქნა ევროკავშირის საბჭოს მიერ, ევროპარლამენტის მიერ პოზიციის[3] გამოხატვის შემდეგ.

ამ სამართლებრივი აქტში მოცემულია უნებართვო იმიგრაციის დახმარების დეფინიცია და იგი გამოცხადებულია დამთავრებული დანაშაულის ამსრულებლობად. ეს აქტი წარმოადგენს იმ სამართლებრივი ინსტრუმენტების განვრცობას, რომლებსაც კავშირი აქვთ არალეგალურ მიგრაციასთან, იმიგრანტთა უკანონო დასაქმებასთან, ადამიანით ვაჭრობასთან და ა.შ.

წარმოდგენილი დირექტივის ცალკეული მუხლები შემდეგი შინაარსის მატარებელია:

---

[1] Abl. L 328, 5. 12. 2002; ინგლისურ ენაზე 2002/90/EC, ხოლო გერმანულ ენაზე – 2002/90/EG.

[2] Abl. L 328, 5. 12. 2002

[3] Abl. C 276, 1. 10. 2001.

მუხლი 1 ქმედების ზიგადი შემადგენლობა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო აწესებს შესაბამის სანქციებს მათთვის, ვინც

a) იმ პირს, რომელიც არ არის არც ერთი წევრი სახელმწიფოს მოქალაქე, განზრახ ეხმარება წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე, ამ სახელმწიფოს სამართლებრივი დებულებების დარღვევით, შემოსვლაში ან უცხოელების ტრანზიტში ან ამ წევრი სახელმწიფოს სუვერენული ტერიტორიის გავლით გადაადგილებაში;

b) იმ პირს, რომელიც არ არის არც ერთი წევრი სახელმწიფოს მოქალაქე, პირადი გამორჩენის მიზნით, განზრახ ეხმარება ამ წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე ყოფნაში, შესაბამის სახელმწიფოში უცხოელთა ყოფნის შესახებ სამართლებრივი დებულებების დარღვევით.

(2) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, გადაწყვიტოს, რომ პირველ აბზაცში დასახელებული ქმედებების გამო, მისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის დებულებებისა და სამართლებრივი პრაქტიკის გამოყენებისას, სანქციებს არ დააწესებს, თუკი ამ ქმედებების მიზანია დაზარალებული პირის მიმართ ჰუმანიტარული მხარდაჭერის გამოჩენა.

მუხლი 2 წაქეზება, მონაწილეობა და მცდელობა

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ პირველ მუხლში დასახელებული სანქციები, აგრეთვე იმ პირის მიმართაც გავრცელდეს, რომელიც 1-ლი მუხლის a) ან b) პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების:

a) წამქეზებელი, ან

b) დამხმარეა, ან

c) მცდელობის ჩამდენია.

მუხლი 3 სანქციები

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პირველ და მე-2 მუხლებში დასახელებული ქმედებების მიმართ ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების გამოყენება.

მუხლი 4 იმპლემენტაცია

(1) წევრი სახელმწიფოები იღებენ იმ სამართლებრივ და ადმინისტრაციულ დებულებებს, რომლებიც აუცილებელია, რათა ეს დირექტივა 2004 წლის 5 დეკემბრამდე შესრულდეს. აღნიშნულის შესახებ ისინი ევროკომისიას დაუყოვნებლივ ატყობინებენ.

როცა წევრი სახელმწიფოები ასეთ დებულებებს გამოსცემენ, მაშინ ისინი თვით ამ დებულებებში ან ოფიციალური გამოქვეყნების დროს მითითების მეშვეობით უთითებენ ამ დირექტივაზე. წევრი სახელმწიფოები აწესრიგებენ ასეთი მითითების დეტალებს.

(2) წევრი სახელმწიფოები უზიარებენ ევროკომისიას უმნიშვნელოვანესი შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დებულებების ტექსტს, რომელიც მათ ამ დირექტივით განსაზღვრულ სფეროში გამოსცეს და გადასცემენ, ასევე დირექტივის დებულებებსა და მათ მიერ გამოცემულ შიდასახელმწიფოებრივ ნორმებს შორის შეთავსებადობის ანგირიშს. კომისია აცნობებს სხვა წევრ სახელმწიფოებს ამის შესახებ.

მუხლი 5 გაუქმება

შენგენის განხორციელების 1990 წლის შეთანხმების 27-ე მუხლის 1-ლი აბზაცი გაუქმებულია 2004 წლის 5 დეკემბერიდან. თუკი წევრი სახელმწიფო ამ დირექტივის იმპლემენტაციას მე-4 მუხლის 1-ლი აბზაცის მიხედვით მოახდენს ამ ვადაზე ადრე, მაშინ დასახელებული დებულება ამ წევრი სახელმწიფოსთვის ძალას დაკარგავს იმპლემენტაციის დღიდან.

მუხლი 6 ძალაში შესვლა

ეს დირექტივა ძალაში შედის მისი ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღეს.

მუხლი 7 ადრესატები

ეს დირექტივა ევროპული გაერთიანების სადამფუძნებლო ხელშეკრულების შესაბამისად მიმართულია წევრ სახელმწიფოებზე.

9.2 არალეგალური იმიგრაციის მინიმალური სანქციები

საბჭოს 2002 წლის 28 ნოემბრის ჩარჩო გადაწყვეტილება[1] უნებართვო შემოსვლაში, ტრანზიტსა და უნებართვო ყოფნაში დახმარების წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე სისხლისსამართლებრივი ფარგლების გაძლიერების შესახებ

წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება ეხება უკანონო იმიგრაციისათვის სისხლისსამართლებრივი დასჯადობის მინიმალური დებულებების დადგენას. დირექტივისგან განსხვავებით, ამ აქტის მიღების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა იმ დროს მოქმედი ევროკავშირის ხელშეკრულება, განსაკუთრებით მისი 29-ე მუხლი, 31-ე e მუხლი და 34-ე მუხლის მე-2 b აბზაცი. იგი მიღებულ იქნა საფრანგეთის რესპუბლიკის ინიციატივით, ევროპარლამენტის მიერ პოზიციის[2] გამოხატვის შემდეგ. გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2002 წლის 5 დეკემბერს.

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება, რომელიც უნდა წავიკითხოთ ზემოთ წარმოდგენილ 2002/90/EG დირექტივასთან ერთობლიობაში, არალეგალური იმიგრაციისათვის აწესებს მინიმალურ სანქციებს არა მარტო ფიზიკური პირებისათვის, არამედ, ასევე არალეგალურ იმიგრაციაში დახმარებისათვის იურიდიული პირების პასუხისმგებლობას.

ჩარჩო-გადაწყვეტილების ცალკეული დებულებები შემდეგი შინაარსის მატარებელია:

მუხლი 1 სასჯელები

1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს 2002/90/EG დირექტივის პირველ და მე-2 მუხლებში აღწერილი ქმედებების მიმართ ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების გამოყენება, რა დროსაც შესაძლებელია ექსტრადიციის განხორციელება.

2) საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, პირველ აბზაცში მითითებულ

[1] ABl. L 328, 5. 12. 2002; ინგლისურ ენაზე 2002/946/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2002/946/JI.

[2] ABl. C 276, 1. 10. 2001.

სასჯელებთან ერთად, შემდეგი ღონისძიებები იქნეს გამოყენებული:

– იმ სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა, რომელიც დანაშაულის ჩასადენად იქნა გამოყენებული;

– უშუალოდ ან მესამე პირის მეშვეობით იმ პროფესიული საქმიანობის განხორციელების აკრძალვა, რომლის ფარგლებშიც ჩადენილ იქნა სისხლისსამართლებრივად დასჯადი მოქმედება;

– პირის ქვეყნიდან გაძევება (დეპორტაცია).

3) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ქმედებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია 2002/90/EG დირექტივის 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცის a) პუნქტით და, რამდენადაც რელევანტურია, იმ ქმედებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე დირექტივის მე-2 მუხლის a) პუნქტით, თუკი ისინი განხორციელებულ იქნა მოგების მიზნით, დაწესდეს თავისუფლების აღკვეთა სულ მცირე რვა წლით, როცა ეს ქმედებები ჩადენილია ერთ-ერთი რომელიმე შემდეგი გარემოების არსებობისას:

– დანაშაული ჩადენილია დანაშაულებრივი გაერთიანების მიერ, როგორც ეს განმარტებულია 98/733/JI ერთობლივი ღონისძიების მიხედვით.

– დანაშაულის ჩადენისას საფრთხე შეექმნა იმ პირების სიცოცხლეს, რომლებსაც დასჯადი ქმედება შეეხოთ.

4) თუ ეს ნაციონალური სანქციათა სისტემის შეთანხმებულობის (Kohärenz) დაცვისთვის აუცილებელია, მაშინ მე-3 აბზაცით გათვალისწინებული ქმედებების მიმართ სასჯელის სახით დაწესებული უნდა იქნეს თავისუფლების აღკვეთა სულ მცირე ექვსი წლის ვადით, თუკი საქმე ეხება უმაღლესი სასჯელის ისეთ სახეს, რომელიც მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებებისთვისაა გათვალისწინებული.

მუხლი 2 იურიდიული პირების პასუხისმგებლობა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა შესაძლებელი გახდეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობა 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების შემთხვევაში, რომლებიც იურიდიული პირის სასარგებლოდ ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელიც მოქმედებდა მარტო ან როგორც იურიდიული პირის ორგანოს წევრი და რომელსაც წამყვანი თანამდებობა ეკავა იურიდიული პირის შიგნით,

a) იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე, ან

b) ჰქონდა უფლებამოსილება, იურიდიული პირის სახელით მიეღო გადაწყვეტილება, ან

c) იურიდიული პირის შიგნით კონტროლის უფლებამოსილებას ახორციელებდა.

(2) პირველ აბზაცში უკვე გათვალისწინებულ შემთხვევებთან ერთად, ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა, როცა პირველ აბზაცში დასახელებული პირების მხრიდან არასაკმარისი ზედამხედველობის ან კონტროლის გამო ადგილი ექნება მათდამი დაქვემდებარებული პირის მიერ იურიდიული პირის სასარგებლოდ 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას.

(3) 1-ლი და მე-2 აბზაცების მიხედვით იურიდიული პირის პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს ფიზიკური პირების მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნის განხორციელებას, თუკი ისინი პირველ აბზაცში მითითებული დასჯადი ქმედებების ამსრულებელი, წამქეზებელი ან დამხმარე არიან.

მუხლი 3 სანქციები იურიდიული პირების მიმართ

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა მე-2 მუხლის 1-ლი აბზაცის გაგებით პასუხისგებაში მიცემული იურიდიული პირის მიმართ შესაძლებელი გახდეს ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების გამოყენება, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე არასისხლისსამართლებრივი ხასიათის ფულადი სანქციები და სხვა სახის სანქციები, როგორიცაა, მაგალითად,

a) ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება საჯარო ფულადი დაფინანსებების ან დახმარებების შეწყვეტას;

b) ღონისძიებები, რომლებიც ეხება კომერციული საქმიანობის განხორციელების დროებით ან მუდმივად აკრძალვას;

c) სასამართლო ზედამხედველობა;

d) სასამართლო განკარგულებით იურიდიული პირის ლიკვიდაცია;

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველოყოფილ იქნეს მე-2 მუხლის მე-2 აბზაცის გაგებით პასუხისმგებელი იურიდიული პირის მიმართ ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების ან ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა.

მუხლი 4 იურისდიქცია

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა მისი სასამართლო იურისდიქცია 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცის მიხედვით განსაზღვრულ იმ ქმედებებზე დასაბუთდეს, რომლებიც

a) მთლიანად ან ნაწილობრივ ჩადენილია მის სუვერენულ ტერიტორიაზე, ან

b) ჩადენილია მისი მოქალაქის მიერ, ან

c) ჩადენილია იმ იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომელიც მის სუვერენულ ტერიტორიაზე მდებარეობს.

(2) მე-5 მუხლში მოცემული დებულებების გარდა, ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, გადაწყვიტოს, რომ თავის სასამართლო იურისდიქციას

– 1-ლი აბზაცის b) პუნქტის,

– 1-ლი აბზაცის c) პუნქტის შემთხვევებში

საერთოდ არ გამოიყენებს ან მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში ან განსაზღვრული გარემოებების არსებობისას გამოიყენებს.

(3) ყოველი წევრი სახელმწიფო ატყობინებს საბჭოს გენერალურ მდივანს წერილობით მე-2 ბაზაცის გამოყენების თაობაზე თავის გადაწყვეტილებას და, საჭიროების შემთხვევაში, იმავდროულად უთითებს იმაზეც, თუ რომელი განსაკუთრებული გარემოებებისა და წინაპირობების არსებობისას მოქმედებს ეს გადაწყვეტილება.

მუხლი 5 გადაცემა და სისხლისსამართლებრივი დევნა

(1) a) თუკი წევრი სახელმწიფო თავისი სამართლის შესაბამისად საკუთარ მოქალაქეს არ გადასცემს, მაშინ ის იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცით გათვალისწინებული ქმედებები, რომლებიც მისმა მოქალაქეებმა ამ სახელმწიფოს სუვერენული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ჩაიდინეს, თავის იურისდიქციას დაუქვემდებაროს.

b) ყოველი წევრი სახელმწიფო აკეთებს იმას, რომ საჭიროების შემთხვევაში მისმა

კომპეტენტურმა ორგანოებმა შესძლონ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება საკუთარი ქვეყნის მოქალაქეების მიმართ, თუკი რომელიმე მათგანი სხვა წევრ სახელმწიფოში ბრალდებულია იმ ქმედების ჩადენის გამო, რომელიც გათვალისწინებულია 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცით და ამ პირის გადაცემა ამ სხვა სახელმწიფოსათვის არ ხდება მხოლოდ მისი მოქალაქეობის გამო. ამ მიზნით, დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებული აქტები, დოკუმენტები და ნივთები გადაიგზავნება ექსტრადიციის შესახებ 1957 წლის 13 დეკემბრის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით. თხოვნის გამგზავნი სახელმწიფო ინფორმირებული უნდა იქნეს სამართლებრივი დევნის დაწყებისა და შედეგების შესახებ.

(2) ამ მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ცნება წევრი „სახელმწიფოს მოქალაქე" განმარტებულ უნდა იქნეს დაინტერესებული წევრი სახელმწიფოს მიერ ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი აბზაცის b) და c) პუნქტების შესაბამისი განმარტებების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ექსტრადიციის განხორციელების შესახებ შეთანხმების[1] განმარტებების შესაბამისი რედაქციის მიხედვით.

მუხლი 6 ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება მოქმედებს ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების დაცვის ხელშეუხებლად, რაც გარანტირებულია ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლითა და ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ სხვა საერთაშორისო კონვენციებით, განსაკუთრებით, წევრი სახელმწიფოების მიერ აღებული იმ საერთაშორისო ვალდებულებების დაცვის ხელშეუხებლად, რაც გამომდინარეობს ლტოლვილთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 31-ე და 33-ე მუხლებიდან, ნიუ-იურკის 1967 წლის ოქმით შეცვლილი რედაქციით.

მუხლი 7 წევრ სახელმწიფოთა შორის ინფორმაციის გაცვლა

(1) თუკი წევრი სახელმწიფო შეიტყობს 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცის მიხედვით გათვალისწინებული იმ ქმედებების ჩადენის შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ სხვა წევრი სახელმწიფოს სამართლებრივი დებულებების დარღვევას, რაც დაკავშირებულია უცხოელების შემოსვლასა და ყოფნასთან, მაშინ იგი ამის შესახებ აცნობებს ამ სხვა წევრ სახელმწიფოს.

(2) წევრი სახელმწიფო, რომელიც თხოვნით მიმართავს სხვა წევრ სახელმწიფოს, უცხოელთა შემოსვლასა და ყოფნასთან დაკავშირებით თავისი სამართლებრივი დებულებების დარღვევის გამო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზნით, იმ ქმედებებისათვის, რაც გათვალისწინებულია 1-ლი მუხლის 1-ლი აბზაცით, ოფიციალური მოხსენების გზით ან კომპენტენტური ორგანოს დოკუმენტის მეშვეობით მიუთითებს, თავისი სახელმწიფოს თუ რომელი სამართლებრივი დებულებები იქნა დარღვეული.

მუხლი 8 მოქმედების ტერიტორიული სივრცე

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება მოქმედებს გიბრალტარზეც.

---

[1] Übereinkommen über die Auslieferung zwischen den Mitgliedstaaten der Europäischen Union; იხ. ABl. C 313, 23. 10. 1996.

მუხლი 9 იმპლემენტაცია

1) წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა ეს ჩარჩო- გადაწყვეტილება 2004 წლის 5 დეკემბრამდე შესრულდეს.

2) წევრი სახელმწიფოები იმავდროულად აცნობებენ საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და ევროკომისიას დებულებების ტექსტის შესახებ, რომლის მიხედვითაც მოხდა ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვადებულებების მათ შიდასახელმწიფოებრივ სამართალში იმპლემენტაცია. ამ ინფორმაციის საფუძველზე კომისიის მიერ შედგენილი მოხსენების მეშვეობით, საბჭო 2005 წლის 2 ივნისამდე ამოწმებს,თუ რამდენად მიიღეს წევრმა სახელმწიფოებმა აუცილებელი ღონისძიებები ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესასრულებლად.

მუხლი 10 გაუქმება

შენგენის განხორციელების 1990 წლის შეთანხმების 27-ე მუხლის მე-2 და მე-3 აბზაცების დებულებები გაუქმებულია 2004 წლის 5 დეკემბერიდან. თუკი წევრი სახელმწიფო ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების იმპლემენტაციას მე-9 მუხლის 1-ლი აბზაცის მიხედვით მოახდენს ამ ვადაზე ადრე, მაშინ დასახელებული დებულებები ამ წევრი სახელმწიფოსთვის ძალას დაკარგავს იმპლემენტაციის დღიდან.

მუხლი 11 ძალაში შესვლა

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღეს.

10. ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა

საბჭოს 2004 წლის 25 ოქტომბრის ჩარჩო გადაწყვეტილება[1] ნარკოტიკებით არალეგალურად ვაჭრობის სფეროში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებისა და სასჯელების შესახებ მინიმალური დებულებების დადგენის თაობაზე

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება განსაზღვრავს ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში ნარკოტიკული დანაშაულის შემადგენლობების შესახებ მინიმალურ დებულებებს და ადგენს ასეთი ქმედებების წინააღმდეგ შესაბამისი მინიმალური სანქციების დაწესებას.

ამ აქტის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა მისი მიღების დროს მოქმედი ევროკავშირის ხელშეკრულება, განსაკუთრებით მისი 31-ე e მუხლი და 34-ე მუხლის მე-2 b აბზაცი. იგი მიღებულ იქნა ევროკომისიის ინიციატივით, ევროპარლამენტის მიერ 2004 წლის 9 მარტს პოზიციის გამოხატვის შემდეგ. გადაწყვეტილება ძალაში შევიდა 2004 წლის 11 ნოემბერს.

ჩარჩო-გადაწყვეტილების პრეამბულაში მითითებულია, რომ ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა საფრთხეს უქმნის ევროპის კავშირის მოქალაქეთა ჯანმრთელობას, უსაფრთხოებასა და ცხოვრების ხარისხს, ასევე წევრი სახელმწიფოების ლეგალურ ეკონომიკურ საქმიანობას, სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. 1998 წლის 3 დეკემბერს ვენაში მიღებულ იქნა საბჭოსა და კომისიის სამოქმედო გეგმა, ასევე ევროპის კავშირის არაერთი სტრატეგიული

[1] ABl. L 335, 11. 11. 2004; ინგლისურ ენაზე 2004/757/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2004/757/JI.

გეგმა ნარკოტიკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მიღებით ევროკავშირმა გამოხატა თავისი პოზიცია იმის თაობაზე, რომ აუცილებლად მიიჩნია ნარკოტიკული საშუალებებითა და სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერებებით არალეგალური ვაჭრობის სფეროში დასჯადი მოქმედებების ქმედების შემადგენლობების ნიშნების შესახებ მინიმალური დებულებების დადგენა, რომელიც უნდა გამხდარიყო ევროკავშირის დონეზე საერთო თვალსაზრისი ასეთი არალეგალური ვაჭრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ შემთხვევაშიც მოქმედებს სუბსიდიარულობის პრინციპი, რის გამოც ევროპის კავშირის დონეზე შესაძლებელი იყო ნარკოტიკული დელიქტების მხოლოდ მძიმე შემთხვევების კონცენტრაცია. ამის გამო ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მიერ არ რეგულირდება ნარკოტიკის პირად მოხმარებასთან დაკავშირებული საკითხები, რაც მთლიანად წევრი სახელმწიფოების მიერ ნაციონალური სამართლებრივი დებულებებით უნდა მოწესრიგდეს. ჩარჩო-გადაწყვეტილების მიერ განსაზღვრული ქმედებების მიმართ ნაციონალურ სამართალში გათვალისწინებული სასჯელები კი, უნდა იყოს ეფექტური, თანაზომიერი და პრევენციული, რომელიც, ასევე გულისხმობს თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას. საქმის სხვა გარემოებებთან ერთად, ნარკოტიკის რაოდენობა და სახე კი, გათვალისწინებული უნდა იქნეს კონკრეტული სასჯელის დანიშვნის დროს. ყურადღება უნდა გამახვილდეს, მაგალითად, იმაზე, ჩადენილია თუ არა ეს დანაშაული კრიმინალური გაერთიანების ფარგლებში. ჩარჩო-გადაწყვეტილების მიხედვით, შესაძლებელი უნდა იყოს ასეთი დანაშაულებიდან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევა, ასევე იურიდიული პირის პასუხისმგებლობა.

ჩარჩო-გადაწყვეტილების ცალკეული დებულებები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

მუხლი 1 დეფინიცია

ამ გადაწყვეტილების მიზნებისათვის, ტერმინები აღნიშნავენ შემდეგს:

1. ,,ნარკოტიკი'' – ყველა ის ნივთიერება, რომელიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემდეგი კონვენციებით:

a) ნარკოტიკული საშუალებების შესახებ 1961 წლის ერთიანი კონვენციით (1972 წლის ოქმით შეცვლილი რედაქციით);

b) ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესახებ 1971 წლის ვენის კონვენციით. მასში იგულისხმება, ასევე ნივთიერებები, რომლებიც კონტროლს დაექვემდებარა საბჭოს მიერ 1997 წლის 16 ივნისს მიღებული 97/396/JI ერთობლივი ღონისძიების ფარგლებში, რომელიც დაკავშირებულია ახალი სინთეტიკური ნარკოტიკების დროს ინფორმაციის გაცვლას, რისკის შეფასებასა და კონტროლთან;

2. ,,ძირითადი ნივთიერებები'' – ნივთიერებები, რომლებიც მითითებულია ევროპული გაერთიანების სამართლებრივ დებულებებში, რომლებისთვისაც ვალდებულებები განისაზღვრება გაეროს 1988 წლის 20 დეკემბრის ,,ნარკოტიული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ''კონვენციის მე-12 მუხლის მიხედვით;

3. ,,იურიდიული პირი'' – სამართლის ყველა ის სუბიექტი, რომელსაც ეს სტატუსი გააჩნია შესაბამის დროს მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით, სახელმწიფოების ან სხვა საჯარო სამართლის დაწესებულებების, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ სუვერენულ უფლებებს, და საჯარო-სამართლებრივი საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა.

მუხლი 2 დანაშაულები, დაკავშირებული ნარკოტიკებისა და ძირითადი ნივთიერებების არალეგალურ ვაჭრობასთან

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოს შემდეგი განზრახი ქმედებებისათვის სასჯელების დაწესება, როცა ისინი შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე იქნა განხორციელებული, რაც გამოიხატა:

a) ნარკოტიკების მოპოვებაში, წარმოებაში, გადატანაში, დამზადებაში, შეთავაზებაში, გასასაღებლად გამზადებაში, განაწილებაში, გაყიდვაში, მიწოდებაში – მნიშვნელობა არა აქვს, რა პირობებით, – გადაცემაში, გადაგზავნაში – აგრეთვე ტრანზიტით – ტრანსპორტირებაში, გატანაში ან შემოტანაში;

b) ოპიუმის ყაყაჩოს, კოკას ბუჩქის ან კანაფის პლანტაციის გაშენებაში;

c) ნარკოტიკული საშუალების ფლობაში ან ყიდვაში, რაც ჩადენილია ა) პუნქტით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელების მიზნით;

d) ძირითადი ნივთიერებების წარმოებაში, ტრანსპორტირებაში ან განაწილებაში, ჩადენილი იმის შეგნებით, რომ მათი მეშვეობით მოხდება ნარკოტიკების არალეგალური წარმოება ან არალეგალური დამზადება.

(2) 1-ლი აბზაცით გათვალისწინებული მოქმედებები არ ექვემდებარება ამ ჩარჩო- გადაწყვეტილების გამოყენების სფეროს, თუკი დამნაშავეებმა ისინი ნაციონალური სამართლის გაგებით მხოლოდ პირადი მოხმარებისათვის განახორციელეს.

მუხლი 3 წაქეზება, დახმარება და მცდელობა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა მე-2 მუხლში დასახელებული დანაშაულების წაქეზება და დახმარება, ასევე ამ დანაშაულების მცდელობით ჩადენა დასჯადობას ექვემდებარებოდეს.

(2) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, გაითვალისწინოს, რომ ნარკოტიკების შეთავაზების ან დამზადების მცდელობა მე-2 მუხლის 1-ლი აბზაცის a) პუნქტის, ასევე ნარკოტიკების შეძენის მცდელობა, მე-2 მუხლის 1-ლი აბზაცის c) პუნქტის შესაბამისად, დასჯადობას არ დაუქვემდებაროს.

მუხლი 4 სასჯელები

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალიწინებული დანაშაულების მიმართ ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების დაწესება.

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-2 მუხლში დასახელებულ დანაშაულებზე სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დაწესება, რომელიც განისაზღვრება მინიმუმ ერთიდან სამ წლამდე ვადით.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-2 მუხლის 1-ლი აბზაცის a), b) და c) პუნქტებში დასახელებულ დანაშაულებზე სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დაწესება, რომელიც განისაზღვრება მინიმუმ ხუთიდან ათ წლამდე ვადით, როცა ერთ-ერთი რომელიმე შემდეგი გარემოება არსებობს:

a) დანაშაული უკავშირდება ნარკოტიკების დიდ რაოდენობას;

b) დანაშაული უკავშირდება ჯანმრთელობისთვის ზიანის მიმყენებელ ნარკოტიკებს ან ასეთი ქმედებით მძიმე ზიანი მიადგა რამდენიმე პირის ჯანმრთელობას.

(3) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნ-

ველყოს მე-2 აბზაცით დასახელებულ დანაშაულებზე სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დაწესება, რომლის ვადა განისაზღვრება მინიმუმ ათი წლით, როცა დანაშაული ჩადენილია დანაშაულებრივი გაერთიანების ფარგლებში, ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობის დასჯადობის შესახებ 1998 წლის 21 დეკემბრის 98/733/JI ერთობლივი ღონისძიების გაგებით.

(4) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოს მე-2 მუხლის 1-ლი აბზაცის d) ქვეპუნქტში დასახელებულ დანაშაულებზე სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დაწესება, რომლის ვადა განისაზღვრება მინიმუმ ხუთიდან ათი წლამდე, როცა დანაშაული ჩადენილია დანაშაულებრივი. გაერთიანების ფარგლებში, ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობის დასჯადობის შესახებ 1998 წლის 21 დეკემბრის 98/733/JI ერთობლივი ღონისძიების გაგებით და თუკი ძირითადი ნივთიერებები ემსახურება ნარკოტიკის დამზადებას ან წარმოებას მე-2 აბზაცის a) ან b) პუნქტში დასახელებულ გარემოებებში.

(5) მსხვერპლის უფლებებისა და კეთილსინდისიერი სხვა მესამე პირების უფლებების დაურღვევლად, ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა შესაძლებელი გახდეს ნივთიერებების, რომლებიც წარმოადგენენ მე-2 და მე-3 მუხლებში დასახელებული დანაშაულებების საგანს, ასევე დანაშაულის იარაღების, რომლებიც გამოყენებულ იქნა დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად ან ამისთვის იყო გამიზნული, და დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ან იმ ქონებრივი ნივთების ჩამორთმევა, რომელთა ღირებულება შეესაბამება ამ შემოსავლების, ნივთიერებების ან დანაშაულის იარაღების ღირებულებას.

ცნებებს: „ჩამორთმევა", „დანაშაულის იარაღი", „შემოსავლები" და „ქონებრივი ნივთები" აქვთ იგივე მნიშვნელობა, როგორც ეს მოცემულია ფულის გათეთრების, დანაშაულიებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ ევროსაბჭოს 1990 წლის კონვენციის პირველ მუხლში.

მუხლი 5 განსაკუთრებული გარემოებები

მე-4 მუხლის დაურღვევლად, ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, მიიღოს აუცილებელი ღონისძიებები, რათა უზრუნველყოს მე-4 მუხლით გათვალისწინებული სასჯელების შემცირება, თუ:

a) დამნაშავე პირი უარს იტყვის თავის დანაშაულებრივ მოქმედებაზე ნარკოტიკებისა და ძირითადი ნივთიერებების არალეგალურად ვაჭრობის სფეროში;

b) ადმინისტრაციულ და იუსტიციურ ორგანოებს მიაწვდის ისეთ ინფორმაციებს, რომელთა მიღებაც სხვა გზით შეუძლებელი იქნებოდა, და ამ გზით მათ დაეხმარება, რაც გამოიხატა

i) დანაშაულით გამოწვეული შედეგების აღკვეთაში ან შემცირებაში,

ii) სხვა დამნაშავეთა გამოვლენაში ან მათი სასამართლოს წინაშე წარდგენაში,

iii) მტკიცებულებების მოპოვებაში, ან

iv) მე-2 და მე-3 მუხლების გაგებით შემდგომი დანაშაულების აღკვეთაში.

მუხლი 6 იურიდიული პირების პასუხისმგებლობა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა შესაძლებელი გახდეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობა მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების განხორციელების შემთხვევებში, რომლებიც იურიდიული პირის სასარგებლოდ ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელიც მოქმედებდა მარტო ან როგორც იურიდიული პირის

ორგანოს წევრი და რომელსაც წამყვანი პოზიციები ეკავა იურიდიული პირის შიგნით,

a) იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე, ან

b) უფლებამოსილება ჰქონდა, იურიდიული პირის სახელით მიეღო გადაწყვეტილება, ან

c) იურიდიული პირის შიგნით კონტროლის უფლებამოსილება ჰქონდა.

(2) პირველ აბზაცში გათვალისწინებულ შემთხვევებთან ერთად, ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა, როცა პირველ აბზაცში დასახელებული პირების მხრიდან არასაკმარისი ზედამხედველობის ან კონტროლის გამო ადგილი ექნება მათდამი დაქვემდებარებული პირის მიერ იურიდიული პირის სასარგებლოდ მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას.

(3) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა 1-ლი და მე-2 აბზაცის მიხედვით არ გამორიცხავს ფიზიკური პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას, თუკი ისინი მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში ამსრულებელი, წამქეზებელი ან დამხმარე არიან.

მუხლი 7 სანქციები იურიდიული პირების მიმართ

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა შესაძლებელი გახდეს მე-6 მუხლის 1-ლი აბზაცის გაგებით პასუხისგებაში მიცემული იურიდიული პირის მიმართ ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების გამოყენება, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე არასისხლისსამართლებრივი ფულადი სანქციები და სხვა სახის სანქციები, როგორიცაა, მაგალითად,

a) ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება საჯარო ფულადი დაფინანსებების ან დახმარებების შეწყვეტას;

b) ღონისძიებები, რომლებიც ეხება კომერციული საქმიანობის განხორციელების დროებით ან მუდმივად აკრძალვას;

c) სასამართლო ზედამხედველობა;

d) სასამართლო განკარგულებით იურიდიული პირის ლიკვიდაცია;

e) იმ ორგანიზაციების დროებითი ან მუდმივად დახურვა, რომლებიც გამოყენებულ იქნა დანაშაულის ჩასადენად;

f) მე-4 მუხლის მე-5 აბზაცთან შესაბამისობით, იმ ნივთიერებების ჩამორთმევა, რომლებიც წარმოადგენენ მე-2 და მე-3 მუხლებში დასახელებული დანაშაულების საგანს, ასევე დანაშაულის იარაღების, რომლებიც გამოყენებულ იქნა ამ დანაშაულებრივი ქმედებების ჩასადენად ან ამისთვის იყო განსაზღვრული, და ამ დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ან ქონებრივი ნივთების ჩამორთმევა, რომელთა ღირებულება შეესაბამება ამ შემოსავლების, ნივთიერებების ან დანაშაულის იარაღების ღირებულებას.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა მე-6 მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებულ შემთხვევებში უზრუნველყოფილი იქნეს იურიდიული პირების პასუხისმგებლობა, რა დროსაც შესაძლებელი უნდა იყოს ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების ან ღონისძიებების გამოყენება.

მუხლი 8 იურისდიქცია და სისხლისსამართლებრივი დევნა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა მისი იურისდიქცია მე-2 და მე-3 მუხლების მიხედვით აღწერილ იმ ქმედებებზე დასაბუთდეს, რომლებიც

a) ჩადენილია მთლიანად ან ნაწილობრივ მის სუვერენულ ტერიტორიაზე, ან

b) ჩადენილია მისი მოქალაქეს მიერ, ან

c) ჩადენილია იმ იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომელიც ამ წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე მდებარეობს.

(2) წევრ სახელმწიფოს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ ის სასამართლო კომპეტენციის შესახებ დებულებებს 1-ლი აბზაცის b) და c) პუნქტებში გათვალისწინებულ შემთხვევებში საერთოდ არ გამოიყენებს ან მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში ან განსაზღვრული გარემოებების არსებობისას გამოიყენებს, თუკი დანაშაული ჩადენილია მისი სუვერენული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

(3) წევრი სახელმწიფო, რომელიც თავისი სამართლებრივი დებულებების შესაბამისად საკუთარ მოქალაქეს არ გადასცემს, იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა თავისი იურისდიქცია მე-2 და მე-3 მუხლებში დასახელებულ დანაშაულებრივ ქმედებებთან მიმართებაში დაასაბუთოს და, საჭიროების შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს, თუკი დანაშაული საკუთარი მოქალაქის მიერ ჩადენილია თავისი სუვერენული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

(4) წევრი სახელმწიფოები საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და ევროკომისიას წერილობით ატყობინებენ, როცა ისინი გადაწყვეტენ მე-2 აბზაცის გამოყენების შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, იმავდროულად უთითებენ იმაზეც, თუ რომელ განსაზღვრულ შემთხვევებში ან რომელ გარემოებებში მოქმედებს ეს გადაწყვეტილება.

მუხლი 9 იმპლემენტაცია და მოხსენება

(1) წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა საჭირო ღონისძიებას, რათა ეს ჩარჩო- გადაწყვეტილება 2006 წლის 16 მაისამდე შესრულდეს.

(2) წევრი სახელმწიფოები ატყობინებენ საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და ევროკომისიას პირველ აბზაცში დასახელებულ ვადებში დებულებების ტექსტის შესახებ, რომლის მიხედვითაც მოხდა ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვადებულებების თავიანთ შიდასახელმწიფოებრივ სამართალში იმპლემენტაცია. კომისია 2009 წლის 12 მაისამდე წარუდგენს ევროპის პარლამენტსა და საბჭოს მოხსენებას, ჩარჩო გადაწყვეტილების იმპლემენტაციის შესახებ, მათ შორის, მის ზეგავლენაზე ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობის სფეროში იუსტიციურ თანამშრომლობაზე. საბჭო ექვსი თვის განმავლობაში ამოწმებს ამ ინფორმაციის საფუძველზე შედგენილ მოხსენებას, რამდენად მიიღეს წევრმა სახელმწიფოებმა აუცილებელი ღონისძიებები, ამ ჩარჩო გადაწყვეტილების შესასრულებლად.

მუხლი 10 მოქმედების სფერო

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება მოქმედებს გიბლატარზე.

მუხლი 11 ძალაში შესვლა

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღიდან.

11. კომპიუტერული დანაშაული

საბჭოს 2005 წლის 24 თებერვლის ჩარჩო-გადაწყვეტილება[1] ინფორმაციულ სისტემებზე თავდასხმის შესახებ

ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მიზანია ცალკეული სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაციის გზით ინფორმაციულ სისტემებზე თავდასხმების აღსაკვეთად წევრი სახელმწიფოების იუსტიციურ და სხვა უფლებამოსილ ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესება. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით ორგანიზებული დანაშაულის ფარგლებში, ხშირად ხორციელდება ინფორმაციულ სისტემებზე თავდასხმები და იზრდება ამგვარ სისტემებზე ტერორისტული თავდასხმების რისკი. ამით კი, საფრთხე ემუქრება საზოგადოების ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცის აშენების მიზანს. აღნიშნული საშიშროებების გადასალახავად, 2001 წლის 5 სექტემბერს ევროპულმა პარლამენტმა თავის გადაწყვეტილებაში მიუთითა ამ პრობლემისათვის პრაქტიკული დახმარების მხარდაჭერის აუცილებლობაზე. ამ მიზნით კი, 2005 წლის 24 თებერვალს ევროკავშირის საბჭომ, ევროპის კავშირის ხელშეკრულების, განსაკუთრებით 29-ე, 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილის a), 31-ე მუხლის 1-ლი ნაწილის e) და 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის b) პუნქტებზე დაყრდნობით, კომისიის ინიციატივით, ევროპარლამენტის მიერ პოზიციის[2] გამოხატვის შემდეგ, მიიღო წარმოდგენილი ჩარჩო-გადაწყვეტილება.

ჩარჩო გადაწყვეტილება იცავს ძირითად უფლებებს და პატივს სცემს იმ პრინციპებს, რომლებიც ევროპის კავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლითა და ევროპის კავშირის ძირითად უფლებათა ქარტიით, უპირველეს ყოვლისა, მისი მე-2 და მე-4 თავებით არის აღიარებული.

პრეამბულის გარდა, ჩარჩო-გადაწყვეტილება შედგება შემდეგი დებულებებისაგან:

მუხლი 1 ცნებების განსაზღვრებები

ამ ჩარჩო გადაწყვეტილების მიზნებისთვის, ქვემოთ ჩამოთვლილი ცნებები ნიშნავს:

a) „საინფორმაციო სისტემა“ – მოწყობილობა ან ჯგუფურად ერთმანეთთან დაკავშირებული ან ერთმანეთზე დამოკიდებული მოწყობილობები, რომლებიც ცალკეულ ან რამდენიმე პროგრამის საფუძველზე კომპიუტერულ მონაცემთა ავტომატურ გადამუშავებას ახორციელებენ, ასევე მისგან ან მათგან ოპერაციის გამოყენების, დაცვის და მოვლის მიზნით შენახული, გადამუშავებული ან გადატანილი კომპიუტერული მონაცემები;

b) „კომპიუტერული მონაცემები“ – ფაქტების, ინფორმაციის ან პროგრამის გამოსახვა, ინფორმაციულ სისტემაში გადამუშავებისთვის განკუთვნილი ფორმით, ისეთი პროგრამის ჩათვლით, რომელსაც ინფორმაციული სისტემის მეშვეობით ფუნქციების შესრულების მოქმედებაში მოყვანა შეუძლია;

c) „იურიდიული პირი“ – სამართლის ყველა ის სუბიექტი, რომელსაც ეს სტატუსი გააჩნია შესაბამის დროს მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის მიხედვით, სახელმწიფოების ან სხვა საჯარო სამართლის დაწესებულებების, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ სუვერენულ უფლებებს, და საჯარო სამართლებირივი საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა.

---

[1] ABl. L 69, 16. 03. 2005; ინგლისურ ენაზე 2005/222/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2005/222/JI.

[2] ABl. C 300 E, 11. 12. 2003.

d) „არაუფლებამოსილი მოქმედება“ – ისეთი შეღწევა ან თავდასხმა, რომელიც სისტემის ან სისტემის ნაწილის მესაკუთრის ან სხვა კანონიერად მფლობელის მიერ არ არის ნებადართული, ან ცალკეული სახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმების მიხედვით დაუშვებელია.

მუხლი 2 საინფორმაციო სისტემაში მართლსაწინააღმდეგო შეღწევა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ განზრახ და უფლებამოსილების გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ საინფორმაციო სისტემაში შეღწევა სულ მცირე დასჯადობას ექვემდებარებოდეს, თუკი მსუბუქი შემთხვევა არ არის სახეზე.

(2) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, გადაწყვიტოს, რომ პირველ აბზაცში დასახელებულ ქმედებებზე სანქციები იმ შემთხვევაში დააწესოს, თუკი ისინი შედეგია უსაფრთხოების ღონისძიებების დარღვევის.

მუხლი 3 საინფორმაციო სისტემის მართლსაწინააღმდეგო დაზიანება

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ უფლებამოსილების გარეშე, საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების განზრახ მძიმე შეფერხება ან ხელის შეშლა, კომპიუტერული მონაცემების შეტანის, გადაცემის, დაზიანების, წაშლის, დამახინჯების, შეცვლის, ჩახშობის ან მიუწვდომლად გახდომის გზით, დასჯადი გახადოს სულ მცირე მაშინ, თუკი მსუბუქი შემთხვევა არ არის სახეზე.

მუხლი 4 მონაცემების მართლსაწინააღმდეგო დაზიანება

ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ უფლებამოსილების გარეშე, საინფორმაციო სისტემის კომპიუტერული მონაცემების განზრახ წაშლა, დაზიანება, დამახინჯება, შეცვლა, ჩახშობა ან მიუწვდომლად გახდომა, დასჯადი გახადოს სულ მცირე მაშინ, თუკი მსუბუქი შემთხვევა არ არის სახეზე.

მუხლი 5 წაქეზება, დახმარება და მცდელობა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებში აღწერილი ქმედებების წაქეზება ან დახმარება დასჯადობას ექვემდებარებოდეს.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებში აღწერილი ქმედებების მცდელობა დასჯადობას ექვემდებარებოდეს.

(3) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, გადაწყვიტოს, რომ მე-2 აბზაცს მე-2 მუხლში დასახელებულ დანაშაულებზე არ გამოიყენებს.

მუხლი 6 სანქციები

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებში დასახელებული დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ ეფექტური, თანაზომიერი და მკაცრი სანქციები მოქმედებდეს.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მე-3 და მე-4 მუხლებში დასახელებული ქმედებები თავისუფლების აღკვეთით სულ მცირე ერთიდან სამ წლამდე ისჯებოდნენ.

მუხლი 7 დამამძიმებელი გარემოებები

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით, ასევე მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები თავისუფლების აღკვეთით სულ მცირე ორიდან ხუთ წლამდე ისჯებოდეს, თუკი ისინი, 98/733/JI ერთობლივი ღონისძიების გაგებით, ჩადენილ იქნა დანაშაულებრივი გაერთიანების ფარგლებში, იქ გათვალისწინებული სასჯელის ზომისგან დამოუკიდებლად.

(2) ყოველ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, პირველ ნაწილში დასახელებული ღონისძიებები მაშინ მიიღოს, როცა დანაშაულმა მძიმე შედეგი გამოიწვია ან არსებითად ხელყო ინტერესები.

მუხლი 8 იურიდიული პირების პასუხისმგებლობა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა შესაძლებელი გახდეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობა მე-2, მე-3 მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების განხორციელების შემთხვევებში, რომლებიც იურიდიული პირის სასარგებლოდ ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელიც მოქმედებდა მარტო ან როგორც იურიდიული პირის ორგანოს წევრი და რომელსაც წამყვანი პოზიციები ეკავა იურიდიული პირის შიგნით,

a) იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე, ან

b) უფლებამოსილება ჰქონდა იურიდიული პირის სახელით მიეღო გადაწყვეტილება, ან

c) იურიდიული პირის შიგნით კონტროლის უფლებამოსილება ჰქონდა.

(2) პირველ აბზაცში უკვე გათვალისწინებულ შემთხვევებთან ერთად, ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა, როცა პირველ აბზაცში დასახელებული პირების მხრიდან არასაკმარისი ზედამხედველობის ან კონტროლის გამო ადგილი ექნება მათდამი დაქვემდებარებული პირის მიერ იურიდიული პირის სასარგებლოდ მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას.

(3) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა 1-ლი და მე-2 აბზაცის მიხედვით არ გამორიცხავს ფიზიკური პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას, თუკი ისინი მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში ამსრულებელი, წამქეზებელი ან დამხმარე არიან.

მუხლი 9 სანქციები იურიდიული პირების მიმართ

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა შესაძლებელი გახდეს მე-6 მუხლის პირველი აბზაცის გაგებით პასუხისგებაში მიცემული იურიდიული პირის მიმართ ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციების გამოყენება, რომლებიც შეიძლება იყოს როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე არასისხლისსამართლებრივი ფულადი სანქციები და სხვა სახის სანქციები, როგორიცაა, მაგალითად,

a) ღონისძიებები, რომლებიც უკავშირდება საჯარო ფულადი დაფინანსებების ან დახმარებების შეწყვეტას;

b) ღონისძიებები, რომლებიც ეხება სავაჭრო საქმიანობის განხორციელების დროებით ან მუდმივ აკრძალვას;

c) სასამართლო ზედამხედველობა;

d) სასამართლო განკარგულებით იურიდიული პირის ლიკვიდაცია.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა მე-8 მუხლის მე-2 აბზაცის გათვალისწინებულ შემთხვევებში უზრუნველყოფილ იქნეს იურიდიული პირების პასუხისმგებლობა, რა დროსაც შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ეფექტური, თანაზომიერი და დამაშინებელი სანქციები ან ღონისძიებები.

მუხლი 10 სასამართლოს განსჯადობა

(1) ყოველი წევრი სახელმწიფო თავის სასამართლო განსჯადობას აფუძნებს მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლის მიხედვით იმ ქმედებებზე, რომლებიც

a) ჩადენილია მთლიანად ან ნაწილობრივ მის სუვერენულ ტერიტორიაზე ან

b) ჩადენილია ამ სახელმწიფოს მოქალაქეს მიერ ან

c) ჩადენელია იმ იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომელიც ამ წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე მდებარეობს.

(2) თავინათი განსჯადობის დასასაბუთებლად, 1-ლი ნაწილის a) პუნქტის შესაბამისად, ყოველი წევრი სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ განსჯადობა, აგრეთვე იმ შემთხვევებზეც გავრცელდეს იმ შემთხვევებზე,

ა) როცა დამნაშავემ დანაშაული ჩაიდინა იმ დროს, როცა იგი ფიზიკურად ამ წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე იმყოფებოდა, დამოუკიდებლად იმისგან, მიმართულია თუ არა დანაშაული თავის სუვერენულ ტერიტორიაზე არსებული საინფორმაციო სისტემის წინააღმდეგ, ან

ბ) როცა დანაშაული მიმართულია მის სუვერენულ ტერიტორიაზე არსებული საინფორმაციო სისტემის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, დამნაშავე დანაშაულის ჩადენის დროს ფიზიკურად იმყოფება თუ არა ამ სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე.

(3) წევრი სახელმწიფო, რომელიც თავისი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე ჯერ კიდევ არ ახდენს საკუთარ მოქალაქის ექსტრადიციას ან გადაცემას, იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებში დასახელებულ დანაშაულებზე თავისი სასამართლო განსჯადობა განახორციელოს და, საჭიროების შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს, თუ ეს ქმედებები თავისი სახელმწიფოს სუვერენული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მისი მოქალაქის მიერ არის ჩადენილი.

(4) თუკი დანაშაულზე რამდენიმე წევრი სახელმწიფოს სასამართლო განსჯადობა ვრცელდება და თითოეულ ამ სახელმწიფოს აქვს ერთი და იმავე საქმის გარემოებების საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლებამოსილება, მაშინ ეს წევრი სახელმწიფოები ერთად იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი განახორციელებს დამნაშავის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას, რათა შესაძლებისდაგვარად პროცესის კონცეტრაცია ერთ რომელიმე წევრ სახელმწიფოში მოხდეს. ამ მიზნით, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ, ევროკავშირის დონეზე ნებისმიერ დაწესებულებას ან ნებისმიერ მექანიზმს მიმართონ, რათა ერთობლივი თანამშრომლობა იუსტიციურ ორგანოებს შორის და ღონისძიებების კოორდინირებული განხორციელება გამარტივდეს. ქვემოთ მოცემულ გარემოებებს ანგარიში უნდა გაეწიოს შემდეგი თანმიმდევრობით, როცა

– საქმე ეხება წევრ სახელმწიფოს, რომლის სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე ჩადენილ იქნა დანაშაული, 1-ლი აბზაცის a) პუნქტისა და მე-2 აბზაცის შესაბამისად;

– საქმე ეხება წევრ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეც არის დამნაშავე;

– საქმე ეხება წევრ სახელმწიფოს, სადაც დამნაშავე იქნა დაკავებული.

(5) წევრ სახელმწიფოს შეუძლია გადაწყვიტოს, 1-ლი აბზაცის b) და c) პუნქტების

შესაბამისი განსჯადობის რეგულირების წესი საერთოდ არ გამოიყენოს ან მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში ან განსაზღვრული გარემოებების არსებობისას გამოიყენოს.

(6) თუკი წევრი სახელმწიფოები გადაწყვეტენ მე-5 აბზაცის გამოყენებას, მაშინ ისინი აცნობებენ აღნიშნულის შესახებ საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და კომისიას და ამავე დროს ატყობინებენ, თუ რომელ სპეციალურ შემთხვევებში ან რომელ განსაზღვრულ გარემოებებში მოქმედებს გადაწყეტილება.

მუხლი 11 ინფორმაციის გაცვლა

(1) მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებში დასახელებული დანაშაულების შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნებისათვის და მონაცემთა დაცვის შესახებ დებულებების შესაბამისად, წევრი სახელმწიფოები იყენებენ ოპერატიული საკონტაქტო ორგანოების არსებულ ქსელს, რომლებიც დღე-ღამის განმავლობაში და კვირაში 7 დღის განმავლობაში ხელმისაწდომია.

(2) ყოველი წევრი სახელმწიფო საბჭოს გენერალ სამდივნოსა და კომისიას აცნობებს, თუ რომელი საკონტაქტო ორგანო დაასახელა დანაშაულების შესახებ ინფორმაციის გაცვლისათვის, რაც დაკავშირებულია ინფორმაციულ სისტემებზე თავდასხმასთან. გენერალური სამდივნო ამ ინფორმაციას გადაუგზავნის დანარჩენ წევრ სახელმწიფოებს.

მუხლი 12 იმპლემენტაცია

(1) წევრი სახელმწიფოები იღებენ აუცილებელ ღონისძიებებს, რათა ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება 2007 წლის 16 მარტამდე შესრულდეს.

(2) წევრი სახლემწიფოები საბჭოს გენერალ სამდივნოსა და კომისიას 2007 წლის 16 მარტამდე გადასცემენ დებულებების ტექსტს, რომლის მიხედვითაც მოხდა ამ ჩარჩო გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვადებულებების თავიანთ შიდასახელმწიფოებრივ სამართალში იმპლემენტაცია. საბჭო 2007 წლის 16 სექტემბრამდე ამ ინფორმაციის საფუძველზე შედგენილი მოხსენებისა და კომისიის წერილობითი მოხსენების მეშვეობით ამოწმებს, თუ რამდენად მიიღეს წევრმა სახელმწიფოებმა აუცილებელი ღონისძიებები ამ ჩარჩო გადაწყვეტილების შესასრულებლად.

მუხლი 13 ძალაში შესვლა

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღეს.

12. რასიზმი და ქსენოფობია

საბჭოს 1996 წლის 15 ივლისის ერთობლივი ღონისძიება[1] რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

(მიღებულია ევროკავშირის ხელშეკრულების K.3 მუხლის საფუძველზე)

ერთობლივი ღონისძიება, რომელიც უკავშირდება რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლას, ევროკავშირის საბჭომ ესპანეთის სამეფოს ინიციატივით მიიღო. აღნიშნულით იგი მხედველობაში იღებს რასიზმისა და ქსენოფობიასთან დაკავშირებულ იმ დასკვნით დებულებებს, რომლებიც ევროპის კავშირის საბჭომ 1994 წლის 24 და 25 ივნისს კორ-

[1] ABl. L 185, 24. 07. 1996; ინგლისურ ენაზე 96/443/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 96/443/JI.

ფუში, 1994 წლის 9 და 10 დეკემბერს ესენში, 1995 წლის 26 და 27 ივნისს კანში და 1995 წლის 15 და 16 დეკემბერს მადრიდში თავის სხდომებზე მიიღო. მიუხედავად წევრი სახელმწიფოების ბოლო წლებში განხორციელებული ძალისხმევისა, რასისტული და ქსენოფობიური ხასიათით ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი კიდევ უფრო იზრდება, რის გამოც, აუცილებელია, ამ კუთხით, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, რათა თავიდან იქნეს აცილებული რასისტული და ქსენოფობიური ქმედებების განხორციელება. იმაზე მითითებით, რომ გამოხატვის თავისუფლება მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს მოიცავს, განსაკუთრებით კი, სხვების უფლებების პატივისცემის მოვალეობას, როგორც ეს გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების 1966 წლის 19 დეკემბრის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით, ევროკავშირის საბჭომ 1996 წლის 15 ივლისს მიიღო ერთობლივი ღონისძიება, რითაც გაგრძელდა 1994 წლიდან ხელშეკრულების VI სათაურის ფარგლებში დაწყებული მუშაობა რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ერთობლივი ღონისძიების

I სათაური

A. რასიზმისა და ქსენოფობიის წინააღმდეგ უკეთესი ბრძოლის მიზნით, ყოველი წევრი სახელმწიფო ვალდებულია, მე-2 სათაურით გათვალისწინებული პროცესის თანახმად, ეფექტური იუსტიციური თანამშრომლობა აწარმოოს იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომლებიც ქვემოთ წარმოდგენილ ქმედებებს ეფუძნება, ასევე – თუ ამ თანამშრომლობის მიზნებისთვის აუცილებელია – ეს ქმედებები ან სისხლისსამართლებრივ დასჯადობას დაუქვემდებაროს ან როცა ის ამას არ აკეთებს, ამ ქმედებების განხორციელების შემთხვევაში აუცილებელი დებულებების სავარაუდო მიღებამდე ორმხრივი დასჯადობის პრინციპზე უარი განაცხადოს; ეს ქმედებებია:

a) საჯარო მოწოდება დისკრიმინაციის, ძალადობის ან რასობრივი სიძულვილისაკენ, ჩადენილი კანის ფერის, რასის, რელიგიის ან ნაციონალური ან ეთნიკური წარმოშობით განსაზღვრული ჯგუფის ან ამგვარი ჯგუფის წევრის წინააღმდეგ;

b) საჯაროდ, რასისზმისა და ქსენოფობიის მიზანდასახულობით ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის, ასევე ადამიანის უფლებების დარღვევების ფაქტების დაცვა;

c) დანაშაულების საჯარო უარყოფა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის სტატუტის მე-6 მუხლის გაგებით, რომელიც წარმოადგენს 1945 წლის 8 აგვისტოს ლონდონის შეთანხმების დანართს, თუკი იგი მოიცავს ქმედებებს, რომლებიც კანის ფერის, რასის, რასის, რელიგიის ან ნაციონალური ან ეთნიკური წარმოშობით განსაზღვრული ჯგუფის მიმართ ზიზღს გამოხატავს ან ამგვარ ჯგუფს ამცირებს;

d) რასისტული ან ქსენოფობიური შინაარსის შემცველი ლიტერატურის, ასევე სურათებისა და მსგავსი მასალის საჯაროდ გადაცემა და გავრცელება;

e) იმ ჯგუფებში, ორგანიზაციებში ან გაერთიანებაში მონაწილეობა, საიდანაც მომდინარეობს დისკრიმინაცია, ძალადობა და რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური ზიზღი.

B. დანაშაულების გამოძიებისას ან/და დევნის განხორციელებისას, რომლებიც A ნაწილში მოცემულ ქმედებებს ეფუძნება, ყოველი წევრი სახელმწიფო, II სათაურის შესაბამისად, აუმჯობესებს იუსტიციურ თანამშრომლობას შემდეგ სფეროებში და იღებს ჯეროვან ღონისძიებებს იმისათვის, რათა მოხდეს;

a) რასისტული ან ქსენოფობიური შინაარსის შემცველი ლიტერატურის, ასევე სუ-

რათებისა და მსგავსი მასალის დაყადაღება ან ჩამორთმევა, რომლებიც განსაზღვრულია მათი საჯარო გავრცელებისთვის, როგორც კი აღნიშნული ნაწარმოებები წევრი სახელმწიფოს სუვერენულ ტერიტორიაზე საზოგადოებისთვის იქნება შეთავაზებული;

b) იმ პრინციპის აღიარება, რომ A სათაურში დასახელებულ ქმედებებს პოლიტიკური დანაშაულის კლასიფიკაცია არ უნდამიეცეს, რითაც შესაძლებელი გახდებოდა სამართლებრივი დახმარების თხოვნაზე უარის თქმა;

c) სხვა წევრი სახელმწიფოსათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რითაც მას თავისი სამართლებრივი ნორმების შესაბამისად დევნის ან ჩამორთმევის ღონისძიების განხორციელება იმ შემთხვევებში შეეძლება, როცა წევრ სახელმწიფოში რასისტული ან ქსენოფობიური შინაარსის შემცველი ლიტერატურა ან სურათები და მსგავსი მასალა სხვა წევრ სახელმწიფოში საჯაროდ დისტრიბუციის ან მისი განაწილების მიზნით ინახება;

d) წევრ სახელმწიფოებში საკონტაქტო ორგანოების მოწყობა, რომლის ამოცანა იქნება ინფორმაციების მიღება და გაცვლა, რომლებიც საჭიროა გამოძიებისა და დევნის განხორციელებისთვის და რომლებიც A ნაწილში დასახელებულ ქმედებებს ეფუძნება.

C. ერთობლივი ღონისძიების არცერთი განსაზღვრება არ შეიძლება განმარტებულ იქნეს ისე, რომ თითქოს იგი ეხებოდეს წევრი სახელმწიფოების ამა თუ იმ ვალდებულებას, რომელიც ქვემოთ მოცემული საერთაშორისო შეთანხმებებიდან, რეზოლუციებიდან ან გადაწყვეტილებებიდან გამომდინარებს. წევრი სახელმწიფოები ახორციელებენ ამ ერთობლივ ღონისძიებას ასეთი ვალდებულებების შესაბამისად და მიუთითებენ შემდეგი სამართლებრივი აქტებით მოცემულ განმარტებებზე და პრინციპებზე:

– ადამიანის უფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნოემბრის ევროპული კონვენცია;

– ლტოლვილთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ 1951 წლის 28 ივლისის კონვენცია, ნიუ-იორკის 1967 წლის ოქმით შეცვლილი რედაქციით;

– გაეროს 1948 წლის 9 დეკემბრის კონვენცია გენოციდის აღკვეთისა და დასჯადობის შესახებ;

– რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ 1966 წლის 7 მარტის საერთაშორისო კონვენცია;

– ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციები და მისი 1977 წლის 12 დეკემბრის 1-ლი და მე-2 დამატებითი ოქმები;

– გაეროს უშიშროების საბჭოს 827(93) და 955(94) რეზოლუციები;

– საბჭოს 1995 წლის 23 ნოემბერის გადაწყვეტილება საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში მოწმის დაცვის შესახებ[1], A ნაწილში დასახელებული ქმედებების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების დროს, თუ მოწმე სხვა წევრ სახელმწიფოშია გამოძახებული.

II სათაური

ყოველი წევრი სახელმწიფო წარადგენს ამ ერთობლივი ღონისძიების განხორციელებისათვის შესაბამის წინადადებებს, რომლებიც მისი მიღებისას მოწმდება უფლებამოსილი მოხელეების მიერ.

საბჭო 1998 წლის ივნისის ბოლომდე აფასებს, თუ რამდენად შეასრულეს წევრმა

[1] ABl. C 327, 7. 12. 1995.

სახელმწიფოებმა ამ ერთობლივი ღონისძიებიდან გამომდინარე საკუთარი ვალდებულებები და, ამასთან ითვალისწინებს დანართში მოცემულ განმარტებებს.

ეს ერთობლივი ღონისძიება და დანართში მოცემული განმარტებები, რომლებიც მიღებულია საბჭოს მიერ და სხვა წევრი სახელმწიფოების მიერ ამ ერთობლივი ღონისძიების განხორციელებას არ უკავშირდება, გარდა ამ განმარტებებთან შემხებლობაში მყოფი წევრი სახელმწიფოებისა, ქვეყნდება ოფიციალურ ჟურნალში.

II დანაშაულის მსხვერპლის დაცვა

მსხვერპლის სტატუსს სისხლის სამართლის წარმოებაში ეხება ევროკავშირის ჩარჩო-გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულია ევროპის კავშირის საბჭოს მიერ 2001 წლის 15 მარტს, მას შემდეგ, რაც 2000 წლის 12 დეკემბერს ამის შესახებ თავისი პოზიცია გამოხატა ევროპარლამენტმა. ინიციატივა ეკუთვნის პორტუგალიის რესპუბლიკას. წარმოდგენილ ჩარჩო-გადაწყვეტილებაში განსაზღრულია მსხვერპლის სამართლებრივი სტატუსი სისხლის სამართლის პროცესში.

ჯერ კიდევ 1999 წელს საპარლამენტო კომისიამ ევროპარლამენტს წარუდგინა ინფორმაცია სათაურით: „დანაშაულის მსხვერპლნი ევროკავშირში: მსჯელობის პრინციპები და ღონისძიებები“, რაც შემდგომში პარლამენტმა მოიწონა და მიიღო კიდეც.

ჩარჩო-გადაწყვეტილებით, წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები დანაშაულის მსხვერპლთა დასახმარებლად, იზრუნონ მათ ხელშეუხებლობაზე, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იმყოფება მსხვერპლი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ასეთი პირების ინტერესი დაცული და გარანტირებული უნდა იყოს არა მარტო სამართალწარმოების პროცესში, არამედ მისი დასრულების შემდეგაც. გასატარებელ ღონისძიებებში მოიაზრება მსხვერპლისათვის ფართო უფლებების მინიჭება, მისი პატივისა და ღირსების დაცვა, ასევე უფლება, მიიღოს ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია, მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება, სამართალწარმოების ნებისმიერ პროცესში მოითხოვოს დაცვა, მიუხედავად იმისა, ევროკავშირის თუ რომელ ქვეყანაში იმყოფება ეს პირი. გარდა ამისა, აღნიშნული გადაწყვეტილება ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს იმ პირების სპეციალურ განათლებას, რომლებიც საკუთარ თავზე იღებენ მსხვრეპლთა დაცვას. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ამ მიზნების განსახორციელებლად წევრ სახელმწიფოებში არასახელმწიფოებრივი სპეციალური დაწესებულების შექმნა, რომელიც მსხვერპლთა უფლებებს დაიცავდა და მათზე იზრუნვებდა. მსგავსი ორგანო შეიძლება დაფუძნდეს, ასევე იუსტიციის სისტემაშიც.

ჩარჩო-გადაწყვეტილების თანახმად, ყოველი წევრი სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს მსხვერპლის უფლებების დაცვა სამართალწარმოების პროცესში, განსაკუთრებული ზომები კი უნდა გაატაროს იმის მიმართ, ვინც გარკვეული საფრთხის ქვეშ იმყოფება. გარდა ამისა, მსხვერპლს უფლება ეძლევა, თავისუფლად მიიღოს ნებისმიერი მტკიცებულება, ხოლო, თავის მხრივ, საჯარო მოხელე ვალდებულია, დანაშაულის მსხვერპლი მხოლოდ საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებზე დაკითხოს.

წევრი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, მსხვერპლს მიაწოდონ ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის მიღების შესაძლებლობა მათ სამართალწარმოების პროცესში აქვთ და დაცვის მხარისათვის მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს. ასეთი ინფორმაცია შეიძლება

მოიპოვებოდეს სამსახურსა და ორგანიზაციაში, რომელთაც მსხვერპლმა დასახმარებლად მიმართა. დახმარება შეიძლება, გამოიხატოს, ასევე საჩივრის შედგენასა და მის მიღებაში პროცესის შემდგომ ეტაპზე მსხვერპლის როლის გათვალისწინებით, ასევე აუცილებელია, ყველა წინაპირობა იქნეს მხედველობაში მიღებული, რომელსაც დაცვაზე გავლენის მოხდენა შეუძლია. ინფორმაციის მიღება, აგრეთვე გულისხმობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ნებისმიერ დაზარალებულს უფლება აქვს, მიიღოს სამართლებრივი რჩევები, ისარგებლოს დაცვის უფლებით, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. განსაკუთრებული ზომებია გასატარებელი მათ მიმართ, რომელთაც საცხოვრებელი ადგილი სხვა სახელმწიფოში აქვთ და სარჩელს სხვა სახელმწიფოში აღძრავენ.

წევრი სახელმწიფოები, ასევე უზრუნველყოფენ, მსხვერპლს სურვილისამებრ მიეწოდოს ინფორმაცია: ა) მის საჩივართან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ; ბ) იმ პირების შესახებ, რომელთა წინააღმდეგაც მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ ინფორმაციის გახმაურებამ შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვიოს; გ) სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ.

გარდა ამისა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, მსხვერპლს დროულად შეატყობინონ იმ პირების შესახებ, რომლებიც პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდნენ ან მათ მიმართ სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა.

ჩარჩო-გადაწყვეტილებით, მსხვერპლს, მოწმეს ან სხვა პირს, ცალკეული სახელმწიფოების მოქმედი კანონმდებლობით, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს პროცესის ხარჯების ანაზღაურება. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ნებისმიერი სახელმწიფო ვალდებულია, ასევე ყველანაირი ზომები გაატაროს იმ პირებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ, რომელთაც დანაშაულის შედეგად ზიანი მიადგათ, უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება და პირადი ხელშეუხებლობა. ცალკეულ შემთხვევებში, პროცესის მწარმოებელი ორგანო უფლებამოსილია, გარკვეული ღონისძიებები გაატაროს იმ მიზნით, რათა დაცულ იქნეს მსხვერპლი და მისი ოჯახის წევრები ფოტოგადაღებებისა და სხვათა უკანონო თვალთვალისაგან.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი გადაწყვეტილებით მსხვერპლს ფართო უფლებამოსილება ენიჭება. კერძოდ, მას შეუძლია, მოითხოვოს ყოველგვარი ზიანის ანაზღაურება, რაც დანაშაულის შედეგად მიადგა, ასევე სამართალწარმოების პროცესში ხელშეუხებელი და დაცულია მსხვერპლის საკუთრება, დაცულია, ასევე იმ პირთა უფლებებიც, რომლებსაც მუდმივი საცხოვრებელი ადგილი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე აქვთ, თავად კი, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღმოჩნდებიან დანაშაულის მსხვერპლი.

ჩარჩო-გადაწყვეტილებით, სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან, მსხვერპლთა დახმარების მიზნით, ხელი შეუწყონ მათთვის სპეციალური დაწესებულების გახსნას, სადაც ნებისმიერ დანაშაულის მსხვერპლს სამართლებრივ თუ ინფორმაციულ დახმარებას გაუწევენ საქმის წარმოების მთელ პროცესში, ასევე სახელმწიფოები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ იმ პირების განათლებას, რომლებიც მსგავსი ტიპის დაწესებულებებში იმუშავებენ და გარკვეული შეხება ექნებათ მსხვერპლთან.

საბჭოს 2001 წლის 15 მარტის ჩარჩო გადაწყვეტილება[1] სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლის სტატუსის შესახებ

პრეამბულის გარდა, ჩარჩო-გადაწყვეტილება შედგება შემდეგი დებულებებისაგან:

მუხლი 1 ცნებების განსაზღვრებები

ამ ჩარჩო გადაწყვეტილების გაგებით, ტერმინები აღნიშნავენ შემდეგს:

a) „მსხვერპლი" – ფიზიკური პირი, რომელსაც მიადგა ზიანი, განსაკუთრებით კი მისი სხეულის ან სულიერ მთლიანობას, რაც გამოიხატა სულიერ ტანჯვაში ან ეკონომიკურ დანაკარგში, როგორც მოქმედების ან უმოქმედობის პირდაპირი შედეგი, რომელიც წარმოადგენს წევრ სახელმწიფოში სისხლისსამართლებრივ დარღვევას;

b) „მსხვერპლზე ზრუნვის ორგანიზაცია" – წევრ სახელმწიფოში მართლზომიერად შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დანაშაულთა მსხვერპლს უწევს უსასყიდლოდ და შესაბამისი პირობებით დახმარებას, რაც ავსებს სახელმწიფო საქმიანობას ამ სფეროში;

c) „სისხლის სამართლის პროცესი" – სისხლისსამართლებრივი წარმოება ცალკეული სახელმწიფოების მოქმედი სამართლის გაგებით;

d) „პროცესი" – პროცესი ფართო გაგებით, რომელიც, სისხლისსამართლებრივი პროცესის გარდა, მოიცავს ყველა სხვა ურთიერთობას, რომელიც არსებობს მსხვერპლსა და უწყებებს, საჯარო დაწესებულებებს ან მსხვერპლისადმი მზრუნველობის გამწევ ორგანიზაციებს შორის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის წარმოების დაწყებამდე, ისე წარმოების დროს ან მისი დასრულების შემდეგ;

e) „მორიგება სისხლის სამართლის საქმეებში" – სისხლის სამართლის პროცესის წარმოების დაწყებამდე ან მისი მიმდინარეობისას გატარებული ღონისძიება, რათა კომპეტენტური პირის შუამავლობის მეშვეობით მოხდეს მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის შეთანხმება.

მუხლი 2 პატივისცემა და აღიარება

(1) წევრი სახელმწიფოები ზრუნავენ იმაზე, რომ თავიანთ სისხლისსამართლებრივ სისტემებში მსხვერპლი რეალურად და სათანადოთ იქნეს ანგარიშგაწეული. ისინი მთელი ძალისხმევით ზრუნავენ, ასევე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამართალწარმოების პროცესში მსხვერპლის პირადი ღირსების პატივისცემა და მოხდეს მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღიარება, განსაკუთრებით კი, სისხლისსამართლებრივი პროცესის ფარგლებში.

(2) წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რათა განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ მყოფი მსხვერპლი თავის სიტუაციასთან ყველაზე უფრო შესაბამის სპეციფიკურ მოპყრობას განიცდიდეს.

მუხლი 3 დაკითხვა და მტკიცებულებების შეგროვება

წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ მსხვერპლს ჰქონდეს სამართლიანი პროცესის უფლება და შეძლოს მტკიცებულებების წარდგენა.

---

[1] ABl. L 82, 22. 03. 2001; ინგლისურ ენაზე 2001/220/JHA, ხოლო გერმანულ ენაზე – 2001/220/JI.

წევრი სახელმწიფოები ატარებენ ჯეროვან ღონისძიებებს, რათა მათმა უწყებებმა მსხვერპლი მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესისთვის აუცილებელ ფარგლებში გამოკითხონ.

მუხლი 4 ინფორმაციის მიღების უფლება

(1) წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ მსხვერპლს, განსაკუთრებით სისხლის სამართლის დევნის განმახორციელებელ ორგანოებთან პირველივე კონტაქტიდან, იმ საშუალებების მეშვეობით, რომლებსაც ისინი საჭიროდ თვლიან და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, გასაგებ ენაზე, ხელი მიუწვდებოდეს თავისი ინტერესების დაცვისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციებზე. ამ შემთხვევაში საქმე ეხება მინიმუმ შემდეგ მონაცემებს:

a) სამსახურები ან ორგანიზაციები, რომელთაც მსხვერპლმა შესაძლოა, მიმართოს დასახმარებლად;

b) დახმარების სახე, რომელიც შეიძლება მსხვერპლმა მიიღოს,

c) ადგილი, სადაც შეიძლება საჩივრის შეტანა და საჩივრის შეტანის ფორმა,

d) საჩივრის შეტანის შემდგომი პროცესის მიმდინარეობა და მასთან დაკავშირებული მსხვერპლის უფლებები,

e) წინაპირობები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია დაცვის მიღება და მისი მიღების აუცილებელი მეთოდი,

f) ინფორმირება იმის შესახებ, თუ რა ფარგლებში ან წინაპირობებით აქვს მსხვერპლს უფლება, მიიღოს:

i) სამართლებრივი კონსულტაცია,

ii) სამართლებრივი დახმარება,

iii) ნებისმიერი სხვა სახის რჩევა, თუკი მსხვერპლს i) და ii) ქვეპუნქტებში დასახელებული მომსახურებების მიღების უფლება აქვს,

g) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა,

h) განსაკუთრებული მექანიზმები, რომლებიც მსხვერპლმა თავისი ინტერესების დასაცავად შეიძლება გამოიყენოს, თუ მას საცხოვრებელი ადგილი სხვა სახელმწიფოში აქვს.

(2) წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რათა მსხვერპლს სურვილისამებრ მიეწოდოს ინფორმაცია, რომელიც ეხება:

a) მისი საჩივრის საფუძველზე მიღებულ ღონისძიებებს;

b) იმ მნიშვნელოვან ელემენტებს, რომლებიც სისხლისსამართლებრივი დევნის შემთხვევაში შესაძლებლობას აძლევს წევრ სახელმწიფოებს სისხლის სამართალწარმოება წარიმართოს იმ პირების წინააღმდეგ, რომლებმაც მსხვრეპლის მიმართ დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობა განახორციელეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმის მასალების განხილვამ შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვიოს;

c) სასამართლო გადაწყვეტილებას.

(3) წევრი სახელმწიფოები იღებენ აუცილებელ ღონისძიებებს, რათა მინიმუმ იმ შემთხვევებში, როცა მსხვერპლს საფრთხე ემუქრება, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნეს მისთვის დროული შეტყობინება იმ პირების შესახებ, რომლებიც პასუხისმგებლობის ან სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდებიან.

(4) თუკი წევრი სახელმწიფო, თავის მხრივ, არის მე-2 და მე-3 აბზაცების თანახმად ინფორმაციების მიმწოდებელი, მაშინ მან უნდა მისცეს მსხვერპლს გარანტია, რომ იგი უარს იტყვის ამ ინფორმაციის მიღებაზე, თუ ამ ინფორმაციის შეტყობინება გამოსაყენებელი სისხლის სამართლის პროცესით არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 5 კომუნიკაციის გარანტია

წევრი სახელმწიფოები ატარებენ საჭირო ღონისძიებებს, რათა რაც შეიძლება შეზღუდონ კომუნიკაციების სიძნელეები, რომლებიც ხელს უშლის პროცესში მოწმის ან მხარის სახით მონაწილე მსხვერპლის გაგებას შესაბამისი სისხლის სამართლის პროცესის მნიშვნელოვან ეტაპებზე და ამით მათ მონაწილეობას ზიანს აყენებენ. წევრი სახელმწიფოები ატარებენ იმავე ღონისძიებებს, რაც გამოიყენება ბრალდებულების მიმართ.

მუხლი 6 მსხვერპლისადმი სპეციალური მხარდაჭერა

წევრი სახელმწიფოები შემდგომში უზრუნველყოფენ, რომ მსხვერპლს, საჭიროების შემთხვევაში, უფასოდ გაეწიოს კონსულტაცია მე-4 მუხლის 1-ლი აბზაცის f) პუნქტის iii) ქვეპუნქტის გაგებით, რაც დაკავშირებულია მის უფლებებთან სამართალწარმოების პროცესში და, საჭიროების შემთხვევაში, ასევე უფასოდ მიიღოს სამართლებრივი დახმარება მე-4 მუხლის პირველი აბზაცის f) პუნქტის ii) ქვეპუნქტის გაგებით, როცა მას შეუძლია სისხლის სამართლის პროცესში გამოვიდეს, როგორც მხარე.

მუხლი 7 მსხვერპლის ხარჯები სისხლის სამართლის პროცესში

წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ მსხვერპლს, რომელიც მოწმე ან მხარეა, ცალკეული წევრი სახელმწიფოების მოქმედი დებულებების შესაბამისად, მიეცეს იმ ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობა, რომლებიც წარმოიშვა სისხლის სამართლის პროცესში მისი მონაწილეობის შედეგად.

მუხლი 8 დაცვის უფლება

(1) წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მსხვერპლის და, საჭიროების შემთხვევაში, მათი ოჯახის წევრების ან მათთან გათანაბრებული პირების, განსაკუთრებით, მათი პერსონალური უსაფრთხოებისა და პირადი სფეროს დაცვის გათვალისწინებით, შესაბამის დაცვას, თუკი კომპეტენტური უწყებების შეხედულებით, არსებობს აღნიშნულ პირებზე შურისძიების მიზნით თავდასხმის საშიშროება ან თუ არსებობს დამადასტურებელი მტკიცებულება იმისა, რომ მოხდება მათი პირადი სფეროს მძიმე და მიზანმიმართული ხელყოფა.

(2) ამ მიზნის მისაღწევად და მე-4 მუხლის დაურღვეველად, წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ აუცილებლობის შემთხვევაში სასამართლო პროცესის ფარგლებში მიღებულ იქნეს შესაბამისი ღონისძიებები მსხვერპლის, მისი ოჯახის წევრების ან მათთან გათანაბრებული პირების პირადი სფეროსა და, ასევე ფოტოგადაღებებისგან მათი დაცვის მიზნით.

(3) წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ თავიდან იქნეს აცილებული სასამართლოში მსხვერპლისა და დამნაშავის შეხვედრა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სისხლის სამართლის პროცესი ამას მოითხოვს. თუკი ამის საჭიროება არსებობს, წევრი სახელმწიფოები ეტაპობრივად უზრუნველყოფენ სასამართლოში მსხვერპლთათვის სპეციალური მოსაცდელი ოთახის მოწყობას.

(4) წევრი სახელმწიფოები ზრუნავენ იმაზე, რომ მსხვერპლი, განსაკუთრებით ის, ვინც განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ იმყოფება, ისეთ პირობებში დაიკითხოს, რომლითაც მიღწეული იქნება ის მიზანი, რომ იგი დაცული იქნეს მის მიერ ღია სასამართლო პროცესზე მიცემული მოწმის ჩვენების შედეგებისგან, რა დროსაც მას, სასამართლო გადაწყვეტილების გზით, ეძლევა შესაძლებლობა, გამოიყენოს ჯეროვანი საშუალებები, რომლებიც წევრი სახელმწიფოების ცალკეული სამართლებრივი სისტემების პრინციპებთან იქნება შესაბამისი.

მუხლი 9 სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში ზიანის ანაზღაურების უფლება[1]

(1) წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ დანაშაულის მსხვერპლს უფლება ჰქონდეს, სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში, შესაბამის ვადაში, მიიღოს გადაწყვეტილება დამნაშავისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაციონალური სამართალი განსაზღვრულ შემთხვევებში ითვალისწინებს, რომ ზიანის ანაზღაურება სხვა ფარგლებში მოხდეს.

(2) წევრი სახელმწიფოები იღებენ აუცილებელ ღონისძიებებს, რათა მსხვერპლს დამნაშავისგან შესაბამისი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაში დახმარება გაეწიოს.

(3) მსხვერპლის ქონება, რომელიც სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიებას და მისი უკან დაბრუნების საკითხი დადგება, დაუყონებლივ უბრუნდება მას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი დაბრუნება პროცესის წარმოებასთან დაკავშირებული აუცილებელი მიზეზებით შეუძლებელია.

მუხლი 10 მორიგება სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში

(1) წევრი სახელმწიფოები ზრუნავენ იმაზე, რომ მორიგება მიღწეული იქნეს იმ დანაშაულების შემთხვევებში, რომლებსაც ისინი ამგვარი ღონისძიებისათვის საჭიროდ ჩათვლიან.

(2) წევრი სახელმწიფოები ზრუნავენ იმაზე, რომ სისხლის სამართალწარმოების პროცესში გათვალისწინებული იქნეს დამნაშავესა და მსხვერპლს შორის მიღწეული ყველა მორიგება.

მუხლი 11 მსხვერპლი,რომელსაც საცხოვრებელი ადგილი სხვა წევრ სახელმწიფოში აქვს

(1) წევრი სახელმწიფოები ზრუნავენ იმაზე, რომ მათმა კომპეტენტურმა ორგანოებმა, განსაკუთრებით პროცესის მიმდინარეობისას, მიიღონ ჯეროვანი ღონისძიებები, რათა რაც შეიძლება ნაკლები სიძნელეები წარმოიშვას, როცა მსხვერპლს საცხოვრებელი ადგილი სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე აქვს, ხოლო თავად კი სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე აღმოჩნდება დანაშაულის მსხვერპლი. კომპეტენტურ ორგანოებს ამ შემთხვევაში განსაკუთრებით უნდა შეეძლოთ,

– მიიღონ გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლია მსხვერპლს უშუალოდ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ჩვენების მიცემა,

– სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ 2000 წლის 29 მაისის ევროკავშირის შეთანხმების მე-10 და მე-11 მუხლებში მოცემული დებულებების გამოყენება, რომლებიც უკავშირდება საზღვარგარეთ მყოფი მსხვერპლის დაკითხვისას ვიდეო და ტელეკონფერენციით სარგებლობას.

(2) წევრი სახელმწიფოები ზრუნავენ იმაზე, რომ დანაშაულის მსხვერპლმა, რომელსაც საცხოვრებელი ადგილი სხვა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე აქვს, ხოლო თავად კი სხვა წევრ სახელმწიფოში აღმოჩნდა დანაშაულის მსხვერპლი, შესძლოს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საჩივრით მიმართოს კომპეტენტურ ორგანოებს, თუკი იგი არ იყო იმ მდგომარეობაში, რომ საჩივარი იმ სახელმწიფოში გაეკეთებინა, სადაც დანაშაული იქნა

[1] ეს დებულება განვრცობილია დანაშაულის მსხვერპლისთვის ზიანის ანაზღაურების შესახებ ევროგაერთიანების 2004 წლის 29 აპრილის 2004/80/EG დირექტივით (Richtlinie 2004/80/EG). იხ. ABl. L 261, 6. 08. 2004.

ჩადენილი ან როცა დანაშაულის მძიმე შემთხვევის გამო, მას ეს არ სურდა.

კომპეტენტური უწყებები, რომლებიც საჩივარს მიიღებენ, გადაუგზავნიან მას – თუკი მათი შესაბამისი კომპენტენცია მისი განხილვის შესაძლებლობას არ იძლევა – დაუყოვნებლივ იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ უწყებებს, რომლის სუვერენულ ტერიტორიაზეც იქნა დანაშაული ჩადენილი. ეს საჩივარი დამუშავდება იმ ნაციონალური სამართლებრივი დებულებების შესაბამისად, სადაც დანაშაული განხორციელდა.

მუხლი 12 წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა

წევრი სახელმწიფოები ხელს უწყობენ ერთმანეთთან თანამშრომლობის განვითარებასა და გაუმჯობესებას, რათა შესაძლებელი გახდეს მსხვერპლის ინტერესების ეფექტური დაცვა სისხლის სამართლის პროცესში, იქნება ეს იუსტიციის სისტემასთან უშუალოდ დაკავშირებული ქსელების, თუ მსხვერპლთა მიმართ ზრუნვის ორგანიზაციებს შორის არსებული კავშირების გზით.

მუხლი 13 მსხვერპლთა დახმარებისთვის შექმნილი სპეციალური დაწესებულებები და ორგანიზაციები

(1) სამართალწარმოების პროცესის ფარგლებში, წევრი სახელმწიფოები ხელს უწყობენ მსხვერპლის დახმარების მიზნით სპეციალური დაწესებულებების ჩართვას, რომლებიც მსხვერპლს მოემსახურებიან, როგორც პირველი საკონტაქტო ორგანოები და ზრუნავენ მათ შემდგომ ხელშეწყობასა და დახმარებაზე, იქნება ეს მათ ორგანოებში ამისთვის სპეციალურად მომზადებული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირების გამოყენება, თუ მსხვერპლის დახმარებისთვის შექმნილი დაწესებულებების აღიარება და დაფინანსება.

(2) სამართალწარმოების პროცესის ფარგლებში, წევრი სახელმწიფოები, მსხვერპლის დახმარების მიზნით, ხელს უწყობენ ასეთ პერსონალს ან დაწესებულებებს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ

a) მოხდეს მსხვერპლისთვის ინფორმაციის მიწოდება,

b) მსხვერპლს გაეწიოს დახმარება, მათი უშუალო მოთხოვნების შესაბამისად;

c) მსხვერპლს მიეცეს რჩევები სისხლისსამართლებრივი წარმოების პროცესში, საჭიროების შემთხვევასა და შესაძლებლობის ფარგლებში,

d) მსხვერპლს გაეწიოს დახმარება სისხლისსამართალებრივი პროცესის დასრულების შემდეგ, თუ ამ უკანასკნელს აღნიშნული სურვილი გაუჩნდება.

მუხლი 14 იმ პირების განათლება, რომლებიც პროცესში მონაწილეობენ ან გარკვეული ურთიერთობა აქვთ მსხვერპლთან

(1) წევრი სახელმწიფოები, თავიანთი საჯარო ორგანოების მეშვეობით ან მსხვერპლის დახმარების საინიციატივო დაწესებულებების დაფინანსებით, ხელს უწყობენ იმას, რომ იმ პირებმა, რომლებიც მონაწილეობენ სამართალწარმოების პროცესში ან სხვაგვარი ურთიერთობა აქვთ მსხვერპლთან, მიიღონ ჯეროვანი განათლება, ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ყველაზე უფრო საფრთხეში მყოფ ჯგუფებს.

(2) 1-ლი აბზაცი მოქმედებს განსაკუთრებით პოლიციის უწყებებისა და იურიდიული პროფესიათა წარმომადგენლებისთვის.

მუხლი 15 სამართალწარმოების პროცესში მსხვერპლის სიტუაციასთან დაკავშირებული პრაქტიკული ღონისძიებები

(1) წევრი სახელმწიფოები ზემოქმედებას ახდენენ იმაზე, რომ ზოგადად სამართალწარმოების ფარგლებში და განსაკუთრებით იმ სივრცეში, სადაც შეიძლება მიმდინარეობდეს სისხლის სამართლის პროცესი, შესაძლებელი გახდეს, ეტაპობრივად ამისათვის აუცილებელი წინაპირობების შექმნა, რომ თავიდან იქნეს მსხვერპლის ხელახალი ვიქტიმიზაცია და არ მოხდეს მსხვერპლზე არასაჭირო ზეწოლის განხორციელება. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსხვერპლის ჯეროვანი პირველადი მიღება, ასევე აღნიშნულ სივრცეში სიტუაციის შესაბამისი პირობების შექმნა.

(2) 1-ლი აბზაცის მიზნებისათვის, წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენ, რომ განსაკუთრებით სასამართლოებში, პოლიციის ორგანოებში, საჯარო ადგილებსა და მსხვერპლისათვის დახმარების დაწესებულებებში შეიქმნას სპეციალური განყოფილებები.

მუხლი 16 მოქმედების ტერიტორიული სივრცე

ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება გამოიყენება გიბრალტარზეც.

მუხლი 17 იმპლემენტაცია

წევრი სახელმწიფოები იღებენ ადმინისტრაციულ და სამართლებრივ დებულებებს, რომლებიც აუცილებელია ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შემდგომ ვადებში შესასრულებლად:

– მე-10 მუხლისთვის – 2006 წლის 22 მარტამდე;
– მე-5 და მე-6 მუხლისთვის – 2004 წლის 22 მარტამდე;
– სხვა დებულებებისათვის 2002 წლის 22 მარტამდე.

მუხლი 18 შეფასება

წევრი სახელმწიფოები გადასცემენ საბჭოს გენერალურ სამდივნოსა და ევროკომისიას მე-17 მუხლში დასახლებულ ვადებში დებულებების ტექსტს, რომლის მიხედვით მოხდა ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ვადებულებების მათ შიდასახელმწიფოებრივ სამართალში იმპლემენტაცია. საბჭო, ყოველი ზემოთ მითითებული თარიღის შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში, გენერალურ სამდივნოს იმ მოხსენების საფუძველზე, რომელიც შედგენილია წევრი სახელმწიფოების მიერ მიწოდებული ინფორმაციების საფუძველზე, და კომისიის წერილობითი მოხსენების მეშვეობით, აფასებს, წევრი სახელმწიფოების მიერ ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების შესასრულებლად გატარებულ ღონისძიებებს.

მუხლი 19 ძალაში შესვლა

ეს ჩარჩო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი ევროპის კავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნების დღეს.

§12 ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დამცავი სისხლისსამართლებრივი ნორმები – *Corpus Juris 2000*

I შესავალი

წარმოგიდგენთ იმ სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელიც წარმოადგენს მომავალი ევროპული სისხლის სამართლის კოდექსის ჩანასახს. იგი ეხება ერთ კონკრეტულ სფეროს, კერძოდ, თაღლითური და სხვა ფინანსური მაქინაციების წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც ჩადენილი იქნება ევროპის კავშირის ფინანსური ინტერესების საზიანოდ. იგი დღის წესრიგში აყენებს, ასევე მომავალი ევროპული პროკურატურის ინსტიტუტის შემოღებას, რომელიც დღეისათვის უკვე გათვალისწინებულია ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ლისაბონის ხელშეკრულების 86-ე მუხლით. „*Corpus Juris 2000*“ შეგნებულად ღიად ტოვებს საკითხს, თუ რა გზით უნდა მოხდეს მისი იმპლემენტაცია ევროგაერთიანების სამართალში[1].

წარმოდგენილი პროექტი შეიცავს სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილების, ასევე სისხლის საპროცესო სამართლის საკითხებს. ეს სამართლებრივი აქტი ხელს უწყობს ერთიანი ევროპული წარმოდგენების ჩამოყალიბებას სისხლის სამართლის დოგმატიკის სფეროშიც.

პროფესორი *ულრიხ ზიბერი* ჯერ კიდევ 1997 წლის „*Corpus Juris*“-ის გერმანული თარგმანის წინასიტყვაობაში ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვას ახასიათებს, როგორც ძრავას ევროპული სისხლის სამართლის განვითარებისათვის. როგორც იგი „*Corpus Juris 2000*“-ის გერმანული თარგმანის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, ასეთი შეფასება დადასტურდა: ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დამცავმა სისხლისსამართლებრივმა ნორმებმა გამოიწვია დისკუსია ევროპული სისხლის სამართლის მომავლის შესახებ. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება მტკიცებითი სამართლისა და ევროპული პროკურატურის შექმნის შესახებ წინადადებებს, რასაც სისხლის სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკაში ინტენსიური და კრიტიკული დისკუსია მოჰყვა. მაშინ, როდესაც ადრე არსებული შეხედულებები სისხლის სამართლის ევროპეიზაციას არასაჭიროდ მიიჩნევდა და უარყოფდა, ეს სიტუაცია თანდათან შეიცვალა და დღეს უკვე ბევრი უჭერს მხარს ამ სფეროში „ევროპეიზაციას“, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ევროპაში სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების შესაბამისი სისხლის სამართლის ჩამოყალიბება. როგორც *ზიბერი* მიუთითებს, ასეთი მიდგომა აჩვენებს, რომ სისხლის სამართლის ევროპეიზაციის ბორბალი უკან მეტად ალარ დატრიალდება, არამედ მისი განვითარება სულ უფრო წინ წავა. ამ ფონზე, რეგისტრირებულმა კავშირმა „გაერთიანება ევროპული სისხლის სამართლისათვის“ (Vereinigung für Europäisches Strafrecht) გააკეთა „*Corpus Juris*“-ის გადამუშავებული ფრანგული რედაქციის გერმანული თარგმანი, რომელსაც ერთვის პროფესორ *Vervaele*-ს წინასიტყვაობა *Corpus Juris*-ის ფრანგული ტექსტისათვის[2], ასევე იმ ექსპერტთა სია, რომლებიც *Corpus Juris*-ის ფლორენციის რედაქციაზე მუშაობდნენ. ჩვენს მიერ წარმოდგენილი ტექსტი სწორედ ამ გერმანული თარგმანის მიხედვით არის შესრულებული, რომელსაც, ასევე ერთვის *Sieber*-ისა და *Vervaele*-ს წინასიტყვაობები.[3]

---

[1] შეად. *Hecker*, Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 535.

[2] იხ. *Delmas-Marty/Vervaele*, La mise en oeuvre du Corpus Juris dans les Etats Membres, 2000.

[3] *Corpus Juris 2000*-ის გერმანული ტექსტი, ისევე როგორც მისი ინგლისური და ფრანგული ორიგინალური ვერსიები, და ეს წინასიტყვაობები დაინტერესებული მკითხველისათვის ხელმისაწვდომია ინტერნეტში სახელწოდებით: Strafrechtliche Regelungen zum Schutz der finanziellen Interessen der Europäischen Union. Corpus Juris 2000 (Fassung von Florenz), 2003 წლის 25 მარტის მდგომარეობით. იხ. http://europa.eu.int/comm/anti_fraud/green_paper/links.html (12. 09 მდგომარეობით).

წარმოდგენილი პროექტი არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი მომავალი ევროპული სისხლის სამართლის განვითარებისათვის და მას ლისაბონის ხელშეკრულების მიღების შემდეგაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. უფრო მეტიც, ევროპის კავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების 325-ე მუხლი გზას უხსნის ევროპის კავშირისათვის ასეთი სამართლებრივი აქტის მიღებას.

როგორც ფრანგული ორიგინალი ტექსტის წინასიტყვაობაშია მითითებული, ევროკომისიის ინიციატივა თავდაპირველად სისრულეში იქნა მოყვანილი 1995 წლიდან 1997 წლამდე *Corpus Juris*-ზე სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სფეროში მომუშავე ექსპეტთა ჯგუფის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა *Mireille Delmas-Marty*[1]. განხორციელებული მუშაობის მიზანი იყო ევროპული სამართლებრივი სივრცის ფარგლებში შექმნილიყო ევროპის კავშირის ფინანსური ინტერესების სისხლისსამართლებრივად დამცავი სახელმძღვანელო პრინციპები. მაშინ ამოცანას არ წარმოადგენდა ევროკავშირისთვის მოდელური სისხლის სამართლის კოდექსის ან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემუშავება. *Corpus Juris*-ი 1997 წელს გამოქვეყნდა ინგლისური და ფრანგული რედაქციით და ხელმისაწვდომია უმეტეს ევროპულ ენებზე. მასზე დიდი ყურადღება იქნა გამახვილებული წევრ სახელმწიფოებში და ევროკავშირის დონეზე, როგორც სხვადასხვა სამეცნიერო შეკრებებზე, ასევე მედიასა და პოლიტიკაში. *Corpus Juris*-მა ყველა შემთხვევაში შეასრულა თავისი ფუნქცია: გამოიწვია საჯარო დისკუსია სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის როლის შესახებ ევროპის ინტეგრაციის პროცესში.[2] დაისვა კითხვა, თუ რომელია ის ევროპული ინტერესები, რომლებიც საჭიროებენ სისხლისსამართლებრივ დაცვას და როგორ უნდა განხორციელდეს ასეთი დაცვა, რომ ამით უზრუნველყოფილ იქნეს მთლიანი ევროპული სივრცის ეფექტურობა?

როგორც *Vervaele* მიიჩნევს, *Corpus Juris*-ი მეთოდურად წარმოადგენს ნაციონალური და ევროგაერთიანების სამართლებრივი მიდგომების სინთეზს. ევროკავშირის ფინანსური ინტერესების სისხლისსამართლებრივად დაცვისათვის გათვალისწინებულია რვა ქმედების შემადგენლობა, შესაბამისი სასჯელის მუქარით. ამ დოკუმენტში საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია ევროპული პროკურატურის ინსტიტუტის შემოღება, რომელიც უნდა შედგებოდეს ევროპის გენერალური პროკურორისა და ევროპის პროკურორებისაგან, რომლებიც წევრ სახელმწიფოებს წარმოადგენენ. ევროპულ პროკურატურას შეეძლება, რომ განახორციელოს საგამოძიებო უფლებამოსილებანი ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე. საქმე შეეხება ევროპულ პროკურატურას, რომელიც მნიშვნელოვნად დეცენტრალიზებული უნდა იყოს, მაგრამ კავშირის წევრ სახელმწიფოებში იდენტური უფლებამოსილებანი გააჩნდეს. საგამოძიებო წარმოებაში ძირითად უფლებათა დაცვაზე კონტროლს განახორციელებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ნაციონალური მოსამართლე, კერძოდ, ე.წ. თავისუფლების მოსამართლე (Freiheitsrichter), რომელსაც ყოველი წევრი სახელმწიფო თავისი სასამართლო სისტემიდან დაასახელებს. *Corpus Juris*-ით გათვალისწინებული ქმედებებისათვის გაასამართლებენ ნაციონალური სასამართლოები. იგი შედეგება დებულებებისაგან, რომელთა მიზანია ნაციონალური სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის ნორმების მეშვეობით ევროპულ სივრცეში ევროკავშირის ფინანსების ეფექტურობისა და სამართლებრივი დაცვის გაუმჯობესება.

---

[1] იხ. *Delmas-Marty*, Corpus Juris der Strafrechtlichen Regelungen zum Schutz der finanziellen Interessen der Europäischen Union. 1998.

[2] ასე, მაგალითად, 1999 წლის 4-6 მარტს ტრირში ჩატარებული ევროპული კოლოქვიუმის მასალები იხ. ფრაიბურგის მაქს-პლანკის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ წიგნში: *Huber* (Hrsg.), Das Corpus Juris als Grundlage eines Europäischen Strafrechts, 2000.

როგორც სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სფეროში ჰარმონიზაცია, ასევე რეგიონალური სისხლისსამართლებრივი ინტეგრაცია რჩება ევროპაში მგრძნობიარე პოლიტიკურ თემად, რომელიც ურთიერთსაპირისპირო შეხედულებებს იწვევს როგორც პოლიტიკურ, ასევე იურიდიულ სამყაროში. წევრ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ორგანოებს მყარად აქვთ გაცნობიერებული, რომ ევროპული ერთიანობა სისხლის სამართალწარმოებასთან დაკავშირებით გულისხმობს ახალ გამოწვევებს და საჭიროებს რეფორმებს. ასეთი გაცნობიერების შედეგი იყო ევროპის კავშირის ე.წ. შესამე სვეტის ახლებურად ფორმირება და ამსტერდამის ხელშეკრულებაში თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლებრივი სივრცის შექმნა. ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ *Corpus Juris*-ის დებულებები დღის წესრიგში აყენებენ რეფორმას, რომელიც შეეხება როგორც ნაციონალური კონსტიტუციებს, ასევე სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებისა და სასამართლო წყობილების შესახებ კანონების ნორმებს. აქედან გამომდინარე, ევროპულმა პარლამენტმა, 1997 წლის 12 ივნისისა და 22 ოქტომბრის რეზულუციებით, მოითხოვა, რომ ევროკომისიას გამოეკვლია, თუ რამდენად იყო შესაძლებელი *Corpus Juris*-ის განხორციელება. ამის შემდეგ, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინაციის ორგანოს (l'Unite de coordination de la lutte antifraude, UCLAF)[1] მხარდაჭერით ჩატარდა *Corpus Juris*-თან დაკავშირებული კვლევა, რომლის ამოცანასაც შეადგენდა, დაედგინა *Corpus Juris*-ის ზეგავლენა არსებულ ნაციონალურ სამართალზე, კერძოდ, მისი მიღების აუცილებლობისა და წინაპირობების თვალსაზრისით. გამოკვლევა შეეხო ორ თემას. პირველი ბლოკი შეეხო *Corpus Juris*-ის განხორციელების საკითხს წევრ სახელმწიფოთა ნაციონალური სამართლებრივი წეს-წყობილების თვალსაზრისით. საქმე ეხებოდა *Corpus Juris*-ის მოქმედების სამართლებრივი ფარგლების გამოკვლევას, კერძოდ კი, მის შეთავსებადობას წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციურ სამართალთან, სისხლის სამართალთან და სისხლის სამართლის პროცესთან. თემის მეორე ბლოკი ეხებოდა სპეციალურ საკითხს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ადმინისტარციულ და სისხლისსამართლებრივ სფეროში. გამოკვლეულ იქნა როგორც ჰორიზონტალური ურთიერთთანამშრომლობა წევრ სახელმწიფოებს შორის, ასევე წევრი სახელმწიფოებისა და ევროკავშირის თანამშრომლობა ვერტიკალურ დონეზე.

გამოკვლევის შედეგები შეიცავენ მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე ინფორმაციას წევრ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის სისტემების შესახებ. ისევე როგორც მეცნიერთა ჯგუფი, ასევე ევროპარლამენტი და OLAF-ი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იმას, რომ კვლევის შედეგები ხელმისაწვდომი ყოფილიყო ფართო საზოგადოებისთვის. გამოკვლევის გამჭვირვალობით გაიზარდა საჯარო დისკუსიის, ასევე პოლიტიკური და სამართლებრივი მუშაობის ხარისხი. *Corpus Juris*-ის გამოკვლევა გამოქვეყნებულია ოთხ ტომად.

Corpus Juris 2000 აღმოცენებულია საერთო ევროპულ საფუძველზე, იგი ეფუძნება, ასევე განმანათლებლობის იდეებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გარანტიებს და უნდა გახდეს მომავალი ევროპული სუპრანაციონალური სისხლის სამართლის ფუნდამენტი.[2]

ევროკომისიამ 2001 წლის 11 დეკემბერს წარმოადგინა ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების სისხლისსამართლებრივი დაცვისა და ევროპული პროკურატურის შექმნის შესახებ „მწვანე წიგნი". ამ დოკუმენტში წარმოდგენილი ფინანსური სისხლის

---

[1] ამჟამად არსებობს ჩვენს მიერ ზემოთ უკვე წარმოდგენილი თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული სამსახური სახელწოდებით: *Office europeen de lutte antifraude, OLAF*. იხ. ABl. L 136, 31. 05. 1999.

[2] შეად. *Hecker*, Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 533.

სამართლისა და სუპრანაციონალური სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს შექმნის კონცეფცია ეფუძნება სწორედ *Corpus Juris 2000*-ს[1].

წარმოგიდგენთ *Corpus Juris 2000*-ის ჩვენს მიერ შესრულებულ ქართულ თარგმანს, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ქართველი მკითხველისათვის.[2]

II *Corpus Juris 2000* (ფლორენციის რედაქცია)

I. სისხლის სამართალი - კერძო ნაწილი

ზოგადი დელიქტები

მუხლი 1 – ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების საწინააღმდეგოდ ჩადენილი თაღლითობა და მასთან გათანაბრებული დელიქტები

1. დანაშაულს წარმოადგენს ქმედება, რომელიც განზრახ (თაღლითობა) ან გაუფრთხილებლობით (გათანაბრებული დელიქტები) ჩადენილია ფინანსური გასავლების ან შემოსავლების სფეროში. ეს დანაშაულებია:

a) კომპეტენტური ორგანოსათვის იმ გარემოებებზე არასრული ან არასწორი დეკლარაციების ჩაბარება, რომლებიც მნიშვნელოვანია იმ გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც შეეხება ფინანსური დახმარების ან სუბსიდიების გაცემას ან საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას, თუ ასეთი დეკლარაციით შესაძლებელია, ზიანი მიადგეს ევროპული გაერთიანებების ფინანსურ ინტერესებს;

b) სუბსიდიის ან სხვა საგადასახადო უპირატესობის მიღებაზე განაცხადის გაკეთების ან მათი მიღების შემდეგ ვალდებულების საწინააღმდეგოდ უმოქმედობა, რომ კომპეტენტური ორგანო ინფორმირებული იქნეს მნიშვნელოვანი გარემოებების შეცვლის შესახებ, რაც შეიძლება არსებითი იყოს სუბსიდიის, ფინანსური დახმარების ან საგადასახადო უპირატესობის მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, ან მათი უარყოფის, შემცირების, გაუქმების ან უკან დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილებისათვის, თუ ასეთი გადაწყვეტილებით შესაძლებელია, ზიანი მიადგეს ევროპული გაერთიანებების ფინანსურ ინტერესებს;

c) სუბსიდიის ან ფინანსური დახმარების არადანიშნულებისამებრ გამოყენება, რომელიც გაერთიანების საშუალებებიდან მართლზომიერად იქნა მიღებული.

2) წინამდებარე 1-ლი პუნქტით არ დაისჯება ის, ვინც ნებაყოფლობით ხელს შეუშლის ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების ხელყოფას, რამდენადაც იგი თავის დეკლარაციებს შეასწორებს ან სრულყოფს ან ორგანოებს შეატყობინებს იმ გარემობების შესახებ, რომელთა მიცემაზეც იგი უმოქმედობას იჩენდა.

მუხლი 2 – თაღლითობა შეკვეთების მიცემისას

1. დანაშაულია ქმედება, შეკვეთების პროცესში გაერთიანებების სამართლის მიხედვით

---

[1] შეად. *Hecker*, Europäisches Strafrecht, მე-2 გამოცემა, 2007, გვ. 535.

[2] 2003 წლი 25 მარტის ცვლილება-დამატებებით. ქართული თარგმანი შესრულებულია გერმანული ტექსტიდან. ევროპული სისხლის სამართლის გაერთიანების დაკვეთითა და ევროკომისიის მხარდაჭერით იგი ფრანგულიდან გერმანულად თარგმნა *ტონიო ვალტერმა*.

გაკეთდეს შეთავაზება, რომელიც კონკურენციის საწინააღმდეგო შეთანხმებას ეფუძნება და კომპეტენტურ ორგანოს აძლევს საფუძველს, ერთი განსაზღვრული შეთავაზება მიიღოს.

2. მოცემულ შემთხვევებში გამოიყენება სასჯელისაგან გათავისუფლების 1-ლი ბუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი.

მუხლი 3 – ფულის გათეთრება და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება

1. ფულის გათეთრება არის ისეთი დანაშაული, რომელიც ჩადენილია ფინანსური შემოსავლებისა და მოგების მიღებასთან დაკავშირებით, რომელსაც ითვალისწინებს *Corpus Juris* (1-ლი და მე-2, ასევე მე-4-8 მუხლები).

ფულის გათეთრება არის:

a. იმ სამართლებრივი სიკეთეების სახეცვლილება ან გადაცემა, რომლებიც მომდინარეობს დასახელებული რომელიმე ქმედებიდან ან ასეთ ქმედებაში მონაწილეობიდან, იმ მიზნით, რათა დაფარულ ან შენიღბულ იქნეს ამ სიკეთის მართლსაწინააღმდეგო წარმომავლობა, ან დახმარების გაწევა იმ პიროვნებისათვის, რომელიც მონაწილეობს ასეთ საქმიანობაში, რათა თავი აარიდოს თავისი ქმედებების სამართლებრივ შედეგებს.

b. სამართლებრივი სიკეთეების ან მათი სახის, წარმომავლობის, ადგილის, გამოყენების, გადაადგილების დაფარვა ან შენიღბვა, რომლებიც მომდინარეობენ დასახელებული ქმედებებიდან ან ასეთ ქმედებებში მონაწილეობიდან, ან იმ უფლებებიდან, რომლებიც მიმართულია ამ სამართლებრივ სიკეთეებზე.

2. ასევე დასახელებული ქმედებების განხორციელების შედეგად შემოსავლების ან მოგების მიღება ან გასაღება არის დანაშაული. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა ან გასაღება არის სამართლებრივი სიკეთის მოპოვება, ფლობა ან გამოყენება, რომელიც ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული დანაშაულებრივი საქმიანობიდან ან მასში მონაწილეობიდან მომდინარეობს.

მუხლი 4 – დანაშაულებრივი გაერთიანება

დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობა ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების საზიანოდ არის დანაშაული. დანაშაულებრივი გაერთიანება შედგება სამი ან მეტი პირისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან მყარად და სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული ფორმით, 1-ლი-მე-7 მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებათა ჩასადენად.

დელიქტები ჩადენილი სამსახურებრივი საქმიანობის სფეროში

მუხლი 5 – აქტიური და პასიური მექრთამეობა

1. *Corpus Juris*-ის მე-5--მე-8 მუხლების მიზნებისათვის, ტერმინში: მოხელე მოიაზრებიან როგორც „ევროპელი", ასევე „ნაციონალური" მოხელეები. ევროპელი მოხელე არის:

a) ნებისმიერ პირი, რომელსაც ევროპელი მოხელის სტატუსის გაგებით, გააჩნია მოხელისათვის დამახასიათებელი უფლებამოსილებები ან ხელშეკრულებით დავალდებულებული მოსამსახურის სტატუსი;

b) ნებისმიერი პიროვნება, რომელიც ევროპულ გაერთიანებებში წევრი სახელმწიფოების ან საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების მხრიდან არის წარმოდგენილი და ახორციელებს იმ ფუნქციებს, რომლებიც შეესაბამება ევროპული გაერთიანებების მოხელის ან სხვა მოსამსახურის ფუნქციებს.

„ნაციონალური მოხელის“ ტერმინის განმარტება უნდა მოხდეს ცალკეული წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართალში არსებული ტერმინების „მოხელე“ ან „თანამდებობის პირი“ შესატყვისად, რომელშიც ამ პირმა ეს თვისება უნდა წარმოაჩინოს.

2. აქტიური და პასიური მექრთამეობა დანაშაულია, როდესაც ამ ქმედებებით ზიანი ადგება ევროპული გაერთიანებების ფინანსურ ინტერესებს.

3. პასიური მექრთამეობა არის ისეთი ქმედება, როდესაც მოხელე უშუალოდ ან მესამე პირის მეშვეობით, თავისთვის ან მესამე პირის სასარგებლოდ, ითხოვს ან იღებს შეთავაზებას, დაპირებას ან სხვა სახის უპირატესობას:

a) რათა მან თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების საწინააღმდეგოდ განახორციელოს სამსახურებრივი ქმედება ან ქმედება სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში.

b) რათა მან არ განახორციელოს თავისი სამსახურებრივი ქმედება ან ქმედება სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში, რომლის განხორციელებაც მას, სამსახურებრივი ვალდებულებებიდან გამომდინარე, მოეთხოვება;

4. აქტიური მექრთამეობა არის ისეთი ქმედება, როდესაც პიროვნება უშუალოდ ან მესამე პირის მეშვეობით, საკუთარი ან მესამე პირის ინტერესებისათვის, მოხელეს თავაზობს, პირდება ან ნებისმიერი სხვა სახის უპირატესობას აძლევს ან ანიჭებს:

a) რათა მან, თავისი სამსახურებრივი მოვალეობების საწინააღმდეგოდ, განახორციელოს სამსახურებრივი ქმედება ან ქმედება სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში;

b) რათა მან არ განახორციელოს სამსახურებრივი ქმედება ან ქმედება სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში, რომელთა შესრულებაც მას თავისი სამსახურებრივი ვალდებულებებიდან გამომდინარე მოეთხოვება.

მუხლი 6 – სამსახურებრივი ვალდებულების დარღვევა

მოხელე, რომელიც გაერთიანებების ბიუჯეტიდან საშუალებების განკარგვაზე არის უფლებამოსილი, ჩადის დანაშაულს, თუ ის ამ საშუალებებს ითვისებს ან არასწორად განკარგავს, იქნება ეს რომელიმე პირის სასარგებლოდ სუბსიდიის, ფინანსური დახმარების გაცემის თუ გათავისუფლების დაშვება, როდესაც ეს პირი არ არის უფლებამოსილი, ამგვარი გადაწყვეტილების შედეგად მიიღოს ასეთი უპირატესობა, იქნება ეს მოხელის მიერ უშუალოდ ან შუამავლის მეშვეობით ფინანსური დახმარების მინიჭებაში თუ სამართლებრივი ვალდებულებებისაგან გათავისუფლებაში ჩარევა, როდესაც ეს დაკავშირებულია იმ საწარმოებთან ან მოვლენებთან, რომელთა მიმართაც მას პიროვნული ინტერესი გააჩნია.

მუხლი 7 – სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება

მოხელე, რომელსაც სამართავად აქვს მინდობილი საშუალებები გაერთიანებების ბიუჯეტიდან, ჩადის დანაშაულს, თუ ის თავის უფლებამოსილებებს იყენებს ბოროტად, რითაც ზიანს აყენებს ევროპული გაერთიანებების ფინანსურ ინტერესებს.

მუხლი 8 – სამსახურებრივი საიდუმლოების გაცემა

მოხელე, რომელიც უნებართვოდ გაამჟღავნებს სამსახურებრივ საიდუმლოებას, ჩადის დანაშაულს, თუ საიდუმლო ინფორმაცია იმ საკითხს შეეხება, რომელიც მოპოვებულ იქნა

შემოსავლების კონტროლის ან ფინანსური საშუალებების ან სუბსიდიების გაცემის პროცესში და თუ ამ გამჟღავნებას ევროპული გაერთიანებების ფინანსური ინტერესების დაზიანება შეუძლია.

II. სისხლის სამართალი - ზოგადი ნაწილი

პასუხისმგებლობა

მუხლი 9 – განზრახვა და დაუდევრობა

1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებში აუცილებელია განზრახვის ელემენტის არსებობა, იმ დელიქტების გამოკლებით, როგორიცაა თაღლითობასთან, რომელიც ჩადენილია გაერთიანების ბიუჯეტის წინააღმდეგ, გათანაბარებული დელიქტები (მუხლი 1-ლი), რომელთა ჩადენის შემთხვევაშიც საკმარისია შეგნებული გაუფრთხილებლობის (თვითიმედოვნების) არსებობა.

მუხლი 10 – შეცდომა

შეცდომა დანაშაულის დამაფუძნებელი ნიშნების შესახებ გამორიცხავს განზრახვას. შეცდომა აკრძალვაში გამორიცხავს პასუხისმგებლობას, თუ იგი წინდახედული და გონიერი ადამიანის მიერ თავიდან ვერ იქნებოდა აცილებული. თუ შეცდომა აცილებადი იყო, მაშინ მოსამართლეს შეუძლია სასჯელის შემსუბუქება და მე-14 მუხლით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელის არ გამოყენება.

მუხლი 11 – ცალკეულ სუბიექტთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისათვის შეიძლება პირი პასუხისმგებლობას დაექვემდებაროს როგორც ამსრულებელი, წამქეზებელი ან დამხმარე:

– ამსრულებელია ის, ვინც სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას ჩადის დამოუკიდებლად, სხვა პირთან, ან ჯგუფთან ერთად (მე-13 მუხლი), ან ბრალუუნარო პირის მეშვეობით;

– წამქეზებელია ის, ვინც ფიზიკურ პირს ან ჯგუფს (მე-13 მუხლი) შეგნებულად აქეზებს ქმედების შემადგენლობის შესაბამისი ქმედების ჩადენისაკენ;

– დამხმარეა ის, ვინც დამოუკიდებლად მოქმედ პირს ან ჯგუფს (მე-13 მუხლი) შეგნებულად ეხმარება ქმედების შემადგენლობის შესაბამისი ქმედების ჩადენისათვის.

დამხმარის მაქსიმალური სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს მე-14 მუხლით გათვალისწინებული სასჯელის 3/4-ს.

მუხლი 11bis – მცდელობა

დასჯადია, როგორც 1-ლი–მე-3 და მე-5–მე-8 მუხლებით დასახელებული ქმედებების მცდელობა, ასევე მათ მცდელობაში მონაწილეობა. მცდელობისათვის დანიშნული სასჯელი მცირდება იმ სასჯელის 3/4-მდე, რომელიც დამთავრებული დელიქტისათვის არის გათვალისწინებული (მუხლი მე-14).

მცდელობისათვის პასუხს აგებს ის, ვისაც აქვს განზრახვა, ჩაიდინოს 1-ლი–მე-3 და მე-5–მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ქმედებები და ამ განზრახვით იწყებს ქმედებას, რაც ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებას ნიშნავს.

მცდელობისათვის არ დაისჯება ის, ვინც ნებაყოფლობით ხელს აიღებს დელიქტის განხორციელებაზე ან მის განხორციელებას ხელს შეუშლის ნებაყოფლობით. თუ დანაშაული ბოლომდე არ იქნება მიყვანილი სხვა მიზეზით, ასეთ შემთხვევაში პირის სასჯელისაგან გასათავისუფლებლად საკმარისია, რომ პიროვნებამ ნებაყოფლობით და ნამდვილად მოინდომოს ქმედების ჩადენის განხორციელებაზე ხელი აღება ან მისი აღკვეთა.

მუხლი 12 – იურიდიულ პირთა ხელმძღვანელებისა და იმ პირების სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომლებიც უფლებამოსილი არიან, იურიდიული პირის შიგნით განახორციელონ კონტროლი ან მიიღონ გადაწყვეტილებები: გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირები და თანამდებობის პირები

1. იმ შემთხვევაში, თუ 1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე ქმედება ჩადენილია იურიდიული პირის სასარგებლოდ იმ პირის მიერ, რომელიც ექვემდებარება კომპანიის ხელმძღვანელის ან სხვა, იურიდიული პირის შიგნით გადაწყვეტილების ან მაკონტროლებელი უფლებამოსილების მქონე პირის მითითებებს, მაშინ კომპანიის ხელმძღვანელი და ასევე სხვა პირი ექვემდებარებიან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ მათ ამ ქმედების ჩადენა განზრახ დაუშვეს.

2. ზემოაღნიშნულის მსგავსადვე აგებს პასუხს თანამდებობის პირი, თუ მან 1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებათა ჩადენა დაუშვა განზრახ და თუ ეს ქმედებები ჩადენილი იქნა იმ პირის მიერ, რომელიც მისი პასუხისმგებლობით ახორციელებს საქმიანობას.

3. იმ შემთხვევაში, თუ 1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე ქმედება ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელიც ექვემდებარება კომპანიის ხელმძღვანელის მითითებებს ან სხვა, იურიდიული პირის შიგნით გადაწყვეტილების ან მაკონტროლებელი უფლებამოსილების მქონე პირის მითითებებს, მაშინ კომპანიის ხელმძღვანელი და ასევე სხვა პირი ექვემდებარებიან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ მათ არ განახორციელეს აუცილებელი კონტროლი და თუ ასეთმა უმოქმედობამ ქმედების ჩადენა გააადვილა.

4. საკითხისათვის, არის თუ არა პირი ამ მუხლის 1-ლი ან მე-3 პუნქტის შესაბამისად პასუხისმგებელი, მოქმედებს წესი, რომლის მიხედვითაც, ვერავინ ვერ გაიმართლებს თავს უფლებამოსილებათა სხვა პირზე გადაცემით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაცემა განხორციელდა ქმედების გარკვეულ ნაწილზე, კონკრეტულად და სპეციალურად, რომელიც საწარმოსათვის იყო აუცილებელი და უფლებამოსილებათა მიმღებს რეალურად შეეძლო დავალებათა შესრულება. უფლებამოსილების ასეთი გადაცემის მიუხედავად, პირი (უფლებამოსილებათა გადამცემი) შეიძლება დაექვემდებაროს პასუხისმგებლობას ამ მუხლის შესაბამისად, თუ მან პერსონალის შერჩევის, დაკვირვების ან კონტროლის დროს, ან თუ ზოგადად იურიდიული პირის ორგანიზების ან ხელმძღვანელთა სხვა სახის კომპეტენციის მიმართ ნაკლები წინდახედულობა გამოიჩინა.

5. თუ ვინმე პასუხისგებაში მიეცემა ამ მუხლის შესაბამისად, მაქსიმალური სასჯელი ამ ქმედებისათვის შეადგენს მე-14 მუხლით გათვალისწინებული სასჯელის ნახევარს.

მუხლი 13 – გაერთიანებათა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

1.1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ქმედებებისათვის შესაძლებელია, ასევე პასუხისმგებლობას დაექვემდებარონ გაერთიანებები, თუ ისინი არიან იურიდიული პირები ან აქვთ უფლებაუნარიანობა და ქონება და ქმედება ჩადენილია გაერთიანების სასარგებლოდ ამ გაერთიანების ორგანოს, წარმომადგენლის ან სხვა პირის მეშვეობით, რომელიც მოქმედებს ამ გაერთიანების სახელით, ან გააჩნია სამართლებრივი ან ფაქტობრივი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება.

2. გაერთიანებათა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს ფიზიკური პირების, როგორც ამსრულებლების, წამქეზებლების ან დამხმარის პასუსისმგებლობას იმავე ქმედებებისათვის.

მუხლი 14 – სასჯელები და ღონისძიებები

1.მე-2–მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ქმედებებისა და 1-ლი მუხლით გათვალისწინებული განზრახი დელიქტისათვის გამოიყენება შემდეგი ძირითადი სასჯელები:

a) ფიზიკური პირებისათვის – თავისუფლების აღკვეთა გათვალისწინებულია 5 წლის ვადით ან/და ფულადი ჯარიმა. ფულადი ჯარიმები გამოითვლება დღიური ოდენობის სისტემით. ჯარიმის დღიური ოდენობა შეესაბამება ბრალდებულის დღიურ შემოსავალს. სასამართლო თანხის ამ ოდენობას ადგენს დამოუკიდებლად, თუმცა მან არ უნდა გადააჭარბოს 3.000 ევროს. ფულადი ჯარიმის მთლიანმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს იმ თანხას, რაც შეესაბამება 365 დღიურ ოდენობას. სასამართლოს შეუძლია, სასჯელის აღსრულება გადადოს, დამნაშავე დაუქვემდებაროს სასამართლო მეთვალყურეობას, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი შეცვალოს ფულად ჯარიმად და სასჯელი ისე შეამციროს და შეამსუბუქოს, როგორც არის ეს დაშვებული ნაციონალური სამართლით (შეად. მუხლი 35-ე);

b) გაერთიანებებისათვის გათვალისწინებულია ფულადი ჯარიმა 10 მილიონ ევრომდე.

2. საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოყენებული იქნეს, ასევე შემდეგი დამატებითი სასჯელები:

a) გამოტანილი განაჩენის გამოქვეყნება. განაჩენი ქვეყნდება ევროპული გაერთიანებების ოფიციალურ ჟურნალში (ABl. EG); საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით, თუ ქმედებამ ფართო საზოგადოების ინტერესი გამოიწვია, გადაწყვეტილება გამოქვეყნდება, ასევე ყოველდღიურ პრესაშიც;

b) 1-ლი მუხლით გათვალისწინებული დელიქტების ჩადენისათვის გასამართლებული ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის სამომავლოდ სუბსიდიებით სარგებლობის უფლების ჩამორთმევა, რომლებიც გაერთიანების სამართლით არის ნებადართული, მაქსიმუმ 5 წლის ვადით;

c) 1-ლი და მე-2 მუხლებით გათვალისწინებული დელიქტების ჩადენისათვის გასამართლებული ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის სამომავლოდ სუბსიდიებით სარგებლობის უფლების ჩამორთმევა, რომელთა გამოყენებაც სახელმწიფო ორგანოების მიერ გაერთიანების საშუალებების სარგებლობით არის ნებადართული, მაქსიმუმ 5 წლის ვადით;

d) მე-3–მე-6 მუხლებით გათვალისწინებული დელიქტებისათვის გაერთიანების სამართლებრივ და ნაციონალურ საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების აკრძალვა

მაქსიმუმ 5 წლის ვადით; ეს აკრძალვა მოქმედებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მთელ ტერიტორიაზე.

3. 1-ლი მუხლით გათვალისწინებული გაუფრთხილებელი ქმედებებისათვის მაქსიმალური სასჯელი არ უნდა აღემატებოდეს 1-ლი და მე-2 (b) და (d) პუნქტებით გათვალისწინებული სასჯელების 2/3-ს. იგივე პრინციპი მოქმედებს მე-8 მუხლით გათვალისწინებული დელიქტებისთვისაც.

4. ქმედების ჩასადენად გამოყენებული საშუალებები, ქმედებიდან მიღებული შემოსავლები და მოგება შეიძლება მიქცეული იქნეს ევროპული გაერთიანებების სასარგებლოდ. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება გამოტანილი იქნეს არა მხოლოდ მაშინ, როცა ბრალდებული გასამართლებულია, არამედ მაშინაც, როდესაც დამტკიცებულია, რომ პირმა განახორციელა ქმედების შემადგენლობის შესაბამისი ქმედება, მაგრამ ბრალის ან, მისი სულიერი მდგომარეობის გამო, პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი გარემოების არარსებობის გამო, ვერ იქნება განსჯილი.

მუხლი 15 – სასჯელის ზომები

1.1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ქმედებებისათვის სასჯელები არ შეიძლება გამოიყენებული იქნეს დამნაშავის ბრალის ხარისხის, დანაშაულის სიმძიმისა და დანაშაულში მონაწილეობის ხარისხის გადამეტებით.

2. 1-ლი პუნქტის შესაბამისად სასჯელის დანიშვნის დროს ნაციონალური მართლმსაჯულება ეყრდნობა გენერალური და სპეციალური პრევენციის მოთხოვნებს, რომლებიც ფიზიკურ პირებთან მიმართებაში შესაძლებელია, შეზღუდული იქნეს დამნაშავის რესოციალიზაციის უზრუნველყოფის საჭიროებით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის გამოყენების დროს, ნაციონალურ მართლმსაჯულებას შეუძლია, გაითვალისწინოს ბრალდებულის ადრინდელი ქცევა, ადრინდელი ნასამართლობა, მისი პიროვნება (იქნება ეს დადებითი თუ უარყოფითი), ქმედების ჩადენის მოტივაცია, მისი ფინანსური და სოციალური მდგომარეობა და სურვილი, გამოასწოროს ჩადენილი უმართლობა. 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შესაძლებელია, გათვალისწინებული იქნეს, ასევე სხვა გარემოებები, რომლებიც ნაციონალური სამართლის მიხედვით მნიშვნელოვანია სასჯელის დანიშვნისათვის.

მუხლი 16 – სასჯელის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები

1.მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ქმედებისათვის, სასჯელის მაქსიმალური ვადა იზრდება ხუთიდან შვიდ წლამდე, ფულადი ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა ფიზიკური პირებისათვის – 360-დან 540 დღიურ ოდენობამდე, ხოლო გაერთიანებებისათვის – 10-დან 15 მილიონ ევრომდე.

2. სასჯელის დამამძიმებელია შემდეგი გარემოებები:

– თუ მიყენებული ზიანის თანხა ან ქმედებით გამიზნული მოგების ოდენობა 100. 000 ევროს აღემატება;

– თუ 1-ლი-მე-3 და მე-5-მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ქმედებები ჩადენილია დანაშაულებრივი გაერთიანების ფარგლებში.

3. სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებების მოცულობასა და შედეგს ადგენს ნაციონალური სამართალი, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული დამატებითობის პრინციპის საფუძველზე.

მუხლი 17 - დანაშაულთა ერთობლიობის დროს გამოსაყენებელი სასჯელები

1.თუ პირი ერთი მოქმედებით ან უმოქმედობით ჩაიდენს 1-ლი-მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ ერთ ან რამდენიმე დანაშაულს, მას დაეკისრება ერთი საერთო სასჯელი. ამ სასჯელის დანიშვნის საფუძველი იქნება ის სასჯელი, რომელიც შეიძლება მას დაეკისროს ყველაზე მძიმე ქმედებისათვის და იგი შეიძლება გაიზარდოს ამ სასჯელის ნახევრის დამატებით.

2. თუ პირი 1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ ერთ ან რამდენიმე დანაშაულს ჩაიდენს სხვადასხვა ქმედებებით ან უმოქმედობებით, მას დაეკისრება ერთი საერთო სასჯელი. იგი იქნება იმ მაქსიმალური სასჯელის საფუძველზე დანიშნული, რომელიც წარმოადგენს ყველაზე მძიმე დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის ორმაგ ოდენობას. ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით დანიშნულმა სასჯელებმა არ უნდა გადააჭარბოს იმ ოდენობის ჯამს, რაც თითოეული დანაშაულისათვის ცალ-ცალკე დაინიშნებოდა.

3. თუ ბრალდებული საქმის მთავარ სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს, ამ აქტის 1-ლი-მე-8 მუხლებით ჩადენილ ქმედებებთან ერთად, ნაციონალური სამართლის მიხედვით გათვალისწინებული ქმედებებისთვისაც იქნება გასამართლებული და თუ ორივე ქმედება საქმის ერთსა და იმავე გარემოებებს შეეხება, მაშინ ორივე ქმედებისათვის დაეკისრება ერთიანი სასჯელი, რომელიც განისაზღვრება უმაღლესი მაქსიმალური სასჯელის საფუძველზე.

4. 1-ლი–მე-8 მუხლებით განსაზღვრული ქმედებებისათვის სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, როდესაც იგივე შინაარსის შემცველი ქმედებებისათვის ნაციონალური ან გაერთიანების ნორმებით უკვე დაკისრებულია არასისხლისსამართლებრივი ადმინისტრაციულსამართლებრივი სანქციები.

III. სამართალწარმოება

ევროპული პროკურატურა

მუხლი 18 – ევროპული პროკურატურის სამართლებრივი სტატუსი და სტრუქტურა

1. 1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებთან მიმართებაში, კავშირის წევრი სახელმწიფოების სუვერენული ტერიტორიები ქმნიან ერთიან სამართლებრივ სივრცეს ქმედებათა გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, სასამართლო განხილვისა და გადაწყვეტილებათა აღსრულების მიზნით.

2. ევროპული პროკურატურა არის ევროპული გაერთიანების ორგანო და პასუხისმგებელია 1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებათა გამოძიებაზე, სისხლისსამართლებრივ დევნაზე, ბრალდების წაყენებაზე, საჯარო ბრალდების წარმომადგენლობაზე სასამართლო განხილვის დროს და ასევე განაჩენთა აღსრულებაზე. ის არის დამოუკიდებელი, როგორც ნაციონალური, ასევე გაერთიანების ორგანოებისაგან.

3. ევროპული პროკურატურა შედგება ევროპის გენერალური პროკურორისგან, რომლის სამსახურებრივი ადგილსამყოფელია ბრიუსელში, და ევროპული პროკურატურების წარმომადგენლებისგან, რომელთა სამსახურებრივი ადგილსამყოფელია წევრი სახელმწიფოების

დედაქალაქები, ან სხვა ქალაქები, იმ სასამართლოს ადგილმდებარეობის მიხედვით, რომელსაც გააჩნია 26-ე მუხლიდან გამომდინარე უფლებამოსილება.

4. ევროპული პროკურატურა არის ერთიანი და სოლიდარული ორგანო:

a) ერთიანობა ნიშნავს იმას, რომ ევროპული პროკურატურის თითოეული წევრის მოქმედება განიხილება როგორც ევროპული პროკურატურის მიერ ჩადენილი ქმედება; რომ ევროპული პროკურატურის კომპეტენციას მიკუთვნებული ყველა მოქმედება (სახელდობრ, მე-20 მუხლიდან გამომდინარე გამოძიების წარმოების უფლებამოსილებები) შესაძლებელია, განხორციელებული იქნეს მისი ნებისმიერი წევრის მიერ; და, რომ ეს ხორციელდება ევროპის გენერალური პროკურორის თანხმობით ან, გადაუდებელ შემთხვევებში, მის მიერ საქმის შემდგომი გადამოწმების პირობით, ევროპული პროკურატურის თითოეულ წარმომადგენელს შეუძლია, განახორციელოს თავისი ამოცანები ნებისმიერი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რა დროსაც ის თანამშრომლობს შესაბამის წევრ სახელმწიფოში ევროპული პროკურატურის უფლებამოსილი წარმომადგენელობის ოფისებთან.

b) სოლიდარობა ავალდებულებს ევროპული პროკურატურის სხვადასხვა წარმომადგენლებს ურთიერთმხარდაჭერისათვის.

5. ასევე ნაციონალურ პროკურატურებსაც აკისრიათ ვალდებულება, მხარი დაუჭირონ ევროპულ პროკურატურას.

მუხლი 19 – ევროპული პროკურატურის ჩართვა საქმის წარმოებაში და საჯარო ბრალდების მომზადება

1.ევროპულ პროკურატურას უნდა ეცნობოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომლებიც 1-ლი-მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტს ასაბუთებენ, როგორც ნაციონალური (პოლიცია, პროკურატურა, გამოძიების მოსამართლე, ისეთი სახის ნაციონალური ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ ფისკალური ან საბაჟო სახის საქმიანობას), ასევე გაერთიანების კომპეტენტური ორგანოების მეშვეობით, კერძოდ, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული სამსახურის მიერ (OLAF – Office europeen de lutte antifraude/ Europäisches Amt für Betrugsbekämpfung). ევროპული პროკურატურა ამ გარემოებების შესახებ შეიძლება ინფორმირებული იყოს მოქალაქის განაცხადებით ან კომისიის მიერ საჩივრის შეტანით. ნაციონალურმა ორგანოებმა ევროპული პროკურატურა უნდა ჩართონ საქმის წარმოებაში არაუგვიანეს 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად პირისათვის ბრალდების წაყენების დროისა, ასევე საპროცესო იძულების ღონისძიების შეფარდებისას, როგორიცაა დაპატიმრება, ჩხრეკა, ქონების კონფისკაცია ან სატელეფონო მოსმენა.

2. თუ გამოძიებაში, რომელსაც ნაციონალური ორგანო ახორციელებს, გამოიკვეთება 1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ნიშნები, საქმე დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ევროპულ პროკურატურას.

3. იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა გზით მოიპოვებს ევროპული პროკურატურა საქმის გარემოებების შესახებ ინფორმაციას, ის ერთვება საქმეში ოფიციალურად, ნაციონალური ორგანოების მიერ ან კიდევ დამოუკიდებლად.

4. ევროპული პროკურატურა უფლებამოსილია, დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა იმ თანხის ოდენობის მიუხედავად, რომლის გამოც ჩადენილი იქნა თაღლითობა. სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ითვლება გამოძიების პროცესის დასაწყისად. ევროპული პროკურატურა, ლეგალურობის პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულია, გამოიძიოს საქმე, როდესაც გაჩნდება 1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ეჭვი. გადაწყვეტილების მეშვეობით, რომელიც არის მყარად დასაბუთებული

და რომელიც მაშინვე ეცნობება როგორც იმ პიროვნებას, რომელმაც შეატყობინა ქმედების ჩადენის შესახებ, ასევე იმ პირს, რომელმაც განაცხადა პროკურატურის ერთ-ერთ ორგანოში ამ დანაშაულის შესახებ, ან რომელმაც იჩივლა დანაშაულის ჩადენის გამო, ევროპული პროკურატურა უფლებამოსილია:

a) ქმედების მცირე მნიშვნელობის ან იმის გამო, რომ ეს საქმე ძირითადად ნაციონალურ ინტერესებს შეეხება, ნაციონალურ ორგანოებს გადაუგზავნოს;

b) შეწყვიტოს საქმის წარმოება, თუ ბრალდებულმა აღიარა თავისი ქმედება, აანაზღაურა ზიანი და ამასთანავე უკანონოდ მიღებული საშუალებებიც უკან დააბრუნა;

c) 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის b) ქვეპუნქტის საფუძველზე, ნაციონალურ ორგანოსთან წავიდეს კომპრომისზე შეთანხმების თაობაზე, თუ ეს ორგანო ამის შესახებ განაცხადს გააკეთებს.

მუხლი 20 – ევროპული პროკურატურის საგამოძიებო უფლებამოსილებები

1. ევროპული პროკურატურა იძიებს 1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებს, მათ დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს, რათა ხელი შეუწყოს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენასა და საბოლოოდ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას. მისი უფლებამოსილებები გადანაწილებულია ევროპული გაერთიანების გენერალურ პროკურორზე, ევროპული პროკურატურის წარმომადგენლებსა და ამ მიზნის შესაბამისად შერჩეულ ნაციონალურ ორგანოებზე.

2. გენერალურ პროკურორს გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებები:

a) გამოძიების ზოგადი ხელმძღვანელობა და მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად გამოძიების წარმართვის უფლების გადაცემა ერთი ან მეტი ევროპული პროკურატურის წარმომადგენლისათვის.

b) გამოძიების წარმოებაზე თანხმობის გაცემა, რომელიც შესაძლებელია, განახორციელონ როგორ ევროპული პროკურატურის წარმომადგენლებმა, ასევე ნაციონალური პოლიციის შესაბამისმა სამსახურებმა, შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა თუ თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულმა სამსახურმა (OLAF); ეს თანხმობა შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიმართ შესაძლებელია, განხორციელდეს ზეპირი ან წერილობითი რეკომენდაციების ფორმით.

c) საქმეების მიღება თავის წარმოებაში, როდესაც გამოძიების პროცესში გამოიკვეთება, რომ ჩადენილი ქმედებები მთლიანად ან ნაწილობრივ შეეხებიან 1-ლი-მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს.

3. 1-ლი-მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებათა გამოძიების დროს შესაძლებელია, გენერალურმა პროკურორმა განახორციელოს, ან ევროპული პროკურატურის წარმომადგენლებს გადასცეს შემდეგი უფლებამოსილებანი:

a) ბრალდებულის გამოკითხვა იმ პირობების დაცვით, რომლებიც უზრუნველყოფენ 29-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდებულის უფლებების დაცვას;

b) გამოძიებისთვის საჭირო დოკუმენტების ან/და ელექტრონული ინფორმაციების შეგროვება, ასევე შემთხვევის ადგილის დათვალიერება;

c) სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა 29-ე მუხლის საფუძველზე ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ;

d) 25bis მუხლისა და მოსამართლის ნებართვით ან მის მიერ საქმის გადამოწმების პირობით, ბრალდებულის უფლებების (32-ე მუხლი) გათვალისწინებით, შესაძლებელია

განხორციელდეს ჩხრეკა, ქონების დაყადაღება და სატელეფონო მოსმენა;

e) 32-ე მუხლის შესაბამისად, მოწმეთა, რომლებიც თანახმანი არიან იუსტიციის ორგანოებთან თანამშრომლობაზე, ასევე იმ მოწმეთა მოსმენა, რომლებიც ვალდებული არიან გამოცხადებაზე.

f) ბრალდებულთათვის, 29-ე მუხლში დასახელებული უფლებების დაცვით, ბრალდების შეტყობინება.

g) შუამდგომლობა დაპატიმრების ორდერის გაცემაზე ან პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემაზე.

4. უფლებამოსილებები, რომლებიც ევროპული პროკურატურის წარმომადგენლებისათვის იქნა გადაცემული, შესაძლებელია, ნაწილობრივ ნაციონალურ ორგანოებზე შემოდგომი გადამისამართების საგნად იქცნენ (სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოები, პოლიცია და სხვა კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოები, როგორიცაა ფისკალური და საბაჟო ორგანოები). ასეთი გადამისამართება საგნობრივად და დროით უნდა იყოს განსაზღვრული. ნაციონალურმა ორგანომ ყურადღება უნდა მიაქციოს *Coprus Juris*-ის ყველა ნორმას.

მუხლი 21 – ევროპული პროკურატურის როლი გამოძიების დასრულების დროს

1.როდესაც ევროპული პროკურატურა გამოძიებას დასრულებულად მიიჩნევს, მისი წარმომადგენელი შეიტანს საბრალდებო დასკვნას სასამართლოში ან შეწყვეტს საქმის წარმოებას, ორივე საკითხის გენერალური პროკურორის მიერ გადამოწმების წინაპირობით.

2. საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ეცნობება ევროკომისიას, ბრალდებულს, ყველა იმ ორგანოსა და პირს, რომელმაც მიმართა ევროპულ პროკურატურას ქმედების ჩადენის შესახებ განცხადებით ან საჩივრის შეტანით (მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტი).

3. ბრალდების აქტის შესახებ გადაწყვეტილების შეტყობინება ხდება იმავე სახით, რა სახითაც ხდება შეწყვეტის შესახებ შეტყობინება (21-ე მუხლი მე-2 პუნქტი) და შეიცავს შემდეგ მონაცემებს: ბრალდებულის სახელი, გვარი და მისამართი, საქმის გარემოებების აღწერა და მისი სამართლებრივი შეფასება, ასევე სასამართლოს დასახელება, რომელშიც წარდგენილია საბრალდებო აქტი. მის შემოწმებას ახდენს თავისუფლების მოსამართლე, რომელიც უფლებამოსილია 25bis მუხლის საფუძველზე. ბრალმდებელი მიმართავს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს მთავარი სასამართლო სხდომა და იწვევს ბრალდებულს სასამართლო სხდომის დღისა და საათის მითითებით.

მუხლი 22 – საჯარო ბრალდების წარმომადგენლობა და დასრულება

1.1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ქმედებებისათვის ევროპული პროკურატურა მხარს უჭერს საჯარო ბრალდებას მთავარი სასამართლო სხდომის ჩატარებაზე უფლებამოსილი (26-ე მუხლის წესების შესაბამისად) სასამართლოს წინაშე იმ სახელმწიფოს ნორმების შესაბამისად, რომელსაც მიეკუთვნება ეს სასამართლო. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ნაციონალურ ინტერესებსაც ეხება, ადგილობრივ სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელ ორგანოებს შეუძლიათ, რომ ევროპულ პროკურატურასთან ერთად იყვნენ საჯარო ბრალდების წარმომადგენლები. ასეთ შემთხვევაში, შეტყობინებებისა და გამოძახებების შესახებ ეცნობებათ ნაციონალურ სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებსაც და სამართლებრივი აქტები გადაეგზავნებათ მათ დროულად.

2. იგივე ქმედებისათვის საჯარო ბრალდება უქმდება ბრალდებულის გარდაცვალების, (გაერთიანებასთან მიმართებით, მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში), ხანდაზმულობის ვადის გასვლისა და მორიგების შემთხვევაში:

a) ხანდაზმულობის ვადა მოიცავს 5 წელს და გამოიანგარიშება ქმედების ჩადენის დღიდან, თუ ამ პერიოდში არ განხორციელებულა არც გამოძიება და არც სისხლისსამართლებრივი დევნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსგავსი სახის ქმედება ხანდაზმულია მხოლოდ უკანასკნელი ქმედების ჩადენიდან 5 წლის გასვლის შემდეგ. ყველა შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დინება წყდება ეჭვმიტანილთათვის ბრალდებების შეტყობინებიდან.

b) მორიგება გამორიცხულია რეციდივის, იარაღის ტარების, ყალბი დოკუმენტების გამოყენებისას და მაშინ, როდესაც ზიანის ოდენობა 50. 000 ევროს ან მეტს შეადგენს. სხვა შემთხვევებში, ნაციონალურ ორგანოებს შეუძლიათ ევროპულ პროკურატურას შესთავაზონ საქმის წარმოების შეწყვეტა მორიგებით, როგორც იმ საქმეზე, რომელიც ნაციონალური ორგანოების კომპეტენციას წარმოადგენს (შეად. მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის a) ქვეპუნქტი), ასევე, რომელიც ევროპული პროკურატურის კომპეტენციას განეკუთვნება, შემდეგი პირობების დაცვით: ბრალდებული შეუზღუდავად აღიარებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულს; ორგანოები ფლობენ ინფორმაციას ქმედების იმ ნიშნების შესახებ, რომლებიც ამართლებენ ბრალდებას; შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება საჯაროდ; შეთანხმება უნდა იყოს ქმედების პროპორციული. თუ ევროპული პროკურატურა არ დათანხმდება მორიგებას, მაშინ იგი ვალდებულია, საქმე მიიღოს თავის წარმოებაში, რამდენადაც ეს საჭიროა. მორიგებაზე შეთანხმება მოწმდება თავისუფლების მოსამართლის მიერ.

მუხლი 23 – ევროპული პროკურატურის როლი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს

1. როცა სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევა, ევროპული პროკურატურა მაშინვე გადაუგზავნის მას იმ წევრი სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს, რომელიც გადაწყვეტილებაში მითითებულია, როგორც სასჯელის აღსრულების ადგილი. კონფისკაცია, უფლებათა ჩამორთმევა, განაჩენის გამოქვეყნება და მსგავსი სასჯელები შეიძლება აღსრულებულ იქნეს ერთ ან რამდენიმე ადგილას, რომელიც არ არის თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ადგილის იდენტური. ევროპული პროკურატურა, ნაციონალურ ორგანოებთან ერთად, პასუხისმგებელია ცალკეულ ქვეყნებში გადაწყვეტილების აღსრულების წარმართვასა და ზედამხედველობაზე, თუ იგი ავტომატურად არ ხორციელდება. სასჯელის მოხდა ძირითადად წესრიგდება იმ წევრი სახელმწიფოს წესებით, რომელიც სასჯელის მოხდის ადგილად არის დასახელებული. მიუხედავად ამისა, ევროპული პროკურატურა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე აკონტროლებს შემდეგი სახის ზოგადი მითითებების დაცვას:

a) ნებისმიერი პერიოდი, რომლის დროსაც ბრალდებული ამ აქტში დასახელებული ქმედებისათვის არის დაპატიმრებული, რომელი ქვეყანა და სისხლისსამართლებრივი წარმოების რომელი ეტაპიც არ უნდა იყოს, ჩაითვლება პატიმრობის იმ ვადაში, რომელიც სასამართლოს მიერ მთავარ სხდომაზე გამოტანილ განაჩენში იქნება მითითებული.

b) ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს 1-ლი-მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ქმედებებისათვის სისხლისსამართლებრივ დევნას ან გამოტანილი იქნეს მის მიმართ სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ იგი ამ ქმედებისათვის წევრ სახელმწიფოში უკვე არის გამართლებული ან გამტყუნებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით.

2. თუ პიროვნება, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, დააყენებს შუამდგომლობას, რომ სასჯელის მოხდა სურს სხვა წევრ სახელმწიფოში და არა სასამართლოს გადაწყვეტილებაში განსაზღვრულ სახელმწიფოში, ევროპული პროკურატურა ამის ნებართვას გასცემს, თუ ეს მიზანშეწონილია.

მუხლი 24 – ევროპული პროკურატურის ადგილობრივი კომპეტენცია, განაჩენთა ეფექტურობა ადგილზე და მესამე სახელმწიფოებთან ურთიერთთანამშრომლობა

1. ერთიან ევროპულ სამართლებრივ სივრცეში, რომელიც განსაზღვრულია მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტით, ევროპული ტერიტორიულობის პრინციპით განსაზღვრულია ადგილობრივი კომპეტენცია და ის ხორციელდება შემდეგნაირად:

a) ევროპული პროკურატურის წევრები, რომლებიც დასახელებული არიან გენერალური პროკურორის მიერ მე-18 და შემდგომი მუხლების შესაბამისად სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამოძიების წარმოებისათვის, კომპეტენტურნი არიან ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე (შეად. მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის a) ქვეპუნქტი).

b) ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს სასამართლოს მიერ გაცემული ან გამოქვეყნებული დაპატიმრების ბრძანებები და გადწყვეტილებები, რომლებიც შეეხება ზემოთ ჩამოთვლილ ქმედებებს, აღსრულებადია ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძიებისათვის საჭიროა მესამე სახელმწიფოსგან სამართლებრივი დახმარების გაწევა, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ეს, ევროპული პროკურატურა მიმართავს თხოვნით ნაციონალურ ორგანოს იმ ადგილის მიხედვით, სადაც განხორციელდა გამოძიების ძირითადი ნაწილი, მიმართოს თხოვნით მესამე სახელმწიფოს, სამართალწარმოების იმ პროცედურით, რომელსაც ითვალისწინებს მოქმედი ნაციონალური და საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები.

სამართალწარმოების მოსამზადებელი სტადია

მუხლი 25 – მოსამზადებელი სტადიის დეფინიცია და ხანგრძლივობა

1. სამართალწარმოების მოსამზადებელი სტადია, რომელიც 1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო იხსნება, გრძელდება ევროპული პროკურატურის მიერ განხორციელებული პირველი საგამოძიებო მოქმედებებიდან გამოძიების დასრულების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე, რაც სრულდება საბრალდებო აქტის შედგენით (21-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

2. მოსამზადებელი სტადიის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 6 თვე. ევროპული პროკურატურის შუამდგომლობით, ეს ვადა შესაძლებელია, თავისუფლების მოსამართლის მიერ გაგრძელდეს კიდევ 6 თვით. ორივე მხარის მოსმენის შემდეგ, თავისუფლების მოსამართლე, იმ ღონისძიებების გათვალისწინებით, რომლებიც გასატარებელი აქვს ევროპულ პროკურატურას და გამოძიების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, განსაზღვრავს გასახანგრძლივებელ ვადას. ვადის ხელახალი გაგრძელება შეიძლება გაცხადებულ და ნებადართულ იქნეს იმავე პროცედურით.

მუხლი 25bis – თავისუფლების მოსამართლე

1. მთელი მოსამზადებელი სტადიის განმავლობაში, იუსტიციური თავისუფლებების დაცვას ახორციელებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მოსამართლე, ე. წ. თავისუფლების მოსამართლე. ყოველი წევრი სახელმწიფო ასახელებს ასეთ მოსამართლეს იმ სასამართლოს ადგილმდებარეობის მიხედვით, რომლის ტერიტორიაზეც, ასევე არის ევროპული პროკურატურის წარმომადგენელი. თავისუფლების მოსამართლე უფლებამოსილია, ასევე იმ გარემოებების მიმართ, რომლებიც სისხლისსამართლებრივ დევნასთან არის დაკავშირებული, გასცეს დასკვნები ან მიიღოს ზომები უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ, თუ ასეთი გარემოებები ნამდვილად არსებობს ყოველგვარი დავის გარეშე და თუ ასეთი ღონისძიებების მიღება საჭიროა სამოქალაქოსამართლებრივი სასარჩელო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და არის მისი თანაზომიერი. თავისუფლების მოსამართლე, *Corpus Juris*-ის გარდა, იყენებს ასევე თავისი ქვეყნის ნაციონალურ სამართალსაც.

2. 1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების გამოძიების დროს, ისეთი ღონისძიება (იმ იძულებითი ღონისძიებების ჩათვლით, რომელთა გამოყენებაც ნებადართულია 25quarter მუხლით), რომელიც ახდენს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვას ან ჩამორთმევას, რომლებიც აღიარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, და თუ იგი მოსამზადებელი სტადიის განმავლობაში ხორციელდება, წინასწარ თავისუფლების მოსამართლის მიერ უნდა იყოს ნებადართული. თავისუფლების მოსამართლე ამოწმებს, თუ რამდენად არის საპროცესო ღონისძიება კანონისა და წესების შესაბამისად განხორციელებული, ასევე რამდენად არის მისი გამოყენება აუცილებელი და პროპორციული. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში, დამატებითი გადამოწმება დასაშვებია 24 საათის განმავლობაში, კერძოდ, როდესაც მტკიცებულებებს ემუქრება განადგურება, ან ქმედება იქნება მყისიერად განხორციელებული ან არსებობს საფრთხე იმისა, რომ ეჭვმიტანილი დაემალება გამოძიებას.

3. თუკი ევროპის გენერალური პროკურორი მოსამზადებელი სტადიის ბოლოს გადაწყვეტს, რომ საქმეზე შეტანილი იქნეს საბრალდებო აქტი (შეად. 21-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები), მაშინ იგი ამ გადაწყვეტილებას წარუდგენს თავისუფლების მოსამართლეს. ეს უკანასკნელი კი, მიმართავს იმ სასამართლოს, რომელშიც, 26-ე მუხლის შესაბამისად, წარდგენილი უნდა იქნეს საბრალდებო აქტი.

მუხლი 25ter – ევროპული დაპატიმრების ბრძანება

1. ევროპული დაპატიმრების ბრძანებას გასცემს თავისუფლების მოსამართლე, როდესაც იგი ევროპული პროკურატურის მიერ შეტანილი შუამდგომლობის შემოწმებისა და მტკიცებულებების ან სხვა საგამოძიებო შედეგების საფუძველზე, რომლებსაც წარადგენს პროკურატურა, მიიჩნევს მას გამართლებულად. დაპატიმრების ბრძანება შეიცავს შესაბამისი პირის სახელსა და გვარს, მისი იდენტიფიცირებისათვის საჭირო ნიშნებს, *Corpus Juris*-ით გათვალისწინებულ ქმედებაზე ზუსტ მითითებას, რომლის ჩადენაც გახდა დაპატიმრების საფუძველი და საქმის შინაარსის მოკლე განმარტებას, საიდანაც მტკიცდება, რომ ამ პიროვნებამ ჩაიდინა ეს ქმედება.

2. ყოველი დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ წარედგინება იმ ქვეყნის თავისუფლების მოსამართლეს, სადაც იგი იქნა დაპატიმრებული. იგი, *Corpus Juris*-ით გათვალისწინებული პროცედურისა და ნაციონალური სამართლის მიხედვით, რომელიც, 35-ე მუხლის საფუძველზე, დამატებით გამოყენებადია, ამოწმებს, შეეხება თუ არა დაპატიმრების ბრძანება ნამდვილად წარმოდგენილ პირს, ასევე, იყო თუ არა იგი სამართალწარმოების დადგენილი წესის დაცვით

დაპატიმრებული და დაცული არის თუ არა მისი უფლებები. დაპატიმრებულ პირს, მის გადაცემამდე, უფლება აქვს, დაპატიმრების ადგილის მიხედვით, შუამდგომლობით მიმართოს თავისუფლების მოსამართლეს, დაპატიმრებისაგან დროებითი გათავისუფლების შესახებ.

3. თავისუფლების მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს ნაციონალური სამართლისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე. 35-ე მუხლის გამოყენების დროს მისი გადაწყვეტილება შესაძლებელია, გახდეს გასაჩივრების საგანი, რამდენადაც ამას ითვალისწინებს შიდასახელმწიფოებრივი სამართალი.

4. ევროპული დაპატიმრების ბრძანებას გასცემს თავისუფლების მოსამართლე ევროპული პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე (შეად. მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის g ქვეპუნქტი და 25[ter] მუხლი). ეს ბრძანება აღსრულებადია ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე. დაპატიმრებული პირი შესაძლებელია, გადაყვანილ იქნეს იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელშიც საჭიროა მისი ყოფნა (სისხლის სამართალწარმოების მოსამზადებელ სტადიაზე ან მთავარი სასამართლო განხილვის დროს).

5. თუ მესამე სახელმწიფოს ეთხოვება ურთიერთთანამშრომლობაზე, ნაციონალური ორგანოები უფლებამოსილი არიან, ევროპული პროკურატურის განცხადებები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ გადაუგზავნონ ამ ქვეყანას. ურთიერთთანამშრომლობის სახე და საშუალება დარეგულირებულია საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომლებიც თხოვნის მიმღებ და იმ გამგზავნ ქვეყანას შორის მოქმედებს, რომელსაც ევროპული პროკურატურა თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოდ განსაზღვრავს (შეად. 24-ე მუხლი).

მუხლი 25[quater] საპროცესო იძულების ღონისძიებები: საპოლიციო ზედამხედველობა და საგამოძიებო პატიმრობა

1. 1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენისათვის დაპატიმრებული ან სისხლისსამართლებრივად დევნილი პირი შეიძლება დაექვემდებაროს საგამოძიებო პატიმრობას ან საპოლიციო ზედამხედველობას.

2. ამ ღონისძიებებს, ევროპული პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, განსაზღვრავს თავისუფლების მოსამართლე, მას შემდეგ, რაც წარმოადგინა ბრალდებები (შეად. მე-20 მუხლის მე-3 f პუნქტი). მოსამართლეს უნდა ჰქონდეს სარწმუნო საფუძვლები იმისა, რათა მიიჩნიოს ბრალდებულის მიერ 1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე ქმედება ჩადენილად და უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ ასეთ ღონისძიების გამოყენება არის საჭირო, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებულის იუსტიციის ორგანოებისაგან მიმალვა, ჩადენილი დანაშაულის გაგრძელება ან განმეორება, ან კიდევ უზრუნველყოფილ იქნეს მტიცებულებებისა და სამხილების დაცვა ან მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენის თავიდან აცილება.

3. ბრალდებული შესაძლებელია მხოლოდ მაშინ იქნეს მიცემული საგამოძიებო პატიმრობაში, როდესაც საპროცესო იძულების სხვა ღონისძიებების გამოყენება არასაკმარისია და მხოლოდ იმ დროის განმავლობაში, რომელიც გაამართლებდა ამ მუხლის მე-2 პუნქტში დასახელებულ საფუძვლებს. საგამოძიებო პატიმრობის მაქსიმალური ვადა შეადგენს 6 თვეს; ეს ვადა შესაძლებელია, გაგრძელდეს კიდევ 3 თვით.

4. ნაციონალურმა ორგანოებმა უნდა აღმოუჩინონ დახმარება საპოლიციო ზედამხედველობის ღონისძიების აღსრულებას, რომლებიც გამოტანილ იქნა სხვა წევრ სახელმწიფოებში. მათ უნდა დააკავონ და გადასცენ ბრალდებულები, რომლებიც არიან თავისუფლებაში და თავს არიდებენ გამოძახებისას სათანადო ორგანოებში გამოცხადებას.

5. 35-ე მუხლის შესაბამისად, თავისუფლების მოსამართლის გადაწყვეტილება

საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენების შესახებ შეიძლება იქნეს გასაჩივრებული, როგორც ამას ითვალისწინებს ნაციონალური სამართალი.

მთავარი სასამართლო პროცესი

მუხლი 26 – მთავარი სასამართლო პროცესი პირველ ინსტანციაში

1.1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ქმედებებისათვის პირის გასამართლება ხდება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ნაციონალური სასამართლოების მიერ, რომლებსაც განსაზღვრავს თითოეული წევრი სახელმწიფო, განსჯადობის შესახებ შიდასამართლებრივი ნორმების შესაბამისად. სასამართლოები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, დაკომპლექტებული არიან იმ პროფესიონალი მოსამართლეებით, რომლებიც სპეციალიზებული არიან ეკონომიკისა და ფინანსების სფეროში.

2. ყოველი პროცესი გაიმართება იმ წევრ სახელმწიფოში, რომლის სასამართლოც ყველაზე მეტად მისაღებია კარგი სამართალწარმოების განხორციელების თვალსაზრისით. სასამართლოთა განსჯადობის შესახებ დავა წყდება 28-ე მუხლის საფუძველზე. არჩევის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმები შემდეგია:

a) სახელმწიფო, რომელშიც მტკიცებულებათა უმეტესი ნაწილია განთავსებული,

b) სახელმწიფო, რომელშიც იმყოფება ან, რომლის მოქალაქეობაც აქვს ბრალდებულს (ან მთავარ ბრალდებულებს),

c) სახელმწიფო, რომლისთვისაც ჩადენილმა დანაშაულმა ყველაზე დიდი ეკონომიკური შედეგები გამოიწვია.

3. ნაციონალური სასამართლოები იყენებენ *Corpus Juris*-სა და 35-ე მუხლის საფუძველზე ნაციონალურ კანონებს. სასამართლოები, ნებისმიერ შემთხვევაში, მე-14–მე-17 მუხლების საფუძველზე, სასჯელს ასაბუთებენ ყოველი კონკრეტული შემთხვევის გარემოებების საფუძველზე.

მუხლი 27 – გასაჩივრება ნაციონალურ სასამართლოებში

1.1-ლი-მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისათვის დამნაშავედ ცნობილ პირს უნდა ჰქონდეს გასაჩივრების საშუალება, რათა შესაძლებელი იყოს სახელმწიფოს ზედა ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახალი განხილვა, მაშინ როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ უკვე არის განაჩენი გამოტანილი. პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად, ზედა ინსტანციაც იყენებს *Corpus Juris*-ს და, ხარვეზების არსებობის შემთხვევაში, ნაციონალურ სამართალს.

2. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული მთლიანად ან ნაწილობრივ იქნება გამართლებული, ევროპულ პროკურატურას, როგორც ბრალდების მხარეს, უფლება აქვს, ზემოაღნიშნულის მსგავსად, გაასაჩივროს გადაწყვეტილება.

3. თუ გადაწყვეტილებას მხოლოდ გასამართლებული ასაჩივრებს, მაშინ სასამართლოს, რომელიც განიხილავს საქმეს, არ შეუძლია სასჯელის დამძიმება.

მუხლი 28 – გასაჩივრება ევროპული გაერთიანებების სასამართლოში

1. ევროპული გაერთიანებების სასამართლო, 1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებთან დაკავშირებით, უფლებამოსილია შემდეგ ოთხ შემთხვევაში:

a) *Corpus Juris*-ისა და მისი გამოყენების დებულებების ინტერპრეტაციის შესახებ წინასწარი გადაწყვეტა;

b) წევრი სახელმწიფოს ან კომისიის განაცხადის საფუძველზე, *Corpus Juris*-ის გამოყენების საკითხის გადაწყვეტა, რომლის შესახებაც არსებობს აზრთა სხვადასხვაობა წევრ სახელმწიფოებს, ან წევრ სახელმწიფოსა და კომისიას შორის;

c) ევროპული პროკურატურის, ბრალდებულის ან ნაციონალური იუსტიციის ორგანოს განაცხადის საფუძველზე დავის გადაწყვეტა ევროპული ტერიტორიულობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება როგორც პროკურატურის საქმიანობას, ასევე ევროპული პროკურატურის განცხადების საფუძველზე, მართლმსაჯულების გარანტირებულ განხორციელებას ნაციონალური სასამართლოების მეშვეობით (25-ე–27-ე მუხლები);

d) ბრალდებულის განაცხადის საფუძველზე მთავარი სასამართლო განხილვის ადგილის არჩევის საკითხის გადაწყვეტა, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე.

2. თუ წევრი სახელმწიფოს სასამართლოში წარმოიშობა დავა ნორმის განმარტებას ან სასამართლოს განსჯადობასთან დაკავშირებით, ამ საკითხის გადასაწყვეტად დასახელებულ სასამართლოს შეუძლია მიმართოს ევროპული გაერთიანებების სასამართლოს, როდესაც ეს საკითხი საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისათვის არის მნიშვნელოვანი.

3. თუკი ეს საკითხი ან კამათი ნაციონალური სასამართლოს წინაშე წამოიჭრება და მიღებული გადაწყვეტილება შიდასახელმწიფოებრივი სამართლით გასაჩივრებას არ ექვემდებარება, მაშინ ამ საკითხის განმხილველმა სასამართლომ უნდა მიმართოს ევროპული გაერთიანებების სასამართლოს.

ზოგადი წესები

მუხლი 29 – ბრალდებულის უფლებები

1.პირი არ შეიძლება დაკითხული იქნეს მოწმედ, არამედ ყველა იმ ქმედების დროს განხილული უნდა იქნეს როგორც ბრალდებული, რომელიც თავისი ნიშნებით იძლევა სერიოზულ და ლოგიკურ საფუძველს ამ პიროვნების ბრალეულობის დასადგენად, მიუთითებს ან ააშკარავებს ამის შესახებ და ეს (ბრალდებულად მიჩნევა) უნდა მოხდეს არაუგვიანეს პირველი გამოკითხვისა იმ ორგანოს მიერ, რომლისთვისაც ცნობილია ასეთი ნიშნების არსებობის შესახებ.

2. 1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებათა ჩადენის გამო დაწყებული სისხლისსამართლებრივი წარმოების მიმდინარეობის განმავლობაში ბრალდებული იყენებს დაცვის უფლებას, რომელიც მას მინიჭებული აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ გაეროს საერთაშორისო პაქტით. მას ყოველი დაკითხვის დროს უნდა განემარტოს დუმილის უფლებით სარგებლობის შესახებ.

3. არაუგვიანეს პირველი გამოკითხვისა, ბრალდებულს აქვს უფლება, იცოდეს იმ ბრალდებების შესახებ, რომლებიც მის მიმართ იქნება წარდგენილი.

მუხლი 30 – კომისია, როგორც სამოქალაქო მოსარჩელე

ამოღებულია

მუხლი 31 – მტკიცების ტვირთი

1. ნებისმიერი პირი, რომელიც 1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის იქნა ბრალდებული, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად და კანონიერ ძალაში შესული საბოლოო განაჩენით.

2. ნაციონალური ან გაერთიანების სამართლით გათვალისწინებული მავალდებულებელი პირობების მიუხედავად, რომ წარმოდგენილი უნდა იქნეს გარკვეული სახის დოკუმენტაცია, არავინ არის ვალდებული, უშუალოდ ან შუალობითად იმოქმედოს იმისათვის, რომ დაადგინოს საკუთარი ბრალეულობა.

მუხლი 32 – დასაშვები მტკიცებულებები

1. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში დასაშვებია შემდეგი სახის მტკიცებულებები:

a) მოწმეთა ჩვენებები, განხორციელებული უშუალო ფორმით, სასამართლო განხილვის დროს წარმოდგენილი აუდიოვიზუალური ფორმით ან ევროპული პროკურატურის მიერ „დაკითხვის ევროპული პროტოკოლით“ გათვალისწინებული ფორმით. ეს პროტოკოლი ითვალისწინებს, რომ დაკითხვა ხორციელდება მოსამართლის მიერ, რომელსაც ესწრება ადვოკატი და აქვს კითხვების დასმის შესაძლებლობა; საბოლოოდ, დაკითხვის მიმდინარეობა ჩაიწერება ვიდეოზე.

b) ბრალდებულის გამოკითხვა უშუალოდ ან ევროპული პროკურატურის მიერ „დაკითხვის ევროპული პროტოკოლით“ გათვალისწინებული ფორმით. ეს პროტოკოლი ითვალისწინებს, რომ გამოკითხვა ხორციელდება მოსამართლის წინაშე და ბრალდებული სარგებლობს უფლებით, დაცული იქნეს მის მიერ არჩეული ადვოკატის მიერ, რომელსაც დროულად და დაკითხვამდე არაუგვიანეს 48 საათისა გადაეცემა საქმის მასალები; ბრალდებული, საჭიროების შემთხვევაში, ასევე სარგებლობს თარჯიმნის ყოლის უფლებით; საბოლოოდ, მიმდინარე პროცესი ჩაიწერება ვიდეოზე.

c) ბრალდებულის მიერ გაკეთებული განმარტებები, ყოველგვარი გამოკითხვისგან დამოუკიდებლად, რომელიც მან გააკეთა კომპეტენტური ორგანოს (ადმინისტრაციული დაწესებულება, ევროპული პროკურატურა ან მოსამართლე) წინაშე, თუ ამ განმარტებების გაკეთებამდე მას განემარტა დუმილისა და მის მიერ არჩეული ადვოკატის ყოლის უფლების შესახებ და თუ ეს განმარტებები, კანონით გათვალისწინებული სამართალწარმოების ნორმების შესაბამისად, რაიმე სახით არის დამაგრებული.

d) დოკუმენტები, რომლებსაც ექსპერტი წარადგენს სისხლის სამართალწარმოების მოსამზადებელ ეტაპზე ან სასამართლოს მთავარი სხდომის დაწყებისას. ექსპერტებს ნიშნავს უფლებამოსილი სასამართლო იმ ფიზიკური ან იურიდიული პირებიდან, რომლებიც არიან ევროპული ექსპერტების სიაში. ამ სიის შეთანხმება ხდება ევროპული პროკურატურის მიერ; ამ სიაზე ნებართვა უნდა გასცენ წევრმა სახელმწიფოებმა.

e) დოკუმენტები, რომელთა წარდგენაც ბრალდებულს მოეთხოვება ადმინისტრაციულსამართლებრივი წინასწარი გამოძიების ან გამოძიების განმავლობაში, ასევე ის დოკუმენტები, რომელთაც მესამე პირი წარადგენს.

2. სხვა სახის მტკიცებულებების წარდგენა დასაშვებია, თუ ამას ითვალისწინებს იმ წევრი სახელმწიფოს ნაციონალური სამართალი, რომელსაც საქმის განმხილველი სასამართლო განეკუთვნება.

მუხლი 33 – დაუშვებელი მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებულ იქნენ სამართლებრივი ნორმების დარღვევით

1.1-ლი–მე-8 მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დროს დაუშვებლად მიიჩნევა მტკიცებულება, თუ ის ნაციონალური ან გაერთიანების ორგანოების მიერ მოპოვებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული ძირითადი უფლებების ან კიდევ 31-ე ან 32-ე მუხლების დარღვევით. ასეთივე წესი მოქმედებს ნაციონალური სამართლის ნორმების დარღვევის მიმართაც; გამონაკლისია ის შემთხვევა, როცა მტკიცებულებების დასაშვებობას ითვალისწინებენ ევროპული დებულებები. ყველა შემთხვევაში, მტკიცებულების დასაშვებობა გამორიცხულია, როდესაც ის ეწინააღმდეგება სამართლიანი სამართალწარმოების ძირითად პრინციპებს.

2. ვიდრე ნაციონალური სამართლით გადაწყდება, იყო თუ არა მტკიცებულება სამართლებრივი ნორმების დაცვით მოპოვებული, მანამდე გამოიყენება იმ სახელმწიფოს სამართლის ნორმები, რომელშიც წარდგენილია მტკიცებულება. თუ აღმოჩნდება, რომ მტკიცებულება კანონის ნორმების დაცვით არის მოპოვებული, არ შეიძლება მის გამოყენებას ხელი შეუშალოს იმან, რომ მისი მოპოვება, იმ სახელმწიფოში, რომელშიც ხორციელდება მისი გამოყენება, არამართლზომიერად იქნებოდა მიჩნეული; მაგრამ მისი გამოყენებას შესაძლებელია, ხელი შეუშალოს იმან, რომ მისი მოპოვებით დარღვეული იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებები ან 31-ე ან 32-ე მუხლი, მიუხედავად იმისა, თუ ეს დარღვეული ნორმები ნათლად შეესაბამება იმ ქვეყნის სამართლის ნორმებს, რომელშიც განხორციელდა მათი მოპოვება.

მუხლი 34 – საჯაროობა და კონფიდენციალურობა

1.გამოძიება, რომელიც ევროპული პროკურატურის ხელმძღვანელობით ხორციელდება, არის საიდუმლო. ორგანოები რომლებიც მონაწილეობას იღებენ ამ გამოძიებაში, ვალდებულნი არიან უზრუნველყონ სამსახურებრივი საიდუმლოების შენახვა.

2. საქმის მოსმენა თავისუფლების მოსამართლესთან შეიძლება ჩატარდეს ღიად, თუ ყველა მხარე განაცხადებს თანხმობას ამის შესახებ; აქედან გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია, თუ ეს საჭიროა გამოძიების შემდგომი წარმოების, მესამე პირთა ინტერესების, საჯარო წესრიგის ან ჯანსაღი წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარე, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი ხელყოფა.

3. საქმის განმხილველ სასამართლოზე საქმის მოსმენა არის ღია, თუმცა შესაძლებელია, რომ პრესა და საზოგადოება არ იქნეს დაშვებული, როგორც მთელ სასამართლო პროცესზე, ასევე მის გარკვეულ ნაწილზე, იმ პირობების გათვალისწინებით, რომლებიც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით. რამდენადაც დაინტერესებული სახელმწიფოს ნაციონალური სამართალი იძლევა უფლებას, შესაძლებელია საქმის განხილვის საჯაროობამ, ასევე მისი ჩაწერა და აუდიო-ვიზუალური გავრცელება მოიცვას. გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში უნდა გამოცხადდეს საჯაროდ.

მუხლი 35 – ნაციონალური სამართლის დამატებითი გამოყენება Corpus Juris-თან მიმართებაში

1.1-ლი–მე-8 მუხლების გამოყენებისათვის ნაციონალური სამართალი დამატებით წარმოადგენს მე-9–34-ე მუხლების განვრცობას, რამდენადაც ეს აუცილებელია. ეს ნორმები გამოიყენება იმ მდგომარეობით, რა მდგომარეობაშიც არის სამართალწარმოების დროს, იქნება ეს გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მთავარი სასამართლო განხილვისა თუ განაჩენის აღსრულებისას.

2. მე-9–მე-16 მუხლებისთავის დამატებით შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ნაციონალური სამართლის მხოლოდ ის ნორმები, რომლებიც ბრალდებულისათვის სასარგებლოა.

§13 ევროპული სისხლის სამართლის ნაკლი და პერსპექტივები

I ევროპული სამართლის ზეგავლენა რუმინულ და გერმანულ სისხლის სამართალზე[1]

პროფესორი, დოქტორი ჰელმუტ ზატცგერი, მიუნხენი[2]

I. შესავალი

რუმინული სისხლის სამართალი იმყოფება მნიშვნელოვანი რეფორმის ეტაპზე. დებატები ამ საკითხზე ჯერ კიდევ მის ევროპის კავშირში გაწევრიანებამდე (2007 წ.) დაიწყო. რუმინული სისხლის და სისხლის საპროცესო სამართალი ევროპულის შესაბამისი და მასზე „მორგებული" უნდა გამხდარიყო. ეს, ბუნებრივია, ნიშნავს ეფექტური ბრძოლის აუცილებლობას კორუფციისა და ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ. თუმცა, ზოგადად, რუმინული სისხლის სამართლის გადმოსახედიდან, ევროპა უფრო მეტს ნიშნავს. ის ევროპულ სამართლებრივ სისტემაში შესვლით უამრავ ზეგავლენას განიცდის და ამ პროცესს „სისხლის სამართლის ევროპეიზაცია" შეგვიძლია ვუწოდოთ. სწორედ ამიტომ რუმინეთმა დისკუსიებისას საერთო ევროპული კონტექსტი უნდა გაითვალისწინოს. სისხლის სამართლის ევროპეიზაცია მრავალფეროვანია და მიმართულია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობისაკენ. ის მოიცავს არა მხოლოდ მატერიალურ, არამედ საპროცესო სისხლის სამართალსაც.

ევროპეიზაცია არის ფენომენი, რომელიც სამართლის ყველა დარგში და ევროკავშირის წევრ ყველა სახელმწიფოში თანაბარ გამოძახილს ჰპოვებს. მოცემულ შემთხვევაში, შემიძლია, გერმანული სამართლებრივი დისკუსიებიდან ამოვიდე და ზოგადევროპულ სწავლებებს დავეყრდნო. შევეცდები, შემდგომ ნაწილებში წარმოვაჩინო ევროპეიზაციის მაგალითები და, შეძლებისდაგვარად, მოვიყვანო ნიმუშები გერმანული და რუმინული სამართლიდან.

II. ევროპული სამართალი და ნაციონალური სამართლებრივი წესრიგი

როდესაც ვსაუბრობ ევროპული სამართლის გავლენაზე, ამაში პირველ რიგში იგულისხმება ევროკავშირის სამართალი, უდავოა, ასევე სისხლის სამართალსა და, განსაკუთრებით, პროცესზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი პრინციპების, როგორიცაა, მაგალითად, წამების აკრძალვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება და ა.შ., გავლენა, თუმცა ამ საკითხს უფრო დეტალურად ამ შემთხვევაში არ შევეხები.

ევროკავშირის სამართალი, დაფუძნებული სამ ბოძზე – ევროგაერთიანების სამართალი,

---

[1] Prof. Dr. *Helmut Satzger:* Der Einfluss des europäischen Rechts auf die rumänische und die deutsche Strafrechtsordnung. მოხსენება გაკეთებულია რუმინეთის ქ. კლუშში, 2009 წლის 28 თებერვალს. მისი გამოქვეყნება ამ წიგნში გადავწყვიტეთ იმიტომ, რომ, ერთი მხრივ, გერმანია არის ევროპის კავშირის ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფო, ხოლო, მეორე მხრივ, რუმინეთი სახელმწიფოთა ევროპული კავშირის გაერთიანების ყველაზე ახალგაზრდა წევრი.

[2] ავტორი არის მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის გერმანული, ევროპული და საერთაშორისო სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის, ასევე ეკონომიკური სისხლის სამართლის კათედრის ხელმძღვანელი.

საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, ურთიერთთანამშრომლობა პოლიციისა და იუსტიციის სფეროში – სისხლის სამართლის კონტექსტში დიდად მნიშვნელოვანია. პირველი და მესამე ბოძები ქმნიან სისხლის სამართლის ევროპეიზაციის ერთიან ფარგლებს. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ ქმნიან, რადგან ლისაბონის ხელშეკრულება ამ სამბოძიან დაყოფას შეცვლის. ამის წინასწარი განჭვრეტა არცთუ ადვილია, რადგან წარდგენილ სარჩელთან მიმართებაში გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს რამოდენიმე მოსამართლეს გარკვეული კითხვები გაუჩნდა ლისაბონის ხელშეკრულების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. ასევე რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს ირლანდიაშიც[1]. მიუხედავად ამისა, მაინც მინდა შევეხო ამ ხელშეკრულებას, რომელიც მოახდენს აქამდე არსებული რეგულირებების კონსოლიდაციას და უფრო შორსაც მიდის. მნიშვნელოვანი ცვლილება ევროკავშირის არქიტექტურაში იქნება სამბოძიანი სისტემის გაუქმება. ლისაბონის ხელშეკრულებას მესამე ბოძი, ანუ საერთაშორისო სამართლებრივ და „ერთსულოვნების" პრინციპებზე დამყარებული სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობა გადაწვეტილებების მიღებისას გადააქვს ევროკავშირის კომპეტენციაში, რომლის დონეზეც უკვე გადაწყვეტილებების მიღება უმრავლესობის პრინციპით მოხდება და ამით შესაძლებელი გახდება ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს „ვეტოს" გადალახვა. ევროპარლამენტი ამ პროცესებში მნიშვნელოვან როლს იძენს, რაც დემოკრატიული ლეგიტიმაციის თვალსაზრისით მისასალმებელია.

III. ევროპეიზაცია და მისი ფორმები

როდესაც საუბარია ევროპეიზაციის გავლენაზე, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ გავლენა მატერიალურ და საპროცესო სამართალზე.

(ა) მატერიალური სისხლის სამართალი

უეჭველია სისხლის სამართლის ევროპეიზაციის ყველაზე ძლიერი ფორმა იქნებოდა ნამდვილი ევროპული სისხლის სამართლის ჩამოყალიბება, ანუ პირდაპირ მოქმედი ევროპული შემადგენლობების არსებობა. ეს შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: რომელიმე ევროპული ნორმა ადგენს შემადგენლობას „თაღლითობა ევროკავშირის ბიუჯეტის საზიანოდ" და ითვალისწინებს სანქციას „არანაკლებ 1 წლის ვადით". ამის შედეგი იქნებოდა ის, რომ ყოველი თაღლითი პირდაპირ ამ ნორმის საფუძველზე დაისჯებოდა. არ იქნებოდა საჭირო მისი ნაციონალურ კანონმდებლობაში გადატანა. ის ადგილობრივი, გერმანული, რუმინული თუ სხვა ქვეყნების ნორმების პარალელურად იმოქმედებდა. თუმცა დღეისათვის ასეთი პირდაპირ მოქმედი „ნამდვილი სისხლის სამართალი" არ არსებობს.

სხვა სიტუაციაა სისხლის სამართალთან მიმართებაში ფართო გაგებით. აქ უკვე დიდი ხანია, რომ ევროგაერთიანება გარკვეულ სანქციებს იყენებს. მაგალითად, 2007 წელს მან 1 მილიარდი ევროთი დააჯარიმა რამდენიმე ლიფტების მწარმოებელი ფირმა და აქედან 500 მილიონი ცნობილ გერმანულ ფირმა ThyssenKrupp-ს დაეკისრა.

ვიწრო გაგებით სისხლის სამართლის არარსებობის კუთხით ლისაბონის ხელშეკრულებაც სიტუაციას დიდად არ შეცვლის. თუმცა მოხდება აქამდე არსებული 280-ე მუხლის (EGV) გარკვეულწილად შეცვლა, რაც ევროპული ფინანსური ინტერესების დაცვის სფეროში დიდ

[1] დღეისათვის ეს პრობლემა მოხსნილია. როგორც გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოში, ასევე ირლანდიაშიც საკითხი დადებითად გადაწყდა. 2009 პირველი დეკემბრიდან ლისაბონის ხელშეკრულება ძალაშია.

ცვლილებას გამოიწვევს. ამ ცვლილებით შესაძლებელი გახდება პირდაპირ ევროპული ნორმის საფუძველზე სუპრანაციონალური შემადგენლობის დადგენა და ამით მინიმუმ ფინანსურ სფეროში მოხდება ნამდვილი ევროპული სამართლის ჩამოყალიბება[1].

მიუხედავად აქამდე ნათქვამისა, ევროპულ გარემოს ისედაც დიდი გავლენა აქვს რუმინელ კანონმდებელზე. მან თავისი ყოველი მოქმედების განხორციელებისას ევროპული ფარგლები უნდა დაიცვას. პირველ რიგში ეს ეხება გაერთიანებაში მოქმედ ზოგად პრინციპებს. ასეთებია თუნდაც დისკრიმინაციის აკრძალვა და თანაზომიერების (დანაშაული-სასჯელი) პრინციპები. ცენტრალური ადგილი უჭირავს, ასევე ევროგაერთიანების ხელშეკრულების მე-10 მუხლში ჩადებულ წევრი სახელმწიფოების მხრიდან გაერთიანების მიმართ ლოიალურობის ვალდებულებას (დღეისათვის ევროკავშირის ლისაბონის ხელშეკრულების IV მუხ. მე-3 ნაწ.). ამ პრინციპმა განსაკუთრებით ნათელი კონკრეტიზაცია განიცადა მაშინ, როდესაც ევროგაერთიანების სასამართლომ ცნობილ საქმეზე „ბერძნული სიმინდის სკანდალი"[2] გადაწყვეტილებაში „ქმედითი, თანაზომიერი და პრევენციული/შემაშინებელი" სანქციების დადგენა მოითხოვა ევროგაერთიანების ინტერესების დასაცავად. სანქციებისადმი წაყენებული ეს მინიმუმი სავალდებულოა წევრი სახელმწიფოების კანონმდებლებისათვის. თუმცა ეს ნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი სანქციების გამოყენება მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კონკრეტულ შემთხვევაში ეს ერთადერთი გამოსავალია.[3]

გარდა ამისა, ევროგაერთიანების სამართალი ითვალისწინებს, ასევე სამართლებრივ საფუძვლებს წევრ სახელმწიფოებში მოქმედი სისხლის სამართლის დაახლოვებისათვის, გათანაბრებისათვის. სუპრანაციონალური ნორმების გამოცემისაგან განსხვავებით, აქ ხდება დირექტივების (პირველი ბოძის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში) ან ჩარჩო-გადაწყვეტილების (მესამე ბოძი) მეშვეობით ნაციონალური კანონმდებლებისათვის მითითების გაკეთება, რათა მათ დასახული მიზნის შესაბამისად გარკვეულ ვადაში მოახდინონ ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა. ასეთი ქმედების სამართლებრივი საფუძველია, მაგალითად, მესამე ბოძის ფარგლებში ევროკავშირის ხელშეკრულების (EUV) 29-ე, 31-ე მუხლები, რომლებიც მიუთითებენ მინიმალური ევროპული სტანდარტების დადგენაზე, როდესაც ეს აუცილებელია ორგანიზებულ თუ არაორგანიზებულ დამნაშავეობასთან საბრძოლველად, როგორიცაა ტერორიზმი, ნარკობიზნესი და ა.შ. ამის მაგალითებია თუნდაც ჩარჩო-გადაწყვეტილება კერძო სექტორში მოსყიდვის ან ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციისა და პორნოგრაფიის შესახებ. ამ უკანასკნელმა გერმანიაში ის გამოიწვია, რომ სსკ-ის § 182-ის I აბზაცით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც გულისხმობდა სექსუალური ქმედებების დასჯადობას 16 წლამდე ასაკის პირთან, გადახდის სანაცვლოდ ან მისი რთული მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიცვალა და სამართლებრივი დაცვა გავრცელდა 16 და 17 წლის ასაკის პირებზეც. ჩარჩო–გადაწყვეტილებები მიმართული არიან მინიმალური ჰარმონიზაციისაკენ და ხელს უწყობენ არა სისხლის სამართლის შემსუბუქებას, არამედ, პირიქით, მის გამკაცრებას. [4]

ევროგაერთიანების ხელშეკრულების (EGV) დებულებების გაგება ხდება ისეც, რომ ის კონკრეტულ სფეროებში, მაგალითად, გარემოს დაცვა, ჰარმონიაზაციასთან ერთად, სხვადასხვა ნაციონალური სისხლის სამართლის ნორმების გათანაბრების სამართლებრივ საფუძველს ქმნის. ევროგაერთიანების სასამართლო ამ კონტექსტში მის ერთ-ერთ ბოლო

---

1 იხ. *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht, 3. Auflage 2009,§ 7 Rn. 42, ასევე *Fromm*, StraFo 2009, 358, 365; *Rosenau*, ZIS 2008, 9, 16.

2 EuGH, Urt. v. 21.09.1989, Slg. 1989, 2965, Rs. 68/88- „Kommission./.Griechische Republik".

3 უფრო დაწვრილებით იხ. *Satzger*, Int. und Europäisches Strafrecht, 3. Auflage 2009, §8 Rn. 27 ff.

4 იხ. იქვე, Rn. 60.

ცნობილ და სამართლიანად საკმაოდ გაკრიტიკებულ გადაწყვეტილებაში უფრო შორს წავიდა და დაადგინა გარემოს დაცვის სფეროში ევროგაერთიანების ერთგვარი დამატებითი კომპეტენცია (Annex-Kompetenz).[1] მეორე, შედარებით „ზომიერ" გადაწყვეტილებაში[2] სასამართლო მხოლოდ შემადგენლობის დადგენის კომპეტენციით შემოიფარგლა და უარყო სანქცის სახეობისა და ზომის დადგენის შესაძლებლობა გაერთიანების მიერ. ასეთი დამატებითი კომპეტენცია ლისაბონის ხელშეკრულებითაც არის გათვალისწინებული – ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ ხელშეკრულების (AEUV) მუხ. 83 აბზ. II. სასამართლოს გადაწყვეტილებების ფონზე, გასაკვირია ის მიდგომა, რაც ლისაბონის ხელშეკრულების მიხედვით ადგილობრივ კანონმდებლობაში ჩარევას მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში უშვებს. ასევე სახელმწიფოს საერთოდაც შეუძლია წინ აღუდგეს ევროკავშირის მიერ მისაღებ მინიმალურ სტანდარტებს, როდესაც თავისი სისხლისსამართლებრივი სისტემის საფუძვლის შელახვის საფრთხეს დაინახავს (ე. წ. პროცესუალური საავარიო მუხრუჭი). საინტერესოა ამაზე ევროკავშირის სასამართლოს რეაქცია ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდგომ, რადგანაც ეს დოკუმენტი უფრო ნაკლებ უფლებამოსილებებს ითვალისწინებს, ვიდრე ამას სასამართლო უშვებს. არ არის გამორიცხული, რომ მოსამართლეები არსებულ პრაქტიკას გააგრძელებენ და ხელისშემკვრელ სახელმწიფოთა ნებასაც გადააბიჯებენ.

დავუბრუნდეთ ისევ იურისტების ყოველდღიურობას. სწორედ აქ იძენს ევროპეიზაცია უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობას. ეს ეხება იმ სფეროებს, სადაც ნაციონალური სისხლისსამართლებრივი შემადგენლობები პირდაპირ მიუთითებენ ევროპულ ნორმებზე. რუმინული სინამდვილიდან კონკრეტულ მაგალითებს ჯერჯერობით ვერ მოვიყვან, თუმცა გერმანულ სამართალში ეს ეხება, მაგალითად, სურსათის თუ ღვინის წარმოების სფეროებს და მათთან დაკავშირებული დელიქტების დროს მოსამართლემ თუ სამართლის სხვა გამომყენებელმა დასჯადობის საკითხის გარკვევისას მზერა ყოველთვის უშუალოდ მოქმედი ევროპული სამართლისკენ, ევროპული სამართლებრივი წესრიგისკენ უნდა მიმართოს. მაშასადამე, ამისათვის უნდა მოხდეს ევროპული ნორმის სათანადო განმარტება. ევროპულ სამართალში განმარტების განსხვავებული პრინციპები მოქმედებენ, მაგალითად, ე.წ. effet utile[3]. მისი ამოსავალი წერტილია დასახულ მიზანზე ორიენტირება. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ევროკავშირის ოცდასამივე ოფიციალური ენის თავისებურება, რაც მოსამართლეს თავისთავად დიდი პრობლემების წინაშე აყენებს. ბლანკეტური ნორმებიდან გამომდინარე სირთულეების გადალახვა[4], განსაკუთრებით ნორმის სათანადო განსაზღვრულობის, მისი შინაარსის გარკვეულობის კუთხით, რუმინეთს აუცილებლად მოუწევს.

უფრო ხშირად ასევე წინ წამოიწევს ნაციონალური სისხლის სამართლის ევროპის სამართლის შესაბამისი განმარტების ფენომენი. როგორც ყველა სხვა დარგში, აქაც ევროგაერთიანების ხელშეკრულების მე-10 მუხლი (EGV) და მასში ჩადებული ევროგაერთიანების მიმართ წევრ სახელმწიფოთა ლოიალურობის პრინციპი ევროგაერთიანების სასამართლოს მოსაზრებით გულისხმობს, რომ ეჭვის შემთხვევაში ადგილობრივი ნორმები ევროპული სამართლის კონტექსტში უნდა იქნეს განმარტებული და მაქსიმალურად უნდა

---

[1] EuGH, Urt. v. 13.09.05, Slg. 2005, I-7879, Rs. C-176/03 _ „Kommission./.Rat". ამის შესახებ კრიტიკა იხ. *Heger*, JZ 2006, 310 ff.; *Kaiafa-Gbandi*, ZIS 2006, 521, 523 ff.; *Braum*, wistra 2006, 121 ff.; გადაწყვეტილებას ეთანხმება *Böse*, GA 2006, 211 ff.; *Hecker*, Europäisches Strafrecht, 2. Auflage 2007, §8 Rn. 27.

[2] EuGH, Urt. v. 23.10.2007, Slg.2007, I-9097, Rs. C-440/05-„Kommission./.Rat".S. იხ *Zimmermann*, NStZ 2008. 662 ff.

[3] იხ. *Streinz*, Europarecht, 8. Auflage 2008, Rn. 570.

[4] დაწვრილებით იხ. *Satzger*, Int. und Europäisches Strafrecht, 3. Auflage 2009, §8 Rn. 69 ff.

შეესაბამებოდნენ ევროპის სამართლის მიზნებს.[1] ეს ნიშნავს იმას, რომ სისხლისსამართლებრივი შემადგენლობები, რომლებიც კლასიკური გაგებით წევრი სახელმწიფოების სუვერენულ უფლებამოსილებას განეკუთვნება, ევროპული ინტერესების გათვალისწინებით უნდა იქნეს განმარტებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი შინაარსი ერთმნიშვნელოვნად გასაგებია. გერმანულ სინამდვილეში ამის მაგალითია თუნდაც სსკ-ის 136 პარაგრაფი – ბეჭდის გატეხვა/დაზიანება. ამ მუხლით პასუხს აგებს ის, ვინც ნივთების სამსახურებრივად შესანახად ან მოსანიშნად საჭირო ბეჭედს დააზიანებს. ტრადიციული გაგებით, ამაში გერმანიის შიგნით მოქმედი ბეჭდები მოიაზრება, მაგრამ ევროპის სამართლის შესაბამისი გაგებიდან და საბაჟო კავშირის ინტერესებიდან გამომდინარე, მასში მოაზრებულ უნდა იქნეს საზღვარგარეთული (ევროკავშირის წევრი ქვეყნების) ბეჭდებიც, განსაკუთრებით საბაჟო დანიშნულების, გამოყენებული გზავნილებში. რუმინეთის სსკ-ის 243-ე მუხლიც (rupera di sigilii) მისი ზოგადი ფორმულირებების გამო ღიაა ევროპული განმარტებისთვის.

განმარტების ევროპეიზაცია მხოლოდ იშვიათად გამოყენებადი ნორმებით არ შემოიფარგლება. მიუხედავად დღემდე ამაზე ყურადღების დიდად არგამახვილებისა, ის მნიშვნელობას შეიძენს ცენტრალური ნორმებისთვისაც. უპირველეს ყოვლისა, ეს სავარაუდოდ შეეხება გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულებს. მიუხედავად გერმანულ და რუმინულ სამართალს შორის არსებული განსხვავებებისა, გაუფრთხილებლობისადმი მიდგომა მსგავსია. ნორმის წინააღმდეგ დარღვევას ორივეგან გაუფრთხილებლობამდე მივყავართ, რომლის ამოსავალი წერტილიც გარკვეული, ობიექტური მოვალეობების დარღვევაა. ასეთი შემადგენლობები შესაძლებელია, რომ ევროპულ ნორმებს დაეყრდნონ. სწორედ იქ არის, მაგალითად, სათამაშოებში საფრთხის შემცველი ნივთიერებების მაქსიმალური ოდენობის სტანდარტები განსაზღვრული. თუ მწარმოებელი სტანდარტების შესაბამისად იმოქმედებს და ბავშვი მაინც მოიწამლება, მაშინ მას ვერავინ ვერ დასდებს ბრალს გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში.

მსგავსი სიტუაციაა რუმინეთსა და გერმანიაში ერთნაირად გაგებულ თაღლითობასთან მიმართებაშიც. თუ საქმე ეხება პროდუქციის შიდაევროპულ ბაზარზე გასაღებას, მაშინ თაღლითობის შემადგენლობის შესარაცხად საჭიროა „შეცდომაში შეყვანის კრიტერიუმის" არსებობა. ევროგაერთიანების სასამართლოს პოზიციიდან გამომდინარე, აქ იგულისხმება არა არაფრთხილი და შეცდომაში ადვილად შესაყვანი მომხმარებელი, როგორც ამის გაგება გერმანიაში ხდება, არამედ „ევროპელი მომხმარებელი" – კარგად ინფორმირებული და გათვითცნობიერებული. შესაბამისად, ევროპული სამართლისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილების კონტექსტში, „უბრალო" მომხმარებელი დაცვას არ ექვემდებარება.[2]

თუ სისხლისსამართლებრივი შემადგენლობა ეწინააღმდეგება გაერთიანების სამართალს და კოლიზიის გადალახვა განმარტების გზით შეუძლებელია, მაშინ სისხლისსამართლებრივი ნორმა, მართალია, მთლიანად ძალას არ კარგავს, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში უბრალოდ არ გამოიყენება[3]. შესაბამისად, ბრალდებული ვერ მიეცემა პასუხისგებაში ვერც გერმანული და ვერც რუმინული სამართლით. ეს მომენტი ევროპეიზაციის მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. ავიღოთ თუნდაც რომელიმე მწარმოებლის მაგალითი. მან გამოუშვა პროდუქცია და მოახდინა მისი ეტიკეტირება ევროპული სტანდარტების შესაბამისად, მაგრამ მის სამშობლოში ამ

---

[1] ევროპის სამართლის შესაბამისად ინტერპრეტაციის ზეგავლენის შესახებ ნაციონალურ მატერიალურ სისხლის სამართალზე იხ. *Satzger*, Int. und Europäisches Strafrecht, 3. Auflage 2009, §8 Rn. 105 ff.

[2] იხ. S/S/W-*Satzger*, §263 StGB Rn. 66 f. ასევე: *Hecker,* Strafbare Produktwerbung, 2001, გვ. 282 ff; Europäisches Strafrecht, " 2. Auflage 2007, §9 Rn 33 ff; *Dannecker*, JURA 2006, 174 f.

[3] ევროგაერთიანების სამართლის გამოყენების უპირატესობის შესახებ იხ. EuGH, Urt. v. 15. 7. 1964, Slg. 1964, 1253 – Rs. 6/64 - „Costa./. ENEL".

სტანდარტების ადგილობრივ კანონმდებლობაში დროულად არგადატანის გამო მან დაარღვია იქაური წესები და განახორციელა სისხლისსამართლებრივი შემადგენლობა. ასეთ შემთხვევაში მოხდება ევროპულის მიერ ადგილობრივი ნორმის ნეიტრალიზება და მეწარმე არ მიეცემა პასუხისმგებლობაში, რადგან მას დანაშაულის შემადგენლობა არ განუხორციელებია. ასეთი მომენტები მნიშვნელოვან საშუალებას იძლევიან საპროცესო დაცვისათვის, ამიტომაც დამცველებმა ევროპულ სამართალს ყოველთვის უნდა მიაქციონ ყურადღება.

(ბ) საპროცესო სამართალი

ევროპეიზაცია მნიშვნელოვან გავლენას ახლანდელ დროში საპროცესო სამართალზეც ახდენს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მესამე ბოძი – თანამშრომლება პოლიციისა და იუსტიციის სფეროში. ევროპული ხელშეკრულებების და, მათ შორის, ლისაბონის ხელშეკრულების მიზანია წევრი სახელმწიფოების ტერიტორიის „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცედ“ ჩამოყალიბება, ანუ ერთიანი სამართლებრივი სივრცის შექმნა. სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნიდან გამომდინარე, საზღვრები საერთოდ უნდა გაქრეს, რათა შესაბამისმა ორგანოებმა ისევე სწრაფად მოახდინონ რეაგირება, როგორც ამას კრიმინალები ახერხებენ და თავისუფალი მიმოსვლის უფლებას იყენებენ. ამის მოსაგვარებლად მნიშვნელოვანი ინსტიტუტია ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპი, რომელიც აქამდე მხოლოდ პოლიტიკურ დონეზე იყო დაფიქსირებული, თუმცა საბოლოოდ ლისაბონის ხელშეკრულებაშიც ჩაიდო. ერთ წევრ სახელმწიფოში მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მეორეშიც ყოველგვარი დაბრკოლებისა და გადამოწმების გარეშე აღიარებულ და აღსრულებულ უნდა იქნეს. ეს ფაქტობრივად შიდასახელმწიფოებრივ რეალობას შეესაბამება, მაგალითად, როდესაც ბუქარესტში გამოცემული დაპატიმრება კლუშში იქნება აღსრულებული. მნიშვნელოვანი სხვაობა თუმცა იმაში მდგომარეობს, რომ მატერიალური და ფორმალური სისხლის სამართალი ამ საერთო ევროპულ სივრცეში განსხვავებულადაა მოწყობილი. შესაძლებელია ვიფიქროთ და თავი დავიმშვიდოთ იმით, რომ ევროკავშირის ნორმები ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას შეესაბამება და ამიტომ საგანგაშო არაფერია, თუმცა ეს პრობლემას მაინც არ წყვეტს. ყოველი სამართლებრივი სისტემა ბრალდებულის უფლებების დაცვას თავისებურად უდგება. მაგალითად, მტკიცებულებების ამოღება – ერთ სახელმწიფოში ბრალდებულის უფლებები მკაცრადაა დაცული და მის წინააღმდეგ მხოლოდ ის მტკიცებულებები გამოიყენება, რომლებიც სათანადო წესით და კონტროლის ქვეშ იქნა ამოღებული, მეორეში კი ამას უფრო სხვანაირად უდგებიან და იქ ასეთი მკაცრი მოთხოვნები და წინასწარი კონტროლი არაა. ამიტომაც, თუ პირველი სახელმწიფოს სასამართლოს წინაშე ხდება მტკიცებულებების წარდგენა, მაშინ ის მხოლოდ მცირედ ნაწილს თუ ცნობს, რადგან მეორე სახელმწიფოში მკაცრი სტანდარტები არ იქნა დაცული.

ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპი სწორედ ასეთი კოლიზიების მოსაგვარებლად იქნა შემოღებული. ევროკომისიის მიერ „მწვანე წიგნში“[1] წარმოდგენილი და ლისაბონის ხელშეკრულებაში ჩადებული „ევროპული პროკურატურის“ შექმნა ამას კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს: კომისიის მოსაზრებით, მტკიცებულებების ამოღება ადგილობრივი წესებით უნდა მოხდეს და მათი აღიარებაც სხვა სახელმწიფოს სასამართლოს მიერ, ორმხრივი აღიარების პრინციპიდან გამომდინარე, უპრებლომო უნდა იყოს. სწორედ აქ დაფიქრებაა საჭირო. როდესაც

[1] Grünbuch zum strafrechtlichen Schutz der finanziellen Interessen der EG und zur Schaffung einer europäischen Staatsanwaltschaft, KOM (2001), 715 endg., http://europa.eu.int/comm/anti_fraud/green paper/document/green_paper de.pdf (9/2009-ის მდგომარეობით).

ერთი სახელმწიფო, რომელიც „მსუბუქად" უდგება მტკიცებულებების ამოღებას და მათ გადამოწმებას, რადგან ის ამოღებულ იქნა მეორე ისედაც უფრო „მკაცრ" სახელმწიფოში, საერთო ჯამში ეს კითხვებს გააჩენს სამართლებრივი სახელმწიფოს ცნების კონტექსტში.[1]

დღემდე ორმხრივი აღიარების პრინციპის გასატარებლად გამოიცა მთელი რიგი ჩარჩო-გადაწყვეტილებებისა, რომლებიც განსაკუთრებით სამართლებრივ დახმარებას აუმჯობესებენ. აქედან ყველაზე ცნობილი და ამასთანავე ყველაზე სადავო იყო ჩარჩო-გადაწყვეტილება ევროპული დაპატიმრების ბრძანების შესახებ. მან ჩაანაცვლა ექსტრადიცია. ის მოიცავს 32 დანაშაულისგან შემდგარ კატალოგს და გააუქმა ისეთი ძველი პრინციპები, როგორიცაა ორმხრივი დასჯადობა და საკუთარი მოქალაქის ექსტრადიციის აკრძალვა. გერმანიაში ამის გამო პრობლემები წარმოიშვა. შესაბამისი კანონი ანტიკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.[2] თუმცა პრაქტიკამ მაინც უჩვენა, რომ სამართლებრივი ურთიერთდახმარების ეფექტურობა გაიზარდა.

ორმხრივი აღიარების პრინციპის განსაკუთრებული ნიმუშია ევროპული *ne bis in idem* - ორმაგი დასჯის აკრძალვა. შენგენის ხელშეკრულების (SDÜ) 54-ე მუხლის თანახმად, ის პირი, რომელიც ერთ სახელმწიფოში სამართლებრივად იქნა განსჯილი, არ შეიძლება ისევ სისხლისსამართლებრივი დევნის ობიექტი გახდეს იმავე დანაშაულისათვის, თუ სასჯელი უკვე აღსრულებულია, აღსრულების პროცესშია ან აღსრულება შეუძლებელია. ევროგაერთიანების სასამართლომ ეს ნორმა მოქალაქეების თავისუფალი გადაადგილების ცნებიდან გამომდინარე განმარტა. ამიტომაც ის „კანონიერ ძალაში შესული სამართლებრივი გადაწყვეტილების" ცნების მიმართ მკაცრ მოთხოვნებს არ აყენებს[3].

ზემოთ ნახსენები პროცესების პარალელურად ევროკავშირი ინსტიტუციონალურადაც ვითარდება. ევროპოლი წევრი სახელმწიფოების პოლიციის ორგანოებისათვის ისეთივე მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც ევროიუსტი სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინაციის სფეროში. უკვე ვახსენე ევროპული პროკურატურაც. ის გამოძიებას ჩაატარებს ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე და მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე წარადგენს ბრალდებას ადგილობრივი სასამართლოების წინაშე. ამ შემთხვევაში და სხვა დროსაც ბრალდებულის უფლებების დაცვის საკითხი უეჭველად სადავოა და კითხვებს აჩენს. ჩარჩო-გადაწყვეტილების პროექტი ბრალდებულის უფლებების დაცვის შესახებ ჩავარდა. თუმცა უკვე საუბარია „ევროპულ დამცველზე" *(Eurodefensor)*[4] – ორგანოზე, რომელიც დაცვის მხარეს დაეხმარება ინფორმაციის მოპოვებაში, თარგმნაში, კონტაქტების დამყარებაში და ა.შ. მან ასევე ხელი უნდა შეუწყოს არა მხოლოდ ენობრივი, არამედ სამართლებრივი და ფაქტობივი ბარიერების მოხსნას წევრ სახელმწიფოებს შორის.

---

[1] ამ პრობლემატიკის შესახებ დაწვრილებით იხ. *Gleß*, ZStW 115(2003), 131, 146ff.; *Satzger*, StV, 137, 141; *Hecker*, Europäisches Strafrecht, 2. Auflage 2007, §12 Rn 58ff.; *Peers*, CMLR 2004, 5, 35; *Kaiafa-Gbandi*, ZIS 2006, 521, 527ff.; *Meyer*, GA 2007, 15, 33ff.; *Kirsch*, StraFo 2008, 449, 453 ff.

[2] ევროპული დაპატიმრების ბრძანების შესახებ ზოგადად იხ. *Satzger*, Int. und Europäisches Strafrecht, 3. Auflage. § 9 Rn. 26ff.; *Ambos*, Internationales Strafrecht, 2. Auflage 2008, §12 Rn. 56 ff.; *Hecker*, Europäisches Strafrecht, 2. Auflage 2007, § 12 Rn. 19 ff. კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრობლემატიკაზე გერმანიაში იხ. BverfGE 113, 273; *Satzger/Pohl*, JISJ 2006, 686 ff.

[3] EuGH, Urt.v. 11.2.2003, Slg. 2003, I-1345, Rs. C-385/01 - „Gözütok"; C-187/01 - „Brügge"; ასევე EuGH, Urt. v. 9.3.2006, Slg.2006,I-2333, Rs.C-436/04-„van Esbroeck"; უფრო დაწვრილებით იხ. *Satzger*, Int. und Europäisches Strafrecht, 3. Auflage 2009,§ 9 Rn. 53 ff.; *Ambos*, Internationales Strafrecht, 2. Auflage 2008, §12 Rn. 38 ff.; *Hecker*, Europäisches Strafrecht, 2. Auflage 2007, § 13 Rn. 21 ff.

[4] იხ. *Schünemann*, Alternativentwurf Europäische Strafverfolgung, 2004, S. 14 ff; *Salditt*, StV 203, 136, 137; *Satzger*, StV 2003, 137, 139.

ევროპული სისხლის სამართლის შემდგომი განვითარება ერთ-ერთი საინტერესო ფენომენია სისხლისსამართლებრივი გადმოსახედიდან. დრო, როდესაც ეს დარგი ნაციონალურ მატერიად ითვლებოდა, დიდი ხანია წავიდა. ის უყენებს ახალ გამოწვევებს იურიდიული პროფესიების წარმომადგენლებს, იქნება ეს მოსამართლე, დამცველი თუ სხვა, რომლებიც სამართალს რეალურად იყენებენ, კანონმდებლობის გამოყენების სფეროში მოღვაწე იურისტებს, რომლებმაც უნდა დაიცვან ევროპული ნორმები. ასევე ეს ეხება გერმანელ; რუმინელ თუ სხვა წევრი სახელმწიფოების წარმომადგენელ პროფესორებსაც, რომლებმაც იურისტთა ახალ თაობას უნდა წარმოუდგინონ სისხლის სამართლის ევროპეიზაცია, როგორც სრულიად ნორმალური და თავისთავად ცხადი მოვლენა.

II ევროპული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ნაკლი[1]

საერთაშორისო სამეცნიერო ჯგუფის მიერ შემუშავებულ მანიფესტთან დაკავშირებით „European Criminal Policy Initiative"

პროფესორი, დოქტორი ჰელმუტ ზატცგერი, მიუნხენი[2]

I. დიაგნოზი

1. სისხლის სამართალი ევროპული სამართლის ზეგავლენის ქვეშ

a) სისხლის სამართალი – დიდი ხნის განმავლობაში ნაციონალურ-სამართლებრივი მატერია, კარგა ხანია ევროპის სამართალმა შეითავსა. ეს გავლენა ჩანს წევრი სახელმწიფოების როგორც მატერიალურ, ასევე საპროცესო სისხლის სამართალზე ტრანსნაციონალური სისხლისსამართლებრივი ურთიერთთანამშრომლობის მაგალითზე. ეს შესამჩნევი იყო ჯერ კიდევ ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე: აქამდე არსებული ე.წ. „მესამე ბოძის" ფარგლებში – ურთიერთთანამშრომლობა პოლიციისა და იუსტიციის სფეროში – უამრავი სისხლისსამართლებრივი შინაარსის ჩარჩო-გადაწყვეტილება იქნა შემუშავებული და გამოცემული. ამ სამართლებრივმა აქტებმა სახელმწიფოების თანამშრომლობას სრულიად ახალი საფუძვლები შეუქმნა და გახდა „ევროპული სისხლის სამართლის პროცესის"

---

[1] იხ. Prof. Dr. *Helmut Satzger*: Der Mangel an Europäischer Kriminalpolitik. Anlass für das Manifest der internationalen Wissenschaftlergruppe „European Criminal Policy Initiative", ZIS, 12/2009, გვ. 691-694. სტატია დაიწერა საერთაშორისო სამეცნიერო ჯგუფის მიერ „მანიფესტის" გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. ეს მანიფესტი, თავისი დიდი მნიშვნელობის გათვალისწინებით, სტატიის შემდეგ იბეჭდება ამ წიგნში.

[2] ავტორი არის მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის გერმანული, ევროპული და საერთაშორისო სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის, ასევე ეკონომიკური სისხლის სამართლის კათედრის ხელმძღვანელი.

წარმოქმნის ბაზისი. ამ ახალი ურთიერთთანამშრომლობის „ქვაკუთხედია“[1] ორმხრივი აღიარების პრინციპი, რომელმაც უკვე დადებითი გავლენა მოახდინა ბევრ დარგში ევროპაში სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტურობაზე. თუმცა ეს საკმაოდ დიდ „მსხვერპლსაც“ მოითხოვს. სხვადასხვა სახელმწიფოებში არსებული განსხვავებები და მათი „გათანაბრება“ საერთო ჯამში იწვევენ ბრალდებულთა დაცვის უფლებების შელახვას და ეს ბევრჯერ იქნა გაკრიტიკებული[2].

მაშასადამე, აუცილებელია ევროპეიზებული და რთული ტრანსნაციონალური სისხლისსამართლებრივი წარმოების პირობებში ბრალდებულთა დაცვის უფლებების მინიმალური ჰარმონიზაცია და უზრუნველყოფა. მიუხედავად ამისა, მსგავსი ჩარჩო-გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ იქნა მიღებული[3]. ორმხრივი ურთიერთაღიარების კონცეფცია ბუნებრივია, უფრო მეტ პრობლემებს იწვევს, რაც უფრო მეტია განსხვავება სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებს შორის, ამიტომაც აუცილებელია, რომ პარალელურად გარკვეული ჰარმონიზაცია/დაახლოვებაც ხდებოდეს. ჯერ კიდევ ევროკავშირის ხელშეკრულების (ძვ. რედ.) 29-ე მუხლი ითვალისწინებდა წევრი სახელმწიფოების პროცესუალური და განსაკუთრებით ასევე „დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებისა“ და „სასჯელების“ გათანაბრებას. ამ საფუძველზე მიღებულ იქნა უამრავი სამართლებრივი აქტი, რომლებმაც ჰარმონიზაციის თვალსაზრისით დადებითი გავლენა იქონია. ევროგაერთიანებების სასამართლოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა, როგორიცაა C-176/03[4] და C-440/05[5] და გარკვეულ დავას იწვევს, გახსნა გზა ევროპული დირექტივების მეშვეობით გარკვეულ სფეროებში სისხლისსამართლებრივი დასჯადობის წინაპირობების დადგენისთვის, თუმცა ეს არ ეხება სასჯელის სახეობასა და ზომას. ამ გადაწყვეტილებების საფუძველზე გამოცემული იქნა დირექტივები გარემოს სისხლისსამართლებრივი დაცვის[6], მესამე სახელმწიფოთა მოქალაქეებისათვის, რომლებიც ევროკავშირის ტერიტორიაზე იმყოფებიან, არალეგალურად სამუშაოს მიმცემთა წინააღმდეგ სანქციების[7] და ასევე ხომალდების მიერ ზღვის დაბინძურების[8] შესახებ.

b) ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ნაციონალური კანონმდებელი კიდევ უფრო მეტ ჩარჩოებში ექცევა ევროკავშირის მიერ გაცემული მითითებების გამო: შეცვლილი ევროპული ხელშეკრულებები მოიცავენ ფართო კომპეტენციებს არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის (მუხ. 82 – ხელშეკრულება ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ), არამედ წევრი სახელმწიფოების მატერიალური სისხლის სამართლის დაახლოვების თვალსაზრისითაც. ამასთანავე ეს ეხება არა მარტო განსაკუთრებით მძიმე საერთაშორისო დანაშაულებს (მუხ. 83, აბზ. 1 – ხელშეკრულება ევროკავშირის საქმიანობის

---

[1] ასე ეწოდა მას ევროკავშირის საბჭოს ერთ-ერთ დასკვნაში Nr. 33; ხელმისაწვდომია http://www.consilium.europa.eu/euDocs/cms_Data/Docs/pressData/de/ec/00200-rl.d9.htm (11/2009-ის მდგომარეობით).

[2] იხ. *Pohl,* Vorbehalt und Anerkennung, 2009; *Andreou,* Gegenseitige Anerkennung von Entscheidungen in Strafsachen in der Europäischen Union, 2009; *Braun*, GA 2005, 681; *Fuchs,* ZStW 116(2004), 368, *Gleß*, ZStW 116(2004), 353; *Kaiafa-Gbandi*, ZIS 2006, 521; *Kirsch*, StraFo 2008, 449, *Schünemann,* StraFo 2003, 344.

[3] კომისიის თავდაპირველი ამბიციური პროექტი (KOM [2004] 328 endg.) ჩავარდა; მხოლოდ 2009 წელს განახლდა ისევ დებატები და ცოტა ხნის წინ საბჭომ მიიღო გეგმა ბრალდებულთა და განსასჯელთა უფლებების გაძლიერების შესახებ, რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა საფეხურებზე მიმიმალური უფლებები უნდა იქნეს უზრუნველყოფილი (დოკუმენტი 14791/09).

[4] EuGH, Slg. 2005, I-7879.

[5] EuGH, Slg. 2007, I-9097.

[6] ABl. 2008 Nr. L 328, გვ. 28.

[7] ABl. 2009, Nr. L 168, გვ. 24.

[8] ოფიციალურად ჯერ არ გამოქვეყნებულა, თუმცა საბჭოს მიერ უკვე მიღებულ იქნა. იხ. პრესისათვის გაკეთებული განცხადება დოკუმენტში 13197/09 (ხელმისაწვდომია მხოლოდ ინგლისურ ენაზე).

წესის შესახებ). ხელშეკრულებები უფრო შორს მიდის და უშვებს ერთიანი შემადგენლობებისა და სასჯელების დადგენის შესაძლებლობას, თუ ეს აუცილებელია ევროპული პოლიტიკის მიმართულებების განხორციელებისათვის (მუხ. 83, აბზ. 2 – ხელშეკრულება ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ). ამით იქმნება სისხლისსამართლებრივი დამატებითი კომპეტენცია (ე.წ. Annex-კომპეტენცია), რომელიც ევროსასამართლოს მიერ დადგენილ ფარგლებსაც სცდება და შემადგენლობებთან ერთად სასჯელის სახეობასა და ზომასაც მოიცავს.

სტოკჰოლმის პროგრამა, რომელიც ევროპის შინაგანი და იუსტიციის პოლიტიკის მომდევნო ხუთი წლის განვითარებას ეხება, შემდეგ ფორმულირებას ახდენს: „In the long term, it should be considered whether it is necessary to approximate all or most offences for which double criminality does not apply in the mutual recognition instruments"[1]. დელიქტების ვრცელი კატალოგი, თუნდაც ევროპული დაპატიმრების ბრძანების შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილების მეორე მუხლის მეორე აბზაცში[2], იძლევა იმის საფუძველს, რომ მომავალში ჰარმონიზაცია კიდევ უფრო ფართოდ განხორციელდება. გარდა ამისა, ამოღებულ იქნა ევროგაერთიანების ხელშეკრულების 280-ე მუხლის მეოთხე ნაწილი, რომელიც სისხლის სამართლის გამოყენებას გამორიცხავდა და დღეისათვის ევროკავშირის ფინანსური ინტერესების საზიანოდ თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში ხდება პირველად ნამდვილი ევროპული სისხლისსამართლებრივი შემადგენლობების შექმნის დაშვება (მუხ. 325, აბზ. 4 – ხელშეკრულება ევროკავშირის საქმიანობის წესის შესახებ).[3]

2. სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა, როგორც ევროკავშირის სამოქმედო სფერო

უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციური ურთიერთთანამშრომლობისა და პარალელურად მიმდინარე ევროპული ჰარმონიზაციის პროცესების გარდა, მატერიალური სისხლის სამართალიც ევროპელი კანონმდებლისათვის მიმზიდველი დარგი გახდა. უამრავი ნორმა მიუთითებს სისხლის სამართალზე და ავალდებულებს ნაციონალურ კანონმდებელს. ევროპული ორგანოები ამით უდავოდ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას ახორციელებენ.

სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გატარებისას საქმე ეხება დარგს, რომელიც ევროკავშირის მიერ პირდაპირ და მკაფიოდ აღიარებული არ არის. სისხლისსამართლებრივი დათქმების შემცველი აქტები ხშირად ისე იქნა გამოცემული, რომ მათი გამომცემნი არ ტოვებდნენ იმის შთაბეჭდილებას, რომ მათ გაცნობიერებული ჰქონდათ სისხლისსამართლებრივი სანქციებით გამოწვეული სხვის უფლებებში შეჭრის სიღრმეები და, ასევე ნაციონალური სამართლებრივი სისტემების თავისებურებები. ის, რომ ევროპული სამართალი სისხლის სამართალს მიზნის განსახორციელებლად საჭირო უბრალო მექანიზმად მოიაზრებს, შედეგად იწვევს იმას, რომ ის გამოიყენება მხოლოდ როგორც რეაქცია, პასუხი გარკვეულ კონკრეტულ საფრთხეებზე და, მეორე მხრივ, საუბარია მხოლოდ მინიმალურ ჰარმონიზაციაზე. საერთო ჯამში ამას მივყავართ სისხლის სამართლის სელექციურ, არასისტემურ და ცალმხრივ განვითარებამდე.

მოკლედ რომ შევაჯამოთ: ევროპულ დონეზე შეიმჩნევა რაციონალური, წინასწარ განჭვრეტადი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის არარსებობა!

---

1 იხ. სტოკჰოლმის პროგრამის პროექტი, საბჭოს დოკუმენტი 14449/09, გვ. 18.

2 ABl. 2002, Nr. L 190, გვ. 1.

3 *Weigend*, ZStW 116(2004), 275(288); *T. Walter*, ZStW 117(2005), 912(917); *Rosenau*, ZIS 2006, 1(16); *Satzger*, Internationales und Europäisches Strafrecht, 3. Auflage.2009, §7, Rn. 41.

1. სამუშაო ჯგუფი „European Criminal Policy Initiative"

სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ნაკლი ცოტა ხნის წინ უფრო მეტად შესამჩნევი გახდა მეცნიერების მიერ. ვენაში ჩატარებულ ევროპელ იურისტთა მეოთხე ყრილობაზე[1], რომლის სისხლისსამართლებრივი განყოფილება მთლიანად ევროპული სისხლის სამართლის პოლიტიკის საკითხებს მიეძღვნა, გაკეთებულ იქნა დასკვნა, რომ ეს სფერო აქამდე საერთაშორისო დონეზე არ ყოფილა გამოკვლევის საგანი. გაჩნდა საერთაშორისო კვლევითი ჯგუფის შექმნის იდეა. უკვე 2008 წლის აპრილში, სისხლის სამართლის 14 მეცნიერის მიერ, ევროკავშირის ათი წევრი სახელმწიფოდან, მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა „European Criminal Policy Initiative"(ECPI), რომლის ფინანსური მხარდაჭერა განახორციელა, ასევე ამ უნივერსიტეტთან არსებულმა საინიციატივო ჯგუფმა LMUexcellent.

2. დასახული ამოცანა

სამუშაო ჯგუფის მიზანია ევროპულ დონეზე სისხლის სამართლისათვის მეტი ყურადღების მიქცევა. ევროკავშირის მხრიდან სამართლებრივი დახმარებისა და პროცესუალური სამართლის სფეროში ფართო აქტიურობების მიუხედავად, მატერიალური ასპექტისათვის მეტი ყურადღების მიქცევა ჯგუფმა მიიჩნია აუცილებლად. მომავალ სისხლის სამართლის პროცესში „საქმის სამართლიანი განხილვისა" და „მხარეთა თანასწორობისათვის" ორმხრივი აღიარებების შედეგად საფრთხის შექმნის გარდა, რაც უკვე იყო სხვა სამეცნიერო ჯგუფების კვლევის საგანი[2], მატერიალურ სისხლის სამართალში დაუფიქრებელი ჩარევების შედეგად გამოწვეული ნეგატიური შედეგების თავიდან აცილება თითქმის შეუძლებელია. სისხლის სამართლის საქმეებზე იუსტიციური თანამშრომლობის ინსტრუმენტების კრიტიკა ხშირად ეფუძნება ცალკეულ წევრ სახელმწიფოთა მატერიალური სისხლის სამართლის დებულებებს შორის განსხვავებას და, ასეთ ვითარებაში, მაგალითად, სამართლებრივი ურთიერთდახმარების სფეროში ორმხრივი დასჯადობის მოთხოვნის გაუქმებას.

სამუშაო ჯგუფის ძირითადი მიზანია არა ადგილობრივ სამართლებრივ სისტემებში ჩამოყალიბებული მასშტაბების ევროპულ დონეზე გადატანა და იქ ჩანერგვა, არამედ ევროპული სამართლებრივი აქტებისა და ინიციატივების სისხლისსამართლებრივი კუთხით შეფასება. გარდა ამისა, ჯგუფის წევრებს აერთიანებთ ევროპული ინტეგრაციისადმი დადებითი დამოკიდებულება. სწორედ ამიტომაც მათი მიზანია, რომ ევროპული გავლენის ქვეშ მოქცეული სისხლის სამართალი წევრ სახელმწიფოებშიც იქაური სამართლებრივი სისტემის სრულყოფილ ნაწილად იქცეს. ანუ თავიდანვე ძირითადი მიზანი იყო თვით ევროპული სამართლიდან ისეთი ზოგადი სამართლებრივი დებულებებისა და ძირითადი სამოქმედო პრინციპების ამოღება, რომლებიც გონივრული და დამაჯერებელი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებას შეუწყობს ხელს.

---

[1] Europäischer Juristentag (Hrsg.), 4. Europäischer Juristentag, 2008, სადაც გამოქვეყნებულია შემდეგი სტატიები: *Satzger* (გვ. 216); *Bonn* (გვ. 243); *Asp* (გვ. 259); *Kaifa-Gbandi* (გვ. 275); *Fuchs* (გვ. 315).

[2] იხ., მაგალითად, იხ. *Schünemann* (Hrsg.), Ein Gesamtkonzept für die europäische Strafrechtspflege, 2006.

3. ევროკავშირის დონეზე თვითმკურნალობის დასაწყისი?

საბედნიეროდ, ბოლო ხანებში იმატა ხმებმა როგორც ევროპულ, ასევე ნაციონალურ დონეზე, სისხლის სამართლის სფეროში უფრო კარგად გაანალიზებული სამართალშემოქმედების შესახებ:

a) სტოკჰოლმის პროგრამის პროექტში აღნიშნულ იქნა, რომ ევროკავშირის დებულებები წევრი სახელმწიფოებისადმი ხშირად ერთმანეთს არ შეესაბამება: „The European Council considers that the development of legislation in the area of freedom, security and justice is impressive, but it has its shortcomings in terms of overlapping and a certain lack of coherence. At the same timc, the quality ot the legislation and the language used in some of the legal acts could be improved."[1]

b) თუმცა ამით სრულად მაინც არ არის გამოხატული მიდგომა სისხლის სამართლისადმი. ის, რომ ევროკავშირი სისხლის სამართალს მიზნის განხორციელების ერთ-ერთ საშუალებად თვლის, რომელიც შემდგომ ნაციონალურ დონეზე უამრავ წინააღმდეგობას აწყდება, ნათლად ჩანს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაშიც ლისაბონის ხელშეკრულების შესახებ, რომელმაც უამრავი დისკუსია გამოიწვია. სისხლის სამართალს იქ ცენტრალური ადგილი უკავია და სასამართლო მოითხოვს განსაკუთრებით ფაქიზ მოპყრობას მის მიმართ: „სისხლისსამართლებრივად რელევანტურ ქმედებაზე გადაწყვეტილების მიღებისას კანონმდებელი თავის თავზე იღებს უზენაესი ძალაუფლების ფორმით დემოკრატიულად ლეგიტიმირებულ პასუხისმგებლობას პიროვნულ თავისუფლებაში ყველაზე ინტენსიურ ჩარევაზე, რაც კი შეიძლება თანამედროვე კონსტიტუციურ სახელმწიფოში არსებობდეს".[2] საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები შემდეგ აკეთებენ დასკვნას: „სისხლის სამართალი არ წარმოადგენს სამართლებრივ-ტექნიკურ ინსტრუმენტს რომელიმე საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერებისათვის, არამედ ექვემდებარება განსაკუთრებულ ფაქიზ დემოკრატიული გადაწყვეტილების პროცესს სამართლებრივ-ეთიკური მინიმუმის გათვალისწინებით".[3]

c) სტოკჰოლმის პროგრამის დათქმაც ამას შეესაბამება: „Criminal law provisions should be used only when they are considered necessary in order for the interests to be protected and when all other means to protect them prove insufficient."[4] მსგავსი შინაარსისაა ის სამუშაო დოკუმენტიც, რომელიც შვედეთმა, როგორც საბჭოს თავმჯდომარემ, გერმანულ დელეგაციასთან ერთად შეიმუშავა.[5] თუმცა საეჭვოა, რომ ევროპულ დონეზე მოქმედმა პირებმა გააცნობიერეს სისხლის სამართლის ეს მნიშვნელობა. მომდევნო წინადადება, რომელიც სისხლის სამართალს „effet utile"-ს ზოგად კატეგორიაში აქცევს და ამით ისევ და ისევ მას მხოლოდ გარკვეულ მექანიზმად განიხილავს, უჩვენებს, რომ სისხლის სამართლის გამოყენებისას გონივრული (თვით) შეზღუდვის ნიშნები ჯერ კიდევ არ ჩანს: „In particular, minimum rules with regard to the definition of criminal offences and sanctions may be established when it is essential to ensure the effective implementation of EU policy".[6]

---

1 საბჭოს დოკუმენტი 14449/09, გვ. 4.
2 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი Rn. 356.
3 გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი Rn. 358.
4 საბჭოს დოკუმენტი 14449/09, გვ. 18.
5 საბჭოს დოკუმენტი 14162/09.
6 საბჭოს დოკუმენტი 14449/09, გვ. 18.

4. მანიფესტი, როგორც გონივრული ევროპული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განვითარების რეცეპტი?

ევროპის სამართლის ძირითადი პრინციპების საფუძველზე საინიციატივო ჯგუფმა მანიფესტში ჩამოაყალიბა ის სამოქმედო პრინციპები, რომლებიც უნდა გახდნენ კარგი და გონივრული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის საფუძველი. მართალია, ისინი მსგავსნი არიან ნაციონალურ სისტემებში უკვე მოქმედი პრინციპებისა, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მათი აღიარება ევროპულ დონეზეც მოხდეს. ეს პასუხს სცემს იმ შენიშვნასაც, რომ მანიფესტში ჩადებული პრინციპების დაცვა ყოველთვის თვითონ ცალკეულ სახელმწიფოებშიც არ ხდება. ეს სადავო არ არის, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს უარის თქმას მასზე საერთო ევროპულ დონეზე.

ევროპული პრინციპები, რომლებსაც ჩვენ „კარგი" სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის მასშტაბებად მივიჩნევთ, არიან:

– თანაზომიერების პრინციპი (ის გულისხმობს დაცვის ლეგიტიმური მიზნის არსებობას და სისხლის სამართლის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოყენებას),
– ბრალის პრინციპი,
– კანონიერების პრინციპი,
– სუბსიდიარულობის პრინციპი და
– კოჰერენტულობის პრინციპი.

ბუნებრივია, მხოლოდ დიადი პრინციპების დასახელება საკმარისი არ არის კონკრეტული სამართლებრივი აქტის შეფასებისათვის. ადვილია მათი დაცვის დასაბუთება, ხოლო ძნელია არდაცვის დამტკიცება. ამიტომაც მანიფესტში ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაა ევროპელი კანონმდებლის მიერ დასაბუთებების წარმოდგენა: ჩვენი მოსაზრებით, მან უნდა დაამტკიცოს, რომ სამართლებრივი აქტი ყველა ჩამოთვლილ პრინციპს შეესაბამება.

ჯგუფის სამუშაო პროგრამის შემდგომი ეტაპი იყო უკვე არსებული სამართლებრივი აქტების გამოკვლევა და იმის დადგენა, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი ძირითად პრინციპებს. შესაბამისი მაგალითები მანიფესტის მეორე ნაწილში არის მოყვანილი. ამასთანავე, ჩვენი მიზანი არ ყოფილა ევროპული საკანონმდებლო საქმიანობის განურჩევლად გაკრიტიკება. მანიფესტში დასახელებული გვაქვს ის აქტებიც, რომლებიც ამა თუ იმ პრინციპის მოთხოვნებს (შეგნებულად თუ უნებურად) აკმაყოფილებენ. ამავდროულად, შევეცადეთ პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე გვეჩვენებინა არსებული პრობლემებიც, რაც იმედია, გამოგვივიდა.

III. შეჯამება

რას მოველით ჩვენ ამ მანიფესტის გამოქვეყნებისგან? პირველ რიგში ევროპულ დონეზე სისხლისსამართლებრივი დისკუსიების პროცესის გაღრმავებასა და მხარდაჭერას. ასევე დიდი მადლობა ეკუთვნის საერთაშორისო სისხლის სამართლის ჟურნალის თანაგამომცემელ *თომას რაჩს*, რომელმაც მოგვცა საშუალება, პირველად გამოგვექვეყნებინა მანიფესტი გერმანულ[1],

[1] ZIS (Zeitschrift für Internationales Strafrecht) 2009, 697.

ინგლისურ[1], ფრანგულ[2], ესპანურ[3], იტალიურ[4], ბერძნულ[5] და რუმინულ[6] ენებზე. სხვადასხვა წევრ სახელმწიფოებში დამატებითი პუბლიკაციებისა და სპეციალური შეხვედრების სახით მომდევნო თვეებში წარმოვადგენთ ამ მანიფესტს დისკუსიებისათვის, რათა ის კიდევ უფრო დაიხვეწოს. ასევე ის უნდა გახდეს ჩვენთვის მომავალში ევროპული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის შეფასების მასშტაბი. შემდგომი დისკუსიების შედეგები და მოსაზრებები წარმოდგენილ იქნება სამუშაო ჯგუფის საიტზე (http://www.crim-pol.eu), სადაც სხვების მოსაზრებებსაც სიამოვნებით მივიღებთ.

III „ევროპული კრიმინალური პოლიტიკის მანიფესტი"[7]

European Criminal Policy Initiative[8]

პრეამბულა

ქვემოთ ხელის მომწერი, ათი ევროპული ქვეყნის წარმომადგენელი სისხლის სამართლის მეცნიერები ამით წარმოუდგენენ ევროპულ საზოგადოებას მანიფესტს ევროპული კრიმინალური პოლიტიკის შესახებ.

ისინი ამას ახორციელებენ ევროპული განმანათლებლობის ტრადიციების ფარგლებში. ეს ნიშნავს

– იმის შეგნებას, რომ სწორედ ევროპული განმანათლებლობის იდეები იყო ევროპაში ცივილიზაციური წინსვლისა და, იმავდროულად, გაერთიანების პროცესის ფუნდამენტი და მამოძრავებელი ძალა და, აქედან გამომდინარე, იმას, რომ ამ იდეების დაცვისა და მისი შემდგომი განვითარების ფარგლებში უნდა მოხდეს ევროპის მომავლის წარმართვა,

– და ასევე იმის შეგნებას, რომ ყოველი სისხლისსამართლებრივი რეგულირება დემოკრატიული ლეგიტიმაციისა და სამართლებრივი სახელმწიფოს გამოხატულების მაღალ დონეს საჭიროებს და სწორედ კრიმინალური პოლიტიკის ფარგლებში ხდება უსაფრთხოების დაცვა სამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე.

ხელისმომწერთა მიერ ტრადიციების განსაკუთრებით წინწამოწევის მოტივაცია გამომდინარეობს ევროპული ინტეგრაციის პროცესისაგან, რომლითაც მატერიალური და საპროცესო სისხლის სამართალი გაძლიერებულად ევროპული საკანონმდებლო საქმიანობის სფერო გახდა. სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის სამართლებრივი აქტები უკვე დღესაც განსაზღვრავენ საკმაო მოცულობით წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობას. ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლით ეს ტენდენცია კიდევ უფრო ძლიერდება. ევროპული ინსტიტუტები უკვე ახორციელებენ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას იმის პარალელურად, რომ ის დამოუკიდებელ ევროპულ პოლიტიკის სფეროდ

---

1 ZIS 2009, 707.
2 ZIS 2009, 717.
3 ZIS 2009, 727.
4 ZIS 2009, 737.
5 ZIS 2009, 748.
6 ZIS 2009, 760.
7 იხ. Manifest zur Europäischen Kriminalpolitik. European Criminal Policy Initiative", ZIS, 12/2009, გვ. 697-705. „მანიფესტი" გამოქვეყნდა საერთაშორისო სამეცნიერო ჯგუფის მიერ.
8 . http://www.crimpol.eu.

აღიარებული არ არის და, შესაბამისად, არ მისდევენ გარკვეულ კრიმინალპოლიტიკურ კონცეფციას.

ქვემოთ ხელისმომწერნი იზიარებენ იმ მოსაზრებას, რომ გაწონასწორებული კრიმინალური პოლიტიკისათვის საჭიროა ევროპელი კანონმდებლის მიერ აქ შემდგომში განმარტებული მატერიალური სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპების გათვალისწინება სისხლის სამართლისათვის რელევანტური აქტების გამოცემისას და ამას ასაბუთებენ ე.წ. good governance-ს („კარგი მმართველობა") პრინციპით. ევროპული სისხლისსამართლებრივი ტრადიციების მატარებელი ეს განზოგადოებული პრინციპები არ წარმოადგენენ ევროკავშირის სამართლებრივი სისტემისათვის უცხო სხეულს, არამედ პირიქით – მისი ნორმატიული საფუძვლებიდან გამომდინარეობენ.

I. ძირითადი კრიმინალპოლიტიკური პრინციპები

1. დაცვის ლეგიტიმური მიზნის არსებობა

იმდენად, რამდენადაც ევროპელი კანონმდებელი პრეტენზიას აცხადებს სისხლისსამართლებრივ კომპეტენციაზე, მას შეუძლია მისი განხორციელება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით ის ძირითადი ინტერესები იქნებიან დაცული,

(1) რომლებიც კავშირის უშუალოდ მოქმედი პრიმერული სამართლიდან გამომდინარეობენ,

(2) რომლებიც წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციურ-სამართლებრივ ტრადიციასა და ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიას არ ეწინააღმდეგებიან და

(3) რომელთა ხელყოფა სოციალურად ძალიან დიდი ზიანის მომტანია.

ევროპის სამართალში ეს მოთხოვნები გამომდინარეობს თანაზომიერების (პროპორციულობის) პრინციპიდან. მხოლოდ ისეთი სისხლისსამართლებრივი ნორმა არის თანაზომიერი და ლეგიტიმური, რომელიც ასეთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინტერესის დაცვას ემსახურება. თუ რომელი ინტერესია ასეთი, ეს დეტალურად უნდა დაასაბუთოს ევროპელმა კანონმდებელმა („good governance"-ს მოთხოვნიდან გამომდინარე). მხოლოდ კავშირის პოლიტიკის განხორციელების მიზანი სისხლის სამართლის გამოყენების ლეგიტიმაციისათვის საკმარისი არაა.

2. Ultima-ratio-ს პრინციპი

რადგანაც ევროკავშირი თავისი საქმიანობის ცენტრში პიროვნებას აყენებს, მან წევრ სახელმწიფოებს განსაზღვრული ქმედებების კრიმინალიზაცია მხოლოდ მაშინ უნდა დაავალოს, როდესაც ზემოთ აღწერილი მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვა სხვა საშუალების გამოყენებით შეუძლებელია.

მხოლოდ ამ წინაპირობის არსებობის შემთხვევაში არის შესაძლებელი, რომ სამართლებრივი აქტი იყოს „აუცილებელი" ევროპული თანაზომიერების პრინციპის კონტექსტში, რადგანაც სისხლისსამართლებრივი სანქციები ახდენენ ქმედების სოციალ-ეთიკურ უმართლობად შეფასებას და მოქალაქის უფლებებში – რომლებიც ასევე ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიაშია ჩადებული – ღრმად შეჭრას. სხვათა შორის, სისხლის სამართლის ხშირი, ინფლაციური გამოყენება იწვევს მისი ძალისა და ეფექტურობის დაკარგვას.

„good governance"–ის პრინციპიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის, როგორც

სოციალური კონტროლის უკანასკნელი საშუალების, გამოყენების მტკიცებულების ტვირთი ევროკავშირს ეკისრება.

3. ბრალის პრინციპი

ევროკავშირის მიერ წევრი სახელმწიფოებისადმი მიმართული ვალდებულება, რომელიც გულისხმობს გარკვეული ქმედებებისათვის მათ მიერ კრიმინალური სანქციების გათვალისწინებას, აუცილებლად მოითხოვს ინკრიმინირებული ქცევის პერსონალური გასაკიცხაობის შესაძლებლობას (ბრალის პრინციპი - nulla poena sine culpa). ეს მოთხოვნა გამომდინარეობს არა მხოლოდ სისხლის სამართლის გამოყენების შეზღუდვით მხოლოდ განსაკუთრებით სოციალურად საზიანო ქმედებებზე, არამედ განსაკუთრებით ემსახურება ადამიანის ღირსების ყოვლისმომცველ დაცვას და შეესაბამება ევროგაერთიანების ფარგლებში არსებულ ადმინისტრაციულ სანქციებთან მიმართებაში აღიარებულ ბრალის მოთხოვნას და, ასევე ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის 48-ე მუხლის I აბზაცით გარანტირებულ უდანაშაულობის პრეზუმფციას.

ეს, ასევე გულისხმობს ევროპელი კანონმდებლის მიერ იმის დასაბუთების ვალდებულებას, რომ მის მიერ გაცემული მითითების ფარგლებში ბრალის შესაბამისი (და ამ გაგებით თანაზომიერი) სასჯელის დაკისრება შესაძლებელია.

ყოველივე ეს არ იძლევა პასუხს კითხვაზე, შესაძლებელი არის თუ არა იურიდიული პირების ბრალეული გაკიცხვის საკითხის დაყენება? ერთმანეთისაგან განსხვავებულ უნდა იქნეს ფიზიკური პირის პერსონალური ბრალისა და იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი. ამისათვის საჭიროა წევრ სახელმწიფოებში მოქმედი ნორმებიდან გამომდინარე რეგულირების შემუშავება.

4. კანონიერების პრინციპი

სამართლებრივი სახელმწიფოს სისხლის სამართალი აუცილებლად ეფუძნება კანონიერების პრინციპს. ეს არის საყოველთაოდ აღიარებული ზოგადი ევროპული პრინციპი, მისი გამოხატულების სხვადასხვა ფორმით, ჩადებული ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-3 აბზაცში (ახალი რედაქცია) და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის I აბზაცში. კრიმინალპოლიტიკურ კონტექსტში ამ პრინციპიდან შესაძლებელია სამი ცენტრალური მოთხოვნის გამოყვანა, რომელთა მიხედვითაც ევროპელმა კანონმდებელმა უნდა იმოქმედოს.

(a) პირველი გამოვლენა: განსაზღვრულობის პრინციპი

ევროპული გაგებით განსაზღვრულობის პრინციპი გულისხმობს ცალკეული პირების მიერ წინასწარ იმის გაგების შესაძლებლობას, თუ მისი რომელი ქმედება გამოიწვევს დასჯადობას. ამიტომაც სისხლისსამართლებრივმა შემადგენლობებმა დასჯადი ქმედება მკაფიოდ და ნათლად უნდა ჩამოაყალიბონ. ეს მოითხოვს ნორმის გასაგებობის მაღალ ხარისხს. ნორმის ტექსტი „თავისთავად გასაგები“ უნდა იყოს. ყველა შემთხვევაში წინასწარ განსაზღვრული უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის (1) ობიექტური და (2) სუბიექტური წინაპირობები (3) მოსალოდნელი სამართლებრივი სანქციის ჩათვლით.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის სისხლისსამართლებრივი ჰარმონიზაციის კომპეტენცია თავისთავად მოიცავს ასევე წევრ სახელმწიფოთა მოქმედების გარკვეულ

თავისუფალ სივრცეს, რის გამოც ევროპული აქტები განსაკუთრებულად ვიწრო ხასიათს არ ატარებენ, განსაზღვრულობის პრინციპს, როგორც გაერთიანების სამართლის ზოგად შემადგენელ ნაწილს, მნიშვნელობა მაინც არ ეკარგება.

რაც უფრო ვიწრო მოქმედების სივრცე რჩება სახელმწიფოებს, მით უფრო მეტად უნდა შეესაბამებოდეს თვითონ ევროპული სამართლებრივი აქტი განსაზღვრულობის მოთხოვნებს. თუკი ევროპული სამართლებრივი აქტი წევრი სახელმწიფოების სისხლისსამართლებრივი ნორმების სრული ჰარმონიზაციისაკენ, დამსგავსებისაკენ არის მიმართული, მაშინ ის ისევე უნდა შეესაბამებოდეს განსაზღვროლობის ისეთ მოთხოვნებს, როგორც ეს დანაშაულის შემადგენლობის შემთხვევაში იქნებოდა.

ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც წევრი სახელმწიფოების მიერ სისხლის სამართლის გამოყენების მავალდებულებელი ევროპული ნორმა სხვა ნორმებზე მიუთითებს, მაშინ თვითონ ისინიც უნდა იყვნენ განსაზღვრულობის პრინციპის შესაბამისი. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია საკმარისად განსაზღვრებადი ნაციონალური ნორმების შექმნა.

(b) მეორე გამოვლენა: უკუქცევითი ძალის აკრძალვა და „lex mitior“

დაუშვებელია სისხლისსამართლებრივი ნორმების უკუქცევითი ძალით მოქალაქეთა საზიანოდ გამოყენება. კანონიერების პრინციპის ეს გამოხატულება, რომელიც ასევე დასჯადობის წინასწარი განსაზღვრულობის პრინციპიდანაც გამომდინარეობს, ევროპელი კანონმდებლისათვის ნიშნავს იმას, რომ მას სისხლის სამართლის ჰარმონიზაციის პროცესში უკუქცევითი ძალის მქონე ნორმების გამოცემის მოთხოვნის უფლება არა აქვს.

გამონაკლისის გაკეთება დასაშვებია მხოლოდ მოქალაქეთა სასარგებლოდ. ის სისხლისსამართლებრივი ნორმები, რომლებიც ძალაში შევლენ დანაშაულის ჩადენის შემდგომ და დამნაშავისათვის შემამსუბუქებელ გარემოებებს შეიცავენ (დანაშაულის დასჯადობა უქმდება ან მსუბუქდება), შესაძლებელია უკუქცევითი ძალის აკრძალვის პრინციპის დარღვევის გარეშე საფუძვლად დაედოს განაჩენს (ე.წ. lex-mitior-ის პრინციპი). მართალია, ეს პრინციპი ყველა წევრ სახელმწიფოში არსებობს, მაგრამ განსხვავებულია მიდგომა მის იერარქიულ რანგთან დაკავშირებით, განსაკუთრებით კონსტიტუციონალურ კონტექსტში. მინიმუმ ევროკავშირის დონეზე მას ევროგაერთიანების სასამართლო (საქმე „ბერლუსკონი“) და ძირითად უფლებათა ქარტიის 49-ე მუხლის I აბზაცის მე-3 ქვეპუნქტში უმაღლეს რანგს ანიჭებენ. ამიტომაც ევროპელი კანონმდებელი მიბმულია ამ პრინციპზე და მას არ შეუძლია ჰარმონიზაციის აქტის საშუალებით წევრ სახელმწიფოებს მოსთხოვოს დანაშაულის ჩადენის დროსთან მიმართებაში რაიმე ცვლილებები, თუ ეს დანაშაულის ჩადენისა და განაჩენის გამოტანამდე არსებულ შუალედში უკვე ბრალდებულის სასარგებლოდ შეცვლილ იქნა.

(c) მესამე გამოვლენა: საპარლამენტო კანონი (nulla poena sine lege parlamentaria)

სისხლის სამართლის, როგორც „სახელმწიფოს უბასრესი მახვილის“ გამოყენება, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უნდა იყოს უშუალოდ ხალხის მიერ ლეგიტიმირებული. მართალია, სანამ ევროკავშირი სისხლის სამართლის სფეროში კომპეტენციას მოიპოვებს, ეს დარგი წევრი სახელმწიფოების (ანუ მათი პარლამენტების) მოქმედების სფეროა, მაგრამ ევროპელ კანონმდებელს შეუძლია მათ შესასრულებლად სავალდებულო წინაპირობები წაუყენოს და ამით ზღუდავს მათი მოქმედების თავისუფლებას. ამიტომაც ჰარმონიზაციის აქტებიც საჭიროებენ საკმარის დემოკრატიულ ლეგიტიმაციას. რადგანაც ნაციონალური

კანონმდებლის სამოქმედო არეალი ევროპული მითითებების გამო შეზღუდულია, შეუძლებელია ადგილობრივ დონეზე სრულყოფილი დემოკრატიული ლეგიტიმაცია. შესაბამისად, აუცილებელია ევროპარლამენტის გაძლიერებული მონაწილეობით ევროპულ დონეზე ლეგიტიმაციისათვის ხელის შეწყობა.

რადგანაც აქამდე ამის გაკეთება მხოლოდ ევროგაერთიანების და არა მთლიანად კავშირის ფარგლებში ხდებოდა, დემოკრატიის დეფიციტის ნაკლებობა მხოლოდ გაერთიანების ასპექტში შეიმჩნეოდა. ლისაბონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების ერთხმად მიღების პრინციპი სისხლის სამართლის ჰარმონიზაციისას დემოკრატიული ლეგიტიმაციის ასპექტში მისასალმებელია.

დამაკმაყოფილებელი დემოკრატიული ლეგიტიმაციის ხარისხის მისაღწევად საჭიროა, რომ ევროპულ საკანონმდებლო პროცესში მონაწილე ორგანოებმა ყველა შემთხვევაში (ასევე ლისაბონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცვლილებებითაც) ადგილობრივ პარლამენტებს წინასწარ და სრულად მიაწოდონ ინფორმაცია ევროპული გეგმების შესახებ. ამით წევრ სახელმწიფოებს დროულად მიეცემათ სამართლებრივ აქტზე საბოლოო გადაწყვეტილების პროცესზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა (ასევე საბჭოში მათი წარმომადგენლის მიერ ხმის მიცემაზეც). შესაძლებლობის ფარგლებში წევრი სახელმწიფოებისა და ევროპული ორგანოების კოოპერაცია გადაწყვეტილების მომზადების პროცესებში უზრუნველყოფს დემოკრატიული კონტროლის მინიმალურ მოთხოვნებს. ეს ,,good governance"- ს ფარგლებში იძლევა სამართლებრივად და პოლიტიკურად აზრიან და ტრანსპარენტულ კანონმდებლობას, რომელიც წარმომადგენლობითი გაერთიანებებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართვით დამატებით სრულყოფილი ხდება.

5. სუბსიდიარულობის პრინციპი

სისხლის სამართლისათვის მნიშვნელოვანი ევროკავშირის აქტები, რომლებიც განაწილებული კომპეტენციის ფარგლებში გამოიცემიან, გაერთიანების სამართლის ზოგადი წესებიდან გამომდინარე, ექვემდებარებიან სუბსიდიარულობის პრინციპს. ამის მიხედვით, ევროპელ კანონმდებელს მხოლოდ მაშინ შეუძლია იმოქმედოს, როდესაც დასახული მიზნის მიღწევა

(1) წევრი სახელმწიფოების დონეზე სრულყოფილად შეუძლებელია და ამიტომ

(2) მისი მოცულობიდან და შედეგებიდან გამომდინარე, ევროპის დონეზე უკეთესად მიღწევადია.

შესაბამისად, ნაციონალურ (სისხლის სამართლის) კანონმდებელს ენიჭება მოქმედების უპირატესობა თვითონ წევრ სახელწიფოთა მოქმედებაუნარიანობის მიხედვით. ამით მიიღწევა შეძლებისდაგვარად მოქალაქეებთან ყველაზე ახლოს მდგომი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა.

სწორედ კრიმინალური სისხლის სამართლის სფეროში იღებს სუბსიდიარულობის პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რადგან სისხლისსამართლებრივი ღირებულებები წევრ სახელმწიფოთა ,,ნაციონალურ იდენტურობას" განეკუთვნებიან, რომლებსაც ევროკავშირმა ევროკავშირის ხელშეკრულების (ახალი რედაქცია) მე-4 მუხლის მეორე აბზაცის მიხედვით ხაზგასმით ყურადღება უნდა მიაქციოს.

სუბსიდიარულობის გადამოწმება უნდა მოხდეს ყოველი სამართლებრივი აქტისათვის და მისი ყოველი ნაწილისათვის განცალკევებულად. სუბსიდიარულობის შესახებ ოქმიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს საკანონმდებლო აქტების დეტალური დასაბუთება (ლისაბონის

ხელშეკრულების მე-2 ოქმი). მასში გათვალისწინებულია ნაციონალური პარლამენტების მონაწილეობის ვალდებულებაც.

„good governance"-ის ფარგლებში, სისხლისსამართლებრივად რელევანტურ აქტს წინ უნდა უძღოდეს დაწვრილებითი შეფასება (წინასწარი სუბსიდიარულობის კონტროლის ფორმით) ყველა გარემოებებისა და ალტერნატივების გაანალიზებით. სუბსიდიარულობის წინაპირობების მხოლოდ ფორმალური კონტროლი, როგორც ეს აქამდე ხშირად ხდებოდა, არ არის საკმარისი.

6. კოჰერენტულობის პრინციპი

სისხლისსამართლებრივი ჩარევის სიღრმე მოითხოვს ყოველი სისხლისსამრთლებრივი სისტემის შინაგან თანხმობას. მხოლოდ ამ წინაპირობის დაცვით არის შესაძლებელი ყოველი საზოგადოების მხრიდან სისხლის სამართლის აღიარება და სამართლიანობისა და ღირებულებების შესახებ მათ შეხედულებებთან შესაბამისობაში ყოფნა.

სისხლისსამართლებრივი მითითებების გაკეთებისას ევროპელმა კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს ნაციონალური სისხლისსამართლებრივი სისტემების თავისებურებები, რომლებიც, თავის მხრივ, ევროკავშირის ხელშეკრულების (ახალი რედაქცია) მე-4 მუხლის მეორე აბზაცის თანახმად, წევრი სახელმწიფოების დაცულ იდენტურობის ნიშანს წარმოადგენენ (ვერტიკალური კოჰერენტულობა). ეს ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირის მიერ მითითებულმა სასჯელის ზომამ არ უნდა გამოიწვიოს ნაციონალური ნორმებით გათვალისწინებული უმაღლესი სასჯელის ისეთი გაზრდა, რომ იქ არსებულ სისტემასთან წინააღმდეგობაში მოსვლა გამოიწვიოს. გარდა ამისა, ევროკავშირმა უნდა გაითვალისწინოს ევროპული აქტებით დადგენილი მოქმედების ფარგლები (ჰორიზონტალური კოჰერენტულობა, შეად. ევროკავშირის ხელშეკრულების მუხ. 11, აბზ. 3, ახალი რედაქცია).

„good governace"-ის შესაბამისად, კანონმდებელმა გარკვეული ნორმის გამოცემამდე უნდა გამოიკვლიოს მისი შედეგები ადგილობრივი კანონმდებლობისა და ევროპული სამართლებრივი წესრიგისათვის და ამის საფუძველზე დაასაბუთოს მისი დასაშვებობა.

II. ძირითადი კრიმინალპოლიტიკური პრინციპების განმარტებანი

ზემოთ დასახელებული პრინციპები გამიზნულია იმისათვის, რომ კრიმინალპოლიტიკურად გონივრულ კანონმდებლობას დაედოს საფუძვლად და ისინი აქამდე გამოცემული თუ შემოთავაზებული სამართლებრივი აქტების შესაფასებლადაც უნდა იქნენ გამოყენებული. ამით უფრო ნათელი გახდება ჩვენი მოთხოვნების განხორციელების პრაქტიკული მნიშვნელობა და საგნობრიობა. აქ განხილული უნდა იქნეს, ერთი მხრივ, ის მომენტები, რომლებიც უკვე დღეს კარგი კრიმინალური პოლიტიკის საფუძვლებს იძლევიან და მომავალი სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის მაგალითიც შეიძლება იყვნენ, მეორე მხრივ კი, ის სუსტი წერტილებიც, რომელთა კორექტირება და სრულყოფა, ჩვენი მოსაზრებით, აუცილებელია.

1. დაცვის ლეგიტიმური მიზნის კონტექსტში არსებობს მთელი რიგი აქტებისა, რომლებიც ეჭვგარეშე ჩვენს მოთხოვნებს შეესაბამებიან:

– ლეგიტიმური, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინტერესის დაცვას ისახავს მიზნად,

მაგალითად, ჩარჩო-გადაწყვეტილება ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[1]. ადამიანის სამუშაო ძალად გამოყენება ან სექსუალური ექსპლოატაცია მისი სისუსტის, შეცდომაში შეყვანის, იძულების ან ძალადობის გზით, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და სამართლის სივრცეში დაუშვებელია. ამ დროს ხდება მსხვერპლის ინდივიდუალურ სამართლებრივ პოზიციებზე მასობრივი თავდასმა (სხეულის ხელშეუხებლობა, ნების თავისუფლება, სექსუალური თავისუფლება, სამუშაო ძალა), ანუ იმ პოზიციებზე, რომლებიც ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიითაც არიან დაცული.

– ასევე ლეგიტიმური მიზნის დაცვას ემსახურება კონვენცია ევროგაერთიანების ფინანსური ინტერესების დაცვის შესახებ[2] („PIF – კონვენცია") მისი თანმხლები ოქმებით ურთ. მისი მიზანია ევროგაერთიანების (მომავალში ევროკავშირის) ფინანსური დამოუკიდებლობისა და ქმედუნარიანობის შენარჩუნება.

სხვა აქტებში დაცვის ლეგიტიმური ინტერესების მონახვა დიდ პრობლემებს ქმნის:

– მართალია, ვერ უარვყოფთ იმას, რომ ჩარჩო-გადაწყვეტილება ბავშვთა სქესობრივი ექსპლოატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[3] უდავოდ ლეგიტიმურ მიზანს – არასრულწლოვანთა დაცვას ემსახურება, მაგრამ ამ მიზანს აშკარად ცდება პირველი მუხლის b პუნქტის ii) და iii) ქვეპუნქტი, რომელიც იმ სრულწლოვან პირთა დასჯადობასაც მოითხოვს, რომლებიც გამოიყურებიან როგორც ბავშვები და, ასევე ამ ნორმაში ჩადებულია არარსებული მცირეწლოვნის კომპიუტერული ანიმაციის მეშვეობით რეალისტურად ჩვენებაც (ვირტუალური ბავშვთა პორნოგრაფია). ასეთი წარმოდგენებით უშუალოდ არცერთ მცირეწლოვანს ზიანი არ ადგება, რადგან ნაჩვენები პირი ან სრულწლოვანია, ან საერთოდაც არ არის რეალური ადამიანი. ის, რომ ასეთი რამით მცირეწლოვნებს შუალობითი საფრთხე ექმნებათ, აქამდე ვერ დადასტურდა. ამიტომაც ჩვენი მოთხოვნა იქნებოდა, რომ ევროპელმა კანონმდებელმა შესაბამის ემპირიულ კვლევებზე იზრუნოს. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი კრიმინალიზაციის განვრცობის „დაცვის ლეგიტიმური მიზნით" დასაბუთება.

– ჩარჩო-გადაწყვეტილება ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[4] მიუთითებს წევრ სახელმწიფოებს, რომ მათ კრიმინალური გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობა (მუხ. 2 a) ან შეთანხმება გარკვეული დანაშაულების ჩადენის შესახებ – როგორც ეს ანლო-საქსურ სისტემაში „conspiracy" – (მუხ. 2 b), დასჯადად გამოაცხადონ. საკითხავია ის, თუ რომელი ინტერესების დაცვას ემსახურება ეს: მართალია იმ დანაშაულებისათვის, რომელთა ჩადენისკენაც არის გაერთიანება ან შეთანხმება მიმართული, გათვალისწინებულ უნდა იყოს არანაკლებ 4 წლიანი მინიმალური სასჯელი, თუმცა რა სახეობის უნდა იყოს ეს დანაშაულები, ამაზე პასუხს ჩარჩო-გადაწყვეტილება არ იძლევა. ერთადერთი მინიშნება არის ის, რომ კრიმინალური გაერთიანების წევრები უშუალო ან შუალობითი მატერიალური გამორჩენის მიზნით უნდა მოქმედებდნენ. მაგრამ ეს არის დამნაშავის მოტივაცია და არა იმ ინტერესის დაცვის მიზანი, რისკენაც მოქმედება არის მიმართული. ამით არ არის საკმარისად ნათელი, თუ რომელ მიზანს ემსახურება ეს ნორმა (თუ არ ჩავთვლით ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგად ცნებას). წევრს სახელმწიფოებს არ ექმნებათ კონკრეტული წარმოდგენა იმაზე, თუ რა უნდა დასაჯონ მათ. უფრო კონკრეტული განმარტებების გარეშე „good governace"- ის პრინციპი ყველა შემთხვევაში დაირღვევა.

---

1 ჩარჩო-გადაწყვეტილება 2002/629/JI, ABl. 2002 Nr. L 203, გვ. 1.

2 ABl. 1995, Nr. C 316, გვ. 49 ; ABl. 1996 Nr. C 313, გვ. 2; ABl. Nr. C 221, გვ. 12.

3 ჩარჩო-გადაწყვეტილება 2004/68/JI, ABl. 2004 Nr. l. 13, გვ. 44.

4 ჩარჩო-გადაწყვეტილება 2008/841/JI. ABl. 2008 Nr. l. 300, გვ. 42.

2. **Ultima-ratio**-ს, როგორც (ევროპული) თანაზომიერების პრინციპის გამოვლინების მაგალითებია:

– ჩარჩო-გადაწყვეტილება სანქციებისა და ღონისძიებების შესახებ იმ დამსაქმებელთა წინააღმდეგ, რომლებიც ევროკავშირში სამართლებრივი საფუძვლების გარეშე მყოფ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს ასაქმებენ[1], ერთ პოზიტიურ ტენდენციას მაინც უჩვენებს: ამ აქტის მე-9 მუხლი ასაბუთებს კრიმინალიზაციის ვალდებულებას არალეგალური დასაქმების განსაზღვრული, კონკრეტული შემთხვევებისათვის. გარდა ამისა, მე-3 მუხლის I აბზაციდან გამომდინარე, პასუხისმგებლობა მხოლოდ უბრალო დარღვევიდან არ გამომდინარეობს. წევრმა სახელმწიფოებმა არალეგალური დასაქმება მხოლოდ მაშინ უნდა დასაჯონ, როდესაც სახეზეა ერთ-ერთი შემდეგი დამამძიმებელი გარემოება: დარღვევის განმეორება, მესამე სახელმწიფოს რამდენიმე მოქალაქის ან არასრულწლოვანთა დასაქმება, ექსპლუატაციური სამუშაო დამოკიდებულება ან დამსაქმებლის მიერ იმის ცოდნა, რომ რომ დასაქმებული ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი არის. „ჩვეულებრივი" დარღვევებისათვის არასისხლისსამართლებრივი სანქციები საკმარისად მიიჩნევა. ეს შეიძლება თანაზომიერების პრინციპისა და ultima-ratio-ს (შეგნებულ?) გათვალისწინებად ჩაითვალოს.

– ჩარჩო-გადაწყვეტილება საინფორმაციო სისტემებზე თავდასხმის შესახებ[2] ადგენს კრიმინალიზაციის ვალდებულებას ინფორმაციულ სისტემებში მართლსაწინააღმდეგო შეღწევისათვის (მუხ. 2), საინფორმაციო სისტემის გამოყენების შეფერხების ან ხელის შეშლისათვის (მუხ. 3) და მონაცემთა ბაზაზე თავდასხმის სხვადასხვა ფორმისათვის (მუხ. 4). მაგრამ პასუხისმგებლობის არეალის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევისათვის ის არ ითვალისწინებს ე.წ. მსუბუქ შემთხვევებს. ჰაკერობის შემთხვევებში ის წევრ სახელმწიფოებს უტოვებს გადაწვეტილების თავისუფლებას, დასაჯონ თუ არა მისი მცდელობა, რაც სხვა შემთხვევებში აუცილებლად არის გათვალისწინებული. შესაძლებელია დავეჭვდეთ იმაში, არის თუ არა ეს ნაბიჯები საკმარისი ძალიან ვრცელი სისხლისსამართლებრივი დასჯადობის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის, აღებული კურსი სწორია, რადგან წევრს სახელმწიფოებს ეძლევათ საშუალება ევროპულ დონეზე მიღებული ნორმები სისხლისსამართლებრივი დასჯადობის განვრცობის კონტექსტსში თავიანთ ნორმებთან შესაბამისობაში მოიყვანონ. ამით ხდება ასევე კოჰერენტულობის პრინციპის დაცვაც (ქვემოთ 6).

– ჩარჩო-გადაწყვეტილება ნარკოტიკული ნივთიერებებით არალეგალური ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[3] მე-2 მუხლის მე-2 აბზაცში ითვალისწინებს იმ წინაპირობას, რომ აქ გათვალისწინებული კრიმინალიზაციის ვალდებულება ნარკოტიკული ნივთიერებების იმ მცირე რაოდენობაზე, რომელიც პირადი მოხმარებისათვის გამოიყენება, არ ვრცელდება. ამით წევრს სახელმწიფოებს ეძლევათ თუნდაც ერთ სფეროში გადაწყვეტილების მიღების გარკვეული თავისუფლება, რაც მისასალმებელია, განსაკუთრებით ამ საკითხისადმი სახელმწიფოებში მიდგომების სხვადასხვა პოლიტიკის გამო.

ამის საწინააღმდეგოდ სხვა მაგალითები უჩვენებს, რომ ultima-ratio-ს პრინციპს ჯერჯერობით საკმარისი აღიარება არ მოუპოვებია და არ არსებობს სათანადო დასაბუთებები „good governace"-ის გაგებით.

– ჩარჩო-გადაწყვეტილება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[4] ავალდებულებს

---

1 RI. 209/52/EG, ABl. 2009 Nr. I. 168, გვ. 24.

2 ჩარჩო-გადაწყვეტილება 2005/222/JI, ABl. 2005 Nr. I, 69, გვ. 67.

3 ჩარჩო-გადაწყვეტიება 2004/757/JI, ABl. 2004 Nr. L 335, გვ. 8.

4 ჩარჩო-გადაწყვეტილება 2008/919/JI, ABl. 2008 Nr. L 330, გვ. 21.

წევრ სახელმწიფოებს ტერორიზმის ჩადენისაკენ საჯარო მოწოდება, ე.წ. „გადაბირება" და „გაწვრთნა" ტერორისტული მიზნებისათვის, ასევე მათი მცდელობა ან მათში მონაწილეობა ტერორისტულ ქმედებებს გაუთანაბრონ. ამით პასუხი უნდა გაეცეს იმ ტენდენციასაც, რომ ტერორისტები ინტერნეტსაც, როგორც „ვირტუალურ საწვრთნელ ბაზას" ისე იყენებენ მაგრამ ყოველივე ამაში ისეთ ქმედებებსაც ვხვდებით, რომლებიც უშუალო ტერორისტული დანაშაულის ჩადენისაგან ძალიან შორს იმყოფებიან. თავისი მითითებებით ევროკავშირს სახელმწიფოები მიყავს ისეთ სისხლის სამართლამდე, რომელიც ობიექტური საფრთხეების წინასწარ თავიდან აცილებას ცდილობს. უნდა, ისეთი ქმედებები დაისაჯოს, რომლებსაც სხვა პირებში მხოლოდ კრიმინალური აზროვნების ჩამოყალიბებისაკენ მივყავართ ან ამის მხარდაჭერა ხდება (ე.წ. წინა-პრევენციული სისხლის სამართალი). სისხლისსამართლებრივი დასჯადობის მსგავსი გადატანა ადრეულ ეტაპებზე და სამართლებრივი სიკეთისაკენ მიმართული ობიექტური, თუნდაც აბსტრაქტული, საფრთხის ცნების სრული იგნორირება, შეუთავსებელია ევროპულ თანაზომიერების პრინციპთან (Ultima-ratio-ს კონტექსტში)[1]. სანამ რომელიმე ქმედება დაცული ინტერესისადმი საკმარის იმწუთიერ საფრთხეს არ შექმნის, მანამდე შეუძლებელია მის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის აუცილებლობის მტკიცება. ყოველი შემთხვევისათვის, „good governance"-ის ფარგლებში საჭიროა იმის შემოწმება, ხომ არ იქნებოდა სხვა ღონისძიებების, მაგალითად, ინტერნეტის გაძლიერებული კონტროლი ან საიტების მწარმოებლების დავალდებულება, უკეთესი შედეგის მომტანი.

— დასჯადობის მსგავს ადრეულ ეტაპზე გადატანას ითვალისწინებს ჩარჩო-გადაწვეტილება უნაღდო ანგარიშსწორებისას თაღლითობისა და გაყალბების წინააღმდეგ[2], რომელმაც ყველა ის ქმედება უნდა მოიცვას, რომლებიც ორგანიზებული დამნაშავეობის ფარგლებში ამ სფეროში საფრთხეს წარმოადგენენ. ეს ისე შორს მიდის, რომ წევრმა სახელმწიფოებმა მე-4 მუხლიდან გამომდინარე, მაგალითად, ობიექტურად დანაშაულის ჩასადენად გამოსადეგი ნივთის დამზადებაც კი უნდა დასაჯონ. „good governance"-ის პატივისცემიდან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა ასეთ ადრეულ ეტაპზე, როდესაც საფრთხის მინიმალური პოტენციალი თუ არსებობს, სისხლის სამართლის გამოყენების ნათლად დასაბუთება და არა უბრალოდ ორგანიზებულ დამნაშავეობაზე მითითება.

— ჩარჩო-გადაწყვეტილებაში ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[3] მოცემული კრიმინალიზაციის ვალდებულებები (იხ. ზემოთ) შემოფარგლება არა მხოლოდ განსაკუთრებული ორგანიზებულობით გამორჩეული დაჯგუფებებით, არამედ 1-ლი მუხლის მე-2 ქვეპუნქტის მიხედვით, საკმარისია ყოველგვარი არა შემთხვევითი გაერთიანების არსებობა, თუნდაც წევრებს შორის ფორმალურად როლების გადანაწილების, მყარი წევრობისა და ჩამოყალიბებული სტრუქტურის გარეშე. კრიმინალიზაციის ასეთი ფარგლები ორგანიზებული დამნაშავეობის სოციალურად საზიანო არსს დიდად სცილდება და თანაზომიერების პრინციპთან ძნელად თუ არის შეთავსებადი.

— მსგავსი პრობლემებამდე მივყავართ გარემოს დაცვის შესახებ დირექტივასაც[4]. ის ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, დასჯადი იყოს ისეთი ქმედებები, რომლებიც ევროგაერთიანების სხვა აქტებით გათვალისწინებულ აკრძალვებს ეწინააღმდეგება. წევრმა სახელმწიფოებმა ამით ნაწილობრივ უნდა მოახდინონ იმ ქმედებების პენალიზაცია, რომლებიც მხოლოდ ფორმალურ წესებს არღვევენ. მაგალითად, ნარჩენების არალეგალურ

---

[1] მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა სხვა ბევრ ჩარჩო-დადგენილებაშიც, მაგალითად, ჩარჩო-დადგენილება 2001/413/JI, მუხ. 2 lit. c.

[2] ჩარჩო-გადაწყვეტილება 2001/413/JI, ABl. 2001 Nr. L 149, გვ. 1.

[3] ჩარჩო-გადაწყვეტილება 2008/841/JI, ABl. 2008 Nr. L 300, გვ. 42.

[4] დირექტივა 2008/99/JI, ABl. 2008 Nr. L 328, გვ. 28.

ტრანსპორტირებად, გარემოს დაცვის შესახებ სისხლისსამართლებრივი დირექტივის მე-3 c მუხლის გაგებით, ჩაითვლება ქმედება, თუ ეს სახელმწიფო მოხელეების მხრიდან შესაბამისი ნოტიფიცირების გარეშე მოხდა (შეად. ევროგაერთიანების დირექტივის მუხ. 2 ნომერი 35 a) VO [EG] 1013/2006) ან ის გარკვეულ ფორმულარებს არ შეესაბამება (შეად. ევროგაერთიანების დირექტივის მუხ. 2 ნომერი 35 d) და g) iii VO [EG] 1013/2006). ადმინისტრაციული სამართლის ასეთი კრიმინალიზაცია ევროპული თანაზომიერებისა და ultima-ratio-ს პრინციპებს არ შეესაბამება და, ასევე ისეთ ინტერესსაც არ ექმნება საფრთხე, რომლის დაცვაც აუცილებლად სისხლის სამართლით უნდა მოხდეს.

– ჩარჩო-გადაწყვეტილება კერძო სექტორში კორუფციის შესახებ[1] არ შეიცავს საკმარის დასაბუთებას იმაზე, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ამ სფეროში კორუფციის თავიდან ასაცილებლად სხვა, უფრო მსუბუქი მექანიზმების გამოყენება – სამოქალაქოსამართლებრივი ღონისძიებები, ზემდგომის მხრიდან თანხმობის მექანიზმების გამკაცრება, პერსონალის რეგულარული ცვლა შეკვეთების განყოფილებაში და ა.შ. ამ აქტში, სისხლის სამართლის, როგორც სოციალური კონტროლის უკიდურესი საშუალების, გამოყენების საკმარისი დასაბუთება არ ხდება.

3. ის, რომ ბრალის პრინციპი სისხლისსამართლებრივ აქტებში მნიშვნელოვ როლს ასრულებს, გვიჩვენებენ შემდეგი მაგალითები:

– ბევრ წევრ სახელმწიფოში იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი დასჯადობა შეუთავსებელი იქნებოდა პერსონალურ შერაცხვის პრინციპთან, რომელიც მათ სისხლის სამართალს უდევს საფუძვლად. ამიტომაც დადებითად უნდა შეფასდეს ყველა ის ჩარჩო-გადაწყვეტილება, რომლებიც იურიდიული პირების სანქციონირებას ადგენენ, მაგრამ დღემდე ღიად ტოვებენ საკითხს, ეს სისხლის სამართლის მეშვეობით უნდა მოხდეს თუ არა. ამის კონკრეტული მაგალითია თუნდაც კერძო სექტორში მოსყიდვის შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილების[2] მე-6 მუხლი. ასეთი მიდგომები მომავალშიც სასურველი იქნებოდა.

– ამ ასპექტში მისასალმებელია, ასევე ისიც, რომ რამდენიმე სამართლებრივი ინსტრუმენტი, როგორიცაა, მაგალითად, ჩარჩო-გადაწყვეტილება უნაღდო ანგარიშსწორებისას თაღლითობისა და გაყალბების წინააღმდეგ[3] (მუხ. 4 აბზ. I) ან ასევე *PIF*-კონვენცია[4] ევროგაერთიანების წინააღმდეგ მიმართული თაღლითობის დასჯასთან მიმართებაში (მუხ. 1 აბზ. I) სუბიექტურ შემადგენლობაში განზრახვის არსებობას მოითხოვენ. თუმცა ეს მოთხოვნა არცთუ მყარ საფუძვლებზე დგას. იმავე PIF-კონვენციის I მუხლის მეოთხე აბზაცი უშვებს, რომ გარკვეული ობიექტური გარემოებების არსებობისას დადგენილ იქნეს განზრახვის არსებობა. ასეთი ავტომატური დასკვნა განზრახვის არსებობისა ბრალის პრინციპს არ შეესაბამება.

გარდა ამისა ბრალის პრინციპის დაცვასთან მიმართებაში აღსანიშნავია სხვადასხვა ხარისხის საფრთხის შემცველი ქმედებებისათვის სასჯელის ზომების არადიფერენცირება:

– ჩარჩო-გადაწყვეტილება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[5] ითხოვს წევრი სახელმწიფოებისაგან ტერორისტული გაერთიანების ხელმძღვანელობისა (მუხ. 2 აბზ. II a) და მისი გაცნობიერებულად დახმარების – მაგალითად, ფინანსურად ან ინფორმაციის მიწოდების ფორმით – სისხლისსამართლებრივად დასჯადობას (მუხ. 2 აბზ. II b). პირველ

---

[1] ჩარჩო-გადაწყვეტილება 2003/568/JI, ABl. 2003 Nr. L 192, გვ. 54.

[2] ჩარჩო-გადაწყვეტილება 2003/568/JI, ABl. 2003 Nr. L 192, გვ. 54.

[3] ჩარჩო-გადაწყვეტილება 2001/5413/JI, ABl. 2001 Nr. L 149, გვ. 1.

[4] Abl. 1995. Nr. C. 316, გვ. 49.

[5] ჩარჩო-გადაწყვეტილება 2002/475/JI, ABl. 2002 Nr. L 164, გვ. 3 (შეიცვალა ჩარჩო-გადაწყვეტილებით 2008/919/JI, ABl. 2008, Nr. L 330, გვ. 21).

შემთხვევაში, მაქსიმალური სასჯელი უნდა იყოს მინიმუმ 15 წელი, მეორეში კი - მინიმუმ 8 წელი (მუხ. 5, აბზ. III). ბრალისა და თანაზომიერების პრინციპების გადმოსახედიდან სანქციების შეფასებისას პრობლემატურია ის, რომ აქ აუცილებელი არ არის ტერორისტული გაერთიანებების მაინც და მაინც უმძიმესი დანაშაულებისაკენ მიმართვა (როგორიცაა სიცოცხლეზე თავდასხმა, ტყვედ აყვანა, მასობრივი განადგურების იარაღის შექმნა). დასჯადობისათვის საკმარისია ისიც, რომ ისინი მხოლოდ ტერორისტული დანაშაულების მუქარისკენ იყოს მიმართული (მუხ. 1, აბზ. I i).

ტერორისტული გაერთიანების მოქმედებაში მონაწილეობისათვის მაქსიმალური სასჯელი უნდა იყოს მინიმუმ 8 წელი, მიუხედავად იმისა, გაერთიანება ტერორისტული ქმედებების განსახორციელებლად თუ მხოლოდ მუქარისათვის შეიქმნა. აქ არ ექცევა ყურადღება საფრთხის სხვადასხვა ხარისხსა და სანქციების ურთიერთმიმართებას, ანუ სანქციის დადგენისას ბრალის სიმძიმე არ იქნა სრულყოფილად გათვალისწინებული.

„ტერორისტული გაერთიანების ხელმძღვანელობის" კონტექსტში ბრალის პრინციპის დაცვის საკითხის პრობლემატურობა კიდევ უფრო აშკარაა. მართალია, თავიდან, მე-5 მუხლის მე-3 აბზაცით იმ გაერთიანების ხელმძღვანელობისათვის, რომელიც მხოლოდ ტერორისტული ქმედებების ჩადენის მუქარისკენ არის მიმართული, პირი მხოლოდ 8 წლით (ნაცვლად 15-ისა) ისჯება, რადგან ეს უფრო ნაკლებ საფრთხეს ქმნის, მაგრამ ამ ჩარჩო-გადაწყვეტილებით არ არის დიფერენცირებული ასეთი გაერთიანების ხელმძღვანელსა და ჩვეულებრივ წევრებს შორის სასჯელები. ის, რომ ევროკავშირი სხვადასხვა სოციალური საფრთხის შემცველ ქმედებებს ერთნაირად სჯის, ბრალისა და თანაზომიერების პრინციპებს ეწინააღმდეგება.

– ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი თავიდან აცილების შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილების ახალი პროექტი [1] მე-3 მუხლის I აბზაცით ადგენს მინიმალურ ზომას მაქსიმალური სასჯელისა 6 წლის ვადით. ეს ეხება პირველი და მეორე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს. პირველი მუხლი ადგენს გარკვეული ქმედებების, მეორე კი – წაქეზების, დახმარებისა და მცდელობის დასჯადობას. ამით ევროკომისია ერთნაირად უდგება როგორც ამსრულებლობას, ასევე თანამონაწილეობასა და მცდელობას. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით დამხმარის კონტექსტში არ შეესაბამება ბრალის პრინციპს, რომელიც ნებისმიერი მონაწილის პერსონალური პასუხისმგებლობის მიხედვით დასჯას ითხოვს. საფუძვლიანი მიზეზიდან გამომდინარე, ბევრ ნაციონალურ სისხლის სამართლში დახმარება მინიმუმ ფაკულტატურად მაინც უფრო მსუბუქად ისჯება, ვიდრე ამსრულებლობა.

4. სისხლისსამართლებრივი შინაარსის მქონე აქტების ფორმულირებისას განსაზღვრულობის პრინციპის (გამომდინარე კანონიერების პრინციპიდან) კუთხით დადებითი ტენდენცია შეიმჩნევა.

– სასიხარულოა ის, რომ როდესაც კავშირს სისხლისსამართლებრივი მითითებების გაკეთება სურს, მაშინ მაქსიმალურად მკაფიოდ ხდება იმის აღწერა, თუ რომელი ქმედებები უნდა იყვნენ დასჯადი წევრი სახელმწიფოების მიერ. ამის კარგი მაგალითია ჩარჩო-გადაწყვეტილება ფულის გაყალბების წინააღმდეგ ევროს დაცვის მიზნით[2]. მისი მე-3 მუხლის აბზ. I c ადგენს „ყალბი ან გაყალბებული ფულის შემოტანის, გატანის, ტრანსპორტირების, მიღების ან შენახვის" პენალიზაციას. დამატებით იქვე ფულის ცნებაც კი არის განმარტებული.

მსგავს დათქმებს შეიცავს ჩარჩო-გადაწყვეტილება ნარკოტიკული ნივთიერებებით

---

[1] KOM(2009) 136, გვ. 14.

[2] ჩარჩო-გადაწყვეტილება 2000/383/JI, ABl. 2000, Nr. L 140, გვ. 1.

არალეგალური ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[1]. მე-2 მუხლის აბზ. I ა ადგენს განზრახი ქმედებისათვის სასჯელების დაწესება, რაც გამოიხატა ნარკოტიკების მოპოვებაში, წარმოებაში, გადატანაში, დამზადებაში, შეთავაზებაში, გასასაღებლად გამზადებაში, განაწილებაში, გაყიდვაში, მიწოდებაში - მნიშვნელობა არა აქვს, რა პირობებით, - გადაცემაში, გადაგზავნაში - აგრეთვე ტრანზიტით - ტრანსპორტირებაში, გატანაში ან შემოტანაში. აქ პოზიტიური მომენტია ის, რომ ევროპელი კანონმდებელი ცდილობს სხვადასხვა ცნებების გამოყენებით ქმედებების განსაზღვრას. თუმცა ამას გარკვეული ნეგატიური შედეგებიც ახლავს თან. ბევრი ქმედების ერთად ჩამოთვლისას შეუძლებელი ხდება მათი გარკვეული ნიშნით ერთმანეთისაგან გამოცალკევება. ასევე საკითხავია ისიც, (თუმცა არა „განსაზღვრულობის" ასპექტში), შეესაბამება თუ არა გონიერ სისხლისსამართლებრივ პოლიტიკას ასეთი მოცულობით კრიმინალიზაციის მოთხოვნა.

– ასევე ისიც არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ევროპული ორგანოები სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან მიღებული ჰარმონიზაციისათვის საჭირო მითითებების ფარგლებში ცდილობენ განსაზღვრულობის მაღალ ხარისხს მიაღწიონ. ამას გვიჩვენებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილების[2] 1-ლი მუხლის I c აბზაცი. იქ, ისევე როგორც გაეროს შესაბამის დამატებით ოქმში, მთავარი კრიტერიუმებია „ძალაუფლებრივი მდგომარეობის გამოყენება", „სხვისი სისუსტით სარგებლობა". დამატებით ხდება უფრო ზუსტად დაკონკრეტებაც – „დაზარალებულ პირს არ უნდა ჰქონდეს რეალური ან მისთვის მისაღები სხვა შესაძლებლობა მასზე ძალადობის თავიდან აცილებისა". ეს საკმარისი არის თუ არა განსაზღვრულობის დამაკმაყოფილებელი დონისათვის, შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ ევროპელი კანონმდებლის მცდელობა მაინც დასაფასებელია.

მიუხედავად ზემოთ ნათქვამისა, არსებობს არაერთი სამართლებრივი აქტი, რომელიც კრიტიკას იმსახურებს. ამის რამდენიმე ნიმუში:

– უკვე ნახსენები ჩარჩო-გადაწყვეტილება ბავშვთა სქესობრივი ექსპლოატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[3] მოიცავს 1-ლი მუხლის b ქვეპუნქტში, ასევე რეალურ (სრულწლოვან) პირებს ბავშვის (მცირეწლოვნის) შესახედაობით, მაგრამ თუ მოზრდილი ადამიანი გამოიყურება როგორც ახალგაზრდა (და არა როგორც მცირეწლოვანი), მაშინ ეს ამ სამართლებრივ კატეგორიაში არ ჯდება. ასაკობრივი გადასვლები სრულიად ბუნებრივი რამ არის – 18 წლის პირი შეიძლება გამოიყურებოდეს როგორც 17 წლის. ამიტომაც ასეთი განსაზღვრებების გამოყენება სისხლისსამართლებრივი სუბსუმციისათვის გამოუსადეგარია.

– ჩარჩო-გადაწყვეტილება რასიზმისა და უცხოელთა სიძულვილის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[4] წევრ სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას, იქ ჩამოთვლილი ქმედებები მაშინ დასაჯოს, როდესაც ჩადენის ხერხი საჯარო წესრიგს საფრთხეს უქმნის. მაგრამ ამაში თუ რა მოიაზრება, ღიადაა დატოვებული. წევრი სახელმწიფოებისათვის მოქმედების თავისუფლების მიცემა მისასალმებელია, მაგრამ ეს პრობლემებს იწვევს მაშინ, როდესაც საქმე სრულიად გაურკვეველ ცნებებს ეხება.

– კერძო სექტორში კორუფციის შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილების[5] მე-2 მუხლის 1-ლი აბზაცით, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, როგორც ქრთამის ამღები, ასევე მიმცემიც პასუხისგებაში მისცენ. ამასთანავე მთავარი ნიშანი დანაშაულისათვის არის ის, რომ

---

1 ჩარჩო-გადაწყვეტილება 2004/757/JI, ABl. 2004, Nr. L 335, გვ. 8.
2 ჩარჩო-გადაწყვეტილება 2002/629/JI, ABl. 2002, Nr. L 203, გვ. 1.
3 ჩარჩო-გადაწყვეტილება 2004/68/JI, ABl. 2004, Nr. L 13, გვ. 44.
4 ჩარჩო-გადაწყვეტილება 2008/913/JI, ABl. 2008, Nr. L 328, გვ. 55.
5 ჩარჩო-გადაწყვეტილება 2003/568/JI, ABl. 2003, Nr. L 192, გვ. 54.

საწარმოს თანამშრომელმა თავისი მოვალეობები უნდა დაარღვიოს. მოვალეობის დარღვევის ცნება კი ძალიან ფართოდ არის განმარტებული: ,,ერთგულების საწინააღმდეგო ყოველგვარი ქმედება, რომელიც კანონით გათვალისწინებული მოვალეობების, პროფესიონალური ნორმის ან მითითების დარღვევას იწვევს". მოვალეობის დარღვევის ცნება დადგენილების მიხედვით განსაკუთრებით დამოკიდებული უნდა იქნეს თითოეული სახელმწიფოს მიერ დადგენილ განსაზღვრებებზე. ამას კი იქამდე მივყავართ, რომ ქრთამის მიმცემმა საერთაშორისო კორუფციული ქმედების ჩადენის დროს ქრთამის მიმღების მოვალეობათა მთელი წრე უნდა იცოდეს, რათა მისი დასჯადობის საკითხი განჭვრიტოს. ეს მოიცავს არა მხოლოდ მოსყიდვის ჩადენის ადგილას არსებულ კანონიერ ურთიერთობებს (სამოსამართლეო სამართლის ჩათვლით!), არამედ ქრთამის მიმცემის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დეტალებსაც. მოვალეობის დარღვევის ცნების გაურკვევლობა უკვე თვითონ ჩარჩო-გადაწყვეტილებიდანვე მომდინარეობს და წევრ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ ამის თავიანთი კანონებით გამოსწორება. მართალია მეორე მუხლის მესამე აბზაცი სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას, დამატებით ნიშნად კონკურენციის წესების დარღვევა მასთან დაკავშირებული საქონლის ან სამეწარმეო სარგებლის მიღებით განსაზღვრონ, მაგრამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ეს საკმარისი არ არის.

– ჩარჩო-გადაწყვეტილება გარემოს დაცვის შესახებ[1] წევრი სახელმწიფოებისადმი მითითებების მთელ ჯაჭვს შეიცავს. სწორედ აქედან იქმნება განუსაზღვრელობის პრობლემა: ნაციონალური კანონმდებელი ფაქტობრივად იძულებული ხდება, თავის სისხლის სამართალში ეს მითითებები გადაიტანოს. ამის სრულყოფილად განხორციელება ენობრივი თუ სხვა ევროპულ და ადგილობრივ სისხლის სამართალს შორის არსებული განსხვავებული გაგებების გამო, თითქმის შეუძლებელი ხდება. ერთადერთი გამოსავალი იქნებოდა ამ ჯაჭვის ცალკეულ შემადგენლობებად დაშლა, მაგრამ ეს ადგილობრივი კანონმდებლისათვის პრაქტიკულად შეუძლებელი რამ არის, ნაწილობრივ თუნდაც სამართლებრივი თვალსაზრისითაც, რადგანაც უშუალოდ მოქმედი გაერთიანების სამართლის ნაციონალურ ნორმებში უბრალოდ განმეორება დაუშვებელია. ამან შესაძლებელია, ასევე ისიც გამოიწვიოს, რომ კანონმდებელს გარკვეული შემადგენლობა საერთოდაც გამორჩეს, რაც თავისთავად სახელმწიფოს მიერ მის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების დარღვევას გამოიწვევს.

5. ბევრი კრიტიკა ისმის სუბსიდიარულობის პრინციპის დარღვევის გამო, რომელიც სისხლის სამართლის სფეროში ევროგაერთიანების/კავშირის მოქმედების გარკვეულ ჩარჩოებს ადგენს. თუმცა დღემდე მიღებულ სისხლის სამართლისათვის მნიშვნელოვან აქტებში ამ პრინციპის ნაწილობრივ გათვალისწინება მაინც შეიმჩნევა.

– ევროპულ დონეზე სისხლისსამართლებრივი კომპეტენციის განხორციელების განსაკუთრებული საფუძველია ის, როდესაც ხდება გაერთიანების ფინანსური ინტერესების ან სხვა სუპრანაციონალური ინტერესების დაცვა (მაგალითად, ევროს დაცვა გაყალბებისაგან).

– სუბსიდიარულობის პრინციპის კარგი გამოვლინებაა ისიც, როდესაც საქმე ეხება საერთაშორისო ხასიათის დანაშაულებს, რომელთა წინააღმდეგაც ბრძოლა ცალკეულ სახელმწიფოთა დონეზე არაეფექტურია. ამ კატეგორიას შეგვიძლია მივაკუთვნოთ, მაგალითად, საერთაშორისო ტერორიზმი ან გარემოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები. პირველ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ისეთ ორგანიზაციულ სტრუქტურასთან, ხოლო მეორეში - ისეთ შედეგებთან, რომ ამ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა ერთ სახელმწიფოს ფარგლებს

[1] ჩარჩო-გადაწყვეტილება 2008/99/JI, ABl. 2008, Nr. L 328, გვ. 28.

სცილდება. ის, რომ ამ სფეროში ზოგადად სუბსიდიარულობის პრინციპის დაცვა ხდება, არ ნიშნავს ავტომატურად ყველა ცალკეული დელიქტის ან მათი გამოვლენის ცალკეული ფორმების ან მათთან კავშირში მყოფი ქმედებების საერთაშორისო დონეზე მოწესრიგების საჭიროების აუცილებლობას.

– სუბსიდიარულობის დაცვის კიდევ ერთი ნიშანია წევრ სახელმწიფოთა სხვა მცდელობებიც, თავიანთი ნორმები დაეახლოვებინათ. ეს ეხება თუნდაც ჩარჩო-გადაწყვეტილებას ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[1], რომელსაც წინ უძღოდა მსგავსი მცდელობები გაეროსა[2] და ევროსაბჭოს[3] დონეზე. თუმცა მსგავს შემთხვევებშიც ყველა სისხლისსამართლებრივ ნორმასთან მიმართებაში უნდა მოხდეს სუბსიდიარულობის პრინციპის გადამოწმება.

მიუხედავად ამ მაგალითებისა, სამწუხაროდ სუბსიდიარულობის პრინციპის დაცვა მაინც არ ხდება ყოველთვის:

– ჩარჩო-გადაწყვეტილება რასიზმისა და ქსენოფობიის (უცხოთა მიმართ სიძულვილის) გარკვეულ ფორმებთან ბრძოლის შესახებ[4] წევრი სახელმწიფოებისგან პრინციპულად ითხოვს რასისტული მოტივით სიძულვილის გაღვივების (მუხ. I, აბზ. I a, b), ასევე ჰოლოკოსტისა და სხვა საერთაშორისო დანაშაულების (მუხ. I, აბზ. I, lit. c, d) უარყოფის დასჯადობას. ის, რომ ევროკავშირს ამ სფეროში საერთოდ კომპეტენცია გააჩნია, გამომდინარეობს ევროკავშირის ხელშეკრულების (ძვ. რედ.) 29-ე მუხლის I და II აბზაცებიდან. ასეთი ნაციონალური ხასიათის მქონე დელიქტებთან მიმართებაში სუბსიდიარულობის პრინციპის დაცვის საფუძვლიანი დასაბუთება უნდა მოხდეს.[5] იმის არგუმენტად, თუ რატომ არსებობს აქ ევროპული მინიმალური სტანდარტების გამოცემის აუცილებლობა, გაუმჯობესებულ საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის აუცილებლობასთან ერთად, დასახელდა ასეთი ქმედებების დისკრედიტაციაც. მაგრამ სისხლისსამართლებრივი დევნის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შემსუბუქება არ შეიძლება რომ იყოს თვითმიზანი. თუ ამის დაშვება მოხდება, მაშინ სუბსიდიარულობის პრინციპი სისხლის სამართლისთვის საერთოდ აზრს დაკარგავს, რადგან, ბუნებრივია, სხვადასხვა სისხლისსამართლებრივ სისტემებს შორის განსხვავებების ნებისმიერი შემცირება ურთიერთთანამშრომლობისა და სამართლებრივი დახმარების გაუმჯობესებას ნიშნავს. ის საფრთხე, რომ ურთიერთდახმარებას ამ ევროპული ნორმების გარეშე განსაკუთრებული ზიანი მიადგება, არ ჩანს. ბოლოს და ბოლოს ასეთი აქტის უკან დგას სურვილი, გამოხატულ იქნეს საერთო პოზიცია არასასურველი ქმედების წინააღმდეგ, მაგრამ სისხლის სამართალი მსგავსი სიმბოლური ქმედებებისათვის ბოროტად არ უნდა იქნეს გამოყენებული. ყოველი შემთხვევისათვის ასეთ მიდგომას სუბსიდიარულობის პრინციპის სერიოზულ გათვალისწინებასთან საერთო ბევრი რამ არა აქვს.

– სუბსიდიარულობის ასპექტში სადავოა, ასევე ბოლოს ნახსენები ჩარჩო-გადაწყვეტილების

---

[1] ჩარჩო-გადაწყვეტილება 2002/629/JI, ABl. 2002, Nr. L 203, გვ. 1.

[2] გაეროს საერთაშორისო ტრანსნაციონალური დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ შეთანხმების დამატებითი ოქმი ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ძალაში შევიდა: 25.12.2003. http://www.unodc.org/documents/traeties/UNTOC/Publications/TOC%20Convencion/TOCebook-e.pdf.

[3] იხ. Recommendation No. R(91)11 of the Committee of Ministers to member States on sexual exploitation, pornography and prostitution of, and trafficking in, children and young adults; Recommendation No. R(2000)11 of the Committee of Ministers to member states on action against trafficking in human beings for the purpose of sexual exploitation; Recommendation No. R(2001)16 of the Committee of Ministers to member states on the protection of children against sexual exploitation.

[4] ჩარჩო-გადაწყვეტილება 2008/913/JI, ABl. 2003, Nr. L 328, გვ. 55.

[5] მათ ნაციონალურ ხასიათს არც ევროკავშირი უარყოფს.

მე-2 მუხლი და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილების[1] მე-5 მუხლის მეორე აბზაცი. პირველი წევრი სახელმწიფოებისაგან გამკაცრებულ დასჯადობას მოითხოვს რასისტულ და ქსენოფობიურ საფუძველზე ჩადენილი დანაშაულებისას და მეორე კი ტერორისტული განზრახვით ჩადენილისას. მართალია, ეს საკმაოდ „სუსტი" დავალდებულებაა, რომელიც წევრ სახელმწიფოთა შიგნით არსებულ პრაქტიკას შეესაბამება, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაურკვეველია, თუ რატომ არ შეუძლიათ წევრ სახელმწიფოებს სასჯელის შეფარდების საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტა და რატომ არის ამისათვის ევროპული რეგულირება აუცილებელი.

– ასევე ისიც თვალშისაცემია, რომ ყველა სამართლებრივ აქტში სუბსიდიარულობის პრინციპის (სავარაუდო) დაცვა მხოლოდ ერთ წინადადებაში და ფორმალურად არის ნახსენები. ამის მაგალითია თუნდაც ჩარჩო-გადაწყვეტილება ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[2]. ამ აქტში წერია შემდეგი: „რადგან ამ ჩარჩო-გადაწყვეტილების მიზნების სრულყოფილად განხორციელება წევრი სახელმწიფოების დონეზე შეუძლებელია, კავშირს შეუძლია სუბსიდიარულობის პრინციპის შესაბამისად იმოქმედოს". როგორც ვხედავთ, აქ სახელმწიფოთა უუნარობის არც ემპირიული საფუძვლები და არც კონკრეტული მიზნები არის დასახელებული.

6. საბოლოოდ ჩვენი მოთხოვნის დასაბუთება კოჰერენტულობის პრინციპის დაცვის შესახებ შეგვიძლია კონკრეტული სამართლებრივი აქტების საფუძველზე მოვახდინოთ. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ საკითხებში წევრ სახელმწიფოებს რჩებათ (ყოველ შემთხვევაში აქამდე) თავისუფალი მოქმედების არეალი, რომელიც ემსახურება კოჰერენტულობის პრინციპის (ვერტიკალური) დაცვას.

– თუნდაც ის, რომ სახელმწიფოებს არ აკისრიათ ვალდებულება იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი დასჯის შესახებ, ხელს უწყობს ნაციონალური სამართლებრივი სისტემების კოჰერენტულობის დაცვას (ჩარჩო-გადაწყვეტილება კერძო სექტორში კორუფციის შესახებ, მუხ. მე-7)[3].

– ასევე ამას ხელს უწყობს ის, როდესაც ჩარჩო-გადაწყვეტილებები კონკრეტულ დათქმებს არ შეიცავენ სასჯელის მაქსიმუმზე, ანუ არ ადგენენ მაქსიმალური სასჯელის მინიმალურ ზღვარს და ზოგადი ფორმულირებებით კმაყოფილდებიან (ქმედითი, შემაშინებელი, ზომიერი; თავისუფლების აღმკვეთი სასჯელები მძიმე შემთხვევებში – იხ. მხოლოდ უნაღდი ანგარიშსწორებისას თაღლითობისა და გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-6 მუხლი[4]).

– გამონაკლისის სახით, ევროკავშირის კანონმდებელი წევრ სახელმწიფოთა სასჯელთა სისტემებში ჩარევისგან თავის აცილებას შეეცადა. ამის კარგი ნიმუშია ჩარჩო-გადაწყვეტილება ქვეყანაში უნაბერთოდ შემოსვლის, ტრანზიტისა და ყოფნის დროს დახმარების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[5], რომლის შემუშავების პროცესში[6] არსებობდა პოზიცია, რომ 1-ლი მუხლის მე-3 აბზაცით გარკვეული შემთხვევებისათვის დადგენილი უნდა ყოფილიყო მაქსიმალური სასჯელის მინიმალური ზღვარი 12 წლის ვადით. ეს წინააღმდეგობაში მოდიოდა შვედურ სისტემასთან, რადგან შესაბამისი დელიქტი იქ 4 წლამდე სასჯელს ითვალისწინებდა და,

---

1 ჩარჩო-გადაწყვეტილება 2002/475/JI, ABl. 2002 Nr. L 164, გვ. 3.
2 ჩარჩო-გადაწყვეტილება 2008/841/JI, ABl. 2008 Nr. L 300, გვ. 42.
3 ჩარჩო-გადაწყვეტილება 2003/568/JI, ABl. 2003 Nr. L 192, გვ. 54.
4 ჩარჩო-გადაწყვეტილება 2001/413/JI, ABl. 2001 Nr. L 149, გვ. 1.
5 ჩარჩო-გადაწყვეტილება 2002/946/JI, ABl. 2002 Nr. L 328. გვ. 1.
6 *Wersäll*, in: *Asp/Herlitz/Holmqvist* (Hrsg.), Festskript Nils Jareborg, 2002, გვ. 659.

საერთოდაც, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა 10 წელს არ აღემატებოდა. კონსულტაციების საფუძველზე ჩარჩო-გადაწყვეტილებაში ჩაიწერა თავისუფლების აღკვეთის რვაწლიანი ვადა. ასევე იმავე მუხლის მეოთხე აბზაცში ჩაიდო წინაპირობა, რომელიც ცალკეულ სახელმწიფოებს აძლევს უფლებას, გამოიყენოს უფრო ნაკლები მაქსიმალური სასჯელი, თუ ეს, მისი სასჯელების სისტემიდან გამომდინარე, აუცილებელია. ეს არის წევრ სახელმწიფოთა ინტერესების გათვალისწინების კარგი მაგალითი.

ევროპული ორგანოები, ზემოთ ნათქვამის მიუხედავად, მაინც საკმაოდ არიან დაშორებულნი ვერტიკალური და ჰორიზონტალური კოჰერენტულობის, როგორც წამყვანი სამოქმედო პრინციპის, აღიარებისაგან:

– ბევრ შემთხვევაში არ ხდება ისეთი წინაპირობის გათვალისწინება, როგორიცაა ნაციონალური სისხლისსამართლებრივი სისტემის თავისებურება. ჩარჩო-გადაწყვეტილება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[1] და მისი მე-5 მუხლის მე-3 აბზაცი გარკვეული ტერორისტული აქტებისათვის ადგენენ მაქსიმალური სასჯელის მინიმუმს 15 წლის ვადით. ამან პრობლემები შეუქმნა ფინეთს, რადგან იქ ზოგადად მაქსიმალური სასჯელის ვადა 12 წელს არ აღემატებოდა, ამიტომაც ფინეთი იძულებული გახდა შემოეღო მისი სისტემისათვის შეუსაბამო ხელოვნური რეგულირება (12 წელს დამატებული 3 წელი, გამონაკლის შემთხვევებში), რათა ევროპული მოთხოვნა დაეცვა.

– როგორც უკვე ითქვა, ევროკავშირის სამართლებრივი აქტები თანაბარი მაქსიმალური სასჯელის მინიმუმს ადგენენ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სოციალური საფრთხის მატარებელი ქცევებისათვის. ჩარჩო-გადაწყვეტილება ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ[2] ადგენს მაქსიმალური სასჯელის 8-წლიან მინიმუმს, თუ განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედების შედეგად მსხვერპლის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა (მუხ. 3, აბზ. 2 *a)*. ასეთივე სანქციას ითვალისწინებს ჩარჩო-გადაწყვეტილება ფულის გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროს შემოღებასთან დაკავშირებით[3] ფულის გაყალბების შემადგენლობის განხორციელებისათვის (მუხ. 6, აბზ. 2).[4] ეს უჩვენებს, რომ ევროკავშირი კოჰერენტულობას სრულყოფილად არ იცავს. მართალია, სახელმწიფოებს დადგენილ ფარგლებს მიღმა სანქციების კიდევ უფრო გამკაცრება შეუძლიათ, მაგრამ ეს არ ნიშნავს ვერტიკალური კოჰერენტულობის სრულ განხორციელებას.

– ჰორიზონტალური კოჰერენტულობის დარღვევის კიდევ ერთი კარგი მაგალითია ჩარჩო-გადაწყვეტილება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.[5] აქ ერთმანეთისგან გამოყოფილია ისეთი ტერორისტული გაერთიანებების ხელმძღვანელობა, რომლებიც შექმნილია მძიმე დანაშაულების ჩასადენად ან მხოლოდ მუქარისთვის, მაგრამ ეს არ ხდება დანარჩენ მონაწილეებთან მიმართებაში. ეს შედეგად იწვევს იმას, რომ მუქარის მიზნით შექმნილი ტერორისტული გაერთიანების ხელმძღვანელისა და სხვა მონაწილებისათვის თანაბარი მაქსიმალური სასჯელის მინიმუმია დადგენილი.

7. როგორც მაგალითები უჩვენებენ, ევროპულ კანონმდებლობაში არის მომენტები, რომლებიც მინიმუმ გარკვეულ დაფიქრებას მაინც იწვევენ. მართალია, ეს დასაშვებ ზღვარს ჯერჯერობით ჯერ კიდევ არ გასცდენია, მაგრამ განვითარების შემდეგი ნეგატიური

---

1 ჩარჩო-გადაწყვეტილება 2008/919/JI, ABl. 2008 Nr. L 330, გვ. 21.

2 ჩარჩო-გადაწყვეტილება 2002/629/JI, ABl. 2002 Nr. L 203, გვ. 1.

3 ჩარჩო-გადაწყვეტილება 2000/383/JI, ABl. 2000 Nr. L 140, გვ. 1.

4 *Weyembergh*, Common Market Law Review 42(2005), 1567(1586).

5 ჩარჩო-გადაწყვეტილება 2002/475/JI, ABl. 2002 Nr. L 164, გვ. 3 (ჩაენაცვლა ჩარჩო-გადაწყვეტილება 2008/919/JI. ABl. 2008, NR. L 330, გვ. 21).

ტენდენციები უკვე შესამჩნევია: ისეთი სისხლისსამართლებრივი ნორმების მიღება, რომლებიც დაცვის კონკრეტულ მიზანს არ უჩვენებენ, Ultima-ratio-ს პრინციპის უგულვებელყოფა, ისეთი პენალიზაციის ვალდებულებების დაკისრება, რომლებიც წევრ სახელმწიფოებში გაურკვეველი შემადგენლობების შემოღებას იწვევენ, ასევე ყოველი საზოგადოებრივი პრობლემის მომატებული რეპრესიით გადაწყვეტის მცდელობა.

ეს დამაფიქრებელი ტენდენციები თავს იჩენს ნაციონალურ დონეზე და კიდევ უფრო გაძლიერდება ევროპული ინტეგრაციის შედეგად. თუ ამ საფრთხეებს თავის დროზე არ მიექცევა ყურადღება, მაშინ ეს მიგვიყვანს ისეთ მიუღებელ სისხლის სამართალთან, რომელიც ლიბერალურ ტრადიციებსა და პრინციპებს არ შეესაბამება.

პროფ. დოქტორი პეტერ ასპი, სტოკჰოლმის უნივერსიტეტი, შვედეთი

პროფ. დოქტორი ნიკოლაოს ბიცილეკისი, თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი, საბერძნეთი

დოც. დოქტორი სერგიუ ბოგდანი, ბაბეს-ბოლიაის უნივერსიტეტი, რუმინეთი

ასოც. პროფ. დოქტორი თომას ელჰოლმი, სამხრეთ დანიის უნივერსიტეტი, დანია

პროფ. დოქტორი ლუიჯი ფოფანი, მოდენის უნივერსიტეტი, იტალია

პროფ. დოქტორი დან ფრენდე, ჰელსინკის უნივერსიტეტი, ფინეთი

პროფ. დოქტორი ჰელმუტ ფუქსი, ვენის უნივერსიტეტი, ავსტრია

პროფ. დოქტორი მარია კაიაფა-გბანდი, თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი, საბერძნეთი

პროფ. დოქტორი ჟოსელინ ლებლუა-ჰაპი, სტრასბურგის უნივერსიტეტი, საფრანგეთი

პროფ. დოქტორი ადან ნიეტო მარტინი, კასტილია-ლა მანჩის უნივერსიტეტი, ესპანეთი

პროფ. დოქტორი კორნელიუს პრიტვიცი, ფრანკფურტის იოჰან ვოლფგანგ გოეთეს უნივერსიტეტი, გერმანია

პროფ. დოქტორი ჰელმუტ ზატცგერი, მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტი, გერმანია

პროფ. დოქტორი ელისავეტ სიმეონიდუ-კასტანიდუ, თესალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტი, საბერძნეთი

ასოც. პროფ. დოქტორი ინგებორგ ცერბესი, ვენის უნივერსიტეტი, ავსტრია